სოფიო ჩიჯავაძე-კედია

ნასმენ-ნახული

ქართულ-ევროპული ინსტიტუტი
პარიზი 2002

ყველა უფლება დაცულია

© თეო ჩიჯავაძე-კედია ყველა გამოცემისათვის
© ქართულ-ევროპული ინსტიტუტი 2002

ISBN 99940-704-0-1

სარჩევი

წინასიტყვაობა 1

ჩემი ოჯახი 3

ილიკო და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი

ჩემი მშობლები

დედას ვინაობა

ჩვენი კარმიდამო და სახლკარი

ჩვენი სახლი

ჩემი ბიოგრაფია 30

პატარაობა სკოლის ასაკამდე

სკოლის ასაკი და ჩემი სასწავლებელში შეყვანა

მესამე კლასთან დაკავშირებული ზოგიერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებისა

კიდევ ჩვენი ოჯახის ავკარგი. 70

შაქროს ქორწილი

ჩვენი ოჯახის მუსიკალობა და შაქროს

არაჩვეულებრივი ხმა, ტენორი

შაქროს ქორწილი

ჩვენი ოჯახის ბურჯი ძია გაბო და მისი სიკვდილი

ჩემი უკანასკნელი წლები გატარებული თელავის წმ. ნინოს სახელობის სასწ. 82

ჩემი თბილისში წასვლა და სწავლის გაგრძელება (1900 - 1906) 94

პირველ ქალთა გიმნაზია

1907 წ. და ჩემი პირველი წელიწადი მოსკოვში 137

ჩემი გამგზავრება და მოსკოვში წასვლა.

1908 წ. ჩემი მასწავლებლობა ქართულ გიმნაზიაში

1909 წელი ჩემ მიერ გატარებული მოსკოვში, მეორედ რომ წავედი 171

1910 - 11 წ. ჩემ მიერ გატარებული მოსკოვში 196

1911 წ. უკანასკნელი ჩემ მიერ გატარებული წელიწადი მოსკოვში
ქართული სალამო მოსკოვში 1912 წლის ექვს იანვარს
უკანასკნელი ჩემი გამოცდები და საქართველოში დაბრუნება
ქართულ გიმნაზიაში ჩემი ყოფნა
1912 წლიდან 1918 წლამდე 241
1914 წ. წაღვერში ჩემ მიერ გატარებული ზაფხული 251
მეფე ნიკოლოზის საქართველოში ჩამოსვლა სწორედ იმ 1914 წ 253
სპირიდონის ჩამოსვლა და ჩემი შეხვედრა 255
ჩემი წასვლა რუსეთში 259
1 თვე პეტერბურგში
ჩვენი მოგზაურობა ვოლგაზედ.
ქართული გიმნაზიის ცვლილებები და ჩემი იქიდან წასვლა 264
ქართველ ქალთა გიმნაზია 265
ჩვენი დადგენილება
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსება 267
მიხაკო წერეთლის და გიორგი მაჩაბლის ჩამოსვლა 270
ნიკოლოზის გადაყენება და დროებითი მთავრობის შექმნა 271
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 273
სპირიდონის გიორგი მაჩაბელთან შეხვედრა შვეიცაში 275
ჩემი გამგეობა პირველ ქალთა გიმნაზიაში 278
1919 წ. და ჩემი პირადი ცხოვრება 285
ჩემი პირადი ცხოვრება (გაგრძელება)
ჩვენი პირველი მარცხი
ჩემი სამეგრელოში წასვლა
ზაფხული გატარებული ქვიშხეთში
სამხედრო მოქმედება ორი კვირის განმავლობაში 308

ჩვენი 2 კვირის ომის დასასრული
თბილისის დატოვება 310
საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი
დღეები ბათუმში 317
ჩვენი თბილისში დაბრუნება და
ბოლშევიკების რეჟიმი 321
სპირიდონის ციხეში ყოფნა
სპირიდონის ციხიდან გამოყვანა (1923)
ჩვენი ოჯახის ცხოვრებიდან ზოგიერთი ფურცელი
სამხედრო კავშირი და მისი მწარე დასასრული 365
1924 წლის აჯანყება და მისი შედეგები 375
"ვეფხისტყაოსნის" საღამო 386
ჩვენი მოგზაურობა მოსკოვისკენ და
იქ გატარებული დრო 412
ჩვენი მოგზაურობა მოსკოვიდან ბერლინამდე 414
ჩვენი ბერლინში მისვლა და იქ
გატარებული დრო 415
ჩვენი მოგზაურობა ბერლინიდან და
პარიზში მისვლა 419
ჩვენი პარიზში მისვლა და პირველი წელიწადი
იქ გატარებული 421
ჩვენი კლამარში დაბინავება და
სპირიდონის მუშაობა 439
კლამარში დაბინავება 1929 წ.
მაჩაბლის საქმე 1929 1949
მაჩაბლის საქმეში სპირიდონის ადგილი
როგორ ჩაისახა მაჩაბლის საქმე
გიორგის ნათესაობა
ფანჩატური
ჩვენი ცხოვრება სპირიდონის სიკვდილის შემდეგ 470
ჩვენი კლამარიდან წამოსვლა 476
ქაჭუცას სიკვდილი 480

თეოს გაქრისტიანება. კლამარში
მისი ნათლობა 483
ქაქუცას საღამო 485
შენი მუსიკის შედეგები 488
კოლეჟში შენი ყოფნა 498
ქართული კერა 503
სპირიდონი ემიგრაციაში 510
ომის გამოცხადება 520
ეროვნული კომიტეტი ბერლინში 529
ომის დასასრული და ჩვენი ემიგრაცია 533
ნატა ვაჩნაძის დარბაზობა 1946 წ. 543
ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება კლამარში 548
ერთი უცნაური შეხვედრა 552
სპირიდონის გარდაცვალება და მისი
ეროვნული დასაფლავება 555
ჩვენი პარიზის ოტელში ცხოვრება
1953 წ-დან 1956 წ.-მდე 563
ჩვენი გადასვლა ვიტრიში და ახალი
ცხოვრების დაწყება 570
მადლობა 585
ქართველებიც დაგვეხმარნენ 589
Chatel-guyon 590
სასიამოვნო შობის საუზმე 591
სპირიდონის მიმდევრები: 592
სპირიდონის ყმაწვილები
უფროსებში
საქართველოში
ახალგაზრდებში
მონაწერი 595
გამომცემლისაგან 597
ფოტოები ძველი ალბომიდან
მირქმა
პატარა ზედნადები

ნასმენ-ნახული

ილია ჭავჭავაძის საერთაშორისო

პრემია 1990

ზეციერ მამაო ჩვენო, ნუ მოგვაშორებ შენ მადლსა შენსა ჩვენ ცოდვილთაგან, ნუ დაგვივიწყებ ჩვენ უკუნისამდე, არამედ ნუ დაგვიტევებ ჩვენ ამქვეყნიურ ამაოებათა შინა, ნუ დაგვიტევებ ჩვენ ამ



ნასმენ – ნახული

წინასიტყვაობა

ადამიანის ცხოვრება მცენარისას ემსგავსება. როგორც უცხო ადგილას დარგული ვარდი ვერ იხეირებს, თუ მას მშობლიური ნაადგი ხელოვნურად მაინც არ გაუჩინეს, ასეა ადამიანი უცხო ქვეყანაში ფესვებ გამხმარი და მიფშვნეტილი.

დიდი წყეულაა და ღეთის რისხვა, თუ ადამიანმა თავისი სამშობლო დაკარგა, ის ველარსად გაიფურჩქნება და მისი არსებობა, თუნდა იოლად გასული და დალხენილიც კი, ფუჭი და სულიერ ძალას მოკლებული იქნება.

ჩვენ ყველანი წარსულთან ისეთი უხილავი ძაფებითა ვართ გადაბმულ-ჩაქსოვილნი, რომ მას ეერაეითარი ძალა ვერც მოსპობს და ვერც შესცვლის. აი სწორედ ამით განსხვაედება ადამიანი პირუტყვისაგან.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც უცხოეთში ვარ, ჩემდაუნებურად. აქ ბეერი რამ არის გონებისა თუ თეალთხედვისათვის საყურადღებო და მისაბაძი, მაგრამ ჩემი გონება ადვილად უსხლტება აქაურობას, წარსულში გადადის და თავსდება თავის არეში; მხოლოდ იქ პოულობს თავის მეს, საიდანაც მაქვს სულიერი საზრდო: ავიცა და კარგიც, ტკბილიცა და მწარეც ერთი მეორეს რომ სცვლის.

თეოს თხოვნა, ჩემი ცხოერება დაწერილებით დამეწერა, ე.ი. ერთი საუკუნის წინა ამბები ჩემი საყვარელი გოგოსათვის გადმომელაგებინა, დღემდე ვერ შევასრულე. სულიერი სიმშვიდე რომ მქონოდა, აქამდის არ დაეიცდიდი და ეხლა მას ჩემი ცხოერების მთელი სურათი ხელში ექნებოდა.

ბეერჯერ ავიღე ხელში კალამი. შემდეგ წლების განმავლობაში შევაჩერე. ეხლა კი ვიფიქრე, რომ ეს დაწყებული და დაუმთავრებელი ამბავი ბოლომდე მიეიყვანო, თორემ ძალიან დავიგეიანებ. კალამს ვინ ჩიეის, ვაითუ ჩემი საკუთარი სახელიც კი საძებნელი გამიხდეს. ჩემს ხანში ყველაფერი მოსალოდნელია.

არაეითარი პრეტენზია არა მაქვს, ჩემი ცხოერება ვისმე მოვაწონო ან სამაგალითოდ გავასაღო. მე მინდა მხოლოდ ჩემ მიერ განცდილი თუ "ნასმენ-ნახული" ჩემ შვილს დავუტოვო როგორც მემკვიდრეობა იმ დედისა, რომელიც მას ნიეთიერად ვერ გაახარებს, მაგრამ თავის მშობლებისა თუ წინაპრების ცხოერებას ნათლად დაანახვებს და თავის ოჯახის მშობლიურ აკეანში მოათაესებს.

თუ ოდესმე ჩემი ნაამბობი მისწვდება იმას, ვინც ძველი თაობის სიძულვილეშია აღზრდილ-დავაჟკაცებული, ურიგო არ იქნება, გაეცნოს ძველ ამბებს და იმაში მაინც დარწმუნდეს, რომ ჩვენ თაობას სამშობლოს ტკიეილები საკუთარ ჭირად მიგეიჩნეეია. მაგრამ თუ მის იარებს სამკურნალო მალამო ვერ აღმოვუჩინეთ, ალბად მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენ ძალღონეს აღემატებოდა...

ჩემი ოჯახი

ის ჩემთვის დაკარგული სამყარო, სადაც მიმდინარეობდა ჩემი გიჟმაჟი ბავშვობა და უდარდელი ახალგაზრდობა, მეელისება ამ ჟამად როგორც სიზმარში ნახული საოცნებო ქვეყანა, მზის ტალღებში მოლივლივე, შუდამ მოცინარი, ამაყი და ბედნიერი, უხვი და ძლიერი, უბადლო და მშვენიერი.

"წუთუ ჩავიდე ისე საფლავს და დავიმარხო,
ჩვენო კახეთო, მშვენიერო, რომ ველარ განახო"?

ჩემი სოფელი, კისისხევი მთის კალთაზედ შეფენილი და მის თავში ჩვენი სახლი, რომელიც დაჰყურებს მის წინ დაცემულ ალაზნის ველს, მისვენებულს დაღესტნის თეთრქოჩორა მთების ჯაჭვზედ, ხშირად არხევენ ჩემ მისუსტებულ არსებას მწარ-ტკბილი მოგონებებით.

ეს პატარა, ლამაზი სოფელი ქ. თელავთან ორიოდე ვერსტით არის დაშორებული; მასზედ მიკრული ორი სოფელი, კონდოლი და წინანდალი, ამ შუაგულ კახეთში, ის საწნახელია, რომლის ღარიდანაც უკვდავების წყარო მოჩუხჩუხებს და ეს ნექტარი თავის მრავალ-სურნელოვან თაიგულით მუნჯსაც კი ამეტყველებს.

საფრანგეთის ცნობილი მწერალი ჟიდი, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში, თურმე წინანდალსაც სწვევია. და თავის წიგნში: "Retour d'URSS"ში იხსენიებს ამ ადგილობრივ ღვინოებს და აქებს. თუნდაც ეს მცირედი ქათინაური ფრანგისაგან, რომლის ქვეყანაც ცნობილია მსოფლიოში თავისი ღვინოებით, ჩვენთვის საყურადღებოა.

კახეთის ამ რჩეულ ადგილას ჩემი წინაპრები დახლოვებით მე-18 საუკუნეში - ასე 80-იან წლებში - უნდა დასახლებულიყვნენ.

როგორც ეს ჩვენი ოჯახის მეხსიერებას შეუნახავს, ერეკლე მეფეს იმერეთიდან ორი ძმა წამოუყვანია, გვარად ჩიჯავაძეები. ერთი მათგანი ომში დაღუპულა, მეორე ძმა კი, მიხეილი, აქ დასახლებულა.

ამას მეფისაგან ნაბოძები ჰქონია "კარისა ღვთისმშობლის" სახელობაზედ გაშლილი, კარგი მამული, ჩვენი მიდამოდან სოფელ ენისლამდე, დახლოვებით 12 ვერსტამდე სახნავ-სათესი მიწები, მინდვრები და ტყე; ამისი ზედმიწევნითი ანგარიში კი ძნელია, რადგან არ ვიცი, სიგელი, რომელიც ჩვენს ოჯახში ინახებოდა, რას გულისხმობდა.

ვიცი მხოლოდ ის, რომ ჩვენი საგვარეულოს სალოცავი ენისელის "კარისა ღვთისმშობლის" ეკლესია იყო, იქ დაედიოდით მარიამობას ღამის თევით და, რასაკვირველია, საწირავსაც ამ ეკლესიას ვაძლევდით.

ჩვენზედ ადრე დასახლებულნი კისისხევის თაკადები კარგის თვალით არ უყურებდნენ იმერეთიდან გადმოსულ თუ "გადმოხიზ-

ნულ“ თავად ჩიჯავაძეს, რომელიც ერეკლე მეფემ თავის სატახტო ქ. თელავთან ასე მახლობლად მოათავსა და დაამკვიდრა. რითი გათავდა მათი ამრეზილობა, ამას შემდეგ დავინახავთ.

ჩიჯავაძე ძველი გვარია. “ჩეჯა“ მეგრულად “თეთრი ხე“-ს ნიშნავს. ეს გვარი საჩინოს ჰფლობდა, რომელიც იმერეთში სამეგრელოს საზღვარზედ მდებარეობს. მისი ფეოდალები, ჩიჯავაძეები, ძველად იმდენად გავლენიანები ყოფილან, რომ ბოლო დრომდე იმერეთში დარჩენილია ეს თქმა: “შენ ყოფილხარ ჩიჯავაძე“-ო, ე.ი. ყველაფრის შემძლეო.

რამდენადაც მახსომს, ისტორიკოსი კაკაბაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ მეთხუთმეტე საუკუნეში იმერეთის ტახტზედ მეფე ვერ ავიდოდა, თუ ჩიჯავაძე თანახმა არ იყო.

ამ გვარის მატარებელნი თურმე თავიანთ ქვეყნის მოყვარულნი და ტახტის ერთგულნი ყოფილან, ყოველგვარ ქიშპობას და მოღალატეობის გარეშე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ისინი საქართველოს ისტორიას პირნათლად ჩაპბარდნენ.

ალბად სახეში ესა ჰქონდა განსვენებულ ისტორიკოსს, საქართველოს წარსულის ერთგულ გუშაგს, ივანე ჯავახიშვილს, რომ ერთხელ გვითხრა, “შეგიძლიანთ, თქვენი გვარიშვილობით იამაყოთ“-ო.

აქ ემიგრაციაში კი განსვენებული ზურაბ ავალიშვილი მეუბნებოდა: “იცით, ბატონო, რომ თქვენი გვარი დიდი გვარია, აი კარგი იქნება, თუ შეისწავლით და გამოარკვევთ იმას, თუ როდის ან რა პირობებში გადმოსულა თქვენი საგვარეულო იმერეთიდან და კახეთში დასახლებულა, იქნება ექვთიმე თაყაიშვილმა საამისო მასალა მოგცეთო“ იმჟამად ექვთიმე თაყაიშვილი, აწ განსვენებული, კიდევ აქ იყო და ს. ლეილილში ცხოვრობდა.

მე არა, მაგრამ თვითონ ზურაბს, ამ წიგნის ჭიას, კი შეეძლო და შესწევდა კიდეც ამის უნარი, ისტორიის ძველი ფურცლები გადმოეშალა და იქიდან ძვირფასი მარგალიტები ამოეკრიფა. სხვათაშორის იმისაგან გავიგე, რომ ერთ-ერთ ჩიჯავაძეს ვოლტერის ზოგიერთი ნაწარმოები უთარგმნია. სამწუხაროდ დღემდე ვერ მივაღწიე პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის არხივს, რომ პირადათ გავცნობოდი ამ თარგმანს. ეს საუკეთესო ნიმუში ქართული დაუდევრობისა არ მეპატიება!

ჩვენი ოჯახის წევრთა შორის ძველად საყურადღებოა, როგორც პიროვნება, პაპაჩემის ბიძა არხიმანდრიტი ნიკიფორე ჩიჯავაძე, რომელიც მეფის კართან დაახლოვებული, დედოფლის მრჩეველი ყოფილა.

როგორცა სჩანს, მას რუსეთში უმოგზაურნია. მისი მხატვრულად შესრულებული სურათი იქ უნდა იყოს გაკეთებული. სჩანს ამ სურათზედ, რომ ქერა ყოფილა.

ეს სურათი, რომელიც ჩვენმა ოჯახმა განსვენებულ ექვთიმე თაყაიშვილს გადასცა, როდესაც იგი ქართულ მუზეუმისათვის ის-

ტორიულ მასალას აგროვებდა, ბოლო დრომდე ჩვენს სახატეში ინახებოდა.

მეორე პიროვნება არის მოლოზანი ნინო, პაპაჩემის მამიდა. რუსეთის შემოსელის პირველ ხანებში მას კისისხევში დასახლებულსა ეხედათ. მოსულა აქ, რომ თავის ობლად დარჩენილ ძმისწულ სოლომონისათვის ეპატრონა და დედობა გაეწია.

კარგი მწიგნობარი, ძველი სასულიერო თუ საერო მწერლობის მცოდნე, მაღალი მორალის მატარებელი, მოლოზანი კეთილი ადამიანიც ყოფილა.

როგორცა სჩანს, მას ბევრი სიკეთე დაუთესნია. სოფელში გაჭირების დროს ყველას დაუზარებლივ მასუვეშებელი და დამხმარე ისა ყოფილა. ამიტომ პატივი და სალხის სიყვარული ადვილად მოუხვეჭნია და იმდენად, რომ ჩვენი ოჯახი მისი სახელით იყო მოსათლული, ე.ი. "მოლოზნიანი". ბევრმა ალბად ჩვენი გვარი, ჩიჯავაძე, არც კი იცოდა.

ობლად დარჩენილ ბავშვის მამულს დიდი მზრუნველობა ესაჭიროებოდა. ამიტომ ამ საყვარელ მამიდას ბევრი საფიქრებელი პქონდა, მაგრამ ეს უმანკო არსება ვერაფერს გახდა და პატარა სოლომონის ქონება ნელ-ნელა განიავდა. სოლომონი რომ დაოჯახდა, მისი მამულის ერთი ნაწილი ადგილობრივე თავადების ხელში იყო დაბინავებული, დანარჩენს კი რუსეთის ხაზინა, ე.ი. თვით რუსეთის სახელმწიფო დაპპატრონებოდა.

რუსეთმა, როგორც ვიცით, დასაწყისშივე თავადაზნაურთა აღრიცხვა დაიწყო იმ მიზნით, რომ ეს მრავალრიცხოვანი წოდება და მისი პრივილეგიები შეემცირებინა. რასაკვირველია, ამას მოპყვა ბევრი გაუგებრობა და უსამართლობა.

მაგალითად სოფელ ოქიოში თავადების სიაში არ იყო შეტანილი თავად ანდრონიკაშვილი, ამის სანაცვლოდ მისი გვარი ჩაწერილი იყო, როგორც ენდრონიკაშვილი, მაშასადამე თავადების სიიდან ამოღებული.

კისისხევსაც არ ასცდა ეს ნათლობა-მირონცხება. ამ სოფელში აღრიცხვას აწარმოებდა კარის მდივანი ქობულაშვილი, პო და თავადების სიას აცდნენ თუ შემთხვევით ასცდა ერთი ჩოლოყაშვილი, კარგი მემამულე და ეს ობოლი სოლომონ ჩიჯავაძე.

ამ უსამართლობის წინააღმდეგ დავა და საჩივარი სოლომონის შვილებმა განაგრძეს, მაგრამ უკეთ განათლებით და კანონების ცოდნით შეიარაღებულნი ესენი ცდილობდნენ ძველიდან რაც შეიძლება მეტი დაებრუნებინათ, რომ მტკიცედ და საფუძვლიანად დამკვიდრებულიყვნენ თავიანთ მამა-პაპათა მამულში. ამის გამო უფროსი შვილი დავით თავის ოჯახის სიყვარულით პეტერბურგშიაც წავიდა. თუმცა მამულების ერთი ნაწილი დაიბრუნეს, მაგრამ კიდევ ბევრი იყო სადაო, როგორც მაგალითად ტყე, ან კიდევ ჩვენი მამა-პაპეული "ციხის წისქვილი", რომელიც მოპირდაპირეს ეჭირა; ბოლო დრომდე ჩვენებს ამაზედ სწყდებოდათ გული, რადგან კისისხევსა და წინანდალს შუა მდებარე, ის დიდი შემოსავლიანი იყო.

კისისხევში ჩვენ მიერ აშენებულმა წისქვილმაც ხალისიანად მალე დაატრიალა თავისი ბორბლები, მაგრამ ძველს მაინც ვერ დაეწია.

დავა ჰქონდათ ქობულაშვილებთან და ეს მტრობა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა, ნათელმირონობა დაიწყო, საბოლოოდ მათ შორის ისეთი კეთილი და კარგი მეზობლობა დამყარდა, რომ "ურთმანეთოდ წყალსაც აღარ აადუღებდნენ".

მოლოზან ნინოს ძმისწულმა, სოლომონმა, ე.ი. პაპაჩემმა შეირთო ადგილობრივ აზნაურიშვილის, ბახუტაშვილის ასული კეკე; იმის შესახებ ბევრი რამ არ ვიცი, ისე რომ მას შენ ვერ გაგაცნობ, ჩემო თეო.

სოლომონს მასთან შეეძინა ხუთი შვილი: ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. აი მათი სახელები: დავითი, გაბო, ილიკო, ლონგო და ლიზა. ეს უკანასკნელი ძმების საყვარელი და ნებიერი.

მე მამიდა ლიზა არ მინახავს. არც მისი სურათია დარჩენილი, მაგრამ ჩემიანებისაგან ბევრი მაქვს გაგებული.

გარეგნობით თხელი, მაღალი ტანის მქონე, ქერა-თმიანი ლამაზი ქალი ყოფილა. რაც შეეხება მის ხასიათს, დიდი თავდარიგიანი, წესრიგის დიდი მოყვარული. ამიტომ მოსამსახურეების მიმართ სასტიკი, ხშირად გადაჭარბებულადაც.

მამიდა ლიზა ორჯელ იყო გათხოვილი. პირველად თავად ლეონიძეზედ კონდოლში, მეორედ ფშაველში ისიც თავადიშვილზედ, რომლის გვარი იყო "ბაბადიში", თათრულად, თუ არა ვცდები ეს ნიშნავს "თეთრკბილს".

როგორც მისი სურათიდანა სჩანს, ის დამსახურებული კაცი ყოფილა, რადგან მის განიერ გულმკერდს მრავალი ჯილდოთ მიღებული ვერცხლის ჯვარი ამშვენებს და ეფიქრობ, ცოტა ამბიმებს კიდეც.

ამ ოჯახისათვის უცხო არ იყო ბატონიშვილი ალექსანდრეს მოქმედება. სჩანს, მჭიდრო კავშირიც იყო მათ შორის, რადგან ბოლო დრომდე იქ ინახებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის საიდუმლო მიწერ მოწერა.

ეხლა კი არ ვიცი, რა ბედი ეწვია ამ ისტორიულ ნაფლეთებს, ან თუ ფშაველში კიდევ დარჩა ვინმე ამ გვარის მატარებელი "ბაბადიში".

ამ ბაბადიშთან მამიდა ლიზას ერთი ქალი ეყოლა, რომელსაც უწოდეს მანანა. ნიჭიერი ბავშვი დროზედ შეიყვანეს თელავის წმიდა ნინოს სახელობაზედ არსებულ ოთხკლასიან სასწავლებელში.

ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ, როგორც პირველი მოწაფე, იგი სახელმწიფო ხარჯით თბილისში იგზავნებოდა სწავლის გასაგრძელებლად იგივე წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში.

მამიდა ლიზას უდროოდ გარდაცვალებამ მანანას ბედიც შეატრიალა. მან ვერ განაგრძო სწავლა და გათხოვებამდე ჩვენთან კისისხევში ცხოვრობდა.

მამიდა ლიზა თბილისში გარდაიცვალა. რასაკვირველია, ძმებმა ის კისისხევში ჩამოასვენეს და მამაპაპათა გვერდით დასაფლავეს.

ის კი არ ვიცი მისი ქმარი როდის გარდაიცვალა, ან სად.

რაც შეეხება სოლომონის ვაჟებს, რომელთა ცდამ და გამჭრიახობამ ფუჭად არ ჩაიარა, რადგან მამის შემდეგ უსამართლოდ დაკარგული მამული ნაწილობრივ მაინც დაიბრუნეს და უმამულდედულოდ არ დარჩნენ.

ეხლა მინდა, ჩემო თეო, როგორც მახლობელი ნათესავები, კარგად გაგაცნო, ამიტომ დაწვრილებით ვილაპარაკებ როგორც ამ ჩემ ბიძებზედ და მათ ცოლშვილზედ, აგრეთვე მამა ჩემზედ ე.ი. პაპაშენზე ლონგოზედ.

ამ ოთხი ძმის შესახებ შემიძლიან ვსთქვა, და ეს არ იქნება გადაჭარბებული, რომ ესენი მაღალი ტანით, ნამდვილი ძველი ვაჟკაცების იერის მატარებელნი და ჯიშიანები იყვნენ.

ჩემ დროს კახეთში ორიოდეღა იყო მათი მსგავსი. ამ ქართული კაბის მატარებელთა შორის ერთი იყო გიგლო ყარალაშვილი, ჩემი მამიდაშვილი მანანას ქმარი. მეორე ნიკო ჭავჭავაძე ურიათუბნიდან. გიგო ვახვახიშვილი თელავიდან და კისისხევიდან ეს ჩემი ძია გაბო.

მათი ნახვა თვალსა სტაცებდა და სიამოვნებას ჰგვრიდა. სოლომონის უფროსი შვილი იყო დავითი, სამწუხაროდ მე ძია დავითი არ მინახავს, ნანახი მაქვს მისი სურათი, სადაც მისი მადლით საესე ლამაზი სახე მოსჩანს. მის შესახებ ბევრი მაქვს გაგონილი დედასაგან, რომელიც მას ყოველთვის სიყვარულით და პატივით იგონებდა.

დედა ამბობდა, რომ მშვენიერი შესახედავი იყო. კარგი იერი ჰქონდაო. და მიამბო: თურმე ძია დავითი იმერეთში სწვევია ერთ თავის მოგვარეს, მასპინძელმა რომ დაინახა კარებში შემოსული, უთქვამს:"საჭირო არ არის შენი გვარი მითხრა, საკმარისია შემოგხედო, რომ გიცნო, ვინცა ხარ, ე.ი. ჩიჯავაძე"-ო. მაგრამ რაც უმთავრესია, ის ყოფილა ძალიან კარგი და საყვარელი ადამიანი. კაცთმოყვარე, ლმობიერი, არაჩვეულებრივად კეთილი. "ჩემი მაზლი დავითი ისეთი ღვთისნიერი ადამიანი იყო, რომ ჭიანჭველასაც კი არ გასრესამდა, ფეხსაც კი არ დაადგამდა"-ო, ასე ახასიათებდა ძია დავითს განსვენებული დედაჩემი.

ოჯახში მას დიდი გავლენა ჰქონდა. მის აზრს და სიტყვას ძირს არავინ დაუშვებდა.

თბილისის სემინარიაში განათლება მიღებული, იგი მომრიგებელ მოსამართლედ განჯაში მსახურობდა. საეკლესიო გალობის კარგმა მცოდნემ მან დასტოვა საგალობელთა კრებული, რომელიც თბილისის კონსერვატორიის მუზეუმში უნდა ინახებოდეს.

ცოლად მას ჰყავდა ქართველ თავად მაღალაშვილის ასული სახელად ალექსანდრა-საშა. ეს იყო ახმახი, გამჭრიახი, განვითარებული, რუსული ენის მცოდნე, პატრიოტი ქალი. ამასთან ლამაზიც

იყო; საშუალო მოხდენილი ტანის მქონე ის რომ ცხენზედ ამაზონით შეეჯდებოდა, კისერზედ გრძელ მოწითანო ფერის ნაწნავებს შემოიხვევდა, კარგი სანახავი იყო ეს ჩემი ძალუა საშა.

სახე გაწყობილი ჰქონდა: მშვენიერი ტუჩკბილი, სწორე ცხვირი, ამასთან გადაშლილი შუბლი და დიდი მწვანე თვალები. ეს ყველაფერი თითქოს ბუნებას იმიტომ მიეცა, რომ ამის შესაფერი კარგი სასიათიც ჰქონოდა, მაგრამ არა! მის ლამაზ ტუჩებს ღიმილი არ ეკარებოდა, მრისხანებას უადგილოდ ამჟღავნებდა, მუდამ ამრეზილი იყო. მის სახეს ფერი აკლდა, თითქმის მიწის ფერი ჰქონდა გადაკრული მის პირის კანს. მაგრამ, ჩემო თეო, გაჭირების დროს თავს არ დაზოგავდა და ყველას მალამო ძალუა საშა იყო. ამისდა მიუხედავად მას სიყვარული ყველგან აკლდა.

ამათ სამი ქალი ჰყავდათ: თამარა, ანეტა და ელენა.

უფროსი თამარა თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა, ძალიან ნიჭიერი იყო და დიდ წარმატებასაც იჩენდა; ანეტა და ელენა შეყვანილნი იყვნენ "კავკასიის ქალთა ინსტიტუტი"-ს პანსიონში, მაშინ იქ გარედან მოსიარულენი არ იყვნენ.

ანეტა თაეიდანვე მუსიკას მისდევდა და იქვე პიანინოს გაკვეთილებს იღებდა; თამარა და ელენა კი უფრო წიგნებს მეგობრობდნენ. ამათ შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ ვილაპარაკებ, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება ამ ბიძაშვილებთანა მაქვს მჭიდროდ დაკავშირებული.

სოლომონის მეორე შვილი, გაბო, ესეც თბილისის სემინარიის ყოფილი მოწაფე კარგი მწიგნობარი და მჭერმეტყველი იყო. სასიამოვნო მოსაუბრე, ძველი ბატონი ყოველთვის გრძელი ჩიბუხით პირში, დიდი ტრადიციების დამცველი, ის ახალგაზრდებს ვერ აპატიებდა უზრდელობას, უპატივცემულობას უფროსების მიმართ და თავის აღლვებას მკაცრად ამჟღავნებდა, თუნდაც ბევრისათვის ეს სათაკილო ყოფილიყო. ერთი სიტყვით ძია გაბო პირში მთქმელი იყო.

მას ცოლად ჰყავდა თავად რუსიშვილ-ყორჩიბაშის ასული საბელად მარიამი-მაშო. მაბლობელი ნათესავი სოსო ქობულაშვილისა და მათ ოჯახში აღზრდილი. გარეგნობით ულამაზო, მაგრამ თავის დაჭერით და სიტყვა პასუხით ისეთი ლაზათიანი, რომ ბევრ ლამაზ ქალს დასჩრდილავდა ეს ჩემი ძალუა მაშო. ძველი დროის ქალბატონი ხმას არ აიმაღლებდა, დამშვიდებულად იტყოდა თავის სათქმელს და ამით გაათავებდა. მე ძალუა მაშო ეზოში ჩასული არ მინახავს. სულ ოთახში იყო ტახტზედ ფესმოკეციილი, იშვიათად თუ აივანზედ გავიდოდა, ისიც მხოლოდ ზაფხულის თვეებში.

დილით მოსამსახურე ვერცხლის თასით წყალს შემოუტანდა, ნელის მოძრაობით ტახტზედ მჯდომი ქალბატონი დასველებული სავარცხლით კაეებს ჩამოივარცხნიდა, შემდეგ წამოდგებოდა, კედლის სარკესთან ჩიხტიკოპს დაიდგამდა. ძალიან ცდილობდა მის გამაგრებას, შუბლის ნაწილსა სწევდა, რომ თვალწარბი მუდამ აშეპილი ჰქონოდა.

სახეზედ ყოველთვის უმარილი ესვა, მხოლოდ არ ვიცი, როდის ხდებოდა ეს ოპერაცია, თორემ ამასაც გიამბობდი, ჩემო პარიზელო გოგო. შემდეგ თავისი კუდიანი კაბით ოთახებში გაიელგამოიელიდა და ტახტზედ ფეხმოკეცილი დაჯდებოდა.

იმ დროს მე პატარა ბაშვი სულ უკან დავდევდი, მის დილის პირისფარეშს. განსაკუთრებით სარკესთან ძალუას ხელების მოძრაობა ჩემთვის იყო საყურადღებო, რადგან იმავე დღესვე, როგორც მაიმუნი, ბევრჯელ გავიმეორებდი სარკესთან ჩიხტიკოპის სცენას უკვე საზოგადოების თანდასწრებით, რასაც სიცილი მოპყვებოდა. ალბათ ამისი შიშით იყო, რომ ამაცდინა ძალუა მაშომ ფერუმარილის ამბავი, რომ ესეც არ გამექვეყნებინა.

ამათ ჰყავდათ სამი შვილი: ორი ვაჟი და ერთი ქალი.

უფროსი შვილი იყო შაქრო, თბილისში სწავლობდა, მაგრამ მხოლოდ მესამე კლასამდე მივიდა, როგორც ეს ხშირი მოვლენა იყო მაშინ და ამ "სათავადო კლასიდან" ივი ჩოხაში გამოწყობილი, ნაბად წამოსხმული, მშვენიერი ხმის პატრონი კისისხევს შერჩა და მთელი თავისი სიცოცხლე დროსტარებაში გაატარა. თავისი მრავალჟამიერით იმას ბევრი ასიამოვნა და გულის სიმებიც აუტოკა.

ჩვენთვის ამის გარეშე შაქრო ძალიან საყვარელი ბიძაშვილი იყო, რადგან კეთილი ბუნების პატრონი და მგრძნობიარე ურიგო სიტყვას არავის ეტყოდა. მის შესახებ კიდევ ალბად ბევრი გეწნება შენ მოსასმენი.

მისი და ნუცა თელავის წმიდა ნინოს სასწავლებელში სწავლობდა, მაგრამ მეორე კლასში იყო, რომ ძია გაბომ ის გამოიყვანა და სახლში ამყოფა. თელავში მას ბინა ჰქონდა თავის ბიძასთან. ეს იყო ძალუა მაშოს ბმა ბალო რუსიშვილ-ყორჩიბაშვილთან. ნუცას დაჭირდა კბილის ექიმთან სიარული. ერთ დღეს აღელვებული დაბრუნებულა და განუცხადებია, მე ამ ექიმთან აღარ წავალ. აღმოჩნდა, რომ კბილის ექიმს ახალგაზრდა არსებისათვის უკოცნია. ამან გამოიწვია ჩვენების დიდი აღელვება და რისხვა.

ნუცა, უნდა გითხრა, ულამაზო არ იყო, მაგრამ აკლდა ეშხი და მიმზიდველობა, თუმცა კბილის ექიმი მას დახარბდა და კლიენტი დაკარგა. კარგი ხასიათისა იყო, მშვიდი, წყნარი როგორც მისი დედა; ძალიან ეხალისებოდა ოჯახის საქმიანობა, ხშირად მოსამსახურეს არ აცდიდა და თვითონ განაგრძობდა მის გასაკეთებელ საქმეს.

გათხოვდა რჩეულიშვილზედ, რომელიც ოქრომჭედელი იყო და ლამაზ ნივთებს აკეთებდა. 1914 წლის ომში დაიღუპა. დარჩა ნუცა ორი ქალით. დიდ გაჭირებაში ჩავარდა. დასნეულდა და დიდხანს ველარ იცოცხლა.

ეს ორი ობოლი იშვილა ტიტო რჩეულიშვილმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა იუანე ჯავახიშვილის და შურა. თავის საკუთარ შვილებში არ არჩევდნენ, საშუალო განათლება მისცეს. შემდეგ კი მათ შესახებ აღარაფერი ვიცი. რაც შეეხება ძია გაბოს მესამე შვილ სანდროს, მისი სიცოცხლე ხომ ძალიან ხანმოკლე იყო. თოთხმეტი

წლის ყმაწვილმა ფილტვების ანთება ვერ აიტანა და ამას ემსხვერპლა.

ისა და ჩემი ძმა ირაკლი, თითქმის ტოლები, ერთად შეზრდილნი ისე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, რომ მათი სახელები ირაკლი-სანდრო ერთ სახელად იყო მიჩნეული.

ბუნებით კი ძალიან განსხვავდებოდნენ: ირაკლი ცეცხლი, აჩქარებული, მოუსვენარი. სანდრო პირიქით ნელი, დინჯი, დაფიქრებული. გარეგნობით სანდრო უფრო მოსაწონი იყო. სანდომიანი სახე ჰქონდა, ლურჯი თვალები და ეს ქერა ქოჩორი მის ფერმკრთალ სახეს მეოცნებედ ხდიდა. თავის ხნისათვის მეტის-მეტად ტან აყრილი იყო.

ირაკლი უფრო ჩაფსკვნილი, ტანით ბევრად დაბალი იყო. რაც შეეხება მის სახეს, ჭორფლიანი; ყოველთვის გაჭარხლებული და ოფლში გაწუწული შემოდიოდა ეზოდან.

ორივეს მუსიკალური ნიჭი ემჩნეოდათ, ერთად კარგად მღეროდნენ. ამ შემთხვევაში, სანდრო თავს ასწევდა ზევით და ლამაზი ხმით დაიწყებდა "კავკასიის მთებზედ იყო ამირანი მიჯაჭვული"-ო.

ირაკლი და სანდრო თბილისის რეალურ სასწავლებელში იყვნენ შეყვანილნი. მეოთხე კლასში იყო გადასული, რომ ძია გაბოს თბილისიდან აცნობეს სანდროს ფილტვების ანთება; ექიმებმა ურჩიეს, რაც შეიძლება მალე სოფელში წამოეყვანა, რადგან ფილტვები დაზი-ანებული აღმოჩნდა. მე ის უკანასკნელად ვნახე ნოემბერში, როდესაც ძია გაბომ თბილისიდან ჩამოიყვანა თელავში. იმ ზაფხულის აქეთ მეჩვენა ჩვენი სანდრო კიდევ უფრო ტანაყრილი, გამხდარი და წელში მოწყვეტილი, ძლივს ავიდა კიბეზედ.

მომიბრუნდა და მითხრა: "აი, ნონა, ჩემი წიგნები მე აღარ დამჭირდება. შენ კი მერე გამოგადგება"-ო, მომაწოდა თაიცი წიგნების აბგა. მე შეუტიე, - რა სისულელეს ლაპარაკობ, სანდრო, არა გრცხვენიან, აი მალე სკოლიდან დაგვითხოვენ და შობა ახალ წელიწადს კისისხევში ერთად გავატარებთ.

მეორე დღეს წაიყვანეს კისისხევში და მაშინათვე ლოგინში დააწვინეს ეს სიცხიანი ავადმყოფი. დეკემბრის დასაწყისში გარდაიცვალა.

ადვილად წარმოიდგენ, ჩემო თეო, როგორ მწარედ განვიცდიდი ამ ჩემ პირველ მწუხარებას, მინდოდა მიცვალებული მაინც მენახა, მაგრამ არ წამიყვანეს.

საშობაოდ რომ ჩავედი, დედამ მიამბო სანდროს უკანასკნელი წუთები. თურმე იმ დღეს მოიკეთა, საჭმელიც მოითხოვა და მადიანად ჭამა.

იმ დროს მისი მშობლები ღამის უძილონი გასულები იყვნენ იმ ოთახიდან და ავადმყოფთან დედაჩემი იყო.

სანდრომ მოითხოვა თაიცის საათი, უკანასკნელად მომართა, "ოხ, რა კარგად ვარ, ძალუა ვერა"-ო და დახუჭა თვალებიო.

მისი მშობლები არ ინახვებოდნენ. ჩემი დანახვა ხომ უფრო მძიმე იყო, რაც შეეხება ირაკლის, იმ ზაფხულს ისე იყო როგორც ფრთებდაჭრილი ჩიტი.

ილიკო და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი.

სოლომონის მესამე ვაჟი ილიკო კისისხევში იშვიათად მოდიოდა, უფრო როგორც სტუმარი, ოჯახის საქმიანობაში დიდ მონაწილეობას არ იღებდა. ამიტომ პატარაობას ეს ბიძა არ მინახავს.

რუსული ენის და კანონების კარგი მცოდნე ის მცხეთის ადმინისტრაციაში მსახურობდა.

ბოლო ხანებში ჩიოდა, რომ ძებმა განდევნეს, ამიტომ სახლში მოსვლა აღარ უნდოდა. ცოტა გაბუტული იყო.

ერთხელ თბილისიდან მოსულა და ჩვენ თავლის საყარაულო ოთახში დაუდია ბინა. ჩვენებმა მაშინათვე გაიგეს ეს უცნაური ამბავი და მოციქულად მე, შვიდი წლის ბავშვი, გამგზავნეს, რომ ძია ილიკო სახლში წამომეყვანა. იფიქრეს, რომ მე უარს არ მეტყოდა.

ეს დავალება ჩემთვის ნამდვილი ზეიმი იყო, ველირსე ამ საოცნებო ოთახის ნახვას, მაგრამ იქ არც ბუხარი ენთო და არც მეჩონგურენი დამიხვდნენ, რადგან ეს იყო ზაფხულის თვეში. მხოლოდ ტახტზედ იჯდა ეს ჩემი გაბუტული ძია ილიკო, თავისი პატარა ჩემოდანით.

ჩემი ნახვა ძალიან ესიამოვნა, პატარა კამფეტების პარკუჭანაც გადმომცა. მე ძალიან მომეწონა მისი სახე, ალერსიანი კილოთი ეთხოვე: "ძია, წამოდით სახლში, აბა აქ როგორ იქნებით, ან როგორ დაიძინებთ"?

არ ეიცი, რა მითხრა. წამოდგა. მომჭიდა ხელი და ერთად აველით კიბეზედ.

მოსაწონი კაცი იყო და ცოლიც ლამაზი შეირთო. ეს იყო თბილისიდან ახმადოვის ასული, სახელად ქეთევანი-ქეთო; მისი ნამდვილი ჩამომავლობა სწორედ არ ვიცი, მაგრამ ამ გვარის მატარებელი, ის სომხის ოჯახიდან უნდა ყოფილიყო, ან უფრო თათრისა.

პატარაობას ძალუა ქეთო მხოლოდ ერთხელა მყავს ნანახი, როდესაც თავისი ბავშვებით საზაფხულოდ კისისხევში იყო მოსული. ბუნდოვანად მაგონდება მისი ხორცშესხმული მალალი ტანი და შავგრემანი ეშხიანი სახე. რასაკვირველია, თავდახურული იყო.

ამ ახალგაზრდა ქალს ძალიან უძნელდებოდა თავისი ბავშვების დაკვება, რიცხვით მგონი ხუთნი იყვნენ. აჩქარებული ხასიათის მქონე მალე ჰკარგავდა მოთმინებას და უმიზეზოდ ანჩხლობდა. მისი მჭექარე ხმა ხშირად ეფინებოდა ჩვენ ეზოყურეს უწყვეულს ყოველგვარ ხმაურობას.

ეს ქალი დიდის ამბით იყო მოსული თავის ქმრის სოფელში. საკუთარი ჩასაყდომი ეზოში ჰქონდა გაჩერებული. ეს იყო მაშინდელი "ტარანტასი". გარდა ამისა საკუთარი მოსამსახურე ბიჭი, რომელიც ამ ქალბატონისაგან ბეერს ითმენდა, თბილისიდან ჰყავდა წამოყვანილი.

ჩვენები ყველა ამას სიჩუმეში ატარებდნენ და არაფერს ეუბნებოდნენ ამ იშვიათ სტუმარ ქალს. მეტი რა გზა ჰქონდათ.

ამ დროს აღარც მამა ჩემი იყო ცოცხალი და აღარც ძია დავითი. სახლის უფროსი ძია გაბო იყო და იმასთან ჰქონდა საქმე ძია ილიკოსა და მის ცოლშვილს.

ერთხელ თურმე, ეს უკვე თბილისში, საკერავის დროს ბალუა ქეთოს პირში ნემსი სჭერია. რაღაცაზედ აღელვებულს ვერ შეუმჩნევია, როგორ დაუსხლტა ეს ნემსი და მის ნაწლავებში დაბინავდა.

ნამდვილად არ ვიცი, თუ ეს იყო მიზეზი, მაგრამ იმან დიდხანს ვერ იცოცხლა და შეიღი შეილი ობლად, უდედოთ დასტოვა.

უკანასკნელი ბეჭუთა ბავშვი დათუშა ძიძის ანაბარა დარჩა, რომელმაც ვერ მოუარა, ხელიდან გაუვარდა, ბავშმა ქვაზედ დაჯარა ხერხემალი, ალბად ხეირნობის დროს მამა დავითის მიდამოებში, რადგან ძია ილიკო იქა ცხოვრობდა.

დათუშა სამუდამოდ დაზიანდა, დამახინჯდა. მის ნორჩ ხერხემალს ამძიმებდა დიდი კუზი. რასაკვირველია, ნერვიული, მახლობლებისათვის აუტანელი, მძიმე ხასიათი დაუდგა.

ძია ილიკომ მეორე ცოლი აღარ შეირთო, შვილებს დედინაცვალი აცდინა და რამდენადაც შესძლო, შვილები ფეხზედ დააყენა, ყველანი დროზედ შეიყვანა სასწავლებელში.

მათ შორის საყურადღებოა უფროსი ვაჟი ვანო, რომელმაც რეალური სასწავლებლის შემდეგ პეტერბურგის უმაღლესი სამხედრო სკოლა გაათავა. ეს იყო წარჩინებული არტილერიის მხედარი, თვალტანადი, როგორც ამბობდნენ მისი მნახველები: "სილამაზის ღმერთი".

ცოლად ჰყავდა ბებუთოვის ასული ლიზა. ლამაზი ქალი, კარგად აღზრდილი. ომი რომ დაიწყო და ვანოს ფრონტზედ ისტუმრებდა, მისცა პირობა თავის ეჭვიან ქმარს, რომ ვიდრე ომი არ გათავდებოდა და შენ მშვიდობით არ დაბრუნდები, მე სახლიდან გარეთ არ გავალ, მხოლოდ დედასთან წავალ სანახავადო". ამ ახალგაზრდა ქალმა მიცემული სიტყვა შეასრულა და წლების განმავლობაში მხოლოდ ფრონტიდან მოსასვლელ ქმრის წერილების ლოდინში ატარებდა.

ომის გათავებისას ვანო რომ დაბრუნდა, ამ დროს საქართველო იყო დიდ მღელვარებაში, იგი გონებას იკრებდა, შეშობდა, ასი წლის ღრმა ძილის შემდეგ უცებ არ წამოეწია და თავბრუ არ დაჰხვეოდა.

ისტორიის აუცილებლობამ გეიძლება 1918 წლის 26 მაისი. როდესაც ჩვენს თავს დავეკუთნეთ და საქართველოს დამოუკიდე-

ბლობა გამოცხადდა, - დაიწყო მუშაობა, ზრუნვა ჯარის შესაქმნელად, ჯერ კიდევ მიმართეს ძველ მხედრებს, იმათი გამოცდილება საჭიროდ დაინახეს. ვანოს დაავალეს არტილერიის ხელმძღვანელობა, მაგრამ დიდხანს იქ ვერ დარჩა, რადგან მისი ძველი სკოლის სამხედრო დისციპლინა ახალი თაობისათვის უადგილო აღმოჩნდა. თვითონ დასტოვა სამსახური და წამოვიდა.

გარდა ამისა ჩვენი სოციალისტური მთავრობაც არა ცდილობდა მათ შენახვას, მას ერჩივნა ძველი მხედრობა, მეტადრე თავად-აზნაურთა წრიდან, განზედ პყოლოდა, ამიტომ დაარსა პარტიის დამცველი გვარდია.

აქ ემიგრაციაში ჯიბო ყანჩელი მეუბნებოდა: "აბა, რა ჩემი საქმე იყო გვარდიაში ყოფნა, მაგრამ არტილერიას თავი დავანებე ვანო ჩიჯავაძის გამო, არ გეწყინოთ, ვიცი, რომ თქვენი ნათესავია, აღარ შემეძლო მისი ყოველდღიური მოთხოვნილება ამეტანა, სიტყვა ვერ შევუბრუნე და წამოვედი. გვარდიაში ჩავეწერე"-ო

ურიგო კი არ იქნებოდა, ახალთაობას დროებით მაინც დაეთმო "პრაბიჭობა" და ჩვენი ქვეყნისათვის მეტი სარგებლობა მოეტანა.

მაშასადამე 21 წ. ბოლშევიკების შემოსვლისას ვანო უსამსახუროდ იყო.

რადგან თბილისის დატოვება მოხდა თებერვლის 24-ს საღამოს 11 საათზე, ამიტომ ადგილობრივმა მოსახლეობამ მხოლოდ დილით გაიგო, როდესაც თავს წაადგა რუსის ჯარი. ხალხი თვალებს არ უჯერებდა, გაოცებული იყო.

მოულოდნელი იყო ყველასათვის თბილისის დატოვება. აი რა მიამბო ვანომ: "დილა ადრიანად გავიგონე რუსული ჯარის ჩვეულებრივი სტვენით შესვლა დამარცხებულ ადგილას. განცვიფრებული დავრჩი. აველელდი და საშინელებას მოველოდი.

კარგა რომ გათენდა, კარები ვიღაცამ დამიკაკუნა. ჩემ წინ იდგა რუსის ჯარის კაცი, გადმომცა ქაღალდი, სამხედრო უწყებაში მიბარებდნენ. დაიწყო ლიზამ ტირილი. მეეჭვებოდა, ნუ წახვალ, ხომ იცი იქიდან ცოცხალს არ გამოვიშვებენო.

ჩავიცვი და წავედი. რომ მივედი, დამხვდა ჩემი ნაცნობი, ექიმი ორახელაშვილი, რომელიც ომის დროს ჩემ ნაწილში მყვანდა, ჩემი ხელქვეითი. შემომთავაზა საპატიო ადგილი, ალბად იფიქრა, რადგან მენშევიკებმა არ გამანებივრეს, როგორც ბევრი სხვა ძველი მხედარი, ბოლშევიკები სამოთხეში მამუშავებდნენ და რასაკვირველია, მის წინადადებას მივილებდი.

მე ციცი უარი ეუთხარი და საშინლად შეურაცხყოფილმა გამოვიკეტე კარები, დამცირებულად ვიგრძენი თავი, როგორ გამიბედა ამ სამშობლოს მოღალატემ და თანამშრომლობა შემომთავაზა".

მართლა და ძალიან იყო ვანო ამ წინადადებით აღელვებული, რადგან სალამსაც არ აძლევდა ორახელაშვილს. ერთხელ მე ვიყავი ამისი მოწმე.

ერთ დღეს, როდესაც მე და ვანო ქუჩაში მოვდიოდით, უცებ მთავრობის ოფიციალურმა ავტომობილმა ჩამოგვიქროლა. მაშინ კერძო მანქანა არავისა ჰქონდა, ამიტომ მივაქციე ყურადღება, რომ შიგ მჯდომმა ვანოზედ გააჩერა თვალები, ფიქრობდა, იმისი სალამი არ დაიგვიანებდა. მაგრამ ვანომ თავი იქით მიაბრუნა და წაიბუტბუტა "ელოდოს, რომ მე მაგას თავი დაუკრა და მიესალმოო".

1937 წელს, იმ "სისხლის წვიმების დღეს", ეს მშვენიერი, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი სხვა ქართველებთან ერთად დაიღუპა, როდესაც გამხეცებული სტალინი-ჯუღაშვილი საქართველოს რკინის ცოცხით ჰგვიდა, ასუფთავებდა და იმდენად, რომ თავისი თანამშრომლებიც კი არ დაინდო და ამ ცოცხს გაატანა.

ვანომ შვილი ვერ დასტოვა. ამ იშვიათ მოყვარულ ცოლ-ქმარს სჩრდილავდა უშვილობა.

დანარჩენებსაც გიამბობ ჩემო თეო, რადგან ეს ბიძაშვილები მე ყველანი მიყვარდნენ, მათი მოგონება ჩემთვის ძვირფასია.

ვაჟებიდან სოლიკო, გარეგნობით უფერული, მაგრამ ძალიან ხუმარა, სწავლით თავი არ დაიღალა, თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელი მალე მიატოვა და სოფელში დაბრუნდა. ნეტა ვისი ან რის იმედით. ცოლად ჰყავდა სომხის ქალი. ესენიც უშვილონი იყვნენ. ბოლო დრომდე ის ყოფილა ახალგაზრდა ჩოჯავაძეების მუდმივი შემკრები და სადღეგრძელოების მთქმელი. ალბათ მეც არ დამივიწყებდა. მისი ძმა კოლა, ჩემი დიდი ერთგული და მოყვარული, არც ამან ისწავლა, გარეგნობით არც ეს იყო დედ–მამის მსგავსი. ერთ დროს სპარსეთში იყო. იქიდან ჩამოსული ველარ ვიცანი. თითქოს მერიდებოდა კიდეც. სუსტი ხასიათის მქონე ის ადვილად განიცდიდა სხვისა გავლენას. ახლად შეთვისებული ჰქონდა ზოგიერთი თეორია, სიტყვა უჭრიდა, ამით ხშირად სარგებლობდა და თავის აზრს კარგად გადაგიშლიდა. კარგი კეთილი ბუნება ჰქონდა, მოყვარული, ყველასათვის მისაღები იყო.

გავიდა კარგა ხანი, მე ის აღარ მინახავს. ვერც ის გავიგე, სპარსეთში გაბრუნდა თუ თბილისში დარჩა, ან სპარსეთში რა საშუშაო ჰქონდა.

ხომ იცი, თეო, რომ ბოლშევიკების შემოსვლისას მე ჩემიანებს თითქმის ველარ ვხედავდი, რადგან პოლიტიკურად ვიყავი ზოგისათვის არასასურველი. ზოგს კი მე თვითონ აუხვიე გზა. ამ ბიძაშვილებისა მე აღარაფერი გამიგია. მხოლოდ ერთ დღეს წავიკითხე კომუნისტურ გაზეთში, სხვა ხომ არ იყო, რომ კოლა გარდაიცვალა და დიდი ქებით იყო მოხსენებული როგორც კარგი დამსახურებული სინდიკალისტი. რასაკვირველია ვანოს სახლის კარები მისთვის დახშობილი ყოფილა დიდი ხნიდან. მე ეს შემდეგ გავიგე. მაშინ მივხვდი, თუ რად დამშორდა და ისე, რომ მისი კვალიც ვერა ვნახე.

რამდენადაც ვიცი ცოლი არ შეურთავს, დათუშაზედ ლაპარაკიც მეტია. ამნაირად ძია ილიკოს ვაჟებმა არც ერთმა მემკვიდრე, გვარის მატარებელი ვერ დასტოვეს. ქალებში უფროსი იყო ნატაშა,

დიდი მეცნიერ. ცხოვრება სიზმარში გაატარა, შავგრემანი, მოხდენილი ტანის მქონე და კარგი მელეკურე ბევრს მოსწონდა, მაგრამ მედიდური ბუნების პატრონმა ყველანი უარით გაისტუმრა.

ვარსკვლავების მოტრფიალე საბოლოოდ კისისხევს და მის სინამდვილეს შერჩა. როდესაც მისი მამა, ბუტია ძია ილიკო, ხანში შესული პენსიაზედ გავიდა, თბილისი დასტოვა და შვილებით სოფელში დაბინავდა. მაშინ როდესაც ჩვენი სახლკარი აღარ ინახებოდა, უკანასკნელი მზრუნველი თვალიც აღარ დასტრიალებდა, ძია გაბო აღარ იყო, მამულ-დედული ოთხად იყო გაყოფილი, ყველა ცალკე გავიდა, ასე რომ იქაურობა ადამიანს მოაგონებდა - "დანგრეულ ბუდეს". სახლს ერთი კიბის მაგივრად სამი, ოთხი კიბე ჰქონდა მიდგმული.

ნატაშას თბილისიდან წამოღებული ჰქონდა თავისი ძველი სურათი, სადაც თეთრ საზეიმო, გულამოღებულ კაბაშია გადაღებული. ეს ახალგაზრდა ქალი თექვსმეტი წლისა, მშობლებმა რომ პირველად წაიყვანეს "თეთრ ბალი"-ს საღამოზედ.

ამის მოგონება და საერთოდ თბილისის გაშლილი ცხოვრება მას დიდხანს ასაზრდოებდა. დიდი მადის პატრონს ძალიან უყვარდა ჩაცმა-დახურვა, უფრო კი მორთვა, მოკაზმულობა ხშირად უადგილოდაც.

თეთრ არშიის კაბით, ყელზედ რქროს ჯაჭვ მოგდებული ჩვენ უკვე ეკლიან ეზოში რომ სეირნობდა, ბევრისათვის გაუგებარი იყო, ის თავის ჭიას ახარებდა, ვის რას უშლიდა. ვინ იცის იმ დროს რაზედ ოცნებობდა ჩვენი ნატაშა. ალბათ თავის მიერ არჩეულ მხედარზედ, რომელიც თუ ცხენით არა, უსათუოდ ოთხცხენ შებმულ დიდ ეტლით მაინც ჩვენ ეზოს კარებს მოადგებოდა.

ნიჭიერი კალამი ნატაშას მოლიერის ერთერთ სალონში მოათავსებდა. ამისი უნარი სამწუხაროდ მე არა მაქვს.

აფსუსია, რომ იმან ასე უფერულად გაატარა თავისი ცხოვრება და ბუნებით მიცემული ლამაზი დრამატიული სოპრანო ვერ გამოიყენა, დიდი მოცულობის ხმა ესეც ადრე დაკარგა და იმდენად, რომ ლაპარაკსაც ველარ ახერხებდა. როგორც გავიგე, დიდხანს უცოცხლია ამ ჩვენ კეკლუც ნატაშას.

მეორე ქალი დარიკო, ამ ოჯახში ერთად ერთი ღიაფერთმიანი, მისი მოლურჯო, ჭრელი თვალები ადამიანს თაფლითაც დაატკბობდა, მაგრამ შხამსაც ადვილად აგემებდა.

ბუნებით მხიარული, მოსწრებული სიტყვის პატრონი და გიტარაზედ სიმღერის კარგი მთქმელი, სასიამოვნო და მოსაწონი იყო, მაგრამ თუ უბრალოზედ აპილპილდებოდა და ეს იყო ხშირად, მან საზღვარი არ იცოდა, ისევე როგორც მისმა დედა ქეთომ. მაშინ ყველასათვის გაუგებარი და უსიამოვნო ხდებოდა.

ერთ ზაფხულს, როდესაც დატოვებული ჰყავდა თავისი ... ნიშნული, ტიტო ყარალაშვილი, არ ვიცი, რა მიზეზით, ცუდს გუნებაზედ იყო, ამღერეული სჩანდა, კისისხევში დარჩენა და იქ დაძმარება მას აღარ უნდოდა. გარდაწყვეტა ბიძასთან წასვლა, რომე-

ლიც იყო მისი დედის ძმა ახმადოვი, ციმბირში დიდი ქონების პატრონი. მაგრამ, რანაირად. გამოსაყალს ეძებდა და საშინლად ნერვოულობდა.

სწორედ იმ ხანებში იყო, რომ ერთ დღეს მაკრატელს სტაცა ხელი და თავისი ლამაზი თმები ისე უშნოდ მიიკრიჭ-მოიკრიჭა, რომ ნაქარწარს დაემსგავსა. ჩვენ სიცილი აგვიტყდა. ამ საქმიანობის შემდეგ ეს ჩვენი სოფლის დალაქი დამშვიდდა. აი ამ არეულ გუნებაზედ იყო ეს ქალი მთელი ზაფხული, არსად არ დადიოდა, არც სიამოვნებას ეძებდა. ერთი სიტყვით თავისიანებისათვისაც შემწუხებელი იყო დარიკოს გუნებ განწყობილება. საბოლოოდ დარიკომ გამოსავალი იპოვნა და ძალიან იოლად: სახლში ნაგდები ძველი დეპეშა გამოიყენა, ზოგი რამ წაშალა, ახალი მიაწერა და ეს თავის მამას უჩვენა როგორც ბიძისაგან ციმბირიდან გამოგზავნილი დაპატიჟება და ამასთან ერთად საგზაოდ ათი თუმანიც.

ეს თანხა იმან სესხად გამოართვა ჩემ დედას ნათესავს, ტიტო რჩეულიშვილს, რომელიც იმ ჟამად ჩვენთან ხშირად დაიარებოდა და ცდილობდა, დედას სიძე გამხდარიყო, მეკი არა მკითხავდა ის დალოცვილი.

ამ გარემოებით ისარგებლა დარიკომ და ტიტოს ფული გამოართვა. დიდი გამბედავი იყო ეს ჩემი ბიძაშვილი.

ძია ილიკო მაშინ უკვე დაბერებული იყო და თვალთსინათლეც ძალიანა ჰქონდა მისუსტებული, თორემ თუ კარგად დააკვირდებოდა ამ "ბიძის მიერ გამოგზავნილ" დეპეშას, ადვილად დაინახავდა სიყალბეს.

დაბრკოლება აღარა ჰქონდა და მალე გაუდგა დარიკო ბედის საძებნელად ამ ციმბირის შორეულ გზას, ალბად იმ ფიქრით, რომ თავის ბიძის ოჯახში ის არ დაზარალდებოდა და შეიძლება იქ მდიდარი კაციც შეხვედროდა...

მატარებელშივე შეხვდა თავის საბედოს, ახლად გაცნობილი მზედარი კაპროდე, რომელიც ციმბირში მსახურობდა, მიჰგვარა თავის ბიძას სრულიად მოულოდნელად და წარუდგინა როგორც თავისი დანიშნული, საქმრო.

არ ვიცი, როგორ მიიღო ბიძამ თავისი დისწული, მისთვის თითქმის უცნობი, რადგან ეს ახმადოვი დიდი ხნიდან მოწყვეტილი იყო თავისიანებს. ან იმისმა ცოლმა, რუსის ქალმა რა თვალით შეხედა ამ ახალგაზრდა ქალს, ეს ყველაფერი ჩემთვის უცნობია.

დარიკომ იქ დაიწერა ჯვარი და კაპროდეს პატარა ბინაზედ დაბინავდნენ. მალე აღმოჩნდა, რომ მოსალოდნელი ბედნიერება მან ვერ მიიღო. წლების განმავლობაში წერილებს აგვიანებდა ისე, რომ თავისიანებმაც მისი ამბავი კარგად არ იცოდნენ.

დასხლოვებით ათიოდე წლის შემდეგ ენახე კისისხევში ქმართან დაშორებული ოთხი მცირეწლოვანი შვილით, თავისიანებს რომ დაუბრუნდა. სამწუხაროდ მამა ცოცხალი ვეღარა ნახა. ლაპარაკობდა, რომ იმისმა ქმარმა სმა დაიწყო, მთელ სალამოებს და ხშირად ღამეებსაც ოჯახის გარეშე ატარებდა. "შე ბევრი მოვითმინე

შვილების გამო, მაგრამ ბოლოს იძულებული ვიყავი დავშორებოდი“–ო.

ზაფხული ერთად გავატარეთ, მაგრამ იქ ყოფნა გამიშხამდა. მე და დედა ხშირად ოთახიდან არ გამოვდიოდით, რომ დარიკოს რისხვა არ მოგვესმინა. ისე იყო საწყალი აშლილი, რომ ყველა ერიდებოდა. ვის რას დასწამებდა, ყველას ეჭვის თვალით ზომავდა. ცუდს მდგომარეობაში ენახე ის საცოდავი.

ამის შემდეგ მე დარიკო აღარ მინახავს, როგორ ცხოვრობდა, ან სად, ამბაირად დაკარგეთ ერთმანეთი, ერთი ოჯახის შვილებმა არ ვიცით, ვინ დარჩა ცოცხალი. მისი შვილების ამბავიც ჩემამდე აღარ მოდის, ასეა ცხოვრების უცნაურობა.

ყველაზედ უმცროსი ქალი ძია ილიკოსი იყო ლიზა. თავისი ჟუჟუნა შავი თვალებით დებზედ გარეგნობით ნაკლები არ იყო, ამასთან დადებითი დინჯი ხასიათის მქონე იმათზედ უფროსი მოსჩანდა. კარგი მეოჯახე დადგა, სახლის ყოველგვარი საქმიანობა მისთვის გასართობი იყო. დაულალავად ტრიალებდა ეს ახალგაზრდა ქალი, რომლის სახეს მუდმივი ღიმილი ეთამაშებოდა. ქმარიც შესაფერისი შეეხვედა, კაპიტანი კოხი. როგორც გარეგნობით ისე შინაარსით ეს დარბაისელი ადამიანი ჩვენებისათვის სასურველი სიძე აღმოჩნდა. ის რომ კისისხევს ეწვია, უფროსმა ბიძაშვილმა შაქრომ სადილი გაუმართა და მამაპაპეული ხმალი უფეშქაშა.

ეხლაც თვალწინ მიდგა ეს მაღალი, წარმოსადეგი მხედარი, რა აღტაცებით დაჰყურებდა ამ ისტორიულ საგანს. მხურვალედ გადაეხვია შაქროს და დიდი მადლობა უთხრა.

ვინ იცის ვის ხელში გადავიდა ეს ნაომარი ხმალი, რადგან მისი ახალი პატრონი კოხი 1914 წლის ომში უკვალოდ დაიკარგა. ან შემდეგ სად ეგდო ეს წარსულის მუნჯი მოწმე. ან იქნება აღარსად არის მისი კვალი. ცეცხლში გამდნარი ნაცრად არის ქცეული...

ლიზას ერთი ქალი ჰყავდა, სახელად ქეთო, ბებოს სეხნია. ვიცი რომ გათხოვილია, მაგრამ ვიზედ არ ვიცი, და თბილისში ცხოვრობს. თვითონ ლიზა კი გარდაცვლილა.

ამნაირად გიამბე, ჩემო თეო, მთელი ჩემი ბიძა-ძალუებისა და მათი შვილების აყარგი.

ეხლა კი მინდა გაგაცნო სოლომონის მეოთხე შვილი, ლონგო, ეს მამაჩემი, მისი ბავშვობა, დავაჟკაცება, ცოლის შერთვა. რასაკვირველია, ამაზედ უფრო შენს ყურადღებას დიდხანს გავაჩერებ.

ჩემი მშობლები

სოლომონის მეოთხე ვაჟიშვილი და ყველაზედ უმცროსი ლონგო, იყო მამაჩემი, მხოლოდ შენი პაპა, ჩემო თეო.

მისი ბავშვობიდან ვიცი მხოლოდ ის, რომ ძალიან დამოუკიდებელი ხასიათი ჰქონია. ცოტა კერპი და ჯიუტიც.

როგორც მისი ძმები ისიც თბილისის სემინარიაში შეუყვანიათ, მაგრამ იქ დიდხანს არ დაუცდია, ერთ დღეს ფანჯრიდან გა-

დამხტარა და კისისხვეში ამოუყვია თავი... "აბა, რუსული ენით ჩემს სულს როგორ ავიყროლებდიო".

როგორც მთელი მისი ცხოვრებიდანა სჩანს, მამა დიდი წინააღმდეგი ყოფილა საქართველოში რუსეთის ბატონობისა და რაც ამასთან იყო დაკავშირებული, ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გავლენისა. როგორც ბევრ სხვა ახალგაზრდას მაშინ, მამასაც კიდევ უცემდა გულს და იმედებს ულვიძებდა ალექსანდრე ბატონიშვილის მოგონება და სიყვარული.

ამას ისიც ემატებოდა, რომ ის ხშირი სტუმარი იყო ფშაველში თავისი დისა. ლიზა ბევრ ძველ ამბებს ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ თავის ქმრის, ბაბადინის ოჯახში შენახულს, ლონგოსაც გაუშიარებდა.

იქიდან თურმე მამა ყოველთვის აღფრთოვანებული ბრუნდებოდა. ოჯახში ამ საგანზედ ლაპარაკს ხმამაღლა ერიდებოდნენ, რადგან ორი უფროსი ძმა დავითი და ილიკო რუსულ დაწესებულებაში მსახურობდნენ.

ამ ოთხ ძმათა შორის მუდმივი ბინადრობა კისისხვეში ჰქონდათ ძია გაბოს და მამაჩემს, მაშასადამე მამულებს ესინი უვლიდნენ. ძია დავითი და ძია ილიკო, თავიანთი ცოლშვილით მხოლოდ ზაფხულობით მოდიოდნენ.

ძია გაბო საგარეო საქმეების მეთვალყურე, სადაო მიწების გამო სასამართლოში ის დადიოდა, მჭერმეტყველი იყო. თითქმის ყოველთვის სჭრიდა მისი სიტყვა. აკი ამბობდნენ, "გაბოს ქისაში გველის ენა უდევსო". ამის გარდა მას კარგად ჰქონდა შესწავლილი კანონებიც.

მამაჩემი შინაურ საქმეებს განაგებდა, უვლიდა მამულს, პირდაპირ დაკავშირებული იყო მეზვრეებთან, მეველესთან, ნაკმეებთან და სხვა, მთელი ეს ხალხი ესაჭიროებოდა ჩვენ ოჯახს, რომ იგი კარგად გასძღოლოდა ოთხი ძმის მამულ-დედულს.

ამათი მეთვალყურე მამაჩემი იყო და დიდ შელავათს აძლევდა მუშაობის დროს. მაგალითად მეზვრეებს დაბარვასა და გათოხნაში საკუთარ მუშახელს მიაშველებდა, თუმცა ესენი მოვალენი იყვნენ ზვარი დროზედ და კარგად ყოფილიყო მოვლილი, რადგან შემოსავლიდან ნახევარი მათი იყო, მეორე ნახევარი ბატონისა.

მეველე, რომელიც ტყეს უვლიდა და საძოვარ მინდვრებს, იმას ჯამაგირი ეძლეოდა, მხოლოდ რამდენი, არ ვიცი. გარდა ამისა შეშით და ფიჩხით სარგებლობდა, რაც შეეხება მინდვრებს, საბალახო წანახედს, იმათ არავინ შეედავებოდა, ეს მისი სამფლობელო იყო. არავინ იცოდა, მართლა გადმორეკა ვინმემ კანონის გარეშე და საქონელი ასარგებლა მუქთად?

ხახნავ სათესი მიწებიდან ჩვენ მხოლოდ ნაოთხალს ვიღებდით. მამასათვის საზრუნავი იყო მეცხვარეც, რომელსაც წლიურად ეძლეოდა მარილი, გარდა ამისა მატყლი წინდებისათვის, რამოდენიმე წყვილი ქალამანიც. რასაკვირველია, ბატკნის მწვადები. ეს იმის

სვინდისზედ იყო დამოკიდებული, რამდენს მოსტაცებდა მგელი, ან რამდენი გადავარდებოდა კლდიდან...

ამის ანგარიშს, რასაკვირველია, მეცხვარეს ვერ მოსთხოვდნენ. მამას თვალი უნდა სჭეროდა აგრეთვე წისქვილზედ. მეწისქვილეს იქვე მოზრდილი მიწა ჰქონდა სიმინდის მოსაყვანად და ბოსტანისათვის. მას ფქვილის შემოსავლიდან ნაწილი ეძლეოდა, მხოლოდ რამდენი, ეს მე არ ვიცი.

რაც შეეხება ნაყმევებს, სულ ბოლოხანებში მათ აღარაფერს ართმევდნენ ჩვენები, თითქოს კიდეც ერიდებოდათ "დათუკაშვილების" შეწუხება. ეს სრულიად ბუნებრივი იყო, რომ შეგნებული ბატონი 1864 წლის შემდეგ ასე მოქცეულიყო, თუმცა მაშინ ამ აზრს ბევრი არ იზიარებდა.

რადგან კარის ვენახს მეზვერე არა ჰყავდა, დაქირავებულ მუშას თვითონ ხელმძღვანელობდა. ადრე ათავებინებდა მუშაობას, შუა დღისას თურმე აივნიდან გადასძახებდა: "გეყოფათ, დაისვენეთ, ხომ ჰხედავთ მზეს, საით არის გადახრილი"-ო, მაშინ როდესაც ბარისა თუ თოხის ტრიალი კიდევ შეიძლებოდა. ამასთან ერთად ნოყიერი სადილით უმასპინძლდებოდა, საღამოთი ხომ სამხრის შემდეგ ადრე ანთაისუფლებდა.

ამასთან თავმდაბალი, სახლში მოჰყავდა გლეხები, რაც იმ დროს თვითონ ჩვენს ოჯახშიაც მიუღებლად იყო მიჩნეული და ამის გამო თავისიანებთანაც ბევრი უსიამოვნება ჰქონდა საწყალ მამაჩემს.

ადგილობრივი გლეხკაცობა მას ძალიან აფასებდა და უყვარდათ კიდეც. მამულების მოვლაში დრო ისე გაეპარა, რომ დროზედ ცოლიც ვერ შეირთო.

დიდხანს აიცდინა ცოლის შერთვა, თუმცა ბევრი კარგი ოჯახიდან ეძლეოდა მოსაწონი ახალგაზრდა ქალი, მაგრამ მამამ არ მოინდომა.

ამ გარემოებით მისი დედა კეკე ძალიან იყო შეწუხებული, სწუხდა ამ უმცროსი შვილის გამო, რომ ის დასახლკარებული არა ჰყავდა. სიკვდილის წინ კიდეც გაუზიარა და შეევედრა თავის ლონგოს: "უცოლშვილოდ ნუ დარჩები, ჩემო საყვარელო შვილო, საქიოს დამშვიდებული მამყოფეო".

დედის ანდერძი შეასრულა და წლის თავზედ ცოლი შეირთო. - ეს იყო დედაჩემი ვერა ევგენ ტუსიშვილის ასული.

დედას ვინაობა

ტუსიშვილის საგვარეულო სოფელ ახატანში ბატონობდა.[1]

ერთ მათგანს მგალობლიშვილის ქალი შეურთავს და თავის ცოლის მამულში, სოფელ ახმეტაში დასახლებულა.

[1] არაგვის ერისთავები (დუშეთის მაზრა).

ამ მგალობლიშვილის ქალთან პყოლია ერთი ვაჟი, სახელად ევგენი.

ტუსიშვილი დაქვრივებულა და მეორე ცოლი შეურთავს, ისიც ქვრივი ყოფილა და თან მოუყვანია პირველ ქმართან ნაყოლი ქალი.

ამნაირად ევგენი დედინაცვლის ხელში გაიზარდა და დავაჟკაცდა. ევგენი შესანდობად მშვენიერი ყოფილა, კარგი მოყირითე. ადგილობრივად ხშირად უნახავთ ცხენოსანთა თანხლებით მისი მოხდენილი ქროლვა.

პატარაობას რომ დამინახავდა ერთი ყოფილი მხედარი მაჭავარიანი, მაშინათვე პაპაჩემ ევგენ ტუსიშვილზედ დამიწყებდა ლაპარაკს და მიამბობდა: "ის რომ რახტიანი ცხენით მიქროდა და უკან მას თან ახლდა თორმეტი ახალგაზრდა ცხენოსანი, ამის ნახვას არაფერი სჯობდა. ეხლაც თვალწინ მიდგა მისი მშვენიერი გარეგნობა. მეტისმეტად ლამაზი იყოო".

ეს შერჩა ამ მთლად ახალგაზრდა ყმაწვილს, უდარდელს და ნებიერს. თავისი მხლებლებით ერთხელ კონდოლსაც ჩაუქროლა. შემთხვევით თვალი მოჰკრა ეზოში ევგენიმ რჩეულიშვილის ასულს, ლერწამივით ატყლორცინულ ახალგაზრდა, ლამაზ ქალს. ეს იყო და ეს. იქაურობას აღარც მოეშვა და ლიზა ცოლად შეირთო, რომელსაც თურმე ოთხი სხვილი შავი ნაწნავი წელზედ სცემდა. ასე ამბობდნენ მნახველები; გარდა ამისა ხელსაქმის ისეთი ოსტატი ყოფილა, რომ "ცაში გაფრენილ ჩიტის სახეს ლიზა ზედმიწევნით ტილოზედ გადაიღებსო".

ამათ, ე.ი. ლიზა და ევგენის წლის თავზედ ერთი ქალი ეყოლათ, რომელსაც "ვერა" უწოდეს. შემდეგ ამ რუსულ სახელს "ჩკაც" დაემატა. ეს სახელი შერჩა დედა-ჩემს, რომელმაც რუსული ერთი სიტყვაც არ იცოდა, დარჩა და დარჩა "ვერიჭკად". მამა ჩემს კი კარგი საქმე მოუვიდა. თუ ერთის მხრივ დედაჩემი რუსული ენით არ შეაწუხებდა, მეორეს მხრივ მისი სახელი ყოველთვის რუსეთის გავლენას აგრძნობინებდა.

ახლად იყო დაბადებული დედაჩემი, რომ სრულიად მოულოდნელად ევგენი, ოცდაორი წლის ყმაწვილი, ჯანღონით სავსე, გარდაიცვალა და ისე, რომ მისი ავადმყოფობაც არავის გაუგია. დიდი გაოცება გამოიწვია ამ ამბავმა. დაიწყო მითქმა-მოთქმა, საბოლოოდ აშკარად ლაპარაკობდნენ: "დედინაცვალმა მოწამლა ევგენი, ამნაირად ახმეტის მამულების მემკვიდრეობაში მის ქალს, პირველ ქმართან ნაყოლს, მოქიშპე მოაშორაო".

ამ უბედურების შემდეგ ლიზას ძალიან უმძიმდა იქ ყოფნა, მით უმეტეს, რომ ევგენის მამა აღარ იყო. ერთხელ თურმე, როდესაც პატარა ვერა ძიძას ეჭირა ხელში, ვიღაც ბოროტ არსებას ჩაურტყამს თავში ამ ბავშისათვის და თან დაუწყეველია: "არ გაღირსოს ღმერთმა გაზრდაო".

ამის შემდეგ ხომ ლიზა მალე გამოეთხოვა ქმრის ოჯახს ევგენის დედინაცვლიანად და თავის ექვსი კვირის ბავშვით კონდოლში

თავისიანებთან დაბრუნდა, სადაც მისი დედა ნანა და ძმა მას სიყვარულს არ დააკლებდნენ. ამ დროს მისი ძმა სანდრო ჯერ კიდევ უცოლო იყო.

აი აქ იზრდებოდა დედაჩემი საყვარელი და ყველას ნებიერი. ვერას რომ ჰკითხავდნენ, ვინა ხარ, ან საიდან მოსდიხარო, მისი პასუხი იყო მოკლე და სწრაფი: "მე სამი სოფლის კეკნა ვარო" და სხვაპასხუპით ჩამოსთვლიდა კიდეც ამ სოფლებს "ახატანი, ახმეტა და ახატელი"ო.

ეს ბავშვი მართალს ამბობდა, რადგან ის იყო მემკვიდრე ახატანში ტუსიშვილების მხრივ, ახმეტასა და ახატელში კი მგალობლიშვილების მხრივ. როგორც იცი, თეო, ეგენი დედით მგალობლიშვილი იყო.

ამ მგალობლიშვილებს ვარდისუბნის ტყის გამო ხაზინასთან დავა ჰქონდათ. საბოლოოდ მოიგეს, ტყე მათ ხელში გადაეიდა. ასე რომ ვერა ამ ტყის დიდი მონაწილე იყო, შემდეგში შეეძლო სამი სოფლისათვის მეოთხე სოფელი "ვარდისუბანიც" მიემატებინა და ეთქვა: "ოთხი სოფლის კეკნა ვარო".

დედისერთა, ნებიერი, რომელსაც ლიზა ისე დაჰკანკალებდა, რომ სასწავლებელშიაც არ შეიყვანა, ეს ბავშვი ვერაის ანდო და მთლად გაუნათლებელი დასტოვა. მაგრამ კარგი მამულების პატრონი მხოლოდ მამით ობოლი, იგი მეტისმეტად ადრე გაათხოვა, დაბინავა.

ბევრი მთხოვნელი ჰყავდა ამ ახმეტის ქალბატონს, მაგრამ საბოლოოდ მისიანები, ე.ი. დედა, ბებო ნანა და ბიძა სანდრო შეჩერდნენ იქვე მეზობლად მცხოვრებ ლონგო ჩიჯავაძეზედ, რომლის ოჯახს კარგი სახელი და პატივი ჰქონდა მოხვეჭილი. იქ ბევრი განათლებული და შეგნებული პიროვნება ეგულებოდათ, ამნაირად ამ ახალგაზრდა ვერას და მის ქონებას კარგი პატრონი ეყოლებოდა.

მამაჩემი იმ დროს ოცდაჩვიდმეტი წლის კაცი და დედა კი თოთხმეტი წლის ბავშვი სრულიად შეუფერებელნი იყვნენ, მაგრამ მაშინ ხომ ქალს არაფერი ეკითხებოდა. ამიტომ ხშირი იყო ამგვარი უსამართლობა და ულმერთობა.

დედა, რომელმაც არ იცოდა, რა არის გათხოვება, ამ ამბავს ბავშვური მეამიტობით შეპხვდა, ბურანში იგრძნო თავი. მიამბობდა: "როდესაც სამეფო თაეისი ძმებით მოვიდა და პირისსანახავი, მშვენიერი ოქროს საათი მომიტანა, საშინლად აველელდი, სიცივემ ამიტანა და ისე ვკანკალებდი, რომ დედამ ქირმანიშალში გამახვიაო".

სწორზედ, ე.ი. კვირის თავზედ ჯვარი დასწერეს; იმ დღეს დედა გართული ყოფილა სამკაულებით. პირველად დადგეს კულულებით შემკულ თავზედ ლამაზი, მარგალიტებით მოჭედილი თეთრი ყანჩი და თუ ამას კიდევ დამატებოდა ეკლესიაში ოქროსტოტებიანი გვირგვინი, ადვილად წარმოიდგენს ადამიანი ვერას აღტაცებას და სიამოვნებას.

წინა დღით ამ პატარძლის ხელით მზითვეის ერთერთ სკივრში დაბინავებული იყო მისი დედოფლები და მათი ნაკუწები,

ასე დაბარგული მისულა კისისხევში. თან მისდევდა ძველი მისი გამდელიც. რას ფიქრობდა იმ დროს ეს უმანკო არსება, არ ვიცი, მაგრამ კარგად ჰქონდა აღბეჭდილი დედის უკანასკნელი დარიგება და სიტყვები: "რაც უნდა გთხოვოს შენმა ქმარმა, ყველაფერი უნდა შეუსრულო"-ო.

თვითონ ქორწილის მსვლელობა ამ ჟამად დავიწყებული მაქვს, მაგრამ იყო დრო, ჩემო თეო, როდესაც დედას ქორწილს დაწვრილებით ყველას ვუამბობდი, როგორც ნამდვილი დამსწრე, რადგან სახლში ხშირად იგონებდნენ ამ წარსულს, ვინ როგორ იცეკვა, ან ვინ გაიმარჯვა ჯირითში და ჩემს ყურებს ხომ არაფერი გამორჩებოდა.

რამდენ ხანს აკუნტრუშა ეს თოჯინები თუ დედოფლები ამ ჩვენმა "სამი სოფლის კეკუამ", არ ვიცი. მხოლოდ წლის თავზედ დედას შეეძინა პირველი შვილი, რომელმაც დასჩრდილა დედოფლების არსებობაც კი და მათ სანაგვეში გაათავეს თავიანთი ყოფნა, რადგან ისინი ეხლა ცოცხალმა არსებამ შესცვალა, მისი სახელი იყო ირაკლი. დიდი ზეიმის გადახდით იყო აღნიშნული ეს მოვლენა, პირველი ვაჟიშვილის ყოლა.

ქმრის ნებიერი, დედა საბოლოოდ უმადური არ იყო თავის ბედისა, თითქოს ბედნიერადაც გრძნობდა თავსა.

დედას გარეგნობა შენ ნანახი გაქვს, ჩემო თეო, მაგრამ მინდა იცოდე, როგორი იყო ის ახალგაზრდობაში. დარჩენილია მისი და მამას სურათი. იქ დედა სჩანს ცუგრუმელა, კეკლუცი და სანდომიანი, ლამაზს ვერ იტყვი.

სამწუხაროდ იმ ძველ სურათზედ არა სჩანს მისი სახის ღირსება. მაგალითად მისი მომწვანო ფერის თვალები, მშვენიერი ელფერი, აბრეშუმის მსგავსი პირის კანი, ან ლამაზად მოყვანილი ტუჩები და ზედ დასმული პათარა, შავი ხალი, თუმცა თმები წაბლისფერი ჰქონდა.

დედას ბოლო დრომდე სილამაზის სახელი ჰქონდა, საზოგადოებაში ძალიანა შვენოდა, ყოველთვის ძვირფასად და გემოვნებით ჩაცმული, ტანის ნაზი რხევით ის ნამდვილი ქალი იყო, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით.

დიდმა მორწმუნემ მთელი თავისი სიცოცხლე ღვთის ვედრებასა და ლოცვაში გაატარა, შემიძლიან ვსთქვა, რომ დედა ნამდვილი ქრისტიანი იყო, ყველას მიმართ ლმობიერი და კეთილი.

ურთიერთობაში ძალიან დამთმობი და კარგი ხასიათის მჭონე, უფროსების მიმართ მორჩილი თავის რძლებს ან მაზლებს სიტყვასაც არ შეუბრუნებდა.

ამ სახლში მხოლოდ დედა იყო მზითვიანი რძალი, მისი მამულების მთელი შემოსავალი ამ ოთხძმიან ოჯახში თავისუფლად იხარჯებოდა და დედაჩემი ამას ბუნებრივად სთვლიდა.

მაგრამ ეს რბილი ხასიათის მჭონე ქალი ზოგჯერ დიდ სიჯიუტეს უადგილოდაც ამჟღავნებდა, როგორც ამას შემდეგში დავინახავთ.

ეხლა გაგაცნობ, ჩემო თეო, ჩვენ კარმიდამოს და შემდეგ შეგიყვან თვით სახლში, რომ კარგად წარმოიდგინო დედაშენის გარემო; როგორც ჰხედავ, ჯერ არც კი ვარ ამ ქვეყანად მოსული, ნუ გეშინიან, მალე ავიკლებ ამ ეზოყურეს, რომლის შესახებ მინდა ეხლა გელაპარაკო.

ჩვენი კარმიდამო და სახლკარი

ჩვენი სახლკარი დიდი ეზოთი, ხეხილით და კარის ვენახით გაშლილი იყო დაახლოებით ორიოდე დესეტინა მიწაზედ. ამას ირგვლივ მტკიცე ღობე ჰქონდა შემოვლებული, ყორე და ტყლუშური ღობე.

მთელი ეს მიწა გარშემორტყმული იყო დიდი კაკლის ხეებით და მის შუა ჩასმული ჩვენი აგურის კედლებიანი სახლი თავის მშვენიერ გადასახედით ალაზნის ველზედ, კარგი სანახავი იყო.

სამხრეთით ჩვენი სადგომი გადაჭრილი იყო საურმე, ვიწრო გზით. რის გადასწვრივ მოსჩანდა დიდი მინდორი. ეს ჩვენი გარეთა ეზო, სადაც პირუტყვი გვყავდა გაშვებული.

იქ დაინახავდი ცხენებს, რომელნიც მადიანად სძოვდნენ ნორჩ ბალახს, იქვე თვალს მოჰკრავდი ძროხებს ან ზლაზნია კამეჩებს, რომელნიც ქვის მარილის ლოკვაში ცხენებს ეცილებოდნენ. მოშორებით მათ თავშესაფარსაც დაინახავდი.

ამ ჩვენ ნებიერ ცხენებისათვის აშენებული იყო კარგი, გრძელი თავლა საყარაულო ოთახით. სადაც ზამთრის გრძელ ღამეებში აგუზგუზებულ ბუხრის წინ კუნძზედ ჩამომჯდარი ახალგაზრდა ბიჭი ხშირად ჩონგურს ჩამოჰკრავდა, შაირსაც მიაყოლებდა, ზოგჯერ ძმაბიჭებსაც იქ თავს მოუყრიდა.

დანარჩენებისთვისაც იყო გომური, ბოსელი, ფარეხი და სხვა. როგორც ჰხედავ ზამთარში ამათ არ შესციოდებოდათ.

რადგან ზაფხულობით იქვე კალოც იმართებოდა, საჭირო იყო ძნის დასაყრელი, საძნე და ბზის შესაყრელი საბძელიც ყოფილიყო. ეს ორივე თავლის ზემოდ იყო მოთავსებული.

გარეთა ეზო კარგი სანახავი იყო ზაფხულის მიწურულში, როდესაც რამოდენიმე ასეული ცხვარი, ბოლო ხანებში, როგორც მახსოვს, ოთხასი სულიღა უნდა ყოფილიყო, "ბეე"-ს ძახილით რომ მოადგებოდნენ ჯერ კიდევ მწვანე მინდორს და თეთრ ნაბდათ გადაეშლებოდნენ.

მთიდან ჩამორეკილები ზამთარს აქ ფარეხში გაატარებდნენ. გაზაფხულზედ გადაპრსულები, თავიანთ მატყლს ჩვენ დაგვიტოვებდნენ და ასე გალამაზებულები ისევ მთის ბილიკებს შეუდგებოდნენ.

მათ უკან მეცხვარეები მოსდევდნენ. მათი იერი, უფრო კი ჩაცმულობა, თავიდან ფეხებამდე ცხვრის ტყავში გახვეულნი, ზურგზედ თოფგადაკიდულნი, დიდი კომბლებით ხელში რომ შეუპოვრებს ემუქრებოდნენ და იმორჩილებდნენ, პატარაობას შიშსა მგვრიდა.

გვერდით ფარას დიდი, ბანჯგვლიანი ძაღლები ჰყარაულობდნენ და ნელის ნაბიჯით მიბუნძულებდნენ.

ნადირის მოახლოებას ისინი შორიდანვე აუყეფდნენ სუნს და თუ ღამე ესენი ყეფას ასტეხდნენ, რომელსაც თოფის სროლაც მოჰყვებოდა, აშკარა იყო, რომ ფარეხი საშიშ მდგომარეობაში ყოფილა, ნადირი მოჰპარებია და ომი გადაუხდია.

ჩვენ სახლს უკანა ეზოდანა ჰქონდა შემოსასვლელი, რომ შემოხვიდოდი, დინასავდი მარჯვენივ ხეხილის ბაღჩას. თვალს დაჰკრავდი ოჯახისათვის მთავარ შენობას, სათონეს, რომელიც იყო სამგანყოფილებიანი და კარგად მოსაზრებული.

პირველ ნაწილში, შუა ადგილას ღრმად ჩასმული თონე, ერთ კედელში პასკების გამოსაცხობად, ან ბატკნების თუ გოჭების შესაწვავად ღრმა ღუმელი იყო გამოყვანილი.

გვერდით მეორე განყოფილებაში ორი დიდი ამბარი იდგა. ეს ფქვილის ჩასაყრელი ხის ჭურჭელი. ერთი კედლის გასწვრივ იდგა ვარცლი, ცომის დასაზელი და მის წინ კედელზედ ჩამოკიდული ხელსაწყო ნივთები: სამტკიცი, საცერი, ასტამი, შამფური და სხვა.

იქვე მიყუდებული იყო ორომი, რაზედაც გუნდებს აწყობდნენ. ნამდვილი მისი სახელი კი არ მახსოვს, მაგრამ შენ ისე დაწერილებით მთხოვ, ყველაფერი გიამბო, რომ ვფიქრობ, გაიწყდება ჩემი წლოვანობა, ბევრი რამ დავიწყებას ეძლევა, ჩემო საყვარელო შვილო. მაშ ეს "ორომი" დარჩეს, იქნება სწორეა.

ამ შენობის ორივე ნაწილი კედლით იყო გაყოფილი მესამე პატარა ოთახთან. თუ შეიძლება ამას ოთახი ვუწოდო, სადაც თონისათვის გამზადებულ ფიჩხსა ჰყრიდნენ.

რადგან კარის ეზოში ფრთოსანი ტრიალებდა, მოშორებით იდგა ორსართულიანი საქათმე. ზემოდ სიმინდი იყო დაბინავებული, მის ქვემო ნაწილში კედლების გასწვრივ მათი ქანდრები და სულ ქვევით ჩალა დაგებული საბუდრები იყო ჩამწკრივებული.

ეს ყველაფერი სახლის უკან იყო მოქცეული.

როგორც ჰხედავ, იქაურობას მზრუნველი თვალი არ აკლდა; როდესაც სოლომონის შვილები ფეხზედ დადგნენ, ერთად ზრუნავდნენ და მოქმედობდნენ, რომ შვილებისათვის კარგი მემკვიდრეობა დაეტოვებინათ.

მამაპაპეული შენობა, ცალპირი სახლი ორ სართულიან სახლით შესცვალეს. ძველ სახლშიაც ჩვენ ოჯახში იშვიათი არ იყო ქართული სუფრა და ლბინი. ამას ხელს უწყობდა ოჯახის დოვლათი და მასპინძლების მიერ კარგი სიმღერებით სუფრის ლაზათის შექმნა.

უკანასკნელად წინანდლიდან დავით ჭავჭავაძე, ალექსანდრეს შვილი რომ ძია გაბოს ესტუმრა, რომელთანაც ის ხშირად აგორებდა კამათლებს, იმას შეუნიშნავს, "კარგი მღებარეობა გაქვთ, მაგრამ ალაზნის ველი უკეთ გამოჩნდებოდა, თქვენი სახლი რომ ცოტა მაღალი იყოსო.".

ამაზედ ძია გაბოს პასუხი ყოფილა: - გაძლევ პირობას, რომ წლის თავზედ ჩვენი სახლიდან, როგორც ხელის გულზედ, ისე კარგად დაინახავ მთელ გადაღმა მხარეს და ალაზნის ვერცხლის ზოლსაცაო.

მაშინ უკვე განზრახული ყოფილა ახალი სახლის აშენება და მასალაც დაბიმავებული ჰქონიათ.

მართლა წლის თავზედ სახლი დამთავრებული იყო. მასალად ნახმარი მხოლოდ აგური და მუხა, მაშასადამე მტკიცე შენობა უნდა ყოფილიყო. ჩვენს ტყეში ბევრი ხე იქნებოდა წაქცეული; მთელ ამის თვალყურის მდევნელი თურმე მამაჩემი იყო.

აქვე მინდა, შევილო, გითხრა, რომ აშენებისას სახლის სახირკელში ძმებს დოვლათიანად ჩაუტანებიათ ვერცხლის ფული, ალბად მომავალი ბარაქიანობისათვის.

ნეტავ ვიცოდე, რომელი ფულია, ნუთუ რუსულია, როგორ ვიფიქრო, რომ ოჯახს აღარა ჰქონდა ჩვენი "თეთრი", რომლის ერთი ცალი მეც კი მაქვს შენახული.

ჩვენი სახლი

სახლის ქვემო სართულში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მარანს. თავის საწნახელით, ქვევრებით და ქოცობით. მას ორი კარი ჰქონდა, ერთი ეზოსაკენ, მეორე სამზარეულოში გადიოდა.

მის გვერდით იყო სამზარეულო დიდი საოჯახო პლიტით. კედელზედ გრძელი ეტაჟერი. გრძელი მაგიდა და პატარა ტაბტიც იდგა.

აქედან შეხვიდოდი მარანში. მეორე კარებიდან საკუჭნაო ოთახში. იქ დაინახავდი კედელზედ ჩამოკიდებულ ღორის ბარკლებს ცეცხლის ბოლზედ გამოსულს, იატაკზედ ყველის გუდებს და დიდ ქილებს სხვა და სხვა წნილით და სხვა.

სამზარეულოდან გამოსული მესამე კარებით გასწვრივ კიბეს ჩაჰყვებოდი სარდაფში, ეს იყო ღვინოების საწყობი; პატარა ბაჩონკებში ქვევრიდან ამოღებული ღვინო ყოველდღიურ სასმელად იქ ინახებოდა.

რომ იცოდე, როგორ მიყვარდა ამ სარდაფში მოსამსახურეს ჩაყოლოდი, როდესაც იმას ბაჩონკებიდან ღვინო რეზინით ბოთლებში გადმოჰქონდა, ერთხელ ხელიდან გამოვტაცე ეს რეზინა და იმდენი ეწოწნე, რომ თავბრუდახვეული ძლივს აველი კიბეზედ.

იატაკზედ დაწვენილი იყო ბოთლები ძველი ღვინოების ნიმუშებით. სარდაფიდან ამოსული კიბით რამოდენიმე ნაბიჯს გაივლიდი და შეხვიდოდი კარგ მოზრდილ ოთახში, სადაც მოსავალს დროებით შეჰყრიდნენ, სიმინდის ტაროებს, კაკალს და სხვა.

ბევრი კაკალი გექონდა, ამას რომ დაჩურჩლავდნენ, ნაწილს სხვენში დაჰყრიდნენ, ნაწილს ზეთის გამოსახდელად შეინახავდნენ, ან წეწვანს მოამზადებდნენ.

იქვე ბუხართან, ცეცხლა პირას დამარილებულ ნიგოზს კეცში დაახლიდნენ, რომ გაცივდებოდა, ქილებში გადიტანდნენ. შემდეგ მიწით პირგადალესილ ქილებს მიწაში ინახავდნენ და ზაფხულში ამ წეწვას საჭმლის შესანელებლად ხმარობდნენ.

ამ ოთახს გვერდით პატარა საკუჭნაოც ჰქონდა, სადაც ინახებოდა ბოსტნეულის ყოველნაირი გამხმარი მარცვლეულობა. წითელი, თეთრი ან შავკუჭიანი ლობიო, მუხუდო და სხვა.

ნახადი იქ ტომრით ბრინჯს, ზეთის ხილის და მურაბების ქილებსაც. ესლა, ჩემო თეო, ავიდეთ კიბეზედ ზემო სართულში, თორემ ვერ მოვასწრობ, ჩემი ცხოერება დაწვრილებით გიამბო, ჩემი ხნის ადამიანისათვის ძნელია თავით მუშაობა. ალარც მოთმინება მაქვს და მეხსიერებაც მოიკოჭლებს.

ვაითუ გამომრჩა, რაც უმთავრესია - და რაღაც ზღაპრებს გიამბობ! არა, ნუ გეშინიან, რასაც ვამბობ, ეს სინამდვილეა, მაგრამ თუ დამავიწყდა რამე, ეს მეპატიება.

ამ დღეებში შენ იდღესასწაულე ჩემი დაბადების დღე, 94 წლისთავი. ოთახში მშვენიერი თაიგული დამიდგი და ბევრი სიყვარულიც მარწყე, ჩემო ძვირფასო და იშვიათო შვილო!

შენმა ნაცნობმა პიანისტმაც მიიღო მონაწილეობა ამ დღესასწაულში და უკვე ფოსტით მომაყენა დიდი ყუთი შოკოლადით.

რა გამოვიდა, ეწერ და ისევ იქა ვარ, ასო ასოს ველარ მივამსგავსე, ეს სტილიც, რომელიც შენმა მოწაფემ მომიტანა, არ მემორჩილება, მაგრამ ეს ჩემ მიერ დაწყებული საქმე უნდა ბოლომდე მივიყვანო, რომ საყვედურით არ მომიგონო.

კიბიდან ასული, აივნიდან პირდაპირი ტალანით, "ხატების ოთახში" შეხვიდოდი; შენი ყურადღება მინდა ამ ოთახზედ შევაჩერო, რადგან ის იყო ჩვენი ოჯახის სალოცავი ადგილი და მისი ტრადიციების თუ მორალის დამცველი კერა.

მის აღმოსავლეთით კედელში გამოყვანილი იყო სახატე, რომელსაც გარედან ორი შუშის დარაბი ჰქონდა. სახატეში ინახებოდა ძველი ხატები, რომელთა შორის საყურადღებოა, როგორც ძველი მხატვრობა ღვთისმშობლის ხატი ვერცხლის ბუდეში ჩასმული და ზურმუხტ-იაგუნდით და ფირუზით შემკული.

რამდენიმე ხატი, რომელთა ბუდე ძველად ოქროსი უნდა ყოფილიყო, დროთა განმავლობაში მისი მხოლოდ ზემოთა ნაწილი ღა შერჩენოდა.

იქვე იყო ერთი ვერცხლის კოლოფი წმიდანების ნაწილებით, მხოლოდ ვისი ნაწილებით, ეს ვერავინ მითხრა, რასაკვირველია, ვერავინ აჰხდიდა ამ კოლოფს, ეს სასტიკად აგრძალული იყო.

ყოველთვის იქ იდგა ბოთლით ნაკურთხი წყალი, იაზმა და იდო ვერცხლის აზარფეშა.

ღვთისმშობლის ხატი, როგორც იცი, პაპაჩემი სოლომონის ბიძა არქიმანდრიტ ნიკიფორე ჩიჯავაძის ნაქონი იყო და ამ ხატს მუდამ თან ატარებდა, ამიტომ იყო, რომ სახატეში მისი ხურათიც ინახებოდა.

ჩვენს ოჯახში გაგონილი მაქვს შემდეგი ამბავი: თითქოს ერთ მოგზაურობის დროს დედოფლის ამალა დიდი ჭექა-ქუხილის გამო იძულებული გამხდარა ტყეში შეჩერებულიყო. როგორც ყოველთვის, ამალას თან ახლდა დედოფლის მრჩეველი, არქიმანდრიტი ნიკიფორე ჩიჯავაძე. ამ უკანასკნელს თითქოს მოველინა ღვთისმშობელი და ხელით ანიშნა, რომ "აი აქ უნდა აშენდეს ჩემი სალოცავი სახლიო". ეს ამბავი დედოფალს მოახსენდა.

თითქოს ამის შემდეგ იყო, რომ ამ დედოფლის თაოსნობით შუამთაში აშენდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც იყო ეს მოველინება, ღვთისმშობლის ეკლესია.

არ ვიცი, რომელი დედოფალი იგულისხმება ამ მოთხრობილ ამბავში. ეს დაუთმოთ ისტორიკოსებს, როდის ან ვისი თაოსნობით აშენდა ეს ეკლესია.

ამის შემდეგ ეს ჩვენი ხატი მიჩნეული იყო როგორც სასწაულთმომქმედი, ჩვენი ოჯახის გარეშე ბევრი სხვაც მოდიოდა და მის წინაშე მხურვალედ ლოცულობდა.

ჩვენებისათვის ხომ ის ნუგეშის მიმცემი იყო, განსაკუთრებით დედაჩემისათვის, რომელიც, დიდი მორწმუნე, ხშირად მინახავს სახატესთან მთლად ლოცვა ვედრებაში გასვეული.

კანკელს შეედან ჩამოკიდებული ჰქონდა სანთლების ახანთები ხომლი, დაღამებისას ყოველ სალამოს ხატების წინ ანთებული სანთელი და ბუხარში მინელებული კუნძი, რომელიც ძლივსა ბჟუტავდა, ზამთარში ამ ოთახს დიდ საიდუმლოებაში ხვევდა.

ამ ჩვენს სალოცავ ადგილას, ღვთისმშობლის ხატით ხელში მშობლებს ბევრჯერ დაულოცნიათ თავიანთი შვილები გათხოვებისა თუ დაქორწილების დროსა. თუ ოჯახის წევრი სადმე მიემგზავრებოდა, მაშინ მთელი ოჯახი შეიდოდა ამ ოთახში, დასხდებოდნენ, ცოტა სიჩუმის შემდეგ წამოდგებოდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, ამნაირად ღვთისმშობლის წყალობა მიღებული დამშვიდებულად გზას გაუდგებოდა.

სახლში მოსული ყველა ჯერ ამ ოთახში შეიდოდა, პირჯვარს გადაიწერდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიდოდა სხვა ოთახებში.

ამ ოთახში მხოლოდ ბავშვებს აწვენდნენ, ხატების მოლა, გაწმენდა, ყოველდღიური სანთლების ანთება დედაჩემსა ჰქონდა დაკალებული, როგორც ქერივს, მაშასადამე უცოდველს, ეს მამას სიკვდილის შემდეგ.

სახატეს ქვემოთ თახჩაც ჰქონდა, სადაც ინახებოდა, სასულიერო შინაარსის წიგნები და ერთი რვეული, სადაც ოჯახის წევრთა დაბადების თუ გარდაცვალების თარიღები იყო აღნიშნული.

იქვე ინახებოდა ზოგიერთი მალამოს სახელები და მათი შემადგენლობა. მაგალითად "თეთრი მალამო წითელი ქარისათვის უკბარი წამალი", ჩამოთვლილ მასალიდან მახსოვს მხოლოდ ირმის ქონი და ზეითუნის ზეთი. დანარჩენი დავიწყებული მაქვს.

ამ ოთახის სამხრეთის სარკმელში ზამთრობით დაინახავდი იქვე ატუზულ თეთრნაბად წამოსხმულ დიდ ბზის ხეს ბელურებისათვის სათბუნებელს და კარგ თავშესაფარს, ჩვენ ბავშვებისათვის კი დიდ გასართობს, როდესაც ამ ხეს უცბად შევარხევდით, თავზარ დაცემულნი, ეს ბელურები უცბად დაიფრთხიალებდნენ და ფრრფრიის ხმაურით სწრაფად გაფრინდებოდნენ, მაგრამ არ დაიგეიანებდნენ, რომ თავიანთი სამყარო ისევ დაბრუნებინათ, რასაკვირველია, როდესაც ჩვენ ცელქები შუა ძილში ვიქნებოდით.

ზაფხულობით კი უკეთეს სურათს ნახავდი, ჩემო შვილო, როდესაც მეორე სარკმელს მოაწვებოდა ბროწეულის ხის ტოტები დატვირთული მწვანე ფოთლებით და ხასხასა წითელი ყვავილებით, განსაკუთრებით მზის ჩასვლისას, როდესაც ეს ცის დედოფალი ესალმებოდა, თან ეთხოვებოდა ამ გავარვარებულ სამყაროს!

მთელი ეს სახატე რევოლუციის რბევას გადაურჩა და 1923 წელს ჩვენი ხატები ვანომ ჩამოიტანა თბილისში და კალოუბნის ეკლესიაში საპატიო ალაგას იყო დაბინაებული.

დედა, რომელიც სხვებთან ერთად სოფლიდან იყო გამოძევებული ერთი კაბის ანაბარა და ჩემთან ცხოვრობდა თბილისში, ხშირად მეტყოდა ხოლმე განსვენებული: "წავალ, შვილო, ჩვენ ღვთისმშობელს აქ მაინც ავუნთებ სანთელსაო" და დაეშვებოდა ამაღლების ქუჩიდან კალოუბნის ეკლესიისაკენ.

ეხლა გაჩვენებ ჩვენი სახლის დანარჩენ ოთახებს. რიცხვით შვიდი. ყველა მათგანი ბუხრით, მხოლოდ დანარჩენ ოთახებში ამის გარდა კედლებში დაყოლილი იყო საფუძვლიანი კარადები.

ყველაზედ დიდი ოთახი, რასაკვირველია, სასტუმრო ოთახი იყო, რომელიც წვეულების დროს სასადილო ოთახის როლსაც თამაშობდა.

შუა ადგილას გრძელი მაგიდა გარშემორტყმული ჩალადაწნული ვენის სკამებით, ეხლა ამაზედ, ჩემო თეო, შენც არ იტყოდი უარს. მათი მოდელი ნანახი გაქვს აქ ემიგრაციის ჩვენ საცნობ ოჯახში. უბედურებაში ამათ ეს მაინც წამოუღიათ.

კედლის გარშემო უკვე რბილი სკამები იყო ჩამწკრიებული. ერთ კედელთან, შესასვლელ კარების პირდაპირ იდგა პატარა "კუშეტი", რომელსაც ზევიდან კედელზედ გადაკრული ხალი ჰფარავდა და მის წინ კარგ მანძილზედ იშლებოდა. ლამაზი, ნაქარგი ბალიშები ეყარა ამ "კუშეტზედ".

ოთახში იდგა რამოდენიმე ქალალდის სათამაშო მწვანე მაუდით გაკრული მაგიდა.

რაც შეეხება სინათლეს, ხომ იცი შვილო, რომ მაშინ ელექტრონი იშვიათი მოვლენა იყო. ამიტომ უნდა დასჯერდე ნავთის ლამფებს. შუა ოთახში ზევიდან ჩამოკიდული ოთხლამფიანი ხომლი ეკიდა, გარდა ამისა კედლებზედ მიჭედილი იყო ორლამპიანი სანთური, ისე, რომ ეს მისაღები ოთახი კარგად იყო გაშუქებული.

აქედან შეხვიდოდი კარგა მოზრდილ ოთახში, რომელსაც ლიმონების ოთახს ვეძახოდით, რადგან ზამთარში ლიმონის ხეები

თავისი ბოჩკებით იქა ბინავდებოდა. ეს ოთახი ყველაზედ უფრო მზიანი იყო, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მისი სამი ფანჯარა უხვად აწვდიდა მზის სითბოს.

ზაფხულში კი მათ აივანზედ პნახავდი. უნდა გენახა, როდესაც ზაფხულის ჭექა-ქუხილს ქარიშხალიც მიემატებოდა და სეტყვაც წამოუშენდა, ჩვენები რა ფაცხა-ფუცხით მიათრევდნენ ამ დიდ ბოჩკებს, რომ გადაერჩინათ მსხმოიარე ხე და ოთახში შეეცურებინათ.

ამ მცენარის გაჩენა ჩვენს ოჯახში დედას წყალობაა, მისი თაოსნობით იყო, ამიტომ ამ ხის მოვლა, წამლობა მის ხელობად გარდაიქცა.

დანარჩენი ოთახების მოწყობილობა იყო ძალიან მარტივი და სადა. ყველგან კედლის გასწვრივ გრძელი ტახტი. ზედ გაშლილი ფარდაგი. ზევიდან ხალიჩა, შემდეგ თეთრი ქენა და ზედ მუთაქები.

ოთახში რამოდენიმე სკამი და პურის კიდობანიც იდგა.

გაგიკვირდება, რომ მაშინ ჩვენ ოჯახში ვერა ნახავდი გაშლილ ქეშაგებს. კერძო საწოლს. სალამოთი მოსამსახურე ქალი ჰშლიდა ყველასათვის და დილით აბინავებდა ამ ქეშაგებს წალოში.

ეს იყო ჩვენს ტალანში ღრმა და განიერი საწყობი, სადაც კარგად ეტეოდა ამ დიდი ოჯახის, მეტადრე ზაფხულობით მრავალრიცხოვანი. წევრების მთელი ქეშაგეგები.

ეხლა გაგიყვან აივანზედ, საიდანაც დაჰხედავ დიდ გაშლილ ველს და ზედ ვერცხლის გველივით გაწოლილ ჩვენ ალაზანს, რომელსაც თითქოს ევიწროება თავისი კალაპოტი და შფოთით მიისწრაფის სადღაც ღრიალით.

ალაზნის ველს ზურგიდან სდარაჯობს დაღესტანის აყუდებული მთების გაკლებული არშია. მთი ფერი ძალიან ცვალებადია. ზოგჯერ მთების მუქ-ლურჯი ფერი ნაზად ეხამება ჩვენ ცის ფირუზ გუმბათს და ეს ბუნების მშვენიერი ჰარმონია თვალსაჩინო ხდება უფრო წვიმის შემდეგ, როდესაც ღრუბლებიდან გამოსული, განარნარებული იგი ღიმილით ესალმება ჩვენ ცოდვებით დატვირთულ სამყაროს.

რაც შეეხება სახლის წინა ეზოს, კარის ვენახთან გაყოფილი იყო ღობით, რჩებოდა ეზოს ნაწილი სრულიად საკმარისი, რომ ცხენოსნებს ეკირითნათ და თავიანთი სიჩაუქე გამოეჩინათ.

ვენახს თავში დარგული ჰქონდა ყოველნაირი ხეხილი, ცალ მხარეს კი ადგილი ჰქონდა ბოსტანს და ყვავილნარს თავისი სურნელოვანი ვარდებით.

მითხრეს, რომ ეხლა ჩვენს ნაქონ ეზოში ოცდაათი სახლია აშენებული, თვით სახლში კი შვიდი ოჯახია მოთავსებული, ნეტა ვიცოდე მაინც ვინ არიან: რუსები, სომხები, თათრები თუ ქართველები. ეს საცოდავები როგორ ეტევიან, თუ კარგი მეზობლობა აქვთ კიდევ კარგი, თუ არა, მაშინ ვაი ამ ნათავადარ სახლსა...

შენთვის მომინდვია, თეონი თუ ოდესმე წახვალ საქართველოში, ალბათ კისისხევსაც დაჰხედავ, მაშინ დასთვლი ეზოში აშე-

ნებულ სახლებს, სახლში მოთავსებულ მოსახლეობასაც ინახულებ და კეთილ სურვილებს არ დაკლებ. ამ სიტყვებით მიესალმები: ღმერთმა მშვიდობაში მოგასმაროთ ის, რაც ჩვენდაუნებურად ცხოვრებამ დაგვატოვებინა...

ჩრდილოეთის ქარიშხალმა ჩვენი მამაპაპეული არსებობა აქედან აჰგავა, არარად აქცია!

ეჰ, მძიმეა შვილო, ადამიანს მშობლიური ცა ენატრებოდეს და მისთვის იგი სამუდამოდ დაკარგული იყოს!!

ჩემი ცხოვრების დასავალზედ თვალი მაინც მომეკრა იქაურობისათვის, მაშინ დამშვიდებული განვშორდებოდი ამ ქვეყანას!!

ჩემი სახლიდან მინდა გავხედო დათოვლილ მთებსა,
და მათ მახლობლად თვალი გავავლო მშვენიერ ველსა,
მის გულმკერდიდან ყური ვათხოვო ალაზნის ზნესა,
სუნთქვა შევიკრა, ასე ველოდო გათენებასა!

ჩემი ბიოგრაფია.
პატარაობა სკოლის ასაკამდე.

აი გენაცვალე, ჩემო თეო, რამდენადაც შევძელი, გაგაცანი ჩემი ოჯახის შორეული თუ ახლომდგომი წევრები, მათი სახლკარი, ავლადიდება და ყველაფერი ეს მოთავსებული სოფელ კისისხევში; როგორც ჰხედავ, ამ სოფელს ვერ ავცდი, რადგან მინდა ჩემი ცხოვრება დაწვრილებით გიამბო.

სწორედ იქ დაუპატიჟებელ სტუმრად ვეწვიე "მოლოზნიანთ" ოჯახს დილის ცხრა საათზედ აპრილის 14-ს, 1885 წელს.

ჩემი ამ ქვეყნად მოსვლა დიდის სიხარულით და საზეიმო სუფრის გაშლით არა ყოფილა აღნიშნული, რადგან მე ვიყავი სუსტი არსება ე.ი. ქალი.

თურმე როდესაც მამას გააგებინეს "ქალი გეყოლაო", სიცილით უთქვამს, "მაგ საძაგელს ყურებში მარილი ჩააყარეთო", რადგან მამას მეორე შვილიც ვაჟი უნდოდა.

დაბადებისას თავზედ მქონია გადაკრული თხელი ბადეს მსგავსი, რაც თურმე იშვიათია, ამას მაშინ უწოდებდნენ "ქუდბედს"ს. მისი მნიშვნელობა არ ვიცი, მაგრამ ეტყობა, თავს ვერა ვგრძნობდი კარგად, რადგან პირდაღებული სულ ვტიროდი და ვღრიალებდი. ეს იმდენად ყოფილა თავმოსაბეზრებელი, რომ არა ერთხელ უთქვამთ ჩემიანებს, "ეს ყველას ამოგვჭამსო". ერთი სიტყვით მასპინძლები ცუდათ დამიხვდნენ, ჩემისთანა სტუმარი და ისიც დაუპატიჟებელი არავისთვის სასიამოვნო არ იყო. პატარაობისას ამის გამო ძალიან დამაკლდა ალერსი, რასაც მწვავედ განვიცდიდი, სხვა პირობებში იყვნენ ჩემი ძმები, ამან დიდი დაღი დასტოვა ჩემ ხასიათზედ.

თავიდანვე ჩემსა და მათ შორის დაწყებული ომი, მშვიდობიანად გათავდა. მე ტირილი შევწყვიტე და ბედს დავემორჩილე, თუმცა ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მერჩივნა "ქუდბედი" არ დამყოლოდა და ამის ნაცვლად მეც ვაჟი ვყოფილიყავი.

მაგონდება ჩემი თავი, როდესაც დედაჩემი მძიმედ ავადმყოფი ლოგინში იწვა. მას ორმაგი ანთება ჰქონდა: ფილტვებისა და ნაწლავებისა, რასაკვირველია, საჭმელს თითქმის არ აკარებდნენ, მე დედა ძალიან მეცოდებოდა, რომ აშიშილებდნენ.

ერთ დღეს ჩუმად შევცუნცულდი და ახალი გამომცხვარი პურის ნაჭერი შევაბლიე. დედამ, მახსოვს, გამილიმა, გამომართვა და მხოლოდ უსუნა, მე კი მინდოდა ჩემი თანადასწრებით ეჭამნა, მაგრამ ამაოდ.

მახსოვს აგრეთვე ყოველდღიურად თელავიდან დაბარებული ექიმი რუსი მიტროფანოვი, დედას ოთახში რომ შემოვიდოდა, ყურ ბუხართან გაითბობდა ხელებს და თან დაატანდა: "კაკოე სივა, კაკოე სივა". მართლა და შესცივდებოდა, რადგან ეს იყო იანვარში და საშინლად ჰყინავდა.

ეს მისი "კაკოე სივა" მე ძალიან მართობდა, მხოლოდ არ მესმოდა მისი მნიშვნელობა, ან რატომ ქართულს არ ლაპარაკობდა ეს კაცი.

მაშინ ვიყავი ორი წლისა და ნახევრისა.

მამას ეტყობა, დედას მორჩენის იმედი აღარა ჰქონდა რადგან სასოწარკვეთილს სახატეში სანთელი დაუნთია და მზურვალედ ულოცნია:

"ოლონდ ვერა მორჩეს, სანაცვლოდ, ღვთისმშობელო, წლის თავზედ ჩემი სული მიიბარე"ო.

დედამ ანთება აიტანა და კარგად გახდა, მაგრამ მამა კი მართლა წლის თავზედ გარდაიცვალა. ყველასათვის სრულიად მოულოდნელად.

მამა კარგი მონადირე იყო და დაგეშილი ძაღლებით ხშირად მიდიოდა სანადიროდ, მხოლოდ სახლიდან გადიოდა დილით ადრე და ყველასთან უმძრახი უნდა ყოფილიყო, ე.ი. არავის არ დაელაპარაკებოდა. ასეთი იყო წესი. ოთახში თავისი მსხვერპლი ირმის დიდი ჩხა კედელზედ ჰქონდა მიჭედილი და ზედ იარაღი.

ერთ დღეს სანადიროდან დაბრუნებული, იგი ლოგინად დავარდა, დიდი სიცხე და ამასთან საშინელი ყელის ტკივილი თითქოს მის ახრჩობდა, ეულარც კი ლაპარაკობდა. ექიმი მაშინათვე იყო თელავიდან ჩამოყვანილი, მაგრამ იმან ვერაფერი უშველა.

სამწუხაროდ მაშინ ანალიზების მოშველება არ იყო, თორემ ასე იოლად რამდენიმე დღეში მამა არ გათავდებოდა.

უკანასკნელ წუთს დედას რამდენიმე სიტყვა უთხრა, ანდერძი დაუტოვა: "შვილები კარგად გამიზარდეო" და თავისი ძმის გაბოს კლავზედ დალია სული.

აქვე მინდა გითხრა, ჩემო თეო, რომ მამა მესამე შვილის მოლოდინში იყო, ვინაიდგან დედაჩემი ორსულობის მეცხრე თვეში ეგულებოდა.

ამ დროს ჩემი თავი მახსოვს და ძალიან მკაფიოდ, ვიყავი მაშინ სამი წლისა და ნახევრისა.

მამას ზიარება რომ დაუპირეს და ოთახში თეთრგრძელწვერა ღვდელი შემოვიდა, ყველამ დასტოვა ავადმყოფი და კარები მოუკე ტეს, რადგან მომაკვდავს აღსარება უნდა ეთქვა.

მე ჩუმად შემოვედი, ბუხართან გავჩერდი და ღვდელს ზურგი შევუშვირე. ჩემ ჭკვაში მე მას დავემალე, სულგანაბული ვიდექი, ყურები გაცქვეტილი მქონდა, მინდოდა გამეგო, რად დასტოვეს ღვდელი მამასთან, ან კარები რად შემოუკეტეს.

მესმოდა ღვდლის ჩუმი ლაპარაკი: "შვილო, აღიარე შენი ცოდვებიო". მამას ლაპარაკიდან დამრჩა მხოლოდ ერთი სიტყვა: "არაფერი მამაო".

შემდეგ რა მოხდა ან სად ვიყავი, აღარაფერი ვიცი. მხოლოდ მეორე დღეს ჩემმა გამდელმა ბაბედამ მომკიდა ხელი და შემიყვანა ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა და მითხრა: "მოდი გენაცვალე, ნახე მამას რა კარგად სძინავს, დაიხსომე მისი ლამაზი სახე"-ო.

ჩემი მაშინდელი პირველი რეაქცია იყო, მამა გამელვიძებინა და ამ განზრახვით მიეწვდი კიდეც მის ფეხს, მაგრამ ბაბედამ მაშინათვე წამავლო ხელი და ოთახიდან გამომიყვანა.

დარჩა მიცვალებული პირისპირ ირმის მრავალშტოიან ჩხასთან, რომელიც ამავე ოთახში კედელზედ იყო მიჭედილი...

ბაბედას წყალობით მართლა და სამუდამოდ დამრჩა მამას კეთილი სახე და აგრეთვე მისი მშვენიერი შავი ქართული კაბა ცის ფერ აბრეშუმის ახალუხით და ამავე ფერის ყურთმაჯებით.

ეს მამას მთლიანი სურათი, რომელსაც მუდამ ჩემში ვატარებ, ჩემი საყვარელი ბაბედას ნაჩუქარია, ამიტომ მადლობის გრძნობით მის სულს მუდმივ ნეტარებას ვუსურვებ.

მახსოვს დიდძალი ხალხი ჩვენთან თავმოყრილი და გასვენების დღე, ყველა რომ ხმამაღლა ტიროდა, ქვითინებდა, რასაკვირველია, მეც არ ჩამოვრჩი ამ საერთო გოდებას, ყველას ფეხქვეშ ვედებოდი და თან ვღრიალებდი, მხოლოდ ის კი არ მესმოდა, რა არის ეს სიკვდილი, ან რადა ტიროდნენ.

ეზოში დავინახე ურემი, რომელშიც დედასთან და ძალუა მაშოსთან ერთად სხვა ქალებიც ისხდნენ, ჩემი ძმა ირაკლი ჩოხაში გამოწყობილი ურემს ჩამოჰკიდებოდა და ტირილით დედას ევედრებოდა: "მეც წამიყვანეთო".

ირაკლი დასაფლავებაზედ არ წაიყვანეს და ჩემთან დასტოვეს ეს ხუთი წლისა და ნახევრის ბაღშვი მართლაც მამის სიკვდილით გამწარებული.

ჭირისუფალნი რომ დაბრუნდნენ, მაშინდელი ჩვეულების მიხედვით ეზოშივე მათ დაუხვდათ მოსამსახურე ლიტრითა და ტაშტით, რომ ხელები დაებანათ და ცრემლები მოეწმინდათ, ცრემლი სახლში არ უნდა შემოეტანათ.

მისაღებ ოთახში მათ მიართვეს შაი ყავა, რომ ყუათი მისცემოდათ. სადილის მოლოდინში მრავალი რიგობის სუფრები იშლებოდა როგორც ზემო სართულში, ისე ქვემოდ გლეხებისა და მოსამსახურეებისათვის. იმ დღეს ყველასათვის სამარხო საჭმელი მზადდებოდა, მაგალითად, ყოველგვარი მსალი ნიგვზით ან ზეთით შენელებული, ფლავი იყო მთავარი თავი ნუშითა და ქიშმიშით.

სადილზედ შესანდობარს დაპლევდნენ ე.ი. პურს ღვინოში დაალბობდნენ ამ სიტყვებით: "ღმერთმა აცხონოს განსვენებული და სასუფეველი დაუმკვიდროსო".

გლეხკაცობა ამასაც დაუმატებდა, კარგი კაცი იყო, კეთილი და გლეხკაცის გულშემატკივარი, შავმა მიწამ ლონგო როგორ უნდა შეჭამოსო.

ეს მართლა ასე იყო, თურმე ხშირად ეტყოდა თავის ახალგაზრდა ცოლს: "გლეხკაცი უნდა გებრალებოდეს და გიყვარდესო".

მისი სიკვდილი იყო საერთო გოდება და მწუხარება.

მამას შემდეგ ოჯახს ნამდვილი მეთვალყურე აღარა ჰყავდა, დაიწყო იმით, რომ მისი სიკვდილის კვირის თავზედ გაუარდა სოფელში ხმა, რომ ლონგოს საჯდომი ცხენი ლამაზი "კოხტა" თავლიდან ვიღაცამ გაიყვანა.

შეიქმნა მისი ძებნა, ამას ძია გაბო აწარმოებდა; ეს იყო ნამდვილი მდევარი. კახეთის მიყრუებული სოფელიც არ გადარჩა, რომ მიეკვლიათ ამ მამას საყვარელ "კოხტასათვის", საგონებელში იყვნენ ჩაუარდნილნი, როგორ მოხდა, რომ იმ ღამეს თავლას ყარაული არ აღმოაჩნდა, ან რატომ სხვა ცხენებიც არ მოიპარეს.

რამოდენიმე ხანში "კოხტა" იპოვნეს დაღესტანში, იქიდან დაბრუნებული ეს მუქწითელფერა ჯიშიანი ცხენი ჭიხვინით შემოაჭენეს ჩვენს ეზოში.

მეორედ კი ისე მოიპარეს, რომ მას კახეთში ვეღარ იპოვნიდნენ, რადგან იმერეთში გელოვანსა ჰყავდა ნაყიდი ეს მამას ძვირფასი "კოხტა". მიცემული იყო, როგორც მახსოვს, ამ ცხენში ათი თუმანი.

ამ ალიაქოთში იყო ჩვენი ოჯახი, რომ მე მაშინ მომაგონდა მამა, რომელიც ზამთარში ნაბად წამოსხმული მიარღვევდა თალიასაკენ მიმავალ თოვლით დაფენილ ბილიკს და ეს სდებოდა დილით. ალბათ უნდოდა ყარაულიც ენახა და უმთავრესად კი ხელი გადაესვა "კოხტასათვის". სხვანაირად მამა ჩემი მეხსიერებიდან გასული იყო, არც ეკითხულობდი, სად იყო, სად წავიდა, დამრჩა ნათლად მიცვალებული.

მისი სიკვდილით დამწუხრებული სახლი მთელი ერთი წლის განმავლობაში დახშული და დაკეტილი, სიცოცხლეს მთლად მოკლებული იყო; ოთახებში ტახტები დაშვებული, ჭირისუფალნი

შავ ძაძებში ხშირად თვალცრემლიანნი და მთელი ეს სანახაობა ჩვენთვის, ბავშვებისათვის გაუგებარი და მძიმე ასატანი ხდებოდა.

შორეული სოფლებიდან კიდევ მოდიოდნენ სამძიმრის სათქმელად. მათ უხვდებოდა დედა ტახტზედ მჯდომი, მის გვერდით უფროსი რძალი ძალუა მაშო და მათ შორის კი მე ვეძებდი ჩემთვის ალაგს: "მე სადღა დავჯდე, სადა", თავს ვაბეზრებდი.

შემოსასვლელ კარებიდანვე იწყებოდა მათი მოთქმა, ტირილი, ჰოდა იმათი წასვლა და ჩემი წარმოდგენის დაწყება ერთი იყო, ვაჯავრებდი თვითეულ მათგანს, როგორც ტირილს, ისე ხელების შლას და იმდენად თურმე კარგად, რომ მგლოვიარე ხალხს ხშირად სიცილის სურვილსაც კი ვგვრიდი. ძალუა მაშო მაჩერებდა, გეყოფა, შე საბაგელო, გაათავეო, მაგრამ როლში ვიყავი შესული და აბა როგორ შეიძლებოდა შემეწყვიტნა ეს ჩემთვის დიდი გასართობი და თან ეკასკასებდი.

მამას სიკვდილის შემდეგ ორი კვირა არ იყო გასული, რომ დედას ეყოლა ვაჟი, რომელსაც მამის სახელი მისცეს, ე.ი. დაარქვეს ლონგო-ლელო. მახსოვს, როგორ მაჩვენეს ეს ჩემი მეორე ძმა, პატარა ლონგო; შემიყვანეს ხატების ოთახში, სადაც თეთრებში გახვეული, დიდ შავთვალებიანი ბიჭი იწვა და თავით შაქრის ნატეხი ედო, მითხრეს, რომ ამ პატარა ბიჭმა ეს ტკბილეული მომიტანა, ამაღებინეს ეს შაქარიც. ალბათ ეშინოდათ, ეჭვიანობა არ დამეწყო, არ მედარდნა.

ამის შემდეგ ბაბედამ მომანდო კიდეც მისი აკვანი დამერწია და ნანა მეთქვა. ეს კი არ ვიცი, როგორ ვიტყოდი მაშინ აკვნის ნანას, მაგრამ ამას კი ვეუბნებოდი და თან ვარწევდი ლონგოს პატარა აკვანს:"მაყვალს გიგავს თვალები, თვალი მაყვალს დაუდგეს, მე შენ გენაცვალები". აკვანი იდგა ჩვენ ხატების ოთახში.

წლის თავზედ მამის საფლავს ქვა დაადეს, ღელემა სახლი აკურთხა, სტუმრებმა სუფრაზედ სიმღერაცა სთქვეს, ამნაირად სახლი გაიხსნა და ცხოვრება ბუნებრივად გაგრძელდა.

შავი ძაძები ყველამ გაიხადა და ცეცხლს მისცა, რაც შეეხება დედას, რომელსაც მანამდე თავზედ თეთრი სქელი ლეჩაქი ეხურა და ზედ შავი მოსახვევი ეხვია, ამის მაგივრად ეხლა თავზედ ჩიხტიკოპი დაიდგა, ჩვეულებრივი ლეჩაქი დაიხურა, მხოლოდ ჩიხთიქოპის მოსართავი შუბლის ქინძისთავი და ლეჩაქის არშიაც დაგვიანებით მოიგვარა.

მისი პირადი გლოვა ხომ ხანგრძლივი იყო. თითქმის სამი წელიწადი გაგრძელდა, ფეხი არსად გაუდგამს. ერთხელ მოუხდა თელავში წასვლა, ისიც დაბურული ეტლით, რომ არავის ენახა, დაბარებული იყო ხაზინაში, ხელი უნდა მოეწერა.

მამას სიკვდილის შემდეგ ირაკლი რომ შესრულდა ექვსი წლისა, ისა და მისი ბიძაშვილი სანდრო, ძია გაბოს შვილი, თბილისში წაიყვანეს და მაშინდელ ცნობილ პანსიონში მოათავსეს.

ეს "ვილიამსის" პანსიონი კარგად ამზადებდა ბავშვებს, უმთავრესად რუსულ ენაში, იქიდან გამოსულები ადვილად შედიოდნენ

საშუალო სასწავლებელში. სახლიდან მისი წასვლა ძალიან მაწუხებდა, ვიდარდე კიდეც, მიყვარდა იმასთან თამაშობა, წამავლებდა ხელს და მარბენინებდა. ზოგჯერ ჩვენ ეზოსაც გაუცდებოდით და ჩიტების ბუდეების დათვალიერებასაც შეუდგებოდით; ხშირად ვეპარებოდით ჩვენ გამდელებს, რომელნიც გულგახეთქილნი გვეძებდნენ მალე კი დამშვიდდებოდნენ, როდესაც დაგვინახავდნენ ხელიხელს ჩაბმულნი მე და ირაკლი რომ არხეინად მოვდიოდით.

ან კი შორს სად უნდა წავსულიყავით, თვალყურის მდევნელი არ გვაკლდა: სახლში იმ დროს ბევრი მოსამსახურე ფუსფუსებდა, ზოგი გარედან მოსიარულე, როგორც, მაგალითად, პურისმცხობელი, მოსარეცხე, სახლში ძველი დამსახურებული გამდელი, მზარეული, ხელზედ მოსამსახურე ბიჭი, მეურმე, მეჯინიბე და ბავშვებისათვის მიჩნეული ახალგაზრდა გოგოები. მაგალითად, მე მეთამაშებოდა და მართობდა თებრუა, ეს ირაკლის წასვლის შემდეგ, ლელოს ანუა და სხვა.

ირაკლის წასვლის შემდეგ დაერჩით მე და ლელო, ჩვენც ველოდებოდით სკოლის ასაკს, რომ დილიჟინით წავეყვანეთ თბილისში, ეს გვინდოდა და ამაზედ ვოცნებობდით.

ჩვენი აივნის გასწვრივ ზემოდან მერცხლის ბუდეები იყო გამწკრივებული, ეს ლამაზად გაკეთებული ბუდეები და შიგ მსხდომი ბარტყები საშინლად მხიბლავდნენ, მეტადრე როდესაც დედის მოლოდინში ისინი თავიანთ პატარა ყვითელ ნისკარტებს გადმოჰყოფდნენ, მათი მშობელიც, ელვის სისწრაფით მოფრენილი, თავისი ნისკარტით საზრდოს ნისკარტებში ჩაუდებდა და ხელმეორედ გაფრინდებოდა.

კარგი სანახაობა იყო აგრეთვე მოჩიტებული ბარტყი, რომელიც დედის დახმარებით თუ ნიშნის მიცემით ვერ ზანტად გაინძრეოდა, მერე კი წელში გამაგრებული ცას მიეცემოდა და გაინავარდებდა.

ეს ყველაფერი დიდის ყიჟინითა და ხმაურობით სდებოდა, ალბად ამან მაფიქრებინა, რომ ისინი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ამიტომ ჩემს დარდს იმათივე ენით ვაგებინებდი: "უთხარით ირაკლის, ჩემთან მალე მოვიდეს. უიმისოდ ვერა ვთამაშობ", ბევრს ვაბარებდი ამ ჩემ მეზობლებს იმ იმედით, რომ მეორე დღეს თბილისიდან მოფრენილნი, ირაკლის ამბავს მომიტანდნენ.

აქ ემიგრაციაში ჩემმა ბიძაშვილმა ანტამ მომაგონა: "სონა, მახსომხარ სულ პაწაწინა ჩვენს აივანზედ კისისხვეში თავაწეული რომ იდექი და ჩიტებს ირაკლისთან მოკითხვას აბარებდი და იმათ-საით სჭიკჭიკებდიო".

ზაფხულობით, როდესაც ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახი თავს მოიყრიდა და თბილისიდან მომივიდოდნენ ჩემი ძმა და ბიძაშვილები, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ეტლის ხმას რომ გავიგონებდი, ვიდრე ის ჩვენ ორღობეში ამოვიდოდა, მანამდე ჩემს პირისფარეშს დავიწყებდი, საჩქაროდ ჩაიცვამდი, თუ რამე ახალი

მქონდა, ფეხსაცმელი თუ კაბა, რაც უმთავრესია, თმებს დაივსველებდი, რომ ამ ჩემ სტუმრებისათვის მოსაწონი ვყოფილიყავი.

პირველი შეხვედრა მართლა და ალერსიანად ჩატარდებოდა, მაგრამ მალე თავს დაჩაგრულად ვგრძნობდი, რადგან იმათ რუსული იცოდნენ, ვატყობდი, თავსაც აღარ მიყადრებდნენ და უჩემოდ თამაშობდნენ, საბანაოდ წისქვილშიაც მიდიოდნენ.

მალე კი მე ვხდებოდი მათი ხელმძღვანელი, ადგილობრივი ამბების მცოდნე და ყველაფრის აუანჩაუანი: ვიცოდი, მაგალითად, რომელი პანტაა შემოსული, მარწყვის საკრეფი ადგილი, მყვალი და სხვა.

ეს ჩემი ქალაქელი ხალხი ზაფხულის მიწურულში ან სულ აღარა ლაპარაკობდნენ რუსულს ან თუ იტყოდნენ ერთ-ორ სიტყვას, ისიც იმიტომ, რომ ჩემ წინააღმდეგ შეთქმულება ჰქონდათ და, რასაკვირველია, არ უნდოდათ მე ეს გამეგო. "пойдем но так, чтоб эта особа не знала, куда мы идем"

ეს უმთავრესად ხდებოდა მაშინ, როდესაც წისქვილისაკენ დაეშვებოდნენ. საუბედუროდ თუ საბედნიეროდ ვიცოდი, რომ ეს "ასობა" მე ვიყავი და ამიტომ ზედ ტკიპივით მიკრული ამ ჩემს უფროსებს არა ვშორდებოდი.

შემდეგ უჩემოდ გაიკლიეს გზა-კვალი და ჩემი გამოცდილება აღარა სჭირდებოდათ, ამის და მიუხედავად, ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა.

მათი შემოდგომაზედ თბილისისაკენ გამგზავრება ჩემი ტირილით თავდებოდა. დაწოლის წინ პირჯვარს ვიწერდი, ვლოცულობდი: დედას, ორ ჩემ ძმას, ძია, ძალუებს და ბიძაშვილებს დიდხანს ეცოცხლათ.

რაც შეეხება ჩემ ძმა ირაკლის, რუსულმა ენამ მე ის მაშინ საგრძნობლად დამაშორა, ისეთი ცელქიც აღარ მეჩვენა, ისიც უფროსებში უფრო ტრიალებდა, ჩემთან ნაკლებად თამაშობდა. რასაკვირველია, მომავალში მე იმას ჩიტების საშუალებით ველარაფერს შევუთვლიდი.

სხვათაშორის, სრულიად შემთხვევით აქ ემიგრაციაში შევხვდი ვილიამსის" პანსიონის ყოფილ მასწავლებელს, რომელიც ირაკლის მასწავლებელი აღმოჩნდა. იმან მიამბო ძველი ამბები, თუ როგორ გაუძნელდა პანსიონის ხელმძღვანელს ირაკლის მოთოკვა და მისი ცელქის სადავების აკრეფა.

ჩემი ძმა წარსდგა იქ თავის ჩოხა-ახალუხით, წელზედ შემორტყმული ქამარ-ხანჯლით, ძალიან ლამაზად ჩაცმულ-დახურული და უცხო ბავშვებში თავის დასაცავად მამაპური იარაღით შეიარაღებული.

პირველ ხანებში თურმე ხშირად იძრობდა ხანჯალს და დასდევდა შეშინებულ და აწიოკებულ ბავშვებს, თუმცა მისი ხანჯალი არავისათვის საშიში არ იყო, რადგან მას ნამდვილი პირი არა ჰქონდა.

ძალიან მალე გამოეთხოვა ირაკლი თავის მოკაზმულობას, ხანჯალი ქარქაშს დაუბრუნდა, ეს ბავშვიც თავის ბედს დაემორჩილა და ასე გათავდა მისი "საქმენი საგმირონია".

როგორც გითხარი, მათი წასვლა და მათთან დაშორება ჩემთვის მძიმე იყო, რადგან სახლში ვრჩებოდით მხოლოდ მე და ლელო, რომელიც ძალიან მძიმე იყო და მეტ სახელს "პეპანას" ვეძახდით. ადამიანი ადვილად ვერ აიყოლიებდა, ვერ დაძრავდა ადგილიდან, ყოველთვის მარტოკას უყვარდა ყოფნა, თავისთვის სადმე კუნჭულში მარტოკა ბუდარაობდა.

საბედნიეროდ, სოფელში ჩემი ტოლები მყვანდნენ და იმათთან კარგად ვერთობოდი. ესენი იყვნენ გენო ქობულაშვილის სამი შვილი: დარუშკა ჩემზედ ორი წლით უფროსი, დავითკა ჩემი ტოლი და, მესამე, ნიკუშა ჩემზედ უმცროსი.

ამ ოჯახის შვილებს სულაც არ შეჰშვენოდათ ეს რუსული "შკა"-ები, მაგრამ ეს ასე იყო; სამწუხაროდ, კახეთის თავადაზნაურობა შედარებით იმერეთის ამ მაღალ წოდებასთან, უფრო განიცდიდა რუსეთის გავლენას, ვითომ იმიტომ, რომ თბილისში იყო რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება და მეფისნაცვალი იქა ცხოვრობდა; ამნაირად, კახეთისათვის ეს იყო ის თაფლი, რომელსაც ასე ეწაფებოდა მისი თავად-აზნაურობა. იგი ესწრაობოდა სასახლის მიერ გამართულ საღამოებს, იყო მისელა-მოსელა და დაახლოება ამ რუსეთის არის-ტოკრატიისა ქართველ ძველ ოჯახებთანაც.

ბუნებრივად დარუშკას სახელი დარია უნდა ყოფილიყო, რადგან გენოს დედა, დარია ბატონიშვილი, ერეკლე მეფის შვილიშვილი იყო, გათხოვილი ჩვენ სოფელში თავად ქობულაშვილზედ.

ის იყო თეკლე ბატონიშვილის ასული, რომელსაც სოფელში დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა.

აი, ამ ბავშვებთან ვიყავი მჭიდროდ დაკავშირებული პატარაობიდან და გასაგებია ის მხურვალე შეხვედრა, რომელიც აქ, ემიგრაციაში, ნიკუშასთან მქონდა.

ჩემი ნახვა მისთვის მოულოდნელი იყო, მომეხვია, დაიწყო კანკალი, ტირილი, მოვიგონეთ ჩვენი წარსული დღეები, ახალგაზრდობა და ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენ დაკარგულ სამშობლოზედ.

დამპირდა კლამარში ამოსვლას, სამწუხაროდ, აღარაფერი დასცალდა, რადგან მალე გარდაიცვალა.

მაშ ვიგონებ იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ პატარები ერთად ვერთობოდით. ზამთრობით უფრო ხშირად მე ვიყავი იმათთან, თუ ცუდი ამინდი იყო, ბავშვების "გუვერნანტი" წამიყვანდა ეტლით, თუმცა ახლო ვცხოვრობდით. ზაფხულობით კი ჩვენი ეზო-ყურე უფრო ფართო იყო, ბურთისათვის და საერთოდ სათამაშოდ, ბავშვებისათვის სასიამოვნო და ადვილად ასაკლები; ხელს არავინ გეიშლიდა, უფროსებიც ჩვენს თამაშობას თვალყურს არ ადევნებდნენ, და თავისუფლად დავაჭენებდით ამ ჯოხის ცხენებს.

საღამოთი მოსამსახურის თანხლებით სახლში ბრუნდებოდნენ ეს ჩემი სტუმრები.

იმათთან თუმცა სარბენალი ეზო უფრო პატარა იყო, მაგრამ უფრო მოსაწონი. იმ ეზოს ამშვენებდა პატარა კარის ეკლესია ციხე-ბურჯით და მდელოზედ გაშვებული დიდი ფარშავანგი, რომელიც მშვენიერი სანახავი იყო, როდესაც გაიშმორებოდა, გაპშლიდა თავის ლამაზ ფრთებს და ამ მრავალფერად ქსოვილს ნაბდად წამოისხამდა.

აქ დარბოდით, ხშირად ბავშვების დედა, ნინო ელიზბარ ერისთავის ასული, კარებში დაგხდებოდა და გვათამაშებდა: "ბატები, ბატები სახლისაკენ, თორემ მგელი შეგჭამთო". მგელი ამ შემთხვევაში იყო დავითკა, რომელიც გაშმაგებით დარბოდა, რომ მოესწრო სამივენი დაეჭირეთ.

სახლი ევროპიულად ჰქონდათ მოწყობილი, სალონში იდგა როიალი, რომელზედაც ნინო უკრავდა. ჩვენ ვთამაშობდით, მუსიკას ვითომ მივდევდით, მაგრამ უფრო ვხტოდით. ბევრსა ცდილობდა ბავშვების "გუვერნანტი", ეს შვეიცარელი ქალი, ჩვენ დაოკებას და სიწესრიგის ჩამოგდებას, მე, მაინც როგორც სტუმარი, თავშეკავებული ვიყავი, მაგრამ დავითკა მალე აუკანყდებოდა ამ ქალს და ყველას წაგვიყვანდა "დიდ პაპის ოთახში".

ჩვენი იქ შესვლა და დაწყნარება ერთი იყო. ამ ოთახში საშობაოდ შობის ხესაც სდგამდნენ, ვიდრე მე, "საპატიო სტუმარი", დედასთან ერთად არ მივიდოდი, დავითკა შობის ხეს არ აანთებდა.

ამ ოთახში ერთ კედელზედ ეკიდა ბავშვის სურათი. ერთხელ დავითკამ მითხრა: "სონა, იცი, ეს მეფე იყო, ჩემი დიდი პაპაო", მის ლულლულს ყურიც არ ვათხოვე. მაშინ არც ვიცოდი, ვინ იყო ეს მეფე ან სად.

მხოლოდ როდესაც განსვენებულმა ექვთიმე თაყაიშვილმა მოიარა საქართველო და კახეთსაც ესტუმრა, ეს ბავშვის სურათი და ჩვენი ხატების ოთახიდან არხიმანდრიტ ნიკიფორე ჩიჯავაძის სურათიც მის დაარსებულ მუზეუმისათვის თან წაიღო, მაშინ გავიგე, ვისი სურათი იყო დიდ პაპას ოთახში: "პატარა კახი რვა წლისა" - ამ წარწერით არის იგი მოთავსებული ჩვენ ქართულ მუზეუმში.

მართალია, ცოტას ვერთობოდი, მაგრამ ზაფხულისაკენ მქონდა გულისყური, ველოდებოდი ჩემიანებს, კალოობას და სხვა.

დედაც ზაფხულის მოლოდინში იყო, რადგან თავის საყვარელ ბიჭს ელოდებოდა - ეს იყო ირაკლი, მისი პირველი შვილი, ისიც ვაჟი, ოჯახის მომავალი პატრონი, რომელიც ნეტარებით აგებდა მის ახალგაზრდა არსებას.

ირაკლისაც ძალიან უყვარდა დედა, ყოველთვის მას ეშინოდა, დედა არ გათხოვილიყო, თუ უნდოდათ მისი გაყვარება, ეტყოდნენ, "დედაშენი თხოვდებაო".

კარგი მამულების მემკვიდრე, როგორც ტუსიშვილის ასული, ქმრიდანაც შეძლებული ქალბატონი, ლამაზი ოცდაორი წლის ქვრივი ბევრს მოსწონდა და ბევრი კარგი მთხოვნელი უარით გაისტუმრა.

მათ შორის კარგად მახსოვს თელავის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი გენერალი ვანო მაყაშვილი, რომელიც თითზედ უზარმაზარ ბრილიანტის ბეჭედს ატარებდა, ამით დამახსომდა ეს კაცი. შემდეგ იყო კიდევ იქვე მეზობლად სოლიკო ქობულაშვილი, დიდი მემამულე, რომელმაც სულ ბოლო სანებში დედას თავისი დიდი ხნის გრძნობა გაუზიარა. "ეხლა ხომ შვილები დაბინავებული გყავთ, რა გაბრკოლებთ, რომ გასთხოვდეთო". ეს სოლიკო ბოლომდე უცოლო დარჩა.

"რომ ღმერთი გამიწყრეს და ეხლა გაეთხოვდე, საიქიოს რა პირით უნდა შეეხვედე ჩემ ქმარ ლონგოსაო", იტყოდა ხოლმე განსვენებული დედაჩემი.

ეს ახალგაზრდა არსება შეეწირა თავის სამ შვილს. ყველას ქარგი განათლება მისცა; თუ ის თავისი შვილებით სარობდა, ჩვენ უნდა ის გველმერთებინა, რადგან მამინაცვალი არ გაგვიჩინა და გვანაცვალა, რაც სულთაქეთი ებადა.

დიდ სადილებზედ მის სადღეგრძელოს დიდი ქებაც მოსდევდა, როგორც ნამდვილი, ღირსეული ქართველი დედისა. ისმენდა ამ სიტყვებს მოწიწებით და მღელვარებით, განცდებით გაწითლებული და თითქმის თვალცრემლიანი.

მორწმუნე და ღვთისმადიდებელი ისე განვიდა ამ სოფლიდან, რომ ვერც ერთის ცრემლი ვერ დაეპკურა, ამ სამი შვილის პატრონმა ობლად დალია სული.

ორი შვილი, ირაკლი და ლელო, სიცოცხლეშივე მოიტირა, მხოლოდ ჩემი ნახვის სურვილი ღმერთმა არ შეუსრულა.

დედას სიკვდილი, როგორც იცი, აქ ემიგრაციაში შემთხვევით გავიგე, 1956 წ. მასთან მიწერ-მოწერა საბოლოოდ 1937 წ. შესწყდა, ლელოს უბედურება სწორედ ამ წელს მომხდარა.

ბიუროდან გააქრეს თურმე და, ისე, რომ ვერავინ გაიგო, იქვე მოსპეს, თუ როგორც თურმე ზოგიერთი ფიქრობდა, წალკიდან წამოყვანილი, სადაც ის მუშაობდა, გზაში დახვრიტეს ეს ჩემი ძვირფასი ძმა...

ირაკლის სიკვდილის შემდეგ მწერდა "ნუ დარდობ ამდენს შენ საყვარელ ძმაზედ, ხომ იცი, შვილო, ხეს ყველა ფოთოლო არ რჩება და სცვიაო". თვითონ გულცეცხლმოკიდებული 91 წლამდე მისულა, ალბათ იმ იმედით, რომ ეღირსებოდა ჩვენ ნახვას, განსაკუთრებით შენ ნახვას, საყვარელი შვილიშვილისა.

სამშობლოსთან ერთად ჩემი ლამაზი, კეკლუცი დედაც 1928 წ. სექტემბრის 1-ს დავტოვე. ამ სიტყვებით გამომაცილა: "ალბათ, შვილო, ველარა გნახამო" და დაიწყო ქვითინი.

მინდა განუგრძო ჩემი პატარაობის ამბები, ვიდრე სკოლის ასაკში არ ვიყავი შესული.

გითხარი, რომ მიყვარდა ზაფხულობით ჩვენი კალოობა, რომელსაც წინა დღეებში ძნის მოტანა უსწრობდა.

ჩვენ ორღობეში დაქანცული მუშები "მუშური"-ს გუგუნით რომ ამოდიოდნენ, პირველ ხმას რომ მოძახილი სცელიდა, ადამიანს

ეგონებოდა, მთელი დღის განმავლობაში ყანას კი არ მკიდნენ სიცხე-პაპანაქებაში, არამედ ჩრდილში განისვენებდნენ, მოლიოდნენ სახლისაკენ გულმხიარულნი, მხნე და გაუტეხელნი, რომ ოჯახისათვის კარგი მოსავალი ეხარებინათ.

მათ უკან დატვირთული ძნის ურმები კი თაეისი ურმულით ადამიანს სევდას მოჰგვრიდა...

დილა ადრიანად, როდესაც მზე კიდევ არ იყო ამოსული, მე ძია გაბოს გვერდით ვიჯექი და კალოში ძნის ჩაშლას თვალყურს ვადევნებდი. მიყვარდა იქვე შორიახლო სამუშაოდ გამზადებული ცხენების ყურება, რომელნიც დიდის მადით ახრამუნებდნენ მათთვის დაყრილ ნორჩ ბალახს და თან ფრუტუნობდნენ: "რად იგეიანებთ, თქვე დალოცვილებო, დაგვაწყებინეთ სირბილიო" ჰო და მალე მათ მოაბამდნენ კევრებს, რომლის ცალი მხარე ქვებით იყო მოჭედილი, მეორე მხარეზედ დასადგომი იყო ცხენების გამრეკავისათვის, რომელიც ოროველას სიმღერით შემოატრიალებდა ცხენებს კალოს გარშემო.

ამ კევრზედ საჭირო იყო ზევიდან კიდევ მეორე დამჯდარიყო, ეს სიმძიმის მისაცემად. აი ეს იყო ჩემთვის დიდი გასართობი. თუ ცხენებს ძალიან გააჭენებდნენ, მე, რასაკვირველია, კევრიდან გადმობრძანებული ვიყავი და სირბილით ვეწეოდი ამ ჩემს საჯდომს, მხოლოდ დიდი სიფრთხილით, რადგან კალოში შუა ნაწილი კამეჩებისათვის იყო გათვალისწინებული, რომელნიც ზანტად, მაგრამ საფუძვლიანად მიათრევდნენ კევრს და მეშინოდა მათი რჩოლისა.

ვიჯექი ამ კევრზედ თითქმის მთელი დღე, ვიდრე შუადღისას ცხენებს არ გადაუშვებდნენ, სახლში ჩამოვირბენდი, საჩქაროდ სადილსა ვჭამდი და ისევ კალოზედ ვეშურებოდი, თითქოს უჭმოდ საქმე ვერ გაკეთდებოდა, დავილუპებოდი.

მაშინაც, როდესაც კალოს აუქცევდნენ, ე.ი. ორთითა და ნიჩაფით უვლიდნენ კალოს, როდესაც მეორედ ცხენებსა და კამეჩებს შეატარებდნენ, თავთავი მთლად ჩაშლილი უნდა ყოფილიყო. მე იქ ვიდექი და თან თვალებს ვხუჭავდი, რომ ამოდენა ბზის მტვერი ამეცდინა.

დედა რამოდენიმეჯერ ამომიგზავნიდა მოსამსახურეს, გეყოფა, ჩამოდიო. მაგრამ ჩემს მიერ დაწყებულ საქმეს აბა როგორ დავტოვებდი, განიავებასაც ხომ უნდა დავსწრებოდი, უჭმობა შეუძლებლად მიმაჩნდა.

ამ გალეწილ გროვას რომ აქეთ-იქით მუშები ამოუდგებოდნენ ნიჩბებით, ყოველ ნიჩბით ჰაერში შეყრილ ხორბალს მშვენიერი სიმღერით აბოლოვებდნენ; მიყვარდა იმისი ყურება, როდესაც ქარაფშუტა ბზეს ნიავი ცალ მხარეზედ მიჰყრიდა, მხოლოდ ხორბალი მძიმედ მეორე მხარეს ცვივდებოდა.

კალოს სიმღერებიდან ლეწვის დროს ეს ოროველა სამუდამოდ მაქვს შერჩენილი, მეტადრე ჩემი ბიძაშვილი შაქროს მიერ ნათქვამი, რომელსაც ერთი-ორჯერ შემოატარებდა ცხენებს და თან ოროველას იტყოდა: "ლამაზო ქალო, შენი ჭირიმეე", მისი ხმა

ცხენებსაც გაამხ-ნევებდა და ახლო-მახლობლებსაც სიამოვნებას მოპგვრიდა.

სამწუხაროდ განიავების დროს რომ მუშები ერთი ხმით შესძახებდნენ ამ ჰაერში შეფანტულ გალეწილ თავთავს, ეს სიმღერა სრულიად დავიწყებული მაქვს.

განიავების შემდეგ ხორბალს იქვე გასცხრილავდნენ, დიდი საცალოებით ჩამოიტანდნენ ჩვენ სახლში, რომლის ქვემოდ იდგა ორი დიდი ქვევრი, იმაში ჩაჰყრიდნენ.

შემდეგ ვიღრე წისქვილში ჩაიტანდნენ დასაფქვავად, ამ ხორბალს ხელმეორედ კიდევ გასცრილავდნენ, თუ ქვიშიანი იყო, გარეცხავდნენ, მზეზედ გააშრობდნენ და საჭიროების მიხედვით ნაწილ-ნაწილ წისქვილში მიპქონდათ და ფქვილს სათონეში ამბარებში აბინავებდნენ.

კალოობა გრძელდებოდა ერთ-ორ კვირას; ეს იმაზედ იყო დამოკიდებული, თუ როგორი მოსავალი იყო.

დაღლილ-დაქანცული ვიწექი ქვეშაგებში მეორე დილამდე და როგორც დაბარებული, ადრიანად ისევ კალოზედ ვიყავი.

არ ვიცი, ვინ უფრო დაღლილი იყო ამ კალოობას - მე თუ იმ ცხენები, რომელნიც ხალისიანად ლეწავდნენ ამ ჩაშლილ თავთავს მერე ამ სიცხეში, როდესაც მზეზედ კვერცხიც კი შეიწვებოდა, მუშებზედ ხომ აღარაფერს ვამბობ. თუმცა თავწაკრულნი იყვნენ, მაგრამ იმ სიცხეს ხომ მაინც ატანა უნდოდა. მე ჩალის ქუდი მქონდა ჩამოფხატული და სიცხე მაინც და მაინც ასე არ მაწუხებდა.

ჩემი ბიძაშვილები სხვანაირად ერთობოდნენ, ზოგი მათგანი ვენახში იყო შესული და წიგნით ხელში იქ ატარებდა დროს. ზოგი სხვენში იყო ასული და ჩირებს იბინავებდა თბილისში წასაღებად, ირაკლი და სანდრო კი ცხენებს დაჰხენებდნენ. სულ უფროსი ქალები მზეს ერიდებოდნენ და ოთახში ყოფნას ამჯობინებდნენ.

სოფლის საქმიანობა ამინდთან არის შეფარდებული და ამასთან დაკავშირებით სოფელში ბევრი ჩვეულება იყო დარჩენილი ძველი დროიდან, როდესაც ქრისტიანობა და წარმართობა ჯერ ქიდევ შეუღლებულნი იყვნენ და მათი გაყრა ადვილად არა ხერხდებოდა.

ეს დიდი გასართობი იყო ჩვენთვის, როდესაც გოგოები დადიოდნენ კარდაკარ და წვიმის ღმერთ ლაზარეს სთხოვდნენ ცის ნამს, ე.ი. წვიმას, თუ გვალვა იყო. ხელში ეჭირათ დიდი თოჯინა, მოვიდოდნენ და ამ სიტყვებს სიმღერით იტყოდნენ: "ალარ გვინდა კორახიო, ღმერთო მოგვეც ცის ნამიო." ამ თოჯინას ზევიდან გადასხამდნენ წყალს და ეს გოგოებიც გაწუწულები სიცილ-კასკასით მირბოდნენ იმ იმედით, რომ მალე მათი ბოსტანიც მოირწყვებოდა და გვალეაც გათავდებოდა.

მაგონდება კიდევ ერთი უცნაური ჩვეულება, თუ დაგინებით წვიმდა და სოფელს კი მშრალი ამინდი ესაჭიროებოდა, მაშინ ჯვარედინ გზაზედ გამოჰფენდნენ ბოძზედ ქარლების და შელოტების სიას.

ამის გამო მინახავს ბევრი უსიამოვნება და სამდურავები, თუ ვინმე თავმომწონე თავის სიქარხეს მალავდა და ეხლა მისი სახელი და გვარი ამ ჯვარედინ გზაზედ საქეყნოდ იყო გამოტანილი. აბა, რასაკვირველია, ეს ამბავი უჩხუბრად არ ჩატარდებოდა. არ ვიცი ამ ჩვეულების დასწყისი და მისი მნიშვნელობა.

ყველაზედ ძალიან სოფლელ ადამიანს სეტყვისა ეშინიან, მთელი წლის ნამუშავარი ერთის დაკვრით რომ მიწასთან სწორდება და ნადგურდება. ამიტომ რა წამსაც ამოვარდება ქარიშხალი, ასტყდება ჭექა-ქუხილი, სოფლის ეკლესიებიდან ისმის ზარების რეკვა, რომ წვიმის ღმერთი ელია, რადგან ბრმადა ჰყავთ წარმოდგენილი, ზარების ხმაზედ ამ საქრისტიანო ადგილს ზარალს ააცდენს, თორემ თუ სიჩუმეში იმოგზაურა, იმას არ ეცოდინება, სად არიან ქრისტიანები, ამ ზარებით ხალხი თავის მისამართს აძლევს. ეს ვერსია გაგონილი მაქვს ჩვენ სოფელში.

პატარაობას მეც ხშირად მაჩერებდნენ აივანზედ ხატით ხელში, როდესაც სოფლის ეკლესიებიდან ზარების რეკვა ისმოდა, ამისდა მიუხედავად, ჩვენ სახლს ორჯელ დაეცა მეხი, სახლის ერთი კედელი გაარღვია ქიდეც, ქარიშხალმა კი კაკლის ხეები ძირიანად ამოგლიჯა.

ბუნება იყო ჩემი სულიერი საზრდო, ჩემი მწერთნელი. იგი ბავშვისათვის დიდი სიმდიდრეა, და სოფლის ყოველდღიური ცხოვრება ხომ კარგი გასართობიც არის და ნადვილი აკადემიაც.

სახლის ყოველივე საქმიანობა ძალიან მიზიდავდა და მართობდა. დიდის ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს პურის ცხობას; ჯერ წინა საღამოს რომ მოვიდოდა ჩვენი პურისმცხობელი, გააკეთებდა ხაშს. მას ჰქონდა დაბინაებული ქილაში ცომის გუნდა მარილიან წყალში, ამას ამოიღებდა, გადაახალისებდა, მიუმატებდა ცოტა ფქვილს და თბილ მარილიან წყალში დაზელავდა, შემდეგ ამ გუნდას პირჯვარს გადასწერდა, ისე რომ ამ ცომს ჯვარს გაუკეთებდა, თბილად დაჰხურავდა და წავიდოდა. მეორე დღეს ამ ხაშს სათონეში გადაიტანდა და იქ ვარცლში გამტკიცულ პურს შეურევდა, მარილიან თბილ წყალში კარგად დაზელავდა და თბილად დაჰხურავდა, რომ ცომი გაფუებულიყო. როგორ მინდოდა ამ ცომში მეც მეფათურებინა ხელები, მაგრამ ამას ხომ ვერ გავბედავდი, ვიდექ ჩუმად, როგორც მოწმე.

შემდეგ ეს პურისმცხობელი შეუდგებოდა თონის გახურებას, ფიჩხს ბიჭი უჭრიდა, თეითონ ჩაჰყრიდა ამას თონეში, სადაც წინასწარ მზადა ჰქონდა გაღუებული ნახშირი. დაუწყებდა ზევიდან ბერვას და ცოტა ხანში ფიჩხის ტკაცატკუცი და ბოლი ერთად ავსებდა სათონეს, რომლის ერთი ნაწილი ღია იყო ჰაერისათვის.

თონე რომ გახურებოდა, საჭირო იყო იმისი დაცხრომა, რომ პურს არ ეთაფნა და კუტად არ ქცეულიყო, ამიტომ ნაღვერდალს ზევიდან ცოტა ნაცარს მოაყრიდა, სუფთა ტილოს შემოაელებდა თონეს და ცომის გუნდებით ორომს თონესთან მახლობლად მიიტანდა. ჯერ დააკრავდა ლაფაშს, თონეს გამოსცდიდა, შემდეგ კი

შოთებს მიაყოლებდა. ეს დედაკაცი პირაკრული რომ ჩაეშვებოდა ამ ცხელ თონეში, ცალი ფეხი კი ზემოდ ჰქონდა ამოშვერილი, ვშიშობდი, არ ჩავარდნილიყო, ამიტომ სულგანაბული შორიახლო ვიდექი.

ამას რომ გაათავებდა, თონეს ფიცრებს დაჰხურავდა; რომ იდროებდა, პური გამოცხვაო, ფიცრებს აჰხდიდა და შოთებს ასტამითა და შამფურით თონეს მოაცლიდა, ხონზედ დაწყობილს სახლში აიტანდა და მაგიდაზედ ფრთხილად დაალაგებდა.

მე კი ისევ სათონეში ეტრიალებდი, რადგან ცომის ანაფხეკა მქონდა დაპირებული, რომ ჩემთვის თბელი ლავაში გამომეცხო, რომელიც თონეზედ მიკრული დიდხანს რჩებოდა და საკანტუნებლად ეს "უხები" ძალიან მიყვარდა.

ამ საქმიანობაში მარტოკას მაინც არა მტოვებდნენ. მოზელით და ცომის გაპრტყელებით კი ჟინს ვიკლავდი, მხოლოდ თონეზედ ნისუა დამიკრავდა და მის მოხდაშიაც ჩემი წილი მრჩებოდა. ვითომ ეშველოდი, ჩემს ჭკვაში.

მიყვარდა აგრეთვე გაზაფხულობით ჩვენს ქვემო სართულში აბრეშუმის ჭიის მოყვანა, მისი უცნაური ვითარება, ეს ხომ საშინლად მაოცებდა.

შვიდ წლამდე ასე უდარდელად მიდიოდა ჩემი ბავშობა, მერე კი უნდა მესწავლა, დამეტოვებინა ჩემი დედოფლები ჩემის ხელით გაკეთებულნი და ჩაცმულ-დახურულნი, რომელნიც სულ ჩაის სმაში მესხდნენ ეტაჟერზედ ხის სამოვრის ოშხივარში. მათთან მე ხშირად რუსულ ლაპარაკსაც ვცდილობდი, მაგრამ ამაოდ, ხან ერთ სიტყვას ვეტყოდი, ხან მეორეს: "ხოროშო, და, ნეტ, სტენა" და რა ვიცი რა.

ამასთან ერთად ეტოვებდი პატარა ლეკვებს, ჩემს დანახვაზედ რომ მაშინათვე მწვანე მინდორზედ გაგორდებოდნენ და სათამაშოდ მიწვევდნენ.

ჩიტებზედ ხომ აღარაფერს ვამბობ, ეტოვებდი, რაც უმთავრესია, ენახს, ჩემს სულსა და გულს, უფრო კი ჩემ "საქმიანობას" მე ასე ეფიქრობდი.

მაწუხებდა, რომ ვერ დავესწრებოდი რთველს და ჩურჩხელების გაკეთებას.

სკოლის ასაკი და ჩემი სასწავლებელში შეყვანა

ერთ ზაფხულს დიდ მღელვარებაში ვიყავი, იმ შემოდგომაზედ მივდიოდი სასწავლებელში. ეს ამბავი არ მესიამოვნებოდა, რადგან დედას სოფლის დატოვება არ შეეძლო, სხვისა ოჯახში უნდა მეცხოვრა და თელავის წმინდის სახელობის ოთხკლასიან სასწავლებელში გარედან მევლო.

გარდა ამისა, ჩემი ძველი სურვილი და იმედი, მეც დილიჭინით წავსულიყავი თბილისში, როგორც ჩემი ძმა ირაკლი და სანდრო, მიცრუვდებოდა, მიედიოდი თელავში ასე ახლო და ისიც უნდა ურმით მეთახთახნა, მაგრამ მე ვინა მკითხავდა.

ვერ საჭირო იყო გამოცდაზედ წავსულიყავი, მაგრამ რის პატრონი, რუსული არ ვიცოდი და ქართული კი მაშინ არავის ესაჭიროებოდა.

სახლში ჩემი გუვერნიორი იმ ჟამად ჩემი მამიდაშვილი მანანა ბაბადიში, რომელსაც თელავის ეს ოთხკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა გათავებული და მამის სიკვდილის შემდეგ ჩვენთან ცხოვრობდა, ძალიანა ცდილობდა, რომ ქართული წერა-კითხვა კარგად მცოდნოდა, ცეკვასაც ის მასწავლიდა, ერთი სიტყვით, მანანა იყო ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი არსება; სამწუხაროდ, მალე გამითხოვდა გიგლო ყარალაშვილზედ.

სულ პატარაობიდანვე დედამ მასწავლა ლექსები "დედაენიდან":

"ვარდმა გასძახა ბულბულსა, ეგ ბალი დამიცალეო", ან კიდევ "ორშაბათს დილა გათენდა, რა აჟი დარი დგებაო, ეს ჩვენი წუწკი მელია საომრად ემზადებაო" და სხვა.

სტუმრებთან თავმოწონებული მთელ ჩემ რეპერტუარს დავცლიდი და თან მანანას ვუყურებდი, თუ შემცდებოდა რამე, მაშინათვე გამისწორებდა, თან წარბებს ამიჭმამავდა. ეს იყო იმის გაკვირება, მერე კი დაირას აიღებდა და ლეკურით დამიმთავრებდა ამ ჩემ დეკლამაციას. ვცეკვავდი ლეკურს, აფხაზურს, კისტოურს და სხვ.

პუბლიკამ კარგად იცოდა ჩემი უნარი, ამიტომ თუ მთხოვდა გამეკვარებინა, ვინ როგორ ცეკვამს, ამას ხომ ალარაფერი სჯობდა, ხომ გვცერა, ჩემო თეო, რომ ეს ნომერი არ გაუძნელებოდა დედაშენს, ხომ ბოლო დრომდე შენა და მამას ბევრს გაცინებდით!!!

რუსულში კი რა მოგახსენოთ, რამოდენიმე ასო ვიცოდი, ჩემი სახელისა და გვარის დაწერას ვახერხებდი, ეს იყო და ეს.

დანიშნულ დღეს დილაადრიან გაუდექით თელავის გზას, რასაკვირველია, ურმით, რომ დროზედ მიესულიყავით სასწავლებელში; დედამ ჩემი თავი ერთ ქართველ მასწავლებელს, ვარო წულუკი-ძეს ჩააბარა.

ეს ქალი ძალიან ლამაზი და მოსაწონი იყო, პო და დაიღუნა და ჩუმად რაღაცა მკითხა, მე ვერ გავიგე, მე ჩემის მხრივ გავაგებინე, რომ პირველი კლასისათვის ვარ მზად.

ეს სასწავლებელი მოთავსებული იყო ერეკლე მეფის ყოფილ სასახლეში. მასწავლებელმა შემიყვანა იმ თაღებიან პატარა ოთახში, სადაც ერეკლე მეფე გარდაიცვალა, იმ ჟამად ის ბიბლიოთეკად იყო გადაქცეული.

იქ დამიხვდა რუსი მასწავლებელი, ეს კაცი შემდეგ აღარც მინახავს, მას ჰქონდა დავალებული გამოცდები ეწარმოებინა.

დამსვეს და დამწერინეს კარნახი, მახსოვს, ეს იყო "ოთხი სურვილი". აღწერილია ბავშვი, რომელიც აქებს წლის ოთხივე სეზონს და უნდა ყოველივე სეზონი გრძელდებოდეს მთელი წელიწადი.

მე, რასაკვირველია, წარბშეუხრელად მივდევ ამ კაცის კარნახს და ვწერ იმას, რაც ჩემთვის ხელმისაწდომია: "Соня Чиджавадзе".

მოცემული ფურცელი სულ ჩემი სახელითა და გვარით ავაჭრელე.

წულუკიძის ქალმა აიღო ჩემი ფურცელი და ეგზამინატორს გადასცა, შეჰხედეს ერთმანეთს, გაიღიმეს და გამომიცხადეს, რომ პირველ განყოფილებაში დამსვამენ.

დიდი გახარებული გამოვედი და დედას ვახარე, რომ პირველ კლასში მიმიღეს. დედამ გამისწორა: "არა, შვილო, ალბათ ვერ გაიგე, პირველ კლასში კი არა, პირველ განყოფილებაში იქნებიო", ჩემთვის კი სულერთი იყო.

ამ შესანიშნავი გამოცდის შემდეგ დიდ სასადილო ოთახში შემიყვანეს და პანსიონერებთან ერთად საუზმე მაჭამეს, დაღლილობა თუ შემატყეს, ან იქნება უნდოდათ ჩემი პანსიონში მიღება და ამიტომ იმ პანსიონერებთან მამყოფეს.

დედას კი ჩემი პანსიონში მიცემა არ უნდოდა, ნაშუენიცა ჰქონდა კიდეც ბინა ლიზა სიდამონ-ერისთავის ქალთან.

წამოვედით კისისხევში და დაიწყო ჩემი მომზადება და მზითევის ჩალაგება. მიკერავდნენ ფორმის ლურჯფერ კაბას თავისივე პელერინით, რომელსაც თეთრი საყელო ამშვენებდა, ამ ლურჯ კაბას წინსაფარი შავი ჰქონდა, მხოლოდ სადღესასწაულოდ როგორც პელერინა, ისე წინსაფარი თეთრი გვქონდა.

მე დავარწმუნე დედა, რომ მასწავლებელმა მითხრა, ფორმის კაბა გრძელი უნდა იყოსო. მართლაც კოჭებამდე მცემდა ეს ჩემი ახალი კაბა.

ამ ამბავში თუ რამე მესიამოვნებოდა, ის, რომ მაღალყელიანი კალოშები ჩამიწყეს ჩემ პატარა სკივრში, ვითომ არ გაცივდესო, ასე იფიქრეს სახლში. ასეთი კალოშები მე წინათ არა მცმია, ყოველთვის დაბალი კალოშები მქონდა, ზამთარში ამაზედ მეტი არც იყო საჭირო, რადგან სიცივეში ხომ გარეთ არ გვიშვებდნენ.

დაიწყო სწავლა, პირველ დღესვე ჩემი თავი ბურუსში ვიგრძენი, ჩემი ნაცნობი, ლამაზი ქართველი მასწავლებლის მაგივრად, ვიღაც ინდოევის ქალი, რომელმაც არც ერთი სიტყვა ქართული არ იცოდა.

ეს ქალი ჯოჯოხეთის მაშხალად მევლინებოდა, გარეგნობითაც რაღაც ძალიან უსიამოვნო და ხეპრე, რაც უმთავრესია, ხმა ჰქონდა საშინელი.

ჩემი წამება იმით დაიწყო, რომ კვირის დღეები უნდა ზეპირად მცოდნოდა, ეს "понедельник, поведение". რა იყო ეს უკანასკნელი, არ მესმოდა, ამიტომ კვირის დღეებს ეს სიტყვაც მივაკერე და ვიწყებდი ასე: "поведение, вторник" და სხვა.

ყოველთვის ამას მოსდევდა მისი გაანჩხლება და ყვირილი. როგორც იყო, ჩემი ენა შეეჩვია ამ "პონელელნიკს" და გაუვდი ფონს.

დღიურები გვქონდა, სადაც ყოველ დღე ნიშნებს გვიწერდა, ერთ დღეს დიდი სიხარულით მივიტანე ჩემი ნიშნები და ვაუწყე ჩემს დიასახლისს, რომ რუსულში მივიღე ხუთი და პოვედენიაში 4.

"რა ჩაიდინე, შე საძაგელო, ისეთი, რომ ასე დაგსაჯესო".

როდესაც თვითონ წაიკითხა ჩემი ნიშნები, ნახა, რომ ხუთი მქონდა სწორედ ყოფაქცევაში, მხოლოდ რუსულში - 4. მაინც დიდხანს არ მესმოდა ამის მნიშვნელობა.

პირველ ხანებში ძალიან ჭკვიანად ვიქცეოდი, დაჩაგრულად ვგრძნობდი თავსა, მაგრამ ერთ დღეს ჩემი თხები აშენებული მყვანდა, უდროოდ გავიქეცი დიდ ტალანში და წავაწყდი რუსის ქალს, სკოლის გამგეს, ამხედ-დამხედეს ამ ხანში შესულმა ქალმა, რომელსაც თავზედ რალაც მოქსოვილი ქუდის მსგავსი ედო და დამიყვირა: "ეს კაბა უნდა დამოკლებინო, როგორ შეიძლება მისი ტარება და ასეთი გიჟური სირბილი"-ო. მისი სიტყვები მე ასე გავიგე, რადგან ის ხელებსაც შლიდა და სახეც მრისხანედ მოსჩანდა.

ეს კაბა, ჩემი საკუთარი მოდელი, მაინც გვიან ამიკერეს, ჩემთვის საერთოდ ამ ახალ და უცხო ოჯახში არავის ეცალა.

მაწუხებდა, რომ კარგი ამინდები იდგა და ის კრიალა კალოშები სკიერში ორრად მეწყო, იმის ჩაცმის იმედიც, რასაქირველია, მთლად დაკარგული.

დავდიოდი სხვისა ოჯახიდან, რომელიც სასწავლებელთან ცოტა მოშორებით იყო, ამიტომ მარტოკა ვერ ვახერხებდი იქ მისვლას; ჩემს ბიძაშვილ ნუცას, რომელიც იქვე სწავლობდა და ჩემზედ უფროსი იყო, იმას გაკვეთილები გვიან უთავდებოდა. ყოველ დღე ერთი საათი ან უფრო მეტი იმას ველოდებოდი, რომ ხელჩაკიდებული სახლში მოვეყვანე, მერე ის ბრუნდებოდა თავის ბიძის ოჯახში.

იმედ-დაკარგული ვიყავი, წვიმა კი არა, მშვენიერი ამინდები დაიჭირა და თელავის ბულვარი ხომ სანახავი არ იყო, იმოდენა მტვერი იდო, რომ იქ გამვლელი სახლში სუფთა ფეხსაცმლით ვერ მივიდოდა.

ვიფიქრე, რომ ცდა ბედის მონახვერეა და ერთ დღეს ამოვიღე სკივრიდან ჩემი საოცნებო საგანი და ჩავიცვი, ბევრი მირჩია ნუცამ: "ნუ ჩაიცვამ, ქალო, ამ მზიან დღეში რად გინდა ეს კალოშებიო".

მე ჩემი არ დავიშალე, შევუდექი ამ მტვრით სავსე გზებს და ბოლოს ამ ბულვარს, მივდიოდი და თან ზევიდან დავცქეროდი ამ პრიალა რეზინას, რომელსაც ზურგზედ იმოდენა მტვერი ეყარა, რომ მთლად ფერი ჰქონდა შეცვლილი, თუ ამას ჩემი კაბის სიგრძეს დაეკუმატებ, რადგან ჯერ კიდევ არ იყო დამოკლებული, კარგი სანახავი ჩაებარდი ჩემს მასწავლებელს, ჩემ მწვრთნელს, ინდოევის ქალს. ბევრი შენიშვნა და მრისხანება მივიღე იმ ჩემთვის დაუვიწყარ დღეს.

საერთოდ მძიმე იყო ჩემთვის სასწავლებელი, განსაკუთრებით, პირველ წელიწადს. ბევრი რამ იყო უცხო და გაუგებარი, მაგრამ დავემორჩილე ბედს და თავჩაღუნული მივდიოდი გაკვეთილებზედ და თავჩაქინდრული ებრუნდებოდი უცხო ოჯახში, სადაც დედის ალერსიანი სიტყვა აღარ მესმოდა.

ჩემ მდგომარეობაში არავინ მახსოვს, ვინც პანსიონში იყო, ისინი ერთმანეთში მეგობრობდნენ, მშობლებიც ცდილობდნენ მათ ნახვას, საერთოდ უკეთაც იყვნენ მოვლილნი; გარედან მოსიარულენი მეტი წილი თავიანთ ოჯახში იყვნენ და იქიდან დაიარებოდნენ, ყოველთვის მენატრებოდა, მეც იმათსავით მშობლებთან მეცხოვრა, მაშინ ხომ ბედნიერი ვიქნებოდი.

ეს მაკლდა პატარაობას და ამან დიდი კვალიც დასტოვა.

თითებზედ ვითვლიდი დღეებს, როდის იქნებოდა შობა-ახალი წელიწადი, რომ თავისუფლად მეგრძნო თავი ჩემს ოჯახში, ჩემ პატარა ძმა ლელოსთან, ძია გაბოსთან ან ჩემ საყვარელ გამდელ ბაბედასთან, ძალუა მაშოსთან.

ლელო, რომელიც ისევ სახლში იყო და ისიც დიდის მღელვარებით ელოდებოდა ჩემ მოსვლას, დამისვებოდა ისეთი ჩაბჟირებული სიცილით და მერე როგორ იცინოდა, ძლივს დამშვიდებოდა ჩემი ნახვისა და ალერსის შემდეგ.

შობის წინა დღეებში გვითხოვდნენ და იმავე დღეს ჩემ წასაყვანად ან დედა ამოვიდოდა, ან მოსამსახურე ქალს გამოჰგზავნიდნენ ურმით; თბილად ჩაცმულს, რომ არ გავცივებულიყავი, მიმართულებდნენ ამ სამიოდე ვერსტის მანძილზედ.

სოფელ კურდღელაურიდან მოყოლებული, სახლებთან მოსჩანდა პატარა ბიჭების ჯგუფები, სახლის კედელთან მიყუდებულნი, სიცივისაგან გაყინულ ხელების პირის ორთქლით რომ ცდილობდნენ გათბობას და რაღაცას ღნაოდნენ თუ კნაოდნენ, უფრო კი ცდილობდნენ ალილო ეთქვათ, ხმა წართმეულებს ველარ მოეხერხებინათ ეს საშობაო საგალობელი რიგიანად გადმოეცათ.

ზოგ მათგანს ხელში კალათა ეჭირა, ზოგს ზურგზედ პატარა გუდა ეკიდა, საშობაო მოლოცვას რომ გაათავებდნენ: "ოცდა ხუთსა ამ თვესა ქრისტე დაბადებულაო". მასპინძელი გამოუტანდა ჯამით ფქვილს, ან კვერცხს, ზოგჯერ წვრილ-წვრილ გროშებსაც ჩაუჩხრიალებდნენ პატარა გაყინულ ხელებში.

ეს ბიჭები ასე დადიოდნენ კარდაკარ შობის წინა დღეებში, ამ მოგროვილ მოწყალებას ესენი შეაერთებდნენ, საერთო სუფრას შემოუსხდებოდნენ და ამ შობის უქმეებში თავიანთ ჭიას გაახარებდნენ.

მიყვარდა ნახვა ამ პატარა ბიჭუნებისა, ხშირად ურემსაც გაეჩერებინებდი, რომ კარგად გამეგონა მათი ალილო, თან ისიც მენახა, თუ რა სიცილით და თამაშით ურბენდნენ ამ სოფლის სახლებს და რა სიჩუმეში იწყებდნენ ამ საშობაო ლოცვას.

ჩვენი მეურმე კი მეუბნებოდა: "რად გინდა, ქალო, მაგათი წრიპინი, აი ხვალ დილით ნამდვილი მეალილოენი დაიყრიან და ისინი კი "ბაან იმღერებენო".

ურემში მეძინებოდა ჯდომა, თუმცა კარგად იყო ჩაგებული, კარგი ლეიბი, ზედ ხალიჩა და მუთაქები; სულ ფეხზედ ვიდექი, რომ მალე დამენახა ჩვენი დიდი სახლი, აი გამოჩნდებოდა კიდეც და მისი ეზო დიდი კაკლის ხეებით შემოფარგლული! რა სიამოვნებას და ბედნიერებას ჰპირდებოდა ეს ყველაფერი ჩემს ახალგაზრდა არსებაში, ეს, ღმერთო ჩემო, აუწერელია.

ვიდექი უსიტყვოდ, თითქოს სუნთქვაც შეჩერებული მქონდა, აი საცაა მიეყარ, ჩამოვხტები, ძაღლები ზედ შემომახტებიან, კუდის ქნევით ამიყვანენ აივანზედ.

ჯერ ხატების ოთახში შევიდოდი, როგორც ეს ჩვეულება იყო ჩვენს ოჯახში. იქ გადავიწერდი პირჯვარს და შემდეგ მთელ ოთახებს დავურბენდი.

ბიძაჩემი გაბო, ყოველთვის წიგნით ხელში, ჯერ მაკოცებდა, შემდეგ ჩემ ნიშნებს გამოშინჯავდა, შემაქებდა, მაგრამ ზომიერად თავში არ აუვარდესო და ისევ ჩამბარებდა ამ ჩემ "ატმეტკებს".

იმავე დღეს დავურბენდი ახლო მეზობლებს, ყველანი მიყვარდნენ, იმთაც უხაროდათ ჩემი ნახვა, იქნება ვცდებოდი, მე კი ასე მეგონა.

სახლში საშობაოდ ემზადებოდნენ, ეზოში ღორის ღრიალი გულს მიკლავდა, ყურებში თითებდაცობილი ოთახებში დავრბოდი, რომ მისი საცოდაობა არ გამეგონა.

შობის წინა სალამოს მეზობლებს ჩვენთვის "ქრისტეს კორკოტი" მოჰქონდათ. ეს იყო მოხარშული ხორბალი, მხოლოდ როგორ ამზადებდნენ, მე ეს არ ვიცი, რადგან ჩვენ სახლში ამას არ აკეთებდნენ.

ეს ჩვეულება ძველი დროიდან იყო დარჩენილი. როდესაც საშობაოდ ბატონისათვის ნობათი უნდა მოეტანათ, თუ ძველად ხორბალი მიჰქონდათ, ალბათ შემდეგ მოხარშული კორკოტი მისი სიმბოლო უნდა ყოფილიყო.

ნამდვილად არ ვიცი, მხოლოდ ძალიან გემრიელი და ნოყიერი საჭმელი იყო. მთელი დღის განმავლობაში დადიოდნენ ალილოზედ, ერთ მოსამსახურეს ჰქონდა ჩაბარებული მათი მიღება და გამასპინძლება.

მეალილოენი ზევით აივანზედ არ ამოდიოდნენ, ქვემოთ მოადგებოდნენ სახლის კედელს, შემოგვძახებდნენ "აგაშენოთ, აგაშენოთ"-ო და დაიწყებდნენ ამ მშვენიერ საგალობელს "ალილო"-ს.

იმ სალამოთი, ე.ი. შობის წინა დღეს ჩვენი სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიის დიაკვნით, აივანზედ შეიმოსებოდა და გალობით შევიდოდა ხატების ოთახში, გადაიხდიდა პარაკლისს, იაზმის წყლით სახლს აკურთხებდა და წავიდოდა.

მეალილოენი კი მთელი ღამის განმავლობაში უწყვეტლივ მოდიოდნენ და ერთი წყება მეორესა სცვლიდა.

ეზოში შემოდიოდნენ ხმაურით, ფეხებს დაიბერტყავდნენ, თუ თოვლი იყო, მოადგებოდნენ სამზარეულოს კედელს და დაიწყებდნენ ალილოს. "აგაშენოთ, აგაშენოთ"-ო და ხშირად ფანდურის დაკვრით და მხიარული ჟრიამულით სახლს პშორდებოდნენ. ამთაც ისევე უმასპინძლდებოდნენ, როგორც წინა დღეებში მოსიარულეთ, მხოლოდ ამათ ღვინოს აძლევდნენ და ფულსაც უფრო მეტს.

ხშირად მეღვიძებოდა, ყურს ვუგდებდი, ზოგჯერ კი ისევ ჩამეძინებოდა, მთელი ღამე ამ ალილოს დატყვევებული ვყავდი.

მეორე დღეს იმაზედ იყო ლაპარაკი, თუ რომელი წყება იყო უკეთესი, ან ვინ იყო გათენებისას მშვენიერი მოძახილის მთქმელი და სხვა.

შობის დღეები მე და ლელოსათვის სასიამოვნო იმითაც იყო, რომ მარხილით გვათრუალებდნენ ეზო-ყურეში, ერთადერთი გასართობი ჩემი პატარა ძმისა, რადგან ჩემ სიცელქეს თუ თამაშობას იოლად არ ასდევდა, იმას ერჩივნა, როგორც გითხარი, აღმშენებლობა ეწარმოებინა, ხუხულა გაეკეთებინა სათამაშო ქალაღდებისა და შიგ ჩაესვა ვითომ ან ძაღლი, კატა, უფრო ხშირად კი იქ დაბმული ჰყავდა ცხენი, რომელსაც ვითომ აუშვებდა და ზედ შეჯდებოდა.

ახალი წელიწადიც ბევრ სიამოვნებას მპირდებოდა.

ახალწლის წინა დღით ნაზუქების ცხობა და ჩემი პროწიალი სათონეში, ერთი იყო. წმ. ბასილის სახეს რომ გააკეთებდა ჩვენი ხაბაზი და თვალების მაგივრად ორ ჩამიჩს ჩაუდებდა და ისე დააკრავდა თონეზედ. ეს ჩემთვის სასაცილო იყო, მაგრამ იქ ადგილი არ იყო, მე ჩემებური სიცილი ამეტეხნა, რადგან ვიცოდი, რომ ჩვენ ოჯახში აკრძალული იყო ყურძნის შეწუა და მიკვირდა, რომ ეს ჩამიჩი თონეში უნდა ცეცხლზედ ყოფილიყო.

იქნება ეს შეღავათი ამ ჩვეულებისა იმიტომ იყო მიცემული, რომ ეს მხოლოდ წმ. ბასილისათვის იყო და ახალი წელიწადი მოდიოდა ახალი წესით და ჩვეულებით.

მალე გოზინაყის კეთებაც იწყებოდა და საერთოდ საახალწლო სამზადისი - ეს უფრო რთული და ჩემთვის უფრო საგულისხმიერი.

თუ პურისმცხობელს ჩემგან თავი ჰქონდა მობეზრებული, აბა გოზინაყის კეთებაში ხომ ჩვენებს ჩემ მონაწილეობას არ დაუკლებდი.

ერთხელ დიდი თანგირა ქვაბი, მდუღარე თაფლით თავმობმული, კინაღამ ზედ დავიპირქვავე. ძალუა მაშო იყო ჩემი მანებიერებელი და ამაც დროს ჩემი მწვრთნელიც. "აღარ დაგვაცდი, მე და დედაშენს გოზინაყი გავაკეთოთ, შე საძაგელო, ჭამამ რა გიყო, ლოკვამ რა გიყოსო".

შემრცხვა ჩემი საქციელისა და ბაბუას მივეკარი, იმ ბაბუას, რომელმაც მამას სახე სამუდამოდ დამაწყომა.

გოზინაყის კეთებას ალეაბაზის დაზელვა სცვლიდა, რა ღამაზი იყო დედაჩემი, ამ ცივ ღამეში აივანზედ რომ მიდი-მოდიოდა

ცხელი თაფლის გუნდით, ხელიდან ხელში რომ გადაჰქონდა და მალე მის ხელთ ალის თმების მსგავსი, ყვითელი დიდი თაფლის ნაზელი ნაწნავი სიცივეზედ რომ ტკაცატკუცს იწყებდა, მერე რომ პატარა ჩიტებად დასკუპებდა თეფშებზედ ამ გაცივებულ თაფლს, მაგრამ მე რა?

მე მხოლოდ დედას ლეჩაქს შევცქეროდი, რომელსაც ნიავი აქანავებდა და ზოგჯერ მის ხელებსაც ეალერსებოდა.

მე უკან დავდევდი დედას და მხოლოდ მაყურებელი ვიყავი, ცხელ თაფლს აბა ვინ ჩამიგდებდა ხელში. ვეხვეწებოდი და ვევედრებოდი დედას, ცოტა ხნით მაინც გადმეცა ჩემთვის ეს მშვენიერი გასართობი, მაგრამ ამაოდ, დროც იყო ჩემი ძილისა.

ბაბედა გამზადებული იყო იმისათვის, რაც შეიძლება, მალე დაეძინებინე. ჩემი ლოგინში დაწოლის უმალ თვალებიც დახუჭული მქონდა, რომ ბუხართან მიმჯდარი ბაბედა იწყებდა ზღაპარს: "იყო და არა იყო რა, იყო ერთი"... მე შუა ძილში ვიყავი და ვერ გავიგე, ვინ იყო ის "ერთი" - მეფე თუ ცხრათავიანი მდევი.

შუა ღამისას შემოვიდოდა სახლის მეკვლე ამ სიტყვებით: "შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა, გილოცავთ ახალ წელიწადს, დაესწარით მრავალ ახალ წელს ბედნიერად".

მას თავისი მოვალეობა მოხდილი ჰქონდა, ე.ი. სამჯერ შემოვლილი სახლი ამ საახალწლო ხონჩით, სამჯერ დაცლილი თოფით, ამნაირად ძველი წელიწადი გასტუმრებული, ყველას პირში გოზინაყს ან რაიმე სხვა ტკბილეულს ჩაგუდებდა ამ სიტყვებით: "ასე ტკბილად დამიბერდით".

ხონჩაზედ ედო მოხარშული ღორის თავი, ტკბილეულობა და ტყვია, მაშასადამე, ახალ წელიწადს უნდა მოეტანა დოვლათი, სიმხიარულე და ძლიერება. ხონჩას აშუქებდა გარშემო მიკრული წმინდა სანთლები.

მეკვლედ ირჩევდნენ ოჯახში იმას, ვინც კარგი ფეხი მოუტანა, ვისი ფეხიც კარგად ჰქონდათ დაცდილი.

მისი შემოსვლის შემდეგ ბნელიღა იყო ჩვენი ძილი,დილა ადრიანად ფეხზედ ვიყავით. მე დავალებული მქონდა ჩვენი მეზობლებისათვის ახალი წელიწადი გოზინაყით მიმელოცნა და დიდის ხალისით ვასრულებდი ამ საქმეს.

შევიდოდი, კარებში ვიტყოდი რაფაელ ერისთავის "შემოვდგი ფეხი"-ს. იქ ვაკოცებდი ყველას და გადავცემდი გოზინაყის კარგა დიდ ნაჭერს, ქალალდში შეხვეულს.

სიხარულით და ლოცვა-კურთხევით მიხვდებოდნენ: "გაგამრავლოს უფალმა და შენი თავი უცოცხლოს დედაშენსაო".

დამსვამდნენ კერის პირას, ჩურჩხელას ან ჩამიჩს შემომთავაზებდნენ, მაგრამ დიდხანს არ დაერჩებოდი და მალე ეტოვებდი მდლიერ დიასახლისს, რადგან სხვებიც მყვანდნენ მისალოცნი.

ახალწლის დღეს ჩვენ სასტუმრო ოთახში დიდი სუფრა იყო გაშლილი, წელიწადში ერთხელ ჩვენთან მოდიოდნენ როგორც

სტუმრები: ჩვენი მეწისქვილე ნიკოია, იმერეთიდან გადმოსული, აზნაურიშვილი, კარგი შესახედაო, მაღალი ტანის მქონე, ყოველთვის კარგად ჩაცმულ-დახურული, მეველე, მეზვერები, ნაყმევები, ნათლიმამები და სხვა.

ყველა მათგანი ჯერ ძია გაბოს ოთახში შემოვიდოდა, მათ მიიღებდა ძალუა მაშო, რომელიც შესთავაზებდა ერთ ვერცხლის საშუალო ჭიქით არაყს და გოზინაყს.

ისინი ხელცარიელნი არ მოდიოდნენ, იღლიაში შესმული ინდოურის ბოლო თვალსაჩინო იყო. ამას მოხამხახურეს გადასცემდნენ, დაილოცებოდნენ, ზოგი მათგანი ფოჩიან კამფეტსაც დასდებდა მაგიდაზედ და შემდეგ სასტუმრო ოთახიაკენ გასწევდნენ. იქ უხვადებოდათ ბუხართან მჯდომი ძია გაბო თავისი გრძელი ჩიბუხით.

ნათლიმამა შემოდიოდა დიდ ხურჯინ-გადაკიდებული, მას ზღვენი მოჰქონდა ნათლიასათვის. ნათლიდედას გამოეზავნა მისთვის, თუ ის იყო კაცი, აბრეშუმის წინდები, ან აბრეშუმისაჲე ხინჯარი, ან საფულე-ქისა.

თუ ნათლია იყო ქალი, ამას მოუვიდოდა აბრეშუმის ჩულქები, ორიეულათვის კი ოცი ნაზუქი, ყოველნაირი ჩირი, ოცი ჩურჩხელა, ან გოჭი, ან ინდოური და ერთი ტიკჭორა წითელი ღვინო.

ნათლიდედას ნათლიისაგან მიუვიდოდა ექვსი არშინი შალის საკაბე და ფულად სამი მანეთიდან ხუთ მანეთამდე.

ეს იშვიათი სტუმრები მთელი დღე ჩვენთან ატარებდნენ, სიმღერა და სადღეგრძელოები ერთი მეორეს სცვლიდა, სალამოს მხიარულ გუნებაზედ სახლისაკენ გასწევდნენ და თავიანთ ცოლშვილს გაუშიარებდნენ ამ ახალწლის იშვიათ სტუმრობას.

ახალწლის მეორე დღეს თავადაზნაურობა ერთმანეთში იწყებდა მისვლა-მოსვლას, ერთი სოფლიდან მეორეში ცხენებით თუ ურმით მისულნი არ დაიზარებდნენ ერთმანეთი ენახათ და ესიამოვნათ.

მესამე დღეს უფრო გათენებისას მოვიდოდა კიდე მეკვლე, დავდებოდა ბუხართან, შეანძრევდა კუნძს და ნაპერწკლებს ამ სიტყვებს ატანდა: "ამდენი ცხენი, ამდენი ძროხა, ამდენი ცხვარი, ქათამი, ინდოური" და სხვა. დიასახლისი ამ მეკვლეს თავზედ გადაყრიდა ერთ ჯამ სიმინდს, ეს მე ძალიან მართობდა და მაცინებდა.

ამის შემდეგ საქათმეში თვითონ დაუყრიდა სიმინდს, შეუვლიდა თავლას და ცხენებს ქერს მისცემდა, ფარეხსაც დაჰხედავდა და სხვა. ეს იყო მეკვლე პირუტყვებისა და ფრთოსანებისათვის.

თავდებოდა ეს უქმეები და ჩემი სახლში ყოფნაც, ეხლა უნდა თელავში სხვისა სახლში, უცხო ხალხთან წაესულიყავი.

უმძიმესი წუთები ჩემთვის იყო ურემში რომ ვეკდებოდი, ვერც ვეტეოდი, ყველაფერი მეეიწროებოდა, ვიწყებდი ტირილს...

ბევრი სასუსნავი კი მიმქონდა ჩემს კალათაში, ეს ახალწლის განმალობაში მოგროვილი ფოჩიანი კამფეტები, ჩურჩხელები, ჩირები. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო ჩემთვის, უდედოდ ყოფნა საშინლად მტანჯავდა.

პირველ ორ წელიწადს მაინც ძალიან მეძნელებოდა გაკვეთილების მომზადება, ქართულ ენაზედ რომ ყოფილიყო სწავლება, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ეს რუსული ენა, ჩემთვის სრულიად უცხო, მეტისმეტად მირთულებდა საქმეს, ხშირად ზეპირად ვსწავლობდი დიდ მასალას, რის გადაცემაც შეიძლებოდა უფრო მოკლედ, ენა რომ მცოდნოდა.

ყველაზედ ძნელი იყო რუსული ლოცვების გაზეპირება, ძველი ეკლესიური ენით დაწერილი, რომლის შინაარსიც არ მესმოდა.

მაშინდელ დროს ქართული სკოლა არ არსებობდა, რასაკვირველია, ყველა საგანი რუსულ ენაზედ სწარმოებდა, ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას აქცევდა რუსული ენის ცოდნას და, მაშასადამე, რუსული ენის გაკვეთილების მიმდინარეობას.

კლასში უმთავრესად ქართველები და სომხები ვიყავით. რუსები თითქმის არ იყვნენ, ძალიან ცოტანი.

შესვენების დროს ერთმანეთს, რასაკვირველია, ქართულად ველაპარაკებოდით, მხოლოდ ძალიან მორიდებით, რომ აგვეცდინა უფროსების შენიშვნა: "ილაპარაკეთ რუსულად"-აო, თუმცა ჩვენი მასწავლებლები თითქმის ყველანი ქართველები იყვნენ, მაგრამ არცერთი მათგანი ჩვენ ქართულ ერთ სიტყვასაც არ გვეტყოდა.

კვირაში ერთი საათი დათმობილი ჰქონდა ქართული ენის გაკვეთილს, ისიც მეხუთე საათს, როდესაც მოწაფეები უკვე დაღლი-ლები ვიყავით.

მასწავლებელი ქართული ენისა იყო ქრისტეფორე ზარაფიშვილი, ხანშიშესული კაცი, დიდი პატრიოტი და კარგი მასწავლებელი.

გვასწავლიდა ბუნების კარიდან ამოღებულ მასალას, ქართულ ლექსებს, გრამატიკას, ისე რომ ერთ საათში ბევრს ასწრობდა, საბოლოოდ შედეგებით კმაყოფილიც კი იყო.

უყვარდა ჩემი გვარის დაძახება: "ჩიჯავაძე, აბა ერთი კარგად მითხარი, ვახტანგ ორბელიანის "კახეთისადმიო", მისმენდა სევდიანი სახით, ხშირად ცრემლიანიც, შემაქებდა და დამსვამდა.

მაშინ არ მესმოდა ამ ლექსის შინაარსი, წარმოდგენაც არა მქონდა 1832 წლის შეთქმულებაზედ, მის წევრთა გოდებაზედ და მწუხარებაზედ.

ეხლა კი ამ ჩვენ ემიგრაციაში მთლად შევიგრძენი, თუ რა მძიმეა ადამიანისათვის, იმედი დაკარგული ჰქონდეს, თავის ქვეყანას მოშორებულს და მწარედ ფიქრობდეს, რომ უცხოეთში უნდა ჩაყაროს თავისი ძვლები და ისე დასტოვებს ამ ქვეყანას, არ ელირსება მას ერთხელ მაინც იხილოს "ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი".

ჩემი გონება ნელნელა იკაფავდა გზას, ვიწყებდი ფიქრს იმაზედ, თუ რატომ ჩვენ ქართველები არა ვართ ყველაფრის გამგენი და პატრონები, აი, მაგალითად, თუნდაც ჩვენს სასწავლებელში წლის ბოლოს რომ იმართება მშობლების თანდასწრებით საჩუქრებისა თუ დიპლომების დარიგება, რაღა ეს მაზრის უფროსის მეუღლე განსვეჭისაა ამ საზეიმო დღეს თავმჯდომარე და ორკესტრი რომ

საზეიმო მარშს უკრავს, ავდივართ ესტრადაზედ, მიეესალმებით ამ "დედო-ფალს" და მისი ხელიდან ვღებულობთ ჩვენ მიერ დამსახურებულ "ქების ფურცელს" ან უფრო დიდ, პირველხარისხოვან საჩუქარს, მაგალითად, რომელიმე რუსის ავტორის ნაწარმოებს, კარგ ყდაში ჩასმულს.

იმ დღეს, რასაკვირველია, გუნდიც რუსულად გალობს, არც ეს მომდიოდა ჭკუაში.

ამ დღეს ყოველთვის განსაკუთრებით ვღელავდი და ერთხელ ესტრადაზედ ასულს, კინაღამ გული შემიწუხდა, ყველამ შენიშნა ჩემი ფერწასულობა და დედაჩემი ხომ იქ მყოფი ძალიან შეწუხებული იყო.

ეს ჩემი შინაგანი პროტესტი სინამდვილის წინაშე იმდენად ვითარდებოდა, რომ მესამე კლასის მოწაფე, ცამეტი წლისა ვიყავი, რუსული ენის მასწავლებელს რომ შევები და ძალიან მკაცრადაც.

ამ ყმაწვილმა გაკვეთილის დროს სხვათა შორის სთქვა: "ეს ხომ ცნობილია, რომ ქართველები ზარმაცები არიან"-ო და ლერმონტოვის ნათქვამით დაადასტურა თავისი აზრი.

საშინლად ვიტკიცე მისი სიტყვები, ველარ მოვითმინე, წამოვხტი და მივახალე: "ეს არ არის მართალი", - "როგორ თუ არ არის მართალი"-ო, მიპასუხა, "დაჯექი, ჩიჯავაძე და გაჩუმდიო".

მე ვიჯიუტე და სხაპასხუპით მივაყარე: "როდესაც ქართველები თვითონ უვლიდნენ თავიანთ ქვეყანას, მაშინ იმათ სიზარმაცეზედ ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი, მაგრამ როდესაც ეს საქმე სხვამ ჩაიბარა, რასაკვირველია, უსაქმოდ დარჩენილი კაცი გაზარმაცდება".

დაახლოებით ამ სიტყვებით გავათავე ჩემი თეზა.

გაკვეთილს ყოველთვის კლასის დამრიგებელი ესწრებოდა, იმჟამად სონა სიდამონ-ერისთავის ასული, რომელიც ჩემ მახლობლად იჯდა, ჩუმად წამჩურჩულა: "Молодец Соня", დავჯექი, გაჭარხლებული. დიდი ბრძოლიდან გამოსულს გული ბაგაბუგში მქონდა გახვეული, მაგრამ ჩემზედ გაანჩხლებული ზუბკოვის ჭრელი თვალები რომ დავინახე, შიშთან ერთად სიამოვნებაც ვიგრძენი. აშკარა იყო, რომ რალაც ვატკინე. ის იყო და ის, გადამეკიდა საშინლად, მეოთხე კლასის დამთავრებისას რომ დიპლომებს გვაძლევდნენ, ჩემთვის რუსულ ენაში კარგი ნიშანი არ გაიმეტა და სამი დამიწერა, მაშინ ჩემმა კლასის დამრიგებელმა მირჩია, კომისია მომეთხოვნა, ესე იგი ახლად ჩამებარებინა გამოცდა.

ჩემი თხოვნა დაკმაყოფილებული იყო, ზუბკოვი თავის აღელვებას ვერა მალავდა, მთელი წლის პროგრამიდან მაძლევდა კითხვებს, ალბათ ჩემ შებორძიკებაზედ იმედიანობდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ინსპექტორ მაჟნიკოვის წინაშე დამარცხდა, ჩემ პირველხარისხოვან დიპლომს რუსულ ენაშიც ეს უმაღლესი ნიშანი მოემატა.

ვიდრე გავაგრძელებ ჩემი სწავლის ამბავს, მინდა დაუბრუნდე ჩემ ოჯახს, მის ავ-კარგს და ჩემი ბავშვობის ზოგიერთ ეპიზოდს.

რვა-ცხრა წლიდან მოყოლებული, კისისხვეის შობა-ახალწლის თუ აღდგომის ტრადიციების მეთვალყურე და ყველაფრის ამკრეფი ბავშვებში მე ვიყავი, რადგან ჩემი უმცროსი ძმა ლელოც მალე ჩასვეს დილიჟანში და თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის პანსიონში შეიყვანეს.

ეს ჩემი ლელო, რომელსაც თავისათვის უყვარდა ბუდარაობა, ეხლა სკოლაში უნდა ყოფილიყო და სხვებთან ერთად შესდგომოდა უფრო სხვანაირ გასართობს.

ზამთარში რომელიმე ოთახის კუთხეში ჰქონდა ხშირად გამართული დუქან-ბაზარი, თუმცა მას არც საეჭრო ელაგა და არც მყიდველი გაჩნდა, მხოლოდ ზაფხულობით, როდესაც თავის საეჭრო სახლს გარეთ გაიტანდა, სახლის კედელს მიუდგამდა რაღაც ფანჩატურის მსგავს ხუხულას ანწლით ჭერდახურულს, შიგ შეძერებოდა, ჩამოუდებოდა კუნძზედ და წინ სასწორს მოიმზადებდა; მხოლოდ მე ვიყავი მისი მუშტარი, თუ მეძვირებოდა საქონელი, ე.ი. ვაშლი, მსხალი ან სხვა ხილი, დიდხანს აღარ შევიდოდი. მაშინ ის მეხვეწებოდა, მისი ყვირილი ცასა წვდებოდა: "მოდი, სონა, მოდი, ეხლა იაფად მოგცემო".

საღამოთი კი უფროსი ბიძაშვილი, შაქრო აივნიდან სიცილით გადმოსძახებდა: "როგორი დახლი დაგიდგა, დღეს, ლელო, კარგად ივაჭრე"-ო. უფროსები ამაზედ ასტეხდნენ სიცილს, ლელო კი დიდის მზრუნველობით თავის დუქანს დაწნულ კარებს მიაფარებდა, ერთხელ კიდევ გადაათვალიერებდა ამ თავის მიერ აშენებულ ანწლის ქოხს და დინჯად შემოვიდოდა სახლში.

ეჰ, ჩემო ძვირფასო, უგეშოდ დაკარგულო, ძმაო ლელო, ვინ იცის, სად ან რომელი ყვავ-ყორანი გიკორტნის მაგ შავ თუ მწვანე ლამაზ თვალებს, რომელმა არამზადამ განგმირა შენი მშვიდობისმყოფელი არსება დაუნდობელი ტყვიით...

რა დაგწვამეს მაგ ჯოჯოხეთის მაშხალებმა, ვითომ შენი წითელ ხიდთან დიდი სიყოჩაღე მაგათ შემოსვლის შავ დღეებში, რუსის ცხენოსანი ჯარი რომ დაფრთხე და უკან დაახევინე, შენ, რომელიც საპიორი იყავი და ეს საქმე სხვისა გასაკეთებელი იყო. მაგრამ როდესაც ნახე ჩვენი ჯარის ნაწილი დაქსაქსული, მაშინ შენ ითავე მათი მოვლა და შესძახე გამამხნევებელი სიტყვები: "დედა შეერთოს ცოლადა, ვინც მოლალატე იყოს ჩვენი ქვეყნისა"-ო. დაბგე სილაჩრე და ისე მოაჩვენე მოწოლილ მტერს, თითქოს შენა ხარ კარგი ძალების პატრონი; თითქმის უიარაღო ნაწილი კი რუსულ ცხენოსან ჯარს დიდ ძალად ეჩვენა და უკან დაიხია, ამნაირად რამოდენიმე დღე ამ ადგილას სიმშვიდე დამყარდა, მაგრამ საბოლოოდ... ციხე შიგნიდან გატყდა.

წალკიდან რომ ჩამოუყვანიხარ შენა და შენი თანამშრომლები, ვილაცას მოუკრავს თვალი, ჩეკაში რომ შეჰყავდი, მერე და მერე არც შენმა უბედურმა დედამ გაიგო, ცამ გიყო პირი თუ დედამიწამ, და არც შენმა დაობლებულმა ცოლ-შვილმა.

ეს უბედურება სწვევია ჩვენს ოჯახს 1937 წელს, მე კი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გავიგე ეს თავზარდამცემი ამბავი. აქ უფრო პარიზში...

ჩემო ლამაზო, ტკბილო ძმაო, რა სამაგალითო და-ძმობა გექონდა სამიეს, ირაკლის უდროო განშორებამ ხომ მომსპო, მერე შენ ხომ ასე გამამწარე, რა დაგიშავე ჩემო ძვირფასო, საყვარელო ძმაო, ლელო.

საცოდავი დედაჩემი რა გამწარებული წავიდა ამ ქვეყნიდან. ჩვენ განადგურებულ ოჯახზედ ფიქრი რომ დამეუფლება, სიტყვაც მიშრება და აზრიც მიჩლუნგდება, მაგრამ უნდა დავძლიო ჩემი თავი და ჩემ თეოს, ჩემს ამქვეყნად ერთადერთს ნუგეშს, რომელსაც დავპირდი, ჩემი ცხოვრება უნდა გადაეუშალო.

ჰო და იმას ვამბობდი, რომ სოფლის ცხოვრება იყო ჩემთვის დიდი გასართობიც და ამავე დროს ჩემი სულიერი მასაზრდოებელიც.

თუ ზამთარში შობა-ახალი წელი მართობდა, არანაკლებ სიამოვნებას მგვრიდა აღდგომის დღესასწაულები.

ამას უსწრებდა ყველიერი, ეს ხომ საქანელას და ჭრიალას მიმზადებდა. საქანელას ეზოში მიბავდნენ და არიქა, სონა, მთელი დღე ზედ ვიჯექი, უფრო კი ვიდექი და ვბუქნავდი, შუბლი კოპიჭებით ბევრჯერ დამილურჯებია, დედაჩემი კი აივნიდან მეძახოდა: "ბალიან ნუ გააბლიერებ, შვილო, თორემ ჩამოვარდები"-ო.

მაგრამ ჩემი თავი ცაში მეგონა, როდესაც ერთი ბუქნის ჩაკერით ხის წვერს მივუახლოვდებოდი.

სამი დღის განმავლობაში, ე.ი. უკანასკნელ პარასკევს, შაბათს და კვირას ჩვენ გარეთა ეზოში, ჩვენივე თანხმობით დიდი ჭრიალა იყო გაკეთებული და მთელი სოფელი თავს იქ იყრიდა. დაბმული იყო ფერხული, იმართებოდა ჭიდაობა, სოფლის პატარბლები დავლურ-ლეკურსაც უვლიდნენ და შუა ღამემდე მხიარული ხმაურობა ავსებდა იქაურობას.

თენდებოდა წმ. ორშაბათი, ე.ი. იწყებოდა დიდი მარხვა და ამას მოსდევდა ყეინობა, ბერიკაობა.

ვირზედ შემჯდარი, ღორის ტყავში გახვეული, ნილაბ აკრული ბერიკა ხშირად აფრთხობდა ბავშვების სიმშვიდეს. ამას ყიჟინითა და დაფა-ზურნით უკან მოსდევდა ხალხი, იმ დღეს ეს ბერიკა საშიში იყო, რადგან საქათმეში ხელუხლებელს არ დასტოვებდა არც ქათამს და არც კვერცხს.

ეს იყო ძველი დროის სიმბოლიური გამოძახილი, როდესაც საქართველოს თათარი შემოჰსევია, თითქოს ეს წმინდა ორშაბათს ყოფილა, მაგრამ ხალხს ისიც ახსომს, რომ ამ "ურჯულოებს" დიდხანს არ უპარპაშნიათ ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ ასეთ დამმცირებელ სანახაობას უქმნიდნენ ამ ვითომ ყეინს, ვირზედ სვამდნენ, ხშირად უკუღმაც და ღორის ტყავს წამოასხამდნენ.

მე კი გული გულის ადგილას აღარ მედო, ამ სახე შემუ-რულს, უცნაურ არსებას რომ დიდის ღრიანცელით შემოიყვანდნენ ჩვენ ეზოში.

ეს წმ. ორშაბათი იმითაც ჩამრჩა ხსოვნაში, რომ ოთახის კარებებში ყველგან ჰყრიდნენ ასკილის ეკლიან ყლორტებს, თითქო აჟი სულების საწინააღმდეგოდ, იქნება უნდოდათ სახლის გაწმენდა, ერთგვარი დეზინფექცია, არ ვიცი, ალბათ აქვს ამას თავისი ისტო-რია.

სალამთი ჩვენ ეზოში დიდი ცეცხლი, ჭიაკოკოლა იყო ან-თებული, რომ უფრო მალე მოსდებოდა, თივას აყრიდნენ ამ უშვე-ლებელ ცეცხლს ისე, რომ დიდ სიმაღლეზედ ადიოდა მისი ალი და ნაპერწკალი. აი ბიჭები ამაზედ ხტოდნენ, მხოლოდ ძალიან მარჯ-ვედ, რომ სიფათი აეშორებინათ და გაემარჯვნათ, ეს კი ცეც-ხლთაყვანისმცემლობიდან უნდა იყოს.

ჩვენ მაყურებელნი ვიყავით ამ ლამაზი სურათისა.

იმავე დღეს მთელი ჭურჭელი, ქაბები უნდა გადმოედუ-ღებინათ ნაცარტუტში, რომ ქონის ნატამალი არაფერს შერჩენოდა.

დიდი და პატარა დიდმარხვის შენახვას უნდა შესდგომოდა, ე.ი. არც ხორცი, არც კვერცხი და რძე, რაც შეეხება თევზს, შეი-ძლებოდა მისი ჭამა, მხოლოდ ბზობას და ხარებობას.

სამარხო საჭმელი არ იყო დასაწუნი, ღანძილი, არჯაკელი, ჭინჭარი, ჯონჯოლი, ზეთის ხილი, ლობიო და სხვა.

დიდმარხვის პირველ კვირას მთელი ოჯახი ეზიარებოდა, ძალიან მიძნელდებოდა წირვა-ლოცვაზედ ფეხზედ ხანგრძლივი დგო-მა, მთელი კვირის განმავლობაში დილით წირვა, სალამოზედ ლოც-ვა, კვირის ბოლოს უკვე ზიარება.

ვიცოდი ის ადგილი ლოცვისა, რის შემდეგაც ღვედელი ჯვარს გამოიტანდა და ცოტა მოვისვენებდი, ეკლესიიდან გამოსული დედას აღარ დავუცდიდი და სირბილით სახლისაკენ მივეჩქარებოდი.

დიდმარხვას, რომელიც გრძელდებოდა შვიდი კვირა, ყველა-ნი კარგად ინახავდნენ, არავინ მსუნაგობდა, დიდ მოთმინებას იჩენდ-ნენ.

უნდა გითხრა, ჩემო თეო, დიდმარხვის ასეთმა დისციპლინამ მე ისეთი მომთმენი გამხადა, არამც თუ ჭამაში, საერთოდ ყველა-ფერში, რომ არ არის ჩემ ცხოვრებაში შემთხვევა, რომ გაჭირების დროს ან მოთმინება დამკლებოდეს, ან ხასიათის სისუსტე გამო-მეჩინოს.

ამ სიბერის დროს ბევრი მოთმინება მაქვს ხალხთან, შენ ხარ ამისი მოწმე, ჩემო მშვენიერო, ამას ხშირად მისაყვედურებ კი-დეც.

ალბათ გეხსომება მამაშენის ნათქვამი: სონა, შენ რომ ასეთი არა ჰყოფილიყავი, და სხვა ქალებივით მომთხოვნი, იქნება, მეც მე-ტი შნო და ენერგია აღმომჩენოდა“-ო. ყველაფერი მოვითმინე, რად-გან ეტყობა, ეს არ იყო ჩემთვის ძნელი, დიდი ხნიდან დამიმუშავდა ეს ხასიათი.

ჩვენ სახატეს პქონდა ფარდა, წითელ მაუდზედ ხელით ნაქარგი ჯვარცმა, ამას გადააფარებდნენ სახატეს ჯვარცმის კვირას და მთელი ერთი კვირის განმავლობაში სახატე დახშული იყო ამ ყვითელი ჯვარცმის სურათით.

წითელ პარასკევს დედა ხომ მთელი დღე შიმშილობდა, პირს არაფერს დაადებდა, "დღევანდელ დღეს ქრისტიანმა ადამიანმა უნდა იშიმშილოსო", სალამოთი რომ დაბინდდებოდა, მხოლოდ მაშინ შესჭამდა ძმარსა და ნიგოზში დამბალ ჭარხალს.

იმ დღეს არ შეიძლებოდა გეთქვა: "დედა, მშიან"-ო. დედას რწმენით და გაგებით, ამ შემთხვევაში ბავშვებისათვის გულის თავი უნდა მიეცა;

ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი მონასტერი, თავისი ცხოვრებით და ტრადიციებით, ჩვენ ბავშვებისათვის მძიმე ასატანი.

აღდგომის წინა დღეებში დიდ სამზადისი იყო ჩვენ ოახში, იწყობოდა პასკების გამოცხობით, ერთი ორი ფუთი მაინც უნდა გამოეცხოთ ეს ჩვენი პასკა.

მე და ლელოს გვიცხობდნენ პატარა პასქებს, კარგად მახსოვს ერთი შემთხვევა. დიდი მოთმინება გვინდოდა, რომ უდროოდ პირი არ გაგვეხსნილებინა, ცხვირები შიგა გვქონდა ჩაყოფილი, ხან შორიახლო პირთანაც მივიტანდით და მზად ვიყავით ერთი თვალის დახამხამებამდე ჩაგვეგმირა და მოგვეპო ეს ჩვენი მტანჯველი საგანი, ახლად გამომცხვარი პასკა.

ერთხელ ლელომ ველარ მოითმინა, ძირი გამოუთხარა თავის პასკას და მეც მაქეზებდა: "სონა, რომ იცოდე, რა გემრიელია, შენც ნახავდი ამის გემოსა"-ო.

უფროსმა ბიძაშვილმა, შაქრომ შეამჩნია, ლელოს პასკას რაღაც ცვლილება - ძალიან დაპატარავებული და მოგვერდებული ჩანდა სხვებთან შედარებით. ჯერ ლელოს პირი უკითხა: "ხომ არ შესცოდე, უკურთხებელი შენი პასკა ხომ არ გასინჯე, ხომ იცი, ღმერთი გიწყენს"-ო.

ლელომ უარი სთქვა: "არა, ჯერ მაგისათვის ხელი არ მიხლიაო". მაშინ შაქრომ უთხრა, რომ სიმართლეს ეხლავე გაიგებს და იღლიაში სიცხის საზომი ჩაუდგა, აი, თუ სიცხე აიწევს, ნამდვილად პასკა გიჭამიაო.

ლელოს დიდი შავი თვალები განცვიფრებულნი და შეშინებულნი მისჩერებოდნენ შაქროს და მისგან განაჩენს ელოდებოდნენ.

რასაკვირველია, სიცხემ აიწია, მაგრამ ლელოს პასკის მინგრეულმონგრეულ გვერდებს აღარაფერი ეშველა.

ჩვენი დამშვიდება და დაწყნარება მაშინ იწყებოდა, როდესაც საღდგომო სუფრის გაშლას დაიწყებდნენ.

დიდ გრძელ მაგიდას თაქა და ბოლოს მაღალი პასკები ამშვენებდა შიგ ჩაბნეული წმინდა სანთლებით, რომელსაც მაშინ აანთებდნენ, როდესაც მეორე დღეს ეი. აღდგომის დღეს ღვდელი მოვიდოდა და სუფრას აკურთხებდა. მაგიდაზედ, თეთრსუფრა გადაფარებულზედ, წითელი კვერცხები რამოდენიმე თაიგულად მოსჩანდა.

ეს ყველაფერი იხე გვართობდა, რომ მთლად გვავიწყდებოდა ჩვენი სიმსუნაგე, მეტადრე როდესაც შემოიტანდნენ წყვილ ბატკანს, შემწვარს, პირში ტარხუნის ფოჩებით შემკულს. წყვილ შემწვარ გოჭს პირში წითელ კვერცხით, ვირინას, მთელ ბარკალს გალამაზებულს და ტყავზედ დაწერილს ქ.ა. ნიშნებით.

რასაკვირველია, მთიდან ჩვენი მეცხვარის მიერ ჩამოტანილი ახალი ყველი, ახლად შედღვებილი კარაქი და სხვა.

ყველაფერი ისეთი ლამაზი და სიუხვის მატარებელი იყო, რომ ჩვენ აღარც რისიმე ჭამა გვინდოდა, უფროსებსაც ფეხებში აღარ ვედებოდით, განაბულები ვიდექით მაგიდასთან და თავი სიზმარეთისაკენ გვქონდა დახრილი, მალე კიდეც დაგვაძინებდნენ.

შუა ღამეს დედა გააღებდა სახატის კარებს, ფარდას გვერდზედ მისწევდა, დაანთებდა დიდ კელაპტრებს, ხელაპყრობილი ილოცავდა, და სახატის კარებს ღიას დასტოვებდა, ასე რჩებოდა კვირაცხოველობამდე, ე.ი. ერთი კვირა.

ფეხზედ წამოგვაყენებდა და ახალ ტანისამოსში გამოწყობილნი ურმით შევიდოდით სოფლის ეკლესიის ეზოში.

იქ თავმოყრილი პატარა ბიჭები ერთიმეორეს კვერცხს უკრავ-დნენ. ჯერ წირვა არ იყო დაწყებული, ისმოდა მათი ჟრიამული, ზოგჯერ პატარა ჩხუბიც ამ ერთ ჩაკირულ კვერცხის გამო, რომლის გატეხვაც ვერავის მოუხერხებია, "ეგ კვერცხი ჩაკირულია ბიჭო,"- ღმერთისა და სატის მადლმა არ ჩამიკირნია, ჩვენი დედალი ეხლა სულ ამისთანასა სდებს, შვილოსა".

აი წირვაც უნდა დაიწყოს, სოფლის ხალხი, ყველას ხელში ანთებული სანთლებით, ნელ-ნელა აესებს ამ ეკლესიას.

აღდგომის წირვაზედ დედას გაბრწყინვებული სახე მაქვს ჩარჩენილი, მხოლოდ იმ ღამეს იყო მისი ჩიხტიკოპი ფერადი თავსაკრავით შეხამებული, ეს დიდი მორწმუნე ადამიანი, ლოცვითა და ვედრებით შეპყრობილი, კარგი, სასიამოვნო სანახავი იყო.

წირვა გათენებისას თავდებოდა და ჩვენ შევდიოდით პირის გასახსნელად ქობულაშვილებთან, რომელთა ეზოში იყო დიდი სოფლის ეკლესია.

აღდგომის დღეს ყოველთვის ვციებდებოდი და სიცხიანი ვიყავი, რადგან პალტოს ჩაცმას ვერიდებოდი, ლამაზი კაბის ანაბარა ვიდექი წირვაზედ, რასაკვირველია, მარტისა თუ აპრილის ღამეები ჩემთვის საბედისწერო ხდებოდა; ბევრს მეჩურჩულებოდა დედა, წამოისხი, შვილო, გასციებდებიო, მაგრამ შენც არ მომიკედე, ახალ კაბას როგორ დავმალავდი.

სახლში ველოდებოდი ღვდლის მოსვლას, რომ ნაკურთხი სუფრით ყველას ესარგებლა.

აღდგომის დღეს კარები ღია იყო ყველასათვის, მოსისხლე მტერიც რომ მოსულიყო, იგი მისაღები იყო, არამც თუ ნათესავი, მეგობარი თუ მეზობელი.

თავადაზნაურობა · წირვის შემდეგ შედიოდა ოჯახებში, "ქრისტე აღდგა"-ს გალობით.

ჩუნამდე გვიან აღწევდნენ, რადგან სოფლის თაში ვიყავით, სულ ბოლოს მოვიდოდნენ, იქა რჩებოდნენ სალამდის.

მახსომს ერთი აღდგომა, როდესაც ძია გაბო შეუძლოდ იყო, თავისებურად ქართულ კაბაში გამოწყობილი ეკლესიაში ვერ წამოვიდა, სადაც მინახავს ის წინა წლებში, ხანჯალს რომ ქარქაშიდან ამოიღებდა, ეკლესიის კუთხეში მიაყუდებდა, კაბის ყურთმაჯებს სხვა დროს მხრებზედ შეყრილს ჩამოუშვებდა და ასე ისმენდა წირვას.

პო და ეზოდან ისმოდა გალობა: "ქრისტე აღსდგა"სი, ძია გაბომ რაღაც გაიოცა, თითქოს ამ გუნდში პირველი ხმა ეუცნაურა, როდესაც ეს აღდგომის სტუმრები კიბეს მოადგნენ, მათ შორის იცნო იმჟამად მიწნეული მოსისხლე მტერი, რომელიც ერთი თვის წინათ ძია გაბოს დავლურში იწვევდა, მხოლოდ რა იყო ამისი მიზეზი, არ ვიცი, ეტყობა ნანობდა და იფიქრა შერიგება, აღდგომას მოსვლა.

მასპინძელი მიეგება და როდესაც სტუმარმა შემოსძახა, "გაბო, ქრისტე აღსდგაო", პასუხი "ჭეშმარიტად! კოტეო" და მათი ამბორი ერთი იყო.

სამი დღის განმავლობაში ჩვენი აღდგომის სუფრა ასე იყო გაშლილი და მიმსვლელს და მოსვლელს უხვად უმასპინძლდებოდა.

მოსამსახურენიც მოსვენებულნი იყვნენ და დროს ატარებდნენ ფანდურით, ხან კი დაირა მუსიკის ხმაზედ ქვემო უბნისაკენ დაეშვებოდნენ და გოგოების ცეკვას უყურებდნენ, თვითონ ვერ ვერა ჰბედავდნენ ქალისათვის თავი დაეკრათ და ერთად ეცეკვნათ.

შემდეგში კი ეს ჩვეულებად გარდაიქცა.

აღდგომის უქმეებს დღეობები სცვლიდა, რადგან კვირაცხოველის ეკლესია კონდოლში იყო, ამიტომ კვირაცხოველობას დიდ ბებო ნანასთან ვატარებდით.

სულ ბოლო დროს ამაღლებას დედას სოფელ ახატელში ვატარებდით, ბებო ლიზასთან, რომელიც მეორედ იყო გათხოვილი ელეფთერ კირვალიძეზედ და ამ სოფელში დაბინავდა თავისი ქმრით. როგორც ჰხედავ, შვილო, დედა რომ ადრე დაბინავა, თვითონ დიდხანს არ დარჩენილა თავის დედა ნანასთან და ძმა სანდროსთან, რადგან ამას ცოლი შეურთავს, რუსის ქალი; ალბათ, ენის უცოდინარობამ ბევრი რამ გაართულა და ამიტომ გარდაწყვიტა ბებო ლიზამ მეორედ გათხოვება. ამნაირად დედას მამინაცვალი გაუჩინა.

ეს დღეობები იყო დიდი გასართობი, ამაც დროს მაშინდელ ჯერ კიდევ კარჩაკეტილ ცხოვრებისათვის ერთადერთი საშუალება, სალხი ერთმანეთს დაკავშირებოდა როგორც სოციალურ-კულტურულად, ისე ეკონომიურად.

იქ ყველას გამოჰქონდა თავისი ნახელარი, ეცნობოდა ახლო მეზობლის თუ შორეულის გამოცდილებას და მიღწევას, ამ კავშირს ხშირად დამოყვრებაც მოსდევდა, რადგან დღეობაში ქალების სინჯვაც ხდებოდა.

ახალგაზრდა, სამეფოდ გამზადებული ბიჭი თვითონ იპოვნიდა საბედოს, და ამნაირად ის ადვილადაც აიცდენდა მაჭანკალსაც.

ზამთარში ნინოობას ხალხი კისისხევში უქმობდა.

ჩვენ მახლობლად იყო მიტოვებული წმ. ნინოს პატარა ეკლესია, სადაც წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ე.ი. იანვრის 14-ს აინთებოდა წმინდა სანთელი და სოფლის ღვდელი იქა სწირავდა.

იმ დღეს ჩვენთან დიდი საზოგადოება თავს იყრიდა. როგორც ახლომახლო სოფლებიდან, ისე თელავიდან ბევრს ველოდებოდით.

დილიდანვე ჩვენს სასტუმრო ოთახში დამკვრელები ისხდნენ თავიანთი დოლითა და სალამურით ან დუდუკით.

სტუმრების მოსვლამდე გულს ვიჯერებდი და რამოდენიმეჯერ კიდეც დავლილი მქონდა ლეკური, ალბათ იმ ფიქრით, რომ მალე ეს მედოლე ჩემთვის ველარ მოიცლიდა, როდესაც სტუმრებით გაივსებოდა ეს დიდი ოთახი.

ეს ჩვენი ორკესტრი ხალისიანად მოსდევდა ჩემ სურვილს, ერთმანეთს შეჰხედავდნენ, დოლსა თუ დაირას შეათამაშებდნენ და ამით წაქეზებული მეც დიდხანს დავპროწიალებდი ამ ცარიელ ოთახში.

წირვის შემდეგ ჩვენი სტუმრები ჯერ ღვეობაში გაერეოდნენ, დაჰხედავდნენ ხალხს, გასართობებში მონაწილენიც იქნებოდნენ, სხვა და სხვა სოფლის ფალავნებს ჭიდაობაში წაქეზებდნენ და ეს ყველაფერი გახვეული იქნებოდა დაფა-ზურნის სიმფონიაში.

მოშორებით დაინახავდნენ შეკრულ წრეს, სადაც ახალგაზრდა წყვილი ლამაზ ლეკურს უვლიდა დაირასა და სალამურის ჰანგზედ და მას ჰარმონიულად დამსწრეთა ნელი ტაშიც რიტმიულად ეხამებოდა.

ჩაუვლიდნენ ამ პატარა სოფლის ბაზარსაც, გაეცნობოდნენ ადგილობრივ ხალხის საქმიანობას, მაგალითად, გამოფენილ აბრეშუმის ძაფს, ამ ძაფით მოქსოვილ წინდებს, და სხვა წამოსასხამებს; ადგილობრივ გაკეთებულ ჩურჩხელებს, ჩირებს, ჩამიჩს და სხვა.

გზადაგზა ტკბილეულობაც მიიპყრობდა მათ ყურადღებას, მაგალითად, ხონჩაზედ დაყრილი დახალული ნუში და ქიშმიში, ზეიდან ბაწარზედ ჩამოკიდული ყინვარი შაქრის ნატეხები წითლად ან მწვანედ შეღებილი და სხვა.

სადილად ჩვენთან მოვიდოდნენ და იქა რჩებოდნენ მთელ დღეს. სტუმრებს უხვდებოდნენ "ტუშით", ეს მისასალმებელი ჰანგია, ამის შესრულება ადგილობრივ მუსიკოსებს არ უძნელდებოდათ.

ეს ზამთრის ღვეობა არ არის შესადარებელი დიდ ღვეობებთან, სადაც ღამის თევასთან ერთად დიდი ბაზრობაც იყო და მეტი სანახაობაც, ამას შემდეგ გიამბობ, ეხლა დავუბრუნდეთ სტუმრებს.

სადილის დროს, როდესაც თამადა სადგეგრძელოს იტყოდა, ამას მოსდევდა შესაფერისი სუფრის სიმღერები: "დიდი კახური", "შაშვი კაკაბი", "პატარა კახურიო" და სხვა.

ეხლაც ყურში მიდგა "დიდკახურ"-ში შაქროს ხავერდის ხმით ნათქვამი: "არც ისე დავბერებულვარ, რომ ჩოქით მოგცე სალამი"-ო.

სუფრაზედ ბევრი ლაპარაკი არ მახსოვს, თუ ვისმე ენა ექავებოდა, თამადას სთხოვდა ნებართვას.

სადილის შემდეგ იმართებოდა ცეკვა.

ლეკური უსათუოდ დაელურით იწყებოდა, ეს ნელი ცეკვა სწრაფი ლეკურით თაედებოდა.

მაშინდელი მელეკურენი მამაკაცებში იყვნენ რეზიკო ყარალაშვილი, სერაფ ვაჩნაძე, ილიკო გოგნიაშვილი, ქაქუცას ბიძა, გიორგი და არჩილ მაყაშვილებიც და სხვაც.

ქალებიდან მშვენიერნი ოსტატნი ამ ცეკვისა იყვნენ ქეთო კახიძისა, გოგნიანთ დარიკო, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დედა, დარიკო ჭავჭავაძისა და სხვანიც.

ეს ქალები ისე დასრიალებდნენ, რომ მხოლოდ მათი სარტყელის ბოლო თუ გამცნობდა მათ ტანის რხევას, ან თუ მათი კეკლუცად დაგრეხილი კავები შეირხეოდნენ და შეეთამაშებოდნენ მათ ლამაზ ლოყებს.

გამიგონია, რომ დედას ლეკურიც ლაზათიანი ყოფილა, მაგრამ ჩვენ შვილებს არ გვინახავს, თითქოს არ შეიძლებოდა მას ხელი გაეშალა.

პატარაობისას ისე როგორც შენ, მეც მიყვარდა "სტუმრობა"ს თამაში, ტანისამოსის გადაცმა.

მახსოვს შენ ბებო ვერას რომ ეწვეოდი, შენებურად მორთულ-მოკაზმული, დაუკაკუნებდი კარებს და ბებოს თქმა "მობრძანდით"-ო და შენი ოთახში გაჩენა ერთი იყო, მიუჯდებოდი და ეტიკეტიკებოდი შენ საყვარელ ბებოს, ხშირად შენი დარბაზობის დროს იმას ჩასთელემდა, შენ ამაზედ დიდად შეურაცყოფილი უყვიროდი," რა დროს ძილია, ყური დამიგდე, ასე ხომ არ უხვდებიან სტუმარსა". შენგან დაქანცული, ბებო თვალებს გაახელდა და მოწიწებით გთხოვდა, ქუდი მოიხადეთ და სადილად ჩვენთან დარჩით"-ო.

ამისი თქმა და შენი მოკალათება ერთი იყო.

— ძალიან მოცლილი კი უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ასე დასდიხართ კარდაკარ და სად დაგიღამდებათ ან სად გაგითენდებათ, თქვენც არ იცით.

ამაზედ ხომ უფრო ანჩხლობდი, სასაცილოდ ნუ მიგდებო და ჰპირდებოდი შენ დიასახლისს, რომ სასიამოვნო სტუმარი იქნები, კალათიდან ამოლებულ სხვადასხვა საჩუქრებს აძლევდი, თან ამასაც ეუბნებოდი, "ჩემმა ქმარმა "ჯამაგირები" აიღო, და ფულიც მოგიტანეთო, (იმ ხანებში ჯამაგირს ძალიან გვიგვიანებდნენ, ალბათ შენს პატარა თაეში ამისი შედეგი იყო, რომ ფულიც მოუტანე.

სხვებთან რომ სთამაშობდი, შენ სიცელქეში მთავარი როლი შენა გქონდა, მაინც და მაინც იმათ ყურსაც არ ათხოვებდი, ვისაც როგორც უნდოდა, ისე შეიქცევდა თაესა.

მე კი პატარაობისას რეჟისორობას ვეწეოდი, რასაკვირველია, არც თეატრი მენახა და არც არაფერი ამისი მსგავსი.

ამ ჩემ მოღვაწეობას ასპარეზი ვუპოვნე ჩემ დიდ ბებო ნანასთან სოფელ კონდოლში, სადაც სახლს ისე ავფუტკნიდი, რომ ხმასაც არავინ გამცემდა.

ეს ჩემი დიდი ბებო, იყო დედა ბებო ლიზასი, მაშასადამე, დედაჩემის ბებო, რა ჯანით სავსე, მხნე ადამიანი, მისი ავადმყოფობა არავის გაეგონა. ზამთარში ხელ-პირს გარეთ იბანდა, დიდხანს იცოცხლა, შეიძლებოდა ჩემ შვილსაც მოსწრებოდა, რომ დროზედ მეფიქრა ოჯახიანობაზედ.

ჩემი მისვლა კონდოლში მისი ბედნიერება იყო და აბა რას დამიშლიდა. კისისხევში ბევრი მყვანდა მწერთნელი და ამას ვერიდებოდი.

მახსოვს ჩემი შეთხზული სცენა, რომელიც კონდოლში განვახორციელე. ვიქნებოდი მაშინ ცხრა-ათი წლისა.

ამის მონაწილენი იყვნენ ჩემი ნათესავ-ბიძაშვილები დედის მხრივ, ძია სანდროს ორი ქალი, ერთი ბიჭი და მე.

ყველას ზეპირად ვასწავლე, ვის რა უნდა ეთქვა, ან როდის; დავურბინეთ მეზობლებს და ვთხოვეთ ჩვენ წარმოდგენაზედ მოსულიყვნენ.

ოთახში გაბმული ზეწარი ფარდის როლს თამაშობდა და მეორე მხარეს, სადაც ბუხარი იყო, იმის გასწვრივ სცენა იყო მოთავსებული. ეს ბუხარი იყო ჩემი შემოქმედების მთავარი საგანი.

ჩემი არტისტები, ყველა ჩემზედ უფროსები, ღელავდნენ, რომ თავიანთი როლები არ დავიწყებოდათ, მე კი ვამშვიდებდი, არა უშავს რა, იოლად წავალთ მეთქი. ეს "იოლა" პატარაობიდანვე მესმოდა და ხშირად გამცრუებია იმედი ამ იოლას წასვლისა, რადგან მის ხსენებაზედ მე ყოველთვის ჩარდახიან ურმით მოგზაურობის მოლოდინში ვიყავი.

საღამოზედ ჩვენი ეზო ხალხით იყო სავსე, სოფლის პატარბლებს რაც კი ჰქონდათ მოსართავი, ზედ ეცვათ, ზოგი მათგანი კორსეთშიაც გაჭედილიყო.

ერთი სიტყვით ხალხი გვეწვია.

კონდოლის საზოგადოებაში ერია ერთი მსახიობი ჩვენი ქართული თეატრისა, კოტე ჩელიძე, სხვებზედ ადრე მოვიდა, დაინტერესებული ჩვენი ინიციატივით და მკითხა, თუ ვისი პიესა გვაქვს სათამაშოდ გამზადებული და მთხოვა, თუ მოვისურვებდი, მოკრნახებედ ის ყოფილიყო.

ჩვენ ეს ჭკუაში არ დაგვიჯდა, ვიფიქრეთ, რომ გვეხუმრებოდა და ისიც გავაგებინეთ, რომ ჩვენ დაწერილი პიესა არა გვაქვს, არამედ ყველამ ვიცით, ფარდის ახდისას რა უნდა ესთქვათ და ამზედ გავათავეთ მასთან ჩვენი ლაპარაკი.

ალბად გუნებაში ბევრი იფიქრა ჩვენზედ და ბევრიც იცინა ბებო ნანას სასთუმრო ოთახში, რომლის კედელს ამშვენებდა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველის დიდი სურათი, არ ვიცი, ძია

სანდროს რად უნდოდა ეს სურათი, ალბად ნიშანი უნდა ყოფილიყო მისი ერთგულებისა; ხალხი რომ დალაგდა და სიჩუმე ჩამოვარდა, გადავწიეთ ფარდა, მიმქრალ ბუხრის წინ იჯდა ჩემი ბიძაშვილი მაშო შავებში საწყლურად ჩაცმული, იგი თავის მძიმე ცხოვრებას გეიამბობდა, ცალი თვალი კი კარებისაკენ ეჭირა და საშინლად ღელავდა;

ვითომ გარეთ დიდი ქარიშხალი იყო, თოვლიც მოდიოდა, ამ საშინელ ამინდში თავისი დედისერთა ნიკო ტყეში ჰყავდა გაგზავნილი, რომ ერთი მხარი წვრილი შეშა და ფიჩხი სახლში მოეტანა.

უბედურება ჩვენი ის იყო, რომ გარეთ მშვენიერი ზაფხულის მთვარიანი ღამე ანათებდა. ამის დამალვა ჩვენს ძალას აღემატებოდა, მაშ ისე უნდა ეთამაშნა მაშოს, რომ დამსწრეთ საშინელი ამინდის სურათი ჰქონოდათ.

დიდი ლოდინისა და მღელვარების შემდეგ ამ ქვრივი დედაკაცის სახე გაბრწყინდა, როდესაც მიმქრალ ბუხრის წინ ნიკომ გაინთავისუფლა თავისი პატარა მხრები ამ უზარმაზარ ტყვრთისაგან და თავისი თაეგადასავალი, დათვის შორიდან თვალის მოკერა, ტურების ზმუილი და სხვა თავის დედას აგუზგუზებულ ცეცხლა პირას დაწვრილებით უამბო.

ეს ვითომ შობის წინა ღამე იყო.

პატარა ხანს არ გაუვლია, რომ ვილაცამ კარები დააკაკუნა, შემოვედი მე დიდი ქალის ტანისამოსში, ეს კი დამავიწყდა, რომ სუსხიანი ზამთრის სურათი უნდა ყოფილიყო ყველგან და ყველაფერში. მე თავზედ დიდი ჩალის ქუდი მეხურა ყოველნაირი ყვავილებით მორთული, ამაზედ, რასკვირველია, დიდი პირბადეც, რომელიც ქუდს რომ ჰფარავდა, მეც ყელზედ მქონდა შემოხვეული, საიდან ავიღე ეს მოდელი, ღმერთმა იცის, მაგრამ სასაცილო კი უნდა ყოფილიყავი.

მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელიც საშიშროებას მიქმნიდა, რადგან გრძელ კუდიან კაბაში ვიყავი გახვეული.

ხელში დიდი კალათა მეჭირა და შიგ რა მეწყო, არ მახსოვს, ალბად ამ საწყალ ოჯახისათვის საჭირო საგნები, უფრო ტანისამოსი. ეს კი ვიცი, შაქარი და ჩაიც მქონდა დაბინავებული, რაც უმთავრესია, იმოდენა ფული, რომ მეორე დღესვე ეს ოჯახი უნდა ახალ სახლში გადასულიყო და ბედნიერად გაეტარებინათ თავიანთი ცხოერება.

მე მოვდიოდი შორეული ქვეყნიდან, მინდოდა ამ შობის წინა ღამეს სიკეთე დამეთესნა და აი მივადექი ამ სოფელში ყველაზედ ღარიბ ქვრივის ოჯახს.

რას ველაპარაკებოდი დედა-შვილს ან ისინი რა გაოცებულები და ბედნიერები მისმენდნენ, ამას ველარ ვიგონებ, რადგან ეს მეტისმეტად შორეული ამბავია, ჩემი როლი დავიწყებული მაქვს და ველარც "იოლას" მივდივარ, ჩემო გენაცვალები, ჩემო თოლიავ.

მახსომს მხურვალე ტაში, რომლითაც ჩვენი ტრუპა საზოგადოებამ დააჯილდოვა, მოჰყვა გიტარა და დაირა, გაიმართა ლხინი.

კოტე ჩელიძე აღტაცებული იყო "ჩვენი თეატრით" და უფროსებისაგანაც ბევრი ქება მოვისმინეთ.

თავმოწონებული დავბრუნდი ერთი კვირის შემდეგ კისისხევში და დედას ყველაფერი დაწვრილებით ჩავუკენჭე.

ართანაში კი მეორე ზაფხულს, როდესაც ვეწვიე ჩემ საყვარელ მამიდაშვილ მანანას, გიგლო ყარალაშვილის მეულლეს, ცოტა არ იყოს შიშის ზარი დაეცი სოფლელებს, მამასახლისი დადიოდა კარდაკარ, და მცხოვრებთ აფრთხილებდა, "სახლები გაამაგრეთ, სოფელში ციგნები არიან შემოსულებიო".

ეს ციგნები ვიყავით მე, მანანას ორი გერი ელენე და დაგმარა, პირისახე მურით შელებილი, უცნაურ ძონძებში და ნაგლეჯებში, აკონწიალებულნი მძივებსა და ჯაჭვებში ეშმაკების მაშხალებსა ვგავდით, დავდიოდით კარდაკარ და უცნაურ ენაზედ ვლაპარაკობდით, ისე რომ არც ჩვენ გვესმოდა და მითუმეტეს არც სხვას, ვთავაზობდით მკითხაობას, ბედის ამბებს, მაგრამ ჩვენ დანახვაზედ გულგახეთქილები მირბოდნენ უგზოუკელოდ ეს ართანის ახალგაზრდა გოგოები, ჩვენ უკან მიუდევდით ამ საცოდავებს, ვანიშნებდით, რომ სანდონი ვართ და ხელებს ზეითი ცისკენ ვიშვერდით, ღმერთს ვიმოწმებდით, მაგრამ წიოკობით გაგვირბოდნენ, იმათ არაფერი უნდოდათ, ოღონდ ჩვენი სანახაობა აეცდინათ და აღარ ენახათ.

ამ ძველ ამბებს რომ გიამბობ, ჩემო თეო, მაგონდება მე და შენი უმწეობა მამას სიკვდილის შემდეგ კლამარში.

ჩვენთვისაც კი მისწრება იქნებოდა, ზამთარში გამქრალ გუმელთან რომ ვისხედით, ერთი გუდურა მოეტანა ვისმე, თუმცა ტყესთან იქვე ახლო ვიყავით, მაგრამ პატარა ბიჭი ნიკო, ჩემი პიესის ერთ-ერთი გმირი კი არა მყვანდა გვერდით, არამედ მოზრდილი ქალი, რომელიც საყვარელი მამის სიკვდილის შემდეგ დამბლადაცემულიყოთ ეგდე და ფიჩხის მოტანას ვინ იტყვის, განძრეულაც კი გიძნელდებოდა, თმას ხომ მე გვარცხნიდი, ხელები დადუნებული გქონდა.

ან ის გრძელკუდა კაბიანი, უცხოელი ქალი რომ შემოგვსწრებოდა, ჩვენ ბედს ხომ ძაღლიც ვერ დაჰყეფდა, ქართველობაც კმაყოფილი და მადლიერი გვეყოლებოდა.

მისვლა-მოსვლა გახშირებოდა, ქართული სუფრა გაიშლებოდა, სადღეგრძელოები არ იკლებდა, შენც გამოსული იქნებოდი აქ უცხოეთში, როგორც თვალსაჩინო პიანისტი, ასე ფიქრობდა შენი პროფესორი ივ ნატი, მაგრამ ცხოვრებამ ჩვენ ვიწრო, ოღროჩოღრო გზა გვარგუნა.[1]

---

[1] ჩვენი სიმღერა (ორი ქოთანი ვიყიდე-ს ჰანგზედ 1956 წელს ოტელიდან რომ წამოვედით უგზოუკელოდ) →

მესამე კლასთან დაკავშირებული ზოგიერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებისა

როგორც არაერთხელა მაქვს შენთვის ნათქვამი, უმეცების შემდეგ ძალიან მიძნელდებოდა თელავში სხვისა ოჯახში დაბრუნება და იქ უდედოდ ყოფნა.

გარდა ამისა არაეითარი გაბართობი არა მქონდა; სასწავლებელში 14 იანვარს ნინოობას გეიმართავდნენ, საცეკვაო საღამოს, ნაშუაღლევის ხუთი საათიდან საღამოს რვა საათამდე, დაგვირიგებდნენ პატარა პარკუნებს ტკბილეულობით და ეს იყო და ეს.

მესამე კლასში ვიყავი, რომ ჩვენი სასწავლებელი დიდ სამზადისში იყო, თბილისიდან ელოდებოდნენ "დიდ სტუმარს", ე.ი.

"მე და თეო ქუჩაში ვართ ვაი
ერთი ჭერი გვენატრება,
მეგობრები არარ სჩანან,
სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირი,
ჩემიანსაც ველარა ვცნობ ვაი
ყველამ კარი მოგვიკეტა,
მგელ-კაცობა გაბატონდა
ეს ჩემია და ის შენი.
ყველაფერი შეიცვალა
ბველად ასე როდი იყო
გაჭირებულს არ ჰკიცხავდნენ,
ყველას გული ეწვებოდა.
მეგობრობაც ამას ჰქვიან.
დედა შვილი ქუჩაში ვართ,
მაგრამ ღმერთი მაღალია,
სამუდამოდ არ გაგვწირავს.
მეგობრებიც მოგვნახავენ,
გაშლილ სუფრას შეამკობენ,
სიყვარულსაც აღვითქვამენ.
მეგობრობა ამას ჰქვიან.

სექტემბრის 1-ს –1956 წ.

დღეს 28 წელიწადი სრულდება, რაც ჩემი სამშობლო და მასთან ერთად ჩემი საყვარელი დედა დავტოვე; მე და ჩემი თეო საქართველოდან წამოვედით და ენკენისთვის 16-ს პარიზში ვიყავით.

ს. კედია.

ოფიციალურ პიროვნებას. ეს იყო მეფის ნაცვლის, გალიცინის მუღლე. ეზოში გვაარჯიშევდნენ, როგორ უნდა მივსალმებოდით ამ ძვირფას სტუმარს. ეს იყო ოქტომბერში, მშვენიერი შემოდგომის ამინდი იდგა და ჩვენც ეზოშო სიამოვნებით ვტრიალებდით. ერთ ჩვენთაგანს ევალებოდა სტუმარს შემოსვლისთანავე დიდი თაიგულით მისალმებოდა, ამისთვის გამგემ აირჩია ერთი რუსი მოხელეს ქალი, ეს იყო გვარად პეტუხევა, ჩვენი კლასის ერთად ერთი რუსი. დანიშნულ დღეს და საათს გამწკრივებულნი სიხარულში ველოდებოდით, უფროსები ღელავდნენ, თითქოს ეშინოდათ, არაფერი შეცდომა არა ჰქონოდათ ამ ოფიციალურ დახვედრაში, ჩვენ კი მაინც ვახერხებდით ჩუმად ლაპარაკს – მისი მილებაც გათავდა, ცოტა ხნით შემოვიდა, აგვიარ-ჩაგვიარა, მიართვეს თაიგული, რამოდენიმე სიტყვით გამგე დაკმაყოფილა და წავიდა...

ალბად იმისათვის უფრო საყურადღებო იყო, წინანდლის საუფლისწულო მამული დაეთვალიერებინა, სადაც რთველი კიდევ გრძელდებოდა, ვიდრე ჩვენი ავკარგი გაეგო. მართლა და იქ ეჩქარებოდა წასვლა, სასწაელებელს დაუტოვა ათი თუმანი, რომ მოწყვეებისათვის გამართულიყო რაიმე გასართობი.

ამ თანხით ნოემბერში მოგვიწყეს საცეკვაო საღამო სამხედრო ორკესტრით, ჩემთვის ეს საღამო საბედისწერო აღმოჩნდა.

ძალიან ბევრი ვიცეკვე და ნაყინიც ბევრი გვახელი. იქიდან რომ გამოვედი, ხმა წართმეული მქონდა, მეორე დღეს ხომ ველარც ვლაპარაკობდი, თითქმის ერთი წელიწადი ასე დავრჩი.

უნდა გითხრა, შვილო, რომ დიდი ხმა მქონდა, იმდენად ძლიერი იყო, რომ გუნდში ყოველთვის ჩემი ხმა სჭარბობდა.

შაქრო ხშირად თავისთან მამღერებდა და სტუმრებთან თავმოწონებული იყო, ჩემით ამაყობდა.

ჰო და ეს ხმა მთლად დაკარგე, ამასთან ერთად დამეწყო სიცხეც, ასე რომ დედას შეატყობინეს ჩემი ამბავი; შენ წარმოიდგინე, ამ მდგომარეობაში გაკვეთილებზედ სიარულს მაინც ვახერხებდი, მაგრამ ლაპარაკის მაგივრად ჩემი ჩურჩული ისმოდა.

დედამ რომ ექიმთან მიმიყვანა, აღმოჩნდა, რომ ფილტვები დასუსტებული მქონდა და მისი რჩევით "ეხლავე სოფელში უნდა წაიყვანოთო".

დედამ დაღონებულმა მომიყვანა სახლში, ძალუა მაშოს რაღაც ჩუმად გაუზიარა; მაშინათვე დამაწვინეს, დიდხანს ვიწექი, ვიდრე სიცხე მქონდა, თხის რძე და კარგი პაერი ჩემთვის უებარი წამალი აღმოჩნდა, მაგრამ ხმას არაფერი ეშველა.

მახსოვს, ახალწლის დღეს ქეშაგებში ვარ, უცებ ოთახის კარები იღება და ვისა ვხედავ, ჩემ საყვარელ ძმას, ირაკლის, როგორ გავიხარებდი და ბედნიერი ვიქნებოდი, ეს შენ წარმოიდგინე, შენ კარგად იცნობ ჩემ ბუნებას.

ჩემი ავადმყოფობა ირაკლის თბილისში გაუგია და ამ შუა ზამთარში წამოსულა და გომბორის გზა გამოუვლია, საჩქაროდ მოვიდა, იქნება ავადმყოფობას არ დასჯერდნენ და მეტიც უთხრეს,

როგორც ეს მოხდა ჩვენს სასწავლებელში, იქაც გაუვრცელებიათ ხმა, რომ ამ გაციებას მე თან გადავყევ.

დავრჩი ასე მთელი ზამთარი, სწავლის შეწყვეტა მაწუხებდა, მაგრამ რა გაეწყობოდა.

ზაფხულში ხომ სრულიად გამოვკეთდი, დედას თელავში გავყევ, ქუჩაში შევხვდით ჩემ რუსული ენის მასწავლებელს ელენე შიუკაშვილს, გაჩერდა, თითქოს თვალებს არ უჯერებდა, მომიახლოვდა, სიყვარულით მიყურებდა: "მერე როგორ გაზრდილხარ, სონა, ჩვენ კი გულები გაგვიხეთქეო".

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ იმისაგან ქართული ლაპარაკი გავიგონე, დარწმუნებული ვიყავი, რომ იმან ქართული ლაპარაკი არ იცოდა.

შემოდგომაზედ რომ მიველი ისევ მესამე კლასში, სხვა მოწაფეებთან მომიხდა ყოფნა, მალე შევეჩვიე და ზოგიერთ მათგანს კი მჭიდროდ დაეუკავშირდი, და იმდენად, რომ მათ მიმართ თითქმის ნათესაური გრძნობები მთელ ჩემ ცხოვრების მანძილზედ გამომყვა.

ესენი იყვნენ ლიზიკო აბელაშვილი, სალომე ყარანგოზიშვილი, თამარა ჩოლოყაშვილი და ნინო როსტომაშვილი.

ამ უკანასკნელის ოჯახში ვიცხოვრე ბოლო წლები და დიდი კმაყოფილიც დავრჩი.

ამ ხუთეულს გადაღებული გვაქვს სურათი, ძალიან მინდა, ჩემო თეო, შენი პარიზული თვალებით ამათ დაჰხედო, ალბად ცოტა გაგეცინება, რადგან ჩვენ სიკეკლუცეზედ არაფერი ითქმის, ამისდა მიუხედავად ჩვენ ვიყავით მთელი სასწავლებლისათვის ერთგვარი სანიმუშო მაგალითი ჩაცმა-დახურვის საკითხში; ჩვენ ვიცოდით, სეზონის დასაწყისში როგორი ქუდები უნდა დაეხურათ ქალებს, ჩალისა თუ ზამთრისათვის შესაფერისი თბილი, ერთი სიტყვით ჩვენ-ცა ვწვალობდით და სხვასაც ვალიზიანებდით.

დანარჩენი მოწაფეები ამ ხუთეულს უწოდებდნენ ალბად, ცოტა არ იყოს, პატარა ირონიით: "ზაველენსკაია არისტოკრატიას"-ს.-

ამ ხუთეულის სურათზედ კი გელაპარაკები, მაგრამ როგორ დაჰხედავ, როდესაც ის საქართველოში მაქვს დარჩენილი სხვა ბევრ საგნებთან ერთად.

მაშ ჩვენ კარგი მეგობრობა გვქონდა, კეირაობით ყოველთვის ერთად ვიყავით, უფრო ხშირად ლიზიკოსთან, რომლის ოჯახი თელავში ცნობილი იყო.

ბევრი ნათესაობის პატრონი, კარგად მოწყობილი სახლი ყველასათვის სასიამოვნო, რაც უმთავრესია, დისახლისი მეტისმეტად კარგი ადამიანი. ლიზიკოს დედა იყო სოლომონ ჭავჭავაძის ასული და მამა მისი - მხედარი პოლკოვნიკი, მათი ერთადერთი ვაჟი რუსეთის სასახლის გვარდიის ოფიცერი, სონა უფროსი და ლიზიკოსი ჩვენი სასწავლებლის ერთ-ერთი მასწავლებელი იყო, მისი უმცროსი და ლელია კი პეტერბურგის ქალთა ინსტიტუტის მოწაფე.

აი ეს ოჯახი, რომელიც ჩვენი წრისათვის მახლობელი და საყვარელი რჩებოდა.. იმ დროს ევროპაში წამოსელა ხშირი არ იყო, თუ ვინმე ამას ახერხებდა, ეს მოსაწონი და მისაბაძიც კი იყო, იმჟამად რამოდენიმე მასწავლებელი და მათ შორის ეს სონა აბელიშვილიც პარიზის მსოფლიო გამოფენაზედ წამოვიდნენ, იქიდან დაბრუნებისას, ყველა მათგანი ველტი გახდა თელავში სონას კითხვებით თავს ვაბეზრებდით და რასაკვირველია, საღამოზედ კი უფრო მეტი მასალა თავის სტუმრებისათვის ჰქონდა შენახული.

ამ მესამე კლასის მოწაფეებს, უფრო კი ამ "ზაველნსკაია არისტოკრატიას" ცუდი საქმე დაგვემართა, რამაც მთელი სასწავლებელი ფეხზედ დააყენა;

მეოთხე კლასში გადასასვლელად გამოცდები გვქონდა დანიშნული, საშინლად გვინდოდა გაგვეგო, არითმეტიკაში რომელ ამოცანას მოგვცემდნენ.

ვიცოდით, რომ ეს საკითხი პედაგოგიურ საბჭოში სწყდებოდა და საგანგებო ჟურნალში უნდა ყოფილიყო აღნიშნული.

თამარა ჩოლოყაშვილის დეიდა, ჩაჩიკაშვილის ასული, ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი იყო. იგი თავის დისწულს, თუმცა მორიდებით, ყურადღებას არ აკლებდა და ხშირად სამასწავლებო ოთახშიაც შეჰყავდა.

გამოცდის წინა დღეებში თამარას აურჩევია მომენტი, როდესაც სამასწავლებლო ოთახი ცარიელი იყო, მიუდგამს სკამი, ჩამოუღია ეს ჟურნალი, გადაუშლია ფურცლები და იქ წასწყდომია იმას, რაზედაც ჩვენ ვოცნებობდით.

როდესაც თამარამ ეს ნატვრის თვალი მოგვიტანა, კლასში სიხარულთან ერთად ერთგვარი შიშიც დატრიალდა. მართლაც ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ბედნიერება, რადგან ეს ამბავი მალე გახმაურდა.

სკოლის გამგეს გააგებინა ღვდელმა შიუკაშვილმა, რომელიც იყო ჩვენი საღმრთოს რჯულის მასწავლებელი, რომ მესამე კლასმა იცის, რომელი ამოცანა მიეცემათ გამოცდაზეო. ეს ცნობა მიღებული ჰქონდა თავისი ქალისაგან, კატოსაგან, მეოთხე კლასის მოწაფისაგან.

ვინ გაიტანა ეს ამბავი კლასიდან, ან რად ჩააბარეს ამ მეოთხე კლასის მოწაფეს, ეს ჩვენ ვერ გავიგეთ.

სკოლის ადმინისტრაციამ დაიწყო გამოძიება, ჩვენი დაკითხვა, ყველანი უარზედ ვართ, როგორც იყო, მიაგნეს ამ საქმის ავტორს, ჩვენ თამარას, ეს კი არ მახსოვს, თვითონ გამოტყდა თუ ათქმევინეს, ეს აღარ ვიცი.

ამ შიუკაშვილის ქალს, კატოს კი სასწავლებელში თითქმის აღარ მიესვლებოდა, მთელი მოცაფეობა ჩვენ მხარეს იყო და ყველა მხრიდან უყვიროდნენ: "იუდა, იუდაო". შეწუხებული და შერცხვენილი კატო სახლიაკენ მიეშურებოდა.

გათავდა ეს გამოცდებიც, რასაკვირველია, ამოცანის სხვა ნომერი მოგვცეს, მაგრამ ძალიან ვიყავით შეწუხებულები, როდესაც

შემოდგომაზედ მიეედით, ენახეთ, რომ ჩვენს ხუთეულს ერთი წევრი აკლდა.

თამარამ ამ შემთხვევის გამო იმდენი შენიშვნა და უსიამოვნება მიიღო, რომ გულაცრუებულმა სწავლა აღარ მოინდომა.

"როდესაც დედამ მკითხა, გინდა, შვილო, სასწავლებელში წასვლა, მე უარით ვუპასუხე"-ო. ასე მელაპარაქებოდა, ამ სიბერეში ერთმანეთს რომ შევხვდით ჯერ აქ ჩემთან კლამარში და მერე ინგლისში რომ ორჯერ დამსტიჟა და იმდენი სიამოვნება ვიგრძენი იმასთან ყოფნით, რომ ამას ვერც აღვწერ.

საქართველოდან რომ ჩამოვედი, სპირიდონმა მითხრა, რომ თამარამ ჩემი ამბავი იკითხა, თურმე წერილი მიუწერია და ისიც კი უთქვამს, რომ ის ჩემი პატარაობის მეგობარია.

მე მას გამოვეხმაურე მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, როდესაც კლამარში გადავედით, ცოტა ამოვისუნთქე და აქეთ-იქით მიეიხედე და თითქოს შესაძლებლად დავინახე ძველი ნაცნობობა აღმედგინა, კლამარიდან მივწერე წერილი, მაშინათვე მიპასუხა: "სონა, შენი წერილი რომ მიეიღე, მთელი ღამე არ მეძინა და მინდა გნახო, უსათუოდ ჩამოეალ ამ შობის დღეებშიო".

დანიშნულ დღეს, ხომ გახსოვს, მე და შენ წაველით სადგურზედ, ლონდონის ხალხი ჩამობარგული იყო, მათ შორის ვეებერთელა ჟუჟუნა თვალებიან თამარას, მაგრამ ვერავინ ვნახე, მხოლოდ ერთი თეთრთმიანი, მოხუცებული ქალი, ბეწვის ქურქში გახვეული, ისიც ვიღაცის ძებნაში იყო, უცებ მოგვადგა, ვერც იმან მიცნო, მაგრამ შენ რომ შემოგხედა, ეს ნამდვილად სონას გოგონა არისო და მხურვალედ მოეხვიეთ ერთმანეთს.

მოდიოდა ინგლისიდან ეს ჩოლოყაშვილის ქალი, მხოლოდ ინგლისელზედ გათხოვილი, კახური ძღვენით, ხელში მშვენიერი პლედი ეჭირა და შიგ გახვეული ჰქონდა ხოხობი...

სახლში რომ მოვედით, სპირიდონს სამუშაო თეთრი ბლუზა გაეხადნა და მხიარული თავაზიანობით მიიღო ეს ჩემი მეგობარი.

მეორე დილით რომ შევხედე, თვალი ვეღარ მოვაშორე, ჩემ წინ მშვენიერი ქალი იდგა, შავ ლამაზ თვალ-წარბს ეს მთლიანად თეთრი თმა არაჩვეულებრივად ამკობდა, კარგად ჩაცმულდახურული ძალიან ლამაზად მერჩენა.

დავიწყეთ პარიზში წანწალი, ვიგონებდით ჩვენ ბავშობას და ჩაბეჭირებული სიცილით ვბრუნდებოდით კლამარში.

დიჟონიდან გვეწვია მისი ნათესავი და ძველი ნაცნობი აქაზი ანდრონიკაშვილი, სპირიდონიც შემოგვიერთდა ამ კახელებს და იმანაც ამ მხიარულ წრეში ბევრი ისიამოვნა.

ერთ საღამოს კი დავუპატიჟე ზოგიერთი აქაური ოჯახი. მაგალითად, კვინიტაძის ცოლი, თამარას საქართველოდან კარგი ნაცნობი, მისი ქმარშვილი, ჩემი ბიძაშვილი ანეტა, მარგალიტა რები და აღარ მახსოვს, კიდევ ვინ.

ძალიან იმხიარულა ამ ინგლისელმა ქალმა და ვახშმის განმავლობაში ლეკურიც კი სცადა, აღარ იცოდა, თავისი ქართველობა როგორ აღენიშნა.

მე კი ნამდვილი გლახაჭრიაშვილი გავხდი, რაც უმთავრესია, იმას გზას ვუხვევ, და ისეთ საგანს და უფრო კი ისეთ ეპოქაში გადავდივარ, რომ მას არაფერი აქვს საერთო არც საქართველოსთან და მის სულიერ ცხოვრებასთან და არც იმ პატარა სონასთან, რომლის წარსული, შენ, ჩემო შვილო, ასე გიყვარს.

მაშ მეოთხე კლასში გადავედით, ამოცანაც უდავიდარაბოდ კარგად გავაკეთეთ, სხვა საგნებიც დავძლიეთ და მერე კი ზაფხული, როგორც ყოველთვის, ჩვენ სახლში, მრავალრიცხოვან ოჯახში უნდა გამეტარებინა.

კიდევ ჩვენი ოჯახის ავკარგი. შაქროს ქორწილი

შაქროს ნებიერი ბიძაშვილი ვიყავი, პატარაობისას შემისვამდა მხრებზედ და ისე მატარებდა, საახალწლოდ თელავიდან ჩემთვის ყოველთვის ჩამოტანილი ჰქონდა ფორჩიანი კამფეტები, ამიტომ მეც ხშირად ვუნებივრდებოდი ამ უფროს ბიძაშვილს.

მისი ქორწილი სამუდამოდ ალბეჭდილია ჩემს მეხსიერებაში როგორც დიდი სანახაობა და ვფიქრობ, მართლა ეს იყო უკანასკნელი ქართული ქორწილი კახეთის მემამულეთა ცხოვრებაში.

ეს იყო ძია გაბოს სიკვდილის სამი წლით ადრე.

ჩვენი ოჯახის მუსიკალობა და შაქროს არაჩვეულებრივი ხმა, ტენორი

როდესაც ჩვენს ოჯახზედა ვფიქრობ, მაშინათვე მებადება სურვილი მის მუსიკალურ ნიჭს შევეხო.

ჩიჯავაძეები თითქმის ყველანი კარგად მღეროდნენ, ძველად მათ შორის საეკლესიო გალობის დიდი ოსტატნიც იყვნენ, ძია დავითი.

პაპაჩემს სოლომონს ცოლად ჰყავდა იქვე კისისხევში მცხოვრებ აზნაურიშვილი ბახუტაშვილის[1] ასული კეკე, რომლის გვარიც მუსიკალური ნიჭით იყო ცნობილი, მაშასადამე სოლომონის

---

1 შენ იცი ჩემო თეო, ერთხელ ქართულ პრესაში აღნიშნული იყო — და რაც უმთავრესია არავითარი დემანტი თავის დღეში არა ყოფილა, რომ შალიაპინი, რომელმაც თავისი პირველი კონცერტი თბილისში გამართა, გვარად თურმე ბახუტაშვილია!

ჩამომაელები ორივე მხრიდან მუსიკალური მემკვიდრეობის მატარებელნი აღმოჩნდნენ.

ზაფხულობით ხშირად ჩვენი აივნიდან კარგი გუნდის მიერ შესრულებული ქართული ჰანგები კისის ხევის მიდამოს ეფინებოდა.

ჩვენ შორის ყველაზედ საყურადღებო იყო უფროსი ბიძაშვილი შაქრო. მისი ხმა თავისი მოცულობით, სიუხვით და გაშლილობით იშვიათი მოვლენა იყო. ეს ტენორი თავისუფლად იღებდა *რეს*! ამასთან ეს დიდი ხმა კარგი ტკბილი ტემბრიანიც იყო. თვითონ სიმღერის თქმის მანერა მკაფიო დიქციით მსმენელი აღტაცებაში მოჰყავდა. ხშირად მამაკაცებიც ვერა მლავდნენ თავიანთ გრძნობებს და თვალცრემლიანები შესცქეროდნენ ამ ბუნებით დავჯილდოებულ არსებას.

მაღალი ტანის მქონე, წარმოსადეგი, განიერ მხარბეჭის პატრონი იგი კარგი სანახაობა იყო, ლამაზი მიხვრა–მოხვრა ჰქონდა, ბუნებით გრაციაც არ აკლდა. მის სასდომიან სახეს ამშვენებდა ქერა წვერ–ულვაში ლამაზ ტუჩ-კბილით შემკული.

სიმღერის დასაწყისში წელში გასწორდებოდა, მხრებს შეარხევდა, ბაგედან მშვენიერ ხმას მოპფენდა და მსმენელს ნეტარებაში გადაიყვანდა.

ზაქარია ფალიაშვილი კახეთში რომ მოგზაურობდა, ჩვენთან ხშირად მოდიოდა ძველი ხალხური სიმღერების ჩასაწერად. აღტაცებული იყო შაქროს სიმღერით, ამბობდა: "ამ კაცს ბუნებით აქვს ხმა დაყენებული"ო. "ჩაკრულა" უმღერა, და იმან ეს თან წაიღო, გადაღებული.

პ.შ. ეროონცოვმა ჩვენი შაქრო რომ მოისმინა, მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: "ჩემ სიცოცხლეში ამის მსგავსი არ გამიგონია, კარუზო არაფერია, ამ კაცს რა უნდა ამ სოფელში, მსოფლიოს მაშტაბით იქნება ცნობილი"ო.

სხვათა შორის ვანო სარაჯიშვილი, განცვიფრებული, თავის გაოცებას ვერა მლავდა როდესაც კისისხევში ამოვიდა და ორივემ ერთად იმღერეს! "შენი ადგილი ოპერაშია"ო უთქვამს.

შაქროს ქორწილი

ათი წლისა ვიყავი, რომ ჩვენს ოჯახში შაქროს ქორწილისათვის დიდი მზადება იყო, სახლის შეკეთება, მოსაწვევი წერილების დაგზავნა სოფლიდან სოფელში, სანოვაგის დამზადება, თუმცა ეს ყველაფერი სახლში იყო, როგორც მაგალითად, საკლავი, ძროხები, ცხვარი და ყოველნაირი ფრთოსანი.

ოთახების შოვნა და მათი მოწყობა შორისოფლიდან მოსულთათვის, რომ ღამე რიგიანად გაეტარებინათ, ვარაუდობდნენ ოთხას სულამდე; ქორწილი დანიშნული იყო მკათათვის ოცისათვის.

ამოდენა ხალხის დახვედრა და გაძღოლა იოლი საქმე არ იყო, ამიტომ თელავის სასტუმროებიდან და კლუბიდან მოსამსახუ-

რენი, ლაქიები იყვნენ დაბარებულნი, ჩვენი ახლომახლო სოფლებიდან კარგი მზარეულები კისისხევში მცხოვრებ ტიტიკო ყაველაიშვილის თანაშემწეებად.

ეს ტიტიკო თავის დარგში ნამდვილი "მეტრი" იყო, როგორც მზარეული. მას კარგად ჰქონდა შესწავლილი ქართული და ამავე დროს ევროპიული საჭმელების გაკეთების წესები. ის ცნობილი იყო არამც თუ ადგილობრივ, არამედ სხვაგანაც. დაღესტანის მმართველმა, კიკო ვახვახიშვილმა ტიტიკო თავისთან დაღესტანში წაიყვანა, რომელთანაც თბილისიდან, მეფისნაცვალთან სტუმრად მისულნი რომანოვები ხშირად მოდიოდნენ სანადიროდ, მასპინძელს იმედი ჰქონდა, რომ იმისი სტუმრები კარგად იგემებდნენ ტიტიკოს მომზადებულ სადილ-ვახშამს.

ჩვენი მემამულენი ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ კარგ ოსტატს. ვისთან არ იყო ეს ხელმაძღიანი კაცი, ძია გიგლოსთან ართანაში, კაკოსთან დაღესტანში, სოსო ქობულაშვილთან, ჩვენთან და სულ ბოლოს კოტე ბახუტაშვილთან, რომელსაც უკვე ხანში იყო შესული. შაჟი სათვალეებით დასტრიალებდა პლიტას და როდესაც საჭმელს აკეთებდა, სამზარეულოში არავის უშვებდა.

აი სწორედ ამ ბოლო ხანებში პირველად ესტუმრა კისისხევს მისი სიძე სპირიდონი, რომლის პატივსაცემლად ძია კოტემ სადილი გამართა, იმ დღეს ტიტიკოს მშვენიერი ნახელარი უკანასკნელად ვიგემე, სპირიდონიც დამეთანხმა მის ქებაში, მეტადრე მწვანე ლობიოს შეზავებაში მას ბადალი არა ჰყავდა.

ჰოდა ეს იყო შაქროს ქორწილში სამზარეულოს უფროსი.

თბილისიდან გამოწერილი იყო შამპანიური და "ლოტიდან" ტკბილეულობა. დაბარებული იყო დმკერელთა დასტი ცნობილ მეთაური შირინას ხელმძღვანელობით, ამ დასტში როგორც ინსტრუმენტი შედიოდა: თარი, ჭიანური, დაირა და დიპლიპიტო, რასაკვირველია, ადგილობრივი დფა-ზურნა, დუდუკი და სალამურიც იყო ნაგულისხმევი.

ერთი სიტყვით, სოფელი დიდზეიმის მოლოდინში იყო.

შაქრო თავისი სურვილის წინააღმდეგ დანიშნული იყო კატო ლეონიძის ასულზედ, რომელსაც სიმთვრალეში პირობა მისცა და თავისი მასრა საჩუქრად გადასცა. სიტყვა ველარ გატეხა და გაიუბედურა თავი, მას სხვა ქალის შერთვა უნდოდა, ეს იყო კოტე მაჭავარიანის ასული, მშვენიერი თვალად-ტანადი, რომელიც შემდეგ გიყიმყრელზედ გათხოვდა.

იწერდა შაქრო ჯვარს, მაგრამ ვაი იმ ჯვარის წერას, მოჰყავდა ულამაზო და უხასიათო ადამიანი...

შაქრო, მშვენიერი შესახედავი, წარმოსადეგი, 24 წლის ყმაწვილი, კახეთში ერთ-ერთი თვალსაჩინო საქმროთაგანი, კარგი დედ-მამის და ოჯახის პატრონი იყო. არც ერთი ოჯახი თავის ქალს არ დაარიდებდა.

ამ ქორწილის შემდეგ მშვენიერი ელენე როსტომაშვილის დედა ამბობდა: "შაქროს რომ ჩემი ელენე ეთხოვნა, ჩემ ქალს ოქროს სინზედ დავსვამდი და ისე მივათხოვებდიო".

ქორწილის წინა დღეებში პატარძლის მზითევი მოიტანეს, საწოლი ოთახი დედაჩემმა და მანანამ მოაწყეს. მანანა თავისი აკვნიანი ბავშვით ერთი კვირის წინ იყო მოსული. ეს იყო ლიზიკო, რომლის ტირილი ყველას აწუხებდა. პატარძალს დედამთილმა და მამამთილმა პირისანახავად მაგიდაზედ ორი ვერცხლის სურა დაუხვედრეს.

ოთახი ცისფრად შეღებილი, ორი საწოლი, ზედ ცისფერივე აბრეშუმის საბნებით, და თუ ამას შუა ოთახში ჩამოკიდულ ცისფერ სანათურს და მეფისა და პატარძლის ლურჯ თვალებსაც დავუმატებთ, ერთგვარი ჰარმონია უნდა დამყარებულიყო ამ ლამაზ ახალ ბინაზედ.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ახალი თაობა ვერ შეურიგდა ძველს, მათ შორის ხშირი იყო გაუგებრობა, ამიტომ შაქროს მშობლები იძულებულნი გახდნენ თავიანთი კერა სამუდამოდ დაეტოვებინათ და სხვაგან, საშინელ პირობებში, უცხო ხალხთან გაეთავებინათ თავიანთი დღენი. ("დედამთილი, მამამთილი, терпеть не магу"ო, - კატოს ნათქვამი ჩემთან.)

ამასთან შაქროს მეტისმეტად რბილი, დამთმობი ხასიათი ვერაფერს გახდა, იმისდა მიუხედავად, რომ ჯვარდაწერილმა სახლის შემოსასვლელ კარებში თეფში თვითონ გატეხა, ოჯახის მეთაური მისი ცოლი იყო.

საქორწილოდ შაქროს ნათესავები, მეგობარი ყმაწვილები მთელ სახლს შესაფერისად აწყობდნენ და რთავდნენ: მისალებ, სასტუმრო ოთახს ყვავილებით და მწვანე დაწნულ გირლიანდებით, გაკრულ ხალიჩაზედ კედელს ამშვენებდა ყვავილებით შემკული მეფე-პატარძლის სახელების პირველი ასოები: ყმაწვილებმა ცოტა იცულლუტეს, ეს ორი ასო ზ-ზაქარია და ე-ეკატერინე ისე გააკეთეს, რომ ზაზგასმით სჩანდა, ეკატერინე ტანით ბევრად ჩამორჩებოდა ზაქარიას: ზე.

აივნიდან მოყოლებული, სახლი გარშემო ფერადი ფანრებით იყო გაშუქებული.

ეზოში რამოდენიმე ფანჩატური მაგიდებით და სკამებით იყო გაჭიმული, ესეც იგივე ფერადი ფანრებით შემკული და გალამაზებული.

ცოტა მოშორებით იყო ერთი ფანჩატური მოსამსახურეებისათვის. წინა საღამოს მოვიდა შირინა თავისი დასტით, მახსოვს ეს სურათი, სასტუმრო ოთახში, იმჟამად ცარიელში, ძია გიგლოს, მანანას ქმარს, ამ მშვენიერ მეთარეს, შეეყვანა შირინა თავისი თარით და სთხოვდა სხვადასხვა ჰანგის შესრულებას, ძია გიგლო, ტანით უზარმაზარი, თავს ედგა ამ ჩვენ მუსიკოსს, რომელიც სულ პატარა არსებად მოსჩანდა და ამავე დროს დამორჩილებულად ასრულებდა

კარგი მეთარის თხოვნას და ხელოვნურად სცემდა თარის გაჭიმულ სიმებზედ თავის მიზრაფს.

უკანასკნელ საღამომდე ძალუა საშა თავისი სამი ქალით კიდევ საკერავში იყვნენ. უფროსი ქალი თამარა, იმ წელიწადს გიმნაზიის კურსდამთავრებული, ოქროს ჯვრიანი ქალი ამ ქორწილში თეთრ კაბაში იქნებოდა, მისი მომდევნო დები, ანეტა და ელენე პირისფერებში; მეც პირისფერი კაბა შემიკერეს და რასაკვირველია, შეჩქარებოდა მისი ჩაცმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩვენი ოჯახის საქორწილო სამზადისს და თვითონ ქორწილს აკლდა ჩვენი მახლობელი წევრი ძია ილიკო თავის ცოლშვილით.

ნუთუ ძნელი იყო თბილისიდან მთელი ოჯახის თუ არა, მისი უფროსი ქალის - ნატაშას დასწრება, ამ ახალგაზრდა, ეშხიანი, კარგი მელეკურესი, რომელიც ჩვენი ოჯახის უფროსი ქალი იყო, ან მისი ძმა ვანოსი, მაშინ კიდევ მოწაფე, მაგრამ გარეგნობით რჩეული თვით მოწაფეთა შორის.

არ ვიცი, როგორ მოხდა ეს უცნაურობა, რა მიზეზით.

ქორწილის დღეც გათენდა. დილიდან შაქროს გარს ეხვეოდნენ მისი მეგობრები; ესენი მაყრად იყვნენ გამზადებულნი. ზოგი მათგანი ცდილობდა შაქრო გაერთო, ხან ეხუმრებოდნენ, ხან კი თავს იკავებდნენ და ერთმანეთს აჩუმებდნენ, რომ ეს დიდი მომენტი, როგორც იყო ჯვრის დაწერა, წინასწარ თვითონ შაქროს თვალში არ შეენელებინათ.

სამეფო თეთრი ტანისამოსი, ე.ი. თეთრი ჩოხა-ახალუხი შემოიტანეს ხატების ოთახში და დაუწყეს შაქროს ჩაცმა, "შენ ხარ ვენახი"-ს გალობით, გალობდნენ კიდევ ამ მომენტისათვის შესაფერის საგალობელს, სამწუხაროდ, ჩემი მეხსიერებიდან მთლად ამოღებულს და დაკარგულს.

კარგი მომღერლები იყვნენ თავმოყრილნი: ეს ჩვენი ტიტო ყარალაშვილი, მანანას გერი, მიშო რუსიშვილი, სოლიკო ჩოკაშვილი-ჯანდიერი, გიორგი მაყაშვილი, დედას მამიდაშვილი და ბევრი სხვაც.

გარს ევლებოდნენ თავიანთ საყვარელ მეგობარს, მაგრამ შაქრო დაღონებული მოსჩანდა და როდესაც სახატეს წინ მისმა დედამ დალოცა თავისი შვილი, აქ ვეღარ შეიმაგრეს თავი და ყველამ ცრემლები გადმოყარა.

ზოგმა თავისი მიცვალებული მოიგონა, როგორც, მაგალითად, მამაჩემი, ძია დავითი, რომელნიც ვეღარ ნახავდნენ თავიანთი შვილების დაქორწილებას და ვერც ბედნიერებას.

მეტ წილს გული სტკიოდა შაქროზედ, რომელიც უსიტყვოდ, გაჩერებული, ჩაფიქრებული იდგა ამ მახლობლებში და ხმას არ იღებდა.

როგორც ჰხედავ, ჩემო თოლიაე, დიდი სიმხიარულე არა სუფევდა ჩვენ სახლში იმ დღეს, როდესაც შაქრო კატოზედ ჯვარს იწერდა.

შემდეგ მოწვეულმა დედ-მამამ შაქრო დალოცეს, ესენი იყვნენ კიკო ვახვახიშვილი - ივანე ჯავახიშვილის დისწული, დაღესტნის მმართველი და მისი მეუღლე ბაბი სოსო ქობულაშვილის და.

დედობილმა პურ-მარილით დალოცა, მას ხელში ეჭირა დიდი ღვეზელი ზედ ვერცხლის სამარილეთი, მამობილმა ხატით დალოცა, შემდეგ ჩაისვა თავის ეტლში სამეფოდ გამზადებული შაქრო, დაიძრა ეტლი და მაყრიონი ცხენებით მას უკან გაჰყვა.

ესენი მიეიდოდნენ პატარძლის სახლში სოფელ კონდოლში და იქიდან პატარძალს თავის მაყრიონით ჯვრის დასაწერად ეკლესიაში წაიყვანდნენ.

მხოლოდ არ ვიცი, ქორწილის დასაწყისი თავად ლეონიძის ოჯახში როგორ მიმდინარეობდა. იყო იქ რაიმე წვეულება? ან ჯვრისწერა და მისი მაშინდელი წესები - მთელი ეს ნაწილი ქორწილისა ჩემთვის ბუნდოვანია და ამიტომ ვერაფერს გეტყვი.

სალამოდან მოყოლებული, ქორწილის გაგრძელება და მისი დაბოლოება კისისხევში ჩატარდა.

იქნებოდა ნაშუადღევის ხუთი საათი, რომ ერთმა შავქოჩრიანმა ბიჭმა ჩვენ ეზოში ცხენი შემოაჭენა და თოფი დასცალა, ეს იყო მახარობელი. იმას მიაწოდეს ჯამით ღვინო და მხარი ჭრელი აბრეშუმის ბაღდადით აუხვიეს. ღვინის დალევის შემდეგ ჯამი სახლის ქედელზედ მიფშვნიტა და ცხენი დასძრა, რომ კიდევ შეპხვედროდა საქორწილო მსვლელობას.

ნახევარ საათში ჩვენს ორლობეში გაისმა მშვენიერი მაყრული "მოვდივართ, მოგვისხრიან" და სხვა, ამას მოჰყვა თეთრ ჩოხებში და ფერად ქულაჯებში გამოწყობილ ახალგაზრდების ცხენებით ჩვენს ეზოში შემოჭენება; თვითეული მათგანი დასცლიდა დამბაჩას და თავის რახტით შეკაზმულ ცხენს ეზოს სიგრძის მიმართულებით გაატჭენებდა, გაიმართა ამ ჩვენი მეფე-დედოფლის ორი მაყრიონის ოცდაოთხი ყმაწვილის ჯირითი.

ზოგი მათგანი ფეხზედ მდგომი ხალისობდა, ზოგი მოხდენილად ალაგ-ალაგ ხტებოდა და ისევ სწრაფად ცხენზედ იყო. ჩვენი გიორგი მაყაშვილს, დედას მამიდაშვილს, თავზედ ვერცხლის თასი დაედგა და ამნაირად ცხენზედ ფეხმძგომელა სცდიდა თავის ბიჭობას.

რა კარგი სანახაობა იყო ყველაფერი ეს, რა მშვენივრები იყვნენ ეს დალოცვილნი, არწივის ბუდედან გადმოფრენილი ბარტყები, ამის აღწერას კარგი ენაწყლიანობა სჭირდება და მის ფერადებს ოსტატი მხატვარი.

შაქროს ქორწილიდან ეს სურათი ჩემს მეხსიერებაში წარუშლელია. საუბედუროდ რუსეთის რევოლუციამ ბევრ სილამაზესთან ერთად ქართული ჯიშის საუკეთესო ნიმუშებიც მოსპო და რუსულ ტყვიას გაატანა ეს მთის შვილები, შესახედაად დევ-გმირნი და უბადლონი.

მე და ელენე ამ ლამაზ სანახაობას ჩვენი აივნიდან ვუყურებდით, რომ ამასთან ერთად ერთმა სასაცილო სურათმა მიიპყრო ჩვე-

ნი ყურადღება. ამ გაცხარებული ჯირითის დროს, ჩემ ძმა ირაკლის თავის ბიძაშვილ სანდროთი მოუყვანიათ ორი ჯაგლაგა ცხენი, ერთი ცალი თვალით ბრმა, მეორე კი ცოტა კოჭლი, გამოუბამთ პანტის ხეზედ, ადგამენ უნაგირებს და თავიანთ ჭკუაში ეს 13-14 წლის ბავშვები აპირებენ ჯირითში მონაწილეობის მიღებას, ცდილობენ თავიანთი "რაშები" საჩქაროდ შეკაზმონ, რომ დროზედ მოუსწრონ ჯირითს.

მაგრამ მათი საცოდაობა ნახე, რომ ერთი ცხენი კოჭლობს და ცალ ფეხს სასაცილოდ ატრიალებს, აქედან მე და ელენეს სიცილი და კასკასი ესმით, გამწარებული სახეებით გვიყურებენ და ბრაზობენ კიდეც.

ვიდრე ეს ცხენოსნები სამზადისში იყვნენ, სახლს მეფე-დედოფლის ეტლიც მოადგა და ჯირითიც გათავდა.

ახლად ჯუარდწერილებს მაყრები ამოჰყვნენ და სასტუმრო ოთახის კარებში ისინი გაატარეს ხმლების გადაჯვარედინებულ ხეივანში, კარებში შაქრომ ფეხი დაადგა მათლაფას და მიანაჭუჭა იმის ნიშნად, რომ დღეიდან ის იქნებოდა ოჯახის ხელმძღვანელი და პატრონი...

აქ დაუხვდათ პატარა, დედმამიანი უმანკო ბავშვი, რომელმაც მეფე-დედოფალს პირში შაქარი ჩაუდო, ეს იყო კიკოს შვილი მიშა ვახვახიშვილი.

დაიწყო მილოცვა და შამპანიურით გაიცსო ჭიქები, პირველად დალოცეს მშობლებმა, შემდეგ სხვებმა განაგრძეს. მე და ელენე, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაეძვერით ხალხში და ჩვენც ვსრუტეთ შამპანიური, ჩვენ კი ყურს არავინ გვიგდებდა, მაგრამ რა გვენაღვლებოდა, ხან ერთ ჭიქას წამოვაცლებდით ხელს, ხან ვისას და ეს იყო მიზეზი, რომ ქორწილის დაბოლოება ჩვენ გამოგვერჩა, სად დაგვებინა ან როდის, ეს ღმერთმა იცის, მშვენიერ გუნებაზედ კი ვიყავით და გიჟებივით ვიცინოდით.

სტუმრების მოსვლა დაიწყო, მათ აივნიდან დამკერელები ეგებებოდნენ, ყოველივე ეტლის გაჩერება და საჩანდარის აყერება ერთი იყო.

დედაჩემი დიასახლისობდა და სტუმრებს კიბის დასაწყისში უხვდებოდა. ყოველთვის შავებში მყოფს იმ დღეს საქორწილოდ ლილისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა და ძალიანაც უხდებოდა; ირაკლი კი ბურტყუნებდა, დედას ველარა ვცნობ, რაღაც ფერადი კაბა ჩაუცვამსო. დარბოდა ამ ხალხში, დედას ეძებდა, ეჭვიანობდა, დედა არ გამითხოვდეს, ეს იყო მისი მუდმივი შიში.

ქალები პირდაპირ ტალანით ხატების ოთახში შედიოდნენ, სადაც მათ უხვდებოდათ მოსამსახურე ქალი. შორიდან მოსული კაბასაც იქ გამოიცვლიდა, თავს მოიწესრიგებდა და შემდეგ სასტუმრო ოთახში შევიდოდა, სადაც დაწყებული იყო დროსტარება და ლხინი.

მახსოვს, პირველი ლეკური იყო მეფე-პატარძლისა, რამდენად შაქროს ჰშვენოდა ეს ცეკვა ქართულ ჩოხაში, ისე უგემური

მოსჩანდა პატარძლის ლეკური ამ ევროპიულ თეთრ კაბაში. ეს უცნაურია, რომ თავდახურული არ იყო.

შემდეგ სხვებმა დაიჭირეს სცენა, ესენი იყვნენ სერაფ ვაჩნაძე თავის ბურდოსფერ ქულაჯაში, რეზიკო ყარალაშვილი ქართულ კაბაში, სოლო ჯანდიერი, რომელიც მთელ ლეკურს ფეხის წვერებზედ ცეკვამდა, ამიტომ იმ საღამოს და ღამის განმავლობაში თურმე იმან გამოიცვალა სამი წყვილი მესტი. სხვებში ადიოდა და იქ იცვლიდა.

ქალებში იმ დღეს საყურადღებონი იყვნენ დარიკო გოგნიაშვილი, ნანო ყარალაშვილი, მანანას გერი და სხვები.

ამათ ფონზედ ჩვენ ბავშვები რა სახსენებელნი ვიყავით, მაგრამ დაიძახეს როგორც ბევრ სხვა დროსაც "და ძმაო".

დაურბინა ირაკლიმ და მეც გავყე, ამას მოჰყვა კინტოური. ვიცეკვე, მაგრამ ბუქნას მოვერიდე, ბევრი მიყვირეს "ბუქნა, ბუქნაო", მაგრამ ვერ დამითანხმეს, შემდეგ მაცეკვეს კაცური, რაც მე ძალიან მეხერხებოდა და ხალისით ვუსვამდი ფეხს, დიდის ტაშით დამაჯილდოვეს.

ირაკლი ცოტა განზედ მედგა, ის ყოველთვის მარწმუნებდა, რომ "შენ ფეხის გასმას იმიტომ აქვს ლაზათი, რომ კაბა გაცვია და ეს ჩოხის სანაცვლოდ მოსჩანსო". იმისი პატარაობის ნაქონი ჩოხა დავიწყებული ეგდო, იმას მისტიროდა.

ვიდრე აქ ცეკვავდნენ ახალგაზრდები, მეზობელ ლიმონების ოთახში უფროსები ქალალდს თამაშობდნენ, ზოგი კი ბუფეტში იყო და ცივ საჭმელებს და სასმელებს უტრიალებდა.

ნაწილი ქალებისა ეზოში მისჩერებოდა სილისა და ტკბილეულობის მაგიდას, რომელსაც ვახშმის შემდეგ მანანა გაუძღვებოდა.

აივანზედ და ფანჩატურებში ვახშმისათვის სუფრები იშლებოდა, ეს თელავიდან მოყვანილი ლაქიები თავიანთი თეთრი ხელთათმანებით ბევრს ტრიალებდნენ, უფრო ფორმისათვის, მძიმე საქმეებს ისინი ერიდებოდნენ და ამას ადგილობრივ მოსამსახურეებს უტოვებდნენ.

მერე კი აღარაფერი მინახავს, არც ახალი სუფრის გაშლა გათენებისას და ცხელ-ცხელი შამფურების ტრიალი და არც არაფერი; ღრმა ძილში ვიყავი, რომ დუდუკის ხმამ გამაღვიძა. წამოვხტი და მალე მე და ელენე, რომელიც ჩემზედ ადრე ამდგარიყო, აივნიდან დაცქეროდით ღამე გატეხილ მყრებს შაქროიანად, რომელსაც ძალიან პშვენოდა თეთრი ფაფახი. მათი ყურადღება მისჩერებოდა შუა წრეში მყოფ სანდრო გურამიშვილს, რომელიც დუდუკზედ ეშხიანად და დიდის ოსტატობით კინტოურსა ცეკვამდა.

დანარჩენი ხალხი მიკრეფილი სჩანდა, ზოგნი ალბათ წასულიყვნენ დასაძინებლად მათთვის გამზადებულ ბინებზედ, ბევრი კი ახლომახლო სოფლებიდან თავიანთ სახლებში იქნებოდნენ დაბრუნებულნი.

ყველაფერი ალაგებული სჩანდა, ვახშმის ნაშთი არსად იყო, მხოლოდ სიცხისგან დამდნარი ნაყინი ბლუდებზედ უგემურად სრიალებდა.

მეორე დღეს კიდევ ბევრი ხალხი ტრიალებდა, კონდოლიდან კატოს დედა იყო ამოსული, რომელიც წესით თავისი ქალის ჯვრისწერას არ უნდა დასწრებოდა; მასთან ერთად ღვდელდიაკვანიც იყვნენ გრძელ გაშლილ სუფრაზედ.

მესამე დღესაც შირინას დასტი კიდევ სიამოვნებას უგრძელებდა ახალგაზრდებს და სახლსაც ამშიარულებდა.

დიდხანს ვიგონებდით შაქროს მშვენიერ ქორწილს როგორც ჩვენ სახლში, ისე - ვინც ამას დაესწრო.

თურმე თელავის ნადიკვრიდან მოსჩანდა იმ ღამეს ჩვენი ფერადი სანათურებით გაშუქებული სახლი, ასე სთქვა იქ მოსეირნე ადგილობრივმა ხალხმა და დაუპატიჟებელმა მოსახლეობამ.

ყველამ კარგად ისიამოვნა, მაგრამ დედაჩემი გაცივდა და მთელი ზაფხული ლოგინში გაატარა, ფილტვების ანთება ჰქონდა.

ჩვენი ოჯახის ბურჯი, ძია გაბო და მისი სიკვდილი

ზაფხულობით ჩვენ სახლში თავს იყრიდა ოთხი ძმის ოჯახი, სულ ოცდაოთხი სული, აქედან თხუთმეტი ბავშვი, რვა ბიჭი და შვიდი ქალი;

ქალებში მე ვიყავი ყველაზედ უმცროსი, თუ ერთის მხრივ ნებიერი, ამავე დროს კრიტიკისა და გაჯავრების საგანიც, მართლა მეტისმეტად ცელქი და მოუსვენარი იქაურობას ვიკლებდი. გასაოცარია, რომ ამავე დროს გამგონიც გახლდით, რადგან უფროსებისა მეშინოდა, მეტი რა გზა მქონდა, არ დამეთმო, მაგალითად, გადაჭარბებული ღლაბუცი პატარა ლეკვებთან, რომელნიც ხშირად ოთახებშიაც ამომყავდა.

სადილის დროს ძია გაბო სუფრის თავში იჯდა, დიდი სიჩუმე სუფევდა, ვინ გაბედავდა განძრევას, თვალებში შევცქეროდით; ამ შიშთან ერთად თანაც გვიყვარდა ეს ახმახი, კარგი შესახედავი, ქართული სილამაზის მატარებელი, მშვენიერი მჭევრი და განათლებული ადამიანი.

არავის მოგვეიალერსებდა ჩემი უმცროსი ძმის ლელოს გარდა, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა როგორც ახლადგარდაცვლილ ძმა ლონგოს უკანასკნელი შვილი.

ის დიდი ავტორიტეტი იყო არამცთუ ჩვენთვის, არამედ სოფლისათვის, გლეხების კარგი მრჩეველი და დამრიგებელიც.

ხშირად ნახავდი ჩვენს აივანზედ შეგროვილ გლეხებს, ყველა რომ თავის ჯერს უცდიდა გაბრიელის ოთახში შესულიყო და თავისი საჩივარი მისთვის გაეზიარებინა, თუ მაგალითად, სახლში

უსიამოვნება აქვს ოჯახის წევრთან, ან თუ ვერა რიგდება გაყრილ ძმასთან, ან კიდევ უფრო ხშირად ვისმე უჩივის წანასდღ.

ყველაფერზედ შესაფერ დარიგებას მიიღებდა და დამშვიდებული გამოვიდოდა, თუმცა ამას არ დასჯერდებოდა და კიდევ შეაწუხებდა, იქვე მიტრიალდებოდა.

ჩვენ ეზოს კუთხეში კაკლის ხის ქვეშ გარედან იდო ერთი დიდი ქვა, კვირაობით იმაზედ იჯდა ძია გაბო. რასაკვირველია, ზაფხულის თვეებში, და მის გარშემო გლეხკაცობა ტრიალებდა, სოფლის საქმეებზედ იყო იქ ლაპარაკი.

მახსოვს მისი ერთ-ერთი საუბარი: "ხალხნო, ამ ნახირს რომ ერთი მენახირე გაუჩინოთ, ის არა სჯობია, ვიდრე ცალ-ცალკე კანტიკუნტად რომ ყველა მხოლოდ თავის ერთ ან ორ კამეჩს, ხარს თუ ძროხას მიერეკება საძოვარზედაო".

ეტყობა, ამ რჩევამ გასჭრა, რადგან სულ ბოლო ხანებში დაინახე ჩვენ სოფლის გზაზედ ბევრი საქონელი, მხოლოდ მისი მეხრე ველარ შევამჩნიე, რადგან სულ პატარა ბიჭი, ზურგზედ პატარა გუდით, საქონლისაგან ამტვერებულ გზაზედ მთლად უჩინარი იყო.

თავი ველარ შეიკავე, გამოველაპარაკე ამ პატარა კაცუნას დაახლოებით 9-10 წლისას და ვთხოვე ეზოში შემოსულიყო: "აბა ცოტა ხანი მოირბინე, ბიჭო", დავუძახე. ისიც თავის სახრით ჩემს წინ ერთ წუთს გაჩნდა.

ვკითხე სახელი, "სატყეპელაო", გამეცინა, ვკითხე ისიც, ვისია ეს საქონელი, რომელიც მას ახარია.

"რა ვიცი, მთელი სოფელია ამ საქმეშიო". გუდაში ჩავხედე: პატარა პურის ნატეხი და რამოდენიმე ხახვის თავი ედო.

მე მივუმატე ყველი და ერთი გამტკიცული შოთი. კიდევ მინდოდა მასთან საუბარი, მაგრამ ყურს აღარ მიგდებდა, თავისი მოვალეობა ახსომდა, თვალი საქონლისაკენ ეჭირა, გამომართვა შოთი და თვალის დახამხამებაზედ საქონლის ქარავანისაკენ გასწია; იქ მინდორში საქონელს კარგად დაანყიერებდა და ბინდამდე მინდორში დარჩებოდა, არც მოიწყენდა, თავის ტოლ ბიჭებთან ერთად ბევრს იკოტრიალებდა მწვანე მინდორზედ და დაღლილ-დაქანცული თავისი ნახირით სახლისაკენ გამოსწევდა.

ნეტა ვიცოდე, ჩემო "სატყეპელავ", სადა ხარ, ომის ტყვიამ ხომ არ გაგითხარა სამარე სადმე უცხო ქვეყანაში, ან იქნება, შენ სოფელ კისისხევში შენ უძღვები საზოგადო საქმეებს და დიდკაცობ, აღარც შენი ნახირი გახსომს და აღარც ის თავადის ქალი, რომელსაც ასე ჩარჩი მეხსიერებაში.

ჰო და, ძია გაბოს რჩევით დაიწყეს სოფელში საერთო მენახირის ყოლა, ალბად, "სატყეპელას" მიაშველეს შემდეგ უფრო მოზრდილი ბიჭი, რომელსაც ადვილად ველარავინ გასტყეპავდა.

მაშინდელ სოფლის ადმინისტრაცია იყო მამასახლისი, მწერალი და გზირი. ამათ სოფლის ყრილობაზედ ირჩევდნენ, მაგრამ მათი მოქმედება მთლიანად დამოკიდებული იყო მაზრის უფროსის "უკაზებზედ".

ადგილობრივი თავადაზნაურობა სოფლის საქმეებში აქტიურად არ ერეოდა, მაგრამ გარედან, თუ დასჭირდებოდათ ამათი რჩევა, ამას არ დაიშურებდნენ.

კისისხევს ბევრი რამ აკლდა, გზები ოღროჩოღრო, მთლად გასაკეთებელი, წყალი შორიდან მოსატანი და სხვა, ერთი სიტყვით, მთლად მოუვლელი იყო.

მოსახლეობას თუმცა ბიჭებისათვის სამწლიანი რუსული სკოლაც ჰქონდა, მაგრამ ადგილობრივი პირობებისათვის სრულიად შეუფერებელი და უვარგისი. პირველსავე წელს სწავლება რუსული ანბანით იწყებოდა, ამ ქართველ ბავშვს რუსული წიგნი ეჭირა ხელში და იზეპირებდა რუსულ სიტყვებს: "კურიცა" ქათამია, "პეტუხ" მამალია და სხვა.

ქართულ ანბანსაც ასწავლიდნენ, მაგრამ მასწავლებლის ცდა და ყურადღება იყო, რაც შეიძლება, მალე ესწავლათ ბავშვებს რუსული ენა.

თუმცა რუსის ადმინისტრაცია ქართველ მასწავლებლებს ნიშნავდა, მაგრამ მათ თაოსნობას და სურვილებს ანგარიშს აღარაფინ უწევდა.

ამ შემთხვევაში სოფლელ კაცს ერჩივნა შვილი საქონელში ეტარებინა, ვიდრე ორი-სამი წელიწადი ამ რუსულ სკოლაში ჰყოლოდა, საიდანაც შეიძლება ისე გამოსულიყო, რომ ქართული წერა-კითხვაც კი რიგიანად არა სცოდნოდა, ამიტომ მოწაფეთა რიცხვი ამ სკოლაში თანდათან კლებულობდა.

სკოლის ბიბლიოთეკა ხომ არარსებული, ერთ თაროზედ მხოლოდ რუსული ანბანის რამოდენიმე ცალი ეგდო.

ამ მდგომარეობაში ვინახულე ჩვენი დამოუკიდებლობის წინა ხანებში კისისხევის სოფლის სკოლა.

ადგილობრივი ძალებით გაემართე წარმოდგენა ამ ჩვენი სკოლის სასარგებლოდ და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან გაიგზავნა რამოდენიმე ყუთი ქართული წიგნებით.

ეს დაედო საფუძვლად სკოლის ბიბლიოთეკას. მერე რა ბედი ეწვია ამას და ვინ მოუარა, აღარ ვიცი.

ჩვენ ოჯახში რუსულს თუ გაიგონებდით, ეს იყო ზაფხულში, როდესაც ძალუა საშა თბილისიდან მოსული და ეს ჩემი ძია გაბო ერთმანეთს ეკამათებოდნენ მაშინდელ მწვავე საკითხზედ ილია ჭავჭავაძესა და ვანო მაჩაბელს შორის ატეხილ დავაზედ, ქართულ საადგილმამულო ბანკის ვითარების გამო. ხშირად ისმოდა: "ალექსანდრა ნიკოლაევნა და გაბრიელ სოლომონოვიჩ". არ ვიცი რად, მაგრამ რუსულად იბრძოდა ეს ორი ადამიანი. ერთი ქართველი, მაშასადამე, ვანო მაჩაბლის მომხრე და მეორე კახელი, ილიას ერთგული.

ყოველ გაზაფხულზედ, როდესაც იწყებოდა ქართულ სათავადაზნაურო ბანკის არჩევნები, ძია გაბო ყოველთვის მიდიოდა თბილისში, რომ მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, იგი მხურვალე მონაწილეც იყო, ილიას სხვებზედ ნაკლებ როგორ არ დაუჭერდა

მხარს, როდესაც ჩვენ სახლში სულ ილიაზედ იყო ლაპარაკი და მისი "იერია" - აუცილებელი სულიერი საზრდო.

რომ წამოვიზარდენით, საღამოობით აივანზედ იჯდა ჩვენი ძია და ჩვენ მის გარშემო დიდის ყურადღებით ვუსმენდით მის საუბარს, ხშირად ილიას შესახებ, ზოგჯერ გვიამბობდა რომელიმე წაკითხულ წიგნის შინაარს და რომ ჩვენც ფხიზლად ვყოფილიყავით, მოსამახვრეს ამოჰქონდა ჩვენთვის დიდი სინით შემწვარი სიმინდები.

იმდენად მიყვარდა მისი ლაპარაკი, რომ ერთხელ ზეპირად აღვიდგინე მისი ნაამბობი და სიტყვა-სიტყვით დავწერე იმ ენით, როგორც ეს იყო მის მიერ ნათქვამი: "შორეულ კუნძულზედ ცხოვრობდა ერთი გრაფი"...

ძია გაბოს სიკვდილი იყო ჩემთვის დიდი მწუხარება და საშინლადაც განვიცადე, ბოლო დრომდე კისისხევში მისულს ბევრი ცრემლი დამიღვრია.

მესამე კლასში ვიყავი, რომ ძია გაბო თავის სათვალეებით, წიგნით ხელში, ჩვენი აივნიდან აღარ გასცქეროდა ალაზნის ველს.

მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენი ოჯახიც დაქუცმაცდა, ყველამ ცალ-ცალკე დაიწყო ცხოვრება, ეს დიდი, ოჯახი უმოძღვროდ დარჩენილი, მტრის გასახარი გახდა; სახლი სამად გაიყო; შაქრომ ეს მამაპაპეული მიდამო დასტოვა, გარეთა ეზოში აიშენა სახლი და საბოლოოდ იქ დაბინავდა.

მისი წილი ძია ილიკომ აიღო, მხოლოდ არ ეიცი, ამის სანაცვლოდ შაქროს რა მისცა. ამნაირად, ძია ილიკო, რომელიც პენსიაზედ იყო გადასული, თბილისიდან თავისი შვილებით კისისხევში დაბინავდა, მას ამ ჩვენ სახლში რჩებოდა მთლიანად ტალანი და მისი მიმდევარი ოთახები, სულ ბოლოს კი ეს ჩვენი ხატების ოთახიც.

ამ გაყრის შემდეგ ჩვენი სახლი აღარ ინახებოდა, ყველა მხრიდან მიდგმულ კიბეებით ყველას თვალში ცუდი სანახაო იყო, თითქმის სასაცილოც კი სჩანდა.

ძველად მთელი ჩვენი კარმიდამო შემოფარგლული იყო ყორეთი და ზევიდან ტყლუშური ღობით, ისე რომ კარგად იყო დაცული, ჩიტიც კი ვერ გადმოფრინდებოდა.

დროთა განმავლობაში ყორე ინგრეოდა და მის ნაცვლად ეზოში ქვების გროვა ეყარა, ღობეც აქა-იქ ჩატეხილი სჩანდა, ეტყობა, იქაურობას მეთვალყურე აღარა ჰყავდა. ამით სარგებლობდა გლეხკაცი, სოფლის ტლაპოიან გზას აიცდენდა და თავისუფლად თავის ურემს ჩვენს ეზოზედ გადმოატარებდა, გზადაგზა ღობესაც აღარ დაინდობდა. ერთი სიტყვით, იქაურობა დაუკაცურებული იყო, ეზო მთლად მოფენილი ბალახ-ბულახით და ეკლებით, ადამიანი თავისუფლად ვერც კი გაიელიდა, რომ ტანისამოსი ბირკებით არ ჰქონოდა შემოსილი. აი ასეთ მდგომარეობაში ვნახე ჩვენი სადგომი, უკანასკნელად რომ მიველი.

ესლა, როგორც გაიგე, სოფელს ეს სახლი ეზოიანად გაუყიდნია, თვითონ სახლში თურმე შვიდი ოჯახია მოთავსებული. რაც შეეხება ეზოს, იქ კერძოდ შეუძენიათ პატარა ნაწილი მიწისა და ზედ აშენებული პატარა სახლები, ისე რომ თითოეულ მათგანს ბოსტანიცა აქვს და ამნაირად თავიანთ სამყოფ ბოსტნეულს შოულობს. სულ 32 კომლიაო, დათოს ნაამბობით 1970 წელს.

ჩემი უკანასკნელი წლები გატარებული წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში

თოთხმეტ წლამდე თელავში ვტრიალებდი და ჩემი მსოფლმხედველობა წმ. ნინოს სახელობის ოთხწლიან სასწავლებელს არა სცილდებოდა.

როგორც იცი, ბინა მქონდა ყოფილ მასწავლებელ როსტომაშვილის ოჯახში. მისი ქერივი, სოფო ვაჩნაძის ასული, სამი შვილის დედა იყო. უფროსი ელენე, იშვიათი სილამაზის მქონე, იურა ჭავჭავაძეზედ გათხოვილი, მისი მომდევნო ნინო და ერთი ვაჟი მიტო.

გითხარი, რომ თელავში ბავშვებისათვის არაეითარი გასართობი ჩემ დროს არ იყო, ამიტომ ვერთობოდით ჩვენი ჭკუით და მოთხოვნილებით.

როსტომაშვილების ეზოს სამი გასავალი ჰქონდა, ცალ მხარეს გალავანი ერტყმოდა, როდესაც გვინდოდა ქუჩაში ვინმე გამველელი დაგვენახა, ამ სამივე კარებს დავურბენდით სწრაფად, რომ ჩვენ თვალებს არაფერი გამორჩენოდა.

ამ სირბილში ხშირად ერთმანეთს ვეჯახებოდით მე და ნინო და ხშირად იმდენ მოუთმენლობასაც ვიჩენდით, რომ ჩვენ თავზედ ჩვენვე გვეცინებოდა.

ეს თავპირის გლეჯა ხდებოდა უმთავრესად კვირაობით, როდესაც სამხედრო სობოროდან წირვის შემდეგ გამოსული რუსული ჯარის ნაწილი სამხედრო მუსიკით დაეშვებოდა თავიანთ ყაზარმისაკენ, მხოლოდ დანარჩენი საზოგადოება თელავის ბულვარს მოედებოდა.

რადგან ჩვენ ყველას ნახვა გვინდოდა, ჯერ პირდაპირ იმ კარებს მივასქელებოდით, საიდანაც ჯარს დავინახავდით, მერე კი დანარჩენ ორ კარებიდან ვათვალიერებდით თვით ბულვარში მოსეირნეთ.

რატომღაც ჩვენ ბულვარში სეირნობა აკრძალული გვქონდა, და განა მარტო ეს, ბევრი რამ სხვაც, მაგრამ ეგეგუებოდით ჩვენი ყოფნის პირობებს.

ეხლანდელი ბავშვი, ამ ეპოქის ნებიერი და მბრძანებელი, ამას ვერც კი გაიგებს, იფიქრებს, რა სულელები ჰყოფილხართ, რომ უფროსებს უჯერებდითო.

მახსოვს თელავში მოვიდა ცირკი, რასაკვირველია, უფროსები, ე.ი. სოფო, მისი ქალი ელენე და სოფოს მული წავიდნენ. ჩვენ ამით დაგვკმაყოფილეს, თითქოს არა ღირს ნახვა, რომ გაიზრდებით, ბევრ კარგ სანახაობას ელირსებითო.

ჩვენდა საბედნიეროდ, ცირკის ერთი მხარე ჩვენი სახლის გალავანს ეყრდნობოდა და ეს იყო ჩვენთვის დიდი სასიხარულო ამბავი.

ნინოს ძმა მიტო, ჩვენზედ უფროსი იყო, აგვიყვანა ამ გალავანზედ, ერთი მხარე ტილოს სახურავს ისე მოხერხებულად აუწია, რომ ჩვენი თავი პირველ ლოჟაში ვიგრძენით.

დიდის შთაბეჭდილებითაც ჩამოვცოცდით ამ გალავნიდან, მაგრამ დამარცხებულნი, რადგან ორივეს, მე და ნინოს, ერთი ახალგაზრდა ბიჭის დარდი გამოგვყვა, რომელიც თავიდან ფეხებამდის ბრჭრიალა ტანისამოსში მოხდენილად ადიოდა ერთი თოკის ანაბარა ზევით ჭერამდე და იქ ვაჟდოქრობდა.

შეგვეყვარდა ეს არტისტი ორივეს ერთად; ვიფიქრეთ, რომ წასვლისას უნდა ჩვენი სიყვარულიც გაეაგებინოთ და საჩუქარიც მივართვათ. რატომ არა?

თბილისიდან იურა ჭავჭავაძემ მე და ნინოს საჩუქრები მოგვიტანა, მე მომიტანა, ავტორი არ მახსოვს, ეს წიგნი "მოგონებანი ინსტიტუტის ცხოვრებიდან".

ამ წიგნში ჩვენისთანა შეყვარებული ქალი ამ ლექსს სწერს თავის სატრფოს:

"თქვენ მისდიხართ, მაგრამ გახსომდეთ, რომ ის, ვისთვისაც სძგერს გული, აზრიც არ ქრება, იმის დავიწყება და ჭკუის დაკარგვა ერთია".

მგონი ასე იყო ეს ლექსი, რომელმაც გაჭირების დროს ჩვენ დიდი სამსახური გაგვიწია.

ესლა საზრუნავი იყო საჩუქარი. რა უნდა გვეყიდნა, არც ერთს ვკიბის ფული არა გვქონდა, ან ძალიან მეტისმეტად ცოტა, ე.ი. რაც გადაგვერჩებოდა, რვეულებს და კალმის წვერებს რომ ვიყიდდით.

ამ ჩვენი დიდი თანხით ორივეს ექვსი შაური აღმოგვაჩნდა. წავედით ყულიჯანოვის დუქანში, სადაც იშვიათი სტუმრები არ ვიყავით, ხან რვეულისათვის, ხან ფანქრისათვის, უფრო ხშირად კი "კარტინკებს" ვყიდულობდით და ერთმანეთს დღეობაში ამას ვაჩუქებდით.

იმ დღეს ბევრი ვუტრიალეთ ამ "კარტინკებს", ჩვენი ლექსის შესაფერს ვეძებდით, მაგრამ საბოლოოდ ერთ ვკიბის სავარცხელზედ შევჩერდით, ვიფიქრეთ ალბად, რომ მოგზაურობის დროს ამ ცირკის ბიჭისათვის ეს უფრო გამოსადეგი იქნებოდა.

თვითონ ყულიჯანოვიც გვირჩევდა, ეს ემჯობინება თქვენს "კარტინკებსაო".

შევახვიეთ ეს სავარცხელი სათუთ თხელ ქაღალდში, შიგ ჩვენი ლექსი მივაყოლეთ, ორივენი დავგძელდით და პირდაპირ მი-

ვედით სასტუმროში, რომელიც ჩვენ გვერდით იყო. ვიკითხეთ ეს ყმაწვილ; იმან აივანზედ მიგვიღო. ჩვენ ისე ველაპარაკებით, რომ უჩუმარის პირით გადაეცით ეს პატარა ნაკრაული და გამოვიქეცით.

ვერც იმან გაიგო, ჩვენი დარბაზობა რად იყო ასე ხანმოკლე, ჩვენ ხომ მთლად დაბნეულები ვიყავით და ბოლოს ვნანობდით კიდეც.

თელავიდან ამ ცირკის წასელა და ჩვენი დიდი სიყვარულის გათავება ერთი იყო.

მე და ნინო დიდი მეგობრები ვიყავით და ბოლო დრომდე შევრჩით ერთმანეთს. არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, ყველას მიმართ კეთილი და თავდადებული. თავისი თავი ყოველთვის დაეიწყებული ჰქონდა; სწავლაში ცოტა სუსტობდა, უმთავრესად წერა უძნელდებოდა, მისი რეული ხომ არ ინახვოდა. საწყალი ბეცი იყო, მაშინ ხომ სათვალეებს ბავშვებს არ აძლევდნენ და ამიტომ იყო, რომ ნინას ასე ეძნელებოდა უმთავრესად წერა, თორემ კითხვით ბევრსა კითხულობდა, მთელი დღეები შეეძლო წიგნი სჭეროდა ხელში.

შედარებით მასთან მე ცოტას ვკითხულობდი; ხშირად წამირთმევია წიგნი, რომელსაც ნინო გულდასმით ჰფურცლავდა, რომ ჩემთვისაც მოეხედნა და 'დამლაპარაკებოდა ან "აკადემია" ეთამაშნა, ეს იყო სათამაშო, უფრო სახტომი.

ოჯახში ელენე იყო დიდი ნებიერი, როგორც ლამაზი ქალი, ვისი ქებაც ყოველი მხრიდან ხშირად მოდიოდა მშობლის ყურამდე.

ნინო თავის თავს ცოტა დაჩაგრულად გრძნობდა, მაგრამ ამას გარეგნულად მაინც არასოდეს არ ამჟღავნებდა, პირიქით, თითქოს ეს ბუნებრივადაც მიაჩნდა, რომ ყველაფერი ელენესათვის დაეთმო.

ამან მის ხასიათზედ ძალიან იმოქმედა, თავს მახინჯადა სთვლიდა, როდესაც ეს არ იყო მართალი, თავის გარეგნობას სრულებით არ უელიდა, ზედმეტად მიაჩნდა ჩაცმა, დახურვა. სარკესთან მე ნინო არ მინახავს, მაშინ როდესაც მის გვერდით მყოფი, ხშირად ვათვალიერებდი თმის დავარცხნის მანერას, ვისველებდი კიდეც, რომ კულულები, რომელიც ყურებზედ მეზვეოდა, უკეთ ყოფილიყო დაყენებული.

თუ შობა-ახალწელს ნინო ჩემთან კისისხევში ატარებდა, ყველიერის უქმეებში ჩვენ ორივენი ყვარელში ელენესთან ვიყავით დაპატიჟებულნი.

გვიგზავნიდნენ იქიდან თავიანთ ოთხცხენ შებმულ ეტლს მოსამსახურეთი და მივდიოდით გულღია და კეთილშობილ მასპინძლის ოჯახში.

მართლა და იურა ჭავჭავაძე კარგი პიროვნება იყო, სოფელს იგი ძალიან უყვარდა, ნამდვილი ევროპიელი თავის დაჭერით და თავაზიანობით ის ადამიანს ჰხიბლავდა. იმ რამოდენიმე დღეში იმდენ სიამოვნებას გვაძლევდა, რომ იქიდან წამოსელა ძალიან გვეძნელებოდა.

ელენე ხომ მის ხელში დიდი ბედნიერი იყო, ეს ცოლ-ქმარი რევოლუციის დროს არ გამოაძევეს, იმდენად აფასებდნენ ამ ოშვიათ რაინდ მემამულეს.

მათი სახლი ყოფილი დიდი ნიკო ჭავჭავაძისა, იურას ბიძისა, მშვენივრად იყო მოწყობილი. მასსოვს ორი სალონი, ერთი საცეკვაო ტროპიკულ მცენარეებში, მეორე რბილი აეკუთ და გრძელკუდა როიალით.

ადვილად წარმოიდგენდა ადამიანი იმ საზოგადოებას, რომელიც იქ ტრიალებდა, კარგი სიტყვა-პასუხი, ზრდილობა და საერთოდ, ყველაფერი ის, რაც ასე ამშვენებს ქართული ეციშის ადამიანს.

იურას სიკვდილის შემდეგ ელენე ნინოს შესანახი გახდა და თელავში მასთან დაბინავდა.

ნინო თელავში მასწავლებელი იყო და თავისი მცირედი ჯამაგირი რომ არა ჰყოფნიდა, მთელი დღის განმავლობაში კერძო გაკვეთილებს ამბლევდა.

დედისა და ელენეს გარდა, შესანახი ჰყავდა თავის ბმა მიტოს დაობლებული ცოლ-შვილი. თელავში დიდი პატივი და სიყვარული დაიმსახურა, ამიტომ მისი სიკვდილი საერთო მწუხარება იყო ყველასათვის და მისი დასაფლავება ხომ - საერთო გლოვა. მე რომ დამინახა ნინოს დედამ, დაიყვირა, ჩაკეცა და ტირილი დაიწყო. ელენე ტირილით მიამბობდა, რომ ნინო თავის დღიურში ლაპარაკობს ჩვენ მეგობრობაზედ.

თორმეტი წლიდან ცხენზედ ჯდომას ვცდიდი, მხოლოდ ჩვენ ეზოში მივატარებ-მოვატარებდი და ამით ვამაყოფილდებოდი.

ნელ-ნელა სურვილი მებადებოდა ეზოს გავცილებოდი და უფრო შორს მეჭენებინა ჩემი "შუხტარა".

ცამეტ-თოთხმეტი წლისა უკვე კარგად ვიყავი ნავარჯიშევი და ირაკლისთან ერთად ხშირად მივაჩინდრიკებდით ჩვენ ცხენებს მახლობელ სოფლებში, ცხენდაცხენ მივიდოდით ბებო ნანასთან, არც კი ჩამოვხტებოდით, ეზოდან მალე გავატრიალებდით ცხენებს, რომ წინანდალსაც ეწვეოდით, თითქოს გაწირება ერთ ადგილას არ შეიძლებოდა. უფრო კი ჩვენთვის თელავი იყო, რომელიც გვიზიდავდა ამ ცხენოსნებს, უნდა იქ ხალამოთი გვენახა ადგილობრივი ახალგაზრდობა, რომელიც ნადიკვარზედ იშლებოდა. უფრო კი ჩვენი თავის ჩვენება გვახალისებდა.

ხუმრობა ხომ არ იყო, მე უკვე ქალის უნაგირზედ ვიჯექი, გრძელი ამაზონით, თავზედ ჩალის ქუდით, რომელსაც პირბადეც ამშვენებდა, თუმცა ეს მოკაზმული ქუდი ზედმეტ ბარგად რჩებოდა ჩემ თანამხლებელს, რადგან ჩემი გრძელი თმები ამას ვერ ეგუებოდა და მალე თავისუფლდებოდა.

ერთ ზაფხულს, როდესაც გამოცდები გაგვითავდა, დედამ თავის სოფელ ახატელში წაგვიყვანა, მე ჩემი ნინო მიმყავდა, ირაკლის ილიკო აბაშიძე თავის განუყრელი ვიოლონჩელით და ლელო, რომელიც ახატელში უფრო ხაზამთროებში ტრიალებდა. მის გან-

კარგულებაში იყო მთელი მინდორი, სადაც კარგად მოდიოდა ეს ხილი.

დედას ახატელში ცალპირი სამოთახიანი სახლი ჰქონდა, კარგი ეზოთი და უკან ხეხილის ბაღით, გვიყვარდა იქ წასვლა, ძალიან მყუდროდ გვეჩვენებოდა.

ამ კარმიდამოს ამშვენებდა ერთი ციხე-ბურჯი და ზოგიერთი ძველი შენობების ნანგრევები, დარჩენილი იყო სამოახლოს კედლები თავის თახჩებით, დიდი გომურის კედლები და სხვა.

ამის მიხედვით ადვილად შეიძლებოდა ძველი ბინადრობის აღდგენა; აქ მცხოვრებელი, ეტყობა, მშვიდობიანად არა ყოფილა, ეს ციხე-ბურჯია ამის მოწმე.

მის კედლებში დატანებული სათოფიდან კაცი კარგად ამოილებდა ნიშანში მის ასაკლებად მოსულ მტერს ე.ი. ლეკებს და სხვადასხვა ურდოებს.

იმჟამად ახატლის სახლკარი მთლად მიტოვებული იყო, მაშინ ბებო ლიზა თავისი მეორე ქმრით კიდევ განჯაში ცხოვრობდა. როდესაც ამ ელეფთერ კირვალიძემ თავისი სამსახური გაათავა, მაშინ საბოლოოდ ცოლ-ქმარნი ახატელში დაბინავდნენ, რასაკვირველია, ამ სახლს თავისი ნანგრევებით სიცოცხლე მიეცა.

ადგილობრივი აზნაურიშვილებიდან დარჩენილი იყო მხოლოდ სამი კომლი. ესენი იყვნენ მგალობლიშვილები.

სოფლის მეტი წილი მოსახლეობისა თათრებისაგან იყო შემდგარი, ქართველები ძალიან ცოტანი იყვნენ.

დედას მისვლა თათრებისათვის დიდი მოვლენა იყო, რადგან ესენი დედას მიწაზედ იყვნენ შეხიზნულნი; ამისათვის ყოველწლიური გადასახადი ხაზინაში შეჰქონდათ, თუ ამას დააგვიანებდნენ, ამის გამო მათ საჩივარი დედას მხრივ არ მიუვიდოდათ და ამას ისინი ძალიან აფასებდნენ. თავის მამულ-დედულს დედა წელიწადში რამოდენიმეჯერ დაჰხედავდა, ჩვენც წაგვიყვანდა და იქ მიგვატარ-მოგვატარებდა.

დედას ჯერ სოფლის შესავალში უხვდებოდნენ აღმოსავლური სალამით და "ალა სახლას ქალბატონის" ძახილით, მერე ხომ დიდი ყურადღებით იყვნენ ჩვენს მიმართ. მოჰქონდათ მოსაკითხი, ქათამი ან ბადიით ნაღები და სხვა.

ერთმა მათგანმა ყური მოჰკრა ვიოლონჩელს, მაშინ მივიდა ილიკოსთან და სთხოვა, სათამაშო რამე დაეკრა. ილიკომ ლეკურით გაახალისა ეს საცეკვაოდ გამზადებული თათარი, რომელმაც დიდხანს ატრიალა ხელები და თან კარგად დატკეპნა იქაურობა. კარგა ხანს გაგვართო, მხოლოდ როდესაც კარგად დაიღალა ისიც და ჩვენც, სერიოზულად გვკითხა: "ხვალ მოვიდა, რომ კიდევ ითამაშა?"

დარწმუნებული იყო, რომ ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იყო, მეორე დღეს კიდევ ეძუნძულნა.

ჩვენ სიცილით ვუპასუხეთ, რადგან მეორე დღეს ჩვენ სხვა გასართობი გვქონდა, ამიტომ გავათავისუფლეთ ეს მსახიობი.

გაიგეს, რომ გეინდოდა ცხენებით სეირნობა. მეორე დღეს ეზო სავსე იყო თათრების ჯაგლაგა ცხენებით, რასაკვირველია, ჩვენ ეს ცხენები დავიწუნეთ, არც ერთი არ იყო საჯდომი.

ჩვენ სანახავად მოვიდა ადგილობრივი მცხოვრები, ტიტო მგალობლიშვილი, სათავადაზნაურო სკოლის უფროსი კლასის მოწაფე თავისი სტუმრით, მისი გვარი არ მახსოვს, სახელი კი არნოლდი იყო. ეს უცხოელი საიდან მოვიდა ახატელში, არ ვიცი, ის ცოტა უფროსი უნდა ყოფილიყო თავის მასპინძელზედ.

ტიტომ იკისრა ცხენების შოვნა და მართლაც, მეორე დღეს, იმანა და მისმა უფროსმა ძმამ ლევანმა კარგი, საჯდომი ცხენები მოიყვანეს.

ლევანის ცხენი, რომელსაც ჯირითში რამოდენიმე ბაღდადი ჰქონდა ჯილდოდ აღებული, მე შემომთავაზეს, რადგან ნინო პირველად ჯდებოდა ცხენზედ და ეშინოდა, ის თხოულობდა ჭკვიან ცხენს: "ბაღდადიანი ცხენი არ მინდაო".

ნინოს უნაგირზედ დაჯდომა და მისი ცხენის დაფრთხობა ერთი იყო. ერთი დაიფრუტუნა, ალყზედ შედგა და ტლინკების სროლაც დაიწყო.

კარგა ხანს იჯიუტა, მაგრამ ბოლოს ალაგმეს, ჩვენმა ყმაწვილებმა ურჩიეს ნინოს, აღვირი მაგრად სჭეროდა, რომ ცხენს ცოტა შეშინებოდა, თორემ სხვანაირად ცხენმა დაჩათინება იცისო.

როგორც იყო, დავიძარით ადგილიდან და შუამთისაკენ გავწიეთ, ამაზედ უკეთეს ადგილს ვერც ავირჩევდით.

გზაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ცხენების ჭენებაში, ჩემი ნინო გაყოჩაღდა, არამც თუ ეშინოდა ცხენიდან ჩამოვარდნისა, პირიქით, კარგად მიაჩინდრიკებდა ამ დამორჩილებულ თავის ცხენს.

მშვენიერი ზაფხულის მხურვალე დღე იყო, ცა ლურჯი, კამკამა, მოწმენდილი და უღრუბლო.

მისელიასა ჯერ მონასტერი დავათვალიერეთ, ტიტო აელესებული შესჩერებოდა ერთ კედელს, რომელიც კირით იყო შელებილი, მაგრამ ადგილ-ადგილ შიგნიდან ძველი მხატვრობის ფერადები არ დამორჩილებოდა ახალს და თავისუფლად გამოიყურებოდა...

მთელი დღე იქ გავატარეთ, ჩვენი წამოღებული საუზმე წყაროს პირას გიახელით; ილიკო აბაშიძე ხუმარა იყო, ჩვენ გვაცინებდა და იმდენად, რომ ჭამა გვავიწყდებოდა; ვცადეთ რამოდენიმეჯერ კიდეც, ხელიდან გამოგვეგლიჯა ქათმის ბარკალი, როდესაც იგი მთლად დაეპატრონა სუფრას, იჯდა მორთხმით და არხეინად ილუკმებოდა, მაგრამ ამაოდ, ამ დროს გაგვაცინებდა, ის საძაგელი და ამ ბარკალს ისევ დაიბრუნებდა გამარჯვებული.

იქაურობა ავიკელით. მთის დამათრობელი ჰაერი, ამასთან კიდე უკეთესი მშვენიერი წყარო უხვადა ვსვით და სახლში დაბრუნება ფიქრადაც აღარ მოგვდიოდა. ლევანი, ტიტოს უფროსი ძმა, ჩვენი მოგზაურობის მეთვალყურე, გვირჩევდა აჩქარებას, რადგან შენიშნა ცაზედ შავი ღრუბელი, რომელიც სიმძიმით იწევდა ლურჯი ცისაკენ, ეს ცუდი ნიშანი იყო, ამინდი შეიცვლებოდა.

ჩვენ ძალიან უკმაყოფილოდ დავემორჩილეთ და ზანტად შევსხედით ცხენებზედ. მთამ თავისი არ დაიშალა და ნამდვილ ჯოჯოხეთში გაგვახვია. უცბად საშინლად გაიელვა, ჩვენც ცხენები ავაჩქარეთ, ამოვარდა ქარიშხალი, ამას მოჰყვა ჭექა-ქუხილი და დაუშვა კოკისპირული წვიმა, დაბნელდა კიდეც, ცხენებს მივაჭენებთ, მაგრამ ერთმანეთს ველარ ვარჩევთ; ჩემმა ცხენმა აღვირი გაწყვიტა, თავს უშველა, კისერ-წაგრძელებული და დაოთხებული, მიწაზედ თითქმის გაკრული, მიმაჭენებს უგზოუკვლოდ, მე უნაგირზედა ვარ მიკრული, ჩემს გვერდით ვარჩევ ტიტო მოჭრის, ცდილობს ჩემ დამფრთხალ ცხენს ფაფარში წასწვდეს, ამას ახერხებს და ცხენსაც იმორჩილებს.

მე გაწუწული ჩამოვხტი, ტიტომ თავისი აღვირი ჩემსას გაუკეთა და ჩემი თავისთვის გამოიყენა.

ახლა ჩემი ცხენზედ შეჯდომაა გაძნელებული, ეს გრძელი ამაზონი, მთლად გასაწური, მიბნელებს მოძრაობას, ტიტო მარწმუნებს: აი, მოდით აქეთ, სოფიო ლონგინოზოვნა, და შეგსვამთო“. მე დაეუყვირე:“რა დროს სოფიო ლონგინოზოვნაა, ვერა ჰხედავთ, რა მდგომარეობაში ვარ“.

ეს პირველად მოვისმინე ჩემი სახელი ასე გაბრტყელებული, იმჟამად ვარ თოთხმეტი წლისა, და არ ვიცი, რად მეწყინა ასეთი პატივი!

როგორც იყო, ჩვენებს დავეწიეთ, მივარღვევთ ამ საშინელ თავსხმას, ვცდილობთ, სადმე თავი შევაფაროთ; ამ დროს გამოჩნდა ახატლის პირველი სახლი, საიდანაც პატარა სინათლე გვაიმედებდა, პირდაპირ მივადექით ამ სახლს, გამოვიდა ხანში შესული თათარი, ვთხოვეთ თავშესაფარი; ჯერ ეჭვის თვალით შემოგვხედა, მაგრამ ვინაობა რომ გაიგო, ცხენებიც სიმშრალეში დაგვიბინავა და ჩვენც თავაზიანად შეგვიძღვა თავის სახლში.

ნახევრად მბუტაე სანათურზედ მოსჩანდა დასაძინებლად გამზადებული ოჯახი; ტახტზედ პირბადე აფარებული რამოდენიმე ქალი, მათი შვილები და ბავშვებიც დიდის ყურადღებით და უწრუმრად გვათვალიერებდნენ ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს, განსაკუთრებით მე და ნინოს ყოფნა ამოდენა ყმაწვილებში და ასეთ დროს, ამ გადასულ ღამეში მათი შეგნებისათვის სრულიად გაუგებარი უნდა ყოფილიყო.

ჩვენი სურვილი იყო ცოტა მაინც გვესარგებლნა მათი ანთებული ბუხარით და ცეცხლა პირას მიმსხდარნი მე და ნინო ჩვენ ქუდებს ვწურავდით, ყმაწვილები, ფეხზედ მდგომნი, იქვე ტრიალებდნენ.

პატარა ხანს უკან შემოვიდა პატარა ბიჭი და გვაუწყა: “ზეიმა მორჩაო“, ე.ი. ეხლა წადითო.

მართლაც გათავებული იყო, აქა-იქ გზაზედ პატარა შემთხვევითი მდინარეც მინელებული მოსჩანდა, გამოვეთხოვეთ ჩვენს მასპინძლებს, მგალობლიშვილებმა რამოდენიმე თათრული სიტყვაც დახარჯეს და სახლისაკენ გამოვწიეთ. ჩვენი ტანისამოსი არ ინახვოდა, იხე იყო დასველებული და დაჭაპჭაპებული.

იმ ღამეს ჩვენი ცხენებით პირდაპირ იქვე მეზობლად მცხოვრებ დათიკო მგალობლიშვილის ოჯახში მივედით, საერთოდ მთელი ის დრო ირაკლი და ილიკო ღამეს იმათთან ატარებდნენ, მე და ნინოც მივემატენით. დედაჩემმა დაგვინახა, ცხენებით რომ გავცილდით ჩვენ ეზოს და იფიქრა, რომ ღამეც არ მოვიდოდით და დათიკოს ოჯახში გავატარებდით, თურმე ძალიან შეწუხებულა, ამ ავდარში რომ სახლში დაბრუნებულნი არ ვიყავით.

მეორე დილით კი ყველას უთო გვეჭირა ხელში, ილიკო ალარავის აცდიდა, თავის შარვალს აუთოებდა და არც ჩვენი ავიწყდებოდა, ეჭირა ნინოს ზედატანი და თან ხან თავზედ ჩამოიცამდა და ხან კი დიდის მოთმინებით აუთუებდა. მე და ნინო ამ დროს დიასახლისის კაბებს ვიზომავდით; ძალუა მანანა, დათიკოს ცოლი, ძალიან ხუმარა და მხიარული ქალი იყო. გვართობდა, ბევრს გვაცინებდა, ხან თათრების ლაპარაკს აჟღერებდა, ზოგჯერ კი ჩვენებურ სოფლის ქალის ლექურს ჩამოუვლიდა.

ამ ხნის განმავლობაში კარგი დრო გავატარეთ, არც მუსიკა გვაკლდა, თუ ილიკო თავის ვიოლონჩელს დილიდან ააჟღერებდა, ნაშუადღევს ტიტო მოდიოდა თავისი გიტარით და ცდილობდა ჩემთვისაც ესწავლებინა, თვითონ კარგად იყო დახელოვნებული და კარგი მასწავლებელიც აღმოჩნდა, იმ ცოტა დროში შემეძლო გიტარა დამეჭირა ხელში და რამოდენიმე აკკორდი ჩამომეკრა, დიდი კმაყოფილი ვიყავი.

ახატლიდან რომ კისისხევის გზას გაუდექით, ჩვენ ლინეიკას დაეწია თათრის გოგო, რომელმაც გადმომცა ჩემი ქუდის გრძელი ქინძისთავი, რომელიც იქ დამრჩენია, როდესაც ბუხართან მათ ოჯახში ქუდს ვწურავდი. ამის გარდა ერთმა ცხენოსანმა ახალგაზრდა თათარმა გადმოგვაწოდა ერთი კალათა ლეღვი და ჩემთვის კი ტიტოს მიერ გამოგზავნილი გიტარა როგორც საჩუქარი. ამ თათარმა დასძრა ცხენი და ჩემი გაოცება და შეწუხება ვერც კი ნახა. ეს გიტარა ძვირფასი ხისაგან იყო გაკეთებული და ტიტოს საკუთრება...

ცხენით სიარული ჩემთვის იყო პირველი სპორტი, თითქმის ყოველდღე ვსეირნობდი და იმდენად თავისუფლად ვიჯექი, რომ ჩემ წრეში ქათინაურებსაც ვისმენდი. აქ, ემიგრაციაში, ელენე ჩერქეზიშვილმა მომაგონა: "რა კარგი ცხენოსანი იყავი, შენ რომ ცხენის ჭენებით თელავში ამოსდიოდი, ჩვენ ქალები გულდაწყვეტილები შეგიცქეროდით, მაგრამ თანაც მოგეწონდით".

რასაკვირველია, პირობები ხელს მიწყობდა ცხენზედ ვჯდომა რიგიანად მცოდნოდა, ვერ ერთი, საუთარი ცხენები, გარდა ამისა, მთელი ჯგუფი ჩემსავით მოცლილი ახალგაზრდებისა, რომელნიც არ დაიზარებდნენ ჩემთან ერთად ცხენები ეჭენებინათ.

ესენი იყვნენ ჩემი ძმები, ბიძაშვილები, გარდა ამისა, იქვე მეზობლად მყოფნი ქობულაშვილები და სტუმრად მოსულნი ახალგაზრდები.

იშვიათი არ იყო, თხუთმეტიოდე ცხენოსანი გავშლილიყავით კისისხევის შარაგზაზედ და დიდი ქარბუქი დაგეყენებინა.

მახსოვს, სანდრო ვახვახიშვილმა ჩვენთან ერთად იმდენი აჭენა თავისი ქირით თელავში ნაშოვნი ცხენი, რომ გზაში დასტოვა, ველარაფერი უშველეს, მისმა გულმა ვერ აიტანა და ფეხები გაჭიმა, ალბად უდროოდ წყალიც დაალევინა, ეს საშიშია.

ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, მიყვარდა, როდესაც ერთი მათგანი უცებ დაჰკრავდა მათრახს ჩემ ცხენს, შეურაცყოფილი ჩემი "მუხტარა" იქაურობას იმ წამსვე დაუსხლტებოდა და დათხებული მიმაქანებდა, ამ დროს ჩემი ნაწნავიც ქუდს მოიცლიდა და მთლად ზურგზედ მეფინებოდა, ვისლა ეცალა ქუდისათვის, თუ არა და ჩემ ძმა ირაკლის.

ამ ბიჭებთან ჩემი შებმა არ იყო თანასწორი, ისინი ორივე ფეხით ერთხმოდნენ ცხენს და წელში გაშლილები მიაჭენებდნენ, ერთ ხელში აღვირი, მეორეში მათრახი ჰქონდათ ჯიუტი ცხენის ასალაგმად.

ერთი სიტყვით, არავითარი დაბრკოლება ამ სპორტში ბიჭებს არა ჰქონდათ. ახლა ჩემი ამბავი იკითხე, თეონი, ჯერ ქალის უსაგირზედ ამაზონით გვერდზედ ჯდომა თავისთავად უხერხული იყო, გარდა ამისა, ტანის ზემო ნაწილი ისე უნდა მომელერაცა, რომ შემძლებოდა ცხენის კისრის გასწვრივ პირდაპირი ხაზით ცხენის ორ ყურებშუა შუბლის ნაწილისათვის მეყურებინა, ამავე დროს "წელი ისე უნდა გქონდეს მოტრიალებული, რომ ცოტა ტკივილიც იგრძნოო", ასე მარიგებდა გიორგი ლეონიძე ამ საქმის დიდი ოსტატი, რომელმაც ქალის უსაგირზედ პირველად შემსვა.

მეც დასწყისში თუ ცხენს მხოლოდ იორღით წავიყვანდი, ჩემი მასწავლებლის სიტყვას და დარიგებას ვეჯერდებოდი, მაგრამ როდესაც ჩემიანებმა გამახალისეს და შეჯიბრებაში ჩამითრიეს, მე ჩემებურად დავტრიალდი, რომ გამიჭირდებოდა, ორივე ხელით ვებღაუჭებოდი უნაგირს და თან ერთ ხელში მაინც ვახერხებდი, აღვირიც მჭეროდა. ამნაირად უთანასწორო ბრძოლის გარეშე მაინც არა ვრჩებოდი, ეს იყო ჩემთვის უმთავრესი.

ამაზედ ხშირად მომისმენია: "ეს არ არის კანონიერი და საყურებლადაც ლამაზიო", გიორგის აზრით, რომელიც დიდი ოსტატი და ავტორიტეტი იყო ქალის ცხენოსნობაში, იმ დალოცვილს სხვანაირად ესახებოდა ქალიც, რომელიც ლამაზად უნდა მჯდარიყო ცხენზედ, ნელა ეტარებინა, რასაკვირველია, ჭენება არც კი იყო საფიქრებელი, მითუმეტეს - ბიჭებთან შეჯიბრება.

იმ ხანებში გიორგის გაგონილი უნდა ჰქონოდა ლეიკო ჭავჭავაძის, ზაქარია ჭავჭავაძის მეუღლის შესანიშნავი ცხენოსნობა, რომელიც ჭენებით მისდევდა რუსეთის მეფე ალექსანდრე მესამის ამალას და რასაც დიდი მოწონებაც ჰქონდა.

გავიდა დრო, გიორგის უნდოდა ჩემი გამოცდა, ამისათვის ისეთი ცხენი ამირჩია, რომლის დამორჩილებას იმისი აზრით ვერ მოვახერხებდი, ეს იყო ჩემი ბიძაშვილის შაქროს საჯდომი ცხენი

"მიშკა", რომელიც პატრონის მეტს არავის გაიკარებდა, არ შეისვამდა.

ერთ დღეს, როდესაც შაქრო სახლში არ იყო, მისმა ცოლმა კატომ გამახალისა გიორგისთან ერთად ამ ცხენით სასეირნოდ წავსულიყავით. ამ წინადადებამ, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა, ვაითუ შაქროს სწყენოდა, რომ უიმისოდ მესარგებლა ამ ცხენით, მეორეს მხრივ კი მიხაროდა, მინდოდა "მიშკა"-ს გავცნობოდი, მით უფრო, რომ ჩემს გეერდით გამოცდილი ცხენოსანი მეგულებოდა, რომელიც ყოველგვარ საშიშროებას ამაცდენდა.

დაადგეს "მიშკა"-ს ეს ქალის უნაგირი და რომ არ დაენახა, ვინ შეეკდებოდა ამაზედ, გეერდით დაუდგა მოსამსახურე ბიჭი, რომ შეეკეკი, ცხენმა ერთი მომხედა, ამაზონი ჭკუაში არ დაუკდა, გულგახეთქილი ველოდებოდი, აი საცაა თავის ხასიათს მიჩვენებს და ბირს დამცემს, მაგრამ ამ გიჟმა დიდი ლმობიერება გამოიჩინა სუსტი არსების წინაშე და დინჯად, ნელის ნაბიჯით ჩაგვიყვანა შარა გზამდე, დროგამოშვებით კი მითვალიერებდა ამ გრძელ შაე ქუდატანს, ეუცნაურებოდა კიდეც ეს ახალი ცხენოსანი, მაგრამ პატივით მეპყრობოდა.

ბოლოს როდესაც აღვირი მაგრად აეუკრიფე, იგრძნო ჩემი სურვილი, წავიდა, მაგრამ კარგად, რა მშვენიერად, დამიახლოვდა, დამიძმობილდა.

ამ შაქროს ცხენმა არამც თუ არ ჩამომაგდო, არც ერთ წუთს შიში არ მაგრძნობინა და პატივით მასეირნა. მიდიოდა ჩქარის იორღით, მიდიოდა კი არა, მიცურავდა, ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის, გიორგიც კმაყოფილებით მიყურებდა, რადგან ვიკეკი "ლამაზად" და უნაგირსაც არ ეეჭიდებოდი, როგორც ეს მქონდა ჩვეულებად.

კარგი მანძილი გავიარეთ, გიორგიმ იდროვა და მითხრა: "ალბათ შაქრო დაბრუნებული იქნება და თავის ცხენს რომ ვერა ნახავს, ძალიან გაჯავრდებაო".

შემოვატრიალეთ ცხენები და ჩვენი სოფლის აღმართს შევუდექით. ორღობეში შაქროს გაჯავრებული ხმა გავიგონეთ.

ჩვენ დანახვაზედ დამშვიდდა, ცხენიდან ჩამომხტარს მისაყვედურა, "როგორ შეიძლებოდა შენი ამ ცხენზედ შეჯდომა, კარგად გადარჩი, მეორედ ეს აღარ გაბედოო".

ბევრი ქება შეეასხი მის საყვარელ ცხენს, ვაქე მისი შესანიშნავი იორღა, მისი ალღო მეტისმეტად გასაოცარი და სხვა.

გიორგიმ ისიც დაუმატა, რომ სონამ კარგად დაიმორჩილა ეს ცხენი, არც დაღალა, არც უდროოდ წყალი მისცა და თვითონაც უფათერაკოდ დაბრუნდაო.

შაქროს სახეზედ სიამოვნების შუქი გადასდიოდა, მაგრამ ჩვენ მოსელამდე კი თავის ცოლს ბევრ საყვედურს ეტყოლა, რომ "მიშკა" ასე იოლად გაიმეტა.

მისი გაჯავრება დიდხანს არ გასტანდა, რადგან მე შაქროს საყვარელი ბიძაშვილი ვიყავი და მისი ნებიერიც.

როგორც ჰხედავ, ჩემო შვილო, ბავშვობიდანვე ჩემს გარშემო უფრო ბიჭები ტრიალებდნენ, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში; ასეთ გართობას, როგორც იყო ცხენზედ ჯდომა, ქალების ანაბარას, რასაკვირველია, ვერ მოვახერხებდი.

ამასთან დაკავშირებით ბევრი მოგონება მაქვს, მაგრამ ეს შემდეგისათვის იყოს, თორემ ამ ცხენზედ კუნტრუშს შევრჩები და ბევრი რამ უფრო საყურადღებო გამომრჩება და დავიწყებას მიეცემა.

ზაფხული საერთოდ ჩემთვის იყო არამცთუ გართობის სეზონი, არამედ იგი ბედნიერების მომცემიც იყო, რადგან ამ სამ თვეს დედას გვერდით, ჩემს ოჯახში ვტრიალებდი, ბევრს ვნებივრობდი და რაც უმთავრესია, უცხო თვალებში არავის შევცქეროდი; სამწუხაროდ, ეს გარემოება არ შეცვლილა, ვიდრე საშუალო განათლებას მივიღებდი, დაახლოებით 18-19 წლამდე.

მეოთხე კლასში ვიყავი, რომ თელავში თავის ბინაზედ გარდაიცვალა ჩვენი ცნობილი მწერალი, რაფაელ ერისთავი, რომლის ლექსები ჩემთვის უცნობი არ იყო.

უფროსები წაგვიყვანეს ჯერ საღამოს პანაშვიდზედ, სადაც ვნახე თბილისიდან საგანგებოდ მოსული დელეგაციები, ამათში ჩვენი მხატვარ-მოქანდაკე ნიკოლაძე, რომელმაც იმ საღამოს მიცვალებულის სახის ნიღაბი აიღო.

მეორე დღეს კი მთელი ჩვენი სასწავლებელი, გამწკრივებული, სამხედრო სობოროს ეზოში მიცვალებულის გამოსვენებას ელოდა.

დაიძრა სამგლოვიარო მსვლელობა, პირველ რიგში ჩვენ დაგვაყენეს, ქრისტეფორე ზარაფიშვილმა, ქართული ენის მასწავლებელმა, სასწავლებლის გვირგვინი მე გადმომცა, შემდეგ დელეგაციები მოდიოდნენ, ყველას გვირგვინები ახლდათ შესაფერისი წარწერით.

ვიარეთ კარგი მანძილი, თელავის საზღვარსაც გავცდით. შემდეგ კი ჩვენ უკან დაგვაბრუნეს და აღარ გაგვაყოლეს ამ ისტორიულ მსვლელობას. მიცვალებულს მიასვენებდნენ სოფელ ქისტაურში, იქ წარმოსთქვამდნენ შესაფერის სიტყვებს და სამუდამო ბინას თავის სოფელში მოხუცებულს იქ დაუდებდნენ.

ამ დღემ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზედ. იქა ვნახე ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი დიდი მწუხარებით შეპყრობილი, ეროვნული გლოვა ვიგრძენი, ამან დამაკავშირა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ გამოელინებასთან,დიდი კმაყოფილი ვიყავი, რომ ჩვენი სასცაველებლის გვირგვინი, თუმცა მძიმე ჩემი მკლავებისათვის, მე მხვდა წილად.

თუ არა ვცდები, ეს იყო გაზაფხულზედ. კარგი მზიანი დღე ახლდა ძვირფას რაფაელ ერისთავს, მის უკანასკნელ ხორციელ არსებობას დედამიწაზედ.

მალე ჩვენც დავტოვეთ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი და იმავ გაზაფხულზედ ჩვენ საჯარო კრებაზედ დაგვირიგეს დიპლომები.

კლასის დამრიგებელი სონა სიდამონ ერისთავი წინასწარ შემეკითხა, რომელი წიგნი მინდოდა, რომ მოეცათ ჩემთვის როგორც ვკითხულობ, მე ლერმონტოვი ვარჩიე სხვა რუსის მწერლებს, არ ვიცი, რადა, ალბად უფრო იმიტომ, რომ ბევრი აქვს მას ნათქვამი კავკასიაზედ, საქართველოსაც ეხება, მაგრამ მაშინ უკვე ნაპატიები მქონდა მისი აზრი, რომ ქართველები ზარმაცნი არიანო.

მივიღე, როგორც ეს იყო მოსალოდნელი, ლერმონტოვის მთლიანი ნაწარმოები, ლამაზ ყდაში ჩასმული და შესაფერისი წარწერით: Награждается Софья Лонгиновзна Чиджавадзе за отличное учение и поведение. მგონი ასეა, თუ არა ვცდები.

ეს წიგნი ჩემ სხვა წიგნებთან ერთად თბილისში დავტოვე, 1928 წ. ენკენისთვის 1-ს, როდესაც სამუდამოდ გამოვეთხოვე ჩემ საყვარელ და ძვირფას ქვეყანას და ჩემიანებს.

პედაგოგიურმა საბჭომ გამოთხოვებისას საცეკვაო სალამო გაგვიმართა. იმ სალამოს ყველას თეთრი კაბები გვეცვა, ფორმა უკუგდებულნი თავისუფლად დავქროდით ერეკლე მეფის თაღებიან დარბაზში. მეორე დღეს ალაზანზედ წაგვიყვანეს და მთელი დღე იქ გავატარეთ. წინასწარ გაშლილი სუფრა დაგვახვედრეს, ჩვენ თვალწინ დაჭერილი წერილი თევზები, რომლებიც იქვე იფუფქებოდნენ ადულებულ წყალში. ხომ ადვილად დააცხრობდა ჩვენ ატეხილ მადას. ეს ფიჩხული, უნდა გითხრა ჩემო თეო, ძალიან გემრიელია.

მასწავლებლები ცდილობდნენ ჩვენს გართობას, იმ დღეს არამცთუ ქართული ენა, ქართული სიმღერებიც ბევრი მოვისმინე.

აბა ხომ ადვილად წარმოიდგენ დედაშენს, ჩემო შვილო, ამ ალაზნის პირას რომ არ გაჩუმდებოდა და სასწავლებლის ლოტბარ მამალაძეს მეორეს ეტყოდა, როდესაც ის სუფრის შესაფერის სიმღერას დაიწყებდა.

იმ დღეს ჩვენი მასწავლებლებიც კარგად გრძნობდნენ თავს, რუსი იქ არავინ იყო და მათ ქართველობას შეება მიეცა.

ძალიან მეხმელებოდა ჩვენი სასწავლებლის დატოვება და ისიც სამუდამოდ, იქაურობას შეჩვეული ვიყავი, თითქოს ჩემში რაღაც ძაფი წყდებოდა.

ზოგიერთი მოწაფე უმცროს კლასებისა ჩემთან მეგობრობდნენ კიდეც, დილით რომ მივიდოდი, ბევრი კეთილგანწყობილი სახე ტრიალებდა ჩემთან, გარდა ამისა, თვითონ მასწავლებელნიც მეჯიდროდ იყვნენ ჩვენთან დაკავშირებულნი.

იმათში დამრჩნენ მეხსიერებაში ელენე შიუკაშვილის ასული, სონა სიდამონ ერისთავის ასული, ლიზიკოს და სონა აბელაშვილის ასული..

მახსოვს მასთან ჩემი უკანასკნელი საუბარი. მკითხა ამ სონა აბელიშვილის ასულმა: "რას გააკეთებ ამის შემდეგ, სწავლას ხომ გააგრძელებ და მერე რას აირჩევ როგორც საქმეს?" - ალბად იმან იფიქრა, რომ გავთხოვდებოდი.

გაგიკვირდება, ჩემო თეო, ჩემი უცნაური პასუხი, არ გაგეცინოს;

ჩემი მაშინდელი ჭკუით და გაგებით საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვიხურავდი ქართულ ჩიხტიკოპს თავის ლეჩაქით და საზოგადო ასპარეზზედ ამ ეროვნული ტანისამოსით ვაპირებდი გამოსვლას და მუშაობას.

მასწავლებელმა გაიცინა და დინჯი კილოთი მითხრა: "სონა, ნუთუ ჰფიქრობ, რომ ლოყებზედ ჩამოკიდებული შენი ორი კალბასით მეტ საქმეს გააკეთებ და შენი პატრიოტობაც ამაში იქნება გამოხატულიო".

მე მას არაფერი ვუპასუხე, მაგრამ მის მიერ დაპირისპირება ქართული კაბებისა და რუსული კალბასებისა, ძალიან მეზიზღა.

ეს იყო უკანასკნელი დღეები და ძალიან მიძნელდებოდა იქაურობის დატოვება, სადაც ჩემი ბავშვობის შვიდი წელიწადი მქონდა გატარებული.

გაველი ბაღში, სადაც ერთ კუთხეში მეგულებოდა პატარა შენობა, ერქვა მეფის აბანო, იმას აუარ-ჩაუარე, იქიდან მეორე მხარეს მივედი დიდ კაკლის ხესთან, რის ქვეშაც შემოდგომაზედ ბევრჯერ გვიძებნია გაყვითლებულ ფოთლებში მივარდნილი კაკალი, მაგრამ სკოლის ზარის დარეკვას დაუშლია კაკლის გატეხვა და ნორჩი ნიგოზის პირში ჩადებაც.

მთელ ბაღს სჭრიდა სკოლის გრძელი აივანი, იმის ქვეშაც შევედი და სადაც კი შევეძელი, კედელი იყო თუ სვეტი, ყველგან შავი ფანქრით ჩემი სახელი და გვარი დავაწერე: "Помилуйте меня. Софья Чиджавадзе" ვიფიქრე, რომ ამნაირად კავშირი მექნებოდა იმათთან, ვინც ჩემს შემდეგ იქ ისწავლიდა, ერთი კიდევ მოვაკლე თვალი იქაურობას და გულდაწყვეტილი გამოვედი.

როგორც გითხარი, ჩემო თეო, ამ ჩემი სახელისა და გვარის წერით აქ შესასვლელად გამოცდა დავიჭირე, ეხლა "სონა ჩიჯავაძე"ს კედელზედ დაჩხაპნით გავათავე იქ ყოფნა თხოვნით: "Помилуйте меня".

ჩემი თბილისში წასვლა და სწავლის გაგრძელება (1900-1906)

ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ უნდა გადავსულიყავი თბილისის ერთ-ერთ ქალთა გიმნაზიაში, თუმცა დედას ჩემი სახლში დარჩენა და გათხოვება ჰქონდა გულში, მაგრამ ამაზედ ვერ დამითანხმებდა; საერთოდ რამდენად პატარაობისას გამგონი ვიყავი, იმდენად კერპი და თავისწვერა ვხვდებოდი, მით უმეტეს ჩემი მოწმობა ოთხი კლასის დამთავრებისა საუკეთესო იყო და სწავლის შუა გზაზედ შეწერება ჩემთვის სიკვდილს უდრიდა.

ძალუა საშა მხარს მიჭერდა და თანახმაც იყო თბილისში მასთან მქონოდა ბინა, მე მაინც მეშინოდა, დედას კიდევ არ ეყოფნა სხვა და სხვა მოსაზრებით. ამიტომ ვისარგებლე იმ შემთხვევით,

რომ ძალუა საშას დედასი კარგი თანხა ემართა. ეს სრულიად საკმარისი იყო ჩემი პანსიონის გადასახდელად.

მარიამობის დასწყისში მე და ჩემი მეგობარი ნინო დილიჟნით თბილისისაკენ მივემგზავრებოდით, ის თავის დეიდას, პიჭაძეს მეუღლეს მიადგებოდა, მე კიდევ ძალუა საშას.

ამას როგორც იცი, სამი ქალი ჰყავდა: უფროსი ქალი თამარა, ოჯახის ბურჯი და მარჩენალი, იმ ჟამად მასწავლებლობდა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლაში, მისი მომდევნონი ანეტა და ელენე, რომელთაც საშუალო განათლება ჰქონდათ მიღებილი "კავკასიის ქალთა ინსტიტუტ"-ში, სადაც მხოლოდ სამხედრო ოჯახის ქალები სწავლობდნენ, ან კეთილშობილთა წოდებიდან მამით ობოლნი, როგორც იყვნენ ეს უკანასკნელნი. ამ სასწავლებელში გარედან მოსიარულენი არ იყვნენ, ძველის ტრადიციებით და ზნე ჩვეულებით ძალიან დაკეტილი და შეზღუდული იყო.

ანეტა მუსიკას განაგრძობდა და პიანინოს გაკვეთილებს თბილისის მუსიკალურ სკოლაში იღებდა.

ელენე კი ემზადებოდა პეტერბურგში წასასვლელად და ფიქრობდა იქ საექიმო დარგზედ შესვლას, მანამდე კი კერძო გაკვეთილებს აძლევდა. ერთი სიტყვით დამიხვდა ჩემთვის კარგი, სასარგებლო წრე.

მამადავითის უბანში პატარა, სუფთა ბინა, მყუდროდ მოწყობილი როიალით, კერა იყო მაშინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილისათვის, ხშირად დაიარებოდა ამ ოჯახში არჩილ ჯორჯაძე, მომავალი ლიდერი ფედერალისტებისა, ოსიკო ბარათაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და სხვანი.

მახსოვს პეტერბურგიდან ჩამოსული ზურაბ ავალიშვილიც მოვიდა, რომელიც მეგონა მოხუცებული კაცი, რადგან მაშინ დაწერილი ჰქონდა თავისი შრომა "საქართველოს შეერთება რუსეთთან", და ახალგაზრდა ყმაწვილი კი დამიხვდა. ჩემი გაოცება მის ნახვის დროს იმაე საღამოს გააგებინეს, ამაზედ ბევრი იცინეს, "მაშ მე თეთრი წვერებიც უნდა მქონოდა არა?" მეკითხებოდა ზურაბი და თან იცინოდა.

იქ მყოფნი სწორედ იმ საღამოს იმისი წიგნის შინაარს არჩევდნენ და თავიანთ აზრს ავტორს უზიარებდნენ. საღამოს დასასრულს კი ანეტამ შოპენით გაართო.[1]

კარგი მოწინაე ოჯახი იყო ეს ჩემი ძალუას ოჯახი, ყველას მიერ პატივით მოხსენებული.

ამ ჩემ ბიძაშვილებს დიდი ნათესაობა ჰყავდათ. დეიდები და მათი შვილები. ამირეჯიბები, ყანჩაველები, მაღალაშვილები და სხვანი.

პატარაობითვე მათი სახელები მესმოდა კისისხვეში მოსულ საზაფხულოდ ჩემი ბიძაშვილებიდან; მაგალითად ელენე ხომ სულ

---

1 ძალიან მიყვარდა მისი დაკვრა, ლამაზი და კარგი ხელის პატრონი მშვენიერ ბგერებს იძლეოდა ამ, მგონი, ბლიუტნერის როიალზედ

იმათზედ ლაპარაკობდა, ისე, რომ შეხვედრისას არავინ მათგანი არ მეუცხოვა: შალვა ამირეჯიბი, მისი ძმა ირაკლი, დები ტასო და ცაცა, მაგრამ ამ დეიდაშვილებიდან ყველაზედ უფრო მომეწონა კოლა და რეზო ყანჩაველები, იმ დროს კიევის უნივერსიტეტის სტუდენტები, მათი და მანია — შემდეგში სეით იაშვილის მეულლე.

თუ ამათ მივუმატებთ ნესტორსა და მის ძმა კოხტა მაღალაშვილებს, ადვილად წარმოიდგენ იმ ახალგაზრდების დიდ წრეს, რომელშიაც მომიხდა ტრიალი პირველსავე წელს, თბილისში რომ ჩავედი.

ხშირად იყვნენ ჩვენთან და კარგად ვიყავით შეწყობილნი, ერთმანეთის სიყვარული, პატივი და შესაფერისი თავის დაჭერა, შენჩემიანობას და სიმშურეს ხომ სრულებით მაშინ ადგილი არა ჰქონია.

რა კმაყოფილი იქნებოდი, გენაცვალე, შეილო, რომ შენც მაშინ ჩვენთან ჰყოფილიყავი, რა სამუდამოდ დაერჩებოდა ის სიამოვნება, რომელსაც აი ეხლაც სიბერეში ხშირად ვიგონებ და ვხარობ, საკმარისია კოლა ყანჩელი მოვიგონო და მისი ხუმრობა.

სამწუხაროდ ისეთ ახალგაზრდებს, ეხლა ველარ ეხედავ, შენ ხომ ბევრი რამ დაგაკლდა და ძალიანაც დაიჩაგრე ამ ეშიგრაციაში, სადაც კარგი განწყობილება სასწორ-გირვანქით იწონება.

თბილისში ჩამოსვლისას გავიგე, რომ არცერთ გიმნაზიაში თავისუფალი ადგილი არ იყო, ერჩებოდით მე და ნინო ამნაირად სკოლის გარეშე. სწავლა უკვე ყველგან დაწყებული იყო, ჩვენ გვეშინოდა ჩამორჩენისა. უფრო მათემატიკაში, ამიტომ მივმართეთ ერთერთ გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფეს. ყოველ დღე მისგან გაკვეთილად მოცემულ მასალას ვიღებდით და ვსწავლობდით. ეს იყო დიდებულიძის ქალი, რომელიც იქვე ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა. ბოლოს ვიფიქრეთ, თუ სხვამ გვაფიქრებინა, ეს აღარ მახსოვს, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება მიემართოს მთელი ამ სკოლების უფროსს, რომელიც უსათუოდ ანგარიშს გაუწევს, ვინც კარგნიშნებიან მოწმობას წარუდგენს და მისთვის გიმნაზიაში თავისუფალ ადგილსაც ალმოაჩენს.

ეს იყო კავკასიის ოლქის მზრუნველი, სკოლების მეთაური - ზავაცკი. გარდავწყვიტეთ მასთან მისვლა. ამ დიდ კაცთან, ეს იყო დიდი გამბედაობა, მაგრამ ახალგაზრდები ვიყავით და ეს გასაგებია, მაშინ თუ საჭირო იქნებოდა, რუსეთის მეფესაც არ დაეერიდებოდით. ოჰ, რა კარგია ეს შუშხუნა ახალგაზრდობა!

დავგბელდით მე და ნინო და დავრეკეთ ზარი, მე თეთრი პიკის კაბაში ვარ, თავზედ ჩალის თეთრი ქუდი და ნაწნავი თეთრივე ბანტით გახლავთ შეკვანწული. ნინო ჩვეულებრივად ყავისფერებშია, იმასაც ქუდი ჰხურავს, მხოლოდ შავი ნაწნავი შავივე ლენტით აქვს დამაგრებული; იმას უფრო საქმიანი ქალის იერი აქვს, მე კი უფრო საბიკნიკოდ ვარ გამზადებული, კიდევ კარგი ამ თეთრ პიკის კაბას იმ დღეს ასცდა ცისფერი სარტყელი და თმისთვისაც ცისფერი ლენტი. უკანასკნელ წუთს ეს დავთმე.

ზავაცკიმ მიგვიღო ღიმილით. მაღალი კაცი, წარმოსადეგი, მადლიანი სახის მქონე. იმდენად მაღალი მჩვენა, რომ იმასთან შედარებით ჩვენ უფრო ახლად დარეკილ წიწილებს ვგავდით ცოტა შეშინებულებს ქორის მოახლოებაზედ.

ძალიან ყურადღებით მოისმინა ჩვენი თხოვნა, ხელში ჩემი მოწმობა გადაეცი, ამის იმედით ვიყავი.

მკითხა, რომელ გიმნაზიაში მინდოდა სწავლა, მე პირველი გიმნაზია დავასახელე, მის მეორე კითხვაზედ, თუ რად ავირჩიე ეს სასწავლებელი, მე ვუპასუხე, რომ იქ კარგად არის დაყენებული სწავლა, ვიცნობ იქაურ მოწაფეებს, რომელნიც განვითარებულნიც არიან და კმაყოფილიც თავიანთი მასწავლებლებით. მართლა, მე მყავდა სახეში ორი სომხის ქალი, რომელნიც ამ გიმნაზიაში სწავლობდნენ და იმათ ზაფხულობით თელავში ხშირად ეხვდებოდი.

რომ დავინახე თანასმა იყო, მაშინ ვთხოვე ნინოც ჩემთან ერთად მოეწყო, მაგრამ მისი მოწმობა ნაკლებად მოეწონა, ამიტომ მითხრა ვნახოთო.

წამოსვლის დროს, რასაკვირველია, რევერანსი გავუკეთეთ და ვემუდარებოდი, თან ცალი ხელით ყელს ეიწვედი, ორივენი ერთ სასწავლებელში დავებინავებინეთ.

წამოვედით დიდი თავმოწონებულები, რომ ასეთმა დიდმა კაცმა მიგვიღო და იმედი აღვიძრა.

გიმნაზიაში მილების მოლოდინში ვიყავი, რომ ჩემმა ძმა ირაკლიმ, რომელიც რეალურ სასწავლებელში სწავლობდა, იმ ჟამად კიდევ იქ იყო, შემდეგ ის ქუთაისში გადავიდა, საღამოთი კონკით გამასეირნა დიდ ქუჩებზედ, ეს იყო მაშინ გოლოვინის პროსპექტი. ამ ჟამად შოთა რუსთაველის, შემდეგ მიხეილოვის ქუჩა, მგონი ეხლა ამას ლენინის ქუჩა უნდა ერქვას? არ ვიცი.

თბილისის ნახვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, თელავის შემდეგ ეს ქალაქი უზარმაზარ სამყაროდ მეჩვენა, მისმა კონკამ ხომ მომხიბლა, განსაკუთრებით საღამოთი ცხენები რომ მიაცუნცულებდნენ სანათურებით გაშუქებულ დიდ ეტლს შიგ მორთულ-მოკაზმულ ქალებით თუ კაცებით.

თუ თბილისის ნახვამ ჩემზედ მართლადა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, მაგრამ ერთგვარი მღელვარება გამოიწვია.

ირაკლი მალე მტოვებდა, იმას თბილისის რეალური სასწავლებლიდან თავისი ქალაღდები უკვე გაეგზავნილი ჰქონდა ქუთაისის ამავე სასწავლებელში. რა მეშველებოდა მაშინ, ამოდენა მანძილზედ, ამ დიდ ქუჩებზედ მარტოკას როგორ უნდა მევლო ან გიმნაზიაში, ან სადმე სხვაგან. ეფიქრობდი ამას და თავს ვგრძნობდი უცხო ადგილას უპატრონოდ და დაკარგულად...

მაგრამ როგორც გითხარი, მალე შევეჩვიე ახალ პირობებს, როგორც თვითონ ძალუა საშას ოჯახში, სადაც თითქმის ყოველდღიურად ეხვედებოდი ბევრ ახალგაზრდას, ისე მის გარეშე შეგობრებიც ბლომად გაეიჩინე.

ზავაცკის განკარგულებით ორიენი, ე. ი. მე და ნინო, მიღებულნი ვიყავით მე ქალთა პირველ გიმნაზიაში, მხოლოდ ნინო ქალთა მეოთხე გიმნაზიაში. ასე დაეშორდით ერთმანეთს ეს ორი განუყრელი მეგობარი, მაგრამ კვირაობით მაინც ერთმანეთს ვეძებდით და ერთად ვატარებდით.

ეხლა გაგაცნობ მაშინდელ დახავსებულ გიმნაზიას, სადაც მივდიოდი თელავის ოთხკლასიან სკოლიდან გამოსული, სულ სხვანაირი გაგებით. მასწავლებლებთან სხვანაირ ურთიერთობას შეჩვეული. ერთი სიტყვით იქ უფრო შინაურულ ატმოსფეროში ნამყოფი, აქ მთლად უცხო ალაგას გადმოსული.

განსაკუთრებით პირველ დღეს რომ თბილისის სასწავლებელში მივედი რა უცნაური დახვედრა მქონდა, ენანობდი კიდეც, რომ ზავაცკის ვთხოვე, ამ პირველ გიმნაზიაში მოვეწყვე, არ ვიცოდი, რომ მაშინდელი პირველი თუ მეოთხე ერთნაირი იყო.

პირველ ქალთა გიმნაზია

დანიშნულ დღეს მივედი გიმნაზიაში, ქვემოდ დამიხვდა მოხუცებული ქალი შავებში ჩაცმული. მომიახლოვდა და მკაცრი შენიშვნა მომცა, რად დაიგვიანეო, მე თავი ვიმართლე: "მე მეგონა, დღეს მხოლოდ გამოცხადება იყო საჭირო და არა გაკვეთილებზედ დასწრება", მაგრამ პირველი მარცხი მე მწარედ განვიცადე.

გამგემ ჩემი თავი უფროს კლასის მოწაფეს ჩააბარა, რომელსაც Mademoiselle-ს ეძახდა და სთხოვა მეხუთე კლასში ავეყვანე.

იმ ქალს, რომელსაც ყავისფერ ფორმის კაბის მაგივრად, საკლდებულო მერვე კლასამდე, ეცვა ნაცრისფერი ფორმის კაბა და თავისუფლად სეირნობდა ტალანში, იმ დღეს ის იყო მორიგე, წესიერების დამცველი. მერვე და მეცხრე კლასები იყო პედაგოგიური კლასები. ამ კლასების მოწაფენი თეორიასთან ერთად სანიმუშო გაკვეთილებსაც ატარებდნენ უმცროს კლასებში და თავისუფალ დროს დახმარებას უწევდნენ კლასის დამრიგებლებს.

ქალმა მიმიყვანა მეხუთე მეორე კლასის კარებთან, (მეხუთე პარალელური) რომელსაც პატარა დაზვერი ჰქონდა, იქიდან დავინახე მოწაფეები და კათედრაზედ ერთი ვებერთელა, ხანშიშესული კაცი, მუნდირში გამოწყობილი, რომელიც გაკვეთილს ატარებდა.

უნდა გითხრა, ჩემო თეო, რომ ეს სანახაობა ჩემთვის მთლად უცხო იყო. პირველად ეზედავდი კათედრას, ზედ ამოდენა კაცს, რომლის მუნდირის ღილები საკმარისად ბრჭყვიალებდა, რომ შემშინებოდა; ფანჯრიდან ვეზედავდი ამ საშინელებას.

იქ შესვლაზედ უარი ვსთქვი, მაგრამ ამ ჩემი ცოდვით საესე ბევრი არ მალაპარაკა, პირდაპირ შემიღო კარები და გავწიდი ამ ორმოც მოწაფის წინაშე ფერმიხდილი.

ამ ბუნების მეტყველების მასწავლებელმა ერთი კარგად დამჭყიალა, შუა გაკვეთილზედ რად შემოხვედითო, მე ვილულულე,

რომ "ახალი მოწაფე ვარ, აქაური წესები არ ვიცოდი და რომ ნაჩალნიკამ სწორედ ეხლა გამომგზავნა." როდესაც გაიგო, რომ თელავიდანა ვარ, დაცინვის კილოთი ბოტანიკიდან მომცა კითხვები. მე გავაგებინე, რომ თელავში ჩვენ ბოტანიკის მაგივრად, მინეროლოგია ვისწავლეთ. "პოდა მოდიან ამ პროვინციიდან ასეთი ხალხი, არც არაფერი იციან და წესიერებასაც გვირღვევენ, წადით, დაჯექით" და მიმითითა უკანასკნელ, ცარიელ სკამზედ; შეშინებული და გამწარებული მასზედ დავეშვი.

ზარი რომ დაირეკა, ყველანი ტალანში გავედით, ვიდექი კედელთან მიყუდებული განცდებით დატვირთული, მოწაფეები ყურებით კი მიყურებდნენ, მაგრამ არავინ გამეკარა, ხმას არავინა მცემდა.

გაკვეთილზედ რომ შევედით, ერთმა მოწაფემ მითხრა, რომ მასთან გვერდით ამელო ადგილი. ეს იყო სომეხი, მანია მირიმანოვა, მე ძალიან გამიხარდა, რომ ამ კლასში ერთმა მაინც მიმიღო; მთელი ის დრო, რაც გიმნაზიაში ვიყავი, მე და ის დიდი მეგობრები გავხდით და ძალიანაც გვიყვარდა ერთმანეთი.

ერთმა გარემოებამ გამაოცა, თუ თელავში ჩვენთან ერთი ან ორი რუსი ერია, აქ პირიქით ორმოც მოწაფეში ქართველები ორნი ვიყავით, დანარჩენები სულ რუსები ან სომხები. მასწავლებლებიც სულ რუსები იყვნენ, მხოლოდ ერთი იყო ქართველი ხუციშვილი, რომელიც მათემატიკას გვასწავლიდა.

ერთ დღეს დამიბარეს სამასწავლებლო ოთახში, გულგახეთქილი შევედი, იქ დამიხვდა ზავაცკი, სარევიზიოდ იყო მოსული, მოინდომა თავისი მზრუნველობით დაბინავებული მოწაფის დახედვა, მკითხა, "ხომ კმაყოფილი ხართ, რომ აქა სწავლობთო?". მე შესაფერისი პასუხი მივეცი ამ ჩემ კარგ ნაცნობ ზავაცკის, რომელსაც ამ ერთი თვის წინ, მხურვალედ ვთხოვდი, ნაცნობ ამ სასწავლებელში შეეყვანე.

მასწავლებლები პირში შეჰყურებდნენ ამ თავიანთ უფროს კაცს და უკვირდათ ჩემი ასეთი მოშინაურება და კერძო საუბარი მასთან.

მალე ჩემი სულის შემხუთავი ბუნების მეტყველების მასწავლებელი პასიუტევიჩი გადაყვანილი იყო ერევანში, ასე რომ კარგი ამინდი მიდგებოდა; ახალ მასწავლებელთან, რომელმაც მისი ადგილი დაიჭირა, კარგად ვიყავი და მის მხრივ არავითარი გაღიზიანება არ მიგვრძნია, როგორც პროვინციიდან ჩამოსულს, მისი გვარი, ეხლა მომაგონდა - ნევეტონოვ.

აღმოჩნდა საბოლოოდ, რომ თელავის სასწავლებელი არამც თუ არ იყო ჩამორჩენილი, არამედ ზოგიერთ საგანში კიდეც უსწრებდა ამ გიმნაზიას და კარგადაც მქონდა შეთვისებული მასალა, რაც საჭირო იყო.

პირველსავე წელიწადს ქების ფურცელით გადავედი მეექვსე კლასში. საერთოდ მალე შევეჩვიე ახალ პირობებს,

გავიცანი სხვა კლასებში მოსწავლე ქართველები და მათთან მჭიდროდ დავკავშირდი.

დიდ შესვენებაზედ გიმნაზიის მთელი ქართველი მოწაფეები რომ მოვიყრიდით თავსა, ჩვენი მშობლიური ენით და ხშირად ქართული სიმღერებითაც, იქაურობას ვიმორჩილებდით, თუნდაც გაგვეგონა კლასის დამრიგებელის მკაცრი შენიშვნა: "ილაპარაკეთ ქრისტიანულ ენაზედ"-ო

აი იქ კი პატრიოტულ გრძნობების გასანვითარებლად დიდი ხელსაყრელი პირობები იყო, ამას ხელს უწყობდა ყოველდღიური შენიშვნები, გარდა ამისა ყურისგდება რუსეთის პატარა ჯგაშუებისა, აბა რომელი მოწაფეა საეჭვო და წესიერების დამრღვეველი.

საერთოდ თბილისის გიმნაზიაში ყველაფერი ქართული წაშლილი და წარხოცილი იყო; ქართული ენის გაკვეთილები ხომ ვითომ იყო და არც იყო, რადგან ამ საგანს დათმობილი ჰქონდა კვირაში ერთხელ ისიც მეექვსე საათი, ამიტომ მასწავლებელს ხშირად ცარიელი კლასი უხვდებოდა.

მე რომ შევედი, იქ მე ქართული ენის მასწავლებელი არ მინახავს, ეტყობა, ამ საქმიანობას ბოლო მოეღო.

აფსუს ჩემი ქრისტეფორე ზარაფიშვილი და მისი ქართული ენის გაკვეთილები! ჩვენი მაშინდელი უკმაყოფილება რუსული ადმინისტრაციის მიმართ მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ წელიწადში ერთხელ იანვრის 14-ს, ნინოობას ვიფიცებოდით და ქართველი მოწაფენი ამ დღეს გაკვეთილებს არ ვესწრებოდით.

წინა დღით უფროსი კლასის მოწაფენი უმცროსებს ვაფრთხილებდით: "ხვალ ნინოობაა, ჩვენი ეროვნული დღესასწაული,[1] გიმნაზიაში გაკვეთილებს არავინ ჩვენთაგანი არ უნდა დაესწროსო."

შემდეგ დღეებში, როდესაც კლასის დამრიგებელი შეგვეკითხებოდა, რად მოვცდით 14 იანვარს და გაკვეთილები გამოვტოვეთ, ჩვენ პასუხი დამზადებული გვქონდა: "დედა იყო ძალიან ავად და ვერ დავტოვე, ან ყელი მქონდა დასიებული" და სხვა. ლარნები ვიყავით, სიმართლეს ვერიდებოდით.

გიმნაზიის ადმინისტრაციამ კარგად იცოდა ჩვენი დემონსტრაციის მიზეზი, მაგრამ ვერაფერს გააწყობდა, ამიტომ თვალებს ჰხუჭავდა.

ქართველებს კავშირი გვქონდა მაშინდელ სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფეებთან, რომელნიც ქართული ენის სწავლაში სრულებით არ იყვნენ დაჩაგრულები, პირიქით. ამათ სასწავლებელს ინახავდა თავადაზნაურობა და მისი ბანკი, ამიტომ ქართული ენის სწავლებას ვერავინ შეზღუდავდა,.

ახალი ჩამოსული ვიყავი თბილისში, რომ ახალგაზრდებმა წამიყვანეს ერთ ლიტერატურულ წრის კრებაზედ, ამის მეთაურნი იყვნენ სათავადაზნაურო სკოლის მოწაფენი: შალვა ნათაძე, ილიკო

---

[1] ეს რასაკვირველია ჩვენ დამოუკიდებლობამდე.

ხირსელი, სამსონი და მისი ძმა შოთა დადიანები, გრიგოლ ლალიძე და სხვანი.

მიეედი ქალი ახალ მოდაზედ დაეარცხნილი თმით, ე.ი. შუბლიდან დიდ სიმაღლეზედ აწეული თმა ოთახის ჭერს თუ არა სწვდებოდა, ნაკლები მაინც ბევრად არ იყო და უკან ბანტშეკრული ნაწნავით.

ოთახში რომ შეეედი, ყმაწვილებმა დიდ სიჩუმეში მიმიღეს, ვიფიქრე კიდეც, რომ ამ სიჩუმეს გადახარხარება მოჰყებოდა, რადგან ჩემ თვალშიაც სასაცილო ვიყავი, რა კარგია ახალგაზრდობა, რომელსაც ეერაეინ დაბამს, ერთი მითხარი, რა ეშმაკად მინდოდა ეს მოდა, რომელიც მე სახიდანა მშლიდა.

იმ დღეს მომხსენებელი იყო შალვა ნათაძე, პატარა ტანის მქონე, ჩაფსკვნილი, შავგერგმანი, დიდი შავი თვალები, რომლებიც ყოველთვის ქვეშიდან იყურებოდა. კარგად მომზადებული, ნაკითხი და სიტყვის ოსტატი.

არჩეედა ილიას "განდეგილს."

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცელა გამოცელა, მე ჩემი თავი უძლურად ვიგრძენი, ენაჩავარდნილი ვიეექი, რა უნდა მეთქვა, როდესაც სათქმელი არაფერი მქონდა, აშკარად დავინახე, რომ ჩვენ ქალებს ბევრი რამ ამ ყმაწვილებისაგან უნდა გეესწავლა.

როგორცა ვსთქვი, ქართული ენის გაკეთილები ჩვენ არა გექონდა, როდესაც იმათ ქართული ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის გაკეთილები დიდის მზრუნველობით ეძლეოდათ.

ეს სკოლა ეროვნული შეგნების გამღვიძებელი და დამფუძნებელიც იყო. მას დიდი როლი ითამაშა ქართული უნივერსიტეტის გახსნაში, ამის გარდა მისმა მასწავლებლებმა შექმნეს ქართული ტერმინალოგია და სახელმძღვანელოები. ამნაირად შეასებუქეს ის დიდი ტვირთი, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის დროს თავს დააწვა ქართულ სკოლების მომუშავე, გამოუცდელ მასწავლებლობას.

მაშინდელი ეროვნული საქმიანობა ტრიალებდა ამ სათავადაზნაურო სკოლის, წერაკითხვის საზოგადოების, დრამატიულ საზოგადოების და ქართული ბანკის გარშემო; ყველა ამის დედაბოძი კი იყო ილია ჭავჭავაძე

მის შესახებ, რასაკვირველია, ბევრი მესმოდა ჩვენს ოჯახში, შემდეგ თბილისში და საშინლად მინდოდა ამ ბუმბერაზის ნახვა.

იქეე მეზობლად მამადავითში ცხოვრობდა განსვენებული ნიკო ცხვედაძე, ილიას კარგი მეგობარი, ქართველი საზოგადო მოღვაწე, კარგი, მისაბაძი ადამიანი. იმ ჟამად ქალთა ინსტიტუტში მასწავლებლობდა. მას ჰყავდა ერთად-ერთი ქალიშვილი, ელენე, რომელიც უდედოთ იყო პატარაობიდანვე, რადგან ცოლქმარნი ადრე იყვნენ გაყრილნი.

აი იმათ ოჯახში დავდიოდი და ელენესთან ვმეგობრობდი. მისი ზედამხედველი იყო სალომე მაღალაშვილი, დიდი ერთგული ამ ოჯახისა, მათი ნათესავი.

ნიკო კარგი პედაგოგი იყო. უყვარდა ახალგაზრდებთან საუბარი; ერთხელ მკითხა, თუ რა მომეწონა თბილისში, არ ვიცი, ამაზედ რა ეუპასუხე, მაგრამ ჩემი სურვილი ილიას ნახვისა გაეუზიარე, დამპირდა, წაგიყვან, მხოლოდ ერთი მისი ლექსი მაინც მზად უნდა გქონდეს, რომ არ შერცხვე, თუ გკითხა და მოისურვა შენი პირით მოისმინოს თავისი რომელიმე ნაწარმოებიო“

გამომკითხა თელავის სასწავლებელის ამბავიც, მაგრამ მე სხვა რამე მაწუხებდა, ეს ილიას ნახვა გაადვილებული მქონდა, მაგრამ სხვა საგნებიც რომ სანახავი მრჩებოდა, როგორ მეთქვა ამ დარბაისელი ადამიანისათვის, რომ მაიმუნი არა მყავდა ნანახი და ძალიან კი მინდოდა ამ არსების ნახვა. ეელოდებოდი ისე ჩამოეგდო ლაპარაკი, რომ გამებედნა, მეთქვა ჩემი მეორე სურვილიც.

უცებ, ეელარ მოვითმინე, ავდექი და პირდაპირ ეუთხარი: “იცით, ბატონო ნიკო, რომ მაიმუნი არ მინახავს, თელავში ის არ მოიპოვება“

- ალბად მალე ჩამოატარებენ იმას ქუჩაში და ნახამო, მიპასუხა.

ამით გათამამებულმა ისიც დაეუმატე, რომ არც ბოტანიკური ბაღი მაქვს ნანახი. გაიცინა და მითხრა: “როგორც ვხედავ, შენ სამი რამ გინდა ნახო, ილია, მაიმუნი და ბოტანიკური ბაღიო“

როგორც შემდეგ მისმა ქალმა, ელენემ მიამბო, ილიასთან შესვედრისას, ნიკოს უთქვამს, რომ კახეთიდან ჩამოვიდა ერთი შენი თაყვანისმცემელი ახალგაზრდა გოგონა, რომელიც დიდ გასაჭირშია, რადგან არც შენა ჰყევხარ ნანახი, ჯერ ვერც მაიმუნი უნახამს და ბოტანიკური ბაღიც სანახავი აქვსო.

ილიას უთქვამს, ამ საქმეს ადვილად მოევლება, “თუ ერთ დღეს ამ ქალს მოიყვან ბოტანიკურ ბაღში, მე კარებში დაგიხვდებით მაიმუნით ხელში. ამნაირად სამივეს ერთად გვნახავს, შენც მოისვენებ, როგორც მისი შიკრიკი და ის გოგოც დამშვიდებულად განაგრძობს თავის სწავლასაო“.

მე და ელენემ ბევრი ვიცინეთ ამაზედ. ბოტანიკური ბაღი და მაიმუნი კი კარგად ვნახე და ძალიან ახლოც, მხოლოდ ილიას თვალი მოვკარი ქუჩაში. სხვებთან ერთად ბრუნდებოდა ბაკიდან. მიდიოდა კი არა, მიარღეეედა ჰაერს. ასე მეჩვენა ეს ჩემი საყვარელი დიდი ადამიანი და მართლაც “საქართველოს ჭირისუფალი“.

მაშინ უფროსი ხალხის კრებებზედ, რასაკვირველია, ვერ დავდიოდი, თორემ არ იქნებოდა ძნელი, მისი ნახვაც და მისი სიბრძნის მოსმენაც.

ნიკო ცხვედაძის შეწუხებაც ეელარ შევძელი, ვიფიქრე, რომ ილიას თვალში სასაცილო ვიქნებოდი, როდესაც მნახამდა და მოაგონდებოდა ჩემი სამი სურვილი, მოვერიდე ამას და შემდეგში ძალიან ვინანე.

იმ ხანებში მე ისევ ჩემ ტოლ ამხანაგებში ვტრიალებდი, თუმცა მთლიანად არ ვიყავი კმაყოფილი ჩემი ცხოვრების პირობე-

ბით. ყველაფერი არ იყო ჩემთვის მოსაწონი და გასართობი, ნელნელა ვგრძნობდი, რომ ამ ჩემ ძვირფას ძალუა საშას ოჯახის რეჟიმს დიდხანს ვერ გაუძლებდი.

ძალიან ბევრი ლაპარაკი და გვიან დაძინება, როდესაც მე შვიდ საათზედ ფეხზედ უნდა ვყოფილიყავი, სადილი თუმცა მზად იყო და სუფრაც გაშლილი ჰქონდა მოსამსახურეს, მაგრამ სამ ოთხ საათამდე ჭამას ვერ ვიწყებდით.

ღამის ორ საათამდე გაუთავებელი დავა სულ უბრალო საგანზედ და რაც უმთავრესია, როდესაც ისინი თეატრში იყვნენ წასულნი, რა შიში უნდა გამომეკლო. დედა და სამ ქალს ყოველთვის ალებული ჰქონდათ ოთხ ადგილიანი ლოჟა და რასაკვირველია, მე ვერ წამიყვანდნენ.

მზარეული ქალიც საღამოთი სახლში მიდიოდა და მე ვრჩებოდი პატარა თორმეტი წლის ოსის ბიჭის ანაბარა.

აქ მინდა გითხრა, ჩემო გენაცვლები, რად ვიყავი მშიშარა, რისი, ან ვისი მეშინოდა. ეს შიში დამეუფლა მთელ ჩემი ცხოვრების მანძილზედ.

პატარაობაში ყველა პირობები ხელს მიწყობდა მშიშარა ვყოფილიყავი, ბევრი ცრუმორწმუნეობა, რასაც საერთოდ სოფლად აქვს ადგილი, ზღაპრები თავის ცხრათავიანი დევებით, ეს უცნაური შავი ღამეები, რომელიც უმთავრო ღამეს ესტუმრებოდა კისისხევს, ეზოს ბოლოს სალამოობით ტურისა თუ მგლის ზმუილი, ყველაფერი ერთად ბავშვზედ კი არა დიდ ადამიანსაც შიშს მოპგვრის.

ერთხელ სოფელ ოჟიოდან მესტუმრა სოსო აბელაშვილი მოსკოვის სტუდენტი, ღამე იქ გაატარა, მეორე დღეს მითხრა: "სონა, აქ როგორ სცხოვრობთ, რა საშინელი შავი ღამეები სცოდნია თქვენს მხარეს, მერე ეს მთებიც რომ აწვება ამ მიდამოს, პირდაპირ მიკვირს, რომ აქა სცხოვრობთ"ო.

აივანზედ იწვა და ალბად უნუგეშოდ შესცქეროდა ცას, იქნება ცაში ერთი ვარსკვლავი მაინც დავინახოო.

ჰო და ამებს თითქოს შეჩვეულს, მაგრამ მუდამ შეშინებულს ზაფხულის თვეებში კიდევ ბევრი მესმოდა ჩემი ბიძაშვილებიდან თბილისის ქურდბაცაცებზედ, რომელნიც თურმე შეპარებიან ვისიმე სახლში და უცბად შუა ღამისას დაცხრებიან მძინარეებს და ხშირად ჰხოცავენ კიდეც.

ეს ქურდბაცაცები ძალიან მაინტერესებდნენ და ხშირად მე თვითონ ვთხოვდი ელენას, ეამბნა იმათ შესახებ რაიმე საშიში ამბავი: "მელას თავის მახრჩობელა უყვარსო" სწორედ ჩემზედ ითქმოდა.

მაშ როგორცა ჰხედავ, ჩემო შვილო, კისისხევის შემდეგ თბილისს ვეწვიე ეს მშიშარა ქალი გონება დატვირთული ყოველნაირი ჭინკებით და ბოლოს ამ ბაცაცების ამბით

ძალუა საშასთან დღისით კი დამშვიდებული ვიყავი, მაგრამ საკმარისი იყო ისა და მისი ქალები ერთად საღამოთი სადმე წასულიყვნენ, მათი კარების გაკეტება და ჩემი შიშით ატანა ერთი

იყო. ვერჩებოდით ბინაზედ მე და ეს პატარა სერგო, რომელიც ქართლიდან ჩამოეყვანათ, რომ წერა-კითხვა ესწავლა და თან ხელზედ მოსამსახურედ ჰყოლოდათ.

ამ ბიჭს ძალიან ეხერხებოდა ტყუილები და როდესაც მახეში გაებმებოდა, თავის ძალიან წვრილ თვალებს უცნაურად აწაპწაპებდა. სასაცილო ხდებოდა. ერთ დღეს ძალუა საშა თავის ქალებით თეატრში წავიდნენ, ბინაზედ დავრჩით მე და სერგო; დავაჭერინე სანთელი, დავიარე ოთახები. შევიხედე ყოველ კუნჭულში და რომ დავრწმუნდი, რომ ტახტის ქვეშაც არავინ იყო დამალული, სერგო ავსვი ფანჯარაზედ, ვაწვდიდი წიგნებს და ვთხოვდი ზედიზედ დალაგებინა ისე, რომ დარაბების გასწვრივ ყოველივე ჩურჩუტანა დაცული ყოფილიყო და ოთახებიდან გარეთ სინათლე არ გასულიყო. ჩემის ჭკუით მოსული ქურდბაცაცა ვერ დაინახავდა, რომ ბინაზედ მარტო ორი სულელია დარჩენილი. ერთი სიტყვით ჩვენ მას ვემალებოდით.

ამ თავდაცვის იარაღის შემდეგ მე უნდა ყარაულად დამდგომოდა ეს ბიჭი, როდესაც დავიძინებდი. ეს მისი წინადადება იყო, ამასთან ერთად მიამბობდა, მისი მამა ოსეთში როგორ ჰმალავდა მოპარულ ცხენებს, ისე რომ ამგვარ საქმიანობაში გამოცდილი სერგო რიხიანად მეუბნებოდა: "თუ ქურდი მოვა, აი ამ დიდი დანით შეეაშინებო": სამზარეულოდან გამოეტანა ეს დანა. მეც დაიმედებული, რომ შეიარაღებული ყარაული მყავდა, დავწექი დასაძინებლად და კარებში ამ დანით ხელში თავს მედგა ეს პატარა ოსის ბიჭი. ის იყო ჩამთვლიმა, მომესმა სერგოს საშინელი ყვირილი: "ბარისსა, ვიღაც აფაჩურუნებსო" გულგახეთქილი, თვალებდაჭყეტილი წამოვხტი და სულგანაბული ველოდებოდი კარების შემოსვრევას, ჩემი ყარაული თავისი დანით იდგა გაფითრებული.

ჩვენების დაბრუნებამდე ამ აუტანელ ყოფაში გავატარეთ, ვინ უფრო შეშინებული იყო, ის თუ მე, ეს ღმერთმა იცის.

თამარამ დ. ანეტამ ბევრი იცინეს, ფანჯარაზედ აკონწიალებული მთელი წყება წიგნებისა რომ დაინახეს. ჩვენ კი აღარა გვკითხავდნენ, რა გასაჭირში ვიყავით.

საშობაოდ რომ დედაჩემი ჩამოვიდა, საშინლად შეწუხდა ჩემი ნახვით, რადგან ჯანზედ ვერა მწასა კარგად, საშინელი ხასლნაკლებობა დამეწყო, ყვითლად ვიყავი დასიებული. ექიმის წამლობაც ვერა მშველოდა, დავდიოდი გიმნაზიაში წელმოწყვეტილი, თუმცა სწავლას არაფერს ვაკლებდი.

ზაფხულში კახეთის ჰაერმა და დამშვიდებულმა პირობებმა მალე დამყენეს ფეხზედ. შემოდგომაზედ ისევ გავუდექი თბილისის გზას, თელავში გამომაცილა დედამ და დილიჟანში ვიჯექი, რომ დედას გადასცეს ფოსტიდან მოსული ძალუა საშას წერილი, სადაც ამ უკანასკნელ წუთს აგებინებდა, რომ იმ ზამთარს ადგილი არ გვექნება ბინაზედ და "სოფიო ლონგინოზოვნას ველარ ავიყვანთო."

დედას ეს მეტის მეტად უცნაურად ეჩვენა და ძალიანაც ეწყინა, თუმცა ჩემთვის უკვე ნაფიქრი ჰქონდა სხვა ოჯახში დაბინავება.

ეს იყო გიმნაზიის მასწავლებელი ვასო კიკნაძე, რომლის ცოლიც დედას ნათესავი იყო, კარგი ადამიანი.

აი, პირდაპირ იმათთან ჩამოვსტი, ისე რომ ძალუა საშას არაფერი გავაგებინე, რომლის ბინის შესასვლელი კარები და ამ კიკნაძიანთი ზედიზედ იყო, რომ თუ მოვისურვებდი, კაეშირი მეწვებოდა ჩემ ბიძაშვილებთან და მათ დეიდაშვილებთან, როგორც ეს იყო წარსულში.

ჩემს სანაცვლოდ იმ ზამთარს იმათთან ბინა ჰქონდა შურას, ივანე ჯავახიშვილის დას.[1] ვასო კიკნაძის ცოლი მე შვილებში არ მარჩევდა და მანებივრებდა კიდეც. მისი ქალები ნასტა და ანიკო ხომ კარგად იყვნენ ჩემთან და მეგობრობასაც მიწევდნენ. იმათთან ყოფნით მე ძალიან კმაყოფილი ვიყავი.

ეს იყო 1901 წელი, როდესაც მელიქიშვილის მეთაურობით თავადაზნაურობა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის თავს იხდიდა.

იმ დღეს მოდიოდა მეფისნაცვალი ვორონცოვი, რომელსაც საპატიო ყარაული, თავადაზნაურთა რჩეული ცხენოსანთა ამალა უნდა ჰხლებოდა მოსელისას და შემდეგ რამოდენიმე დღის განმავლობაში სასახლის ზეიმსაც დასწრებოდა..

ჩვენ ქართველ მოწაფეთა წრეებში კი იყო ამის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ რაიმე საწინააღმდეგო მოქმედებისათვის არც გეგმა ფიქრია და არც არაფერი გაგვიკეთებია.

უფროსებს ვატყობდით რაღაც შეკავებულ, ჩუმ ლაპარაკს, წინა სალამოს დაბეჭდილ ფურცლების გავრცელებას.

ეს იყო ენკენის თვის პირველი რიცხვები, სწავლა დაწყებული გვქონდა, ჩვენ არავინ გვითხრა, სასწავლებელში იმ დღეს არ წაგვსულიყავით.

შუა დღე იყო, რომ გიმნაზიიდან ვბრუნდებოდი, ბარიატინსკის ამოსავალში დავინახე ლანდო, რომელშიაც იჯდა ვორონცოვი, მეფის მოადგილე თავის ამალით.

ლანდო შემორტყმული იყო საპატიო ყარაულით, ლამაზი ცხენოსანთა წყება, ერთი მეორეზედ უკეთესი, ფერად ქულაჯებში, ლამაზ ცხენებზედ მსხდომნი თვალწინ მიდგანან ის სახაგლები, ჩუმად მოსდევდნენ ამ ეტლს, მხოლოდ მათი ცხენების რახტის ჟღარუნი თუ არღვევდა ამ საიდუმლოებით მოცულ სიჩუმეს.

---

1 ერთხელ თამარამ მითხრა: "როდესაც სტუმრები არიან, სჯობია არ გავიხსენდე, რადგან, ცუდი სანახავი ხარ მაგ გაფითრებული სახის პატრონი" იმას დაეწყებული ჰქონდა, რომ ჩემი სისხლის ნაკლებობის მიზეზი სწორედ მისი ოჯახის უცნაური რეჟიმი იყო.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მიცვალებულს მოასვენებდნენ. "გოლოვინის პროსპექტი" მთლად ცარიელი იყო, თითქოს იმ წამს სიცოცხლეც უნდა შეწერებულიყო.

შემდეგ გავიგე, რომ ქართველ ქალებს უპირებიათ შაჲი სამგლოვიარო ტანისამოსით სასახლის წინ გაელა, მაგრამ ეს აზრი მიუტოვებიათ, არ ვიცი რადა?

სასახლეში როგორ იზეიმეს, ან ვინ დაესწრო ვერ გეტყვი, მაგრამ აშკარად სჩანდა, რომ მელიქიშვილის[1] თაოსნობას ბევრი მიმდევარი არა ჰყავდა.

თბილისი იმ დღეს საქართველოს რუსეთთან შეერთებას გლოვობდა. ამ სურათის მნახველი ხშირად მივეცემოდი ფიქრს და წარმოვიდგენდი იმ სანახაობას, რომ ეტლში ვორონცოვის მაგიერად მჯდარიყო ჩვენი მეფის ნაცვალი, ან უფრო კი მეფე, სულ სხვა განცდა მეჩებოდა მეცა და ქუჩაც ვერ დიიტევდა ზღვა ხალხს აღფრთოვანებულს და ბედნიერს.

იმ დღეს მივიღე მირონცხება და დამეუფლა ერთი გრძნობა, ერთი ფიქრი, მაგრამ მის განხორციელებაზედ მაშინ ზედმეტი იყო აზრიცა და ოცნებაც.

უცნაური ფერადებით კი ჩამრჩა 1901 წლის ენკენისთვე. ყველა გიმნაზიის ქართველ მოწაფეთ მჭიდრო კავშირი გვქონდა, მაგრამ პირადათ მე დახლოებული ვიყავი უფრო სათავადაზნაურო სასწავლებელთან, რადგან ჩემი ძმა ლელო იქა სწავლობდა.

თუ რუსული გიმნაზიიდან ვინმე ქართულში სუსტობდა, ეს სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეს ევალებოდა მათი მოვლა.

ეს ახალგაზრდობა ხშირად იკრიბებოდა ზოგიერთ ქართულ ოჯახში. იყანე როსტომაშვილის ოჯახი ხომ ჩვენთვის ნამდვილი კლუბი იყო, მისი შვილი დათიკო და ქალი ბაბო კარგ მასპინძლობას გვიწევდნენ.

ბაბო თეატრით იყო გართული, იმას მსახიობობა უნდოდა, საბოლოოდ ამ მიზნით მოსკოვში წავიდა და იქ სამხატვრო თეატრის ცნობილ მსახიობ ვორონოვზედ გათხოვდა.

მისი ძმა დათიკო დიდი მისტიკოსი იყო. ჩვენ იქ ყოფნისას ხშირად დაპნელებდა ოთახს და ცდილობდა მიცვალებულთა სულებთან დაკავშირებას, რა შედეგები მიიღო ამ ცდებიდან, ეს არ ვიცი, ჩვენ კი დავცინოდით ამ ყმაწვილს. აღფრთოვანებულს და კეთილშობილ ადამიანს.

დიდი პატრიოტი იყო, ხშირად მინახავს იგი აცრემლებული, როდესაც საქართველოზედ ლაპარაკობდა. ჩვენთან ე.ი კიკნაძის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო.

ოჯახებში იმართებოდა სახელწოდების ან დაბადების დღე. ეს იყო ჩვენი შეხვედრებისათვის და გართობისათვის კარგი შემთხვევები.

---

[1] მაშინდელი თავად–აზნაურობის წინამძღოლი.

მახლობლად ცხოვრობდა წმ. ნინოს სასწავლებლიდან ტოროშელიძის ქალი, რომელმაც თავის დღეობაში მეც დამპატიჟა, მეტი წილი ქალებისა თავის სასწავლებლიდანა ჰყავდა. მათ შორის მისი მეგობარი კატო თარხნიშვილის ასული.

მე რომ შევედი სასტუმრო ოთახში, ის მაშინათვე ადგა და დიასახლისი გაიხმო მეორე ოთახში, თურმე ძალიან ნაწყენი დარჩენილა, რომ მეც ვიყავი დაპატიჟებული.

როგორც ჰხედავ, ჩემო თეო, ჩვენ დროსაც იყო ქალების წვრილმანობა, ქიშპობა. იქ გავიცანი ვაჟების გიმნაზიის მოწაფე, ვასო ფავლენიშვილი, იმ საღამოს გმირი. დაბალი ტანისა, ჩაფსკვნილი, შავგვრემანი და ფერმკთალი, დაღონებული სჩანდა, მორიდებულიც იყო. სთხოვეს სიმღერა და ხელში გიტარაც მისცეს. კარგი ხმა ჰქონდა და მგრძნობიარედ ასრულებდა რუსულ რომანსებს. სამწუხაროდ ქართული ენა მისთვის მთლად უცხო იყო.

სიმღერას რომ გაათავებდა, სევდიანი სახით გიტარას გადასდებდა და ხელს შუბლზედ დაიდებდა, თურმე საშინელი თავის ტკივილები აწუხებდა, ან იქნება, ეს იყო ერთგვარი სიკეკლუცე და სურვილი მეტი ყურადღება მიეღო, ეს ღმეთრთმა იცის, ახალგაზრდას ჩუმი ზრახვები.

იმ საღამოს კარგად ვისიამოვნეთ; დაედგით "შარადები", ორ ჯგუფად ვიყავით გაყოფილნი, ერთი მეორეს ეჯიბრებოდა; კარგი, ძნელად მისახვედრი სიტყვის შინაარსი სურათებში ლამაზად უნდა ყოფილიყო შესრულებული და გადმოცემული. ცეკვასაც ჰქონდა დათმობილი ადგილი, საერთო ცეკვები მაშინ ადვილად ვერ ხერხდებოდა, რადგან ინსტრუმენტი ყველა ოჯახში არ იყო; რაც შეეხება ლეკურს, იშვიათ შემთხვევაში იცეკვებდნენ, თუ ამის მცოდნენი აღმოჩნდებოდნენ, ამისათვის მაშინ საკმარისი იქნებოდა როგორც მუსიკა, გიტარა და ტაში.

თითქოს ბევრმა სცადა ხელის გაშლა, მაგრამ მოერიდა ამ კახელი ქალის ლეკურში გაწვევას.

მე კი მინდოდა ირაკლი იქა მყოლოდა, მაგრამ ის ქუთაისში იყო წასული. მაშინ კი თარხნიშვილის ქალი არ მეყოლებოდა გაბუტული, როდესაც ჩემ გვერდით ირაკლის ნახავდა, დანარჩენებიც უკმაყოფილონი არ დარჩებოდნენ.

საღამოდან წამოვედი და ეს ვასო ფავლენიშვილი თავის სიმღერით ჩამრჩა მეხსიერებაში, თუ გულში არ ვიცი, მხოლოდ მეორე დღესვე ვეძებდი ამ თავისტკივილის წამალს; იმ ჟამად დედა თბილისში იყო; ვიფიქრე, იმას ეცოდინებოდა უებარი წამალი, მაგრამ დედას რჩევა, რომ ამ შემთხვევაში ავადმყოფმა შუბლზედ აბრეშუმის წითელი ძაფი ჩამოიკიდოს. ეს ვასოს ვერ გავუნდე. სასაცილოდ არ ავეგდე და ამ ექიმობას თავი დავანებე.

არ ვიცი, თავის ტკივილებმა გაუარა თუ არა, მაგრამ გიმნაზიიდან გამოსულს გზაზედ ხშირად მხვდებოდა ვასო და სახლამდის მაცილებდა.

შენ წარმოიდგინე, შვილო, იმის და მიუხედავად, რომ სხვებზედ უფრო ის მომწონდა და მიზიდავდა, ამ შეხვედრებს ვერიდებოდი და ამის ასაცილებლად გზას შევიცვლიდი; თუ შემხვედებოდა, მარწმუნებდა, რომ ეხლა ქართულსა სწავლობს და იმედი აქვს, ლერმონტოვს მალე გადასთარგმნის.

სწორედ იმ წელიწადს ჩაიჭრა გამოცდებზედ, რადგან არ უნდოდა, მეორე წელიწადს დარჩენილიყო იმავე კლასში. გარდასწყვიტა სამხედრო სკოლაში შესულიყო და ამისათვის ქალალდები გაგზავნილი ჰქონდა პეტერბურგში.

როდესაც მე ეს გამანდო, მე, რასაკვირველია, ჩემი აზრი ვუთხარი, როგორცა სჩანს, სუსტი ხასიათის პატრონი იყო, მალე შეიცვალა აზრი და მერვე კლასში დარჩა.

უკანასკნელად რომ მომაცილა სახლამდის, ეს იყო უკვე შემდეგ წელს, მითხრა: "ერთი სიტყვა მითხარით, მინდა ვიცოდე, თქვენი უკანასკნელი ან ჰო ან არა". მე ჭკუის დარიგება დავუწყე, რომ ახალგაზრდები ვართ, ჩვენ მიცემულ სიტყვას ფასი არა აქვს და მიეუკეტე კარები.

საერთოდ არ მიყვარდა, როდესაც სიყვარულზედ დამიწყებდნენ ლაპარაკს. იმ წელიწადს, როდესაც, კიკნაძის ოჯახში ვიყავი, თავი მქონდა მობეზრებული ერთი რაინდისაგან. ტიტო რჩეულიშვილი, რომელიც კახეთიდან საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში, აიღო მახლობლად ოთახი, რომ მუდმივი კავშირი ჰქონოდა ჩემთან იმის შემდეგ, რაც იმის წინადადებაზედ მე ისეთი სიმკაცრე და აღელვება გამოვიჩინე, რომ მისი დანახვაც კი აღარ მინდოდა; შეეძაგე მერე როგორ!

ფიქრობდა, რომ დრო თავისას გაიტანდა და მე მასზედ გაეთხოვდებოდი. დიდი შეცდომა ჩაიდინა ამ ოცდაათი წლის კაცმა, რომ მე ახალგაზრდას, მე ვიყავი მაშინ 15 წლისა, გათხოვებაზედ დამელაპარაკა. მპირდებოდა, თუ ამას მოვისურვებდი სწავლის დასამთავრებლად ევროპაში ჩემ გამოგზავნას და სხვა.

მე ის დედას მახლობელ ნათესავად მიმაჩნდა, ძალიან მიყვარდა, როდესაც ის ჩვენთან კისისხევში მოდიოდა.

ჯერ ცამეტი წლისა ვიყავი, რომ ერთხელ, როდესაც დილით ის ტანისამოსს იცვამდა, მთხოვა "გალსთუკი შენ შემიკარიო", მე სიამოვნებით შევუსრულე ეს თხოვნა, მაშინ მითხრა: "სონა, შენ უჩემოდ არაკაცად არ გასთხოვდე. მე ეს უნდა ვიცოდეო."

რამოდენიმე წელიწადი ის მუშაობდა როგორც ინჟინერი, ციმბირის რკინის გზა რომ გაჰყავდათ, აი იქიდან რომ დაბრუნდა, მაშინ მაუწყა თავის დიდი ხნის სურვილი.

კარგი ოჯახის შვილი იყო, კარგი მემამულე, ფულიანი და თვითონაც გარეგნობით უფრო მოსაწონი, ვიდრე დასაწუნი. ერთი სიტყვით კარგი საქმრო.

კიკნაძის ოჯახშიაც ის დადიოდა როგორც ნათესავი, მაგრამ იმ წელიწადს ძალიან უხშირა, ყოველთვის მოდიოდა დატ-

ვირთული, ყოველნაირი ძვირფასი ტკბილეულობით; მე მაშინ შევიკეტებოდი ჩემს ოთახში, მის მოტანილს არაფერს გავეკარებოდი და არც ვეჩვენებოდი, საშინლად მეჯავრებოდა ეს მისი სიყვარული, მაგონდება, როგორც კოშმარი.

მე რომ გიმნაზიაში წავიდოდი, თურმე ის მოდიოდა ჩემს ოთახში, ჩემს საგნებზედ აუვარდებოდა ტირილი ისე რომ კიკნაძის ქალები შეწუხებულები იყვნენ, თავი არ მოიკლასო. მართლაც გაზაფხულზედ, როდესაც მე კახეთში მივდიოდი, იმ დილით თითქოს დიასახლისმა მოასწრო და დამბაჩა ხელიდან გამოსტაცაო. არ ვიცი, იქნება მე ეს განგებ მითხრეს.

მოვისვენე, როდესაც ოცი წლისამ გავიგე, რომ ცოლი შეირთო, ჯვრისწერის წინა დღეებში კიდევ გაუზიარებია თავისი ძველი დრამა, "სონა რომ მოვიდეს და მითხრას დადებითი პასუხი, ეკლესიიდან მაშინათვე გამოვალ და იქ დავტოვებ პატარძალსაო."

მისმა მშობლებმაკარგად იცოდნენ მისი გულში ნადები; დედას ხომ ძალიან უნდოდა მისი სიძეობა და აღარც მალავდა ამას, ამიტომ ის ხშირი სტუმარი იყო კისისხევში იმის იმედით, რომ დედა ჩემზედ იმოქმედებდა და ჰოს მათქმევინებდა.

ჩვენს მახლობლად ცხოვრობდა კომპოზიტორი ანდრია ყარაშვილი, რომლის ცოლი პოლონელი იყო და ერთადერთმა შვილმა - იურამ, ქართული არ იცოდა; მის მამას კი დიდი სურვილი ჰქონდა შვილს ქართულად ელაპარაკნა.

მე პატარაობიდანვე ვოცნებობდი, როიალზედ დაკვრა მცოდნოდა. ჰო და ამ ყარაშვილმა შემომთავაზა მუსიკის გაკვეთილების სანაცვლოდ, მისი შვილისათვის ქართული მესწავლებინა.

დავიწყეთ მუშაობა; ყოველ დღე ჩემ გაკვეთილებს რომ მოვრჩებოდი, ჩავიდოდი ამ მუსიკოსის ბინაზედ, სადაც დიდი როიალი ამშვენებდა მის სასტუმრო ოთახს, ერთ საათს ქართულს ვასწავლიდი ამ ათი წლის ბავშვს, მეორე საათს კი ჩემს გამებს მივუჯდებოდი.

ყარაშვილი სათავადაზნაურო გიმნაზიის მუსიკის მასწავლებელი იყო, სხვათა შორის ჩემ ძმა ლელოს ვიოლონის გაკვეთილებს აძლევდა, კერძოდ კი როიალის გაკვეთილებსაც არ ერიდებოდა.

გათაეებული ჰქონდა ვარშავის კონსერვატორია, სამწუხაროდ ისეთი მშიშარა იყო და ისეთი ნერვიული, რომ ვერც ერთხელ საჯაროდ ვერ გამოვიდა. კონცერტს კი გამოაცხადებდა, მაგრამ უკანასკნელ წუთს უნდა გადაედო, ხან თითს აიტკიებდა, ხან რასა და ხან რას.

მასთან ჩემი გაკვეთილები დავიწყე მარტში და მხოლოდ სამი თვე შემეძლო, მემუშავა. შემდეგ იწყებოდა ზაფხულის არდადაგები; ამ სამ თვეში დიდი პროგრესი მქონდა და ძალიან კმაყოფილი იყო ეს ჩემი მუსიკის მასწავლებელი;

საუბედუროდ მისი შვილი კი ძალიანა კოჭლობდა ქართული ენის შესწავლაში და ცოტა არ იყოს, მე ამისა ძალიანა მრცხვენოდა, ეფიქრობდი, რომ მე არ ვარგოდი როგორც მასწავლე-

ბელი, მაგრამ მისი მამა მანუგეშებდა: "აბა რა უნდა გააწყოს ერთ საათში, როდესაც მთელი დღე უცხო ენაზედ ლაპარაკობსო."

ეხლა კი ვიტყვი, რომ მე მაშინ წარმოდგენაც არა მქონდა როგორ უნდა მესწავლებინა, თორემ დღეში ერთი საათი საკმარისი იქნებოდა, იურას ენა ამოედგა.

ზაფხულში რომ კისისხევში მივედი, იქ დიდი, მოულოდნელი უსიამოვნება დამიხვდა. დედამ გადაჭრით გამომიცხადა, რომ მომავალ წელს ჩემს სწავლაზედ კაპეიკის დახარჯვაც არ შეუძლიან, რომ საკმარისი განათლება მაქვს, ეს ექვსი კლასი გეყოფა, ეხლა უნდა სახლში დარჩე, უფრო კი უნდა გათხოვდე, მამულები უპატრონოდ არის, მომველია საჭირო. ვაჟებმა კი უნდა ისწავლონ, "ოგეჩებად ხომ არ დარჩებიანო."

დედას რამოდენიმე სასიძოც დამზადებული ჰყავდა, უმთავრესად კი თავისი ნათესავი ინჟინერი, რომელიც დიდ ბედნიერებას მოუტანდა ჩვენ ოჯახს.

იმ დღეს დედა ვეღარ ვიცანი. ყოველთვის დამთმობი, ალერსიანი,ეხლა მეჩვენებოდა მკაცრი, ჩემ მიმართ მშრალი, გულაყრილი, თითქოს გაციებულიც.

ვიგრძენი, რომ ჩვენი კარგი დედაშვილობა ირღვეოდა, თითქოს გაიბზარა კიდეც; გარდაწყვიტე ამის შემდეგ დედას გავლენის გარეშე მეცხოვრა და ჩემი სწავლისათვის მე თვითონ მეზრუნა და მომველო. ვარ მაშინ 14 წლისა.

ამ გუნებაზედ ვიყავი მთელი ზაფხული, ვერც დავისვენე და ვერც გავერთე. ჩემი ამბავი ყველამ იცოდა, ამიტომ არ არის საკვირველი, რომ კიკნაძის ქალებმაც გაიგეს, რომ დედაჩემი ეხლა კი მოახერხებს ჩემ გათხოვებას და ისიც კი იცოდნენ, ვინ იქნებოდა მისთვის სასურველი სიძე, მამულებისათვის კარგი პატრონი.

ზაფხულის დამლევს ნასტა კიკნაძე წერილით მთხოვდა თელავში ასვლას. შეხვედრისას მიამბო, რომ ვასო მთვარელიშვილი, რომელიც არის სათავადაზნაურო გიმნაზიის ქართული ენის ყოფილი მასწავლებელი, ამჟამად თელავშია თავის ცოლშვილით და უნდა შენი ნახვაო. ეს აშკარად ამის მოწყობილი იყო, ალბად ჩემი პატრიოტიზმიც იქნებოდა მისგან ქებული და გაზვიადებული.

მიმიყვანა ნასტამ და გამაცნო ეს მთვარელიშვილის ოჯახი.

მამა მთლად ბრმა, მაგრამ მაგარი აგებულობისა, ენერგიული, მშვენიერი ქართულით მოსაუბრე, სასიამოვნო ადამიანი; მისი ცოლი - ნინო, პატარა ტანის მქონე, შავგვრემანი, მკვირცხლი, ლამაზ ახდილ შუბლს უშვენებდა ქართული შავი, დიდი თვალები, უფრო გამზადებული საბრძოლველად, ვიდრე საალერსოდ. მათი შვილი ვასო, მამის სეხნია, აგებულობით სუსტი, ამიტომ დედმამის ნებიერი, სკოლის გარეშე მოსწავლე კერძო მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

ამ ოჯახმა გამოაცხადა, რომ ენკენისთვეში პირდაპირ იმათთან მივალ და იქიდან ვიელი გიმნაზიაში, როდესაც სწავლას

გაეათავებ, მაშინ გადავიხდი ჩემ ვალს. ამაზედ ნუ იდარდებო. დამშვიდებული გამომიშვეს სახლში.

დედას ეს ძალიან ეწყინა, ვერ იმიტომ, რომ ამ ოჯახს არ იცნობდა; უმთავრესად კი ის აწუხებდა, რომ მისი სასიძოდ გამზადებული და მისგან დაიმედებული ცარიელზედ რჩებოდა და სხვაგან უნდა ეძებნა საბედო.

ადვილად წარმოიდგენ, თეონი, რა კმაყოფილებით ჩავილაგე პატარა ბარგი, არც კი ვიყავი ვერ მზად ზამთრისთვის. მაშასადამე ძალიან იოლად ჩაცმული ჩავედი თბილისში.

საღამო იყო, მშვენიერ შემოდგომის სითბოში გახვეული დამიხვდა დედაქალაქი. მთავრელიშვილის ოჯახი აივანზედ მომეგება; მაგიდაზედ მიბნელებული სამოვარი შიშინებდა; ოჯახურ ტკბილ საუბარში იყვნენ, მე რომ მოსამასხურემ კარები შემიღო. ყველანი სიამოვნებით მომესალმნენ; ვასო კი ცოტა მორცხობდა, განზედ იყო.

ნინომ შემიყვანა თავის ოთახში და მითხრა: "აი ჩემთან ერთად იწვები ამ ოთახში, მე არ შეგაწუხებ, გაკვეთილები აქვე მოამზადე; თუ გინდა, სასადილო ოთახში, როგორც შენ მოგესურვებაო".

ეს იყო ნამდვილი ზღაპარი, რომელიც მე ქუდბედიანმა განვიცადე! რა ბედნიერი ვიყავი იმ ჟამად და რა მოულოდნელი სიამოვნება მელოდდა მეორე დღეს, რომ იცოდე, ჩემო კუდრაჭავ!

დილის თერთმეტ საათზედ ვასოს მუსიკის მასწავლებელი მოვიდა, ეს იყო ყარაშვილი; ნინომ გამაგებინა, რომ მე განვაგრძობ როიალს და თვითონ გარდაიხდის ამის ხარჯებსაც. გაოცებული და ბედნიერი, ცაში ვგრძნობდი თავსა, ჩუმად ვისმენდი ამ დაპირებასაც.

მშვენიერი გრძელკუდა როიალი ედგათ სასტუმრო ოთახში; მართლა და ეხლა კი შემეძლო თავისუფლად მემუშავნა, რასაკვირველია, ჩემი მიბაძვით ეს პატარა ვასოც წაქეზებდოდა და არ იზარმაცებდა თავის ვიოლინოს აღებაში. ამაზედ იფიქრეს ალბად მშობლებმაც; ვასო ჩემზედ უმცროსი იყო; პირველ ხანებში მორცხობდა, მერე კი შემეჩვია და დამიმეგობრდა.

ერთი სიტყვით დავბინავდი მშვენიერ ოჯახში.

ესენი ცხოვრობდნენ თავიანთ საკუთარ სახლში, რომელიც მდებარეობდა "ავჭალის შესახვევში". ქვემო სართული გაქირავებული ჰქონდათ, ზემოდ კი თვითონ ცხოვრობდნენ.

შეგნებული დიასახლისი ნინო და ამასთან კარგი მოსამსახურე ქალი ერთად უვლიდნენ ამ ბინას და ოჯახის საქმეებს. ყველაფერი წინასწარ იყო გათვალისწინებული, წესი ცხოვრებისა, ნამდვილი ევროპიული, მშვენიერი ბიბლიოთეკა, რომლითაც შემეძლო მესარგებლა, ყველაფერი ხელს მიწყობდა, რომ მემუშავნა.

მთავრელიშვილი დიდი პატრიოტი კაცი იყო, რუსეთის ბატონობის დიდი, შეურიგებელი მტერი.

1904 წელს იაპონიის ომთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში ერთგვარი იმედიანობა დამყარდა; რუსეთი უსათუოდ

დამარცხდება და ჩვენც იქნება რაიმე წყალობა ჩამოგვიგდოს ღმერთმაო.

ქუჩაში ჯარების მოძრაობა ისმოდა, იმათი ფეხის ხმა ჩვენამდე, მეორე სართულამდე აღწევდა.

ვასო ჯერ დინჯად იჯდა და ყურს უგდებდა ჯარის ფეხების ბარტყუნს, შემდეგ ირონიით იტყოდა: "ამ ტლანქი, რუსული საპოხებით ეგენი მალე ადგილიდან ვერ დაიძვრებიანო". ის დარწმუნებული იყო, რომ იაპონიასთან რუსეთი ვერაფერს გააწყობდა და უსათუოდ დამარცხდებოდა.

ამასვე ფიქრობდა მაშინდელი მოაზროვნე ნაწილი ჩვენი საოზგადოებისა. ახალგაზრდობა ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა, ზოგი ვითომ ლიტერატურის შესასწავლადან საერთო განვითარების სურვილით, ჩუმ-ჩუმად კი პატარა წიგნაკებს ეარჩევდით ჩვენში არალეგალურად გავრცელებულს.

იაპონიის ომის შემდეგ ხომ პოლიტიკურ პარტიების მუშაობაში თითქმის მთელი ახალგაზრდობა მონაწილეობდა და ძალიან აქტიურადაც.

ერთხელ წამიყვანეს სოციალისტების-კრებაზედ; ასე მითხრა ერთმა ჩვენი გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფემ, გვარი არ მახსოვს, რომ იქ იქნება ერთი ცნობილი კაცი, რომელიც კარგად ლაპარაკობსო.

მართლა მივედი და ვნახე ეს კაცი; ახალგაზრდა, შავგერემანი; იქ იყვნენ მუშები და მათ შორის ეს ორატორი პირველ რიგში იჯდა. ილაპარაკა მუშათა მოძრაობაზედ, ის გეიწოდებდა მოსწავლეთ ამ სოციალისტებთან გვემუშავნა;

მე მაშინ ბევრი არაფერი მესმოდა, ამიტომ ვერიდებოდი გარკვეულად რაიმე აქტიურ მუშაობაზედ დავთანხმებულიყავი.

ეს ორატორი იყო ჯუღაშვილი, მომავალში სტალინი. სუმთლად უფერული მეჩვენა... ჩვენ ქართველი მოწაფენი უფრო წმინდა ეროვნულ მიმართულებას ვიზიარებდით და ამიტომ ფედერალისტების პარტიას ვეხმარებოდით.

იმ დროს არჩილ ჯორჯაძე საზღვარგარეთიდან პგზავნიდა "საქართველოს," ავტონომიის დამცველ აზრებით და ჩვენი შეძლების დაგვარად ჩვენ წვლილს ვიხდიდით ამ სასარგებლო გაზეთისათვის.

ჩვენი წრე "საქართველოისტები" შემდგარი იყო ყველა გიმნაზიიდან თითო წარმომადგენელისაგან: ესენი იყვნენ მიშა დემურია, მარიამ დემურიას შვილი; ეს მარიამი იყო საზოგადო მოღვაწე და საბავშვო ჟურნალ "ნაკადული"ს რედაქტორი. სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფე გრიგოლ ლაღიძე. ძმანი მაჩაბელნი, ვახტანგ ქართველიშვილი, ქიტიაშვილი და სხვანი ე. ი. მე.

ხელმძღვანელობდა ამ წრეს ადამაშვილი-ჯავახიშვილი "ჯაყოს ხიზნების" ავტორი, "ცნობის ფურცელი"-ს რედაქციიდან მოყრილებული; მოხსენებებს გვიკითხავდა სამსონ ფირცხალავაც, ფედერალისტების ერთერთი ლიდერთაგანი.

როგორც გითხარი, ეაგროვებდით საწერო გადასახადს

ძალიან უმნიშვნელო თანხას, მაგრამ ერთხელ ისეთი საღამო მოვაწყვეთ, რომ ფულიც ბლომად გაეგზავნა არჩილ ჯორჯაძეს და ქართული საზოგადოებაც დიდხანს იგონებდა ამ ჩვენ მიერ მოწყობილ საღამოს.

გავმართეთ ეს საღამო ქობულაშვილების მშვენიერ ახლად შეძენილ სახლში. ყოფილ არშაკუნისა, გრიბოედოვის ქუჩაზედ, გენო ქობულაშვილმა რომ დიდი მემკვიდრეობა მიიღო ბარიატინსკისაგან, ეს ძვირფასი სადგომი მაშინ შეიძინა.

იმ ზამთარს მთელი ოჯახი წასული იყო პეტერბურგში და ამ ბინაზედ მხოლოდ დაეითკა იყო, რომელიც ჩვენთან დაკავშირებული კმაყოფილიც იყო, რომ შეეძლო ასეთი მიზნისათვის თავისი ბინა ერთ საღამოსათვის მაინც ჩვენთვის დაეთმო.

ამიტომ ადვილად დავფაცურდით და ამ დიდ სასახლეში, თავი პატრონებად ვიგრძენით.

შობის უქმეები იყო, ამიტომ ბავშვებისათვისაც ვიზრუნეთ. 5 საათიდან 8 საათამდე ისინი შობის ხის გარშემო გაერთობოდნენ. მხოლოდ რვა საათიდან იწყებოდა საღამო უფროსებისათვის.

ერთ ოთახში, რომელიც ბროლით მოქარგულს ემსგავსებოდა, დავდგით დიდი შობის ხე, რომელიც საღამოზედ გაშუქებული ამ ბრჭყვიალა ადგილას საზღაპრო სურათს წარმოადგენდა.

ერთ-ერთი სალონი სპარსულ ოთახად ვაქციეთ; ამისათვის ხელი შეგვიწყვეს თბილისის სპარსელებმა, რომელთაც გვათხოვეს ხალიჩები და ყოველნაირი ქსოვილები.

არ მახსოვს ეს ოთახიც მოჭედილი იყო თუ არა, მაგრამ ამ მშვენიერი ხალიჩებით და მრავალფეროვანი აბრეშუმის ქსოვილებით კარგათ იყო მორთული და შეხამებული. იქ იყო მოთავსებული დამკვრელების დასი შესაფერისი ინსტრუმენტებით. ამ დარბაზში უზუნდარა უნდა ყოფილიყო, როგორც ცეკვა, მხოლოდ ლეკურსა და სხვა ცეკვებს უფრო დიდ დარბაზებში ჰქონდა დათმობილი ადგილი და რასაკვირველია, ამისათვის შესაფერისი ორკესტრიც იყო მოყვანილი.

ამ საღამოს მომზადებაში დიდი ენერგია დახარჯეს ქიტიაშვილმა და ვახტანგ ქართველიშვილმა, სხვებიც დარბოდნენ, მაგრამ ქიტიაშვილმა მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგია შეალია, რომ ეს საღამო რიგიანად ჩატარებულიყო, ის იყო ჩვენი მოლარეც, პასუხისმგებელიც, როგორც საქმიანი და დარბაისელი ახალგაზრდა, სამწუხაროდ მისი სახელი არ მახსომს. ვიცი, რომ ქართლიდან იყო.

დიდძალი ხალხი მოგეაწყდა. ბავშვები დროზედ დაიშალნენ და კმაყოფილნი, ხელში პატარა-პატარა პარკუჭებით მაროვევდნენ თავიანთ მშობლებთან ერთად გრიბოედოვის დათოვლილ ქუჩას.

სპარსულ ოთახში მშვენიერი უზუნდარა იცეკვა, რომელიღაც გრაფის ცოლმა, მისი გვარი არ მახსოვს, თვითონ ციციშვილის ასული იყო; ამით დაიწყო ცეკვა.

მახსოვს ჩვენი ცნობილი მსახიობი ნატო ცაგარელი იმ საღამოს, რომ დუდუკებზედ ბაიათები იმღერა; ეს უფრო გათენებისას.

მე შემოსავალში ვიჯექი და ბილეთებს ვყიდდი, მაგრამ არ მომასვენეს, საღამოს ბოლოს, არ მახსოვს მიტუშა აბაშიძე იყო თუ გოგინა ბაგრატიონი; ორივენი კარგი მელეკურენი, ზედიზედ ორჯერ მაცეკვეს, თავს ვერა ვგრძნობდი კარგად, გაციებული ვიყავი და მაინც და მაინც არ ვიყავი კარგ გუნებაზედ.

მართლაც მეორე დღეს დიდი სიცხე მომცა და კარგა ხანს კიდეც ლოგინში ჩამწვინა. მშობლიური მზრუნველობით თავს დამტრიალებდა ჩემი დედობილი ნინო მთავარელიშვილისა.

ძალიან დაეღალე იმ საღამოს მოწყობის დროს და რასაკვირველია, იოლად არ ჩაივლიდა. მე იმ დღეს მთელი საღამო გავატარე იმ ციე შემოსასვლელში, რომელიც გაუთბობი იყო; ცენტრალური გათბობა იმ წელიწადს არსად არ მოქმედობდა, ეს უზარმაზარი კიბე და ტალანი საყინულე იყო.

რაც შეეხება თვით საღამოს, მშვენივრად მომზადებული და კარგად ჩატარებული, ჩვენ სიამაყედ გარდაიქცა.

მთელი შემოსავალი ჩაბარებული ჰქონდა ქიტიაშვილს, რომელმაც ეს თანხა გადაგზავნა საზღვარგარეთ არჩილ ჯორჯაძის "საქართველო"-სათვის.

როგორც შემდეგში დაინახავ, ჩემო თეო, ამ ახალგაზრდა გიმნაზიელების მოქმედება ამით არ გათავდა, ამ ჩვენ საქმიანობაზედ შეეჩერდები და ეხლა განვაგრძობ ჩემ პირად ცხოვრებას და გიამბობ, როგორ შეეეთვისე მე ამ ოჯახს.

იმ ზამთარს ჩვეულებრივ დედა ჩამოვიდა თბილისში, ელაპარაკა ჩემ მასპინძლებს, რომ ორი ვაჟი გზაზედ დასაყენებელი ჰყავს. მამულებს მომვლელი ესაჭიროება და სხვა, ერთი სიტყვით ჩემთვის ვერაფერს გაიღებს. ამიტომ სჯობია მე დავრჩე მასთან კისისხევში.

დედაჩემის წასვლა და ჩემი მკერავთან წაყვანა ერთი იყო, ზამთრის ტანისამოსი დამიბინავა ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა, ნინო ხარიტონის ასულმა.

დაიწყო დედამ წერილების მოწერა, "გაიჭერა ხარ, თავმოყვარეობა დაკარგული, სხვისა ოჯახში არჩევ ყოფნას, რა გაგიჭირდა ასეთი, მოდი ჩემთან, დაბრუნდიო". ეს წერილები ცუდს გუნებაზედ მხდიდა, არ ვიცოდი, რა მეპასუხნა, ტირილით კი ბევრს ვტიროდი.

აიღო ნინომ კალამი და ძალიან მკაცრი წერილი მისწერა: "ამ შვილის ღირსი არა ხართ, რად აწვალებთ, რა დროს გათხოვებაა, ქალს სწავლა უნდა, ჩვენ გვინდა ხელი შეეუწყოთ და თქვენ ამას გვიშლით, ამ ვალს თვითონ გადაიხდის მომავალშიო".

ნინო თვალყურს ხალისიანად ადევნებდა ჩემს გაკვეთილებს, საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული.

ჩემი მუსიკის გაკვეთილებიც აინტერესებდა, მისი მეუღლე კი ხანდახან მთხოვდა, მისთვის ქართული გაზეთი წამეკითხა.

ერთხელ არჩილ ჯორჯაძის წერილს ვუკითხავდი. როდესაც ვკერ კიდევ თბილისში იყო, მეორე დღეს გაგრძელება მომთხოვა, მე დამზარდა ამ წერილის კითხვა, ძალიან შევამოკლე და გადავხტი. შუა ადგილიდან განვაგრძე კითხვა.

"შეუძლებელია, არჩილ ჯორჯაძეს ასე უცნაურად გაეგრძელებინოს გუშინდელი წერილი, აბა კარგად ნახე მისი დასაწყისი. მგონი, შენ რაღაცა სხვა წერილს მიკითხამო". ის იყო და ის, მე ასეთი შეცდომა აღარ გამიკეთებია და ცოტა არ იყოს, შერცხვენილიც დავრჩი.

კარგი მზარეული ქალი ჰყავდათ და ძალიან ნორმალური დროის განაწილება, სრულ ორ საათზედ სადილი მზად იყო, რაკაცვრელია, გიმნაზიიდან დროზედ უნდა ვყოფილიყავი სახლში. საღამოთი შემეძლო ამხანაგთან შესელა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შვიდ საათზედ გვიან სახლში არ უნდა ვყოფილიყავი, უფრო კი როდესაც დაღამდებოდა, გარეთ არ უნდა მეელო. ამხანაგები ამაზედ დამცინოდნენ.

ჩემი მუსიკა დიდ წარმატებაში იყო ისე, რომ ყარაშვილი მირჩევდა, შეიდი კლასის დამთავრების შემდეგ, მუსიკაზედ მემუშავნა, დამეტოვებინა ოცნება სწავლის გაგრძელებაზედ და მპირდებოდა ორ წელიწადში მუსიკალურ სასწავლებლის უფროს კლასში ჩემ შეყვანას.

ეს აზრი საუთოოდ მივიჩნიე და ამიტომ ამაზედ არ დავთანხმდი. ნინო სტუმრებთან თავს იწონებდა და მაშინათვე დამსვამდა როიალთან და მეც პატარა რეპერტუარს ჩემებურად ვასრულებდი და ქებას ვისმენდი.

შოპენის ვალსი, მენდელსონის ერთი პიესა, სახელი არ მახსოვს "Rêveric Russe" და სხვა. თვითონ ყარალაშვილის ნაწარმოებიდან ერთ ერთი მაზურკაც შედიოდა ჩემ რეპერტუარში.

იმ წელიწადს ისტორიის მასწავლებელ პერესტუკის ხელმძღვანელობით მთელი ჩვენი კლასი გაემგზავრა დასავლეთ საქართველოსაკენ, უმთავრესად ბათუმში გავჩერდით; პირველად ვნახე ზღვა და ადვილად წარმოიდგენ, ჩემო თეო, იმ დიდ შთაბეჭდილებას და განცდებს, რომლითაც ჩემი ახალგაზრდა არსება მთლიანად იქნებოდა მაშინ შეპყრობილი.

აქედან წაგვიყვანა მასწავლებელმა ტყვიბულში, ვნახეთ შავი, ბნელი გვირაბები; საღამოთი კი კარგი სანახავი იყო ერთი გორაკი, რომელსაც ადგილ-ადგილ ცეცხლი აშუქებდა, ადგილობრივ ინჟინერი დიდის ხალისით გვიხსნიდა ამ მოვლენას და საერთოდ კარგი მასპინძლობაც გაგვიწია.

ეფიქრობდით, რომ ეს ისტორიის მასწავლებელი გელათს გვაჩვენებდა. თუ არა და თვით ქუთაისში ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს თვალს მაინც დაგვაკვრევინებდა, მაგრამ ამაზედ გვიპასუხა, რომ ამისათვის დრო აღარა ჰქონდა და თბილისში უნდა დანიშნულ დროს დავბრუნდეთო...

ქუთაისის სადგურზედ დამიხვდა ჩემი ძმა ირაკლი და ნებართვა ითხოვა, ვიდრე მატარებელი გაჩერებული იყო, იმ ხნის განმავლობაში წავეყვანე თავის ბინაზედ და საერთოდ გავესეირნე.

ჩავსხედით ეტლში, სახელდახელოდ მიმიყვანა თავის საცხოვრებელ ოჯახ - აბაშიძის სახლში, შემდეგ სასწრაფოდ მათიკა-შვილის ოჯახში მიველით, გამაცნო ელენე, ახალგაზრდა ქალი ამ ოჯახისა, რომელიც მოსწონდა და მართლაც მოსაწონი იყო; იქიდან კი სადგურზედ დამაბრუნა.

ჩვენი ასეთი ხასმოკლე შეხვედრა ორივესათვის ძნელი ასატანი იყო, ირაკლის უნდოდა იმ ღამეს იქ დავერჩინე, მაგრამ ამაზედ პერესტიუკი ვერ დაითანხმა, ირაკლიმ თავის სკოლის ინსპექტორი მოიყვანა, რომელმაც შეაქო ჩემი ძმა, როგორც მოწაფე და რაც უმთავრესია ყოფაქცევაში სამაგალითოაო. იმან თავის კოლეგას სთხოვა დავერჩინე ამ ჩემ ძმასთან ერთი ღამით და მეორე დღეს ჰპირდებოდა, რომ თვითონ ჩამსვამდა თბილისის მატარებელში, მაგრამ კატეგორიული უარით უპასუხა ამ ჩემმა მასწავლებელმა ირაკლის ინსპექტორსაც.

გაკერდა ეს კაცი და ისე, რომ თხოვნა ზედმეტი იყო. დავრჩით ეს და–ძმა ძალიან შეწუხებულნი; ირაკლი გაჭარხლებული სახით უყურებდა ამ ჩემ მასწავლებელს და თან თავს იკავებდა; თავისი გეგმა წყალში ჩაუვარდა, იმ საღამოს სადღაც საცეკვაო საღამოზედ ჩემთან ერთად ლეკურსაც ითამაშებდა და საერთოდ თავის ახლად შეძენილ მეგობრებსაც გამაცნობდა.

დაიძრა მატარებელი, ირაკლი დაღონებული სახით ხელს მიქნევდა, მე კი ჩემი ცხვირსახოცი ცრემლებში მქონდა დასველებული, მერე კი ხმამაღლა ვტიროდი, გულგასიებული მიყურებდა ეს ჩვენი ექსკურსიის მეთაური, რომელსაც დიდი ოინი მოუვიდა, როდესაც თავისი ფარა დათვალა, ერთი მოწაფე აკლდა, ისე რომ მთელი კლასი მთლიანად ვერ ჩაიყვანა თბილისში.

ეს იყო მოწაფე ჩინნაია, ძალიან მაღალი გოგონა, მთლად გადაპარსული და თავზედ შავი ჩეფჩიკი ეხურა. სადგურზედ ვიღაც ნაცნობი უნახავს და დარჩენილა, ჩვენ მატარებელს არ გამოჰყოლია, ჩვენ კი საამისოდ ჭკუა არ გვეყო, თორემ არაფერი დაშავდებოდა.

საშინელ ფიქრებში იქნებოდა იმ ღამეს პერესტიუკი, რა უნდა უთხრას დირექტორს თავისი შეცდომა როგორ უნდა ახსნას.

მეორე დილით სწორედ ამის გაკეთილზედ დაგეიანებით კლასის კარები შემოაღო ამ შაჩეპჩიკიანმა მოწაფემ, ცოტა დარცხვენილი სახით გადმოგვხედა ყველას; ჩვენ ავიტეხეთ სიცილი,მაგრამ ამ საწყალმა კი დიდი შენიშვნა მიიღო ვერ აქ კლასში, შემდეგ დირექტორმა და ნაჩალნიცამ ხომ თავიანთი არ დააკლეს.

რომ ჩამოველი, მთვარელიშვილმა მკითხა, გელათი ხომ ნახეთო, სინამდვილე რომ გაიგო: "როგორ შეიძლება, ჩვენი ისტორია გაიხსენონ მაგათ, რომელთაც ისტორიამ ბევრი რამ საგულისხმიერო არ დაუტოვა, პშურთ ალბად ჩვენი წარსული. მე-II საუკუნის ისტორია მაგათ არა აქვთ, მაშინ ხომ რუსეთი როგორც

სახელმწიფო არც კი არსებობდაო". საშინლად ჯავრობდა და ღელავდა.

გაზაფხულზედ დავიწყეთ გამოცდებისათვის მზადება; მეშვიდე კლასის დამთავრების მოწმობებში უმთავრესად გამოცდების ნიშნები იწერებოდა, ამიტომ მთელი წინა წლების განმავლობაში განვლილი მასალა უნდა გვცოდნოდა, რომ დამშვიდებულები მივსულიყავით გამოცდაზედ.

რადგან წლიურ ნიშნებს ანგარიშს არ გაუწევდნენ, ამიტომ ამ გამოცდებისა ყველას ძალიან გვეშინოდა.

ჩვენ ქართველებმა ერთად დავიწყეთ მუშაობა, ზოგჯერ უჩემოდ ერჩივნათ, რადგან ჩემი გამოჩენა და მათი სიცილი ერთი იყო, მოიგონებდნენ სხვა და სხვა დროს ჩემს ხუმრობას, ან ნათქვამს ამა თუ იმ მასწავლებელზედ და ბევრი დრო ეკარგებოდათ.

განსაკუთრებით, როდესაც გამოგვიცხადეს, რომ იმ წელიწადს, ერთი თვე კი არ გვებლებოდა მეშვიდე კლასის მოწაფეებს, არამედ მთელი გამოცდები უნდა მოთავდეს ორი კვირის განმავლობაში, რომ შენობა თავისუფალი იყოს მასწავლებელთა ყრილობისათვისაო.

ეს სახუმარო ამბავი აღარ იყო და ღამეებს ვათენებდით, რომ მასალა დაგვეძლია. ვიკრიბებოდით სხვა და სხვა ოჯახში, მაგალითად აბდუშელების ოჯახში ერთ ღამეს თეთრად გავათენეთ და შაი ყავა ბერჯერ გვახელით; ჩემი დედობილი მოლბა, ეხლა ველარ მომთხოვდა სახლში დროზედ მოსვლას.

უკანასკნელი ღამე გავატარეთ მარგალიტა კალატოზიშვილთან, რომელიც ცხოვრობდა სხვისა ოჯახში, მაგრამ მისი დიასახლისი არა სჩანდა და თავისუფლად ვიყავით.

ვემზადებოდით რუსული წერის გამოცდისათვის, არ ვიცი საიდან ან როგორ გავიგეთ, რომ წლევანდელი თემა იქნება ორი საზოგადოების შედარება გოგოლის რევიზორისა და გრიბაედოვის მოსკოვისა.

იმდენად ვიყავით ამაში დარწმუნებულნი, რომ დანარჩენ მასალას ხელსაც აღარ ვახლებდით: сравните пожалуйста ревизорскую и грибоедовскую Москву.

ღამის თერთმეტ საათზედ ეზოს ზარი დაირეკა, კარები რომ გააღეს, დაეინახეთ ჩვენი კლასის ორი მოწაფე "ტუშურიანც" და "შვარკინა", იმათი დანახვა და ჩვენი დაშლილი ნერვების გაღიზიანება ერთი იყო, რომ დინჯი მდგომარეობიდან უცბად გამოვსულიყავით და სიცილი აგვეტეხნა.

ძალიან სასაცილონი იყვნენ, ორივენი დალეულები, პატარა ტანის მქონენი, ყოველთვის დაღონებულ სახის მატარებელნი. ტყუპებივით იყვნენ გადაბმულნი, ვერცა სწავლობდნენ და ყოველთვის შებრალებას იწვევდნენ.

იმ ღამეს კარებზედ მისვენებულნი იდგნენ, ხმას არ იღებდნენ, ბოლოს იმათაც გაუგიათ თემა, მხოლოდ დასტური უნდოდათ ჩვენგან მიეღოთ. თურმე მთელი კლასი ფეხზედა სდგას, ამ სასიხა-

რულო ამბავს ერთმანეთს აგებინებენ; ეტლებით დააგრიალებენ და იმათ ატყობინებენ, ვისი მისამართიც იციან.

ის ღამეც გავატარეთ ერთად და სრულიად დამშვიდებულნი მივედით მეორე დილით გიმნაზიაში. ეს იყო პირველი მაისი, იქაურობა საშინელ ჭექა-ქუხილში იყო გახვეული; კლასის დამრიგებელმა მკითხა, ხომ არა ღელავთო, მე ვუპასუხე, რომ "სრულიად დამშვიდებული ვიქნებოდი, რომ ეს ჭექა-ქუხილი არ ყოფილიყო," ალბათ გაუკვირდა, რადგან მე ის კარგად მიცნობდა, როგორც ნერვიულს.

შევედით დიდ დარბაზში, სადაც დაგვიხვდა სულ სხვა სურათი, ვიდრე ამას ვიყავით ჩვენ კლასში შეჩვეულები. აქ ორი მეშვიდე კლასი იყო შეერთებული. მაშასადამე რიცხვით უფრო მეტნი და რაც უმთავრესია, სკამები ძალიან დაშორებული ერთი მეორესთან ისე, რომ ერთმანეთში სიტყვის გაცვლის იმედი მთლად დაკარგული, ერთმანეთს სევდიანად გადავხედეთ.

ველით კომისიას, თეთრი ფურცლები გვიწყვია წინ, ხელში ყველას კალამი მზადა აქვს, რომ რაც შეიძლება ნაკლები დრო დაიკარგოს, რადგან გვეძლევა ორი საათი ოთხი საათის ნაცვლად. ერთი სიტყვით მზადა ვართ ბრძოლისათვის.

კომისია აღარა ხუმრობს, დიდის დაგვიანებით შემოდის, რუსული ენის მასწავლებელი იღებს ხელში ცარცს და სწერს თემას: "ლიტერატურული შედარება სამი ქალისა, პუშკინის "ტატიანისა", გრიბოედოვის "სოფიოსი" და ლერმონტოვის "მერის"ა, მგონი ასე იყო..

რამდენადაც ვიგონებ, მე ჩემი არ დავიშალე, დაეწერე ის თემა, რომელიც გაზეპირებული მქონდა ორი სამი დღის განმავლობაში და დაფაზედ დაწერილს გვერდი აეუხვიე.

ერთ-ერთმა კომისიის წევრმა რომ გვერდით ჩამიარა, დაბედა ჩემს ფურცელს და ეშმაკურად ჩაიცინა: "საიდან აიღეთ ეს თემა, უკურეთ დაფას, იქ სულ სხვა თემაა გამოცხადებულიო" თურმე კომისიას ვიღაცამ გააგებინა ჩვენი ეშმაკობა და იმ დილით შეგვიცვალეს თემა და იმიტომაც დაიგვიანეს.

ყველა კი ელდანაცემი იყო, ზოგმა უიმედოთ გადადო კალამი და წერასაც არ აპირებდა. მე თეთრზედ გადაწერაც ვერ მოვასწარი და ეს შავიც ძალიან ცუდს მდგომარეობაში ჩავაბარე ეგზამინატორს.

დანარჩენი გამოცდებიც ცუდს პირობებში ჩატარდა. ოქროს ჯვარი იმ წელიწადს არავის მიულია, მგონი იყო ორი ვერცხლის ჯვარი. თუ არა ვცდები; მე საშუალო ნიშანი მქონდა, როდესაც წლის განმავლობაში კარგ იმედებს ვიძლეოდი, თუ ოქროსი არა ვერცხლის ჯვარს ვარაუდობდნენ.

გამოცდების შემდეგ ჩვენი წრე დაპატიჟებული იყო ქართლში ს. წვერში მარგალიტა კალატოზიშვილთან; ბევრი თხოვნა დამჭირდა, რომ ნინო მთვარელიშვილის მეულლეს ჩემთვის ამისი ნე-

ბა მოეცა, რამოდენიმე დღით ქართლში წავსულიყავი. მე ძალიან მინდოდა ქართლის ნახვა და სიამოვნებით შევუერთდი ჯგუფს.

წაველით ს. წერეში, სადგურზედ მარგალიტას მამა დაგვხვდა და ურმით წაგვიყვანა სახლში. ეს კაცი იმდენად ახალგაზრდა მეჩვენა, რომ მარგალიტას ძმობა უფრო შესაფერისი იქნებოდა ვიდრე მამის როლი.

იქ სხვებიც დაგვიხვდნენ, სხვათაშორის ჩემი ნაცნობი გიმნაზიელი, ვასო ფავალენიშვილი. აი სწორედ აქ გამაგებინა, რომ გამოცდებზედ ჩაიჭრა და შემოდგომაზედ აპირებს სამხედრო სკოლაში შესვლას, არ უნდა დარჩეს ისევ მერვე კლასში. მე გავოცდი და დავარწმუნე, რომ სჯობია, ერთი წელიწადი დაკარგოს, ვიდრე ოფიცრის ფორმა ჩაიცვას და გახდეს მხედარი.

შემოდგომაზედ ისევ თბილისში იყო და მერვე კლასის პროგრამას იმეორებდა. საბოლოოდ ის წაიდა პეტერბურგში და უნივერსიტეტში შეიდა, ამნაირად ასცდა სამხედრო კარიერას.

მარგალიტასთან კარგად ვისიამოვნეთ. ეზოში ბევრი ვირბინეთ, ადგილობრივ მცხოვრებნი ძმანი იშხნელები ჩვენი გართობის მეთაურნი, რას არ მოიგონებდნენ, რომ გაგვეცინა. მთელი დღის განმავლობაში იქაურობა ავიკელით. საღამოზედ კი აივანზედ ვიყავით, სადაც გაბმულ ჰამაკში ჯერჯერით ვისხედით, უფრო კი ვიწექით;

ერთ ერთ საღამოს, მთვარიან ღამეს კი ყურს ვუგდებდით თარს, რომელსაც კარგად უკრავდა ციციშვილი, მისი სახელი არ მახსოვს,

ის უკვე უფროსი თაობისა იყო, ამიტომ დიდი მოწონება ჩვენში მისმა იქ ყოფნამ არ გამოიწვია, ის ამას გრძნობდა, მაგრამ თარს სიმღერაც მიაყოლა.

მარგალიტას ბიძა, აბელ კალატოზიშვილის ოჯახშიაც გადაგვიწვიეს, შეძლებულ მემამულის ლამაზად მოწყობილს ბინას როიალიც ამშვენებდა. ისე რომ თუ მოვისურვებდით, ვიცეკვებდით კიდეც მაზურკასა და ვალსსა.

სადილისათვის სუფრა გაშლილი იყო გრძელ შუშაბანდში, მე ვიჯექი სწორედ პირდაპირ იმ მწვანე ზღვის პირას, რომლის შთაბეჭდილებას იძლევა ქართლში ნიავ ქვეშ აღელვებული ნორჩი ყანა, მშვენიერი სანახავი იყო, ეს სურათი წარუშლელია...

ქართლი თავის გაშლილ დიდი მინდვრებით და შორეული ჰორიზონტით საქართველოს დიდებული კუთხეა. მადლი შენს გამჩენს!

სადილის შემდეგ დაიწყო ლხინი, ცოტა ვიცეკვეთ, მაგრამ რაც უმთავრესია, ჩვენ ჯგუფში ერია ლიზა ჩოლოყაშვილის ასული, რომელიც ჩვენზედ უფროსი იყო, მის უხეშ ტანს ჰფარავდა მისი ლამაზი სახე მშვენიერი შავი თვალწარბით, დიდი, ლამაზი კონტრალტოს მქონე, ის რომ როიალთან დაჯდებოდა და დაიწყებდა სიმღერას, დიდ აღტაცებას იწვევდა. მე პირველ ხმას მთქმევინებდა და თვითონ თავის საკერდოვანი ხმით მეორეს იტყოდა, მისი კონტრალტო იყო რბილი, კარგი ტემბრიანი, ამ ხმის მოსაელელად

ერთ დროს პარიზშიაც წავიდა, მაგრამ მალე გამობრუნდა, რადგან მეტისმეტად ხელგაშლილს ფულები შემოაკლდა.

საბოლოოდ დედას სურვილისამებრ ის გათხოვდა ვასო ავალიშვილზედ, შეძლებულ თავადიშვილზედ, მგონი შვილებიც ეყოლა.

ჩვენ ერთმანეთი აღარ გვინახავს, ბევრი რამ იყო შეცვლილი ცხოვრებაში. მე რუსეთში ვიყავი წასული. ამიტომ ჩემი კვალი ბევრს დაეკარგა, შემდეგ კი პოლიტიკა იყო გამეფებული და ყველაფერი არეულ დარეული.

წვერიდან მე და ის ერთად ჩამოვედით, აბელ კალატოზიშვილმა, როგორც კარგმა ძველმა მასპინძელმა სადგურამდე გაგვაცილა თავის საკუთარი ეტლით. დანარჩენები კიდევ დარჩნენ მარგალიტასთან.

ქართლის მშრალი, ნოყიერი ჰაერით კარგად ნასუნთქი, კმაყოფილი დავბრუნდი თბილისში.

საზაფხულოდ კი პირი ვიბრუნე კახეთისაკენ, უნდა ეწვეოდი დედას, ჩემზედ გამწყრალს და ცოტა გაბუტულსაც.

მე მივდიოდი თბილისიდან, ირაკლი ქუთაისიდან, ორივენი საშუალო განათლება მიღებულნი.

დედა დიდი კმაყოფილი იყო ამ გარემოებით და ამის გამო დიდი ზეიმიც გაგვიმართა, გაშლილ სუფრის გარშემო, თითქმის სამოცი სული იჯდა ვახშმად ჩვენს აივანზედ.

ბევრი სადღეგრძელოები, კარგი ღვინი და ბევრი საქმროც ჩემთვის გამზადებული. დედას აზრით ეხლა კი დაერჩებოდი კისისხვეში და თავისებურად "დამაბინაებდა", ისევე როგორც თვითონ თოთხმეტი წლისა იყო დედის მიერ "დაბინავებული."

ამ ორ შვილში ირაკლი იყო დანიშნული მათიკაშვილის ქალზედ, მე კი ვბრუნდებოდი მთავრელიშვილის ოჯახში მერვე კლასში შესასვლელად;

ირაკლი მალე გაემგზავრა საფრანგეთისაკენ, სახელდობრ დიჟონში აგრონომიულ დარგზედ შესასვლელად. რასაკვირველია, დედამ მას კარგად შეუწყო ხელი.

წასვლის წინ ირაკლიმ გამანდო, რომ მათიკაშვილის ქალს მისცა პირობა, რომ შეირთავს, როდესაც სწავლას დაამთავრებს. ირაკლი მაშინ იყო ოცი წლისა და მისი საცოლე ჩვიდმეტისა.

მთხოვა, დედას ყურყურობით ნურაფერს ეტყვიო, რასაკვირველია, მისი საიდუმლოება არ გავეცი.

იმავ ზაფხულს აგვისტოში, ერთ საღამოს ჩვენს ეზოში ეტლი შემოვიდა, გადავიხედეთ, მაგრამ ბინდი იყო, ვერაფერი გავარჩიეთ, პატარა ხანს უკან ოთახის კარებში თეთრ პირბადე გადაფარებული ელიჩკა დაჩოქილი ხელებ აპყრობილი სთხოვდა დედას: "დედა, დამლოცეთ, მე ირაკლის დანიშნული საცოლე ვარო"

დედამ დალოცა, მაგრამ მისი ასე უეცარი მოსვლა არ მოეწონა, მოსული იყო თავისი უფროსი ძმით; მაგრამ მეორე დღესვე როგორც თავისი უფროსი შვილის საცოლეს კარგი ნივთები

უფეშქაშა. გინდა ჩემო თეო, იცოდე, რა ნივთები მიიღო დედამთილისაგან ირაკლის საცოლემ, ეს იყო ორი დიდი ოქროს ვარსკვლავი, ერთი მთლიანად ალმასებით მოჭედილი, მეორე ისიც ალმასებში ჩასმული, მხოლოდ შუაში დიდი ზურმუხტის თვალით გალამაზებული. ამასთან ერთად ქალის ეერცხლის ქამარი ძველი დროიდან შემონახული; ჩემ დროს არავიზედ არ მისახაეს ეს ნივთი, ეფიქრობ, პაპაჩემის, ეეგეენ ტუსიშვილის ოჯახიდან იყო და ალბად ზემომხარეს ე.ი თიანეთისაკენ თუ ხმარობდნენ ძველად ამ ქამარს ადგილობრივ;

საშუალო, მოხდენილი ტანის მქონე იყო ელიჩკა, წაბლისფერ გრძელ წამწამებიანი თვალები და ლამაზი ტუჩკბილი-ეს ყველაფერი მოსაწონი იყო, საშუალო განაელება ჰქონდა მიღებული ქუთაისში, მაგრამ რაც მაშინ იშვიათი იყო, კარგი მეოჯახე დადგებოდა, რადგან ჭრა-კერვა ეხალისებოდა და სამზარეულოს საქმიანობაშიც კარგად იყო ჩახედული.

ჩვენი სარძლო ყველას გავაცანით, მეზობლები დავპატიჟეთ, პხიბლავდა ეს ქალი მაყურებელთ თავისი მიხვრა მოხვრით, კეკლუცად ჩაცმული.

რასაკვირველია, კერძოდ ყველამ გაუმართა სადილი; განსაკუთრებით გენო ქობულაშვილი ეცადა დიდი ზეიმი გადაეხადნა თავის ნათლულ ირაკლის საცოლესათვის

ეს მოეწყო შუა მთაში[1] სადაც ჩვენს გარდა თელავიდანაც ბევრი იყო მოწვეული ღამის სათევად და მეორე დღის სადილზედაც.

იმ დღეებში გენოს შვილს დავითკას თბილისიდან ეწვია მისი ნათესავი კოწია მუხრან ბატონი, რომელიც ამოიყვანა ჩვენთან; ეს თეთრ ჩოხაში გამოწყობილი 16-17 წლის ახალგაზრდა; კარგი სანახავი იყო, როდესაც ზეიდან დავხედე მას ჩვენ მწვანე ეზოში წამოწოლილს თეთრჩოხიან ახალგაზრდას.

ჩამოვედი და რომ მივესალმე, დავითკამ ამ სიტყვებით გამაცნო: "აი ეს კოწია მუხრანსკი, რომელმაც ქართული არ იცის. მაგრამ დიდი პატრიოტიაო".

აღმოჩნდა, რომ გენოს მოწყობილ წვეულებაზედ შუამთაში, ესეც ჩვენთან წამოვიდოდა. მართლაც დანიშნულ დღეს ორივენი მოვიდნენ თოფგადაკიდებულნი, ფიქრობდნენ იქ ტყეში ნადირობასაც მოასწრობდნენ.

სამწუხაროდ ელიჩკამ ცხენზედ ჯდომა არ იცოდა, ამიტომ ის გაჰყვა ეთლით უფროსებს, ჩვენ კი ცხენებით მივდევდით.

ამ შემთხვევისათვის დავითკამ მომიყვანა მშვენიერი, თეთრი იორღა თელავში ნაქირავები და უნავირიც თავისი დის, დარუშკასი დაედგა, რომელიც თეთრი ზამშით იყო გადაკრული, მაშასადამე არ დაეცურდებოდი, როგორც ეს მემართებოდა ჩემ ტყავის უნაგირზედ.

იმ ზაფხულს გენოს ცოლშვილი შეიცარიაში იყო წასული, ამიტომ დარუშკას უნაგირით მე ეს არგებლობდი.

---

[1] შუა მთის მონასტერში.

ერთ დროს სამნილა მივაჭენებდით ცხენებს, ჩვენებს გავუსწარით, შუამთას მიახლოებულნი ვიყავით, რომ ჩვენ პირდაპირ მოგვაღალი სამი ახალგაზრდა ცხენოსანი შეგვხვდა, ერთმა მათგანმა ცოტა ახლო გამოიარა და რაღაცა მითხრა, მე ვერ გავიგე, მაგრამ ვაჩვენე, რომ არ მომწონა მისი გამბედაობა და დავუძახე: "გიცნობ, ვინცა ხარ, მაკაროვ!" მართლაც ეს იყო თელავის ეაჭრის შვილი, რომლის კლიენტები ვიყავით, და მართლა ვიცნობდი.

ჩემი ყმაწვილები შელაპარაკდნენ, დაუწყეს ჩხუბი, ერთმანეთზედ კიდეც წაიწიეს იმდენად, რომ ისინი შეშინდნენ და მოკურცხლეს, მაგრამ ესენი მისდევდნენ კვალდაკვალ. იმათ ტყეს შეაფარეს თავი, ვხედავ დავითკა და კოწია თოფებს იმარჯვებენ, აი საცაა გაისვრიან კიდეც, მე მივდევ და ვუყვირი, "თუ ჩემი ხათრი და პატივისცემა გაქვთ, დაბრუნდით, ნუ ესვრით" და სხვა.

ერთი სიტყვით ის სამი ახალგაზრდა სომეხი კი ასცდა უსიამოვნებას, მაგრამ ესენი ძლივს დავამშვიდე.

მივედით შუამთის მონასტერში, სადაც ყველანი შევგროვდით, რომ საღამოს ლოცვა მოგვესმინა.

ყველაფერი წინასწარ გამზადებული იყო, რომ მოგვესვენა და მართლა ღამე გვეთია, თუმცა ახალგაზრდებს ერჩიენათ ცოტა მაინც ეხმაურნათ. მაგრამ ამ მონასტრის დიდებულმა, საიდუმლოებაში გახვეულმა სიწყნარემ, ყველაფერი დაიმორჩილა და მხოლოდ დილის ცისკრის ზარებმა აგვახმაურა და ზეზე აგვაყენა.

იმ დილით წირვა მოვისმინეთ უკვე თელავიდან დაპატიჟებულ სალხთან ერთად, რომელთა შორის ქალიც და კაციც ცხენებით იყვნენ მოსულნი.

სადილზედ ბლომად ვისხედით. მე ვიჯექი დავითკასა და კოწიას შუა, რომელმაც იქ ძმობა შემომფიცა, ხელებ გადაჯვარებულმა ერთმანეთის სადღეგრძელოც დავლიეთ, მე მეცინებოდა, ამას მე არა ვთელიდი სამდვილ ძმობად, ასეთ დაპირებას, მაგრამ კოწიამ დაჟინებით მითხრა: "მე თქვენ გპირდებით, რომ ცხოვრებაში სამდვილ ძმობას გაგიწევთო." სადილის შემდეგ იქაურობა კარგად მიეიარ მოვიარეთ. საღამო იყო, რომ ჩვენი ცხენოსნები, დაახლოებით თხუთმეტიოდე შეუდგნენ თელავის გზას, ქალაქის ბაღი იმ ზაფხულის თბილ საღამოს სავსე იყო ხალხით, იქ ბევრი ცნობისმოყვარეც იქნებოდა, მაგრამ ერთი წყვილი თვალი შეწუხებული მისჩერებოდა ერთ ცხენს, რომელზედაც მე ვიჯექი, ალბად არ ესიამოვნებოდა, რომ თავისი კარგი ცხენი ანდო დავითკას და ეხლა კი ამ ქალის ხელშია მიტოვებული.

ყველანი წაიდ-წამოვიდნენ, მე გენომა და დავითკამ კისისხლეში მიმიყვანეს; დედა უკვე დაბრუნებული იყო შუამთიდან და ჩვენს მოლოდინში ეახშამი გაშლილი, რომ მათ დაესვენათ და დედას მადლობა მიეღოთ.

კოწია მუხრან-ბატონიშვილი იმ ღამეს თელავში დარჩა, მალე დაბრუნდა თბილისში, შემდეგ კი მე ის აღარ მინახავს. გავი-

და დრო და 1914 წელს დაიღუპა ომში ეს მშვენიერი, დამსახურებული ახალგაზრდა.

რაც შეეხება ჩვენს სარძლოს, ისიც თელავში დარჩა თავის ნათლიასთან, რომელიც ადგილობრივ ჯარის ნაწილის გამგე იყო. სამწუხაროდ გვარი არ მახსოვს, იქ გაერია სამხედრო წრეში, ცხენზედ ჯდომა ისწავლა და დაჰქრის თავისუფლად, კარგ დროს ატარებს. ეს ყველაფერი დედას ესმის, ამას მეტიც არ უნდოდა, გული აიყარა ელიჩკაზედ მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში შეამჩნია, რომ მას ცუდათ ესმის, ყურთ აკლია, თუ ფრთხილად არ არის, სხვისა ლაპარაკი მას არ ესმის.

14 სექტემბერს ალავერდობას ენახე ელიჩკა ცხენით რუს ოფიცრების თანხლებით, ველარ ვიცანი, შეცვლილი მეჩვენა.

დედამ მაშინ აიღო კალამი და ირაკლის მისწერა ყველაფერი და ამით დაბოლოება: "თუ ამ ქალს შეირთავ, ჩვენი დედაშვილობა გამწარდებაო." ამ წერილის წინალმდეგი ვიყავი და იმდენად, კონვერტზედ ირაკლის მისამართიც კი არ დავწერე, მაშინ დედამ სხვებს მიმართა და ეს წერილი დიჟონის მისამართით ირაკლის გაუგზავნა. როგორც ჰხედავ, თეო, დედას რკინის ხასიათი დაუდგა.

ელიჩკამ დააპირა მშობლებთან დაბრუნება და როდესაც კისისხევში მოვიდა და გამომეთხოვა, დალონებულმა მითხრა, "იცი, სონა, ირაკლი წერილებს აღარა მწერსო."

ქუთაისიდან მალე წასულა საზღვარგარეთ, ავსტრიაში გაჩერებულა, იქ გაუცუნია ერთი ყმაწვილი, ირაკლიმდე ველარც მისულა და ამ ახლადგაცნობილზედ გათხოვილა. ამის შემდეგ აღარაფერი ვიცოდით.

საწყალმა ქალმა ტრაღიკულად გაათავა თავისი ცხოვრება, ბოლო ხანებში თბილისის ოტელში რევოლვერი ისროლა და თავი მოიკლა.

ამას დაწერილებით შემდეგ გიამბობ.ეხლა კი მინდა ჩემ ცხოვრებას დავუბრუნდე, უმთავრესად იმ წლებს, რომელიც გავატარე გიმნაზიაში ე.ი 1904-1905 წლის განმავლობაში.

თბილისში რომ ჩამოვედი, გავიგე; რომ მემარჯვენე წრეს გაუგზავნია რუსეთის ცნობილ მწერალთან, ლ. ტოლსტოისთან თავის დელეგატი, კიევის უნიეერსიტეტის სტუდენტი, რეზო ყანჩელი, რომელიც გააცნობდა ამ დიდ ადამიანს საქართველოს მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას და სთხოვდა ჩვენ სასარგებლოდ სიტყვა არ დაეშურნა, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა.

არ ვიცი, როგორ მიიღო ტოლსტოიმ ეს ახალგაზრდა ქართველი, და მისი თხოვნა, როდესაც თვითონ არ იყო სასურველი რუსეთის მთავრობისათვის.

იმ დროს თბილისის ქართველობა დიდ მოვლენების მოლოდინში, ჩუმ პოლიტიკურ ხასიათის კრებებს ხშირად მართავდა.

ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუცია. ახალგაზრდობის იდეურობის გამომჟღავნებელი და ამავე დროს მისი ტკივილის ამწუწდამწუწიც.

დაიწყო არეულობა, თბილისში სომეხ თათართა ქიშპობა. ერთმანეთის მიმართ მტრობა იქამდე მივიდა, რომ ორივე მხარემ იარაღი აიღო და ცეცხლი გააჩინა, დაიწყეს ერთმანეთის ჟლეტა, დღე ისე არ გავიდოდა, რომ ტერორისტული მოქმედების მოწმენი არა ვყოფილიყავით, აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ამას ბოლო მოუღო ქართველების ჩარევამ.

ალბად უფროსების რჩევით იყო, რომ ჩვენმა წრემ, ე. ი. "საქართველოისტებმა" იკისრა ამ ომის ცეცხლის ჩაქრობა და მტრულად განწყობილი ორი ერის შერიგება.

ერთ დღეს, როგორც ეს იყო გარდაწყვეტილი, ჩვენი დელეგატები წავიდნენ მუსულმანების მეთაურთან და ქალაქის პასუხისმგებელთან თხოვნით, დასწრებოდნენ პანაშვიდს, რომელიც იქნებოდა გარდახდილი ორივე მხრიდან დახოცილთა სულის მოსახსენებლად.

მივედით ქალაქ გარეთ მცხოვრებ მუსულმანთა სასულიერო მეთაურთან, ჩვენ ე.ი მიშა დემურია, გრიგოლ ლაღიძე და მე.

მოსამსახურემ შეგვიყვანა დიდ ოთახში, რომელიც თითქმის ხალიჩებით იყო დაბნელებული და გვთხოვა იქ დაგვეცადა, მაგრამ ჩვენ მისაღებად არავინ აღმოჩნდა, მაშინ ჩვენ გადავეცით ჩვენი მოწვევის ქაღალდი და წამოვედით, ალბად ჩვენ მიგვიჩნიეს სომხების ტერორისტებად და შეშინდნენ.

იქიდან ქალაქის თვითმმართველობაში მივედით, სადაც მეტი წილი სომხებისაგან შესდგებოდა. იმ ჟამად საბედნიეროდ ქალაქის თავად იყო არჩეული ჩერქეზიშვილი, რომელიც კრებაზედ იყო, რომ აუწყეს ჩვენი მისვლა; მაშინათვე გამოვიდა და რომ გაიგო ჩვენი დარბაზობის მიზანი, ყურადღებით მოგვისმინა, აიღო ჩვენი მოწვევის ქაღალდიც და შეგვპირდა, რომ მთელ თავის თანამშრომლებს გადასცემდა ამას და სთხოვდა ყველას, დანიშნულ დღეს სომხების ვანქის სობოროში ამ პანაშვიდს დასწრებოდნენ.

იქიდან რომ წამოვედით, ცოტა არ იყოს შეშფოთებულნი, რომ ასე თავისუფლად ვმოქმედობდით და როგორც მოწაფენი უნდა დავკითხებოდით ოლქის მზრუნველ ზავაცკის.

მივედით მის კარებთან, ბევრი ვიტრიალეთ, მაგრამ ზარის დარეკვა ვერ გავბედეთ, მე კი ვარწმუნებდი ყმაწვილებს, რომ მასთან ნამყოფი ვარ. კარგი კაცია და საშიშროება არაფერი გველის, მაგრამ ბოლოს ვარჩიეთ ანონიმური განცხადება მოთავსებულიყო გაზეთ "თბილისის ლისტოკში", რომ იმართება პანაშვიდი სომეხთათართა დაღუპულთა სულის მოსახსენებლად სომხების ეკლესიაში, ვთხოვთ საზოგადოებას დაესწროს;

მართლაც დანიშნულ დღეს სომხების ვანქის ეკლესიის ეზო ძლივს იტევდა ხალხს, თბილისის მუსულმანობა, სომხობა და ქართველობა იქ იყო თავმოყრილი. პანაშვიდი რომ გათავდა, აქედან

მთელი პროცესია გაემართა მუსულმანების სამლოცველოში. იქაც შეასრულეს ღვთის მსახურება და მთელი ეს ხალხი ქალაქ გარეთ გავიდა და დაიწყო მიტინგი, გაისმა პირველი სიტყვა თავისუფალ მოაზროვნეთა. მახსოვს სამსონ ფირცხალავას სიტყვა ძალიან გაბედული და შინაარსიანი. ილაპარაკეს თათრებმა და სომხებმა, ამათ ფიცი დასდეს, რომ იმ დღიდან ერთმანეთის მიმართ მტრობა შეიცელებოდა მეგობრობით და ძმური სიყვარულით. ერთმანეთს უამბორებდნენ ზოგი მათგანი ცრემლიანი თვალებითაც.

წყლული გამორწყული იყო, მომავალში ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ, რომ აეცდინათ მტრის მიერ დაგებული მახე და შიგ არ გაბმულიყვნენ. მაღლიერი საზოგადოება წყნარად დაიშალა.

მაშინდელი გიმნაზიის ადმინისტრაცია ძალიანა ცდილობდა, რომ ჩვენ არ დაგვეწყო მუშაობა პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ამიტომ გარდასწყვიტა ჩვენი გართობა, ხან ექსკურსიებით, ხან წარმოდგენებით და სხვა. ერთ დღეს კლასის დამრიგებელმა გამოგვიცხადა, რომ გიმნაზიაში იმართება კონცერტი და ლოტბარი გთხოეთ, ვინც გუნდში ხართ, რეპეტიციაზედ მოსვლასაო.

ჩვენ ქართველები, რამოდენიმე მაინც, ძალიან ვესაჭიროებოდით რუსულ გუნდს, ამაჟე კლასის დამრიგებლის საშუალებით გავაგებინეთ ლოტბარს, რომ მონაწილეობას მივიღებთ, თუ კონცერტის პროგრამაში ქართული სიმღერებიც იქნება აღნიშნული.

დირექტორმა დამიბარა და მკითხა, თუ ჩვენი სურვილი და მოთხოვნილება კატეგორიულიაო, მე ვუპასუხე, რომ ჩვენ სხვანაირად არა ვართ თანახმანი მონაწილეობა მივიღოთ. "თქვენ რომ მოგცეთ ამის ნება, მაშინ სომხებიც მოითხოვენ და ეს არ ივარგებსო". უფრო კარგი, მაშინ ხომ კონცერტი მრავალფეროვანი გექნებათ გიმნაზიაში, ვუპასუხე მე და მალე გამოვედი მისი კაბინეტიდან.

ეს ამბავი გაუგია ლოტბარს და განუცხადებია, რომ თუ გუნდში ხახე ამირევიბი, ფოსია ჯაფარიძე და სონა ჩიჯავაძე არ მეყოლებიან, ჩემს გუნდს ვერ გამოვიყვანო.

როგორც იყო, ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილეს. ეს იყო დიდი ამბავი. ნამდვილი რევოლუცია ამ რუსულ, დახასებულ გიმნაზიაში.

კმაყოფილნი შევუდექით საქმეს, ჯერ უნდა თავი მოგვეყარა მთელი გიმნაზიის ქართველ მოწაფეებისათვის, გვეშოვნა კარგი ლოტბარი და ლამაზი სიმღერები დაგვემზადებინა.

გარდავწყვიტეთ, მოგვეწვია მაშინდელი ცნობილი ლოტბარი სანდრო კავსაძე. ამ მიზნით წავედით რკინიგზის სასწავლებელში, სადაც იგი მასწავლებლობდა. იმ დღეს საშინელი ამინდი იყო, როგორც ეს ხშირია ჩვენებურ მარტის თოვლ ჭყაპიანობას ისე რომ ლაფში ამოტურტულ კალოშებით ვიყავით მასთან მისულნი; კიდევ კარგი, კლასში არ შეგვიყვანა, სადაც ის გაკვეთილს ახლევდა და აივანზედ მიგვიღო.

ჩვენი თხოვნა გარდავეცით, თან ისიც ვუამბეთ, რა ძნელად დავითანხმეთ გიმნაზიის დირექტორი, რომ ამ კონცერტზედ ქართუ-

ლი სიმღერებიც ყოფილიყო შეტანილი. კავსაძე სიამოვნებით დათანხმდა და რეპეტიციის დღეც დაგვინიშნა. წამოველით იქიდან ფრთაშესხმულნი და გიმნაზიაში ჩვენს წრეს ეს ამბავი ვახარეთ.

დავიწყეთ რეპეტიციები, მგონი, თუ არა ვცდები, კვირაში ერთხელ თუ ორჯერ ნაშუადღევის ხუთი საათიდან, მაშასადამე რომელიმე კლასის დამრიგებელი უსათუოდ იქ უნდა ყოფილიყო, რომ ჩვენი იქ მისვლა შესაძლებელი გამხდარიყო.

აღმოჩნდა, ერთი კი არა ბევრნი მოდიოდნენ სეირის საყურებლად და თურმე იცინოდნენ კიდეც: "რა უნდა იმღეროონ, ქართველებს ხომ არაფერი გააჩნიათ, რაღა აქ მოინდომეს თავის გამოჩენაო".

მართლაც პირველ სანებში ჩვენ თვითონ უკმაყოფილონი ვიყავით, ზოგმა სიმღერა არ იცოდა, კატასავით კნაოდა, ვიდრე მღეროდა.

მე კიდევ ებრაზობდი, თან ვაჯაერებდი: "აი თქვენ ასე მღერით, რა დაგემართათ, რა ღმერთი გიწყრებათ" და სხვა.

იმათ მეტიც არ უნდოდათ, სიცილს დაიწყებდნენ, მაგრამ თავს ძლივს იკავებდნენ, ლოტბარისა ერიდებოდათ.

რომ გაჭირდებოდა, მე და ხახე ამირეჯიბი ხან პირველ ხმებთან ვმღეროდით, ხან მეორეებს ამოვუდგებოდით და მესამე ხმებთან ვაბოლოვებდით მუსიკალურ ფრაზას.

კავსაძე კი მამშვიდებდა: "ნუ გეშინიათ, კარგათ გამოვაო". უნდა შეგვესრულებინა სამი სიმღერა: "კახური ნანა", "ვარადო" და ერთიც, რომლის სახელიც აღარ მახსოვს, მხოლოდ ვიცი, რომ იმაში არის ერთ ადგილას ტრიო, ამისათვის ხახე ამირეჯიბი, ფოსია ჯაფარიძე და მე ვიკმარებდით.

დავიწყეთ მზადება მარტის შუა რიცხვებში და მაისის დამლევს კონცერტში უნდა გამოესულიყავით. მთელი იმ ხნის განმავლობაში ჩვენი კლასის დამრიგებელ, სომეხ ქალის საყვედურებმა თავი მოგვაბეზრა: "თქვენი გულისათვის მოვდივარ აქ; მაინც და მაინც ვერა მღერით, მეც მაცდენთ, მაკარგვინებთ დროს, აი ენახოთ, რა გამოგივათო."

მაისისათვის მზად ვიყავით და კმაყოფილნიც; ეხლა საზრუნავი გვქონდა საჩუქარი, რომელიც კონცერტის შემდეგ ლოტბარისათვის უნდა მიგვერთმია. ამ მიზნით წავედით სილვესტრო პაჭაძის მაღაზიაში, სადაც გვეგულებოდა ზოგიერთი საგანი ქართულ გემოვნებისათვის მოსაწონი. იქ დაგვხვდა ბარათაშვილის მეუღლე, მეტ სახელით "პრელესტ ბაბალე". მოსული იყო როგორც კლიენტი.

სხვათა შორის, მინდა აქვე გითხრა, ჩემო თეო, რომ ეს ქალი ლამაზიც იყო და მოსწრებული სიტყვის პატრონიც.

ერთხელ ქუჩაში უკანიდან მოესმა გაღიზიანებული კილო ერთი ქალისა: "ოხ ეს კეკელკები, თავიანთი გრძელი კაბებით საქმეს აჭირებენ და თავისუფლად ადამიანს ველარ გაუვლიაო".

ბაბალემ გვერდზედ გაიწია და რასაკვირველია, ამ რუსის ქალს რუსულათვე უთხრა: "მიბრძანდით, მატრონაო".

პაიჭაძესთან იმან ყური მოკრა, რომ ჩვენ საჩუქარს ვარჩევდით კაუჭაძისათვის, მაშინ ჩაერია ჩვენს ლაპარაკში და გვირჩია, "კაუჭაძე ქართველი კაცია, მომღერალი და ღვინის მსმელიც. იყიდეთ ყანწები, დაწყეთ ხონჩაზედ და ისე მიართვითო";

მართლაც აეირჩიეთ ორი ყანწი ლამაზად შეერცხლილი, ქართული ხონჩა ვერცხლის ფოლაქებით შემკული, ჩვენ შორის შეგროვილი თანხაც საკმარისი აღმოჩნდა და სიხარულით წამოვაფრიალეთ ეს ლამაზი საჩუქარი.

დანიშნულ დღეს გიმნაზიის დიდი დარბაზი სავსე იყო ხალხით;. რუსეთიდან საზაფხულოდ ჩამოსული ქართველი სტუდენტები საგანგებოდ მოსულნი ამ საღამოზედ, მოუთმენლად ელოდებოდნენ ჩვენ ესთრადაზედ გამოსვლას.

აი, დარბაზი ცოტა შეტოკდა და სკამების მიწევ მოწევა დაიწყო, როდესაც შემოვიდა კავკასიის ოლქის მზრუნველი ზავაცკი ჩვენი დირექტორ - ლარიანოვის თანხლებით.

კონცერტი დაიწყო რუსული სიმღერებით, რასაკვირველია, ჩვენც ვიყავით ამ რუსულ გუნდში.

ანტრაქტის შემდეგ ჩვენი გუნდი გამოჩნდა, რომელსაც წინ ედგა ლოტბარი, სანდრო კაკაძე, მაღალი, ჯიშიანი ტანის მქონე, შავგვრემანი ლამაზი სახით ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი, ძალიან მოსაწონი იყო; დიდის ტაშით შეხვდნენ ამ ლამაზ სანახაობას, უმთავრესად ქართველები.

ვიმღერეთ "კახური ნანა", ხახე ამირეჯიბი, რომელიც იწყებდა ამ სიმღერას, შესანიშნავად მღეროდა, გუნდიც მოხდენილად მისდევდა, ლოტბარს ეტყობოდა დიდი კმაყოფილება და ღიმილით ამოძრაებდა ხელებს.

ამ სიმღერამ ისეთი მოწონება გამოიწვია, განსაკუთრებით ზავაცკისა, რომ მოითხოვეს განმეორება და დარბაზი ტაშით ზანზარებდა.

შემდეგი სიმღერებიც აღფრთოვანებას იწვევდა. რუსის ლოტბარი მეუბნებოდა: "ჩემ სიცოცხლეში ასეთი ლამაზი ხალხური სიმღერები არ გამიგონიაო".

ჩვენი კლასის დამრიგებელი, რომელიც ჩვენ რეპეტიციებს ვერ იტანდა, თითქმის თვალცრემლიანი ამბობდა "ეს რა მშვენიერი სიმღერები გქონიათო". სულ ბოლოს, როდესაც კავკაძეს ესტრადაზედ ყანწები აუტანეთ და მადლობა ეუთხარით, ამან ხომ დიდი აღტაცება და ტაშის გრიალი გამოიწვია.

აქ ჩვენმა ახალგაზრდობამ საქართველოს განთავისუფლების წუთები განიცადა. მართლა და ამ რუსულ დაწესებულებაში, საიდანაც მთლად განდევნილი იყო ქართული ენა და იმდენად, რომ შესვენების დროს ერთმანეთში ქართულად ვერც კი ელაპარაკობდით; ეს დანაშაულად იყო მიჩნეული, სწორედ აქ გაისმა ქართული ჰანგები, ამასთან ეს ეროვნული ტანისამოსი, თავის ყანწებით და ქართუ-

ლი ხონჩით ეს ყველაფერი ნიშანი იყო იმისა, რომ მალე მოგვესმოდა, "ბორკილების ხმა მსხვრევისა".

დიდხანს ვიგონებდით ამ კონცერტს როგორც ჩვენ დიდ გამარჯვებას. დირექტორიც კმაყოფილი იყო და ალბად გუნებაში თავის უარს ნანობდა.

ამ დროს მუშების გაფიცვები იშვიათი არ იყო. პოლიტიკური მუშაობა თანდათან ბლიერდებოდა და ბრძოლა ორ ბანაკშუა მკაფიოდ ისახებოდა.

ერთის მხრივ სოციალ-დემოკრატები, მეორე მხარეს ფედერალისტები. პირველთათვის ეროვნული ინტერესების დაცვა და ავტონომიის მოთხოვნა ბატონყმობის აღდგენას მოასწავებდა, ამიტომ ჩვენ ქართველი მოწაფენი, თითქმის ყველანი ფედერალისტების ბანაკში ვიკრიბებოდით. თუმცა მუშების გარდაწყვეტილებას გაფიცვების შესახებ ჩვენც ვინაწილებდით, იმათთან ერთად ვმოქმედობდით.

მაგრამ იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენ იძულებულნი გავხდით მუშების წინააღმდეგ ჩვენი სიტყვა გვეთქვა.

იმ ხანებში ილიას გაზეთ "ივერიას" გაფიცვა მოუწყეს; ეს გაზეთი გაჩერებული იყო, მაშინ ჩვენმა წრემ გარდასწყვიტა გაზეთის აწყობა და სტამბაში მოვეწყეთ, ქალებიდან იყვნენ ვერიკო აბაშიძე, თამარა ფალენიშვილი, მარგალიტა კალატოზიშვილი და მე.

მთელი სამი კვირა ვიმუშავეთ, მხოლოდ ძალიან ნელის ტემპით, რადგან ადვილი არ იყო ამ ახალი ხელობის ასე იოლად დაძლევა, მაგრამ მტრის გულისად არ გავხდით და ავაწყეთ ერთი ნომერი მთლიანად; უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ყმაწვილები უკეთ მუშაობდნენ; ჩვენმა საქციელმა დიდი მოწონება გამოიწვია და უფროსებიდანაც დიდი მადლობა მივიღეთ.

ამ მუშაობის დროს ხშირად ვფიქრობდი, იმ საშინელ მტვერზედ და ჭუჭყზედ, რომელიც იქ მომუშავეთ ფილტვებს ყოველ დღე ეფინებოდა, ეს ადამიანს დაფიქრებდა და ალბად ბევრ უსამართლობასაც დანახვებდა;

ჩვენ იმ დროს გიმნაზიაში სიარული აღარ გვეხალისებოდა და სწავლაზედ გული გვქონდა აყრილი, თვალი იქით გვეჭირა, სად რა კრებაა, ვინ რას იტყვის, ვინ არის კარგი ორატორი, ან რას იმოქმედებენ და ჩვენი გაკვეთილები, მთლად მივიწყებული და ჩაილურ წყალ დალეული თითქმის აღარც კი გვაგონდებოდა, მივდიოდით გიმნაზიაში, როდესაც მოგვესურვებოდა.

დირექტორი თვალებში შემოგვცქეროდა, აცა გაფიცვა არ მომიწყონო და ხშირად ჩვენ გვეკითხებოდა გარეშე ამბებს;

რომელი ორატორი მოგვწონს, თავის აზრსაც გვიზიარებდა, ისე რომ ორივე მხარე კმაყოფილი რჩებოდა,არც ჩვენ გვეშინოდა სკოლიდან გამორიცხვისა და ისიც დამშვიდებული იყო, რომ გიმნაზიაში "ბუნტს" არ მოვეწყობდით;

რამდენადაც მახსოვს, რუსი მოწაფენი იშვიათად მისდევდნენ ახალ აზრებს და ეს ელემენტი უფროსებისათვის არც იყო საშიში.

ასე იყო საქართველოში, თორემ რუსეთის სტუდენტობა იყო მთავარი ძალა რევოლუციის მსვლელობაში.

აქ ჩვენ ვიყავით ყველანი რუსეთის წინააღმდეგ, რადგან ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა იყო შელახული, წართმეული ენა, ეკლესია, ჩვენი პირადი თავისუფლება, ყველაფერი ეს ყოველ ქართველს რევოლუციის მოტრფიალედა ჰხდიდა.

რევოლუციის პერიოდში სხვა და სხვა ქალაქებთან კავშირი იყო გაბმული, რომ ახალგაზრდობას ერთის ხაზით ემოქმედნა;

ამ მიზნით გვაცნობეს, რომ ქუთაისის მოწაფეობა კავშირის გასაბმელად ჩვენთან გზავნიან თავის დელეგატს, მერვე კლასის მოწაფეს: ეს იყო სპირიდონ კედია;

ამის მოლოდინში ვერაზედ კრება იყო დანიშნული, სწორედ იქ სადაც ეხლა არის ჩვენი ქართული უნივერსიტეტი. ამ შენობას მაშინ ჯერ კიდევ თავსახურავი არა ჰქონდა და კედლებიც დიდ სიმაღლეზედ არ იყო აყვანილი;

თბილისის მოწაფეობა მთლიანად მოაწყდა, იყვნენ რუსებიც, ქალები თუმცა მისულან დასაწყისში, მაგრამ შეშინებიათ და უკან გაბრუნებულან.

ამის შემდეგ ჩვენი მისვლა - მართლა ჩვენს მეტი ქალი იქ არავინ იყო - დიდის ოვაციებით იყო აღნიშნული, ყმაწვილები მოგვეგებნენ დიდის ტაშით: "კარგია, რომ თქვენ მაინც მოხვედითო!"

ჩვენ სულ სამნი ვიყავით: მე, ტასო როსტომაშვილი მომავალში საშა ახმეტელის მეულლე - და მესამე, არ მახსოვს ვინ იყო..

სპირიდონი მაღლობიდან იწყებს ლაპარაკს დიდის პათოსით. ეხება რუსეთის რევოლუციას, მის მიზნებს და ჩვენ მონაწილეობას.

მახსომს კარგად მისი ერთი ფრაზა: "რუსეთის ბურჟუაზიამ თავის ხალხს ხელთათმანი გადმოუგდო" - ე. ი. გამოიწვია ბრძოლაშიო..

აი, შუა ლაპარაკში იყო ეს ჩვენი დელეგატი, რომ უცბად გაისმა: "ყაზახები მოდიანო!"- მათი რაზმი თავს წამოგვადგა, მაშინათვე გავიფანტ გამოვიფანტენით ელვის სისწრაფით, მე ვიღაცამ ხელი წამაველო და ახალ შენობის ერთ ერთ კედელს ამომაფარა.

სპირიდონი სდგას თავის ადგილას, მას ფეხი არ მოუცელია, ამას ყველამ მივაქციეთ ყურადღება. ძალიან დამშვიდებული ხასით და კილოთი არწმუნებდა რაზმის უფროსს, რომ "ჩვენ აკადემიურ ხასიათის კრება გვაქვს და ხელს ნუ შეგვიშლითო". მაგრამ მალე მოგვიყარეს თავი და წყნეთის ქუჩით წაგვიყვანეს. წინ ჩვენ და უკან ეს ცხენოსანი რაზმი მოგვდევდა. მე სიცილი ამიტყდა!.

გზაზედ შემოგვეგება უფროსების დიდი დემონსტრაცია და ყველანი ერთად შეკრულნი შოთა რუსთაველის გამზირზედ გავედით ქაშუეთის ეკლესიის მახლობლად; დიდი მიტინგი გაიხსნა, მაგრამ ორატორებმა დიდხანს ვერ ილაპარაკეს, რადგან ამას მოჰყვა ყაზახების მათრახების ტრიალი და ჩვენი გაფანტვაც.

რევოლუცია ნელნელა ყველგან შედიოდა, გურიაში ალიხანოვის დამსჯელი რაზმი ცეცხლს უკიდებდა მშვიდობიან მცხოვრებთა სახლკარს, სამეგრელოშიაც ზომები ჰქონდათ მიღებული; სპირიდონის ძებნაში კინაღამ მის სახლს ცეცხლი წაუკიდეს! აწიოკებული იყო დედა თეო, მარტოდ მარტო სახლში დარჩენილი.

ერთხელ გიმნაზიაში ჩვენც მოვაწყეთ დიდი მიტინგი ყველა კლასების თანადასწრებით.

აქ ვილაპარაკეთ ჩვენ უმთავრესად მეცხრე კლასის მოსპობაზედ, ლარიონოვი დიდის ყურადღებით ისმენდა ჩვენს მოთხოვნილებას. ალბად, გუნებაში გვეთანხმებოდა კიდეც, განათლებული და შეგნებული ადამიანი იყო;

1. ვითხოვდით მეცხრე კლასის მოსპობას
2. ქართული ენის გაკვეთილებს
3. ებრაელების გათანასწორებას, მათი გიმნაზიაში მიღების პატარა პროცენტის მოსპობას
4. რუსეთის ფარგლებში პარლამენტარული წესწყობილების დამყარებას;

ლარიონოვმა ამ უკანასკნელ მუხლზედ გვიპასუხა, რომ ეს მის კომპეტენციას აღემატება და ამით გაათავა ჩვენთან მსჯელობა.

მერვე კლასში ის ისტორიას გვასწავლიდა, ილოვაისკის სახელმძღვანელოს გვერდი აუხვია და კლუჩევსკი მოგვცა ხელში, ეს დიდი გამბედაობა იყო იმ დროს, საშუალო სასწავლებელში კლუჩევსკის, ამ ლიბერალს და მის აზრებს ადგილი ჰქონოდა.

ერთ გაკვეთილზედ ასეთი კითხვა მოგვცა, რომელი ერი ითვლება ისტორიულ ერადაო; მისი პასუხი რომ მიიღო, მეორე კითხვა მიაყოლა,- ქართველები არიან თუ არა ისტორიული ერიო;

წამოიწია ერთმა სომეხმა მოწაფემ გვარად ჯამპულადოვმა, თითი აიშვირა და როდესაც წამოდგა, უპასუხა: "რასაკვირველია, არა, ქართველები არ არიან ისტორიული ერიო."

მე თავში მეცა, საშინლად გაეწითლდი, მთელი კლასი მე მომიტრიალდა, ჩემგან რაღაცას მოელოდნენ; როდესაც ლარიონოვმა მიუთითა ამ მოწაფეს, რომ ის სცდება, რადგან ქართველი ერი სწორედ ისტორიული ერია; მაშინ ამ ჩემმა მატრაკვეცამ სიცილით უთხრა: "ვიცი, მაგრამ მე განგება ვსთქვი საწინააღმდეგო, მინდოდა გამეგო, ჩიჯავაძის აზრი, იმაზედ როგორ იმოქმედებდა ჩემი ნათქვამი და როგორ გამიწყრებოდა, დიდი პატრიოტიაო".

მაშინ დირექტორმა გამომიძახა და მკითხა: "თუ პატრიოტობთ, უნდა კიდეც იცოდეთ თქვენი ერის წარსული, აბა მითხარით, რა წყაროები გაქვთ ამ თქვენი ერის ისტორიის შესასწავლად და გასაგებადაო".

მე დავასახელე "ქართლის ცხოვრება", ბევრი რამ, რასაკვირველია, მე მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ მთავარი რაც იყო, უპასუხოდ არ დავტოვე. მაშინ მითხრა: "შეგიძლიანთ, თქვენ თავს პატრიოტი უწოდოთო"; დიდი კმაყოფილი დავეკეცი და ღიმილით

გადავხედე ჯანპულადოვას. ლარიონოვი კარგი მცოდნე იყო ჩვენი წარსულისა, ეს სასიამოვნოდ დამრჩა.

ამ რევოლუციის ლოზუნგებით გაჟღენთილი, რომ მიწა მშრომელისაა, მიველი საზაფხულოდ კისისხევში და დედაჩემს გულს ვუსიებდი; მარტო მე არ ვიყავი ჩვენს ოჯახში ამ აზრისა, ჩემი ძმა ლელო, რომელიც ომიდან იყო ახლად მოსული, ჩვენ სოფლის კანცელარიაში თავმოყრილ გლეხობას უუბნებოდა: "აი მთელი ეს სახნავ-სათესი, ეს ტყეები სულ თქვენს განკარგულებაში იქნებაო". მაშინ ერთმა გლეხკაცმა დაუძახა: "თუ დარჩიანთ ტყესაც გვიბოძებთ, ძაან მადლობლები ვიქნებითო".

ეს დარჩიაანთ ტყე იყო ჩვენი ახალნაზარდი ტყე და ძალიან ეუფრთხილდებოდით, ვერ იქ შეშის მჭრელს ფეხი არ დაედგა, ჩემი ლელო თურმე ამ ტყის ხსენებაზედ გაწუმდა და სხვა საგანზედ გადაიდა. სახლში ეს ამბავი სიცილით გვიამბო..

იმ ზაფხულს დედას გავყე ახატელში, სადაც ხშირად მიდიოდა, რომ თავისი სახლკარი და მამული დაეთვალიერებინა.

ძალიან მინდოდა დედას დიდი მიწების ნახვა, ერთი მიწა, მთლიანი სამას დღიურიანი ვერ არ მენახა.

ჩვენმა მეეელე ისმაილამ მომიყვანა ცხენი და წაველი, დედა მომძახოდა, შვილო, შორს ნუ წახვალ, აქ ახლო მდებარე მიწებისახე და მალე დაბრუნდიო.

დავკარი ცხენს და მივდივარ, უკან ისიც ცხენით მომდევს ჩვენი ისმაილა "აი ზონა, ეს სულ შენია, დედაშენის მამულია, ეს გოგოსიაო." ამ ლაპარაკში ჩაველით ალაზანთან და დაეინახე დიდ გაშლილ მინდორზედ გაშვებული საქონელი და იქვე დაბანაკებული თათრები თაეიანთ ცოლშვილით.

ესენი აღმოჩნდნენ დედას მიწაზედ მცხოვრებნი ხიზნები, მხოლოდ ზაფხულში აყრილნი და აქ მობინადრენი ისევ დედას საძოვარზედ.

მიველი ცხენ და ცხენ იმათთან, ისმაილამ გააგებინა, ვინც ვიყავი, მაშინათვე მომეგებნენ; "ალაბალას, ქალბატონო" მითხრეს, ჩამომსვეს ცხენიდან და თაეიანთ ბინაზედ მიმიყვანეს; ცოთა ხნის შემდეგ მოხარშული ქათამი, დიდი ბადიით ნაღები და ბიშები დამიწყეს წინ და თეითონაც გარს შემომისხდნენ, ქალები იქით გვერდიდან მადეენებდნენ თეალყურს;

ვკითხე მათი ცხოვრების ზოგიერთი რამ, რაც ჩემთვის საინტერესო იყო, მაგალითად როდემდის რჩებიან ასე მინდორში. ზამთარში რითი იკვებებიან და სხვა.

ყეელაფერზედ დამტერეული ქართულით მიპასუხებ- დნენ. გავაგებინე, რომ მათი ცხოვრება მალე შეიცვლება, რომ მიწა, რომელზედაც ცხოვრობენ, მათი საკუთრება იქნება, ხიზნებად აღარ იქნებიან, საბალახესაც აღარ გადაიხდიან და სხვა.

ერთი მოხუცებული თათარი ჩიბუხით ხელში, თაეჩაღუნული, მძიმე ფიქრებში გახეეული უძრავად იყდა, არც უთქამს რამე და არც შემოუხედნია ჩემთვის.

რომ ავდექი, გამოვეთხოვე ჩემ მასპინძლებს და ცხენზედ შევჯექი; ის იყო დავაპირე ცხენის დაძერა, რომ ეს მოხუცებული კაცი მოუახლოვდა ჩემ ცხენს, აღვირსაც მისწვდა და მითხრა: "ეხლა ისმაილას უთხარი, რომ შენ ფული არ მოგცა". ერთი სიტყვით მთხოვა, რომ ჩემ მეველესათვის მეთქვა, რომ საბალახო არ მოეთხოვნა და ამისაგან გაენთავისუფლებინა; მეც გავუმეორე და უფრო მკაფიოდ გავაგებინე: "წელს დედაჩემს ნურაფითარ გადასახადს ნუ მისცემთ, ნურც ხაზინაში შეიტანთ თქვენ საცხოვრებელ ადგილზედ შეწერილ თანხას", დავკარი ცხენს და წამოვედი კმაყოფილი, თითრებიც ცაგაბსნილები დავტოვე, მაგრამ ჩემი ისმაილა დაღონებული და გაბუტული მოაჩინდრიკებდა თაფის ცხენს.

სახლში რომ მივედით, დედას ყველაფერი უამბო: "შენი გიჟი გოგო, ყველაფერი მოგცა არაფერი დარჩა"ო;

ძალიან გამიჯავრდა დედა, "ეგ რა გიქნია ქალო, მაგათ ხომ მეტიც არ უნდათ, აღარაფერს მომცემენ, ეგ განკარგულება მამაშენის მამულში გაეცი, აქ რა შენი საქმეაო."

მართლაც იმ დღიდან ვერც დედა აიღებდა ხაზინიდან იმ თანხას, რომელიც ხიზან თათრებს უნდა წლიურად შეეტანათ და ვერც საბალახეს მოსთხოვდა მათ ჩვენი მეველე.

დედამ მე ეს აღარ მაპატია და ძალიანაც დამჩაგრა, ჩემთვის აღარაფერი გაიმეტა, მაშინ როდესაც ვაჟებისათვის მისი ჯიბე ყოველთვის ღია იყო და არაფერს ზოგავდა, რომ იმათ კარგი განათლება მიეღოთ;

პოლიტიკური მუშაობა თან და თან ვითარდებოდა როგორც თბილისში ისე საქართველოს ყველა კუთხეში. ორ ბანაკ შუა იყო დაპირისპირება, ერთ მხრივ წმინდა ეროვნული ინტერესების დამცველი, ავტონომიის მომხრე ქართველობა, მეორეს მხრივ რუსეთის სოციალ-დემოკრატების განყოფილება ამ ჩვენ მიწაწყალზედ წინააღმდეგი ამ ავტონომიისა, მოითხოვდა მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურას და მასთან დაკავშირებით კლასთა ბრძოლას.

ამ კლასთა ბრძოლის ქადაგებამ საქართველოს წარუშლელი ჩირქი სცხო, 1907 წელს ილია მოჰკლეს როგორც ბატონი...

შემოდგომის ერთ მზიან დღეს თბილისი საზეიმოდ იყო გამოსული, ქუჩები ვერ იტევდა ხალხს, ყველას ღიმილი და სიხარული უშუქებდა სახეს, ეს იყო ოქტომბერი. თუ არ ვცდები, 17-ს როდესაც რუსეთის მიერ გამოცხადებული იყო კონსტიტუცია, მაშასადამე ამ დღიდან აბსოლიუტური რეჟიმის მოსპობა და პარლამენტარული წესწყობილების დამყარება; ხალხმა შვება იგრძნო და იმედები აღეძრა;სახლში აღარავის უნდოდა შესვლა, ყველა იმის მოლოდინში იყო, რომ მალე უფრო სასიამოვნო ამბები მოჰყვებოდა მანიფესტის გამოცხადებას და ჩვენ ქართველებისათვის რამე სასარგებლოც შიგ იქნებოდა ჩაქსოვილი, მაგრამ რუსეთის მთავრობის რეაქციამ მალე შეარღვია რევოლუციის კედლები და მოსალოდნელი კარგი ამბების ნაცვლად ხალხს შაკი დღეები გაუთენა, დაიწყო

სისხლის ღერა ჯერ თვითონ რუსეთში და მერე კი უფრო გაშმაგებით განაპირა ქვეყნებში.

მაშინდელი დროიდან ბევრი გამორჩა ჩემს მეხსიერებას, მაგრამ ზოგიერთი ეპიზოდი ნათლად მიდგება თვალწინ.

მახსოვს იმავ ოქტომბრის დღეებში თბილისის მთავარ ქუჩაზედ შემოსილი რუსის სამღვდელოება ჯვრებით და ხატებით ხელში რომ მძიმედ მოარღვევდნენ, მოდიოდნენ უფრო ბნელი მიზნებით, გამოეწვიათ ხალხის რეაქცია, არ ვიცი, ამის შემდეგ რა მოხდა, დაიწყო დიდი სროლა, ხალხი გაიფანტა, თავი შეაფარა, სადაც კი შესძლო, რომ თავი გადაერჩინა უცბად გაჩენილ ცხენოსან ყაზახების ტყვიისაგან.

მე მიეუსწარი მთავრელიშვილების სახლს, გზაში შევხვდი ერთ მშვენიერ წყვილს, ახლად ჯვარდაწერილ ვაჩნაძე და მის მეუღლე ლელიას, ჯორჯაძის ასულს, ხელხელ ჩაკიდებულნი, მხიარულ გუნებაზედ მოდიოდნენ, თვითონ ვაჩნაძეს წითელი ყვავილი უმშვენებდა მკერდსა, იქნება სწორედ ეს გახდა მათი უბედურების მიზეზი;

თურმე ამ დიდ სროლას მოჰყვნენ და სხვებთან ერთად მიაწყდნენ მაშინდელ რესტორან "პურღვინოს", სწორედ იქ, მის ეზოში დაიხოცა ხალხი და ბლომადაც, საღამოზედ გამოვიდა ხმა რომ დახოცილთა შორის არის ერთი ლამაზი ქალიც, დიდ, გრძელთმიანიო; ეს იყო ლელია, მართლა ლამაზი და კარგი ტანადი; ცოლქმარი ერთ დღეს მიაბარეს მიწას, დიდძალი საზოგადოება დაესწრო და მწუხარებით დასცქეროდა ამ ახალგაზრდების ორ კუბოს;

იმავე დღეს არაყით გახალისებული, გამხეცებული ყაზახები შეცვივდნენ პირველ ვაჟთა გიმნაზიაში და რამოდენიმე ბავშვი, რომელნიც გიმნაზიის გალავნიდან დამშვიდებულად უყურებდნენ ქუჩაში მიმავალ ხალხს, ხიშტზედ აგეს.

იმ ხანებში მოხდა ჩვენი სათავადაზნაურო გიმნაზიის აკლებაც; ერთმა უპასუხისმგებლო მოწაფემ სხვების დაუკითხავად ამ შენობის ზევიდან ყუმბარა გადმოაგდო და იმსხვერპლა პოლიციის უფროსი; ამ დროს გიმნაზიის დირექტორი ჩიტაძე ფანჯრიდან იყურებოდა, იმან ვერ გაიგო ამ ყუმბარის ამბავი, თუ საიდან იყო ჩამოგდებული;

ყაზახები მაშინათვე ეცნენ ამ შენობას, შიო ჩიტაძე იქვე მოკლეს და მთელი ბიბლიოთეკა გაანადგურეს. შიო ჩიტაძე იყო კარგი პიროვნება, თვალსაჩინო პუბლიცისტი და კარგი პედაგოგი, მისი მოწაფეები დიდხანს მისტიროდნენ ამ იშვიათ ხელმძღვანელს;

გურიაში დამსჯელი რაზმი იყო გაგზავნილი, ალიხანოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც სოფლები ცეცხლში გახვია, დაზარალდა აგრეთვე სამეგრელო და საერთოდ დასავლეთი საქართველო როგორც რევოლუციის ბუდე;

მახსოვს "ეროვნულ-დემოკრატიის" მაშინდელ გაზეთის რედაქციას, მოადგა იარაღშესხმული ფშავ-ხევსურთა ცხენოსანი რაზმი, მათ

ნახვაზედ ადამიანს ძველი დროის სურათი წარმოუდგებოდა, შეწუხებულნი კითხულობდნენ "გვითხარით, საით არის გურია, თურმე ცეცხლშია გახვეული, გვინდა, მივხედოთ, ჩვენ ძმებს მიევშველოთო"; ერთის ხმით შემოსძახეს რედაქციას; არ ვიცი, გზა გაიკელიეს თუ არა, მაგრამ ცხენები კი სწრაფად დასძრეს. რეაქციის მსხვერპლნი დღითიდღე მრავლდებოდა, იჭერდნენ ხალხს და ჰგზავნიდნენ გრძელი ვადით შორეულ ციმბირში, ზოგმა თავს უშველა და ევროპაში გამოასწრო, თითო-ოროლა ადგილობრივ დარჩა, ტყეს შეაფარა თავი.

ჩვენი სოფლიდან გასული იყო სანდრო ყავალაშვილი რამოდენიმე ერთგულ ამხანაგთან ერთად; სანდრო, გამოცდილი სახელით "ნაბია" დიდხანს იმალებოდა ტყესა და მის ახლო მახლო თაგშესაფარში და იქიდან აზიანებდა ხელისუფლებას; დარჩა ამ არალეგალურ პირობებში 1918 წლამდე, როდესაც იმან დაყარა იარაღი და ჩვენ მთავრობას ერთგულება გამოუცხადა, მაგრამ არ ენდნენ და თავიდან მოიშორეს... ასე დაიღუპა ის დიდი ნების მქონე, იდეისათვის თავგანწირული ადამიანი.

როგორც გითხარი, ჩემო თეო, 1906 წლის იანვრამდე დაგვტოვეს მეცრე კლასში, დაგვირიგეს დიპლომები და გზა დაგვილოცეს, მაშასადამე ერთი ჩვენი მოთხოვნილება შეგვისრულეს, მოსპეს ეს ზედმეტი ბარგი, დასარჩენი კი რეაქციას შეეწირა, რაც მოსალოდნელი იყო.

ჩემი მთვარელიშვილების ოჯახში ცხოვრებაც გათავდა, რადგან თავიანთი სახლი გააქირავესყ და საცხოვრებლად საბოლოოდ თელავში გადავიდნენ, იმ წელიწადს, ძალუა საშას აღარ ესაჭიროებოდა დიდი ბინა, რადგან ანეტა გათხოვდა და საზღვარგარეთ წავიდა, ელენა პეტერბურგში სწავლობდა, ამიტომ აიღო ოროთახიანი ბინა, ერთი მე დამითმო, მეორეში ისა და თამარა მოთავსდნენ.

სადილი მომდიოდა მზად იქვე ახლო სასადილოდან, ისე რომ მთელი დრო მქონდა ჩემთვის, შემეძლო კიდეც სადმე მემუშავნა, ყველაფერი მერჩივნა კისისხევში დაბრუნებას.

ზაფხულამდე კიდევ დრო მქონდა, გავიგე, რომ ელისაბედის ქუჩაზედ არის პატარა პანსიონი და იქ ესაჭიროებათ მასწავლებელი, მხოლოდ ნამდვილი მისამართი ამ ჩემი გიმნაზიის ერთ ერთმა მოწაფემ ვერ მითხრა, მხოლოდ ამ პანსიონის გამგის გვარი "ლ"- თი იწყებაო.

დავადექი ელისაბედის ქუჩას და ერთ კარებზედ წავიქითხე: "ბარტოლდ", ვიფიქრე, თუ თავში არა, ეს ასო "ლ" ბოლოში მაინც არის და დავრეკე ზარი, მართლა აღმოჩნდა, რომ იქ სჭირდებოდათ მასწავლებელი; ამიყვანა ამ ქალმა, რომელიც კარგი ადამიანიც აღმოჩნდა ის იყვანდა გიმნაზიაში ჩამორჩენილ მოწაფეებს და აქ თავისთან ამუშავებდა.

კარგი პირობები მქონდა, შესაფერისი ჯამაგირი, არ კი მახსოვს, რამდენი მეძლეოდა, იქვე საუზმე, ებრუნდებოდი შუადღის ორი საათისათვის, დილიდან 8 საათზედ სახლიდან გასული.

შემოდგომაზედ კი თავდებოდა ეს სამუშაო, რადგან ეს სუსტი მოწაფენი უმთავრესად ზაფხულში ემზადებოდნენ; ჟიქორობდი, კიდევ მეძებნა შესაფერისი სამუშაო, მაგრამ იმედგაცრუებული ერჩებოდი.

იმ ხანებში ფილიპე გოგიჩაიშვილი, ეკონომისტი, ჩემი მეგობარ ელიჩკა ცხვედაძის ასულის ქმარი, ადგენდა სტატისტიკას საქართველოს თავად-აზნაურთა მიწად-მფლობელობის შესახებ და თანამშრომლების ძებნაში იყო;

"თუმცა ქალის შრომის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მინდა გცადოთ, აი თქვენი წრიდან მოიყვანეთ ვინც გინდათ და ჩემთან იმუშაონეთო".

ამ წინადადებით დიდი კმაყოფილი ვიყავი, მეც ავიქონწიალე ჩემი კლასის მეგობრები და გამოვცხადდით მის ბიუროში; ესენი იყვნენ: ვერიკო აბაშიძე, თამარა ფაალენიშვილი, მარგალიტა კალატოზიშვილი და მე;

იყო ჩვენთან ელენე თარხნიშვილი და მისი ძმა, კაცებში· იყო კიდევ კაკო ცხვედაძე.

თვითონ ფილიპეს გვერდით მუშაობდა კოწია თუმანიშვილი; რამოდენიმე თვე ამ სტატისტიკაზედ ვიმუშავეთ; დიდი სიჩუმე სუფევდა, რადგან გვერდით ოთახში ფილიპე გეეგულებოდა, ჩვენი სიცილ კისკისი აღარ ისმოდა, ვცდილობდით თავი არ შეგვერცხვინა;

ბოლოს ფილიპე კმაყოფილი დარჩა ამ ქალების მუშაობით; იქ გაეცანი ჩვენ თავად-აზნაურთა ქონებას, გაეიგე, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზედ დიდი მემამულე იყო გენო ქობულაშვილი, განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრაში მას ჰქონდა ორმოცდა ხუთი ათასი დესეტინა, თუ დღიური, ეს მე არ მახსოვს, ამ თეკლე ბატონიშვილის შვილიშვილს;

შუა კახეთში, როგორც დიდი მემამულე, ნახსენებია სოსო ქობულაშვილი და გიგლო ყარალაშვილი. თვითეულ მათგანს ჰქონდა ორი ათასი დესეტინა; გარეთ კახეთში კარგ მემამულედ ითვლებოდა აგრეთვე თადე ჩოლოყაშვილი, რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იქ საყურადღებოა მინგრელსკის ქონება, თითქმის მთელი სამეგრელო მის ხელში იყო;

იმერეთში კი ბევრი იყო წვრილ წვრილი მემამულე, იქ არ მახსოვს დიდი მესაკუთრის სახელი.

გათავდა ეს სამუშაოც, მე მიგეყიანდებოდა, ჩემი ოცნება განმეხორციელებინა, უსათუოდ მინდოდა უმაღლესი განათლება მიმეღო, მაგრამ როგორ, დედა ხომ არ დამეხმარებოდა ამ საქმეში;

ჩემი ძმა ლელო, რომელმაც ალარ მოინდომა გიმნაზიაში დარჩენა, ბევრი დრო მეკარგებაო, გამოვიდა, კერძოდ მოემზადა და ორი კლასის კურსი ადვილად დასძლია, ჩაიდო ჯიბეში ერთი

წლის საცხოვრებელი თანხა და ბელგიაში წავიდა; სახელდობრ ლიეუში საინჟინრო ნაწილზედ შევიდა, არავითარი დაბრკოლება არა ჰქონდათ ჩემს ძმებს დედას მხრივ და ამიტომ ადვილად იკელევდნენ გზას, ორივესათვის ადვილად ხურდავდებოდა მიწები, რომლის მოვლასაც დედა ვერ ახერხებდა; ჩემთვის არაფერი ემეტებოდა, რადგან ქალი ვიყავი...

ზაფხული სოფელში გავატარე, მაგრამ სრული იმედით, რომ ენკენისთვეში მოსკოვში ვიქნებოდი, ამიტომ საჭირო ქალალდები დროზედ მქონდა გაგზავნილი მოსკოვის ქალთა უმაღლეს სასწავლებელში;

დედაჩემი გულგახეთქილი იყო, იმის მოლოდინში, რომ უცბად გამოეცლებოდი ხელიდან და რუსეთისაკენ ვკრავდი თავს, მაგრამ იმით ნუგეშობდა, რომ ფული არა მქონდა და ადგილიდან ვერ დავიძროდი.

ერთ დღეს აუდი თელავში და შევხვდი ერთ კომერსანტს, რომელსაც ცოლად ჰყავდა თელავში ჩემთან მოსწავლე სომხის ქალი მანანა ეგოროვა; ამ კაცთან ვაჭრობდა დედაჩემი წლითი წლობამდე ნისიად და შემოდგომაზედ ჩვენი ღვინოები ისტუმრებდნენ მთელ ვალებს და რასაკვირველია, ამ იოსებას ვალიც ყოველთვის დროზედ იყო გადახდილი; ასე რომ ჩვენ მისთვის ნაღდი, სანდო კლიენტები ვიყავით;

მე შევჩიენე ჩემი დარდი, რომ მინდა მოსკოვში სწავლა განვაგრძო და ამჟამად ფული არა მაქვს, დედა არ მიხსენებია, მითხრა; "მე მოგართმევთ ათ თუმანს და დედა თქვენი შემოდგომაზედ გამისწორდებაო"; გადმომცა ეს ფული სრულიად დამშვიდებულმა ისე როგორც დედას შეთვლაზედ; "იოსებ, გამოატანე ამ ბიჭს ექვსი არშინი ქიშმირი, ფერად შავი და ერთი ბაღდადი, თუ გაქვს "ნასტაიაშჩი" არშია, ისიც ჩადეო", ეს ბიჭი ამ საჭიროს ჩამოუტანდა ისე, რომ დედა მაშინ ფასსაც არ იკითხავდა, შემოდგომაზედ იოსები უანგარიშებდა როგორც მოესურვებოდა; ასეთი ალებმიცემობა გვქონდა ამ იოსებთან, რომელმაც მე ბედი გამიხსნა და კარგი თანხა ჩამიგდო ხელში.

აი დადგა დღე ჩემი მოსკოვისაკენ გამგზავრებისა; არც ერთი საგანი, რომელიც იქ ჩემთვის საჭირო იქნებოდა, ჩემს კალათაში არა მქონდა, არც თბილი კაბა, არც თბილი პალტო, მიედიოდი ამ ციე ქვეყანაში თბილისში შეკერილ საშემოდგომო პალტოთი. ეს იყო თხელი მაუდი, აბრეშუმის სარჩულზედ გაწყობილი, ეს იყო უფრო მოსართავი და არა სათბუნებელი ჩასაცმელი, იმის იმედი მქონდა, რომ დედა ეხლა კი მომეხმარებოდა, როდესაც გაიგებდა, რომ ციე ქვეყანაში ვიქნებოდი; როგორ ვცდებოდი, როდესაც ასე ვფიქრობდი, ეხლა მიკვირს;

წასვლის წინა დღეები გამწარებული მქონდა, დედამ დამხვია ნათესავები თუ მეზობლები, რომლებიც მარწმუნებდნენ: "თუ წახვალ, დედა შენი ამას ვერ აიტანს და თან გადაჰყვებაო"; გარდა ამისა ნამუსიანი ქალი მარტოკა რუსეთში, ეს ხომ ოჯახის შერც-

ხვენა, თავზედ ლაფის დასხმაო და რა ვიცი, რას არ მეუბნებოდნენ; ვისმენდი ყველაფერს თითქოს გულგრილად, მაგრამ სინამდვილეში კი ძალიან ვიყავი შეფიქრიანებული, ვაი თუ მართლა დედამ ვერ აიტანოს, მაშინ ხომ მე ვის რა უნდა უთხრა, აი, ამაზედ კი მწარედ ვფიქრობდი.

უნდა გითხრა, მაშინ ახალგაზრდა ქალი იშვიათად თუ მიდიოდა რუსეთში სწავლის გასაგრძელებლად, ბიჭებისათვის კი ეს ნორმალური იყო;

ქალები საშუალო სასწავლებლის შემდეგ უფრო თხოვდებოდნენ და მშობლიურ ატმოსფეროში რჩებოდნენ; მაინც და მაინც ეს არ იყო ურიგო, ეხლა სულ სხვანაირად ვფიქრობ, ჩემო შვილო, ვიდრე მაშინ; რამდენი გაჭირება, სიმწარე, დამცირება გამოვიარე, ეს ხომ ამცდებოდა, რომ მართლა დედას გვერდით დარჩენილიყავი;

მაგრამ ახალგაზრდა რომ თავში ჩაიდებს ერთ აზრს და მიმართულებას, ამასთან, რასაკვირველია, თუ მტკიცე სასიათის მქონეა, მას ვერ შესცელის ვერავითარი ძალა, ყველაფერი უძლური აღმოჩნდება;

ეხლა გიამბობ ჩემო თეო, ჩემ გამგზავრებას და მოსკოვში ჩასვლას. შემდეგ პირველ წელიწადს იქ გატარებულს და სხვა.

1907 წ. და ჩემი პირველი წელიწადი მოსკოვში.

ჩემი გამგზავრება და მოსკოვში ჩასვლა.

მარიამობის თვე იყო, საშინელი წვიმიანი დღე მხვდა წილად, რომ თელავში ავსულიყავი ამ ჩემი ბარგი ბარხანით.

შემბეს ცხენის ურემი, დედა ჩემი არც გამომყვა და არც გამომეთხოვა, დავიჭირე გიორგი ლეონიძის დიდი უზარმაზარი თეთრი ტილოს ქოლგა, დავაყექი ამ ჩემ მაფრაშას, რომელშიაც ცისფერი აბრეშუმის საბანი და ბალიში მედო, ვიცოდი, რომ ლეიბის წაღება საჭირო არ იყო, მოვიგდე გვერდით მოზრდილი ჩალის სკივრი და თახთახით მიველი თელავში ჩემ ნათესავ ქალ იულიტა კიკნაძესთან. მეორე დღეს თბილისში ვიყავი ჩამომხტარი და ვეწერებოდი სტუდენტების ექსკურსიაში, რომელიც მიდიოდა მოსკოვისაკენ და საბოლოოდ პეტერბურგში უნდა ჩასულიყო.

საგზაოდ გამზადებული მქონდა ცოტა საჭმელი, თუშური ყველი, რამოდენიმე ტაბაკა, შოთები, ხილი, წერილ ფულად მანეთები ჩემი შრომით შეძენილი და ეს ჩემი დიდი კაპიტალი, ათ თუმნიანი პატარა პარკში ჩაკერილი გულზედ მქონდა ჩამოკიდებული; მისი დახურდავება განზრახული მქონდა მხოლოდ მოსკოვში. ამაზედ წინ, რაც უნდა გამჭირებოდა, ამას პარკიდან არ ამოვიღებდი.

ეს კი ალარ მახსოვს, დედაჩემს გაეგებინე თუ არა მისი ამბავი, თუ შემოდგომაზედ იოსებმა გამოუგზავნა წლიური ანგარიში ამის დამატებით. მინდა აქვე გაგაგებინო ამ გიორგი ლეონიძის ქოლგის დანიშნულება; ვიცი, რომ მკითხავ.

გიორგი იყო ადგილობრივი მემამულე, ცოლად ჰყავდა დედას მამიდაშვილი დარიკო მაყაშვილის ასული, კისისხევში ახლად იყო დასახლებული; იმის შემდეგ, რაც მამა მოუკვდა, მიხაკო ლეონიძე კონდოლის მემამულე, შვილები გაიყარნენ და ამან არჩია კისისხევში დასახლებულიყო..

ეს ოჯახი მაშინდელი დროისათვის იყო ნამდვილი ევროპიული თავის გაგებით, მშრომელი, ყაირათიანი, ერთი სიტყვით საქმის და შრომის ხალხი. იმათ ოჯახში მამული კარგად იყო მოვლილი, მთელი დღე გიორგი თავის პატარა ბაღში ტრიალებდა, ამიტომ საამისოდ გაიჩინა ეს დიდი ქოლგა, რომ წვიმაში არ დასველებულიყო, მეზობლები ხშირად სარგებლობდნენ მისი თაგშესაფარით, რადგან ადამიანს კი არა ცხენის ურემსაც კი ჰფარავდა.

სტუდენტების ექსკურსიაში ჩაწერა იმიტომ დავინახე საჭიროდ, რომ გზის ფული სუმთლად უმნიშვნელო იყო, არ მახსოვს, ორი თუ სამი მანეთი, ეს მე მქონდა, მაგრამ ჩვენი ვაგონი ნელის ნაბიჯით მიგოგამდა, ხან ერთ სადგურზედ გაგვაჩერებდა, ხან მეორეზედ და თითქმის ერთი კვირის განმავლობაში გზაში ვრჩებოდით.

ბალაჯარეში რომ მივედით, ეს თბილისიდან პირველი დიდი სადგურია, საშინლად ვინანე ჩემი სახლიდან წამოსვლა, მერე ისე უცბად მოვწყდი იქაურობას, დედა დავტოვე თითქმის ჩემზედ მგლოვიარე, ღონე დაცლილი, დაღონებული; ჩემებურად ვერც ვესახს გადავხედე, თითქოს მეშინოდა წუთი არ დამეკარგნა.

ისეთი სევდა მომაწვა, რომ მინდოდა ამ ჩემი ათთუმნიანი მედალიონით უკან გამოებრუნებულიყავი. თბილისში გამოვეთხოვე ჩემ ძალუა მაშოს, რომელიც თავის ქალ ნუცასთან ერთად იყო შეხიზნული ძია გაბოს სიკვდილის შემდეგ, კისისხევი რომ დასტოვა სამუდამოდ.

ბალიან ცუდს პირობებში ვნახე ის საცოდავი, მძიმე ავადმყოფი, მთლად დასიებული უძრავად იწვა და სევდიანად გამოიყურებოდა.

ჩემი ნახვა ძალიან ესიამოვნა და გამოთხოვების დროს ბევრი იტირა. ჰო და მინდოდა, ეს ფული ეხლა იმისათვის დამეტოვებინა, მაგრამ გვიან იყო...

გზაში სტუდენტები მხიარულობდნენ, ოხუნჯობდნენ და იქაურობას სიცილ-ხარხარით ავსებდნენ, მაგრამ მე არაფერი სიამოვნება და გასართობი არ მეკარებოდა და მთლად ვიყავი გარდასული მწარე ფიქრებში.

ამას ესეც დაემატა, თურმე ეს ექსკურსია მიდის პირდაპირ პეტერბურგში და მე მაშასადამე ვრჩები მოსკოვში სადგურზედ მარტოდ მარტო, გზის მაჩვენებელი არავინ მეყოლება და ამ უცხო ქვეყანაში უნდა საცოდავად ვიტორტლიალო.

მალე გამომეხმაურა ერთი ქალი გვარად "რუსო": "მე მოსკოვში მივდივარ. იქა მაქვს ოთახი. შეგიძლიანთ ჩემთან ჩამოხტეთ, ვიდრე ოთახს მონახავთო". ამან ცოტა არ იყოს დამამშვიდა. მივუახლოვდით მოსკოვს და ისეთ ცივადრიან დღეს, რომ საშინლად შემცივდა. დავტოვე მხურვალე მზეში გახვეული ჩემი ქეყანა ლამაზი და დოვლათიანი; აქ უკანასკნელ სადგურზედ ერთი ხანშიშესული კაცი, გაყინული ხელებით იღებს თავისი კალათიდან ვაშლებს და ათეულებად ჰყიდის, სხვა არაფერი.

მოვდივარ ამ ცივ ქვეყანაში რამოდენიმე წლით მშობლიურ კერას მოშორებული უმახლობლოდ, უთვისტომოდ და ამის გამო საშინელ გუნებაზედ მყოფს, როდესაც რუსომ მითხრა: "აბა ეხლა ავიყვანოთ ვანკა და თქვენი ბარგით წავიდეთო." კინალამ ვიტირე, იმ წუთებში მე აღარსად ვაპირებდი წასვლას, მინდოდა ერთ ადგილას დაერჩენილიყავი.

ამ წვიმაში მივადექით ერთ სახლს დახშულს და უსიცოცხლოს. ავედით ვიწრო კიბით მეორე სართულზედ, კარები გაგვიღო ერთმა ახალგაზრდა შავგვრემანმა ქალმა, რომელსაც რუსომ ჩემი თავი გააცნო, თვითონ კი მაშინათვე წავიდა, ცოტა არ იყოს, ჩემთვის ეს გაუგებარი იყო.

შევედით ერთ პატარა ოთახში, სადაც მეორე ახალგაზრდა ქალი ბარგს ალაგებდა, ჩქარობდა, ეშინოდა არ დაეგვიანა სადგურზედ პეტერბურგში წასასვლელად ისე, რომ იმასთან გამოლაპარაკებაც კი ვერ მოვასწარი.

ოთახში ორი საწოლი იდგა, შუაში მაგიდაზედ სამოვარი შიშინებდა, რომელიც რუსეთში დიდი მისწრებაა, როგორც წამსვლელს ისე მომსვლელს ის დიდ სამსახურს უწევს.

ამ შავგვრემანმა ქალმა, რომელიც უკრაინელი აღმოჩნდა, სახელად სვეტლანა, მაშინათვე ჩაი შემომთავაზა, თვითონაც მიიდგა ფინჯანი, გვერბედ მომიჯდა და დავიწყეთ ლაპარაკი, ვკითხე რუსოს ამბავი, აღმოჩნდა, რომ ის არის შესული კბილის საექიმო დარგზედ და ცხოვრობს ერთ ყაზახ ქალთან ერთად სხვა ბინაზედ.

რაც შეეხება ამ ოთახის მდგმურებს, ერთი ხომ უკვე წასულია, ეს მეორეც ამ დღეებში მიდის პეტერბურგში საექიმო დარგზედ შესასვლელად. ეხლა უცდის იქიდან პასუხს, მიღებულია, თუ არა.

სჩანს, ეს ოთახი მალე განთავისუფლდება და მე დამრჩება. ცოტა დავისვენე და სიმყუდროეში ვიგრძენი თავი; იმ სალამოს ამ უკრაინელმა ქალმა თავისი ქვეყნის სიმღერებით და ცეკვით გამართო, მაშინ მე გუნებაზედ არ ვიყავი, ჯერ ქართული ბოღმა გახსნილი არა მქონდა, თორემ ამ უკრაინელს არ ჩამოვრჩებოდი და ჩვენი ხალხის ლამაზ მარგალიტებს უხვად გადაუშლიდი.

იმ რამოდენიმე დღეში, რომელიც მე მასთან გავატარე, ისეთი მეგობრული განწყობილება დამყარდა ჩვენ შორის, რომ მხურვალე გამოთხოვების შემდეგ, მიწერ-მოწერაც დიდხანს გაგრძელდა ამ ეშხიან და სანდომიან არსებასთან, სამწუხაროდ იქაური ჰაეა ვერ

აიტანა და თავისი ახალგაზრდობა სანატორიაში დააბოლოვა, სიჭლექით გარდაიცვალა.

ვიდრე კიდევ ერთად ვიყავით, მასთან მოდიოდნენ სტუდენტები, მეც გავერიე იმათში და პირველი ჩემი სახლიდან გასვლა იყო იმათთან ერთად. გამეგო, მიღებული ვიყავი თუ არა ქალთა უმაღლეს სასწავლებელში,რომელიც მოთავსებული იყო მერზლიაკოვის შესახვევში.

იმ წელიწადს არ მიმიღეს, რადგან დიდი კონკურსი იყო. ჩემ ნიშნებს აკლდა რამოდენიმე წერტილი; ჩაბარებული უნდა მქონოდა სავაჟო გიმნაზიის პროგრამა, განსაკუთრებით განსხვავება იყო მათემატიკურ საგნებში, ან უნდა ჩაბარებული მქონოდა ლათინური ენა და სხვა.

იქ შემხვდა ერთი ახალგაზრდა ქალი, ისიც ჩემსავით მიღებულთა სიაში არ იყო მოთავსებული; როდესაც მითხრა, რომ საშუალო სასწავლებელი ოქროს medalით აქვს დამთავრებული, გარდა ამისა ჩაბარებული ფრანგული და ლათინური ენა, მაშასადამე წერტილების მხრივ ღირსეული კანდიდატი.

ჩემს გაოცებაზედ იმან მწარედ მითხრა: "არ დაიეწყოთ, რომ მე ებრაელი ვარო". თანაგრძნობით შევხედე ამ უსამართლოდ დასჯილ ახალგაზრდას.

მე გარდავწყვიტე დირექტორის ნახვა, მინდოდა მეთხოვნა შეღავათი, რადგან შორიდან ვიყავი მოსული.

რომ შევედი მის კაბინეთში, რაღაც იმედი მომეცა, რომ აქედან მე კარგ გუნებაზედ გამოვიდოდი, რადგან ძალიან სანდომიანი სახის მქონე ეს შუა ხნის კაცი დინჯად ისმენდა ჩემ თხოვნას, ისევე აუჩქარებლივ მითხრა: "ჯერ უნდა გაგეგოთ, მიღებული იყავით თუ არა, მხოლოდ ამის შემდეგ ამ შორიგზას უნდა შესდგომოდითო".

_რასაკვირველია, მართალი იყო მისი პასუხი, წამოველი იქიდან თავჩაღუნული და დაფიქრებული.

ჩემი თანამხლებლები მანუგეშებდნენ, "აი გავიგეთ, რომ დაარსდა კერძო კურსები ცნობილ პედაგოგ ალფეროვის მიერ და იქ შედითო". ამ სტუდენტების ცნობით, იქ იგივე პროფესორები არიან, რომელნიც ამ სახელმწიფო დაწესებულებაში და რომ იქ ჩაბარებული გამოცდები ჩამეთვლება, როდესაც აქ მოვინდომებდი შემოსვლას, მაშასადამე კონკურსისათვის წერტილების რიცხვი გამრავლდებოდა.

ჩემთვის ეს ცნობა კარგი და შესაფერისი იყო, მაგრამ მინდოდა კიდევ ზედმეტი ცნობები მიმეღო, ამიტომ ამ ოთახში სვეტლანას წასვლის შემდეგ, კიდევ რამოდენიმე დღე გავატარე.

სიმარტოვეს მისუმბუქებდა ამ უბნის სახელი, რომელიც იყო, "გრუზინი", თუმცა ჯერ არცერთი ქართველი არ მენახა.

ჩვენი წინაპრები, რომელნიც ჩამოდიოდნენ რუსეთის მეფეებთან დიპლომატიური მისიებით, ხშირად რჩებოდნენ ზოგი დროებით, ზოგი უფრო ხანგრძლივად და ალბად ეს უბანი ჰქონდათ

მიკუთვნებული ქართველებს; ამიტომ რუსებმა ამ უბანს უწოდეს სახელი "გრუზინი".

ერთ დღეს კი გარდავწყვიტე და გაეუდექი ამ ალფეროვის კურსების გზას, ძალიან შორს იყო ეს სასწავლებელი, კონკაში არ ჩაეჯექი, ფეხით ვიარე დიდხანს ვიდრე "პლიუშჩიხამდე" არ მივედი, ეს არის მოსკოვის განაპირა უბანი.

ალფეროვი ცნობილი პედაგოგი თავისი მეულლით ჰპატრონობდა და განაგებდა საშუალო სასწავლებელს თავის საკუთარ შენობაში მოთავსებულს, რომელიც იყო მთლიანად თეთრი.

განხორციელებული ჰქონდა სწავლის ახალი მეთოდები, მოწვეული ჰყავდა პედაგოგიური ნაღები და ამავე შენობაში გახსნილი ორწლიანი პედაგოგიური კურსები.

ამისათვის დათმობილი ჰქონდა დიდი, ნათელი დარბაზი, მორთული ტროპიკული მცენარეებით და ამავე დროს მყუდროდ მოწყობილი, ადამიანს თავი სასწავლებელში კი არ ეგონა, არამედ თავის საკუთარ ოჯახში, თავის არეში.

მიმიღო ძალიან კარგად, რომ გაიგო ჩემი ვინაობა, გამიყვანა შენობის დიდ ტერასაზედ და გამახედა, ვორაბიოვის გორაკებისაკენ

"რასაკვირველია, აქაური გორაკები, უფრო კი მაღლობები თქვენ ვერ გაგაოცებთ, მაგრამ სასიამოვნო იქნება, ხან და ხან რომ ამ სურათს დაინახავთო". კმაყოფილი წამოვედი იქიდან, ეს პედაგოგიც ძალიან მომეწონა.

მეორე დღეს უნდა გახსნილიყო ეს კურსები, ამიტომ ჩვენ ყველანი მოწვეულნი ვიყავით ჩაიზედ, აქვე ვეცნობოდით ჩვენ მომავალ პროფესორებს.

ეს ლამაზად მოწყობილი საზეიმო ნაშუადღევი, კარგად დამრჩა მეხსიერებაში: იდგა დიდი მაგიდა ზღვა ყვავილებით დატვირთული და მის გარშემო შეგროვილი დაახლოებით ოცდაათამდე ახალგაზრდა ქალი და მათი პროფესორები. სასიამოვნო საუბარი, სამელები არ იყო. თორემ ერთმანეთს კეთილ სურვილებს არ დავაკლებდით.

ეხლა ჩემი საზრუნავი იყო, აქ სადმე მეშოვნა ჩემი ჯიბისათვის შესაფერისი ოთახი. ბევრი ვიარე, ბევრი ვეძებე, მაგრამ ყველაფერი მეძვირებოდა. ბოლოს "პოლუექტოვის" შესახვევში მივადექი ერთ ფიცრულ სახლს 9-ს, სადაც განცხადება იყო გამოკრული, რომ ქირაედება ოთახი, მხოლოდ სთხოვენ სტუდენტ ქალებს, ნუ შეწუხდებიან და ზარს ნუ დარეკენ.

მე, ამისდა მიუხედავად, ზარი ჩამოვრეკე, კარები გამიღო მოსამსახურემ და მისი ქალბატონიც გამოჩნდა, პირდაპირ უარით მიმიღო, "ხომ სწერია განცხადებაში, ქალებს არ მივაქირაებთ, და თქვენ რად შემოხვედითო.".

დიასახლისი კარგ ოჯახის ქალს ჰგავდა, ლაპარაკზედ შევატყვე, რომ რუსი არ იყო: ამიხსნა, რომ მისი ქმარი პროფესორია. სახლში სიმშვიდე ესაჭიროება, ამ ქალების შემოყვანა იმიტომ არ

უნდა, რომ მათ ხშირად მოსდით სტუმრები, საშინლად ხმაურობენ და ამ პირობებში შეუძლებელია დამშვიდებული მუშაობაო..

მე საშინლად ვიყავი დაღლილი, დაუპატიჟებლად დავეშვი იქვე მდგომ სკამზედ და დაველაპარაკე ამ ქალს: "მე კავკასიიდან მოვდივარ მოსკოვში სასწავლებლად და არა დროს გასატარებლად; შესული ვარ აქვე მახლობლად ალფეროვის კურსებზედ, ამ ოთახის ძებნით დავიღალე, გთხოვთ, ცარიელს ნუ გამიშვებთო".

"კავკასიიდანა ხართ, ეს ძალიან საინტერესოა, მომწონხართ კიდეც, შეგიძლიანთ, დღესვე გადმოხვიდეთო.".

მართლაც იმავ დღესვე დავტოვე ჩემი "გრუზინი", იგი შევცვალე პლიუშჩიხათი და გადმოვედი პატარა ხის სახლში, სადაც ცხოვრობდა ეს პროფესორი კრუბერი, რომელიც იყო ცნობილ ანტროპოლოგ ანიუჩინის მარჯვენა ხელი. გარეგნობით ხეხერა, უფერული, მაგრამ შინაარსიანი სახის მქონე. მისი მეუღლე, მართლა აღმოჩნდა უცხოელი, ეს იყო ბალტიელი გერმანელი, განათლებული ქალი, კარგი მცოდნე ენებისა, კულტურული ადამიანი, გარეგნობით მიმზიდველი და სასიამოვნო.

უშვილონი იყვნენ, ცხოვრობდნენ ოთხოთახიან ბინაზედ, რომელიც გემოვნებით და მყუდროდ ჰქონდათ მოწყობილი, სამში თვითონ მოთავსებულიყვნენ და მეოთხეს აქირავებდნენ.

დიდი სიყვარული და ჰარმონია სუფევდა ამ ორ არსებათა შორის; ჩემი პატარა ოთახი რიგიანად მოწყობილი ძალიან მომეწონა და თავი კარგად ვიგრძენი. აი აქ გავატარე პირველი წელიწადი ამ მშვენიერ კრუბერების ოჯახთან. ჩემ მეხსიერებაში ღრმად ჩარჩენილი როგორც ისინი ისე ალფერვის კურსები და საერთოდ მთელი ჩემი თავგადასავალი იმ ხნის განმავლობაში.

დავიწყე სიარული კურსებზედ, სადაც ლექციების კითხვა სწარმოებდა სალამოს ოთხი საათის შემდეგ. დილაობით მივდიოდი რუმიანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკაში და საჭირო წიგნებს იქა ვკითხულობდი.

ეს ბიბლიოთეკა ჩემგან ძალიან შორს იყო, მაგრამ სხვანაირად ვერაფერს მოვახერხებდი და დილა ადრიანად მივქროდი, რომ დარბაზში ადგილი დროზედ დამეჭირა და ჩემ მიერ დაწყებული წიგნი სხვას არ აეღო.

ჩემს ოთახში სალამოობით დიდი სიჩუმე სუფევდა, ბუზიც რომ გაფრენილიყო, შესამჩნევი იქნებოდა.

ერთი თვის შემდეგ, სალამოთი ჩემმა დიასახლისმა კარები დამიკაკუნა, შემოვიდა ჩემთან, დამიჯდა და მეუბნება: "მე და ჩემი ქმარი გაოცებულები ვართ, რომ თქვენ ასე უცნაურად სცხოვრობთ. სულ მარტო ხართ, როგორ შეიძლება, ნუთუ არავინა არა გყავთ, მოიყვანოთ, რომ ცოტა გაერთოთო". შემომიტანა რაღაც გასართობი წიგნიც, რომ ცოტა მხიარულ გუნებაზედ მეგრძნო თავი.

ვერ მართლა, ქართველი არავინ მენახა და არც არავინ იცოდა ჩემი მისამართი, მერე კი ნელნელა მომწახეს, მაგრამ ძალიან

შორს ვიყავი, მეტადრე სიცივეებში ყველა ერიდებოდა ამ პლიუშჩიხას.

გავიგე მალე დიდი ღვთისწყრომა, რომელიც საქართველოს თავს დაატყდა - ილიას მკვლელობა; წერილით გამაგებინა თბილისიდან თამარა ფალავანდიშვილმა.

როგორ მწარედ განვიცადე ეს საშინელება, მეტადრე ამ ჩემ ქვეყანას მოწყვეტილმა; ამას კიდევ ის ემატებოდა, რომ ქართველი სტუდენტობა, ყველა ერთის გრძნობით არ იყო შეპყრობილი.

მოსკოვის ქართველ სტუდენტების მიერ გაგზავნილი სამგლოვიარო დეპეშა, ყველას სურვილს და განცდას არ გამოხატავდა, იყვნენ ისეთი პირმახინჯნიც, რომელნიც ილიას სულის მოსახსენებელ პანაშვიდსაც კი ბოიკოტით შეხვდნენ.

იმ დღეებში შემხვდა ერთი ქართველი ქალი ს. დემოკრატი: "სონა, შენი ვიყო, წაიდოდი პროფესორ ხახანაშვილთან და ერთად მოიტირებდით ილია ჭავჭავაძესაო; ისიც თურმე ძალიან არის შეწუხებული, ილია იყო თავადი, ქალალდის მოთამაშე, სხვა არაფერიო.".

ნეტა გამაგებინა, თუ ცოცხალია ეს ქალი, დიდი დოსტაქრის მეულლე[1] აგონდება თუ არა, თავისი ეს სამარცხვინო სიტყვები, ილიაზედ რომ წამოროშა. მოსკოვში მე მას თითქმის აღარ შევხვედრივარ, ამის შემდეგ მასთან ნაცნობობაც ზედმეტად მქონდა მიჩნეული.

ჩემ კურსებზედ არც ერთი ქართველი ქალი არ იყო... მე მიველტლე თბილისიდან ჩამოსულ ერთ რუსის ქალს, რომელსაც ვიცნობდი; ეს იყო გვარად ერნ. მისი ძმა მოსკოვის უნივერსიტეტში დატოვებული იყო ფილოსოფიის კათედრასთან; თავისი ცოლით ჩემს მახლობლად ცხოვრობდა, ეს მისი და დომნაც, ალფეროვის კურსებზედ შემოსული, ძმის ოჯახში იყო დაბინავებული.

ძალიან ქერა, ლამაზი თმების პატრონი, მე და ის ორი მოწინააღმდეგი ტიპი ყველას ყურადღებას ვიპყრობდით; ჩვენ გვეძახდნენ "ბელინკაია და ჩორნენკაია".

დიდი მდიდარი სალხი იყო ჩვენს გარშემო. მოდიოდნენ დიდი ეტლებით. გუვერნანტების თანხლებით. ზოგს ინგლისელი ქალი, ზოგს ფრანგისა და ამათში მე და დომნა თმებით თუ გამოვერკეოდით, თორემ სხვანაირად დაკარგულებად უნდა გვეგრძნო თავი.

იცოდნენ, რომ ქართველი ვარ, მაგრამ რას ნიშნავდა ეს მათთვის, არ ვიცი. ერთხელ შესვენებაზედ მოვიდა ერთი მათგანი და მეკითხება: "ჩვენ სანაძლეო გვაქვს, მე ვამბობ, რომ თქვენ მიიღეთ ინგლისური აღზრდა, ჩემი მეგობარი კი მარწმუნებს, რომ ფრანგული აღზრდა უფრო სჭარბობს თქვენში".

---

[1] მუხაძე.

ვუპასუხე, რომ ორივენი სცდებიან, არც ერთია მართალი და არც მეორე. მე ვარ ქართველი და ქართულ სტილზედ აღზრდილი და ამით გავათავე. საერთოდ მე ვიყავი იქაურობისათვის მეტის მეტად უცხო ხილი, ამიტომ ბევრი რამ გაუგებარი იყო; მიჭირებდნენ საქმეს, თქვენ თმებს იხვევთ თუ არა, თითქოს დახვეულიც არის, მაგრამ დალაქის ხელი არა სჩანს და რა ვიცი, რასა და რას არა მკითხავდნენ ეს უსაქმურნი, ნებიერნი.

სწავლით ბევრს არაფერს აკეთებდნენ, უფრო მაკვირაობით იყვნენ აქ თავმოყრილნი. რომ ეთქვათ: "ჩვენც ნახირ-ნახირაენ".

შესული ვიყავი ისტორიულ დარგზედ, ქალი, რომელიც გიმნაზიის სკამიდან მოყოლებული აგრონომიაზედ ვოცნებობდი.

ზაფხულობით ვაგროვებდი სხვა და სხვა თესლებს, მეზვრეებს საქმეს ვუჭირებდი ჩემი კითხვებით, თუ რამდენჯერ უნდა ვენახს დაბარვა, ან გათოხნა. საუფლისწულო მამულში ს. წინანდალში საგანგებოდ მივდიოდი, რომ პლანტაჟის საქმე კარგად შემესწავლა და სხვა.

ნამყენების გაკეთებას ხომ მივდევდი. ეცდიდი კიდეც, მაგრამ ყველაფერმა ამან ფუჭად ჩაიარა, რადგან ჩემი ძმა ირაკლი ამ დარგის შესასწავლად საფრანგეთში წავიდა. მაშასადამე ჩვენი მამულის მომვლელი მომაკლდა და ის უნდა ყოფილიყო, გარდა ამისა, ევროპაზედ ვერც კი ვიოცნებებდი. ეს შორეულად მეჩვენებოდა, რუსეთში კი ქალებისათვის მაშინ აგრონომიული დარგი სრულებით არ იყო.

მაშინ ვიფიქრე ისტორიულ დარგზედ შესვლა, რადგან ეს საგანიც მიყვარდა, ჩვენი სოფლის ახლომახლო ეკლესიები სულ დათვალიერებული მქონდა, ლეგენდები და მათში გახვეული წარსულის სინამდვილეც მახალისებდა, ამიტომ ისტორიულ დარგზედ ჩემი მუშაობა არ იყო ნაძალადევი, პირიქით სასიამოვნო და ნაყოფიერი.

იმ წელიწადს დავიწყე მუშაობა სემინარიებში და ორი რეფერატიც მოვამზადე, ერთი იყო რუსეთის მე 18 საუკუნიდან:

"უმაღლესი საზოგადოება პეტრე დიდის სასახლეში". ამის დასამუშავებელ მასალად მიცემული იყო. "კამერიუნკერ ბერგოლცის, ჰერცოგ გოლშტინიის დღიური".

როდესაც ერთი თვის შემდეგ პროფესორმა ბოგოსლოვსკიმ ეს, ყველას მიერ დამუშავებული თემა მოიტანა, სთქვა, რომ ჩემი თემა უნდა იყოს მოსმენილი, კინაღამ გული შემიწუხდა, ისე შემეშინდა.

გავედი, მაგრამ ვაი იმ გასვლას; ფეხები მიკანკალებდა, ხმა ისე მქონდა მიკნაულებული, რომ იძულებული იყო პროფესორს ეთქვა: "ცოტა მაღლა წაიკითხეთ თქვენი რეფერატიო".

ერთი სიტყვით მომიწონა.

მეორე თემა იყო პედაგოგიური ფსიქოლოგიიდან: "წარმოდგენა და მისი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში". იმაჟინაცია. ეს ფრანგული სიტყვა უფრო მოუხდებოდა, მგონია.

საქართველოში დაბრუნებული ყველა ეს ჩემი ნაცოდვილარი რეფერატები, ვინ იცის, სადა ყრია, ან იქნება ალარც ყრია სადმე.

პროფესორ ვინოგრადოვმა ეს თემაც წამაკითხა მთელი აუდიტორიის დასწრებით. იანვრის შემდეგ რამოდენიმე ხანი ალარ წავედი კურსებზედ, რადგან გამოაცხადეს, სწავლის ფული უნდა შეეტანა ყველას დანიშნულ რიცხვამდე. ათი თუმანი იყო შემოსატანი ამ კერძო სასწავლებელში.

ალფეროვს შეუნიშნავს, რომ მე ალარ დავდიოდი, მაშინ დომნა ერნისათვის უთხოვნია, გადმოეცა ჩემთვის, რომ უსათუოდ მივსულიყავი.

დარცხვენილი ვიყექი, როდესაც შემოვიდა ალფეროვი, მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ პროფესორების კრებაზედ გადაწყდა თქვენ შესახებ, რომ სრულიად განთავისუფლებული ხართ სწავლის ფულის გადახდისაგან, ვიდრე ამ სასწავლებელში იქნებითო.

ჩემს გვერდით ერთმა ქალმა ამას ყური მოჰკრა, გაიცა და მითხრა: "შე ძალიან მდიდარი შეგონეთ და თურმე სწავლის ფულის შემოტანა გიჭირთ, მაგისთანა ფეხსაცმელი, როგორც თქვენია, აქ არავის აცვიაო".

მართლა თბილისიდან ფეხზედ გაწყობილი წმინდა ტყავის ფეხსაცმელი მეცვა, ამ დალოცვილ მოსკოვის არისტოკრატს კი ბეწვის პალტოში გამოხვეულს, ოლროგელა, მაგარი ტყავის ფეხსაცმელები ეცვა როგორც ამ ქალს იხე იქ დანარჩენებსაც, რაც იხე აუშნოებდა მათ სიარულს და მიხვრამოხვრას.

მოვიდა დიდი ჩრდილოეთის ზამთარი. საშინელი ყინვები დაიჭირა, თოლი ხომ ოქტომბრიდან გაუთავებლად მოდიოდა და თითქმის მარტის გასვლამდე არ შეწერებულა. ერთი სიტყვით ჩემთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი.

ფეხსაცმელები კი ლამაზები მეცვა, მაგრამ ზედ ზაფხულის ახდილი კალოშები იქ ვერაფერს გააწყობდა; ჩემი მოხდენილი შავი მაუდის პალტო ხავერდის ახდილ საყელოთი ბევრ იმედებს არ იძლეოდა, რომ ამ საშინელ სიცივეებს მე ცოცხალი გადავურჩებოდი.

ერთ დღეს შემოვიდა ჩემთან ოთახში კრუბერის ცოლი, ადელ ფეოდოროვნა, კლავზედ გადაკიდებული თბილი პალტოთი, შეწუხებული სახით მითხრა: "იცით, თქვენ რომ დილით ბიბლიოთეკაში მისდიხართ, მე ავად ვხდები იმ ფიქრით, რომ სადმე ქუჩაში არ გაიყინოთ, მინდა გთხოვოთ, აიღოთ ჩემი შუბა, ვითომ თქვენი და ეარ, ამაზედ უარს ნუ მეტყვითო".

—აქ რომ მოვდიოდი, ვიცოდი, რომ ჩრდილოეთი იყო და ეციებოდა, მინდა გავიტანო, ვცდი, ვნახოთ, იქნება გაეიმარჯვოს; აი ასეთი იყო ჩემი პასუხი და რასაკვირველია, უარი ვუთხარი და დიდის მადლობით გავაცილე ეს კეთილშობილი ადამიანი.

საშინლად შეწუხდა, ალარაფერი მითხრა და თაეისი სათბუნებელი უკან გაიტანა.

დედაჩემსა ვწერდი, რომ დიდი ზამთარია, რომ ძალიან სუმბუქად ვარ ჩაცმული, ვშიშობ, ავად არ გავხდე, მაგრამ მისი პასუხიდან არა სჩანდა, რომ მომხედამდა. ძალიან იყო ჩემზედ გულაყრილი, მე ვიყავი მისთვის ცოცხლად დამარხული; ერთ წერილში მომაგონა ჩემი არამკითხაობა, თათრებს რომ ვურჩიე დედასთვის არაფერი მიეცათ, მართლა იმ დღიდან მას არაფერი მიუღია არც სახნავ-სათესიდან, არც საბალახე და არც ხაზინიდან, სადაც წელიწადში ერთხელ ამ ხიზნებს შეჰქონდათ დედას სახელზედ საცხოვრებელ ადგილის იჯარა, ყველაფერი ეს მოხდა ჩემი ნებართვით, მე კი დიდი კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ დედამ ეს არ მაპატია.

იმ სანებში არც ჩვენი მეეულე ისმაილა მეყოლებოდა კმაყოფილი და დალხენილი. მაშ ჩემს თხოვნაზედ, ფული მოეშველებინა, დედა ჩემი ყოველთვის უარით მიპასუხებდა; ვიყავი მძიმე მდგომარეობაში; ეს საშინელი ყინვები, მე ჩაუცმელი, ჩემი ფული, ის ათთუმნიანიც ნელ-ნელა ილეოდა, თუმცა ძალიან ცოტასა ვხარჯავდი; ოთახში თხუთმეტ მანეთს ვიხდიდი, საჭმელზედაც ძალიან ცოტას თუ გავიმეტებდი. უფრო ხშირად სახლში ვიკეთებდი ამ "გერკულესს", რომლის არსებობა მე მხოლოდ მოსკოვში გავიგე; ჩაის დალეედი და იშვიათად თუ წაეიდოდი სტუდენტების სადილოში, თუმცა იაფი იყო, ალარ მახსოვს, მგონი აბაზად შემეძლო მესადილნა.

ვიფიქრე, რამე სამუშაო მეშოვნა, რომ მთლად უფულოდ არ დავრჩენილიყავი. ჩემი გარემოება კარგად იცოდა დომნა ერნმა, მისი ძმა აქტიური წევრი იყო "რელიგიურ-ფილოსოფიურ" საზოგადოებისა, რომლის თავმჯდომარე იყო ევგენი თუ სერგეი ტრუბეცკოი, რამოდენიმეჯერ მათ კონფერენციასაც დავესწარი. აი ამ საზოგადოების დაუალებით, უნდა მეშოვნა ახალი წევრები, რომელნიც გამოიწერდნენ იმათ ბროშურებს-ამაში მე ჩემს გასამრჯელოს მივიღებდი. მომცეს მისამართები და იმ სიციეში დავდიოდი ხან ფეხით, ხან კონკით. აღნიშნული მისამართით მივიდოდი, ყველა არა, მაგრამ ბევრი იყო თანახმა ეს გამოცემები შეეძინა.

როგორც წარმომადგენელი ამ "რელიგიურ-ფილოსოფიურ" საზოგადოებისა იმ ზამთარს მისამართების სიით პეტერბურგშიაც წავედი.

იქ ერთ ადგილას კი ძალიან შემეშინდა, წავაწყდი ერთ გალოშილ მთერალ ღვდელს, მეტისმეტად ხორცშესხმულს ღვინისაგან, უფრო კი არაყისაგან ცხვირგადაჭარხლებულს; ძლივს, ბარბაცით შემიძლია ოთახში, რომლის კედლები ასეე იყო ბრჭყვიალა ხატებით. იქაურობა სიბნელესა და საკმეელში იყო გახვეული, ისეთი კორიანტელი იდგა, რომ ნათლად ველარაფერს ვარჩევდი.

მისი ხელის მოწერა და ჩემი იქიდან გამოვარდნა ერთი იყო, მგონი ალარც კი გამოველთხოვე.

ჩამოვხტი ჩემ ბიძაშვილ ელენასთან, რომელიც შესულიყო საექიმო დარგზედ; დამიპატიჟა თავისი ახლად შეძენილი მეგობრები და ჩემი თავიც გააცნო; მთხოვა, იმ სტუმრებისათვის საქარველოს

ცხოვრებიდან რომელიმე სურათი სიტყვიერად გადმეშალნა; რასაკვირველია, თვითონაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ ჩვენებური სურათების აღწერაში.

მისი სტუმრები დიდი კმაყოფილნი იყვნენ იმ საღამოს დროს გატარებით, მათთვის საქართველო, მისი ლამაზი ბუნება და ზნე ჩვეულება სრულიად უცნობი იყო..

სასაცილო ამბავი კი დამემართა იმ საღამოს. ქუჩაში ერთი კაცი მსხალსა ჰყიდდა, მე კარგი მეჩვენა, ვიფიქრე ელენას წვეულებისათვის ურიგო არ იქნებოდა, ვიყიდე ერთი ათული და რომ მივიტანე, გაუშინჯეთ მე და ელენამ მისი გემო, აღმოჩნდა, შიგნით მთლად დამპალი და გამწარებული. მაშინათვე უკან წაველე და ეუსაყვედურე, რომ ასეთი საშინელება მომყიდა; არხეინად მომისმინა, დინჯად და მოფიქრებულად მიპასუხა: "თვალები ხომ გქონდა, რატომ კარგად არ გასინჯე, რას ჰყიდულობდიო." ხელცარიელი წამოვედი. ის ნავაჭრი იქვე დავუყარე; ალბად კიდევ იშოვნიდა მეორე სულელს, რომელსაც ამ გაყინულ მსხალს კიდევ უფრო ძვირად მისცემდა.

მოსკოვში რომ ჩავედი, დამიხვდა ერთი სტუდენტის ბარათი. მოსული იყო მოსკოვის ქართულ კოლონიის სახელით. მთხოვდნენ, მათ მიერ გამართულ საღამოზედ მონაწილეობა მიმეღო და ლეკური მეთამაშნა.

მეორე დღეს კი თვითონ გამომეცხადა. ეს იყო ჭაჭულია არჯევანიძე. ჩემი პირველი ნაცნობობა, რასაკვირველია, უარი ვეთხარი. რა მელეკურებოდა, ამ უცხო ქვეყანაში, მარტოდ მარტო, საზრუნავი მქონდა საცხოვრებელი და ეხლა ქართული საღამო და ლეკური!

ამ ხნის განმავლობაში რუსომ მომწახა და გამაცნო ის ყაზახის ქალი, რომელთანაც ერთად ჰქონდა აღებული ოთახი.

ეს ყაზახის ქალი, ანა საველიევა იყო პიატიგორსკიდან, ჩრდილო კავკასიიდან, ისე რომ მეზობლებად ვიგრძენით ორიეემ ჩვენი თავი.

მოსკოვში ჩამოსული იყო ორი წლით ჩემზედ ადრე და შესული ქალთა უმაღლეს სასწავლებლის ისტორიულ დარგზედ; ის მართლა სწავლობდა და უბრალო დროს გატარებით არ იყო გართული, ამის გარდა ხელოვნებაც იზიდავდა: თეატრი, მუსიკა, მხატვრობა და სხვა. ამიტომ უყუარდა გამოფენებზედ სიარული, კონცერტებზედ, ამის შესაფერისი თუ რაიმე მოხსენება იქნებოდა, ანა საველიევა უსათუოდ წაეიდოდა, არ დაკლდებოდა ამგვარ შემთხვევას. შუა ტანის მქონე, ქერათმიანი, ცივი ლურჯი თვალებით ეს ყაზახის ქალი მრისხანებით გამოიყურებოდა, ის მე ცხენზედ მჯდომი უფრო მესახებოდა, ვიდრე მოსკოვში ფეხით მოსიარულე, დამშვიდებული ახალგაზრდა.

ცხოვრებაში საშინელი გაუბედავი, მორცხვი და მორიდებული. მისი მეგობარი, ეალია რუსო, ის პირიქით გამბედავიც იყო და ადვილადაც ახერხებდა ადამიანთან მისვლას და დახლოვებას.

მისი გარეგნობა მეხსიერებიდან მთლად გამოსული მაქვს, რადგან მალე დასტოვა მოსკოვი.

ჰო და, ორივემ დაიწყეს ჩემთან სიარული, ისინიც მეპატიჟებოდნენ და სამოვრის შიშინში ჩვენი მეგობრული საუბარი იშვიათი არ იყო.

ამათ გარდა ალფეროვის კურსებიდან შემეჩვია ერთი ბერძენი ქალი. კატია სიმოკოპული, ყირიმიდან იყო ამ კურსებზედ ცოტა დაგვიანებით შემოსული. ჩემ მახლობლად ცხოვრობდა და ხშირად მოდიოდა. განვითარებული, კარგად მომზადებული, იმან მალე მიიქცია პროფესორების ყურადღება.

მიმართულებით სოციალისტი იყო, ეროვნული გრძნობები ზედმეტ ბარგად მიაჩნდა, მაგრამ ბოლო დროს რაღაც ცვლილებებს აშკარად ვამჩნევდი; ვასწავლე ქართული სიმღერები, კარგი ხმა ჰქონდა, ისე რომ ბინიდან ზოგჯერ ქართული დუეტი ისმოდა, ამნაირად ჩემი ოთახი გამხიარულდა და სიცოცხლის იერი მიეცა, ჩემი დიასახლისიც ცოტა დამშვიდდა.

ერთხელ მითხრა, მრცხვენიან, რომ ისე ვარ გარუსებული, არამცთუ ბერძნული სიმღერები, ბერძნული ენაც კი არ ვიცი.

ვასწავლე ქართული სიტყვები, კმაყოფილი იყო, მთხოვდა კიდევ მეტი სიტყვების ცოდნას, უნდოდა მაგალითად ქართული ლანძღვა ესწავლა, როგორც ამ რუსეთში მოსაფხანი იარაღი; იმის იმედით, რომ ვერაუინ გაიგებდა.

ჩემ ოთახში შემოსასვლელად უნდა კრუბერების სამზარეულოზედ გამოეელო, სადაც კარგი საჭმელების სუნი ტრიალებდა, ყნოსვა გაღიზიანებული ერთხელ შემოვიდა ამ ახალ ნასწავლი სიტყვებით: "მამაძალები, თვითონ სჭამენ, ჩვენ კი არაფერს გვაძლევენო", დიდის რიხით იყო ნათქვამი ეს ყველაფერი. კრუბერები კი გაიგებდნენ ამ უცხო ენას, მაგრამ მისი მნიშვნელობა მათთვის სრულიად გაუგებარი დარჩებოდა, ამ კატიამ კი გული იჯერა, გული მოიფხანა.

მეორე მოსვლაზედ კი გამომიცხადა, სამზარეულოში მაგიდაზედ დაინახე შემწვარი გარეული ქათამი, იცოდეთ შეკალ და ამ ქათამს ერთ ბარკალს მაინც ავაცლიო, მართლა დააპირა გასვლა და სამზარეულოსაკენ გაემართა, მე ვამშვიდებდი და ვეხვეწებოდი, არ შეეერცხვინე, როგორც იყო, შემოეყვანე.

მე და ის საღამოზედ კურსებიდან რომ გამოვიდოდით, ეჩერდებოდით მაღაზიებთან და გამოტანილ საჭაროს გულდასმით ვათვალიერებდით.

მის დალეულ პატარა ტანს აუშნოებდა დიდი კუზი. ეს იყო შედეგი პატარაობისას რაღაც ფათერაკისა, რომელმაც ეს დაამახინჯა. ამისდა მიუხედავად ის ტანისამოსის ვიტრინაში ლამაზ კაბაზედ შეჩერდებოდა და თან დაუმატებდა ძალიან სერიოზულად:

"ეს ჩემ ფიგურას მოუხდებაო."

ამას ჰყავდა საქმრო, ინჟინერის დარგზედ შესული, რომელსაც ეს მართლა უყვარდა, მაგრამ კატია ჯერჯერობით არა

თხოვდებოდა, უნდოდა თავისუფალი ყოფილიყო. ამიტომ ცოტა იმ ყმაწვილს სტანჯავდა კიდეც.

მოიყვანა ერთხელ, გაამცნო, ძალიან კარგი შესახედავი და მართლა შეყვარებული სჩანდა; ეს გარემოება ამ ქალს გამბედაობას აძლევდა, რომ თავის ტანზედ ასე სერიოზულად ლაპარაკობდა და ლამაზ კაბებზედ ოცნებობდა.

საბოლოოდ გათხოვდა და მწერდა ყირიმიდან, რომ შესცდა, რადგან სიყვარულის განთიადი უფრო ძვირფასია, ვიდრე მისი ბინდიო.

ამ სეირნობის დროს კაბების გარდა ვერერდებოდით ნამცხვრების ვიტრინასთანაც, შევათვალიერებდით ლამაზად გამომცხვარ დიდ ტორტს, და თუ მეორე დღეს დაღონებული შემომიელბდა კარებს, სევდიანი ხმით შემომჩივლებდა, "იმ შეჭვნებულებს ის ტორტი გაუყიდნიათო.".

მაგრამ დიდი ზეიმი ჰქონდა ერთხელ, როდესაც სახლიდან მოუვიდა დიდი ყუთი გამხმარი თევზით და ზეთის ხილით. მაშინ ის ეელარ ეიცანი, თავი ამირანად ჰქონდა მიჩნეული და მის მოყმედ კი მე.

ვიყაეით ამ თევზის ფუქვნაში და ერთმანეთის თავაზიანობაში. ნეტა გამაგებინა ცოცხალია თუ არა, ან იქნება ისიც ჩემსაეით ემიგრანტობს, ვინ იცის; მისი მისამართი კი კარგადა მაქვს დახსომებული: სევასტოპოლი, ნოვოროსიისკაია 29.

ბოლოს მეც შევძელი თავის გამოჩენა და გამასპინძლება, მხოლოდ თევზით კი არა, არამედ ფილიპოვის საკანდიტროდან ეეკბერთელა ყუთი ტკბილეულობით, რომ მაგიდაზედ დავდგი და ჯერ ჩემი დიასახლისი შემოვიწვიე, შემდეგ კი ჩემ დამშეულებს დაეუძახე: საიდან გაჩნდა ეს ძვირფასი სასუსნავი? მოსკოეში ცხოვრობდა ლელა ჭავჭავაძის ასული. გათხოვილი მდიდარ სუხოდოლსკიზედ, რომელიც იყო რიაზინის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. ცხოვრობდნენ ესენი მოსკოვის ერთერთ საუკეთესო ქუჩაზედ "პოვორსკაია". ეს ოჯახი მოსკოვში ცნობილი იყო; პირველ რიგებში ტრიალებდა, როგორც ქონებით ისე კულტურული მოთხოვნილებით; მსახიობების გათამამებით და დახმარებით სუხოდოლსკიმ ბევრი მეგობარი გაიჩინა ხელოვნების წრეებში.

ლელა მე პატარაობითეე მიცნობდა. მის ძმა იურას ცოლად ელენე როსტომაშვილი ჰყავდა, რომლის ოჯახშიაც მე ეცხოვრობდი, თელავში რომ ვსწავლობდი.

სწორედ იმ ზამთარს ეს იურა და ელენე ჩამოეიდნენ ლელასთან მოსკოეში დროს გასატარებლად.

ჩემი მოსკოეში ყოფნა იცოდა ელენემ და მომწერა, მოდი აქა ეარ და მნახეო. მე მაშინათეე წაეედი, მისელისას ლელამ უპრძანა მოსამსახურეს, ეს კურსისტკა ალბად მშიერია და მოუტანეთ და რამე კარგი საჭმელი მიართვითო. მე ეს ძალიან მეწყინა და უარი ესთქვი მის მასპინძლობაზედ.

ელენემ მაჩვენა მთელი სალონები, ზოგი სპარსული, ზოგი ჩინური და ვინ იცის, ფული რას არ შეაქმნის თვალისა და სულის საზრდოთ, ბევრი რამ საინტერესო, ცნობილ მხატვრების სურათები, მაგალითად ბევრი ჰქონდა თანამედროვე მხატვრობა და სხვა.

ძალიან გაუხარდათ ყველას ჩემი ნახვა; დიდხანს არ დავრჩი. წამოსვლისას ლაქიამ რომ პალტო დამიჭირა, ლელამ შენიშნა მომცა: "რა არის, სონა, როგორ შეგიძლიან ასე სუმბუქად სიარული. მართალია, მარტია, მაგრამ ასე ადრე რად გაიხადეთ შუბაო". მე სიცილით ვუპასუხე, რომ ჯერ არც კი ჩამიცვია ეს თქვენი შუბა და წამოვედი .რასაკვირველია, იურამ გამომაცილა, გააჩერებინა ფილიპოვის მაღაზიასთან ეს ჩვენი ლიხაჩი, რომელშიაც ვისხედით, იყიდა დიდი ყუთი ტკბილეულობით და სახლამდე მომაცილა.

ეს ის ყუთი იყო, რომ მედგა მაგიდაზედ და ვინც კი ჩემთან იმ ხანებში შემოვიდოდა, ყველას ვაგემე ეს მშვენიერი ფილიპოვის ნაწარმოების ნიმუში. ამ ჩემი უცნაური ხასიათით, ლელას თხოვნა, ხშირად მეცო მათთან მე არ შევასრულე; იქნება კარგი ყოფილიყო ეს ჩემთვის, არ ვიცი, მაგრამ სულ სხვა წრე იყო, რომელიც არ მომწონდა, ისე კი ანგარიშით მე არაფერს გავაკეთებდი.

ქართველებიდან იმ წელიწადს ბევრი არავინ მისახავს, მოდიოდა ერთ დროს ვანო დემურია, რომლის დედამ ის ჩემი იმედით გამოგზავნა მოსკოვში, მაგრამ მალე დავკარგე მისი კვალი; აღმოჩნდა, ცოლი შეირთო, ბავშვიც ჰყოლია, მაგრამ ამას თავის დედას არა სწერდა და მეც მემალებოდა.

სხვებზედ უფრო ხშირად შალვა ნათაძე შემოდიოდა, რადგან იქ ახლო-მახლო რაღაც სამუშაო ჰქონდა, თუ ვიღაცის ლექციებზედ დადიოდა, ეს კარგად არ მახსოვს.

ეს ყმაწვილი რომ შემოვიდოდა გატენილი თავით, სულ დასცლიდა და ადამიანს მოანდომებდა იმ წიგნის წაკითხვას, რომლითაც ის იმ ჟამად იყო გატაცებული.

საქართველოში იმის წყალობით იყო, რომ მთელი იბსენის ნაწარმოებები წაიკითხე, რომ შეხვედრის დროს პატარა რეპლიკა მაინც მიმეცა. ეხლა აქ შევხვდი, ფილოსოფიით იყო გატაცებული და ამ საგანზედ იწყებდა ლაპარაკს, მეც მიეჩანჩალებდი, ერთხელ მითხრა: "თუ განაგრძეთ ამ დარგში მუშაობა, საქართველოში არ იქნება მეორე ქალი ასე მომზადებული ფილოსოფიაშიო.". ვითომ მართლა ასე ფიქრობდა თუ გამახალისა, არ ვიცი.

რადგან ფიცრული სახლი იყო, ჩვენი ლაპარაკი მკაფიოდ ისმოდა თურმე სასადილო ოთახში, სადაც სადილსა სჭამდნენ კრუბერები და თითქმის ათ საათამდე იქა რჩებოდნენ; ეს იყო ამ პროფესორისათვის დიდი დასვენება, დილიდან გახული გიმნაზიებში გეოგრაფიას ასწავლიდა, საღამოს ექვს საათზედ ბრუნდებოდა და ათი საათის შემდეგ კი თავის ოთახში ღამის სამ-ოთხ საათამდის თავისთვის მუშაობდა.

ჰო და მისი ცოლი მეუბნებოდა, გვიყვარს, როდესაც თქვენთან მოდის ეს სტუდენტი, რა საინტერესო ლაპარაკი გაქვთ,

ჩემი ქმარი ამბობს, "ნეტა ბევრ სტუდენტ ქალის ოთახში არის ამისთანა საუბარი, მეც კი სიამოვნებით ვუსმენ და ბევრს ჩემთვის ახალს ვეცნობიო".

ის მთლიანად ბუნების მეტყველების დარგში იყო გადასული და სხვა საგნები განზედ რჩებოდა.

შალვას იმ ჟამად ცოლი პყავდა, რომელიც გაგიჟებით უყვარდა და მისგან ერთი ბიჭი, დიდი ნიჭიერი ანგარიშში, არ ვიცი, რა გამოვიდა. თვითონ შალვა სტამბოლში გარდაიცვალა, კბილის ამოგლეჯის შემდეგ სისხლი მოეწამლა თურმე. ასე დაიღუპა ნიჭიერი, დიდი ცნობის მოყვარე ადამიანი.

გონებაგახსნილი, კარგი სიტყვის პატრონი ბოლო დროს ანტიეროვნულ მიმართულებას მიჰყვებოდა, აქ კი მე და ის ველარ ვრიგდებოდით.

ეს ქართული გიმნაზიის ყოფილი მოწაფე, დიდი პატრიოტი მთლად გადაგვარებულად მეჩვენებოდა, როდესაც მიმტკიცებდა, რომ ქართული ენა მისი შვილისათვის საჭირო არ არის, რომ ცოტანი ვართ, ჩვენ ენას მცხეთის იქით ვერავინ გაიგებს და სხვა.

ეფიქრობ, ცოლის გაელენა უნდა ყოფილიყო, რადგან ის აქტიური მომუშავე იყო პოლიტიკაში, რუსის ებრაელი ქალი იმ დროს სხვანაირად არც იფიქრებდა.

ეხლა, ჩემო თეო, ჩემი ამბავი იკითხე. ოთახში კი კარგად ვგრძნობდი თავს და ფილოსოფიურ საკითხებზედაც შემეძლო შალვასთან მესაუბრა, მაგრამ გარეთ რა მოგახსენოთ.

ჩემს და საუბედუროდ, ის ზამთარი იყო მეტისმეტად მკაცრი, მთელი ერთი თვის განმავლობაში ოცდა ხუთი გრადუსი, ამას არაფერი დაპკლებია, სკოლები დახურული, ბავშვებს გარეთ აღარ უშვებდნენ. მე კი ჩემი სუმბუქი ტანისამოსით მიხდებოდა სიარული ბიბლიოთეკაში, შემდეგ კურსებზედ. მხოლოდ საღამოთი ძლივს ამოვითქვამდი სულს ჩემ პატარა, თბილ ოთახში.

თეონი, ხომ იცი ნათქვამია: "გაჭირება მიჩვენე, მე გაკცევას გასწავლიო", რა სწავლა მინდოდა, ნელის ნაბიჯით რომ მეელო, ხომ ქუჩაში გაეიყინებოდი, ამიტომ დაერბოდი და მერე როგორ, მთელი ზამთარი სირბილში გავატარე და იქნება ეს იყო მიზეზი, რომ იმ ხნის განმავლობაში სურდოც კი არ შემხვედრია.

მეცვა ტანზედ, რაც კი ჩამეტეოდა, მაგრამ სულ ქვეშიდან ეიხვევდი გაზეთის ფურცლებს. იმის ზევიდან ზაფხულის ტანისამოსს, ეს ყველაფერი მხდიდა ფარშით გატენილს ისე, რომ სირბილის დროს ზოგჯერ გულიც კი მეხუთებოდა ამ უარგისი, აკონკილი ბარგის გამო..

იმ ზამთარს თბილისიდან ჩამოვიდა კატო რუსიშვილი, რომელიც ცდილობდა, თავისი დისწული, გიორგი მახვილაძე, ციხეში დაჭერილი, როგორც რევოლუციონერი, როგორმე ენახა.

მთელი ერთი თვე დარჩა მოსკოვში და ტუსაღი ვერა ნახა, როგორც დეიდას, იმას ამის ნებართვა არ მისცეს. შეწუხებუ-

ლი ბრუნდებოდა უკან და თავის დარდს მიზიარებდა, "იქნება, როგორმე მოახერხო, სონა, ჩემი გიორგის ნახვაო", თან ტიროდა.

კატო გაუთხოვარი იყო.. მისი და ადრე გარდაიცვალა და ეს გიორგი მთლად ობოლი მამითაც და დედითაც კატოს ხელში გაიზარდა და დავაჟკაცდა.

ამ გიორგის მე არ ვიცნობდი, გავიგე, რომ ნებართვის მიღება შესაძლებელი იქნება, თუ ამას ითხოვს ტუსაღის საცოლე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამაზედ უარი არა სთქვა პროკურორმა.

ერთ დღეს ჩემი "შუბით" ვიკვექი პროკურორის დიდ მიაღებ დარბაზში და ჩემ ჯერს ველოდებოდი, ბევრი ხალხი იყო.

დიდხანს გვალოდინებდნენ, ამ დროს შემოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი. კეკლუცად შაცმული, მოხდენილი, როდესაც მისი მოსვლა მაშინათვე ამცნეს პროკურორს, სწრაფად გაიღო აღსავლის კარები და ახალგაზრდა პროკურორის მოღიმარე სახე შეეგება ამ ქალს: "მობრძანდით, ძალუა" და თითქმის ხელშემოხვეული შეჰყავდა თავის კაბინეთში, რომ მე სმამაღლა ვთქვი: "ნუთუ ძალუაობაა საჭირო, რომ ადამიანი დროზედ მიიღონ და ამოდენა ხანი არ აცდევინონ". ეტყობა, ამას ყური მოჰკრა პროკურორომა, რომ ძალიან მალე გააღო კარები და მითხრა: "К Вашим услугам" თქვენს განკარგულებაში ვარო. შეველი და ვთხოვე ნებართვა მოეცა, გიორგი მაზვილაძესთან ციხეში მეცლო, როდესაც მკითხა: მე ვინა ვარ ამ ტუსაღისა, დავარწმუნე, რომ ვარ მისი საცოლე და ჩემს მეტი პატრონი არავინა ჰყავს.

დიდის თანაგრძნობით მიყურებდა, დამიწერა და გამომატანა ეს ჩემთვის საჭირო ქაღალდი.

"ტაგანკა", საგუბერნიო ციხე, ჩემგან ძალიან შორს იყო ისე, რომ სირბილით ვერაფერს გაეხდებოდი, კარგი მანძილი კონკით უნდა მეცლო.

კვირაობით იყო მიღება, პირველად რომ მივედი, ციხის დიდი კარები დახშრა ერთმა უშველებელმა არსებამ, რომელიც უფრო პირუტყვსა ჰგავდა ვიდრე ადამიანს.

ეს იყო ჯალათი, საშინელი სახის მქონე, მხეცი, მარტო მისი ნახვა ადამიანს შეაჟრჟოლებდა. ამხედ დამხედა, ქაღალდი გამომართვა, წაიკითხა, თითქოს არ მენდობოდა, მაგრამ იმ ხელმოწერილს კი უფიქრდებოდა; შემიყვანა პატარა ოთახში და მკითხა, ხომ არაფერი გაქვთ მოტანილიო, რომ დარწმუნდა ჩემს "პატიოსნებაში", "დაიცადეთო", მითხრა.

მე კი გული ალაგას არა მქონდა, იმ შეჩვენებულს ჩემს ჯიბეში იარაღის ძებნა რომ მოენდომებინა, ხომ დავიღუპებოდი, ჩემი სათბუნებელი რომ შრიალს დაიწყებდა, ფოთოლ-ფოთოლად რომ გადმოიშლებოდა "რუსკოე სლოვოს" თუ რომელიმე სხვა გაზეთის ფურცლები, იმას ხომ ისე აებნეოდა გონება, რომ ეს ეგონებოდა არალეგარული ლიტერატურა საგანგებოდ ციხეში მიტანილი.

ჩემი მისვლა გიორგი მახვილაძესათვის მოულოდნელი იყო, ამიტომ როდესაც მისი გვარი დაიძახეს, იფიქრა თურმე შესცდათო,

ჩემ წინ ბადეს უკან იდგა მეორე ტუსაღი. ისიც ქართველი, ფორაქაშვილი, რამოდენიმე სიტყვის შემდეგ მალე გამეცალა, თუმცა ისიც ბედნიერი იყო. ქართველი ადამიანის ნახვით, მეორე განყოფილებაში გამოჩნდა მახვილაძე, საშინლად ღელავდა.

სიხარულით ველარ ახერხებდა ლაპარაკს, ბოლოს დაიწყო "მრცხვენიან, რომ ქართული არ ვიცი, წერა კითხვას ვახერხებ, თუ მომწვდით ქართულ წიგნებს, დიდი მადლობელი ვიქნებიო.". საწყალი აღარ ათავებდა მადლობას, რომ მიველი.

მშვენიერი შავი თვალები ამშვენებდა მის მკრთალ და უპაერობით დამჭკნარ სახეს .

წამოველი ცუდ გუნებაზედ, როგორ მეშველა ამ საცოდავი არსებისათვის, რომლის ცოლი თბილისის ციხეში მეგულებოდა, ისიც პოლიტიკური პატიმარი.

ეხლა ჩემი საქმე იყო, ამ ორ ადამიანს შორის კავშირი გამება. დავიწყე სიარული ყოველ კვირა დღეს, მიტანით კი აბა რას მიეუტანდი, მაგრამ ჩემი მისვლა იმისათვის დიდი ბედნიერება იყო და მეც კმაყოფილი ვიყავი, რომ ასეთ პატარა სამსახურს მაინც ვუწევდი.

ჩვენ შორის ორი ბადე იყო გაბმული, შუაში თოფაკიდებული ჯარისკაცი მიდიმოდიოდა, რადგან კარგი მანძილი ჰქონდა გასავლელი, ზურგს რომ შემოგვიშვერდა, გიორგი თავის გამზადებულ წერილს თბილისში გასაგზავნად ძალიან თხელ ქაღალდზედ დაწერილს დავორგოლავებულს და უფრო სხვილ ქაღალდში შეხვეულს ბადეს ჩურჩუტანაში შემოჰყოფდა; ჯერ პირველ ბადეს, მერე მეორეს რომ გამოსცდებოდა ეს გრძელი საგანი, მე დავიჭერდი ერთ ბოლოს, გამოვათრევდი და ვიდრე ჩვენი ყარაული მოტრიალდებოდა, ის გულში მქონდა ჩაყუდებული გულისპირზედ სიგრძეზედ. ამ შემთხვევაში კისერზედ შარფი მიწევდა დიდ სამსახურს.

სახლში ამ წერილს მოვაცლიდი ზედმეტ კანს, ჩავდებდი კონვერტში და უგზავნიდი თბილისში გიორგის სახლში, ოლგის ქუჩა №51. მგონი ასე იყო.

სამწუხაროდ მალე მეწყებოდა გამოცდები და მთელი დღის დაკარგვა ჩემთვის შეუძლებელი ხდებოდა.

რამოდენიმე კვირა, ორი თუ სამი, არ მახსოვს, ველარ მივედი, თურმე ძალიან დატანჯულა, რომ მივედი მისაყვედურა "ნეტა სულ არ მოსულიყავით, მთელი დღეები ამ კვირადღის მოლოდინში ვარ, თქვენ კი აღარა სჩანხართო".

მივუტანე ილიას ზოგიერთი ნაწარმოები, ეს წიგნები კანცელარიაში გაცხრილეს, საბოლოოდ გადასცეს, მაგრამ გიორგის უპაერობა ჰკლავდა და ამ მდგომარეობაში გულს ვერაფერს დაუდებდა.

"ნეტა მეღირსოს, ერთი ქუჩაში გავიარო და პაერი ვისუნთქოო".

მეტყოდა ხოლმე ნახვისას; სამი წელიწადი ჰქონდა გარდწყვეტილი და ყველაფერი მისთვის ამაო იყო. ამ ციხეში მკაცრი ზომები ბევრისათვის აუტანელი ხდებოდა.

გარედან მას ეხმარებოდა ერთი მისი მეგობარი, სტუდენტი, სომეხი, ძალიან კარგი ყმაწვილი, მას ნახვის ნებართვას არ აძლევდნენ, მოვიდა და მთხოვა, აღდგომას გიორგისათვის კულიჩი და წითელი კვერცხები წამეღო.

მიველი იმასთან ამის წასაღებად, ვნახე მისი ოთახი, რა სიღარიბეში იყო ის საწყალი და კიდევ ახერხებდა გიორგისათვის მიეხედნა. იქიდან რომ დავბრუნდი, ჩემი ოთახი კრუბერებთან სასაზლედ მეჩვენა.

მეც, თუ რამეს მოვკრავდი ხელს, მიმქონდა, აბა რა უნდა წამეღო ციხემოსაკიდებელი, როდესაც ჩემთან ნაზუქის სუნი ვერავის დაახრჩობდა.

ქართველი მას არავინ იცნობდა, თორემ იქნება ციხეშიაც არ ამოსულოდა სული.

საზაფხულოდ, როდესაც საქართველოში მიველმგზავრებოდი, კანცელარიის საშუალებით გადმომცა თავის ჯვრის წერის ბეჭედი: "ჩემს ცოლს მეტეხში გადაუგზავნეთო". ეტყობა, გრძნობდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, მართლაც მალე გავიგე მისი უბედურება უკვე თბილისში.

თბილისში წასვლაზედ კი ელაპარაკობ, მაგრამ ეს არც ისე ადვილად მოხერხდა; ოთახის ქირა ორი თვის განმავლობაში არა მქონდა გადახდილი. თუმცა კრუბერებმა დამიკლეს ოთახის ფასი და თხუთმეტი მანეთიდან ჩამომიყვანეს თუმანზედ, უნდა მიმეცა ორი თუმანი.

გამოცდები ჩაბარებული ოთხ საგანში, ყველა ჩემი ნაცნობები თუ მეგობრები გასულნი მოსკოვიდან, მე მარტოკა ერჩებოდი,

მალე ეს ჩემი მასპინძლებიც სტოვებდნენ ამ თავიანთ ბინას და საგარაკოდ მიდიოდნენ, ჩემი გულისათვის ჰქონდათ გადადებული სახლის დატოვება.

მთელი ერთი თვე ვიყავი უფულოდ და არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი, რომ ოთახი გამენთავისუფლებინა.

საველიევის ქალი, რომელიც საზაფხულოდ ყირიმში მიდიოდა, მოვიდა გამოსათხოვნელად, გადმომცა ერთერთ სასადილოს აბონიმენტი: "მე ტყუილად ავიღე, აღარ დამჭირდება და თქვენ ვიდრე აქ იქნებით, გამოიყენეთო".

სასადილოში კი მივდიოდი, მაგრამ იქიდან დაბრუნებული აღარ ვიცოდი, როგორ შევსულიყავი ჩემს ოთახში, რომ ჩემი ფეხის ხმა შემაწუხებელი არ ყოფილიყო, არ მოპგონებოდათ ჩემ სახლის პატრონებს, რომ ბინის ქირა არა მაქვს გადახდილი და მე კი ასე არხეინად ვსეირნობ.

ერთ დღეს კრუბერის ცოლმა შემომიტანა რაღაც ხელთაწერი და მთხოვა, მისი გადაწერა, უფრო კი მისი დასაბეჭდად დამზადება.

ეს იყო მისი ქმრის მეცნიერული ნაშრომი; რამოდენიმე დღე ემუშაობდი ამაზედ და დიდი კმაყოფილი ვიყავი, რომ შეეძელი ამ ხალხისათვის რაიმე სამსახური გამეწია.

ერთ დღეს გვიან წაველი სახადილოში, ბოლო დროს ვიგვიანებდი განგებ, სხვა და სხვა მოსაზრებით, პო და იმდენად გვიან, რომ სახადილო დაკეტილი დამხვდა. ეს უკანასკნელი იყო პუშკინის ბაღის დასწყისში, მისი სახელი, თუ არ ვცდები, "სახადილო ტროიცკაია".

აბა რა გუნებაზედ წამოვიდოდი, ჩემო თეო, ეს აღარ მახსოვს, მაგრამ ჩაი რომ მოვიმზადე. დავხედე ჩემ "კალაჩს", რომელიც დილის ჩაის გადაურჩა, რადგან იმ ეპოქაში დღეში მხოლოდ ორ კალაჩს ვყიდულობდი, ზედაპირი კი ისევ შნოიანი და დაბრაწული ჰქონდა, მაგრამ ქვემო ნაწილი დილითვე გამოფლეთილი და გამოშიგნული, ამით წაველი იოლად მეორე დღის მოლოდინში.

მართლაც სრულ თორმეტ საათზედ სახადილოში ელსახოცი მუხლებზედ მქონდა დაბინაებული.

ყველაფერი კი ახი იყო ჩემზედ, ქართული საზოგადოება, რომელიც არსებობდა მოსკოვში ძალიან შემძლე იყო და როდესაც სტუდენტებს წინადადება მისცეს სტიპენდიების შესახებ, მეც შემომთავაზეს, მაგრამ მე, გლახა ამპარტავანმა. რასაკვირველია, უარი მიეწერე.

როდესაც ჩემი ნამუშავარი ჩავაბარე ადელ ფეოდოროვნას, შემომიტანა გახარჯულო. არ ვიცი კი რამდენი, უარი ვუთხრი. არც კი დავხედე კონვერტს, რომელშიაც ფული იყო; ცოტა არ იყოს ნაწყენი დარჩა და მითხრა: "რა მდგომარეობაში აყენებთ ჩემ ქმარს, ეს ფული უნდა მიეცა ყველასათვის, ვინც ამას გააკეთებდა, თქვენ ამაზედ უარს ამბობთ და რათა, ამიხსენითო". ამაზედ ვუპასუხე, ისე ვარ ამათგან დაჯალებული, რომ ასეთი მცირე სამსახური არაფერია.

ახე მიდიოდა ჩემი დღეები. მწარე და უმწარესი ჩემს ცხოვრებაში, არც საცხოვრებელი და არც გზის ფული, რომ როგორმე სახლამდის მიმელწია და დედაჩემისათვის პატარა საყვედური მინც მეთქვა...

მაისი გასული იყო და ჩემ იქ ყოფნას ბოლო არ უჩანდა.

მაშინ შემომთავაზა ჩემმა დიასახლისმა ფული, იქნება, დეპეშა მისცეთ სახლში, რომ თქვენ უსახლკაროდ რჩებით, რადგან ჩვენ მივდივართ და ბინას ვკეტამთო.

მართლაც ძალიან მკაცრი დეპეშა მიუვიდა დედაჩემს: "ქუჩაში ვარ". მესამე დღეს, თუ მეოთხეს, ეზოში გავიგე ფოსტალიონის ხმა, რომელიც ჩემს გვარს ამბობდა და მეეზოეს პკითხავდა ბინის ნომერს.

მომივიდა ხუთი თუმანი, მაშინათვე ჩემი ვალი მოვიშორე, არ გაგიკვირდეს, ჩემო თეონი, მაგრამ დედას საზაფხულოდ ეუყიდე მშვენიერი საკაბე, ჩავიბარგე და გამოვეთხოვე ამ ჩემ კარგ სახლის პატრონებს.

გაოცებული იყო ეს ქალი. ამ საჩუქარს რომ დაპხედა: "არ მესმის, როგორ შეგიძლიანთ, კიდევ დედის სიამოვნებაზედ იფიქროთ, იმ დედის, რომელმაც ასე გაგტანჯათ, ამ ზამთარს სასწაულით გადაურჩით სიკვდილს და ეხლა ფეშქაშებით მისდიხართო".

წამოსვლის დღეს შემოვიდა, შემომიტანა დიდი ყუთი კამფეტებით, ერთი კალათა მარწყვით სავსე და მითხრა: "აი ერთი წელიწადია, რაც ჩვენთანა სცხოვრობთ. ძალიან გვეინდოდა, თქვენი დაახლოება, რამდენჯერ გთხოვეთ, სადილად შემოსულიყავით, შემოგთავაზეთ ფრანგული ენის გაკვეთილები იმ სტუდენტთან ერთად, რომელიც დიდ იმედებს იძლევა და ჩემი ქმარი ფიქრობს კათედრასთან მის დატოვებას.

ყველაფერზედ უარი მიიღეთ, თქვენ არ მოინდომეთ, რად მოგვერიდეთ, არ მესმის. გამოთხიებებისას მინდა გითხრათ ჩემი აზრი, იმედია, არ მიწყენთ, თქვენ არა ხართ ოჯახისათვის გაჩენილი, მაგრამ გისურვებთ, მაინც ვინმე შეგიყვარდეთ, აფსუსია, უსიყვარულოდ გაათავოთო".

გადამეხვია, მაკოცა და გზა დამილოცა, მისი ქმარიც ღელაედა, როდესაც მეთხოვებოდა, დიდი მადლობა ვუთხარი ორივეს და წამოვედი, მაგრამ ამ მეცნიერ კრუბერის ნათქვამი: "რომ მომავალში დიდი საშიშროება მოელის საქართველოს, რადგან მტკვრისა და რიონის ველებს შიგნიდან დიდი სიცარიელე ახლავსო". ეს აზრი მწარედ მჭონდა ჩარჩენილი და ეხლაც ხშირად მიელვებს, მით უმეტეს, ჩვენ დროში ამ დედამიწას რომ ასე აწვალებენ ატომიური აფეთქებებით.

ეხლა მინდა გითხრა, ჩემო თეო, რატომ არ შევდიოდი სადილ ვახშმად კრუბერებთან, იმათ ძალიან კარგად იცოდნენ ჩემი სამზარეულოს საქმიანობა, ამიტომ მერჩივნა იმათი საზოგადოება სადილის შემდეგ, როდესაც სალონში გადიოდნენ მასპინძლები თავიანთი სტუმრებით, მხოლოდ ესეც ხდებოდა ძალიან იშვიათად.

მაგალითად ერთ საღამოს გავიცანი იქ ერთი ფრანგი, გვარი არ მახსოვს, თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულს, დიდი თაყვანისმცემელი ბოდლერისა; მისი აზრით, "გახრწნილების კუნძულზედ რომ, ერთი ლამაზი ყვავილი ამოვიდეს, იქ დამყარდება სილამაზეც და უმაღლესი მორალიცაო".

ისა სთვლიდა ამ ქვეყნად სილამაზეს, როგორც ერთად ერთ, ნამდვილ ღირებულებად, დანარჩენი არარაობააო.

ამაზედ ბევრი ვილაპარაკეთ და საბოლოოდ ყველა თავის აზრზედ დარჩა.

მეორედ კიდევ, დამახსოვდა შეხვედრა კრუბერების სალონში, ერთ განათლებულ კაცთან, ხელობით ის იყო ვექილი.

ჩემი ვინაობა რომ გაიგო, მკითხა: "თქვენ საქართველოში რასა სჭამთ, დღეში რამდენჯერ ლოცულობთ, ღვინო ხომ თქვენი რჯულის მიხედვით აკრძალული გექნებათო".

თუ პირველი ფილოსოფოსი ვერაფერში დავაჯერე, რადგან ჩემზედ უფროსიც იყო და უფრო განათლებულიც, ამ მეორეს ისე შევუტიე, რომ ბოდიშიც მოვახდინე.

"როგორ, საქართველო რუსეთის ფარგლებშია შესული, ჩვენდა უნებურად და თქვენ განათლებულმა რუსმა არც კი იცით, თუ ვინ არიან ქართველები. ურეთ მაჰმადიანებში და ისიც კი არ იცით, რომ ქრისტიანობა თქვენზედ ადრე გვაქვს მიღებული. მაშინ როდესაც ქართველ ადამიანს სახარება გაზეპირებული ჰქონდა, თქვენმა წინაპრებმა მისი არსებობა არც კი იცოდნენ".

ერთი სიტყვით მთელი საღამო ჩემმა აღელვებულმა ლაპარაკმა აიკლო მათი სალონი.

სულგანაბულები მიგდებდნენ ყურს, ბოლოს მითხრა - დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ასეთი შეურაცყოფა მიეყენე თქვენ ეროვნულ თავმოყვარეობას და მართლაც ჩვენ უნდა ვიცოდეთ ისტორია იმ ერებისა, რომელნიც შედიან რუსეთის იმპერიაში, მე ისე როგორც ჩვენ სკოლებს ამაში დიდი დანაშაული გვაქვსო.

რაც შეეხება იმ სტუდენტს, ბორისს, რომელზედაც კრუბერის ცოლი მელაპარაკებოდა, იმიტომ არ მოვინდომე მასთან ერთად ფრანგულ ენის გაკვეთილებზედ დასწრება, რადგან მისგან გული მქონდა გაისიებული, ბიბლიოთეკაში თითქმის ყოველ დღე წინ მეჯდა, მერე მელოდებოდა, მაცილებდა სახლამდის და ზედმეტად კი მასთან შეხვედრას ვერიდებოდი. მართლა კი ძალიან მშრომელი და მცოდნე ყმაწვილი იყო; ზამთრის განმავლობაში აღებულ თემას დაამუშავებდა, შემდეგ ამ შრომას სამეცნიერო კრებულში მოათავსებდა და აღებულ თანხით ზაფხულობით საზღვარგარეთ მოგზაურობდა.

იმ ზაფხულს იტალიაში მიემგზავრებოდა, მოვიდა კრუბერებთან გამოსათხოვნებლად და რასაკვირველია, მეც დამიკაკუნა კარები, გამომეთხოვა, "ძალიანა გთხოვთ, მითხარით, რა ჩამოგიტანოთ იტალიიდანაო." და როდესაც ჩემგან ამაზედ პასუხი ვერ მიიღო, "მაშ გონდოლს ჩამოგიტანთ გულის ქინძისთავადაო". მე. ამაზედ კი უფრო მკაფიოდ ვუპასუხე, რომ ეს სრულებით საჭირო არ არის, საერთოდ გავაგებინე, რომ საჩუქრები არ მიყვარს.

ძლივს მოვიშორე თავიდან, მეტის-მეტად მეწვენებოდა მისი თაეის დაჭერა. დიდი გამბედაეი იყო ეს ბორისი.

ჩემი მაშინდელი ზნეხასიათი, ჩემო თეო, ასეთი იყო, თუნდაც ყოველმხრივ მოსაწონი ახალგაზრდა, თუ თავის გრძნობებს გამაგებინებდა, მას შევიძაგებდი და როგორ? როგორც თოფის ტყეიას ისე გავურბოდი.

ამის მიზეზი ბევრი რამ იყო, ნელ ნელა გიამბობ, ხომ იცი, შენ არაფერს დაგიმალავ.

თავიდანვე დედამ ადრე დამიწყო ლაპარაკი გათხოვებაზედ, ე.ი. ჩემ დალუპვაზედ, ასე მესმოდა მაშინ ეს გათხოვება.

როდესაც წამოვიზარდე და დაქალდი, ჩემ გულს შევატყე რაღაც ცვლილებები, აშკარა იყო, რომ მახეში ვიყავი გაბმული და

ნამდვილი გრძნობის მატარებელი, მხოლოდ მის გამოაშკარავებას ვერიდებოდი იმდენად, რომ მისმა ობიექტმა არც კი იცოდა.

იმან შეირთო ჩემი ბიძაშვილი ანეტა და მაშინათვე საზღვარგარეთ წამოვიდნენ ახლად ჯვარ დაწერილები.

ქორწილის დღეს სოსო დავრიშაშვილმა მკითხა: "ერთი მითხარით, სონა, რად გეჭირათ ჩემთან თავი ასე ცივად თითქოს ჩემთან შეხვედრასაც კი ერიდებოდითო".

აი უცნაურობა! რომ თუმცა ცივად ვეჩვენებოდი იმას, მაგრამ ეს იყო მხოლოდ გარეგნულად, თორემ სინამდვილეში მის მიმართ გრძნობა ვატარე თითქმის ათი წელიწადი.

იმ ხნის განმავლობაში ყველას სიყვარული იყო თუ იოლი გატაცება ჩემს მიმართ, მე მხოლოდ მალიზიანებდა და უსიამოვნოსა მხდიდა.

გაუგებარი ვიყავი მოსკოვში ყველასათვის; ფიქრობდნენ, რომ ციური ადამიანი ვარ, ამიტომ არავის არაფრად ვაგდებ და ყველას ხელსა ვკრავ.

ამგვარ ანალიზის შემდეგ ჩემ წრეში ზოგიერთმა იფიქრა, რომ "სონა ძალიან აქებს შალვა ნათაძეს და ალბად ის თუ უყვარს და იმას მეგობრობსო", მეტადრე გაიგეს ისიც, რომ შალვა ცოლშვილიანია და მაინც დადის ჩემთან.

ამაზედ იყვნენ გაჩერებულნი ეს უსაქმური გამომძიებელნი. შეხვედრის დროს სხვათა შორის მეკითხებოდნენ მის ამბებს და თან თვალებში მიყურებდნენ, რომ საიდუმლოება იქ მაინც ამოეკითხნათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, მე დამშვიდებულად ეუამბობდი ყველას, თუ რა ქება მიიღო შალვამ ამა თუ იმ პროფესიისაგან გამოცდების დროს.

ჩვენ სტუდენტებს ეს ჩემი გულის ამბები კი დაწერილებით უნდოდათ სცოდნოდათ, მხოლოდ ჩემი ცხოვრების პირობები იმ წლის განმავლობაში არავინ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი?

ქართველ ადამიანს დაკვირვება აკლია, ამისი ნიჭი არა გვაქვს, თორემ თუ ყველამ არა, ზოგიერთმა ხომ მნახა ამ ცივ ზამთარში საზაფხულოდ გამოწყობილი რომ დავდიოდი, ან ჩემთან მოსულნი ვერა ჰხედავდნენ ბევრ რამეს, რაც მათ თვალებს აუხილავდა?

არა, ეს მათ სიბეცეს ააშკარავებს.

მართლა და ეს ჩემი პირველი წელიწადი მოსკოვში გატარებული იყო ჩემი ხასიათის დიდი გამოცდა, დაჭერით კი დავიჭირე, მაგრამ შემდეგში ძალიან ენანობდი.

იმ დამცირებას, რომელსაც მე ყოველთვის ვერიდებოდი, არ ამცდა. ალფეროვმა რომ სწავლის ფულისაგან გამანთავისუფლა; როგორც მაგალითად კრუბერები ჰხედავდნენ, როგორ ვიკვებებოდი, ან როგორ მეცვა იმ ზამთარს, კურსებზედ ხომ ხშირად მესმოდა პალტოს რომ გავიხდიდი მოსამსახურენი ერთმანეთს გადაჰხედავდნენ და წაილაპარაკებდნენ: "ეს პალტო თეეზის ბეწვზედ არის დაგებულიო".

რომელი ერთი შემთხვევა უნდა მოთვალოს ადამიანმა, რომ ნამდვილი სურათი დაინახოს, ვისაც ესა სურს, მაშინდელი ჩემი ცხოვრებისა.

გამხდარი და ხმამიკვნებული ჩავედი თბილისში, დედაჩემი იქ დამხვდა, ოთხას თუმნიანი ჯიბით.

კარგი თანხა ჰქონდა აღებული ვარდისუბნის ტყიდან, ხაზინასთან საჩივარი მოეგო. ამ ტყის ჩაბარება და მისი დახურდავება ერთი იყო, სამას-სამოცი დესეტინა, თითქმის სულ საგარაკო ადგილები ოთხას თუმნად გაეყიდნა, ეს იყო მუქთად გადაგდება ამ ძვირფასი მამულისა.

გიმნაზიიდან ხშირად წავსულვარ ვექილ ათაბეკოვთან დედას დავალებით, იმის გასაგებად, თუ რა პირი უჩანს იმ გაუთავებელ ჩივილს, რომელსაც აწარმოებდნენ მგალობლიშვილები ხაზინის წინააღმდეგ; რადგან, როგორც იცი, ჩემო თეო, დედა ჩემი ბებოს მხრიე მგალობლიშვილების მამულების მერვედ მონაწილედ ითვლებოდა, ამიტომ კარგი წილი უნდა მიელო..

"ამ სამი სოფლის კეზნას" კარგი ქონება ჰქონდა: ჰაპიდან დუშეთის მაზრაში სოფელ ახატანში მიწები, მხოლოდ ალარ ვიცი რამდენი დესეტინა, ეს ტუსიშვილების მხრიე. მამიდან ახმეტაში დიდი ზვარი, იქვე სახნავ-სათესი მიწები და კარგი წისქვილი, რომელიც ალაზანს დაჰყურებდა, ამიტომ მებადურენი გადასახადს დედას აძლევდნენ, როდესაც ბადეს გადაისერიდნენ ალაზანში თევზის დასაჭერად.

ბებოსაგან კი ახატელი თათრებით დასახლებული, სულ კი ახზეა ეს სამივე სოფელი: ახატანი, ახმეტა და ახატელი.

ახატანი მალე გაყიდა მამაჩემმა, რადგან შორს იყო და მისი მოვლა უძნელდებოდა, ძვირფასი ადგილი კი ყოფილა ეს ახატანი, დედას მამულში მიწა ქაფთებოდა და საპნის მაგიერობას უწევდა ქალებს თმების ბანაში.

ეს ვარდის უბნის ტყე ზედმეტი ღა იყო, ან ვინ უპატრონებდა, ამიტომ ადვილად იყო მოშორებული.

გლახა ჭრიაშვილიევით კი გავაჭრელე, შვილო, მთხოვ, ყველაფერი გითხრა და მეც მესტვირესავით გიამბობ ყველაფერს დაწერილებით, კარგია, თუ არ მოიწყენ და ბოლომდის მათხოვებ მაგ ჩემ საყვარელ, ლამაზ ყურებს.

მაშ, როგორც იყო გავეტიე მოსკოვიდან და ჩავედი თბილისში. ჩემ ნახვაზედ დედაჩემი საშინლად შეწუხდა ასე ჩამომხმარი, უჭმელობით დასუსტებული რომ მნახა. წამიყვანა სოფელში და აღარ იცოდა, რა საჭმელი მოეტანა სუფრაზედ რომ მე მადა გამხსნოდა, გადაჩეული ვიყავი ჭამას, ერთ ნაჭერ ქათმის ხორცს თუ ავიღებდი, ეს იყო და ეს.

ჩემი მიტანილი საკაბე დამიწუნა, აბა რისთვის მიყიდე, მე მაგისთანა მხიარულს ვერ ჩავიცვამო და ტყუილად დაგიხარჯავს ჩემთვის ფულიო.

მგონი გუნებაში იტანჯებოდა კიდეც, რომ მე მაინც მის მიმართ სიყვარული გამოვამჟღავნე.

ნელ-ნელა დავისვენე, დავიწყე კარგი კვება და ორ თვეში სულმთლად აღვადგინე ჩემი ენერგია.

მოსკოვში წასვლის შესახებ ვერიდებოდი ლაპარაკს, მაგრამ გუნებაში კი გარდაწყვეტილი მქონდა, რომ წავიდოდი და განვაგრძობდი სწავლას.

იქ წასაღებად ვიმზადებდი სხვა და სხვა ხილის მურაბებს, ვაწყობდი ყუთში და არავინა მკითხავდა, სად მიმქონდა ეს ყუთი სავსე პატარ-პატარა ქილებით.

მარიამობის შუა რიცხვებში წავედი თბილისში იმ იმედით, რომ საზოგადოება "კახეთს" დედას ფული ემართა ღვინოების საფასური; მივედი ამ საზოგადოების თავმჯდომარე საშა ვახვახიშვილთან სარდაფში და ვთხოვე მოეცა ჩემთვის, რაც გვერგებოდა.

იმან უარი მითხრა, რომ ფული გატანილია, გოგირდი და შაბიამანიც დროზედ გაგზავნილია, ისე რომ "თქვენ აღარაფერი გერგებათ შარშანდელი მოსავლიდანა"ო.

დავრჩი თბილისში ამ ჩემი მურაბებით სასოწარკვეთილი. "არა უშავს რა, სონა, დარჩი ამ ზამთარს აქ და მერე ვნახოთო", ამას მეუბნებოდა ჩემი ბიძაშვილი თამარა, სკოლის გამგე და თამარა ფალავანდიშვილი, რომელიც იმ დროიდან გახდა ჩემი ნამდვილი მეგობარი.

ჩემი გუნებაგაწყობილება ჩემს სახეზედა სჩანდა, გამიყვანდნენ სასეირნოდ, რომ ცოტა გაერთოს, არ იდარდოსო, მაგრამ არაფერი მეკარებოდა და სულ ტირილში ვიყავი.

ერთ დღეს მივიღე ქართული გიმნაზიის დირექტორი, ალექსანდრე მდივანის ბარათი, მთხოვდა მასთან გიმნაზიაში მისვლას.

დანიშნულ დღეს რომ მივედი, შემომთავაზა ქართული ენის გაკვეთილები უმცროს განყოფილებაში. მგონი ეს იყო მეორე განყოფილება. გიმნაზიას სჭირდებოდა ერთი წლით ქართული ენის მასწავლებელი, მე მისაღები ვიყავი და სასურველიც, რადგან თუ ვივარგებდი, გიმნაზია არაფერს წააგებდა და თუ მთლად შეუფერებელი, ერთი წლით აყვანილს მაღლობით გზას დამილოცავდნენ.

"გავიგე, რომ მოსკოვში ვეღარ მისდიხართ და აი გაძლევთ წინადადებას ერთი წელიწადი ჩვენს გიმნაზიაში იმუშაოთ"ო.

მე ამაზედ ვუთხარი, რომ მოვიფიქრებ და პასუხს ერთ კვირაში მივცემდი; ერთი მკითხე, ჩემო თეო, ვითომ არ შემეძლო, მაშინათვე დადებითად მეპასუხნა, მაგრამ რიღაცის იმედი კიდევ აწვალებდა ჩემ ტვინს და ვფიქრობდი ერთ კვირაში მოვახერხებდი რუსეთისაკენ გამგზავრებას, ესეც ჩემი უცნაურობა!

ერთი კვირის შემდეგ თავჩაღუნული მივდიოდი გიმნაზიისაკენ, რომ მდივანისათვის გარდაწყვეტილი პასუხი მიმეცა.

1908 წ: ჩემი მასწავლებლობა ქართულ გიმნაზიაში

როგორც იცი, დავემორჩილე ჩემ ბედს და დავიწყე მუშაობა, მაგრამ ძალიან ცუდს გუნებაზედ კი ვიყავი.

პირველ გაკვეთილის მიცემის დროს საშინლად ვღელავდი, მეგონა, რომ იმათ ჩემზედ მეტი იცოდნენ და ეშინობდი ისეთი კითხვა არ მოეცათ, რაც ჩემთვის უცნობი იქნებოდა და პასუხი გამიძნელდებოდა.

ამ ჩემ კლასში მშვენიერი ბავშვები დამიხვდნენ დაახლოებით 8-9 წლისანი. გავიდა დრო, ნელ-ნელა ვეჩვეოდი ამ საქმიანობას და ბოლოს სიამოვნებითაც დავდიოდი გაკვეთილებზედ, კლასის დამრიგებელიც ვიყავი და ძალიან დაახლოებული როგორც თვითონ ბაშვებთან ისე მათ მშობლებთანაც.

ყველა მოწაფის ბინა ნანახი მქონდა, რომ მცოდნოდა, ჩემი მოწაფე რა პირობებში ცხოვრობს, აქვს თუ არა რაიმე დაბრკოლება, გაკვეთილები კარგად მოამზადოს და სხვა.

ოჯახებში სიამოვნებით მიხვდებოდნენ და არავის არ ეუცხოვებოდა ჩემი დარბაზობა. ამნაირად შესაფერისი მასალა მიგროვდებოდა, რომ გიმნაზიის ადმინისტრაციისათვის მიმეწოდებინა, ვის უჭირს, ან ვინ უფრო ღირსია სწავლის ფულისაგან განთავისუფლებისა.

ერთ დღეს კანცელარიიდან მომთხოვეს მოწაფეთა მშობლების ვინაობა, თუ ვინ არის მისი მამა, რა ხელობას აკეთებს, ამისი სია წარმედგინა.

დავიწყე ამ სიის შედგენა სათითაოდ ეკითხავდი მოწაფეებს "ვინ არის მამაშენი, რას აკეთებს" და სხვა. ზოგმა მიპასუხა, მამა ჩემი მასწავლებელიაო, ზოგმა თამამად მითხრა, მამაჩემი ვექილიაო, ზოგმა რკინიგზის მოსამსახურეაო და სხვა.

ყველანი ადგილად მიპასუხებდნენ, მე ეწერდი და ამნაირად ვათავებდი ჩემ ანკეტას.

ჯერი მიდგა ერთ ბუთხუზა ბიჭზედ, სიცივისაგან ლოყებ აჭარხლებული და ხელებ წითლად დახეთქილი დაიძრა ადგილიდან. მძიმედ მოუახლოვდა ჩემს მაგიდას და გაჩერდა, თითქოს რაღაც საიდუმლოება ჩემთვის უნდა გაეცდო.

"გიგა, მამა შენი ვინ არის, რას აკეთებს?" ვკითხე და გაოცებულმა შევხედე, რატომ ადგილიდან არ მიპასუხა. გიგამ ხმა ჩაიწმინდა, ჩაახველა და რიხიანად მითხრა: "მამა ჩემი გუთნი დედაა, გუთნი დედაო".

მოწაფეები შეტოკდნენ და ის არის სიცილსაც აპირებდნენ, მაგრამ ჩემ სახეზედ რომ სიამოვნება და კმაყოფილება დაინახეს, გაჩერდნენ, ალბად იფიქრეს, რომ გუთნის დედობა უბრალო თანამდებობა არ არის, თორემ მასწავლებელი გაიცინებდაო. პირიქით მოუწონა კიდეც ამ ბიჭს ეს ამბავიო.

მე მაშინ ბავშვებს ავუხსენი ვინ არის ეს გუთნის დედა, და ილიას ლექსიდან ზოგიერთი ადგილიც ზეპირადა ვსთქვი. მერე ვკითხე ამ ბიჭს, იცის თუ არა "გუთნური", მაშინ თამამად წამოდგა და მითხრა: "ოჰ, მამა ჩემი კარგ "გუთნურს" ამბობს, მაგრამ მე არ ვიციო."

მთელი კლასი შესცქეროდა ამ ჩვენ ვედეტს და პირში შეჰყურებდნენ, იქნება გიგამ კიდევ სთქვას რამე, რაც ჩვენ არ ვიციითო.

სხვათა შორის, ჩემს გაკვეთილებზედ ხშირად შემოდიოდნენ მასწავლებლები. რომელნიც სხვა კლასებში ქართულს ასწავლიდნენ.

ჩვენი გამოჩენილი პედაგოგი ბოცვაძეც მესტუმრა, ის დიდი წინააღმდეგი იყო ჩემი ამ ვაჟების გიმნაზიაში მუშაობისა, უნდობლად მექცეოდა კიდეც, მოისმინა გაკვეთილი, არაფერი მითხრა, წლის ბოლოს დარეკა ჩემი ბინის ზარი და მოსამსახურეს გადასცა ჩემთვის ერთი წიგნი, ეს იყო მისი ჟურნალილი "განათლება" აკინძული ერთ ტომად და ზედ ოქროს ასოებით დაბეჭდილი: "ქალბატონ სოფიოს, მოწოდებულ პედაგოგს", ავტორისაგან.

ეს იყო ჩემი პირველი დიპლომი, ძალიანაც მესიამოვნა, მის შეფასებას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ძალიანაც წამახალისა ამ გარემოებამ. ერთ დღეს დირექტორი შემოვიდა და მთხოვა ბავშვები მომემზადებინა ლიტერატურულ დილისათვის, რომელიც ყოველ წელს იმართებოდა ამ სასწავლებელში და რომელსაც ესწრებოდა მთელი ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი.

ვემზადებოდით ამ დილისათვის, შედგა კომისია, რომელიც რეპეტიციებზედ უნდა დასწრებოდა და შესაფერისი მასალაც აერჩია. ამ კომისიაში ჩემთან ერთად იყო შურა ფალავანი, რუსული ენის მასწავლებელი. ეს ორი ქალი ვიფაქით მაშინ მთელ გიმნაზიაში, დანარჩენი შემადგენლობა პედაგოგიურ საბჭოსი მამაკაცებისაგან იყო შემდგარი.

აი როდესაც რეპეტიციაზედ გამოვიდა ჩემი მოწაფე, პატარა 7 თუ 8 წლის ბიჭუნა - კინწურაშვილი და წაიკითხა: "სამშობლო ხევსურისა", რაფაელ ერისთავის ლექსი, მომიბრუნდა შურა და მითხრა: "როგორ შეიძლება ასეთ პატარა ბიჭს ამისთანა დიდი და შინაარსიანი ლექსი აჰკიდეთ, ეგ მაგას ვერ მოერევაო".

ჩემზედ უფროსი იყო შურა, არ შეეები, მაგრამ მისი შენიშვნა არ მიეიღე.

ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც გუნდს ხელმძღვანელობდა, ზოგჯერ მეძახდა, ჩემი აზრი უნდოდა ამ ქართულ სიმღერების შესრულებისას, მეც ხან რას წავუმღერებდი და ხან კი რას, ისიც მაშინათვე ჩასწერდა, მაგრამ თან ამას მთხოვდა, არ დაივიწყოთ, ცოტა მოიცადეთ, ამ სიმღერას რომ გავათავებ, მაგ "მორბის არაგვი"- საც ჩავწერო. ეს რეპეტიციები სადილის შემდეგ ხდებოდა; ასე, რომ ბევრი დრო ჰქონდა, საზოგადოებისათვის კარგი გუნდი წარედგინა.

საშინელი მკაცრი ლოტბარი იყო და ამასთან ნერვიული. თან როიალზედ უკრავდა, ხან წამოხტებოდა და მივარდებოდა გუნდის რომელმე ნაწილს, რომელიც მის შენიშვნაზედ ვერ ასწორებდა შეცდომას და თავის გემოზედ მღეროდა.

განსაკუთრებით ძნელი იყო ყარაშვილის "სამშობლო", მაშინდელი ჩვენი "ეროვნული ჰიმნი".

ამას ხომ გაშმაგებული ლოტბარობდა.

დანიშნულ დღეს დიდი დარბაზი მზად იყო სტუმრების მისაღებად; ეს საქმე მე მქონდა ჩაბარებული, ეი უნდა მედიასახლისნა.

სტუმართა შორის, ყველას მოწვევის ბილეთი ჰქონდა, ამიტომ თუ ვინმე დაუპატიჟებელი შემოვიდოდა, ის იძულებული გახდებოდა ან სულ უკანასკნელ რიგებში მოთავსებულიყო, ან და ფეხზედ დარჩენილიყო.

შემოვიდა ერთი წყვილი, რომელთაც არც დაპატიჟების ბილეთი ჰქონდათ და არც მოყვარულად იყვნენ მოსულნი; იმათთვის ეს ქართული გიმნაზია და მისი პატრიოტული, ლიტერატურული დილაც უფრო მავნებელი იყო, ვიდრე რაიმე სასარგებლო მოვლენა. იყვნენ სოც. დემ.

ძალიან მიიწვევდნენ პირველ რიგებისაკენ, მე ეთხოვე, დამსხდარიყვნენ ცოტა მოშორებით.

ჯერ კი უკან დაიწიეს, მაგრამ ხალხი რომ შემოვიდა დარბაზში, იხელთეს დრო და პირველ რიგში გამომეჭიმნენ, გამეცინა, მაგრამ აბა რას გავაწყობდი.

პირველ რიგში ისხდნენ მარიამ ვახტანგ ორბელიანის ასული ორბელიანისა, პავლე თუმანიშვილი, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, დათიკო ჯორჯაძე და ეს ყველანი ამ გიმნაზიის კომიტეტის წევრნი ამავე დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწენი.

ამათ გვერდით ეს ორი არსება, გიგლო საყვარელიძე და მისი და მტრულად განწყობილნი და სეირის საყურებლად მოსულნი.

გიგლო საყვარელიძე კონდოლში სოფლის მასწავლებელი იყო და ეტყობა შორიდანვე დაიწყო იმან თავისი საქმიანობა, რადგან ბოლშევიკების შემოსვლისას საქართველოში, ის კარგ გუნებაზედ ვნახე და ჩემთანაც სცადა სიტყვის დახარჯვა.

დარბაზი რომ გაივსო და გადაეხედე, დვინახე სულ უკანა რიგებთან ფეხზედ მდგომი მამუკა ორბელიანი, რომელსაც უყვარდა შეუმჩნეველი ყოფილიყო. მე ის სხვაგანაც მინახავს, ყოველთვის მორიდებულად ეჭირა თავი ამ მართლა და არისტოკრატს, კეთილშობილს.

იმ დღეს იქ ნახავდით ყველა ქართველ მოღვაწეს, მწერალს, ჟურნალისტს და საერთოდ ქართული საქმის ჭირისუფალთ.

დილის პროგრამა, როგორც ყოველთვის, ყარაშვილის "სამშობლოთი" დაიწყო. მშვენიერი გუნდი ჰყავდა ჩვენ გიმნაზიას და მისი ლოტბარი ზაქარია ფალიაშვილი ხომ კარგი ოსტატი და

ამაე დროს ნამდვილი მუსიკოსი; ძალიან კარგად იმღერა გუნდმა იმ დღეს განსაკუთრებით.

დიდი ოვაციები გაუმართა საზოდადოებამ "სამშობლოს" და ითხოვდნენ მისი ავტორი სცენაზედ გამოსულიყო. დიდი ტაშის შემდეგ, რასაკვირველია, ისიც ადგილიდან და არა სცენიდან გამოჩნდა ანდრიას გაწითლებული, განცდებით ამღვრეული სახე, წამოეწია სკამიდან თავისი ლამაზი თავი; დიდი გაჩერილი თმები რომ უშშვენებდა და მორცხვად იღებდა ამ საზეიმო მოლოცვას და მხურვალე ტაშს, თითქოს სცხვენოდა, რომ ასეთი ლამაზი ჰანგებით უმასპინძლდებოდა ქართველებს.

მართლა და შესანიშნავად იყო შესრულებული იმ დღეს ეს სიმღერა და სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში, შემდეგ ალარც გამიგონია.

დაიწყო ლიტერატურული ნაწილი და მასთან ერთად ჩემი ღელვა, ვაი თუ ჩემმა კინწურაშვილმა ისე არ წაიკითხოს ეს ლექსი "სამშობლო ხევსურისა", როგორც შეეფერება თვითონ ამ ნაწარმოებს და იმ გუნებ-განწყობილებას, რომელიც შეიქმნა დარბაზში გუნდის მშვენიერი გამოსვლით.

გამოცუნცულდა სცენაზედ ეს ჩემი პატარა ბიჭუნია,. აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, ერთ მტკაველს სიმაღლით რომ ვერ ასცდებოდა, კარგად წაიკითხა და მასახელა.

უფროსი კლასის მოწაფეთ ხომ მშვენიერად წაიკითხეს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. მათ შორის მახსოვს ირაკლი ჩოლოყაშვილი, მშვენიერი დიქციის მქონე, ილო მაჩაბელი და სხვანი.

დილა რომ გათავდა და სტუმრები მიწვეულნი იყვნენ საუზმეზედ მეორე დარბაზში, ბევრ მათგანს შევნიშნე, სიამოვნების ცრემლები ლოყებზედ შეშრობოდათ, გრძნობა მორეულთ, თავი ვეღარ შეეკავებინათ.

შეეედი თუ არა, მაშინათვე ალექსანდრე მდივანმა მთხოვა იმის მაგიდაზედ ვყოფილიყავი, აქ იყო სკოლის კომიტეტი, პავლე თუმანიშვილი, დათიკო ჯორჯაძე და სხვები.

ამ ჩემს მიპატიჟებას იმათ მაგიდაზედ საქმიანი ხასიათი ჰქონდა. აქ წინადადება მომცეს ოფიციალურად, რომ დავრჩე ამ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად, რომ გამხდიან შტატის მასწავლებლად, ჯამაგირი კარგი მექნება და თუ მოვისურვე სწავლის გაგრძელებას, ამის საშუალებაც არ მექნება დახშული.

მე უარი ვუთხარი, მაგრამ ეს არ მიიღეს და ფიქრობდნენ, რომ ზაფხულის განმავლობაში ეს საკითხი იმათ სასარგებლოდ მოვუშავებდა, მე მოსკოვში დასაბრუნებელი საშუალება არ მექნებოდა, ისევ დავბრუნდებოდი ამ სასწავლებელში და იმ "გუთნიდედას შვილს" ახლა ოროველას ვათქმევინებდი. იმათ როდი იცოდნენ, რომ ზაფხულის სამი თვის ჯამაგირი ხელუხლებელი მქონდა და ამ წლიური ჯამაგირიდანაც კარგი თანხა ლეიბ ქვეშ ამოდებული. ეს ლეიბი შემდეგშიაც ჩემი ნამდვილი ბაზინადარი იყო.

ძალიან ვისიამოვნე, როდესაც გაზეთში წავიკითხე ჩვენი ლიტერატურული დილის შესახებ პატარა რეცენზია, ხელს აწერდა გიგო დიასამიძე.

აქებს ყველა მონაწილეთ, გუნდსა და ბოლოს სწერს; "მაგრამ ყველაზედ შესანიშნავი მოწაფეთა შორის იყო ყველაზედ პატარა კინწურაშვილიო"; "თუ ვისმე ეჭვი ჰქონდა მანამდე, რომ "სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედ"ო კინწურაშვილის მიერ ამ სიტყვების თქმის შემდეგ, ამაში ეჭვი აღარ უნდა შეუვიდესო".

რომ იცოდე, თეო, როგორ გამიძნელდა ამ ბიჭთან ლექსის მომზადება, ბევრი ვეჩიჩინე, რომ გრძნობით ეთქვა ეს ·"სამშობლო ხელუსრისა", მაგრამ ვერას გავხდი, ბოლოს ვუთხარი. დედაშენი რომ გამოგიცვალონ, იმაზედ ლამაზი და კარგი რომ მოგიყვანონ, მოინდომებ, უარს ხომ არ იტყვი?

შეეშინდა ამ ბიჭს, თვალები გაუდიდდა, ამის შემდეგ ვეღარც მისი ხმა ვიცანი და ვეღარც მის მიერ ნათქვამი "სამშობლო ხელსურისა".

ასე დავათავე ჩემი მასწავლებლობა ამ ერთი წლის წინად დაწყებული დიდი გულის ტკივილით, რომ კისისსხელიდან ჩამოტანილი მურაბები ოხრად მრჩებოდა და მოსკოვში ველარ მიედიოდი და ეხლა ასე გახარებული და კმაყოფილი, რომ ჩემი ერთი წლის მუშაობა ისე დაფასდა, რომ მთხოვენ დარჩენას და კარგ პირობებსაც მთავაზობენ. რასაკვირველია, ეს ამბავი დედაჩემისათვის მისწრება იყო, აღარსად წავიდოდი.

ეხლა მინდა გიამბო, ჩემო თეო, გიმნაზიის გარეშე ჩემი კერძო ცხოვრება; იმ წლის განმავლობაში სად ვცხოვრობდი ან როგორ:

ბინა მქონდა ოლგის ქუჩაზედ ტასო მაჩაბლის სახლში, საიდანაც, რამოდენიმე წლით უფრო ადრე, დაიკარგა უკვალოდ ტასოს მეულლე ივანე მაჩაბელი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ეს უცნაური ამბავი, დღემდე დარჩენილი, საიდუმლოებაშია გახვეული...

ამ სახლში ჩემ ნაცნობ სონა მაღალაშვილს ქირით ეჭირა ოროთახიანი პატარა ბინა.

ერთი მე მომაქირავა და პანსიონერადაც ამიყვანა. მოსამსახურე ბიჭი საჭმელს გვიმზადებდა, ამნაირად ეს მხარე მოწესრიგებულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რადგან ჩემი დიასახლისი მეტისმეტად თავისებური და გამოუცდელი იყო. ამიტომ ჩვენი სამზარეულო ხშირად კოჭლობდა.

სონა იყო ქართველ თავად ესტატე მაღალაშვილის ასული, რომელიც კარგ მემამულედ ითვლებოდა.

ამ ქალს საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული და სწავლის გაგრძელებაც უნდოდა, რომ აგრონომი ყოფილიყო. ამ მიზნით შვეიცარიაშიაც წავიდა, მაგრამ მალე გამობრუნდა, რადგან მისი

ცხოვრება ძალიან შეიცვალა, დაკარგა დედ-მამა; გარდა ამისა 1905 წლის რევოლუციამ მთლად წალეკა ქართლის თავადაზნაურობა და მათი ქონებაც მიწასთან გაასწორა. ერთად ერთი ძმა მიშა საზღვარგარეთ განათლება მიღებული სოციალისტების პროპაგანდის მსხვერპლი გახდა. ერთ დღეს ის მკედარი იპოვნეს თავის სახლთან, რომელსაც ძაღლები დაპატრონებოდნენ...

დარჩა სონა მარტოდ მარტო, არაფრის მქონე, უნდა შეებრძოლა ცხოვრებას. ამიტომ გაჭირებაც უნდა აეტანა და ამასთან შეესაფერისი ხასიათი დაეშუშაებინა.

თავის გარეგნობაზედ ზედმეტად სთვლიდა ფიქრსა და ზრუნვას. პიგიენის მომხრე და მიმდევარი, გაღარეჭილი სახით, სადათ დავარცხნილი ყოველთვის ერთფეროვნად ჩაცმულ-დასურული და ასე დაიარებოდა.

მაგრამ ერთი სამკაული, ნივთი კი ყოველთვის აშშენებდა მის ზედატნის საყელოს. ეს იყო საგანგებოდ მისთვის შეკეთილი და დიდის გემოვნებით შესრულებული პატარა ფუტკარი, რომელსაც მწვანე ტანი ჰქონდა ვერცხლში ჩასმული და ფრთები წერილი მარგალიტებით შემკული, ძალიან ლამაზი და მოსაწონი იყო.

ხშირად ვეალერსებოდი ამ ფუტკარს, მაგრამ სონა მაშინათვე მეტყოდა: "ეს არის ჩემი ცხოვრების შინაარსი და ამას ვიდრე ცოცხალი ვიქნები, არ მოვიშორებ და არავის მივცემო."

მისი ობიექტი ჩემთვის უცნობი იყო და რასაკვირველია, არც მიკითხავს.

შეხვედრისას სონა ძალიან სასიამოვნო იყო, მოსწრებული სიტყვის პატრონი ადამიანს კარგ გუნებაზედ დააყენებდა.

მეგობრობა იცოდა, მაგრამ ადამიანის ათვალწუნებაც ეხერხებოდა; ალი აგებულობის პატრონი, ყოჩაღი და ენერგიული, ის ჩვენ წრეში საქმის ქალად იყო მიჩნეული.

იქვე მაჩაბლის სახლის ქვემო სართულში გახსნილი ჰქონდა სარძევე, რომლის შემოსავალი ბრწყინვალედ არ აკმაყოფილებდა მის ჯიბეს, ედებოდა ვალები და ეს გარემოება ხშირად ემწნეოდა ოთახების გათბობას და სამზარეულოც მისუსტებულ მდგომარეობაში რჩებოდა.

ეშინოდა, მე ნაღდი მიმცემი ფულისა ხელიდან არ გამოვცლოდი და სხვა ბინაზედ არ გადავსულიყავი. ამიტომ ცდილობდა, რაც შეიძლება, მრავალფეროვანი სუფრა მქონოდა.

მიკეთებდა მშვენიერ ძეხვებს; აუარებელი ატმის კონსერვები დამზადებული დუქნისათვის, მაგრამ ის ვერ გაყიდა; ყოველ ყუთის გახსნაზედ ორიევნი სიცილით ვიხოცებოდით, რადგან სულ მე გამომიზოგა.

კოჭლობდა, როგორც გითხარი, შეშის ამბავიც, იმის სყიდვაც უძნელდებოდა, მაგრამ ეს საქმის ქალი ზოგჯერ მიმართავდა ერთ ხერხს და ოთახებში სითბო დატრიალდებოდა.

ამ ეზოშიეე, ისეე ტასო მაჩაბელის სახლში იყო მოთავსებული პირველი დაწყებითი სკოლა, რომლის გამგე იყო ჩემი ბიძაშვილი თამარა.

ქალაქის თვითმართველობის მიერ ზაფხულიდანვე ამ შენობის სარდაფი შეშით იყო გავსებული.

ვხედავ სონას მოწმენდილი ზის, არხეინად, ბიჭს შემოაქს იღლიით შეშა და ანთებს ღუმელს; ქალბატონი ჰკითხავს: "ბიჭო, როგორ ფიქრობ, ხომ ვკერ კიდეე გვაქვს შეშა, ხომ არ დაგვაკლდებაო.".

—ვკერ სად არის, მაგას ვინ გამოპლეეს მაგოდნა შეშასაო. არწმუნებს ქალბატონს ერთგული მოსამსახურე.

მე მეგონა, რომ მაჩაბლის სარდაფი ჩვენ შეშასაც იტეედა, საღამოობით ჩემს ოთახში ვზივარ, ვასწორებ რვეულებს და აღარაფერსა ვდარდობ, რადგან სითბოში ვარ გახვეული.

ერთ დღეს ჩვენი თამარა, სკოლის გამგე, თეატრში წავიდა; მე ეზოში ვარ და ვხედავ ჩვენ ბიჭს, რომელიც სარდაფის ფანჯარასთან ტრიალებს. ცოტა ხანში იმან ხელართანი მოადინა და შიგნიდან სონას აწვდის შეშას, კარგა ბლომადაც; ამ სურათზედ ბევრი ვიცინე, მაშინ კი მივხვდი, როგორ თბებოდა ჩვენი ბინა.

გაჩაღებულ ცეცხლს ეუსხედვართ, სტუმარიცა გვყავს, პეტრე მამრაძე, რომელმაც იცის ამ ცეცხლის მოკლე ისტორია, რომ უცბად კარები შემოაღო თამარამ, თეატრიდან ადრე დაბრუნებული ფიქრობდა შთაბეჭდილებების გაზიარებას, მაგრამ ცეცხლმა პირში შემოსცინა და ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა, იმან კი კარგად იცოდა, რომ იმ ხანებში ჩვენ უშეშოდ ვიყავით და როგორ წარმოიდგენდა, მის დაკეტილ სარდაფს თუ ვინმე შეეხებოდა.

არაფერი სთქვა, ჩვენ კი ძლივს ვიკავებდით სიცილს, ჩვენი სტუმარიც ჩუმად ივკდა და არაფერს იმჩნევდა.

თუმცა იმ საღამომ მშვიდათ ჩაიარა, მაგრამ შემდეგ კი სონა იძულებული იყო, თავისი შეშა დაებინაებინა და ქალაქის თვითმმართველობის სარჯზედ პანსიონერები აღარ აეყვანა.

ტასო მაჩაბელთან ხშირად ჩამოდიოდა იმერეთიდან აკაკი წერეთელი და ხანგრძლივად რჩებოდა.

ერთხელ შემიყვანა ტასომ იმასთან და ჩემი თავი ასე წარუდგინა: "აი ეს კახელი ქალი ილიას დიდი თაყვანისმცემელიაო".

აკაკიმ გაიღიმა, მკითხა, რას ან როგორ ვასწავლი, იცოდა, რომ ქართულ გიმნაზიაში ვიყავი მასწავლებლად.

მე შევეკითხე ჩვენი ენის ზოგიერთ საკითხზედ, როგორც მაგალითად პროვინციების გამოთქმებზედ თუ ტერმინებზედ, თუმცა გიმნაზიაში პეტრე მირიანაშვილი მყვანდა როგორც მეტრი ქართული ენისა, მაგრამ აკაკის აზრი უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ისიც დიდის სიყვარულით მიხსნიდა და გულმოდგინებით ისმენდა ჩემს კითხვებს.

ერთი სიტყვით ხშირად ეხვდებოდი და როდესაც ვერ შეეიდოდი, თურმე ტასოს ეტყოდა, ის ქალი ველარა ენახე, არც ერ-

თი ქართველი ქალი არ შემხვედრია, ასე მოწადინებული ქართულის შესასწავლად და ასეთი კითხვებიც არავის მოუციაო.

მაგრამ ეს ჩვენი ტკბილი საუბარი ერთ საღამოს ძალიან ჩამიმწარდა როდესაც სხვათა შორის მკითხა: "აი შენ გიყვარს ილიას შემოქმედება, აბა ერთი მითხარი, რა მოგწონს, ან რასა სწერდაო".

ვიდრე მე ვუპასუხებდი, იმან განაგრძო: "მაგრამ შენ რა გეცოდინება, როდესაც თვითონ იმასაც არ იცოდა, რასა სწერდაო".

ამ სიტყვებმა საშინლად ამაღელვა და თავშეუკავებლად ჩემებურად ვუთხარი "მაშ დასაფლავების დღეს თქვენ სიტყვაში რადა სთქვით: "უკვდავი ხარ ილიავ".

დასაფლავების კრებული მოსკოვში გამომიგზავნა თამარა ფალავანდიშვილმა, ყველას მიერ წარმოთქმული სიტყვა შესწავლილი და შეფასებული მქონდა, ყველაზედ მეტად ილია ზურაბიშვილის სიტყვა: "საქართველოს ჭირისუფალო ილიავ!"

ამაზედ აკაკიმ გაიღიმა და მითხრა: "იმიტომ ვუწოდე უკვდავი, რომ ისეთ პირობებში განშორდა ამ სოფელს, რომ ხალხი ამას არ დაივიწყებსო".

წამოვდექი და გაანჩხლებულმა მივაძახე: "მაშ თქვენ იმერულად მოგწყალიათო" და გამოვიკეტე კარები.

აღარც შევსულვარ და აღარც დავლაპარაკებულვარ, გონებას ვერ მოვედი, რად მითხრა აკაკიმ ეს სიტყვები, იქნება მცდიდა, უნდოდა გაეგო, როგორ დავიცავდი ილიას, მის ნაშრომებს, არ ვიცი, მაგრამ აკაკის დასაფლავებას მთელი საქართველო დაესწრო, მხოლოდ მე სახლში დავრჩი, ვერ ვაპატიე და ვერა. ამის და მიუხედავად, მისი პოეზია შემდეგში ბევრ ახალგაზრდას შეაყვარე, ეს არც იყო ძნელი, რადგან ნამდვილი პოეტი ესა გვყავს, მაგრამ ჩემი გულიდან ის მწარე გრძნობა ვერ გავდევნე.

გიმნაზიაში ჩემთან ერთად განყოფილების ერთ ერთ მასწავლებელ მონადირაშვილს ესაჭიროებოდა სწავლის დამთავრებამდე ე.ი. მაისის გასვლამდე რუსეთში წასვლა ერთი თვით, რომ უნივერსიტეტში გამოცდები ჩაებარებინა.

ისიც ჩემსაით წუალობდა, თან მასწავლებლობდა და თან სწავლობდა ეს ცოლშვილიანი კაცი.

მე მიეცი წინადადება, რომ ვიკისრებდი მის კლასს და შეუძლიან ჯამაგირი წინდა წინვე აიღოს და დამშვიდებული გაემგზავროს, აბა როგორ არ შეუწყობდი ხელს ასეთ ადამიანს.

ძალიან გაუხარდა და ჩამაბარა თავისი კლასი, თუ არა ვცდები, ეს იყო მესამე განყოფილება.

მართლაც ერთი თვის შემდეგ მობრუნდა სწავლა დამთავრებული, მონათლა თავისი შვილი და მე მიმიწვია ნათლიად.

ნეტა ვიცოდე, არსებობს სადმე თუ ისიც დაიღუპა სხვებთან ერთად ამ ჩვენი დროის ამღვრეულ ქარიშხალში და ზღვის ტალღებში.

ეს შოთა მონადირაშვილი, ჩემი ნათლული, ისე გაიზარდა და დავაჟკაცდა, რომ მე ის აღარც მინახავს.

მამაც მალე მოუკვდა და სრულიად მოულოდნელად; დილით გიმნაზიაში მიდიოდა, ტანისამოსის ჩაცმაც ვერ მოასწრო, უცებ გათავდა.

საცოდავს მუსიკალური ნაწარმოებები ჰქონდა, არ ვიცი, იმას უპატრონეს თუ არა.

იმ წელიწადს სონა მაღალაშვილთან ვცხოვრობდი სტუდენტურად, ყოველ თვე ფულს თაეს ვუყრიდი, რომ შემოდგომაზედ მოსკოვში წავსულიყავი. კარგი ჯამაგირი მქონდა, თუ არა ვცდები, ათი თუმანი იყო, ნახევარს საცხოვრებლად ვხარჯავდი, რასაკვირველია, თავს არ ვინებივრებდი არც ჩაცმით, არც გართობით; როდესაც ვიტყოდი ჩემ წრეში, რომ მთელ ჯამაგირს არა ვხარჯავ, ვინახავ სწავლის გასაგრძელებლად, არავის სჯეროდა და სიტყვას ბანზედ მიგდებდნენ.

დედა კმაყოფილი იყო, რომ მასწავლებლობა შემომთავაზეს და მოსკოვს აღარ ვახსენებდი. მართლაც დედასთან ამ საგანზედ ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნდა, ზაფხული მიიწურა და დავიწყე საგზაო მზადება.

გამოცდილებით შეშინებული ვიმზადებდი თბილ ტანისამოსს, საამისოდ თელავშიაც აველი და ერთი ხელი მაუდის კოსტიუმი და თბილი კაბა შევაკერინე, თბილი პალტოს ყიდვა კი მოსკოვამდე გადავდე.

დანიშნულ დღეს წაველით მე და დედა თელავში. იქ გამოველხოვე, მაშინათვე გაბრუნდა კისისხევისაკენ, იმ ღამეს არ მოინდომა ჩემთან დარჩენა, რომ მეორე დილით გაეცილებინე.

მახსოვს მისი შეწუხებული სახე, ადამიანს ეგონებოდა, ჩემზედ მგლოვიარე იყო, თითქოს სამუდამოდ მკარგავდა, ძლივს მოახერხა ჩემთვის ეკოცნა, ესეც კი უხერხულებოდა.

ერთი სიტყვით, ისიც გავტანჯე და მეც ხომ ბევრი რამ ავიტანე, მაგრამ ხასიათმა არ მიმტყუვნა და დიდი რკინის ძალაც მომანიჭა.

ფიზიკური იყო ეს ძალა თუ მორალური, არ ვიცი, მაგრამ ძალა შემწევდა ალბათ, რომ ცხოვრებაში ბევრი მხვდა ასატანი და მოსანელებელი, გასაოცარია, რომ დღემდე მოვაღწიე.

ამ ბოლო წლებში, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში ვიყავი, დედა, რომელიც თბილისში ჩემთან ცხოვრობდა, შეუბებოდა:

"რაც ცხოვრებაში აიტანე, იტან დღესაც, ღმერთმა გაძლეება მოგცეს, ძალიც ვერ აიტანდა იმას, რასაც შენ ეგუებიო".

ეს იყო მაშინ, როდესაც სპირიდონი ციხეში იჯდა და მე გარეთ ბაშვით ვცოდვილობდი, ეშიმშილობდი, ტიტველ-შიშველი დავდიოდი და სხვა. არც შემდეგ, ემიგრაციაში ცხოვრებაც ჩემთვის არ იყო დიდად დალხენილი, მაგრამ ამაზედ შემდეგ ვილაპარაკებ, ეხლა დაუბრუნდები ისევ ჩემ ახალგაზრდობას, როდესაც ჩემთვის იყო უმთავრესი მესწავლა და ეს ცოდნა ცხოვრებაში გამომეყენებინა.

გასაოცარია, რომ იმ ხნის განმავლობაში დედაჩემისათვის არცერთხელ საყვედური არ მითქვამს, რომ ასე ეწინააღმდეგებოდა ჩემ სწავლის სურვილს, მატერიალურად სულ არაფერი გაიღო, ვაჟებს კი ბუნებრივად მისცა საშუალება, დამშვიდებულად ესწავლათ.

მახსოვს, ერთ დღეს დედას ესტუმრა ერთი აგრონომი, ახლად დაბრუნებული საფრანგეთიდან, გვარად, თუ არა ვცდები, სიასური, რომელმაც დიდი მადლობა უთხრა: "თქვენ იმდენს უგზავნიდით თქვენ შვილ ირაკლის, რომ მე მისაწილებდა და ამნაირად შეეძელი სწავლა დამემთავრებინაო".

ამას ვინ დაიჯერებს, რომ ამავე დროს მოსკოვში ასე გაჭირებული ვიყავი. ამ ბოლო დროს კი დაინახა დედამ, რომ ჩემთან დამნაშავე იყო, მაგრამ ღმერთმა აცხონოს ჩემი ძვირფასი დედა!

ჩამოვედი თუ არა თბილისში, მაშინათვე გავაგებინე გიმნაზიის დირექტორს, რომ მივდივარ მოსკოვში და ჩემის იმედით ნუ იქნება, საშინლად შეწუხდა მდივანი, მაგრამ რას გააწყობდა.

ვერ სწავლა არ იყო დაწყებული და ამიტომ დრო ჰქონდა კიდევ ჩემი მოადგილე ეშოვნა.

გამგზავრების დღეს მოვიდნენ ჩემ სადგურზედ გასაცილებლად თვითონ მდივანი, რომელმაც პედაგოგიური საბჭოს სახელით სამადლობელი სიტყვა მითხრა: "იცოდეთ, სწავლას რომ დაამთავრებთ, თქვენთვის ჩვენს გიმნაზიაში ადგილია, გელით სიამოვნებით და შესაფერისი რიცხვი გაკვეთილებისა უზრუნველყოფილი გექნებათო".

მასთან ერთად იყო მისი თანაშემწე მიქაბერიძე, მასწავლებელნი: სეით იაშვილი, ვასო აბდუშელი, ქრ. ღვინიაშვილი, სოლო ფურცელაძე და სხვანი კი აღარ მახსოვს.

ეს იყო თამარას სკოლის ბინაზედ, სადაც ვიყავი ჩამომხტარი. მომიტანეს მშვენიერი თაიგული, ჩაის ვარდების უზარმაზარი ბუჩქი. ამ დელეგაციამ შემდეგ სადგურზეც გამაცილა და გზა დამილოცა.

სეითმა მითხრა: "სონა, მე არა მჯეროდა, რომ შესძლებდი ახალგაზრდა ქალი ფულის შენახვას, დაიკლებდი ყველაფერს ამ დღისათვის, ეხლა მჯერა კიდეც და გეუბნები, ყოჩაღ შენ ქალობას, რომ სწავლისათვის ასეთი მსხვერპლი გაიღეო".

ალექსანდრე მდივანმა წერილი გადმომცა ტოლსტოევებისათვის, თუ რამე გამიჭირდებოდა, რომ ამ მის კარგად ნაცნობ ოჯახისათვის მიმემართნა.

შეედი ეგონში და ძლივს დავაბინავე ეს ეებერთელა თაიგული, რომელსაც გზაში ჩემი თანამგზავრნი უელიდნენ, ეს ახალგაზრდები ცდილობდნენ, როგორმე მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ, რომ ის მოსკოვში ჩამეტანა.

მოსკოვში რომ მივედი, ბარგი სადგურზედ დავტოვე და ზედ ეს მიცვალებული ვარდები დავალაგე, მე ოთახის საძებნელად გავუდექი გზას.

რასაკვირველია, პირდაპირ კრუბერების კარებში ჩამოვრეკე ზარი, ავედი, მაგრამ სამწუხარო ამბავი მითხრა იმათ მოსამსახურემ, კრუბერის ცოლი ადელ ფეოდოროვნა სანატორიუმში იყო მოთავსებული, სიჭლექით დასნეულებულა, დღე დღეზეა თურმე მისი არსებობა.

ქმარი სახლში არ იყო, საშინლად შეწუხებული და გაუბედურებული სახლში ველარ ჩერდება, იქ მას აღარ ედგომება და სულ გარეთ ატარებს თავის დროსაო. ასე მიამბობდა მათი ძველი ერთგული მოსამსახურე.

ძალიან მეწყინა ეს ამბავი, მით უმეტეს ამ ქალთან დაკავშირებული მქონდა ბევრი კარგი მოგონება. პირველ წელს რომ ვიყავ, ჩამოსული ღვთისანაბარა ამ ცივ ქვეყანაში.

ეს ოჯახი, ასე მტკიცედ შეკრული, პატიოსანი, მშრომელი და განათლებული მეტის ღირსი იყო– თავჩაქინდრული, ფიქრებში წასული გაეცდექი გზას, ვებებდი ოთახს, უფრო ცენტრთან ახლოს, პლიუშჩიხა პირველ წელიწადს იმით იყო ჩემთვის შესაფერისი საცხოვრებლად, რადგან სასწავლებელი, ალფეროვის კურსები იქვე მქონდა, გარდა ამისა ყცხოვრობდი მშვენიერ ოჯახში. ეს კრუბერები როგორც ცოლი ისე მისი მეულე მეტისმეტად სასიამოვნონი და მშვიდობისმყოფელნი მე ყველაფერს მიადვილებდნენ, თავი კარგად მეგრძნო. ბევრი მაქვს შენთვის ნამბობი, ჩემო თეო.

მთელი დღე ვიარე, მაგრამ ცენტრთან დახლოებული ოთახი ვერ ვიშოვნე, ბოლოს მივადექი სერპუხოვის კარებს და იქ ავიღე ოთახი.

პო და იქ გავატარე მთელი წელიწადი, სრულიად დამშვიდებული ვიყავი, რადგან იმ წელიწადს საცხოვრებელი მქონდა და თითქმის დალხენილადაც ვგრძნობდი თავსა.

აღმოჩნდა, რომ მიღებული ვიყავი მოსკოვის ქალთა უმაღლეს სასწავლებელში; მაინც ამ სერპუხოვის კარებიდან კიდევ ბევრი მეცნობოდა სარბენალი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველ წელიწადს გაზეთის ფურცლებმა გადამარჩინა გაციებას, რომელიც ჩემ სათბუნებელს წარმოადგენდა, ეხლა მეცვა რუსეთის შუბა ზედ .ბეწვის საყელოთი და თავზედაც ამ ბეწვის ქუდი მეხურა. ერთი სიტყვით მორთული ვიყავი.

1909 წელი ჩემ მიერ გატარებული მოსკოვში მეორედ რომ წავედი.

სერპუხოვის კარებთან ავიღე პატარა, მაგრამ სასიამოვნო ოთახი, ზამთრის განმავლობაში მისი ფანჯრიდან სჩანდა თოვლით დაბურული დიდრონი ხეები, გაზაფხულზედ კი ამწვანებულ ხეებს, რომელ-

თა ხშირი სტუმრები ლამაზ სიმფონიას ჰფენდნენ, ეს ჩრდილოეთის ზამთრით დაჩაგრული ჩიტები და სმენას ატკბობდნენ.

კარები გამიღო ჩემმა დიასახლისმა. ვარვარა სემიონოვნა შნეიდერ გერმანელი ქალი, რუსეთის მაღალ წრეებში ნამყოფი, რუსის თავადის შვილების ყოფილი "gouvernante" სასიამოვნო სანახავი და პირველსავე შეხვედრისას კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. ტანით მაღალი, წარმოსადეგი, სანშიშესული, თეთრთმიანი, სანდომიანი სახის პატრონი, ცხოვრების კარგი მცოდნე, ენერგიული.

ძალიან კმაყოფილი იყო, როდესაც გაიგო, რომ მე ქართველი ვარ; როდესაც მისმა შვილობილმა, ახალგაზრდა ქალმა კარები შემოაღო, ეს ამბავი აუწყა: "А у меня Тамара." ეს სახელი თამარა, იყო მისთვის სინონიმი ქართველი ქალისა, მისი შვილობილი ანიუტა, ცოტა უცნაურად მეჩვენებოდა. ეფიქრობდი კიდეც რომ ის იყო სულიერად ყოფილი ავადმყოფი და იმ ჟამად დავრდომილი, სუსტი არსება, მისი გვარი არაპოვი, ძმა ჰყავდა ანატოლი არაპოვი, იმ დროს ცნობილი მხატვარი, რომელიც იქვე მახლობლად ცხოვრობდა და ხშირად შემოდიოდა დის სანახავად.

ამ პატარა ბინაზედ, ერთი ოთახი მე მეჭირა, ჩემს გვერდით ცხოვრობდა ახალგაზრდა ქალი, ქერივი, ვარიუშა, გვარი არ მახსოვს. ჩვენს შორის პატარა ოთახი, ვითომდა სასტუმრო და იმდენად პატარა, რომ იტეოდა მხოლოდ პატარა პიანოს და ორ სკამს, ისიც საცოდაობით, კედელთან მიჭედილ, მოპრუწულ მაგიდას რომ მიპკედლებოდა.

თვითონ ვარვარა სემიონოვნა ამ თავის შვილობილ ანიუტასთან ერთად სამზარეულოში იყენენ მოთავსებულნი.

სამზარეულო კარგი მოზრდილი იყო, ისე რომ ორი მათი საწოლი ხალეათად იყო დადგმული და შუაში დიდი პლიტა, ლამაზი სუფრით იქაურობას ისეთ სიმყუდროეს აძლევდა, რომ იქ პირის დასაბანად შესული, გამოსვლას აღარ ვეჩქარებოდი.

რასაკვირველია, ამ პლიტას არა ხმარობდნენ და სპირტოვკაზედ აკეთებდნენ საჭმელს. რომ არ შემეწუხებინა სამოვრის შეტანგატანით, ვთხოვე ჩემთვის მხოლოდ დილითა და საღამოთი მოეცა ჩაიდანი ცხელი წყლით.

ამას ის ქალი ძალიან აფასებდა და ამ ცხელ წყალთან ერთად თითქმის ყოველთვის ზედადებიც შემოპქონდა, ხან თავის ხელით გაკეთებული მურაბა ან რაიმე ნამცხვარი.

დიდი შეგობრობა და სიყვარული დამყარდა ჩვენ შორის, დილით სახლიდან რომ გავიდოდი, კარებში პირჯვარს გადამწერდა და მომაძახებდა: "Софочка Бог с Вами".

ასე დალოცვილს გამისტუმრებდა, მოვიდოდი სახლში და მაშინათვე თავის სამზარეულოში, საცხოვრებელ ოთახში შემიყვანდა, იქვე ცხელ ჩაის მომიდგამდა და დამასვენებდა, ერთი სიტყვით მპატრონობდა როგორც მახლობელი ადამიანი.

იმ წელიწადს მეც ვალში არავის დავურჩი, რადგან უკრაში კარგი თანხა მედო არამცთუ ასეთ დიასახლისს, ნაცნობ ტოლებსაც ვანებივრებდი.

იმ დროს მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობდა თამარა ბერელაძე. ნიჭიერი მუსიკოსი, თუმცა სტიპენდია ჰქონდა, მაგრამ ხშირად მაგებინებდა თავის გაჭირებას, მეც არაფერს ვიშურებდი იმისათვის, გვიყვარდა ერთმანეთი და ეს ხომ ბუნებრივი იყო.

ეს ჩემი სამოცდა ათი თუმანი მაშინდელ დროში კარგი თანხა იყო და თავისუფლად ვხარჯავდი.

დავბინავდი და დავიწყე სიარული ებლა უკვე ალფეროვის კურსებზედ კი არა, არამედ სახელმწიფოს უმაღლეს ქალთა სასწავლებელში. ის ოთხი გამოცდა, რომელიც პირველ წელიწადს ალფეროვის კურსებზედ მქონდა ჩაბარებული, ემატებოდა ჩემ საშუალო სკოლის მოწმობის ნიშნებს როგორც რვა წერტილი, მაშასადამე ბევრად გადაცილებული იყო კონკურსის უმაღლეს ნიშანს 5 და ემატებოდა კიდევ 3 წერტილი, ამნაირად მიღებული ვიყავი მთავრობის დაწესებულებაში.

ეს სასწავლებელი მოთავსებული იყო მერზლიაკოვის შესახვევში არბატთან.

რადგან ჯერ კიდევ საკუთარი შენობა არა ჰქონდა, ეს კი ვერ იტევდა მსმენელთა რიცხვს, ზოგიერთ ლექციებს პოლიტეხნიკურ მუზეუმში ლუბიანკაზედ კითხულობდნენ. (მომავალში იქ ჩეკა ყოფილა მოწყობილი)

მაგალითად ისტორიკოს კიზივეტერი, რომლის აუდიტორია გატენილი იყო მსმენელებით, რასაკვირველია, მერზლიაკოვის პატარა შენობა ამას ვერ დაიტევდა.

იქვე კითხულობდა შპეტი - ლოლიკას, გოლდშტეინი პოლიტიკურ ეკონომიას.

იმ წლის განმავლობაში ყველა პირობები ხელს მიწყობდა, დამშვიდებულად მემუშავნა.

ის ერთი წელიწადი, რომელიც მე ქართულ გიმნაზიაში გავატარე, ჩემთვის ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. ებლა მქონდა მიზანი, საგნებს სხვა მნიშვნელობა ეძლეოდა, როდესაც მათ მოხმარებას და განაღდებას სკოლის ფარგლებში ვითვალისწინებდი; თვალყურს ვადევნებდი მაშინდელ ცნობილ პედაგოგების მეთოდებს, მათ მუშაობას, მაგრამ ყველაფერი ეს ამაო იქნებოდა, თუ ჩემი ქვეყნის წარსულს, მის აე-კარგს არ შევისწავლიდი იმდენად მაინც, რომ შემძლებოდა მისი შედარება, დაპირისპირება მსოფლიო მოვლენებთან, ამიტომ რუმიანცევის ბიბლიოთეკაში, სადაც მთელი ქართული გამოცემები უხვად მეგულებოდა, ხშირად ქართული წიგნები რუსულსა სცვლიდა.

არაერთხელ მინახავს ჩემი მეზობელი, ჩემს მახლობლად მჯდომი ამ ბიბლიოთეკაში, გაოცებული თვალებით რომ მისჩერებოდა ჩემ წინ გადაშლილ წიგნს და ვერ გაეგო, რა ენა იყო, რა ასოებია ასე ლამაზად რომ არის ჩამწკრივებული.

ერთხელ კი ველარ მოითმინა ერთმა მათგანმა და დიდის ბოდიშით, ისიც როდესაც აველაქი და წამოსასვლელად მოვემზადე, მკითხა, ვინა ვარ და რასა ვკითხულობ, როდესაც გაიგო ჩემი ვინაობა, მითხრა, "მრცხვენიან, რომ ქართული არ ვიცი", ალბად მასიამოვნა, თუმცა, იქნება, გულწრფელიც იყო ის ყმაწვილი, სტუდენტისათვის, ისტორიის დარგზედ მომუშავეს, რომ ვახუშტის გეოგრაფია წაეკითხა, არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ მაშინდელი რუსეთის ინტელიგენცია ისეთი უხერხემლო და უსუსური იყო, რომ თავიანთი ქვეყნის ამბებიც ხშირად მათ გონებას უსწლტებოდა, თავიანთ ხალხს არ იცნობდნენ, მათ შორის უფსკრული იყო და რა გასაოცარია, რომ ჩვენი პატარა საქართველო მათთვის უცნობი ყოფილიყო.

ნაშუადღეებში სემინარიები, ან ბიბლიოთეკა, ეს იყო ჩემი დღის წესრიგი, დილა, რასაკვირველია, ლექციების მოსასმენად იყო გადადებული.

ჩემი დიდი გასართობი იყო სამხატვრო თეატრი, რომელიც მე ისე მიტაცებდა,როგორც ეს სჩვევია ახალგაზრდა არსებას.

ოხ, ჩემო თეო, გენაცვალე, ისარგებლე შენის ახალგაზრდობით, არ დაიგვიანო, მეორედ ველარა ნახავ ამ სანატრელ ხანას!

გამოფენებიც მიყვარდა, მაგრამ ბევრი რამ ამ დარგში არ მესმოდა, ამიტომ სიამოვნებით ვსარგებლობდი მხატვარ არაპოვის წინადადებით, მასთან ერთად მეცლო სამხატვრო მუზეუმში, როგორც იყო ტრეტიაკოვის გალერეია, აგრეთვე კრემლის დათვალიერება- და სხვა.

უმთავრესად კი მისი გონება ძველხატებს უტრიალებდა, სწორედ იმ დროს ის მუშაობდა ქართულ სახარების ჩუქურთმების ნახატებზედ, ოცნებობდა ეს ჩუქურთმები ადგილობრივ ენახა და ამისათვის საქართველოში წასვლა ჰქონდა გარდაწყვეტილი.

ერთ დღეს მოვიდა და მითხრა: "შთელი თქვენი ისტორიული ნაშთების მუზეუმი აქ მოსკოვში აღმოვაჩინე ვიღმე გრაფინია უვაროვასთანაო". "შესანიშნავია, ეს თქვენი ხელოვნების ნიმუშებიო".

ეს ის ქალი ბრძანდებოდა, რომელმაც ბევრი საუნჯე ჩვენი ხელოვნებისა, ყველას დაუკითხავად, ჩაილაგა და წაიღო მოსკოვში.

ჩვენი ისტორიკოსი, აწ განსვენებული დათიკო კარიჭაშვილი, ქართული გიმნაზიის ჩემი კოლეგა გულის ტკივილით მაჩვენებდა უძველესი დროის სახარებიდან გამოჭრილ ფურცლებს, რომელიც გრაფინია უვაროვას მაკრატლის მსხვერპლი გამხდარიყო.

ამნაირად იკარგებოდა ბევრი რამ ჩვენი წარსულის სიამაყე, ვიდრე ამ უამად განსვენებულმა ექვთიმე თაყაიშვილმა ყველაფერს თავი არ მოუყარა და ქართული მუზეში არ დაარსა.

ამ მეორე წელიწადს უფრო ახლო გავეცანი ჩვენ სათვისტომოს, ჩვენ ქართველ სტუდეტობას. მაშინაც ეს ორი დაპირისპირებული ჯგუფი მარჯვენა და მარცხენა ერთმანეთს მტრულის თვალით უყურებდა.

მარჯვნივ უფრო ცოტანი იყვნენ, ამიტომ მათი გაულენაც უფრო ნაკლები, მთელი საქმიანობა კი ამ სათვისტომოსი წელიწადში ერთხელ ქართული სალამოს მოწყობა და მისი შემოსავლის ანგარიშით ამოიწურებოდა.

ჩემთან კავშირი და მისვლა მოსვლა ამ მემარჯვენე ფრთის ხალხსა ჰქონდა. რაც შეეხება მეორე მხარეს, უფრო ნაკლებად ვხედებოდი, რადგან ყოველთვის ჩხუბით თავდებოდა.

ქართველი სტუდენტობა ცოტას გამონაკლისით მუშაობით თავს არ იკლავდა, ყოველთვის გაჭირებულ პირობებში ცხოვრობდა, სახლიდან რაც თვიურად მოსდიოდათ, ამ თანხას მალე ახურდავებდნენ და დანარჩენ დროს შიმშილობდნენ.

ამიტომ იყო, რომ ეს ჩრდილოეთის ჰაერი უიმისოდაც არ იყო ჩვენთვის სასარგებლო და თუ ამას უჭმელობა დემატებოდა, ნორჩი, ახალგაზრდა არსება ადვილად დასნეულდებოდა.

მართლაც ბევრი იყო დაავადებული, ზოგი კი ნამდვილი მსხვერპლი გახდა, ბევრმა ვერც სწავლის დამთავრება შესძლო.

ეს ჩემი მეგობარი ქალი, თამარა ძნელაძე, კონსერვატორიის მოწაფე, რომლის შესახებ მისი პროფესორი გრჟიმალდი ამბობდა, რომ ამისთანა ნიჭიერი შვილდაკის მქონე, რაც პროფესორი ვარ, არა მყოლიაო.

ეს ქალი არამც თუ ზარმაცობდა, კონცერტებზედ სიარულიც კი ეზარებოდა, რომ თავის დარგის რომელიმე მეტრი მოესმინა.

ბელგიიდან ჩამოსული იყო იმჟამად იზაი, ეს ვიოლინოს ღმერთი, რასაკვირველია, თამარას, როგორც კონსერვატორიის მოწაფეს, მისი კონცერტისათვის ბილეთი ჰქონდა.

დამირეკა ტელეფონი: "ბოშო, თუ გინდა, იზაი მოისმინო, აი ბილეთი. კონცერტის შემდეგ მოდი ჩემთან. აქ დაიძინე და მიამბე კიდეც, როგორ დაუკრაო". ამაზედ ბევრი წაუკამათე, მაგრამ იცინოდა და მაინც თავისი გაიყვანა, არ წავიდა, მე მომასმენინა ეს იშვიათი ვიოლონისტი, რაც დიდი სასჯელი არ იყო ჩემთვის.

ამ ქართველი ქალის ნიჭიც და ვიტყვი იშვიათი, დაიღუპა უჭმელობით, მისი სხეული დასუსტდა, თუთუნის წევაში გაატარა თავისი საუკეთესო წლები, მუშაობას თავი ვერ დაუდო, უბრალო ავადმყოფობას გადაჰყვა, გაციება, ფილტვების ანთება, ტიფი და გათავდა შემდეგ წლებში, როდესაც მე მოსკოვში აღარ ვიყავი.

უნდა ითქვას, რომ ის ნამდვილი მსახიობი იყო თავისი კარგი და სუსტი მხარეებით. მატერიალურად არ უნდა გასჭირებოდა, რადგან სტიპენდიის გარდა, რომელიც ეძლეოდა, თუ არა ვცდები, სარაჯიშვილისაგან, მას თავისი ბიძა, ხუროთმოძღვარი სვიმონ კლდიაშვილიც ეხმარებოდა.

ოთახი ჰქონდა აღებული შუა ქალაქში, კონსერვატორიის მახლობლად, მთლად უფანჯრო. ბნელი და უსინათლო. რომ შეხვიდოდი, თუთუნის სუნსა და ბოლში იყავი გახვეული. დაგიხვდებოდა პატარა, მოხდენილი ქალი, კარგად მოვლილი: წაბლისფერ-თმიანი,

რომელიც მთლად კულულებში ჰქონდა დახვეული და ლამაზი თვალწარბი, კიდევ უფრო ხელოვნურად გალამაზებული.

სახეში ერთი ნაკლი ჰქონდა, თუთუნით მთლად გაფუჭებული და გაშავებული კბილები, რომლებსაც ის სიცილის დროს მალავდა, ხელს მიაშველებდა ხოლმე.

თუმცა ზამთრის პალტო ჰქონდა, მაგრამ ქუჩაში მას ნახავდა ადამიანი უცნაურად გამოწყობილს.

ამ ყინვაში, მას ტანზედ ეცვა საერდის კოსტიუმი, ფეხთ ბრჭყვიალა ახდილი ტუფლები, ისიც გალამაზებული დიდი "ბლიახით".

მოსკოვიდან რომ საბოლოოდ ებრუნდებოდი საქართველოში, მითხრა: "სონა, იცი, ეხლა ხომ დავიღუპებიო, როდესაც მინდა, რაიმე სისულელე ჩავიდინო, მაშინათვე მაგონდება, რომ შენ აქა ხარ და თავს ვიკავებო". ჩემი ერიდებოდა, რადგან უფროსი ვიყავი, ბევრს ვუჩიჩინებდი, რომ რიგიან ოთახში გადასულიყო, რომ ეს თუთუნი მისთვის საწამლავი იყო და სხვა.

ფულის ფლანგვა უყვარდა, ჭამით კი არაფერსა სჭამდა, მაგრამ ლიხაჩით მოსკოვის ქუჩებზედ სეირნობა კი მას ძვირად უჯდებოდა; მაგრამ კმაყოფილი იყო ამ თავის მიერ შექმნილი დეკორაციით: ზის ეს ლამაზი ქალი ეტლში, თავზედ უსათუოდ ბუმბულებიანი ქუდით და თუ ვინმე ქართველი სტუდენტი ამას დაინახავს, ხომ კარგი, თუ არა და უცხო თვალიც ისიამოვნებდა.

აი, ჩემო თეო, ეს შენი მსახიობი ქალიც გაგაცანი.

ეხლა მინდა მეორე ნაცნობს დავუბრუნდე, რომელიც პირველ წელიწადს გავიცანი. ეს იყო საველიევის ქალი, ჩემთან ეხლა უფრო ახლო ცხოვრობდა, ხშირად მოდიოდა და ემეგობრობდით.

ამას საცხოვრებელი ჰქონდა, ისე რომ სასმელ-საჭმელის დარდი არ აწუხებდა, მაგრამ სწავლით ვერა სწვალობდა, თუმცა დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა, როგორმე წლის ბოლოს ერთი გამოცდა მაინც ჩაებარებინა, იმავე დარგზედ იყო შესული, როგორც მე ე.ი. ისტორიულზედ.

დადიოდა დიდ პროფესორებთან, ექიმებთან, მაგრამ ამაოდ.

ჭკვიანი ქალი, მხოლოდ საშინელი უსუსური, რაიმე განყენებული საგანი გაეგო, შეეთვისებინა.

ევროპაშიაც იყო ნამყოფი, ნანახი ჰყავდა ცნობილი ფსიხიატორებიც.

სტუდენტ ქალებთან კავშირს მე არ ვეძებდი, ლექციებზედ ერთმანეთს გამოველაპარაკებოდით და ამით თავდებოდა ჩვენი ურთიერთობა.

ერთი ქალი, გვარად ლობასოვი, სემინარის დროს გავიცანი, გამომაცილა და დამიახლოვდა.

ბოლო დრომდე შემრჩნენ ეს საველიევის ქალი ანიუტა, რომელიც გაზეთების ცნობით ეხლა უნდა იყოს ერთ-ერთი მოხელე მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროში, მაგრამ ეს ცნობა მქონდა სტალინის დროს, როდესაც ანა საველიევის აზრი მოყვანილი იყო

იმის შესახებ, თუ ხმა უნდა მიეცეს არჩევნებში, რასაკვირველია, სტალინს, რადგან ბევრი რამ სასარგებლო საქმე აქვს გაკეთებულიო. ქალაქ მოსკოვის დეპუტატობაზედ იყო, რამდენადაც მახსოვს, ეს არჩევნები.

პხედავ, თეო, ეს ქალი, რომელსაც ასე უჭირდა სწავლა, ეხლა ისე არის იგი მუშაობაში ცნობილი, რომ მისი აზრი მოყვანილია მოსკოვის პრესაში, ეტყობა ფხა გამოიჩინა და ცხოვრებაში გავიდა, ენები იცოდა, ფრანგული და გერმანული, ისიც ძალიან სუსტად.

მეორე ჩემი მეგობარი ისიც პირველ წელიწადს გაცნობილი, ეკატერინე სიმოკოპულო, ბერძნის ქალი, კრუბერებს რომ ქართულად ლანძღავდა შემწყარ გარეულ ქათმის გამო და ეს ახლად შეძენილი ნაცნობ-მეგობარი ნიუსია ლობანოვის ასული ქ. რიაზანიდგან.

აი, ესენი იყვნენ ჩემი მეგობრები ბოლომდე ჭირშიც და ლხინშიაც. ლექციებზედ ბევრს უნდოდა ჩემთან ნაცნობობა ჰქონოდა, მთხოვდნენ კიდეც მიესულიყავი: "чайку напиться", მაგრამ ამ დაპატიჟებებს მაინც და მაინც არ ვეტანებოდი.

ბოლოს ერთი ქალი ისე გადამეკიდა და იმდენი მთხოვა, რომ ერთ კვირა დღეს გადავწყვიტე მისი ნახვა და მივედი.

კარები გამიღო ნახევრად შეზარხოშებულმა ყმაწვილმა, გამიძღვა და შემიყვანა ერთ დიდ ოთახში, სადაც გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ ქალ-ვაჟნი და სასმელებს უხვად სვამდნენ.

დიასახლისი, ჩემი ნაცნობი ქალი, მომეგება, ძალიან გაუხარდა ჩემი მისვლა, მაგრამ როდესაც არაყის ჭიქა შემომთავაზა და მე უარი ვუთხარი დალევაზედ, საშინლად შეწუხდა, იქ მყოფთ ხომ ციცი წყალი გადაესხათ, თუმცა მაინც განაგრძობდნენ ხელში ბოთლების ტრიალს.

პატარა ხანს უკან ოთახი ნელ-ნელა დაცარიელდა, შეერჩი ამ დიდ მაგიდას, მარტოდ მარტო ვარ და სხვა არაფერი დამრჩენია, რომ ამ ცარიელ ბოთლებს ვუყურებულო.

ველარც ჩემ ნაცნობ ქალსა ვხედავ, არც ვიცი, სად მოეძებნო, რომ გამოვეთხოვო. ბინა საკმარისად დიდი იყო, ამიტომ ვერ გამეგო, სად გაქრა ეს საზოგადოება, დაახლოებით ათიოდე ახალგაზრდა, ეზიარ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

კარგა ხანს ვიყავი ამ სულელურ მდგომარეობაში, ბოლოს როგორც იყო, დავძლიე ჩემი თავი და გავედი ტალანში, მივიხედ-მოვიხედე, ჩემ წინ ბევრი კარებია, მაგრამ რომელი დავაკაკუნო, სად ვარ, ან ვისთან, არ ვიცი, ბოლოს გავჩერდი ერთ კარებთან, რომელიც იმ დიდ ოთახის მახლობლად მეჩვენა, იქაურობა სამარისებულ სიჩუმეშია გახვეული, კარები დავაკაკუნე, ნახევრად გამოღებულ კარებში გამოჩნდა ჩემი დიასახლისი. რასაკვირველია, თმებგაშლილი, ჩაუცმელი, ვერაფერი მითხრა, მხოლოდ გამიღიმა.

მე საჩქაროდ მივეშურე გამოსასვლელ კარებისაკენ და წამოველი ისე მარდად, მეგონა, უკან ზარბაზნებს მესვროდნენ და ტყ-

ვია რომ ამეცდინა, მეჩქარებოდა, სახლამდის მიმელწია, უკან აღარც მიმიხედნია.

ეს იყო და ეს, მე ის აღარც მინახავს და აღარცა ვთვლიდი იმ ქალს ჩემს ნაცნობად.

ზოგიერთი ქალი მართლა და სწავლისათვის კი არ ჩამოდიოდა მოსკოვში, არამედ თავისუფალ დროს გასატარებლად.

მხატვარ არაპოვს, რომელიც ხშირი სტუმარი იყო თავის დისა, ჩემთანაც უყვარდა შემოსვლა, მაგრამ იცოდა, რომ განსაზღვრული დრო ეძლეოდა მის დარბაზობას, მე დროზედ ვწვებოდი, დროზედ უნდა ფეხზედ ვყოფილიყავი. ეს მისთვის, მსახიობისათვის, ძნელი გასაგები იყო, თერთმეტ საათზედ უნდა აბარგულიყო.

ძალიან უნდოდა მის მეგობარ მხატვარს ვენახე. ეს იყო სუდეიკინი. ერთ საღამოს, როდესაც არაპოვი ჩემთან იყო, დაირეკა ზარი, ეს არ დაიძრა ადგილიდან, გამიკვირდა, რომ კარების გაღება ჩემ ანაბარას დარჩა, სხვა დროს ამ უზრდელობას ის არ ჩაიდენდა და მე კარების გასაღებად არ ამაყენებდა.

გავაღე კარები, ჩემ წინ სდგას ვიღაც უცნობი, მალალციანი ქუდით და არაპოვს კითხულობს, მე შემოვბრუნდი, გავაგებინე, რომ მას კითხულობენ. არაპოვი დაიბნა, იზოზინა, თითქოს უნდოდა კიდეც ეთქვა, ვინც იყო მოსული, მე რასაკვირველია, ვთხოვდი შემოსვლას, მაგრამ მე არაფერი ვსთქვი, ისიც მივიდა კარებთან, რაღაც წაილაპარაკეს და შეწუხებული შემობრუნდა, მითხრა, რომ სუდეიკინს უნდოდა ჩემი გაცნობა და ეს ვერ მოხერხდა, რადგან მე არა ვთხოვე შემოეყვანა. დალოცვილი, რატომ თავიდანვე არა სთქვა, რომ ეს იყო სუდეიკინი.

ეს იყო ახალი მიმართულების მხატვარი და თავის მიმდევრებით ერთ წრეს ხელმძღვანელობდა. არაპოვიც სწორედ ამ წრეში ტრიალებდა.

ერთხელ მთხოვა არაპოვმა, ღამით გაეყოლოდი ამ სუდეიკინის წრეს მოსკოვის მივარდნილი ქუჩების სანახავად, როდესაც ქალაქის ჟრიამული მთლიანად მიმწყდარია. აბა რა წამიყვანდა, ამეებში შვილო, მე შევრჩი ჩარდახიან ურემს და მის იდეოლოგიას...

უნდოდა იმას ჩემი დახატვა და მისი მოთავსება ერთ-ერთ გამოფენაზედ: "არ იფიქროთ, რომ ჩაუცმელს დაგხატავთ, თქვენ იქნებით გახვეული აღმოსავლურ ქსოვილში, ამ სურათის სახელი იქნება: "Ангел" который не подчинился Богу"

კარგია, თვალი მოეკრა ეხლა ჩემთვის, ალბათ ამ სურათს სხვა სახელსაც მისცემდა და თვითონ ნახატსაც არაფერი ექნებოდა საერთო ანგელოზთან, ამაში მაშინაც ძალიან სცდებოდა.

ერთი სიტყვით, მთელი ის ზამთარი დადიოდა ჩემთან, ძალიან შინაარსიანი საუბარი იცოდა; არ ვიცი, სხვებთან როგორ ეჭირა თავი, ჩემთან ეს იყო უბადლო, ზრდილობით ძალიან კარგად აღზრდილი, პატიოსანი და მრავალფეროვანი, ისე როგორც მისი სურათები.

მისი ნაკლი იყო მეტისმეტი უსახურობა და პატარა ტანი, რაც მას ძალიან აწუხებდა.

კარგად ჩაცმულ-დახურული, ნამდვილი ევროპიელი, იქაურ ზოგიერთ ბოდოშალ მხატვრებისა არაფერი ჰქონდა.

ხშირად მელაპარაკებოდა იმაზედ, რომ ადამიანმა მხოლოდ ის უნდა გააკეთოს, რაც მას აინტერესებს, თუნდაც ამისათვის შიმშილი იყოს საჭიროვო.

გაოცებული იყო, რომ მე გაზეთებს ვკითხულობდი, რად გინდათ, არ არის საჭირო, არც თქვენი გამოცდები და ისტორიის შესწავლა, ეს დრო მოანდომეთ ბუნების საიდუმლოებაში ყოფნას, მახლობლებთან ერთად განიცადეთ სულიერი საუნჯენი და სხვა.[1]

"თქვენ პატრიოტობთ, მესმის კიდეც რომ ასეა, გაქვთ ქართველებს საბუთი იპატრიოტოთ, იმისთანა ბუნების პატრონებს, როგორც თქვენა ხართ, არ შეიძლება არ გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა, მაგრამ მე რისი პატრიოტი უნდა ვიყო, რუსეთი ამის ხელშემწყობი არ არის, ეს გაშლილი, უსაზღვრო მინდვრები, რომელსაც თაეი და ბოლო არა აქვს, მე არაფერს მაგრძნობინებსო".

ეს იყო კერძო შეხვედრები და ნაცნობობა, რომელიც მართობდა, მაგრამ არაფერს მმატებდა და არ მაწინაურებდა.

ზამთარი მიდიოდა და მეც გამოცდები მეწყებოდა, ყოველთვის კი მწარე ფიქრები არ მასვენებდა, ეს წელიწადი კარგი, შეიძლება აქ უზრუნველად მეცხოვრა, მაგრამ მომავალ წელს როგორ მოვახერხებ მოსკოვში ჩამოსვლას.

დედა, რასაკვირველია, ამისათვის თავს არ შეიწუხებს, რადგან მას ჩემთვის ქართულ გიმნაზიაში ადგილი ეგულებოდა, თუ კისისხვეში არ მოვინდომებდი დარჩენას, სადაც მართლაც შემეძლო გულ-ხელდაკრეფილს მეცხოვრა და ძალიან კარგადაც.

ამ შემთხვევაში ძლივს დამშვიდდებოდა იმ აზრით, რომ რუსეთში აღარ მიგულვებდა, იმ რუსეთში, "სადაც პატიოსანი ქალი მარტო არ უნდა ყოფილიყო", მისი აზრით.

ეს ფიქრები მიტრიალებდა და არ ვიცოდი, ღირდა კი გამოცდებისათვის თაეის ტეხვა და ღელვა და მერე როგორი.

გამოცდის ღღეს რომელ კონკას მოვაყდებოდი, სად ეკრავდი თაეს, სად დანიშნული აუდიტორია, სად მე, მივდიოდი სულმთლად ცარიელი თაეით, აღარაფერი აღარ მახსოვდა; როდესაც ავიღებდი ბილეთს და ჩემთვის ვითომდა ვიკრეფდი გონებას, ეს ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, აშკარად ეხედავდი, რომ პირსაც ვერ გავაღებ და ენასაც ვერ დავძრავდი.

ჩემი ხრინწიანი ხმის ამოღება და ჩემი გაყოჩაღება ერთი იყო. მერე კი სამშვიდობოს ჭენებით გავდიოდი.

გარდაეწყვიტე მაინც რამოდენიმე გამოცდის ჩაბარება. ავიღე პეტრუშევსკის საშუალო საუკუნეები, ეს იმ პროფესორი იყო, რომლის ლექციას სამადლოდ ჯერ-ჯერით ვისმენდით, აუდიტორია ყო-

[1] მომიტანა ნიცშეს წიგნი "დასაწყისი და წყარო ტრაგედიისა"

ველთვის ცარიელი უხედებოდა, მგონი ის ამას ვერც ამჩნევდა, თავი ჩაყოფილი ჰქონდა კათედრის ქვეშ და ისე უცნაურად ლაპარაკობდა, რომ ჩვენ ყურისგდების მაგიერად ერთმანეთს სიცილის ატეხას ვაკავებინებდით, თან იმ აუდიტორიას თვალს მოვაყლებდით, გვეცინებოდა კიდეც, რომ მსმენელი ბევრი არა ჰყავდა.

მისი ნაშრომი ყოველ ევროპიულ ენაზედ ნათარგმნი "განსილვა საშუალო საუკუნეების საზოგადოების და სახელმწიფოთა", ყველას შიშის ზარსა გვცემდა.

მძიმე ენით არის დაწერილი. ზოგიერთი წინადადება ოცდაათსა თუ მეტს სტრიქონზეა გაწოლილი, ამას ადვილად ვერ უვლიდნენ სტუდენტები, გარდა ამისა, გამოცდას ის აწარმოებდა მხოლოდ კითხვების საშუალებით. მისცემდა მთელი იმ მასალიდან რამოდენიმე კითხვას და გაისტუმრებდა. უფრო ხშირად მეორედ სთხოვდა მისვლას ე.ი. თუ გაზაფხულზედ ჩასჭრა, შემოდგომაზედ სთხოვდა გამოცდის ჩაბარებას, ან იანვარში და ამნაირად, ვიდრე შესაფერისად არ გეცნობოდა შეთვისებული მისი ნაშრომი, უნდა გევლო ამ პეტრუშევსკის გამოცდაზედ.

საერთოდ ამ საგნის ჩაბარებას უფრო ხშირად უკანასკნელ წელს ახერხებდნენ. მე ავიტეხე ეს ჭირი და არ ვიცოდი, როგორ დავაღწევდი თავს, მით უმეტეს, რომ შესელისას ერთმა ქალმა მკითხა, მერამდენე ტრიმესტრის სტუდენტი ვარ და რომ გაიგო ჩემი ამბავი, შემაშინა, ნუ შეხვალთ, გუშინ სამოც კანდიდატში მხოლოდ ოცი გაუშვა, დანარჩენები ჩაჭრილები არიანო.

შევალე კარები, ჩემი გულის ბაგაბუგი კარგად მესმოდა და თვალთაც სინათლე მინელებული მქონდა.

შევხედე რამოდენიმეს, სულგანაბულნი უსმენდნენ ერთ კანდიდატს, რომელსაც პროფესორმა მისცა კითხვა :"უმთავრესი მიზეზები დასავლეთ რომის დაცემისა." ქალმა უპასუხა, რომ თქვენს ნაშრომში ეს არ არისო, გაცეცხლდა ეს კაცი, სულ დორბლებს ჰყრიდა, როგორ თუ არ არის, წადით, კარგად წაიკითხეთ და შემდეგ მოხვალთ, ოქტომბრის სესიაში ჩამაბარებთ ამ გამოცდასო.

საწყალ პეტრუშევსკის მთელი სამი თუ ოთხი წელიწადი უმუშავნია ამ თავის თემაზედ და მის შედეგებზედ და ეს სულელი კი ეუბნება, "თქვენ წიგნში ეს არ არისო".

ამის შემდეგ მე მივედი თავჩაქინდრული, დიდ ქარიშხალის მოლოდინში. რა მკითხა და რა ვუპასუხე, არ მახსოვს, მხოლოდ ასეთი სასიამოვნო გამოცდა მე სხვასთან არა მქონია, ეს იყო უფრო მუსაიფი ვიდრე გამოცდა.

დამშვიდებული დავტოვე და მეც კმაყოფილმა გამოვიკეტე კარები. ის ქალი დამიხვდა და მკითხა, როგორ ჩაიარა ჩემმა გამოცდამ და საშინლად ლანძღავდა პროფესორს "აბა რა ვიცი, რაზედ დაილუპა დასავლეთი რომი, ეშმაკმა იცის მისი თავი, სად უნდა წამეკითხა ეს ამბავიო".

როდესაც მე მივუთითე ამ ნაშრომზედ, რომ მთელი ეს არის აგებული სწორედ იმ სისუსტეებზედ, რამაც საბოლოოდ იმს-

ხვერპლა რომი, რომ წითელი ხაზით არის გაკვეთილი მთელ ნაშრომში ეს მიზეზები, გაოცებული შემომცქეროდა, ფიქრობდა, რომ მეც არ ვიყავი კარგად.

ამ გამოცდებში ვიყავი და მრჩებოდა ერთი საგანი, რომ საშინელი ფათერაკი დამემართა და არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, რა ვიჩხვლიტე მარჯვენა ხელის ცერში, რომ ეს თითი კინალამ სულმთლად არ დაკარგე.

დამიწყო ტკივილი და ისეთი, რომ ჩემი ცოდვით ყველა იტანჯებოდა. ჩემი დიასახლისი, ჩემი ბებრუცუნა ვარვარა სემიონოვნა რას არა სცდიდა. ამ თითზედ რას არ მადებდა, მაგრამ ამაოდ.

ექიმმა დამინიშნა ცხელი კომპრესი, მაგრამ ვერაფერი მეშველა. თითი მთლად იყო გაშავებული, ამასთან ერთად ხელიც დასიებული და ტკივილები უფრო და უფრო მწარე, ხელის განძრევა მიძნელდებოდა.

ერთ ღამეს თამარა ძნელაძე მოვიდა, რომ დროზედ დაედო ამ თითზედ რაღაც ცხელი ფაფა, ესეც ექიმის მიერ გამოწერილი.

მოვიდა ჩემ მოსაველელად, სასაცილო იყო მისი მოვლა, ეს მოწყალების და მალე ჩაჯდა სავარძელში და ტკბილად ჩაეძინა.

მე კი ისე ვარ გამწარებული, ვერც კი ვინძრევი ადგილიდან, რომ შევძლო ეს გაციებული ფაფა მოვიშორო და თბილი მივაშველო.

"თამარა, გენაცვალე, გამომიცვალე კომპრესი". - რა გინდა, ბოშო, მეკითხება, იმას არც მე ვახსომებ და მით უმეტეს ეს ჩემი გაშავებული თითი.

მშვენივრად გამოიძინა, ალბათ კარგი სიზმრებიცა ნახა და მეორე დილით ჩემს საყვედურებს ატენილი სიცილით უპასუხებდა.

მეორე ღამეს ჩემმა მეზობელმა ვარიუშამ და ამ ანატოლი არაპოვმა ისე იფხიზლეს, რომ დილის ექვს საათზედ ჩემ ოთახში შემოსული დიასახლისი უსაყვედურებდა ჩემ ყარაულებს, რატომ მე არ გამაღვიძეთ, რომ მე მომველოო, რატომ არ მოისვენეთო .("რატომ მე არ გამაღვიძეთ, რომ მე მომველო ჩემ სოფოჩკასთვისაო").

უცნაურია ეს ამბავი, ეს ადამიანი იშვიათი არსება იყო და ჩემი ბედი, რომ იმ დროს ის შემხვდა ჩემ მომვლელ პატრონად. რაც შეეხება ვარიუშასა და არაპოვის ყარაულობას, ეს არ მიკვირს, რადგან ამ ახალგაზრდა ქალს იმაზედ უნდოდა გათხოვება. ასე რომ ჩემი ცერი მისთვის კარგი მიზეზი იყო, მთელი ღამე ანატოლ არაპოვის საზოგადოებაში გაეტარებინა.

ბოლოს ექიმმა გამომიცხადა, საჭიროდ ოპერაცია გამეკეთებინა, რომ მკლავი მაინც გადამერჩინა, მთელი ხელი მქონდა დასიებული.

ქართველმა დოსტაქარმა გამიკეთა ოპერაცია, სამწუხაროდ მისი გვარი არ მახსოვს, ვიცი რომ ორნი ძმანი იყვნენ.

ჰო და ამ კაცმა ადგილობრივ გაყინა ცერი და ისე დამიწო დანა, რომ ჩემი ჭყივილი ცას სწვდებოდა, მაშშიდებდა, მე კი

ვუყვიროდი: "თქვენ ნერვები არა გაქვთ და ამიტომ არ გესმით ეს საშინელი ტკივილები," -"ჰო, მე ნეგრი ვარ" სიცილით მიპასუხა.

თითქმის ერთი თვე ვიარე მასთან, ფიქრობდა ერთ დროს მეორედ გაეკეთებინა ოპერაცია და მთელი ცერი მოეჭრა, რადგან ძვალში იყო შესული ჩირქი, მაგრამ გადაიფიქრა, ყოველ თითის შესვევაზედ ტკივილები არა სცხრებოდა.

მაშინ, გენაცვალოს დედაშენი, შენ არა მყვანდი, ამიტომ შევაწუხე ჩემი დიასახლისი და სხვებიც, შენ ხომ არავის დააცდიდი ჩემ მოვლას და ალბად თავიდანვე ამაცდენდი ამ ჯოჯოხეთს.

გაიგეს ჩვენმა ქართველებმაც ჩემი ამბავი, მოდიოდნენ სანახავად, მაგრამ არავის თავი არა მქონდა, ისე ვიყავი დასუსტებული.

იქნება, შვილო, ეს არის მიზეზი, რომ შენ ასეთი უცნაური ცერი გიწყალობე, სხვანაირად გაუგებარია, რომ შენი მარჯვენა ცერი მთელი ხელისათვის შეუფერებელი და უშნოა, მაგრამ ჭკუითა და ხერხით გატენილი, რა ვიცი, რით აიხსნება ყველა ეს!

ერთ დღეს, როდესაც ჯერ კიდევ სახლიდან ვერ გავდიოდი, მომადგა არაპოვი თავისი სურათებით, დაჰკიდა ჩემს ოთახში და ამნაირად გამოფენა გამიმართა, რომ რითიმე გაერთე.

აკაკი ფაღავამ მშვენიერი სურათი საჩუქრად მომიტანა ლამაზ ჩარჩოში ჩასმული. ეს სურათი ვანდეიკისა, რასაკვირველია, არა ორგინალური, დაუტოვე საქართველოში, ბოლო დრომდე მეკიდა და შენც გიყვარდა ეს კარლოს მეშვიდის სახე.

გადიოდა დღეები, ტკივილები კი აღარ მაწუხებდა, მაგრამ არ იქნა და არა, ჭრილობა გახსნილი იყო და პირს არ იკრავდა.

ამ პირობებში ვახერხებდი საფრანგეთის რევოლუციას ჩავჯდომოდი, ეს იყო იმ წელიწადს უკანასკნელი გამოცდა, შემდეგ კი საქართველოში დაებრუნდებოდი. შეხვეული ხელით მივადექი პროფესორ ფორტუნატოვს, რომელიც ჩვენ ყველას გვიყვარდა.

მოხუცებული მაგრამ სულიერად უჭკნობი და ახალგაზრდა, რომლის სიცილი, უფრო კი კასკასი ბევრ ახალგაზრდას შეპშურდებოდა.

გარეგნობით პატარა ჩასქელებული კაცი, საშინელი ბოდოშალი, იმის ყელის სახვევზედ აშკარად დაინახავდით რამოდენიმე დღის საჭმლის ინვენტარს, როდის რა ჰქონდა ნაჭამი, სულ ზოლებ-ზოლებად ამკობდა მის "გალსტუქს".

ეტყობა, მარტოხელა კაცი იყო და მას მომვლელი არა ჰყავდა; მის თეთრ გაჩენილ, დიდისხის დაუბანელ თმებს გარდა თავისებური სურნელებისა ამშვენებდა პატარა ნაბდის ქუდი, სჩანს გაციებას ერიდებოდა, რადგან უიმისოდ ის არავის გვინახავს, ზამთარ-ზაფხულ ამ ქუდით იყო შემკული.

ვიფიქრე ამ შეხვეული ხელით რომ მნახავდა, შეეცოდებოდი და მალე გამომიშვებდა, შენც არ მომიკვდე;

ჯერ ამ თითის ამბავი დაწერილებით გამომკითხა და "Ах эта молодежь"

მისაყვედურა, თითქოს განგებ ვიტკინე ხელი.

დამიწყო გამოცდა, საგანი სიგრძე სიგანეზედ გადამაშლეინა, რასაკვირველია, ტოკვილის "ძველი წესწყობილება" იყო იმისათვის უმთავრესი, რომ იქიდან მოეცა კითხვები.

ხშირად სტუდენტები ერიდებოდნენ ამ დიდი ნაშრომის წაკითხვას წლის განმავლობაში და გამოცდისათვის სჯერდებოდნენ პროფესორის მიერ წაკითხულ ლექციებს. ეს ყოველთვის დაბეჭდილი ჰქონდათ ხელში მიცემული.

ამიტომ მიღებული იყო, თუნდაც არ წაგვეკითხა ეს ტოკვილის ნაშრომი, უნდა გეთქვა, რომ გადაბულბულებული გაქვს, მაშინ გაიგონებდი მის ქასქასს, თუ პირველსავე კითხვაზედ დაინახავდა, რომ ტყუილით აპირებდი ფონს გასელას.

მეც მკითხა ზოგი ერთი რამ იმ ნაშრომიდან, რაც ლექციებში არა ჰქონდა ნათქვამი. რომ დარწმუნდა მართალი ვუთხარი, კარგი ნიშანი დამიწერა და თან გამაფრთხილა, რომ ამ ხელს კარგად მოვუარო, მეტადრე გაზაფხულზედ იარა საშიშიაო. მიამბო როგორ დაკარგა ხელი მისმა ნაცნობმა, რომელმაც თურმე კალამი იჩხვლიტა. ამ კაცმა საშინელ გუნებაზედ გამომისტუმრა, მთელი გზა იმაზედ ეფიქრობდი, როგორმე ამეცდინა მისი მეგობრის ბედი.

როგორც კხედავ, ჩემო თეო, იმ წლის განმავლობაში ჩემი გამოცდების მსელელობა დაწვრილებით გაგაცანი, ეხლა ამის გარეშე, მინდა ჩემი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდიც იცოდე.

იმ წელიწადს ქართველებიდან ჩემი ხშირი სტუმარი იყო ჭაჭულია არჯევანიძე, რომელთანაც ბევრი მოგონება მაქვს დაკავშირებული როგორც მოსკოვში, ისე - ამ ბოლო წლებში. ეს უკვე საქართველოში, როდესაც ერთად მოგვეხდა მუშაობა ზაფხულის თვეებში, სახელდობრ მანგლისის საბაეშვო სახლში. ის ექიმად იყო დანიშნული, მე კი მასწავლებელ-მეთვალყურედ.

ეს ჭაჭულია პირველსავე წელს, როგორც იცი, მოვიდა ჩემთან ქართველ სტუდენტების სახელით, მთხოვა, ქართულ საღამოზედ მონაწილეობა მიმეღო.

ჩვენი პირველი შეხვედრა ეს იყო, ეკითხე, რამდენი ხანია, რაც საქართველოდან ჩამოვიდა და რომ აღმოჩნდა, სამი თვეა, რაც მოსკოვშია, რასაკვირველია, გამოვკითხე, რა ნახა, რა მოეწონა ამ ქალაქში. გაოცებული დავრჩი, რომ ამ ყმაწვილს არც არაფერი უნახავს და არც აპირებს ქალაქის დათვალიერებას, ამ ძველ ქალაქს არ იცნობს.

კვირის თავზედ კარები დამიკაკუნა, მთხოვა, წავყოლოდი ტრეტიაკოვის გალერეაში, მე გამეცინა და ვუთხარი, რომ დრო არა მაქვს მისი ხელმძღვანელი ვიყო, სჯობია, თვითონ გაიკვლიოს გზა. ამის შემდეგ იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს.

მოსკოვის ქართველ სტუდენტებში იმ დროს თავისი ეროვნული განცდებით დუღდა და გადმოდუღდა გრიგოლ ლაღიძე. აკი იმსხვერპლა კიდეც საცოდავი ბოლშევიკების ტყვიამ. ესეც ყოფილი

სათავადაზნაურო გიმნაზიის პატრიოტი მოწაფე. ჩემი კარგი ნაცნობი.

მაღალი, წარმოსადეგი, შავთვალჯიღა-წარბიანი, კარგი მეტყველი, მოსწრებული სიტყვის ოსტატი, მომღერალი და ერთობ შესახვედრად სასიამოვნო ადამიანი.

შეძლებული ბძის პატრონი, რომელიც ყოველთვიურად კარგ თანხას უგზავნიდა, გრიგოლი საშინელი დაუდევარი და ბოდოშალი იყო, ყოველთვის ცუდად ჩაცმული და ალაბათ მშიერიც.

ფულის მიღება და დასტიბუბუ ხშირი იყო, ჩვენი სტუდენტების გასართობი ქალაქდის თამაში და დიმიტრაძის რესტორანი.

მე კი ისე წამოველი მოსკოვიდან, რომ ჩვენმა ყმაწვილებმა იქ ფეხი ვერ შემადგმევინეს, ყოველთვის უარით ვისტუმრებდი.

გრიგოლის თაოსნობით იმართებოდა ლიტერატურული საღამო, სადაც მას უნდა ილიას "აჩრდილიდან" ზოგიერთი ადგილი წაეკითხა, მოვიდა ჩემთან და მთხოვა ილიას ნაშრომები.

მე მქონდა ოთხი წიგნი ლურჯ ყდაში და ზედ ოქროს ასოებით დაბეჭდილი: "ილია ჭავჭავაძე" "სონა".

შესულა მასთან ერთი ქართველი და რომ მაგიდაზედ ეს წიგნები შეუნიშნავს, შეწუხებული სახით უთქვამს: "კაცო, ილიას მთელი შემოქმედება წაკითხული მაქვს და შესწავლილი, მაგრამ "სონა" არ წამიკითხავს, თარგმანი ხომ არ არისო?" ეს ამბავი გადადიოდა პირიდან პირში და ამას სიცილი მოსდევდა.

მგონი გითხარი, ჩემო თეო, რომ ეს ოთხივე წიგნი საჩუქარი იყო ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნისას, დათიკო როსტომაშვილისა ამ წინასიტყვაობით: "მამულიშვილო სონავ". მხოლოდ ალარ მახსოვს, რას ეუბნებოდა ამ "მამულიშვილს". ეჰ, რა კარგია ახალგაზრდობა.

ეს წიგნები სხვებთან ერთად საქართველოში დავტოვე. გრიგოლი მემარჯვენე მიმართულების ახალგაზრდებისათვის ერთგვარი მეთაური იყო. მასთან შეხვედრა პირველ ხანებში ჩემთვის სასიამოვნო იყო, მაგრამ ნელ-ნელა დავიწყე მორიდება და ბოლოს კი წლების განმავლობაში ხმასაც ალარა ვცემდი.

იმ დროს მოსკოვში იყო ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელიც მოსკოვის ბუნებისმეტყველების კათედრასთან იყო დატოვებული და ლაბორატორიაში მუშაობდა. მას ჰქონდა აღებული ბინა და თავის ორ ახალგაზრდა დას თავისთან აცხოვრებდა. ესენი იყვნენ ლენა და თამარა, მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები.

აი იმან დაგვითმო თავისი ბინა, სადაც დროგამოშვებით ვიკრიბებოდით. იქ ვისმენდით ერთმანეთის მოხსენებებს ლიტერატურულ თემებზედ, ეს ჩვენი წრისათვის კარგი გასართობიც იყო და სასარგებლოც.

კარგად მახსოვს სიკო ვაჩნაძის მოხსენება: "რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში". სიკოს ბევრი ქება შევასხით, ისე გახალისდა სიკო, რომ ამბობდა კიდეც, "თავის მოკვლას ვაპირებდი,

რადგან უიმედობა დამეუფლა. ჩემი თავი უკარგისად ვიგრძენი და ეხლა კი ისე ვარ გამხნეებული, რომ ამ სისულელეზედ აღარც კი ვიფიქრებო".

ირაკლი ამირეჯიბის მოხსენებაც კარგი იყო და შინაარსიანი. ის ეხებოდა უფრო საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ცვლილებებს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. აღებული ჰქონდა არდაზიანის "მეეკლანუაშვილი."

ამის შემდეგ იწყებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საუბარი, სიცილსაც ჰქონდა ადგილი, მაგალითად, როდესაც შალვა ქარუმიძე დაიწყებდა ლაპარაკს და გვარწმუნებდა, რომ იესო ქრისტე ქართველი იყოვო.

ყველაფერი ეს კარგი იქნებოდა, რომ ერთ გარემოებას ჩემთვის ხელი არ შეეშალა, იქ დავრჩენილიყავი.

ჩემი მისვლა და ამ გრიგოლის უცნაური თავის დაჭერა ერთი იყო, დამიდგებოდა სკამის უკან, ასტეხდა სიცილს ისე, რომ ველარაფრით იმისი გაჩუმება და სიჩუმის ჩამოვარდნა ვერა ხერხდებოდა. მაშინ ავდგებოდი და წამოვიდოდი და ეს ბევრჯერ, ერთი სიტყვით, აუტანელი იყო ეს ყველასათვის, მით უფრო - ჩემთვის.

ერთხელ ქუჩაში შეხვედრისას კიდევ აიტეხა სიცილი, მაშინ ეკითხე: "რა არის ამის მიზეზი, ნუთუ სასაცილოდ გეჩვენებით თუ რა?" მითხრა: "რა ვქნა, როდესაც გხედავთ, როგორც უცბად ცივი წყალი გადაგასხან, ხომ დაიყვირებთ, ჰოდა, ამის მაგიერად მე ვიცინიო".

მისი ასეთი მდგომარეობა ყველამ შენიშნა და ამიტომ უმღეროდნენ თურმე მეგობრები: "თუ გრიგოლი ნებას მომცემს, სონას ვენაცვალებიო".

პაოლო იაშვილმა, რომ პირველად მნახა, სუფრაზედ ასეთი სადღეგრძელოთი მომმართა თბილისში: "მე მაგონდება მოსკოვის კრემლი და მასთან ერთად უხეშის ცრემლი". ამ კრემლში მათი შეხვედრა უნდა ჩემს შემდეგ მომხდარიყო, რადგან ჩემ დროს პაოლო იაშვილი მოსკოვში არ იყო.

ეს სიცილი, ეტყობა, მერე ტირილად გარდაექცა, მართლა მეტისმეტად მგრძნობიარე ადამიანი იყო.

ერთი შემთხვევის შემდეგ მე მას მთლიანად ჩამოვშორდი. თამარა ბნელაძე და მე ერთ საღამოს დაპატიჟებულნი ვიყავით ლეო ჩუბინაშვილთან, ამ მშვენიერ მომღერალთან. ვინ იტყოდა უარს მისი ხაერდოვანი ხმა მოესმინა.

ლეოს ცოლი რუსის ქალი, სანდომიანი ადამიანი, დიდი მოყვარული ქართველებისა, მალე შეეთვისა ჩვენს ჩვეულებებს და ამიტომ ხალისიანად პშლიდა ქართულ სუფრას.

რასაკვირველია, გრიგოლ ლალიძე თავისი ამქრით იქ დაგვიხვდა. კარგად ვისიამოვნეთ და თერთმეტ საათზედ დავიშალენით.

რადგან საღამოთი მარტოკას არ მიყვარდა სახლში დაბრუნება, ერთ-ერთმა შემომთავაზა თავისი სამსახური. ის იყო ვსხდებოდით ტრამვაიში, რომ გრიგოლმა ხელი მომჭიდა და მით-

ხრა, მე გაგაცილებო, მაგრამ ეს ისეთი დაჟინებით და ხმაურით, რომ ვეცადე ხელი გამენთავისუფლებინა, იმან არ გამიშვა. მე საშინლად გავბრაზდი, "სილას გაგარტყამდით, მაგრამ ისეთი ჭუჭყიანი ხართ, რომ ამის ღირსადაც არა გთელით" - ბედნიერი ვიქნებიო, მითხრა, ამ დროს სხვებიც ჩაერივნენ, როგორც იყო მაგრად ჩაჭედილი ხელი გავაშვებინე, წავედი მთლად დაშლილი, აწეწილ გუნებაზედ. თუმცა ჩემი მხლებელი, რომლის გვარი აღარ მახსოვს, მაშვიდებდა, გრიგოლი ცოტა ნასვამი იყო, ისეთი არაფერი გაუბედნიაო; მაგრამ მე აღარ ვიგულვე ის ჩემ ნაცნობებში და გავწყვიტე მასთან ყოველგვარი შეხვედრაც კი, თუ სადმე მეგულებოდა, მე იქ არ მივიდოდი, თუ ქუჩაში თვალს მოვკრავდი, მეორე მხარეს გადავდიოდი.

თუ ის თავისი სიცილით მიჭირებდა საქმეს, მე სიჩუმით ვსპობდი ამ ადამიანს, ეს იყო 1910 წელს.

როდესაც 1917 მას შევხვდი თბილისში, მომიახლოვდა და მითხრა: "მას შემდეგ, რაც რუსეთი და გერმანია შერიგდნენ, ჩვენც შეგვეძლიან ერთმანეთს ხელი ჩამოვართოთო".

ჩემო თეონი, ალბათ გიკვირს ჩემი ასეთი სიმკაცრე და უგულობა, მეც გეთანხმები, როდესაც ვიგონებ ჩემს ახალგაზრდობას, ეხლა საშინლად ეწუხვარ, რამდენი მტერი გავიჩინე, შეიძლებოდა ეს ამეცდინა, რომ ცოტა მეტი გაგება და ლმობიერება გამომეჩინა.

ბევრჯერ აგიხსენი და გაგაგებინე, რომ პატარაობითვე იმდენი მელაპარაკეს გათხოვებაზედ, რომ შემაძულეს მამაკაციც და ყოველივე გრძნობა, რომელიც ამ მიმართულებით უნდა განვითარებულიყო.

ან იქნება, ზოგიერთი იწვევდა ჩემში ისეთ რეაქციას, როგორც მაგალითად, გრიგოლ ლალიძე, რომელიც არასდროს სიყვარულზედ არ მელაპარაკა, მაგრამ შემაძაგა კი თავი, ყველამ იცოდა მისი ტრაღედია, ბევრს მელაპარაკებოდნენ, მაგრამ ვერავინ ვერ მომილბო მის მიმართ გული.

მოსკოვის სტუდენტების სასადილოში გავიცანი ნოე ცინცაძე.

როდესაც მოსამსახურე ქალი წვენს არიგებდა, ვინც ახლო იჯდა, იმას მისცემდა მათლაფას და ის თავის მეზობელს გადასცემდა და ამნაირად ეს წვენი ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე მაგიდის ბოლოში მჯდომს არ დაუდგამდნენ. ბოროშით საესე მათლაფა რომ მომაწოდეს, მივუტრიალდი ჩემ მეზობელს, მაგრამ უარის ნიშნით მან ხელი ჩამიქნია, შევხედე წითელთმიან ახალგაზრდას. მთლად გაწითლებულს ჭამის მადა ჰქონდა დაკარგული, იმდენად იყო მორცხვი და მორიდებული.

სადილის შემდეგ რომ ავიშალენით, იმის გარშემო დავინახე ქართული სახეები და გავიგონე ქართული ლაპარაკი. არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი.

წამოვედი სახლისაკენ, მომესმა რაღაც ბუტბუტი, მხოლოდ ჯერ ვერ გავარკვიე, რა ენაზედ მელაპარაკებოდა, ან ვინ იყო, ვიფი-

ქრე, ალბათ მათხოვარი თუ მომდევდა და ცოტა არ იყოს გაბედულად და მკაცრად შეეხედე. მაშინაც, ყოველთვის, ჩემო თეონი, ყველაფრისა მეშინოდა, მეტადრე რუსის ბოსიაკისა, ჰო და შემრჩა ის ყმაწვილი, რომელიც იმ დღეს უსადილოდ მყვადა დარჩენილი, მითხრა, რომ ბოდიშს იხდის, რადგან მიცნობს, "სალამი ვერ მოგეცითო".

მე არ მახსოვდა, სადა ვნახე, ან სად გაეცანი.

მომაგონა ერთი შემთხვევა, როდესაც გრიშა ჯაფარიძემ ჩემთვის ბაირონი დახატა და ეს სურათი მაჩვენა, ჩემი აღტაცება უსახავს იმჟამად იქ მყოფ ნოე ცინცაძეს, მე კი სრულებით არ მახსოვდნენ იქ მყოფნი, რადგან მე და ცაცა იმ საღამოს თეატრში მივდიოდით და გვეჩქარებოდა.

ხომ გახსომს, თეო, ნოეს რომ ეს ამბავი მოეგონე, როგორ იხითხითა, სახლამდე მომაცილა, მაგრამ მე სახლში არ დამიპატიჟებია. შემდეგ მოვიდა და ბარათაშვილის წიგნი მთხოვა. ეს იყო კარგი ნიშანი, ასე დაიწყო ჩემთან სიარული.

გაიგეს ჩვენმა ყმაწვილებმა და აღარ ათავებდნენ: "ნოე ცინცაძე თურმე სონასთან დადის და იქ პატრიოტობსო, მაგრამ იმის სახლიდან გამოსული კი ისევ ძველ რჯულს უბრუნდებაო".

ნოე ცინცაძე თავისთვის მუშაობდა, ბევრს კითხულობდა, ხელოვნებასაც თვალყურს ადევნებდა და ამაზედ მეტს მაშინ სტუდენტს არაფერსა ვთხოვდით. იმ დროს თავისი პირადი იდეებით ის მე არ მაწუხებდა, მხოლოდ შემდეგ საქართველოში, სადაც ხშირად მქონდა შემთხვევა, მისგან მომესმინა უცნაური ანტიეროვნული აზრები, ეხლა ალბათ თვითონაც გაუკვირდება, მაგრამ იჯიუტებს; ხომ გახსომს, თეო, შენის თანადასწრებით, ჩვენთან რომ მოვიდა. ბევრი რამ წარსულიდან წამოვულაგე, რა უცნაურად შეატრიალა საკითხები, ამის დამატებით: "მაგაში არაა საქმე"(Sic).

რაც შეეხება მის განწყობილებას ჩემს მიმართ, არც ის იყო ჩემგან დიდად განებივრებული, ისე რომ კარგი, სასიამოვნო მოგონებები არ უნდა დარჩენოდა იმას იმ ხნის განმავლობაში.

იმავ წელიწადს მოსკოვში ჩამოსული იყო პატარაობის მეგობარი, ჩემი ძმა ირაკლის მახლობელი ილიკო აბაშიძე, რომელიც კონსერვატორიაში სწავლობდა, ის ვიოლონჩელის კარიერისათვის ემზადებოდა.

ჩემთან რომ მოვიდა, ძალიან გამიხარდა, ვიფიქრე, მარტო აღარ ვიქნები და გაჭირების დროს პირის მისამართი მეყოლებოდა.

მოდიოდა ხშირად უფრო სხვებთან ერთად, რამოდენიმეჯერ სიმფონიურ კონცერტებზედაც წამიყვანა, რომლის დირიჟორი მაშინ დიდი ცნობილი კუსევიცკი იყო. იქიდან, რასაკვირველია, მარტოკას არ გამომიშვებდა და როგორც ნამდვილი ძმა, ისე დამტრიალებდა.

ერთ დღეს საშინელი ყინვა იყო და ლექციებზედ წასვლა ზედმეტად მივიჩნიე, დილის თერთმეტ საათზედ ილიკომ ტელეფონი

დამირეკა, მკითხა, სახლში ვარ თუ არა, რომ გაიგო, დაღებითი პასუხი, მოვიდა.

შემოვიდა ძალიან დინჯად, სხვა დროს მხიარული და ყოველთვის საოხუნჯოდ გამზადებული, იმ ჟამად პირმოქუშული, გაფითრებული და ღონედაცლილი სკამზედ დაესვენა.

შემწუხა მისმა ნახვამ, ვკითხე, რა დაემართა და როდესაც ხმა ამოიღო, რალაცა წაიბუტბუტა, მივხვდი, რომ ჩემთვის რაღაც უსიამოვნოს მეტყოდა, მაგრამ არ შეუამჩნევინე და ვკითხე, რა აწუხებდა, მაშინ მომართა ენა: "ერთი ქალი მიყვარს და ის კი ძმასავით მიყურებს და არ ვიცი, როგორ მოვიქცეო".

— თუ ჩემი რჩევა გინდა, ილიკო, არავითარ შემთხვევაში მას ეს გრძნობა არ გაუზიარო, თორემ შეგიძაგებს და იქნება, ნახვითაც ველარა ნახო, აი, ჩემი პასუხი.

"წარმოიდგინე, სონა, რომ შენა ხარ, შენ მიყვარხარ და მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან, მინდა იცოდე, თუ უარს მეტყვი, თავის მოკვლა მაქვს გარდწყვეტილიო".

ბევრი ილაპარაკა, მაგონებდა, ჩვენი შეხვედრების დროს ზოგიერთ წვრილმანს, რაც მას სანუგეშოდ მიაჩნდა, იმედებიც ებლეოდა, მაგრამ ეს ძმური სიყვარული მას ჭკუაში არ უჯდებოდა.

იჯდა მთელი დილა, მე სიცილით ვუპასუხებდი ყოველივე მის ლაპარაკს და დებულებებს. ამნაირად მიდიოდა დრო, სადილის იმედი დაკარგული მქონდა, რადგან ჩემი სასადილო ადრე იკეტებოდა.

დიასახლისმა რამდენჯერმე კარები დამიკაკუნა, რომ მოეგონებინა ჩემთვის, არ დამეგვიანა და უსადილოდ არ დავრჩენილიყავი, მაგრამ ამაოდ.

ჩემი სტუმარი ფეხს არ იცვლიდა, მისი ატანა უკვე ბნელდებოდა. ბოლოს ნაშუადღევის მეხუთე საათი იყო, ვიფიქრე სპირტოვკაზედ ადვილად მოიხარშებოდა სახელდახელოდ რომელიმე ფაფა, ჰო და გადმოვიღე "გერკულესის" ყუთი, მოზრდილი კასროლი ჩემ დიასახლისს გამოვართვი და წყლით სავსე დაედგი ცეცხლზედ.

ილიკო მიბნედილი განცდებით თუ შიმშილით თვალს არ აშორებდა ამ ჩუხჩუხა ქვაბს და თან ოხრავდა.

ათ წუთში მზადა მქონდა საჭმელი, ორი დიდი მათლაფა ოშხივარით ჩემს პატარა მაგიდაზედ კლიენტებს ელოდებოდა.

ცოტა რომ ფაფა შეცივდა, ერთი მათლაფა იმას დაუდგი, მეორე ჩემთვის მოვიმზადე.

ჯერ საშინლად იწყინა, რა უცნაური ადამიანი ხარ, რა დროს ჭამაა, მე მაგას არ გაველკარებიო, ეს როგორ მოგვიდა თავში, მერე ამოდენა რამ გაგაკეთებინა.

მე ყური არ ვათხოვე, დავიწყე ჭამა, მაგრამ დროგამოშვებით იმის მათლაფასაც თვალს დავკრავდი. პატარა ხანს უკან დიდი სიჩუმე ჩამოვარდა ჩემს ოთახში. მისმა მათლაფამ ადგილი შეიცვალა, ზედ კარაქის ნაჭერიც დასტივტივებდა და ეს ჩვენი შეყვარე-

ბული ილიკო ხარბად მისდგომოდა ამ ფაფას და ვატყობდი, ჰაი, ჰაი და მე გამისწრობდა ამ მათლაფის მოსუფთავებაში და ჩემი სახეც სარკეში ადვილად გამოჩნდებოდა.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ დარჩენილა ჩემთან, ჩაიცვა მშვენიერი ქურქი ნაცრისფერ ტყავის საყელოიანი, ამაღე ფერის ტყავის ქუდით შეხამებული.

ალბად იმ დღისათვის საგანგებოდ იყო მორთული; მეც ხომ კარგად დავუხვდი, ფაფით გავუმასპინძლდი. დაეულოცე გზა და გავისტუმრე.

ერთი კვირის შემდეგ მოვიდა, უკვე უსიტყვოდ გადმომცა გაშანშალებული მთელი თაბახი, მთხოვა წამეკითხა, იქ უკვე დაბეჭითებით ლაპარაკობდა თავის მოკლეაზედ, მთხოვდა_ საფლავზედ ყვავილები მიმეტანა და ორიოდე ცრემლიც არ დამშურებოდა.

მაშინ კი სერიოზულად გამოველაპარაკე და დავარწმუნე, რომ ის სცდება, რომ ასეთ დროს ადამიანი მადას პკარგავს და შენ, ჩემო ილიკო, ერთი მათლაფა გერკულესი ერთ წუთში, უსუნთქებლივ შეტყლიპე, ამ შეყვარებულმა ადამიანმა; დაიწყო ამზედ სიცილი და ცოტა არ იყოს, მოეშვა კიდეც.

მშვიდობიანად დაეშორდით ერთმანეთს, ცუდი რამ ჩემი მას ყოველთვის ეწყინებოდა, მხოლოდ კარგიც თუ არ გაახარებდა, იმ დროს არაფერს მავნებდა და არავითარ მტრობას არ გამოიჩენდა, საღი ადამიანი იყო.

საბოლოოდ, რამდენადაც ვიცი, ცოლთან ბედნიერი იყო, ალბად გერკულესის ამბავს ხანდახან მაინც მოიგონებდა და ბევრს შემომიკურთხებდა კიდეც: "შე საბაგელო სონაო.".

ამ ამბავმა მალე ჩვენი კოლონია შემოიარა, ალბად ილიკომ ერთ ამხანაგს თვითონ გაუზიარა, ეს ხომ საკმარისი იყო, პირიდან პირში გადასულიყო, მე ხომ იცი, ჩემო თეო, რა პატივით ვეპყრობი სხვისა საიდუმლოებას, მეტადრე ახალგაზრდობისას, არასოდეს მე არ ვიტყოდი, ვის რა გრძნობა ჰქონდა ჩემს მიმართ, ეს იმათ უნდა ეკითხოთ, ვინც თავისთვის ვერ იტევდა გრძნობებს და ამხანაგებს უზიარებდა.

ეს კია, რომ უბარი წამალი აღმოჩნდა ჩვენს უდარდელ წრეში ჩემი გერკულესი: "არ გაგიწყრეს ღმერთი, არაფერი უთხრა შენს გრძნობებზედ სონას, თორემ ილიკოს საქმე დაგემართება, გერკულესს გაჭმევს და გატრიზავებულს გამოგისტუმრებსო", აფრთხილებდნენ ერთმანეთს ჩვენი ყმაწვილები.

ამისდა მიუხედავად ილიკო ჩემზედ ნაწყენი და გაღიზიანებული არ დარჩენილა, თუმცა აღარ დადიოდა, მაგრამ შუაღდრის დროს თავი რიგიანად ეჭირა. ამ მხრივ ქართველს არა ჰგავდა, რომელიც ამ შემთხვევაში თავს შეურაცყოფილად გრძნობს და თუ შესძლო, მტრობასაც არ დაგაკლებს.

არც ერთი რუსი სტუდენტი იმ წელიწადს ჩემთან არ მოსულა, თუმცა ზოგიერთებს ვიცნობდი.

არ დაივიწყო, რომ რასაც ეხლა გიამბობ, ეს ყველაფერი ხდება მეორე წელიწადს, რომელიც ჩემი ხელის ოპერაციით დაბოლოვდა.

თამარა ბნელაძე თავის კონსერვატორიის მოწაფეებით ზოგჯერ მოდიოდა; ერთხელ მას მოპყვა ერთი ვიოლონისტი გვარად ნიკოლსკი. ამან ჩვენ დაგვპატიჟა სინემაში. რომ მივედით, დავეისვდა თვითონ და გაგვაცნო ერთი ქალი, ელენე რაისკაია, რომელსაც ხელში ვიოლონჩელო ეჭირა, აღმოჩნდა ესეც კონსერვატორიის მოწაფე იმ ჟამად სინემის ორკესტრში ვიოლონჩელის დამკვრელი.

შუა ტანის მქონე, შავგვრემანი თმა გაკრეჭილი (იმ დროს იშვიათი მოვლენა). ერთი სიტყვით, არც ერთი ხაზი თუ წვრილმანი მის გარეგნობას ქალისა არა ჰქონდა, ეცვა ლურჯი ტაიორი თავის შესაფერისი ყელსახვევით,

შევედით ლოჟაში და ეს ქალიც შემოგვყვა, არც ერთხელ იმას სცენისაკენ პირი არ უქნია, ახლო მეჯდა და მომჩერებოდა, ადამიანს ეგონებოდა, ჩემ სახეზედ რაღაც საიდუმლოება უნდა ამოეკითხა, არ მომეწონა მისი თავის დაჭერა.

ეს ნაცნობობა მომიწყო ამ ნიკოლსკიმ, რომელსაც ჩემი ცხოერება ნორმალურად არ მიაჩნდა და იფიქრა, იქნება ამ ელენა რაისკაიამ გაიგოს ქართველი ქალის ნამდვილი გულის ამბებიო.

მეორე დღესვე ამ ქალმა ტელეფონი დამირეკა, მთხოვა ნახვა, მოვიდა და მთელი თავისი ცხოერება, უფრო კი თავისი ტრაედია გადმომიშალა, აღმოჩნდა ინჟინრის ქალი, დედის ერთა.

"სულ გათხოვებაზედ მელაპარაკებიან სახლში, მე კი მინდა ცოლი შევირთო, თუმცა ბევრი სატრფო ქალი მყავს, მაგრამ ოჯახის გაჩენა გარდავწყვიტე და ეფიქრობ, ეს იქნება ჩემთვის უკეთესი, ბევრს აღარ ვიწანწალებ და ჩემს მუსიკასაც უკეთ მოვუვლიო".

ჩემო თეო, გენაცვალოს დედა, ადვილად წარმომიდგენ, ამ აღსარებას რომ მოვისმენდი, რა გაოცებული და შეწუხებული ვიქნებოდი ამ ქალის დარბაზობით.

პირდაპირ ვკითხე: "თქვენ ჭკუაზედ როგორა ხართ. ნორმალური არ მეჩვენებით და არ ვიცი, რად დაგჭირდათ ან ჩემთან მოსვლა, ან თქვენი საიდუმლოების გაზიარება, მე ხომ სრულიად უცხო ვარ თქვენთვის".

ამაზედ მომიგო, რომ ფიზიკურად მთლად ნორმალური ვარ ე.ი. ქალი, მაგრამ ფსიხოლოგიურად მამაკაციო, ამოიღო და თავისი სურათი მაჩვენა მამაკაცის ტანისამოსში გადაღებული, მართლაც ნამდვილი მამაკაცი.

აბა რას ურჩევდი, გარდა იმისა, რომ უნდა ფსიხიატორისათვის მიემართნა. წავიდა, მაგრამ მთელი ის გაზაფხული გამიშხამა, ყოველ დღე ტელეფონს მირეკავდა, რამოდენიმე ქართული სიტყვით დამიწყებდა ლაპარაკს, მერე მთხოვდა ნახვას, უარით ვისტუ-

მრებდი ყოველთვის, ქუჩაში მელოდებოდა, თუ იცოდა, როდის მივდიოდი ლექციებზედ.

ერთ დღეს, სწორედ ჩემი თითის ოპერაცია რომ გაეგო, მოვიდა ჩემ სანახავად და ისე რომ არ გამაფრთხილა.

შეწუხებული შემოვიდა, დამიჯდა გვერდზედ და ვითომ მანუგეშებდა, უცბად ვიგრძენი მისი უცნაური თავის დაჭერა, აღელვება და საშინელი სახის გამოშეტყველება, წამოვხტი, დაუყვირე და ჩემი ოთახიდან გასვლა მოვთხოვე და ეს ყველაფერი ისეთი მაღალი ხმით, რომ ჩემი ვარვარა სემიონოვნა კარებს მოადგა, შეშინებოდა, ამ ჩემმა სტუმარმა ხელი ხომ არ მატკინა.

ელენა რაისკაია დაჩოქილი მეევედრებოდა, ნუ გამაგდებთო, ბოდიშს იხდიდა, მაგრამ ჩემი შეუბრალებლობა და სიმკაცრე ერთი იყო, ამიტომ ოთახიდან ისე გავიდა, რომ ვერც კი შევნიშნე, რადგან აღარაფერი მესმოდა.

ჩემი დიასახლისი მანუგეშებდა: "იქნება ეს ქალი ლოთია, ამიტომ გადაგეკიდათ, იცოდეთ, მე მაგას კარებს აღარ გაუღებ, ყოველთვის ვეტყვი, რომ სახლში არა ხართ. მალე კი თქვენ ქვეყანაში დაბრუნდებით და ეგ იქ ველარ გიპოვნითო".

თუ ნიკოლსკიმ ეს ქალი სეირის საყურებლად გამაცნო, მალე გაიგებდა თავის მარცხსაც.

ერთი სიტყვით, ჩემო შვილო, ჩემო თეო, მთხოვე ჩემი ცხოვრების ყოველიეე ბილიკი გაგაცნო, ავატარ-ჩამოგატარო, ვინ იცის, იქნება შენც არ მოგეწონოს ჩემი მაშინდელი ცხოვრება, მაგრამ ეტყობა, ჩემი ბუნება ამ თანამედროვე ცხოვრების ზოგიერთ კაპრიზებს საშინლად ჰკიცხავდა, მაშინ როდესაც ჩემს გარშემო მყოფნი სხვანაირად ფიქრობდნენ და მოქმედობდნენ.

ჩემ მძიმე პირობებში სახლიდან წასვლა, მოსკოვში მარტო ცხოვრება დედას სურვილების წინააღმდეგ ხომ სრულიად გაუგებარი იქნებოდა, რომ მხოლოდ სწავლაზედ არ მეზრუნა, დროზედ გამეთავებინა ეს ჩემით დაწყებული საქმე და დროზედ დაბრუნებოდი დედაჩემს და ჩემ ქვეყანას.

რამდენადაც მახსოვს, იმ დროს მხოლოდ მე ჩამოველი რუსეთიდან ქართველ ქალებში, რომელსაც დანიშნული არ ახლდა, ამით თითქოს ვამაყობდი კიდეც; დედას ერჩივნა იქიდან მაინც ეი რუსეთიდან ჩამომყვანა მისთვის სასიძო. ამაოდ, ამისი ნატვრა დედას 1919 წლამდე ვერ შეუსრულე.

დადგა დრო, რომ თბილისისაკენ გამგზავრებაზედ უნდა მეფიქრა, ამ ხელით მატარებელში როგორ უნდა ვყოფილიყავი რამოდენიმე დღე, რომ ხელი არ შეეხვიათ. ეს კი ადვილად მოხერხდებოდა, თუ დიდ ქალაქებში დიდხანს გავჩერდებოდით და ექიმის კაბინეთს მივაგნებდით.

ჩვენი "მაქსიმ გორკი" ამის საშუალებას მომცემდა,რადგან ეს მატარებელი კი არ მიდიოდა, მიგოგადდა.

წასვლის დღეს თამარა ბერელაძე დილიდანვე ჩემთან იყო მოსული, ბარგის ჩალაგებას შეუდგა, მე ცალხელა ვერაფერს გაჟა-

კეთებდი, მაგრამ ამ საქმეში მარჯვედ ეხმარებოდა მას ანატოლი არაპოვი.

"ბოშო, ერთი სიტყვა მაინც უთხარი ამ კაცს, ვერა პხედავ, რა დღეშიაო." აბა რა უნდა მეთქვა, როდესაც ვინმე მადლობას ეუბნებოდა, არ ვიცი, რატომ, მას ძალიან არ უყვარდა და დაუმატებდა: "Не стоит за такие малости, ეს ღა გაკლიათო".

მოვიდა ვანკაც, ჩავსხედით მე და თამარა, უკან რომ მივიხედე, არაპოვი გაფითრებული იდგა, თვალს ადევნებდა ეტლში შებმულ ცხენების მოძრაობას, გაყუჩებული ყურს უგდებდა ეზოს ქვაფენილზედ მათ მიერ ატეხილ ბრახაბრუხს.

ადამიანს ეგონებოდა, ცდილობდა მეხსიერებაში სამუდამოდ შეებოჭა ეს ეტლი თავისი მოგზაურებით და ის სმაური, რომელიც მის ყურებს მწარედ აბრუებდა, საერთოდ კი მთელ არსებას სჯაჭვამდა.

მისმა ნახვამ, სწორე გითხრა, შემაწუხა და იმდენად, რომ მთლად დამეკარგა სურვილი იმის შესახებ თამარასათვის რაიმე მეთქვა, გამეზიარებინა ჩემი მწუხარება, რომ დატანჯული არსება დავტოვე. ისე ვერაფრით ვასუგეშე, ერთი სიტყვა მაინც რომ მეთქვა, იმისათვის მალამო იქნებოდა, მაგრამ იმედიც ხომ მიეცემოდა, ეს კი იქნებოდა ჩემის მხრივ უპატიოსნობა.

ეს წელიწადი ასე დამთავრდა, თუმცა ბევრი ხალხი გავიცანი, ბევრი მათგანი შემდეგ ცხოვრებაშიაც შემხვდა და მინდა გითხრა, ჩემო თეო, თვალს რომ გადავაყრებ იმ განელილ წელს, ხშირად ეფიქრობ, რომ ან ვიყავი გიჟი, მთლად დასაბმელი, რადგან ბევრი შემთხვევა, ძალიან კარგი ხელიდან გავუშვი, ან ვიყავი მეტისმეტი გულქვა და მთლად ადამიანობას მოკლებული.

არ ვიცი, როგორ ფიქრობ, ჩემო თეონი, რომელი ჩინი მივიკრა, უადამიანობა თუ სისულელე, ვფიქრობ, ორივე ერთად მქონდა შეზავებულ შეხმატკბილებული. ჩემი უცსაურობა ყველამ კარგად იცოდა; მაგალითად კრუბერებთან პირველ წელს გაცნობილმა ბორისმა, რომლის გვარი აღარ მახსოვს, მომწახა, საიდან გაიგო ჩემი მოსკოვში ყოფნა, არ ვიცი.

ერთ დღეს, როდესაც სახლში არ ვიყავი, ჩემს ოთახში შესულა და ბარათი დაუტოვებია: მწერს, რომ უნდა ჩემი ნახვა, მპირდება, რომ მალე შემოეალო და ხელს აწერს "თქვენი ბორისიო".

ეს მე ძალიან არ მომეწონა, ასეთი გამბედაობა და ვთხოვე ჩემს ვარვარას, მეორედ ის ჩემთან აღარ შემოუშვას.

მალე დარეკა ზარი, ჩემი ოთახიდან კარგად პხედავდა სისათლეს, მაგრამ მიღებაზედ უარს ეუბნებიან, ბევრი იტრიალა, მაგრამ ამაოდ, სახლში არ არიისო, არწმუნებს ჩემი დიასახლისი.

რას იფიქრებდა ეს ყმაწვილი, ვინ იცის, ჩემ სასარგებლოდ მაინც ვერაფერს. როგორც გითხარი, დავტოვე ჩემი კარგი დიასახლისი, საცნობი ანატოლი არაპოვი; თამარა ძნელაძის თანხლებით, ჩემი შეხვეული ხელით, რომელიც მხარზედ ჩამოკიდებულ თეთრ

ნაჭერს ფრთხილად ეჭირა, რადგან მისი დატოვება თავისუფლად შეუძლებელი იყო, მისი განძრევა ექიმისაგან აკრძალული მქონდა, სადგურზედ მივედი.

ჩვენი ვაგონი სავსე იყო მოსკოვის ქართველ სტუდენტებით, ბევრნი იყვნენ პეტერბურგიდანაც ისე, რომ მარტო არ ვიქნებოდი გზაში და ხელსაც რიგიანად მოვუყრიდი.

მართლაც დიდ სადგურზედ რომელიმე მათგანი სიამოვნებით მომდევდა მახლობელ აფთიაქში და ხელს მოვლა არ აკლდებოდა.

თბილისში ჩასვლა ჩემთვის ყოველთვის დიდი ბედნიერება იყო, ჰაერი, ლამაზი ხალხი, განსაკუთრებით ქართული თვალები, რაც ისე მაკლდა რუსეთში, სადაც ადამიანის თვალები მეტისმეტად უფერულია, მეგობრები, ნათესავები, ყოველთვის ეს ჩემში მრავალფეროვან განცდებს იწვევდა და ამით ბედნიერი ვიყავი.

მივედიარ წყნეთის ქუჩაზედ და ერთი ბიჭი ასე ათი, თერთმეტი წლისა, კისერზედ ჩამომეკიდა "ქალბატონო სოფიო და კოცნა დამიწყო".

პირველ წელს რომ ქართულ გიმნაზიაში ვმასწავლებლობდი, ეს ბიჭი გვარად მაღალაშვილი, როგორც მახსოვს, იმ გიგას მეგობარი იყო კლასში, რომელმაც ამაყად გვაუწყა, რომ მისი მამა "გუთნი დედაა".

ძალიან მესიამოვნა ამ ბიჭის ნახვა.

თბილისში დაერჩი კიდევ კარგა ხანს, რადგან ხელი კიდევ მოითხოვდა ექიმთან სიარულს, ექიმი სანდრო დიასამიძე გაცებული იყო, რანაირად გაკეცილდა ეს ჭრილობა და პირს არ იკრავდა.

ერჩებოდი თბილისში კიდევ სხვა მიზეზით, რაც მთავარია, საზოგადოება ელოდებოდა ივანე ჯავახიშვილის ლექციებს, როგორც ეს ხდებოდა ყოველ გაზაფხულზედ, ამის შემდეგ კი მიველი სოფელში ამ შეხვეული ხელით და დედარჩს ბევრი ცრემლი ვაღვრევინე.

იმ ხანებში მიველე თამარა ორბელიანის წერილი თხოვნით ზაფხული ჭიათურაში იმათთან გამეტარებინა და მისი დისწული გიასათვის ე. ი. კიტას შვილისათვის ქართული ენის გაკვეთილები მომეცა.

ეს კიტა აბაშიძის ბავშვი სუსტი იყო, ამიტომ პატარაობითვე სახლში იწვევდნენ მისთვის მასწავლებლებს.

მე უარი მივწერე, ვარჩიე სახლში ყოფნა და ზრუნვა იმაზედ, როგორმე შემოდგომაზედ მოსკოვში დავბრუნებულიყავი, მაგრამ როგორ, ჩემი კაპიტალი აღარა მქონდა, რომლითაც იმ წელიწადს კარაგად ვისარგებლე, დედას იმედი, რომ ეხლა მაინც მომეშველებოდა, ზედმეტი იყო და ის ზაფხული ამიტომ ძალიან უგემურად გავატარე.

ცხენზედ ჯდომა იყო ჩემთვის ერთადერთი გასართობი, სტუმრობა საერთოდ არ მიყვარდა, ამიტომ ბევრი სამდურავი მივიღე

იმზაფხულს, დაპატიჟება ბევრი იყო, მხოლოდ დედაჩემი მარტო არ მიდიოდა, რადგან ძალიან უყვარდა ჩემთან ერთად საზოგადოებაში გასვლა.

თუ, ისიც იშვიათად, დამითანხმებდა ლინეიკაში ჩავდომას, გზაში ამას მთხოვდა: "ხომ იცი, შვილო, დამკვრელებიც ეყოლებათ, ლეკურსა გთხოვენ, უარს ნუ იტყვი, სირცხვილია, ამპარტავნობას დაგწამებენ, მინდა, გენაცვალე, განახო, მეც დიდიხანია შენი ლეკური აღარ მინახავს, მაჩვენე შენი ხელის გაშლაო". ხელი იმ დროს მორჩენილი მქონდა, თორემ მე ხელებს ვერ გაუშლიდი.

ჩემი ძმები საზღვარგარეთ იყვნენ, თორემ ირაკლი იქა მყოლოდა, უარს როგორ ვიტყოდი ლეკურზედ. მე და ის ხომ ფეხის ადგმის შემდეგ ერთად ვცეკვობდით, ერთად ვხტოდით, ჩიტის ბუდეებსაც ერთად ვყარაულობდით, ცხენებს ხომ ვაჭენებდით და ლეკურითაც მაყურებელთ ხშირად ვართობდით. საზოგადოებაში რომ გამოვჩნდებოდით, "და ძმა" გაისმოდა, გამოხტებოდა ჩემი კოხტა ძმიკო, დაურბენდა და ჩემს წინ გაჩერებული, ფეხის წვერებზედ გაუსვამდა, მხოლოდ ისე კი, რომ ტანის ზემო ნაწილი ცოტა თუ შეირხეოდა.

მისი ცქერით გახალისებულნი დამკვრელები ააჟრიალებდნენ თავიანთ დასაკრავს და საზოგადოების დიდი მოწონება და ტაში ხომ მეც მერგებოდა, როდესაც მასთან ერთად დაუელიდი დარბაზს,

რა ბედნიერი და ამაყი იყო ჩვენი მაყურებელი, ახალგაზრდა, მშვენიერი, კეკლუცი დედაჩემი.

მე და ირაკლის ცეკვა უფრო კი მაშინ გვიყვარდა, როდესაც დედას ეჭირა ხელში დაირა, მშვენიერი დამკვრელი იყო, ძველებური რუხით იწყებდა, შემდეგ გადადიოდა დოლურ დაკვრაზედ, ეს ორნაირი ხელის მოსმა დაირაზედ ჩვენ ორივეს ძალიან გვახალისებდა და სიამოვნებით ვცეკვებოდით.

ბევრი ვეცადე, ეს დაირის დაკვრა მეცა მცოდნოდა, წავიღებდი დაირას, შევიდოდი ჩვენ კარის ვენახში და კარგახანს ვაბრახუნებდი იმ იმედით, რომ არავის შევაწუხებდი, მაგრამ ამაოდ, დედას ლაზათიანი დაირის დაკვრა მაინც ვერ ეისწავლე.

ეჰ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო დედავ!!!!

---

1 აქვე ვათავსებ ლექსს, რომელიც დავწერე ემიგრაციაში ნოემბრის 21-ს 1946 წ. კლამარი

ჩემო ძვირფასო მშობელო, ჩემო კეკლუცო დედაო,
უშენოდ ყოფნა არ მინდა, მე შენთან მენატრებაო,
სიზმარში მაინც მესტუმრე, ჩემო ლამაზო ვერაო,
ან იქნებ, ისე მოხუცდი, არავინ გენაღვლებაო.
და მე კი ხშირად დავფრინავ მაგ შენ დაირის ხმაზედა,
მაგრამ კი... ბოლმა მაწვება მე იმ ჩემ გიჟმაჟ ძმაზედა,
ტაშის დამკვრელიც არა მყავს, ლელოც არ ფიქრობს დაზედა,
ყველანი გავიფანტენით, მაგრამ არ ვიცი რაზედა!..
თუ მელირსა შენი ნახვა, გეფიცები ჩემ ქმარშვილსა,
დარდს და ფიქრს მოგაცილებ, კელავ დაგუკლი მე ლეკურსა,

რა მძიმეა ჩემთვის ამეების მოგონება, რა მწარ-ტკბილ ტალღებში ცურაობს ამ სიბერის ჟამს ჩემი არსება, სად ის წარსული ჩემ ლამაზ ქვეყანაში, რომელიც სამუდამოდ განქრა და სად მე ჩემის აწმყოთი ამ ჩემთვის უცხო ქვეყანაში, უცხო თავის ენით, გრძნობით და გაგებით.

მე და ეს ხალხი სამუდამოდ მუნჯნი და ყურთა სმენას მოკლებულნი ვართ, მე კი უფრო გავიგებ მათ ჭირ-ვარამს, ვიდრე ესენი, რომელნიც ისე არიან დაშორებულნი ჩვენ ავ-კარგს, როგორც სულდგმული უსულდგმულოსთან.

მართლა და ნამდვილი გლახაჭრიაშვილი ვარ, ჩემო გესაცვალები. რას არ წამოვკრამ ამ ჩემ კალამს, რომ გაუთავებლად გელაპარაკო, ჩემ ჭიასაც ეახარებ და შენც გიმადლიერებ, ძმაო, ჩემ ცხოვრებას რა დაწვრილებით გიკენჭავ, ხომ კმაყოფილი ხარ.

ჩვენი დროის გლახა ჭრიაშვილი მთელ ამ ამბებს მოკლედ იტყოდა: "ბოლშევიკების დროსაო, სისხლის წეშებების დროსაო", და პირში ტყეიანაკრავს დაენანებოდა კიდეც "ნუგზარ ერისთავის" დროცა.

როგორც იცი, ზაფხული კისისხევში გავატარე. ცუდს გუნებაზედ ვიყავი, რადგან ვგრძნობდი, რომ მე იქიდან ფეხს ვერ მოვიცვლიდი. ზამთარი იქ უნდა გამეტარებინა, ან ქართულ გიმნაზიაში უნდა დაბრუნებულიყავი, სადაც ჩემთვის გაკვეთილები უზრუნველად მეწებოდა.

მოსკოვზედ ფიქრი ზედმეტი იყო.

აგვისტოს დამდეგს მომდის ანა საველიევის წერილი მოსკოვიდან, მთხოვს, მალე ეუპასუხო, მივდივარ თუ ერრები თბილისში, თუ დედაჩემი არ მომცემს ამისათვის საჭირო თანხას, რაც მჭირდება, რომ სწავლა დავამთავრო. მთხოვს, მიეცი იმისაგან სესხად.

ადვილად წარმოიდგენ, ჩემო თეო, ჩემ სიხარულს და აღტაცებას. ამ წინადადებით ანა საველიევა თავის საქმესაც იკეთებდა; იმას საშინლად უჭირდა სწავლა და ჩემის დახმარებით ფიქრობდა, რამეს გახდებოდა.

თანდათან შემეჩვია, ისე რომ უჩემოდ არც გამოფენაზედ წავიდოდა. არც თეატრში და ხშირად მეტყოდა: "ჩემს ცხოვრებაში მახლობელი არავინა მყავს, ერთადერთი შენა ხარ, ვისი იმედიც მაქვს, რომ მეგობრობას გამიწევ; დედაჩემი ეგოისტი ადამიანია,

---

ვილხენ შენთან, გაგბაგშვდები, დავივიწყებ მე ჩემ წლებსა,
გაგალაღებ, გიალერსებ, განებივრებ მხოლოდ ერთსა,
ჩემ ძვირფას, საყვარელ და დაუვიწყარ, შვილებით გაუხარებელ.
გამწარებულ დედას. მისი სიყვარულით დავადებული, შორს გადაკარგული
შვილი - სონა.

თავის სიამოვნებისათვის ცხოვრობს პიატიგორსკში, მამა კი დიდხანია, რაც მომიკვდაო".

რამდენად მისი წერილი ჩემთვის სასიხარულო იყო, იმდენად უსიამოვნო დედასათვის, მით უმეტეს მოსკოვიდან რომ ხელშეხვეული მოვადექი, ეშინოდა, კიდევ რამე ფათერაკი არ დამმართნოდა ამ უცხო ადგილას.

შენ წარმოიდგინე თეო, სწორედ ანას წერილის მიღებისას, ჩემმა ცერმა დიდი სიურპრიზი გამიკეთა: ერთ ღამეს ეს მომშრალებული თითი ისე ამტკივდა, რომ დედას ვეხვეწებოდი, მოეჭრა, ალარ შემეძლო ამ უცნაური ტკივილების ატანა. შუა ღამისას დედა შევიდა ვენახში, რომ გოგრა მოეწყვიტნა და მისი გული დაედო, მაგრამ ამაოდ, მერე მოაგონდა სოფლის წამალი, ამ შემთხვევაში უმარილო ღორის ქონი, პო და იმან კი მთლად დამიმშვიდა ეს ჭირვეული თითი; იმის შემდეგ აღარაფერი მიგრძვნია, ეფიქრობ, ეს იყო ნერვიულ ნიადაგზედ წარმოშობილი, მისი სიავე, ავი სული.

1910-1911
მოსკოვში გატარებული წლები

ენკენისთვის პირველ რიცხვებში მე უკვე მოსკოვში ვეძებდი ოთახს. სამწუხაროდ ჩემი კარგი დიასახლისი ოთახს ველარ მომცემდა, რადგან ზაფხულში ვერ გავაფრთხილე, რომ ოთახი ჩემთვის შეენახა, ამიტომ გაექირავებინა და ჩემს ოთახში უცხო ადამიანი დამიხვდა. საშინლად სწუხდა ვარვარა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, სამი თვის ქირა წინასწარ ჰქონდა ალებული.

პირველი ოთახი, რომელიც ავიღე, ვითომ ცენტრში, ისეთი პაწაწკინა იყო, რომ ორი ადამიანი ვერ იპოვნიდა დასაჯდომ ალაგს.

როდესაც ქართველებმა ამ ოთახში მინახულეს, ბევრი იცინეს, რადგან ჯერ-ჯერობით უნდა შემოსულიყვნენ.

რაღა ეს მოწრუპული ბინა ავირჩიე, ალბათ მკითხავ, ჩემო გოგონი, იმიტომ, რომ მთელი ეს ბინა ეჭირა ერთ ქართველს, გვარი არ მახსოვს, ცოლი რუსი ჰყავდა.

ჩემი შეხვედრა იმას ძალიან გაუხარდა, ციბრუტივით დატრიალდა და ეს პატარა ოთახი, რომლის მეტი მას ალარა ჰქონდა თავისუფალი, მე დამითმო.

მთელ ამ ბედნიერებასთან ერთად, ყოველ საღამოს დიდი ხმაური და რუსული გარმონის ტრიპაკა ხშირად ძილსაც მიფრთხობდა.

ამ ბინაზედ მინახულა ლადო სვიმონიშვილმა, რომელიც იმჟამად კონსერვატორიაში ვიოლონჩელის დარგზედ მუშაობდა.

იმან დამითმო თავისი ოთახი კაზახინის ქუჩაზედ, კარგი, ნათელი და ჩემ კურსებთან ახლო მდებარე, თუმცა მეექვსე სართულში უნდა მეცხოვრა, მაგრამ ახალგაზრდა ადამიანისათვის ეს დიდი დაბრკოლება არ იყო. ამ უბანს ერქვა "ჟივოდიორკა". ეს ნიშნავდა იმას,

რომ საღამოთი ადვილი არ იყო იქ ტრიალი, ბევრი ქურდბაცაცა და მოხეტიალე აგედევნებოდა, თუ მოახერხებდნენ, ტანისამოსსაც შემოგაცლიდნენ. ერთი სიტყვით, - ჩემთვის ნამდვილი სამოთხე.

გამოველთხოვე ჩემ ქართველ მასპინძელს და გადავედი ამ "დიდ ყაზახინის ქუჩაზედ".

დიასახლისი ახალგაზრდა ქვრივი, სიმპატიური მოსჩანდა. მართლაც ვიდრე იქ ვიცხოვრე, კარგი განწყობილება მქონდა. იგი სადილებსაც აძლევდა მის ბინაზედ ოთახებში მცხოვრებლეთ; ძალიან კარგად მექცეოდა და მეც კმაყოფილი ვიყავი.

რასაკვირველია, მოსამსახურე ქალი დუნიაშა ჩემი ერთგული იყო, სამოვარს, რომლითაც ჯერ-ჯერობით მდემურებს ასარგებლებდა, ჯერ მე შემომიტანდა, ეს იყო დიდი პატივი. ჩემო თეო, რუსეთში სტუდენტისათვის სამოვარი დიდი ნუგეშია, თუ სადილის ჭამას ვერ მოასწრობს, ეს ცხელი ჩაი და კალაში დროებით მაინც მუცლის ჭიას მოუკლავს, ან კიდევ გარედან გაყინულს გათბობს და დააშოშმინებს.

ხშირად ეს შიშინა სამოვარი მარტოხელას მეგობრობასაც გაუწევს. ეს კვარტალი მთლიანად სტუდენტებისაა, ამიტომ ეზოში. რუს სტუდენტების გარდა ზოგიერთ ქართველსაც ნახავდი, მაგალითად, იქ ცხოვრობდა სოსო აბელიშვილი, ნოე ცინცაძე, ირაკლი ამირეჯიბი და სხვანი.

აქ უფრო მოშინაურებულად ვგრძნობდი თავსა, ერთი სიტყვით, მოსკოვში მარტოდ აღარ ვიყავი, წინა წლებში რომ ქალაქის განაპირას ვცხოვრობდი, ეხლა ქართველებში მოვიკალათე, რომ იცოდე, ჩემო შვილო, ამ უცხო ქვეყნის ქუჩაში რომ ყური მოვკარი ქართულ ენას, ჩვენებურ კილოსა და ოხუნჯობას, როგორ მესიამოვნა, ჩემი თავი თბილისში ვიგრძენი.

იმ ზამთარს ირაკლი ამირეჯიბს თბილისიდან თავისი დები ტასო და ცაცაც ეწვივნენ. ამნაირად თბილისის პატარა წრე შეიკრა თავისი ხმაურით და შესვლა-გასვლით. ეს თამარა ძნელაძეც ემატებოდა ჩვენს საზოგადოებას და მეტიც აღარაფერ გვინდოდა.

ერთად დავდიოდით ხან თეატრში, ხან სტუდენტების კრებებზედ. თუ საველიევის ქალი არა, ესენი ყოველთვის ჩემთან იყვნენ.

იმ წელიწადს, ცოტა არ იყოს, გაცივდა კიდეც.

იქვე მახლობლად იყო გლასუნებისათვის მოედანი, "პატრიარშიე პრუდი" და თითქმის ყოველდღე ორი საათის განმავლობაში ეცურაობდით შე და ეს ყაზახის ქალი ამ გაყინულ ტბაზედ.

შენ ესა სთქვი, ჩემო გენაცვალები, ეხლა რომ ახეთი მშიშარა ვარ, მაშინ რა თაეისუფლად დავსრიალებდი, მხოლოდ ერთხელ წაეიქეცი, არაფერი მიტკენია, მაგრამ ჩემი აყენება ვერ მოახერხა ერთმა ყმაწვილმა, რამდენიც წამომწია, იმდენჯერ უკან დაეცი. მე ეკასკასებდი, ის კი გაჯავრებული მეუბნებოდა: "აი, ცოტა შემეშველეთ თქენც და როგორმე ავაყენებთო". იმედი რომ დაკარგა, "ну к черту"-ო და გასრიალდა, ანა თაეს დამტრიალებდა,

ერც იმან მიშველა, ჩემის ნებით, როგორც იყო, აეღქი და დავიწყე სრიალი.

ჩემი ნაცნობები კი, ღობეზედ მომდგარნი, თვალყურს გვადევნებდნენ. ალბათ, იცინეს კიდეც ჩემს მარცხზედ.

თითქმის მარტის გასულამდე შეგვეძლო ეს სპორტი გაგვეკეთებინა. იმ წელიწადს იყო, რომ პირველად ვნახე მცირე თეატრში ჩვენი ცნობილი სუმბათაშვილი ოტელოს როლში.

ძალიან მომეწონა და ჩემი აღტაცება სცენის მახლობლად მისულმა ქართული "ვაშა"-თი დავაბოლოვე.

შესანიშნავი იყო ეს ადამიანი როგორც მსახიობი, ისე ცხოვრებაში თავის დაჭერით. ასეთი სცენიდან თავის დაკერა და საზოგადოების მიმართ პატივი მე სხვა მსახიობისაგან არ მინახავს.

თავდალუნულმა და მოწიწებულმა რომ ყური მოპკრა ამ "ვაშა"-ს, უცბად გაოცებულმა და ბედნიერმა გადმოხედა პარტერს, მაშინ ჩემი ტაში და "ვაშა" ერთად შეიგრძნო, სიამოვნებით და ღიმილით შემომცინა.

სუმბათაშვილი იყო ამ მცირე თეატრის დირექტორი და დიდი გავლენიანი პიროვნება, მოსკოვის ლიტერატურული წრის სულის ჩამდგმელი და მისი თავმჯდომარე.

"ღალატის" ავტორი ყველას უყვარდა და ჩვენ ქართველები ხომ ასეთი თანამემამულეთი ვამაყობდით.

როდესაც კომპოზიტორ იპოლიტ ივანოვმა ამ ღალატის შინაარსზედ ოპერა დასწერა, მის დადგმას მოუთმენელად ველოდებოდით.

ჩვენ ქართველებმა ერთად ავიღეთ ლოჟები, ყველანი ერთ მხარეს ვისხედით, ჩვენი ოვაციები უერთდებოდა დანარჩენებისას, მაგრამ როდესაც სცენაზედ თათრების ჯარი შემოვიდა და გაიმართა მამა-პაპური ხმლების ტრიალი, ჩვენი წყვარი თავისდაჭერა შესცვალა პატრიოტული მკერდებიდან აღმონახეთქმა შურისძიების ხმაურმა და კიდევ ცოტა, სცენაზედ გადაეშვებოდით ამ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად ისევე, როგორც ეს მომხდარა ქუთაისში, როდესაც პირველად "სამშობლო" დაუდგამთ, ქუთაისის თავადაზნაურობა ხმლებ ამოღებულნი გადასულან სცენაზედ. ეს კი არ ვიცი, სინამდვილეა თუ არა, ასე მაქვს გაგონილი.

ამისდა მიუხედავად, რომ ამ წელიწადს გაერთე კიდეც, დრო არ დამიკარგავს, დავდიოდი ყოველდღე ლექციებზედ და გაზაფხულზედ რამოდენიმე დიდი გამოცდაც ჩავაბარე.

ამ გამოცდების პერიოდში მაგონდება ზოგიერთი სასაცილო ეპიზოდი, მინდა გაგაცნო, ჩემო კუდრაჭავ, ყური დამიგდე.

ჩვენა გვყვანდა ერთი პროფესორი, რომლის ლექციებზედ არავინ დავდიოდით, მხოლოდ როდესაც მოვიდოდა დრო, რომ მისი ხაგანი უნდა ჩაგვებარებინა, ე.ი. საბერძნეთის ისტორია, მაშინ მოვიგონებდით მის არსებობას; ეს იყო უსპენსკი.

ერთი ქალი თავგამეტებით ამზადებს ამ საგანს, დანიშნულ დღეს მიდის კურსებზედ, შედის აუდიტორიაში, სადაც ზის პროფე-

სორი, რომელსაც პირველად პხედავს და იღებს ბილეთს №8, როგორც მახსოვს, "სოლონის კანონმდებლობა". ზის ეს ქალი, გონებას იკრებს, რომ კარგად უპასუხოს; გამოცდის დასწყისი კარგად მიმდინარეობს, პროფესორი უცბად დგება და ეუბნება ამ ქალს: "ნება მიბოძეთ ჩემი თავი გაგაცნოთ, მე ვარ შპეტი, გამოცდას ვაწარმოებ ლოღიკაშიო".

ამ ქალს ეს ეგონა უსპენსკი, ამიტომ უბულბულებდა მომზადებულ მასალას.

შპეტი ახალგაზრდა ფილოსოფოსი, ჩელპანოვის ყოფილი მოწაფე, კიევის უნივერსიტეტიდან აქ მოსკოვში გადმოსული, ესლა იდეურად თავის მასწავლებლის წინააღმდეგი, ჩვენ ყველას ძალიან მოგვწონდა, აბა როგორ ავცდებოდით მის მიერ წაკითხულ ლექციას.

მშვენიერი ორატორი და კარგი მცოდნე თავის საგნისა, ძალიან ახალგაზრდა სჩანდა, გვინდოდა მისი წლოვანება გაგვეგო, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, ზოგმა სახლშიაც ჩამოურეკა ზარი, გაგვეგო, ცოლი ჰყავს თუ არა, როგორც იყო, ალმოვაჩინეთ ერთი ქალი, რომელსაც კარები გაუღია, ძალიან ყოფილა ბანტ-ლენტებით მოკაზმული, მართლაც ის ყოფილა მისი ცოლი.

დაახლოებით ეს პროფესორი 35–40 წლისა იყო, მეტი არა, მაგრამ ჰგავდა ოცი წლის ახალგაზრდას და გვიკვირდა მისი ცოდნა და საერთოდ, მისი აქ პროფესორად დანიშვნა.

ჩვენი სისულელე ნახე, რომ ასე დავინტერესდით ამ ადამიანით და მისი წლოვანებით. გარეგნობითაც მოსაწონი იყო, მალალი, თხელი და ლამაზი ოქროსფერი ქოჩორი, ეს ყველაფერი ერთად ჩვენთვის საკმარისი იყო, რომ მისი თაყვანისმცემლები ეყოფილიყვით.

მეორე პროფესორი, შედარებით ისიც ახალგაზრდა, ეგოროვი, სომეხი, არ მოგვწონდა, არ ვიცი, ცუდ თვალზედ ვნახეთ.

ამისათვის უნდა ჩამებარებინა: "ჯვაროსანთა ომები".

ლექციების კითხვის დროს, მას შეეშინია, თუ შესაძლებლად დაინახავდა, და ეს იყო ხშირად, სომხეთის ისტორიიდან რაიმე მასალას, რასაკვირველია, შეუმჩნეველად ჩასდგამდა, თუნდაც ამის საჭიროება არა ყოფილიყო.

ერთ ლექციაში სთქვა: "როდესაც ჯვაროსნებმა თავიანთი სამთავროები დააარსეს, იქ ფრანგული ენა იყო გაბატონებულიო" და ამის დადასტურება მოინდომა იმ ეპიზოდით, რომ ერთ-ერთი სომხის დასაფლავებაზედ ტერტერამ თავისი სიტყვა ფრანგულად სთქვა, რადგან ეს ენა საყოველთაოდ იყო მიღებული და ყველასათვის ამიტომ გასაგებიო. აი, ჩავაბარე გამოცდა, მივაწოდე ჩემი საგნების წიგნაკი და ვიდრე თავს დავუკრაედი და აუდიტორიიდან გამოვიდოდი, შევჩერდი და ნება ვთხოვე, ერთი კითხვა მიმეცა.

"სიამოვნებით გისმენთო" მიპასუხა.

"მინდა გკითხოთ, თუ იცით რამე იმის შესახებ, ამ ჯვაროსანთა ომების დროს რა როლი ითამაშა საქართველომ, როგორც ძლიერმა ქრისტიანულმა სამეფომ".

საშინლად შეკუნტრუშდა, გაწითლდა, მომახალა: "მე ქართველებისა არაფერი ვიცი, დიდმა სომხეთმა კი ითამაშა თავისი როლი და ამის შესახებ ჩემს ლექციებში შეგიძლიათ ამოიკითხოთ ზოგიერთი ადგილიო".

მაშინ მე მოვაგონე მის მიერ ნაამბობი სომხის ტერტერას სამგლოვიარო სიტყვა ფრანგულ ენაზედ და დაუმატე, რომ ახლად დარსებულ სამთავროების კანონები ფრანგულ ენაზედ იყო დაწერილი, ეს იყო მთავარი ფაქტორი და არა ის ეპიზოდი, რომელსაც თქვენ მიმეორებთ.

გაჩუმდა, გავჩუმდი მეც და წამოვედი, საგნების წიგნაკი კი გადავარჩინე, უსათუოდ არამცთუ სუსტ ნიშანს, მის პატრონს ალბათ მეორე სესიაში მიმიპატიჟებდა, ეს ეგოროვი დამარწმუნებდა კიდეც, რომ ქართველების ხსენება იმ დროს წინა აზიაში არც კი იყო, არამედ დიდი სომხეთი ბრწყინავდა...

აი, ამისთანა პატარა მეცნიერები არიან, რომელნიც სხვასაც მტრობენ და თავის ერსაც დიდ სამსახურს არ უწევენ.

გაზაფხულზედ მოსკოვის მცხოვრებნი ადრე სტოვებენ ქალაქს და სოფლად გადიან, დიასახლისმაც შეიკრა ბარგი და მოსამსახურის ამარა დასტოვა ბინა, მდგმურებიც ნელ-ნელა სტოვებდნენ თავიანთ ოთახებს, ვრჩებოდი მე და მოსამსახურე დუნიაშა, კიდევ ერთი გამოცდა უნდა ჩამებარებინა, ამიტომ ვკერ კიდევ უნდა დავრჩენილიყავი ამ ცარიელ ბინაზედ დუნიაშას ანაბარა, რომელიც საღამოობით ხშირად მიდიოდა მეგობრებთან და სახლში გვიან შემოდიოდა.

დღისით, როდესაც სახლში ვიყავი, ამოდიოდა ჩემ სანახავად ჩვენი კახელი სოსო აბელაშვილი და მთხოვდა, თუ რამე დამჭირდებოდა, არ მოვრიდებოდი და მისთვის მიმემართნა, იმავ სახლში ცხოვრობდა. მეც დამშვიდებული ვიყავი, არაფრის შიში არა მქონდა, სხვა დროს საშინელ მშიშარას.

ერთ საღამოს დედაკაცმა სახლში დაბრუნება ისე დააგვიანა, რომ დაეწყო დასაძინებლად, მაგრამ ჩემს თვალებს ძილი არ ეკარებოდა. გავიდა დიდი ხანი, როგორც იყო, გავიგე მისი მოსვლა და მოვისვენე. ოთახი მხოლოდ შიგნიდან მქონდა გადარაზული, მაგრამ ისე მჩატედ, რომ გარედან ერთი ხელის მოწოლა მას ადვილად გააღებდა.

უცბად ზარის ხმა გავიგონე, დუნიაშა ლოგინიდან წამოდგა, იკითხა, ვინ არის და კარების გაღება და მისი უკან შემობრუნება ერთი იყო. ვინც შემოვიდა, ვგრძნობ, ჩემს ოთახისაკენ მოემართება, წამოვხტი, ვხვიარ თვალებგაჭყეტილი, გული ბაგაბუგშია გახეული, მთელი სხეული ათრთოლებული, ველი საშინელებას.

ეს ვიღაცა აწვება კარებს, თითქოს ასანთიც გაჰკრა, მალე შევიდა მეზობელ ოთახში, მაგრამ ისევ ჩემ კარებს მოუტრიალდა,

მინდა დავიყვირო, მაგრამ ენას ვერა ეძრავ, თითქოს დამბლად ვარ დაცემული. როგორც იყო, მოვიკრიფე ძალა და დავიყვირე: "ვინა ხარ, რა გინდა და რა ეიცი, რასა ეყვიროდი, მისი მოძრაობა ამით გათავდა, მხოლოდ ვერ გაეიგე, შევიდა რომელიმე ოთახში, თუ ისევ ჩემს კარებთან იყო გაჩერებული.

ეიჯექი ჩემს ქვეშაგებში უძრავად და გათენებას ველოდებოდი. მართლაც, დილის ექვს საათზედ, როდესაც დუნიაშა ფეხზედ მეგულებოდა, გავაღე კარები და შევეკითხე, ვის გაულო იმ ღამეს კარები და ვინ დასტოვა ბინაზედ.

აღმოჩნდა, აგარაკიდან დაბრუნებული ერთ-ერთი მდგმური, რომელსაც სიბნელის გამო აჰრეოდა თავისი ოთახის შესასვლელი და ამიტომ ბუდარაობდა ამ ბნელ ტალანში, ელექტრონი ამ ბინაზედ არ იყო, ათი საათის შემდეგ კი სანათურს აქრობდნენ.

მეორე დღეს ჩემთან მოვიდა ჭაჭულია არჯევანიძე, უფრო შუაკაცად, მთხოვდა, გრიგოლ ლაღიძეს დავლაპარაკებოდი, ძალიან იტანჯება, ცოდო არისო, არ ეიცი, რად დასჭირდა ამ დავალების ასრულება.

გარდა ამისა მიამბო ირაკლი ამირეჯიბის აღსარება. როდესაც მთვრალი იყო და ჭაჭულია მაფრთხილებდა, შესაფერისად დამეჭირა თავი ირაკლისთან შეხვედრისას.

მე მას პატარაობითვე ვიცნობდი, ჩემზედ ბევრად უმცროსი იყო, ამიტომ დიდ ანგარიშს მას არ ვუწევდი.

ეს კია, რომ მისი ამხანაგები ჩემს შესახებ ლაპარაკის დროს მას არა სთელიდნენ მთლად დაუინტერესებულს და ეჭვიც კი ჰქონდათ, რომ მე ის უბრალო მეგობრად არა მთელიდა.

მართლა ერთ-ერთ შეხვედრისას ღვინონასვამს თავისი ნამდვილი გრძნობები გაუზიარებია ამხანაგებისათვის.

ეს ამბავი მართალი გამოდგა ჯერ მოსკოვში, შემდეგ თბილისში, მოვიდა და გამაგებინა, რომ თავისი არსებობა უწყვიდ წარმოდეენილიც არა აქვს, მე საშინლად შევწუხდი და თეალცრემლიანი, გულდაწყვეტილი გავისტუმრე.

როდესაც ცოლი შეირთო, შევხვედი ერთ ადგილას და ჩემი მილოცვა არ ესიამოვნა: "ენუგეშობ იმით, რომ მალალი ტანისა არისო".

ეს დალოცვილი მამაკაცები ჩაიდებენ თავში ერთ აზრს და უნდათ ყველანი დაიმორჩილონ.

ჭაჭულიამ რომ გაათავა თავისი მისია, მე ჩემი არ დავიშალე და წინა საღამოს ჩემი გულისხეთქვა ეუამბე.

ჭაჭულია გავიდა ტალანში და დაიწყო მუქარა: "იცოდეთ ყველამ, ვინც ამ ქართველ ქალს აწყენინებს, ჩვენთან ეწება საქმე და კავკასიურ ხანჯალთანაო".

დამნაშავე ყმაწვილი სულგანაბული იჯდა თავის ოთახში, მერე კი მოსამსახურის პირით დიდ ბოდიშებს იხდიდა: "რა ვქნა, ჩემი ოთახის კარებს აეცდი და სიბნელეში ველარაფერი გავარკეიეო".

ყველა ამას ჩემს გასაგონად ლაპარაკობდა ტალანში გამოსული, მაშინ როდესაც ჩემი დამცველი წასული იყო და ამას კაკასიის ხანჯლის შიში აღარა ჰქონდა.

იქნება, იმ საღამოს ცოტა ნასვამიც იყო და თავბედისა არაფერი ესმოდა, თორემ ამოდენა ტორტლიალი არ უნდა დასჭირებოდა, რომ თავისი ოთახის კარები ეპოვნა.

ეს წელიწადი ასე დამთავრდა, მე ჩემი უკანასკნელი გამოცდა ჩავაბარე და ეხლა უნდა პირი საქართველოსაკენ მიმებრუნებინა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, საველიევის ქალმა მთხოვა, მასთან ერთად ეს ზაფხული ბალტიის ზღვის ნაპირას გაგვეტარებინა, მას უნდოდა საშემოდგომოდ ერთი ან ორი გამოცდა ჩემთან ერთად მოეშზადებინა.

მეც დავთანხმდი და წავედით ერთ-ერთ კურორტზედ, რომელსაც უწოდებდნენ "პალანგას". ეს იყო ესტონიაში.

ჩვენი პანსიონი, სადაც სამი თვე გავატარეთ, ზღვის ნაპირას იყო, ამიტომ ეძახდნენ "ზღვის პანსიონს".

ჩემი ოთახი ზევიდან დასცქეროდა ზღვას, რომელიც მშვენიერი სანახაობა იყო მზის ჩასვლისას საღამოს 9-10 და ზოგჯერ 11 საათზედაც, მრავალფეროვან ქსოვილად რომ გადაიშლებოდა ეს უზარმაზარი ეშპი.

ანიუტას ოთახი სამაგიეროდ უფრო მახლობლად ღებულობდა აქაფებული ზვირთების დაუდეგარ მოძრაობას და მათ გაშმაგებულ ღრიანცელს; მისი ოთახი იყო ქვევითა სართულში და მეორე შენობაში.

პანსიონერების მეტი წილი მოსკოვიდან იყო.

ერთმანეთს ყველანი ეხვდებოდით სასადილო ოთახში, რომელიც მთლიანად შუშიანი იყო, ისე რომ აქედან გავყურებდით ზღვას და მის ცვალებადობას.

კარგი ურთიერთობა სუფევდა, შემთხვევით გაცნობილნი ერთ ოჯახად ვიყავით შეკრულნი; დღეში ოთხჯერ უსათუოდ ხომ ერთად ვისხედით სუფრაზედ, მაგრამ ამის გარდა დანარჩენ დროსაც ერთმანეთს ვეხებოდით.

ჩემი იქ ყოფნა უკვირდათ, როდესაც გაიგეს, რომ ქართველი ვარ, კავკასიიდან აქ რამ წამოგიყვანათო.

ერთი შავგვრემანი არამც თუ იმ პანსიონში, მთელ იმ კურორტზედაც არაენ იყო. ამიტომ მეტის-მეტად ვჩანდი და ყურადღებას ვიპყრობდი.

დილაობით მე და ანიუტა ზღვისპირას ვისხედით და ვამზადებდით რუსეთის ისტორიიდან მეცხრამეტე საუკუნეს პროფესორ კიზივეტორის ლექციების მიხედვით, ამის გარდა პოლიტიკურ ეკონომიას, ეს საგანი დამატებითი და საკალდებულო იყო.

დრო მიდიოდა და ეხედავდი, რომ ორიენს ერთად ვერ დავძლევდით და თან კი ვამხნევებდი საწყალ ქალს, რომელიც მალე ჰკარგავდა მოთმინებას.

რაც შემეძლო, ვამხნევებდი: "ნუ გეშინიან, ამ მშვენიერ პაერზედ ისე გაყოჩაღდები, რომ მოსკოვში ჩასული შენ თავს ველარ

იცნობ და გამოცდებსაც კარგად ჩააბარებ", ვეუბნებოდი ამ სასოწარკვეთილ ადამიანს.

საშინელი მორცხვი და მიუკარებელი იყო. სადილის გათავება და მისი სასადილოდან გასვლა ერთი იყო, მაშინ როდესაც ჩვენ ყველანი კარგა ხანს ერჩებოდით პატარა ბალჩაში იქვე, სასადილოს მახლობლად.

გავიხედავდი და ნიუსა ბარგაკიდებული მიდიოდა ზღვის ქვიშაში მზეზედ გასახუხად.

ვფიქრობ, არ ვაჭარბებ, იმ ხნის განმავლობაში ხმა არავისათვის გაუცია, ასე არჩია ცალკე ცხვირაობა, ბევრს ველაპარაკებოდი, მაგრამ ამაოდ.

ერთხელ კი ამოიდგა ენა, რადგან ძალიან შეშინდა ერთი შემთხვევის გამო. ჩვენ მახლობელ კურორტზედ წავედით მატარებლით სიმფონიური კონცერტის მოსასმენად.

კონცერტი გვიან გათავდა და მატარებელზედ ოცნება ზედმეტი იყო. სხვა ალარაფერი დაგვრჩენოდა, ფეხით უნდა გველტო, გზა ტყეზედ იყო გაყვანილი, თუმცა ელექტრონით გაჩაღებული, მაგრამ ჩვენს მეტი იქ არავინა სჩანდა და ეს იყო საშინელება. მიეღივართ ენა ჩაკმენდილები, შიშმა აგვიტანა ორივენი, ხმას არ ვიღებთ, მაგრამ ერთმანეთს ვეკრობით, ეკანკალებთ.

უცბად უკანიდან მოგვესმა ფეხის ხმა, ამან ხომ უფრო მეტად შეგვაშინა. აღმოჩნდა ადგილობრივი ექიმი, რომელსაც ვიცნობდით და ერთხელ კიდეც ვიყავით მასთან მისულნი, რომ გვცოდნოდა, ზღვის ჰაერზედ როგორ ვყოფილიყავით, ან როგორ გვესარგებლა ზღვაში ბანაობით და რა ვიცი, რა არა ვკითხეთ.

ექიმი რომ დაგვეწია, გვითხრა, ძალიან შევწუხდი, როდესაც დაგინახეთ, კონცერტის დარბაზიდან გასულნი, წარმოვიდგინე თქვენი უმწეობა, ამ ტყეს რომ შეუდგებოდით, ამიტომ აგედევნეთ, ნება მომეცით, ბოლომდე გამოგყეთო.

აბა რას ვეტყოდით ამ კეთილშობილ ადამიანს, თუ არა უსაზღვრო მადლობას, ნიუსა მე აღარ მაცლიდა, ბევრი ელაპარაკა ამ ექიმს, როგორც იყო, ენა ამოიდგა.

ჩვენ პანსიონში იყო სხვათა შორის კოშკე თავისი ცოლით და ორი შვილით. თუ ვინ იყო ეს კოშკე, მე მხოლოდ აი აქ, ემიგრაციაში გავიგე.

აღმოჩნდა დიდი მდგომარეობის მქონე და ცნობილიც ევროპის მასშტაბით დეტექტივი, ნიკოლოზის მთავრობის მიერ დანიშნული.

ყველაზედ მახლობლად ეს ოჯახი იყო ჩემთან და ეს მისი პატარა ანდრიუშა და მასზედ უფროსი ანიუტა, ათი წლისა, სულ ჩემთან ტრიალებდნენ, სურათიც მოინდომეს ჩემთან გადაეღოთ, მხრებზედ მიზის ანდრიუშა და მისი და კიდევ გვერდით მყავს ჩახუტებული.

ესენი, როგორც გავიგე, კანში ცხოვრობენ, მხოლოდ თეითონ კოშკე გადასულა ამერიკაში, ოჯახი დაუტოვებია.

კოშკე იყო ჩვენი პანსიონერებისათვის ექსკურსიების მომწყობი და აუანჩაუანი.

ერთ საღამოს ზღვის პირას ვისხედით და ვითვალისწინებდით, მეორე დღეს რომელ საათზედ უნდა გაესულიყავით ზღვაში მოტორიანი ნაცით.

იქვე ერთ ბუჩქში ჩამჯდარი ერთი კაცი საშინლად იყურებოდა ჩვენსკენ. ადგილობრივი იერის მატარებელი არ იყო, კარგად მახსოვს მისი გარეგნობა. ის იქნებოდა ასე 30 წლისა, ყავისფერებში ჩაცმული და ასეთივე ფერის ქუდით, რომელიც ისე ჰქონდა ჩამოხურული, რომ მის სახეს ადამიანი ვერა ნახავდა.

კოშკემ მიაქცია ყურადღება, არ მოეწონა მისი ჯაგში ყოფნა, მივიდა, რაღაცა უთხრა, ის კაცი მაშინათვე ადგა და წავიდა.

მე დავრჩი რაღაც ბუნდოვან მდგომარეობაში, იმ ღამეს რაღაც ძლა მეწეოდა, წავსულიყავი ერთ ქუჩაზედ, სახლის ნომერიც ვიცოდი. აბა ღამე კი არა, მაგრამ მეორე დღეს მე და ნიუსია მივედით იმ ქუჩაზედ, რომელიც თავში მქონდა, სახლიც იმ ნომერით აღმოჩნდა, ვიკითხეთ, თუ აი ამ გარეგნობის მქონეს, თუ ვინმე იცნობს, ან ვინ არის. აღმოჩნდა სინამდვილე, აქ ის დროებით ყოფილა და წასულა, მხოლოდ ვინაობა ვერ გავიგეთ, თითქოს არავინ არ იცოდა.

როგორცა სჩანს, ის იყო გიპნოტიზორი, მნახა და ეს ობიექტი გაპარუა ყურებით. სხვებმა ვერაფერი იგრძნეს, მე ვყავდი ადვილი მოსაელელი, ყოველთვის ნერვიული და ამიტომ დასუსტებული.

იმ ზამთარს მე ხშირად ვესწრებოდი პროფესორ რიბაკოვის ცდებს, როდესაც სტუდენტების თანადასწრებით აძინებდა ალკოლიკს და ჩვენის თაოსნობით გააკეთებინებდა, რასაც მოინდომებდა.

უტყობა, მე მაინც წინააღმდეგობა გავუწიე იმ კაცის ძალას, თორემ ვინ იცის, რას არ მიპირებდა ეს ჯაგებში ჩამჯდარი კაცი, კიდევ კარგი, რომ მარტო არ ვიყავი ამ უცხო ადგილას. რასაკვირველია, მეორე დღეს მოტორიანი ნავით ვერ წავედით, მე არ ვიყავი კარგად.

როგორც იყო, მოტორიანი ნავით სეირნობა სხვა დროს მოვაწყვეთ, კინალამ კი დაგილუპენით, მაგრამ ყოველად ძლიერმა კოშკემ ამას აგვაცდინა.

შუა ზღვაში მოტორი გაჩერდა, ამოვარდა ქარიშხალი და სული კბილით გვეჭირა, უცბად კოშკემ გაგვამხნევა და ნაპირზედ მისასვლელად ნავები შემოგვარტყა. კოშკეს რუსისა არაფერი ჰქონდა, ნამდვილი ევროპიელი გარეგნობით და თავის დაჭერით. შუა ტანის მქონე, მკვირცხლი სახის გამომეტყველებით, თავის თავის არშიყი და კეკლუცად ჩაცმული, ერთი სიტყვით, დიდი ეგოისტი და თავკერძა, ცოლზედ უფრო ახალგაზრდა მოსჩანდა.

მისი ცოლი, პირიქით, ძალიან მოუყვანელი და ბოდოშალი, მაგრამ კარგი ადამიანი, ივი ნამდვილი მონა იყო თავის ქმარ-შვილისა და თავისთავი მთლად დავიწყებული ჰქონდა. უყვარდა ეს ქმარი გაგიჟებით, მისი ყველაფერი მისთვის მოსაწონი იყო, განსაკუთრებით დილით რომ ჩამოიყვანდა კოშკე და თავის სტვენით ყველას აღვი-

ძებდა, ეს ქალი გეეკითხებოდა, ჩემმა ქმარმა ხომ არ გაგაღვიძათო, უნდოდა მაშინ ქათინაურები მიეღო მისი სტუმრის შესახებ. მართლა კი ძალიან დახელოვნებული იყო ამ სტუმენაში, მუსიკალური ნიჭი ჰქონდა ამ კაცს და აქ ინსტრუმენტს მოკლებულ საზოგადოებას დროს გვატარებინებდა თავის ლამაზი სტუმენით.

მე ხშირად მელაპარაკებოდა საქართველოზედ, კავკასიის მეზობლებსაც ეხებოდა, ჩვენ მათთან ურთიერთობაზედ ალბათ ცნობების მოკრებას სცდილდა, მაგრამ ჩემგან რას წაიღებდა პეტერბურგში.

სადილზედ ყოველთვის ჩემს გვერდით ჰქონდა ადგილი, ჩვენ პირდაპირ იჯდა ერთი ახალგაზრდა, გაუცნობარი ქალი, ისიც ჩემი მეგობარისაგით არავის ეკარებოდა, ჭამის შემდეგ სდრუბავდა თავს ოთახში და ოთხ საათამდე არ გამოვიდოდა, ე.ი. ფოსტალიონის მოსვლამდე არავის გვეჩვენებოდა. მოუთმენლად ელოდებოდა თავის საქმროს წერილებს. მერე კი ამ ძვირფასი წერილით ხელში ხშირად ნახავდა ადამიანი, ზღვის პირას გაშენებულ პავილიონში მჯდომარეს, თითქოს იზეპირებდა ძვირფასი ადამიანის კალმით მოსმულ სასიყვარულო სიტყვებს და მათ ტკბილ ხმოვანებასაც ყურით ისმენდა, ერთი სიტყვითი, ეს ახალგაზრდა არსება ამ დანიშნულის წერილებით სულდგმულობდა.

ერთ დღეს კოშკეს ცოლი თავისი ბაშვებით მახლობელ კურორტისაკენ გაემგზავრა. ოთხ საათზედ ჩაის დასალევად რომ შეველით სასადილოში, შევამჩნიეთ, რომ გვაკლდა კიდევ რამოდენიმე პანსიონერი, სხვათა შორის, თვითონ კოშკე, რომელიც თავისიანებს არ გაპყოლია და ეს ჩუმი არსება, რომელიც ყველას გაგვირბოდა და დანიშნულის წერილებს ელოდებოდა.

სადილის შემდეგ, ე.ი. შვიდი საათი რომ შესრულდებოდა, ყველანი თავის ოთახში იყვნენ შესულნი. იმ საღამოსაც მე ჩემი ოთახიდან გაეცქეროდი ლურჯ სიერცეს, რომელიც მზის ჩასვლისას მრავალფეროვანი ზოლებით იშხეპებოდა, რა ლამაზია ეს საბაგელი, ხან წყნარი, როგორც უმანკო არსება და ზოგჯერ პირდორბლიანი ვეშაპი, რომელიც მარტო მუქარით ქვეყანას აზანზარებს...

ათი საათი იქნებოდა, ვიღაცამ კარს დამიკაკუნა, გავაღე კარები და ჩემ წინ მოღიმარი სახით გაუცნობარი დედოფალი იდგა.

"ცოტა დრო მომეცით, მინდა ერთი რამ გითხრათ, სხვას ვერავის გავანდობო". აღმოჩნდა, რომ იმ დღეს ის და კოშკე დიდ რომანში ყოფილან და როდესაც ჩემი გაოცება დაინახა, რომ დანიშნული ჰყავს და რად დაეცა ასე, მიპასუხა, რომ იმის საქმრო ახალგაზრდა და გამოუცდელია, ამიტომ კმაყოფილია, რომ საქმე წინ წაიგდო.

ამგვარი მაგალითები რუსეთში ბევრი სხვა დროსაც შემხვედრია. მე შეწუხებული შეეცქეროდი, ის კი მთელ დეტალებს გადმომცემდა.

"შუადღისას, სეირნობის დროს, შემხვდა კოშკე, მითხრა, რომ ეტლი გელის და წაეედით აქედან კარგა მოშორებით ერთ ოტელში, ოთახში რომ შეეედით, ცოტა არ იყოს, შეეკრთიო.".

ეს აღსარება მანდო და ოთახიდან გავიდა.

მეორე დღეს გამომეთხოვა, აეიდა კოშკეს ცოლთანაც და მოსკოვისაკენ გაემგზავრა.

აი ეს მაგალითი, ჩემო თეო, კიდევ ზედმეტი, რომ ჩუმი ადამიანი და მორცხვი ხშირად უფრო გამბედავი და ეშმაკობით სავსეა, ვიდრე შენისთანა ეითომ ქვეყნის ამომგდები. შენ ქალი ქმარს არ გაგაცნობს, ან თუ გაიცანი შემთხვევით, ის არ გაგაკარებს, მოგარიდებს, ვაი თუ წამართვასო, სახლში არ მიგიყვანს, თვითონაც მოგერიდება, რამდენი მაგალითი გაქვს, ჩემო თეონი, ძალიან კი დაგწაგრეს ქალებმა, შენი სულიერი სიმშვენიერე მათთვის გაუგებარი და უცნობია.

იმავ პანსიონში იყო ერთი მასწავლებელი ქალი, რომელიც ყოველთვის ამრეზილი მიყურებდა, ამის მიზეზი არ ვიცოდი.

ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ოთახში და გამომიცხადა, რომ ეძულვარ, რადგან ყველანი გარს მერტყმიან, მანებივრებენ და სხვა. "მე კი მეჯავრებითო, მაგრამ მაინც მინდა კარგად გაგიცნოთო".

მიამბო თავისი უფერული ცხოვრება და სევდიანად გადაჰხედა ჩემს ოთახში ლამაზ მინდერის ყვავილების თაიგულს, რომელსაც მოსამსახურე ესტონელი ქალი მუდმივად მიდგამდა, და გავიდა.

მერე კიდევ დამელაპარაკა, თითქოს მძულვარებაც აღარა ჰქონდა ჩემს მიმართ და საბოლოოდ ჩვენ წრეს აედევნა, არც ერთ ექსკურსიას არ ასცდა, სულ უკან დაგვდევდა.

ერთხელ უჩემოდ წავიდნენ პანსიონერები კოშკეს თაოსნობით, იქიდან ეტლით დაბრუნდნენ. საშინლად იყო ნაწყენი კოშკეზედ, "ეტლში წინ მე დამსვეს, რადგან ფული იმან გადაიხადა, აბა თქვენ ამას ვერ გაგიბედავდათ"ო.

ჩვენ პანსიონს შემოეჩვია გარედან ერთი სტუდენტი გვარად სუსოკოლოვი, სახელად მიკეშა, დიდი მდიდარი ეაჭრის შვილი, მოსკოვიდანვე კოშკეს ოჯახის კარგი ნაცნობი.

ამ ხანში გაცნობა და სიყვარული ერთია, ყოველდღე მხედბოდა, მპირდებოდა ზღაპრულ ცხოვრებას, თუ ცოლად გავყვებოდი. შესახედავად ლამაზი, შავგვრემანი, შუა ტანისა, კარგად ჩაცმული და საერთოდ ლაზათიანი; ნებიერი, სრულიად განუვითარებელი მეჩვენებოდა შედარებით სხვებთან, ვისაც იმჟამად ვიცნობდი მოსკოვში. ერთი სიტყვით თავში დიდი მარაგი არა ჰქონდა, ან იქნება ამას არც ეძებდა, ფულების იმედით იყო, მისი მამა არაფერს დააკლებდა.

ერთხელ სეირნობის დროს ჯიბიდან ამოიღო შოკოლადის პატარა კოლოფი, შემომთავაზა და მერე ისიც დიდის სიფრთხილით მიუკეც-მოუკეცა შოკოლადის გატეხილ ნაწილს ბრჭყვიალა ქაღალდი და მძიმედ დაიბინავა ისევ ჯიბეში. ეს იყო და ეს, რომ მისი დანახვა აღარ მინდოდა, მაგრამ ვისა ჰკითხავდა, ჩემი სახლიდან გასვლა და მისი დახვედრა ერთი იყო.

ის ჩემზედ ადრე წავიდა მოსკოვში და ყოველდღე მისი წერილები პანსიონერებისათვის გასართობი იყო, ყველამ იცოდა, რომ ეს წერილი მიკეშასია, მხოლოდ შინაარსი არც აინტერესებდათ. უკვირდათ, რომ ყოველი ფოსტა ოთხ საათზედ ჩემთვის იყო; კოშკეს ცო-

ლი ბეერს იცინოდა, თან კი მეუბნებოდა, მიკეშას მამას დიდი ქონება აქვს, არაფერს წააგებთ, რომ გათხოვდეთ მაგ ასე შეყვარებულ ახალგაზრდაზედაო.

მოსკოვში წავიდა ის საჩქაროდ, რადგან მის მამას ორი ქარხანა, მგონი, ქსოვილებისა, დაეწვა. თვითონ ამაზედ არ იყო მაინც და მაინც ძალიან შეწუხებული, მამას ესაჭიროებოდა მისი ყოფნა, რადგან მარტო იყო იმ ჟამად. როგორც თვითონ მითხრა, მამას ბევრი ქარხნები სხვებიცა აქვს, ისე რომ ეს არ არის დიდი ზარალიო.

დიდი მამის ნებიერი ერთადერთი ვაჟი ეს იყო.

გადიოდა ზაფხული და ლამის ისე დამტოვებინა ზღვა, რომ ცურაობა არა მცოდნოდა. ნიუსამ იცოდა ცურაობა, ერთად შეიდოდით, ის მაშინათვე გაცურდებოდა, მე კი სულ ნაპირას ფეხებს დავისველებდი და უკან მოვრბოდი. მშვენიერი ქვიშა იყო, დაუჯდებოდი ფეხმორთხმით და ამნაირად ვერთობოდი.

გადამეკიდა ერთი ესტონელი ქალი, უნდა ცურაობა გასწაელოთო. დიდხანს მარწმუნებდა ეს ახალგაზრდა, რომ ძალიან ადვილია ცურაობა, თუ მოინდომებთ, უმთავრესია სურვილიო.

ერთ დღეს გავბედე ბედის ცდა.

მომჭიდა ხელი, შემიყვანა სილრმეში და მითხრა, რა მოძრაობა უნდა გამეკეთებინა. დავემორჩილე, გავწექი ამ ვეშაპის ზურგზედ და ჩავეშვი კიდეც, ის იყო წუთი და მეც ჩავიძირებოდი; მაგრამ ამ ქალმა დამტაცა ხელი და გამომათრია, ვაი იმ დღეს, ფერმიხდილი მიმაცილა სახლში და ამით გაეათაუე ეს მშვენიერი სპორტი. მთელი დღე მშიერი ვიყავი, ვერაფერი ვჭამე.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთი თვე იყო თბილი და მაშასადამე, ცურაობისათვის შესაფერისი.

დილით მამაკაცებისათვის იყო პლაჟი, შუადღეს - ქალებისათვის. კაბინები კარგად იყო მოწყობილი, მისი კიბე პირდაპირ ზღვაში შეგიყვანდა, ამნაირად ზღვის ნაპირზედ მდგომი მას ვერ დაინახავდა.

შესაფერისი ტანისამოსი იყო იმისათვის, რომ სხეული არ ყოფილიყო მეტისმეტად გამომზეურებული.

ბალტიის ზღვა ცნობილია, როგორც ქარვის დედა, ამიტომ დილაობით ზოგიერთი ჩვენი პანსიონერი დაიარებოდა ნაპირებზედ, იქნება, ქარვა ეიპოვნოო, მაგრამ იმ ზაფხულს ისე გაჯეჯილდა ეს ზღვა, რომ კენჭის ტოლა ქარვაც არავის აჩუქა.

ისე შემიყვარდა, თოლია, ზღვა, რომ მისი დატოვება წამოსელისას ძალიან მეძნელებოდა.

ყველაზედ გვიან პანსიონი მე და საველიევის ქალმა დაეტოვეთ, ბალახი აღარ ამოეუშვით, გაგვეტკბა იქ ყოფნა და კარგად ეისიამოვნეთ.

შეგვრჩა ერთი შუახნის კაცი, აქ ჩამოსული, რომ როგორმე მოეცილებინა ის ქონი, რომელიც დასდებოდა და საშინლად ამძიმებდა, ყოველდღე სადილზედ იჯდა, მაგრამ ჭამით კი ვერაფერსა სჭამდა, ეშინოდა, კიდევ არ მოპმატებოდა ეს ამოდენა ქონი; უცნაურად

იყო ეს კაცი დარგვალებული, უფრო დასიებული სჩანდა; ექიმების რჩევით, კვირაში სამი დღე მხოლოდ რძეზედ უნდა გადასულიყო, დანარჩენ დღეებში შეეძლო ეჭამნა, მაგრამ ისიც დიდი თავშეკავებით.

საწყალი კაცი, იჯდა ჩვენთან ერთად სუფრაზედ დაღონებული სახით. უფრო როგორც მოწმე თავისი უბედურებისა, რადგან ჩვენ მეტისმეტად მადიანად მივირთმევდით, ის მაშინ ალბათ ნერწყვებს თუ ჰყლაპავდა საცოდავი.

თითქმის ყოველდღე ვიწონიდით, რომ გვცოდნოდა, რა მარაგით მივდიოდით მოსკოვში. ეს იყო ჩვენი ზრუნვა, ის კაცი კი დავიწყებული გვყავდა.

ძალიან კი გაეჯავრებინა, აღარ გვინდოდა იქაურობის დატოვება, მაგრამ პანსიონი იკეტებოდა, მისი ეკონომი ქალი ჩვენ წასვლას უცდიდა, რომ იქაურობა დაეკეტნა; ეს პანსიონი გაიღებოდა მხოლოდ ზაფხულის თვეებში, მანამდე იქ ჭაჭანება არავისი არ იქნებოდა.

მოვემზადეთ წასასვლელად, ეტლი გველოდება, ანა საველიევა თავის ბარგი-ბარხანით გამზადებული მეძახის: "ნუ დავიგვიანებთ, მატარებელმა არ გაგვასწროსო". მე ამ დროს ზღვის ნაპირებისაკენ მივრბივარ, რომ სატრფოს გამოვეთხოვო, ხელში მინდერის ყვავილების დიდი თაიგულით, რომელიც ზღვის ტალღებს გავატანე, ყვავილებით შემკული იგი სამუდამოდ დავტოვეთ!

იმდენად შევეჩვიე ამ სამი თვის განმავლობაში მის ხმაურს, რომ მოსკოვში ახლად ჩასულს რამოდენიმე დღე ძილი არ გამკარებია, მაკლდა ეს მუდმივი ზღვის მრავალსიმებიანი ორკესტრი.

ოჰ, რა კარგია ახალგაზრდობა, ეს არის მუდმივი სიზმარი და იმასაცით ხანმოკლე, მიდის, ჰქრება, წუთიერად გახარებს, მაგრამ იმავ დროს გამწარებს კიდეც.

1911 წ. უკანასკნელი ჩემს მიერ გატარებული წელიწადი მოსკოვში

მოსკოვში ჩასვლისთანავე ვიშოვნე ერთი ოთახი, მაგრამ იქ დიდხანს ვერ დავრჩი, რადგან სხვისა ოთახი უნდა გამეცლო, რომ ტალანში გავსულიყავი.

იქ მინახულა ჩემმა კარგმა ნაცნობმა სტუდენტმა ქალმა, ასია ლაბანოვამ, მთხოვა, ერთად აგველო ოთახი, ძვირადაც არ დაჯდებაო და ძალიან მთხოვდა, აღარ მომეშვა, დაეთანხმდი.

მართლაც ვიშოვნეთ მშვენიერი დიდი ოთახი, კარგად მოწყობილი და გადაველით. ეს ოთახი იყო ცნობილ ოჯახში, გვარად ნეჩაევა, სამნი დანი იყვნენ, ერთმა მათგანმა, რომელიც იყო იურისტი, ამ ნეჩაევამ პირველმა ქალმა რუსეთში დაიცვა დიდი საქმე, გახდა ცნობილი. კმაყოფილნი ვიყავით, როდესაც კვირაში ერთხელ მათ

სალონიდან გვესმოდა მშვენიერი კონცერტები, ისინი თავს უყრიდნენ ცნობილ მუსიკოსებს თავიანთ მშვენიერ სალონში.

ამ ჩემ ასიას თურმე სხვანაირი გეგმები ჰქონია, უნდოდა სტუდენტების წრეს ჩამოშორებოდა, რიგიანად მოწყობილ ბინაზედ კი ეტარებინა სულ სხვა წრისა და შეძლების ხალხი.

დაიწყო იმით, რომ საღამოობით მოდიოდნენ მასთან ვილაც პოლონელები, დაიწყებდნენ ქაღალდის თამაშს და ძალიან გვიან ათავებდნენ ამ გასართობს.

შემდეგ გაჩნდა ხანშიშესული კაცი, სახელად ბორისი, რუსეთის ერთ-ერთი გუბერნიის წინამძღოლი, ხშირად მოდიოდა ასიასთან და ერთად მიდიოდნენ სასეირნოდ, მისთვის კი სახლში ჰგზავნიდა დიდ თაიგულებს, უძვირფასეს ხილს და ტკბილეულობას; ცოტა ხნით იყო ჩამოსული მოსკოვში, იმყამად მოდიოდა ამ ძველ ქალაქში მეფე ნიკოლოზი და მის დასახვედრად იყვნენ ეს მარშლები აქ თავმოყრილნი.

მახსომს, კრემლის მახლობლად იდგა პატარა ეკგუფი, რომელიც ელოდდა ოფიციალურ პროცესიის გაელას.

გამოჩნდა რამოდენიმე ავტომობილი და შემდეგ ლანდო, რომელშიაც იჯდა ნიკოლოზი, ფერმკრთალი, შეშინებულსა ჰგავდა. მეფე წითელ ფორმაში იყო ჩაცმული. მისი ოთხი ქალი კი თეთრებში იყვნენ გამოწყობილნი.

ხალხი სიჩუმით შეპხვდა, მხოლოდ ერთმა დაიძახა: "Царь Батюшка" და დაემხო პირქვე, შუხლი მოიყარა. "ძალიან ნერვიულობს ჩვენი მეფე, ეკლესიაში ვიდექი იმის მახლობლად და სულ აქეთ იქით იყურებოდა, ვინმემ არაფერი მაენოსო".

გვიამბობდა ბორისი მე და ასიას.

ზღვაზედ გაცნობილმა ხალხმაც მომწახა, ერთ დღეს კოშკეს ცოლის წერილი მივიღე, მთხოვდა საუზმეზედ მიესულიყავი.

დანიშნულ დღეს რომ მივედი იმათთან, იქ დამიხვდა ფაბერჟე თავის ცოლით და მიკეშა, რომელიც თურმე გაფოთებული ეძებდა ჩემს მისამართს და ჯერჯერობით ერაფერს გამხდარიყო, კოშკე კი ადვილად მიპოვნიდა.

ფაბერჟე იყო ბრილიანტების მეფე, აქ პარიზში გარდაიცვალა და კარგი ნეკროლოგი იყო მოთავსებული "ფიგაროში", აქებდნენ როგორც ადამიანს და დიდი გემოვნების დახვეწილობის მქონეს.

რად დასჭირდა კოშკეს ჩემი ამ ხალხთან შეხვედრა მოეწყო, მაშინ არ მესმოდა ახალგაზრდას, კოშკეს ცოლი ჩამეურჩულებდა, რომ ამ კაცს დიდი უსიამოვნება აქვს ამ ცოლთან უნდა მისი თავიდან მოშორებაო და სხვა.

საუზმეზედ ლაპარაკი არ მახსოვს, მხოლოდ მიკვირდა ყურადღება თეითონ სუფრას, ლამაზად იყო გაშლილი და თავში იჯდა თეითონ კოშკე და ძალიან ძუნწად სთლიდა დიდი ყველის ნაჭერს და ასე არიგებდა. ხელმოჭერილი კაცი იყო, ეს ზღვაზედაც შეამჩნიე. საუზმის შემდეგ კოშკეს ცოლი და ფაბერჟესი ცალკე გაეიდნენ, დავრჩით სალონში ეს ორი კაცი, კოშკე და მისი სტუმარი საგანგე-

ბოდ იმ დღეს მოწვეულნი, ისინი ცალ მხარეს და აქეთ მე და ჩემი მუდმივი რაინდი, მიკეშა სუსაკალოვი.

ლაპარაკი არ ეწყობოდა, როგორც ეს ესურვებოდა კოშკეს, მე კი სახლში მეჩქარებოდა დაბრუნება, იქაური საზოგადოება მაინცა და მაინც არ მხიბლავდა.

თავის სტუმარს კოშკემ გამოუტანა ზღვაზედ გადაღებული სურათები და რაღაცეებიც ჩასჩურჩულა ფაბერჟეს, მხოლოდ ისე კი რომ მაინც რაღაც გამეგო, რასაკვირველია, ქალის სილამაზეზე და მისი სხეულის ხოტბა, აი მათი მეგობრული საუბარი.

მე და მიკეშა ჩუმად ვისხედით და თითქმის მონაწილეობას არ ვიღებდით მათ საუბარში. მალე დავტოვე ისინი, მიკეშაც ამედევნა, სახლში მოსული ასიას ვუამბობდი ჩემ სტუმრობას.

რასაკვირველია, ის უკეთესად გამოიყენებდა ამ საზოგადოებას, მე კი აღარ მინახავს არც კოშკეს ოჯახი და არც მისი სტუმრები.

მიკეშა კი ხშირად მოდიოდა ჩემ სანახავად, ერთხელ რომ მოვიდა, გამიკვირდა, საშემოდგომო პალტო ეცვა, ეკითხე, ამ სიცივეში რატომ თავის ქურქი არ ეცვა, ამაზედ მიპასუხა, რომ იმ დღეს მუსიკის მასწავლებელთან იყო და როდესაც ქურქი აცვია, შეიძლება ნოტები მოჰხვდეს და გამიხეხოს ბეწვიო, ერთი სიტყვით დიდი ხელგაშლილი იყო ეს ყმაწვილი, ჯერ ზღვაზედ შოკოლადის ნატეხი დიდის სიფრთხილით ჯიბეში ჩადებული და ეხლა ეს პალტოს ამბავი.

მიკეშა სულ პატარა არსებად მეჩვენებოდა და გულში გამეცინა მაშინ, როდესაც ზღვაზედ მისი ნათქვამი მომაგონდა: "მაგ შავ თმებს ბრილიანტებში დაგიმალავთო."

რა უცნაურია ცხოვრება, ერთხელ აქ საფრანგეთში, კლამარის პატარა რუსულ ეკლესიაში აღდგომის წირვას ვისმენდი, ეს იყო დაახლოებით 1932 წელს, ვილაც კაცი საშინლად მიყურებდა და იმდენად, რომ გიჟი მეგონა და შემეშინდა კიდეც.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეხლა უკვე ქუჩაში შემხვდა ეს კაცი. პირდაპირ მოვიდა და გამაჩერა, მკითხა: "თქვენ არა ხართ სონა ჩიჯავაძეო?" გამიკვირდა, როდესაც თავი გამაცნო, აღმოჩნდა ძველისძველი ნაცნობი მიკეშა, აღარაფერი საერთო არა ჰქონდა ძველთან, დაბერებული სახე, დაღარული განცდებით და მწუხარებით, ბევრი უბედურების მწახველი რევოლუციის სანაში და აქ ემიგრაციაში ემიგრანტის ცოდვილობაში მაცხოვრებელი.

უცნაური იყო ეს შეხვედრა, რასაკვირველია, სპირიდონს ვუამბე. მეორედ კიდევ შემხვდა, მაშინ კი უფრო დაწვრილებით მიამბო ბოლშევიკების სიმკაცრე მათი ოჯახის მიმართ, მამას დახვრეტა, ქონების ჩამორთმევა და სხვა.

აღმოჩნდა, რომ აქ საფრანგეთში ცოლშვილით არის, ძალიანა მთხოვა, მენახა მისიანები; მელაპარაკა იმ დიდ გრძნობებზედ, რომელსაც ის იმ დღიდან ატარებს, რაც ბალტიის ზღვაზედ ერთ

დილით მოსეირნეს გამომელაპარაკა, იგონებდა მზიან, მშვენიერ ამინდს, როდესაც შემხვდა.

რასაკვირველია, უნდოდა, მეც დამეპატიჟნა და ჩემიანები ენახა, მაგრამ მე არ მოვინდომე.

ერთხელ ეს მიკეშა ნახა სპირიდონმა და შენც, თეო, ხომ გახსომს. ჩვენ სამივენი სეირნობიდან დაბრუნებულნი ჩვენ სახლის წინ ვიყავით გაჩერებულნი, როდესაც ავტომობილმა ჩამოგვიქროლა, შიგ იჯდა მიკეშა, ისე რომ თქვენც და იმანაც ერთმანეთი თვალით გაზომეთ, სპირიდონმა ამის შემდეგ რა მითხრა, არ მახსოვს, მაგრამ კი გაოცებული იყო ამ შემთხვევით.

ეხლა ვუბრუნდები ძველ ამბებს. ყველაზე მეტად მოსკოვში ვცხოვრობდი ამ ლაბანოვის ქალთან ერთად, მაგრამ გარდაწყვიტე, რომ დიდხანს არ დავრჩებოდი ამ ოთახში, თუმცა ამის სამაგიეროს მე ცალკე ვერ ეიშოვნიდი.

ერთხელ ჩემთან მოვიდა ვანო დემურია და დავითკა ქობულაშვილი, რომელიც თავის ცხენებს კურსებზედ არბენინებდა და მთხოვა წაყოლოდი თან, უნდოდა ჩემი გართობაც, ხომ იცი, ეს ის დავითკა იყო, რომელთანაც მთელი ჩემი ბავშობა იყო დაკავშირებული.

ძალიან მესიამოვნა მისი ნახვა, დროებით იყო ჩამოსული საქართველოდან, ალბათ ჩემი ცხოვრებაც აინტერესებდა, მაგრამ ამაოდ, გაკერპება ვიცოდი, აბა რა ჩემი საქმე იყო მაშინ ეს კურსები, არ წაეყე, მითხრა: "ალბად გეშინიან, რომ ამ ოთახს წაგართმევს ვინმე, ცოტა ხნით მაინც დასტოვოო, რა არის, რომ არსად დადიხარ, რა უცნაურად სცხოვრობო.". ვანომაც კერი დაუკრა და ამნაირად დამტოვეს.

იმ დროს ასია გასული იყო, თორემ ის უსათუოდ წაყვებოდა, ამ დაპატიჟებას უკუ არ აგდებდა, როდესაც დავითკას ვინაობას გაიგებდა.

ნეტა ვიცოდე, ცოცხალია თუ არა, ყური მოვკარი, თითქოს დახვრიტესო, აფსუს, რა კარგი პიროვნება იყო, სადა, თავმდაბალი და გულგაშლილი.

უკანასკნელად ვნახე, საფრანგეთისაკენ რომ ვაპირებდი წამოსვლას, მითხრა, თუ მოვინდომებდი, იმას შეეძლო არალეგალურად ჩემი გადმოყვანა, სხვებიც მთავაზობდნენ, მაგრამ ვარჩიე მოცდა და დამშვიდებული მოგზაურობა.

მინდა უკან დავბრუნდე და გიამბო ჩემი ასიასთან ცხოვრება რითი გათავდა. შობა მოდიოდა და ის მშობლებთან აპირებდა წასვლას ერთი თვით. მე გარდაწყვეტილი მქონდა, რომ უქმების შემდეგ ცალკე ვიცხოვრებდი, დავტოვებდი ამ ქალს თავის ქალაღდის მთამაშეებთან და ამ ბორისის დარბაზობასაც თავს ავარიდებდი მით უმეტეს რომ ერთხელ როდესაც ასია სახლში არ იყო, ბორისი მოვიდა და თავის სატრფოს მოლოდინში, მელაპარაკებოდა, თუ როგორი ბეწვი მომიხდება, როგორც შავგერემანს, შენშლა ამირჩია თავის

ჭკუაში და ალბად ამის ჩაცმასაც დამპირდებოდა, რომ ასიას კარები არ შემოელო. რუსის ბატონი, შეძლებული იყო.

ლობანოვის ქალი დანიშნული იყო ერთ ძალიან კარგ ყმაწვილზედ, ესეც ალბად გამოუცდელად ჰყავდა მიჩნეული, ამიტომ ჯერის წერამდე სხვებთან ერთობოდა ეს პატარა, მაგრამ მოხდენილი ტანის პატრონი, სახე მარილიანი, ყავისფერი თვალებიანი ძალიან მყუდრო ადამიანი და მოსაწონი.

ხშირად მეუბნებოდა: "შენ არა ხარ ნორმალური, უნდა ექიმთან წახვიდე, ქალი ხარ თუ კაციო, არ მესმის შენი ამბავიო.".

ჩემი პასუხი იყო, რომ რუსის ქალები, თავაღებულები ხართ, ავხორციანები, ხორცი სჭარბობს თქვენში სულს. ამაზედ იცინოდა.

როდესაც საშობაოდ გამგზავრებულს სადგურზედ ვაცილებდი, ჩამომეკიდა კისერზედ, დაიწყო ტირილი, მეეძრებოდა, ნუ დამტოვებ, თორემ დაეილუპებიო..

მე უკვე ოთახი ნაშოვნი მქონდა, ორი ქართველი ქალი ყიფშიძე და ნიჟარაძე გადადიოდნენ ახალ ბინაზედ და თავიანთი პატარა ოთახი მე დამითმეს.

ესენი იყვნენ ნაცნობები ირაკლი ამირეჯიბისა, რომელიც მიამბობდა, რომ სადაც შეეედი, ქართველ ქალთან და მასთან ენახე ვინმე სტუდენტი, ვიფიქრე, რომ ალბად ეს არის ამ ქალის საქმრო, რადგან შენობით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ამის შემდეგ მე აღარ მიეედი, ასე დავდივარ. აღმოჩნდა, რომ იმერეთში ასეთი ჩვეულება ჰქონიათ, ერთმანეთს შენობით ელაპარაკებიანო..

როგორც იყო მივაგენი ორ ქალს, რომელთანაც ჯერჯერობით სამეფო არა სჩანს, ესენი არიან ყიფშიძე და ნიჟარაძეო, რომელიც ახალ ბინაზედ გადავლენ ამ დღეებში და ოთახი თავისუფალი იქნებაო. ჰო და ამის ჩარევით მართლა ეს ოთახი მე დამრჩა. ჩემის ბარგით მიეედი ოთახის დასაჭერად, მაგრამ იმ ღამეს კიდევ იქ უნდა დარჩენილიყვნენ, უკან ველარ გაებრუნდებოდი და დამარჩინეს თავიანთთან, ამათ მე წინად არ ვიცნობდი.

იმ ღამეს ისე ვიყავით როგორც ღამის მთეველნი, პატარა ლოგინზედ ხომ ვერ დავწვებოდით, ის იყო ვიწრო და მოკლე, ან როგორ მიდიოდნენ იოლას ეს ორი ქალი.

ვისხედით სამივენი ამ ქვეშაგებზედ და ჩვენ ძვირფას სამშობლოზედ ელაპარაკობდით, ამ საუბარში ბევრი ადგილი ჰქონდა დათმობილი ჩვენებურ გემრიელ საჭმელებსაც.

თუ მე კახურ ჩიხირთმას და ჩახოხბილს ვაწონებდი ამ იმერეთის ასულებს, იმათ თითქმის დამამარცხეს საცივით და საერთოდ დასავლეთი საქართველოს ყოველნაირი საწებელათი.

იყო მომენტი, სამივეს სიზმარეთისაკენ წაგვწეოდა კისრები, რომ უცბად ამ სიტყვებმა გამომაღვიძა: ნიჟარაძის ქალს დაჰვიწყებია, როგორც სჩანდა, იმერული საჭმელების სიაში ერთი კარგი საჭმელი და ამ ძილში მოჰგონებია ჰოდა მეკითხება: "თქვენში იციან თუ არა ჭინჭარი ძმრითაო", ამას მოჰყვა საერთო სიცილი და დილამაც შემოგვანათა.

ამ ოთახს აქირაებდა ერთი მრეწველი, ცოლქმარნი იყვნენ უშვილონი, ჰყავდათ მოსამსახურე ქალი - ელენე, რომელსაც საწოლად ჰქონდა სამზარეულოს ერთ კედელში ხერელი, სულ პაწაწინა, სადაც ერთი ძალღი კი კარგად მოთავსდებოდა, მაგრამ პირმეტყველისათვის ნამდვილი სამარე.

საწყალი ელენე საღამოობით შეძრებოდა ამ თავის "ოთახში", დილის შვიდი საათიდან კი ციბრუტივით ტრიალებდა.

ხშირად მესმოდა, რომ დიასახლისი სტუქსაოდა, უყვიროდა, ზოგჯერ წაუთაქებდა კიდეც და ეს ქალი დაიწყებდა ტირილს, სლუკუნ-სლუკუნით მაინც განაგრძობდა მუშაობას.

საღამოთი სამოვარს რომ შემომიტანდა, შემომჩივლებდა და თავის უბედურებაზედ მოსთქვამდა.

ერთხელ კიდეც გავამხნევე და ეურჩიე, ადგილის გამოცვლა, წადით სხვაგან, იქნება უკეთ მოგექცნენ,რაკი ეს ხალხი უვარგისია.

ერთხელ ვეღარ მოითმინა და თვალცრემლიანმა მითხრა: "სად წავიდე, იცით, რომ ეს ჩემი დიასახლისი, ჩემი ღვიძლი და არის, მე რომელსაც არა კადრულობენ, ხომ ჰხედავთ, სადა ვწევარ, ეს ხომ ძალღისათვისაც ვიწროა და ჩემთვის რა უნდა იყოს; ჩემი ნათესავები რომ მოდიან, მე უფლება არა მაქვს, იმათთან დავწევდე და ვილაპარაკოვო.

მეცოდებოდა ეს მონა ქალი, მაგრამ რას ეუშველიდი, ბინა ახალ სახლში იყო თავისი ლიფტით, ორი შვეიცარი ფორმაში გამოწყობილნი მოგებებოდნენ და თავიანთ სამსახურს ლაზათიანად შეშოგთავაზებდნენ.

ამასთან მშვენიერი აბანო გაზით გამთბარი და საერთოდ კარგად მოწყობილი ბინა საცხოვრებლად, მისამართი იყო: მალაია კაზიხინსკაია 25. ეს ოჯახი უმდიდრესი ამ მახლობელ ადამიანის მიმართ ადამიანობას მოკლებულნი, მხეცნი...

ყველიერში ბლინებზედ ჰყავდათ დაპატიჟებული სტუმრები და მეცა მთხოვეს.

მათ გრძელ, დიდ მაგიდას ამშვენებდა დოელათიანად საესე ჭურჭელი ახალი ხიზილალით, მაგრამ მისი გემო არავის უნახავს, ძალიან ბეჯითად გეთაეზობდნენ სელიოტკას და არაყანს, ხიზილალა როგორც შემოიტანა ელენემ ისე ციმციმად გაიტანა, საერთოდ რუსები პურმარილიანი ხალხია, მაგრამ ეს ოჯახი გამონაკლისი უნდა ყოფილიყო.

თუ ოდესმე, ჩემო თეო, მოსკოვში მოგიხდეს ყოფნა, ნახე ეს ქუჩა, აქ გავატარე ჩემი უკანასკნელი წელიწადი სტუდენტობისა.

როგორც გითხარი, ანა საველიევა ზღვაზედ ყოფნისას ჩემთან ერთად გამოცდებისათვის ემზადებოდა, მართლა ორი გამოცდა ჩააბარა. პროფესორმა რომ იმისი გვარი დაიძახა, თმები ალყზედა მქონდა, იმის მაგიერად მე ველელავდი, როგორც იყო, მიიღო ორი კარგი ნიშანი, ძალიან გახარებული და ბედნიერი იყო.

მაგრამ საწყალ ქალს ჩაშხამდა ეს გამარჯვება, პეტიგორსკიდან მოუვიდა ნაცნობის წერილი, რომელიც აუწყებდა, რომ ნიუსას

დედა გადაჰკიდებია ერთ ოსს, მთელი ფული, რომელიც პაპამ თავის შვილიშვილს ნიუსას დაუტოვა, ამის დედა თავის საყვარელ ოსს ახარჯვინებს, საერთოდ საჭიროა ამისი საჩქაროდ ჩასვლა, რომ დანარჩენი ქონება მაინც გადაარჩინოს. დედას ჰქონდა ნიუსას ნდობის ქაღალდი, ამით ისარგებლა და ლამის შვილი ცარიელზედ დასვას და მთელი ქონება თავის მეგობარ ოსს გადასცეს.

აი, ამ ამბით მოვიდა საშინლად შეწუხებული და ისიც გამაგენინა, რომ იანვრიდან მე ვეღარაფერს მომიხერხებდა, რადგან თვითონაც ქუჩაში რჩებოდა. მეორე დღესვე გაემგზავრა პეტიგორსკისაკენ, საიდანაც მწერდა, რა საშინელი მდგომარეობა დაუხვდა.

ფული თითქმის გაფლანგული, სახლზედ გაცემული აქვს უღირს დედას, თამასუქი, რომლის ძალითაც ეს ნიუსას სახლი ამ ვალში იმ ოსს უნდა დარჩეს. ეს თანხა არის ორმოცდა ათი ათასი მანეთი.

მაშინათვე ვექილის რჩევით, ნიუსამაც უნდა მისცეს ვისმე ამ თანხის თამასუქი, ვითომ მართებს ამ პიროვნებისა, მაშასადამე ორი თამასუქი ერთი მეორეს დაუპირისპირდება, რასაკვირველია, თუ ასეთი სანდო პიროვნება იშოვნა, მაგრამ საკუთარი დედა არ იყო სანდო და სად უნდა ეშოვნა სანდო ადამიანი.

ჩამოვიდა და მთხოვს ეს ჩემ თავზედ ავიღო. მე ჯერ უარი ვუთხარი, დაიწყო სიცილი, ამოდენა თანხის ვექსილს გაძლევ, ვამბობ, რომ ეს თანხა მმართებს შენი და ამაზედ უარს როგორ ამბობ.

ვექილს უკითხავს, სანდო ვიყავი თუ არა, ამას უპასუხნია, რომ მენდობოდა ისე, როგორც თავის თაეს - რომ მოუვიდეს რამეო, ამას უპასუხნია, რომ წითელ ლოყება, ჯანით სავსეაო.

ერთი სიტყვით მომცა ეს ვექსილი, რომ ჩემი ჰმართებს ორმოცდა ათი ათასი მანეთი.

ამან გადაურჩინა პეტიგორსკში სახლი და დიდი მადლობელი დამირჩა. მეც კმაყოფილი ვიყავი, რომ შევძელი პატარა სამსახური მაინც გამეწია იმ ადამიანისათვის, რომელმაც ხელი შემიწყო, სწავლა გამეგრძელებინა.

იძულებული ვიყავი იმ წელიწადს დიდი შრომა გამეწია, რომ ის რვა საგანი, რომელიც მრჩებოდა დიპლომის მისაღებად კარგად ჩამებარებინა, რადგან შემდეგ წელიწადს ვეღარ ჩამოვიდოდი, ამის საშუალებას ვერ ვიშოვნიდი. ჩემი ამბავი მივწერე თბილისში ჩემ ბიძაშვილ თამარას; ვიფიქრე, რომ მას არ გაუძნელდებოდა დედაჩემი დაერწმუნებინა, რომ საჭირო იყო სწავლის დამთავრების წელიწადს მაინც მომხმარებოდა.

ეს ამბავი მივიდა ზოგიერთის ყურამდე, გაიგო ქართულ გიმნაზიის კომიტეტის თავმჯდომარე პავლიუშა თუმანიშვილმა, რომელმაც მაშინათვე კარგი თანხა მომაწოდა, გამომეხმაურა სარაჯიშვილის კომიტეტი და ბოლოს საზოგადოება "კახეთი", სადაც ჩვენი ღვინოები იგზავნებოდა, იქიდანაც დედას სახელით მომივიდა ფული.

ისე რომ სრულიად დამშვიდებულად შემეძლო მემუშაონა, მაგრამ რა ტემპით, ჩემთვის ჭამასა და ძილს დაკარგული ჰქონდა თა-

ვისი დანიშნულება, გაზაფხულზედ რვა საგანი უნდა ჩამებარებინა და ეს ადვილი არ იყო.

მოსამსახურე გაფრთხილებული მყავდა, რომ არავინ შემოეშვა ჩემთან, მართლა ეს ჩემი ელენე ყველას არწმუნებდა, რომ სახლში არა ვარ.

შობის წინა საღამოს დეპეშა მომივიდა ჩემი ბიძაშვილი ელენესაგან, რომ პეტერბურგისაკენ მიმავალი მოსკოვში იწერება ამა და ამ საათზედ და მთხოვს სადგურზედ გასვლას.

მისი დანიშნული დათა ჯაჯახიშვილი, ივანეს ძმა, პეტერბურგში გარდაიცვალა და საქართველოში მოსვენეს დასაფლავებლად, ელენე მოჰყვა მიცვალებულს და მაშინ უკან ბრუნდებოდა, სადაც იგი საქმიო დარგზედ მუშაობდა.

მიველი სადგურზედ, სადაც მასთან ერთად ვნახე მისი და თამარა და ნინო ჩერქეზიშვილი, მომავალი მეულლე გიორგი გვაზავა, ესენი ერთად მიემგზავრებოდნენ პეტერბურგისაკენ, ძალიან მესიამოვნა ამ ქალების ნახვა. აი სწორედ იქ გაიგე, რომ ნინო დაუნიშნიათ პირველ დაწყებით სასწავლებელში, თვითონაც გახარებული იყო. ორი კვირით მიდიოდა თავის ძმა ვანოსთან უქმების გასატარებლად და თამარასთან ერთად ისევ დაბრუნდებოდა თბილისში.

ელენამ გადმომცა ერთი დიდი ყუთი, რომელიც თბილისიდან ჩემთვის გამოეგზავნა ჩემ ნათესავ ქალს ვარო ვანნაძეს, კოტე ბახუტაშვილის ასულს.

ეს ყუთი იდგა იქ და მისი ადგილიდან დაძვრა ადვილად არა სჩანდა, მატარებლიდან კი ჩამოელოთ, მაგრამ მისი გამტანი გარეთ უკვე აღარაფინ იყო

"ეს ამანათი ვარომ გამომატანა შენთან, სასმუნი უნდა იყოს, აიყვანე ვანკა და ის გიშელიის აქედან გატანასაც და სახლშიაც შეატანინე"-ო, ასე დამარიგა ჩვენმა ელენამ; ვაკოცეთ ერთმანეთს და დავშორდით, ისინი მატარებლისაკენ გაეშურნენ, მე კი ამ ჩემ ყუთს მივუტრიალდი.

ძალიან სასიამოვნო იყო ვაროს ყურადღება, მაგრამ მისი წაღება რალაც მიძნელებოდა.

როგორც იყო, გამოვაცურე გასასვლელში, შობის წინა ღამეა, საღამოს შეიდი საათი, ხალხი მიკრეფილი, ტრამვაი აღარა სჩანს, ეიფიქრე ერთ დროს თავს დავანებებდი ამ ამანათს, წავიღოდი ტრამვაით და მეორე დღეს მოვახერხებდი მის წაღებას.

ვდგევარ და ველი ტრამვაის ან ვანკას, საშინელი ყინვაა, ჩამიქროლა ტრამვაიმ, ცარიელმა, როდესაც ვანიშნე, ხელი ჩამიწია, დეპოში მივდიეარო. მაშ ეს იყო უკანასკნელი; ეხლა უნდა მეშოვნა უსათუოდ ვანკა, გამოვაცოცე ჩემი ყუთი და გამოველაპარაკე ერთერთს, ჩემი მისამართი რომ ეუთხარი, ეშორა და დიდი თანხა მთხოვა, ჯიბეში ძალიან ცოტა მედო, ამიტომ იმდენი უნდა მეცურებინა ეს ნავსი, რომ იაფად მომეხერხებინა სახლში მისვლა.

დიდი თოვლია, ამიტომ ხშირად მის ადგილიდან გადანაცვლებას ჩემი წაბარბაცებაც თან მისდევს, მივცოცავთ მე და ეს ჩემი

ცოდეით სავსე "იამშჩიკი", ყველა ვანკა უარს მეუბნება ჩემ მისართით მოგზაურობაზედ.

დიდი წვალების შემდეგ მივაწყდი ერთ ქრისტიანს, რომელიც თურმე ჩემს მიდამოებში ცხოვრობდა და ეხლა ის უკან ბრუნდებოდა, ჰო და იმისათვის მე შესაფერისი კლიენტი ვიყავი, ჩემთვის კი ნამდვილი ხსნა იყო.

დაუდო ეს ყუთი თაეის მარხილს, ჩავჯექი და გაეწიეთ. ამ კაცმა კარებამდე შემომიტანა ეს ტვირთი და ერთი ამოიხვნეშა: "Да, это уже тяжелая вещь "-ეითომ მეტი უნდა მომცეო. რასაკვირველია, არ ვათხოვნინე და მივეცი.

კარები გავაღე, ყველას სძინავს, ღამის ორი საათია, ტალანში ადვილად მიცურავს ყუთი, ჩემი ოთახიც არ არის შორს, შევედი, საშინელ დაღლას ვგრძნობ. ხელფეხი გაყინული მაქვს, აღარ მემორჩილება.

ეზიარ ასე უნძრეველად, მაგრამ პატარა ხანს უკან ღონე მოკრეფილს ცნობისმოყვარეობა მაწვალებს, არ მასვენებს, გაეიგო მაინც რა არის ამ ყუთში, ღირდა კი ამდენი წვალება, ექვსი საათის განმავლობაში რომ ვებრძოდი მის სიმძიმეს და ორიევენი ღრმა თოელში რომ ვიფლობდით.

გარდავწყვიტე მისი გახსნა, მაგრამ როგორ, ამ უშველებელ ლურსმნებს როგორ ამოვაძრობდი, გარდა ამისა, მთელი ეს ოპერაცია ჩუმად უნდა ჩამეტარებინა, რომ ხმაურზედ არავინ გამეღვიძებინა.

ჩუმად შევედი სამზარეულოში, ავიღე დიდი, მაგარი დანა, ოთახში ამას ჩემი მაკრატელი მივაშველე და დავიწყე ფრთხილი მოქმედება, თან საათს ვუყურებ, შორს არა ვარ წასული, მაგრამ იმედი მაქვს, თუ ცალი მხრიდან მოვახერხე ლურსმანის დაძვრა, სამშვიდობოს მალე გავალ, ვუყლუგუნებ, ვეწევი ერთერთს ჰაი, ჰაი, საცაა დავძრაე, ჰოდა მართლა დაეიმორჩილე და ამოვიღე ეს ერთი ლურსმანი. ამას მივაყოლე მეორე, დახელოვნებულს ოპერაცია მიადვილდება და ვგონებ, ეიმარჯვებ.

დილის ექვსი საათი იყო, რომ კმაყოფილებით და სიამოვნებით დავყურებდი ჩემ წინ გადაშლილ კახურ ზღვენს: კახურ ჩურჩხელებს თეთრ სამოსელში გახვეულებს, მოჭარბებულ სიტკბოს გამო რომ სჩვევიათ, რამოდენიმე ბოთლი წითელი ღვინო, ერთი დიდი კერი თუშური ყველი, დიდი ნაჭერი გოზინაყისა, რამოდენიმე გულიანი ნაზუქი, სხეა და სხეა ხილის ჩირი, ლამაზად ასხმული ჩამიჩი და რა ვიცი, რა არა.

მთელი ეს კახეთის დოლათი თავმოყრილი, დიდის მზრუნველობით ჩაწყობილი, რომ მე მესიამოვნა, საგრძნობი იყო ჩემთვის; უცბად სარკეში ჩემ თავს თეალი მოეკარი, ნაგიჟარსა ეგავდი. არ მითხრა, თეო, როგორც ხშირად გითქვამს: "რა ძალა გედგა, რაზედ გაიშხამე ცხოერება, ხომ სჯობდა სახლში დარჩენილიყავი, სადაც ნებიერად, ქალბატონად იგრძნობდი თავსა, ამოდენა გაჭირება, დამცირება, რამდენიც შენ აიტანე, საჭირო იყო თუ არაო".

შორიდან რომ ვაკვირდები ჩემ იმ წლების ცხოვრებას, განსაკუთრებით პირველ წელს, კრუბერების ოჯახში ყოფნისას, ჩემი თავი შელოცვილი მგონია. თითქოს რალაც ძალა ჩამინათესავდა, რომელიც ასე უცნაურად მამოქმედებდა, როგორ ავიტანე იმოდენა გაჭირება და უსიამოვნება, გაუგებარია.

ამანათის და ჩემი თაეგადასავალი ელენას გაეუზიარე. იმას ჩემი წერილი ივანესათვისაც წაუკითხავს. მწერდა, ბევრი ეიცინეთ, განსაკუთრებით წერილის იმ ადგილზედ, სადაც შენ ასე კარგად დასცინი შენ თავსა.

აბა ამოდენა სანოვაგეს მე ხომ მარტო ვერ მოვერეოდი, ამიტომ გარდაეწყვიტე, ახალი წლის დახვედრა ჩემს ოთახში მომეწყო და ზოგიერთებისათვის დამეძახნა.

წინა დღეებში ტელეფონი დაეურეკე მიშა ზანდუკელს და ვანო მჭედლიშვილს, ვთხოვე, თუ სადმე სხვაგან არ არიან, ახალი წლის წინა საღამო ჩემთან გაეტარებინათ.

ამანათს დიდის სიფრთხილით დავტრიალებდი, ხელი არ მიხლია ღვინოსათვის, ყველი კი ისეთი ხვაიანი იყო, რომ ბევრს გაუძღეებოდა, დანარჩენიც იკმარებდა სამი ოთხი ადამიანისათვის, მეტს კი ჩემი ოთახი ვერც დაიტევდა.

ახალ წლის წინა საღამოს, როგორც ეს ჰქონდა ჩვეულებად ნიუსიას, მისი მოსაკითხი იდგა ჩემს ოთახში, დიდი ტორტი და ერთი ქილა რეზედა.

ჩემს დაპატიჟებაზედ იმან უარი მითხრა, იმას უყვარდა ჩემთან მოსელა, როდესაც სხვას არ შეხვედებოდა, ქართველები ხომ მთლად უცხონი იყვნენ. სტუმრებიდან პირველი მოვიდა თამარა ძნელაძე, რვა საათამდე ველოდებოდით დაპატიჟებულთ, მაგრამ ამაოდ.

ამ ჩემ ოთახში ეს ლამაზი და უხვად დატვირთული სუფრა მტერსაც კი დააფიქრებდა, მე კი როგორც დიასახლისი თამამად მივეგებებოდი სტუმრებს, რომელნიც არა სჩანდნენ.

სამოვარი შიშინებდა, მე და თამარა მიეუსხედით საახალწლო სუფრას, დავლიეთ ჩაი, მიეყოლეთ, რაც გვესიამოვნებოდა. ყველაზედ დიდი იერიში ტორტზედ იყო მიტანილი, თითქმის გაეანახევრეთ, მოვაგეერდელაეეთ.

თერთმეტ საათზედ თამარამ წამოიწია სახლში წასასვლელად, ამ დროს დაირეკა ზარი, შემოეიდნენ მიშა და ვანო, მუნდირებში ჩაჭედილები, თაეიანთი იყო თუ ნაქირაევები, ეს ღმერთმა იცის.

მაშინათვე ჩაი შეეთავაზე, თუმცა მათ ლოდინში, ისიც მინელებულიყო, ამაზედ უარი სთქვეს, შეეატყე, რაც სუფრაზედ იყო, ვერაფრით დაინტერესდნენ.

თურმე ნუ იტყვი, ისინი ნამდვილ ვახშამს ელოდებოდნენ და როდესაც გაიგეს, რომ ამას ვერ ეღირსებოდნენ, საშინლად შეწუხდნენ, მართლის გულით მოსთქვამდა ვანო მჭედლიშვილი: "რა მიქნით, სონია, რაზედ დამაქციეთ, სხვაგან არ წაეედით, იმედი გქონდა თქვენთან ვივახშმებდით, ეხლა ამ გეერდებ-შენგრეულ ტორტის ამარასა ვართ, ეს როგორ გეკადრებათო".

მაგრამ კახურმა ღვინომ თავისი ჯადოსნობა მათ კარგად უჩვენა და ჩვენც ბერი გვაცინა.

იმათ ალბად დაავიწყდათ, ერთხელ რომ ისინი გაგვიმასპინძლდნენ ახალი წლის წინა საღამოს ცარიელი კალთასით და ლუდით და ისე ცოტა იყო ეს ყველაფერი, რომ ამ ჩვენ მასპინძლებს, ქართველ სტუდენტებს დავცინოდით: "რა დაგემართათ, თქვე დალოცვილებო, ცოტა თაფლს მაინც გაგვალოკებდით, რომ ამ ახალ წელს ერთმანეთისათვის გვეთქვა: "ასე ტკბილად დამიბერდიო". ამას მოჰყვა საერთო სიცილი და სიმხიარულე.

ჩემი დახვედრა შედარებით მეფური იყო, ამის და მიუხედავად დამცინოდნენ ის საძაგლები, თურმე ყველას არწმუნებდნენ: "არიქა, ვისაც სისხლნაკლებობა გაქვთ, ნუ დაიგვიანებთ, წადით სონასთან, ძალიან ნოყიერ საჭმელს გაჭმევთო". და თურმე ჩამოსთელიდნენ კიდეც ამ "საჭმელებს" და სიცილით იხოცებოდნენ.

წარმოდგენილი მყავს ვანო მჭედლიძე თავის მიხვრა მოხვრით და სახის გამომეტყველებით, როდესაც ის ჩემ საახალწლო დახვედრაზედ ლაპარაკობდა, მეც კი სიამოვნებით მოვისმენდი მის სიოხუნჯეს, საერთოდ სასიამოვნო იყო ყოველთვის მასთან შეხვედრა.

ეს იყო ჩემთვის ერთადერთი გასართობი ამ შობის უქმეებში, არსად წავსულვარ, არც აღარავინ მიმიღია, დრო, როგორც გითხარი ჩემო თეო, ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო, ამას იოლად როგორ გავფლანგავდი.

ელენეც არა მყავდა კმაყოფილი, რადგან მის წუწუნს და ჩივილს ძველებურად ვეღარ ვუსმენდი დიდხანს. სამოვრის შემოტანისას რომ დამადგებოდა და მოსთქვამდა, მე ვანიშნებდი, რომ იმისათვის არ მეცალა "თქვენი ნაკლი ეს არის, რომ მთელი დღე წიგნს ჩასცქერით"ო, ერთხელ ასე მითხრა, ვეღარ მოითმინა ჩემი უყურადღებობა.

ქართული საღამო მოსკოვში
1912 წლის ექვს იანვარს

გაზეთებიდან ვიცოდი, რომ მოსკოვის თვითმართველობა დიდ ფაციფუცში იყო, ელოდებოდნენ ლონდონიდან დელეგაციას თავის ლორდმერით და მის დასახვედრად ემზადებოდნენ.

მე ჩემ ოთახში დამშვიდებულად ვმუშაობდი, გამოცდებისათვის ველესავდი. დამირეკეს ტელეფონი ცნობილ რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის სახელით, მთხოვდნენ მასთან შეხვედრას.

დანიშნულ ალაგას რომ მივედი, დამიხვდა თვითონ, შედარებით ახალგაზრდა, შავგვრემანი, სხარტი და მკვრივი გამოხედვის პატრონი; მისი ნახვა ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო, მაგრამ ისიც ვიგრძენი, რომ იმის თხოვნას ძირს ვერ დაეუშვებდი და ვერ გავატრიზავებდი ამ ცნობილ პიროვნებას. ამიტომ უარი ვერ გავბედე და დავთანხმდი ქართულ საღამოზედ მონაწილეობა მიმეღო..

იმართებოდა ეს საღამო სუმბათაშვილის თაოსნობით, რომელსაც ესწრებოდა ინგლისის დელეგაცია, საღამოს მოწყობა და ჩატარება მინდობილი ჰქონდა ამ ცნობილ რეჟისორს, კოტე მარჯანიშვილს, რომელმაც სამხატვრო თეატრში ჰამსუნის "ცხოურების კლანჭებით". მთელი პრესა აალაპარაკა და დიდი ქება დაიმსახურა.

ამ ქართული საღამოსათვის მოსამზადებლად ყოველდღიური რეპეტიციები იყო დანიშნული, რასაკვირველია მე ეს არ მესმოდა, რადგან მე მხოლოდ ლეკური უნდა მეთამაშნა.

ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო ეს ჩვენი რეჟისორი, ერთხელ თურმე ჩვენმა სტუდენტებმა დაუდევრობით დაიგვიანეს და როდესაც მივიდნენ, მარჯანიშვილის მაგივრად ცარიელ დარბაზს შერჩნენ, დაუდევრობას და ჩვენებურ ძმა-ბიჭობას იხ ვერ იტანდა, რკინის დისციპლინას მოითხოვდა.

საღამოს პროგრამა კარგად იყო განზრახული, მაგრამ სამწუხაროდ მთლიანად მისი განხორციელება ძნელი აღმოჩნდა, იმიტომაც, რომ დრო ცოტა ჰქონდა, თორემ თავისი გეგმა შეიძლება მთლიანად შეესრულებინა.

პროგრამა იმ საღამისი იყო::

"კახური რთველი", "ჩვენებური ქორწილი", "ღამის თევა", "ფერხული". ქართული გუნდი კომპოზიტორ არაყიშვილის მეთაურობით და ბოლოს ლეკური.

დამიძახეს ლეკურის რეპეტიციებზედ, იქ უნდა გარდაწყვეტილიყო, ვისთან ვიცეკვებდი. აგვიყვანეს ესტრადაზედ, თარი ეჭირა ირაკლი ამირეჯიბს, რომელიც შესანიშნავად სცემდა მიზრაფს. მისი ლეკური მართლაც ადამიანს აათამაშებდა, დოლი კი ერთ სომეხს ჰქონდა მუხლზედ დასვენებული, იმასაც არა უჭირდა რა, საერთოდ კმაყოფილი ვიყავი, რომ ამ შუაგულ რუსეთში ასეთი ოსტატები აღმოჩნდნენ ჩვენი ლეკურის რიტმისა.

მოცეკვავეთა შორის გაემზადებინათ სანიმუშოდ სამნი, ერთ მათგანს რომ დავხედე, კინაღამ ჩემებური სიცილი არ დავიწყე, ეს იყო ვახტანგ მაყაშვილი, ჩემი კარგი ნაცნობი ბავშვობიდან, რაღაც გახუნებული ჩოხა ჩაეცვა, ისე უშნოდ ედგა, რომ სხვა დროს კარგი შესახედავი და ლაზათიანი, დასწყლებული მეჩვენა.

ერთმანეთს შევხედეთ, სიცილი შევიკავეთ და ყური ვიცეკვეთ. მეორე გამოვიდა მიშა თუხარელი და მესამე ივანათამაშვილი და ყველაზედ უკეთესი. მისი გვარი კარგად ვერ დავიხსომე.

მარჯანიშვილი დიდის ყურადღებით გვიყურებდა, მაგრამ ვერ გაეგო, ვისთან ვამჯობინებდი გამოსვლას.

ეს, სად იყო ჩემი ძმა ირაკლი, რომელიც პირველსავე დაწყებულთა ატტაცებაში მოიყვანდა. შემდეგ რაღაც ჯადოსნურად ფეხს გაუსვამდა და ისე რომ წელს ერთხელ თუ შეანძრევდა.

ერთი სიტყვით მეტისმეტი უფერული იყო იმ დღეს რეპეტიცია. მაყურებელთა შორის ორი ქართველი ქალი გვერდზედ რაღაცას ჩურჩულებდნენ, მერე კი მოტრიალდნენ ჩემკენ და თავიანთი აზრი გამიზიარეს: "იცით, ქუთაისში ჩიქოვანის ქალი რომ გამოეა, ვერ

დამკვრელების წინ გაჩერდება, ეშხზედ მოიყვანს და შემდეგ გაშლის ხელებსაო.“

ერთი სიტყვით დამიწუნეს, რა მეთქმოდა, ვერაფერი ვუპასუხე. ჩემის რჩევით, რომ ლეკური უნდა გაშლილიყო დიდ დარბაზში და არა ესტრადაზედ, რადგან ლეკურის უმთავრესი ნაწილი დაცლაა, იქა სჩანს მელეკურეთა ხელოვნება; მარჯანიშვილმა მეორე რეპეტიცია დიდ დარბაზში მოაწყო და ძალიან კმაყოფილიც დარჩა.

იქ დამხვდა ჩვენი სტუდენტების დიდი გროვა.

იქვე იყო გარდაწყვეტილი, რომ ინგლისის დელეგაციას და მთელ ოფიციალურ სტუმრებს, აგრეთვე ჟურნალისტებს ესტრადაზედ ამყოფებენ. დარბაზი კი ლეკურს დათმობოდა.

რადგან იმ საღამოსათვის ბევრს ჰქონდა შეძენილი ქართული ტანისამოსი ქულაჯა, ჩოხა, გურული და სხვა. შესაძლებელი ხდებოდა მათი ჯაჭვი ამ ლეკურის არშიად ყოფილიყო გამოყენებული, რომელიც თარსა და დოლს ნელ ტაშსაც შეაწევდა.

ყველაფერი ეს მარჯანიშვილმა მონაწილეთ მკაცრად შეასრულებინა, დიდი ადამიანის ბუნება გამოიჩინა და დამეთანხმა.

მცირე თეატრის ჩამცმელმა ქალმა შეგვიკერა ქალებს ქართული კაბები დიდის გემოვნებით შესრულებული.

მახსოვს კინია თავზარაშვილის ქალს თეთრი კაბა გაუკეთა და ძალიანაც უხდებოდა ამ შეგვრემანს, რომელიც უიმისოდაც შშეენიერი და ლამაზი იყო.

სხვების კაბები არ დამრჩა მეხსიერებაში, მაგრამ ყველას გარეგნობასთან შესაფერისი კი იყო, რომ მახსოვდეს, ჩემო სულელო გოგო, დაწვრილებით გიამბობდი.

მე გამიკეთეს ატმისფერი, მოყვითანო, მოპირისფრო კაბა, სარტყელგუნის პირი კი მოლურჯო, უფრო იასამნის ფერი, ნაქარგი ალმოსაველური "მ"ებით შესრულებული. კარგი სანახაობა იყო.

ლეჩაქი, ნაქარგი ოქროს პატარა ვარსკვლავებით, ჩიხტიკოპი თეთრი ხავერდით და ოქრომკედით იყო ესეც შემკული, აგრეთვე თეთრი ფეხსაცმელიც დაოქრული.

ერთი სიტყვით მოგვრთეს, რომ ჩვენი თაეი ეჩვენებინათ და ეს თავმოსაწონი ყოფილიყო. არ ვიცი, ჩვენმა უფროსებმა რამდენად მიაღწიეს მიზანს, მაგრამ ჩემი თაეი რომ დიდ სარკეში დაეინახე, სრულებით არ მომწონა, ამ რგვალ კაბაში ნამდვილი თოჯა კუკი ვიყავი; არა, არა, რამდენად ჩოხა ლამაზია ქართველ მამაკაცზედ, იმდენად ქართული ტანისამოსი ქალისა ჩემის აზრით ულამაზოა.

მოვემზადე, ჩავიცვი, მაგრამ გამიძნელდა სწორედ ამ ჩიხტიკოპის თავზედ დადგმა, კავები სადალაქოში დაეახვევინე, რომ არ დაემოკლებინათ, მენანებოდა იმისი მოკრეჭა, უკან ორი ნაწნავი მქონდა, რომელიც ლეჩაქის ჩრდილში იყო მიმალული, მაგრამ დროგამოშვებით ტანის რხევასთან ერთად თაეს აღწევდა ამ ბადეს და წელს ქვეეით ცულლუტობდა.

ესეც შენი პოეზია, ჩემო თეო, ხომ მოგწონს დედაშენი რომ ამეებს გიამბობს. ჩემ წასაყვანად საღამოს შეიდ საათზედ მიშა თუხა-

რელმა ჩემ სახლის წინ მარხილი გააჩერა, რასაკირველია, დავიწყებული ჰქონდა, რომ ის ჩემი ოთახიდან გასული ერთ დღეს თავის ამხანაგებს გაბუტული მისდევდა და ირწმუნებოდა თურმე, მე სონასთან აღარ მიეალ, სულ უხიამოვნება მაქვს ამ ქალთანაო.

ეს დალოცვილი მთელ ოთახს მიქოთებდა, ხან რას წამოაველებდა ხელს და ხან რას, ასეთი სტუმარი არ მომწონდა და სულ შენიშენას ვაძლევდი.[1] მოვიდა ეხლა მორთულ-მოკაზმული, წითელ ხავერდის - ქულაჯაში, ამაზედ ეცვა თეთრი წალები თეთრის ფოჩით, რომელიც ასე ჰშვენოდა ცისფერ აბრეშუმის შარვალს; ეს ყველაფერი ერთად საზეიმო იერს აძლევდა ამ შავგერემან და ეშხიანი სახის პატრონ ყმაწვილს, ცოტა არ იყოს, მომეწონა კიდეც.

ჩემი დიასახლისი და მისი მოსამსახურე, აგრეთვე ზოგიერთი მეზობელი ჩვენი ყურებით გაოცებულნი, მეკითხებოდნენ, სად მიედიოდით; როდესაც გაიგეს, დიდის მოწიწებით შშეელოდნენ მარხილში ჩაჯდომას და მირჩევდნენ, თავზედ თბილად მოიხვიეთ, არ გაციედეთო.

შალი კი მოვიდე თავზედ, მაგრამ ძალიან იოლად, მეშინოდა ჩიხტიკოპისა, ის ვატყაცურად ვერა გრძნობდა თავს და ადვილად შეიძლებოდა, თავი თოვლში ჩაერგა.

მიეედით "კეთილშობილთა საკრებულოში". ეს შენობა საერთოდ ცნობილი იყო თავისი დარბაზებით და ლამაზ სვეტებით: დიდი წვეულებისათვის, კონცერტებისათვის კარგი დამტვევი და შესაფერისი.

ამ ერთერთ დარბაზში მოვისმინე კუსევიცკის ცნობილი სიმფონიური ორკესტრი, ცნობილი ვიოლონისტი იზაი და მრავალი სხვა.

ადრე ვიყავით მისულნი, აქა იქ გაფანტულად დავინახე ჩვენი ყმაწვილები, რომელნიც იმ სალამოს მასპინძლად იყვნენ იქ და თავს ამაყად გრძნობდნენ.

მარჯანიშვილი მათ შორის ტრიალებდა და ხან ერთ ჯგუფს აგონებდა, თუ სად ან როგორ უნდა დამდგარიყვნენ, სტუმრები რომ დარბაზში შემოვიდოდნენ, ისინიც ყურადღებით ისმენდნენ ამ დიდი ოსტატის დარიგებებს.

ჩვენი სტუდენტები სხვა დროს უგემურად ჩაცმულნი, უფერულნი, უშნოდ ჩაჭედილნი ამ ფორმაში, რა შშვენიერები იყვნენ იმ სალამოს ამ თავიანთ ეროვნულ ტანისამოსში, სხეულს შეება მისცემოდა და თავისუფალი მიხვრა-მოხვრა ემჩნეოდათ.

რუსული ბრაგუნა, დიდროხანა ფეხსაცმლის მაგივრად ეს რბილი მესტები ხომ მათ სიარულს ისე არბილებდა, ადამიანს ეგონებოდა, ჰაერში მოძრაობდნენ და ფეხს მიწას არ აკარებდნენ.

---

[1] მართლაც და როგორ მომეთმინა მისი თაეხედობა. მახსოვს, ახლად მოტანილი დაუთოებული საცელები ელაგა ქუშაგებზედ და ეს ჩემი სტუმარი ხან ერთს გასოსწევდა და ხან მეორეს.

პირველი ვინც მომესალმა, ეს იყო ვარლამ ჩიჩუა, შავ სადა ჩოხაში და თავზედ მეგრულად მოგდებული ყაბალახით, რომლის ერთი შაფოჩიანი ყური ლოყას შეეჩერებინა.

გამოსრიალდა, მომესალმა, ვერ ვიცანი, ვერც მისი გარეგნობა და ვერც ეს დარბაისლური, მოწიწებითი სალამი, რა კარგი იყო!!

ადამიანი იფიქრებდა, რომ ქართველ ახალგაზრდობას იმ სალამოსათვის საგანგებოდ აელოთ ცეკვისა თუ გრაციის გაკვეთილები იმ განზრახვით, რომ ამ რუსულ დიდ ტრადიციების შემნახველ შენობაში, უცხო საზოგადოებისათვის აემეტყველებინათ ქართული ჯიშის სილამაზის ნიმუშები, ამით ეთქვათ, "ჩვენც ვარსებობთო".

სიამოვნებით და აღტაცებით აივსო ჩემი სული და ერთგვარი სიამყვც ვიგრძენი. ჩემო ძვირფასო შვილო, შენ ამას კარგად გაიგებ და შეიგრძნობ.

დარბაზი ნელ-ნელა ივსებოდა სტუმრებით.

მარჯანიშვილმა მსახიობები ე. ი. მონაწილენი ამოსასვლელში გაგვაჩერა, სადაც ინგლისელების დელეგაციას დაუხვდა დიასახლისის როლში ლელია ჭავჭავაძის ასული- სუხადოლსკისა, რუსეთის ერთერთ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მეუღლე.

თუმცა ეს ქალი არ იყო ლამაზი, მაგრამ ძალიან სანდომიანი და ეშხიანი, აბა რასაკვირველია, ძვირფასად ჩაცმული და თავზედ ბრილიანტების დიადემა ჰქონდა დადგმული, თაიგულით ხელში მიეგება დელეგაციას, რომელსაც ქალებიც ახლდნენ.

სუმბათაშვილმა მისასალმებელი სიტყვა სთქვა ფრანგულად თუ ინგლისურად, ეს კარგად არ მახსოვს.

სტუმრები გამოატარეს ქართველებმა ხმლებ გადაჯვარებულ ალეიაში. ქალებს თაიგულებით ხელში სახეზედ სიამოვნების იერი დასდებოდათ და რელიგიურ ექსტაზში გრძნობდნენ თავს, ისე მოწიწებით მიდიოდნენ თაჭალუნულები ამ პრიალა ხმლების იდუმალობაში.

მამკაცები კი მხედრულ გუნებაზედ მოსჩანდნენ, რადგან ყოჩაღად და გაბედულად მიარღვევდნენ ამ უცნობ, ლამაზ ორლობეს.

ესენი შეიყვანეს დარბაზში და ესტრადაზედ მოათავსეს. სალამო დაიწყო არაყიშვილის გუნდით, შესრულებული იყო რამოდენიმე ჩვენი ქართული სიმღერა, მხოლოდ ჩემი მეხსიერება ეყარ ალადგენს, რომელი სიმღერები იყო მაშინ.

პირველი სურათი დაიწყო ჩვენებური ქორწილით, მაყრიონის თანხლებით მეფე დედოფლის სვლა. პატარძლად დავითაშვილის ასული, თუმცა მოხდენილი, მაგრამ არ მესმის თავიდანვე ეს როლი როგორ აიცდინეს კინიას, ამ მშვენიერ ლამაზ ქალს. ჩაცმით უფრო შესაფერისი, რადგან თავზედ ედგა მშვენიერი "ყანჩი".

ეს სამკაული ძველად ჯერისწერის დროს უმაღლესი წოდების ქალებს ჰქონდათ. დედაჩემმა თურმე ამით დაიწერა ჯვარი, ამა ტუსიშვილის[2] ასული როგორ აიცდენდა ამ ლამაზ გვირგვინს.

იმ სალამოს ვინ იყო პატარძლის გვერდით მეფის როლში, არ ვიცი, ე. ი. არ მახსოვს. მაყრიონი მიდიოდა ამ სიმღერით: "მოვდივართ, მოგვისარიან" და სხვა.

იქვე შეიკრა ჯაჭვი ქართულ ტანისამოსში გამოწყობილ ყმაწვილთაგან და დაიწყო ლხინი და ცეკვა.

გადავიდა მიშა თუხარელი, რომლის გარეგნობამ მალე მოხიბლა საზოგადოება, მესმოდა ერთი ქალის ალტაცება: "ერთი უყურეთ რა მშვენიერია მისი ტანსაცმელი თავისი თეთრი ფეხსაცმლებითაო".

პირველი ლეკური მასთან ვიცეკვე. მეცეკვებოდა კიდეც, რადგან ირაკლი ამირეჯიბი ეშხზედ იყო მოსული და მშვენივრად უკრავდა თარსა და მედოლეც კარგი ჰყავდა.

დავლის დროს ყმაწვილები გულუხვად მიკრავდნენ ტაშს და ხან რას გამაგონებდნენ, ხან რას "ვინა სთქვა, ქართველები გადაგვარებულები არიანო". და სხვა.

გავათავეთ ლეკური, ტაში არა სცხრებოდა, მარჯანიშვილი კმაყოფილი მეხვეწებოდა, ხალხი თხოულობს, ერთხელ კიდევ იცეკვეთ და ალარ შეგაწუხებთო.

ზედიზედ სამჯერ ვიცეკვე. მეორე ლეკურში ილიკო აბაშიძესთან მომიხდა გამოსვლა, ვერა ცეკვამდა ეს ჩვენი მუსიკოსი, მაგრამ ამბობდა თურმე "კაცო, ათი თუმანი დამიჯდა ეს ოხერი ქულაჯა და როგორ უნდა წავიდე აქედან ისე, რომ ერთხელ მაინც არ გაეშალო ხელიო", "ხონა გამიყოლიებს და მანიშნებს სად და როდის უნდა გაეჩერდე"-ო.

რასაკვირველია, მას მთლად დავიწყებული ჰქონდა, რომ წინა წლებში ჩემთან მადიანად მიირთვა "გერკულესის" ფაფა, ან პირიქით იქნება, რაღაც იმედით სადღაც გამონახა ამ ქულაჯისათვის ეს ათი თუმანი, რომ საღამოზედ ლამაზი და მოსაწონი ყოფილიყო. იმ საღამოს კი უსათუოდ ქულაჯის იმედით იყო გაყოჩაღებული, რომელიც მართლა უხდებოდა; რაც შეეხება მის ლეკურს, რა მოგახსენოთ.

მესამედ კი იანათამაშვილთან ვიცეკვე, მოვისვენე კიდეც, კარგი მელეკურე იყო და ძალიანაც უხდებოდა. ეს იყო სულ ბოლოს, როდესაც საზოგადოება თხოულობდა ამ ჩვენ ლეკურს.

გაუთავებელი ოვაციები, რომელიც ზემო სართულებიდან მოდიოდა, მეტის მეტად გადაჭარბებული იყო, მეც ხომ მადლობით უნდა მეპასუხნა და როდესაც გამოვედი თავის დასაკრელად, მარჯანიშვილმა შუა ალაყას გამაჩერა, საიდანაც უნდა მომესმინა სიტყვები და ამასთან ერთად სადღეგრძელოები ჩემსკენ გამოწედილი

---

[2] ტუსიშვილები, არაგვის ერისთავები.

შამპანიურის ჭიქებით, რომ მომმართავდნენ, ესენი იყვნენ ინგლისელები, მასპინძლები და ჟურნალისტები ესტრადაზედ მოთავსებულნი.

პირველი სიტყვა სუმბათაშვილმა სთქვა: "ბედნიერი ვარ, რომ გიმასპინძლდებით ჩემი ქართული სალამოთიო." და სხვა, მისი სიტყვა დაწერილებით აღარ მახსოვს, ამას მოპყვა ზევიდან ტაშთან ერთად: "ლიზგინკა, ლიზგინკაო".

ესტრადაზედ მოთავსებულნი მომჩერებოდნენ და აღარ ვიცოდი, როგორ გავინთავისუფლებდი თავს ამ უხერხულობისაგან.

გაისმა ქალაქის თავის გუჩკოვის სიტყვები: "Наша соседка Грузия". მერე რა სთქვა, არ ვიცი, რადგან ქართველობა შეინძრა, თითქოს დაიხსნა ასი წლის არტახები და ისეთი ტაშის გრიალით მიეგებნენ ამ სიტყვებს, რომ დარბაზს ზანზარი გაუჩნდა.

იმ დროს რუსის ოფიციალური პირიდან ამ სიტყვების ამოშვება არნახული ამბავი იყო ე. ი. საქართველო და არა თბილისის და ქუთაისის გუბერნია.

იმ სალამოზედ ფილიპე გოგიჩაიშვილი დროებით საქართველოდან ჩამოსული მეუბნებოდა: "თქვენი ლეკური კარგი იყო, მაგრამ მასზედ უკეთესი ის, რაც ჩემმა ყურებმა ამ სალამოს მოისმინა, გაიგეთ, რა სთქვა გუჩკოვმა, არა კარგად გაიგეთ? ჰაა?"

შემდეგ ინგლისელმა ლორდმერმა ილაპარაკა, ჯერ, რასაკვირველია, მადლობით მიმართა მასპინძლებს, რომ ასეთი ლამაზი და შინაარსიანი სალამო აჩვენეს, დაახლოებით ასე იყო გადმოცემული "რუსკოე სლოვოში". "მე მომიელია ბევრი ქვეყნები, ხალხური ცეკვებიც ბევრი მინახავს, მაგრამ ჩემ სიცოცხლეში ასეთი ლამაზი ცეკვა არ შემხვედრია, მოცეკვავემ დღეს შესანიშნავად გადმოგვცა გრაცია და მოქნილობა მთების ცეკვებისაო."

ალბად მე ნამდვილ მოცეკვავედ ვეჩვენე და საქართველო ვინ იცის, რომელ მთაში მომწყდეული.

ევროპიელებს ხომ წარმოდგენაც არა აქვთ ჩვენ ქვეყანაზედ, ამას არაფერი ეშველება, ასე იქნება მეორე მოსვლამდე, ხან სლოვიანები ვართ, ხან სპარსელები და ვინ იცის კიდევ, ვინა ვართ...

იმ სალამოს კი ნახეს ამ უცხოელებმა, რომ გარეგნობით რუსებს არა ვგვეართ და ესეც კარგია.

ლეკური რომ გათავდა, შემომერტყა ხალხი და რა ვიცი, ვინ რა მოჩმახა. გინდა, ესეც გიამბო, ჩემო ლამაზო გოგონი, აი დამიგდე ყური, უნდა კი გითხრა, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა; თუნდა ამასაც ყური მოპკრას ვინმემ, არ დაიჯერებს და დედაშენის ნაამბობს ზღაპრად ჩასთვლის.

დიდი თეატრის ერთერთი ბალეტის მეთაური მირჩევდა დუნკანის სკოლას გაეყოლოდი: "აფსუსია, რომ არ იცეკვოთ, კლასიკური ბალეტი თქვენთვის დაგეიანებულია, მაგრამ დუნკანის სკოლა ზედგამოჭრილიაო"

მაშინდელი თეატრის მსახიობი, ცნობილი მაქსიმოვი საგანგებოდ გამომეჭიმა, რომ ენახა, როგორი ფუხსაცმელი მცია, თვლებზედ ხომ არ იყო შემდგარი.

ერთი ბალერინა საპირისფარეშო ოთახში დამეწია, მიჩვენეთ თქვენი პა და გაკვეთილები მომეცითო.

დარბაზში იქ ვილაცას აელო ჩემი ხელი ,და მხურვალე კოცნით მაჯილდოვებდა. ერთი ხანში შესული ქალი, ძირფასად ჩაცმული თავის აღტაცებას ცრემლიანი თვალებით მიაშკარავებდა: "ასეთი სიამოვნება მე არასოდეს განმიცდია და დიდი მადლობელი ვარ, ნება მომეცით, გაკოცოთო.".

ყმაწვილი ფრაკში გამოწყობილი თეთრ ხელთათმიანი მიშველრდა ხელს ერთი ლოჟისაკენ და მთხოვდა, აი იქ რომ ჩვენი წრე არის, გთხოვთ, კიდევ ერთხელ გვაჩვენეთ ეს მშვენიერი ცეკვაო.

ვინ იყო ლოჟაში, არა ვკითხე და არც მაინტერესებდა, მაგრამ იმან იფიქრა, რომ იმათი ვინაობის გაგება და ჩემი ლეკურში გამოსვლა ერთი იქნებოდა. სომეხი ყმაწვილი კი სერიოზულად მეკითხებოდა: "მარტო ეს მითხარით, რასა გრძნობთ, როდესაც ცეკვამთ, ამბობენ რომ თქვენ იშვიათად თანხმდებით და ყოველთვის უარს ამბობთ იცეკვოთ. მე ის მწუხებს, რომ ველარა ვნახავ იმას, რაც ამ საღამოსა ვნახეო".

იმდენად გადააჭარბეს ზოგიერთებმა, პაველოვასაც კი მადარებდნენ იმ განსხვავებით, რომ ოვაციებს ყურადღებასაც არ ვაქცევდი და ისე მიეცურავდი, თურმე ეს მე არ მეხებოდა, ეს პირდაპირ ხომ მართლა და სასაცილოა.

თუ გინდა, ჩემო თეონი, დედაშენის ცხოვრების ეს ეპიზოდი დაწერილებით გაიგო, მაშინდელ ჟურნალ გაზეთებში, ე. ი 1912 წ იანვრის 6-ს, ამის შესახებ მასალას იპოვნი.

მე მხოლოდ "რუსკოე - სლოვო" წავიკითხე, დანარჩენშიაც ყოფილა, როგორც ეს გავიგე. სწერდნენ თურმე მაგალითად, "რუსეთში მოგზაურობის დროს, ინგლისის დელეგაციაზედ ყველაზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვში გამართულმა ქართულმა საღამომ": და იქვე იხსენებდნენ ჩვენ ლეკურსაც.

როგორც ჰხედავ, შვილო, ამ ლეკურს დიდი პროპაგანდის მნიშვნელობა მიეცა და ასე ფიქრობდნენ მაშინ ჩვენებიც, ქართულმა გაზეთმა "სახალხო ფურცელმა" აღნიშნა ეს და რომ დაუბრუნდი საქართველოში, იქ უკვე ეს დაძველებული ამბავი იყო. ქართული გაზეთის ის ნომერი ვერ წავიკითხე.

იმ საღამოს ერთმა ს. დ. ქართველმა ქალმა მითხრა: "რა ბედნიერი ხარ, სონა, შენზედ ინგლისში ბევრს ილაპარაკებენ"ო

დარბაზიდან გავედი, რომ მენახა ჩვენებური მარანი დიდის ხელოვნებით შესრულებული. შესვლისას ადამიანი მიწის სინესტეს იგრძნობდა, დაინახავდი ჩვენებურ საწნახელს., ქვევრს თავის სარქველით და ხახვით; იქვე თაეწაკრული გლეხკაცი იდგა, რომელსაც ეს არის გოდორი მოეხსნა და ცდილობდა საწნახელში მის დაცლას, ამ როლს ვინ ასრულებდა, არ მახსოვს, ღარიდან ყურძნისწვენი, ამ

შემთხვევაში წყალი, მიჩუხჩუხებდა ქვევრში. შეილო იქ რომ შეეედი და ეს პატარა მარანი ენახე ჩემი თავი კისისხვეში ეიგრძენი.

ამ მარანში ინგლისელებს კახური მაჭრის მაგიერად შამპანიურით გაუმასპინძლდნენ.

რთველის დროს ვენახში გამიყვანეს და დამსვეს ვაზის ფოთლების ფანჩატურში, რომლის ფოთლებში რამოდენიმე ნამდვილი ყურძნის მტევანი გამოიყურებოდა. იქ მე უნდა შამპანიური გამეყიდნა; საზოგადოება უხვად ილებდა ჯიბიდან ოქროს თუმნიანებს, დამხმარედ მყავდა "პატარა ნიკო" ჭავჭავაძე, რომელიც საქართველოდან იყო დროებით ჩამოსული თავის ბიძაშვილი ლელია სუხადოლსკისას. ეს კახელი კაცი, მხედარი, თითქოს პირველად ხედავდა ლეკურს, მთელი საღამო ჩემთან ტრიალებდა და თავის აღტაცებას არა მალავდა.

საღამო კარგად ჩატარდა, მშვენიერი საქორწილო სელა, ორსართულიანი ფერხული. ეს ყველაფერი კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ მეტი დრო ჰქონოდა მარჯანიშვილს. სამწუხაროდ "ღამის თევა" ვერ მოხერხდა, რადგან ამ სურათში "აკვნის ნანას" მთქმელი არაყინ აღმოჩნდა.

კონსერვატორიის მოწაფე ქალმა, რომელიც საგანგებოდ სიმღერასა სწავლობდა, დავითაშვილის ასულმა, ვერ დასძლია ქართული კილო, მისი ჩუქურთმა, მოვიდა ჩემთანაც, ბევრი ვცადეთ ერთად, ბევრი ვაწრიპინე მაგრამ არა და არა, თვითონ იგრძნო, რომ ამ ნანას ის ვერ იმღერებდა. კომპოზიტორი არაყიშვილი მესვეწებოდა, მე მემღერნა, მაგრამ ჩემი პატარა და ხრინწიანი ხმით ამ დარბაზებში გამოსვლა შეუძლებლად მივიჩნიე და უარი ვუთხარი. საღამო რომ გათავდა და ოფიციალური პირებიც წავიდნენ, ჩვენთვის და საერთოდ შინაურებისათვის ორი სუფრა იყო გაშლილი.

უფრო მცირე დარბაზში ერთი მაგიდა ესტრადაზედ იყო მონაწილეთათავის, მეორე კი ქვემოთ სუმბათაშვილის საპატიო სტუმრებისათვის.

იქ ვახშმის დროს ისეთი ფათერაკი მოხდა, რომ პატარძლის როლში მყოფი დავითაშვილის ქალი, კინაღამ ცეცხლმა არ იმსხვერპლა,

ადგილიდან სუმბათაშვილმა სამადლობელი სიტყვა გვითხრა და ჩვენსკენ გამოემართა, ესტრადაზედ ამოვიდა, ჩვენ ქალებს ხელზედ გვეამბორა და უცბად ხელი წაჰკრა მაგიდაზედ ყვავილების და ხილის დიდ აწოწილ თაიგულს სანთლებით გაჩაღებულს ე. ი საქორწილო სუფრის მოსართავს, რომელსაც ჩვენში მოქალაქენი წესად სთვლიან.

ცეცხლი წასწვდა პატარძლის ლეჩაქს და სისწრაფით მოედო მთელ მის თავის სამკაულს, მაგრამ ქართველმა ბიჭებმა თავიანთი მარჯვე და მალი მოძრაობით დროზედ მიფშვნიტეს ცეცხლის ალი და ეს გაფითრებული ქალი სამშვიდობოს გაიყვანეს.

გათავდა საღამო და მისი ავკარგიანობაც წარსულს ჩაბარდა. ეს კია, თუ იმ ხანებში საღამო სადმე იმართებოდა, მოდიოდნენ და მთხოვდნენ მონაწილეობას, თუ აფიშაზედ თქვენ სახელს მოვათავ-

სებთ, ბევრი მოვა, მეტადრე ის ნაწილი საზოგადოებისა, ვინც ქართულ სალამოს ვერ დაესწროთო..

ამას წინად ნოე ცინცაძე, ამ ემიგრაციაში მყოფი, იგონებდა ამ ამბებს, "მე სწორედ იმ დროს მოსკოვის საგუბერნიო ციხე "ტაგანკაში" ვიყავი დამწყვდეული და იმ ქართული სალამოს ანგარიში, თეო, დედათქვენის ცეკვის შესახებ გაზეთებში წაიკითხე, ისეთ გაზეთში, რომელიც უბრალო ახალ ამბების გაზეთი კი არა, არამედ რუსული აზროვნების პირველი ორგანოა".

ხომ გიხარიან, ჩემო შვილო, დედაშენის ახალგაზრდობის ამბების მოსმენა, მეტადრე მაშინ, როდესაც ამას სხვა გადმოგცემს; როგორც იცი, ზოგს უძნელდება სხვისა კარგი მოიგონოს, ცინცაძეს ეს არ გაუძნელდა.

იმ დღეებში ლექციაზედ ვიყავი და დასასრულს შევესწარი ერთი ჯგუფის ლაპარაკს, ქართულ სალამოზედ და ვილაც ქართველ ქალზედ, მის ცეკვაზედ, მის თავდაბლობაზედ, არაფერს იმჩნევდა, თითქოს ეს ტაში და მოწონება იმას არ ეხებოდაო.

ჩემი სანჩო პანჩო, ჩემი მეგობარი ქალი, სიმაკოპულო, რომელსაც გაზეთები წაკითხული ჰქონდა, გარინდებული ყურს უგდებდა, რომ იხელთა დრო, თავმოწონებულმა უთხრა: "თუ გინდათ, გაგაცნობთ იმ ქალსა"-ო და როდესაც ჩემი თაეი უჩვენა, შემომხვიენენ და კითხვებით გამაესეს.

შენ წარმოიდგინე, არც ერთ ჩემ ნაცნობს არ გაეგებინე, რომ იმართებოდა ქართული სალამო და მონაწილეობას ვღებულობდი.

ხომ დარწმუნებული ხარ, რომ არც კრუბერის ოჯახი, არც ანატოლ არაპოვი არ იტყოდნენ უარს და ამ სალამოს დაესწრებოდნენ, შემდეგ ზღაპრად გაცნობილი კოშკეს ოჯახი და მის ოჯახში ნანახი ფაბერჟეც თავიანთ აზრს გამოზიარებდნენ და ტაშსაც დამიკრავდნენ.

სად იყვნენ ეხლანდელი ახალგაზრდა ქალები, რა იოლად გახდებოდნენ ცნობილნი. მე კი იმ დროს სულ სხვა მაწუხებდა, სხვა რამ მქონდა თავში და გზაც სულ სხვა არჩეული, სწორე გითხრა, ჩემო შვილო, არცა ვნანობ.

გახსომს ამ რამოდენიმე წლის წინათ საქართველოდან ჩამოსულმა ცაცა ამირეჯიბმა სხვათა შორის გითხრა: "დედაშენს, თეო, დიდი ნიჭი ჰქონდა მსახიობისა, ამან ეს არ მოინდომა და "უჩიტელნიცაობა" არჩიაო".

არ ვიცი, ეს მასწავლებლობა, მეტადრე მაშინ, რად მიაჩნდა ზოგიერთს დაბალი ხარისხის მოღვაწეობად.

როდესაც კლასში შევდიოდი, მე ხშირად თავს მსახიობად ვგრძნობდი, განსაკუთრებით, როდესაც ჩვენი პოეზიის ნიმუშებს ვკითხულობდი ამ ნორჩი თაობის თანადასწრებით.

სალამოს მეორე დღეს ლიხაჩით მომადგა ნიკო ჭავჭავაძე და ლელას სახელით მთხოვა, ის სალამო იმათთან გამეტარებინა.

დაღლილი ვიყავი, მაგრამ დავთანხმდი, ვიფიქრე, რომ უცხო არავინ ეყოლებოდათ, ჩაუცმელი ვიყავი, და მეტისმეტად შინაური

ტანისამოსში გაეცვ ნიკოს, რომელმაც დამარწმუნა, რომ შეიძლება მხოლოდ ცირკში წავიდეთ და იქ ხომ არ იქნება საჭირო პალტოს გახდა, როგორცა ხართ, ისე წამოდითო.

წაველით ჯერ ლელას ბინაზედ, რომელშიაც ნამყოფი ვიყავი ერთხელ ამ რამოდენიმე წლის წინად. იქ რომ მივედით, შემაფიქრიანა მოსამსახურე ქალმა, რომელიც ძალიან მორთული მეჩვენა, შემოვიტანა სამელი და მასთან ერთად ნამცხვრები, და ეს ყველაფერი ისე ლაზათიანად იყო, რომ ჩემი თავი იმ დიდ სალონში დაკარგულად ვიგრძენი. რასაკვირველია, სამელზედ უარი ვთქვი და ერთი ნამცხვარი ზრდილობის გულისათვის ავიღე, რა სიამოვნებით დავბრუნდებოდი ჩემ პაწია ოთახში!

ჯერ წამიყვანეს მოსკოვის ერთ-ერთ ცირკში, იმათ ხომ თავშიაც არ მოუვიდათ ჩემი თეატრში წაყვანა.

იქიდან კი მოსკოვის ცნობილ ღამის რესტორანში "პრაგაში", რომელიც არბატის დასაწყისში იყო მოთავსებული.

სუხადოლსკის და მისი სტუმრებისათვის გრძელი მაგიდა იყო გამზადებული.

ადვილად წარმოსადგენია, რა გუნებაზედ ვიქნებოდი ჩემი შავი ქვედატანით და ზედატანიც ამის შესაფერისი. თუ არა ვცდები, მგონი ლურჯი ფერისა იყო, აი, ამაში ვიყავი გამოწყობილი.

ჯერ საპირისფარეშო ოთახში შემიყვანა ლელამ, რომელიც ყოველთვის ბრილიანტებში იყო ჩასმული, ვეხვეწებოდი, სახლში დავებრუნებინე, მაგრამ მარწმუნებდა, რომ ახალგაზრდა ვარ, ყველაფერი მიხდება და გარდა ამისა, ეს სალამო საგანგებოდ ჩემთვის არის მოწყობილი, რომ მადლობა მითხრან სუფრაზედ ქართულ სალამოზედ ჩემი მონაწილეობის გამო.

შეველით დარბაზში, რომელიც სავსე იყო სალამოს კაბებში გამოწყობილ ქალებით და მუნდირ-ფრაკიანი მამაკაცებით. ცუდად ვიგრძენი თავი და გაწუწულ წიწილასავით აბუზული ვიჯექი მასპინძლის გვერდით, თუმცა ლელამ თავისი ბეწვიც დამითმო, მაგრამ ეს რას მიშველიდა.

ნიკო ჭავჭავაძეც მალე წავიდა ტანისამოსის გამოსაცვლელად და ცოტა ხნის შემდეგ ისიც საზეიმო ტანისამოსში გამოწყობილი, რომელსაც ბრჭყვიალა მენდლები ამშვენებდნენ, გვერდით მეკდა.

ის კი სამშვიდობოს იყო გასული, მაგრამ მე წინა სალამოს საზეიმო ტანისამოსში მორთულ-მოკაზმული, ეხლა ამ ბრწყინვალე კრებულში სტუდენტად ჩაცმული, ე.ი. ჩაუცმელი და უფერული ვიყავი.

ჩვენ სუფრაზედ გარდა კოტე მარჯანიშვილისა, რომელიც ლელას ნათესავი იყო, რამოდენიმე უცხო პირიც გვიმშვენებდა მხარს.

როდესაც სუხადოლსკიმ აიღო ჭიქა, მომიბრუნდა და მადღეგრძელა, როგორც მიზეზი ამ ზეიმისა, ერთმა დამსწრეთაგანმა, რომელიც დაგეიანებით მოვიდა, თავით ანიშნა ჩემზედ, თითქოს უნდოდა გაეგო ჩემი ვინაობა. მაშინ მასპინძელმა სიცილით უთხრა: "ეს

ის ქალია, რომელმაც გუშინ შენი თაეი კინალამ საგიჟეთში ამოაყოფინაო და სწორედ ამიტომაც გთხოვე ამ სალამოს ჩემს მაგიდაზეო".

ამ კაცმა ვერ მიცნო, გესმის შვილო, აი, რა მნიშვნელობა აქვს გარემოს და ტანთსაცმელს, რომელშიაც ადამიანი ეჩვენება სალხს.

დიდი სადღეგრძელოები და დიდი მადლობა მითხრეს, რომ ქართულ სალამოზედ მონაწილეობა მივიღე და დაეეხმარე, განსაკუთრებით მადლობელი იყო კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც ადრე დაგვტოვა - საშინლად იყო დაღლილი და წავიდა. ჩვენ კი კარგა ხანს ვიყავით ამ სალხის ჟრიამულში და მისვლა-მოსვლაში.

უცბად გამოჩნდა ჩემთან სალამოს კაბაში მორთული ქალი, რომელიც დიდის სიყვარულით მკითხავდა ჩემს ამბებს, ვერ ვერ ვიცანი, შემდეგ მივხვდი, რომ ის ზღვაზედ ჩემს პანსიონში იყო ცოტა ხნით მოსული, რომელთანაც მე იქ სიტყვაც არ გამიცვლია.

ჩვენი მაგიდა საპატიო ადგილას იყო გაჭიმული, ამიტომ დარბაზში მყოფნი დიდის ყურადგებით გვათვალიერებდნენ, თუ შეამჩნიეს ჩემი მორთულობა, ხომ უფრო და უფრო გაოცდებოდნენ.

ამ ქალმაც სწორედ ჩემი საშუალებით სცადა ამ მაგიდაზედ მყოფნი გაეცნო, მაგრამ მე არ გავაცანი, რადგან მისი ვინაობა არც ვიცოდი, ამიტომ მალე დამიკრა თაეი.

ამით "გათავდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა".

ნიკომ გამომაცილა და ჩვენი კარის კაცი თაეის მუნდირში დიდის მოწიწებით გამოეჭიმა ამ კაბელ თაეადიშვილს, რადგან მისი ვიბის სიუხვეს ის უკვე ნაზიარები იყო სწორედ იმ სალამოს, როდესაც ნიკო ჩემ წასაყვანად მოვიდა.

შეველი ჩემს ოთახში და მოვისვენე, ალარც სალხი და ალარც მისი მოუსვენარი ჟრიამული.

ბევრი სამუშაო მქონდა, ვშიშობდი, რომ ამას ვერ შევძლებდი და ამის გამო ნერვები საშინლად მქონდა აწეწილი.

უკანასკნელი ჩემი გამოცდები და საქართველოში დაბრუნება

დღისით, დღის სინათლეზედ, დამშვიდებულ პირობებში ვიჯექი და ეფურცლავდი დაბეჭდილ ლექციებს, შეშინდა, არაფერი გამომრჩენოდა ამა თუ იმ პროფესორის ნათქვამიდან, ისინი ამას მკაცრად მოითხოვდნენ გამოცდების ჩაბარების დროს. ისე კი დანარჩენი მასალა წლის განმავლობაში ბიბლიოთეკაში მქონდა შეთვისებული.

ჩემი ოთახის ფანჯარა ეზოში გადიოდა, საიდანაც დრო გამოშვებით თვალს მოეკრავდი თამარა ჩერქეზიშვილს, რომელიც თაეისი ძმით იქვე ცხოვრობდა, ისიც ჩემსავით გამოცდებისათვის ემზადებოდა, ფილოსოფიის დარგზედ იყო, გატაცებული ბერგსონით.

ეს ქალი პირველად ვნახე აქ, ქართული არ იცოდა, ამიტომ ერიდებოდა თავის თანამემამულეთ, ნელ-ნელა მეჩვეოდა და ხშირად მოადგებოდა ფანჯარას, დავიწყებდით ლაპარაკს, მაგრამ ორიევს გვესმოდა, რომ ხელი ერთმანეთისათვის არ შეგვეშალნა და ხალისიანად დაწყობილი საუბარი ორივესათვის სამწუხაროდ მალე თავდებოდა.

კარგი ქალი იყო. ეს პატარა ტანისა, შავგვრემანი გოგონა, გაჭირებული სჩანდა. ჩრდილოეთის ჰაერი საწყალმა ვერ აიტანა და ბოლოს დაჭლექდა.

იმ ხნის განმავლობაში ჩემთან ფეხი არავის შემოუდგამს, რომ მოსულიყო კიდეც ვინმე, მოსამსახურე არავის შემოუშვებდა, სახლში არ არისო.

. გაზაფხულზედ ყოველთვის ამეშლებოდა დარდები, ჩემი ქვეყნის მშვენიერ ჰაერს მოწყურებული და მითუმეტეს იმ წელს, როდესაც უკვე ორი ზაფხული იყო, რომ საქართველოში არა ვყოფილვარ, მეტის მეტად ვგრძნობდი სამშობლოს სევდას მივადგებოდი ღია ფანჯარას და ჩუმად ვლიღინებდი "გადმიშვი მთაოს".

ამის შემდეგ ძნელი ხდებოდა ჩემთვის უცხო ერის წარსულის გაზეპირება და გულმოდგინედ მუშაობა, მაგრამ ამას აღარაფერი ეშველებოდა.

ეს ვიაჩესლავების და სვეტოსლავების თავგადასავალი უნდა მცოდნოდა, თუ მინდოდა, ჩემი დაწყებული საქმე ბოლომდე მიმეყვანა.

რუსული ისტორია, რომელიც სპეციალურად მქონდა არჩეული, ცხოვრებაში ვერც გამოვიყენე, რადგან მისი სწავლება არ დამჭირდა. იმ გაზაფხულისათვის კიდეე მრჩებოდა მე-19 საუკუნე და მასთან დაკავშირებით გლეხთა განთავისუფლება.

ეს კი ჩემთვის საინტერესო იყო, რადგან ჩვენ იმ დროის წარსულსაც ეხებოდა. ამ საგანს გვიკითხავდა ცნობილი ისტორიკოსი კიზივეტორი, მშვენიერი მჭევრი. ამიტომ მისი აუდიტორია ყოველთვის გატენილი და სულგანაბული იყო.

იგი მაშინდელი რეჟიმის წინააღმდეგი, თავის ქვეყნის ნაკლს ააშკარავებდა და სასტიკად ჰკიცხავდა.

ხშირად ტაშით შეგვიწყვეტნია მისი ნათქვამი, ალბად ახალგაზრდების მოწონება მას გულში სწვდებოდა, ამ ჭაღარაშერთულ, სასიამოვნო სახის მქონე პროფესორს.

დანიშნულ დღეს მიველი მის გამოცდაზედ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაში, აღელვებული და გონებადაბნეული.

ტალანში სტუდენტები ტრიალებდნენ და აუდიტორიაში კი თავი მოეყარათ მსმენელებს, რომელნიც მხოლოდ ყურის დასაგდებად მოსულიყვნენ და იმ წელიწადს არც ფიქრობდნენ ამ საგნის ჩაბარებას.

ტალანში ერთი ქალი აქოთებული ხან ერთს ჰკითხავდა, თუ როგორ უნდა უპასუხოს ამ კითხვაზედ, ხან მეორეს მიუბრუნდებოდა, ბოლოს მეც მომადგა, მე ვერაფერი ეუპასუხე, თავიდან ყველაფერი ისე გამპარვოდა, რომ კიდეც ეფიქრობდი იმ წუთს, რომ ასეთ მდგომარეობაში პროფესორის წინ სკამზედ გამოჭიმვა არა ღირდა.

ის ქალი ალბად ნაწყენი დამირჩა, მე კი სწორედ იმან შემაფიქრიანა, ეეძებდი იმ ქალის კითხვაზედ პასუხს, ვაი თუ ეს კითხვა მე შემხვედეს, რა უნდა მეპასუხნა.

აუდიტორიაში ერთად შევედით. იმისი გვარი ამოიკითხა პროფესორმა და დაიწყო გამოცდა..

ეს საცოდავი ისე დაიბნა, რომ მთავარ კითხვაზედ ვერ უპასუხებს: "რა პირობებში გაანთავისუფლეს გლეხობა და რა მიიღეს ამ უკანასკნელთ?" პასუხი არა სჩანს, პროფესორი ეუბნება, რომ "თქვენ მზად არა ხართ და გთხოვთ ამ საგნის ჩასაბარებლად, შემოდგომაზედ მოხვიდეთო".

ქალი ევაჭრება: "სამი თვეა ამ საგანს ვამზადებ და ვმუშაობ, როგორ უნდა მოვიდე მეორედ მის ჩასაბარებლად, მე მზადა ვარ და ველარაფერს მოვუმატებო".

პროფესორი გაფითრდა, ეუბნება, რომ შეუძლიან დაუწეროს სუსტი ნიშანი, სხვა გამოსავალს ვერ ჰხედავს, ამ გოგოს ეს არ აკმაყოფილებს და ჯიუტობს.

აუდიტორია თავის აღელვებას ველარ მალავს და ხმაურობს, რომ ვერაფერს გახდა კიზივეტორი, ხმამაღლა უთხრა: "Какая Вы неисправимая". რა გაუსწორებელი ხართო და ხელი კარებისაკენ მიუშვირა. ამ აღელვებულ ადამიანთან ჩემი გამოცდა საშიშად მეჩვენებოდა, მით უმეტეს რომ ყველაფერი რაც წინა დღით თავში მეგულებოდა, ეხლა მთლად ისე წაელო ქარს, ვფიქრობდი ენასაც ვერ დავძრავდი.

ამ ცეცხლში ვტრიალებდი, როდესაც მას ჩემი საგნების წიგნაკი გადავეცი და სკამზედ მძიმედ დავეშვი.

წიგნაკს რომ დაჰხედა, მკითხა, საიდანა ვარ "ალბად კავკასიიდან არა?" ცოტა მომეშვა, ვიფიქრე, რომ სამშვიდობოსა ვარ გასული, როდესაც ვუთხარი, რომ ქართველი ვარ, თითქოს ესიამოვნა, მე ასეთი გრძნობა მქონდა .

"მაშ აბა მითხარით, რა გავლენა მოახდინა ქართულმა კანონმდებლობამ რუსულ კანონმდებლობაზედ გლეხთა განთავისუფლების საკითხშიო?" წელში გავსწორდი, ამოვიდგი ენა, ხმა ამოწმენდილმა ამაყად დავიწყე, რაც ვიცოდი ამის შესახებ:

"საქართველოში ბატონყმობის დროს ყმებს ბევრი შეღავათი ჰქონდათ, ეს იყო რუსეთის შემოსვლამდე, აი ეს კანონი იყო გადაღებული რუსეთის მიერ და ფიქრობდნენ მის განხორციელებას"

"შერე, მეკითხება პროფესორი, თითქოს ჩქარობდა, ამაზედ მალე მეპასუხნა, მე ღიმილით ვთქვი: - ეს კანონი ისევე როგორც ბევრი სხვა ამგვარი მწვანე მაუდის ქვეშ დარჩა".

"Прекрасно", მომიწონა და გადმომცა ჩემი საგნების წიგნაკი კარგის ნიშანით გამოვედი აუდიტორიიდან და ის კერპი ქალი მომვარდა, თურმე კარებიდან ყურს უგდებდა ჩემს გამოცდას. "აკი ალარაფერი მახსომსო, მე თქვენი დეკლამაცია კარგად მოვისმინე, თქვენი თაეი ალბად სცენაზედ იგრძენით. ისე უპასუხებდით, მე კი ვერც ერთ კითხვაზედ ვერ მიპასუხეთ, არაფერი ვიცით, ამით მომი-

შორეთ. "это нехорошо товарищь", ამ ბურტყუნით გამომისტუმრა ამ ქალმა; რა უნდა მეთქვა იმის მეტი, რომ ძალიან ცუდათ მოიქცა და თავისი თაეი სმოლენსკის ბაზარზედ ეგონა, ისე ეეპრებოდა პროფესორს.

მიეედი სახლში, მაგრამ ჩემი სიამოვნება ცოტა შებერტყილი იყო იმ ფიქრით, რომ ის ქალი ვერ დავაჯერე, ვერა და ვერა, როდესაც ჯელავ, ყველაფერი მაეიწყდება, მაგრამ პასუხის დროს თითქო ძალა მეძლევა და მაშინ კარგად ვერევი ამ ჩემი გონების აწეწილობას.

ვემზადებოდი და აი მეორე დღეს უნდა ჩამებარებინა კანტის ფილოსოფია, მისი შემეცნების თეორია, მისი მორალი და სხვა. ეს მასალა მოცემული იყო ვიქტოროვის მიერ გამოცემულ ახალ წიგნში.

მოვიდა ჩემთან ფილიპე გოგიჩაიშვილი. ეს ჩვენი ეკონომისტი, თბილისში ბრუნდებოდა და უნდოდა ჩემი დაწერილებითი ამბები თაეის ცოლისათვის, რომელიც ჩემი მასლობელი მეგობარი იყო, ჩაეტანა.

დაჰხედა ჩემ წინ გადაშლილ წიგნს და მითხრა: "ეჰ, ჩვენ ახალგაზრდობას კანტის ფილოსოფია კი არ ესაჭიროება, არამედ სულ სხეა რამეა საჭირო ჩვენი ქეეყნისათვის, ყოეელდღიური ცხოვრების მოელა, პატრონობა, ოჯახის საქმიანობის კარგი ცოდნა და საერთოდ მეოჯახეობაო.".

მაშინ ბეერი ეეკამათე ამ განათლებულ და გამოცდილ ადამიანს, მაგრამ ეხლა რომ ამ ეეროპის ცხოვრებას ეეზიარე, ვნანობ, რომ რუსეთში წაეედი და არა ეეროპაში, როგორც ჩემი ძმები.

ეხლა მე უკეთ მეძნებოდა მოწესრიგებული ჩემი ოჯახის ცხოვრება, ამდენს არ ეიწეალებდი, ენერგიასაც შეეინახავდი და იქნება, ჩემო შეილო, შენთეის უფრო სასარგებლო ეყოფილიყავი.

ბეერი რამე მაქვს, ჩემო თეონი, სანანებელი, მაგრამ ეხლა გეიან არის, გადაბრუნებულ ურემს აღარაფერი ეშეელება, თუნდაც კარგი გზა მერე გამოჩნდეს. ეცადე, შეილო, არ დაიგეიანო და კარგ გზას თაეიდანეე არ აცდე.

იმ გაზაფხულზედ მრჩებოდა დამატებითი საგანი პოლიტიკური ეკონომია და ისტორიიდან საშეალო საუკუნეთა ქალაქების წყება.

გაგეაგებინეს, რომ ამ უკანასკნელი საგნის ჩასაბარებლად აუცილებლად საჭიროა ბელოეის ახალი ნაშრომის ცოდნაც, რომელიც ეერ არ იყო გამოსული, ამიტომ ეს გამოცდა ძალაუნებურად შემოდგომაზედ უნდა ჩამებარებინა; ამასთან დასაწერი მქონდა საკანდიდატო შრომა, ამისათეის ენკენისთეეში მომიხდებოდა ჩამოსელა.

უკანასკნელად მიეედი პოლიტიკურ ეკონომიის გამოცდაზედ პროფესორ გოლდშტეინთან.

შეეედი აუდიტორიაში და სულ უკანასკნელ რიგში დაეჯექი. ყურს ვუგდებდი გამოცდას, ეფიქრობდი, მაშინ წამოეიწეედი ადგილიდან, როდესაც მღელეარებას დაეძლეედი.

ოთხი საათიდან მისული 9 საათამდე ვიეექი გაუნძრეელად.

როდესაც ძალაუნებურად ჯერი ჩემზედ მოდგა და ჩემი ბილეთი ავიღე, ხმაწართმეულმა დავიწყე ლუღლუღი, მეც მუცნაურა ჩემი ხმა, მთლად დაკარგული და ჩალექილი.

რომ გავათავე, მომცა კიდევ რამოდენიმე კითხვა და მითხრა:

"თუმცა კარგადა ხართ მომზადებული, მაგრამ მინდა დაგსაჯოთ და სუსტი ნიშანი დაგიწეროთო.".

გაცებულმა ვუპასუხე, რომ ჩემ საგნების წიგნაკში თქვენი სუსტი ნიშანი გამონაკლისი იქნება, ამიტომ მე ეს არ მაწუხებს.

"იცით, რა არის ამის მიზეზი, ის, რომ ახალგაზრდამ ამ მშვენიერ ამინდში არ ეცადეთ, უფრო ადრე გეპასუხნათ, წასულიყავით ან სასეირნოდ, ან სინემაში და ამ მტერიან ოთახში დაიმწყვდიეთ თავიო".

დამიწერა კარგი ნიშანი და შემირიგდა.

ჩაცმის დროს ამ გოლდშტეინმა იმდენი იზოზინა, რომ ერთად გამოეედით გარეთ; მკითხა, ხმა რადა მაქვს წართმეული, ხმამალლა ხომ არ იზეპირებთ მასალასო და როდესაც გავაგებინე, რამოდენა სამუშაო ვაწარმოე ამ ხნის განმავლობაში, რომ საშინლად ვარ დაღლილი და ენერგიულობ, ძალიან გაუკვირდა, "რად გინდათ ასე მალე სწავლის გათავება, როგორ მოახერხეთ ამოდენა საგნების ამ მოკლე ხანში ჩაბარება, ბოლოს და ბოლოს სამრისათვის ხომ არ ამზადებთ ამ დიპლომსაო".

მითხრა ისიც, თუ რამდენათ თქვენა ხართ კარგად მომზადებული, იმდენად თქვენი თანამემამულენი უნივერსიტეტში ზარმაცობენ და გამოცდაზედ მოუმზადებელნი მოდიანო..

არ ვიცი, ქართველები ჰყავდა მხედველობაში თუ საერთოდ კავკასიელები. სტუდენტებში ბევრი ლაპარაკი და თავმოწონება იყო იმის გამო, რომ ამავე გოლშტეინთან გრიშა ცხაკაიამ პოლიტიკურ ეკონომიაში კარგი ნიშანი მიიღო. როდესაც ჩემი ამბავი გაიგეს ძალიან გაიკვირვეს, მათთვის ეს პროფესორი იყო დაუნდობელი და საშინელი მკაცრი.

მაშასადამე, ჩემო თეო, ეს მეშვიდე გამოცდა ჩავაბარე და თბილისისაკენ გავემგზავრე.

ორი წელიწადი იყო, რაც ჩვენი ქვეყნის პაერით აღარ მესუნთქა.

გზაში აქა იქ დავკრავდი თვალს რუსეთის გაუთავებელ მინდვრებს, გაფანტულ დროებით აგებულ სახლებს, მკვიდრი მცხოვრებნი რომ არსად სჩანდნენ, მაგრამ ყველგან კი ეს ჰატარა მოსახლეობა მიჰკედლებია ლურჯგუმბათიან ეკლესიას, ეს რამდენიც გინდა, იქნება იმიტომ რომ სულს ძალიან დამძიმებულად გრძნობენ, ალბად ცოდვებით, ამიტომ ხატებს მოწიწებით კი არ ემთხვევიან, როგორც ჩვენ, არამედ მართლა ლოშნიან და მის წინ დაჩოქილნი თავს მიწას ახლიან, ასეთია მათი ლოცვა და ღმერთის ვედრება.

ჩვენ მატარებელს ალაგალაგ უხვდებოდა ბრბო, მოსდევდა ეს ხალხი ყვირილით, "გაზეთიო", ამას თხოულობდნენ თამბაქოს გასახვევად.

მატარებლიდან ვისაც ხელში წაკითხული გაზეთი შერჩენოდა, უგდებდა ამ ქალალდის ფურცლებს; თავპირის გლეჯით ეწეოდნენ ამ ჰაერში გაფანტულ მათთვის საჭირო და სასიამოვნო მოწყალებას. ეს ხალხი, რომელიც გამოსული იყო მატარებლის დასახვედრად.

თბილისს ეუახლოვდებოდით დილით დაახლოვებით 9 საათზედ, რომ ჩემი მღელვარება იწყებოდა და აი ლამის გული ბუდიდან ამოვარდნილიყო, როდესაც მამადავითის მაღლობიდან თეთრმა ეკლესიამ პირს შემომცინა; ნეტარებაში და ექსტაზში ვიყავი, სმა მაღლა შევძახე: "ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო", რომ "შენი ვარ, შენთვის მოვკვდები" და სხვა...

რა დიდი განცდების გამომწვევია ყველა ეს, ღმერთო ჩემო, აქ მწარე და ტკბილი ერთად არის შედულებული და განცდილი, უდიდესი მწერალიც ამას ვერ გაანეითარებს და თავის შემოქმედებაში ამას თავის შესაფერ სახელსაც ვერ აღმოუჩენს.

ეს არის რაღაც ამქვეყნიური ჯადოსნობა, რომელიც ადამიანს იმონებს, იმორჩილებს.

ჩემს გვერდით, ისიც ფანჯრიდან, ერთი ახალგაზრდა ქართველი გასცქეროდა მამადავითს, მომიბრუნდა ამ სიტყვებით: "შეც მიყვარს აკაკი, მაგრამ თქვენ მეტისმეტად განიცდით ამ ლექსს, საშინლად ხართ გაფითრებული, როგორ შეიძლება, წელან მეგონა, გული წაგივიდოდათო.".

მისულისთანავე ქართულ გიმნაზიის ხელმძღვანელთ გავაგებინე, რომ ენკენისთვის 20ამდე ვერ შევძლებ მუშაობის დაწყებას და მეორე დღესვე გავემგზავრე კახეთისაკენ, გაუღელჩი ამ მშვენიერ გზას დილიჟანით.

გომბორი უნდა გამეელო, ეს მიწიერი სამოთხე, აქ რუსეთის ერთფეროვან ბუნებას სცვლის მდიდარი ჯადოსნური ჯაჭვებით გადაბლართული მთაგორაკი და მწვანედ დაფენილი ველმინდორი; ალარ იცის ადამიანმა რას უყუროს, იმდენი სურათია მის თვალწინ გადაშლილი. მზის ტალღებში მობანავე და მოლიველიე.

ამ სანახაობას კიდევ უფრო ამეტყველებს გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა. აქამდე მზის ბურუსში მიმალული, აგე იქ ქვემოდ მწვანე ნაგებობზედ თავს წამოჰყოფს მარტოხელა, ერთი მატრაკეცა, პატარა მაჟალოს ხე, დიდის მედიდურობით მოსილი დაჰყურებს ამ მშვენიერ მიდამოს, თითქოს იმის მეტი იქ არავინ იყოს.

გაჰხედე, შე სულელო, შენს პირდაპირ, რა ფერხული ჩაუბამთ შენ უფროსებს და მათ წვრილფეხობას, შენ იმასაც ვერ ამჩნევ, რომ შენი ცალი მხარე ქარს გადაუზნექია, საცაა წაიქცევი და ისე წახვალ ამ ქვეყნიდან, რომ დამტირებელიც არ გეყოლება.

გომბორის მიდამოები მუნჯსაც კი აამეტყველებს: "ეზიარ ფიქრითა გომბორისა ზურმუხტის მთაზედ და თვალი ხარობს შენ მშვენიერ გაფურჩქნულ ველზედ" და სხვა.

მაგრამ ამ დილიჟანში ზედმეტი იყო პოეზია და ჩემი განცდებიც. წინ მეჯდა ერთი სქელი თელაველი მიკიტანი, იმის ვერცხლის ქამარს ფოლაქებით ნაჭედს ეტყობოდა, რომ პატრონს ამის გარდა სამკედროდ კიდევ კარგი მოზრდილი ქისა ჰქონდა მიგდებული.

მისი რგვალი, გაქონილი სახე და შეწითლებული ცხვირიც ღვინის მეგობრობას ააშკარაებდა.

ამღერეული, გაჭარხლებული თვალები, უძილობის მატარებელნი, ძალაუნებურად მე მომჩერებოდა, ჩემი ვინაობის გაგება მას აწვალებდა, ხან რა მკითხა, ხან რა, მაგრამ ვერას გახდა, თავი სიზმარეთში ჩარგო და სვრინვა ამოუშვა.

გვერდით მეჯდა ერთი თავდახურული ქალი, რომელიც ევროპიულად იყო ჩაცმული. ბევრი სამკაულები ჰქონდა ასხმული მაჯებზედ და თითებზედ. მხოლოდ თავზედ ეს ჩვენი ჩიხტიკოპი დაედგა, რომ ჩვენ "ქნეინებს" არ ჩამორჩენოდა.

მოდიოდა თავისი ორი შვილით კავკასიიდან, სადაც მის ქმარს ღვინის სავაჭრო ჰქონდა, დედამთილის სანახავად, ეს ზაფხული უნდოდა ქმრის ოჯახში გაეტარებინა.

გოგონა იქნებოდა თერთმეტ-თორმეტი წლისა, ბიჭი მის მომდევნო. გოგო წეალობდა, რომ რუსულად ელაპარაკნა, ბიჭი კი დილიჟნის გაჩერებას უცდიდა, რომ ეშმაკნა, მწვანე მინდორზედ გაგორებულიყო, ან მინდერის ყვავილები ბღუჯად და ბღუჯად ეგლიჯნა.

ამ ბავშვების დედამ ამოიდგა ენა და მერე როგორ, საწყალი ქალი სახლში თავის ქალით დაჩაგრული, ოჯახში რუსული ენის მცოდნედ მიღებული, იხტიბარს არ იტეხდა და თუ მთლიანად არა, ზოგიერთ რუსულ სიტყვებს უხვად ხმარობდა.

"ჩემთვის ვსერავნოა გოროდში ვარ თუ სოფელში, ჩემი ქმარი მეუბნება, გოროდი სჯობიაო. არ ვიცი, ანიუჩკა როდესაც ზავედნიას გაათავებს, როგორ მოინდომებს, იმოდენა უროკები აქვს გასარეშაებელი, რომ ძალიან იღლება, ამიტომ არის ასეთი ბლედნი, თორემ შემოდგომაზედ თურაშაული ვაშლიაო", რაც შეიძლება, ცდილობდა ჩემი მეზობელი განათლებულ ქალად მიმეჩნია, რაც შემოაკლდებოდა, "ანიუჩკა" მიაწედიდა, ასე რომ დედაშვილმა არ მომაწყინეს.

დილიჟნის ნჯღრევასთან ერთად ჩვენი თანამგზავრი თანდათან ხვრინვას ახშირებდა ისე, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. მეც გიჟი ხომ არ ვიყავი, მთლიანად ყური მეგდო, ამ ყბედი ქალისათვის, კიდევ კარგი. ჰასუხს არ მოითხოვდა, თავისას მოშლილი წისქვილივით ჰფქვამდა.

მე ჩუმად ვიკექი და გავყურებდი ბუნების სიმშვენიერეს, აი სადგურ "თეთრ წყლებს" მიეუახლოვდით, სადაც დედაჩემს ჰქონდა სააგარაკო ადგილები 400 დესეტინა, იმ ადგილებს განსაკუთრებული ყურადღებით შევაჩერე თვალი.

დილიჟნის კონდუქტორმა მომართა თავისი საკრაჟის მილი და დავეშვით თელავისაკენ.

სალამოთი თბილისიდან მომავალ დილიჟანს ბევრი ხალხი უხვდებოდა, ზოგი თავისიანის მოლოდინში, ზოგი ფოსტას ელოდებოდა, მეტი წილი კი ახალ ამბებს მოწყურებულნი დილიჟნის გარშემო ფუსფუსებდნენ.

დამინახა თუ არა ჩემმა ნათესავმა შაქრო ბახუტაშვილმა, მაშინათვე ეტლში დამაბინავა, თვითონ გვერდით მომიჯდა და კისისხვეისაკენ გაეწიეთ.

სულ ხუთიოდე კილომეტრი იყო სავალი, მაგრამ თუნდაც ასეთ პატარა მანძილზედ მარტოკას არ გამიშვებდა.

შარა გზიდან რომ ჩვენი სოფლის გზას აეუხვეთ, მშობლიური სიო ნაზად უალერსებდა ჩემ სახეს, პირს ეალებდი, რომ უხვად მესვა ეს წმინდა, ნოყიერი ჰაერი და ალბად მე მაშინ ასე მჭვენებოდა.

აი შეუდექით ჩვენ ორლობეს, სადაც კარის ვენახი იწყებოდა და აი ჩვენი ეზო, ჩვენი სახლი. ეზოში დედას მოეკარი თვალი, რომელიც არ მელოდდა. მესიამოვნა მისი თაეის დახურვის ლამაზი ჩვეულება, იმანაც შეასწრო თვალი ეტლს და მერე თაეის გიჟ გოგოს, ერთი კი დაიძახა: "შენ შემოგეელოს ჩემი თაეიო". და შიგნით ეზოდან ღობის გასწვრივ მოსდევს ჩემს ეტლს, თან მუხლი ეელარ მოაქვს, თან იღიმება, ხან ააჩქარებს ფეხს, რომ დაგვეწიოს, მეც ეელარ მომიხერხებია, ეტლი გავაჩერებინო, ჩამოვხტე და გულში ჩაეკრა დედას. აი ცოტაც და ეზოში შევედით.

ორი წლის უნახავი ეიყავი, წინა ზაფხული, როგორც იცი, ბალტიის ზღვაზედ ანა საელიევას ქალთან გავატარე.

დედაჩემი ბედნიერი იყო იმ წუთს იმ აზრითაც, რომ გათავდა მისი მწუხარება, ეხლა საბოლოოდ საქართველოში ერჩებოდი, თუნდაც ენკენის თვეში ორი კეირით კიდევ გაედგომოდი რუსეთის გზას.

რამოდენიმე დღის განმავლობაში მიეირბინ-მოეირბინე ნათესაეები და მეზობლები, ყველა სიყვარულით შემხვდა, ზოგმა ბეჭედი მაჩუქა, ზოგმა სადილად დამპატიჟა და რუსეთის ამბები მაამბობინა.

შემპირდნენ კიდეც, ივლისის 1-ს ჩვენი სოფლის სალოცაე ხატის დღეობაზედ, კონდომიანობას ცხენებით წაეიდოდით, მაშინ როდესაც სხვები ურმით შეუდგებოდნენ ამ საშინელ რიყეს, სადაც უზარმაზარი ქვები ხშირად დაუპირებდნენ ურემს გადმობრუნებას.

თვითონ ეკლესია ძალიან მაღლობზეა, მწირეელი იქ დიდიხანია აღარა ყოფილა, ამიტომ შიგნით კანკელის მაგიერად ჯაგჯუგებია, ეკალი და თუ არის, მთლად მივარდნილი და გაოხრებულია.

ეს დღეობა იმით იყო ცნობილი, რომ ამ ეკლესიას მკურნალობას მიაწერდა ხალხი. მაგალითად ეისაც ქარები ჰქონდა, ის ზეეიდან ზურგზედ გაწოლილი ჩამოგორდებოდა, თითქოს ამის შემდეგ წელში გასწორებული ბრუნდებოდა თაეის სახლში, საიდანაც ის დიდი ტკეიელებით იყო წამოსული.

ჩვენ ქუჩიდან, სადაც მწვანეზედ გაშლილი იყო სუფრები და ცეცხლზედ შამფურები ტრიალებდა, თვალყურს ვადევნებდით ზემოდან დაგორებულთ, რომელთა რიცხვი დროთა განმავლობაში თანდათან კლებულობდა, სწორედ მაშინ მხოლოდ ორმა კაცმა სცადა ეს ვარჯიში, სახლში როგორ წავიდა არ ვიცი, მაგრამ ზევიდან ჩამოსული მაინც მოხრილი და დატანჯული სჩანდა.

ამ კონდამიანს მშვენიერი წყარო ამშვენებს, ისეთი ცივია, რომ მისი დალევა გახურებული ადამიანისათვის ზოგჯერ საბედისწეროა, სწორედ აქედან გახდა ფილტვების ანთებით ჩვენი ნანო, მანანას გერი, რომელიც ჩვენთან იყო კისისხევში და ამ კონდამიანობას დაესწრო.

წყაროში გასაციებლად ჩაყრილი კიტრები კი დიდი მადის მომგვრელი იყო, როგორც ყოველ დღეობას გაშლილი სუფრები თავის თამადით და სადღეგრძელოებით, ამასაც არ აკლდა, თუ ამას დუდუკსაც მივუმატებთ, სრული სურათი გექნება ჩვენი, ჩემო თეო, მაშინდელი სოფლის დროს გატარებისა და გართობისა.

ამ დღეობას სოფლის ხალხი ბლომად ესწრობოდა.

ამის შემდეგ მე აღარსად წავსულვარ და აღარცა მქონდა ამის სურვილი, რადგან იმ ზაფხულს, სამი თვე მე ბევრი უნდა მეუშაენა, რომ ენკენისთვეში გამეთავებინა მოსკოვში სიარული.

ზურგზედ მქონდა აკიდებული ეს საკანდიდატო შრომა. სწორე გითხრა, ძალიან მეზარებოდა ეს ამბავი.

თემა მქონდა აღებული "ბალტიის მხარე 1812 წელს". ახა ერთი მკითხე, რად მინდოდა ეს საკითხი; ალბად მაშინ ჩემთვის ჰქონდა აზრი, რადგან დროზედ გამოვიწერე ისტორიული დოკუმენტაცია, რომელიც დროზედ მივიღე.

ზაფხული ამ თემას მოვანდომე, თუმცა მასალები ზამთრის განმავლობაში მქონდა დამზადებული, მაგრამ ამას ეხლა დროც ესაჭიროებოდა და გონების მოკრებაც.

ვიჯექი ჩვენ კაკლის ხის ქვეშ, მშვენიერ ჰაერზედ და იქ ვარკვევდი მასალას, ვიდრე თავს არ მოვუყრიდი, რომ ოთახში ყველაფერი ეს ქაღალდზედ გადამეტანა. არავინ იყო ჩემი ხელის შემშლელი. თუ წინად დედაჩემი ჩემ საქმიანობას ამუჭად იგდებდა, ეხლა ჰხედავდა, რომ რუსეთში სიარულმა მუქთად არ ჩაიარა და რომ საფუძვლიანად ეპირებდი ქართულ გიმნაზიაში მუშაობას, ცოტა არ იყოს, ამით კიდეც ამაყობდა.

დავტოვე ეს შრომა, თუ შეიძლება ასე დავარქვა რუსეთის კანცელარიაში, მხოლოდ მისი ასლი თბილისში; თუ გადარჩა, ნეტა თვალი დამაკვრევინა, წამაკითხა, რომ ვიცოდე, როგორ ვმხეცლობდი, ან როგორა ვწერდი;

რანაირად იცვლება ადამიანი, სად იხ სონა ჯანღონით და ენერგიით სავსე, იმედიანი და ხალისიანი, სად ეს ეხლანდელი ჩაფერფლილი არსება, კბილებ ჩაცვეივნილი, ბებრუცუნა, რომლის ცრემლიანი თვალები საქართველოს გასცქერის, სადაც მახლობელთა შორის მოღიმარი აღარავინ ეგულებოდა, მხოლოდ დედისა და ერთი

ძმის საფლაჲი. რადგან მეორესი დაკარგულია, რამოდენიმე ძვირფას მეგობართა საფლაჲებთან ერთად, თუ დარჩენია, ისიც მწარე მოსაგონებლად.

შემოდგომაზედ ორი კვირით წაედი მოსკოვში, რომ საკანდიდატო შრომასთან ერთად ის ერთი გამოცდაც ჩამებარებინა "საშუალო საუკუნოების ქალაქთა წყობა", ბელოვის ნაშრომის მიხედვით.

ეს იყო 1912 წელს, როდესაც მოსკოვი ნაპოლეონის დამარცხების ასი წლის თაჲს დღესასწაულობდა.

ჩემ ჩასვლის დღეს ქალაქი კარგად იყო გაშუქებული, ვიტრინები მორთული ძველი დროის სურათებით, მოსჩანდა ცეცხლში გახვეული ქალაქი, რომელსაც ზევიდან მედიდურად დასცქერის ნაპოლეონი.

მეორე ადგილას ნახადი ფრანგულ ჯარის აწეწილ დახევას და სხვა. ყველაფერი იყო, რის მიცემასაც შესძლებდა მაშინდელი რუსეთის გემოვნება.

ქუჩაში ძალიან ცოტა იყო ხალხი, თითქო ეს ზეიმი და მორთული ქალაქი მათ ყურადღებას არ იპყრობდა, აღმოჩნდა, რომ ნიკოლოზ მეფეს ელოდნენ და ამიტომ იყო ხალხი მიკრეფილი.

წინა წელიწადსაც მისი მოსვლა ძველ სატახტო ქალაქში უფერულად ჩატარდა. ძველ დროს ხომ მეფის წინაშე ბევრი გაიტეხდა შუბლს მიწაზედ ხოხვით, ეხლა კი სულ სხვანაირი ჰაერი ტრიალებდა.

ოთახი ავიღე კრემლის მახლობელ ოტელში, მაგრამ აქედან ფეხი არ მომიცვლია და არ მინახავს ნიკოლოზი და მისი ოთხი ქალი წინა წელიწადს რომ გარს ეხვიენენ თეთრებში ჩაცმულნი.

თბილისიდან ჩემთან ერთად მოდიოდა თამარა ბაქრაძე, რომელიც მეორე დღეს საღამოს მატარებელით პეტერბურგში მიემგზავრებოდა, იქ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა.

ვთხოვე, ეს ღამე ჩემთან გაეტარებინა, დიდის მადლობით მიიღო ჩემი მასპინძლობა.

მშვენიერი ადამიანი, განათლებული, ქართული ენის კარგი მცოდნე, მაგრამ უცნაურად მორცხვი და მორიდებული. სცხვენოდა რისა, მგონი უფრო გარეგნობისა, არ ვიცი, რად ჩაიდო თავში თავისი სიმახინჯე. ეს ქალი არამც თუ ულამაზო, მოსაწონიც კი იყო;

შუა ტანის მქონე, კარგად შეკრული, სანდომიანი სახის პატრონი, შავგვრემანი და ეშხიანი.

ყოველთვის შავ კაბაში მინახავს, თავზედ უშველებელი ქუდით, რომელიც მთლიანად ჰფარავდა მის ნახევარ სახეს. ჯერ გზაში სამი ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭნია, რომ მისი უქუდოთ დარჩენილი სახე არაჲის ენახა, გვეჯდა ეს არსება სამგლოვიარო ტანისამოსში და შაჲი ყორანივით ჩვენ მძინარეთ თავს დაგეტრიალებდა.

ერთმა სტუდენტმა დღის განმავლობაში სცადა, რომ თამარა როგორმე წამოწოლილიყო და თავი ბალიშზედ დაედო, მიუტანა ეს და თავზედ მიადო. "თუნდაც ქუდს ნუ მოიხდით, დადეთ თავი, იქნება

დაგეძინოთო.“. მაგრამ ამ ქალმა ჩემი, მაგრამ მტკიცე უარით აუკრა ხელი ბალიშს. ეს ყმაწვილი გატრიზაებული დარჩა.

მაშ ჩემ ოთახში ვართ, ვეხვეწები დაწვეს, მოისვენოს, სადაც უნდა, ერთი ნამდვილი საწოლია და მეორე გრძელი მდივანი, თავიდან მომიშორა, აი ამაზედ დაწვებიო, მივეცი, რაც საჭირო იყო, რომ დაწოლილიყო და სამი ღამის უძინარს მოესვენა.

შუა ღამისას შემთხვევით გამომელვიძა და რასა ვხედავ, თავის ქუდით მორთხმითა ზის და სულაც არა ფიქრობს წამოწოლას, ველარაფერი ეუთხარი, ავადმყოფად მიეჩნიე.

მეორე დილით მე ბიბლიოთეკაში წავედი და თან დავიბევე, რომ ორ საათზედ დანიშნულ ალაგას სასადილოსთან მოსულიყო, ერთად შევიდოდით და იქ ვისადილებდით.

ბევრი ეუცადე და ბევრი ვიტრიალე, სასადილოც ჩემ თვალწინ იკეტებოდა, მაგრამ ჩემი სტუმარი არსად სჩანდა, მივედი ჩემს ოტელში, არც იქ დამიხვდა, მაგიდაზედ ბარათი დაეტოვებინა; დიდის მადლობით მაგებინებდა, რომ დილიდანვე სადგურზედ მიდის და სალამომდის იქ იქნება მატარებლის მოლოდინში.

მაშასადამე მთელი დღე მათუზალასავით იქა მჯდარა ამ შავ ქუდ ჩამოფხატული, ალბად უსმელუჭმელიც ვიდრე პეტერბურგისაკენ მიმავალ მატარებელში არა სდრუზაედ თავსა.

ჭამით არ ვიცი, რასა სჭამდა, დილით ძლივს დაეალეინე ჩაი პატარა პურის ნაჭერით, უყვარდა ცარცი, მგონი ნახშირის მუშტარიც იყო.

გავიგე, რომ სასწავლებელში ითხოვა, ნება მიეცათ, საგნები წერილობით ჩაებარებინა, რადგან ლაპარაკს ერიდებოდა.

რუსეთიდან რომ დაბრუნდა, ცოტა ხნით მასწავლებლობდა, საბოლოოდ ერთ ბრმაზედ გათხოვდა, მე კი აღარ შემხვედრია ეს მეტად უცნაური არსება, კარგი ობიექტი ფსიხიატორებისათვის.

ოტელში მომწახეს ჩემმა მეგობრებმა, საველიევის ქალმა, ლობანოვის ქალმა და თამარა ძნელაძემ, სხვები არ იყვნენ ჯერ კიდევ ჩამოსულნი.

საღამოობით შემოირბენდნენ, დამხედავდნენ, რომ მათთან ბევრი დრო არ დამეკარგნა, მალე თაყს დამიკრავდნენ.

დღისით კი დამშვიდებულად ვმუშაობდი, მაგრამ საღამოს ათი საათის შემდეგ ელექტრონს მიქრობდნენ და იძულებული ვიყავი სანთლის შუქით მესარგებლა.

გამოცდამდე ორი დღე მრჩებოდა, რომ დიდი ფათერაკი მომივიდა; მიმჯდარი ვიყავი მაგიდასთან, რომელიც დიდ კედლის სარკესთან იყო მიდგმული და თავჩალუნულმა ვერ შევამჩნიე, რომ ის ორი სანთელი აქეთ იქით სარკესთან ძალიან ახლო მქონდა, უცბად ტკაცანი შემომესმა და რომ ავიხედე, სარკე შუაზედ იყო გაბზარული, ელდა მეცა.

ის ღამე მარტოკამ გავატარე და ეს ჩემი დიდი მარცხი არავის გავაგებინე. მეორე დღეს კი ჩემი მეგობრების რჩევა იყო, იქიდან აებარგებულიყავი, რადგან სარკეში დიდ თანხას მომთხოვდნენ და

ისიც იცოდნენ, რომ ჯიბეში მხოლოდ თბილისში დასაბრუნებელი პატარა თანხა მქონდა, ჩემ საველიეის ქალს მაშინ აღარაფერი შეეძლო, დანარჩენები კი სულ ჯიბე გაფხეკილები მყვანდნენ.

დიდი თათბირის შემდეგ დამითანხმეს და ფეხაკრეფით გაიტანეს ჩემი პატარა კალათა და ქოლგაც კი, რომ მე მართლა ხელცარიელი გავსულიყავი. ბევრი ვიოხუნჯეთ და ვიცინეთ ჩვენს თავზედ, ქურდბაცაცობაზედ.

ეს გამოქცეული ყაჩაღი თავის ოთახში შემაფარა ასია ლობანოვამ, რადგან სხვებზედ ჩემთან ახლო ცხოერობდა, თავისი საწოლი მე დამითმო, თვითონ საჯარძელზედ მოეწყო. დღისით ვტოვებდი, რუმიანცევის ბიბლიოთეკაში ვატარებდი მთელ დღეს, მაშინ შეეძლო რიგიანად მოესვენა.

ამ ქალებს უნდოდათ გაეგოთ, თუ რა გუნებაზედ იყო ოტელის დიასახლისი. დაურეკეს ტელეფონი და მე მიკითხეს, იქიდან ალელვებულნი უპასუხებდნენ, რომ გავქრი, არ იციან სადა ვარ, ან როდის დავბრუნდები, რომ ეს გატეხილი სარკე ავუნაზღაურო.

ეს მხოლოდ თბილისიდან მოვახერხე, არ მახსოვს, რამდენი გადამახდეინეს, თუ არა ვცდები, ოცდა ხუთი მანეთი მახსოვს.

როგორცა ჰხედავ, ჩემო შვილო, მე ადრე დამიწყია ცუდი საქმეები იმ განსხვავებით, რომ მოსკოვის ოტელიდან კი უგეშოდ გავქრი, მხოლოდ საფრანგეთის ოტელმა ჩემი ვალის მანდატი იმ წუთებში მიიღო , როდესაც ჩვენ კარებში გავდიოდით, ბარგიც უფრო ბევრად მეტი წინა დღეებში ბინავდებოდა ჩვენი მეგობრების დახმარებით, დიდ პროგრესში ვართ, როგორცა ჰხედავ ჩემო თეონი.

ჩავაბარე ეს უკანასკნელი გამოცდა, საკანდიდატო თემაც კანცელარიას გადავეცი, სადაც გზა დამილოცეს და მაუწყეს, რომ დიპლომს ორ კვირაში გადმომიგზავნიან თბილისში.

იქიდან დაბრუნებული ლობანოვის ქალის ოთახში რომ შევედი, ჩემი მეგობრები ცრემლიანი თვალებით მომეგებნენ, მესვეოდნენ, მკოცნიდნენ, მათ კარგად იცოდნენ, რა ძნელ პირობებში, ვაივაგლახით და საცოდავობით მიევედი დაწყებული საქმის დაბოლოებამდე.

"Сонюша, дорогая, мы тронуты, на нас необыкновенно действует твой успех, молодчина Соня"! მეუბნებოდა საველიეა.

მე კი ისე ვიყავი გამშრალი, რომ კოცნის მეტი ვერაფერი მოვახერხე, ვერ უთხარი ის დიდი მადლობა, რომლის ღირსნიც იყვნენ. წლების განმავლობაში იმდენი სითბო და სიყვარული მომცეს, რომ ამისი დავიწყება შეუძლებელია.

გავემგზავრეთ სადგურისაკენ, მატარებელიც დაიძრა, ალელვებულნი და თვალცრემლიანნი დიდხანს მიქნევდნენ ხელებს, მანიშნებდნენ რალაცეებს, მგონი უფრო დიდი სარკის მდგომარეობას შუაზედ გაბზარულს, მე კი პირი საქართველოსაკენ მქონდა მიბრუნებული, დამშვიდებული ვიყავი, თავს დიდ ომგადახდილად ვგრძნობდი,

მაწუხებდა მხოლოდ ის, რომ სამუდამოდ ვტოვებდი ამ ბეირფას მეგობრებს;

ეს იყო და ეს, ერთმანეთი აღარც გვინახავს, გარდა ანა წაველიევის ქალისა, რომელიც მე კისისხევში დავპატიჟე საზაფხულოდ მეორე წელიწადს.

ბერძენი ქალი ხშირადა მწერდა წერილებს, უნდოდა კიდეც საქართველოში გადმოსვლა, მაგრამ გათხოვდა და თავის ყირიმში დარჩა.

თამარა ბნელაძე ჩემს შემდეგ კიდევ დარჩა ერთ წელიწადს მოსკოვში მაგრამ დასნეულებული დაბრუნდა თბილისში და დიდხანს აღარ უცოცხლია.

დანარჩენები დავკარგე, არაფერი ვიცი მათი, იქნება ზოგიერთი მათგანი ჩემსავით უცხო დედამიწასა სთელავს და აქ დაბინავდა სამუდამოდ.

კარგი კი იქნებოდა ჩემი და მათი შეხვედრა, რას ვეტყოდით ერთმანეთს, ალბად ჩვენი ახალგაზრდობის ამბებს თუ მოვიგონებდით, ამაზედ უკეთესი მასალა საუბარისათვის არაფერი გვექნებოდა.

თბილისში ჩასვლის უმალ უნდა გიმნაზიაში მუშაობა დამეწყო. ენკენისთვის 20-ს მიველი გაკვეთილების მისაცემად, სწავლა, როგორც გითხარი დაწყებული იყო პირველიდან.

ძართულ გიმნაზიაში ჩემი ყოფნა 1912 წლიდან 1918 წლამდე

რუსეთიდან დაბრუნებისას ქართულ გიმნაზიაში მხოლოდ მსოფლიო ისტორიის გაკვეთილები მქონდა აღებული, მაშასადამე ამ 14-15 წლის ბიჭებთან მესამე და მეოთხე კლასში საბერძნეთის და რომის ისტორია იქნებოდა შესასწავლი.

იმავე დროს იქვე იმ შენობაში ქალთა ქართული გიმნაზიაც იყო მოთავსებული. მაშინ იწყებდა იგი არსებობას და ქართული ენის გაკვეთილებიც ვიკისრე.

გიმნაზიის მახლობლად წყნეთის ქუჩაზედ ევანგულოვის პანსიონში დავბინავდი, დავიწყე ახალი ცხოვრება.

პირველ ხანებში კლასში რომ შევიდოდი, ველავდი, მეშინოდა, ამ ბიჭებს ჩემთვის რაიმე კითხვა არ მოეცათ და მახეში არ გავები, ამიტომ გაკვეთილის მისაცემად კარგად ვემზადებოდი.

მაშინ, რასაკვირველია, ამ ქართველ მოწაფეთ ყველაფერი რუსულად უნდა მოესმინათ და შეეთვისებინათ და ეს ძალიან უხერხულებოდათ, ამიტომ ხშირად ვცდილობდი კანონის გარეშე, არალეგალურად ზოგიერთებისათვის მაინც კითხვა ქართულად მიმეცა.

მაშინ ეს ბიჭი გამოცოცხლდებოდა, გამხნევდებოდა, თუ აქამდე ძლივს ლულლულებდა, წელში გამაგრებული მშვენიერად მიპასუხებდა.

უნდა ვსთქვა მათი დაოკება ყველას უძნელდებოდა, დისციპლინას მამაკაცებიც კი ვერ აღწევდნენ.

ჩემი კლასში შესვლა და მათი სიჩუმე ერთი იყო, ამიტომ კი არა, რომ სხვებზედ უკეთესი მწერთნელი ვიყავი, არა, მხოლოდ ქალი და მისი ლაპარაკი იწვევდა ამ სიჩუმეს; ნეტა რას იტყვის, როგორ აგვიხსნის ამა თუ იმ მოვლენასაო, თუმცა ზოგჯერ გულდასმით ფეხსაცმელს მითვალიერებდნენ.[1]

ეს ასე ვსთქვათ, მათი მეტისმეტი ყურადღების ზედნადებად უნდა ჩაითვალოს.

სწორე გითხრა, თეო, ამას ხელი არ შეუშლია მუშაობაში, ძალიან კმაყოფილნიც იყვნენ, ვინც გაკვეთილებს ესწრებოდა, როგორც ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, სადეპუტატო საკრებულოს წევრები, ისე ოლქის რუსის მოხელენი.

შენ რომ ჩემ კლასში შემოსულიყავი, შვილო, ნახავდი, რომ იქაურობა ნამდვილ მუზეუმად მქონდა გარდაქცეული.

კედლებზედ მოწაფეთა მიერ შესრულებული საბერძნეთის მითოლოგიიდან სურათები, ნახავდი საბერძნეთის აკროპოლს თიხიდან გამოქანდაკებულს თაეისი ლამაზი სვეტებითა და ჩუქურთმებით.

ერთი სიტყვით, მეც გახალისებული ვიყავი და ახალგაზრდობას ხომ მეტიც არ უნდოდა და ფეხდაფეხ მომდევდნენ.

ეს მეთოდი მათთვის ახალი იყო და სიამოვნებით მუშაობდნენ, მხოლოდ ერთხელ მათმა შემოქმედებამ მიმტყუნა, როდესაც ქვერა მილოსისა ჩამოაქანდაკეს, ხელები გაუკეთეს, როგორც ეს მათ ჰქონდათ წარმოდგენილი; ეს ხელები ისე უცნაურად იყო მიწებებული, რომ ამ სილამაზის ქალღმერთს ძალიან აუშნოებდა, ამიტომ თვითონვე მალე მოაცალეს ეს ტლანქი ნაწილი.

ერთ დღეს სკოლის ინსპექტორმა მიქაბერიძემ მთხოვა თავის კაბინეტში და მითხრა, რომ მასთან მისულა ერთი მშობელი. თუ არა ვცდები, მოწაფე კობალაძის მამა უნდა ყოფილიყო.

უთქვამს, რომ იმისი შვილი არაფერს აკეთებს, არა მუშაობს არც ერთ საგანში, მხოლოდ მთელ დროს ისტორიას ანდომებს - "არ ვიცი, რა ვიფიქრო, ყველაფერში 2 და ისტორიაში 5. ეს არ ივარგებს, ვიღაცა ქალი მოგიყვანიათ, მარტო იმის საგანს სწავლობსო.".

ამის წამალი ბატონმა მიქაბერიძემ ის გამონახა, რომ მთხოვა და, დიდის ბოდიშით, "რომ ამას გეუბნებით, თუ შეიძლება, შაეი კაბა ჩაიცვით, ხომ იცით, მაგ ხანში ყველაფერს აქცევენ ყურადღებას, რაც შეიძლება, გარეგნულად სისადავე ემჯობინება"-ო.

---

[1] ეს ფეხსაცმელი მართლა საყურადღებო იყო, წვინდა ტყავისა, მისი დიდი ოსტატი სომეხი ბოელეიან და ევროპაში რომ მოვდიოდი, იმას უკანასკნელად შემიკერა და ისიც, თავის კერძო ბინაზედ. მაღაზია აღარა ჰქონდა.

მე კი საგანგებოდ მქონდა შეკერილი ამ გიმნაზიისათვის ძალიან სადა და უფერული ტანისამოსი, რასაკვირველია, ჩემის აზრით, ყველი დაკეტილი და გრძელ სახელოებიანი.

მეტი გზა არ იყო, მიქაბერიძეს დაეუთმე და შევაკერინე შაი კაბა და ამ ახალი ფორმით გამოვცხადდი გაკვეთილზედ.

რამოდენიმე დღის შემდეგ მიქაბერიძის კაბინეტში ვიყავი, მთხოვდა: "არა, ძველად რომ გეცვათ, ისევ ის ჩაიცვით, ეს შაები მეტისმეტად გშვენითო.".

ამ შავ კაბაში რომ ნაცნობები მხედავდნენ, სიცილით მეკითხებოდნენ: "ეს მიქაბერიძის მოდელიაო". ეს სიტყვები გერონტი ქიქოძის ნათქვამია.

მართლა და უადგილო ვიყავი ამ ვაჟთა გიმნაზიაში, არ ვიცი, იქნება, არ უნდა მოვცათ გაკვეთილები უფროს კლასებში.

შემდეგ წელს მეხუთე კლასში, როდესაც მოვაწყვე პრაქტიკული მუშაობა და მოწაფეებს დავაკალე პატარ-პატარა მოხსენებები, კარგი შედეგები მივიღე.

მყვანდა ერთი მოუსვენარი მოწაფე, კოტე ბაქრაძე. იმას რომ წარმოვიდგენ დიდ შესვენებაზედ, ეხედავ ამ კოტეს, რომ დარბის და მერე როგორ, სახეზედ წურწურით ჩამოსდის ოფლი, ეხეთქება ხან ერთს, ხან მეორეს, მისი დაწყნარება კლასშიაც კი ძნელი ხდებოდა.

მისი მამა ჩიოდა, "რა ექნა, უნიჭო არ არის, მაგრამ რა გამოვიდა, არ ეიცი, როდის მოვა გონსაო. არაფერს აკეთებს, სულ თამაშობაზედ ფიქრობსო".

ამ მოუსვენარმა ყმაწვილმა ფეოდალიზმზედ ისეთი მოხსენება წაიკითხა, რომ ჩემი ქების ღირსიც გახდა, დაიწყო კითხვა და ბოლოს ხომ ქართულ უნივერსიტეტში კარგი ადგილი დაიჭირა.

ერთხელ ეთქვა ჩემი მეგობარი ქალისათვის: "მე რომ ქალბატონი სოფიო ცხოვრებაში არ შემხვედროდა, იქნება, ის არა ვყოფილიყავი, რაც დღეს ვარო". კარგად დაასრულა უნივერსიტეტი და შემდეგ გერმანიაშიაც განაგრძო მუშაობა.

სამწუხაროდ ეხლა გაეიგე ფილტვების გამო მისი სანატორიუმში ყოფნა.

ეს მეხუთე კლასი გაზაფხულზედ ექსკურსიით ქუთაისში წაეიყვანე. სადგურზედ იქაური სათავადაზნაურო გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფენი დაგეიხვედნენ და თავიანთ სასწავლებელში წაგეიყვანეს.

მეორე დღეს ბაგრატის ტაძარი დავათვალიერეთ და შემდეგ გელათში ავედით. ბევრი მოგონება მაქვს დაკავშირებული ამ ექსკურსიასთან.

უპირველეს ყოვლისა, თვითონ ქუთაისმა დასტოვა კარგი შთაბეჭდილება, გამაოცა და ძალიან მესიამოვნა, რომ ეს ქალაქი დარჩენილი იყო წმინდა ქართული იერის მატარებელი. საეკლესიო სასლებს ქართული წარწერები ამშვენებდა, მაშინ როდესაც თბილისში სულ სხვა სურათს ნახავდა ადამიანი, მთელი მაღაზიები რუსული წარწერებით იყო აჭრელებული.

მაშინ როდესაც ქუთაისში მოსიარულეთა სმენას ქართული ენა ატკბობდა, თბილისში რუსული იყო გამეფებული. ჩვენი ქალები, უფრო კი "მოპორუსკე კნეინები", აბა როგორ ილაპარაკებდნენ, თუ არა რუსულად, ეს ხომ ერთგვარი განათლების ნიშანი იყო მაშინ.

განსვენებული არჩილ ჯორჯაძე სწერდა: "შემხვედა ორი ქართველი ქალი, რომელთაც არა სრცხვენოდათ, თამამად მშობლიურ ენაზედ ელაპარაკნათო".

სამაგიეროდ სოფლებში ხალხი მტკიცედ და ერთგულად მხოლოდ შთას ენაზედ მეტყველებდა.

მაშ ეს ქუთაისი მშვენიერი და მართლადა "საყარდო და სამაისო", სამუდამოდ დამეუფლა მე, ისევე, როგორც ჩემ მოწაფეებს.

ხშირად მაგონებდნენ: "რა გადასახედია, ქ-ნო სოფიო, ბაგრატის ტაძარიდან, ან თეითონ ეს ისტორიული ნაშთი რა დიდებული ნიჭის შემოქმედების მატარებელიაო".

ერთმა მოწაფემ, როგორც მახსოვს, რამიშვილმა, თავის შთაბეჭდილებები წერილობით დანარჩენ მოწაფეთ გაუზიარა, განსაკუთრებით გელათზედ ილაპარაკა, მის მშვენიერ მდებარეობაზედ, თვითონ ეკლესიაზედ და იმ ძვირფას ისტორიულ საფლავებზედ და სხვა.

ერთი სიტყვით, ამ ბაეშვებმა კარგად ისარგებლეს ამ მოგზაურობით. აქ მინდა, ჩემო თეო, ერთი სასაცილო ეპიზოდი გადმოგცე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენ პირველ საღამოს ქუთაისში.

როგორც გითხარი, ჩვენი მილება იკისრა იქაურმა ქართულმა გიმნაზიამ, რასაკვირველია, სუფრა გაშლილი დაგვახვედრეს, სადღეგრძელოებიც იყო წარმოთქმული ამ ორი ქართული სასწაულებლის შეხვედრის გამო.

დასაძინებელი ადგილები ბიჭებისათვის იქვე სკოლის დარბაზებში ადვილად მოხერხდა, მაგრამ ჩემთვის კი სხვა რამე უნდა ეზრუნათ. ამ სასწაულებლის ეკონომმა თავისი ვაჟის იქაური ოთახი დამითმო და მეც კარგად მოვისვენე.

ამ ყმაწვილს, რომელიც იყო მეექვსე კლასის მოწაფე, თურმე ჩვეულებად ჰქონია, თუ დაგვიანებით შემოვიდოდა სახლში, რომ მშობლები არ შეეწუხებინა, ან იქნება შიშითაც, თავის საწოლ ოთახში პირდაპირ ფანჯრიდან ჩახტებოდა.

სწორედ იმ ღამეს რომ შეეიდა დაგვიანებით თავის ოთახში და თავის საწოლს დაჰხედა, ნახა დედაშენი, არამც თუ მძინარე, საერთოდ ჯერ არც კი ვენახე, და გული გაჰხეთქია...

მე ისე ღრმად მეძინა, რომ არაფერი გამიგია, მაგრამ მეორე დილით მისი მშობლები, როგორც თეითონ, დიდ ბოდიშს იხდიდნენ. თურმე მაშინათვე შეჰკრილა თავის მშობლებთან და უკითხავს მისი საწოლში მყოფი ქალის ვინაობა.

ამ ექსკურსიის გამო ბევრი სამდურავი მიეიღე, ქალთა გიმნაზიის მოწაფენი ჩიოდნენ, რომ ისინი მე არ მიყვარან, ამიტომ არ წავიყვანე; მათი ექსკურსია სამემრისოდ მქონდა გადადებული, მათი

არეცა ბიჭებთან თეითონ მშობლებმაც არ მოინდომეს; ჩემთან ერთად მასწავლებელი შალვა ქარუმიძეც იყო.[1]

მთელი ჩემი დრო გიმნაზიას მიაქონდა, მე კი სხვა საქმეცა მქონდა გასაკეთებელი. შენ წარმოიდგინე შეილო, რუსეთიდან რომ დაებრუნდი, შეეედი ფილარმონიულ საზოგადოების სკოლაში, მინდოდა როიალი, რომელიც მოწაფეობის დროს მქონდა დაწყებული და შემდეგ მიტოვებული, ეხლა ეფიქრობდი, გამეგრძელებინა. ამაეე დროს მინდოდა ამ ახლად დაარსებულ ქართულ მუსიკალურ დაწესებულებისათვის, რომლის ხელმძღვანელი ზაქარია ფალიაშვილი იყო, ერთგვარი ჩემი წელილიც მიმეტანა. ვიფიქრე, რომ ჩემი იქ ყოფნა სხეებსაც გაახალისებდა და მოწაფეთა რიცხეი ამით გაიზრდებოდა.

შეეედი ელენე ქიქოძის კლასში, ძალიან მაქეზებდა ეს ქალი, ამიტომ გიმნაზიიდან მოსული, ახლა გამებს მიეუჯდებოდი. დედაჩემი ჩამოვიდა და ისიც იმაეე ეეანგულოეის პანსიონში მოვათაესე. ამნაირად მთელი ზამთარი ჩემთან რჩებოდა, მხოლოდ გაზაფხულზედ კისისეეში ბრუნდებოდა.

ხშირად მეტყოდა: "შეილო, არ მოგწყინდა, სულ აბგა აჩრილმა უნდა იარო, თუ დღემდე წიგნები გქონდა ხელში, ეხლა ამ ნოტებს დაათრეეო.".

სამწუხაროდ ეს ჩემი მუსიკა, ომი რომ დაიწყო, უნდა შეშეჩერებინა, პანსიონში დიასახლისმა ეს ინსტრუმენტი სასადილოში გადაიტანა, მისი შეილები თავიანთი სტუმრებით ხშირად აბარტყუნებდნენ; ამ პირობებში ჩემთეის მუშაობა შეუძლებელი გახდა; ჩემს ოთახში კი პიანინო არ დაეტეოდა, რადგან ბეერი აეეჯი იყო იქ თაემოყრილი.

ნელ-ნელა ამ ჩემ საყვარელ ინსტრუმენტს ჩამოეშორდი... იქნება, ხასიათმაც მიმტყუნა, არ ვიცი, მაგრამ ომის ატეხამ ბეერი რამ შესცვალა და ჩემი ძეელი ენერგიაც ახლად დაბერილმა ქარმა თან წაიღო.

დავტოეე მუსიკალური სკოლაც და რამდენჯერაც ელენე ქიქოძე შემხვდებოდა, მისაყეედურებდა: "აფსუსია, თქეენი ხელის პატრონი დაკერას არ განაგრძობდეს"ო.

რუსეთიდან ჩამოსულმა მხოლოდ გიმნაზიის გაკეთილები ეიკმარე, კერძო გაკეთილებს ეერიდებოდი.

დიდი ხნიდან მთხოედა თამარა ორბელიანი, მისი დისწული გიასათეის სახლში მიმეცა ქართული ენის გაკეთილები.

ყოეელთეის უარზედ ეიყაეი, რადგან გიას მამა, კიტა აბაშიძე დიდი მცოდნე ქართული ენის ცოტა არ იყოს მაფერხებდა, მაგრამ საბოლოოდ დამითანხმეს.

კეირაში ორჯელ მიედიოდი და ქართულ ენასთან ერთად ისტორიის გაკეთილსაც ეაძლეედი.

---

1 რომელიც უძღეებოდა პატარა კლასებს.

გია გახდა ჩემთვის საყვარელი არსება; მშვენიერი ბუნების პატრონი და კარგად აღზრდილი ბავშვი ისე რომ სიამოვნებით ვასწავლიდი.

ხშირად კიტა შემოგვიღებდა კარებს და მაშინ გაკვეთილი სდებოდა უფრო შინაარსიანი, რადგან მისი საუბარი ადამიანს ჰხიბლავდა, როდესაც მაგალითად აღმოსაელეთის ძველ კულტურას შეეხებოდა. იმ ჟამად გიას ვაცნობდი ეგვიპტის ისტორიას, ისე რომ ამ ბავშვისთვისაც ურიგო არ იყო მშობელის მონაწილეობა და მისი აზრი.

კიტა აბაშიძე ცოცხალი, მომქმედი ადამიანი სწუხდა და ჩიოდა, იმ სულიერ განწყობილებაზედ, რომელიც მის ოჯახში ტრიალებდა: "ერთი ჰკითხეთ ჩვენებს, ე.ი მის ცოლს თეკლეს და მის დას თამარას, ვიზედ იხდიან პანაშვიდს, ვიზედ არიან შგლოვიარენი, ადამიანი რომ შემოვა ჩვენ სახლში, მხიარულიც რომ იყოს, გულს სცედა შემოაწვებაო." საერთოდ მართლა და თითქმის სულ შაებში, დაბალი ლაპარაკი და დიდი სიჩუმე.

იქნება ეს იყო მიზეზი, რომ გიამ ერთ ერთ თავისუფალ თემაში, რომელიც მივეცი დასაწერად, სადაც მან თავისი სურვილები აღწერა, სთქვა, "თუ რამე მინდა ცხოვრებაში, მამამ ჩვენთან იცხოვროსო". მართლა კიტა აბაშიძე მეტ დროს საქმეების გამო ჭიათურაში ატარებდა.

გაზაფხულზედ ამ ოჯახს ემატებოდა პეტერბურგიდან ჩამოსული ივანე ჯაკობიშვილი თავისი ცოლი - სტაზიათი, რომელიც იყო თეკლესა და თამარას მესამე და - თავიანთი პატარა გოგონა ნათელათი.

გაკვეთილის დროს მძიმედ შემოაღებდა კარებს ეს ნათელა ამ სიტყვებით: "მინდა ვნახო ეს ქალიო", ისევე მძიმედ გაისტუმრებდა გია ამ დაუპატიჟებელ სტუმარს და კარებს მიუკეტავდა.

ერთ დღეს საშინელი თავსხმა იყო და მე მეჩქარებოდა და კიდეც ვთხოვე გიას, ეტლის მოსაყვანად მსახური გაეგზავნა.

ტალანში გამოჩნდა ნათელა, პატარა ჩასუქებული 4-5 წლის მშვენიერი გოგონა, მკითხა: "თქვენ ხშირად დადიხართ ეტლით".

- აი როდესაც მეჩქარება, ან როდესაც ასე წვიმს, ვუპასუხე ამ ცნობისმოყვარე არსებას.

ამოიოხრა და მითხრა: "ჩვენ კი არასოდეს ეტლით არ დავდივართ, რადგან საშუალონი ვართ"ო..

თურმე თავის მამას პეტერბურგში ჰკითხავდა, რატომ ესენი ეტლით არ დადიან. მამას პასუხი ყოფილა, იმიტომ, რომ ჩვენ მდიდრები არა ვართო. ნათელა ამ პასუხზედ შეწუხებულა და უკითხავს: "მაშ ჩვენ ღარიბები ვართ? არა შეილო, ჩვენ საშუალონი ვართ"ო.

ჰო და ამ ახლადგაცნობილმა გოგონამ გადმომცა თავიანთი ნიეთიერი რაობა, რომ ისინი არიან "საშუალონი".

მეორე წელს მე აღარ მეცალა, ამიტომ გია დადიოდა ჩემთან, შემდეგ კი ჩემს კლასში მყვანდა ეს ძვირფასი და საყვარელი შოწაფე.

საბერძნეთის ისტორიის გაკეთილი დამიმშვენა; მომიტანა აკროპოლის ნანგრევებიდან მარმარილოს ნატეხები; იმ ზაფხულს თაეის მამასთან ერთად იმოგზაურა და საბერძნეთიდან ბევრი რამ ჩამოიტანა, რასაც თაეის ამხანაგებს არევნებდა.

საკეირველი სისადავე და თავმდაბლობა ახასიათებდა ამ ძველი დროის ტრადიციების დამცველ ორბელიანების ოჯახს.

გიას ეეროპიდან ჩამოტანილი ჰქონდა წიგნების აბგა; კარგი და გამოსადეგი. გაკეთილები რომ გათავდებოდა, სხვა მოწაფეებს წიგნების ჩასაწყობად, თუ პირდაპირ იღლიაში დასაჭერად, ბევრი დრო არა სჭირდებოდათ, გია ცოტა არ იყოს, გაწითლებული, ნერეიულად აწყობდა წიგნებს თაეის ბევრნაირად გადახლართულ აბგაში და თან ბურტყუნებდა: "რა საძაგელია ეს და რამდენი დრო მჭირდება, ეიდრე ყველაფერს ჩავალაგებ"ო."

მთელი კლასი კი დიდის ყურადღებით თვალს ადევნებდა ამ ხელსაწყობის სხვა და სხვა თასმებს და მათ დანიშნულებას.

გიას სცხვენოდა, რომ იმის ამხანაგებს ასეთი საგანი არ ეჭირათ ხელში და ამიტომ ჭირეეულობდა.

მდიდარ ბუნების მქონე გიას მისი ოჯახის სულიერი სიმდიდრე ხელს უწყობდა, რომ მომაეალში ღირსეული ქართეელის სახელი ეტარებინა, მაგრამ არ დასცალდა, საუბედუროდ კიდევ მთლად ახალგაზრდამ მან თაეისი უმანკო სული ჩეკის კედლებში დალია.

მიუხედაეად მხეცურ წამებისა ისეთი ეაჟკაცური სიმტკიცე გამოუჩენია, რომ მისი ჯალათები შემდეგ თურმე ჩიოდნენ: "ის გეელის წლოკი ეერაფერში ეერ გამოეტეხეთ"ო...

ეს იყო 1924 წ იმ შავ დღეებში, როდესაც მოსკოეის ბრძანებით მთელი საქართეელო დიდ სისხლის ტბად იყო ნაქცეეი...

მაგონდება გიას უბედური დედა თეკლე, რომელიც დიდხანს ტრიალებდა ამ ჩეკის შენობასთან იმ იმედით, იქნება რამე ამბაეი გაეგო თაეისი შეილისა.!!!!

ეხლა მინდა გაგაცნო გიას ოჯახის ერთი ღირსეული წეერი. მისი მახლობელი ნათესაეი, მარიამ ეახტანგოე-ორბელიანის ასული, გათხოეილი შაშიკო ორბელიანზედ.

მარიამი იყო თეკლე ბატონიშეილის შეილიშეილი, გიას დედა თეკლეს მამიდა, იმაეე დროს გია ჰყაედა მონათლული, ამიტომ თეკლეს დანარჩენი შეილებიც გია, ეატო, თამრიკო და ირაკლი მას ალერსიანად "ნათლიკოს" ეძახდნენ.

რა ესთქეა ამ ღირსეულ ქართეელ ქალზედ, რომ ის გარეგნობით იყო სამეფო ქალი, ტანით მაღალი, წარმოსადეგი, სახით თითქოს თაეის წინაპარ მეფე ერეკლეს ჰგაედა, ასე ფიქრობდნენ სხვებიც. მასთან შეხეედრისას ერთგეარ მოწიწებას გრძნობდა ადამიანი, თავმდაბალი, სალამს ეერაეინ დაასწრებდა, მიხეიდოდი მასთან სახლში და იმდენი პატივი და სითბო დაგიხედებოდა, რომ იქიდან გამოსული ერთგეარ სიამაყეს გრძნობდი.

ბევრი ზრდილობიანი მინახაეს ამ ჩეენ მაღალ წრეებში, მაგრამ იმისი მსგაესი არაეინ.

მშვენიერი ქართული ენის მცოდნე, აგრეთვე ფრანგულისა და საერთოდ განათლებული ქალი.

ქართულ საქმიანობაში დიდი მონაწილე იყო ეს პატრიოტი პიროვნება, რუსეთიდან ახლად ვიყავი ჩამოსული და სათავადაზნაურო სასწავლებელში მასწავლებლად დანიშნული, რომ ერთ დღეს ქართულ თეატრში მთხოვა მის ლოჟაში შესვლა, "დიდი საქმე მაქვს თქვენთან და იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით"ო..

ის იყო ახლადდაარსებულ ქართველ ქალთა სათავადაზნაურო გიმნაზიის კომიტეტის თავმჯდომარე.

მთხოვა, მთელი გაკვეთილები იმ ქალთა გიმნაზიაში ამელო. საბოლოოდ ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ვაჟების გიმნაზიაში ვმუშაობდი და მათი თავის დანებება არ მინდოდა.

ხშირად მოდიოდა გიმნაზიაში, ჩემს გაკვეთილებსაც ბევრჯელ დესწრო და ყოველთვის მორიდებულად ეჭირა თავი.

მახსოვს სამასწავლებლო ოთახში შემოვიდა გაკვეთილის შემდეგ ვარჯიშის მასწავლებელი ევნატაშვილი, იქ მყოფ მარიამს მიესალმა, ის წამოდგა და სკამი შესთავაზა. ეს ყმაწვილი დაიბნა, შერცხვა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ამ ქალის წინაშე.

მახსოვს, როდესაც გარდასწყვიტეს ამ ქალთა გიმნაზიაში პანსიონი გაეხსნათ, ფულის შეგროვება მას ჰქონდა დაკალებული.

დაიწყო ეს საქმე, მაგრამ რომ მარტოკას არ ეკლო, პედაგოგიურ საბჭოს წარმომადგენლად მე წამიყვანა.

სხვადასხვა ქართულ დაწესებულებების კარები რომ შეეღეთ, საკმარისი იყო მისი ნახვა, რომ მას ხელცარიელს არ გამოუშვებდნენ და დიდის პატივითაც გამოაცილებდნენ.

სულ ბოლოს მივედით სათავადაზნაურო ბანკში, მიგვიღო მაშინდელმა დირექტორმა ციციშვილმა, მაგრამ იმისთანა უხეშად და უარით, რომ მალე დავტოვეთ ამ ადამიანის კაბინეთი.

ცოტა რაღაც მოგვიგდო და მის ასალებად სალაროში მიველით, ამრეზილი ვიდექი, ციციშვილის უზრდელობა ვერ მოვენელებინა.

იქვე იდგა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, ჭიათურის მრეწველთაგანი, გვარად სვანიშვილი, რომელმაც იკითხა, რა მიზნით ვაგროვებდით ფულს, რომ გაიგო, ამოიღო 25 მანეთი და გადმოგვცა, დიდი მადლობა უთხრა მარიამმა, ჩავსხედით ეტლში და წამოვედით.

გზაში მე დაუბრუნდი ციციშვილის უცნაურ თავის დაჭერას, მაგრამ ამაზედ მარიამ ორბელიანისა არ გაჩერდა და ბოდიშიც კი მოჰხადა, "ალბად დაღლილი იყოო.".

აი ეს ქალი პატრიოტი, საზოგადო მოღვაწე და მაღალი თვისებების პატრონი ყველასათვის მაგალითი და მისაბაძი იყო.

უნდა გითხრა, თუ, რომ ამ ქართული გიმნაზიის კლიენტურა უმთავრესად ღარიბი თავადაზნაურობა იყო; მათი შეძლებული ნაწილი კი მთავრობის გიმნაზიას ეტანებოდა. ე. ი. რუსულს.

შეგნებული ოჯახი შვილებს ამ ჩვენ გიმნაზიაში აბინავებდა, მაგალითად დათიკო ჯორჯაძემ თავისი მერაბი ჩვენთან მოიყვანა.

საზოგადოებაზედ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, როდესაც მამუკამ და ლიზა ორბელიანმა თავიანთი თამაში და ირაკლი ამ ღარიბ მოწაფეებში გარიეს!

თუმცა პირველ ხანებში შუადღისას მათთვის მოსამსახურეს რძე და ბულკები მოჰქონდა...

ამაზედ ერთი მოწაფე სიცილით მეუბნებოდა: "თამაზისათვის რძე და ბულკები მოაქვთ, ბულკებს რაღა რძე უნდაო."

ალბად ეს ბიჭი ამ ფუნთუშს ნამცხვარს ურძეოდაც მშვენიერად შეექცეოდა. საბოლოოდ აღარც რძე იყო და აღარც ბულკი. ეს ჩვენი ორბელიანები მთლად გაერიენენ თავიანთ ამხანაგებში და მესამე შესვენებაზედ მათ საჭმელზედ აღარც კი უფიქრიათ.

ეხლა მინდა ჩემ პირად ცხოვრებას დაეუბრუნდე და ყოველ წელიწადს შეეხო, გიამბო მხოლოდ მოკლედ ყველაფერი ისე, როგორც არის დალაგებული ჩემ მეხსიერებაში.

ზაფხულობით უკვე იშვიათად მიედინოდი კისისხევში, რადგან იქ საშინელი სიცხე მელოდებოდა მთელი დღე გაბმულ პამაკში ვიყავი ჩაწოლილი, განძრევაც კი მეძნელებოდა; შუა დღისას მოსამსახურე ქალი რომ ეედროთი დამადგებოდა და ამ ცივ წყალს შემომასხამდა, სიცხე და დაღლა მაკივწყდებოდა, კასკასით ეიცეამდი ტანსაცმელს და გაშლილ სუფრისაკენ მიეშურებოდი.

მოწაფეობიდან მოყოლებული მიყვარდა სოფლისათვის რაიმე გასართობი მომეწყო. ერთ ზაფხულს მოეაგროვე, ვინც გამოდგებოდა და დაეიწყე მათთან ერთად მუშაობა, რომ დამედგა "არსენა".

შუადღე რომ გადიხრებოდა, ჩემი მსახიობებით შევდიოდი ჩვენ კარის ეენაში და იქ ხის ქვეშ ერეეისორობდი.

ერთი მათგანი, გვარად ლაფაური, ნამყოფი იყო თბილისში და ამიტომ ყოყლოჩინობდა, ჩემ მიერ გასწორებულს ყოველთვის თავის აზრს უხვედრებდა: "ნიკიტინის ცირკში ამ ზამთარს ასე დადგეს ეს "არსენა"-ო".

მე კიდეე, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მოტრფიალეს, მინდოდა უფრო სადა და სინამდვილესთან დაახლოვებული როგორც თამაში ისე მისი სცენაზედ დადგმა; როგორც იყო დავითანხმე და თუ წინად მისი ხელოვნურად ამაღლებული კილო ჩვენი ეენახის ბოლოს ისმოდა და იქნება სოფელ ნასომხარსაც სწვდებოდა, თანდათან კალაპოტში ჩადგა და მასთან ერთად ჩვენც მოვისვენეთ.

საბედნიეროდ იმ ზაფხულს თელაეში იყო დათიკო გამყრელიძე. ჩვენი ქართული თეატრის ცნობილი მსახიობი, ჰო და ეთხოეე, ჩამოსულიყო და უკანასკნელ რეპეტიციას დასწრებოდა.

როლები კარგადა მქონდა განაწილებული, როგორც ეს დათიკომაც აღნიშნა, მთავარ როლს ე.ი. არსენას ჩემი ბიძაშვილი სოლიკო თამაშობდა და იმდენად კარგად, რომ გამყრელიძემ ურჩია, თბილისში ქართული თეატრის რეეისორი ენახა.[1]

[1] უსათუოდ იმას ხელიდან არ გაუშეებდა

ბატონის როლი ნიკიტინის ცირკის მოტრფიალესა ჰქონდა, ნინოს როლი მე, სომეხი ეაჭრის როლი, მგონი დათიკოს მიერ ჩამოყვანილ ქართული თეატრის მოკარნახეს მიეცით. ეიშოვნეთ შესაფერისი შენობა და დანიშნულ დღისათეის ბილეთებიც დაეარიგეთ.

ამ ჩვენ წარმოდგენას სოფლის ხალხი უფასოდ უნდა დასწრებოდა, დანარჩენები ბილეთის ფასსაც გადაიხდიდნენ და ბუფეტის ხარჯსაც.

როგორც მახლობელ სოფლებიდან ისე შორეულიდან ბევრი ხალხი მოგეაწყდა. ჯერ კიდეე მოწაფე, ქაქუცა ჩოლოყაშეილი პირველად იქა ენახე.

გრიგოლ ლაღიძე, რომელიც იმ ჟამად თელავში იყო, ის და ელიზბარ ეახვახიშეილი წინადღით გეესტუმრნენ.

ერთი სიტყვით ეს საღამო კისისხეეისათეის დიდი გასართობი იყო, პატარძლებისათეის ხომ პირდაპირ მისწრება.

აიხადა ფარდა და წარმოდგენის მსელელობაში მაგონდება ერთი სასაცილო ეპიზოდი; სულ ბოლო სცენაში როდესაც ნინო გიედება, მე ის იყო, დაეიწყე ჩემი როლი თეალების ცეცებით და სახის დაპრანჭვით, რომ გიორგი ჯანდიერმა მეტ სახელად "აბრატნიმ" ჩქარის მოძრაობით წინ დიდი თაიგული დამიდო; ცოტას გასწყდა, არ დაეუყეირე- რა დროს ყეაეილებია, ქალი როლში შეედიოდი.

სხვათა შორის მინდა გითხრა, რომ ამ ჯანდიერს იმიტომ ეძახდნენ "აბრატნის" რომ ერთი სოფლიდან მეორეში წასასელელად ის ყოველთეის მიმართაედა იმ მეეტლეს, რომელიც ბრუნდებოდა მისი სოფლისაკენ. ამნაირად ეს მაშინდელი თაეადიშეილი, უკეე შებერტყილი ჯიბის ინაბარად დატოეებული, იაფად ან მთლად უფასოდაც ახერხებდა მოგზაურობას.

გათაედა ჩვენი წარმოდგენა, თუ გლეხები დინჯად, თაეჩაღუნულნი, დაფიქრებულნი იშლებოდნენ, ჩვენი წრეებიდან მეტი წილი უკმაყოფილო დამირჩა... რასაკეირეელია, მეტის მეტად ცუდათ არიან გამოყეანილნი ამ "არსენაში".

გამყრელიძემ დიდი მადლობა მითხრა და შაქროსთან ერთად მშეენიერი მოძახილით გაგეემასპინძლდა.

გათენებისას დაიშალა ხალხი; შემოსაეალი საკმარისი აღმოჩნდა უძეელესი ეკლესიის გუმბათის შესაკეთებლად, რომელიც ცუდ მდგომარეობაში მყოფი მთელ შენობას ემუქრებოდა.

ზაფხული ამით გაეათაეე, აი დგებოდა მარიამობის თეე და მის ნახეევარში უნდა დამეტოეებინა ჩეენი მსხმოიარე ეენახი, იქეე ხეხილის ბაღი წითელ ლოყება ატმებით და სხეა და სხეა ჯიშის მსხლით.

აბა როგორ წაეიდოდი აქედან ხალისიანად, ჰაერიც შეგრილებული იყო, ეხლა უნდა ჩასულიყაეი მტერიან სასწაელებლის ოთახებში და მიმელო ორმოცი წყეილი თეალის ყურადღება; იმათაც ჩემსაეით ცალი ფეხი სოფელში ჰქონდათ დარჩენილი და მათი ყურადღების მოკრეფა ადეილი საქმე არ იყო..

ევანგულოვის პანსიონს გამოვეთხოვე და შემოდგომიდან საკუთარ ბინაზედ ვიქნებოდი, ფიქრის გორაზედ სონა მაღალაშვილის მიერ ახლადშეძენილ სახლში პატარა ბინა ვიქირავე.

ის ზაფხული კი წაღვერში ისევ ევანგულოვის პანსიონში გავატარე. ევანგულოვის ცოლი შერიგებული იყო, ძალიან აწუხებდა ეს ამბავი,[1] რადგან მისთვის მე კარგი კლიენტი ვიყავი; ხშირად ფულსაც მესესხებოდა. საწყალი ქალი ვერ ასდიოდა ამ საქმეს, მით უმეტეს შვილებიც მოსაელელი ჰყავდა.

მაშასადამე 1914 წელს მე წაღვერში წავედი საზაფხულოდ.

1914 წელი. წაღვერში ჩემ მიერ გატარებული ზაფხული.

თელავიდან იმ ზაფხულს წაღვერში იყო ჩამოსული ჩემი მახლობელი მეგობარი ნინო როსტომაშვილი. ადვილად წარმოიდგენ, თეო, თუ რა კარგად ვიქნებოდით იმ დროს. ჩვენი ბავშვობიდან რამდენ ამბებს მოვიგონებდით.

ის ჩამომხტარი იყო მეორე პანსიონში ლიზა მღებრიშვილისას, რომელიც ყოველთვის სავსე იყო ქართველებით.

იმ ზაფხულს იქ ნახავდი სამსონ ფირცხალავას, გერონტი ქიქოძეს, გრიშაშვილს, ევგენი გეგეჭკორს თავისი ცოლით და სხვებს.

ბაქოდან ჩამოსული იყო იქაური ფულის პატრონი ვანიჩკა თურქია, შესანიშნავად სასიამოვნო ადამიანი, ცხოვრებაში დარდიმანდი, ქართული სუფრის მოყვარული, მომღერალი, კარგი ხმის პატრონი.

ის თავისი დებით იყო მოსული.

შეძლებული კაცი ცოლის შვილთაშვილთან ხანგადასული იყო, ეს გარეშეობა მის დებს ძალიან აწუხებდათ, ამიტომ ამ მიზნით ისინი მაჭანკლებსაც გამონახავდნენ.

პირველად ვნახე სეირნობის დროს ცაცა ამირეჯიბის ასზოგადოებაში, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, გამოსული, ზრდილობიანი და რაც ახასიათებს ფულიან კაცს, თავისუფალი მოძრაობის და თავის დაჭერის მქონე.

მალე მისმა დებმა ინახულეს ჩემი დიასახლისი და თავიანთი სურვილი გააგებინეს. ანა ევანგულოვმა შემიყვანა თავის ოთახში და საიდუმლოდ მელაპარაკა. მირჩია, ამ თურქიაზედ გათხოვება, მისი მატერიალური ქონებაც დაწერილებით ამიწერა, "სონა გენაცვალე, უარს ნუ მეტყვი, იმისი დები ჩემ პასუხს ელოდებიანო".

მე ამაზედ სიცილით ვუპასუხე და ვთხოვე აღარ დაუბრუნდეს ამ საკითხს. იმ ზაფხულს მე იმ სასიძოს აღარა ეხედებოდი, მხოლოდ შორიდან, რასაკვირველია. წაღვერში ადამიანი ერთიმეო-

[1] ე.ი. თბილისში მე უკვე ჩემი ბინა გავიჩინე.

რეს ვერ ასცდებოდა. თუ სხვაგან არა წყაროზედ ხომ მაინც მიეიდოდნენ დილით, რომ ეს მშვენიერი წყალი დაელიათ.

სწორედ ამ წყაროზედ ნინამ ზაფხულის მიწურულში ს. გრიშაშვილი გამაცნო, რომელიც, ნინას თქმით, ერიდებოდა ჩემ ნაცნობობას, იმავე დღეს გამომაცილა სასლამდის და თაისი ლექსებით გამართო, მეორე დღეს ის და გერონ-ტი ქიქოძე მოვიდნენ ჩემთან პანსიონში.

მალე დაეტოვე იქაურობა და თბილისისაკენ გავემგზავრე. ნინო უკვე წასული იყო, კმანოფილი ვიყავი, რომ ჩემი მეგობარი კარგი მზითევით გაეუშვი; ნინო ჩაუცმელი ენახე, რაც კი მქონდა წაღებული მთელი ტანისამოსი იმას გავატანე.

მატარებელი ავიღე დილის რვა თუ ცხრა საათისათვის და გამიკვირდა, რომ ასე ადრიანად დუდუკის ხმა შემომესმა, ეს იყო თურქიას თაოსნობით მოწყობილი, რომ ჩემი წაღევერიდან გასელა თუ გაცილება სიჩუმეში არ ჩატარებულიყო. არ გაგეცინოს ჩემო თეო!

მე კი ლელოს ფიქრში ვიყავი იმ ჟამად გართული, რომელიც ჯარში იყო გაწვეული, რადგან ომი ახლად იყო გამოცხადებული.

ლელო, რომელიც ბელგიიდან დაბრუნდა, — იგი ლიეჟში სწავლობდა, და დაამთავრა უმაღლესი სკოლა — ვარშავაში უკრეს თავი, ჯარში გაიწვიეს. საბოლოოდ იქიდან რომ დაბრუნდა, ძლივს მოისვენა.

სათავადაზნაურო ბანკში მოვაწყე და ეხლა, უკვე 1914 წ. ისევ სამხედრო სამსახური, ომში უნდა ჩაერგო თავი, კიდევ კარგი, რომ გამოცდა ჰქონდა ჩაბარებული, მაშასადამე უბრალო ჯარისკაცად არ იქნებოდა ჩარიცხული, მაგრამ მაინც საშიში იყო.

წაღევერს როგორც გითხარი დუდუკების ჰანგებში გამოვეთხოვე, მაგრამ იქიდან თითქმის ყოველ დღე მომდიოდა გრიშაშვილის ღია ბარათი ან ლექსით ან პროზით. მალე ჩამოვიდა და ფიქრის გორაზედ მეწვია.

აბა რა გითხრა, ჩემო შვილო. ვინ რას ფიქრობს, ან მომავალში ვინ რას იტყვის, არ ვიცი, მაგრამ შეუძლებელი სდებოდა. მისი სიყვარული თუ პოეტური გატაცება ჩემთვის უმნიშვნელო ყოფილიყო.

მიყვარდა მისი სიყვარული და ეს გასაგებიც არის.

მოდიოდა ყოველთვის თავის შემოქმედების რომელიმე ნიმუშით და ისე მშვენიერად მიკითხავდა, რომ აღტაცებაში მოყავდი, თუმცა ამას არ ეაჩვენებდი.

ყველას ჩემ შესახებ ელაპარაკებოდა, როდესაც თავის ლექსს "რა კარგი ხარ" ცაცა ამირეჟიბს უკითხავდა. ცაცას შეუჩერებია ამ ადგილას "მე ჩუმი ვარ" შენმა სიცოცხლემ, რა ჩუმი ხარ, ყველას ყურები გამოგვეჭედე სონას ამბებითაო".

ერთ საღამოს გრიშაშვილს თეატრიდან, ოპერა რომ გათავებულა, წამოუყვანია მისი რეჟისორი ივანე ფალიაშვილი და ცაცა ფიქრის გორაზედ. "კინაღამ გაგეათენებინა მე და ფალიაშვილს, იქ-

ნება სონა სახლში არ არის, ვნახოთ ვინ მოაცილებსო“, სიცილით მიამბობდა ცაცა.

ერთი სიტყვით გრიშაშვილმა ბუქი დააყენა და იმდენად რომ დედასაც კახეთში მიუვიდა ეს ამბავი და შემოდგომაზედ როდესაც დედა ჩამოვიდა ჩემთან თავისი დოლათიანი ხურჯინით, ერთ საღამოს გრიშაშვილი მოვიდა თავისი ლექსებით, უნდა გენახა, რა მტრული თვალით გაზომეს ერთმანეთი.

მეორე დღესვე მომივიდა იმისი ძალიან სასაცილო წერილი, სწორედ ყარაჩოღულ კილოზედ შეთხზული.

მწერს, რომ დარწმუნებულია დედაჩემი იმის სიძეობას არ მოინდომებს და ნეტა რატომ? იმიტომ, რომ “ზაგრანი-ცეები არა მაქვს გათაეებული“. მერე კი ჩამოსთვლის თავის ღირსებებს; “ჩოფურა არა ვარ, არც მთავრისა მჭირს“, შემდეგ იძლევა თავის ქონების ინვენტარს, ხარფუხში ჩემი პატარა სახლი მაქვს, დანარჩენი აღარ მახსოვს, მხოლოდ ბოლოში მემუქრება, თუ უარს ეუბნები: “ბებუთით მოგკლამო“.

დედამ ამაზედ მწარე ღიმილითა სთქვა: “აბა მაგან სხვა იარაღი როგორ უნდა იხმაროს, თუ არა და ბებუთი. აელაბრელიაო“.

ეს წერილი სხვა უფრო შინაარსიან წერილებთან ერთად ევროპისაკენ წამოსვლისას თამარა ფალავანდიშვილთან დაეტოვე, რომ ავტორისათვის გარდაეცა.

მეფე ნიკოლოზის საქართველოში ჩამოსვლა სწორედ იმ 1914 წ.

იმ ზამთარს მეფე ნიკოლოზი ეწვია საქართველოს და მისი მიღება სარაჯიშვილის კარგად მოწყობილ დარბაზებში ვერა ვნახე, რადგან იმ დროს მე ფილტვების ანთებით გავხდი ავად. გაეცივდი, გიმნაზიის დიდი შენობის გათბობა გაძნელდა, ჩავწექი და მთელი ერთი თვე ლოგინში გავატარე.

მეფე ნიკოლოზი დამშვიდებულად მოძრაობდა ჩვენ მიწა-წყალზედ და დიდის კმაყოფილებით აღუნიშნავს: “რომ არცერთ რუსეთის ქალაქში ასე თავისუფლად ვერ ვიქნიო“.

ქართველი თავადაზნაურობა მას კარგად დაუხვდა. მოაწყო ლამაზი საღამო სარაჯიშვილის სახლში.

შესასვლელ კიბეზედ მას დაუხვედრეს ახალგაზრდა ლამაზი ქალები ყვაეილებით. აღტაცებით უთქვამს: “Ах эти зеленные глаза грузинок!“ ყურადღებით მისჩერებია მაიკო ორბელიანის ჩაცმულობას. ქართულ კეკლუც კაბას, რომელსაც ამშვენებდა ზეიდან ქათიბი, მხოლოდ არ ვიცი რა ფერადები იყო ამაში შეხამებული.

ცნობის მოყვარეობით უკითხავს: “თქვენ ყოველთვის ასე ხართ ჩაცმული? — არა, მხოლოდ ისეთ ბრწყინვალე დღესასწაულზედ როგორც არის დღევანდელი დღეო“, უპასუხნია ამ ქართველ მანდილოსანს.

მეფის საქართველოში ჩამოსვლას მოჰყვა მისი წყალობა, თბილისის და ქუთაისის თავადაზნაურთა გიმნაზიებში მეოთხე კლასამდე ყველა საგნები ქართულად იქნებოდა. ამნაირად ნელნელა ეს გაერცელდებოდა შემდეგ კლასებში და დიდისნის ნატერა შეგეისრულდებოდა. ქართული სასწავლებელი დამყარდებოდა.

ეს მიღებაც გათავდა, მეფე კმაყოფილი დაბრუნდა თავის ქვეყანაში!! მე დიდი სიცხიანი ვისმენდი მეფის აქ ყოფნის დროს საყურადღებო ამბებს. ბევრი მნახველი მყავდა, მაგრამ ჩემს მოლაში დედას დიდი დამხმარე იყო თამარა ფალავანდიშვილი, რომელიც მუშაობის შემდეგ ჩემთან იყო მოსული.

ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე უჭკნობი ბუნების მქონე საერთოდ ცხოვრებაში სასიამოვნო ადამიანი იყო, განსაკუთრებით ავადმყოფის დიდი მანუგეშებელი თავისი მშვენიერი ღიმილით და მხიარული გუნებით.

მოვიდოდა, დამხედამდა, მეტყოდა რამოდენიმე გამამხნევებელ სიტყვას, რომ მალე სულ კარგად ვიქნები! ზოგჯერ მივიდოდა როიალთან, მუსიკის მოყვარული აიღებდა რამოდენიმე აკორდს, თავის თაყვაც დასცინებდა: "ხვალ კი ნამდვილ კონცერტს მოგასმენინებთო". წავიდოდა და ჩვენ კარგ გუნებაზედ დაგვტოვებდა.

იმ ხანებში გრიშაშვილი უხედებოდა ვახტანგს და ამ ექიმს ჰკითხავდა ჩემი ფილტვების ანთების მიმდინარეობას, ზოგჯერ კი პირდაპირ ჩემ კარებს მოადგებოდა, ვარდების კონას კარების გამღებს გადასცემდა და გაიქცეოდა.

საშობაოდ მოსამსახურემ შემომიტანა იმისაგან მოტანილი ლამაზი, მწვანე ხავსით დაფენილი კლდე და თეთრი გვირილებით მოკირწყლული. დიდი ხნიდან ვთხოვდი, ხშირად ჩემთან ნუ მოვიდოდა, სალამოთი აიტუზებოდა ჩემს კარებში ისე რომ ძალიან მიშლიდა, რამე ჩემთვის გამეკეთებინა, მეორე დღეს გიმნაზიაში უნდა წავსულიყავი, ბევრი საშუშაო მქონდა.

როდესაც დარწმუნდა, რომ ვაფასებ მის პოეზიას, მაგრამ ამის იქით აღარაფერია და ვთხოვდი, ნუღარ მოვიდოდა! გაბრაზდა და მოათავსა პრესაში ერთი მოკლე წერილი, სადაც ჩემ სახელს ჩრდილს აყენებს.

ამაზედ მეც ჩემი პასუხი მივწერე და გაეაფრთხილე, რომ ამის შემდეგ მე მას ნაცნობთა სიიდანაც ამოვლებულადა ვთელიდი.

იმან თავისი არ დაიშალა და უფრო გაღიზიანებულმა ჩემი წერილიც დაბეჭდა და თავის მწარე განმარტებაც მიუმატა.

ეს ყველაფერი მოხდა ვიდრე მე ავად გავხდებოდი! შენთვის თეო, გაუგებარია, რომ მე იმას ნაცნობადაც აღარა ვთლიდი, სახლიდან დავითხოვე და ავადმყოფობის დროს კი მის ყვავილებს ელებულობ. როგორც გითხარი, ამ ყვავილებს კარებში ხელში აწყდის, ვინც კარებს გაულებს და სწრაფად ჩადის კიბეზედ, მირბის, ერთხელ ჩვენ ანეტას შერჩა ხელში მისი მოტანილი ვარდის კონა. "სალამიც არ მომცა ისე აჩქარებული გამშორდაო".

ამდგარი ვიყავი და მთლად მორჩენილი, ჩემი ხველება აღარავის აწუხებდა, რომ ერთმა კაცმა მთელი ბუჩქი მიწიდან ამოღებული წითელი ვარდებით და კოკრებით საესე გრიშაშვილის წე-

რილთან ერთად ოთახში შემომიტანა, წერილში მთხოვს, იმის სალიტერატურო საღამოს დაესწრო, რომ უკეთესად წაიკითხოს ჩემთვის მოძღვნილი ლექსები.

ვარდის ბუჩქი იმავე კაცის ხელით უკან გავაბრუნე. არ მიეღე. ამას მოჰყვა მისი საყვედურის წერილი და შემდეგ კი დაიბეჭდა მისი ლექსი "აღსავსე იყო დარბაზი დიდი". მაგრამ მე იქ არ ვიყავი.

მოსელით აღარ მოდიოდა, მაგრამ შორიახლო კი ტრიალებდა, ეხლა ამ სიბერის დროს რომ შორიდან ეაკვირდები ჩემ თავს, ძალიან არ მომწონს ის სონა, რომელიც ძალიან ცივ ადამიანად მესახება. შეიძლებოდა მეტი გაგება მქონოდა, ადამიანების მიმართ მეტი სინაზე გამომეჩინა, უფრო, თუ გინდა, ქალი ვყოფილიყავი და არა ხეპრე. გულქვა არსება, ალბათ ნაკლები მტერიც მეყოლებოდა, მაგრამ ეხლა ძალიანაც რომ მოვინდომო, ძველს ელარაფერს ვერ შევცელი.

სპირიდონის ჩამოსვლა და ჩემი შეხვედრა.

იმავე წელს და იმავე ფიქრის გორაზედ, კლდიაშვილის სახლში გაიცანი სპირიდონი. ქართულ თეატრში ვიყავი შალვა დადიანის პიესაზედ "გადაჭრილი მუხა". ანტრაქტის დროს სთქვეს, რომ სპირიდონ კედია არის ჩამოსული პეტერბურგიდან, სადაც ის ციხეში ჰყავდათ საფრანგეთიდან რომ წამოვიდა. ყველას ომის ამბები აინტერესებდათ, ამიტომ ბაღში გასული ხალხი მას დაეხვია და იმდენად, რომ კინაღამ ფარდის ახდაც კი დააგვიანეს.

არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, მაგრამ ამ სახელის გაგონებაზედ, საშინლად აველელდი, არც მესიამოვნა.

კიტა აბაშიძე მომიჯდა, რაღაც ქათინაურიც მითხრა, ეს ხომ სულმთლად უადგილოდ მიეიწინე, ცუდს გუნებაზედ ვიყავი.

რამოდენიმე ხნის განმავლობაში სპირიდონი და ვერა კაკაბაძე, ქუთაისიდან ეს ძველი მეგობრები, მოვიდნენ ჩემ ბიძაშვილ თამარას სანახავად.

თამარა თავისი დით, ელენათი დროებით სეიმონ კლდიაშვილის სახლში იყვნენ გადასულნი, რადგან თამარას სკოლის რემონტი იყო იმჟამად დაწნებული. თამარას, რომელსაც 1905 წლიდან დარჩენილი ჰქონდა გრძნობა სპირიდონის მიმართ, სწორედ იმ დღეს ლოგინში იწვა, უქეიფოდ გრძნობდა თავსა და ამ მისთვის საყურადღებო სტუმარს ვერ მიეგება.

სტუმრები ელენეს უნდა მიეღო და მთხოვა, ეიდრე ის ჩაის მოამზადებდა მათი თასლების გამწვეი მე ვყოფილიყავი.

ისინი ისხდნენ დიდ ტერასაზედ, რომელიც დასცქერის ვერის ბაღებს და ძალიან ამშვენებს ამ პატარა შატოს, რომლის პატრონი, ხუროთმოძღვარი სეიმონ კლდიაშვილი იმავე დროს ქართუ-

ლი გიმნაზიის, შემდეგში ქართული უნივერსიტეტის, ამშენებელიც იყო.

ბევრს მეხვეწებოდა ელენა, გავსულიყავი, სტუმრებს არ მოეწყინათ, არ ვიცი, რა დამემართა, საშინლად ვღელავდი, მიეადგებოდი კარებს, შევდგებოდი და იმდენჯერ, რომ ვიდრე ელენამ ხელი არა მკრა, მე ამ სალხთან ვერ გავედი.

როგორც იყო, სოფლის პატარძალივით აწურულმა ვერას ჩამოვართვი ხელი, რომელსაც მოსკოვიდან ვიცნობდი და სპირიდონს, ერთხელ ნანახს 1905 წელს.

მთელი ის საღამო მე და სპირიდონი ერთმანეთს შევერჩით, აღმოჩნდა, რომ პარიზში კარგად იცნობდა ჩემ ძმა ირაკლის და მის განუყრელ მეგობარ გიგიშა ჯორჯაძეს, ორივენი არა საეპისკოპო ხალხი, თუმცა ორივენი კარგად მიღებულნი ფრანგების არისტოკრატულ სალონებში.

ახლად გაცნობილ სპირიდონის შესახებ ბევრი მესმოდა, ვიცოდი მაგალითად, რომ 1906 წელს ის არალეგალურად წამოვიდა საფრანგეთში, აქ დარჩა 1914 წლამდე და რადგან ომის გამო სახლიდან ვერაფერს მიაწედიდნენ, გარდასწყვიტა, როგორმე თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო.

ამისი უფლება კი მას არა ჰქონდა, როგორც ძველ რეეოლუციონერს. მისმა პროფესორმა მისცა სარეკომენდაციო წერილი, პეტერბურგში მყოფ საფრანგეთის ელჩთან, რომ საქართველოში სპირიდონი თავისუფლად ჩაეშვათ, თავის ნაცნობ ქართველს გამოართვა პასპორტი და დემეტრაშვილის სახელით გაემგზავრა.

ეს საიდუმლოება იცოდა მხოლოდ ორმა ქართველმა,[1] სხვამ არავინ, მაგრამ თუ ერთმა მათგანმა გაუზიარა თავის მეგობარ ქალს, მაშინ სამი მესაიდუმლე გამრავლდებოდა.

როგორც ეს მოსალოდნელი იყო, პეტერბურგში ჩასვლისთანავე, მეორე დილით პოლიცია მიადგა და დაიჭირეს, როგორც სპირიდონ კედია.

ეს ამბავი ფედერალისტების გაზეთ "სახალხო ფურცლის" რედაქციაში იყო ცნობილი. ძალიან იყვენენ ყველანი შეწუხებულნი, მაგრამ ამ პარტიის მეთაურებმა არ იცოდნენ, რომ მოწაფეობიდან სპირიდონი სოციალისტი და მხურვალე თანამშრომელი ამ პარტიისა, ეხლა ევროპიდან სულ სხვა აზრებით ბრუნდებოდა.

ეს ჩვენი სპირიდონი ამ პირველ შეხვედრისას კლდიაშვილის სახლში სრულებით არ მომწონა, არა.

იმათ წასვლის შემდეგ თამარამ მაშინათვე მითხრა და ჩემი აზრი რომ გაიგო, გაუკვირდა, "შენ, სონა ხალხის ცნობა არ იცი".

მე ის არ მომწონა უფრო გარეგნულად, ძალიან მოფლაშული მოსჩანდა, საზღვარგარეთიდან დაბრუნებული, რუსის სტუდენტის ნიჰილიზმის მატარებელი სჩანდა.

საბოლოოდ ძალიან შეეცდი სპირიდონის შეფასებაში, მაგრამ რა ვუყოთ, ეს ასე იყო.

---

[1] ჭიჭიკო მდივანმა და დემეტრაშვილმა.

იმ დროიდან ხშირად ესვედებოდი ჩვენებთან ე. ი. ძალუა საშას და მის სამი ქალის ოჯახში, ამირეჯიბებთან და ბოლოს ჩემთანაც დაიწყო სიარული. ჩემ სტუმართა შორის იმის გარდა იყო გერონტი ქიქოძე, ისიც ახლად იდგამდა ფეხს ქართულ საზოგადოებაში, დათიკო კარიჭაშვილი, ისტორიკოსის შვილი, ახლად პარიზიდან დაბრუნებული, პარიზული აქცენტით მოლაპარაკე. ყველა ამათი ავანჩავანი, ფედერალისტი სოსო გოგოლაშვილი, რომელიც იყო დიდი მუსიკის მოყვარული და ამიტომ არცერთ კონცერტს არ გამოსტოვებდა, თუ ამათ შალვა და ირაკლი ამირეჯიბებსაც მიეუმატებთ, კარგი წრე იყო, რომ ქალებს თავისუფალი დრო იმათთვის დაგეეთმო: მათ შორის სპირიდონი, გერონტი, კარიჭაშვილი, სულ ბოლოს კოწია გამსახურდია. ეს ეეროპაში ნამყოფი ხალხი, პრინციპიალურად რუსულს არ ლაპარაკობდა, ისე რომ ჩვენც, იმათ სურვილის თანახმად, რუსულს ვერიდებოდით.

ამ წრეს შორიახლო გრიშაშვილი თვალს ადევნებდა და ალმაცერად უყურებდა ამ "ზაგრანიცადან" დაბრუნებულ ხალხს, მეტადრე სულ ბოლოს კოწია გამსახურდიას, რომელიც ხშირი სტუმარი გახდა ჩემი.

ამათში მხოლოდ სპირიდონი იყო, რომელიც არაეის ცუდათ არ მოიხსენიებდა და არაეიზედ ცუდს არ იტყოდა, "ამიტომ რომ თქვენ თავს გაწონებთო", მითხრა ამაზედ გერონტიმ, ეჰ, მინდოდა კარგი პასუხი მიმეცა, მაგრამ თავი შეეიკავე...

იმ ხნის განმავლობაში ე. ი. 1914 წლიდან 1917 წლამდე. სპირიდონი თბილისში არალეგალურად ცხოერობდა, გადადიოდა ერთი ოთახიდან მეორეში.

იმ ომიანობის დროს, ადმინისტრაციაც, რეეოლუციის მოლოდინში თვალებსა ჰხუჭავდა, თორემ სპირიდონს ადვილად გააბაჟდნენ მახეში.

მაშინ ჩვენი საზოგადოება ყურებს სჭიმავდა, აცა, იქნება მალე გაეიგოთ რუსეთის დამარცხება და ჩვენც რამეს გაეხდეთო, თუ ომამდე ავტონომიაზედ იყო ლაპარაკი, ეხლა აქა იქ ჩუმად საქართველოს დამოუკიდებლობაზედ ჩურჩულებდნენ.

1915 წელს გაერცელდა ხმა. ოსმალები აწვებიან ჩვენს საზღერებს და საცაა კიდეც შემოელენო.

ზოგი მათ მოსვლას ურიგოდ არა სთელიდა, მეტი წილი კი წინააღმდეგი იყო. დაიწნო ფუსფუსი, სომხები შეშინებულები თავიანთ ქონების გადარჩენაზედ ზრუნაედნენ.

შემდეგში ტამიროვის ცოლი მიამბობდა, იმ დღეებში 60—სხვილი ბრილიანტი ერთ დიდ სარტყელად შემოუკრავს წელზედ და მოსკოეისაკენ გამგზავრებულა, რომ იქ ბანკში დაებინაებინა ეს ქონება.

კოფრის გასაღები, მაშინაც ე. ი. 1923-ს, როდესაც ამას მიამბობდა ეს ჩვენი კარგი მეზობელი, მძიმედ ჯიბეში ედო... ეს საუნჯე ბოლშეეიკებს დარჩათ! ქართველებს ეფიქრობ არაეის დახჭირდებოდა კოფრი ბრილიანტების შესანახაად, მაგრამ ჩვენი საერთო ქონება იყო დასაბინაებელი მუზეუმში, ამაზედ უნდა გეუზრუნა, ნიეთები სადმე ყრუ ადგილას მიგეეფარებინა.

ჩვენი გიმნაზიის ზემო სართულში მოთავსებული იყო ისტორიულ გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმი.

მისმა გამგეობამ, ჩემ დაუკითხავად ამ საზოგადოების წევრად ამირჩია, ალბად იმ მოსაზრებით, რომ ახალგაზრდა ვიყავი და მუშაობას არ დავერიდებოდი, ეს იყო ჩემი რუსეთიდან ჩამოსელისას, თუმცა ბევრი ეერაფერი შეეძინე ამ მუზეუმს გარდა დედაჩემის ოქრომკედით მოქარგული სარტყელისა და ერთი ბულგარული ზედატანისა, რომელიც იყო ყაენისფერი მაუდისა მჭიდროდ ნაქარგი ოქროთი, ლამაზი სანახაო.

ეს ორიეე საგანი მივუტანე გორგაძეს,[1] რომელმაც დიდი მადლობით მიიღო.

როდესაც დაიწყო საშიშროების გამო ნივთების მიმალვა, აი ამაში კი მხურვალე მონაწილეობა მეკიღე.

მე და ილო სანღულაშვილმა რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობის საგანი, ნივთი სათუთად ჯერ ბამბაში, შემდეგ ქალალდში შეკახვიეთ და ყუთებში მოვათავსეთ. აღარ მახსოეს, კიდეე ვინ იყო ჩვენთან.

სერგო გორგაძეს, რასაკვირველია, რომელიც გვაწვდიდა თვითეულ ნივთს, თან რვეულში შეჰქონდა, ინვენტარში.

მადლობა ღმერთს, მაშინდელ ქარიშხალს გადაურჩა ეს საუნჯე, მაგრამ შემდეგ კიდეე აიდგა ფეხი და ეეროპაშიაც იმოგზაურა ამ ნივთებმა თავის ჭირისუფალ, აწ განსვენებულ ექვთიმე თაყაიშვილის მეთვალყურეობით და მისიეე პატრონობით ისეე სამშობლოს დაუბრუნდა თამარის ქოში და მრავალი სხვა, 1945-ს წელს.

თურქები არ შემოპსეულან საქართველოს, მაგრამ როდესაც რუსეთის ფრონტი დაირღვა და გამხეცებული ჯარის ნაწილი ჩვენ საზღვრებს მოაწვა და ის იყო მთლად წავილეკებოდით, რომ ამისათვის თვითპირობები არ შეცვლილიყო და გამოსავალი არ გამოენახათ მაშინდელ გავლენიან პირებს.

იმ ხანებში დაედიოდი კი გიმნაზიაში, მაგრამ სული და გული იქითკენა მქონდა, გაკეეთილების შემდეგ ვისა ენახაედი, რას გავიგებდი, რა ისმოდა რუსეთიდან და სხვა.

მე და ჩემი ბიძაშვილები, ამასთან მეგობრებიც ხშირად ეხვდებოდით ერთმანეთს, ეკამათობდით უფრო კი ვიჩხუბობდით ეს ქალები.

თუ მე შესაძლებლად მიმაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობა, თამარა ამას ალმაცერად უყურებდა და ერთ დღეს იმდენი ვუყვირეთ ერთმანეთს, რომ კინაღამ ჰაი, ჰაი. ერთი სიტყვით საჭირო იყო თამარა ფალავანდიშვილის ჩარევა, რომ მე და ჩემი ბიძაშვილი დამშვიდებულ კილოზედ გადაესულინაეით.

"სონა, მოდი შენი მოსაზრებები დაასაბუთე, წაგეიკითხე ამ თემაზედ მოხსენება. მაშინ იქნება ჩვენმა შეხვედრებმა უფრო საქმიანი ხასიათი მიიღოს და თამარას, რომელსაც კამათის დროს თაეისი

---

1 თაყაიშვილის თანამშრომელს.

"პრიჩოსკა" ყოველთვის უყვარდება, ეს არა სასიამოვნო სანახაობაც აეიცდინოთო". მართლა, როგორც იცი, თამარას თმა იყო უფრო ზღაპრული მოვლენა, როდესაც ის თავის თმას გაიშლიდა იატაკზედ ეფინებოდა, ამიტომ მას ძალიან უხდელდებოდა დამორჩილება, თუ ამ თმას დაიბანდა.

რომ მართლა რაღაც მოხსენების მსგავსი დამემზადებინა ამ ჩვენი წრისათვის, საჭირო იყო ზოგიერთი საკითხი მკაფიოდ მქონოდა გათვალისწინებული და ჩემი ნათქვამი ციფრებით დამედასტურებინა.

მაგალითად შეგეძლო თუ არა ურუსეთოდ ეკონომიურად გვეარსებნა. ამისავის ცნობილ ეკონომისტ ფილიპე გოგიჩაიშვილისაგან ცოცხალი მასალა მიეიღე. იმან გამაგებინა, რომ საქართველოდან ჩვენი სიმდიდრით დატვირთული ვაგონი, რიცხვით ოთხმოცი, ყოველდღიურად იგზავნებოდა რუსეთში...

რაც შეეხება პოლიტიკურ და კულტურულ მხარეს. ამისათვის ეფიქრობდი, რომ ჩვენ ქვეყანაში საკმარისად მოიპოვებოდა მომზადებული კადრი, რომელიც ადვილად გაუძღვებოდა საქართველოს საქმიანობას. აი ამ მასალით შევხვდი ჩემ მეგობრებს, თამარა კი მაინც ჭირვეულობდა. ჩვენ მაგის თავი არა გვაქვსო.

ორი წლის შემდეგ, როდესაც ივანე ჯავახიშვილმა იმავე ჩემს ოთახში გადაშალა სია იმ ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა, რომელნიც საკმარისი იქნებოდნენ ქართული უნივერსიტეტისათვის, ჩვენი თამარა თავის ყურებს არ უჯერებდა და სიჩუმე არჩია.

ამის შესახებ მერე ვილაპარაკებ, ეხლა მინდა დავუბრუნდე ჩემ გამგზავრებას მოსკოვში სწორედ ამავე წელს ე. ი. 1914 წ.

მაშასადამე ჩვენი წრის შეხვედრები ზაფხულმა შეაჩერა, ყველანი სოფლად წაიდნენ.

ჩემი ფასვლა რუსეთში.
1 თვე პეტერბურგში.

ჩემო თეო, არ გაიოცო, რომ მოსკოვში, ჩემ წასვლას ჰქონდა ერთი მიზანი, მინდოდა სახელმწიფო გამოცდები ჩამებარებინა, რომ უფლებებით უნივერსიტეტის დამთავრებულთ გავთანასწორებოდი.

ჩემი მისამართი არავის მიეცია, რადგან არ ვიცოდი, მოსკოვში სად გავჩერდებოდი. მოსკოვში რომ ჩავედი საშინელი სიმარტოვე ვიგრძენი, არცერთი ნაცნობი, წაედი ჩვენს სასწავლებელში, რომელიც გადატანილი იყო ახალ შენობაში "დეუჩიე პოლეზედ", იქ შესულმა თვალი მოვკარი მხოლოდ ერთ პროფესორს ხვასტოვს და ერთ ნაცნობ დარაჯს, სხვები ყველანი ჩემთვის უცნობნი აღმოჩნდნენ.

იქვე კანცელარიაში გავიგე, რომ ჩემთვის სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება საჭირო აღარ იყო, რადგან ჩვენი სასწავლებელი გათანასწორებული იყო უფლებებით უნივერსიტეტთან.

მოსკოვში აღარ დაერჩი და იმავე საღამოს მატარებლით პეტერბურგისაკენ გავეშგზავრე, ჩემი ბიძაშვილი ელენას სანახავად

და იმასთან ერთად ერთი თვის შემდეგ ვაპირებდი ვოლგათი საქართველოში დაბრუნებას.

დილის შვიდ საათზედ რომ ტელეფონით გამოველაპარაკე ნამძინარევ ელენას, ძალიან გაუხარდა. თანაც გაუკვირდა ჩემი ჩასვლა, მითხრა თავისი მისამართი და ცოტა ხანში მის ლამაზად მოწყობილ პატარა ოთახში ჩაის მიერთმეულით, თან თბილისის ამბებს ჟუამბობდი.

მის მახლობლად ავიღე ოთახი და ჩემი გაოცება ნახე, რომ ერთ დღეს სახლში დაბრუნებულმა მაგიდაზედ გრიშაშვილის წერილი ვნახე.

მწერდა, რომ ისიც რუსეთისაკენ წამოვიდა, თითქოს კავკასიის გზით, მხოლოდ რისთვის, ან ვინ მისცა ჩემი მისამართი, დღესაც არ ვიცი, რუსეთში, ვერ მომაგნო, ან იქნებ განგებ მომწერა?

მთელი თვე პეტერბურგში გავატარე, ელენას არ ეცალა, სალამომდე ლაბორატორიაში მუშაობდა, საქიმო დარგი მაშინ უკვე გათავებული ჰქონდა. ბაქტერიოლოგად ემზადებოდა, როგორც მასწავს ვასერმანის ფორმულაზედ მუშაობდა.

კარგად იყო მიღებული ამ თვის წრეში და პატივით ექცეოდნენ კოლეგები. მარტოკა დავტორღიალებდი, რომ უცბად ქუჩაში შემხვედნენ ჩვენი გიმნაზიის მასწავლებლები; სოლო ფურცელაძე და ქრისტეფორე ღვინიაშვილი, ძალიან მესიამოვნა მათი ნახვა. ბევრი საინტერესო ექსკურსია მოვაწყვეთ ერთად, მაგრამ რაც უმთავრესი იყო, იმას მოვცდი.

ესენი მიდიოდნენ ფინლიანდიაში და ძალიან უნდოდათ ჩემი წაყვანა; ელენა ვერ წამოეიდოდა, ვერ კიდევ უნდა ემუშაკა ლაბორატორიაში, მე კიდევ უიმისოდ არ მოვინდომე წასვლა და სამუდამოდ დავრჩი გულნატკენი.

მაწუხებს, რომ ეს პატარა ქვეყანა თავის კარგი მოსახლეობით და ცნობილ "იმატრით" ცნობილი თავის სილამაზით ვერა ვნახე.

იმ ხნის განმავლობაში გაგეგებინა ლიზიკომ, ჩვენი მანანას ქალმა, რომ აქ პეტერბურგის ერთერთ ოტელიაშია და უნდა ჩვენი ნახვა, წერილი მიიღო ელენამ.

მე მაშინათვე წავედი მის სანახავად და ძალიან გამიკვირდა, რომ ეს ქალი სრულიად ჩაუცმელი ვნახე. არ ვიცი, რა პირობებში წამოვიდა საქართველოდან, ან რა მიზნით. ბევრჯერ შევეკითხე, მაგრამ პასუხი ამაზედ ვერ მივიღე.

ოტელის მოსამსახურე ქალი, ხანშიშესული, მირჩევდა:. ეს თქვენი ნათესავი ქალი თუ გიყვართ, აქაურობას მოაშორეთ, თორემ დაილუპებაო.

ელენამა და მე ვერაფერი გავაწყვეთ, რადგან მას ჩვენი ცხოვრება არა ჰხიბლავდა. დავტოვეთ ეს ჩვენი ლიზიკო ოტელში და მერე როგორ გაიკელია გზა არ ვიცი. საბოლოოდ გათხოვდა და ეგვიპტეში ცხოვრობდა: ახლა კი ქერიე საქართველოში მეგულება.

მაშ "იმატრას" უნახავი, სამაგიეროდ ერთი თვის შემდეგ მე და ელენა მშვენიერ გემში "ალექსეი მიხაილოვიჩ" ვისხედით და ვოლგაზედ მივცურაველდით.

ჩვენი მოგზაურობა ვოლგაზედ.

მთელი მდინარე დასაწყისიდან პეტროსკამდე გემით გადავჭერით. თითქმის ორი კვირა გავატარეთ ამ მშვენიერ მოგზაურობაში და ძალიანაც დავისვენეთ.

თუმცა ომი იყო, მაგრამ გზაში არაფითარი დაბრკოლება არა გვქონია. მხოლოდ რადგან გარეგნულად რუსებს არა ვგავდით, ამიტომ გვაწუხებდნენ კითხვებით. პირველი კლასიდან გამოგზავნეს მსახური, რომ გაეგოთ ჩვენი ვინაობა, ესენი იყვნენ მეფის ოჯახიდან, რომანოვები ცოლქმარნი.[1]

ამ გემზედ იყო ორი ხანშიშესული ქალი, რომელიღაც მოძღვრების მატარებელნი, ძალიან ცდილობდნენ თანამოაზრეთა შოვნას და დიდ პროპაგანდას აწარმოებდნენ.

ჩვენთან რადგან ლაპარაკით ვერას გახდნენ, სხვა საშუალებას მიმართეს. ყოველ საღამოს მიუსხდებოდნენ პიანინოს, ერთი მათგანი რომ აკორდებს აიღებდა, მეორე იწყებდა საგალობელს, რადგან მას ხმა ჰღალატობდა, მისი მეგობარი სტოვებდა დაკერას და იმის მისაშველებლად ისიც გააღებდა პირს, იმას ვერ წარმოედგინა, აკორდებიც აეღო და თან ემღერნა, ეს ორი საქმე ერთად ეძნელებოდა.

ამ კონცერტის განმავლობაში აუდიტორია ნელნელა იცლებოდა, მე და ელენაც ვტოვებდით ამ ორ შეხმატკბილებულ მსახიობებს თავიანთი ხრინწიანი ხმით.

მალე სალონში გაჩნდა ახალგაზრდა ტენორი, კარგად მღეროდა, მას მხმენელი კი ჰყავდა, მაგრამ რატომღაც ჩვენი ყურადღება ესაჭიროებოდა, ჩვენ კი ეშმაკობდით და იმისი პირის გაღება და ჩვენი უჩუმრად სალონიდან გასვლა, ერთი იყო. ტაში კი ჰქონდა, მაგრამ უჩვენოდ.

დღის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ გამოლაპარაკება ვერ გაბედა, სამი დღის შემდეგაც ვერ გაგეიცნო, ჩვენი ვინაობა ვერ გაიგო, უკანასკნელ საღამოს, ღამის თერთმეტ საათზედ ფანჯარა დაგეიკაკუნა და რიხიანად შემოგვძახა. "Грузиночки, досвидания, я слезаю". ამით გვაცნობა, რომ ჩემი სიმღერით აღარ შეგაწუხებთო.

ასე უადამიანოდ რად მოეექცით ამ ახალგაზრდა მსახიობს, ითომ არაფრად ჩავაგდეთ მისი მშვენიერი გარეგნობა და ლამაზი ხმა.

უნდა გითხრა, ჩემო თეო, რომ პირველსაეე საღამოს მე და ელენას ეს ყმაწვილი ძალიან მოგვეწონა, როგორც თეითონ ისე მისი ტენორი. ჩვენი თაეის დაჭერა იყო უფრო სიკეკლუცით გამოწეეული,

---

1 შემდეგში დაშორების დროს დიდი ქათინაურებიც მიეილეთ: "რა მშვენიერად აღზრდილები არიან, მშვენიერად უჭირავთ თაეი"ო ასე გადმოგეცეს მათი ნათქეამი.

ამას შენ ჩემო კუდრაჭავ, შენ კარგად გაიგებ, გეინდოდა მისი ყურადღება და აკი მიუაღწიეთ კიდეც...

გემზედ ჩვენ ძალიან ვიყავით შეწუხებულნი. ზოგი ჩვენ ეიანაობას გვკითხამდა, ზოგი კი წლოვანობას, სადილის დროს ეს "ორი მომღერალი ქალი" თავს დაგვადგებოდნენ სხვებთან ერთად და გულდასმით გეითვალიერებდნენ ჩვენ წინ დადგმულ საჭმელს.

კარგი სამზარეულო იყო გემზედ, ცოტა მაღალი ფასები ჰქონდათ შემოღებული, იქნება ზოგს კიდეც უმძიმდა ამის გადახდა, ვინ იცის.

გზა და გზა ვერერდებოდით და ეოლგას ნაპირას მდებარე ქალაქები კარგად დაეათვალიერეთ. ისტორიული ძეგლები დიდ სიმდიდრეს არ წარმოადგენს. არც ერთმა ეკლესიამ თუ რაიმე შენობამ არ დასტოვა ჩემში ან გაოცება, ან მოწონება. ხომ იცი, თეო, მე მიყვარს უძველესი დროის ნაშთის ნახვა, სიძველის მტეერში რომ არის გახვეული, რუსეთის ეკლესიები შედარებით ახალი დროისაა, როგორც იცი, ქრისტიანობა იქ იყო მიღებული დაგეიანებით ე. ი. მეათე საუკუნეში. თეითონ ეოლგა კი კარგი სანახავია, ეს დიდი ეშაპი ნებიერად გაწოლილი უსაზღერო სივრცეში გემის კედლებს უფრო უალერსებდა, ვიდრე აბრკოლებდა მის წინსვლას. წყნარად მივცურავდით, ჩვენს ყურადღებას იპყრობდა აკეიატებული ჩიტების გუნდი, რომელნიც კუდბაწარასავით მისდევდნენ ჩვენს გემს და მაყრიონად ახლდნენ მის მოძრაობას.

ამ სიამოვნებას გეიშხამებდნენ სხვადასხვა ფერისა თუ ზნის მქონე ბუზები. ზოგი იქნება სამეგობროდ მოფრენილნი, მაგრამ მეტი წილი მტრულად განწყობილნი ბაქანზედ ჩვენს სეირნობას ხელს უშლიდნენ!

მათი შიშით ზოგი თავის კაიუტას არა შორდებოდა, და მეტადრე საღამოს, მზის ჩასვლისას, ჩვენ კი ბრძოლა გვქონდა გაჩაღებული, ფარშუბიღა გვაკლდა, მაგრამ ჩვენი გრძელი მკლავები და მათი მოქნევა ხლმის მაგიერობას ეწეოდა.

ვოლგას ერთ ნაპირას აღმართულია მთების პატარა ნაწილი. სახელი აღარ მახსოვს, მგონი "ჟილუსოვის მთებით" არის ცნობილი, უკაცრავად გახლავარ, ჩემო თეო მეხსიერებაზედ.

ეოლგაზედ მოგზაურთათვის ეს არის დიდი სანახაობა და ცდილობენ ეს არ გამორჩეთ, რომ მისი ნახვით აღტაცებაში მოეიდნენ.

რუსეთი, ხომ იცი, შვილო, გაჭიმული ველია. სწორე და ერთფეროვანი, ამიტომ თუნდაც სადმე პატარა ბორცეი დაინახონ რუსები ამას სიამოვნების და აღტაცების ნიშნებით აღნიშნაედნენ. "ააშკარაევებდნენ."

ერთ დღეს გემზედ ყველამ იცოდა, რომელ საათზედ გამოჩნდებოდნენ ეს საძაგლები და როდის გაიხარებდნენ მაყურებელნი.

გამოაცხადეს, ეს სანატრელი წუთები იქნებოდა ღამის ორ საათზედ, ამიტომ სიფხიზლეა საჭირო, რომ ამ სურათის უნახაეი არავინ დარჩესო.

ჩვენც აეყეეით ამ ფეხის ხმას და მართლა გეინდოდა ამ მაღლობების ნახვა. სამწუხაროდ ძილმა ისე ჩაგეითრია, რომ ეერც

ფანჯარაში კაკუნმა და ვერც "Вот вот мы приближаемся к городу" ჩვენ გონებაში ვერ ჩაგვაგდო, თვალები რომ გავახილეთ, ახლად ამოსულმა მზემ შემოგვცინა და გემსაც წყნარად ეძინა. მთების შუილებს დიდი წაგება არ გვინახავს, ერთი მითხარი შვილო, ამის პატრონებს რა გაგეოცებდა:

"ქვესკნელ ძალთაგან იგი მთა მედგრად ცის გასარღვევად აღმოზიდულა,

"მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრივ თითქოს განგებით შეყენებულა"!

რუსეთის ბუნებამ ეს სიდიადე არ იცის, მაგრამ თუმცა ერთფეროვანია, ზოგჯერ მაინც მოსაწონი და დამამშვიდებელია.

ერთ საღამოს გემზედ ვახშმის დროს გვერდით მოგვეყდა ხანშიშესული მხედარი, დაიწყო ომზედ ლაპარაკი, რუსეთს უმწეო მდგომარეობაზედ, დიდ სასოწარკვეთილად გვეჩვენა, უნდოდა ჩვენი აზრი გაეგო, ეინ იცის ეისთვის სჭირდებოდა ეს ცნობები, იქნება იმ რომანოვებისათვის, რომელთაც პირველ დღესვე ჩვენი ვინაობა იკითხეს და გაიგეს, რომ ქართველები ვართ. მე მესმის, თქვენ ქართველები ან სხვა ერები, ვინც კავკასიაში არიან ყველანი რუსეთის წინააღმდეგნი უნდა იყვეთ, რადგან ბევრი რამ არის, რაც თქვენ ბუნებას და ხასიათს არ შეეფერება, მთელი კანონები ცენტრიდან მოდის და ეს არ არის მოსაწონი და მისაღებიო.

მოსთქვამდა თავის ქვეყნის უსუსურობას, "ჩვენ არაფერი გვაქვს, რუსეთს განათლებული ხალხი არა ჰყავს, ძლივს მივჩანჩალებთ, მაშინ როდესაც ეროპა სულ სხვა სურათს იძლევაო".

ბევრი ილაპარაკა, ბევრი გვარწმუნა რუსეთის უკარგისობაში. მე და ელენა ფხიზლად შევხედით ამ ჩვენი მგზავრის მეზობელს და ვანუგეშეთ, რომ რუსეთი ძლიერია, მას კულტურული ძალები საკმარისად მოეპოვება, რაც შეეხება თვითონ ხალხს, ის ერთგულია მეფის ტახტისა და თავგამოდებით იომებს. სახეზედ კმაყოფილება ემჩნეოდა და კეთილის სურვილებით დაგვშორდა.

ჩვენი გემი შეიცვალა და უფრო დიდი გემით უნდა შევსულიყავით კასპიის ზღვაში. ეს ჩვენი გადაბარგება შუა წყალში ცოტა გვაშინებდა, რადგან ეს ოპერაცია ღამით მოხდებოდა, რასაკვირველია, იმ ღამეს თვალი არ მოგეხუჭნია, მაგრამ იოლად ჩატარდა ყველაფერი.

რა ღამაზი იყო ეს კასპიის ზღვა მთვარიან ღამეში ლურჯი, მშვიდი, სხვა დროს მოუსვენარი, იმ დროს შუქი გადასდიოდა და ისე იყო მისი ზედაპირი მოკრიალებული, რომ ადამიანს მოუნდებოდა მასზე ფეხშიშველა გარბენ გამორბენა, სწორედ მე მებადებოდა ეს სურვილი.

მალე თამარას ბინაზედ გაიმართა დიდი გასართობი, ეოლგაზედ ჩვენი მოგზაურობის ამბები, ხან ელენა მსახიობობდა, ხან მე ვაჯაერებდი გემზედ შესვედრილ ხალხს, ბევრს ვიცინოდით იმ ორ მომღერალ ქალზედ.

საერთოდ ის საზოგადოება, რომელიც გემზედ ჩვენთან ერთად მოგზაურობდა, სრულებით არ ფიქრობდა თაეიანთ ქვეყნის მო-

მავალზედ, ომი სწარმოებდა სადღაც შორს, რომელიღაც საზღვარზედ. ასე რომ მისი ყუმბარები ამათ არ აშინებდათ.

ეს ხალხი მთლად უდარდელი ფუქსავატად მაცხოვრებელი სჩანდა.

პირველად რომ გემზედ ავედით და კაიუტაში ჩვენ ბარგს ვალაგებდით, ერთი ქალი როგორც დაბარებული, კითხვით გვეცა: "რამდენი წლისა ხართო". ელენამ დინჯად უპასუხა: "დაგეცადეთ, ეს ბარგი დავალაგოთ და მერე გიპასუხებთ, თუ ვინა ვარე, საიდან მოვდივართ ან როდის მოვედით ამ ქვეყნადა"ო

და ამნაირი მაგალითი რამდენიც გინდა მხოლოდ ის ძველი მხედარი იყო ერთადერთი, რომელიც ჭირისუფლობდა თავის ერს და განაპირა ქვეყნების გუნებ-განწყობილება უნდოდა მას სცოდნოდა, ამიტომ გამოგველაპარაკა.

ამ მოგზაურობიდან ზოგიერთი სცენა დამრჩა ძალიან ცოცხლად, ჩვენი ელენა როგორც ექიმი მოვალე იყო სანიტარული მხარე მის ყურადღებას არ გამორჩენოდა, ამიტომ ხშირად ქალაქებში გაჩერების დროს, მე ვიჯექი და ვხედავდი ელენას მიჰყავდა ვიღაც პასუხიმგებელი, რომ საჩივარი შეეტანა მის უპასუხისმგებლობაზედ. ნეტა გენახა ეს ჩვენი ელენა, რა დაქოჩრილი მიჰყავდა ის საცოდავი.

ხელცარიელნი არ დავბრუნდით, მე მომქონდა დედაჩემისათვის ლამაზი, თეთრი სამოვარი და ჩაის ჭურჭელი, ელენამაც თავისიანებს რუსეთიდან სუფრის ჭურჭელი ჩამოუტანა.

ამეების მატარებელში დაბინავება ფრთხილად უნდა ჩატარებულიყო, რამდეჯერაც ვინმე ვაგონში მყოფი ხელს შეგვაშველებდა, აქედან შეშინებული ორი ქალის ხმა ისმოდა; "ფრთხილად, ფრთხილად, ეს სათუთი საგანიაო".

თბილისის სიცხეებს მალე დავაღწიე თავი და ჩემი სამოვრით კისის ხევში მივედი. მთელი ის დრო უსაქმოდ გავატარე, მაგრამ თვალს კი ბევრი ვასიამოვნე. ჩვენის აივნიდან გავყურებდი უკვე თეთრ ქოჩორიან დაღესტანის მთებს.

ქართული გიმნაზიის ცვლილებები და ჩემი იძიდან წასვლა

შემოდგომაზედ რომ ჩამოვედი თბილისში, დიდი ცვლილება დამიხვდა, ჩვენს სასწავლებელში ალექსანდრე მდივანის მაგივრად დირექტორად ალექსი ჭიჭინაძე იყო დანიშნული.

მდივანი განათლებული ადამიანი, კარგი პედაგოგი, ენერგიული, არაფერსა ზოგავდა, გიმნაზია ფეხზედ დააყენებინა! თვალყურს ადევნებდა პედაგოგიურ ლიტერატურასაც და ამ მხრივ თავის კოლეგებში მას ბადალი არა ჰყავდა, მაგრამ ჩვენ ქართველებს ნაღამური არაფერი გვიყვარს და ყოველთვის ახალის მაძიებელნი ვართ. იმდენი იმუშავეს ზოგიერთებმა, რომ ეს კარგი მეთაური ამ ქართული გიმნა-

ზიისა გადააყენეს და მის მაგიერად ხანში შესული ადამიანი დაღლილი და ენერგია მილეული გაგვიხადეს უფროსად.

ამის მიზეზი იყო, როგორც მახსოვს, კანცელარიაში რაღაც გაუგებრობა საქმის მწარმოებლის თვითნებობაზედ.

ახალი დირექტორის პირველი რეფორმა იყო, უფროს კლასებში ქალები როგორც მასწავლებელნი არა ჰყოლოდა.

მაშასადამე მეხუთე კლასიდან მე არ უნდა დავბრუნებულიყავი, არ მეძლეოდა საშუალება, მუშაობის შედეგი მენახა, ამით ხალისი მომეცემოდა შემდეგ კლასებში.

ამიტომ პედაგოგიური საბჭოს პირველსავე სხდომაზედ დასწყისში ვითხოვე სიტყვა, ჩემი მოსაზრებები დავსაბუთე, მთელ გაკვეთილებზედ უარი ვსთქვი, გამოვიკეტე კარები სიჩუმით მოცულ დარბაზისა და წამოვედი. ამას არავინ მოელოდა და დიდი გაოცება გამოიწვია.

მთლად გადავედი იქვე ქალების გიმნაზიაში, სადაც ქართული ენის გაკვეთილებს ისტორიის გაკვეთილებიც მიემატა.

ის დღე იყო და ის, რომ ჭიჭინაძე მიგზავნიდა ხან ერთ მასწავლებელს, ხან მეორეს თხოვნით, ჩემი უარი უკან წამელო და მპირებოდა, ყველაფერს რაც მის ხელთ იყო, ოღონდ ვაჟების გიმნაზია არ მიმეტოვებინა, მაგრამ ამაოდ! ხომ იცი, შვილო, ჩემი უარი რა მტკიცეა, აბა რას გააწყობდა.

ქართველ ქალთა გიმნაზია

დიდის ხალისით დაიწყე მუშაობა ამ ქალების გიმნაზიაში, სადაც მთლიანად ვიყავი დამკვიდრებული.

გაკვეთილების გარეშე მოვაწყე საკლუბო მუშაობა, თუ არა ეცდები ორ კვირაში ერთხელ.

მოწაფეთა ნაშრომები, რასაკვირველია, წერითი, იკითხებოდა ყველას თანდასწრებით, იმათივე თაოსნობით იმართებოდა მთელი საღამო, მათივე დამუშავებული პროგრამით! ჩემზედ მეტი იმათ შეეძლოთ და ამაზედ როგორ დავაბრკოლებდი.

ახალგაზრდას მეტი ფანტაზია აქვს და მართლაც ყველას გვაოცებდა, რა მრავალფეროვანი პროგრამა წარმოგვიდგინეს ამ 13-14 წლის გოგონებმა, და არა ერთხელ.

ერთერთ საღამოს დაესწრო ჩვენი მწერალი დათიკო კასრაძე და ასწერა მისი შინაარსი ერთ ქართულ გამოცემაში. აღნიშნავდა გაოცებული, რომ ერთი თავისუფალი თემა "ლუარსაბის სიზმარი" ისე შესანიშნავად არის დაწერილი, რომ შეიძლება ითქვას, იმ საბაევო ლიტერატურის შედევრად არის მისაღებიო.

სამწუხაროდ იმ ბაშების გვარი, რომელმაც ეს თემა დაამუშავა, არ მახსოვს. მართლა კარგადა სწერდნენ ეს 13-14 წლის გოგონები.

მეც უხვად ვაძლევდი თავისუფალ თემებს და ადვილად ვატიკტიკებდი ამ ჩემ ბავშვებს.

ომი იყო მაშინ და მიეცი თემა "რა გეიამბო ტყვიამ", ამაზედ ხომ არ გაუძნელდათ ლაპარაკი. გაზაფხულზედ მიცემულ იყო თემა "რად ჩაუცვამს იას თალხი კაბა", ან კიდევ "რადა აქვს ყაყაჩოს შავი ხალები".

პურის ნატეხის მიხედვით უნდა მთელი მისი თავგადასავალი გადმოეცათ.

ეს რაც შეეხება საკლუბო მუშაობას, მაგრამ მეც ხომ თავი უნდა მომეყვარნა ამ მასალისათვის და მოწაფეთა ცოდნა ქართულ ენაში რითიმე აღმენიშნა. საჯარო ლიტერატურული დღეები ამის საშვალებას იძლეოდა.

ამ დღეებზედ ესწრებოდნენ, როგორც გითხარი, ჩვენი საზოგადოების ცნობილი პირნი: მათ აზრს და კრიტიკას ჩემთვის დიდი ფასი ჰქონდა, მით უფრო, რომ ჩემ თავს არც დიდ ქართულ ენის მცოდნეთა ვთვლიდი და არც უნაკლულო მასწავლებლად.

ერთ დილაზედ ცნობილმა მწერალმა ეკატერინე გაბაშვილისამ დიდი მადლობა მითხრა იმის გამო, რომ ჩემი მოწაფეები პროზას ზეპირად გადმოგვცემდნენ.

"ეს ახალია ჩვენს სკოლაში და ძალიან სასურველია, დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩემი ლექსი პროზად დაწერილი დღეს ზეპირად მოვისმინეო".

ვაჟების გიმნაზიის დირექტორი ალექსი ჭიჭინაძე ამავ დილაზედ თვალცრემლიანი ყურს უგდებდა მოწაფე ვაჟა ვაჩნაძეს, რომელიც თამარ მეფის სურათის წინ ბეთანიის კედლებს მგრძნობიარე კილოთი შესძახოდა "ნუთუ ესლა გვაქვს" და სხვა.

ამ დროს თურმე მიუბრუნდა გიმნაზიის გამგე თამარა ვაჟავახიშვილს ამ სიტყვებით "რა მასწავლებელი დაეკარგეო", აღუნიშნავს მწუხარებით. ამის საპასუხოდ მიუღია: "ჩვენ ეს კარგად ვიცით, რაც თქვენ დაჰკარგეთ და რაც ჩვენ ვიპოვნეთო".

თეო, შვილო, კვეხნაში არ ჩამომართვა, წარმოიდგინე, შენიც კი მერიდება, მაგრამ მინდა შენ ყველაფერი დაწერილებით იცოდე, რაც დედაშენს ეხება, თუნდაც ზოგი რამ არ მოგეწონოს.

იმ წელიწადს სწავლა რომ გათავდა, ჩვენი გიმნაზიის და ვაჟების გიმნაზიის გაერთიანებულ პედაგოგიურ საბჭოს კრებაზედ დაისვა საკითხი ქართულ ენაზედ ყველა საგნების სწავლების შესახებ.

ნიკოლოზ მეფემ თავის მოგზაურობის დროს საქართველოში 1914 წ. ჩვენ თავად-აზნაურობას ეს წყალობა დაუტოვა, პირველ სამ კლასში ყველა საგნები ქართულად უნდა ეწარმოებინათ, შემდეგ კლასებში ეს მოვლენა ნელ ნელა გაგრძელდებოდა. ამნაირად ჩვენი გიმნაზია, როგორც ქალებისა ისე ვაჟებისა მთლიანად ქართული იქნებოდა.

რადგან ომი გრძელდებოდა და რუსეთისაის მას კარგი პირი არ უჩანდა, ჩვენ ვიფიქრეთ, თავისუფლად გვემოქმედნა.

ჩვენი დადგენილება

ამ შეერთებულ კრებაზედ პეტრე მირიანაშვილი ქართული ენის მასწავლებელი, სეით იაშვილი ბუნებისა და გეოგრაფიის მასწავლებელი და მე ვიყავით მომხრენი, შემოდგომიდან მთელი კლასები ქართულ ენაზედ გადაგვეყვანა.

ამის წინააღმდეგი იყვნენ მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებლები. შემოდგომაზედ კი საბჭო ერთსულოვნად თანახმა იყო, ეს ოპერაცია სისრულეში მოგვეყვანა.

ამის სულის ჩამდგმელი, რაჟდენ ხუციშვილი აღმოჩნდა. ეს იშვიათი პიროვნება, რომელმაც არ იცოდა არავითარი პრინციპის დარღვევა. განათლებული ფიზიკოსი იყო.

მთელი ზაფხული ამაზედ იმუშავა, რომ მოემზადებინა ფიზიკის წიგნის თარგმანი და საერთოდ მათემათიკის ტერმინები.

ამ კაცმა ქართული ლაპარაკი არ იცოდა, ან ძალიან სუსტად და ეს დიდი შრომა გასწია ზაფხულის განმავლობაში.

შემდეგ წელიწადს ამ ვაჟების გიმნაზიაში იყო დანიშნული დირექტორად რადგან ალექსი ჭიჭინაძე, ეს კარგი ქართველი კაცი, გარდაიცვალა.

ეხლა დავტოვებ ამ ჩვენ საქმიანობას გიმნაზიების ფარგლებში და ცოტას შევეხები ჩვენ გარეშე ამბებს.

ქართულ საზოგადოებაში დიდი ფაცა ფუცი იყო, პარტიების დაპირისპირება, ვინ ვის აჯობებდა მომავალში ს. დემოკრატები თუ ფედერალისტები.

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის დაარსება

ამ ამბებში ინასკვებოდა ეროვნულ დემოკრატიული პარტია მამაშენის მეთაურობით.

საზღვარგარეთიდან სპირიდონი დაბრუნდა სულ სხვა პოლიტიკური აზრებით, ვიდრე ის იყო ახალგაზრდობას, როგორც სოციალისტი.

დაიწყო მოლაპარაკება ფედერალისტებთან. სახელდობრ ძველ თაყის მეთაურ სოციალ-ფედერალისტ გიორგი ლასხიშვილთან, რომ დაეარსებინათ ლიბერალური, წმინდა ეროვნული პარტია, კერძო საკუთრების დამცველი, რომელიც შესცვლიდა ამნაირად სოციალ-ფედერალისტების მიმართულებას.

ეს მოლაპარაკება უარყოფობით გათავდა, მაშინ სპირიდონმა თაყისი საკუთარი გეზი აიღო.

იმის შემდეგ რაც ბაქოში ჩვენი მრეწველნი ინახულა და მათი მატერიალური დახმარება უზრუნველჰყო, გამოვიდა გაზეთი "საქართველო" და მალე მოეფინა ქართველობას.

ერთ დილით რომ გიმნაზიაში მიეედი და სამასწავლებლო ოთახში შეეედი, ყველას, სულ ფედერალისტებს, "საქართველო" ეჭირათ ხელში. მათ სახეებს ცოტა შეფიქრიანებულებს, სიამოვნების იერიც ემჩნეოდათ.

მალე ამ გაზეთის თანამშრომელნი გახდნენ ნიკო ნიკოლაძე, გვაზავა, გერონტი ქიქოძე და სხვანი.

იმ ხნის განმავლობაში დაიწყო სპირიდონმა საქართველოს ყოველ კუთხეებში მოგზაურობა და ადგილობრივ ორგანიზაციების დაარსება.

ეწვია ის კახეთსაც, თელავში დანიშნული იყო მისი მოხსენება.

მიამბეს რომ ამ კრებაზედ ს. დემოკრატებს როგორც სპირიდონის მოპირდაპირე ჰყავდათ ექიმი გიორგი ხირსელი, მხოლოდ ამის იმედით იყო ეს პარტია, მაგრამ თელავმა ისეთი ოვაცია გაუმართა ამ ახალ სიტყვის მთქმელ სპირიდონს, რომ ხირსელმა მალე მონახა თავისი დასაჯდომი ადგილი.

იქ ისევე როგორც სხვა ცენტრებშიაც ყვარელში, სიღნაღში, თიანეთში, შემდეგ დასავლეთის ყველა დიდ ქალაქებში ქუთაისში, ბათუმში და სხვაგან. ყველგან დაარსა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკური ორგანიზაციები. ისე რომ, როდესაც 1916 წელს გაიხსნა პირველი კონფერენცია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა ჩვენ ქართულ თეატრის შენობაში, საქარველოს ყველა კუთხიდან მოსული საგრძნობი დელეგაციებით სავსე იყო დარბაზი.

ამავ კონფერენციაზედ ერთი მუწუკი იყო ყველასათვის საგრძნობი, სჩანდა, რომ ამ პარტიის მეთაურთა წრეში ძალიან გაძნელდებოდა მომავალი თანხმობა. ეს მუწუკი იარად გარდაიქცა და მთლად ამ მიმართულებას შხამად გარდაესხმოდა.

იქ იყვნენ ისეთნი, რომელნიც თავად-აზნაურთა იდეოლოგიით ფიქრობდნენ ფონს გასვლას და ხალხის შემოკრებას.

ზოგ მათგანს კი შურისძიება ან შენჩრმიანობა ასულდგმულებდა და იმდენად, რომ როდესაც ამ კონფერენციაზედ ერთხმად იყო არჩეული სპირიდონი, როგორც თავმჯდომარე, მხოლოდ ერთი თითი იყო წინააღმდეგი. ეს იყო იმ ადამიანისა, რომელიც მეგრელს ქართველად არა სთვლიდა. შემდეგშიაც სპირიდონის მოწინააღმდეგე ეს პოეტი შ. ამირეჯიბი არწმუნებდა ყველას, რომ შეუძლებელია, ეროვნული მოძრაობის სათავეში მეგრელი იყოსო.

ზოგიერთი სპირიდონის მოწინააღმდეგე კიდევ იმას ვერ ურიგდებოდა, რომ "საქართველოს" რედაქციაში ლაზღანდარობა ამ ევროპიდან ჩამოსულ სპირიდონს არ მოსწონდა და ამას არცა მალავდა.

ერთხელ გამოვიდა ხმა, რომ რედაქციაში რეზო გაბაშვილმა სილა გაარტყა გერონტი ქიქოძეს და ამის გამო შეიქმნა თურმე დიდი ყვირილი და წიოკობა.

ამის გამგონი ხალხი იმას კითხულობდა, იმ მომენტში სპირიდონ კედია რას აკეთებდაო.

თურმე ის ცდილობდა მოჩხუბართა გაშველებას და ამ ალიაქოთში თავისი პენსნე დაკარგეია.

ამ ხალხში ვერც სპირიდონმა იხეირა და ვერც იმ საქმემ, რომელსაც კარგი პირი უჩანდა.

პირველ დღიდან ინტრიგები, პარტიის გაყოფა, ეს ჯგუფი გაპყვა ეშაპელს, ვერც იმასთან მორიგდა და კიდევ უფრო დაქუცმაცდა.

ბოლშევიკების შემოსვლის წინა დღეებში ვითომ ყველანი გაერთიანდნენ. ამათ მიემატათ უპარტიონი როგორც იყვნენ იქანე ჯავახიშვილი, კოტე აფხაზი.

ვინ იყო ის მუდმივი შფოთის თაეი ამ ახლად დაარსებულ ერ. დ. პარტიაში.

გამოდიოდა მათი პატარა გაზეთი "კლდე", მისი სულის ჩამდგმელნი იყვნენ შალვა ქარუმიძე, რეზო გაბაშვილი, დათა ვაჩნაძე, შალვა ამირეჯიბი და მათი მეთაური მიშო მაჩაბელი.

მიმდევრები თითქმის არა ჰყავდათ და ამიტომ პარტიაც ვერ ჩამოაყალიბეს.

როდესაც სპირიდონი შეუდგა თავის აზრის განხორციელებას, ამ ჯგუფთანაც მოლაპარაკება აწარმოეა, როგორც ერთერთ მემარჯვენე აზრების მატარებელთან.

მოხდა ამათი შეჯგუფება, თითქოს "საქართველოს" ყველანი ერთად ამოუდგნენ მხარში, მაგრამ მალე უნდა ცალცალკე ეცლოთ და მართლაც ამ ემიგრაციაშიაც არ იყვნენ ერთად, ერთმანეთი არ უნდოდათ და ყველანი ცალკე მოქმედობდნენ.

ამ კონფერენციებზედ, რომელიც სამჯერ იყო მოწვეული და მესამეზედ სპირიდონი ვერც კი დაესწრო, რადგან წასული იყო ევროპაში გ. მაჩაბელთან შესახვედრად, სამიეჯერ პარტიის თავმჯდომარედ სპირიდონი იყო არჩეული, ამას მისი მოწინააღმდეგენი ვერ იტანდნენ, მუდამ მზად იყვნენ ეს კაცი მოესპოთ როგორც პოლიტიკოსი, სადაც კი მივიდოდნენ ოჯახებში მათი თემა იყო სპირიდონი და მისი უვარგისობა. მაგრამ მაშინ მე ეს არ მიკვირდა, რადგან ერთი მათგანის ოჯახში ისეთი ლანძღვა გინება მოვისმინე კოტე აფხაზის მიმართ, რომ გაშმაგირებაც მიძნელდება, ბოლოს როგორც გავიგე, მოკვლასაც კი უპირებდნენ იმის გამო, რომ 16 ნოემბრის ეროვნული ყრილობაზედ კოტე აფხაზმა, თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ამ კრებაზედ განაცხადა "დღეიდან თავადაზნაურთა ჭონების პატრონი არის ქართველი ხალხი"ო, ამ სიტყვებს დამსწრე საზოგადოება აღტაცებით და დიდი ტაშით მიეგება.

"არაეის დაეკითხა კოტე აფხაზი და ეს დიდი საკითხი თვითონ გარდასწყვიტაო", ამას იმეორებდნენ და დიდხანს იყვნენ აღელვებულნი ეს ჩვენი ცრუპატრიოტები.

მისაკო წერეთლის და გიორგი მაჩაბლის ჩამოსვლა

ამ ამბებში ტრიალებდა ჩვენი საზოგადოება, რომ ჩვენი ქვეყნის ნაპირებს გერმანული წყალქვეშა ნავით მისაკო წერეთელი მოადგა, მას უნდა კაეშირი გაება საქართველოს მომქმედ პასუხისმგებელ პირებთან.

ვიცი, რომ ის საიდუმლოდ შეხვდა სპირიდონს თბილისის ერთერთ ოტელში, იქვე ამ უკანასკნელმა მისაკოს შეასვედრა მისი ცოლი.

ცოტა დაგვიანებით მეორე წყალქვეშა ნავით საქართველოს ესტუმრა გიორგი მაჩაბელი. სპირიდონი მას შეხვდა ფოთის ერთ სიმინდის ყანაში. აქვე მინდა გიამბო, თუო, რომ გიორგი ამ მოგზაურობის დროს კინალამ დაიჭირეს. ეს იყო ელადიკაეკაში.

დილით ოტელში მიადგა "პრისტავი", ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსი, გიორგიმ სწრაფი მოძრაობით მოახერხა კარების შემოკეტვა და პოლიციელის პირისპირ დადგომა, ცალ ხელში რევოლვერით, მეორეში ფულის დასტით, უთხრა: "აირჩიე, რომელიც გინდა".

პრისტავმა ფული ჩაიდო ჯიბეში და გავიდა.

იმ ხნის განმავლობაში ამნაირი შემთხვევა ბევრი ჰქონდა, რამდენი გრიმი ჰქონდა გაკეთებული, ტანისამოსი გამოცვლილი და სხვა ამ პატრიოტ ქართველს.

როგორც გითხარი, ვოლგაზედ მოგზაურობის შემდეგ 1915 წელს ფიქრის გორაზედ დავტოვე ჩემი ბინა და ისევ ევანგულოვის პანსიონში გადავედი. თუმცა სონა მაღალაშვილის სახლში უფრო ფართო ოთახები მქონდა და ჩემი ბლიუტნერის როიალიც ადვილად იცვლიდა ადგილს, ეს ჩემი სუსტი მხარე, ოთახში აუცილებლად ვასეირნებდი, მათი გაშეშებული მდგომარეობა ერთ წერტილზედ არ მიყვარდა.

საბოლოოდ კი საკუთარი ბინა უნდა მქონოდა, ამიტომ გადავედი კი პანსიონში, მაგრამ ვეძებდი შესაფერის ბინას.

მართლაც მივაგენი პატარა ორ ოთახიან ბინას თავის შუშაბანდით, ეხლა კი შეგვეძლო მე და დედას ჩვენს გემოზედ გვეცხოვრა.

ეს ის ბინა იყო, შვილო, სადაც შენ პირველად აახილე თვალები, ოლგის ქუჩა №53 იქ ეიცხოვრეთ 1921 წლის 24 თებერვლის საღამომდე.

მაშ ეს წლები, როდესაც ქართული საზოგადოება მღელვარებასა და მოლოდინში იყო. ე. ი. 1916 წ., 1917 წ. მე უკვე ამ ბინაზედ ვიყავი. საქართველოს ბედი სასწორზედ ეკიდა, ან თავისუფლება სრული და შუდმივი, ან რუსეთის რევოლიციის ტალღებში მისი ჩახრჩობა. აი დღეღეზედ ეელოდებოდით დიდ ცვლილებებს.

ნიკოლოზის გადაყენება და დროებითი მთავრობის შექმნა

მართლაც მალე გავიგეთ ნიკოლოზ მეფის გადაყენება: რუსთაველის გამზირზედ მე და თამარა შეეხვედით სპირიდონს, რომელსაც ხელში გაზეთი ეჭირა. იმან გაგვაგებინა ეს დიდი ამბავი, "ნიკოლოზი გადაყენებულია და შემდგარია დროებითი მთავრობაო", გვითხრა ეს და ფეხაჩქარებით "საქართველოს" რედაქციისაკენ გაეშურა.

უნდა ვსთქვა აქვე, რომ ამ დროებითმა მთავრობამ კერენსკის თაყვანჯდომარეობით ჩვენ ქართველებს არაფერი მოგვცა, ეკლესიის ავტოკეფალიაც არ გაიმეტა.

ჩვენმა სამღვდელოებამ თავისი საკუთარი თაოსნობით მცხეთაში აკურთხა საქართველოს კათოლიკოსი კირიონი, ამნაირად ჩვენი ეკლესია ურუსეთოდ გახდა დამოუკიდებელი. რუსეთის სინოდი ქართულ ეკლესიის საქმეებში ველარ ჩაერეოდა.

იმ 1917 წ. როდესაც ჩემს ბინაზედ ვიყავით შეგროვილნი ჩვეულებრივ, კარები ვილაცამ დააკაკუნა, მიეედი და რომ გავაღე, ჩემი თავი სიზმარში მეგონა, რუსეთიდან ახლად ჩამოსული ჩემ წინ ივანე ჯავახიშვილი იდგა.

ის პირველად იყო ჩემთან, სტუმრობა მას არ უყვარდა: ადვილად წარმოიდგენ, ჩემო თეო, რას გამოიწვევდა ამ ძვირფასი ადამიანის ნახვა ყველა იქ დამსწრეთა გულში, სიამოვნების იერმა გადაურბინა სახეზედ ყველას. ეს ადამიანი ველარ ვიცანით, გაახალგაზრდავებული, ენერგიით სავსე მოსჩანდა.

მოვიდა, თითქოს რალაც უნდა ეხარებინა.

ჩვენ მაშინათვე რუსეთის ამბები ვკითხეთ, რას ფიქრობდა იმ ჩვენ ქართველებზედ, რომელნიც რუსეთის რევოლუციის პირველ რიგებში იყვნენ.

"ძვირად დაუჯდება საქართველოს მათი პამპულაობაო".

ამით გათავა ამ საგანზედ ლაპარაკი და გადავიდა უფრო მისთვის და საერთოდ ქართველებისათვის საგულისხმიერო საკითხზედ, გაგვაგებინა, რომ თბილისში დაარსდება ქართული უნივერსიტეტი.

თამარამ მაშინათვე შენიშნა, ჩვენ ხომ არა გვყავს ამ დიდი საქმისათვის შესაფერისი ძალები.

მაშინ ივანე ჯავახიშვილმა შეაჩერა თამარა "მოითმინეთ", ამოიღო წიგნაკი და გაგვაცნო სია. აღმოჩნდა ბევრი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა, რომელნიც რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში კათედრასთან არიან დატოვებულნი.

"ეს სრულიად საკმარისი იქნება ჩვენი საჭიროებისათვის, შემდეგში ამ სიას სხვა ახალი ძალებით შევავსებთ, ვერუჯერობით კი მელიქიშვილი, ახელედიანი, წერეთელი. ანდრონიკაშვილი და სხვებიო. სასარგებლო მუშაობას გასწევენ"ო..

ასე დამთავრა ეს სია და საბოლოოდ ძალიან გახარებული დაგეტოვა ამ ძვირფასმა სტუმარმა, თამარა კი გაყუჩებული ჩუმად იყდა.

მართლა და მოკლე ხანში ამ აზრის განხორციელება არ გაძნელდა, მითუმეტეს რომ შენობა მზად იყო წინასწარ გათვალისწინებული ნიკო ცხვედაძის მიერ ჯერ კიდევ 1902–7 წლებში, როდესაც მე და თავისი ქალი ელენა წაგვიყვანა ამ შენობის სანახავად, სთქვა "აქ იქნება ქართული უნივერსიტეტიო".

მე მაშინ იმდენად მეუცნაურა ეს, რომ ვიფიქრე, ამისი მთქმელი არ იყო კარგად და შეწუხებული ყველას ეუმბობდი.

მინდა აქვე განმარტება გაეუკეთო ივანე ჯავახიშვილის ნათქვამს იმ ქართველების შესახებ, რომელნიც რევოლუციის სათავეში იყვნენ, რომ ისინი საქართველოსათვის ვერაფერს გააკეთებდნენ: მართლაც ხომ ასე იყო. ვერც კი შესძლეს ეკლესიისათვის რაიმე ცვლილება გამოეთხოვნათ კერენსკის მთავრობისათვის. თუმცა მთავრობის წევრნი იყვნენ როგორც კარლო ჩხეიძე ისე ირაკლი წერეთელი.

მართლა იმ დროს არავისა ჰქონდა იმედი ირაკლი წერეთლისა, რომელიც იმ ხანებში საქართველოში ჩამოვიდა და საჯარო ლექცია წაიკითხა რუსეთის რევოლუციის შესახებ. მთელი ქართული საზოგადოება მიაწყდა, პირში შესცქეროდნენ, რაიმე სანუგეშო ეთქვა მათთვის, მაგრამ ერთი სიტყვა, კრინტი არ დასძრა საქართველოზედ, საზოგადოება დაიშალა გაოცებული და აღელვებული.

იგი მთლიანად რუსეთის მომავლით იყო შეპყრობილი. ნიჭიერი ადამინი, კარგი მეტყველი ირაკლი წერეთელი მუნჯი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის.[1]

იმ ხანებში კარზედ იმდენი საზოგადო ხასიათის ამბები იყო მოწოლილი და მოგროვილი, რომ პირადი ცხოვრება არავის ჰქონდა, ყველას თვალი გარეთ იყურებოდა.

თუმცა ძველი ანდაზა "სახლში რომ ბავშვსა ჰშიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო", ზედგამოჭრილი იქნებოდა ქართველ ხალხზედ, რომელიც მაშინ გაჭირებული იყო, მაგრამ გარეთ კი იყურებოდა, იქნება რითიმე ვარგო ჩემ ქვეყანასაო.

ეს იყო ჩვენს წრეში მაინც, ამისი რწმენა მაქვს დღესაც, რომ მასწავლებლობა ყოველ სხვერპლს გაიღებდა, თუ ეს საჭირო იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის.

ჩვენი პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო ის, რომ პედაგოგიურ საბჭოს კრებაზედ ერთხმად მივიღეთ, ჩვენი გიმნაზიის შენობა ქართულ უნივერსიტეტისათვის დაგვეთმო და ეს ბუნებრივიც იყო.

ეს გიმნაზია, როგორც ვაუების ისე ქალების ამის შემდეგ გზააბნეული, დაქსაქსული, უსახლკაროდ დარჩენილი, ხან რომელ შენობას მიეკედლა ხან რას.

---

1 მისი დეიზი გაგონილი ასე მახსოვს: "საქართველოს წარსული მძულს, აწმყო მეჯავრება, მომავალი კი არა მწამს"

ამ სასწავლებელმა, რომელმაც დიდი ეროვნული მუშაობა აწარმოეა თავის ხანგრძლივ არსებობაში, რამდენი შეგნებული პატრიოტი შესძინა ჩვენ სამშობლოს, რა დიდი როლი ითამაშა სკოლების გაქართულებაში, რამდენი ქართული სახელმძღვანელო და ტერმინოლოგია, რა არ მისცა ახლად ფეხადგმულ ქართულ სკოლას.

თუ ძველად გოგებაშვილის დედაენა და ბუნების კარი ასაზრდოვებდა ქართულ ოჯახს და იქიდან რუსულ სკოლაში ბავშვი ქართული მარაგით მიდიოდა, ეხლა ახალგაზრდობა ბუნებრივად ალაპარაკდა ამ ქართული გიმნაზიის დიდი შრომის წყალობით.

იხე გამოდის, ჩემო თეო, რომ მე ვარ დიდი თაყვანისმცემელი ამ სათაყვადზნაურო სასწავლებლისა, რომლის შენობას აწერია "ქართული გიმნაზია", ეს იმის ნიშანი იყო, რომ იქ ყველას შეეძლო შესულიყო რა ჩამომავლობისაც არ უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ამის შემნახავი მატერიალურად იყო თავადაზნაურთა ბანკი ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

უნდა გითხრა, ჩემო შვილო, თუ ჩემს ცხოვრებაში რითიმე ვამაყობ, ეს მხოლოდ იმით, რომ ამ წმინდა ქართულ დაწესებულებაში მომიხდა მუშაობა: რუსეთიდან დაბრუნებულს შემეძლო რუსულ გიმნაზიაში მიმეცა გაკვეთილები, მაგრამ მე ეს აზრი თავში არც კი მომსვლია, მე ეს ქართული სკოლა, მისი თუშურქუდიანი ბავშვები მინდოდა მეწერთნა და ჩემი ენერგია მათთვის მიმეცა, მთელი ჩემი არსებით ვიყავი ამ საქმეში და თუ სასტიკი ადამიანის სახელს ვატარებდი ამ ჩემ მოწაფეებში, მხოლოდ იმიტომ, რომ მე მაგონდებოდა ის მძიმე პირობები, რომელშიაც მომიხდა სწავლა. ვფიქრობდი, რომ ისინი ჩემზედ ბედნიერები იყვნენ იმითი მაინც, რომ დედმამა, თუნდაც ხელმოკლე, ყველაფერში ხელს უწყობდნენ ოლონდ ამათ ესწავლათ.

მე კი დედაჩემი, დიდმამულიანი ქალბატონი, კრიჭაში მედგა, გეყოფა სწავლა, მოდი სახლში, ჩემთან იყავი. "მატყლი ეჩეჩოთო". ასე გამოდიოდა.

ნიკოლოზ მეფის გადაყენების შემდეგ ჩვენი საზოგადოება ფიქრობდა, რომ საჭირო იყო, საქართველოს თავისი კანონიერი უფლებები დროზედ აღედგინა, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადებულიყო.

რად გვიანდებოდა ეს აქტი, ჩვენი დიდი ეროვნული საქმის მოგვარებაში ოსმალეთის მუჯლუგუნს ველოდებოდით.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

როგორც იყო საქართველომ ამოისუნთქა, დადგა 1918 წ. 26 მაისი. თავისი ეროვნული დროშით და მამა დავითის ზარის გუგუნით ქართველობას აუწყებდა, რომ დღეიდან ის იქნებოდა თავისუფალი, რომ ასი წლის მონობა სიხარულად შეეცვლებოდა.

სამწუხაროდ მეორე დღესვე რუსეთისაკენ დეპეშა მიფრინავდა ბოდიშით. "იძულებულნი ვიყავით, ეს აქტი მოგვეხდინა, რადგან ჩვენი საზღვრებიდან ჯარი მოიხსნა, თავის დასაცავად უნდა ვიზრუნოთო". დაახლოებით ამ შინაარსის დეპეშა იყო გაგზავნილი ჩვენი იმ მთავრობის მიერ.

ისე რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ცალფეხა გამოდგა. მაშინდელი ზეიმი 26 მაისისა ჩემი მეხსიერებიდან გასულია, მახსოვს ქუჩაში ბევრი ხალხი, სასახლის წინ ამქრები თავიანთი დროშებით, რასაკვირველია, ასე უცბად ადვილი არ იყო ნამდვილი ეროვნული დღესასწაულის მოწყობა.

ზაფხული კისისხევში გავატარე. სოფლის ხალხი ჯერ ერკეოდა ამ მოვლენებში, ბევრი მისტიროდა ნიკოლოზ მეფეს, ვაითუ ამ ახალმა ხელმა თავი ვერ დაიჭიროსო, ზოგი კი მეუბნებოდა ეს მიწა ხომ საკუთრებად დაგვირიგდება და თუ ეს მართალია, მაშინ რა ჯუყოთ ნუღარ იქნება ჩვენი პატრონი ეს რუსის ხელმწიფეო.

ამნაირად ბევრი რამ იყო ჩვენი სოფლელებისათვის უცნობი და გაუგებარი.

იმ ხანებში არჩევნები გამოაცხადეს, ყველანი დაბარებულები იყვნენ სოფლის კანცელარიაში.

ახლო მახლო მეზობლები მოადგნენ ჩვენ ღობეს: "ერთი მობრძანდით აქეთ, გვინდა შეგეკითხოთ, ვის ან რას უნდა მივცეთ ჩვენი კენჭი"ო.

მაშინ ს. დემოკრატებს და ფედერალისტებს ბლოკი ჰქონდათ შეკრული, მათი მოპირდაპირე კი ახლა დაარსებული ეროვნული დემოკრატიული პარტია.

"ეს სოციალისტები ვინ არიან, ან რა უნდათ"ო.

აბა რას ვეტყოდი კახელ კაცს, თუ არა იმას, რომ სოციალისტებს უნდათ კერძო საკუთრება ნელ-ნელა მოსპონ და იმის მაგივრად საერთო საკუთრება დაამყარონ. რომ ყველანი და ყველაფერი საერთო ჯამში მოთავსდნენ.

ჩემთან ლაპარაკი ამ ჩემმა მეზობლებმა იმით გაათავეს, რომ ზოგი ბუტბუტით მიდიოდა "შვილოსან, თუ არ მეცოდინება, რომ ჩემი ნაშრომი ჩემ შვილზედ გადავა, ამ ჩემ ვენახს ღრმად არ დაებარაე და თოხსაც არ გავაკარებ"ო მეორე კი მუქარით მიდიოდა "სოციალისტებს ეს საქმე უნდა ჩაუშალოთ"ო.

აღმოჩნდა, რომ ამ არჩევაში მხოლოდ სამოცმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, ამათში მხოლოდ რვა კაცს მიუცია ხმა ბლოკისათვის, დანარჩენებს საკუთრების დამცველ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის.

ამ უკანასკნელს, რომ ხალხი ჰყოლოდა, ალბად პარლამენტში ათიოდე დეპუტატი კი არა, არამედ ბევრად უფრო მეტი შეეძლო წარეგზინა.

ან კი როგორ შეებრძოლებოდა ძველ ს. დემოკრატიულ პარტიას, რომელიც 1903 წლიდან პრაზმავდა ხალხს. თავის პარ-

ტიის ორგანოს რუსეთის ს. დემოკრატიის სახელს აწერდა და ამით იყო წელგამაგრულები როგორც პოლიტიკურად ისე მატერიალურად.

ამის და მიუხედავად ეროვნული მიმართულების პარტია სწრაფად იზრდებოდა და არ იყო მოულოდნელი, რომ დასცლოდა, ორ სამ წელიწადში საქართველოს სადაველებს ხელში ის აიღებდა.

ამაზედ აქ ემიგრაციაში, კერძო საუბარში განსვენებული გრიშა ურატაძე, ს. დემოკრატიულ პარტიის ერთერთი ლიდერთაგანი დამეთანხმა.

ამ პარტიაზედ კი ელაპარაკობ, მაგრამ მის სულის ჩამდგმელზედ არაფერს ვამბობ, ამ დროს ე ი. 1917-18 წლებში სპირიდონი სად იყო, ან რას აკეთებდა.

სპირიდონის გიორგი მაჩაბელთან შეხვედრა შვეიცარიაში

გავიგე, რომ 1917 წ. ოქტომბერში ის გაემგზავრა რუსეთში, სახელდობრივ პეტერბურგში, მხოლოდ რა მიზნით, არავინ იცოდა.

რა დღესაც სპირდონი ჩავიდა პეტერბურგში, სადგურზედ ისმოდა ზარბაზნების სროლა, სწორედ იმ დღეს ბოლშევიკებმა დროებითი მთავრობა კერენსკის თავმჯდომარეობით ჩამოაგდეს და თვითონ გახდნენ იმ დღიდან რუსეთის ბატონ-პატრონები.

სპირიდონის ჩასვლა პეტერბურნგში ადგილობრივ ქართველებისათვის იყო მოულოდნელი და გაუგებარი.

რა უცნაური ადამიანია ეს კედია, აი ზის აქ ოტელში და არავინ იცის, რა უნდა, ან რას აკეთებს. თვითონ არაფერს ლაპარაკობს"ო.

სპირიდონი იმ დროს ზრუნავდა, როგორმე საზღვარზედ გადასულიყო, რომ შვეიცაში გიორგი მაჩაბელს შეხვედროდა არა დროს გასატარებლად, ადვილი არ იყო იმ ჟამად ამის მოგვარება და იცდიდა თითქმის ერთი თვე თავის ოტელში.

როგორც იყო, მიაგნო ერთ დიდ მდგომარეობის მქონეს, ეს იყო აბელ ენუქიძე, რომელიც ჩიოდა თურმე, აბა რა ჩემი საქმეა პოლიტიკა, მაგრამ ჩამაბეს, არ მიშვებენ, მე მერჩივნა ჩემ ქვეყანაში დამშიდებულად მეცხოვრაო.

სპირიდონმა ეს ენუქიძე დაუკერა, რომ გაზეთისათვის სჭირდება საბეჭდი მანქანა, უნდა შეიძინოს შვეიცაში და ძალიანაც ეჩქარება, მალე უნდა დაბრუნდეს თბილისში. აი მამაშენმა, შეილო ტყუილი სთქვა.

ენუქიძემ მისცა საჭირო მოწმობა და სპირიდონი იოლად გასცილდა რუსეთის საზღვარს, შვეიცაში მას ელოდებოდა გიორგი მაჩაბელი. როგორი იყო მათი თათბირი, არ ვიცი.

ამის შემდეგ იმავე გზით სპირიდონი გამობრუნდა, მაგრამ შვეიციდან საზღვარზედ გადმოსვლა ძნელი იყო, დარჩა შვეიცაში, მისი ლოდინი გრძელდებოდა, ამ ამბავში ფული შემოაკლდა, ორი კვირის

განმალობაში ცივ ოთახში გაატარა, სადაც პატარა ლუმელი საშინელ სუნს აყენებდა და ამასთან უჭმელობა, ხიშტილი ერთად თავს ატკივებდა და დასჩემდა თურმე გულის რევაც.

ბოლოს გარდასწყვიტა გიორგისათვის თავისი ამბავი დეპეშით ეცნობებინა, ის მაშინათვე გამოეხმაურა.

როგორც იყო, შესაძლებელი გახდა საზღვარზედ გადმოსვლა და პეტერბურგში ჩასვლა. იქიდანაც ძნელი იყო ადგილიდან დაძვრა, მაგრამ ქართველების ერთმა ჯგუფმა გარდასწყვიტა საქართველოში დაბრუნება.

უკანასკნელი მატარებელი, რომელიც მიდიოდა კავკასიისაკენ, აიღეს აკაკი ხოშტარიამ თავისი ცოლით, ზურაბ ავალიშვილმა, ქორქიამ, სპირიდონმა, ერთმა ჟურნალისტმა ქალმა, სხვების გვარი ალარ მახსოვს.

ეს მოგზაურობა, რომელიც კინალამ ამ ჯგუფის დახერეტით არ გათავდა, აღწერი აქვს ზურაბ ავალიშვილს თავის წიგნში "საქართველოს დამოუკიდებლობა".

ამათ წინ ამავე გზაზედ იმ მოკლე ხანში დახერიტეს რუსებმა სამოცი კაცი. "თქვენ რეაქციონერები ხართ, იარაღი მიგაქვთ კავკასიაში"ო.

ამ ჩვენ ქართველებსაც იგივე დასწამეს, ამათ ვაგონს შემოერტყა ყაზახების რაზმი: თათბირი გაუმართნიათ, რა სჯობია, ამაღამ დაეხერიტოთ ეს ხალხი თუ დილაზედ გავიყვანოთო.

მათი ლაპარაკი ესმოდათ ვაგონში ენაჩავარდნილებს. საშინელების მოლოდინში ქალები თურმე ჩუმად ქვითინებდნენ. საბედნიეროდ ამ სადგურ არმავირის ბუფეტის პატრონი განსვენებულ ხოშტარიას ნაცნობი აღმოჩნდა, რომელიც ადგილობრივ ახალ "ზეკაცებ"-ს კარგად იცნობდა.

ხოშტარიას დოლათიანად გახსნილმა ჯიბემ გასჭრა, ჯოჯოხეთი გაარღვია და მეორე დილით, როდესაც ჩვენი მგზავრები დასახერეტად მიჰყავდათ, იმ დროს ყველას მოულოდნელად სასწაული მოხდა... თოფი არ გავარდა და ხალხმა შველა იგრძნო.

ნეტა ვიცოდე, ხოშტარიამ იმ ღამეს როგორ მოახერხა ამ წყეულ ვაგონიდან გამოსვლა და დაკავშირება ამ ბუფეტის პატრონთან.

არც ის ვიცი, ეს სამშვიდობოს გასულნი რა საშუალებით მივიდნენ კურორტ პიატიგორსკში, სადაც უზეიმნიათ თავიანთი საქორწილო მოსვლა.

იქვეა გადაღებული ამ ჯგუფის სურათი. ერთი მისი ცალი განსვენებულ კობა ხოჭოლავას ოჯახში, აქა ენახე.

მთელი ეს ეპიზოდი დაწერილებით ზურაბ ავალიშვილის წიგნშია გადმოცემული "საქართველოს დამოუკიდებლობა"-ში. როგორც ზემოდ აღვნიშნე ამის შემდეგ სპირიდონი თბილისში დიდხანს არ დარჩენილა. მალე ბერლინში უნდა წასულიყო. ეს იყო ბრესტ-ლიტოვსკის კონგრესის შემდეგ.

ამ კონგრესზედ ჩვენი წარმომადგენელი სამწუხაროდ არ იყო, ამიტომ დამარცხებულმა რუსეთმა იოლად დაუთმო თურქეთს საქართველოს სხეულის ზოგიერთი ნაწილი.

გერმანიაში მომუშავე დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი, გიორგი მაჩაბელი არა სცნეს საქართველოს წარმომადგენელად, ამიტომ გერმანელებმა მოითხოვეს, საქართველოდან გამოეგზავნათ სრულუფლებიანი წარმომადგენელი, აღჭურვილი ქართველი ერის ნდობით.

ასეთ პიროვნებად მიჩნეული იყო სპირიდონ კედია, ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელის მანდატით ევროპაში წასასვლელად პოლიტიკური მისიით.

ბერლინში მას დახვდნენ მისაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი, რომელთანაც ის უკვე წინა წლებიდან იყო დაკავშირებული პოლიტიკურად. იქ სპირიდონი წარუდგა გერმანიის მთავრობას როგორც საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მხოლოდ როდემდე დარჩა ბერლინში, არ ვიცი.

ხელთა მაქვს ისტორიული სურათი გადაღებული ბერლინში 1918 წ. ამ სურათზე არიან ქართველი ტყვეები გერმანიის მიერ რუსეთის ფრონტიდან წამოყვანილნი, აქვე სჩანან ახლადშობილ საქართველოს სახელმწიფოს სრულუფლებიანი მინისტრი აკაკი ჩხენკელი, მასთან მყოფი ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი, გერმანიაში ადგილობრივ დაკავშირებულნი გ. მაჩაბელი თავისი მეულლით, მისაკო წერეთელი, სპირიდონი და სხვანი.

არ ვიცი, როდესაც 2 მაისს საქართველომ თავისუფლად ამოისუნთქა, დაესწრნენ ამ ბედნიერ წუთებს თუ არა, რომელნიც ამ ბედნიერების მოსაპოვებლად თავგანწირვით დიდი ხნიდან მუშაობდნენ, ესენი იყვნენ მისაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, სპირიდონი და სხვანი.

ამ ახლად მოპოებულმა თავისუფლებამ ქართველებს ბევრი საქმიანობა დააკისრა.

როგორც გითხარი 1918 წ. ზაფხული მე კისისხევში გავატარე, სადაც აგვისტოს შუა რიცხვებში ჩვენი განათლების სამინისტროდან დეპეშა მივიღე. მიბარებდნენ საჩქაროდ.

მიუხედი, რომ რაიმე დავალება უნდა მიმელო,[1] სწორე გითხრა, თეო, ეს აზრი არამც თუ არ მახარებდა, არამედ უსიამოვნოდ მრჩებოდა, როდესაც წარმოვიდგენდი საპასუხისმგებლო სამუშაოს; მე ვკმაყოფილდებოდი გაკვეთილებით, ეს მე მიყვარდა, ამას ვერ ავცდებოდი.

იმ ჟამად ე.ი. 1918 წელს საშუალო სასწავლებლების ნაციონალიზაცია უნდა გატარებულიყო. რუსული კლასები თავიანთ პედაგო-

---

1 მაგონდება ჩემი წინაღამის სიზმარი: კლასის კარები გაეღე და ორივე ხელით ედირიჟორობდი..., საერთოდ ჩემი სიზმრები თითქმის ყოველთვის მართლდებოდა.

გებით ნელ-ნელა გაათავებდნენ არსებობას და მათ ნაცვლად ქართველები შეჰქმნიდნენ თავიანთ გიმნაზიას.

აი სწორედ ამიტომ დამიბარეს, რომ მეკისრა პირველ ქალთა გიმნაზიის გამგეობა. გული გამისქდა, ამ წინადადებაზედ უარი ვსთქვი, მაშინ ალექსანდრე მდივანმა, რომელიც იყო განათლების მინისტრის ფედერალისტ გიორგი ლასხიშვილის თანაშემწე, მითხრა: "მაშ დაანებეთ თავი პედაგოგიურ მოღვაწეობას, თუ ასეთ დროს თქვენ შრომას ქართულ საქმეს არ შესწირავთ, მაშინ არა ღირს თქვენი მუშაობა, გაკვეთილებს სხვებიც მისცემენ, ჩვენ გვინდა ამ დახავსებულ რუსულ გიმნაზიაში თქვენ შეხვიდეთ, რომ ქართული იერი მისცეთ და ყველაფერი ჩვენ სასარგებლოდ შესცვალოთ"ო.

ჩემი გამგეობა პირველ ქალთა გიმნაზიაში

ამ პირველ გიმნაზიაში, სადაც მნიშნავდნენ, სწორედ მე იქა ესწავლობდი, გავათავე სწავლა 1906 წ. ეხლა იქ მისვლა უფროსის როლში მეძნელებოდა; პედაგოგიური საბჭოს მეტი ნაწილი ჩემი ყოფილი მასწავლებლები იყვნენ, იქ დამიხვდებოდა ჩემი გამგეც ბოგდანოვიჩის ქალი. პო და ამათ საზოგადოებაში თავს კარგად ვერ ვიგრძნობდი:

გარდა ამისა ამ დიდი საქმისათვის ჩემი თავი არ მეჩვენებოდა მომწიფებულად და მზად.

კოლეგად მეყოლებოდა მიხეილ კონიაშვილი, რომლის ფიზიკის გაკვეთილებს მოწაფეობის დროს სალამოობით ყურადღებით ვისმენდი, თუმცა ამ მე-8 კლასში ისტორიულ დარგზედ ვიყავი.

კარგი ფიზიკოსი იყო და ჩემს გარდა სხვებიც ესწრებოდნენ მის სალამოს ლექციებს.

ერთი სიტყვით ძველი არტელერია დიდის ცოდნით და გამოცდილებით ერთის მხრივ და აქეთ მე, ეფიქრობდი, მალე გაეცრისებოდი.

მომცეს ვადა, იფიქრეთ და თქვენი გადაჭრილი პასუხი დროზედ გაგვაგებინეთო, თან მახალისებდნენ იმ აზრით, რომ იმ შენობაში, სადაც თქვენ მოწაფეობის დროს ქართული ენა აკრძალული და განდევნილი იყო, ეხლა თქვენ ისე გააბატონებთ ქართულს, რომ მეტიც ალარ დასჭირდება ჩვენ ახალ თაობასო.

იქვე გამაცნეს მიხეილ კონიაშვილი, როდესაც მიველი და ჩემი დადებითი პასუხი მიეცი სამინისტროში. როგორც იყო დავთანხმდი.

კონიაშვილმა დიდის კმაყოფილებით ჩამომართვა ხელი და მითხრა:

"დიდი მოხარული ვარ, რომ ჩემთან ერთად იმუშაებთ"ო

დანიშნულ დღეს უნდა გიმნაზიაში მივსულიყავი, რომ ეს საქმე ჩამებარებინა. სამინისტროს ტალანში ქართველი მასწავლებლები, ჯერს ელოდებოდნენ, ისინი მისულნი იყვნენ თხოვნით, რომელიმე გიმნაზიაში ადგილი მიეღოთ. ეს უფრო ბუნებრივი იყო ვიდრე ჩემი ასე მოულოდნელი მდგომარეობა!.

პირველ დღეს რომ მიველდი, პედაგოგიური საბჭო მთლიანად დამიხვდა კანცელარიის გვერდით ერთ დიდ ოთახში.

მათი ნახვა და გოგოლის "რევიზორი"-ს სურათის თვალწინ გადაშლა ერთი იყო, ესენიც, ისევე როგორც გოგოლის ძველი ჩინის მატარებელნი, გაფითრებულნი მოელოდნენ თავიანთ ბედის გარდაწყვეტას, რა თვალზედ ვნახავდი, ან ისინი როგორ მიმიღებდნენ, ეს რამოდენიმე წუთში გამოჩნდებოდა

ამ წრეში ჩემი ნაცნობნი ბევრნი აღმოჩნდნენ, რომელთაც მივესალმე, აქ იყო ილინსკი ცნობილი ლიტერატორი, შანსაზაროვი ისტორიკოსი და სხვები, ჩემი ყოფილი გამგე ოლგა ბაგდანოვიჩი ყოველთვის სუსტი აგებულობისა, იმ ჟამად კიდევ უფრო გაფითრებული, მომეგება როგორც თავის ყოფილ მოწაფეს, მომგონა კიდეც ზოგიერთი ჩემი კლასის მეგობრები და საერთოდ ყველაზედ უკეთ ეს ადამიანი დამიხვდა, დანარჩენებს სახეზედ სიმწარე ემჩნეოდათ, სრულიად ჩემთვის გასაგებიც იყო ეს ამბავი.

იმ დღეს რა მეცვა, ჩემო საყვარელო გოგო, გინდა იცოდე? თეთრი კაბა, თავზედაც თეთრი ქუდი მეხურა, ასე რომ როდესაც კონიაშვილმა ჩემი თავი წარუდგინა, იქ დამსწრეთ "Вот наша новая начальница"-ო, უფრო შესაფერისი იქნებოდა ჩემს ადგილას ხანში შესული ქალი, შავებში ჩაცმული რომელსაც თავზედ უფრო "ჩეპჩიკი" ესურებოდა, და არა ის ლამაზი თეთრი გაზის ქუდი, რომელიც იმ დღეს მეხურა.

ჩემი იქ მისვლა ნამდვილი რევოლუცია იყო, რუსის მასწავლებლები შეფიქრიანებულნი თურმე ამას ამბობდნენ: "ეს ახალი გამგე კარგია, მაგრამ როგორც გავიგეთ, დიდი შოვინისტი ყოფილა და ჩვენ არ გაგვახარებს"-ო.

კონიაშვილმა დამათვალიერებინა გიმნაზიის მთელი შენობა, რომ შესაფერისი ოთახები ამერჩია ქართული განყოფილებისათვის, ე. ი. ოთხი კლასისათვის, ჩემი საქმიანობა დაიწყო იმით, რომ უნდა მიმელო ახლად დანიშნული მასწავლებლობა, რომელთა მეტი წილი პროვინციებიდან იყო გადმოყვანილი.

უნდა გითხრა, თეონი, რომ ამათთან მუშაობა ადვილი არ იყო, რადგან დიდი დისციპლინის მომთხოვნი როგორც კონიაშვილი ისე მეც, ხშირად მათ წინააღმდეგობას ვეჯახებოდით.

ამის მაგალითებს შემდეგ გიაბობ, ეხლა მინდა გაგაცნო ის ბავშვები, რომლებიც შემოდიოდნენ ამ ახალ ქართულ გიმნაზიაში. ე. ი. პირველ ქალთა გიმნაზიაში ჯერ მშობლები გულგახეთქილები მეკითხებოდნენ: "გენაცვა, ერთი ეს გაგვაგებინეთ, რუსულსაც ხომ ასწავლით, მარტო ქართული აბა რა იქნება"-ო.

ბავშვების მეტმა წილმა ქართული არ იცოდა ან და ძალიან სუსტად. ზოგი მათგანი რუსეთიდან იყო ჩამოსული. ზოგი ბაქოდან მოდიოდა რუსულ სასწავლებელში ნამყოფი. ძნელი იყო მათი მონათვლა და თვითონაც ხომ დიდი შრომა დასჭირდებოდათ, რომ თავიანთი მშობლიური ენა ამოედგათ.

მოვთხოვე ამ კლასებში ქართული ენის მასწავლებელთ, თვეში ერთხელ ერთგვარი ლიტერატურული დილა მოეწყოთ კლასშივე; ლექსები, მოთხრობები ეს ყველაფერი ზეპირად ამასთან ქართული სიმღერები. ერთი სიტყვით, რასაც ერთ თვეში ეს გარუსებული ბავშვები დასძლევდნენ, რომ ჩემთვის ეჩვენებინათ.

ამას კარგი შედეგი ჰქონდა, მასწავლებელიც იძულებული იყო ენერგიულად ემუშავნა და ბავშვები ხომ გახალისებულნი ელოდებოდნენ ამ მათთვის გამოცდის დღეს.

გაკვეთილების შემდეგ მასწავლებლები ჩემს კაბინეტში იკრიბებოდნენ და აქ აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა პროგრამისა თუ მის განხორციელებაზედ, მეთოდებზედაც ბევრი სხვა და სხვა აზრი ერთი მეორეს სცილდა და ამნაირად მუშაობას კარგი პირი უჩანდა.

ერთი რუსული განყოფილების ძველი მასწავლებელი მეუბნებოდა: "После уроков устраиваете у себя учительский институт, уж много у вас работы"

ის აშკარად ჰხედავდა, რომ ჩვენ ახალგაზრდა მასწავლებლებს ბევრი რამა ჰქონდა სასწავლებელი.

ვისმენდი მათ გაკვეთილებს და ჩემს აზრს ვუზიარებდი.

ზოგი მათგანი ძალიან იყო მოწადინებული და ხშირად მეტყოდა "აბა ეხლა მობრძანდით, ყური დაუგდეთ ჩემს გაკვეთილს, თქვენი რჩევა სასარგებლო აღმოჩნდაო". ეს იყო ირინე ჭავჭავაძე, რომელიც გეოგრაფიას ასწავლიდა.

ვთხოვდი, ამ ახალგაზრდებს მოესმინათ იქვე რუსულ განყოფილებაში ცნობილ პედაგოგების გაკვეთილები, მაგრამ ამას რატომღაც ერიდებოდნენ

ვებრძოდი მათ დაგვიანებას და რასაკვირველია, მოწაფეებსაც სასტიკად ვთხოვდი გიმნაზიაში დროზედ მოსულიყვნენ. ეს ავადმყოფობა, ე. ი. დაგვიანება ხშირი იყო. ვერ მივაღწიეთ ზარის დარეკვის შემდეგ კიბეზედ დაგვიანებულთა კანტიკუნტი ამოსულა არა ყოფილიყო.

ბოლოს მე და კონიაშვილმა გარდაწყვიტეთ ჯერ დაგვიანებულ მოწაფის უკან გაბრუნება და ბოლოს კი ზარის დარეკვის შემდეგ შემოსასვლელ კარების დაკეტვა.

ამ ერთერთ სასტიკის ზომის მსხვერპლი გახდა ჩვენი პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ასული ატია, რომელიც გიმნაზიასთან ორ ნაბიჯზედ ცხოვრობდა, ჟორდანიას მეულლეს . განათლების სამინისტროში ტელეფონი დაურეკნია და უჩივლია, რომ ასეთი უცნაური წესებია შემოღებული პირველ ქალთა გიმნაზიაშიო!

სამინისტრო ჩვენ შეგვეკითხა, ამის შესახებ ჩვენ წერილით გაეაგებინეთ, რომ მე და კონიაშვილი გადავდგებით, თუ არ მოგვცემს საშუალება, გიმნაზიაში ის წესები დავამყაროთ, რაც საჭიროდ მიგვაჩნია.

სამინისტროში იყო ის აზრი, რომ ყველაზედ უკეთ ჩვენი გიმნაზია მუშაობდა და ამით კიდეც ამაყობდნენ. ჩვენ ჩვენს გემოზედ ვაწარმოებდით მუშაობას და ანგარიშს არავის ვუწევდით.

რუსული განყოფილება არ მაწუხებდა, კარგი დისციპლინა ჰქონდათ და შესვენების დროს კარგი მეთვალყურეობა ჰყავდათ.

კონიაშვილს მაინც ეშინოდა ჩემი გავლენა არა ყოფილიყო შოვინისტური, გარდა ამისა ისიც აფიქრებდა, რომ ორიენ განყოფილების მოვლას მე მარტო ვერ შევძლებდი და დასწყისშივე იფიქრა, მეორე გამგეს, რუსის ქალს დაანიშნინებდა რუსულ განყოფილებისათვის. იმ ქალის გვარი არ მახსოვს, ვიცი, რომ იყო მეგობარი ამ კონიაშვილისა, კარგად მომზადებული და განათლებული.

ერთ პედაგოგიურ საბჭოს კრებაზედ განაცხადა, რომ "მეორე გამგე იქნება დანიშნული რუსული განყოფილებისათვის"ო, სჩანს ამაზედ სამინისტრო დაითანხმა; ამ ამბით რუსები არ იყვნენ მაინც და მაინც აღტაცებულნი. მე მეწეოდნენ, მორიდებით ვეპყრობოდი და კარგად მესმოდა მათ გულში ჩაგუბებული ნაღველი.

ამას ეტყობა აფასებდნენ; ერთ დღეს გიმნაზიაში რომ მივედი, ჩემი კაბინეთი ველარ ვიცანი, მრთულ-მოკაზმული დამხვდრეს. გიმნაზიის ეკლესიის მოსპობის შემდეგ თუ იქ იყო ხალიჩა თუ ტროპიკული მცენარე, ეს ყველაფერი ჩემთან შემოეტანათ.

შესვენების დროს მასწავლებელ პასიუტვეიჩის ასულს ჩაი შემოეკრძალებინა ჩემს კაბინეტში, მაგრამ ამაზედ უარი ვსთქვი და სამასწავლებლო ოთახში ყველასთან ერთად ვსაუზმობდი.

სხვათა შორის. თეო, ეს მასწავლებელი იყო იმ პასიუტვეიჩის ქალი, რომელმაც თელავიდან ჩამოსული ბუნებისმეტყველების გაკვეთილზედ გამამწარა.

ამ მეორე გამგეს დანიშვნა ჩემს გვერდით, მე ძალიან არ მომეწონა, მით უფრო, რომ წინასწარ კონიაშვილმა მე არ გამაფრთხილა, არაფერი მითხრა. კრებაზედ სიჩუმეში ჩავატარე ეს ჩემთვის მოულოდნელი ამბავი, მაგრამ მეორე დღესვე ჩემი მოსაზრება მივწერე სამინისტროს, რომ ორ უფლებიანობა ერთს და იმავე საქმეში უსიამოვნების და შეხლაშემოხლის მეტს ვერაფითარ კარგ ნაყოფს ვერ მოგვცემს, გარდა ამისა, რომ ეროვნული თვალსაზრითაც ეს იქნება ჩვენი დიდი დამცირება; გამოდის ისე, რომ ჩვენ საქმეს მარტონი ვერ ეუძღვებით და ისევ რუსებსა ვთხოვთ დახმარებას, მოდით გვეშველეთო.

დაახლოებით ასე იყო დაწერილი წერილი, რომელსაც იმით ვათავებდი, რომ ამ შემთხვევაში ჩემს თანამდებობას ვტოვებდი და უარს ვაცხადებდი თანამშრომლობაზედ და მოვითხოვდი ჩემ განთავისუფლებას და გადადგომას..

ჩემ წერილს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია; მაშინდელი მინისტრის კაბინეტის დირექტორი, როგორც მახსოვს, მგონი ბერძენიშვილი იყო, იმას გამოუტანია წერილი ამ სიტყვებით; "აი ნამდვილი მამულიშვილის წერილიო" და სხვებისათვისაც წაუკითხავს.

კონიაშვილს უარი უთხრეს თავის კანდიდატზედ, კრებაზედ აღელვებულმა გამოაცხადა, რომ ძველი მდგომარეობა რჩებოდა. მე გვერდზედ ვუყევი, საშინლად ღელავდა, მასწავლებლობა სულგანაბული იყო. კრების შემდეგ მინდოდა გამოლაპარაკება, მაგრამ ამის საშუალება არ მომცა, მიდიოდა მარდის ნაბიჯით და რომ დავეწიე მითხრა "я буду дворником, но здесь я не останусь". გადადგომის ქალალდი იმასაც შეუტანია, მაგრამ ორივენი დაერჩით. იმ საღამოს მოვკარი ყური: "нашла коса на камень".

დარჩა კონიაშვილი ამ თავის მარცხის შემდეგ, დილით ხელს კი ჩამოვართმევდით ერთმანეთს, მაგრამ ამით თავდებოდა ჩვენი თანამშრომლობა.

იფიქრა, დავიცდი, იქნება რაიმე შეცდომა ჩაიდინოს როგორც ადმინისტრატორმა ამ ჩიჯავაძის ქალმაო, და მაშინ ვიქნები გამართლებულიო.

დილით ყველაზედ ადრე გიმნაზიაში მე ვიყავი მისული. ის სამი სართული, უფროსი დარაჯის თანხლებით უნდა დამეთვალიერებინა, შემდეგ მიმელო მოწაფენი, ყველას ვიღებდი კიბის ასასვლელში ისევე როგორც დიასახლისი უხედება თავის დაპატიჟებულ სტუმრებს. ზარი რომ დაირეკებოდა, თუ რომელიმე კლასი უმასწავლებლოდ აღმოჩნდებოდა, მე შევდიოდი და გაკვეთილის მასალას მე ჩავიბარებდი. შესვენებაზედ კი მორიგე მასწავლებელს დაუხედავდი, ერთი სიტყვით კაბინეთი კი მჭონდა, მაგრამ გაკვეთილების დროს იმით ცოტას ვსარგებლობდი.

მშობლების მილება დანიშნული მქონდა კვირაში მგონი ორჯერ დანარჩენ დროს სულ ბავშვების მიდამოებში ვტრიალებდი. კვირაში ექვსი საათი გაკვეთილები უნდა მიმეცა, მაშასადამე დღეში ერთი საათი.

გაკვეთილების შემდეგ, წასვლის წინ მთელი კლასები ჩემ წინ ჩაივლიდნენ და სალამს მომცემდნენ. ასე ვაცილებდი ამ რვაას სტუმარს. ნელნელა კარგი დისციპლინა დამყარდა ჩვენს შენობაში.

გავიდა დრო, ერთ დღეს, როდესაც გაკვეთილების შემდეგ ჩემს კაბინეტში ვიყავი, ვიღაცამ კარები დამიკაკუნა, ეს იყო კონიაშვილი, გამიკვირდა, გაოცებულმა შევხედე, ხელი ჩამომართვა და მითხრა; "ბედნიერი ვარ, რომ შევცდი, თქვენი მუშაობა უნაკლულოაო, თუ ამ ორ განყოფილებაში ასეთი ჰარმონია სუფევს, თქვენი დიდი ტაქტის წყალობააო".

მართლაც, იმ სამი წლის განმავლობაში რუსის ელემენტთან არავითარი გაუგებრობა და უსიამოვნება არა მქონია, ამიტომ იყო, როდესაც 1922 წელს წამოვედი, გამოთხოვებისას შინაარსიანი კარგი სიტყვები სწორედ რუსებმა მითხრეს, უმთავრესად დამრჩა ვოლკოვის

სიტყვა დიდის გრძნობით ნათქვამი. ეს ეოლკოვი იყო ლიტერატურის მასწავლებელი უფროს კლასებში.

ქართული ენა ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა: მოვიდოდნენ ერთგვარი გამოფენა დიდის მასშტაბით მომეწყო ყველა კლასების მონაწილეობით.

მოწაფე ტურიაშვილმა, რომელიც ნიჭიერი იყო და ქართულ ენაშიც ძლიერი, დაამწერა: "ბედნიერების ყვავილი". პიესა, რომლის შინაარსი კარგად არ მახსოვს, ამაში მე მოუთავსე ბევრი ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან ზნეჩვეულების სურათები, როგორც მაგალითად "დიდებაზედ სიარული", "ლაზარობა" და სხვა.

ბაშვების გუნდი ასრულებდა ჩვენ ხალხურ სიმღერებს, ბევრი ვიწვალეთ და საბოლოოდ კარგი გამოვიდა, იმდენად კარგი, რომ ისტორიკოსმა დიტო უზნაძემ, რომელიც სხვებთან ერთად ამ დილას დაესწრო, დიდი მადლობა მითხრა; "მე წარმოდგენაც არა მქონდა ზოგიერთ ჩვენი ხალხის ზნეჩვეულებაზედ და მადლობელი ვარ, რომ თქვენმა ბაშვებმა ასეთი ხელოვნებით გადაგვიშალეს ეს ჩვენთვის ძვირფასი მარგალიტები"ო.

კონიაშვილი მიცანცარებდა ხელს და თან მეუბნებოდა რუსულად, რადგან ეს უფრო ეხერხებოდა; "Я даже не смею о лучшем мечтать".

რუსული განყოფილებიდან რაიმე იერიში, ან ჩემი განზრახვა თვალსაჩინო იმ სამი წლის განმავლობაში არ ყოფილა, მაგრამ შიგნით დაგუბებული მძულვარება საქართველოს მთავრობის მიმართ, დროს ელოდდა, რომ გამოაშკარავებულიყო.

როდესაც ადერბეიჯანი ბოლშევიკებმა აიღეს და ბაქო დაიჭირეს, ერთერთმა უფროსმა რუსული განყოფილების კლასმა მოინდომა ამისი ზეიმი გიმნაზიის შენობაში გაემართა.

დილით რომ მიველი და შენობას ჩვეულებრივად ვათვალიერებდი, ერთი რუსული განყოფილების კლასი. მგონი ეს იყო მეშვიდე კლასი, დიდი მორთულ-მოკაზმული ყვავილებით დამიხვდა. თითქმის მთელი კედლები საესე იყო ამ ვარდებით. უფრო წითელი ფერი სჭარბობდა. ეს ყველაფერი თვალში მეცა.

შევხედე უფროს დარაჯს, ვასილის, მივიღე შთაბეჭდილება, რომ ისიც თითქოს გაოცებული უყურებდა მორთულ კედლებს.

მე მას არაფერი ვკუთხარი და პატარა ხანს შემდეგ ჩემს კაბინეთში დაბარებული ამ კლასის დამრიგებელი პოლონელის ქერივი გაფითრებული, მაგრამ დამშვიდებული კილოთი მარწმუნებდა, რომ მისი მოწაფენი ფიქრობდნენ ამით პირველი მაისის დღესასწაული აღენიშნათ და რომ სხვა განზრახვები მათ არა ჰქონიათ.

ამაზედ ცოტა მშრალად ვუპასუხე, რომ 17-18 წლის ქალებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ აპრილის დასწყისში პირველ მაისს არავინ დღესასწაულობს, შეუძლებელია ასეთი შეცდომა და გაფრთხილებთ, თუ ამის მსგავს რაიმეს კიდევ ჩაიდენენ, მაშინ მართლა ცუდი პირველი მაისი გაუთენდებათ, გადაეცით ჩემი დიდი უკმაყო-

ფილება მთელ კლასს; ამით გავათავე მასთან ლაპარაკი; ვინ იცის, იქნებ, ისიც მონაწილე იყო ამ ზეიმისა.

რასაკვირველია, კლასში მოწაფეთა შესვლამდე მთელი სამკაულები კედლებიდან სასწრაფოდ იყო მოხსნილი, ასე რომ მისი ავტორები გამწარებულნი შევიდოდნენ გაკვეთილზედ.

მე პირადად მათ არც გამოველაპარაკე და არც ახსნა-განმარტება მოვითხოვე; რუსების პროტესტი ჩვენ წინააღმდეგ ამით გათავდა, სხვა რაიმე ამის მსგავსი იმ სამი წლის განმავლობაში ჩემ და კონიაშვილის იქ ყოფნისას, მე არ მახსოვს.

ეხლა მინდა გიამბო, ჩემო თეონი, როგორ იზეიმა საქართველომ 1919 წ 26 მაისის დღესასწაული. ეი. ჩვენი დამოუკიდებლობის წლის თავი.

დიდი მზადება იყო ამ დღისათვის საერთოდ მთელ საქართველოში და, რასაკვირველია, ამაში მოზარდის თაობის მონაწილეობა იყო საჭირო.

პირველ ეკათა გიმნაზიის დირექტორთან, ლულაძესთან საამისოდ დანიშნული იყო კრებები. რა წესით უნდა დაეწყოთ სწავლა გიმნაზიებს; ყველა თავის სასწავლებელს წინა რიგებში გულისხმობდა, იმას კი არავინ ამბობდა, რა იერი უნდა ჰქონოდათ მოწაფეებს, რომ საზეიმო სანახაობა ყოფილიყო.

დანიშნულ საათზედ ჩვენ გიმნაზიის წინ ქუჩაში ვაყენებდით, მხოლოდ, რასკვირველია, ქართულ განყოფილებას უკვე გადიდებულს. ოთხკლასიანი კი არა უკვე ხუთ-კლასიანი იყო იმ დროს ჩვენი სასწავლებელი.

ყველანი თეთრებში მყვანდნენ ჩაცმულნი და ხელში ყვავილების კონა ჰქონდათ დასვენებული. წინ უფროსი კლასის ოთხი მოწაფე მიუძღვოდა ამ მსვლელობას და ერთ მათგანს ეროვნული დროშა ეჭირა ხელში, მე გვერდით მივდევდი, მეც თეთრებში, კონიაშვილი გიმნაზიას უკან მოსდევდა, მთხოვდა, დროშა მე დამეჭირა, მაგრამ მე ვარჩიე მოწაფეს ჰქონოდა, ეს უფრო უკეთესად მივიჩნიე. ლიდა ნი,ბაძეს (მისი ქალიშვილობის გვარი არ ვიცი).

რუსის მასწავლებლები მოსულიყვნენ და მორიდებით შორიდან გვიყურებდნენ.

გავედით შოთა რუსთაველის გამზირზედ და სხვებს შეეუერთდით. წინ მიდიოდა პირველი ეკათა გიმნაზია, შემდეგ ჩვენ და ამბაირად ვაჟების გიმნაზიას ცელიდა ქალებისა, მაშინ სულ ოთხი გიმნაზია იყო. როგორც ქალებისა ისე ვაჟებისა. იყო სხვა სასწავლებლებიც.

ვაჟების გიმნაზიას ამშვენებდა ორკესტრები, რომლებიც სხვადასხვა მარშით იყვნენ გაწვრთნილნი.

პროცესია რომ დაიწყო, ქუჩის ნაპირას იდგა ერთი ყმაწვილი, რომელიც ბეკითად ისწორებდა თავის სათვალეებს. ვილაცამ დაიძახა, "აგერ სპირიდონ კედია"ო.

ქუჩის ორივე მხარე სავსე იყო ხალხით, სახლები შეკუნწულებული მაყურებელთ ველარ იტევდნენ. დიდის ტაშით უხვდებოდნენ

ახალგაზრდობას, გამოჩნდა "თეთრი" გიმნაზია და ამან ხომ დიდი, მხურვალე ტაში მიიღო, როგორც შემდეგ ამბობდნენ, ყველაზედ კარგი სანახაობა თურმე ჩვენი სასწავლებელი ყოფილა.

გვერდით ჩაგვიარა პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ლანდომ შემკულმა მთლად ჩაის ვარდებით, რომელსაც ახლდა ცხენებით საპატიო ყარაული. მათ შორის ქაქუცა.

დღესასწაული დანიშნული იყო ვაკეზედ., მხოლოდ რა პროგრამით, არ ვიცი. ვერც იმას გეტყვი, ვინ დაესწრო. ჩემს მეხსიერებაში ალიბეჭდა მხოლოდ გიორგი ეგნატაშვილის მიერ გაწვრთნილ "შევარდენი"-ს ახალგაზრდობა, რომელიც დაცემულ მინდორზედ თავის სხეულის სიმარჯვეს და მოქნილობას უხვად ჰშლიდა, დიდის ტაშით ვაჯილდოვებდით ყოველ ფიგურას, ზევიდან მაყურებელნი.

ამ დღესასწაულის აღწერა მაშინდელ პრესაში უნდა ინახულო. ფილმიც არის გადაღებული, სადაც თურმე დედაშენი თავის გიმნაზიით მკაფიოდ სჩანს, მე პირადად არ მინახავს ეს ფილმი, რომელიც აჩვენეს ქართულ თეატრის საზაფხულო აუდიტორიაში; იქ კი ვიღაცას დაუძახნია: "აი სონა ჩიჯავაძე"ო. ერთი სიტყვით მე და სპირიდონის სახელი იყო იმ ხანებში ერთად ნახსენები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ დღესასწაულის მეორე დღეს სოც. დემოკრატიული პარტიის ორგანოს მეთაურში წაიკითხეთ: "ჩვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობა არასოდეს არ ყოფილა ფეტიში"ო. კიდევ ბოდიშს იხდიდნენ რუსეთის წინაშე, ამათ ვერაფერმა უშველა. ისტორიამ ეს დამოუკიდებლობა ჩვენი ქვეყნისა ძალის ძალად მისჩარა ამ ხალხს, რომელნიც ამის წინააღმდეგ იყვნენ.

1919 წ. და ჩემი პირადი ცხოვრება

ეხლა მინდა დროებით გიმნაზიის ამბებს თავი დავანებო და შენ, მსახიობ ქალს, ჩემი გულის მაშინდელი საიდუმლოება გაგანდო და არა პოლიტიკა, თუმცა ზოგჯერ ამასაც, ჩემო თოლიაე, სიამოვნებით მისმენ.

ვითომ და რომანი მე და მამაშენისა? ეს სიტყვა, რომანი, სრულებით არ უდგება მე და სპირიდონის ურთიერთობას.

როგორც იცი, მე ის გავიცანი 1914 წელს, როდესაც ის საბოლოოდ საქართველოში ჩამოვიდა, შორიდან კი ვიცნობდი, 1905 წლიდან.

ჩემი პირადი ცხოვრება
(გაგრძელება)

პირველ ხანებში მას ეხედებოდი ოჯახებში. შემდეგ ჩემთან, მაგრამ იშვიათად. უხშირა ჩემთან სიარული უფრო 18–19 წლებში. ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში.

სახლში დაბრუნებულს მინახავს ზოგჯერ დედაჩემთან მოსაუბრედ, რაზედ ლაპარაკობდნენ, არ ვიცი. დედა ალბად კახეთის ცხოვრებას აცნობდა. მხოლოდ ეს მეგრელი კი ჩემს მოლოდინში ზრდილობიანად დედას ყურს ათხოვებდა.

სპირიდონი გულჩახვეული იყო, თავის გრძნობებს ადვილად არ გამოამჟღავნებდა, ამაში ხომ სარ დარწმუნებული.

თურმე ჩემს მიმართ გრძნობა ჰქონდა აკიდებული, მაგრამ ამ გუდის მოხსნას ერიდებოდა, რადგან ჩემი ცხოვრება აფიქრებდა და განა მარტო იმას, ბევრ სხვასაც.

ფიქრობდნენ, რომ ჩემი გონება თუ გრძნობა მოსკოვში იყო დარჩენილი. მაგრამ იმასაც ჰხედავდნენ, რომ ობიექტი არსადა სჩანდა.

ჩემს ნაცნობებს იმ დროს ხომ მთლად ჰყავდათ ჩრდილში გრიშაშვილი და მისი პოეზია, ჩემთვის მოძღვნილი ლექსები, ერთი სიტყვით ეს ყველაფერი დაეწყებას იყო მიცემული.

იმ ხანებში ე.ი. 1917 წელს დანიშნული იყო ეროვნულ–დემოკრატიულ პარტიის მეორე კონფერენცია. საქართველოს ყველა კუთხიდან დელეგაციები თავმოყრილი, თელავიდან ჩამოსულ დელეგაციაში ერია ნინო როსტომაშვილი. აქტიური მომუშავე ამ პარტიაში. ის რასაკვირველია ჩემთან იყო ჩამომხტარი.

ერთ სალამოს აივნიდან დავინახე ნინო სპირიდონის თანხლებით. სალამოს ათი საათი იყო. სპირიდონს ერიდებოდა ამოსვლა, მაგრამ მე გაეუადილე და ეთხოვე, ამოსულიყო.

ჩავებით ლაპარაკში და იმდენად, რომ ძალიან შემოგვიანდა, ამ საათებში ჩემი სახლიდან გასვლა უხერხულად დაინახა და ამასობაში გათენდა კიდეც. არჩილა ბიჭმა რომ დილით სამოვარი შემომიტანა, გაოცებულმა შეჰხედა ჯერ სტუმარს, მერე კი მე და ნინოს კითხვის ნიშნით გვიყურებდა.

სპირიდონი წაიდა მხოლოდ დილის ათ საათზედ.

ამ შეხვედრის დროს არც ერთი წუთით არაფერი მაგრძნობინა, არც თავისი ჩუმი ზრახვები, არც რაიმე ქათინაური და არც სხვა დროს იმას არ წამოსცდენია.

იქნება სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სხვებზედ მეტად ის იპყრობდა ჩემს ყურადღებას. და ნელნელა ვითარდებოდა ის, რასაც სიყვარულს ვეძახით.

მისი თავის დაჭერა, მშვენიერი ლაპარაკი მხიბლავდა, პირველად შემხვდა ქართველი მამაკაცი, რომელიც არ ეცადა თავის მოწონებას. თავის თავზედ ლაპარაკს, რაც უმთავრესია, სხვისა კრიტიკა, ქირდეა მას არ ეხერხებოდა, ამაში ის არა ჰგავდა არც ერთ ჩემთან მოსიარულე ახალგაზრდას.

დედა მეუბნებოდა: "შვილო, ეს კაცი ძალიან მომწონს, ხომ იცი, მინდა, მდიდარზედ გასთხოვდე. ვიცი, რომ ამ კედიას ყელზედ მიბჯენილი გახამებულ საყელოს მეტი არაფერი აბადია, მაგრამ ძალიანა გთხოვ, თუ გითხოვოს, უარი არ უთხრა"ო.

კარგა ხანი გავიდა, რაც მე სპირიდონი აღარ მენახა, რადგან ზედიზედ მოუხდა მას ევროპაში წასვლა.

აი როდესაც თბილისში გავრცელდა ხმა, რომ პეტროგრადიდან წამოსულ ქართველებთან ერთად არმავირში სპირიდონიც დახვრიტეს, ამან საშინლად შემაწუხა და ვიგრძენი, რომ ეს არსება ჩემთვის ძვირფასი იყო; ცხარე ცრემლებით ვტიროდი, რომ ჩემი ძმა ლეწლო შემომესწრო, რომელმაც მანუგეშა, მე ეს არა მკერაო.

შენ წარმოიდგინე, თეო, რომ მართლა და სასწაულით გადარჩენილი სპირიდონი მე არ მინახავს, რადგან მალე მოუხდა გერმანიაში წასვლა. იქიდან რომ დაბრუნდა 1919 წელს სწავლის გათავების შემდეგ საზღვრულოდ წაღვერისკენ ეპირებდი გამგზავრებას.

სწორედ იმ დღეებში სპირიდონი მოვიდა ჩემთან, თერთმეტ საათზედ ადგა და აპირებდა წასვლას, სხვათაშორის შემეკითხა ზაფხულში სად ეპირებდი დასვენებას და რომ გაეგებინე, რომ დღე დღეზედ ეპირებდი წაღერში წასვლას, უცბად დავდა და წასასვლელად ფეხი აღარ აიჩქარა..

დიდი ხნის სირუმის შემდეგ გამაგებინა ჩემ მიმართ გრძნობის ჩანახახი, შემდეგი ეტაპები. რაც უმთავრესია, მისი კითხვა თავისუფალი ვარ თუ არა, მე უპასუხოდ დავტოვე. გატრუნული ვიყავი. ხმა არ ამომილია.

ეს მეორედ შემოალამდა, მაგრამ აღარ მოერიდა დაგეიანებით ჩემი ბინიდან გასვლას, მხოლოდ ეს მითხრა, ამ სალამოს შეშვენის კარგი ლექსი, მაგრამ სამწუხაროდ მე ამისი ნიჭი არა მაქვსო, ხელზედ ამბორით დაეშორდით ერთმანეთს.

ამის შემდეგ მიძნელდებოდა წაღვერში წასვლა. თუმცა საშინლად ვიყავი დაღლილი და საჭირო იყო ჩემთვის სუფთა ჰაერზედ ყოფნა. ახალი ერა მიდგებოდა, ცხოვრება სულ სხვანაირად მეჩვენებოდა. სპირიდონის ლოდინში სახლიდან არ გავდიოდი, არ ვიცოდი რედაქციიდან როდის შესძლებდა ჩემთან მოსვლას.

ერთ სალამოს როდესაც ჩემთან იყო, შემოვიდა თამარა, ელდა მეცა. სპირიდონი მალე წავიდა და მეც მომშორა, წამომცდა კიდეც. "რა კარგია, რომ სპირიდონი წავიდა" ამ სიტყვებით მივმართე თამარას. იმას ეწყინა, რომ სპირიდონი არ დარჩა, მაგრამ ჩემი ნათქვამი როგორ გაიგო, არ ვიცი.

მეორედ კი მოვიდა ჩემთან ნოე ცინცაძე, ჩემი ძველი ნაცნობი. ეხლა უკვე ჩემთან საქმით დაკავშირებული როგორც განათლების მინისტრის თანაშემწე.

ბევრი იტრიალა კარებთან, ბევრი აბრახუნა, მაგრამ კარები არ გაეღო, რადგან მისი შეხვედრა სპირიდონთან არივარგებდა. გარდა ამისა უკანასკნელ შეხვედრისას ცუდი შთაბეჭდილებით დავრჩი.

მისი სიტყვები: "რაც თავადაზნაურულია, უნდა ძირ-ფესვიანად ამოვთხაროთო", ჩემი პასუხი ამაზედ იყო: ე.ი. რაც ქართულია არა?

რამდენად მოსკოვში ჩემთან ერიდებოდა თავის სოციალ-დემოკრატიულ ფორმულებს, იმდენად ეხლა თამამად ამჟღავნებდა თავის აზრებს. როგორც ხედავ არ მოგვასვენეს, სან ვინ მოვიდოდა და სან ვინ.

ჩვენ გარდაწყვიტეთ ეკვარს შემოდგომაზედ დაეწერდით, მანამდე კი ეს არავის ეცოდინებოდა. მაშ ეს ჩვენი ამბავი საიდუმლოდ რჩებოდა თვით ჩვენი მახლობლებისთვისაც.

რამოდენიმე დღეში წაველერისაკენ გავემგზავრე, ისიც კი ვთხოვე სპირიდონს ჩემ სანახავად იქ ნუ ამოვიდოდა.

ჩემ თეო, გიკვირს ალბად, რა იყო მიზეზი, რომ ასე უცნაურად მოვიქეცით. უპირველეს ყოვლისა მერიდებოდა ჩემი ბიძაშვილი თამარასი, რომელსაც სპირიდონი 1905 წლიდან უყვარდა. ჰოდა ეკერეკერობით, მაინც არ მინდოდა იმას ეს უსიამოვნო ამბავი სცოდნოდა.

გარდა ამისა ბევრი სხვა ქალ ვაჟიც ამით აღელდებოდნენ.

წაველერში ჩემი გათხოვების ამბავი არავინ იცოდა, მოსვენებული ვიყავი, მაგრამ მაწუხებდა, რომ სპირიდონი ჩემთან ერთად ვერ სარგებლობდა ამ მთის ჰაერით და ზაფხულს ამ სიცხეში თბილისში ატარებდა.

ერთ დღეს თამარას წერილი მომივიდა, მეკითხებოდა, მართალია თუ არა, რომ ვთხოვდები ნ.ც. არ ვიცი, ვინ გაავრცელა ეს ხმები.

შემხვდა გრიშაშვილიც, რომელიც დიდი ხანი იყო, არ მენახა, ცაცა ამირეჯიბთან ერთად მოვიდა ჩემ პანსიონში.

მთვარიანი ღამე იყო. გარეთ აივანზედ ვისხედით და გრიშაშვილი თავის ლექსებს კითხულობდა, უფრო კი "დამიბრუნდი, შენს იქით გზა არა მაქვს". უცბად შეწყვიტა დეკლამაცია, უნდა ვსთქვა, რომ ეს ლექსი იმ სალამოს ნათქვამი იყო ისეთი დიდი განცდით, რომ ცაცამ კიდეც უთხრა— სოსო ალბად ამ ლექსს მეორედ შენ ასე მშვენივრად ველარ იტყვიო.

ცოტა ხანს ორნი დაერჩით, ისარგებლა პოეტმა და პირდაპირ მკითხა, მართალია, რომ ნოე ცინცაძეზედ სთხოვდები. მერე სირცხვილი არ არის რომ მინისტრზედ სთხოვდები, იცოდე ბებუთით მოგკლამო".

რად მიიჩნია სასირცხოდ მინისტრის ცოლობა, ეს მის თვალში ხდებოდა გრძნობის გარეშე, უფრო ანგარიშით, მაშასადამე ჩემთვის სასირცხო ამბავი.

მე გაოცება ვაჩვენე და დავარწმუნე, რომ ეს ჭორებია, მართლა და ვინ გაავრცელა ეს უცნაურობა, მეწყინა კიდეც, ვიფიქრე, რომ თვითონ ნ.ც. იყო ამის ავტორი.

მაშინ კი გარდაწყვიტე თამარასათვის მეპასუხნა და სიმართლე მიმეწერნა, რომ ნ.ც. კი არა, არამედ სპირიდონზედ ვთხოვდები, იმასაც ეს ჭორი ჰქონდა გაგონილი.

რა ფერადებში შემელებნა ეს ჩემი წერილი, რომ ნაკლები ჭრილობა ამეცილებინა ამ ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანისათვის.

ბევრი ვაწვალე კალამი. ბევრი ქაღალდი და მელანიც შევალიე, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე და თამარას წერილი ვერ გავუგზავნე.

ჩამოველი თუ არა წაღვერიდან, პირდაპირ მიველი თამარას ბინაზედ, მინდოდა მისთვის მეთქვა ის, რაც წერილით ვერ მოვახერხე.

ჯერ ის არ იყო დაბრუნებული სოფლიდან, დამიხვდნენ მისი დები ანეტა და ელენა. ამათ რომ გავაგებინე ჩემი გათხოვების ამბავი და სპირიდონი ვახსენე, უნდა გენახა მათი რეაქცია, უმთავრესად გაინიცადა ეს ამბავი ანეტამ და მწარედ სთქვა, მე ამაში დარწმუნებული ვიყავიო. რასაკვირველია, არც მომილოცეს, არც კეთილი სურვილებით გამომაცილეს.

შემდეგ დებმა გააგებინეს სინამდვილე და სამუდამოდ დავკარგეთ მე და თამარამ ერთმანეთი. ამ გარემოებამ დიდხანს მტანჯა მით უფრო, რომ თამარა ვერ დარწმუნდა იმაში, რომ სპირიდონს იმის მიმართ არავითარი გრძნობა არა ჰქონდა და როდესაც შეამჩნია ზოგიერთი რამ, სამი წლის განმავლობაში თამარასათვის კარები არ შეულია, რომ ტყუილად იმედი არა ჰქონოდა.

ბოლო დრომდე თამარა დარწმუნებული იყო, რომ მე შევუშალე ხელი, თორემ სპირიდონს ის არ ასცდებოდა.

ეხლა ამ ქვეყნად ის აღარ არის, მინდა გავათავო ეს უცნაური ამბავი. მით უმეტეს ჩვენს შორისმდგომი სპირიდონიც განშორდა ამ ქვეყანას ყველასთან მართალი და პატიოსანი, თავის სიცოცხლეში არავის ცოდვა არ დაუდვია, ამიტომ მის სახელს სინათლე სდევს და სამარადისოდ აშუქებს.

ჩვენი პირველი მარცხი

ოქტომბერში, სპირდონს დიდი მარცხი მოუვიდა, მოუხდა მოულოდნელად აფხაზეთში წასვლა, მოდიოდა ჩემთან, რომ გავეფრთხილებინე, გზაში წაქცეულა და ფეხი უტკენია, ჩემს კიბეზედ ძლივს ამოსულა, მაგრამ ისეთი ტკივილები უგრძვნია, რომ უკან გაბრუნებულა და ეტლით მიუსწრია თავის ბინამდე; დაწოლით კი დაწოლილა, მაგრამ ველარ განძრეულა.

მეორე დღეს მომდის ბარათი, მაგებინებს თავის ფათერაკს და მთხოვს, ვინახულო.

ახლა არ გინდა ჩემი მასთან მისვლა, უნდა პირველად მივიდე სპირიდონთან როგორც მახლობელი ადამიანი, ჯერ არავინ იცის ჩვენი ამბავი და უცბად უნდა გავხსნა ეს საიდუმლოება. ის მარტოკა არ მეგულება, მასთან ყოველთვის ვინმე უნდა ყოფილიყო. ამ ყოყმანში ვიყავი, რომ ლელო შემოვიდა, იმას წაღვერიდან რომ ჩამოველი, გავაგებინე ჩემი გარდაწყვეტილება.

ბევრი იცინა, როდესაც გაიგო ჩემი უცნაურობა, რომ არ მინდა სპირიდონთან მისვლა და იქ უცხო ხალხის ნახვა.

"წამოდი, გაგაცილებ, გიყიდი ყურძენს და ჩემს მაგიერად მიუტანეო". აი დავრეკე ზარი, ვარ, რასაკვირველია, უყურძნოდ, მოსამსახურე ქალმა გამიღო კარები და გამიძღვა.

სპირიდონს ამ სახლში ორი ოთახი ეჭირა მშვენიერი ტერასით, რომელიც თბილისს დაჰყურებდა და კარგი სანახაობა იყო იქიდან ალამოს დედაქალაქი.

ერთი ოთახი იყო კაბინეთი ტყავის აეჟით, მეორე კი საწოლი და ამავე დროს მისი სამუშაო ოთახი, სადაც საწოლის გარდა იდგა გრძელი მაგიდა წიგნებით და ქაღალდებით დატვირთული.

კარები რომ დაეკაკუნე. ლელი ეკატარინეძემ გამიღო, შეკრთი, არ მესიამოვნა, მაგრამ იმდენი მორიდება და ზრდილობა გამოიჩინა და ისე ბუნებრიივად შემიძღვა სპირიდონთან, თითქოს ეს ჩემი მისვლა ბუნებრივი იყო და არც გაიოცა.

სპირიდონი, ლოგინში გაშეშებული ფეხით, მოღიმარი სახით შემეგება. მიამბო თავისი ფეხის ამბავი, თუ როგორ გაუხდელდა წინა საღამოს ჩემ კიბეზედ ამოსვლა და ისევ უკან გაბრუნება, მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეეწუხებინე. გესმის თეო, აი რა მორიდებული ადამიანი იყო მამაშენი.

ძალიანა ჰქონდა დაშავებული ფეხი, ექიმის გარდაწყვეტილებით, ერთი თვე მაინც ის რჩება ქვეშაგებში, ესაჭიროებოდა ყოველდღიური მასაჟი და სხვა.

დიასახლისი ყურადღებით არის, მაგრამ მას თავისი საქმე აქვს, ვერ შესძლებს სადილის მიცემას, მეზობელი ქალი ამას კისრულობს. აი მთელი ცნობები, რომელიც სპირიდონისაგან მივიღე.

სპირიდონის დიასახლისი, ემეცის მეუღლე, გამგე იყო "სილამაზის ინსტიტუტისა" ასე რომ მართლა მას მოცალეობა არა ქონდა.

ეს სახლი იყო სულ ზევით ბელინსკის ქუჩის თავში, გუნიბის შესახვევში. სახლი მთლად ევროპიულად მოწყობილი, ჩემ ჭკუაში იმისი სურვილი მაქვს, რომ ერთ დღეს ეწვევი შენს ქვეყანას და ნახავ ყველაფერ იმას, რაც შენ მშობლებს მოგაგონებს და მათ გარემოს გააცნობს.

ემეცის ცოლმა ამ სახლის შენახვა ვერ შესძლო და ვერც მისმა ქალიშვილმა, რომელიც იმ დროს ცეკვას მისდევდა და ერთი ოთახი მწვანე მოკეტით ამისათვის იყო განზრახული.

ეს სახლი იყიდა ვექილმა ზელენსკიმ, მერე კი აღარ ვიცი, ვის დარჩა.

დაუბრუნდები ჩემ დაკოჭლებულ საქმროს ამბავს.

მაშ, თითქმის ერთი თვის განმავლობაში გიმნაზიიდან მოსული, სადილის შემდეგ შევუდგებოდი ბელინსკის აღმართს, რომ სპირიდონისათვის დამეხედნა. მთელი საღამო მასთან ერჩებოდი და ხშირად ჩემს ბინაზედ დაგვიანებით ებრუნებოდი.

ერთ მისვლაზედ შევხვდი კვარაცხელიას და ზინა ალშიბაიას, სწორე გითხრა, არ მესიამოვნა ამ ქალის ნახვა, რადგან წინა ხანებში, მოუყვანია გიმნაზიაში ჩემ სანახავად სპირიდონის დედა, სამეგრელოდან ცოტახნით ჩამოსული. ვერ მაშინ არავინ იცოდა სპირიდონის რომანი, საიდან გაიგო ამ ქალმა, რომ მოინდომა ბებო თეოს ვენახე.

მე გიმნაზიაში ვერა მნახეს, ეხლა უკვე მოვიდა სპირიდონთან, რომ ადგილობრივ ვენახე. მთელი საღამო დარჩა, მაგრამ ჩემი პირიდან ერთი ამოსული სიტყვა იმას არ გაუგია. ბოლოს გამომელაპარაკა; "რა ლამაზი ფეხსაცმელი გაცვიათ"ო.

ერთხელ იქ სპირიდონის და კატოს შევხვდი, ამ სხვა დროს მეტად მგრძნობიერმა ადამიანმა ცივად ჩამომართვა ხელი, მე კი ბუნებრივად შევიჩნიე, მეკოცნა.

ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენი ეკვარის წერაზედ, ბინის საკითხი იყო მაშინ ძნელად მოსაგვარებელი. დამფუძნებელ კრების ყველა წევრი კარგად იყო დაბინაებული, რეკვიზიცია იყო გამეფებული, მხოლოდ ორი კაცი იყო უბინაოდ დარჩენილი ეს იყო კოლა ქარცივაძე და მეორე სპირიდონი, რომელიც პატარა ბინაზედ ვერ დარჩებოდა ოჯახის შექმნის შემდეგ.

რამდენჯერაც მიგვითითეს ბინა, იმდენჯერვე საჭირო იყო, ვილაცა შეგვეწუხებინა, მთლიანად იქ მაცხოვრებელნი ქუჩაში გაგვეყარნა, ან ძალიან შეხუთულები დავრჩენილიყავით იქ გადასვლით.

"ყარაღი ხომ არა ვარ, თავს დაეესხა ხალხს და ქუჩაში ბარგი გადავუყაროო".

სამწუხაროდ ამგვარ შემთხვევებს მაშინ ხშირად ჰქონდა ადგილი. სპირიდონის აზრს მეც სრულიად ვიზიარებდი.

სწორედ იმ საღამოს ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენ ეკვარის წერაზედ, სპირდონი სწუხდა, რომ ეს გვიანდება ბინის გამო, რომლის შოვნა ძნელია. მე ვამშვიდებდი და ისიც კი ვსთქვი, "ბოლოს და ბოლოს პირველ ხანებში იმისი ორი ოთახი ან ჩემი პატარა ბინა ოლგის ქუჩაზედ საკმარისი იქნება და მერე ვნახოთ". და ამაზედ ფიქრი და შეწუხება ეხლა აღარა ღირდა.

ჩემდა სამწუხაროდ ჩემი ნათქვამი საშინლად სწყენია ჩემ ახლად გაცნობილ მულს, იმის აზრით პირველსავე წელიწადს სპირიდონის დედას, თვითონ და ჩვენ ერთად უნდა გვეცხოვრა, იმ დღიდან კატო თვალს ველარ მისწორებდა და ჩემზედ გულაყრილი დარჩა. აი ჩემი მარცხი გათხოვების დასაწყისშივე, ჩემო თეო, სპირიდონი როგორც იყო, ადგა და ეხლა თავის ცოლის შერთვის ამბავს ველარ დამალავდა, რადგან ყოველდღიურად მისი მნახველი მეცა მხედავდა.

იმ ხანებში გაიხსნა ფოსტა, უსახელო წერილები სპირიდონის სახელზედ და ჩემთვისაც საკმარისი იყო, რომ ცუდს გუნებაზედ ეყოფილიყავი. მე მიძაგებდნენ ამ მეგრელს, რომელიც "ჩემი შესაფერისი არ არის, რომ მე სპირიდონი ვერ გამაბედნიერებს" და სხვა.

ერთერთი სპირიდონის გულის შემატკივარი კი მას ურჩევდა "თავი დანებე ამ ჩიჯავაძის ქალს. თუმცა ერთხელა ვნახე, მაგრამ არ არის შენთვის შესაფერისი, კარგი ადამიანი არ უნდა იყოს"ო და სხვა.

დედას მიეწერე, გავაგებინე ჩემი ამბავი და მაშინათვე ჩამოვიდა.

მომილოცა, დამლოცა, მაგრამ შემეკითხა, კედია გლეხკაცი ხომ არ არისო, როდესაც გაეგებინე სპირიდონის ტახტის აზნაურობა, დამშვიდდა, მაგრამ იმას მაინც სიძულ თავადიშვილი ერჩიენა.

ნახა რომ ჯერის წერას არა ეჩქარობდით, რადგან ბინის ძებნაში ვიყავით, გაბრუნდა კისისხევისაკენ, რადგან შემოდგომაზედ სოფელში ბევრი საზრუნავი ჰქონდა.

ვერაფერს გაეხდით, ბინა ჯერ ვიშოვნეთ, მაშინ გარდავწყვიტეთ 25 ნოემბერს ჯვარის დაწერა.

იმ დღეს, რასაკვირველია, ორ საათამდე გიმნაზიაში ვიყავი, სახლში მარტოკამ ვიტრიალე, სარკეში რომ ჩავიხედე, ჩემი თავი შემეცოდა, ბეურიც ვინანე, რომ ასე ობლად ჩავიგდე ჩემი თავი ამ არაჩვეულებრივ დღეს, არავის გავაგებინე და ქურდულად მივედიოდი ეკლესიაში. ვთხოვე ჩემ ძმა ლელოს მეჯვარე ის ყოფილიყო, მეორე ძმა ირაკლის არც კი გავაგებინე, რომელიც ძალიან ნაწყენი დამრჩა.

ასეთი ჩემი შეუღლება ორივეს სურვილი იყო.

პარლამენტიდან სპირიდონი ოთხის ნახევარზედ მოვიდა და ტრამვაით წავედით სიონისაკენ, იქ დაგვიხვდებოდა კალისტრატე ცინცაძე, ქვაშუეთის ეკლესიიდან, ასე მოვისურვე მე, რომ სიონში იმას უნდა ვეკურთხებინე. ქართულ გიმნაზიაში ჩემი კოლეგა იყო და ძალიან მიყვარდა ეს პიროვნება.

სიონში დამიხვდა თაიგულით ალ. ასათიანი. ეს აერჩია სპირიდონს როგორც მეჯვარე.

სიონის მთელი სამღვდელოება იყო თავმოყრილი და მშვენიერი გალობით მისდევდა ღვთის მსახურებას.

ასეთი გალობა მე სხვა დროს არ მომისმენია, თვითონ ეს ძველი ტაძარიც რა მშვენიერი იყო, მართლა და დიდი საიდუმლოების მქონე; ღვთაებრივი.

ამ ჩვენი ჯვრის წერაზედ ერთხელ სპირიდონი ციხიდანა მწერდა, სადაც 25 ნოემბერს ჩვეულებრივზედ უკეთესი საჭმელი მიეუტანე და მივულოცე. ამის სასუხოდ იგონებდა იმ დღეს და თაეის წერილს ამით ათავებდა, რომ იმას სიონში ერჩივნა მხოლოდ ორნი ვყოფილიყავით და არა მოწმეების თანდასწრებით.

მამაშენი, ჩემო თეო, მეტისმეტად ინტიმობის მოტრფიალე იყო, გულჩახეული, თავისი შინაგანი გრძნობები სათუთად მიმალული ჰქონდა და ამ მხრივ ის არ იყო ქართველი, არამედ ქართველ-ევროპიელი.

ჯვრის დაწერის შემდეგ ჩვეულებრივი ქართული სუფრა არ გაშლილა, ეკლესიიდან მოგვაცილეს ლელომა და ასათიანმა, პატარა ხანს შემოვიდნენ და მარტო დამტოვეს, რადგან სპირიდონი და ასათიანი კრებაზედ უნდა წასულიყვნენ და ლელოსაც ეჩქარებოდა.

სპირიდონი ჯერ კიდევ თაეის ბინაზედ იყო, სადაც მას საშინელი დეპეშა ელოდებოდა.

ზუგდიდიდან ატყობინებდნენ, დედის დიდ ავადმყოფობას და ითხოვდნენ მიშველებას. კატოც თბილისში იყო იმ ჟამად და ორივენი უნდა გამგზავრებულიყვნენ ზუგდიდისაკენ.

გიმნაზიიდან რომ დაებრუნდი, სპირიდონი დამიხვდა სახლში საწერ მაგიდასთან მჯდომი, მწერდა რომ დღესვე მიემგზავრება ზუგდიდისაკენ. წავიდა თავის ბინაზედ, მე ვერაფერი ვუთხარი, მაგრამ საშინლად შემაწუხა ამ ამბავმა, ვიცოდი, რომ მწუხარებაში იყო და როგორ განიცდიდა დედის მძიმე ავადმყოფობას.

არა მთხოვა გამეცილებინა, მაგრამ პატარა ხანს უკან მის სახლის კარებთან ვიდექი და მასთან ერთად სადგურზედ წავედით, იქ დაგვიხვდა მისი და კატო. რომ დამხედა ხელზედ და ჯვრის წერის ბეჭედი შეამჩნია, საშინელი ჟყვირილი მორთო, ეჩხუბებოდა სპირიდონს რომ მას არ შეატყობინა: რასაკვირველია ყოველივე მისი შეშოტეცა უპასუხოდ რჩებოდა როგორც იყო, სპირიდონმა დამშვიდებული კილოთი უთხრა: "ესლა გეყოფა, გაათაეე, გაათაეე".

მართლა გაჩუმდა კატო და პატარა ხანს უკან მათ მეც ვაგონში ავყე გასაცილებლად, შევატყვე სპირიდონს, უნდოდა მეც გავყოლოდი, მაგრამ ეს ჩემთვის შეუძლებელი იყო. "ნეტა შენც მოდიოდეო", ეს მითხრა და გაეშორდით ერთმანეთს.

მოულოდნელად ველოდებოდი ავადმყოფის ამბავს და აი არც დაიგვიანა, დეპეშით მწერდა: "მგონი მიწყრება ღმერთი და დედას ვკარგამო".

უნდა გენახე, ჩემო თეო, როგორ შემაწუხა ამ ამბავმა, ეტიროდი ეს პატარძალი ცხარე ცრემლებით, ამ ტირილით მიეედი ლეელოსთან, შევჩივლე ეს მოსალოდნელი უბედურება, უცნაურად ეჩვენებოდათ ჩვენებს ჩემი ასეთი შეწუხება, ადამიანს არ ეიცნობდი, მაგრამ ის ხომ ვიცოდი, რომ სპირიდონი იმის მათყვანებელი იყო და ეს ჩემთვისაც ისეთიე სატანჯველი უნდა ყოფილიყო, როგორც მისთვის. არ ვაჭარბებ, ჩემო შვილო, ასეთი განცდა მქონდა, გადაეწყიტე ათი დღით შეებულება ამელო და ზუგდიდში წავსულიყავი.

ჩემი სამეგრელოში ფასვლა

მეორე დღესვე ლელომ სადგურზედ გამაცილა, ჩემს თანამგზავრებს სთხოვა ჩემთვის ყურადღება, რადგან ასაკალ-დასაკლი არ ეიცოდი ამ მგზავრობისა და ზუგდიდში მისასვლელი გზები.

ერთერთი მათგანი ზუგდიდში მიდიოდა და შეპპირდა ლეელოს, რომ სახლამდე მიმიყვანდა. ის კი გაიგო, რომ სპირიდონის ოჯახში მივდიოდი, მაგრამ როგორც ეინ, ნათესავი, მეგობარი თუ ნაცნობი; როგორც იყო გაიგო სინამეილე და მართლაც დიდი პატივით მამგზავრა.

დილის ექვი საათი იყო, რომ სენაკის სადგურზედ ეიყავით და იქ საჭირო იყო რამოდენიმე საათი დაერჩენილიყავით, ეიდრე კამიონის მსგავსი მანქანა, ზუგდიდისაკენ არ დაიძეროდა.

სადგურის ოთახი ისე იყო ხალხით გატენილი, რომ მართლა და ნემსის ყუნწიც ეერ ჩავარდებოდა, დასაჯდომი ადგილი ხომ სანატრელი იყო.

ჩემი თანამგზავრი ჩამომშორდა, პატარა ხანს უკან კი ამ ხალხის თავებზედ ფრთხილად მოცურავდა სკამი. თურმე ჩემთვის ნაშოვნი და ცოტა ხანში ჩაიც მომიტანეს. საშინლად მციოდა და ეს იყო ჩემთვის დიდი ნობათი ამ მეგრელი კაცისა. ძლივს გავთბი, რომ უნდა მანქანაში გადავსულიყავით.

ცოტა ხანს ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა მოხუცებულმა კაცმა, რომელიც თავის ჩიბუხს დამშვიდებულად აბოლებდა, იჯდა, ეხლა კი, შეიძლებოდა ჯდომა, რადგან ხალხი მანქანისაკენ გაიკრიფა. რა მშვენიერი სახის პატრონი იყო ეს მოხუცებული, გაწყობილი სახე, მშვენიერი თვალწარბი, დროის განმავლობაში ბერის მნახველი და ღრმად დაღარული შუბლი, ერთი სიტყვით მხატვრისათვის კარგი მოდელი. მოვწყდი ამ სურათს და მეც გავედი, საშინელი ქარი იყო. ნოემბერი იწრიტებოდა და დეკემბრის სუსხი სწრაფად ეფინებოდა მიდამოს.

კამიონი ახდილი იყო, თუმცა თბილად ვიყავი ჩაცმული, მაგრამ ამ მწარე ქარს ვერ აიტანდა ჩემი სხეული; ზუგდიდამდის 25 ვერსტია. მთელ ამ მანძილზედ ჩემ წინ ფეხზედ იდგა ეს ჩემი თანამგზავრი, გეგეჭკორი, თავის ნაბადი მოეხსნა და მქონდა წინ აფარებული...

რასაკვირველია, ჩვენი კახელი კაცი თავს ამდენად არ შეიწუხებდა. ეს ჩვენ შორის დარჩეს ჩემო შვილო. მიმიყვანა, ჩემი პატარა ჩემოდანი ეზოში შემოიტანა და გაბრუნდა.

ეზოში ტრიალებდა კატო, თვალი რომ მომკრა ერთი დაიყვირა; "სონა მოვიდა"ო. სპირიდონი მაშინათვე მომეგება აივანზედ და მითხრა; "ოხ, სონა, რა კარგი საქმე გააკეთე, რომ ჩამოხვედიო, მე ვერ გაბედე მომეწერა და მეთხოვნა ჩამოსვლა, დედა ძალიან ცუდათ არის. არ ვიცი, გადარჩება თუ არა" და თვალთცრემლიანი შეიძღვა თავის ოთახსი.

ავადმყოფს გააგებინეს ნელ-ნელა, რომ შეიძლება მე ჩამოვიდე მის სანახავად. უცბად ასეთი ამბავი მისი ავადმყოფი გულისათვის საშიში იყო. ექიმების მისვლა მოსვლა, ნაცნობ მეგობართა ყურადღება არ აკლდა ბებო თეოს, კარგი ადამიანი ყველას მიერ პატივცემული იყო განსვენებული.

როგორც იყო, შემიძღვა სპირიდონი და ჩემი თავი წარუდგინა ტიფით ძლიერ ავადმყოფ დედას.

ბებო თეომ შემომხედა, მაგრამ ვერაფერი ამოვიკითხე მის სახეზედ. მხოლოდ ეს კი მითხრა; "დაგენაცვლოს ჩემი თავი"ო.

შემდეგ მეუბნებოდა, რომ სიცხიანმა მხოლოდ ეს შენიშნა, რომ ლამაზი, მალალი ყელი გქონდაო.

მთელი ის ათი დღე იქ გავატარე. მშვენიერი თბილი დღეები დაიჭირა, გამიკვირდა კიდეც, რომ ასე ხანგრძლივად ლიმონის ხეები ჯერ კიდევ აივანზედა ჰქონდათ.

სპირიდონმა დამანახვა თავისი გაშლილი ეზო და სულ ბოლოს წისქვილი, აი სონა, ეს სულ შენიაო, ერთი სიტყვით მიეჯაშა თავისი მთელი ქონება.

კარგი, მყუდრო ოთხოთახიანი სახლი ჰქონდათ სპირიდონს და მის დას, ფიცრული, მაგრამ მტკიცედ აშენებული, რომელსაც ჰაერი უელიდა და ყოველის მხრიდან, რომ ნესტი არ ყოფილიყო სახლის ქვემოდ ცარიელი ადგილი იყო დატოვებული, სადაც შეშასა ჰყრიდნენ. სამზარეულო ეზოში იყო მოთავსებული.

სპირიდონის ოთახში ჩემი ყურადღება მიიქცია მისმა ბიბლიოთეკამ მოწაფეობის დროს შეძენილი, იქ ნახადი ზოგიერთ წიგნს, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში უფრო იქნებოდა გამოსადეგი.

იმ დღეებში ბევრი მოდიოდა აეადმყოფის სანახავად, მაგრამ ბევრი კი პატარძლის ნახვის სურვილით.

უნდა გითხრა, ჩემო თეო, რომ თუმცა ეს წრე ჩემთვის სრულიად უცხო იყო, მაგრამ ასეთი ზრდილობიანი მოქცევა, ალერსიანი სიტყვა-პასუხი მე ჩვენში არ მინახავს და ამიტომ თავს კარგად ვგრძნობდი, კატო კი მეუბნებოდა; "ამდენი ქათინაური არ დაივიწყო, სონა, ნუ დაივიწყებ, რომ სამეგრელოში ხარ"ო

ოთახში რომ შევდიოდი, დიდი და პატარა ფეხზედ ადგომით მეგებებოდნენ, ეს წესი მოსაწონია, დაეინახე, რომ მეგრელს არ ეზარება ტანის დაძერა, რომ პატივით შეგხვდეს.

ჩემთვის თუ რამე იყო უხერხული, რომ არც ერთი სიტყვა მეგრული მე არ ვიცოდი, გარშემო კი მხოლოდ მეგრული ისმოდა.

არ იქნება ურიგო, ამ ენის პატარპატარა ნიმუშები ქართულ სკოლებში იყოს მიცემული, მაგრამ ამაზედ ხომ ამიყყანდებიან ისინი, ვისაც სამეგრელო არაფრად მიაჩნია და მისი ენა ხომ ვერა და ვერ გაიკვლევს გზას, მერე რა ლამაზია იგი, რბილი, ყურისათვის საამო და ალერსიანი.

ჩემო ძვირფასო სპირიდონ, მიყვარდა შენი მეგრული, ერთი ლექსიც გამოგთხოვე და ზეპირად ვისწავლე, მაგრამ ეხლა ჩემი სახელიც მავიწყდება და მეგრული ლექსი რა სათქმელია: "სკანი გულიაფირო"

მომეწონა იქაური სამზარეულო თავისი საწებელათი, პატარა-პატარა სუნელებით დიასახლისს რომ შემოუნახავს კოლოფებში და შუშებში; ქალი იქ მართლაც ბურჯია ოჯახისათვის.

აღარ ვიცდიდი, სუფრის გაშლას მოუთმენლად ველოდებოდი. გვერდით მედგა ღომში ჩაბუებუეებული სულუგუნი, სუფრაზედ მშვენიერი საციკი, შამფურზედ დაბრაწული გოჭი, ყველაფერი ეს კარგად შეზავებული და სურნელოვანი.

ერთი სიტყვით ძალიან გემრიელი საჭმელი, არკი ვიცი, რამდენად სასარგებლოა, რადგან პილპილს ბლომად ხმარობენ.

ამ ამბავში ჩემი დედამთილი უკეთესობაში იყო. სიცხემ ჩემ იქ ყოფნისას კარგად დაიწია, კმაყოფილი დავტოვე სპირიდონი თავის საყვარელ დედასთან და მე თბილისში გამოვბრუნდი.

ერთი თვის განმავლობაში სპირიდონი არ მოშორებია ავადმყოფს და მის საწოლთან ღამის განმავლობაში კატო და ის სცვლიდნენ ერთმანეთს.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში სპირიდონი ახალი დაბრუნებული იყო, რომ ახალი წლის წინადღით დეპეშით გვაცნობებს, რომ ახლა ფილტვების ანთება დაერთო მოხუცებულის დასუსტებულ სხეულს და საჭიროა ჩვენი იქ მისვლა.

წაველით მაშინათვე, მაგრამ სამტრედიაში მ. გეალიამ შეგვაჩერა ერთი დღით, რადგან ადგილობრივ ერ. დემოკრატიული პარტიის კომიტეტის მიერ მოწვეულ კონფერენციისათვის სოფლებიდან დელეგაციები უკვე ჩამოსულები იყვნენ და სპირიდონის იქ ყოფნა საჭირო აღმოჩნდა.

სპირიდონმა დეპეშით აცნობა კატოს თავის დაგვიანების მიზეზი, საჭირო თანხაც გაუგზავნა, რომ ჩვენ ჩასვლამდე ექიმების კონსილიუმი მოეწყია.

ზუგდიდში რომ მიველით, დედა უკეთ იყო, ძალიან ესიამოვნა ჩემი ნახვა, კრიზისიც მალე, ადვილად აიტანა, სიცხე მთლად გამონელდა, მაგრამ საშინლად იყო დასუსტებული და ექიმების რჩევით მნახველებს ბევრს არ უშვებდნენ მის ოთახში.

ეს ოთახი რომ პირველ ჩამოსვლაზედ ვნახე, გამიოცდა, ნამდვილი კლინიკის ოთახი ეგონებოდა ადამიანს. დიდი მზრუნველობით მოწყობილი, ლამაზი სანახავი ქვეშაგები, იქვე წამლებისათვის მაგიდა ყველაფერი ეს თეთრებში ადამიანს სიამოვნებას პგვრიდა

სამეგრელო ამ მხრივ სამაგალითოა, სისუფთავე ყველგან და ყველაფერში, საერთოდ იქ მეტი კულტურა სჩანს ვიდრე ჩვენში.

ექიმები არაფერს ზოგავდნენ, რომ ბებო თეო გადაერჩინათ და სპირდონი არ დაეობლებინათ, იქ ყველამ იცოდა, რა იშვიათი დედაშვილობა ჰქონდათ ამ ორ შვილს და მათ თაყვანდებულ დედას.

ადრე დაქვრივებულა ეს ლამაზი ქალი და თავის ცხოვრება ამ ქალაყმისათვის შეუწირავს.

სპირდონი, რომელიც ოჯახს მოსცილდა და 1905 წლიდან დედის სანატრელი შეიქმნა და უკანასკნელ დრომდე მისი ცრემლიანი თვალები სპირდონის მოსასვლელ გზას გასცქეროდა, მისი ნახვა ენატრებოდა. საზღვარგარეთიდან ჩამოსული 1914 წ. სპირდონი თბილისში დატრიალდა. ზუგდიდში იშვიათად ახერხებდა წასვლას.

მეორე ჩასვლაზედ, რადგან ბებო თეო უკეთ იყო, ბევრმა დაგვპატიჟა, უნდოდათ ჩემი გაცნობა, მაგრამ ერთ ორ ალაგას ძლივს მოვახერხეთ მისვლა, რადგან მე მალე უნდა დავბრუნებულიყავი გიმნაზიაში, უქმეები თავდებოდა.

მახსოვს ქალაქის თავმა, მგონი ეს იყო ილო დადიანი, კრების შემდეგ, რომელიც მოწვეული იყო სპირდონის დასწრებით, ვახშამი გაგვიმართა. კარგი, სურნელოვანი საჭმელები იყო სუფრაზედ მოტანილი, მაგრამ მე პირი ვერაფერს გავაკარე.

რამდენად ჩვენ ოჯახში პილპილს ზომიერად ხმარობდნენ, იმდენად იქ ისეთი საჭმელებით გაგვიმასპინძლდნენ, რომ ადამიანს პირი დაეფუფუქებოდა. ვიჯექი იმ წვეულებაზედ უფრო როგორც მოწმე, ეს რომ შეამჩნია ილო დადიანმა, საშინლად შეწუხდა: "მოგიკვდათ

ჩემი თაი"ო, ბეერი იძახა, ბოლოს გამონახეს საშველი და მომართვეს ერბოში შემწყარი სულუგუნი.

ჩემო თეო, რომ იცოდე, რა გემრიელია ეს საჭმელი, ეხლავე გაუდგები ზუდგიდის გზას, რომ ადგილობრივ მიირთვა სულუგუნი ამნაირად მომზადებული, მაგრამ ვშიშობ, ამის ნაცვლად იქ ეხლა რუსული ბორშჩი არ დაგიხვედს, რადგან როგორც მითხრეს, თურმე სამეგრელო სავსეა რუსებით.

სასიამოვნოდ მაგონდება სამეგრელო, სამწუხაროდ მალე უნდა დამეტოვებინა იქაურობა; მე ისევე მარტოკამ ვიმოგზაურე თბილისისაკენ. სპირდონი ცოტა ხანს კიდევ დარჩა ზუგდიდში.

დიდი ხანია, ჩემო ძვირფასო შვილო, ეი. თვეებია გასული რაც ჩემ ამბავს ველარ გიამბობ, აღარ მეხერხება წერა, უფრო კი ბოხჩიდან ძველძველების ამოლაგება.

ამ ჟამად მარტო ვარ მე მოპრუწული ოთახში და ვიგონებ ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს.

ეს მგონი 1920 წ. დეკემბერში იყო. რომ სპირდონი პარლამენტიდან ძალიან სუსხიან ამინდში უპალტოდ მომადგა.

კარები რომ გაეღო, გაცებული დარჩი, ვიფიქრე, რომ ცუდად გახდა და ზედმეტი ტანისამოსი ჩამოიცალა, მაგრამ დაღონებულმა შემომხივლა, რომ სასახლეში ერ. დემ. პარტიის ბიუროდან პალტო და ხელთათმანები მომპარესო, ეს იმ დროს, როდესაც ადამიანი ვერაფერს იყიდდა, დიდი თანხაც რომ დადებულიყო, პალტოს კი არა, მგონი ერთ არშინ ქსოვილსაც ვერ იშოვნიდი.

შემდეგ აღმოჩნდა, იმ ბიუროში, იქ მყოფი მხოლოდ ერთი დარაჯი იყო პალტოს ამღები, სხვა არავინ.

სასახლის ადმინისტრაციამ, რასაკვირველია, ის ციხეში ჩასმევინა. გაეიდა დრო, ქურდი ვერ გამოტეხეს, ამიტომ უგეშოდ იყო დაკარგული ეს ლამაზი პარიზული პალტო.

დარჩა მამაშენი უპალტოდ, მოენახეთ მისი ძველი გახუნებული, თხელი ტანსაცმელი, ამაში გაატარა მთელი ზამთარი.

ამ დარაჯის ცოლი ძველად სპირიდონის მოსარეცხე იყო, ისე რომ კარგად იცნობდა თაეის ქმრის მსხვერპლს.

ერთ დღეს მისულა რედაქციაში და სპირდონისათვის შეუჩიენია, რომ აი რამოდენიმე თვეა, რაც მისი ქმარი ციხეშია, უდანაშაულოა, შეიძლება მისი განთავისუფლება პირობით, თუ ათ თუმანს გადაეიხდიო.

სპირიდონმა არ იცოდა, რომ ამდენი ხანი მისი პალტოს ქურდი კიდევ ციხეში იყო, "საშინლად შემეცოდა ეს დედაკაცი, ნუ გაიოცებ, სონა, ეს ათი თუმანი მიეეცი"ო და ძალიანა მთხოვა, "ამას ნურავის ნუ ეტყვი"ო.

ის განთავისუფლებული ქურდი კი უსათუოდ გუნებაში იტყოდა, "ეს რა კარგი გიჟი ეიშოვნე, პალტოც მოეპარე და ფულიც გამოვართვი მის პატრონსა"ო.

წავიდა და წაიდა, სპირდონმა ამ ამბავს ზურგი შეაქცია და ის კაცი თვალითაც აღარ უნახავს და რასაკვირველია, არც თავისი პალტო.

შენ, ჩემო თეო, კარგად იცნობდი მამას, ამიტომ ამ შემთხვევას არ გაიოცებ.

ბევრი მაგალითები მაქვს სპირიდონის ცხოვრებიდან ასეთი უცნაური, არ ეთანხმებოდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი, ბოლომდე ის დარჩა უცვლელი თავისი ამნაირი ხასიათით.

ზაფხული გატარებული ქვიშხეთში

მე და სპირიდონმა გარდაეწყვიტეთ, პირველი ზაფხული მთელ ოჯახს ერთად გაგვეტარებინა, ამისათვის ვიქირავეთ ს. ქვიშხეთში ოთხოთახიანი სახლი.

სწავლა რომ გათავდა, თიბათვის გასულს გავემგზავრეთ მე, სპირიდონი და ჩვენი მოსამსახურე უკრაინელი ქალი, კარგი მზარეული. იცოდე, თეო, რომ ის სახლი ცარიელი იყო გარდა საწოლი ხის ტახტებისა, რამოდენიმე მაგიდა და სკამებისა, სხვა არაფერი. მაშ ჩვენ უნდა, ყოველივე სულის ქვეშაგები და სამზარეულოსათვის საჭირო საგნები, იქ წაგველო, რომ დაგვესვენა.

სამწუხაროდ ამ სოფელში, ქებული კარგი, მშრალი პაერით, პანსიონი არ იყო.

ადვილად წარმოიდგენ ჩვენ მოგზაურობას ამ მაფრაშებით და ნაკრაულებით. მაგრამ რომ მიეედით და აივანზედ ფეხი შეედგი, მუსიამოვნა, მთელ სიგრძეზედ იქაურობა მწვანეში იყო გახვეული. ასე რომ ამან ანაზღაურა გზის განმავლობაში ჩემი ნერვიული ყოფნა — საერთოდ ძალიან დაღლილი მიედიოდი, გუნებნაქცევი ვიყავი. ეს ქალისათვის რთული მდგომარეობაა.

მალე შეგვეირთდა ბებო თეო, კატო კი მას არ მოჰყვა, იმან არჩია ზაფხული სხვა ადგილას გაეტარებინა, მისი ოთახი ცარიელი დარჩა. სპირიდონი მალე გაბრუნდა თბილისში, რადგან "საქართველო"ს რედაქცია სიცხეების გამო მთლად დაცარიელდა. ყველამ სოფელს მიაშურა.

მამა ჩვენთან ამოდიოდა მხოლოდ შაბათ-კვირას და თბილისისათვის ორშაბათს დილის მატარებელს იღებდა. სადგურზედ ყოველთვის ვაცილებდი. მიყვარდა ის წერილი ბილიკები რომ სჭრიდა მწვანე მინდვრებს ჭრელჭრელ ყვავილებით ნაქარგს და გალამაზებულს.

ხშირად ვჩერდებოდი და დატვირთული ხელებით ვბრუნდებოდი სახლში, რომლის აივანი მთლად მწვანეში გახვეული ღიმილით ეგებებოდა ამ ჩემი მინდვრის ყვავილების კონას, რომელსაც დიდი მზრუნველობით ლარნაკში აბინავებდა ჩემი ერთგული მიწია. ბებო

თეო კი ცდილობდა როგორმე რამოდენიმე რუსული სიტყვით ამ უკრაინელი ქალისათვის ეთქვა თავისი აზრი ამა თუ იმ მხალის შეზავებაზედ, ამიტომ გარეთ ეზოში, სადაც სამზარეულო იყო, ხშირად მის მიდამოებში ბებო თეოსაც ნახავდი.

ქეიშხეთში იმ ზაფხულს ატარებდა გერონტი ქიქოძე თავის ცოლი ტასოთი და პატარა გოგონა თინათი, იქ მოსული იყო კოწია ჯაფარიძე თავის ცოლშვილით და ჩვენს გვერდით გიორგი ლასხიშვილს ოთახი ჰქონდა აღებული ეტყა სულხანიშვილის ცოლთან, რომელიც იყო ყიფიანის ქალი. ქვრივი, ერთი ვაჟიშვილის დედა.

რომ იცოდე, თეო, რა კარგი პიროვნება იყო ეს გიორგი ლასხიშვილი. განათლებული, მომზადებული პოლიტიკური მოღვაწე, ძველი მებრძოლი, პატიოსანი. მხიარული და საერთოდ ყველასათვის საყვარელი, კარგი ქართველი. მიმართულებით სოც. ფედერალისტი და ამ პარტიის ლიდერი.

ბევრი მოგონება მაქვს დაკავშირებული ამ ძვირფას ადამიანთან. ისიც ჩემსავით სპირდონს ელოდებოდა შაბათ კვირას და მის მიერ თბილისიდან მოტანილ ცხელცხელ ამბებს, ჰო და მისი ქალები, რომელნიც ზოგჯერ ამოდიოდნენ მამის სანახავად მეგობრულად იყვნენ მასთან დაკავშირებულნი და ხუმრობით ეტყოდნენ: "აგე, მამა, ბატონი სპირიდონი მოდის"ო, ისიც წამოდგებოდა და ჩქარის ნაბიჯით გასწევდა შესახვედრად: "სალამო მშვიდობისა, ბატონო სპირიდონ" და შერჩებოდა ზნაზნია კამეჩებს. ამას მოაყვებოდა სიცილი, იცინოდა თვითონაც უფრო მეტს ვიდრე მისი გიგმაჟი გოგოები.

საშინელი ბეკი იყო და იმდენად, რომ საბოლოოდ დაბრმავდა. ეს გარეგნობით სასიამოვნო შესახედავი, მთლად გათეთრებული შუა ხნის კაცი, ხშირად ატარებდა დღეებს ბავშვებთან, მათი დიდი მოყვარული იყო.

გაეიხედაედი და ბავშვების გროვაში ეს თეთრ თმიანი კაცი იყდა, მათთან ერთობოდა.

"ერთი გეთაყვა, ლეკური დაუკარით, მე და დათომ უნდა ვითამაშოთ"ო. იტყოდა გიორგი სერიოზული კილოთი და თუ დამკვრელს ვერ იშოვნიდა, თვითონ დაიწყებდა რიტმულად სიმღერას და დათოსთან ლეკურს.

ეს დათო, მეზობლის ბიჭი იყო დაახლოებით 8-9 წლისა, ის კი გაათავებდა ოთახში პროწიალს, ხოლო გიორგი განაგრძობდა ცეკვას.

ნიკოლოზის დროს ციმბირში იყო გადასახლებული როგორც "ბუნტის თავი". გვიამბობდა "როდესაც ციმბირიაკენ გამამგზავრეს, გზაში ორი სადგურის მანძილზედ ჩემი გვარი შემინარჩუმეს, მესამე სადგურიდან კი ლასხიშვილის მაგიერად "ლოსნოვი" ვიყავი. ეს უფრო ეხერხებოდათ რუსის მოხელეებს"ო.

თუ ამ დროებით ჩამოსულ ხალხს ქეიშხეში ადგილობრივ კარგ მემამულე კოტე ყიფიანსაც მივუმატებთ, მოწყენილები არ ვიქნებოდით.

კოტე იყო დიმიტრი ყიფიანის შვილი და ჩვენი ქართული თეატრის ცნობილი და დამსაურებული მსახიობი.

მისი ცოლი ნინო ტატიშვილის ასული, ისიც საზოგადო მოყვაწე, ნიჭიერი ქართველი ქალი, იყო.

ამ სოფელში მათი სადგომი ყურადღებას იქცევდა, კარგი სახლკარი გარს შემორტყმული დიდი მამულით.

თეითონ სახლი ევროპულად იყო მოწყობილი. სტუმართმოყვარე ოჯახი, ბევრი მიმსვლელ—მომსვლელი, ყველასათვის სასიამოვნო სდებოდა იქ მისვლა. სამწუხაროდ უშვილონი.

ამ ოჯახმა არ დაგვიანა ჩვენი დასტიქება და სადილი გაგვიმართა.

რომ მიველით, მიგვიღო თეითონ კოტემ, რომელიც შუახნისა უნდა ყოფილიყო, პატარა ტანის მქონე, მაგრამ მოხდენილი და სწრაფი მოძრაობის მატარებელი, თეთრი თმა მის ჯერ კიდევ უჭკნობ სახეს ძალიან შეენოდა.

აივანზედ მიგვიღო, სადაც გამოჩნდა მისი მეულლე ნინო, წარმოსადეგი, ჯიშიანი. წამოსხმული ჰქონდა თხელი აბრეშუმის ნაქსოვი, სწორედ თვალების ფერი ლურჯი. ნინოს ჯერ კიდევ ჰქონდა ქალის სიკეკლუცე რომ გამოჩნდებოდა აივნის ბოლოს, ხშირად იმორჩილებდა ამ ლურჯ წამოსასხამს, რომელიც ქართლის ნელ სიოზედ ძალაუნებურად მთელ მის სხეულს ეთამაშებოდა, კარგი სურათი იყო. ხედავ თუ, მეხსიერებაში ეს მაქვს ჩარჩენილი.

მისალებ ოთახში რომ შევედით, თვალს ესიამოვნა გრძელი მაგიდა თეთრი სუფრით, რაზედაც პარიზიდან ჩამოტანილი წმინდა ფაიფურის ჭურჭელს ეხამებოდა ლამაზი ბროლის ჭიქები და ყველა ერთად ვერცხლის დანაჩანგალით გალამაზებული.

სუფრა და ხელის სახოცებიც ამის შესაფერისი, კარგადვე ნაქარგი პატრონის ინიციალებით, ერთი სიტყვით ამ ჩვენ ქართლის სოფელში ვერსალის ნაგლეჯი დამიხედა.

ეს ყველაფერი ძველად დიმიტრის მიერ იყო შეძენილი, ევროპიდან წამოღებული; სწორე გითხრა, არ მახსოვს, რა გვაჭამეს, თორემ ამასაც გეტყოდი, სადილზედ კოტე გვართობდა თეატრის ცხოვრებიდან ზოგიერთი ეპიზოდის გადმოცემით, იქვე მზად ჰქონდა მიმიკა და ტანის შესაფერისი მოძრაობა. სადილი დიდხანს გაგრძელდა, იქ დიდი ღვინის სმა არ მახსოვს, და არც გადაჭარბებული სადღეგრძელოები, მაგრამ მაინც დიდხანს შევრჩით ამ ლამაზ სუფრას.

რომ გამოვედით აივანზედ, იქ ისეთი სურათი დაგვიხედა, რომ სწორე გითხრა, იქიდან წამოსვლა აღარ მინდოდა.

მზე აპირებდა ჩასვლას და თავის ოქროს სხივებს დოვლათიანად ჰფენდა ამ უსაზღვრო მინდვრებს დატვირთულ მწვანე თავთავით, რომელსაც ნელი სიო ეალერსებოდა და ქოჩორს უვარცხნიდა.

ზევიდან რომ ამ სურათს გადავხედე, იქაურობა დამესახა, როგორც დამშვიდებული ზღვა, რომელიც წყნარად გალობდა ამ ღვთიურ ჰანგს: "ღმერთო, კარგი მოსავალი მოიყვანე"ო.

ეს სადგომი დიმიტრი ყიფიანისა, როგორც გაიგე, ამ ჟამად მწერალთა დასასვენებელ სახლად არის ნაქცევი, იმედია, ისინი უკეთ ასწერენ ამ შუაგულ ქართლში მოთავსებულ დიდ ბელელს, რომელშიაც მთელი წლის ნაშრომის ნაყოფი ბინადება.

რაც შეეხება დიმიტრი ყიფიანის მემკვიდრეს კოტე ყიფიანს და მის ცოლს, ქალბატონ ნინოს, მე ისინი სამწუხაროდ ცოცხლები აღარ მეგულებიან.

ესლა განვაგრძობ, ჩემო თეო და გიამბობ ზაფხულში როგორ ვატარებდი დროს; ქვეშხეთში ბევრი გასართობი არა მქონდა, კვირის განმავლობაში ვეკლექი ბებო თეოს და ვართობდი, მეშინოდა არ მოეწყინა.

ამაზედ დამცინოდა ტასო, გერონტის ცოლი, რომელთანაც ცოტა ხნით შევიდოდი, ეჩქარობდი, სახლში მეგულებოდა ჩემი დედამთილი.

დადგებოდა შაბათი და სპირიდონი ჩვენთან იყო, მაგრამ ისიც სულ დედასთან ივლდა, რადგან მოხუცებულმა ეჭვიანობა დაიწყო.

ორი დღის განმავლობაში ჩვენ ორს ერთი წუთით არა გვტოვებდა, თუ მოვისურვებდით საღამოთი გასეირნებას, უსათუოდ სამნი მიედიოდით.

ლაპარაკში ვატყობდი, რომ ჩემით უკმაყოფილო იყო, ჩიოდა მაგალითად იმას, რომ ჩემი ბრალია, რომ სპირიდონი ზუგდიდში არა ცხოვრობს. ჩემი ბრალია ისიც, რომ სპირიდონი იშვიათად ახერხებს მასთან ზუგდიდში წასვლას, მაშასადამე სახლკარი უპატრონოდ ესახება, თუ მამაკაცი არა ტრიალებს.

ყველასათვის უკეთესი იქნებოდა, რომ კატოს ის ზაფხული ჩვენთან გაეტარებინა, მისი ოთახი ამ სახლში მთელი ეს სამი თვე ცარიელი დარჩა.

ან ის რაზედ გვიწყრებოდა ან მე, ან სპირიდონს, ეს ღმერთმა იცის. ყველაფერი ეს ჩემზედ ძალიან მოქმედობდა, ფიზიკურად დაღლილი ზამთრის მუშაობით და თუ ამას იმასაც მივუმატებ, რომ შენ, ჩემო თოლია, სამი თვითამ ჩემში დაიდე ბინა, რაც ქალისათვის არ არის იოლი ამბავი. ნერვები საშინლად მქონდა დაჭიმული, მეჩვენებოდა კიდეც, რომ წონასწორობას ვკარგავდი, სიცოცხლე აღარაფრად მიმაჩნდა.

შესაძლებელი იყო იქვე მოზრდილ მდინარისათვის თავი მიმეცა, რომ სპირიდონი არ მომსწრებოდა, საშინელი კოშმარი მეწვია, ამან საბედნიეროდ მალე გამიარა. ზაფხულის დამლევს წავიდა ბებო თეო უგუნებოდ, რომ კარგი დრო ვერ გავატარებინე, არ ვასეირნე, ახლომახლო კი დამყავდა, მაგრამ შორს ვერც მე წავიდოდი.

საწყალი ადამიანი ბოლოს კი ნანობდა ყველაფერს, საქართველოდან წამოსვლისას რომ ვინახულე, მითხრა: "შვილო, ძალიან ვართ მე და კატო შენს წინაშე დამნაშავენი". არ ვიცი, რა ჰქონდა მხედველობაში, მე ასე მითხრა, რომ შესძლებოდა ჩემთვის სულსაც არ დაიშურებდა, ძალიან გამანებივრა, მოხუცებული ქალი ისე დამტრიალებდა, როგორც ახალგაზრდა არსება.

ძალიან აფასებდა, რომ საშობაოდ მასთან წაგიყვანე, რომ მისი და კატოს სიყვარული ჩაგინერგე და სპირიდონსაც ცუდი ცოლობა არ გაუწიე. "ეს ხდება, შვილო, მაშინ, როდესაც უცხო ადამიანი პირადი განზრახვით მოინდომებს შენს ოჯახის ცხოვრებაში ჩარევას და ენას დაატრიალებსო; ზინას ბრალია, ცუდი ენა ატრიალა და ჩვენზედ უფრო კი კატოზედ იმან იმოქმედაო".

"გაგანებეთ თავი, მარტო რომ დარჩი, სპირიდონის გადასახლების შემდეგ, ვერაფერით მოგხედეთ, ჩვენ ეს არ გვეპატიებაო", ახე მოსთქვამდა ის საცოდავი, თან ცრემლებს იწმენდავდა.

დიდის მადლობით რომ ეინახულე და გრძნობა მორეულმა გამომაცილა ეზოს კარებამდე, სადაც ეტლი მელოდებოდა, მერე კი თაეწალეწული, მწარე ფიქრებით დატვირთული მისი დათოვლილი თაეი ჩემს თეალებს მიეფარა.

ზინა იყო ვალოდია ალშიბაიას უკანონო ცოლი, კანონიერი ცოლი — მიქელაძის ქალი, რამოდენიმე შვილით დატოვებული იყო ქუთაისში.

ახალი ცხოვრება დაიწყო ზინამ თბილისში, სადაც ფიქრის გორაზედ კლდიაშვილის სახლი შეიძინეს და საბოლოოდ იქ დაბინავდნენ.

ზინა ძალიან დაახლოებული იყო კატოსთან და თანაუგრძნობდა მას იოსებ კლდიასთან დიდი ხნის რომანს, რომელიც ისევე ცოლშვილის პატრონი, როგორც ალშიბაია, უნდა განთავისუფლებულიყო ამ ტყვირთიდან რომ კატო შეერთო.

ეს ქალი თავიდანვე ჩემს მიმართ არ იყო კარგად განწყობილი, თანდათან უხეშად ეჭირა თავი, მიკვირს როგორ მოვითმინე მისი საქციელი, გაუგებარი ზოგჯერ კატოს თანადასწრებით.

ერთი სიტყვით ჩემ გათხოვებას ცუდი თვალი ეცა. ჯერ ჩემი ბიძაშვილების სულიერი განწყობილება ჩემს მიმართ. ზოგიერთის ამრეზილობა იმის გამო, რომ ჩემი არჩევანი სპირიდონზედ გაჩერდა.

ახლად ჯვარდაწერილს კოწია გამსახურდიამ მოლოცვა მაახლა: სამგლოვიარო კონვერტში, შიგ რამოდენიმე სიტყვა დაწერილი შავარშიან ფოსტის ქაღალდზედ, ამასთან ერთად ბეთხოვენის შაეი ნიღაბი ესეც შავებში გახვეული.

ძალიან მეწყინა ეს ყველაფერი, მაგრამ როდესაც მომაგონდა იმ წლებში მისი ცხენით ჯირითი დილის რვა საათზედ, როდესაც მე წყნეთის ქუჩით მივდიოდი გიმნაზიაში, გამეცინა და პოეტს ყველაფერი ვაპატიე, მისი დატოვებული ანდერძიც, რომელიც დამიტოვა. ერთერთ მოკლევადიან ომის დროს და სხეათაშორის თხოვნით მისი სიკვდილის შემდეგ რედაქციაში მიმეტანა.

მაგრამ ეს არაფერი! მაგონდება როდესაც პარიზიდან მიეიღე სპირიდონის წერილი და მაგებინებს: "ბრუნდება თბილისში ის მეგრელი რომელიც დილის 8 საათზედ აჭენებდა წყნეთის ქუჩაზედ ცხენს... გიმნაზიისაკენ სადაც შენ უნდა გაგეცილო! ის გიამბობს ჩემ ამბავს."

მართლა ერთ დღეს მეწვია. შენ ხარ მაშინ 5 წლისა. სამეგრელოდან გვქონდა ინდაური და სადილად დაეტოვეთ. სპირიდონის ამბავი მიამბო, მაგრამ წასვლის წინ შენც გამოგეთხოვა და ისე უკბინა შენ ცერს, რომ დაგისისხლიანა.

როგორც ხედავ ჩემო თეო ძალიან მირბის ჩემი გონება, ხან რას წამოედება, ხან რას; მაგრამ იცოდე, როდესაც წარსულში გადავდივარ, იქ ბევრი რამ მედება, ჰო და მინდა ყველაფერი მოვიგონო, კუთხეში არაფერი დამრჩეს, შენთვის უცნობი, ამიტომ მემართება ეს თითქოს აბდაუბდა ეს მარცხი.

მაშ მთელი ზაფხული ქვიშხეთში გავატარეთ, იქ ახლო მახლო ბალებ-ბოსტნებიდან შემოსული ხილის კარგი ნოყიერი სურნელება ჩვენამდე აღწევდა და ღამე, როდესაც ტკბილად ჩაგეძინებოდა ჩვენ აივანზედ ამას დილით ემატებოდა ჩიტების ჟრიამული და კიკინი!

მარიამობის წინა დღით გვესტუმრა ახალგაზრდა მხედარი ყიფიანი და ყველას გვთხოვა, მეორე დღეს სადილად ეწვეოდით მის ფერმაში, რომელიც მოშორებით მდებარეობდა, მაგრამ რკინის გზით ადვილად მისასვლელი.

წაველით ერთად, გიორგი ლასხიშვილი და გერონტი მოვიდნენ ჩვენთან და ერთად ყველამ დავიგვიანეთ, სადგურზედ დროზედ ვერ მივედით და მატარებელმა ცხვირწინ გაგვისწრო, მეორეს მოლოდინში ვიყავით.

გრძელ, გაშლილ სუფრას მასპინძელი თავით ეკდა და დანითა სთლიდა მის წინ დადებულ დიდ ზომის ბეჭს, როდესაც მივედით, ეს სურათი დაგვიხედა. სტუმრები ბლომად ჰყავდა, მაგრამ რაღაც სიჩუმეში იყვნენ, არავითარი სიცოცხლე არ ეტყობოდათ, ჭამას ეს ხალხი დაემძიმებინა, ან იქნება ჩვენი მოლოდინი უსიამოვნო იყო ყველასათვის, ეს საგანგებოდ მოწვეული ხალხი, ცნობილი გიორგი ლასხიშვილი, პუბლიცისტი გერონტი და სპირიდონი, რომ იგვიანებდნენ და არსად სჩანდნენ.

მივედით ეს მოაგარაკენი და აბა გიორგი როგორ დასტოვებდა ამ საზოგადოებას სიჩუმეში. მისი დაჯდომა და მრავალჟამიერი ერთი იყო. ყველა გაიყოლია, მხოლოდ სპირიდონს ემუდარებოდა, ნუ იმღერებ, ნუ დაგეშლიო, ამას საერთო სიცილი მოჰყვა.

უცებ ამ გუნდში გაისმა ერთი ბგერა, ასწია ისე მშვენიერად მამაშენმა, რომ ყველანი გაგვაოცა, ვინც მის მუსიკალობას ყოველთვის დაეცინოდით, ისე რომ თვითონაც არ მოელოდა ამ გამარჯვებას. მამაშენი, შვილო, იმ დღეს მშვენიერი იყო, მხიარული, თავისუფალი, მოლხენილი, ეს იყო და ეს სპირიდონი ამ სახით მე აღარ მინახავს.

სთხოვეს თამადობა და მშვენიერად და ღაზათიანად ჩაატარა ეს დღე. ორი მაგიდა იყო გაშლილი და აქ სხვადასხვა მიმართულების ხალხი იყო თავმოყრილი. ფედერალისტები, სოც. დემოკრატები და ეროვნულ დემოკრატები.

სპირიდონს არ გაუბედლდა ამათი თავმოყრა სადღეგრძელო სიტყვაში, კოწია ჯაფარიძე და მისი ახალგაზრა შვილი სპირიდონის სიტყვას თავიანთ მშვენიერი დუეტით ეგებებოდნენ: "აფრინდა ქორი,

აფრინდა". პირველად გაიგონე ეს ხალხური სიმღერა ნათქვამი ამ სოც. დემოკრატისაგან.

დამკვრელები ჰყავდათ დოლი და სალამური, რომელნიც თვითეულ თამადის სიტყვას თავიანთ ჰანგს თან აყოლებდნენ. დაუკრეს ლეკური, დაუარა აი ახალგაზრდა ყიფიანმა და დამიკრა თაეი, მეც გავყე. ულერწყრობით კაბა არა მქონდა დაეიწროებული.

საღამოზედ იქიდან ნასიამოვნები ებრუნდებოდით, რომ გიორგიმ იკითხა თავისი ქუდი, რომელიც იქ დარჩენოდა, თუ განგებ დასტოვა: შეა გზიდან ვილაც გაგზავნა იმ იმედით, რომ იქნება იმ დღის მასპინძლებს ეთხოვნათ ჩვენთვის დაებრუნებულიყავით და ის საღამოც იმათთან გაგვეტარებინა.

"იქ საჭაპურებს აცხობდნენ, ჩვენ აეჩქარდით, თორემ ეხლაც იქ ვიქნებოდით"ო, ბურტყუნებდა გიორგი.

შიკრიკი რომ გამოჩნდა გიორგის ქუდით, აქედან უყვიროდა; "რაო, მოდითო, თუ არაო". ამით დაკმაყოფილდა, დაიხურა თავისი ქუდი და მთელი ეს ხალხი მოკლე გზით მიგეყვანა კოტე ყიფიანის ოჯახში. მას იქ უცეცხლო თაფლი ეგულებოდა.

კარებში ქალბატონ ნინოს არწმუნებდა, "ღმერთი, რჯული, ამ ხალხისათვის არ მითქვამს, რომ თქვენ თაფლი გაქვთ, ესენი სუნით მიპხვდნენ და იხულეეს თქვენსკენა"ო

ჭამით კი არ გეიჭამია, მაგრამ ჩემთვის გამზადებული ერთი ქილა თაფლი გიორგიმ სახლამდე მომიტანა, თან მოსთქვამდა: "ნეტა მეც სპირიდონის ცოლის ბედი მქონოდა, მაშინ ერთი ქილა თაფლი მეც მეღირსებოდა"ო.

სიამოვნებით ვიგონებ ამ საყვარელ ადამიანს, რომელიც სულ ბოლომდე სპირიდონის მოყვარული დარჩა იმის და მიუხედავად, რომ მამაშენი, ხომ, ახალი მიმართულების მქადაგებელი გახდა და ფედერალისტების წრეს ჩამოშორდა, გიორგი მას ძალიან აფასებდა და მეგობრობდა.

იმისი წყალობით და დატენებით სპირიდონი მე, როგორც იყო, ციხიდან გამოვიყვანე და ბოლშევიკების ტყვიას ავაცდინე.

ქეიშხეთიდან ის ჩვენზედ ადრე წავიდა და იქაურობას ჰეწი დაეარგა, მალე ჩვენც დაებრუნდით თბილისში და ორივენი საქმიანობაში ჩავებით.

მე გიმნაზიაში ვატარებდი დროს, ოჯახის საქმე სრულებით არ მაწუხებდა, რადგან ამას მთლიანად უძღვებოდა ჩვენი ერთგული მიწია, ეს ქალი კარგი მზარეული იყო, ისე რომ მე და სპირიდონს ყოველთვის მრავალფეროვანი სადილი გვიხვდებოდა. მეტისმეტად კი სარგებლობდა ჩემის ნდობით, მაგრამ მოსამსახურის შვენა გაძნელებული იყო. ამიტომ თვალებს ვხუჭავდი მის ცუღლუტობაზედ, ისე რომ ორივენი კმაყოფილი ვრჩებოდით, ერთმანეთი გვესაჭიროებოდა.

ერთ დღეს გიმნაზიაში უსიამოვნო წუთები განეიცადე. გაკვეთილები სიჩუმეში მიმდინარეობდა, როდესაც უცებ ქართული გაკვეთილებიდან საშინელი წიოკობა მომესმა, ავედი და მეტის მეტად მძიმე სურათი დამიხვდა. მთელი კლასი გამოსულიყო, ბავშვები შეში-

ნებულები იყვნენ: "ჩვენ კლასში ველარ შეველთ, მასწავლებელი გაგიჟდაო".

ზოგი ამბობდა, რომ ის კათედრიდან ჩამოვარდაო, ზოგმა კი ისიც დაუმატა, რომ პირიდან ქაფი ამოსდიოდაო.

საწყალი ქალი ფერმიხდილი კათედრაზედ დამიხვდა, მითხრა: "არაფერია, გამიარაო". იმავ დღესვე გიმნაზიას მშობლები მოაწყდნენ, თხოულობდნენ ამ მასწავლებლის შეცვლას, "თუ არა და ჩვენ შვილებს აქედან წაიყვანთ"ო.

დაიბარე ამ ქალის ძმა, გაუგებინე, რომ შეუძლებელია, ამ ავადმყოფმა ადამიანმა აქ მუშაობა განაგრძოს.

ეს კაცი ძალიან გაბედულად მელაპარაკა და მარწმუნებდა, რომ ეს ბნელა მხოლოდ თვეში ერთხელ მოსდის და ბუნებრივია, რომ ამან ხელი არ შეუშალოს მის მუშაობასაო, მთხოვდა მის დატოვებას.

რასაკვირველია უარი მიიღო, სულ ბუტბუტით დამშორდა და დიდი ნაწყენი დამრჩა.

აღმოჩნდა, რომ ის იყო დამსახურებული პარტიის მუშა-სოციალისტი, და რასაკვირველია, საზოგადოების ნებიერი...

გიმნაზიის ცხოვრებაში თუ იყო რამე საფიქრებელი, ის, რომ ქართული განყოფილების ზოგიერთი მასწავლებელი დისციპლინას ვერ ეგუებოდა, ესენი იყვნენ პროვინციიდან გადმოყვანილნი, სადაც უფრო ადვილი იყო ამ მხრივ მუშაობა, ყველანი ერთმანეთში შინაურულად გრძნობდნენ თავსა; აქ დიდრიცხოვანი სასწავლებელი დაუხვდათ, მეზობლად იმავე შენობაში ეს რუსული განყოფილება, რომელიც ჩვენ ნაკლს ტაშსაც კი დაუკრავდა, არამც თუ შეწუხდებოდა.

ჰო და ქართული განყოფილების ისტორიის მასწავლებელი, მისი გვარი აღარ მახსოვს, განსაკუთრებით თავისუფლების მოყვარული აღმოჩნდა, ის ხშირად სტოვებდა ბავშვებს გაკვეთილის დროს, ამას ეტყოდა მხოლოდ; "ცოტა საქმე მაქვს, გავალ და მალე დავბრუნდები, ჭკვიანად იყავით"ო. ბავშვებს მეტიც რა უნდოდათ, ერთობოდნენ, ბევრჯერ კლასიდანაც გამოდიოდნენ, სმაურობდნენ, მათი მასწავლებელი შეებულებაში იყო, იგვიანებდა.

ერთხელ იძულებული ვიყავი მე მიმეცა გაკვეთილი იმის ნაცვლად, გაკვეთილი რომ გათავდა და ზარი დაირეკა, შემოვიდა ეს ჩვენი ისტორიკოსი, მაგრამ ჩემი ნახვა არ ესიამოვნა, გამაგებინა, რომ საქმეზედ იყო წასული ცოტახნით, მაგრამ დააგვიანეს, "ხომ იცით, ეხლა ყველაფერი ძნელი მოსაგვარებელია"ო.

მე ვთხოვე, თუ მომავალში მისთვის საჭირო იქნებოდა საქმეზედ წასვლა, ეს გაკვეთილის დაწყებამდე უნდა გამაგებინოს.

ერთი თვის შემდეგ იმას სხვა მარცხი დაემართა, გაკვეთილი ვერ მისცა, რადგან მთელი კლასი მას ყროყინით დაახვედრია.

შემომჩივლა, "არ ვიცი, როგორ მოვიქცე. დღეს გაკვეთილზედ ველარ შეველ, "ბაღანები" გადარეულნი არიან"ო. შეველი კლასში და შენიშვნით მივმართე ბავშვებს, თუ რად იქცევიან ასე უზრდელად. მათი პასუხი იყო, რომ ეს ისტორიის მასწავლებელი

"ჩვენ ხშირად ვირებს გვეძახის და ამის საპასუხოდ, ყროყინით ვუხვდებითო."

კონიაშვილმა ულარ მოითმინა, აჩქარდა, შეალო კლასის კარები და ამ სიტყვებით მიმართა; "ბოდიშს ვიხდით, რომ ასეთი მასწავლებელი დაგინიშნეთ"ო.

სამწუხაროდ ჩვენ არ ვნიშნავდით მასწავლებლებს, თორემ უკეთესი შემადგენლობა გვეყოლებოდა, ესეც ჩვენი სოციალისტური მთავრობა. ქართული განყოფილება გაიზარდა, ამიტომ ზოგიერთ საგნის პროგრამას რუსულ განყოფილების მასწავლებლებთან ერთად ვისილავდით.

აი მაგალითად მსოფლიო ისტორიის პროგრამა რომ მუშავდებოდა, რუსული განყოფილებიდან ისტორიკოსმა შახნაზაროვმა თავისი სიტყვა ამით დაიწყო: "ვფიქრობ, წელს მე ეს მასალა ისე ვერ განვავითარე, როგორც ეს საჭირო იყო, მომავალ წელს ეს შეცდომა უნდა გავასწორო, მეტი ანგარიში გავუწიო კლასის შემადგენლობას, ზოგიერთი მათი შენიშვნა სწორი იყოვო".

ულერი მიდგა ჩვენ მასწავლებელზედ, რომელმაც თამამად განაცხადა: "მე არავითარი შეცდომა არა მქონია და არც ვაპირებ რაიმე ცვლილებების შეტანას, ვერც მასალას შევცვლი და ვერც მეთოდებსა"ო.

შახნაზაროვმა შეხედა ამ კმაყოფილებით სავსე მასწავლებელს და უთხრა: "რა ბედნიერი ხართ"ო.

საბედნიეროდ ყველა არ იყო დარწმუნებული თავის გამოცდილებაში. ჩვენ რჩევას ყურადღებით ისმენდნენ და მოთხოვნილებას ასრულებდნენ.

მაგრამ ეს წერილი ამბები რა სახსენებელი იყო მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ბედი ბეწვზედ ეკიდა, საქართველოს ნორჩ სახელმწიფოს აქეთ იქიდან მტერი უჩუჩუნებდა და ძალიან მარჯვედ, რომ მისი სისხლიანი სახე არ გამოჩენილიყო. პირი აკრული ჰქონდა.

ბოლშევიკები ცხარე მუშაობას აწარმოებდნენ და სამწუხაროდ ადგილობრივ ბევრი ერთგული იშოვნეს, იმდენად რომ ორი ცნობილი ბოლშევიკი, რომელნიც ჩვენი მთავრობის მიერ ციხეში იყვნენ დაჭერილნი, შეუმჩნეველად ციხიდან გაცურდნენ; ესენი იყვნენ ფილიპე მახარაძე და სერიოჟა ქავთარაძე.

სპირიდონი კარგად ჰხედავდა, რომ რუსული ბოლშევიზმი ჩვენ გვერდს არ აგვიქცევს და ერთ დღეს კარებს შემოგვინგრევს, მით უფრო რომ ჩვენი მეზობელი ქვეყანა ალერბეიჯანი დაიჭირა.

ამ მიმართულებით მამა სწერდა და საჯაროდაც ლაპარაკობდა, მაგრამ ყველა ამ აზრს არ იზიარებდა, ამიტომ იყო, რომ ნამდვილი ჯარი არ იყო შექმნილი. მთავრობამ იკმარა ამის ნაცვლად პარტიის დამცველი გვარდია, რომელიც საჭირო დროს არ იქნებოდა საკმარისი, მართლაც ეს სინამდვილეში დამტკიცდა...

მაშინდელი ბატონ ჟორდანიას მთავრობა ს. დემოკრატიის პარტიის სახელით ლაპარაკობდა, რომ იგი სრულიად დამშვიდებული

იყო იმაში, "ჩვენ დამოუკიდებლობას ვერავინ შეეხება, რადგან ლენინმა ის იცნო და ამ ისტორიულ დოკუმენტს ხელი მოაწერა"ო.

მთავრობა და მისი პარტია მაშინ უფრო იმით იყვნენ კმაყოფილნი და ამას ზეიმობდნენ, რომ ინგლისელები გაისტუმრეს. სამწუხაროდ სახელმწიფოს საიდუმლოება არ ინახებოდა, ყველაფერი გარეთ იყო გატანილი, სახლში სპირიდონისაგან არაფერი ვიცოდი, სამაგიეროდ გიმნაზიიდან მომქონდა ეს ამბები, სამსწავლებლო ოთახში გაგონილი, როგორც ახალი და უკანასკნელი ცნობა.

ამ დროს წითელი ჯარი საქართველოს საზღვრებზედ ჩასაფრებული თავის დროს უცდიდა, რომ იოლად შემოჭრილიყო და ჩვენი მიწა-წყალი საბოლოოდ ხელში ჩაეგდო.

ეს მომენტიც დაუდგა: თებერვლის 11-ს ქურდულად შემოესია ბორჩალოს, რომლის კარები ღია დაუხედა. იქ მდგომ ჯარის ნაწილს ორი კვირის წინ დემობილიზაცია ჰქონდა გამოცხადებული. ყარაულმა კი ვერაფერი გაიგო, მტრის შემოსევა გამოეპარა.

რუსეთის ეს თავხედობა ჩვენ ქვეყანას მეხად დაეცა, მისი შხამიანი ისარი ერს გულში ღრმად ჩაესო, საქართველო ფეხზედ წამოიჭრა, შურისძიების გრძნობამ იფეთქა, ყველა მხრიდან თბილისის ქუჩებს მოხალისენი მოეძნენ, კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა, ყველანი შეიარაღებას თხოულობდნენ. ქართული გიმნაზიის მოწაფენიც კი გაზეთ "საქართველოს" რედაქციის წინ რიგში იდგნენ იარაღის მისაღებად. მთელი ერი ერთსულოვანი მომავალ დღეებში უკვე მტრის წინააღმეგ ბრძოლებს აწარმოებდა, მართლაც არა ერთი გამარჯვება ჰხვდა წილად.

შენ ჩემო თეო, მაშინ ორი კვირისა იყავი. როდესაც ზარბაზნების გრიალი ჩვენამდე მოდიოდა და სახლის კედლებს ეხეთქებოდა. მინდა აქ ცოტა გავჩერდე და გიამბო შენი დაბადების ამბავი. მშვენიერი მზიანი კვირა დღე მოგვეგება ექიმ სებასტიანის კლინიკაში იანვრის 16-1921 წ. დილის 11 საათზედ. ცოტა გულნაკლული დავრჩი, რომ ბიჭის მაგიერად ქალი მეყოლე, მაგრამ საბოლოოდ კი მესიამოვნა შენი ნახვა, როდესაც ექიმმა ხელში აგვიანილი შეგატრიალა, ჯანსაღი მშვენიერი არსება, და ისიც დაუმატა "ეს გოგო არც მოდას ჩამორჩენია, ნახეთ, ტუჩები წითლად შეულებია" მართლა შენი წითელი ტუჩები დამრჩა მეხსიერებაში, შეღებილსა ჰგავდა. ისიც კი დაუმატა: "ეს იქნება მამაკაცების ნამეილი ჯალათი"ო. ეს მართალი აღმოჩნდა... ამაზედ კი შენ ილაპარაკე.

იმ დილით ჩემკენ მომავალს სპირიდონს გზაში შეჰხვედრია ჩვენი ანიკო, რომელსაც უხარებია; "ქალი გეყოლათ"ო. არ ვიცი, მამას რეაქცია, ნუთუ იმასაც ერჩიენა, როგორც მე იმ მომენტში შენს მაგიერად ეაჟი მყოლოდა, რომ მოვიდა ჩვენ სანახავად, მე ღრმა ძილში ვიყავი, არ ვიცი, როგორ მოგვესალმა, ან მე ან თავის ახლადშეძენილ შვილს.

კლინიკაში დავრჩი 10—დღე, მაგრამ სახლში ლოგინად ვიყავი თითქმის ერთი თვე, რადგან მომცა სიცხე, რომელიც ნელნელა

ადიოდა, ამასთან ნახევარი მკერდი დასიებული მქონდა, ამ პირობებში შენი კვება ძალიან მეძნელებოდა.

ეს უგემური რძე შენ არ გხიბლავდა, მშიერი რჩებოდი, ამიტომ გაუთავებლივ სტიროდი, იყლებდი იქაურობას.

რადგან სიცხე არ ჩამოდიოდა, ექიმს ეშინოდა, სისხლი ხომ არ მეწამლებოდა, ეს ამბავი გასული იყო იმდენად, რომ ჩემმა ნაცნობებმა ტრაღედიაც წარმოიდგინეს მაგრამ სახლში მოსულას დაერიდნენ და ერთ ღამეს ეზოში შემოსულან ლიზა ორბელიანი, ნინო გელოვანი, ანეტა დიასამიძე და ვანდა ღამბაშიძე ჩემი ამბის გასაგებად, მეეზოვეს ქვევიდან დაუძახნია ჩვენი მოსამსახურე მოწიასათვის და მიულია პასუხად: "რომ კარგადა ვარ, მხოლოდ ჯერ არა ვარ ამდგარი".

დაბადებით კარგ პირობებში დაიბადე, მაგრამ მალე იგემე დედაშენის ამღერეულ რძესთან ერთად ზარბაზნების მჭექარე ხმა და ჩემი დიდი ნერვიულობა; ჩვენი მაშინდელი ყოფნა ასაწერია, სახლში ყურთა სმენა აღარ იყო

სპირიდონი იმ ხანებში ფრონტიდან დაბრუნებული იმედიანად მიამბობდა ჩვენი ახალგაზრდობის სიმხნევეს, ეაჟკაცობას და კარგ მორალს.

ამას მაშინდელი დეპეშებიც ამოწმებდნენ, კარგი ამბები მოდიოდა, ერთი დეპეშა მაქვს შენახული, "მტერი იხევს და ჩვენ ფეხდაფეხ მივდევთ"ო.

სამხედრო მოქმედება ორი კვირის განმავლობაში

ფრონტიდან კი კარგი ამბები ისმოდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად 15 თებერვალს აწ განსვენებულმა პრეზიდენტმა ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელ კრებას აუწყა, რომ მთავარსარდლის განკარგულებით ჩვენი ჯარი იხევსო, ამიტომ ყველამ თბილისი უნდა დაეტოვოთო. კარგად არ მახსოვს იმ დროს ვინ იყო მთავარსარდალი, ზაქარიაძე თუ ოდიშელიძე.

ამ ცნობამ თავზარი დასცა ყველას, თბილისის დატოვება შეუძლებლად მიიჩნიეს, განსაკუთრებით ამან ოპოზიციაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამათ მოითხოვეს, წამდვილი მდგომარეობის გასაგებად დელეგაციის გაგზავნა სამხედრო შტაბში.

იქ დაჰხვდათ ახლად დანიშნული აწ განსვენებული გიორგი კვინიტაძე, რომელიც წინ გაშლილ რუკას დასცქეროდა; იმან განაცხადა, რომ ჯერჯერობით ჯარი არა სჩანს, მაგრამ გათენებისას ელის სხვადა სხვა მხრიდან ჯარის ნაწილებს, გარდა ამისა ისიც დაუმატა, რომ იმის სამხედრო სკოლის იუნკრებსაც ნაბრძანები ეძნებათ ყველანი გამოვიდნენ საბრძოლველად.

ამ სასიამოვნო ამბით დაბრუნდა დელეგაცია ღამის სხდომაზედ, სადაც დიდი კმაყოფილება და სიხარული გამოიწვია ამ ცნობამ,

ფეხზედ ადგომით, ოვაციებით "გაუმარჯოს ჩვენს ჯარსო" და საქართველოს და მის დღეგრძელობასაო, დიდხანს ისმოდა.

იმ დღეებში იყო, რომ ჩემთან მოვიდნენ ერ. დემოკრატები დ. ვარნაძე და ე. ვეშაპელი, მირჩიეს, თბილისიდან გასვლა, რადგან მაშინ სპირიდონი უფრო თავისუფალი იქნებაო. მე გადაჭრით უარი ვუთხარი, მომიწონეს, კარგი "ქართველი ქალობა" და წავიდნენ.

სპირიდონს რომ ეუამბე მათი დარბაზობა, კარგად გაიგო ჩემი უარი და მითხრა: "მეტ წილს ცოლ-შვილი ბოხჩებით უკვე გაგზავნილი და დაბინავებული ჰყავს ბათუმშიო".

ერთ დღეს ვნახე რუსი ტყვეების ჩამოტარება, რა სანახავები იყვნენ, ამას ვერ აგიწერ, შიმშილისაგან ლონემიხდილნი შიშველა ფეხებს ძლივს მოათრევდნენ, ჩაუცმელნი, აბრანძულები, ჭუჭყიანები. ჩვენის მხრივ შებრალებას უფრო იწვევდნენ, ვიდრე შურისძიების გრძნობას. ამ საცოდავებს ხალხი დიდი სიჩუმით შეჰხვდა, კრინტი არავინ დასძრა, მხოლოდ ჩუმად გაისმა ერთის ხმა: "ამათ როგორ შეაშინეს ჩვენი მთავრობაო".

ამ სურათს დაესწრო ერთი უცხოელი, რომლისთვისაც ჩვენი ერის მაღალსულოვნობა მოსაწონიც იყო, მაგრამ ამავე დროს გაუგებარიც. ამბობდა; "არც ერთ ევროპის ქვეყანაში მტერს ასეთი მოთმინებით და შებრალებით ხალხი არ დაუხვდებაო".

ჩვენი ჯარი ამ დროს თბილისის დასაცავად კოკორსა და ტაბახმელაში მოქმედობდა, ამიტომ ფრონტი ჩვენ მახლობად მდებარეობდა და ზარბაზნების საშინელება მწარედ ჰხვდებოდა ჩვენ არსებობას, დედაჩემი უძილო ღამეებს შენს მოლაში ატარებდა. ცდილობდა შენ დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ, ზარბაზნებს შენი დაჟინებული წიეწილიც ემატებოდა.

სპირიდონიც ფხიზლობდა, ან ტელეფონთან იჯდა ან უფრო კი აივნიდან ყური ეჭირა კოკორის მიმართულებით, ზოგჯერ იქიდან მინელებულ სროლას სევდიანად აღნიშნავდა. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ მტერი იერიშზედ იყო გადმოსული და აქედან პასუხი არა სჩანდა. 19 თებერვალს სპირიდონი სახლიდან ადრე იყო გასული. ტელეფონი ირეკება, ეელარ ვიცანი მისი ხმა. წინა დღეებში მიხრწნილი ჩალექილი, ეხლა ეატკაცური, მხნე და იმედიანი კარგ ამბავს მაგებინებს; "გავიმარჯვეთ, სონა, გავიმარჯვეთ, აი დავცქერი ფრონტზედ მიმავალ ჯარს, რა მშვენიერი ახალგაზრდობაა, გამოდი, ნახეო".

თურმე იმჟამად სპირიდონი მიმართავს ჯარს სასახლის აივნიდან, ვინც მისი სიტყვა მოისმინა, ამბობდა, "სპირიდონი ღეთაებრივი იყოო, გაიყოლიებდა დიდსა და პატარასაო". მეც მაშინათვე გავედი, წყნეთის ქუჩა სავსე იყო ხალხით, ისმოდა მათი ჟრიამული. კუთხეში შევნიშნე ჩვენი ისტორიკოსი დავით კარიჭაშვილი, რომლის გაფითრებულ და განცდებით სავსე სახეს სიხარულის ცრემლი ამშვენებდა. რომ დამინახა, ჩემკენ წამობარბაცდა, მკითხა; "წუთუ მართალია, სონა, ეს ცნობაო". სპირიდონის ნათქვამი რომ გადაეცი, მაშინ ხომ უფრო ატირდა, დაიწყო კანკალი და მის სახეს უხვად მოეფინა ცრემლის ნაკადი.

პატარა ხანს უკან ეს სასიამოვნო ამბავი დაგვიდასტურა ახალგაზრდა, შავგრემანმა შიკრიკმა, რომელიც დააქროლებდა ლამაზ, წითელ ცხენს და დედაქალაქის ყოველ უბანს ამ სიტყვებით ამხნევებდა; "გაიმარჯვეთ, გაიმარჯვეთო". ამას თან სდევდა სალხის აღტაცება, ტაშის გრიალი და "გაუმარჯოს ჩვენ ჯარს და მის მარჯვენასაო"

ამნაირად ოპოზიციის ჩარევამ 19 თებერვალს ღამის კრებაზედ, თბილისს დატოვება ააშორა და ქვეყანას მწარე ცრემლები მოუშრო.

მაგრამ მტერი ნელ-ნელა ერტყმოდა ჩვენ მიწაწყალს სხვა-და-სხვა მხრიდან თავის ცხენოსანი ჯარით, რამოდენიმე დივიზიით იყო მომდგარი ჩვენ კარებთან.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ჩემი ძმა ლელო, სა-პიორო, რომელმაც ხერხით და გამჭრიახობით მოახერხა მტრის მოტყუება და ამნაირად რამოდენიმე დღით მისი შემოჭრა დააგვიანა. ეს დაწვრილე-ბით სხვა ადგილას მაქვს აღწერილი, გარდა ამისა აქ ემიგრაციაში განსვენებულმა გიორგი კვინიტაძემ ლელოს შესახებ ეს ცნობები გად-მოგვცა; "შე წითელ ხიდთან მყოფ ლ. ჩიჯავაძეს მოვთხოვე მაშინათვე წამოსულიყო, რადგან მას ხიფათი მოელოდაო". აქებდა ამ მხედარს, ამბობდა, რომ ბევრი არა ჰყავდა ჯარში ამის მსგავსი და სხვა.

ომის დასასრულს ლელოს სახელი სამხედრო შტაბში ყველას პირზედ ეკერა.

ჩვენი 2 კვირის ომის დასასრული და თბილისის დატოვება.

საუბედუროდ რამოდენიმე დღეში მდგომარეობა შეიცვალა იმისდა მიუხედავად, რომ თბილისის დასაცავად კოჯორსა და ტაბახმელას მიდამოებში სამხედრო სკოლის იუნკრების თავგანწირული ბრძოლები მიმდინარეობდა. ამათ მტერს არ აკმარეს ტყვიის მფრქვეველი იარაღი და ხმალ და ხმალ ხელჩართული ბრძოლა გამართეს.

თაოსნობა დაიწყო გოგა მესხიშვილმა, რომელმაც იშიშვლა ხმალი, დაიძახა; "გაუმარჯოს საქართველოსაო" და გადაეშვა მტრის ბანაკში...

თებერვლის 24-ს სასახლიდან ღამის 10 საათზედ სპირიდონი საშინელებას მაგეხინებს; "თბილისი დატოვებულია, მთაერობა და დამფუძნებელი კრების მთელი შემადგენლობა უკვე სადგურზეა გასული, ჩვენც უნდა წავიდეთ, მხოლოდ არაფრის წალება არ იქნება შესაძლებელი, ამიტომ მოამზადე ბავშვის თეთრეული. მზად იყავი, მოვდივარო".

მართლაც პატარა ხანს უკან შემოვიდა მამა, რომელიც არ ინახვოდა, რამოდენიმე საათში, რაც სახლიდან იყო გასული, ეს ადამიანი დაბერებულიყო, თვალებ ჩაცივნილი, გაფითრებული იდგა ჩემს წინ, დათოვლილი ქუდი უკან გადასწეოდა, უჩუმრად წამოავლო ხელი შენ პატარა თეთრეულის ჩემოდანს და მანიშნა გასვლა, მაგრამ აქ დაუხედა თავისი და კატო, რომელსაც თავისთან ერთად მოჰყავდა ზინა ალშიბაიას პატარა გოგონა სამი წლისა, რომელსაც მისი დედა ჩვენ გვატანდა, როგორ მოიშორა შვილი ამ დროს, ან ბოლშევიკები რას დააკლებდნენ ამ პაწაწას, გაუგებარი იყო. ქვეყით გველოდებოდა ლელი ჯაფარიძე, რომელსაც ძლივს ეშოვნა იმ ღამეს ერთი ეტლი, რომლითაც უნდა სადგურზედ მივსულიყვაით. საწყალი დედაჩემი გაფითრებული იდგა, უსიტყვოდ გადმომცა შენი თავი პირისფერ საბანში გახვეული, პირჯვარი გადაგვწერა და ცრემლები მოიწმინდა. მეორე დილით კიბეზედ ჩემ მიერ დავარდნილი ცალი ხელთათმანი ეპოვნა და ამით ნუგეშობდა; "ალბათ დაბრუნდებიან და მელირსება მათი ნახვაო".

ეტლში ძლივს ჩავეტიეთ კატოსა და ლეიკოს მოზრდილი ჩემოდნებით ისე, რომ ლელი ჯაფარიძე იძულებული გახდა, ეტლის ფეხის დასადგომზედ გაჩერებულიყო.

დაიძრა ეტლი მძიმედ, მეეტლე რუსი ჯანჯლობდა, ლელიმ ხმა აუმაღლა, კინაღამ ხელითაც არ შეეხო.

თოვლდა, ქუჩები მთლად ცარიელი, ადამიანის შვილი არსად სჩანდა, დედაქალაქი თეთრ საბანში გახვეული დამშვიდებულ ძილს მისცემოდა. საშინელი სიჩუმე და სიწყნარე მეფობდა, საიდუმლოება ჯერ არავინ იცოდა. ჭრიჩუფალნიც არა სჩანდნენ, სასახლეს ჩვეულებრივი ყარაული აღარ ახლდა. ერთი სიტყვით დუკაცურებული იყო იმ ღამეს ჩვენი ქვეყანა.

სადგურზედაც ახალი იერის მატარებელნი, მოხელეები ისიც კანტიკუნტად თუ სადმე სჩანდნენ.

მატარებელი საცე იყო, წინა ვაგონში მთავრობა და დამფ. კრების მთელი შემადგენლობა და ყველა, ვისაც თბილისში აღარ ედგომლებოდა.

ჩვენთვის ალაგი არ იყო და სპირიდონს უნდოდა უკან გაბრუნება, მაგრამ შალვა მესხიშვილმა, მაშინდელმა სამართლის მინისტრმა, დაიძახა მატარებლიდან, "სპირიდონია მოსული თავისი ცოლშვილით და ეხლაეე უნდა ადგილი ვიშოვნოთო".

ვანო ჯაფარიძემ მოგვათავსა თავის ვაგონში, რომელიც უცხოეთის წარმომადგენელებისათვის იყო დანიშნული.

სპირიდონი ჩამომრჩა, არ ვიცი როგორ მოხდა, რომ შენი პატარა ჩემოდანი საცელებით დიდის სიყვარულით დამზადებული, ნაქარგი და ძალიან ლამაზი თამარასა და მისი დების მიერ, მატარებელში ასვლისას სპირიდონს ისე გამოაცალეს ხელიდან, რომ ვერ გაიგო და იმის ძებნაში იყო.

ამასობაში მე მარტო შვედი შენიანად, კუპეში დამიხვდნენ: აკაკი ხოშტარია, გრიშა ალშიბაია, ლენკო მალალაშვილი ცოლით და

გიორგი ორბელიანი; ჩემი ნახვა გაიოცეს, იკითხეს სპირიდონი და როდესაც გაუგებინე, რომ თბილისი დატოვებულია, მაგრამ ომი გრძელდება და ჯარი იხევს დასავლეთისაკენ, ფიქრობს მთავრობა სურამთან მისცეს ბრძოლა, არ დაიჯერეს; "ეს შეუძლებელიაო", მარწმუნებდა მხედარი მაღალაშვილი, "ეს არის ეხლა, ე. ი. რეა საათზედ დავტოვე ფრონტი ძალიან კარგ მდგომარეობაში და ასეთ პირობებში თბილისი როგორ ჩაბარდებოდა მტერსა".ო

მაგრამ როდესაც სპირიდონი შემოვიდა და ჩემი ნათქვამი დაადასტურა, საშინელი წუთები განიცადა ყველამ, ტიროდნენ, მალალაშვილი მოსთქვამდა: "ყველასათვის თბილისი ძვირფასია, მაგრამ ჩემთვის მით უფრო, რომ იქ ჩემი მამა-პაპის საფლავებიაო".

ეტყობა, მთავრობა ადრე იყო დაბინავებული პირველ ეაგონში, რადგან ამათ ეს არ იცოდნენ.

თერთმეტი საათის მაგიერად ღამის ორ საათზედ დაიძრა ჩვენი მატარებელი, შეთქმულება სჩანდა, ერთ ადგილას კინაღამ არ გადაიჩეხა, რადგან ზოგიერთი ნაწილი მატარებელს დაზიანებული ჰქონდა... გზაში თუ ყველანი სიჩუმეს ვარჩევდით, სამაგიეროდ გიორგი ორბელიანი მეტის მეტად მხიარულ გუნებაზედ სჩანდა. ისტერიკულად იცინოდა და მერე როგორ. ერთი პატარა ბიჭი, არ ვიცი ვისი იყო, ედგა ორბელიანს წინ და გამუდმებით ჰკითხავდა "რამდენი წლისა ხარო". ჰოდა ეს რვა-ცხრა წლის ბიჭიც ცუღლუტობდა და უპასუხებდა, ოცდაცამეტი წლისა ვარო. აი ამაზედ ჰქონდა ატეხილი სიცილი, ავადმყოფი ადამიანის შთაბეჭდილებასა სტოვებდა ეს ჭაღარაშერეული გიორგი ორბელიანი, ან იქნება ნასვამი იყო და მისთვის თბილისის დატოვება სიზმარში ნანახი ამბავი თუ იყო.

იმის ხარხარს მიემატა ლეიკოს ღრიალი, იქაურობა ფეხზედ დააყენა, კარებში მოაყოლა თითი და თითქმის ნახევარი ეს თითი სისხლში ჰქონდა გახვეული. კატო მოშორებით იჯდა და ჩვენკენ ზოგჯერ გამოიხედავდა, ამ ლეიკოს დაწყნარებაში კი აქტიურად იმოქმედა, იქვე იყო ლეიკოს ბიძა გრიშა ალშიბაია, ექიმი, ისე რომ კარგად მოუარეს ამ დაუყენებელ ცელქ ლეიკოს.

დილის შვიდ საათზედ მატარებელი რომ გაჩერდა, მგონი ეს იყო სამტრედიაში, ზღვა ხალხი დაგვიხვდა, მოსული ომის ამბების გასაგებად. მეხსიერებაში ჩამრჩა მათი სახეები, ზოგს სახეზედ კითხვა ჰქონდა ალბეჭდილი "წუთუ ეს მართალიაო", ზოგი კი დასვედიანებული ელოდებოდა დასტურს.

ოფიციალური პირები თბილისის დატოვებას არ ამყღავნებდნენ, რადგან ომი გრძელდებოდა და ფიქრობდნენ სურამთან მისცემდნენ ბრძოლას და იქ გარდასწყდებოდა ომის ბედიც.

ხალხს სიმართლე არ უთხრეს და დასტოვეს გამშრალი და ნაღვლიანი. ქუთაისის სადგურზედ დაგვხდა ტროფიმე ჯაფარიძე და თაეის ბინაზედ წაგვიყვანა. შეუძლებელი იყო ოტელში სადმე ოთახის შოვნა. ყველგან სავსე იყო.

ერთ ოთახში მოეთავსდით ეს ხუთი სული, ოთახი მთლად გაყინული, იმ ზამთარს იქ ცეცხლი არ იყო ანთებული. 6° მეტი არ

იყო, როდესაც შენ შიშველ-ტიტველი ერთი საბნის ამარა დაგაწვინე დასაძინებლად, შენი თეთრეული, ვინ იცის იმ ჟამად ვის ხელში ტრიალებდა. მხოლოდ მეორე დილით გიყიდეთ საცვლები და მოგასვენეთ.

იმ ღამეს სპირიდონის ფეხთ ეს ლეიკო დავაწვინეთ თავისი შეხვეული თითით, რასაკვირველია, ვერ ისვენებდა, ტიროდა, "ძია ფრიდონს ცივი ფეხები აქვსო, ისე რომ იმისმა ჩივილმა ვერც სპირიდონის ფეხები გაათბო და ჩვენც ძილი არ მოგვაკარა.

ამ ოჯახში გავატარეთ რამოდენიმე დღე, მაგრამ ვაი იქ ჩემ ყოფნას, ხშირად მეძახდა დიასახლისი, "გენაცვა, ეს ბავშვი მოგვაცილეთ, ძალიან გვიშლისო". მართლაც ეს ლეიკო ძალიან ანცი იყო, ამასთან შეხვეული ხელით თან ღრიალებდა, თუ უცბად წაკრავდა რასმეს, ხან კი საჭმელის გაკეთებას აღარ აცლიდა და მეორე ხელს შიგ უფათურებდა.

ამ ამბავში სახლში მარტოდ ერჩებოდი, სპირიდონი სულ გარეთ იყო, არც კატო რჩებოდა, ისიც სადმე მიდიოდა, ისე რომ ამ ორი ბავშვის მოლა ერთად ძალიან მეძნელებოდა.

კიდევ კარგი კატო თავისი ლეიკოთი მალე გაემგზავრნენ ზუგდიდისაკენ, ბევრი იტირა სპირიდონს რომ ეთხოვებოდა, ძალიან სთხოვდა, ჩვენც წავსულიყავით მასთან ერთად ზუგდიდში, მაგრამ სპირიდონმა უარი უთხრა.

ჩვენ მასპინძელს ჰქონდა სახლში ტელეფონი, თავისი ხელით გაკეთებული. კედელზედ ეკიდა მოზრდილი ხის ყუთი, რასაც ხელის დასატრიალებელი იქვე ახლდა. ჰო და როდესაც მოინდომებდა დალაპარაკებას, ამას დიდხანს ატრიალებდა და არაბრახებდა. ამ საშუალებით, თუმცა ძნელად დღეში რამოდენიმეჯერ უერთდებოდა გელათში მიტროპოლიტების კაბინეთს.

ამნაირად ეს პატრიოტი კაცი აგებინებდა გელათს ომის უიმედო ამბებს, დანარჩენ დროს მისი ბინა სიჩუმეში იყო გახვეული.

აქედან ჩვენ მალე გადავედით ოტელში, ინჟინერმა სტურუამ თავისი ოთახი დაგვითმო.

ოტელში ჩვენს გვერდით ვეშაპელის ცოლი, მწერალი ქალი "განდეგილი" ფილტვების ანთებით ლოგინში მწოლარე მარტოდმარტო ჩემი საზრუნავი გახდა. მისი ქმარი გრიგოლ ვეშაპელი ფრონტზედ იყო წასული.

სპირიდონს ჩვენთვის არ ეცალა ისე, რომ ამ ოტელში მე და გვერდით ეს მძიმე ავადმყოფი. შენი მოვლაც ძალიან გაძნელებული იყო, რადგან თბილი წყალი არა გექონდა და შენი გაბანება ვერ ხერხდებოდა.

ერთ დღეს მეშველა, როდესაც კარები შემომიღო თორნიკე ლაღიძემ, რომელსაც ბიჭიც ახლდა, მომიტანეს შენთვის რაც საჭირო იყო, პატარა აბანო და ამასთან ერთად ღვინოები, შაქარი და სხვა, მის მშობლებს ეზრუნათ ჩვენთვის.

სხვა მხრიდანაც მოგვივიდა მოსაკითხი, ღორის ბარკალი, სახლში გამომცხვარი ღვეზელი და სხვა. ერთის სიტყვით მამაშენს ბევრი სიყვარული, ყურადღება ჰქონდა საქართველოში.

ომი ვითომ გრძელდებოდა, მაგრამ ჯარს აღარ უნდოდა ბრძოლა, სახლისაკენ იწევდნენ, გამართული იყო ფრონტზედ მიტინგები.

სპირიდონმა რომ სცადა მათთან გამოლაპარაკება, უიმედოდ დაბრუნდა, აღელვებული ამბობდა; "სულ დასახვრეტია ეს ხალხიო".

ამათ ვერ აიღეს მაგალითი ტაბახმელაზედ მებრძოლ სამხედრო სკოლის იუნკრებისა, რომელნიც თავგანწირულად იბრძოდნენ ორი კვირის განმავლობაში და საშვილიშვილოდ დაიმახურეს ერის მადლობა და თაყვანება...

ბოლშევიკები უახლოვდებოდნენ ქუთაისს, იქ მთავრობამ უკანასკნელად მოიწვია დამფუძნებელი კრება, სადაც პირველი მინისტრი რამიშვილი ირწმუნებოდა, რომ ერთ სამ თვეში ჩვენ თბილისში დავბრუნდებითო.

ამ კრებაზედ სპირიდონის ნათქვამი გადმომცა, ილიკო ფანცხავამ, კომუნისტმა, რომელიც დასწრებია ამას, რასაკვირველია, არალეგალურად, ჩვენ სკოლაში იყო მასწავლებლად.

სპირიდონის ნათქვამს ეხლაც ალბათ ბევრი იგონებს.

მინისტრ რამიშვილისათვის გაცეცხლებულ მამაშენს უთქვამს: "ღმერთმა გვარგუნა ეს ჩვენი დამოუკიდებლობა და ისე, რომ თქვენ არამც თუ იბრძოლეთ და სისხლი დაპლვარეთ ამისათვის, პირიქით წინააღმდეგნიც კი იყავით, ამას ისე მოუარეთ, რომ შემოსულ მტერს ოქროს სინზედ მიართვით; ქვეყნის დასაცავად ჯარი არ შეჰქმენით, პარტიის მცველად კი გვარდია გაიჩინეთ ეხლა ლაპარაკობთ თბილისში დაბრუნებაზედ, სამი და ექვსი თვე კი არა, იქნება ბევრი ასეული თვეებიც გაივიდეს, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ეულარა ვნახოთო".

დიდი აღელვება იყო თვით ს. დემოკრატებში. მთავრობის შეცდომებზედ ისინი ახდილად ბევრს ლაპარაკობდნენ და ქვეყნის უბედურების აეტორად მასა ჰსახავდნენ.

ივანე გომართელი ცნობილი ექიმი, მიმართულებით ს. დემოკრატი გამწარებული სპირიდონს ელაპარაკებოდა; "თუ გველირსა თბილისში დაბრუნება, თქვენ ეგენი ისე უნდა დაანგრიოთ, რომ მათი სახსენებელიც აღარ იყოსო".

იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მთავრობამ გარდასწყვიტა ცხენოსან ჯარის შექმნა და ამ მიზნით უნაგირების ძებნას აწარმოებსო.

ვიცი, რომ მიმართეს დავით ჭავჭავაძეს, წინა ომში დიდ დამსახურებულ მხედარს, ნიკოლოზის მთავრობის მიერ ოქროს იარაღით დაჯილდოებულს, შესთავაზეს თვეში ათი თუმანი ამ საქმის მოსაგვარებლად. მისი პასუხი იყო, რასაკვირველია, უარყოფითი, რომ ასე უეცრივ ცხენოსანი ჯარის შედგენა მან არ ჩასთვალა შესაძლებლად და რაც შეეხება ჯამაგირს, ამაზედ უპასუხა, "რომ ქურდობა არ შემიძლიან და ათი თუმანი კი ჩემთვის არ არის მისაღებიო".

ქუთაისშიეე ბევრმა იფიქრა თავის პირად ცხოვრებას გასძღოლოდა, რადგან თითქმის იმედი აღარავისა ჰქონდა, რომ ცა გაიხსნებოდა და ომი ჩვენ სასარგებლოდ დასრულდებოდა.

ჩვენთან ოტელში მოვიდა ეროვნულ დემოკრატი, სენატორი ივანე ზურაბიშვილი, სპირიდონთან თხოვნით იყო მოსული; "ვიცი, რომ თქვენ წახვალთ, გთხოვთ, მიშუამდგომლოთ მთავრობასთან და ზოგიერთ გაელენიან პირებთან, მე გამაყოლონ ისტორიულ ნივთებს. მოსავლელად ევროპაში"ო.

— მე არსად მივდივარ, უპასუხა სპირიდონმა, ამ ლაპარაკს შემოესწრო ჩვენი სახელმწიფოს კონტროლიორი, ფილიპე გოგიჩაიშვილი.

სტუმარმა განაგრძო: "რომ მოვახერხო მარსელში ჩაყიდე, იქ ტვირთის ზიდვას დავიწყებ, როგორა ფიქრობთ, სიმძიმეს შეეძლებ, რომ ზურგით ვატაროვო."

საწყალი ძალიან შეწუხებული და შეფიქრიანებული იყო. აბა მამაშენი რა რჩევას მისცემდა, ის გაოცებული იყო, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ილუპებოდა, ყველანი თავიანთ პირად ცხოვრებით იყვნენ გართულნი. მაგრამ, ჩემო სპირიდონ, ეს ხომ მთლად ბუნებრივია, რომ ოჯახის პატრონს გაჭირების დროს ამოქმედებს ერთგვარი მოვალეობა და პასუხისმგებლობა თავის ცოლშვილის მიმართ. შენ კი ოჯახი ანაცვალე განყენებულ, წმინდა სუბიექტიურ სულიერ განწყობილებას, როგორც მაშინ ისე შემდეგაც, შენი დევიზი იყო: "სხვისთვის ყველაფერი, ოჯახისათვის არაფერი". სამწუხაროდ მეც ვიზიარებდი ამას, არცერთხელ არაფერი მოგთხოვე, ამიტომ ჩვენ შვილს ყველაფერი დაეკელით. შვილების დაბინავებაში ყველამ გეაჯობა, თეოს ჭერიც ვერ მიეცით.

წავიდა ივანე ზურაბაშვილი გულნატკენი, დარწმუნებული, რომ მისი თხოვნა უყურადღებოდ იქნებოდა დატოვებული; სპირიდონი მას ვერ დაეხმარებოდა იმიტომაც, რომ ამ ჩვენ ისტორიულ ნივთებს მისდევდა ევროპაში ნამდვილი ჭირისუფალი ექვთიმე თაყაიშვილი.

ნუთუ ეს იყო მიზეზი, რომ ზურაბაშვილის ოჯახი ამის შემდეგ ალმაცერად იყო განწყობილი ჩვენ მიმართ, სულ ბოლო დრომდე. ვერც მისი შვილები მოლბნენ.

ქუთაისში სპირიდონი სწუხდა, რომ ძალიან შეკეტილი ვიყავი შენს გამო, ერთ დღეს დამარწმუნა, რომ შეიძლება ერთი საათით შენი დატოვება, რომ ძილში იქნები, არაფერი დაგიშავდება, რესტორანში წავიდეთ, იქ ვისადილოთო. მეც გავყევ, იმედი მქონდა ერთი გოგოსი, რომელიც ბოლო დროს ეეშპელის ცოლს უვლიდა. იმასა ვთხოვე, თუ ტირილი შემოესმა, დაგხედოს.

რესტორანში დიდხანს არ დავრჩი, იქ მომესალმა მსედარი ვანო ჯანდიერი, შემაწუხა მისმა ნახვამ, არ ვიცოდი, როგორ დამეჭირა თავი იმ საცოდავთან, რომელმაც ჯერ არ იცოდა თავისი შვილი ოსიკას უბედურება, ის იყო ტაბახმელაზედ მოკლული, სამხედრო სკოლის ერთერთი მსხვერპლი.

მალე დაგიბრუნდი, გენაცვალე, რომ შემოველი და დაგხვედე, გული გამისქდა, მთლად უფერული, დასუსტებული, ომგადახდილი, ტუჩებზედ დარჩენილი სისხლით ჩაგძინებოდა, ერთი სიტყვით სიცოცხლის ნიშნები აღარ გემჩნეოდა.

გოგომ მიამბო, რომ ძალიან იტირა თქვენმა ბაეშმა და მე დავაშშვიდეო. ვაითუ ამ თორმეტ ცამეტი წლის გოგომ თავისებურად მოგიარა, იქნება კიდეც დაგახეთქა ძირს, ან იქნება ისე გაჯანჯღარა, რომ პირიდან სისხლი ამოგივიდა. რა ვიცი, რა არ ვიფიქრე, მაშინათვე ექიმები დაგხვიეთ, ვერაფერი მითხრეს, იქნება ეს პირიდან ამოსული სისხლი მათ არ მოეწონათ, ამიტომ სიწუმე არჩიეს. პირში შევცქეროდი, დამამშვიდეს, ნუ გეშინიათ, არაფერია, კარგად იქნებაო.

ძლივს მოგიყვანე საჩვენოში, ჩემო ძვირფასო შვილო, ჩემო თეო. ამ დროს ოტელში დიდი მოძრაობა იყო, სთქვეს, რომ ქუთაისს ბოლშევიკები უახლოვდებოდნენ, მთავრობა იხვედა ბათუმისაკენ, ჩვენც ეტოვებდით ოტელს; როდესაც შეველი ავადმყოფ ვეშაპელის ცოლთან, ტირილით დამილოცა გზა და ანდერძიც დამიტოვა; "ვიცი რომ თქვენ ევროპაში წახვალთ, ძალიანა გთხოვთ, ჩემ ქმარს გრიგორს უპატრონოთ, საწყალი კაცია, ეგ თავს ვერ მოუვლის და შიშშილით მოკვდებაო".

სადგურზედ წასასვლელად, აქაც ისევე როგორც თბილისში, ეტლი ძნელად იშოვებოდა. შალვა მესხიშვილს, მაშინდელ სასამართლოს მინისტრს ეშოვნა ეტლი და ჩვენც შემოგვთავაზა სადგურზედ ერთად წავსულიყავით. ის იყო მიმართულებით ფედერალისტი, მაგრამ სპირიდონის პატივისმცემელი დარჩა ბოლომდე.

ოტელიდანვე ჩვენ აგვედევნა ერთი პატარა ქონდრის კაცი, რომელსაც ხელში წიგნების დიდი შეკვრა ეჭირა და ფეხდაფეხ მოსდევდა ეტლს. შალვა ეჩხუბებოდა, რას ჩაგვაციედი, ხომ ჰხედავ, ადგილი არა გვაქვს, რომ შენც ჩაგსვათ, ტყუილად მოძუნძულებო.

მაგრამ ის მაინც განაგრძობდა მოკლე მოკლე მანძილზედ ჩვენთან ახლო ყოფნას და იმდენად, რომ ერთად მივედით სადგურზედ და როდესაც მატარებელში ავედით, წინ მეჯდა ეს რუსის ებრაელი.

ვინ იყო, ან სად მიდიოდა, ბათუმში მისი კვალი აღარ გვინახავს. სადგურიდან ვასო მგალობლიშვილმა თავის ბინაზედ წაგვიყვანა და იქ დავრჩით, ვიდრე თბილისისაკენ გზები გაიხსნებოდა.

ვასო იყო ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის თვალსაჩინო წევრი, ძალიან აქტიური. გარეგნობით, ჩაცმა დახურვით ნამდვილი ევროპელი. კარგი პიროვნება, საყვარელი ადამიანი, ხელგაშლილი, ამავე დროს მხიარული, კარგი მომღერალიც.

იმაზედ ვჩერდები, გენაცვალე თეო, რადგან ჩემს ცხოვრებაში ის იყო, რომელზედაც ეყრნდნობოდა ჩვენი ე. ი. ჩემი და შენი აწეწილი და უსიამოვნო ცხოვრება. მამას გადასახლების შემდეგ, მთელი მისი ოჯახი თავს დაეტრიალებდა, როგორც მახლობელი და ბევრი სიმწარე გამიქარვეს ამ მგალობლიშვილებმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი დღეები ბათუმში

ბათუმში, როგორც გითხარი, ჩვენ ე.ი. მამა, მე და შენ პირისფერ სახანში გახვეული ვასო მგალობლიშვილმა თავის ბინაზედ წაგვიყვანა.

მისი მეუღლე ლილი წულუკიძის ასული, მოხდენილი, მოელილი, ისიც, როგორც მისი ქმარი უფრო ევროპიელსა ჰგავდა, ვიდრე პროვინციაში მცხოვრებს, ცუგრუმელა ლილი გულახდილად დაგვიხვდა. მისი პატარა ბიჭი სამი-ოთხი წლისა, მამას უფრო ჰგავდა თავის ლამაზი ქერა ქოჩორით და დიდი ლამაზ ლურჯი თვალებით, ეს პატარა ოთარი, ვიდრე დედას.

ამათთანავე ცხოვრობდნენ ლილის მშობლები. თუმცა ბინა პატარა იყო, მაგრამ იმ დღეებში დიდძალი ხალხი ტრიალებდა. ჩვენს გარდა იქ ჩამომხტარი იყო სენატორი ვალოდია ჭუთათელაძე, თავისი ცოლით. ხშირი სტუმარი იყო დათიკო შარაშიძე, და ბევრი სხვა. დასხვა მიმართულების ხალხი მიდიმოდიოდა, მეტადრე მაშინ, როდესაც მტერი კარებთან იყო მოსული.

ეს ხალხი ამ ბინაზედ თავმოყრილი სიჩუმეში იყო ჩაფლული, თუ ვინმე ხმას ამოიღებდა, ეს იყო მთავრობის მიმართ გადასროლილი მწარე საყვედური.

მეტ წილს გარდაწყვეტილი ჰქონდა საზღვარგარედ წასვლა, სპირიდონთან ხან ერთი მოდიოდა, ხან მეორე, არწმუნებდნენ, რომ საჭიროა, ზომები მიიღოს, რომ ყველანი დამშვიდებულად მოეწყვნენ ამა თუ იმ გემზედ.

არავის ამის შესახებ მამა პასუხს არ აძლევდა და ალეგებულიც კი იყო, რომ ამ მძიმე მომენტში ხალხი მხოლოდ გაქცევაზედ ფიქრობს.

ბათუმში კი ვნახე საქართველოს დასაფლავება და ნამდვილი ქელეხი. ზოგი შაქრის ტომარით დატვირთული, ზოგი ქსოვილებისა და წინდების ნაკრაულით რომ მიეშურებოდნენ ამ საქონლის დასაბინავებლად.

ერთი სიტყვით დავიწყებული იყო საერთო უბედურება და ეს ხალხი ყოველდღიურ ცხოვრებაში იყო დახურდავებული.

გვითხრეს, რომ გიორგი გვაზავა მძიმე ავადმყოფი ქალაქგარედ თავის ძმის სახლში წევსო. წავედით მის სანახავად და მართლა ცუდს მდგომარეობაში ვნახეთ, თითქმის უიმედოთ.

რამდენიმე დღეში ეტლი გაჩერდა. სპირიდონი გასული იყო. ჩემ წინ ეტლში ეს მძიმე ავადმყოფი, გაფითრებული გიორგი გვაზავა იჯდა, მელაპარაკებოდა: "გზაში ხომ მიპატრონებთ, ხომ მომიელით, რომ წამოვიდეო". ისიც დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ პირი ევროპისაკენ გვქონდა ნაქცევი.

ვერ დავაჯერე, რომ სპირიდონი არსად აპირებს წასვლას. სწორედ მამას წინადადებით იყო, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტმა დაადგინა საქართველოში დარჩენა.

ბათუმში სპირიდონთან მოვიდნენ ქართველი მხედრები, სუსლიკა ანდრონიკაშვილი, ჩრდილელი, *ორი გვარდიელი*, სხვების გვარი არ მახსოვს, ესენი აპირებდნენ მთავრობის დატუსაღებას და ზოგიერთის მოსპობასაც კი. სპირიდონმა ეს ხალხი გააჩერა. "დღე წავიდნენ ცოცხლები სადაც უნდათ, არავითარი ტერორი ჩვენთვის მისაღები არ არისო".

ეს ახალგაზრდები წავიდნენ ალბად გულნაკლულები.

ჯერ კიდევ მთავრობა ბათუმში იყო და ვიდრე გემზედ ავიდოდა, რომ მოვიდა თბილისიდან ბოლშევიკების მიერ გამოგზავნილი დელეგაცია მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, ესენი იყვნენ მიხაკო წერეთელი, გერონტი ქიქოძე და თედო ღლონტი.

ამათ შუაკაცობამ ჩვენ საზოგადოებაში დიდი აღელვება გამოიწვია, რამიშვილი, პირველი მინისტრი იმუქრებოდა. მაგათ ყველას დაუხვრეტამო. მაგრამ ყველანი სამშვიდობოს გავიდნენ.

მიხაკო დასუსტებული და შეშინებული ძლივს მოიყვანეს გემამდე, ჩაჯდა და ევროპისაკენ წამოვიდა, თავს იმართლებდა, რომ თუ ამ მისიას არ შეასრულებდა, სხვანაირად ბოლშევიკების კლანჭებს თავს ვერ დააღწევდა.

დელეგაციის ორი წევრი კი უკან გაბრუნდა, იმათ არავინ დაელაპარაკა. ამ ამბავში ოსმალეთმა ბათუმის კარები შემოალო, მე და ვანდა ღამბაშიძე ფანჯრიდან ვუყურებდით მათ სვლას, ვანდამ კიდეც იტირა; "საწყალი საქართველო, ხან ერთი მტერი ესხმის, ხან მეორეო".

ამ თურქების მიმართ ნაროლი ქართული ტყვია, შენს თავზედ გადმოსროლილი, ჩემ საბედნიეროდ, აგცდა. ჩვენი ბინა ვასო მგალობლიშვილისას სწორედ ფოსტის პირდაპირ იყო, რომელსაც ჩვენი ჯარის ნაწილი იცავდა, როდესაც შემოსული ოსმალოს ჯარი ამ ფოსტის აღებას ლამობდა, იქიდან ძალაუნებურად ზუზუნით ტყვიები ჩვენ სახლს ეცემოდა, შენ იწექი ფანჯარასთან და ერთმა ტყვიამ მორიდებულად გადაგირბინა და პირდაპირ კედელს ეხალა. მე კარებში ვიდექი გაშეშებული და ადგილიდან ვერ ვიძვრებოდი. მამა იქ არ იყო.

პატარა ხანს უკან ყველანი შევგროვდით და შეშინებულები სიჩუმეში შევცქეროდით ერთმანეთს, ტყვიები ეხეთქებოდა კედლებს.

მეორე დღეს მოვიდა გრიგოლ რცხილაძე სოც. ფედერალისტი და მოიტანა სპირიდონისათვის ნოე ჟორდანიას წერილი უკვე გემიდან გამოგზავნილი. რომელიც მოშორებით იდგა.

"ბატონო სპირიდონ, თქვენ არ მოინდომეთ ევროპაში მინისტრის პორთეველით წამოსვლა, გთხოვთ, წამოხვიდეთ თქვენის ცოლშვილით როგორც კერძო პირი, გემი გიცდით საღამომდეო". საუბედუროდ წერილი არა მაქვს შენახული... მამა არ იყო სახლში, გიგომ გადმომცა ეს წერილი და თან მკითხა, რა აზრისა ვარ, თანახმა ვიქნები თუ არა, წავიდეთ ევროპაში.

ჩემი პასუხი იყო შემდეგი; "წუხანდელმა სროლამ ისე შემაშინა, რომ თანახმა ვარ, ამ ზღვაზედ ფეხით წავიდე, მაგრამ თუ სპი-

რიდონი ჟორდანიას მთავრობას გაჰყვება, ჩვენ შორის ყველაფერი გათავებული იქნება".

— მე კი ჩემი ცოლი სულ სხვას მეუბნება, იმას ძალიან უნდა ჩვენც წავიდეთო. შეფიქრიანებულმა მითხრა ეს გიგომ და წავიდა.

სპირიდონს რომ გადაეცი ჟორდანიას წერილი, წაიკითხა, გადახია და უპასუხოდ დასტოვა.

მართლა უკანასკნელ დროს, ამ მომენტში სპირიდონს შესთავაზეს კრებაზედ სამხედრო მინისტრის პორთეელი, სადღა იყო მაშინ ან ჯარი ან რაიმე ამის მსგავსი.

რასაკვირველია მამამ უარი უთხრა.

ეხლა კი ვხედავ, რომ ამ მინისტრობას ემიგრაციაში დიდი ფასი მიეცა და ურიგო არ იქნებოდა ჩვენთვის არაა? ბოლო დრომდე დამშვიდებულად ვიცხოვრებდით მატერიალურად და მტერიც არ გვეყოლებოდა სწორედ ამ ჩვენი მთავრობის მხრივ, რომელიც ყველა საშუალებას მიმართავდა, რომ შენ სპირიდონ, გარიყული ჰყოფილიყავი. რა არ დაგწამეს, რა არა სთქვეს, რომ შენიანებიც კი ჩამოგაშორეს, რასაკვირველია მხედველობაში მყავს შენი პარტიის თანამშრომელნი. აი ასე ველაპარაკებოდი სპირიდონს აქ ემიგრაციაში.

იმ დღეებში შემთხვევით შემხვედა ჩემი ძმა ლელო, ეკითხე, სად არის ან რას აკეთებს ბათუმში, იმან ჩემგან გაიგო, რომ მთავრობა წასულია და ყველაფერი გათავებულია.

გაიოცა, და მიამბო, რომ არტილერია მის ანაბარას იყო დატოვებული, თუმცა იგი საპიორი, თურმე ზარბაზნებს უშენდა შემოსულ თურქებს.

ნამდვილი საგიჟეთი, ნამდვილი!!

ლელოს ამ ომის განმავლობაში ორჯერ მოუხდა სხვისა საქმის გაკეთება.

პირველად თბილისთან, როდესაც წითელ ხიდთან მან თავი მოუყარა დაფანტულ ჯარს, რომელიც შეშინებული რუსული ცხენოსან ჯარის დანახვით დაიბნა, იარაღი დაყარა და მირბოდა უგზოუკელოდ.

ლელომ დაჰყვირა, "დედა შეერთოს ცოლადა", ვინც სამშობლოს უღალატებსო.

ამათ საშუალებით მტერს აჩვენა, რომ ნელნელა იხევს, მოწინააღმდეგემ წარმოიდგინა, რომ მისი შეტყუება მოინდომეს ქართველებმა, ცხენოსანმა რუსის ჯარმა დაიხია, ამნაირად მათი შემოსვლა დაგვიანდა ორი-სამი დღით.

ეს ეპიზოდი გაგონილი მაქვს გიორგი კვინიტაზისაგან, რომელმაც თურმე დაურეკა ტელეფონი ლელოს, რომელიც ჯერ კიდევ წითელ ხიდთან იმყოფებოდა და გააგებინა, რომ სასწრაფოდ იქიდან წამოსულიყო, რადგან საშიშროება ელოდდა.

მთავარ შტაბში იმ უკანასკნელ დღეების განმავლობაში ლელოს ქებაღა ისმოდა.

დაღონებული დამცილდა ჩემი ძმა და გზების გაბნინებას ისიც თბილისისაკენ გაემგზავრა.

ჩვენ წრეებში დიდი გლოვის ზარი იყო, სევდით მოსილნი, უიმედობით შეპყრობილნი სიჩუმეს ვარჩევდით, სიტყვას ადგილი აღარა ჰქონდა.

აქ მაგონდება ვასოს პატარა სამისა თუ ოთხი წლის ოთარი, რომელიც ოთახებში ჯოხის ცხენზედ მჯდომი დააჭენებდა და თან მღეროდა; "მიედიავართ, მიედიავართ, ქართველნი, მიედიავართ "("ჯორის") ე.ი. " ბრძოლის ველზედა".

მისი დედა ლილი, წაალებდა ქერა თმიანს ქოჩორში ხელს და თრევით გაჰყავდა ოთახიდან ეს ერთგული ჯარის კაცი, ჩვენ კი ამ ბავშვის ნათქვამი ცეცხლს გვიკიდებდა, რადგან აღარც ომში იყო წასასვლელი და აღარც ჯარი იქით მიმავალი.

თბილისის დატოვების შემდეგ, როგორც გითხარი, მთავრობას იმედი ჰქონდა, გარდამწყვეტი ბრძოლა სურამთან მიეცა, მაგრამ იქ ჯარი აღარ ვაჟკაცობდა.

გამართული ჰქონდათ მიტინგები, სადაც ორატორები ჯარს სახლში დაბრუნებას ურჩევდნენ, ეს ელემენტი, მთავრობის ნებიერი გვარდიელები იყვნენ.

სანდრო დიასამიძე, ექიმი, რომელიც დაჭრილებს უვლიდა, ჩიოდა, "ნაბრძანებია, თუ როგორ უნდა ეკეთებოთ ეს ხალხი, გვარდიელს უნდა თეთრი პური მივცეთ, მხოლოდ ჯარის კაცს შავი, ამნაირად დანარჩენი საჭმელიც ასე უნდა იყოს მიცემული."

საერთოდ სანოვაგე ძალიან იშვიათად თუ იშოვნებოდა, ვასო ეხვეწებოდა სპირიდონს წითელი ჯვრის საშუალებით ცოტა ან პური ეშოვნა ან რძე, მაგრამ ვერა და ვერ იქნა, სპირიდონი სიმშილს არჩევდა, ვიდრე წასულიყო და ჯერში ჩამდგარიყო, რომ როგორმე რამე ეშოვნა.

მე კი დიდი მადა მქონდა, რადგან შენ ძუძუსა სწოვდი.

ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო, აუტანელი ხდებოდა ჩვენი იქ ყოფნა, მასპინძლები შეწუხებულნი იყვნენ, იმათზედ კიდევ მეტად ჩვენ.

ვასოსთან ჩვენს გარდა თავისი ცოლით იყო სენატორი ქუთათელაძე, სოც. დემოკრატი, ოჯახში ტრიალებდა დაუზარებლივ ვასოს სიდედრი მიშა წულუკიძის ცოლი, ცდილობდა ჩვენთვის როგორმე სადილი მოემზადებინა, მაშინ როდესაც საამისოდ საკუჭნაო არ იყო მზად და მთლად ცარიელი უხვდებოდა ამ ხელბარაქიან ქალბატონს.

მისი მეუღლე ძველი, ნებიერი თავადი დღის განმავლობაში უჩუმარი, საღამოს შვიდ საათზედ ენერგიულად ხელგაშლილი იდგა ცოლთან, ფულსა სთხოვდა სინემისათვის, ამნაირად თავს აღწევდა ამ თავმოყრილ ხალხს, რომელიც მისთვის სულ მთლად უცხო იყო.

მარტის დამლევს გამოვეთხოვეთ ჩვენს ძვირფას მასპინძლებს და პირველი მატარებელი, რომელიც თბილისისაკენ მიდიოდა, ის აყოლეთ.

ჩვენთან ერთად კუპეში მოთავსდა ფილიპე გოგიჩაიშვილი თავის ცოლშვილით. ჩვენს კუპეში უცბად შემოვიდა რუსის მხედარი

და დაიწყო ჩვენი მთავრობის ლანძღვა; "კარგია რომ ეს ბატონები სამუდამოდ მოშორდნენ აქაურობას, რასაკვირველია, დიდხანს ვერ აიტანდა ხალხი მათ მმართველობას, ამიტომ იყო, რომ ქართველები აჯანყდნენ და მათი თხოვნით და მუდარით რუსეთის ჯარი შემოვიდა ქვეყნის საკეთილდღეოთაო."

ამ კაცის ლაპარაკს ფილიპე გოგიჩაიშვილი გაჩუმებული ყურს უგდებდა, მაგრამ სპირიდონმა მალე ჩაწყვეტინა ხმა: "რასაც თქვენ ამბობთ, ეს მთლად მოგონილი ამბავია, ხალხი არც აჯანყებულა და არც თქვენთვის უთხოვნია ჯარის შემოყვანა. ჟორდანიას ხმა მისცა მთელმა საქართველომ და მის წინააღმდეგ როგორ წაიდოდა და აჯანყებას მოუწყობდაო".

ეს რუსი დარცხვენილი კუპედან გაიდა, მას სათქმელი არაფერი ჰქონდა. ფილიპე მოუბრუნდა მამას; "სპირიდონ, მხოლოდ შენ შეგეძლო ასეთი ლაპარაკი, მე ამას ვერ შევძლებდიო".

მამამ უპასუხა: "მაგ არამზადას, მაგ ციგანს როგორ შევარჩენდი ჩვენი თავის მოჭრას და შეურაცყოფასაო".

როგორც ჰხედავთ, ჩემო თეო, მამა საუკეთესო ექილი აღმოუჩნდა ნოე ჟორდანიას და მის მთავრობას, როდესაც თვით ს. დემოკრატები მას აღარ ინდობდნენ, მეც კი გაოცებული ვიყავი, სპირიდონის ლაპარაკით.

გზაში ფილიპე ლაპარაკობდა იმაზედ, რომ მთავრობა კარგა ხანს იქნება დამშვიდებული და უზრუნველყოფილი მატერიალურად, ევროპაში დიდი ქონებით არის წასულიო, მახსოვს, სხვათა შორის მისი ნათქვამიდან, რომ სამოცდაათი ფუთი ქინაქინა წამოიღო მთავრობამ ევროპაში, ეს არ მომეწონა. ... გაუგებარიც იყო, ეს მალარიას წამალი რაში გამოადგებოდათ ევროპაში?

ჩვენი თბილისში დაბრუნება და ბოლშევიკების რეჟიმი

ცრემლით დაქანცული თბილისი წვიმიანი და ღრუბლიანი დაგვიხვდა. სადგურზედ ერთი ცხენის ურემი ძლივს ვიშოვნეთ, შიგ ჩავსხედით მე და ელიჩკა ჩვენი ბავშვებით, ფეხდაფეხ ფილიპე და სპირიდონი მოგვდევდნენ. რომ მაგონდება მათი იერი, ასეთებს დასაფლავების პროცესიაში თუ ნახავდა ადამიანი.

ჩემ ბინაზედ რომ მიველით, ჩემი ძმა ლელოს ოჯახი დამიხვდა, დაერწმუნებინათ, რომ ჩვენ ბათუმიდან საზღვარგარეთ წავედით, ამიტომ თავიანთი პატარა ბინა ანიკოს თავის დეიდისა და ბებოსათვის დაეთმო და თვითონ თავისი ბარგით ჩვენს ბინაზედ გადმოსულიყო.

დაერჩით ჩვენ უბინაოდ და შევუდექით ამის ძებნას. დედა ჩემი გადასული იყო ირაკლისთან, ჩემი ნახვა მისთვის მთლად მოუ-

ლოდნელი იყო და ამიტომაც სიხარულთან ერთად ცრემლებს დიდხანს იწმენდადა.

მიამბეს, თუ როგორ განიცადა ყველამ ბოლშევიკების შემოსვლა. ყველაზედ საგრძნობი ყოფილა ის დემონსტრაცია, რომელიც ქართველობას მოუწყვია, ეს ყოფილა მართლა და ერის ჭრილობების ნამდვილი სურათი.

კოჯორიდან ჩამოსვენებულ გმირთა ორმოც კუბოს მისდევდა შავი დროშით სიჩუმეში გახვეული ხალხი, რომელიც უკანასკნელ წუთს ეკლესიის ეზოში დაიჩოქებს ამ ძვირფას გარდაცვალებულთა წინაშე.

ესენი იყვნენ სამხედრო სკოლის იუნკრები, რომელნიც მართლა და ვაჟკაცურად ემსახურნენ თავიანთ სამშობლოს.

ამ მძიმე წუთებს უერთდებიან და ყველასთან ერთად ისინიც მუხლს იდრეკენ, რომელნიც წინა დღით ცხენებზედ მსხდომნი საქართველოში და სახელდობრ მის დედაქალაქში რუსის ჯარს შემოუძღვნენ, ესენი როგორც მახსოვს იყვნენ ორჯონიკიძე, ელიავა და სხვანი.

· ჩემ ბათუმში ყოფნისას ერთ ბოლშევიკს, მასწავლებელ სტაუიცკის წინადადება შეუტანია, რომ პედაგოგიურ საბჭოს ჩემი მოადგილე სხვა ვინმე დაენიშნა, მაგრამ მტკიცე უარით გაუსტუმრებია ეს ყმაწვილი და ჩემი მისვლა მასწავლებლებს სასიამოვნოდ დაურჩათ.

გიმნაზიაში ბევრი რამ იყო შეცვლილი, თუმცა ძველიც ჯერჯერობით არ იყო მთლად არეცხილი.

მე გარდაწყვეტილი მქონდა, რომ საპასუხისმგებლო ადგილზედ უარი მექთია და გაკვეთილებზედ გადავსულიყავი; ეს კონიაშვილს არ უნდოდა, მითხრა, რომ "თუ თქვენ წახვალთ, მეც ალარ დარჩები აქაო, ჩვენ ერთად დაეტოვებთ ამ სამსახურს, ჯერჯერობით კი გთხოვთ დარჩეთო.

მე მაინც შევიტანე განათლების კომისართან ამის შესახებ თხოვნა, მაგრამ უარი მითხრეს, მაშინ კომუნისტებს კადრი არა ჰყავდათ, თორემ სხვანაირად მათი უარი გაუგებარი იყო.

ექვსი თვის შემდეგ კი თავი გავინთავისუფლე.

ამ ხნის განმავლობაში ერთ დილით გიმნაზიაში მისულს, უცხო ქალი მომეგება, რომელმაც მთხოვა, ინვენტარი ჩამებარებინა, დღეიდან გამგედ აქ მე ვარ დანიშნულიო". ძალიან შინაურულად დაჰპატრონებოდა იქაურობას. მეუცნაურა ეს ამბავი, რადგან ჩვენ ე. ი. მე და კონიაშვილს ამის შესახებ არავითარი ცნობა, ოფიციალური მიღებული არა გვქონდა.

ავხედ-დავხედე და ეკითხე, რომელი სასწავლებელიდან მოდის, დავრწმუნდი იმაში, რომ მოსულია აქ უფრო პოლიტიკური მოსაზრებებით, აქტიური პარტიის მომუშავე სჩანს, გავიოცე, მისი ამ თანამდებობაზედ დანიშვნა, რადგან საამისოდ მას არც ცოდნა ემჩნეოდა და არც გამოცდილება.

ჩემი აზრი კომისარს გავაგებინე, იმან გაიოცა ამ ქალის ჩემთან გამოცხადება და მთხოვა კიდევ დარჩენა, მაგრამ მე ავუხსენი,

რომ ბაეშვის პატრონი ვარ და ჩემი მეულლე კი ძიძის როლში სუსტია.

მაშინ კომისარმა მთხოვა, ჩემი კანდიდატი წარმედგინა, ამნაირად ჩემს შემდეგ გამგედ დაეანიშვნინე ჩვენი გიმნაზიის გეოგრაფიის მასწავლებელი, ელენე ლომთაძე, რომელსაც უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული.

მე გაკეთილებზედ გადაველი, რასაკვირველია, სხვაგან, სხვა სასწავლებელში. ბევრმა სკოლის გამგემ შემომთავაზა მასთან მემუშავნა, მაგრამ მე ვარჩიე მე-8 შრომის სკოლა[1], სადაც ძველი მეგობარი თამარა ჯაკახიშვილი იყო გამგედ, რომელთანაც ქართულ გიმნაზიაში ე. ი. სათავადაზნაურო გიმნაზიაში წლების განმავლობაში ვმუშაობდი.

ჩემდა სამწუხაროდ ჩვენი მეგობრობა აქ შესწყდა და უცნაურად დაბოლოვდა. ამის შესახებ შემდეგ ვილაპარაკებ. ჰო და აქ მივიღე რამოდენიმე გაკეთილი, რადგან როგორც უმუშევარს ნება არ მექნებოდა ბინა მქონოდა. იქ დავრჩი სულ ბოლომდე ე. ი. 1928 წლამდე, როგორც მასწავლებელი, ვიდრე მე და შენ აქ პარიზში მამასთან ჩამოვიდოდით.

ამ დროს ჩვენ კიდევ ბინის ძებნაში ვართ, ამაში ჩვენი მეგობრებიც გვეხმარებიან და ძალიან ენერგიულადაც.

ბედმა გაგვიღიმა, ერთ დღეს გიმნაზიაში ჩემმა მოწაფემ გადმომცა ერთი ბინის გასაღები, ბინა ვიშოვნეთ, ეს იყო სოლოლაკში ამაღლების ქუჩა №6 ვიდრე ამ ბინაზედ ვილაპარაკებ, მინდა გითხრა, რომ თბილისის ეს უბანი ითვლებოდა მდიდარ ხალხის ბუდედ, უმთავრესად იქ სომხობა იყო, ეაჭრობით გამდიდრებული, ამისათვის იმათ არც უნარი აკლდათ და არც შრომის გაწევა. რასაკვირველია, მათი საქმიანობა საქართველოს საზღვრებსაც სცილდებოდა, ამიტომ ბევრი მათგანი ევროპის კულტურას ნაზიარევი მის შემოტანას თაეიანთ ოჯახში მზრუნველობით ანხორციელებდა.

აღსანიშნავია, რომ რევოლიუციის შემდეგ თბილისის მაღაზიების ვიტრინები სავსე იყო სევრის ფაიფუის ჭურჭლით ან სხვა რაიმე იშვიათი ნივთით და ეს ყველაფერი გამოტანილი სწორედ ამ სომხების ოჯახებიდან.

სამწუხაროდ ჩვენი თავადაზნაურობა, მიწის მფლობელი დიდ გაჭირებაში იყო სწორედ ამ დროს, იშვიათი იყო ქართული ოჯახი, სადაც ადამიანი ევროპაში შეძენილ ძვირფას საგანს ნახავდა. ამათი სახელები თითზედ ჩამოსათელელია. მეტი წილი ამის გარეშე იყო, თორემ გაჭირების დროს ეს ცოტა მაინც ხელს გაუმართავდა უგზოუკვლოდ დარჩენილ ამ წოდებას, რომელიც ალალ ბედზედ იყო მინებებული. მთლად ცარიელი, არაფრის მქონე.

დიდი საფრანეგთის რევოლიუციის შემდეგ ეს წოდება დღესაც არ არის უნიათო. ბევრს კარგი მემკვიდრეობა შენარჩუნებული აქვს და ფუფუნებაშიც კი ცხოვრობს. რუსეთის რევოლუციამ ეს საკითხი სხვანაირად გადასჭრა.

---

[1] ყოფილი წმინდა ნინოს სასწავლებელი.

ეს სახლი, სადაც ჩვენ ბინა უნდა აგველო, ძველად სომხის საკუთრება ყოფილა. სამსართულიანი შენობა მშვენიერი შესასვლელით, განიერი თეთრი მარმარილოს კიბით და მასთან მზიანი დიდი ოთახებით თითქოს დასაწუნი არ იყო;

ჩვენ გვეძლეოდა პირველ სართულში სამი ოთახი შუაბანდით, მაგრამ ეს მესამე ოთახი, სასადილო გასასვლელი მეორე ოჯახისათვის, გარდა ამისა სამზარეულო ეზოში იყო მოთავსებული.

ძველად ეს გარემოება ააცილებდა ოთახებს საჭმლის სუნს, მაგრამ ჩვენთვის სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა, რადგან ჩვენ დროს მოსამსახურეზედ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, მაშასადამე ეზოდან საჭმელის მომტანი არა სჩანდა.

ამისდა მიუხედავად გადავედით, სხვა გზა არ იყო.

ეხლა მინდა, ჩემო თეო, ჩვენი მეზობლები, ე. ი. ამ სახლის მცხოვრებნი კარგად გაგაცნო. ჩვენ გვერდით ტამიროვის ქერივი, ხანშიშესული ქალი, რომელიც თავდახურული ჩიხტიკოპით დაგვიხვდა, მასთან მისი შვილიშვილი, ახალგაზრდა ქალი ნიუშა, იმ ჟამად დრამატიულ ნაწილზედ შესული; მისი ძმა აკიმ ტამიროვი მაშინ უკვე ცნობილი მსახიობი მოსკოვის სამხატვრო თეატრისა და შემდეგ კი ამერიკის სინემის ფარგლებშიც კარგად ფეხმოკიდებული, ასე რომ ნიუშას, თავის დას მომაეალში, გზას გაუხსნიდა როგორც მსახიობს.

მოხუცებული იმ დროს ქონებრივად გაჭირებული იყო, ძველი დროიდან დარჩენილ ფუფუნების საგნებს ეს ქალაქ "შუშის" ძველი ქალბატონი იოლად ახურდავებდა და ძალიან იაფად ჰყიდდა.

სრულიად გაუნათლებელი, შეგნებული ადამიანი აღმოხნდა, კარგი მეზობელიც, ისე რომ ჩვენი ბინის უხერხულობა მალე დაიწყებას მიეცა, მეორე სართულში ზემოდ ჩვენი კარგი ნაცნობი ნიკო თავდგირიძე ცხოვრობდა თავისი ცოლით და ორი გერი ქალით, ერთი მათგანი ვიოლონისტი, ვილშაოს მოწაფე აღმოჩნდა.

მათ გვერდით გრიშა ჟღენტი თავის ცოლით და პატარა გოგონათი, ქუცუნა, ზემო სართულში დარჩენილი იყო ამ სახლის ძველი პატრონი მირიმანოვის ქერივი და მის გვერდით ქალ სიძეები იყვნენ მოთავსებულნი, როგორც მაგალითად ექიმი კალამკაროვი თავის ცოლშვილით. ოგანეზოვი თავისი ცოლით. სხვათა შორის ეს უკანასკნელი იყო მშვენიერი ქართული ენის მცოდნე, სწუხდა, რომ ამ "დაშნაკელებმა" ჩვენსა და ქართველებს შორის მტრობა, ქიშპობა დათესეს, ძველად ჩვენ ისე ვიყავით ქართველებში შესულნი და დაახლოებულნი, რომ ბევრმა სომეხმა სომხური ენაც კი არ იცოდაო.

რაც შეეხება მირიმანოვის ცოლს, ის იყო განათლებული, კულტურული ქალი, ევროპაში ხანგრძლივად ნამყოფი, რასაკვირველია, დიდი მდიდარი, მისი ქონება ჯერ მეწშევიკების დროს დაზარალდა, რუსთაველის გამზირზედ დიდი სასტუმრო "ორიანი" მაშინ ჩამოართვეს, შემდეგ ბოლშევიკებმა ალარაფერი დაურჩინეს.

ის დაახლოებული იყო ქართულ ოჯახებთან მეგობრობით და მისელამოსელით.

სულ ბოლო ხანებში მის სალონში ვხვდებოდით წარჩინებულ გენერალ ნიკა ამილახვარის მეულლე ანეტას, ცნობილს თავის სილამაზით.

გაგონილი მაქვს, როდესაც რუსეთის მეფე ალექსანდრე III ეწვია საქართველოს თავადაზნაურთა მიერ გამართულ წვეულებაში, მეფეს მოსწონებიათ ეს ქალი, რომელიც თაიგულით დაუხვდა ამოსასვლელში და უთქვამს:

"ცოდვაა ასეთი სილამაზეო, მე ქანდაკება მეგონეთო".

შენ რომ იმისი შვილი, გივი ამილახვარი გენახა, რომელიც თავის დედის ნამდვილი სურათი იყო, ადვილად დაიჯერებდი რუსის მეფის ქათინაურს.

მართლა და მშვენიერი იყო ეს მხედარი 1914 წ. ომში ოქროს იარაღით დაჯილდოვებული; აქ ემიგრაციაში ტაქსისტად იქცა და დიდხანს ველარ იცოცხლა.

ამ სახლის მთელი მცხოვრებლების მეზობლობა ჩვენთვის დიდი ნუგეში იყო მამის ციხეში ყოფნისას და შემდეგ ხომ უფრო მეტად საგრძნობი, როდესაც მე და შენ, ჩემო თეო, მარტონი დავრჩით, უიმედოთ ვეხეთქებოდით ცხოვრების მოულოდნელ ტალღებს, რომელიც მძიმედ იჭრებოდა და მოსვენებას არ გვაძლევდა ექვსი წლის განმავლობაში, როდესაც მამა უკვე ციხიდან გადასახლებული იყო.

სწორედ აქედან გაიცა სპირიდონი თებერვლის 11-ს. 1922 წელს დილის 5 საათზედ დაჭერილი, ჩეკისტების თანხლებით. აქვე გამოვეთხოვე ჩემ ორ ძმას ირაკლის და ლელოს და დედაჩემსაც ხომ აქედან გამაცილა სადგურზედ 1928 წ. სექტემბრის 1-ს. მე და შენ რომ პარიზისაკენ გამოვემგზავრეთ. ჰო და ეს ჩემიანები ყველანი ერთად სამუდამოდ დავკარგე.

თუმცა იქაურობა მძიმედ მაგონდება, მაგრამ მაინც მინდა ამ სახლის ნახვა, ასე მგონია, იქ ჩემი ოჯახის ნამდვილი აჩრდილი დამიხვდება, ვინ იცის, იქნება, მართლა ერთხელ მაინც მელირსოს მათი თავმოყრა, თუ სინამდვილეში არა ოცნებასა თუ სიზმარში მაინც...

ამ ახლად ნაშოვნი ბინიდან იწყება ჩვენი ცხოვრების ეკლიანი ფურცელი. რითი უნდა დავიწყო ჩვენი ოჯახის თავგადასავალი იმ დროს, როდესაც ჩვენს თავს ჩვენსავე სახლში ვერა ვგრძნობთ თავისუფლად.

ხან ერთი რუსის ჯარის კაცი წოწოლა ქუდიანი, თუ ჩეკის თანამშრომელი შავ ტყავის კურტკაში თავს წამოგვადგებოდა, ხან ერთი, ხან მეორე.

აი სწორედ ერთ დღეს, ახალი გადასულები ვიყავით, რომ კარები დამიბრახუნა წოწოლიან ქუდიანმა ჯარის კაცმა, პირდაპირ შევარდა ჩემს ოთახში, მიათვალ-მოათვალიერა, შემოიყვანა ერთი ახალგაზრდა, შავგრემანი ქალი, რომელიც ეითომდა მორიდებულად კარებში გაჩერდა, და ამ კაცმა ჰკითხა, მოსწონს თუ არა ეს ოთახი, ქალმა თავი დაუქნია, ამის შემდეგ სწრაფად გაიდნენ ორივენი და ისე, რომ ზედაც არ შემომხედეს.

სპირიდონი გასული იყო, რომ დაბრუნდა და მე ვუამბე, ამ "დიდი კაცი"-ს დარბაზობა, იმან არაფრად მიიჩნია: "ალბათ ეს იქნებოდა ვილაც მთვრალი მაწანწალაო".

მეორე დღეს ეს ვაჟბატონი უკვე ბარგაკიდებული მოუძღოდა თავის მეგობარ ქალს და კარების დიდი ბრახუნის შემდეგ აპირებდა ოთახის დაჭერას. მე გასული ვიყავი. მამას, რომელსაც შენ ხელში ჰყოლიხარ აყვანილი, არ შემოუშვია, დაწყებულა სმაური და ბოლოს წიოკობა: "მე იცით, ვინა ვარ, ემუქრებოდა თურმე მამას, მაშინ კი სპირიდონს დაუყვირნია და უთქვამს: "ვინც უნდა იყოთ, თუ ეხლავე აქედან არ წახვალთ, იძულებული ვიქნები, ასეთი თავხედობა თქვენს უფროსებს ვაცნობოვო".

ეტყობა, შეშინდა და ბარგით დატვირთული თავის მეგობრიანად თაქალუნული გზას გაუდგა.

ამ რუსის ჯარის კაცის დამსახურებაც გავიგეთ, ის ყოფილა იმ რაზმის ერთერთი წევრი, რომელმაც ამ რამოდენიმე წლის წინად მხეცურად მეფე ნიკოლოზი თავის ცოლშვილით რუსეთის ერთერთ სარდაფში ამოხოცა, შემდეგ აკუწა და ცეცხლში დასწვა, რომ მათი კვალი არსად დარჩენილიყო.

გიმნაზიიდან რომ მოვედი შენა და მამა დიდ ომგადახდილები დამიხვდით, მამა საშინლად აღელვებული და შენ, ჩემო თეო, ტირილით დაოსებული.

კომუნიზმის ეს პირველი წკიპურტი კი ავიტანეთ, მაგრამ შენ ისეთი შიში დაგეუფლა, რომ ყოველ კარების დაბრახუნებაზედ და უბრალო დაკაკუნებაზედაც კი, უცბად შეხტებოდი, მომეკეროდი, ოფლში გაიწურებოდი და ზილად მიეშვებოდი, ეს მდგომარეობა დიდხანს დაგჩემდა, აქედან დაიწყო შენი გულის სისუსტეც.

ამ ამბავს დასწრებიან მთელი ჩვენი მეზობლები, მითხრეს, რომ საშინელება იყო სანახავად, თურმე მამაშენი შენიანათ, რომ იბრძოდა, როგორმე კარებში, არ შემოეშვა ეს უსიამოვნო მართლა და მაწანწალა.

ვერ კიდევ გამგე ვიყავი, რომ მამა უსაქმოდ იყო დარჩენილი, იმ ხანებში ეს ჩვენი დეპუტატი, ეროვნულ მოძრაობის მეთაური თუ რამეს აკეთებდა, ეს იყო ნავთის მოტანა, რადგან ელექტრონი მთელ სახლში გადაჭრილი იყო. გარდა ამისა საჭმელიც ხომ ნავთის ჭურჭელზედ კეთდებოდა, ჩვენი სამზარეულო სასადილო ოთახში იყო მოწყობილი.

სასაცილო იყო მამა ხელთათმანებით გამოწყობილი, რომ ნავთის ჭურჭელით მიდიოდა, კომუნისტები მაშინ ძალიან ებრძოდნენ ამ ბურჟუაზიულ ჩვეულებებს და ალბათ ალმაცერად უყურებდნენ ამ ხელთათმიან კაცს.

მაშინ ხომ კალოშების ტარებაც დიდ ცოდვად ითვლებოდა, ამ საკითხებს თავიანთ კრებებზედ სწყვეტდნენ და დიდი დროც ჰქონდა ამას დათმობილი.

სხვა გზა არ იყო, მამას უნდა ეშოვნა თავისი შესაქცევი და ამავე დროს ოჯახისათვის სასარგებლო სამუშაო. ეს იყო, ჩემო თეო,

შენი მოვლა, შენი ძიძაობა, ფაფის მომზადება საკმარისი არ იყო, ცალი თვალი შესკენ უნდა ჰქონოდა, რომ მოუსენარ ცოცაში რამე არა გტკენოდა, შუბლი კოპიკებით არ აგეჭრელებინა.

ექვსი თვისა სიარულის მოლოდინში იატაკზედ გართხული ჟინს ცოცაში იკლაედი, მამას ერჩივნა უფრო ხშირად ხელში აყვანილი ჰყოლოდი.

შენგან დატუსაღებულები ვიყავით, ორივენი ერთად სახლიდან ვერ გაედიოდით. ან ის იყო შენთან, ან მე.

აქეთ მინდა გითხრა, რომ ჩვენი მიწია, ომი დაიწყო თუ არა, გავისტუმრეთ, რადგან თუ მანამდე ერთგულად მოსჩანდა, იმ ხანებში გაიჩინა იქვე ჩვენს ეზოში ერთი რუსი, ახალგაზრდა, რომელიც გიტარით ართობდა, ძალიან იყო იმასთან დამეგობრებული და იმდენად, როდესაც სახლში არ ვიყავით, ის ჩვენ ბინაზედ თამამად ამოჰყავდა, ჩემი გიტარაც იმას დაჰჭერინა და გააჭრო.

ძალიან შეწუხდა, როდესაც გამოეუცხადე, რომ ეხლა ჩვენ აღარ გვესაჭიროებოდა მისი სამსახური, თითქმის თვალცრემლიანი დაგვშორდა.

პირველსავე შემოდგომაზედ მამა გახდა ავად. ყვავილი შეეყარა, დიდ სიცხესთან ერთად საშინელი თავის ტკივილები ჰქონდა, თავზედ დაფარებულ სველ ტილოს ოშხივარი ასდიოდა.

თუ იმასაც დაეუმტებთ, რომ მეზობელ ოთახში ნიუშას წითელა სჭირდა, მაშასადამე საშიში ხდებოდა, შენც არ გადაგდებოდა, შენ გაუთაეებელ ტირილს და მამას მუდარას. "ეგ ბავშვი მომაშორეო", ადვილად წარმოიდგენ ჩემს უმწეობას, რადგან ყვავილისა ყველას ეშინიან და ამიტომ, ბუნებრივია, რომ არავინ, გეკარებოდა. ფანჯრიდან თუ ვაგებინებდი მახლობლებს მამას მდგომარეობას.

მახსოვს, ჩემი რძალი მარი თავისი ნინათი და სანდრიკოთი მოსულიყვნენ და პირდაპირი ტროტუარიდან ჩვენ ფანჯრებს შესცქეროდნენ, რომ აქედან მენიშნებინა, რაიმე ცნობა მიმეცა.

ნელ ნელა სპირიდონი გამოკეთდა და მეც მომეშვა და იმდენად, რომ საშობაოდ პატარა ზეიმიც კი მოგიწყე. ხელში აყვანილი ბრჭყვიალა ხის გარშემო შემოგატარე, მაშინ ვერ კიდევ ეს "ბურჟუაზიული" გასართობი შობის ხე არ იყო მთავრობისაგან აკრძალული.

არ ვიცი, მოგეწონა თუ არა, მაგრამ სახე გაბრწყინებული დიდხანს ატრიალებდი მკლავებს, გინდოდა მისწედომოდი, რომ ეს ლამაზი საგანი ხელში ჩაგეგდო.

მამა ლოგინიდან ამ დედაშვილს სიამოვნებით გვიყურებდა და კმაყოფილების ღიმილი დასდებოდა მის გამხდარ და ფერმიხდილ სახეს.

ამ სახადის დროს მაგონდებოდა სოფელში გაგონილი, რომ ყვავილით ავადმყოფს უნდა ასცილდეს ცეცხლი და საერთოდ ცხელი საგანი, რადგან ამ სახადის აეტორებს "ბატონებს" ფეხები სანთლისა აქვთ და სითბოზედ დადნება. ეს კი ავადმყოფისათვის დიდი სასჯელი იქნება და შეიძლება, ამას თანაც გაჰყვესო.

ამიტომ კარგ, დამშვიდებულ პირობებში უნდა მობრძანდნენ ეს "ბატონები" და მოეფინნენ, რომ ეთქმოდეთ:

"ისე დავდიავართ სოფელში, კაცი არ დაგვიწუენია, ჩიტიც კი არ აგვიფრენიაო".

უნდა გენახა სოფელში ეს სურათი, სადაც სახადიანს გარშემო უსხედან მოსული მეზობლები, რომ იავნანა უგალობონ ავადმყოფს, ერთი იწყებს, დანარჩენები ბანს აძლევენ; კარგი გუნდი მომისმენია ჩემს ბავშობაში, ეხლაც ყურში მიდგა.

"ბატონების სათუთ ფეხებს რა ბედი ეწუიათ, არ ვიცი, რადგან იმ საღამოთი ჩვენ შობის ხეს ბეური წმინდა სანთელი ამკობდა და მის გარშემო საკმაო სითბო ტრიალებდა, მაგრამ მამას არავისგან სასჯელი არ მიუღია, პირიქით მალე მთლად კარგად გახდა, შენც, ჩემო თეო, წითელა არ შეგხვედა, თუმცა მეორე ოთახში ამ სახადით ჩვენი მეზობელი იყო ავად. თორემ შენს საწოლს წითელ ფარდებს არ დაეკლებდი, რომ ამ ავადმყოფობის შედეგი, თვალების სისუსტე შენთვის ამეცდინა, ამ დროს შენა და მამას ერთად "იავნანასაც" გეტყოდით.

ამ ძველ, ქართულ, მშვენიერ ჰანგებზედ შენ ტკბილად ჩაგეძინებოდა და მამაც აღარ მომთხოვდა; "ეგ ბავშვი მომაშორე, წაიყვანე სადმეო".

ცოტა ხანში მამა ისევ ძიძის როლში იყო, შენ უკვე ცოცვაში კარგად დახელოვნებული, ხშირად ფეხზედ დადგომასაც სცდიდი, მაგრამ მალე ისევ იატაკს უბრუნდებოდი. შესაძლებელი იყო შვიდ თვისას სიარული დაგეწყო, რომ გასცივდი და სიცხიანი დიდხანს დარჩი ლოგინში.

მე გიმნაზიაში დავდიოდი და თქვენ მამაშვილნი ერთად ბარობდით, მოწყენილებიც არ იყავით, ხშირად სტუმრებსაც ღებულობდით.

ერთ დღეს რომ სახლში დაბრუნდი, შენ გამოლვიძებული დამიხვედი, საწოლიდან თავწამოყოფილი გულმოდგინედ მამას სტუმრებს ათვალიერებდი. გიგო რცხილაძეს კიდეც ეთქვა: "ერთი უყურეთ ამ მაიმუნს, როგორ გვიყურებს თითქოს ესმის ჩვენი ლაპარაკი, ამ საძაგელმა შემოსულ მტერთან არ გვიჯაშუშოსო".

იმ წელიწადს 1921 წელს სპირიდონი უფრო სახლში იყო, მყუდროდ მოუწყვე საკუთარი ოთახი, ეცდილობდი, მარტო ყოფილიყო და თავის პატარა ბიბლიოთეკაში ემუშავნა, ეს მას ძალიან უყვარდა.

მე თითქმის არ ვაწუხებდი, რადგან მთლიანად შენით ვიყავი გართული, ისე რომ თუ თვითონ არ დამიძახებდა, მე მასთან არ შევდიოდი, ზოგჯერ ვაჭარბებდი კიდეც.

იმ ზამთარს დედაც ჩამოვიდა თავისი კახური, დოლათიანი ხურჯინით, მაგრამ გაზაფხულზედ ისევ სოფელში ბრუნდებოდა.

იმ ზაფხულს კი ჩვენ ვეწვიეთ ბებო ეკრიჩკას, რომელიც, ამის დიდ მოლოდინში, სიხარულით ემზადებოდა.

სპირიდონი ჯერჯერობით თბილისში დარჩა, ცოტა არ იყოს, სადგურზედ ცოტა ნაწყენიც კი დავშორდი, მისი ამ სიცხეებში თბილისში ყოფნა არ მესმოდა. როგორც ეს შემდეგში გამოირკვა, ყველა პარტიებს ერთად შემოსულ მტრის წინააღმდეგ მუშაობა დაუწყვიათ, მე კი ამის შესახებ მამასაგან არაფერი გამიგია, საერთოდ სპირიდონი კონსპირატორი იყო, სხვებსაც ამას მოსთხოვდა, ცოლებს არაფერი არ უნდა სცოდნოდათ. მაგრამ სხეისა ცოლებმა ყველაფერი დროზედ იცოდნენ, სამწუხაროდ ამას ცუდი შედეგი ჰქონდა. ამ პატრიოტების გარდაწყვეტილება მეორე დღესვე ჩეკამ იცოდა, ქალებს საიდუმლოების შენახვა საერთოდ უძნელდებათ.

ზაფხული მილეული იყო, რომ კისისხევის ეზოში ცხენის ურემი შემოვიდა, უკან ფეხით მამაშენი მოსდევდა, თურმე თელავამდე ავტომობილით მოსულა და იქიდან კი ცხენის ურემზედ დაუდგია თავისი ბარგი, რომ ფეხით წამოსულიყო და წმინდა პაერით სანერძლიეად ესარგებლნა.

აქვე მინდა გითხრა, რომ იმ ხანებში ძალუა საშას ოჯახს, რომელიც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა იგივე შენობაში, კისისხევს ეწვიენენ გერონტი ქიქოძე, შალვა ამირეჯიბი და რასაკვირველია ძალუა საშას ქალებიც, ჯერ მოვიდა ანეტა, შემდეგ თამარა და ელენაც მოემატა.

შენ წარმოიდგინე, თუ თბილისში ერთმანეთს აღარა ეხვდებოდით, აქ პირიქით სულ ერთად ვიყავით, სადაც ჩვენ წავიდოდით თუ ყველა არა, თამარა უსათუოდ ჩვენთან იყო; კიდეც ეფიქრობდი, რომ მონელებული ჰქონდა სპირიდონის მიმართ თავისი გრძნობა და მე მისთვის ძველი სონა ერჩებოდი. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო.

ამ ქალების თაოსნობით მთელი ეს საზოგადოება ალავერდობას, ამ ლამაზი დღეობის სანახავად გაემგზავრა.

სპირიდონიც ამათ გაჰყვა; ღამის თევას დაესწრნენ და აღტაცებულნი დაბრუნდნენ.

იმ წელს ეს ალავერდობა უკანასკნელი იყო, შემდეგ აღარც დღეობები იყო და აღარც მლოცავნი.

მე რასაკვირველია, შენს გამო ვერ წავედი, ძალიან ვწუხდი, ასე მგონია, ვგრძნობდი კიდეც, რომ ველარც ვნახავდი ამ ჩვენი ქვეყნის ყველაზედ უფრო მრავალფეროვან დღეობას.

იქ თავმოყრილი იყო მთელი კავკასიის ერების ზნეჩვეულება, მათი ეკონომიკური დოვლათი, ერთმანეთის ნახვა და შეჯიბრება; ნახავდი ამ დღეობაში ლეკს, ოსს, ხევსურებს, ფშაველებს, კახეთის ყოველ კუთხიდან მოსულთ, ზოგი საქონლის შესაძენად, ზოგი იარაღისა და სხვა.

საღამოთი კარგი სანახაობა იყო ამ სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლების, როგორც ქრისტიანების ისე მაჰმადიანების ბინები, ყველას თავისებურად ჰქონდათ მოწყობილი, ეროვნული ტანისამოსით და ლხინით.

მეორე დღეს წირვის შემდეგ სავაჭროდ მოყრილი საქონლით დიდი ბაზარი იმართებოდა. ზოგს მოყვანილი ჰყავდა ზროხები, ხარები და კამეჩები. მთიდან ჩამორეკილი ჯიშიანი ცხენები, აგრეთვე მათი ნახელარი საფენი. ხალიჩები და ფარდაგები, ლეკებს ჩამოტანილი ჰქონდათ სპილენძის ჭურჭელი იარაღი და სხვა.

ერთი სიტყვით კაკასიის მთელი სიმდიდრე აქ იყო მოტანილი. სპირიდონი დიდი კმაყოფილი იყო, რომ ეს ალაყერდობა ნახა, ამის შემდეგ კი ის უნდა დასჯერებოდა კახეთის მეენახეობას და შემოდგომაზედ რთველს.

მამამ კარგად დაისვენა, წიგნით ხელში ის მთელ დღეებს ვენახში ატარებდა, ჰამისათვის თუ გამოვიდოდა. დიდის კმაყოფილებით მეტყოდა ხოლმე, ჩემს სიცოცხლეში ასე კარგად არ დამისვენიაო.

ზაფხული შემოდგომამ შესცვალა, მე ჯერ გაკვეთილები არა მქონდა მისაცემი, თუმცა ჩაწერილი ვიყავი მე-8 შრომის სკოლაში, ამიტომ იმ წელიწადს შემეძლო ჩვენებურ რთველს დავსწრებოდი.

ვენახებში სიუხვე და სინოყიერე სუფევდა. მსუქანი ყურძნის მტევნები, ფერადფერადით შეღებილნი *მორწყეტას* ლამობდნენ, აქა ნახავდი ოქროსფრად მზისაგან შეღებილ, რქაწითელას, საფერავს, მწვანეს, ხარისთვალას, კიდევ შავფერადიანს, თითა ყურძენს, ბუდეშურს.

ეს ჭრელი სამეფო რამოდენიმე დღეში აქედან აიყრებოდა, რადგან მის მისალებად მარნებში ქვევრებს ჰხდიდნენ და რეცხავდნენ.

აი რთველიც უნდა დაწყობილიყო; ჯერ კარის ვენახი დაიკრიფა, უმთავრესად კი ჩვენი "შარების" რთველი იყო ჩასატარებელი.

დილაადრიანად დედაჩემი და მამაშენი შარებისაკენ გაემგზავრნენ, ეს ზვარი ჩვენი სახლიდან მოშორებით იყო, თითქმის ორი კილომეტრით.

მე შენიანად და ჩვენი ანეტა ურმით ჩავედით. დილიდანვე სპირიდონი ვენახის საკრეფად შესულ მუშებში დატრიალდა, მხურვალე მონაწილეობა მიიღო ყურძნის კრეფაში.

ამან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მუშებზედ და მამაშენი გახდა მათი ქების ღირსი; "რა კარგი კაცია, კეთილი, ამაე დროს თავმდაბალიო".

ხის ქვეშ ვისხედით მე, შენ კალთაში მყავდი, ანეტას ველაპარაკებოდი, რომ ორმა ახალგაზრდამ ცხენები შემოაჭენა, ერთი მათგანი ვიცანი, ეს იყო ქართული გიმნაზიის ჩემი ყოფილი მოწაფე შალიკო ფაულენიშვილი, მეორე კი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომლის სიდედრი ავალიშვილის ქალი იყო და მისი ძმა ავალო, რომელთანაც ქაქუცა მოსულიყო. ჩვენი ზვრის მახლობლად, იქვე კონდოლში ცხოვრობდა.

ცხენებიდან ჩამოხტნენ, მოგვესალმნენ და სპირიდონი იკითხეს. პატარა ხანს უკან გამოგვეთხოვნენ და სპირიდონიც ავალოსთან წაიყვანეს, თურმე იქ სხვებიც ყოფილან და მამას ელოდებოდნენ, რო-

გორც მაგალითად ექიმი კოლა ჯანდიერი და სხვებიც. მე ეს ყველაფერი შემდეგ გავიგე.

იმ ღამეს სპირიდონი იქ დარჩა, "შემიგეიანდა და ველარ წამოვედი". მეორე დილით ცხენით ამოვიდა, ძალიან კი არ უხდებოდა ამ ევროპიულ ტანისამოსში მამას ცხენზედ ჯდომა. მგზავრი ხომ უსათუოდ ჩოხაში უნდა იყოს და ოსტატობით ცხენს მოხდენილად ლაგამი აუწიოს. ერთი სიტყვით სპირიდონი დავიწუნე, ამ მდგომარეობაში.

იმავე დღეს, ჯერ კიდევ მე და ანეტა მარანში ვიყავით, რომ ახალგაზრდა სვიმონიშვილმა მამა იკითხა, სთხოვდა მას, დანიშნულ დღისათვის თელავში ასულიყო, ალბათ იქაც ჩუმი შეხვედრები იყო მოსალოდნელი.

როგორც შალვა ფავლენიშვილი ისე ჩვენი სოფლელი სვიმონიშვილი შემდეგში ბოლშევიკების მსხვერპლნი გახდნენ, ორივენი დახვრიტეს.

რთველი გათავდა, დაწერილებით მისი სვლა სხვა დროს ბევრჯერ გიამბე, ისე რომ ეხლა ამაზედ აღარ გავჩერდები.

რამოდენიმე დღეში გადაღება იწყებოდა ე. ი. ტკბილის გადასხმა სხვა ქვევრში და ამწაირად მაჭრის გასუფთავება.

დედას სპირიდონიც გაჰყვა და დიდი სიამოვნებით მიამბობდა თუ დედამ ქვევრის პირას როგორ გააშლევინა სუფრა და ეს ჩვენი მგრელი როგორ ახალისა ჩვენი კახეთის დოვლათით და სიმხიარულეთი.

აღტაცებული იყო განსვენებული ადგილობრივი გლეხკაცობით, მათი დინჯი თავის დაჭერით და საუბარით.

"თუ სადმე საქართველოა, ეს აქ უნდა ეიგულისხმოთ, საქართველო კახეთშიაო", ამბობდა მამაშენი. ჩემო თეო, დიდის გრძნობით და რიხით. მე ხომ მეტიც არ მინდოდა.

ენკენისთვის 17-ს კონდოლიდან ამოვიდნენ სანდრო ლეონიძე თავისი ცოლით და რძალით, მისი ძმა გიორგი საცოლით, რომელიც იყო ჩემი პაპიდაშვილი, მაყაშვილის ასული, მოდიოდნენ ჩემს მოსალოცად ე.ი. სოფიობას, იმათ ძველი ჩვეულების მიხედვით არ გაგვაფრთხილეს და თავიანთი ლინეიკა სწორედ სადილობის დროს ჩვენს ეზოში გააჩერეს.

დედა და მისი სიძე ამ დროს შარების მარანში ქვევრის პირას გაშლილ სუფრას უსხდნენ მუშებთან ერთად. წინ ალბათ ან მოხარშული დედალი ედოთ, ან კიდევ შამფურზედ აგებული ცხვრის ხორცის მწვადები, ამასთან ერთად შუშხუნა მაჭარი, რომელიც მუნჯსაც კი ოქროპირად გარდააქცევდა.

შენ ჩემი იკითხე, მარტოკა ვიყავი სახლში, წარმოიდგენ ჩემ აფორიაქებას, ამ მოულოდნელ სტუმრებს სადილი უნდა ვაჭამო, მაგრამ რანაირად მოსამსახურე ხომ ისტორიას ჩაბარდა, ის აღარა მყავს, შენც ხელში მყეხარ.

მაშინ მიემართე ჩვენ ძველ მოსამსახურე ქალს, ელენეს, ვთხოვე, როგორმე მოეხერხებინა, რომ ჩემს სტუმრებს სადილი დროზედ ჰქონოდათ.

სიამოვნებით დატრიალდა ჩვენი ელენე და მალე სუფრაც გამიშალა. მაშინ, შვილო, მე სახლის საქმიანობაში სრულიად უცხო ვიყავი, თორემ ეს მე არ გამიჭირდებოდა.

ვიშოვნე პატარა ბიჭიც. რომელიც ზვარში ჩავგზავნე, რომ დედა და მამაშენი მალე ამოსულიყვნენ, უმთავრესად ეს ხალხი უფრო სპირიდონის გასაცნობად იყო მოსული და ამას მეც ხელი შევუწყე.

როგორც იყო, სადილზედ დავსხედით, ჩემიანები არსადა სჩანდნენ; შუა სადილზედ მამამ კარები შეაღალო და მეც მოვისვენე.

სადილის შემდეგ რომ ეზოში გავედით, მშვენიერი სუნი ტრიალებდა ახლადგაკლებულ ჩურჩხელებისა, ვიცოდი, რომ კარგი საჭმელია ახალი ხურჩხელა და აქ კი თამამად ვიდიასახლისე. წასვლისას გვთხოვეს, კონდოლში მის მარანში მიესულიყავით, სანდროს უნდოდა თავისი ვენახი ეჩვენებინა.

დანიშნულ დღეს წავედით, ჩვენთან ერთად ლინეიკაში თამარაც იყდა, ასე იყო ვიდრე ჩვენ კისისხევში ვიყავით, ერთერთი უსათუოდ ჩვენთან ატარებდა დროს, ეფიქრობ, სპირიდონის საზოგადოება ესიამოვნებოდათ.

სანდრო ლეონიძემ გვიჩვენა თავისი მარკვენა ხელით აშენებული მშვენიერად მოვლილი პლანტაჟი, ევროპიულად დამუშავებული ზვარი. შენ ჩემო მშვენიერო, ამ დროს მარანში გეძინა, კმაყოფილნი დავბრუნდით.

ვერ კიდევ კისისხევში ვიყავით, რომ სპირიდონის სანახავად ქაქუცა მოვიდა შალიკო ფავლენიშვილის თანხლებით.

საშინლად გამიკვირდა ამ დარდიმანდი, მოქეიფე ყმაწვილის ასეთ მოკლე ხანში ეს მეორედ მოსვლა.

ვენახში შევიდნენ ორნი. ცოტა ხანს კიდევ დარჩა და როდესაც ცხენზედ ვდებოდა ქაქუცას ნათქვამი მომესმა: "ორ-სამ დღეში სწორედ ამ დროს გეახლებითო".

გაოცებულმა ვკითხე მამას, სად მიდიოდა ქაქუცა და როდესაც გავიგე, რომ თბილისში უნდა ჩასულიყო, რასაკვირველია, მთხოვნელად მოკლე გზებით, გამეცინა; "თუ დუდუკებს შეაბერინა, ეგ დიდხანს აქეთ ვერ მობრუნდება, საერთოდ მიკვირს, სპირიდონ, რა გაქვს საერთო ამ ყმაწვილთან"?

ამაზედ მამას პასუხი იყო: "შენ არ იცნობ, სონა, მაგ ახალგაზრდას, ძალიან სანდო და ყოჩაღიაო".

ეს კია, რომ თავისი სიტყვა ზედმიწევნით შეასრულა და ცხენი მესამე დღეს ჩვენს ეზოში შემოაქროლა, მართლა და ეს ჩემთვის გასაოცარი იყო. თუმცა ესეც კი ვიცოდი, რომ მისი ვაჟკაცობა პირველსავე ომში ცნობილი იყო, კლავში მძიმედ დაჭრილი თურმე

კიდევ განაგრძობდა ომს, ამიტომ რუსეთის მთავრობის მიერ იგი დაჯილდოებული მაღალი ხარისხის ნიშანს ატარებდა.[1]

ბევრი ლაპარაკი იყო ქაქუცას შესახებ, აქებდნენ მის რაინდობას. ამავე დროს მის გულახდილობას და თავმდაბლობას, ყველასათვის საყვარელ ადამიანად იყო მიჩნეული ეს გულმხიარული ყმაწვილი.

კისისხევი დავტოვეთ ჩვენც მაჭრობას, ეზოს კარებში ვეთხოვებოდით ჩვენებს, გზაზედ ჩვენი ბარგით დატვირთული ურემი გველოდებოდა.

სწორედ იმ დღეს ჩემი ძმა ლელო იყო მოსული, იმან გამოატანინა ბიჭს ფოთლებდაცობილი ხელადა მაჭრით და ისე დაგვილოცა გზა.

ვსვამდით ამ კახეთის მშვენიერ ნექტარს და ვეთხოვებოდით იქაურობას. სპირიდონისათვის ეს იყო უკანასკნელად კახეთის ხილვა, შემდეგ ეს მას აღარ ღირსებია, მეც ჩემი ძმა ლელო ამ ჩვენ გარემოში უკანასკნელად ვნახე. ჩვენი ოჯახი მთლიანად იქ დაირღვა, მე ასე მგონია...

ჩამოვედით თბილისში, დაახლოებით საღამოს შვიდ საათზედ. სამწუხაროდ სადგურზედ ჩასაჯდომი ვერ ვიშოვნეთ, ბარგის წამღებიც არავინ აღმოჩნდა, რომ ამაღლების ქუჩამდე დამშვიდებული მიესულიყავით.

დავადექით ამ შორეულ გზას. სპირიდონი ბარგით დატვირთული, მე შენ ხელში აყვანილი, მეორეში ერთი კარგი ნაკრაულით მივდივართ, მუხლები მეკეთება, ეგრძნობ, რომ გზაში დაეჩრები, მამა ხომ დატვირთულია, მაგრამ ახერხებს მოძრაობას, ბარგის ნაწილს მოშორებით ახვინავებს, მეორე ნაწილზედ მე ვარ მომაგრებული, მამა ბრუნდება, დანარჩენებსაც ასე აწესრიგებს, რომ დამინახავს ჩემს უმწეობაში მეთოდსა სცვლის, შენც აგიკიდებს და ამ წვალებით მივცოცავთ ამ გოლგოთას მთაზედ, გათენებისას მივაღწიეთ ამაღლების ქუჩას და ოთახში შესულისას, დამბლადაცემულებივით ლოგინზედ დავეშვით.

ნამდვილი სასჯელი იყო ის ღამე, არ ვიცი, დავიმსახურეთ თუ არა.

ეს ეპიზოდი მალე იყო დავიწყებული და ჩვენი ცხოვრება ამ ახალ ბინაზედ ჯერჯერობით მაინც ძველებურად მიმდინარეობდა.

იმ ზამთარს ე. ი. 1922 წ. სპირიდონი ხშირად გადიოდა სახლიდან, მხოლოდ მე არაფერს მეუბნებოდა, თუ ვისა ჰხედებოდა, ვატყობდი კი რომ დროს გასატარებლად არ ირჯებოდა, თუმცა მაშინ თეატრებს, როგორც გვესმოდა, კლიენტურა არ აკლდა.

დაიწყეს სიარული სპირიდონთან ყველა მიმართულების ქართველებმა: გიგო რცხილაძე, ნიკო ქავთარაძე, ლეო ნათაძე, კირილე ნინიძე, ისიდორე ჯიბლაძემ და სხვებმა.

---

[1] ალბად მეტისმეტად მკაცრი ეყოფილვარ და ქაქუცაში ეხედავდი მხოლოდ მოქეიფეს და დარდიმანს...

ამათი ჩვენს სახლში მოსვლა არ მიკვირდა, ეფიქრობდი, რომ ესენი ყველანი ერთმა უბედურებამ დააკავშირა, რომ ეხლა პარტიები და მათი განსხვავება აღარ არის ანგარიშში ჩასაგდები, ერთმანეთს ხვდებიან როგორც ქართველები და ეს მე ძალიან მესიამოვნებოდა.

მოდიოდა ამათ გარეშე კოტე აბხაზი, დათა ვაჩნაძე, ალექსანდრე ასათიანი, იასონ ჯავახიშვილი, ეს კი პირველად ვნახე და ჩემთვის უცნობი იყო.

სწორედ ამ წელიწადს თებერვლის 10-ს სახლში მობრუნებული სპირიდონი მეკითხებოდა ერთი ოჯახის შესახებ, თუ ვიცნობ, მათი მისამართიც მითხრა, ერთი სიტყვით სპირიდონი ძალიან დაინტერესებული მეჩვენა ამ ოჯახის ვინაობით.

ეს იყო ვანო ჩოჯავაძის მისამართი, რომელიც ნავთლუხში ცხოვრობდა, ის იყო ინჟინერი, კარგი მეოჯახე და ამასთან კარგი ქართველი პატრიოტი.

"მე მომიხდება იქ გადასვლა"ო, ესეც რომ დაუმატა, გაოცებულმა შევხედე, თურმე მეორე დღეს 11 თებერვალს, წლისთავზედ რუსების ბორჩალოში თავდასხმისა, ყველა პოლიტიკური პარტიები ერთად აპირებენ დემონსტრაციას, მიდიან ქალაქ გარეთ, ეროვნული დროშით, რომელიც ეჭირება სპირიდონს, — მაშინ როდესაც ჩვენი ს. დემოკრატები თავიანთ შეცდომებს წარსულში კარგად გრძნობდნენ და არც მალავდნენ, — თორემ ამ დროშას არავის იოლად არ დაუთმობდნენ, აქ ემიგრაციაში კი, პირიქით დიდი თავმოწონებულები იყვნენ და არიან დღესაც..

ლეო ნათაძე ეს დიდი ს. დემოკრატი ფანატიკოსი, რომელიც იმ ჟამად სხვებთან ერთად ისიც დადიოდა ჩვენთან, ერთხელ სპირიდონს ამ სიტყვებით მიმართა; "ეხლა გეიბრძანეთ, რაც გინდათ, ჩვენ მოგყვებით"ო... ეს ის ლეო, რომელიც ავტონომიის წინააღმდეგიც კი იყო, მაგრამ იმდენად შეიცვალა, რომ ბათუმის მატარებელში რომ შემხვდა 24 თებერვალს, ცხარე ცრემლებით მომმართა; "ეს რა უბედურება დაგვემართა"ო.

მაშასადამე 11 თებერვალს საბურთალოსაკენ გაემართებიან პოლიტიკური პარტიები და იქიდან კარგად შეამკობენ ჩვენ მტრებს.

მთელი სალამო ვეხვეწებოდი მამას, სხვაგან დაეძინა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ პოლიტიკური პარტიების განზრახვა ხელისუფლების ყურებს არ ასცდებოდა, ეატყობოდი ბოლო ხანებში ჩვენ სახლის წინ ატუზულებს, მათ შიკრიკებს.

ისე ვეხვეწებოდი, იმ ღამეს სახლში არ დარჩენილიყო, რომ თავი მოეაბეზრე, მამამ კიდეც უთხრა დედაჩემს; "თქვენი ქალი მალე სახრჩობელაზედ ამიყვანს და ჩამომახრჩობსო".

იმან კი დამშვიდებულად დაიძინა იმ საღამოს, მაგრამ მე გულის აფორიაქებამ თვალი არ მომახუჭინა და როდესაც ღამის ორ საათზედ ჩვენს კარებს ჩეკისტები მოადგნენ და საშინლად დაგვიბრახუნეს, თითქოს მოვისვენე, მოხდა ის, რასაც საათების განმავლობაში მოველოდი.

მამა წამოიჭრა, მარდათ ჩაიცვა და კარებიდან ჰკითხა, ვინ იყო, "сотрудник ЧЕКА" რომ გაიგონე, წარმოიდგენ, შვილო, ჩემს მდგომარეობას, იმ წუთს თითქოს დამბლა დაცემული ვიყავი.

სპირიდონთან ერთად სამი შეიარაღებული კაცი შემოვიდა. ერთი ტალანში გაჩერდა, ორნი კი ოთახის აქოთებას შეუდგნენ.

სპირიდონის ციხეში ყოფნა.

ჩეკისტებმა დიდხანს ეძებეს, რაიმე საეჭვო აღმოეჩინათ მაგრამ ვერაფერი იპოვნეს. საწერ მაგიდაში ნახეს ფრანგულ ენაზედ რამოდენიმე რვეული ერთად შეკრული, იმის სინჯვას და თვალების ბრიალს, თუ ეს რა იყო, დიდხანს მოუნდნენ.

აღმოჩნდა სპირიდონის ნაშრომი ფიზიოლოგიიდან, რომელსაც პარიზში დოქტორასათვის ამზადებდა, დიდის მოთმინებით უხსნიდა მამა ამ ნაშრომის შინაარს, მაგრამ იმათ ეს საეჭვოდ მიიღეს და სხვა ფრანგულ ქაღალდებთან ერთად ესეც ჩაიდეს ჯიბეში და ამით გაათავეს.

რამოდენიმეჯერ მამამ ითხოვა ოთახიდან გასვლა, მოიმიზეზა ფეხის ადგილის საჭიროება, ტალანში მყოფი მცველი თანახმა იყო და, ცოტა არ იყოს, გეპრუნებდა კიდეც თავის უკმაყოფილობას, რომ მამას იმ ღამეს აწუხებდნენ ჩხრეკით, აღმოჩნდა ეს კაცი სპირიდონის გაზეთ "საქართველოს" სტამბის ასოთამწყობი.

ამ შესვლა გასვლაში მამას დაუბინავებია აივნის კედელში პატარა ქაღალდის ნაკეცი, რომელიც ევროპიდან იყო მოსული და საიდუმლოდ ჰქონდა შენახული.

ეს დოკუმენტი იყო ჩვენი მთავრობის მიერ გამოგზავნილი და შეიცავდა იმ პირობებს, რომელზედაც უნდა მომხდარიყო პარტიების შეთანხმება. თავისას არ იშლიდნენ, სოც. დემოკრატები კიდევ ფიქრობდნენ პირველ ადგილას ყოფნას, თუ საქართველო განთავისუფლდებოდა.

როგორ მოახერხა ამ პირობებში მამამ ამ ქაღალდის დაბინავება, არ ვიცი, მაგრამ აქ ევროპაში მეუბნებოდა: "ეხლაც ვიპოვნი თუ სახლი არ დაანგრიესო". ალბათ გათვალისწინებული ჰქონდა საშიშროების დროს, რომ ამ კედლის უჩინ-მაჩინი ადგილი მას სამსახურს გაუწევდა.

უბეში კახეთის რკინის გზის ბილეთი ედო, ესეც წაიღეს და თან ჰკითხავდნენ, რად წავიდა კახეთში, ამაზედ მე ვუპასუხე.

ვერაფერი ნახეს, თუმცა დილის ექვს საათამდე იბუდარაეს. წაიყვანეს მამა, რომელიც ჩეკისტებს აფრთხილებდა, კიბეზედ ნელა ჩასულიყვნენ, რადგან ელექტრონი გადაჭრილი იყო და ბნელოდა...!

მიდიოდა სპირიდონი, ხელში თავისი ლოგინის ნაკრაული ეჭირა და სამი კაცი ფეხდა-ფეხ მისდევდა, მე და დედა ფანჯრიდან თვალს არ ვაშორებდით, უცბად შემოტრიალდა და მთხოვა, მაგიდაზედ დარჩენილი მისი სათვალეები, წავიდა და წავიდა, ვიგრძენი მაშინ, ეს წასვლა დროებით არ იყო, და რომ ის სახლში აღარ დაბრუნდებოდა.

გათენდა თუ არა, მაშინათვე თამარა ფალავანდიშვილთან წაველი. ამ ჩემ ძეირფას მეგობართან, იმის საშუალებით მინდოდა გამეგო თუ სხვებიც არიან დაჭერილები, მაგალითად ფედერალისტები. წაველით გიგო რცხილაძესთან, გაიგეთ, რომ ჯერჯერობით ფედერალისტები თავისუფალნი იყვნენ და ჩეკა არაფისთან არ მისულა.

იქიდან წამოსული ჩეკაში მივედი და ვიკითხე, შესაძლებელი იყო თუ არა სადილის მიტანა; იქ გამაგებინეს, რომ იმავე დილით ყველანი მეტეხის ციხეში იყვნენ გადაყვანილნი.

მეტეხის კარებში დიდძალი ხალხი დამიხვდა, მახლობლები სადილით იყვნენ მისულნი და ჭურჭელთან ერთად შიგნიდან ელოდებოდნენ რაიმე ცნობას, ეკითხებოდნენ, თუ როდის იქნება შესაძლებელი ტუსაღების ნახვაამაზედ ციხის ადმინისტრაცია სიჩუმით უპასუხებდა. პირადათ მე სპირიდონი ენახე ექვსი თვის შემდეგ, ისიც ბადეს უკან.

იმ დღიდან დაიწყო ჩემი ჯოჯოხეთური ცხოვრება, შიში, გაჭირება. მეორე დღესვე სპირიდონის ოთახში რუსი ჩეკისტი თავისი ცოლით და ერთი მეგობარი ქალით იყო ჩასახლებული. განუწყვეტელი თვალყურის დევნება, ვინ მოვა, სად წავალ, რასა ვჭამთ, ან რას ვაკეთებთ, სულ თავს გვედგა ეს ხალხი..

ციხეში ყოველ დღე დავდიოდი, თუ კარგი ამინდი იყო, შენც მიგათრევდი, თუ ბებო კახეთში იყო წასული, მაშინ ხშირად მეზობელ ქალთან გტოვებდი.

დიდი სადილებით მამას ვერ ვანებივრებდი, მაგრამ ბევრს ვიკლებდი, რომ იმას ყველაფერი დროზედ ჰქონოდა და ეს ხომ ბუნებრივიც იყო. ჩემი მატერიალური მდგომარეობა მძიმედ მაგონდება, რამოდენიმე მე-8 შრომის სკოლაში ქართული ენის გაკვეთილის მცირედი ჯამაგირი და კახეთიდან ცოტა შეღავათი, ღვინოს გაყიდვის შემდეგ დედას მიერ ჩამოტანილი მარაგი.

თუ სპირიდონისაგან წინად სულ არაფერი ვიცოდით, თუ რა მუშაობა სწარმოებდა რეჟიმის წინააღმდეგ, ეხლა ჩემის საშუალებით უნდა გაეგო მამას გარეთ მომუშავეთა აზრი და მისი კიდევ გადამეცა ორგანიზაციისათვის.

ამას ვახერხებდი შემდეგნაირად; იასონ კერესელიძემ მომიტანა ერთი ბადე-პარკი, რომლის ნაქსოვში ერთი სხვილი კვანძი იყო. აი ეს გახდა ჩემი ფოსტის ყუთი; ამ კვანძში ვდებდი თხელ ქაღალდზედ დაწერილ შრიფტს და ამ კვანძში მაგრად ვტენიდი. ბადეში საჭმელების გარდა პატარა მაწვნის პარკუჭანასაც ვდებდი, თან ბარათსაც მივაყოლებდი; "მოგიტანე გაწურული მაწონიც" და გადავცემდი ციხეში. ეს პარკი თავის აელადიდებით სპირიდონთან რჩებოდა, ვი-

დრე "გაწურულ მაწონს" არ გამოიღებდა, არ წაიკითხავდა და თავის პასუხს იმაზე პარკით შემდეგ მისვლაზედ ცარიელ ჭურჭელთან ერთად არ გადმომცემდა.

ჩემ თვალწინ ერთი ქალის მიერ მოტანილ სადილში რაღაც ქაღალდი აღმოაჩინეს. ეს ქალი იქვე დაატუსაღეს. ადვილად წარმოიდგენ, შენ ჩემო თეო, ჩემს ძაგძაგს, როდესაც "ბადე ფოსტას" გადავცემდი.

ორგანიზაციასთან მაკავშირებდა იასონ ჯავახიშვილი, მომავალში წევრი დამოუკიდებლობის კომიტეტისა. სახლში, რასაკვირველია ვერ მოვიდოდა, რადგან ჩემი ყარაული ყველას ქაღალდებს უშინჯავდა.

ამიტომ დანიშნულ საათებში ხელში აგიყვანდი და გასეირნებდი ჩვეულებრივ, გამოჩნდებოდა იასონი, მოგეიასლოვდებოდა, ხელში რაღაც დაკეცილ ქაღალდს ჩაგიდებდა და გაგეშორდებოდა. შენს პატარა ხელს მოკუჭამდი, რომ არ გაგეშვა ეს საიდუმლო საბუთი, სახლში მოსვლისას ამას თავის ბინას მოეუნახავდი, მეორე დღეს კი მაწვნის პარკთან ერთად სპირიდონს ესეც მიუვიდოდა.

ამნაირად მამას ვაცნობდი მარტო ერ. დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციის აზრს კი არა, არამედ მთელი ცენტრის მუშაობასაც.

თუ ბათუმიდან დაბრუნებულს ამ ერთი წლის წინად თბილისი ძარღვებმოკვეთილი და მიყუჩებული მეჩვენა, ეხლა თითქოს ბურუსიდან გამოსული ეხეთქებოდა აქეთ იქით, რომ გამოსაყალი ეპოვნა, თითქოს დაეაქცებულიყო და აღარფრისა ეშინოდა.

ერთ დღეს სპირიდონმა მაცნობა, რომ ორ დღეში მეტეხიდან ციმბირში პგზავნიდნენ. ამათი სია ჩვენში იქნებოდა გამოცხადებული; "თუ რაიმე თბილი მაქვს, ციხეში მომიტანეო".

საშინელი ამინდი იყო, შენ ავადმყოფი, სიცხიანი საბანში გაგახვიე და ჩეკისაკენ გაეექანე, სადაც გადასახლებულთა სია უნდა წამეკითხა. გზა გადამიჭრა ერთმა ავტომობილმა, რომელშიაც იყვდა ნებიერი სახის მქონე და კმაყოფილი, საქართველოს მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარე, ავტორი ამ ახალი განკარგულებისა. სერიოჟა ქავთარაძე.

აღელვებულმა ველარ მოვითმინე და ავტომობილში მჯდომს, ამ "დიდ კაცს" მივაძახე "შე საზიზღარო" და შენ კი როგორც გიყვარ ისე მიგარბენებდი ამ ქარწვიმიან მარტის საშინელ ამინდში.

სერიოჟა ცოტა შეტოკდა ჩემს ნათქვამზედ და განაგრძო გზა. მის რძალს ანიკოს ეთქვა; "უნდა მაშინათვე დაგეჭირა კედიას ცოლიო".

მისი ნათქვამი ჩემამდე მოვიდა; "ჩემს მდგომარეობაში ტერორიც გასაგებია", ასე შეეუთვალე ანიკოს, პეტრე ქავთარაძის მეუღლეს.

რადგან ციმბირის ამბავმა დიდი აღელვება გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში, ამას კიდევ მაშინ ძალა ჰქონდა, ეს პროექტი მთავრობამ მოხსნა.

ერთ დღეს ეს ჩემი მუდმივი ყარაული შემოვიდა ჩემთან ტირილით, ლენინი მომკვდარაო, დავკარგეთ ჩვენი მამაო, ტიროდა

ცხარე ცრემლებით. მერე საიდუმლოდ გამანდო, რომ თავისი ცოლით მიდის რუსეთში, სტოვებს ყოველგვარ მუშაობას, პხედავს, რომ ნამდვილი ერთობა არ არის. მისი უფროსები გამაძლრები არიან და ამ პატარა მოხელეებს პურის ულუფა, საერთოდ საჭმელი ცოტა ეძლევათ. ეს არ არის სამართლიანი რეჟიმიო, გამომეთხოვა კიდეც.

მისი ცოლიც უკმაყოფილი იყო და უფრო მაგარი სიტყვებით უმასპინძლდებოდა უფროს ამხანაგებს. მე ყურადღებით მოვისმინე მათი ალსარება.

ეუბრუნდები ისევ სპირიდონის ციხეში ყოფნას, ის იქ იტანჯებოდა ჩვენი ცხოვრებით, მაგრამ მთლად უღონოდ გრძნობდა თავს, ჩვენ გარეთ დარჩენილები კი მთლად უიარაღონი მტრის წინაშე, ღვთის ანაბარა ვიყავით. არ მასვენებდნენ. ხშირად მიკაკუნებდნენ კარებს შაე კურტკაში გამოწყობილი, ამღერეული სახის მქონე ყმაწვილები.

ერთხელ "დამკომი" შემომიგზავნეს, მიბრძანებდნენ; "ამაღამ ეზო თქვენ უნდა დაგაეოთო", ე.ი. ღამის ორ საათზედ მე უნდა ამეღო ცოცხი და ეზო გამესუფთავებინა.

მაშინათვე წაედი ბინების ზედამხედველ კომისარიატის განყოფილებაში, იქ განვაცხადე, რომ ვარ მასწავლებელი და შეუძლებელია ამ ორი ფუნქციის შესრულება, ან უნდა ბავშვებს ვასწავლო, ან ეზო ვგაეო.

დავინახე მაგიდასთან მჯდომი ჩემი კარგი ნაცნობი, სტავიცკი, დედით ქართველი, რომელიც ჩვენ გიმნაზიაში მასწავლებლად იყო და ყველას გეეჩვენებოდა როგორც პატრიოტი, თურმე ბოლშევიკების შემოსვლამდე იგი ყოფილა ნიღაბაკრული, კომისარიატში ერთ მოხელეს მაგრად ალელეებული ველაპარაკებოდი, რომ უცებ მომესმა სტავიცკის სიტყვები; "თქვენ საერთოდ გეეკარებათ ბოლშევიკები და მათი მეთოდები"ო.

ამაზედ მე მოკლედ ვუპასუხე "ისე როგორც თქვენ 24 თებერვლამდე". ამას ის არ მოელოდდა და თავი ჩაღუნა. მე ჩემი გავიყვანე, ცოცხი არ ავიღე.

რომ უფრო შევეეწროვებინე, დააპირეს სასადილო ოთახში, რომელიც გასასელელი იყო მე და ტამიროვის ცოლისათვის, კურტნიანი მუშის ჩასახლება. ეს პატარა ლაწირაკები კი ვერაფერს გახდნენ, მაგრამ მე ბევრი ენერგია შევალიე ამ მოულოდნელ თავდასხმებს, თითქმის ყოველთვის ვიმარჯვებდი.

იმ ხანებში გავარდა სმა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გავიდა რამოდენიმე ათეული ერთგულით, მთებში დაიდო ბინა და იქიდან მტერს შეებრძოლებაო. მთავრობამ ხალხი შეავიწროვა, შესაძლებელი იყო, სანოვაგის შოვნაც ვერ მოეხერხებინათ ამ მთებში გასულ პატრიოტებს.

ქართველობის მთელი ყურადღება ქაქუცასაკენ იყო მიმართული, ის იყო მაშინ საქართველოს მაჯისცემა.

ციხეს ესტუმრა თურმე მაშინდელი ჩეკის თავმჯდომარე. თუ არა ვცდები, ოკუჯავა, რომელსაც საყვედურით მიუმართავს სპირიდო-

ნისათვის, "ჩოლოყაშვილი თქვენი კუდია, ეს ყველაფერი თქვენი საქმეაო". მამას უპასუხნია; "ჩოლოყაშვილი ნამდვილი ეაჟკაცია და ეაჟკაცურად მოიქცა, ჩვენ ლაჩრები კი შეგრჩით ხელშიო".

რამდენად ქაქუცას სმა ძლიერდებოდა, იმდენად ხელისუფლება მკაცრ ზომებს აორკეცებდა, მაგრამ პოლიტიკურ ტუსაღებს ყურეღრობით არა ხვრეტამდა, დაჭერით კი ბევრს იჭერდნენ. ხვეულებით იყო გატენილი ციხეები, არც ჩეკა იყო ცარიელი.

მაგრამ მალე შიშის ზარი დასცეს ქართველებს, როდესაც მეტეხიდან გაიყვანეს რამოდენიმე პატრიოტი, განუკითხავად და გაუსამართლებლად დახვრიტეს როგორც "ბანდიტები". ვინ მისცათ ეს ცნობა, საიდუმლოდ დარჩა. ამბობდნენ კი: "სოციალისტებმა" ო.

ეს იყო პირველი მსხვერპლი და ქართული შეგნებისათვის დიდი ჭრილობა და სირცხვილი...

ესენი იყვნენ კოტე ჩოლოყაშვილი, არჩილ ეაჩნაძე, სუსლიკა ანდრონიკაშვილი და კიდევ რამოდენიმე კახელი ახალგაზრდა, ჩემდა სამწუხაროდ ყველას გვარები ჩემს მეხსიერებაში არ არის აღბეჭდილი. ამ ქართველებიდან სუსლიკა ანდრონიკაშვილი ლურსმანით ხელში შეებრძოლა ჯალათ შულმანს და კინაღამ თვალები დასთხარა, ძალიან დააზიანა, ამიტომ სუსლიკა იქვე ჩეკის კედლებში ჩაკლეს, დანარჩენები კი საბურთალოზედ კამიონით წაიყვანეს და იქ გაუთხარეს მათ სამარე.

მათ ბრალდებოდათ დასაწყისშივე ქაქუცასთან ნაცნობობა და კაეშირი. ამ საშინელების შემდეგ შულმანმა ჩაიცვა სუსლიკას წაღები და ისე ესტუმრა ორთაჭალის ციხეს; თვალებდასისხლიანებული, გაანჩხლებული და განუცხადა ვინც არ დამემორჩილება, აი ასეთი ბედი ეწვევა როგორც ამ წაღების პატრონსაო, ე.ი. დაგხვრეტავთ ყველას, თუ ჭკუით არ იქნებითო.

ახლოვდებოდა მაისი და მისი 26 რიცხვი, რომელიც ასე სათუთად ჰქონდა ყოველ ქართველს თავის გულში ჩაქსოვილი და აღბეჭდილი. აქა იქ ისმოდა ჩურჩული, რომ ამ დღეს ქართველობა ქუჩაში გამოვა და თავის სულისთქმას საქვეყნოდ მოჰფენს.

უმთავრესად ამისათვის ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდობა მოქმედებდა, პოლიტიკური პარტიებიც და თითქმის ყველა ამისათვის ემზადებოდა. ჩვენ სასწავლებელში ე.ი. მე–8 შრომის სკოლაში გვაცნობეს, რომ დილის ათი საათისათვის 26 მაისს მასწავლებლები შეგროვდებოდნენ ერევნის მოედანზედ, აქედან ვერისაკენ გაემართებოდნენ, გზა და გზა ალბათ სხვებიც მიემატებოდნენ, საბოლოოდ წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში ყველა ეს ხალხი შეკრებოდა და იქიდან გამოვიდოდა შოთას გამზირით, რასაკვირველია ეროვნული დროშაც თავის ადგილს დაიჭერდა.

აბა შენ ხომ ეჭვი არა გაქვს, რომ მე დროზე მივიდოდი დანიშნულ ადგილას. ერევნის მოედანზედ დამიხვდა მხოლოდ ელენე შიუკაშვილი. ჩემი საყვარელი მასწავლებელი, რომელიც თელავში რუსულ ენას მასწავლიდა. რომ დამინახა, გაუხარდა, მწუხარებით აღნიშნა, ეტყობა, ჩვენი მასწავლებლები შეშინდნენ, ამიტომ არავინ მო-

ვიდაო. არ ვიცი იმყამად ის რომელ სკოლაში მუშაობდა ამ თავისი დიდი ხნის გამოცდილებით.

მაშინათვე ის დავტოვე და ჩვენ სკოლიდან მისი გამგე თამარა ჯავახიშვილი და სკოლის კანცელარიის მოსამსახურე გედეონიშვილის ქალი წამოვიყვანე, აქედან გაეცარეთ ფეფო ერისთავს, ესეც მასწავლებელი იყო.

ვიფიქრეთ ქართული უნივერსიტეტისაკენ წავსულიყავით, ახალგაზრდების მეტი იმედი მქონდა და იმათ შეეცურთდებოდით.

წყნეთის ქუჩაზედ ერთმა ყმაწვილმა ჩაგვიარა და წაგველაპარაკა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში წავსულიყავით, საბოლოოდ იქ იყო შეხვედრა.

შეეედით თუ არა ეკლესიის ეზოში, დავინახეთ ჩეკისტები, რომელნიც რევოლვერებით ხელში, გაშმაგებულნი, ყვირილით ცდილობდნენ შეგროვილი ხალხის დაშლას; მათი ხელმძღვანელი ოგანეზოვი ცხენზედ მჯდომი სასტიკ განკარგულებებს აძლევდა თა'ის ხელქვეითა ჩეკისტებს, ყვირილი და წინააღმდეგობა არა სცხრებოდა.

ახალგაზრდობამ მაინც მოახერხა ერთად შეკერა და გამოსასვლელ კარებში გაისმა "დიდება" და აფრიალდა ეროვნული დროშა. დროშა ეჭირა ახალგაზრდა სტუდენტ თინა გველესიანს, დავინახე თინას გარშემო ჭიდილი. ერთმა ჩეკისტმა, მგონი ეს იყო ოგანეზოვი, ისე დაარტყა მათრახი ამ ჩვენ მედროშეს, მეგონა, ეს ქალი წელში გადატყდებოდა, მაგრამ ეს ახალგაზრდა პატრიოტი ქალი ამას არ შეუშინდა და ბოლომდე ეჭირა ჩვენი თავისუფლების სიმბოლო.

კარებშიეე ხალხი ორად გაჰყეს და სლეპცოვის პატარა ქუჩაზედ შუაში იდგნენ შეიარაღებულნი და გეიყვიროდნენ, ვინც ერთი ტროტუარიდან მეორეზედ გადახვალთ, გესვრითო.

ამ ახალგაზრდებში ჩვენ ვიყავით უფროსნი, თამარა ჯავახიშვილი, სკოლის გამგე, ფეფო ერისთავი, გედეონიშვილის ქალი და მე. ვიფიქრე არ დავმორჩილებოდით ამ ჩეკისტებს და გადავედი, შუა ქუჩაზედ მივმართე პოლიციის უფროსს, მგონი მაშინ ჩხეიძე იყო, ნამდვილად არ მახსოვს, რომ მივუახლოვდი, როგორცა სჩანს მიცნო, საშინლად გაფითრდა და ცოტა არ იყოს, შერცხვენილიც მიგდებდა ყურს; "რა გაქვთ ამის საწინააღმდეგო, გაუმარჯოს დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოს".

ფერმიხდილმა, ხელის კანკალით დაუშვა თავისი ალყზედ შემდგარი რევოლვერი. ამ დროს ორად გაყოფილი ნაწილი გაერთიანდა და კუნჭულში მომწყვდეული იგერიებდა ამ შეიარაღებული აგენტების მუკლუგუნებს და ლანძღვა გინებას.

პატარა ხანში ჩვენ წინ ცხენოსანი რაზმი გაჩნდა, ყვირილით ისინიც იშუქრებოდნენ; "თუ არ დაიშლებით, გესვრით და ჩვენკენ თოფები იყო მოშვერილი. აქედან უპასუხებდნენ; "გვესროლეთ, გვესროლეთო". საბოლოოდ იქვე დიდი გარაჟის ეზოში შეგრეკეს და ჯგუფსა და ჯგუფს შორის რუსის ჯარისკაცები ჩააყენეს.

ვინც გარაჟის გარედ დარჩა, ისინი კამიონებით ჩეკისაკენ თუ მეტეხისაკენ გაამგზავრეს. ასე ფიქრობდნენ ჩვენ დაბინავებასაც, მაგრამ

ამ დატუსაღებულებს, თურმე ქუჩაში ხალხი დიდის ოვაციებით და ტაშისცემით უხვედებოდა, ამიტომ ხელისუფლებამ იფიქრა, ჩვენი აქედან წაყვანა ღამით მოეხერხებინა, რომ არავის ვენახეთ.

ამ მეტაშეთა შორის ბევრს უკრეს თავი ჩეკაში და დამწყდიეს, მაგალითად ჩემი ბიძაშვილი ელენა, ექიმი ქალი, რომელიც ჩეკაში შემხვდა.

გარაჟში მთელი დღე ფეხზედ ვიდექით და განარჩენს ველოდებოდით. ჩვენ ჯგუფთან მდგომი ჯარისკაცი შეგეკითხა; "где это вас подобрали"ო სად აგკრიფესო, "ჩვენ სამი დღეა გვამზადებენ, რომ ფრთხილად ვიყვნეთ და თვალი გადევნოთ, რომ თქვენ ცუდი საქმე არ ჩაიდინოთო".

დაეუწყე ლაპარაკი, გავაგებინე ისიც, რომ ტყუილად აწვალებენ ჯარისკაცებს, ჩვენ გვინდა და ამას მოვითხოვთ, ყველა იყოს თავის ქვეყანაში თავის ცოლშვილთან დამშვიდებულად იცხოვროს; ამაზედ წაიზმუკუნა თავი დამიკანტურა, და კინაღამ იტირა კიდეც, როდესაც მოიგონა თავისი ახალგაზრდა ცოლი და პატარა ბიჭი, რომელთა ამბავიც კი დიდი ხანია არ იცის.

ყველაფერ ამას ჩუმად ბუტბუტებდა და არც მიყურებდა, ჩიოდა იმას, რომ ცუდი კვება აქვთ, პურიც ძალიან აკლიათ; მაშინ ჩვენ შორის შეგროვილი გროშები შევთავაზეთ, გაუხარდა, მხოლოდ ჩუმად გაისმა; "клади в карман" ჯიბეში ჩადეო. მცა ჩაუცურე ქალალდში გახვეული რამოდენიმე წერილი ფული.

ამ გარაჟში იქნებოდა სამსახ სული მაინც, თორემ ასე ადვილად ვერ დავიახლოებდით ამ ორგულ რუსის ჯარისკაცს, ჩვენთვის საგანგებოდ მოწერილ ყარაულს.

ჩეკისტები უმთავრესად სტუდენტებს დასტრიალებდნენ, ყოველ მათ განძრევას დაჭიმული გონებით ზომავდნენ, განსაკუთრებით ჩვენი ქართული სიმღერები, რომლითაც ახალგაზრდობა ჯავრს იქარწყლებდა, მათ აბრაზებდათ, მაშინათვე აწყვეტინებდნენ. რამდენჯერ ამა თუ იმ ჯგუფმა სხვა ამოიღო, მჭექარე სხვ გაისმოდა; "გაჩუმდით, გაჩუმდით, თორემ" მიუთითებდნენ თავიანთ იარაღზედ "გესვრითო".

მე რომ დამინახეს ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატებმა, თურმე ეწყინათ, სპირიდონი ციხეში და მე ამ ახალგაზრდათა დემონსტრაციაში, რომ ეს საჭირო არ იყო, ერთი სიტყვით გამეჯორეს, იქნება ისინი უფრო მართალნი იყვნენ, მაგრამ მე მაშინ ძალიან ვიყავი ატეხილი, მტერს, თუ საჭირო იქნებოდა, შევაკედებოდი.

ამ ამბავში დაბნელდა კიდეც, დილით სუმბუქი ტანისამოსით გასულნი, საშინელმა კანკალმა აგვიტანა, გაზეთის ფურცლებს მხრებზედ ვიფარებდით, მაგრამ სიცივე თავისას არ იშლიდა.

ღამის თერთმეტ საათზედ ცხენოსანი რაზმი მოვიდა ჩვენ წასაყვანად, ქუჩები სიბნელეში იყო გახვეული, სახლებიდან, არსაიდან სინათლე.

დაგვაყენეს ოთხოთხი და ასე გაბაწრულები, სად თავი და სად ბოლო მიეცდიოდით სხვ ჩაკმენდილები, აქეთ იქიდან ცხენოსანი ჯარიც

მოგვდევდა, ქვეითთა ჯარი კი ისევე იყო განაწილებული, როგორც გარაჟში, თითო ჯგუფს ჰყარაულობდა ერთი ჯარის კაცი.

უცბად მოვისმენ ჩემს გვერდით, მომესმა, ჩუმი, დამამშვიდებელი ხმა; "не бойся я буду здесь". ნუ გეშინიან მე აქ ვიქნებიო. ეს იყო ჩვენი ახლადშეძენილი "მეგობარი", რომელსაც ალბათ ჯიბე კიდევ დიდხანს ექნებოდა გროშების მისაღებად დამზადებული.

მიეყავდით ნელის ნაბიჯით, გზა და გზა კიდევ გვაჭერებდნენ, რადგან ჩეკის მთელი შენობა თურმე ისე იყო გატენილი ტუსაღებით, რომ ჩვენთვის ალაგს ეღარ პოულობდნენ.

დილის რიჟრაჟი იყო, რომ ჩეკაში მიგვიყვანეს და ეზოში გაგვაჩერეს, შევხედე მამადავითს, რომელიც ბურუსიდან ახლად იყო გამოსული, თითქოს ამ შენობასთან ენაჩავარდნილ ხალხს გაოცებული ზევიდან დასცქეროდა. წინად მას აქ უხილავს თუშურ ქუდიანი ბიჭები, რომელთა ყიჟინა და სიმხიარულე გარეთ უბანსაც კი სწვდებოდა.

ამ შენობაში 1905 რევოლუციამდე ქართული სათაყვანებლო სასწავლებელი იყო მოთავსებული, გითხარი, ჩემო თეო, ისიც, თუ როგორ მოკლეს რუსის ჯარისკაცებმა მისი დირექტორი ჩიტაძე და რანაირად ააოხრეს იქაურობა.

მწარე ფიქრებს მივეცი და ჩუმად, მორიდებულად რამოდენიმე ცრემლი მოვიხოცე. დიდხანს გვამყოფეს ეზოში, შემდეგ ქალები გამოგვაცალკევეს, უცბად დაგვიკივლეს და შეგვერეკეს ერთ სარდაფის ოთახში, სადაც არც ფანჯარა იყო და არც ჰაერის ნატამალი.

დაეწყო წინაალმდეგობა, ამ ღრიანცელში ერთი ქალის ყვირილი გაისმა, თურმე იატაკი რიგიანად არ ყოფილა დაგებული, ამოდენა ხალხის სიმძიმე ვერ აიტანა, ჩატყდა და ამ ქალის ფეხი მოიყოლია. საცოდავს საშინელი ტკივილები ხომ აწუხებდა, მაგრამ უფრო ჩეკისტის ყვირილი, რომ განგებ მოვაწყვეთ, იატაკი ჩვენ ჩაეტეხეთ და ამასთან უშვერი სიტყვებით გვიმასპინძლდებოდა ეს, საუბედუროდ ქართველი ჩეკისტი; ქალის ფეხი როგორც იყო განათავსუფლდა. ჩვენც ხმამაღლა მოვითხოვეთ ოთახი, სადაც გულები მაინც უპაერობით არ შეგვიწუხდებოდა; ჩვენმა ჰირვეულობამ გასჭრა და ოთახი გამოგვიცვალეს.

ოთხი დღის განმავლობაში ცარიელი ფიცრების ანაბარას ვიყავით, არც ჩვენი ლოგინი მიიღეს, არც საჭმელ-სასმელი. დილით შემოგვიტანდნენ ცხელ წყალს, ვითომ წვენს და პატარა პურის ნატეხს, ეს იყო და ეს. საღამოთიც ამ წვენის მსგავს, ცხელ წყალს, პურის ნაჭერით.

შუა დღისას გაგვიყვანდნენ ეზოში, შემოგვატარებდნენ და ისევ ოთახში დაგვაბრუნებდნენ. აი ამ სეირნობის დროს შემხვედა ჩვენი ელენა, გამაგებინა ისიც ძალიან მოკლედ, რომ ტაში ჰქონდა დაკრული, როდესაც დატუსაღებულები დაინახა 26 მაისს.

მეოთხე დღეს რადგან აქ ადგილი აღარ იყო, გადაგვიყვანეს პირდაპირ შენობაში, სადაც მოთავსებული იყო "ზაკჩეკა", კავკასიის ჩეკა.

ქუჩაში გადავდიოდით, რომ დაეინახე თამარა ფალავანდიშვილი, რომელსაც იმ დღეების განმავლობაში ჩემთვის სადილები დაპქონდა და ყოველთვის უკან უბრუნებდნენ, აქ არ არისო.

იმანაც დამინახა და გამოიქცა, თითქოს გაუხარდა, რომ მიპოვნა, მაგრამ ვერ გამომელაპარაკა და სადილიც უკან წაიღო.

მეხუთე დღეს შემოგვიტანეს ჩვენთვის მომზადებული სადილი, მაგრამ ეს ცეკლაფერი იქვე დატოვეთ, რადგან იმ დღეს კომისია მოდიოდა და ჩვენც იმედი გვქონდა, თავისუფლები ვიქნებოდით, ჩეკადან მაინც სადმე სხეაგან გადაგვეყვანდნენ.

კომისია შესდგებოდა, თუ არა ვცდები, ცხრა თუ მეტი წევრისაგან. დაიწყო დაკითხვა, სათითაოდ შეპყავდათ თვითეული ჩვენთაგანი და ეკითხებოდნენ, თუ 26 მაისს რად გამოვიდნენ ქუჩაში, რად მიიღეს მონაწილეობა დემონსტრაციაში და სხვა.

ჩემ მეგობრებს ჩემი ეშინოდათ, "სონა სიმართლეს იტყვის და პირდაპირ მეტეხში უკრავენ თაესა".

წინა დღეებში რომ დემონსტრაციაში მონაწილეები მეტეხში მიუყვანიათ, იმათგან გაუგია სპირიდონს, რომ მეც დაჭერილი ვიყავი; იმას არ გაკკვირვებია და უთქვამს კიდეც; "ეხლა კი მოისვენებსო".

კომისიაში რომ დამიძახეს და ჩემი თავი დავაახელე, ერთმა ქართველმა, მგონი ეს იყო ლევან ღოღობერიძე, მეორეს შეხედა და არ მალაპარაკეს, მოერიდნენ ჩემს მოხსენებებს თუ განმარტებებს, იფიქრეს ალბათ ისიც, რომ ქმარი ციხეში და ბავშვი ჩემს ანაბარას იყო და ეს ცკლამ იცოდა, ერთი სიტყვით გამომიშვეს, მე კი ვაპირებდი თამამად ცკელაფრის თქმას.

ასევე მოექცნენ ბალო მაყაშვილის ასულს, რომელიც მე წამოვიყვანე თამარა ჯავახიშვილთან ერთად ჩვენი სკოლიდან, ის იქ კანცელარიაში მუშაობდა. იმ დღეს ეს ქალი საგაზაფხულოდ იყო მორთული, ეცვა თეთრი გაზის კაბა, ცისფერ სარტყელით შემკული.

კომისიაში რომ ჰკითხეს, რად გამოვიდა იმ დღეს ქუჩაში, "ზარების დარეკვა ხომ არა გქონდათ დავალებულიო", იმას უპასუხნია, რომ იმ დილით მკერავ ქალთან მიდიოდა და შემთხვევით დაიჭირეს, ძალიან სასაცილო კი იყო. ამის ჩვენებას კომისია ადვილად დაიჯერებდა.

ცკელა გაგვანთავისუფლეს და კმაყოფილნი დავიშალენით. შახლში რომ მივედი დედაჩემი ტირილით დამხვდა, საცოდავი ადამიანი, ჩემთან ერთად ისიც ბევრჯერ გაწვალდა.

წინა საღამოს კინალამ ირაკლი არ გახდა ჩეკის მსხვერპლი. მოსულა დედასთან საშინლად შეწუხებული ჩემი დაჭერით, თურმე ტიროდა, ერთი და მყავს და ასეთ უბედურ პირობებში უხდება ცხოვრებაო. აი როდესაც აქედან გაბრუნებულა, ჩეკისტი გადასდგომია წინ, შეუცვანიათ ჩეკაში და უკითხავთ, რად მოვიდა დედასთან, უარებიათ მისი იქვე გაჩერება, მაშინ ირაკლის დაუყრია "კახეთის" ღვინის საწყობების გასაღებები უთქვამს, რომ დილის ექვსი საათიდან იქ უნდა იყოს, რომ მუშები მიიღოს. ამან ეტყობა გაჯერა, რომ ირაკლი გამოუშვეს.

ციხიდან სპირიდონის მიერ გამოგზავნილი პროკლამაცია ხელიდან ხელში გადადიოდა, მისი შინაარსი, როგორც მახსოვს, გამამხნევებელი, სულის სიმტკიცის სურვილები, მწუხარება იმის გამო, რომ "თქვენ რიგებს მოკლებულნი ვართ, მაგრამ თქვენთან გეიგულისხმეთო". ეს მიმართვა "ქართველ ერს", საბოლოოდ ერთერთი სკოლის ბიბლიოთეკაში დაბინავდა, აბა მე ხომ ვერ შევინახავდი.[1]

იმ ზაფხულს შენ ჩემო თეონი ბებო თეოსთან სამეგრელოში იყავი, ეს სპირიდონს ძალიან უნდოდა, რომ ბებოს ენახე და ესიამოვნა, მაშიდა კატომ წაგიყვანა, სადგურზედ ირაკლიმ გაგეცილა, ხელში აყვანილი, შენ სულ უკან იყურებოდი, ვიდრე მატარებელი არ დაიძრა, მაგრამ დიდი განცდები დედასთან დაშორებისა მაინც და მაინც არ გემჩნეოდა; გიყვარდა ტუნტული, ახალი შთაბეჭდილებები, იყავი მაშინ ორი წლისა და ნახევრისა.

დარჩი მარტოკა, რადგან დედაც კისისხევისაკენ გაემგზავრა, რომ საზამთროდ ცოტა რამ მაინც ჩამოეტანა. ოქტომბრის გასულამდე იქა რჩებოდა, ვიდრე ღვინოსაც არ გაანაღდებდა. ეხლა შემეძლო თავისუფლად მეცლო ციხეში და შენი აქა იქ დაბინავება, ვიდრე ციხიდან დავბრუნდებოდი, აღარ მაწუხებდა.

მეორეს მხრივ ეს ზაფხული ძალიან მწარედ მაგონდება, რადგან ჯიბე მეტისმეტად ცარიელი მქონდა, ამაუ დროს ტუსაღი შესანახი მყავდა.

ნიკო თავდგერიძის ცოლი, რომელიც თავისი ქმრით ჩვენს ზეითა სართულში ცხოვრობდა, ისინიც ძალიან გაჭირებულნი იყვნენ, დაიწყო სადილების გაკეთება, მეც ვილებდი მისგან ერთი ადამიანისათვის საკმარის კერძს და მთლიანად სპირიდონისათვის მქონდა გადადებული. ალბათ მკითხავ, მე რასა ეჭამდი? დღეში ორი კიტრის წნილი და ცარიელი პური, ეს იყო და ეს, უნდა გითხრა მეტის მოთხოვნილებაც არა მქონდა.

ჩემი ორივე ძმის ოჯახი საზაფხულოდ გასული იყო, შენ ბებოსთან თეონახევარი დარჩი, იქიდან ისეთი დასნეულებული ჩამოგიყვანა მაშიდა კატომ, რომ ძალიან ვინანე შენი სამეგრელოში ბებოსთან გაგზავნა.

ციხიდან მოვდიოდი წელმოწყვეტილი, რომ ჩვენი სახლიდან გამოყვანილი შენი არსება ხელში აყვანილი კატომ მომაგება, ეს იყო ჩემთვის დიდი განცდა, მაგრამ რომ მოგიახლოვდი, შენ პირი შემიბრუნე, არც კი მომხედე, შეეცდით სახლში, ვერას გზით ჩემი თაი ვერ მოგაგონე, შევწუხდი.

მაშინ დავიწყე აკვნის ნანა, რომელსაც თუმცა შეჩვეული იყავი ყოველ დაძინებისას, ზოგჯერ კი "არა ნანა" ამას მეტყოდი, ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ დღეს ამის მოსმენა არ გინდოდა, უფრო ხშირად

---

[1] სონია სიდამონ ერისთაჟი ეახვახიშვილისა – ჩემი ძველი ნაცნობი – იმ ჟამად გამგე პირველ დაწყებითი სკოლისა, რომლის ბიბლიოთეკაში დაბინავდა ეს სპირიდონის მიმართვა 26 მაისს 1922 წ.

კი შემიკვეთამდი "წანა" მეტყოდი და მეც დამორჩილებული დავიწყებდი ამ ლამაზ ნანას და შენც სიზმარეთისაკენ გაემგზავრებოდი.

პო და ამ ნანამ მოგაგონა და გაპოვნინა შენი დედა, წამობარბაცდი და დაიძახე "დედა, დედაო". კარგი სურათი იყო, მე ბედნიერი და შენც სიამოვნების იერში გახვეული.

ჩამოგიყვანა მამიდამ საშინლად გაყვითლებული, კუჭმოშლილი და სიცხიანი. ის იყო და ის, მთელი ხუთი წლის განმავლობაში კუჭი ვერ ჩადგა ნორმალურ მდგომარეობაში, აღმოჩნდა ამიობის სისხა.

ექიმები სიამოვნებით მოდიოდნენ, თაყიანთ შრომას არ გაკლებდნენ, თუ წამალი იშვიათი იყო, თედო სახოკია გაჭირებულთა ჭირისუფალი, მთელ აფთიაქებს შესძრავდა, რომ შენთვის წამალი მოეტანა, მაგრამ ამაოდ, ზამთარში მოკეთდებოდი, მაგრამ მარტიდან მოყოლებული ეს ავადმყოფობა ისევ გტანჯავდა.

სუსტდებოდი კიდევ უფრო უჭმელობით, ცარიელი ბრინჯის წვენი და კისელი, დამშეული შეგეცქეროდი როდესაც ეჭამდით. თუ ვინმე ხილს მოგიტანდა, ან რაიმე ტკბილეულობას, აპხდიდი ყუთს, გამოალაგებდი და დაღონებული იტყოდი, "ეს ჩემთვის არ შეიძლებაო", გეთხოვდი ჭამეთო, თან პირში შეგეცქეროდი. ერთხელ კი ვეღარ მოითმინე და ყარაღიევით დაეცი პურს და გაშმაგებით დაიწყე ჭამა; ასე გაგტანჯა ამ სისხამ და მისი შედეგები დიდხანს დაგემწნა.

წლისა ნახევრისამ ენა ამოიდგი, პირველი შენი სიტყვა იყო "კაქია" კარგია და ლამაზიო, ძალიან გიყვარდა სილამაზე და ყოველთვის ამას ამჩნევდი, სადაც არ უნდა ჰყოფილიყავი.

სამეგრელოდან დაბრუნდი დიდი მოლაპარაკე ქალი, მაგრამ შენი ენა უცნაური იყო, შენი საკუთარი ჭკუით თუ სმენით დალაგებული ქართულ-მეგრული სიტყვები და ისე უცნაურად, რომ მისი აზრი არავის გეესმოდა, კარგა დრო დაგჭირდა, ვიდრე რიგიანად შენს აზრს იტყოდი.

ერთ დღეს მეც ავად გაგხდი და დიდი სიცხიანი ვიყავი, რომ კატო შემოვიდა, ეთხოვე ციხეში იმას წაელო სპირიდონისათვის სადილი, უარი მითხრა, ხვალ კოჯორში ექსკურსიას მივდევ და დღეს ბევრი საქმე მაქვსო.

სხვა გზა არ იყო, წაეედი სიცხიანი და სწორედ იმ დღეს შეეძელი სპირიდონის პირისპირ ნახვა ამ ექვსი თვის განმავლობაში. იმ დღეებში იგი ორთაჭალის საავადმყოფოში გადაჰყავდათ, რადგან ფეხები დასიებული ჰქონდა და ამასთან საშინელი ტკივილები.

შეწუხებული მიყურებდა ამ სიცხიანს და ბევრი ეურაფერი ვუთხარით ერთმანეთს.

თუმცა ეს ორთაჭალის ციხე ცოტა შორს იყო, მაგრამ ცოტა შვება მომეცემოდა, რადგან შენთან ერთად ყოველდღე სიარული შემეცვლებოდა კვირაში ერთხელ თუ ორჯერ ეს აღარ მახსოვს.

გარდა ამისა სპირიდონს ბადეს უკან კი არ დაეღაპარაკებოდი, არამედ პირისპირ, რასაკვირველია, ჯარისკაცის თანადასწრებით. შენც ფეხადგმული ქალი იყავი და ესეც შეგეათს მაძლევდა.

მეტეხში, მთელი გზა ხელში მეჭირე, ციხეში მისასვლელ აღმართს რომ შეუდგებოდით, იქ სცდიდი ფეხზედ დადგომას, გაბედულად წაბარბაცებდი და შემდეგ წელში გასწორებული მიბაჯბაჯებდი. ჩვენს დანახვაზედ იქ მდგომი ხალხიდან ვინმე ყმაწვილი შეგეშველებოდა, ჩამოირბენდა, ხელში აგიტაცებდა და იქ მისულ ტუსაღთა ჭირისუფალთ ჩვენც შეუეერთდებოდით.

აქ მაგონდება ერთი ამბავი; ამ ციხეში სიარულის დროს მე დავკარგე სონია მალალაშვილის მიერ მოცემული გულისქინძისთავი, ლამაზი ნახელარი, დიდის სიყვარულით და დალოცვით მოძღვნილი, "ატარე ეს ფუტკარი ჯანით სავსემ და ბედნიერმაო". ვდგევარ ციხესთან ჯერში, რომ ჩემს გვერდით შეეამჩნიე ერთი მორთული ახალგაზრდა ყეითელ "ნაბდის კურტკაში" გამოწყობილი, რომელსაც გალსტუკიც ამშვენებს და რაც უმთავრესია გაბნეული აქვს ჩემი მწვანე ფუტკარი, მარგალიტებიანი ფრთებით რომ იყო ცნობილი.

თვალში მიცა და გამიხარდა, ვკითხე, საიდანა აქვს ეს ნივთი, "რაც დავიბადე, მე ეს ყოველთვის მქონდაო", მიპასუხა ძალიან გაბედულად. მე შევები, მაშინ მითხრა, "აი წაიდეთ აქვე კომისარიატში და იმანა სთქვას თავისი აზრიო".

შეეედით ამ ოფოციალურ პირთან, მე წინადადება მიეეცი კომისარს, "თუ ამისია ეს ნივთი, სთქვას, მეორე მხარე როგორ არის გაკეთებული ან რა დასაკეტი აქვს".

რასაკვირველია ეს მორთული ახალგაზრდა დაიბნა, ვერა სთქვა, რაც იყო უმთავრესი, რომ დასაკეტი ამ ფუტკარს მოდუნებული ჰქონდა, ამიტომაც იყო, იქვე მეტეხის კარებში ასე ადვილად მისი ხელში ჩაგდება, სწორედ იქ დამეკარგა.

სასაცილო იყო კომისარი, რომელმაც ეს სადაო საგანი მე მარგუნა. უნდა განაჩენი დაწეროს, არ იცის როგორ, მე ვაწვდი სიტყვებს, ეტყობა მოსწონს, "რაო რაოო, ვინაიდგან და სხვა".

წამოვედი ამ ფუტკრით, რომელიც დიდი სიყვარულით იყო მოცემული, სონა მალალაშვილის მიერ. უცნაური კი იყო მისი ბედი. ეს მეორედ იყო დაკარგული, მესამედ კი აქ წამოსვლისას ბარგის მიტან მოტანაში საბოლოოდ დავკარგე, ძალიან შეეწუხდი, მაგრამ ვეღარაფერი ვუშველე, გამიფრინდა.

ჯერ კიდევ პყარაულობდა ჩემს ბინას ეს ლენინის დიდი ჭირისუფალი, რომ გამაგებინეს, განსვენებულ კოტე აფხაზს უნდა ჩემი ნახვა, რასაკვირველია, არა ჩემს ბინაზედ, სადაც მუდმივი ყარაული ფხიზლად მადევნებდა თვალყურს და მომსვლელებსაც ქალაღდებს უშინჯავდა.

ჩემი ოთახი კარებით იყო დაკავშირებული მეზობელ სომხის ქალის ოთახთან, რომელიც ვიწრო გასავალით ეზოს კარებს ერთოდა, მაშასადამე თუ ჩემს კარებს გაეალებდი, იმის ოთახიდან თავისუფლად ეზოდან ქუჩაში გაეიდოდი.

ეს ყველაფერი დიდი სიფრთხილით უნდა ჩატარებულიყო, ბებოს უნდა ბევრი ზღაპრები ეამბნა შენთვის, რომ კარებში ჩვენ იაუსულს ოთახის სიჩუმე საეჭვოდ არ მიეჩნია, რომ სახლში არა ვარ.

კარები შიგნიდან გაიღო, შეევედი ტამიროვის ქალთან, გადაეცცი მისი ე.ი. მოხუცებულის ალაფარდა შავი კაბა, თავზედაც შავი მოსახვევი მოვიხვიე, ხელში დიდი პარკი დავიჭირე, ვითომ და სანაოდ გამზადებული ვიყავი და ჩემი ქუჩის გადაჭრის შემდეგ ბებუთოვის ქუჩას დავადექი. მართლა ეს იყო აბანოების გზა, აქედან გადმოეუხვიე და რტიშევის ქუჩაზედ ტასო ქიქოძის ბინაზედ ავედი.

კიბეზედ გერონტის და შემხვდა, თურმე იფიქრა, გაფენილი სარეცხიდან ამ უცხო დედაკაცმა არაფერი აგვაცალოსო და ფეხ და ფეხ ამომყვა. ტასომ კარები გამიღო გაოცებულმა, თუ ვინ ვიყავი, მაინც შემიყვანა ოთახში, ცოტა აღელვებულმა მკითხა ჩემი მისვ-ლის მიზეზი, სწორედ იმ დროს მისი ძმა შალვა ამირეჯიბი იმერეთში იმალებოდა, ტასომ იფიქრა, რომ მოსული ვარ შალვას ამბავი ცუდი თუ კარგი მას საიდუმლოდ გავაგებინო.

"რა გნებავთ, ან ვინა ბრძანდებით", მეკითხებოდა ტასო. ჩემი პასუხი იყო, რომ მინდა მისი ქმრის ნახვა, გარინდებული მიყურებს და არ იცის, როგორ მოიქცეს, საბოლოოდ იფიქრა, რაიმე სათხოვარი მაქვს გერონტისთან, რომელსაც ოფიციალური ხასიათის სამსახური ჰქონდა, თუ არა ვიცდები, მიწის მოქმედების კომისარის თანაშემწე იყო.

ტასო წამოდგა, თან ისევ დამხედა, მაშინ წავალე ხელი და შუბლზედ ჩამოწეული თავმოსახვევიც ავიწიე, ამას მოყყვა გაოცება და სიცილი, სრულებით ვერ მიცნო ვერც ხმაზედ და ვერც მიხერა-მოხერაზედ.

გავიდა, თვითონ არაფერი შეიმჩნია, გერონტის უთხრა, რომ საქმეზედ ვარ მისული, შემოიყვანა თავისი ქმარი, რომლის სახეზეც ადამიანი შიშსაც წაიკითხავდა, ერთგვარ სიფრთხილესაც და შეწუხებასაც.

"რა გნებავთ, რა საქმე გაქვთ ჩემთან"ო. მე დავიწყე, რომ "ვიცი თქვენ შეგიძლიანთ ჩემს შვილს ადგილი უშოვნოთ, ძალიან გაჭირებული ვარ, ერთმა ქალმა მირჩია თქვენ მენახეთ"ო.

გერონტი თითქოს ყურს მიგდებდა, მაგრამ რალაც ეეჭვებოდა, ცოტა არ იყოს ციყვადაც შემომხედა და თითქოს უარით ათავებდა, რომ ტასომ მომხადა მოსახვევი და ამას მოჰყვა დიდი გაოცება და სიცილი. "სონია, ნამდვილი მსახიობი ხართ, რა მშვენივრად ჩაატარეთ ეს სცენა, თქვენ რომ მოსახვევი არ მოგეხსნათ, ალბათ მე კიდევ დიდხანს ვიქნებოდი გაბრუებული იმ აზრით, თუ ვინ იყავით, ან რად მოხვედით ჩემს სანახავად"ო, სიცილით მეუბნებოდა გერონტი.

იქ გაეიხადე ჩემი შაი კაბა, გადავიცვი ტასოს ტანისამოსი და ორივენი მიველით კოტე აფხაზის ბინაზედ. განსვენებული აღელვებული ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ხალხი ითმენს, რომ ტერორისტული აქტები თაეში არაეის მოსდის.

"ერთი მითხარით, განა ბუნებრივი არ იქნება, რომ ჩემმა ნათესავმა, ნადია ანდრონიკაშვილმა, იმის შემდეგ რაც მისი შვილი სუსლიკა იქვე ჩეკაში ჩაკლეს, ქუჩაში დაუხვდეს ორჯონიკიძეს და ხანჯლით გულმუცელი გამოუშიგნოსო"ო.

ამაზედ მე საშინელი სურათი წარმოვიდგინე, რომ ყოველ ტერორს მოჰყვება მასიური მსხვერპლი, მთელ ტუსაღებს ერთბაშად დაპხვრეტენ და ქალაქსაც ააოხრებენ.

"თქვენ ალბათ თქვენი ქმრისა გეშინიანთ, უნდა ეაჩვენოთ ჩვენი წინააღმდეგობა და ამისათვის თაეებიც უნდა შეეწიროს"ო. დიდ რევოლუციონერად მეჩვენა განსვენებული. მე გავაგებინე ციხიდან მოსული ბარათის შინაარსი; გამოთქმული იყო ის აზრი, რომ დასახერეტად გამზადებულ ხალხის გარშემორტყმულ რაზმს წინ გადაეღობოს ჩვენი შეიარაღებული ძალა, რომელიც სროლას აუტეხამს მტრის რაზმს, ამნაირად იქნება ნაჩვენები ჩვენი შურის ძიება და წინააღმდეგობაც. მართლა და რატომ არ არსებობდა საიდუმლო რაზმი.

ამაზედ გაჩერდა, თითქოს მოეწონა კიდეც, მაგრამ ისიც შეეატყვე, რომ საამისოდ არც იყო ზრუნეა და არც შესაფერისი სამზადისი.

შემდეგ ვილაპარაკეთ მის კერძო ცხოვრებაზედ, ვკითხე მისი მეუღლის ამბავი, რომელიც იმჟამად საფრანგეთში იყო წასული თაეისი შეილის სანახავად. ჩიოდა და ღელავდა; "არ ვიცი, რა ვიფიქრო, ჩემი ცოლი წაეიდა ერთი თვით, არა ბრუნდება, არაფერს იწერება. მეტის მეტად გადააცილა აქ დაბრუნების ვადასა"ო.

გადმომცა ოცდა ათი თუმანი, რომელიც ბანკში თაეის თანამშრომელთა შორის ყოფილა მოგროვილი ჩემი ტუსაღისათვის, ალბათ საგზაოდ.

იქიდან წამოვედით ისევ ტასოს ბინაზედ, იქ გამოვიცვალე ტანისამოსი და იმავე აბანოსათვის გამზადებული დიდი ტილოს პარკით და შაეი ძაძებით ტამიროვის ქალის ოთახიდან ჩემს ოთახში გამოვედი.

დედაჩემი აღელვებული დამიხვდა, თურმე შეიარაღებული ჩვენი სულთამხუთაეი ჩემს ოთახში ყოფნას ეჭვობდა, "კარებს ახლო მოადგებოდა და ყურს გეიგდებდა"ო, დედას ეშინოდა კიდეც, უცბად არ შემოჭრილიყო და არ ვეკითხნე, მე მალე გავაგებინე ჩემი ხმა და ეს მუდმივი ყარაული დავამშეიდე.

ამ ხნის განმავლობაში დაიწყეს ნელ-ნელა მეტეხის განტეირთვა, ერთი ნაწილი ტუსაღებისა გერმანიისაკენ გაამგზავრეს, ესენი იყვნენ სოც. დემოკრატები, ფედერალისტები გამოუშვეს, მხოლოდ სამსონ ფირცხალაეა ავადმყოფობის გამო გადაყვანილი იყო საგუბერნიო ციხის საავადმყოფოში.

ეროვნული დემოკრატებიდანაც ბევრი იყო განთაეისუფლებული. მაგალითად დათა ვაჩნაძე, იოსებ მაჭავარიანი და სხვები.

როგორც გითხარი, სპირიდონი გადაყვანილი იყო, ჩემის თხოვნით, საგუბერნიო ციხის საავადმყოფოში. იგი იყო მოთაესებული იმავე ოთახში, სადაც გენერალი მახნიაშეილი, ლომთათიძე, გოგი ხიმშიაშეილი და სამსონ ფირცხალაეა.

ამ ციხეში, რასაკვირეელია, შენც დამყავდი, ფეხი კარგად გქონდა გამაგრებული, ეს ჩემთვის დიდი შეღავათი იყო.

ეს კია, გზა და გზა, ვიღრე ტრამვაიში ჩავსხდებოდით, ცოტა მაგვიანებდი, "დაცა, დაცა"ო. ეჰ. დაიცადეო. დიდის ყურადღებით შესცქეროდი იმ სახლების ფანჯრებს, საიდანაც როიალის ხმა გამოდიოდა და ეს იყო მაშინ ხშირად, განსაკუთრებით ბებუთოვის ქუჩაზედ და დიდ ხანს ყურს უგდებდი.

ციხის კარებში ყარაული მიმსვლელთა სიას კითხულობდა და კედიას დასახელებაზედ ამჩნევდი, ჩვენ უნდა შეესულიყავით. უცნაურად დააკავშირე შენი ჭკუის კოლოფით "კედია" იმ ქალალდს, რომელზედაც ტუსაღების სია იყო აღნიშნული და ძალიან დიდხანს ქალალდს თუ წიგნს "კედიას" ეძახდი. "მომეცი, დედა, კედია". ეს ნიშნავდა წიგნს ან ქალალდის ფურცელს რომლის მაკრატლით აკუწვა გხიბლავდა.

ციხესთან მისულნი, ტრამვაიდან რომ ჩამოვხტებოდით, აქაურ კარგი მანძილი იყო თვით ციხის შენობასთან, მთელი ფანჯრებიდან თვალები ამ წერტილს მისჩერებოდნენ, ყველა თავის მახლობლის მოლოდინში დაჭიმული ყურადღებით მოსჩანდა.

რადგან მამაშენი ძალიან ბეცი იყო, სხვები ახარებდნენ, "აგე, თქვენები მოდიანო".

ერთხელ ციხის ეზოში დაინახე რუსის მოსამსახურეთა ბავშვები, ასე იქნებოდნენ 5-6 წლიანი, გოგოები და ბიჭები. ალბათ შენ მოინდომე იმათთან თამაშობა, გართობა, მაგრამ ეტყობა, იმათთვის შენ იყავი უცხო ან მეტისმეტად პატარა და ამიტომ არ მოგეგებნენ, არც დაგელაპარაკნენ და უყურადღებოდ დაგტოვეს. არ ვიცი, რად დაგებადა იმათთან შებმის სურვილი. უცებ მალლობ ქვიშიან გზაზედ დასწედი ერთ ქვას, ასწიე კლაკები ხელების ჭნევით და მუქარით გამოუდექი, მისდევ... მაშინათვე ისინი დაიძერნენ ადგილიდან და შეშინებულნი უგზოუკელოდ გარბოდნენ. შენ ხარ მაშინ წლისა და 1/2-სა!

ზევიდან ტუსაღების გამამხნევებელი ძახილი და დიდი ტაშის ცემა ისმოდა. იმათ ხომ მეტიც არ უნდოდათ. ჩვენთან რომ სპირიდონი ჩამოვიდა სხვებთან ერთად, ხელიდან ხელში გადასდიოდი და ყველანი მხურვალედ გიალერსებდნენ.

მაშინდელი ტუსაღები დიდხანს იგონებდნენ შენი იმ დღის მოქმედებას როგორც სიმბოლოს რუსეთის დამარცხებისას.

შე საძაგელო, რატომ ამ ციხესთან დაწყებული ბრძოლა არ განაგრძე, იქნება მართლა და კეთილად დაგემთავრებინა!... თუმცა ქაქუცას კი შესთავაზე შენი თანამშრომლობა. ამას შემდეგ დაუბრუნდები.

ხელისუფლების აგენტები ხშირად ესტუმრებოდნენ ციხეს და უმთავრესად უმიზნებდნენ სპირიდონს, იღებდნენ სურათებს. ერთხელ სპირიდონმა თურმე ამ სიტყვებით გაისტუმრა ეს ფოტოგრაფები; "ნიკოლოზის ჟანდარმებსაც ბევრჯერ ჰქონიათ გადაღებული ჩემი სურათი, ეხლა კი ეს ხელობა თქვენ შეგრჩათ"ო.

ერთხელ ციხეს რომ მივადექით, კედიას სახელი დაიძახეს, მაგრამ სადილი უკან დამიბრუნეს, სამი დღის შემდეგ მოდითო.

თურმე სპირიდონს, გენერალ მაზნიაშვილს და გოგი ხიმშიაშვილს დაუპირებიათ ციხიდან გაპარვა, მაგრამ ეს შიგნიდან ვილაცამ გასცა, ციხის პატრონს გაუგია. სხვათაშორის ის ქართველი ყოფილა. ამიტომ ერთგვარი შელავათით პყავდა დასჯილები და ეს მხოლოდ სამი დღით.

მე კი ჩემი დამემართა, კინაღამ იქვე გავთავდი, ძლივს მოვედი სახლამდე და მოგიყვანე; შენ ჩემო სულელო, ვერ გაიგე, რატომ იმ დღეს მამასთან ვერ შეუვედით, "კედია" რომ დაიძახეს, მერე რა მოხდა, შენთვის გაუგებარი იყო.

დედამ რომ ციხიდან დაბრუნებული მნახა, საშინელება წარმოიდგინა, როგორც იყო დავამშვიდე, სინამდვილე კი მე გეიან გავიგე, მაგრამ ეს რამოდენიმე დღე ჩვენ ჯოჯოხეთში ვიყავით...

ჩემი ყარაული თავისი ცოლით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, წაიდა მაგრამ იმათი კარების გაკეტება და "ბავშვების" საიდუმლო აგენტის გამოცხადება ერთი იყო, შემოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალით და სპირიდონის ბიურო ეხლა იმან დაიჭირა.

ცოტა ხანში იმ ქალს შეუამჩნიე, რომ ფულის საშოვნელად ბევრი მეგობარი ჰყავდა, და ღამითაც ხშირად გარეთ რჩებოდა.

აივნიდან, გაფენილი ჩვენი სარეცხი გაქრა და მასთან ერთად სპილენძის ქუაბიც. რადგან უცხო არავინ იყო მოსული, რომ ეჭვი ამელო, გავაგებინე ჩემს ზედამხედველს, რომ ეს ყველაფერი დაეკარგე.

მაშინათვე იმან ამ ქალს დაჰკითხა, რომელმაც უარი სთქვა, მე არაფერი ამიღიაო, მაშინ ამ ყმაწვილმა გამოსწია მისი ჩამადანი და ამოალაგა ჩემი თეთრეული. ქალი ფერმიხდილი იდგა. "ხომ იცი, შე ვინა ყარ, ამიტომ გამოტყდი, ქუაბი სადა გაქვს დაბინაებული, მე ეგრაფერს დამიმალაე"ო ეუბნებოდა ჩეკისტი ამ შეშინებულ საცოდავ არსებას.

ქალი გაშრა, აღმოჩნდა, რომ გაუყიდნია. ეს იყო და ეს, დაიკარგა. ამ ჩეკისტმა ეს ქალი თვითონ მოიშორა, პირდაპირ გაავდო.

ბარგში აღმოჩნდა მისი დღიური, სადაც აღწერილი ჰქონდა თავისი უმწეო მდგომარეობა; უსახსრობის გამო რამოდენიმე ხანი მამადავითის მახლობლად ზოგიერთ ნანგრევებში ჰქონია ბინა და იქიდან დაჰყურებდა თბილისს. "მშვენიერო ქალაქო, რამდენი უბედურია შენს გულმკერდზედ და ისე, რომ შენ არც კი იცი, დამშვიდებული განაგრძობ არსებობას"ო.

შეეწუხდი ამ ქალის მდგომარეობით და ვინანე კიდეც, ჩემი მიზეზით იქნება კიდევ უსახლკაროს დიდხანს მოუხდეს ქუჩაში წანწალი.

ეს ჩეკისტი კი ჩემ ყოველდღიურ ცხოვრებას ძალიან ფხიზლად თვალყურს ადევნებდა, რომ ერთხელ ხოშტარიას ძმამ ერთი ტომარა ფქვილი და მეორეც შაქრით სახლში მომიტანა, მაშინათვე მკითხა; "ვინ გამოგიზავნათ, ან საიდან"ო. ერთი სიტყვით ეძებდნენ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელთანაც კავშირში უნდა ეყოფილიყავი.

მეორედ კი მოვიდნენ ახალგაზრდა სტუდენტები და მკითხავდნენ, თუ რითი ვცხოვრობ, ხომ არ მიძნელდება სპირიდონის ციხეში შენახვა, თითქოს უნდოდათ კიდეც დახმარება გაეწიათ, მაგრამ ამ ქართველ ახალგაზრდებს არ ვენდე და ციო უარით გავისტუმრე. გავაგებინე ისიც, რომ სოფლიდან დედას დახმარებით ვახერხებ ცხოვრებას და ჩემი ცოტაოდენი გაკვეთილებით იოლად მივდივარ. ეს მართლაც ხომ ასე იყო.

სპირიდონის ციხიდან გამოყვანა (1923)

იმის შემდეგ რაც მეტეხიდან გადაიყვანეს რამოდენიმე ქართველი მამულიშვილი და გაუსამართლებლად დახვრიტეს როგორც "ბანდიტები" გამეფდა შიში და უნდობლობა, ყველას ყველასი ეშინოდა.

ციხიდან დროებით განთავისუფლებული იასონ კერესელიძე, რომელიც ჩვენი ერთგული ადამიანი იყო, ხშირად წინადადებას მაძლევდა, სპირიდონისათვის იმას წაელო სადილი, რომ მე ცოტა ამეცდინა ზედმეტი დაღლა.

ერთ დღეს მოვიდა და სხვათაშორის მკითხა შალვა ამირეჯიბის მისამართი. წარმოიდგინე თეო, ვერ ვენდე, რადგან როგორც ამბობდნენ მაშინ ჩეკამ იგი გაანთავისუფლა იმ მიზნით, რომ იმის საშუალებით — რასაკვირველია — იმისდაუნებურად მიაგნებდნენ შალვას, რომელიც იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი და იმ ჟამად იმალებოდა.

საბოლოოდ საცოდავი იასონი დახვრიტეს, თურმე "დიდებას" მღეროდა რომ მიჰყავდათ ჯალათებს და უკანასკნელ წუთს ესეც კი აღმოჰხდა პირიდან: "გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს"ო.

აქეთ იქიდან მირჩევდნენ სპირიდონის განთავისუფლებაზედ მეზრუნა მით უფრო, რომ პოლიტიკური პარტიების ყველა ლიდერი განთავისუფლებული იყო, მხოლოდ სამსონ ფირცხალავა, ფედერალისტი, და სპირიდონი ჰყავდათ ხელში და არცა ფიქრობდნენ მათ გამოშვებას.

ეს გარემოება ბევრს აფიქრებდა. თუ სახლში ვერ მოვიდოდნენ, ჭუჩაში შეხვედრისას, ყველა სპირიდონის კეთილ-მეგობარი, მეუბნებოდა; "სპირიდონი უნდა გამოვიყვანოთ ციხიდანა"ო. კირილე ნინიძე, სოციალ დემოკრატი, რომელიც საშინლად იყო რეჟიმით შეშინებული, შეხვედრის დროს ახლოც არ მოვიდოდა გვერდზე ჩამიელიდა და იმავე სიტყვებს მიმეორებდა.

გიორგი ლასხიშვილი საგანგებოდ მოვიდა ამაღლების ჭუჩაზედ თავისი ქალიშვილის თანხლებით. რადგან უსინათლოს მარტოკა სიარული აღარ შეეძლო მთხოვდა, სპირიდონი დამერწმუნებინა, პატარა ქაღალდი შეეგდო, ეთხოვნა გაენთავისუფლებინათ.

რამდენჯერაც სპირიდონს გადავეცი გიორგი ლასხიშვილის რჩევა, ამაზედ ლაპარაკიც კი არ მოისურვა, "ამ ციხეში ყოფნა მირჩევნია, უცხო ქვეყანაში ხეტიალსა"ო.

გამოცდილი ჰქონდა საფრანგეთში, სადაც ის პოლიტიკური ემიგრანტი იყო 1906 წლიდან – 1914 წლამდე, თუ რა მძიმე იყო იმისათვის იქ ცხოვრება: "აქ საქართველოს პაერიც უზრუნველი მაქვს და ცოლშვილიც აქა მყავს"ო.

— მეშინიან, სპირიდონ, ხიფათი მოგელის, კანკალით ველვევარ ციხის კარებთან და ვშიშობ, ერთ დღეს არ გამომიცხადონ, "გადაყვანილია"ო — აი ჩემი ლაპარაკი მამასთან ყოველ შეხვედრის დროს.

ერთხელ თითქოს დავითანხმე, გადმომცა თავისებური "თხოვნა". იმ საღამოს გიორგი ლასხიშვილს რომ წავაკითხე, გულგახეთქილმა წამოიძახა; "რამ გააგიჟა ეს კაცი, თხოვნა კი არა, ეს არის ომის გამოცხადება და მთავრობის ჯვარზედ გაკვრა, ამისათვის ან საბურთალოზედ გაეთხრება სამარე და თუ მაინც დიდი შეღავათი მისცეს, ეს იქნება ციმბირში მისი სამუდამო გადასახლება"ო, "ეს თხოვნა უნდა მოსპოთ, სახლში ნუ შეინახავთ"ო, მირჩია გიორგიმ. გამოვიდა სმა, რომ საგუბერნიო ციხეში სამსონ ფირცხალავამ შიმშილი გამოაცხადა და თხოულობს განთავისუფლებას და ევროპაში გადასახლებას.

თურმე საშინლად დასუსტდა და იმდენად, რომ ერთ დღეს სპირიდონს კინაღამ ხელში მოუკვდა, მთავრობამ მაშინ კი გაბედა მისი გამოშვება და თუ წინად მეტეხიდან ქართველები გერმანიისაკენ გაამგზავრეს, ეხლა სამსონ ფირცხალავა ეტაპით საფრანგეთისაკენ გაისტუმრეს.

იმის განთავისუფლებამ დამაიმედიანა, ვიფიქრე, მეც საამისოდ გზები მომეძებნა და სპირიდონის ციხიდან გამოყვანაზედ სერიოზულად მეფიქრა. რადგან სპირიდონის იმედით შეუძლებელი იყო ყოფნა, რომ ის თვითონ ითხოვდა განთავისუფლებას, ამიტომ გარდავწყვიტე ეს თხოვნა მე შემეტანა და სპირიდონის დაუკითხავად იმის მაგივრად ხელიც მომეწერა!

ვწერდი, რომ ვთხოულობ ავადმყოფობის გამო ციხიდან გამოშვებას და იმავე გზით გასტუმრებას როგორც სხვა პოლიტიკური მოღვაწენი იყვნენ გადასახლებულნი.

დილა ადრიანად შალვა მესხიშვილის ბიუროში ვიყავი მისული ამ ჩემი თხოვნით და ვეკითხებოდი როგორც იურისტს, თუ მომავალში ეს ჩემ მიერ დაწერილი წერილი სპირიდონს, როგორც პოლიტიკურ პიროვნებას ცუდს მდგომარეობაში არ ჩააყენებს.

შალვას მოეწონა ეს ჩემი თხოვნა, მითხრა, რომ ძალიან კარგად არის დაწერილი და ყველა პოლიტიკური მოღვაწე ყოველთვის ამას თავისუფლად მოაწერს ხელსაო. წამოვედი დამშვიდებული და ეს ქალალდი შინაგან საქმის კომისარიატში დავტოვე.

ეს ფურცელი დიდხანს დარჩებოდა დაწესებულების კარადის უჯრაში და დღის სინათლეზედ არ ელირსებოდა გამოსვლა, რომ ამას ზეპირი თხოვნა არ დაჰმატებოდა

ვასო მგალობლიშვილი, სპირიდონის ერთგული, ენუქიძის იმედით იყო, რადგან ქართველ ბოლშევიკებში, ის იყო ჩვენთვის ნამდვილი პირის წამალი, მე კი ჩემი იმედი მქონდა. ჩვენ ზღაპრებში ნათქვამია; "რომ დაიჭირა დედაკაცმა რკინის ჯოხი და იმ ქვეყნის მეფესთან თხოვნით მივიდა"ო.

მე თუმცა ურკინის ჯოხოდ, მაგრამ რკინის ხასიათით და ენერგიით შევუღექი ამ საქმეს, ჩემო თეო, წაველი მთავრობის თავმჯდომარესთან. ჩემს ბედზედ მაშინ სერიოჟა ქავთარაძე აღარ იყო ამ თანამდებობაზედ; რადგან ის ჩემზედ ნაწყენი იყო და არ მიმიღებდა და ეს გასაგებიც იქნებოდა.

ეხლა იყო ორახელაშვილი, რომელთანაც მიველი. ერთ წვიმიან დღეს, ოთახში შენ დაგაძინე, ჩაგიკეტე კარები და ისე წავედი, ორახელაშვილის სანახავად, დასაცდელ ოთახში სხვებიც იყვნენ, საშინლად ვღელავდი, არც კი ვიცოდი, როგორ დამეწყო, რა მეთქვა ისეთი, რომ სპირიდონიც არ დამემცირებინა, თანაც ჩემი უკმაყოფილება მეჩვენებინა მათ მიერ გაბატონებულ რეჟიმის წინააღმდეგ, იმასაც კი ეფიქრობდი, ისეთი რამ არ მეთქვა, რომ სპირიდონის გვერდით ჩემთვისაც ადგილი არ დაეთმოთ.

შევედი იმ მდგომარეობაში, როგორც დავდიოდი ჩემს ახალგაზრდობაში მოსკოვში ყოველ გამოცდაზედ, ცარიელი თავით, როდესაც საკუთარი სახელიც კი ბევრჯერ მოსაძებნი მქონდა. სხვებზედ ადრე მიმიღო, რომ შევედი თავაზიანად ამიდგა, ხელი ჩამომართვა და საავარძლეზედ მიმითითა.

მინდა ზედმიწევნით მოვიგონო ჩემი ნათქვამი, დავიწყე ამნაირად; "ვიდრე მთელი შეგნებული ნაწილი ქართველი ერისა ცისებში გყავდათ, მე ჩემი ქმრისათვის არავითარ შელავათს არ მოვითხოვდი, მაგრამ დღეს, როდესაც თითქმის ყველანი გაანთავისუფლეთ, რომელთა ერთი ნაწილი აქ საქართველოში თავისუფლად ცხოვრობს, ზოგი კი საზღვარგარეთ გაისტუმრეთ, მინდა გთხოვოთ, ამათ წრეში ჩემი ქმარიც იგულისხმოთ და ციხიდან, სადაც თითქმის ერთი წელიწედია რაც ზის, ისიც ევროპაში გადაგზავნოთ.

მე მძიმე პირობებში ვარ, აი ამ წვიმაში წასასვლელი ვარ ციხეში, რომ ჩემს ტუსაღს საჭმელი მივუტანო, ჩაკეტილ ოთახში ჩემ ბავშვს სძინავს, და გარდა ამისა მასწავლებელი ვარ, სკოლაშიაც უნდა გაკვეთილები მივცე. არ ვიცი, რომელ მოვალეობას ვუღალატო, დედისას, ცოლისას თუ პირნათლად შევასრულო ჩემი მოვალეობა როგორც მასწავლებელმა".

წამოდგა და მითხრა; "მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებული იყოს"ო.

წამოველი, გადიოდა დრო, ჩამიჩუმი არ იყო, ვფიქრობდი კიდეც, რომ "ჩაილურის წყალი დალია", როგორც ჩვენში იტყვიან, ჩემი "დიდკაც"-თან მისვლაცა და ჩემი თხოვნაც.

გავიგე ისიც, რომ ჩემ დარბაზობას ორახელაშვილზედ ერთგვარი შთაბეჭდილება დაუტოვებია და შინაურებისათვის ჩემი ლაპარაკი უამბნია.

როგორც იყო დამიბარეს ერთ დაწესებულებაში, სახელი არ მახსოვს, იქ უნდა ანკეტა ამევსო, დიდი არაფერი იყო შესავსები. ამიტომ ეს საქმე იოლად მოვიშორე, ანკეტის ფურცელი ეხლა უნდა ციხის უფროსისათვის გამეგზავნა.

როდესაც სპირიდონს გავაგებინე, რომ ხერხდება მისი ციხიდან გამოსვლა, საშინლად ეწყინა და დალონდა; "სადა მგზავნი, ქალო, სად უნდა ვიხეტიალო, შენ არ იცი, რა არის ემიგრაცია, უცხო ქვეყანაში, ულუკმაპუროდ, უცხოელს შესაფერის სამუშაოს არ აძლევენ, მე რა უნდა გავაკეთო, ან თქვენ როგორ დაგტოვოთ, წაყვანით ვერ წაგიყვანთ, ვისი ან რისი იმედით, რომ კიდეც წაგიყვანოთ", ერთი სიტყვით გამიწყრა და ჩემ შიშზედ; "დაგხვრეტენ, სპირიდონ, რომ აქ დარჩე", ამაზედ მიპასუხა; "ვიცები უნდა იყვნენ, რომ მე ციხეში თითქმის ერთი წელიწედია, ხელფეხშეკრული, უმოქმედო და უსახსრო, ჩემდა სამწუხაროდ ვერაფერი გავაკეთე, ისე განურჯელად გამომიყვანონ და ტყვია მესროლონ"ო. მერე კი დარწმუნდა, რომ მთლად უდანაშაულო ხალხი გამოიყვანეს და დახვრიტეს.

მე ჩემსას არ ვიშლიდი და მართლაც დადგა ის მომენტი და დღე დღეზედ სპირიდონს ციხიდან გამოვიყვანდი. ახლა ჩემი საზრუნავი იყო მამა ბათუმის გზით გამეშვათ ევროპაში, მის მოგზაურობას მოსკოვის გზით ეშიშობდი, მაშინდელი მოსკოვი თავისი ძლიერი შტაბით მაფიქრებდა.

რამოდენიმე უსიამოვნო დღეები გამოვიარე, ჩემო თეო, ამ მზადებაში. თან ციხეში უნდა მეცლო და თან სხვადასხვა ბიუროებში აქა იქ წერილმანი საქმეები მომეგვარებინა. ველოდებოდი ციხის უფროსის ქაღალდს, რომელიც იგვიანებდა, ის ჯანჯლობდა, ვინ იცის, იქნება იმას კარგად ახსომდა სპირიდონის ციხიდან გაპარვის ამბავი და არც იყო მომზრე სპირიდონის განთავისუფლებისა, ყველაფერი მაეჭვიანებდა. ამ ქაღალდის მოლოდინში ვიყავი, რომელიც ძალიან იგვიანებდა, ველარ მოვითმინე ერთ დღეს გავუდექი ციხის გზას, საშინელი ცივი ამინდი იყო, თოვლდა, გზები კარგად იყო გაყინული, ტრამვაის მიმოსვლა შეწყვეტილი, მე კი მამა უსათუოდ უნდა მენახა, რომ ციხის უფროსის ზიზინი გაეგო მაინც და გამოლაპარაკებოდა.

დავეშვი ფეხით, მივდივარ ორთაჭალის ციხეში, თან ფეხი მიცურდება, მაგრამ მივარღვევ ამ გაყინულ გზას აჩქარებით. ციხეში რომ მივედი და ვითხოვე სპირიდონის ნახვა, უკანასკნელ ხანებში ეს შესაძლებელი იყო, რომ დამინახა, მამა საშინლად შეწუხდა; გაწეწილი, დაღლილი, დაქანცული და მუხლებჩაკეცილი ვიყავი.

"ოხ სონა, ალარ შემიძლიან ამ პირობებში შენი ნახვა, დაანებე თავი სირბილს, დაიცადე, ქალო, მე არაფერი მიშავს, მხოლოდ ამდენს შენ ველარ აიტან, როგორ მოხვედი ფეხით, ან როგორ უნდა დაბრუნდე ამ საშინელ ამინდში"ო.

ძალიან შეწუხებული დავტოვე და იმავე გზით. მხოლოდ უფრო ნელის ნაბიჯით სახლში მოვედი.

საკანცელარიო საქმეები მოშორებული მქონდა, ეხლა საჭირო იყო საგზაო ფული; ვასო მგალობლიშვილმა გამაგებინა, რომ ევროპიდან მოსულია თანხა და იმას გადმომცემენ იმ შემთხვევაში, თუ სპირიდონს მოუხდება ევროპისაკენ გამგზავრება. მართლაც გრიშა ბერიძის ძმამ და ვასომ მომიტანეს ეს თანხა, თუ არა ვცდები, ეს იყო ორასი ლირა.

განსვენებული კოტე აფხაზის მიერ გადმოცემული პატარა თანხა ბანკის მოსამსახურეთა სახელით ამას დაემატა, ისე რომ ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ სპირიდონისათვის მიმეტანა ერთი ხელი ახალი ტანისამოსი, საცელები, საგზაოდ მისთვის გადადებული თანხა, რასაკვირველია ჯიბის ფულთან ერთად.

პატარა სიურპრიზი კი მელოდებოდა; ციხეში მიტანილი ზეწრები იმ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ დაუბრუნებია, ყოველ მისვლაზედ კი ვთხოვდი ამ ჭუჭყიან ზეწრებს; მაშ ჩემგან კი იმას სუფთა ზეწრები მისდიოდა, მხოლოდ ნახმარებს კი აღარ მიბრუნებდა.

თურმე ნუ იტყვი, მთელი ეს გროვა ზეწრებისა მიუცია ხევსურებისათვის, მითხრა: "სონა, რა ვქნა, ეს ხალხი გაანთავისუფლეს, მიდიოდნენ თავიანთ ოჯახებში, არაფრის მქონენი, აბა სხვა რა უნდა მიმეცა, ძალიან კმაყოფილნი და გახარებულნი დამშორდნენ". აბა რას ვეტყოდი.

ეს კია, რომ მაშინ არაფერი იშოვებოდა და მე დავრჩი ძალიან ცუდს მდგომარეობაში; ე.ი. მთლად უზეწროდ.

დანიშნულ დღეს მიველდით დედაჩემი, ირაკლი, რომელსაც შენა ჰყავდი ხელში აყვანილი და მე, რომ მამასათვის გზა დაგველოცნა.

ბევრი გეხვეწა მამა მაკოცეო, მაგრამ იმ დღეს ისე გაკერპდი, რომ მამას არ აკოცე, სხვა დროს კი გიადვილდებოდა ლოშნა, ბევრი გიჩიჩინე, მამას ლოყაზედ ტუჩებიც მიგადებინე, მაგრამ არ იყნა და არა.

იმ დღეს ციხიდან გამობრუნებულს ბევრი საქმე მქონდა, ვითხოვე, მამა სადგურზედ ფეხით არ წაეყვანათ, რადგან მუხლები სტკიოდა ეს ძველი მისი თაყვადასაელის შედეგი იყო, გიამბე კიდეც, როდესაც 1905 წელს სვანეთის მთებში მოუხდა დამალვა, ფეხები იქ დაუზიანდა.

ეს მოხერხდა, ეხლა მინდოდა გამეგო, რომელ დღეს და რომელ მატარებელით ამგზავრებდნენ; ციხიდან ერთმა ახალგაზრდა ყმაწვილმა, სოც. დემოკრატმა გამომატანა წერილი თავის ნაცნობთან, სწერდა; "ამ დღეებში სპირიდონ კედიას ატოვებინებენ საქართველოს და გთხოვ გამგზავრების საქმეში ყველაფერი გააკეთო, რომ საიმედო კაცები გააყოლო როგორც მცველები". ამ წერილით მივედი იმ კაცთან ბიუროში, წერილი წაიკითხა, მთხოვა; "მოიცადეთ, მხოლოდ ნურავის აჩვენებთ, რომ მიცნობთ". მისი გვარი არ მახსოვს.

პატარა ხანს უკან შემოვიდა ერთი ჯარის კაცი, რომელსაც ეს ჩემი მოკეთე სთხოვდა, რომ ხვალ ზევით ისევ გაბრუნებულიყო ეტაპთან ერთად, რადგან ერთი ნაწილი ტუსაღებისა წასაყვანია ბათუმის მიმართულებითაო.

ეს ჯარის კაცი უარზედ იყო; "კაცო, დღეს ჩამოველი და ორ დღეში როგორ უნდა გაებრუნდე". როდესაც გააგებინა, რომ სპირიდონის მცველთა შორის ყოფნას და ეტაპის მეთაურობასა სთხოვს, მაშინათვე დათანხმდა და წავიდა. იმისი წასვლა და ჩემი ბიუროს მაგიდასთან მიჭრა ერთი იყო, ვიკითხე იმ ჯარის კაცის სახელი და გვარი. მითხრა, რომ გვარი არ მახსოვს, მაგრამ სახელად ჟორჟიკას ეძახიანო, მისამართზედ მითხრა, ვიცი რომ ელისაბედის ქუჩაზედ ცხოვრობს, მაგრამ სახლის ნომერი არ ვიციო.

მაშინათვე დავადექი ელისაბედის ქუჩას, რომ ეს ჟორჟიკა მეპოვნა, მინდოდა მეთხოვნა, რომ კარგად მოეყოლა სპირიდონისათვის და დაეჩქარებინა "პრიცეპკა", ეგ. ვაგონი, რომელსაც მატარებელს სულ უკან გამოაბამენ მაჩანჩალად, ამაში ამოგზაურებენ ტუსაღებს და საერთოდ დაჩაგრულ ელემენტებს, ხშირად პირუტყვებსაც.

ელისაბედის ქუჩის დასაწყისშივე შევაღე ერთი სახლის კარები და ამ ჟორჟიკას შავმა თვალებმა შემომცინა, ვიცანით ერთმანეთი ამ ორი საათის წინ ნანახი.

ვთხოვე, დაეჩქარებინა სპირიდონის წაყვანა, დამპირდა და მთხოვა, მეორე დილით რვა საათისათვის რკინისგზის სამართველოში მისვლა. მეორე დილით რომ მივედი, ჟორჟიკა იქ დამხვდა, მომცა ტელეფონის ნომერი და მითხრა, "გამოელაპარაკეთ, თქვენი სახელი უთხარით და სთხოვეთ "პრიცეპკა" ხვალ დილისათვის მზად იყოს".

მართლაც ჩემი სახელი საკმარისი იყო, რომ დიდი სიამოვნებით შეესრულებინა ყოველივე ჩემი თხოვნა თუ დავალება, ამ ჩემთვის სრულიად უცნობ კაცს, სამწუხაროდ მისი არც მიმართულება ვიცი და არც სახელი და გვარი.

ტელეფონთან მე შემცვალა ჟორჟიკამ და ამნაირად მოხდა შეთანხმება მეორე დღისათვის; რასაკვირველია, მეორე დღეს, როდესაც ციხეში მიიყვანს რაზმს და იქიდან გამოიყვანს სპირიდონს, მე არ უნდა შევამჩნეინო ვისმეს, რომ მას ვიცნობ, ამაზედაც შეეთანხმდით.

საშინელი ამინდი იყო, იანვარი თავის მიწურულში სიმკაცრით ბატონობდა, ყინვას აძლიერებდა კიდევ ატეხილი ქარი და მე დილიდან სიცივისაგან გათოშილი ეტაპის გამოჩენას ველოდებოდი. საათი არ ვიცოდი, მამას როდის გამოიყვანდნენ, ადრე ვიყავი მისული.

ტრამვაის გაჩერებაზედ იყო ერთი ხის დასაჯდომი, მაგრამ სველი და გაყინული, იმაზედ დაჯდომა შეუძლებლად დავინახე და ამიტომ ვარჩიე ფეხზედ დგომა და ცოტა მოძრაობაც, თან ვშიშობდი, ციხის ადმინისტრაციას არ შევენიშნე, თუმცა აქედან ციხის შენობა კარგა მოშორებით იყო.

ათი საათი იქნებოდა, რომ დავინახე ციხისაკენ მიმავალი რაზმი ჟორჟიკას თანხლებით, არ შემომხედა და ისე ჩამიარა. ციხეში კარგა ხანს გაჩერდნენ და ჩემს ლოდინსაც ბოლო არ უჩანდა, რომ

ციხიდან რაზმი გამოემართა თითქმის ორი საათის შემდეგ, მაგრამ სპირიდონი მათში ვერ დაინახე, ეი. ვერ ვიცანი, ისე იყო შეცვლილი, გამხდარი, გაფითრებული და ამასთან ერთად საშინლად შეწუხებული.

თურმე მძიმე განცდებით გამოსთხოვებია დიდაჟადმყოფ, ლოგინად მყოფ სოც. დემოკრატ ლომთათიძეს. ეს მიამბო ამ უკანასკნელის მეუღლემ, რომელიც იმ დღეს მისული იყო ქმართან და დაესწრო ამ გამოთხოვების სცენას.

საერთოდ თუ ვინმე რჩებოდა იქ, ყველანი თურმე ეუბნებოდნენ სპირიდონს, "რა ბედნიერი ხართ, რომ ასეთი პატრონი გყავთ", ეი. მე. მაშინ ციხეში დარჩა გენერალი მაზნიაშვილი, რომელიც მალე გაანთავისუფლეს. გივი ხიმშიაშვილი კი მხედარი. მეტეხში გადმოიყვანეს, ლომთათიძე, როგორც მახსოვს, საწყალი სიჭლექით იქვე ციხეში გათავდა.

მამაშენი, თეო, ერთი ჯარისკაცის თანხლებით ტრამვაიში ამოიყვანეს, როდესაც ჟორჟიკა რაზმით სადგურისაკენ გაემგზავრა, მეც და ლომთათიძეს ცოლი ამ ტრამვაიში აეყვით.

კონდუქტორი არ იღებდა ამ ტუსაღს, რომელსაც ერთი ჩამდანი ეჭირა, ბევრი დავიდარაბის შემდეგ ვილაცამ დაიყვირა: "კაცო, გაუშვი ეგ ტუსაღი, თავის ბარგს ხომ ვერ გადაყრის"ო.

სპირიდონი წინ იდგა, მე ვერც კი მხედავდა, ყურები გასწითლებოდა და მაგრად ელეპარაკებოდა კონდუქტორს, რომელიც თითქოს მოლბა და თავის გასამართლებლად ამბობდა: "რა ვიცი, ვინ ტუსაღია, რა საქმეზედ არის ციხეში"ო.

მაშინ მე და ლომთათიძის ცოლმა შევუტიეთ: "როდ ჯიბგირი არ არის, ვერა ხედავ"! ჯარისკაცმაც ცოტა რამ დაუმატა და ამნაირად მივედით თათრის მოედანზედ, სადაც სპირიდონი თავისი მცველით ეტლს მიუახლოვდა, მე შორიახლო ვიდექი, ჯარისკაცმა იკითხა, ვინ არის ის ქალი, რომელიც აი იქიდან გიყურებსო, სპირიდონმა უპასუხა — ჩემი ცოლიაო.

მაშინ იმ მცველმა ზრდილობიანად დამიძახა, მობრძანდით და ჩვენთან ერთად სადგურამდე წამოდითო.

ის იყო სომეხი, თვითონ წინ დაგვიჯდა და რუსულად გვითხრა; "შეგიძლიათ თავისუფლად ილაპარაკოთ"ო.

აბა რას ვიტყოდით; ორივეს, მე და მამას სიტყვა შეკრული გვქონდა, სპირიდონი სწუხდა, რომ თავისი დედა ვერა ნახა, სწორედ იმ დროს ვილაცა მიცვალებულის პროცესია წინ გადაგვეღობა...

სადგურზედ თავისი რაზმით ჟორჟიკა გაუძღვა სპირიდონს მატარებლისაკენ, მამამ ხელი დამიჭინა და წავიდა. ამ ეტაპში კიდევ რამოდენიმე ტუსაღი იყო, იმ დღისით გამოყვანილი მაგრამ საით მიჰყავდთ ისინი მე ეს არ ვიცოდი.

იმავ საღამოს ბათუმის მატარებლით მეც მივედიოდი, მხოლოდ "პრიცეპკა" რომელ მატარებელს მიაბეს, ვერც ეს გავიგე, ან როდის ჩავიდოდა ბათუმში.

შუხელისთანაც მატარებელში თვალი მოკარი თვალებ დაავადებულ ჯალათს შულმანს, წარმოიდგინე შვილო, რა გულისხეთქვაში ჩამაგდებდა ეს შეხვედრა. ვიფიქრე, რომ ის სპირიდონის გულისათვის მიდის ბათუმში და შეიძლება რაც თბილისში ვერ გაბედა, აქ ადვილად ჩაატაროს.

მთელი ღამე ამ აზრებში ტრიალებდა ჩემი თაყი, რომ დილის ექვს საათზედ დავინახე ბაქანზედ გასული შულმანი, მიველე სწრაფი ნაბიჯით, თანახმაცა ვარ დაუჩოქო, შევევედრო, რომ სპირიდონი არ დახვრიტოს, მაგრამ უცბად ჯდება ავტომობილში და ერჩები იმედგაცრუებული, რომ ველარა ვნახავ და თაყს ვერ შეებრალებ ამ დაუნდობელ ჯალათს.

მიველი ეახო მგალობლიშვილთან ბინაზედ, ძალიან გაუხარდათ იმას და მის ცოლს ლილის სპირიდონის განთავისუფლება. თვითონ ეახო და მასთან ბაჭია თუთბერიძე მხედარი თუმცა ორივენი თავისუფალნი არიან, მაგრამ ცდილობენ ჩრდილში ყოფნას, თვალში არაყის ეჩხირებიან.

მეორე დღეს ეკითხულობ სპირიდონს "საგანგებო განყოფილება"-ში, არსად მისი კვალი არა სჩანს, ვერც იქ და ვერც ჩეკაში ვერ ვიპოვნე, სწორედ ამ ძებნაში ვარ, რომ ავტომობილმა ჩამიარა და შიგ მჯდომმა თავაზიანი სალამი მომცა, ეს იყო შულმანი, რომელსაც კარგად ჰქონდა შესწავლილი ციხეში მოსიარულე მახლობლების არამცთუ გარეგნობა ხმაც კი, გასაოცარი მეხსიერების მქონე იყო.

ჩეკაში რომ მივედი, მაშინათვე ეს მითხრა: "წუხელ მატარებელში გნახეთ"ო. სპირიდონის შესახებ ცნობა ვერ მომცა; "აქ არ არის"ო მხოლოდ ესა სთქვა.

წამოვედი საშინელ გუნებაზედ, დავიწყე ძებნა რკინის გზის მოსამსახურეთა შორის, რომ იმათგან მაინც გამეგო ამ "პრიცეპკი"-ს ამბავი. მითხრეს, რომ ქალაქგარეთ არის შენობა, სადაც მუშაობის შემდეგ კონდუქტორები ისვენებენ.

დიდი თოლია, მიყარღვევ თოლს, უკან მომდევს ბაჭია და თან მელაპარაკება; "ისეთი ენერგიით მისდიხართ ამ საშინელებაში, რომ მეც ამიყოლიეთ, თორემ ამ ამინდში მარტოკა მე არსად წაიდოდი"ო.

როგორც იყო, მივედით ქალაქგარეთ კონდუქტორების "სალონში". როდესაც კარები გაგვიღეს, დავინახე მთელი ჯარი ამ მოსამსახურეთა, ზოგი იატაკზედ იყო გაწოლილი, მეტი წილი კი ფეხზედ იდგა და საშინელი კორიანტელი ტრიალებდა, თამბაქოს სუნით იყო იქაურობა გაჟღენთილი.

ერთმა მათგანმა გვიამბო, რომ სწორედ იმ მატარებელს ჩამოჰყვა ამ დილით, რომელსაც გამობმული ჰქონდა "პრიცეპკა", გზაში დაბრკოლება ჰქონიათ, ამიტომ დაიგვიანეს.

მეორე დილით გათენებისას, მოდის ერთი ჯარისკაცი და გვატყობინებს, რომ სპირიდონის ნახვა თავისუფლად შეიძლება, რადგან მისი პატარა ვაგონი მოშორებით მინდორშია გაჩერებული ვიდრე ხე-

ლისუფლებას ჩაბარებენ. რასაკვირველია, ეს ჟორჟიკას წყალობით იყო მოწყობილი.

ამ ჯარისკაცის ასე ადრიანად მოსვლამ ვასოსა და მის ცოლს გულები გაუხეთქა, იფიქრეს, რომ ვასოს დასაჭერად იყო მოსული, მაგრამ როდესაც გაიგეს მისი კეთილი განზრახვა, დამშვიდნენ. ვასომ მაინც ვერ გაბედა ამპირობებში სპირიდონის ნახვა.

ჯარისკაცს მე გავყე, შეწუხებული ლაპარაკობდა, რომ ასეთ კაცს, როგორიც არის სპირიდონი ასახლებენ, ეს ადამიანი კი არა, ნამდვილი ანგელოზიაო. მამას ვესტუმრე, რაზმი ვაგონს ერტყა, მაგრამ თავისუფლად შეგვეძლო გველაპარაკნა, რადგან შიგ ვაგონში მარტონი ვიყავით.

სპირიდონმა მიამბო თავისი მოგზაურობა ამ პრიცეპკით, რომელიც თურმე გაუფუჭდათ და ამიტომ მოუხდათ ხანგრძლივი მოგზაურობა.

მცველი რაზმი მას სრულებით არ აწუხებდა, ძალიან მოსწონებია ეს ჟორჟიკა, "საქმის კაცია და ძალიან სანდო ადამიანი"ო.

შეწუხდა მამა, რომ ვასო ვერ მოვიდა მის სანახავად, ვინ იცის, იქნება კიდეც ფიქრობდა, რომ ამ რაზმიანად ის თავს უშველიდა... მაგრამ ვასო არ დათანხმდებოდა!

ცოტახანი დაერჩი, იქა ეკითხე უკანასკნელად; "სპირიდონ, მაშ დარწმუნებული ხარ, რომ შენ დახვრეტა აგცდებოდა"?

არასოდეს მე ამაში ეჭვი არა მქონია, ტყუილად დაიტანჯე, სონა, ამის ფიქრითაო, დამშვიდებული კილოთი მელაპარაკებოდა.

ამაზედ ვუპასუხე, ამის შიშით იყო, რომ ციხიდან გამოგიყვანე; ამ რეჟიმს მე ისე ვხედავ, შეიძლება მე და შენ მიწერ-მოწერის საშუალებაც კი მოგვესპოს, ასე დავაბოლოე ჩემი ამ საგანზედ მასთან ლაპარაკი, იმაუე ჯარისკაცის თანხლებით იქიდან წამოველი.

ჩემ დაბრუნებამდე სპირიდონი ეტლით ჩაუტარებიათ, ვასოს ბინასთან გაუჩერებიათ და ამ მეგობრის და მისი ცოლის ლილის კოცნა მოუსწრია სპირიდონს და მაშინათვე ეტლი დაძრულა.

ვასოს დისწული პეტია ჟღერტი შეწუხებული ამბობდა; "მე ვერ მოვასწარი მისი ნახვა, "გამიგონია", ამაზედ ეს ყმაწვილი ოცნებობდა, თურმე ხან ერთ ფანჯარას ეცა, ხან მეორეს, მაგრამ ამაოდ; ჟორჟიკას მიჰყავდა ოფიციალურ ადგილას. ეს იყო "საგანგებო განყოფილება", იქ უნდა სპირიდონი დარჩენილიყო, ვიდრე გემში ჩასვამდნენ.

"საგანგებო განყოფილებაში" რომ მივედი, სპირიდონი ის იყო მოეყვანათ, ბიუროში შეეყვანა მეც, მაგრამ ცივად მალე გამომისტუმრეს;

"ხომ ჰხედავთ, ეხლა აქ არის თქვენი ქმარი, მიბრძანდით სახლში"ო. წამოვედი; სამი დღის განმავლობაში საჭმელი კი მიმქონდა, მაგრამ ჭურჭელს არ მიბრუნებდნენ, არც იმას შეუნებოდნენ, როდის პგზავნიან, ან რომელი გემით, ერთი სიტყვით გამტანჯეს.

დაბეჯითებით იმას ვფიქრობდი, რომ იმჟამად შულმანის ბათუმში ყოფნა არ იყო შემთხვევით, მეტადრე მისი მოწიწებითი სალამი ქუჩაში, ეს იყო მათი მეთოდი, ცოდვების მონანიება, ყურადღებით მოპყრობა დაობლებულთა მიმართ.

ყველა ამას რომ დავუფიქრდებოდი, ჩემთვის აშკარა იყო, რომ მამა ცოცხალი აღარ არის და აქ, ბათუმში მოულეს ბოლო. ჩემთან ერთად შეწუხებული იყო ვასოს ოჯახი, თუმცა მანუგეშებდნენ.

მეოთხე დღეს რომ მივედი, ნერვებმა მისუსტა და ტირილი დავიწყე. ამ დროს ამ დაწესებულების უფროსი შემოვიდა, ამოვიდგინა და გავაგებინე, რომ მთელი ეს დრო არაფერი ვიცი ჩემი ქმრის შესახებ, არც ის ვიცი, აქ არის თუ სადმე სხვაგან და სხვა და სხვა, ეტიროდი ცხარე ცრემლებით.

თანაგრძნობით მისმენდა და უბრძანა თავის თანაშემწეს; "ეხლავე შეახვედრე ეს ქალი თავის ქმარს, მხოლოდ მათ ლაპარაკს ყური დაუგდოს კომენდანტმა"ო.

გამოიყვანეს სპირიდონი, მოგვიტანეს ორი მაღალი ტაბურეტი და ლაპარაკის ნება მოგვცეს, რასაკვირველია, რუსულად უნდა გველაპარაკნა.

ვისხედით ამ მაღალ ტაბურეტებზედ, ფეხებ ჩამოკონწიალებულნი და სოფლის მეფე პატარძალივით პირმოკუმულები.

დრო გამოშვებით მამა ჩაილაპარაკებდა; "გველის წლოკები საქმეში არიან"ო ვისხედით თითქმის ერთი საათი, კომენდანტმა ჩვენი ლაპარაკი ვერ მოისმინა.

იქვე გამაგებინეს, რომ სპირიდონს მეორე დღეს ისტუმრებდნენ იტალიური გემი "კლეოპატრა"თი. რასაკვირველია, პასპორტიც ექნებოდა და საჭირო ქაღალდებიც, ამაში დამარწმუნა თანაშემწემ...

უფროსის თანაგრძნობა, რომელიც მან მიჩვენა, გამბედაობას მაძლევდა, მეთხოვნა მისთვის ნებართვა, ჩემი ქმარი გამეცილებინა და გემის წასვლამდე იქ ნაპირას დავრჩენილიყავი.

მეორე დღეს დანიშნულ საათზედ მივედი და გემთან მოშორებით პატარა შენობასთან გავჩერდი, იქ უკანასკნელად გაუჩხრიკამდნენ ტუსაღს მის ბარგს.

დიდხანს ველოდე, მამას მოსვლა იგვიანებდა, თურმე ფეხით მოჰყავდათ და უფრო შორეული გზით, მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით.

ეშინოდათ ბათუმში მცხოვრებ ქართველების დემონსტრაციისა, ამას მოერიდნენ; როგორც შემდეგ გავიგე გრიგოლ ლაღიძისაგან, მართლა ადგილობრივ ქართველებს ჰქონიათ ეს განზრახვა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ხელისუფლების ყურებს ეს არ გამორჩენიათ.

მე კი ზღვის ნაპირას მყოფმა ყარაულმა არ მომასვენა; "აქეთ დადექით, იქით ნუ წახვალთ, აი ამ ხაზს ნუ გადასცდებით"ო. თავი მომაბეზრა ველარ მოვითმინე და შევუტიე..."ზღვაში ხომ ვერ გადავარდები, სად დავდგე, რომ არ დამიშალოთ"! მაშინ კი დამანება თავი.

როგორც იყო ჩემი ტუსაღი მოიყვანეს ჯარისკაცებმა და იმ პატარა შენობაში შეიყვანეს, სადაც უკანასკნელად მის ჩემოდანს აა-

ქოთებდნენ. შემდეგ იქიდან გამოიყვანეს და დიდის რიხით გამოაცხადეს; "ეხლა შეგიძლიათ ერთმანეთს გამოეთხოვოთ"ო.

გულდასმით გეყურებდნენეს მცველნი, თუ როგორ გამოვეთხოვებოდით ერთმანეთს მე და სპირიდონი.

ამის შემდეგ შემოარტყეს ალყა, თოფები მოიმარჯვეს და ისე აუშვეს გემის ასასვლელ კიბეზედ, როგორცა სჩანს, ეშინოდათ ეს ტუსაღი ხელიდან არ დასცურებოდათ, ამ უკანასკნელ წუთს არ გაქცეოდათ, კიბის ორივე მხარეს მოშვერილი თოფები ამის დადასტურაბა იყო.

მივედი გემთან, განთავისუფლებული მამაშენი მიყურებდა დალონებული და ხმა ჩაკმენდილი; მერე კი მითხრა; "მოგატყუეს, არც პასპორტი, არც ვიზა, ამ გემმა უნდა უგზო უკელოდ მატაროს, როგორც ანონიმური არსება, მაგრამ ნუ გეშინიან"ო.

თითქმის ორი საათი იდგა გემი, მე ქვეიდან შეეძახე; "სპირიდონ, იცოდე, დიდი ბედნიერი ვარ რომ თავისუფალს გხედავ, თუნდაც თავის დღეში ვეღარა გნახო, მაინც კმაყოფილი ვრჩები, ოღონდ იცოცხლე, მე სხვა არაფერი მინდა", მართლაც ასე იყო, ერთი ცრემლიც არ გადმომვარდნია.

აქ მაგონდება სასაცილო ეპიზოდი. ამდენი ერთი ჯარისკაცი და სასტიკად ამიგრძალა გემთან ახლო ყოფნა, ხომ ნახეთ თქვენი ქმარი, რათა ხართ აქ გაჩერებულიო. მაშინ ამოვიღე და წავაკითხე ნებართვა, რომლის ძალითაც შემეძლო გემის დაძერამდე დავრჩენილიყავი, მაგრამ ამან არ გასჭრა და მაინც თავიდან მიშორებდა.

ამ მეტიჩარას მე დავემალე ყუთების უკან, რომლითაც მთელი ის მოედანი საცე იყო. ამ დიდ საავჭრო ყუთებს ამოფარებული მისთვის უჩინარი ვიყავი, აქედან თვალი მოვკარი პატარა ხანს უკან ეტლს და შიგ ჩემ მექმაგეს, რომელმაც ეს ნებართვა მიწყალობა;

მისი ეტლიდან ჩამოხტომა და ჩემი მის წინ გაჩერება ერთი იყო, შეეჩვევლე, მივაჩერე მის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი, ამისდა მიუხედავად ეს ჯარისკაცი მიკრძალავს აქ გაჩერებას, აეუხსენი ამ უფროსს.

მაშინ მიუბრუნდა და მწყრალად უთხრა; "შენ გეტყობა წერაკითხვა არ იცი"ო.

ამნაირად შეეძელი ორი საათი სპირიდონთან დავრჩენილიყავი, ის ბაქანიდან დამყურებდა და ჩვენს ფიქრებს საიდუმლო ძაფები ჰქონდა გაბმული.

გათავდა ეს მომენტი. გემი დაიძრა, თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი კაპიტანი უშეტენდა და თავისუფლად ერეკებოდა იქ ასულ ბოლშეეიკების აგენტებს. მიდიოდა გემი, მამას სილუეტი ნელ-ნელა მკრთალდებოდა, შევნიშნე რალაც უცნაურობა, თითქოს ვიღაცა თოკებს ეწეოდა და მამას თაეზედ რალაც სიმძიმეც ერტყმოდა, მალე დავინახე გემიდან გადმოვიდა პატარა ნავზედ რამოდენიმე კაცი. ეს ჩემი უკანასკნელი შემაწუხებელი სურათი თავიდან მოვიშორე და სახლისაკენ გამოვეშურე.

ბათუმში რამოდენიმე ქართველმა მინახულა, სწუხდნენ, რომ ვერ მოხერხდა სპირიდონის გაცილება, როგორც ეს მათ უნდოდათ, დიდხანს ელოდებოდნენ თურმე ეტაპს დიდ გზაზედ, მაშინ როდესაც სპირიდონს მალულად ეიწრო გზები აღმოუჩინა ხელისუფლებამ.

კიდევ კარგი რომ ასე მოხდა, თორემ მამას უკან გააბრუნებდნენ. უკრავდნენ ციხეში თავს, საიდანაც ის ცოცხალი ველარ გამოვიდოდა.

ჩამოვედი თბილისში და ჩვენი ოთახის ფანჯარას რომ მოვადექი, ბებოს ამდგარი ჰყავდი, დიდ მუსაიბში მოსჩანდით; რომ დაგიკაკუნეთ და თვალი მომკარი, შენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; "დედა, დედას" ძახილით მომეგებე.

პატარა ხანს უკან კი შენ უფრო ნარინჯებში ჰფოთიალობდი; მთელი ჩამადანი საცხე, ბათუმიდან შენთვის იყო გამოგზავნილი, შენ ამ ხილს პირველად ხედავდი, რადგან თბილისში მაშინ ეს არ იშოვებოდა, შენი პატარა ხელები ამ ნარინჯს უფრო უალერსებდა, რადგან, შე სულელო, არ იცოდი რომ ის საჭმელი იყო, ამას შენ ვერც კი წარმოიდგენდი, შეჩვეული ბრინჯის წვენს და კისელს.

გავიხადე პალტო, რომლის სარჩულში ჩაკერებული მქონდა ლაშქარაშვილის წერილი ქაქუცასთან. იმ დროს ლაშქარაშვილი გორის მაზრაში იყო თავისი რაზმით და უნდოდა ქაქუცასთან კაეშირი, რომ ერთად ემოქმედათ მტრის წინააღმდეგ. თუ ბათუმში მიმავალი მატარებელში შულმანის ნახვამ შემაშინა, იქიდან წამოსული ამ ბომბის წამოღებით ვიყავი შეფიქრიანებული. მაგრამ ვასომ გადმომცა ეს წერილი და მთხოვა, მისი ქაქუცასთან გადაგზავნა. აბა იმას უარს ხომ ვერ ეტყოდი.

ეს დალოცვილები, დროზედ არაფერი გამაგებინეს და ეხლა ჩემი საშუალებით ფიქრობდნენ საქმეების წარმოებას, ასე იყო ციხეშიაც, სადაც ყოველდღიურად ველოდებოდი ჩემ დაჭერას.

ჩვენი ოჯახის ცხოვრებიდან ზოგიერთი ფურცელი

სპირიდონის წასვლით ჩემი ცხოვრების ახალი ერა იწყებოდა.

დავრჩით მარტონი მე და შენ სულ პატარა ბაყშვი, ზამთარში ჯერ კიდევ ბებო იყო ჩვენთან, რომელიც ერთი წლის შემდეგ მთლიანად ჩვენ შეგვეირთდა საბოლოოდ ზამთარშიაც და წლის დანარჩენ დროსაც.

რადგან ციხე აღარ მაწუხებდა, სკოლაში ფეხი მოვიმაგრე, ბევრმა მასწავლებელმა ნაწილი თავისი გაკვეთილებისა მე დამითმო, ისე რომ საკმარისი რიცხვი იყო, ჩვენ ცოტა სული მოგვებრუნებინა.

შედარებით ჩეკაც თითქმის აღარ დამდევდა ისე რომ მოსვენებული ვიყავი.

თუმცა ჩემი მეზობელი ჩეკისტი გამომეთხოვა, მაგრამ სპირიდონის ოთახში დედაშვილი ჩაასახლეს, ესენი იყვნენ ბერძნები: დედა ხანშიშესული ძველი აზრების მატარებელი, შვილი კი ახლად "სუფრაზედ მიპატიჟებული კომუნისტი", ერთი სიტყვით ჩვენთვის საიმედო ხალხი..

მალე ამ ტატიანამ, ასე ერქვა მოხუცებულ ქალს, შვილი დააქორწილა და წლისთავზედ ამ პატარა ოთახში საიდუმლოდ თავისი შვილიშვილი ქრისტიანული წესით მოანათლინა

ერთხელ შემეკითხა, "ეგ ლამაზი ქალი რომლის სურათიც გიკიდიათ, ვინ არის"ო. ეს იყო გრაციური ვენერა მილოსისა, მე გავაგებინე, ვიდრე ქრისტიანობას მიიღებდნენ, ეს იყო ღვთაება ბერძნებისა, ე.ი. იმის ერისა.

ამ დედაკაცმა ისე დაიპრანჭა სახე და ისე დაიყვირა, რომ შემეშინდა "ეგ რა ღმერთია, ტ-ი. უჩანს"ო. ამის შემდეგ თუ შემოაღებდა კარებს და ეს იყო ხშირად, ვენერას თვალს აარიდებდა.

მე ძველებურად ვცხოვრობდი, ე.ი. იმ წლის განმავლობაში ფეხი არ შემიდგამს არც თეატრში, არც სინემაში, საერთოდ არც ერთ გასართობ ადგილას. ზაქარია ფალიაშვილი მთხოვდა, მისი "დაისი" მომესმინა, "რეპეტიციაზედ მაინც მოდით"ო. – მაშინ მოვალ, როდესაც სპირიდონთან ერთად შევძლებ მოსვლას და სულ სხვა პირობებში, ვუპასუხებდი.

"არ ვიცი, როდის იქნება ეგა, მოდით მანამდეც და მაშინაცა"ო მეტყოდა და თაეისებურად ნიკაპს და ტუჩებს ნერვიულად აცმაცუნებდა. მაშინდელი წითლად შეღებილი და ამაყ დროს გახუნებული ხელოვნება არ მიზიდავდა, ასე ვიყავი, სულ ბოლო დრომდე, ვიდრე აქეთ წამოვიდოდი.

ჩემი წასასვლელი გიმნაზიის გარეშე იყო სანდრო დიასამიძის ოჯახი, სადაც შენ გიყვარდა მისი შვილიშვილ ნაიკოსთან თამაშობა და გართობა. უმთავრესად კი თამარა ფალავანდიშვილთან დავდიოდი, სადაც იკრიბებოდნენ მისი დები, ტასო, მერი, მეგობრები, ნაცნობები, იქ ვიგებდი ახალ ამბებსაც.

შენ, ჩემო თეონი, თანდათან ენას იდგამდი, სიარულში ხომ მთლად დახელოვნებული იყავი; დიდი სურვილი გქონდა როიალის დაკვრა გცოდნოდა, ქუჩაში ხშირად მაჩერებდი, თუ საიდანმე იმის ხმას გაიგებდი, ყურები ამისათვის დაცქვეტილი გქონდა.

ჩემი ძმა ირაკლის ოჯახში ხომ ტკიპივით ეკვროდი მარის, რომელიც როიალთან იჯდა და სხვა დროს მოუსვენარი, დინჯად იხმენდი. აბა ჯერ ხომ არ ვიფიქრებდი შენთვის როიალი დამედგა, ან როგორ, ერთ ოთახში ან რა საშუალებით.

შენ შენებურად მოუარე ამ საკითხს; სასადილოს სკამები ააყალერე, იჯექი, წინ სკამზედ ქაღალდი გქონდა მიფარებული, ეს ნოტების მაგიერობას ეწეოდა და საჯდომ ნაწილს ხანგრძლივად აბარტყუნებდი.

გინდოდა, შე დალოცვილო ეს მუსიკა და აკი მართლა მთელი შენი ახალგაზრდობა ამას შეალიე, არ ვიცი, ნანობ, თუ კმაყოფილი ხარ!

ჩვენი მეზობლის ოთახი ძვირფასი ავეჯით მოწყობილი ძალიან მოგწონდა, ამიტომ ხშირი სტუმარი იყავი ამ ტამიროვის ოჯახისა, მეტადრე, როდესაც ეს ახალგაზრდა ნიუშა სახლიდან გავიდოდა, შენ მაშინათვე შეცუნცულდებოდი იმის ბებოსთან, მასთან გიყვარდა სტუმრობა, განსაკუთრებით იქ გიზიდავდა ერთი შუშის კარადა, სადაც ბრწყინავდა ვერცხლის ლამაზი ლარნაკი, ხელში გინდოდა აგეღო, მაგრამ საბედნიეროდ ვერა სწვდებოდი, დიასახლისი სიყვარულით გიხვდებოდა და თავისებურად კიდეც განებივრებდა.

ერთი სიტყვით დიდი მეგობრობა გქონდათ ; ჩვენ მივმართავდით ამ ქალს, როგორც "მადამ", შენ ეტყობა, არ გაკმაყოფილებდა ეს და გინდოდა, სიყვარულით აღგენიშნა მისი სახელი, ამიტომ ბოლო დრომდე ეძახდი "მადამ ბებოს".

მრავალფეროვანი ნიჭის პატრონი ამავე დროს მეტისმეტად მგრძნობიარე იყავი.

ჩვენ ქუჩის ბოლოს ერთი მოხუცებული, ბრმა ქალი იჯდა და ხელგაშვერილი მოწყალებას თხოულობდა.

ყოველ სახლიდან გასვლაზედ მთხოვდი, ამ საწყალი ქალისათვის ფული მიმეცა; ზოგჯერ სხვა ქუჩაზედ გიპირებდი გადაყვანას, მაგრამ ხელით იმდენს მწევდი, რომ ამ ბრმის წინ გამატარებდი და მოისვენებდი, როდესაც მას ხელში ფულს ჩაუდებდი.

ერთხელ ქუჩაში ბევრი ხალხი იყო, მათ შორის ერთი რუსის ქალი, შუახნისა, მოდიოდა, საშინლად აღელვებული, ხმამაღლა რაღაცას თხოულობდა, მაშინათვე შემაჩერე, მთხოვე კიდეც "დედა, ცოდოა, ეს ქალი, იქნება, მშიერია და პურსა თხოულობსო, მიეცი ცოტა ფული"ო.

ქალი მომიბრუნდა და მითხრა; "რა ბედნიერი ხართ ამ ბავშვის პატრონი"ო და მხურვალედ თვალცრემლიანმა დაგლოცა.

ბევრი მაგალითი მაქვს შენი კეთილი ბუნების ასაწერად, სამწუხაროდ შესაფერისი პირობები არა გქონდა, შენი ეს თვისება თუ ნიჭი, განვითარებულიყო და რამე გაგეკეთებინა სასარგებლო და მოსაწონი.

აქ ემიგრაციაში შენ ხომ სრულებით უცნაური და გაუგებარი იყავი და დღესაც ასეა.

ეხლა კი დაგანებებ თავს, რადგან მე მინდა უფრო მნიშვნელოვან საკითხს დავუბრუნდე და უფრო მწარე სინამდვილეს.

თამარა ფალავანდიშვილთან გავიგე ცუდი ამბავი, რომ სახელმწიფო ცენტრის ერთი წევრი ადამაშვილი-ჯავახიშვილი[1] დაიჭირეს და ამასთან ისიც სთქვეს, რომ კოტე აფხაზი საშინლად არის შეწუხებული, რადგან უთქვამს; "დავილუპეთ, საშინელი მშიშარაა და თუ აწამეს, ყველაფერს იტყვის"ო.

---

1 ადამაშვილი-ჯავახიშვილი "ჯაყოს ხიზნების" ავტორი.

სამხედრო კავშირი და მისი მფარე დასასრული.

რამოდენიმე ხანში სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა ნიკო ქარცივაძის თავმჯდომარეობით ჩეკაში იყო დაჭერილი.

საზოგადოება ძალიან იყო ამით შეწუხებული, მაგრამ იმედს მაინც არა ჰკარგავდა, რომ მალე გაანთავისუფლებდნენ, რადგან ევროპერს დაუმტკიცებდნენ.

მშვენიერი მაისის დღე იყო, მხოლოდ წყეული თაეისი შინაარსით, რომ თამარა ფალავანდიშვილი აჩქარებული ნაბიჯით ჩუმს ფანჯარას მოადგა; "შეიძლება, ეს დაჭერილი ხალხი დახვრიტონ, ქალების დელეგაცია უნდა ორჯონიკიძესთან მივიდეს, ეს ასე გარდავწყვიტეთ, რომ იქნება რამეს გავხდეთ"ო, ამისი თქმა და მისი გატრიალება ერთი იყო; ეს იყო მაისის 21-ს.

როდესაც ქალების დელეგაცია, ეი. ნინო გელოვანისა, ანეტა დიასამიძისა, თამარა ფალავანდიშვილი და ჩრდილელის ქალი, რომლის ძმა, მხედარი ამ დაჭერილთა შორის იყო, მისულა, ორჯონიკიძეს მოკლედ უთქვამს: "რომ ეხლა დაგვიანებულია, რადგან ნაწილი უკვე დახვრეტილია"ო.

ჩრდილელის და დამხობია და ტირილით უპირებია, ორჯონიკიძის ხელის კოცნა, ალბათ ფიქრობდა ეს ქალი თავისი ძმის გადარჩენას, მაგრამ ამაოდ. ნაწილი კი არა 19 მაისს მთელი ეს 16 კაცი დახვრეტილი იყო. მაისის 22-ს რომ მეგაზეთემ მომაწოდა გაზეთი, შეწუხებულმა მაუწყა: "მთელი გენერლები და მხედრები დაუხვრეტიათ"ო.

ეს თავზარდამცემი ამბავი რომ მწარე იქნებოდა, შეილო, ამას ადვილად წარმოიდგენ, დავდიოდი ოთახში, ხმამაღლა ელაპარაკობდი, ეტიროდი, თან სიას ვკითხულობდი. ამ სამხედრო კავშირის წრიდან სოც. დემოკრატი ნიკო ქარცივაძე, პოლიტიკური მოღვაწე დახვრეტას გადარჩა, კიდევ უფრო იმით, რომ მოსკოვში საჩქაროდ წასული იყო ელენე ქიქოძე, აბელ ენუქიძესთან მუდარით, რომ თაეისი ნათესაეი გადაერჩინა, მადლობა ღმერთს, გადარჩა ეს კეთილშობილი ქართველი.

ჩრდილელი, მხედარი თურმე ძლივს გაიყვანეს ჩეკიდან, საცოდაეი გაგიჟებულა, ხან თურმე ეის ამოეფარა, ხან ეის: "არა, მე არა, არა"ო.

იასონ კერესელიძე თურმე დიდების სიმღერით მიდიოდა სასიკვდილოდ და თან ყეიროდა; "გაუმარჯოს თაეისუფალ საქართველოსა"ო.

განსვენებული კოტე აფხაზი კამიონში ერთერთს თურმე ეუბნებოდა: "რა გაყეირებს, სულ ერთია, დაგხვრეტენ"ო.

ვაჟკაცურად შეჰხვედრიან ამ თავიანთ უბედურებას განსვენებულნი გენერალი წულუკიძე, გენერალი ანდრონიკაშვილი და საერთოდ ყველანი. გოგი ხიმშიაშვილს ჩეკის კედელზედ რამოდენიმე სტრიქონი დაუტოვებია.

"თუმც მოგვსპო მტერმა მოსისხლე მტერნი,
თუმც ვერ მოიელის ჭირისუფალი ჩვენს საფლავზედა
მაინც ვნუგეშობთ, ხსოვნა დარჩება ერთგულ მხედარზედ,
ქუდსა მოიხდის მამულიშვილი ჩვენს ხსენებაზედ".

მათი სიკვდილი იყო საერთო გლოვა, მართლა დიდი უბედურება, ეს იყო ეროვნული ჭრილობა, რომელიც ასე მტკივნეულად განიცადა მთელმა შეგნებულმა ქართველობამ.

ქართველ მხედართა სხეულს ბოლშევიკებმა თავი მოსჭრეს, ამის შემდეგ რაიმე წინააღმდეგობაზედ ფიქრი და ზრუნვა აღარ შეიძლებოდა. სამწუხაროდ ასე არ იფიქრეს სხვებმა და შემდეგ წლების განმავლობაში ქართველ ერს ბევრი სისხლი დააღვრევინეს.

ივლისი 1923. აი სწორედ იმ დღეებში გამოგიყვანე ქუჩაში და რტიშჩევის ქუჩას დავადექი, სახლიდან გასვლისას ჩემი ოთახის გასაღები ჩემ მეზობელ ქალს გადავეცი; "მე იქნება დამიჭირონ და ეს ჩემი ოთახის გასაღები თქვენთან იყოს" ამ სიტყვებით მიემართე. ძალიან გაუკვირდა ჩემი შიში; მაგრამ მე იმ დღეებში თვალყურის მდევნელებს აშკარად ვგრძნობდი, თითქოს უნდოდათ კიდეც ჩემი დაჭერა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ. ამისი მიზეზი, როგორც ეს შემდეგში გამოირკვა, შენ იყავი, ჩემო მშვენიერო.

რტიშჩევის ქუჩაზედ მაჭავარიანის ქალი ელენე შემხვდა, ისიც თავის ძმისწულს, პატარა ბიჭს ასეირნებდა, ერთმანეთს კი სალამი მიეცით, მაგრამ მე მალე გაეშორდი, შეწუხებული მივდიოდი, ეფიქრობდი, შევსულიყავი ხიმშიაშვილის ცოლის სანახავად, რომლის ტირილი და ვაება კარგა შორს ისმოდა, თვითონ დახვრეტილ გოგის პირადი მსახური, შაკანიანი ერთგული, რომელიც ხშირად მინახავს ციხის კარებთან, იჯდა თურმე კიბეზედ და ღრიალით კედელს თავს ახლიდა, როდესაც გაიგო თავისი საყვარელი ბატონის უბედურება.

აი ამ საშინელ პირობებში იყო, რომ შენ ყური ველარ გიგდე, ცოტა ამცდი რამოდენიმე ნაბიჯით, მიეფარე კუთხეში მწვანე პატარა ბუჩქს, რომ მომადგა ერთი რუსი ჩეკისტი რევოლვერით ხელში, "თქვენა ხართ სოფიო კედია"? და მრისხანე კილოთი მიბრძანა: "გამომყე უკანა"ო. ელდა მეცა, ეთხოვ მომცეს საშუალება, შენ მოგხედო, მაგრამ ამის საშუალებას არ მაძლევს და მუქარით მიყვევარ, მინდა ერთი ქრისტიანი ადამიანი მაინც შემხვდეს, რომ ეანიშნო, გავაგებინო ჩემი ბავშვის მარტოკა დარჩენის ამბავი.

ჩეკასთან რომ მიველით, თვალი მოვკარი კატო წულუკიძეს, ერთ სკოლის გამგეს, მის გასაგონად ხმამაღლა ვეუბნები ამ ჩეკისტს; "სად მიგყევართ, ბავშვი ქუჩაში დამატოვებინეთ" და სხვა. ამაზედ მწყრალად მიპასუხა: "აი რამოდენიმე დღეა, დასაჭერად დაგდევთ, ნაბრძანები მაქვს თქვენი დატუსაღება უბავშვოდ და აი სწორედ ეს მხოლოდ დღეს მოვახერხე"ო.

მიმიყვანა ბიუროში, ტელეფონით აცნობა თავის უფროსს, რომ იქა ყვეარ, დადო ტელეფონის მილი და მეუბნება: "არ გაინძრეთ, ფანჯარასთან არ მიხვიდეთ"ო.

ჰატარა ხანს უკან შემოდის ყვირილით, "შენ ფანჯრიდან ვიღაცას დაელაპარაკე, თორემ საიდან იციან, რომ აქა ხარ"?

შენობით მელაპარაკება ეს ყმაწვილი.

კატო წულუკიძე, რომელმაც ჩეკაში შემოსული ამ მოხელეს თანხლებით მნახა და ჩემი ნათქვამიც გაიგონა, მაშინათვე ჩემ სკოლაში მისულა, რომელიც იქვე ჩეკის გვერდზედ იყო მოთავსებული, გაუგებინებია ჩემი ამბავი; მაშინათვე იქიდან დაძრულა ხალხი, რომ შენი ამბავი მაინც გაეგოთ, თუ სად დამატოვებინა ამ შეჩვენებულმა შენი პატარა არსება.

საკომენდატოში უკითხავთ, იქიდან ციცი უარი მიუღიათ, აქ კედიას ცოლი დაჭერილი არ არის, ეს მოგონილი ამბავიაო.

მაშინ ჩემ მეგობრებს განუცხადებიათ; "ჩვენ ეხლაეე ამ ამბავს შინაგან საქმეთა კომისარს გავაგებინებთ და ეთხოეთ, საშუალება მოგეცეს ბავშეი მაინც ვიპოვნოთ"ო.

აი სწორედ ეს მომენტი იყო, რომ რუსი მიყვიროდა ფანჯარასთან რად მიხვედიო.

ჰატარა ხანს უკან ჩეკის სხვა თანამშრომელი შემოვიდა და მიბრძანა, "გამომყეო", ჩამიყვანა სარდაფში, კარები მომიკეტა და ზეითა მეორე კარებიდან მომესმა, მას კლიტე დაადო.

ვარ ამ სიბნელეში, სადაც სინათლე არსაიდან არ შემოდის, თუმცა ეს იყო ნაშუადღეეის ოთხის ნახევარზედ; არ ვიცი, არის თუ არა სადმე დასავდომი, როგორც იყო, მივაგენი კედლის გამოშეერილ ნაწილს და იმას მიეყრდე, ეზიარ თუ ედგეეარ, არ ვიცი, მწარე ფიქრებშია გახვეული მთელი ჩემი არსება, დარწმუნებული ვარ რომ დამხვრეტენ, მაგრამ გარდაწყეეტილი მაქეს, თუ მაწამეს, ეერაფერს მათქმევინებენ, თუ კიდეე რამე ვიცი.

სიკვდილის შიშში, რასაკეირეელია, არა მაქეს, ეგრძნობ მხოლოდ იმას, რომ მთლად გაყინული ვარ, თავი ყინულისა მადგია, თითქოს ნელნელა აღარაფერი მაწუხებს, შენზედ, გენაცვალე, მხოლოდ ერთ წამს ვიფიქრე, "თეოს ვინმე მოუელის", ამაზედ მოკლედ შეეჩერდი. რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მეჩქარება, წამიყვანონ მეც, ალბათ სხვებიც იქნებიან და ერთად მოგესპობენ, საშინლად მცივა, ეკანკალებ ამ დროს რომელიღაც საკანიდან მომესმა კახელების მშეენიერი სიმღერა, თითქოს ნაცნობი ხმებიც არის: "და ჩემ ცხოვრებას, ახალგაზრდობას შენა გწირავდე, შენ განაცვლებდე"-ო.

შენ წარმოიდგინე, ჩემო თეო, მეც გავყე ამ ჰანგს და ჩემის ხმით, უფრო კი ჩურჩულით მეორე ხმა მეც მივაშეელე. ძალიან მალე გაეწყეტინეს მათ სიმღერა და მეც ხმა გავაქმინდე.

ამ სიმღერის სიტყვები თავის დროზედ სატრფიალოდ მიმაჩნდა, მხოლოდ იმ წუთს ამას ჩემი ქვეყნის სიყვარულში ეგულისხმობდი.

ეს კი არ ვიცოდი, სინამდვილე იყო, თუ ყველაფერი მომელანდა, მომეჩვენა, რადგან ამ ქვეყნიდან უცხო მხარეს ვიყაეი იმ ჟამად მთლად გადასული.

სიკვდილის მოლოდინში ბევრი უცნაური განცდა ჰფლობს შეპყრობილ ადამიანს. რუსის მწერალ ანდრეევის ერთერთი გმირი ამ მწარე წუთებს, როგორც მახსოვს, ფიზიკურ ვარჯიშში ატარებს, მე ამის მაგიერად სიმღერა ვარჩიე.

ვიჯექი, უფრო მიყრდნობილი ამ სარდაფის ცივ კედელს, ვგრძნობდი, ძალას ვკარგავდი და აი ცოტაც და დავეცემოდი.

შუა ღამე იქნებოდა, რომ კარების კლიტემ მაგრძნობინა, რაღაცა მზადდებოდა, მართლაც ვილაცა მოვიდა, აქედან გამომიყვანა და ჩეკის ეზოში გამაჩერა. იქაურობას თვალი მოვავლე, ის წყეული კამიონი, რომლითაც ხალხი დასახვრეტად მიჰყავთ, ვერა ვნახე. ეზო ცარიელი იყო, ვიფიქრე, აქედან არსად წამიყვანენ და აქვე გამათავებენ, უკანიდან მესვრიან, ამის მოლოდინში ვარ...

მაგრამ უცებ აქედან დამბრეს და ჩეკის ზემო სართულში ასასვლელ კიბესთან გამაჩერეს, იქ კი სამოთხეში ვიგრძენი თავი, რადგან დახვრეტის საშიშროება იმ წუთს მაინც აცილებული მეჩვენა.

ამიყვანეს ზემო სართულში და ერთი ჯარისკაცის თანდასწრებით ტალანში გამაჩერეს. ეს კაცი ქართველი იყო, მომიახლოვდა და ჩუმად გამაფრთხილა; "ადგილიდან არ დაიძრეთ"ო; მახლობელ კარების ჩურჩულიდან ვიღაცა ცდილობს, დამინახოს, იმის კარებსაც გარედან კლიტე ადევს, ალბათ ესეც ტუსალია, ეფიქრობ ჩემთვის, და მართლა გაუნძრეველად ვზივარ. ან იქნება ეს იყო მათი დაზვერვის მეთოდი.

უცებ კარები გააღეს და შემიყვანეს გამომძიებელთან; ჩემ წინ ზის შუა ხნის კაცი, თითქოს სანდომიანი სახის მქონე, მე ასე მეჩვენა.

შესვლისას უცნაური სინათლე მომაშუქეს, თვალთ დამიბნელდა, შიშის ზარი დამცეს, ვდგევარ ამ არაჩვეულებრივ მდგომარეობაში;

გამომძიებელმა რაღაც ანიშნა, ვისა არ ვიცი და ეს სინათლეც მომაშორეს.

უცებ საჩვენოში ვიგრძენი თავი, თითქოს ჩიტიც არ ამფრენია, არც შიში გამომვლია და ის საშინელი ყინული, თავში რომ ვგრძნობდი, მთლად დამდნარა.

ხმა ავიმაღლე და ამ კაცს ყვირილით მივმართე: "რად დამიჭირეთ, რა დავაშავე, მითხარით, ან ბავშვი როგორ დამატოვებინეთ ქუჩაში, რადა მსჯით, მიზეზი მაინც ვიცოდე"? "რამდენი წლისაა თქვენი ბავშვი"? — მეკითხება — ორი წლისა და ნახევრისა. "სანლამდე ვერ მივიდოდა"? რომ მივიდეს კიდეც რა უნდა ჰქნას ამ პატარა არსებამ იყო ჩემი გაშმაგებული პასუხი.

"დამშეიდდით ეს გაუგებრობაა"ო ეს გაუგებრობა, რომელიც მე სიცოცხლეს მისპობს და ძვირად მიჯდება...ვუპასუხე.

ამ ჩვენ სიტყვა პასუხებს მოსდევს ჩემთვის მძიმე წუთები, მიკვირს, რომ ნაღველა არ გასქდა, რადგან ნამდვილი დაკითხვა

იწყება და ვშიშობ, ვაითუ მის კითხვებზედ დამშვიდებულად ვერ ვუპასუხო და შეცდომები ჩავიდინო.

მკითხავს, რამდენი წლისა ვარ, სად მიმილია განათლება, მოსკოვის ხსენებაზედ, სახეზედ სიამე გადაეფინა. ეს კაცი რუსი აღმოჩნდა, და დაკითხვაც რუსულად სწარმოებდა. მაქვს თუ არა ჩემ ქმართან მიწერ-მოწერა, ჩემი პასუხი იყო, რო მივიღე ერთი ღია ბარათი და ვაპირებდი სიმართლის თქმას და რომ ერთი ვრცელი წერილი სპირიდონისა, სპარსეთის ელჩმა გადმომცა; ვიფიქრე იქნება ეს ჩემკამ იცის, სჯობია ამიტომ ამაზედ უარი არა ვსთქვა.

ამ ახლადგაცნობილმა მოკლედ შემარჩა სპარსეთის ელჩის მიერ სპირიდონის წერილის ისტორიაზედ; "ერთი სიტყვით ქმართან მიწერ-მოწერა არა გაქვთ"ო. ამნაირად ამ კაცმა დიდ უსიამოვნებას გადამარჩინა.

შემდეგ მომაწოდა რაღაც დაბეჭდილი ქაღალდი და მთხოვა; "წაიკითხეთ და ხელი მოაწერეთ"ო — ავიღე ქაღალდი, ბევრი ვუყურე. ხელშიაც ვატრიალე, მაგრამ წაკითხვით ვერ წავიკითხე, თვალები კი პხედავდა შავი მელნის წერტილებს, მაგრამ მათი მნიშვნელობა და აზრი არც თვალების სფეროში იბეჭდებოდა, მით უმეტეს არც თავში.

ბოლოს გავაგებინე, რომ ვერა ვკითხულობ, როგორც ეს შეიძლება დამართნოდა წერაკითხვის სრულიად უცოდინარ ადამიანს.

"აქა სწერია", გარკვევით მითხრა გამომძიებელმა; "ვიძლევი სიტყვას და დაპირებას, რომ არასოდეს არა ვსთქვა, რომ ჩვკამ დამიჭირა და ამ პირობებში ჩემი ბავშვი ქუჩაში დამატოვებინა".

ამაზედ ვუთხარი, ეხლა კი მესმის, რომ ჩვკაში დაჭერილ სასოწარკვეთილ ტუსაღებს ბევრნაირ ქაღალდზედ ხელს აწერინებენ; ამ უცნაურობას მეც მოვაწერ ხელს, რადგან ბავშვი მყავს მოსაძებნი, მოვაწერე ხელი, მაგრამ ესეც დაუმატე, რომ ჩემი დაჭერის ამბავი უკვე გასულია, საზოგადოებამ ეს იცის და მე კი ელარაფერს დავმალავ.

დაუბახა მოხელეს და უბრძანა კარებამდე გაეცილებინე.

გამოსვლით კი გამოვედი, მაგრამ შენობის კედელს მიყუდებული დიდხანს დავრჩი, ფეხი წინ ველარ წავდგი და იქვე დავეშვი.

უცბად ყრუდ მომესმა: "აგე სონა"ო — ესენი იყვნენ მაკა ერისთავისა, ტასოს დეიდა და მისი მოსამსახურე, მოვიდნენ, ჩამელაპარაკნენ, ჩემი კითხვა იყო "თეო"? თეოს სძინავს ტასოსთან, ნუ გეშინიანო, წამომყვნენ და სახლში მიმიყვანეს.

ჩემი დაჭერის შემდეგ ჩემი ნაცნობ მეგობრები, ჩემო ძვირფასო შვილო, შენს კვალს ეძებდნენ, ზოგი საით იყო წასული, ზოგი კი ჩვენ სახლის მახლობლად ტრიალებდა;

როდესაც ამ ჩეკისტმა შენ თვალწინ დედაშენი ისე უცნაურად აგაცალა და რომ ველარა მნახე, საშინელი ტრირილი დაგიწყია, მაშინ ელენე მაჭავარიანი, რომელიც იმავე დროს ასეირნებდა ბაშვს, მოგიახლოვდა და გაოცებულს დიდხანს უტარებიხარ ქუჩაში, მე რომ ალარა ვჩანდი, არ იცოდა რა ეფიქრა.

ამავე დროს ტასო ქიქოძის ცოლს გარდაუწყვეტნია, სწორედ ამ რტიჩშეევის ქუჩის მიმართულებით შენი ძებნა და საშინლად დატანჯული და ნამტირალევი უპოვნიხარ ამ მაჭავარიანის ქალთან ერთად, წაუყვანიხარ თავის ბინაზედ, სადაც შენმა ნახვამ მთელი ოჯახი თურმე აატირა, იქვე დაგბინებია.

მეც მიპოვნეს, როგორც გითხარი, ჩეკის მახლობლად გულწასული, მიმიყვანეს სახლში და პატარა ხანს უკან შენ რომ ხელში აყვანილი შემოგიყვანეს, ჩვენი შესვედრა შენ გვიამბე ეხლა, ჩემო თეო, რადგან ამას ადვილად წარმოიდგენ.

იმ ღამეს მთელი სახლის მდგმურები ჩემთან იყვნენ, სომხებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს მაშინაც და საერთოდ შემდეგშიაც.

ტამიროვის ცოლი თვალცრემლიანი მეუბნებოდა: "რადგან გრძნობდით და ელოდებოდით ამ საშინელებას, რად გახვედით, ან მე რად გამოგართვით ოთახის გასაღები, ეს ხომ თავის დღეში არ გაგიკეთებიათ, ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, რომ გაგიშვით"ო.

დედაჩემს ასცდა ეს ამბავი, რადგან ის უკვე წასული იყო კახეთში. მეორე თუ მესამე დღე იყო, რომ ის ჩემი, სამწუხაროდ ნაცნობი ჩეკისტი დაეინახე, არხეინად მიდიოდა ჩვენ ქუჩაზედ, მეგონა, რომ ის ჩემთვის იყო მოსული, შენ ცოტა მოშორებით მყავდი, მაშინათვე დაგიძახე, თითქოს მინდოდა გაგეგო, რომ უშენოდ მე კიდევ დამიჭერდნენ, მაგრამ არ დამემორჩილე, მოგიახლოვდი, შემოგათრიე სახლში და იატაკზედ დაგანარცხე...

შიშმა შემიპყრო, აქეთ იქიდან მარწმუნებდნენ, საჩქაროდ სადმე გადავმალულიყავი, ამიტომ ბარგიც ნელნელა გადამეტანა სხვა ადგილას. ვასო მგალობლიშვილი მიპირებდა თავის დედასთან გურიაში გადაყვანას; საზოგადოებაში ის აზრი ტრიალებდა, თითქოს ჩემი უგეშოდ დაკარგვის ამბავი საპირიდონს აიძულებდა, ევროპიდან ჩამოსულიყო და ხელისუფლებას მისცემოდა.

მართალია, მთავრობა ნანობდა სპირიდონის ციხიდან გამოშვებას, რადგან "ის თუმცა ერთი წელიწადი ციხეში იჯდა, მაგრამ დასაწყისშივე სამხედრო კავშირის მონაწილე კი არა ინიციატორი ყოფილა ბათუმიდანვე"ო.

ჩემი ცხოვრება იწამლებოდა მუდმივი შიშით, არ ვიცოდი სად წავსულიყავი, რომ მომესვენა, ბოლოს ვამჯობინე ისევ დედასთან კისისხევში გამეტარებინა ზაფხულის თვეები.

დედას წერილით გაეაგებინე, როდის მიეიდოდი, მაგრამ სადგურზედ არავინ დამიხვდა.

ჩემი ბიძაშვილი სოლიკო ურმით იყო იქ მისული და მარილით დატვირთული მიდიოდა კისისხევში, ეს იყო ჩემთვის ხსნა, თორემ სხვანაირად იქ უნდა დავრჩენილიყავი ღამით, მაგრამ ვისთან, სადგურზედ მაშინ არავინ ცხოვრობდა ოჯახის პატრონი. სოლიკომ ჩვენც ჩაგვსვა მარილის ტომრებთან ერთად და ამნაირად მიეედით დედაჩემთან.

ხელში რომ აგიყვანა, შენი საკუთარი ენით რაღაცას უამბობდი, ეს იყო ქართულ მეგრული ენა, რომელიც შენ ერთი წლის

წინად ზუგდიდიდან ჩამოიტანე, თანდათან ამასაც ჰკარგავდი, ისე რომ გადახვედი შენს საკუთარ შემოქმედებაზედ, სულმთლად უცნაურს და გაუგებარ ენაზედ.

დედა სწუხდა, რომ ამ ორი წლისა და ნახევრისამ რიგიანი ლაპარაკი არ იცოდი; "წეტა ან მამა გყავდეს რომელსაც ლაპარაკი ეძნელებოდეს, ან დედაშენი იყოს მუნჯი, შე საძაგელო, რა დაგემართა"ო.

არ ვიცი, გესმოდა თუ არა ბებოს შენიშვნა, მაგრამ კარგა ხანს ხმას არ იღებდი, გაშტერებული სჩანდი, როგორცა სჩანს, ეხლა გინდოდა შენი ლაპარაკი გაეგოთ და ეპასუხნათ კიდეც. გაიღა ხანი.

ერთხელ აივნიდან გადმოვიხედე და ძალიან მძიმედ მისდევდი ერთ დედაკაცს, რომელიც კიდევ დადიოდა ჩვენთან პურის საცხობად ან სარეცხის გასარეცხად, წაგეცლო მისთვის ხელი და მომესმა; "წამოდი, ვილაპაკოთ"ო, ე.ი. "ვილაპარაკოთ"ო. ამ "ვილაპაკოთ" თუ "ვილაკაფოთს" მოჰყვა სულ მალე რიგიანი ქართული, დაიწყე ლაპარაკი ისე რომ შენიც გასაგები იყო და უპასუხოდაც არავინ დაგრჩებოდა, ერთი სიტყვით ფონს გასული იყავი. მინდა მოვიგონო შენი იმდროინდელი ნათქვამი თუ ნაზრევი.

ერთ დღეს ბევრი ისიამოვნე, კალოზედ წაგიყვანე, კევრზედ დაგსვი და ოროველაც გათქმევინე, კარგად მღეროდი მაშინვე. ძალიან შეგაქეს მუშებმა, იქადა წამოსულა აღარ გინდოდა, ეს სიამოვნება კევრზედ ყოფნისა გსურდა დიდხანს გაგრძელებულიყო.

დაიწყეს განაცვება და მეც დაეპირე იქიდან აყრა, მაგრამ მოშორებით საბძელთან ფეხქვეშ მოგედნენ პატარა ლეკვები, დაიწყე მათთან ღლაბუცი და ალბათ აღარც გაათავებდი, რომ ცოტა აცივდა და მეშინოდა სუმბუქად ჩაცმულს არ შეგციენოდა, დაბნელდა კიდეც და აგაჩქარე. "წავიდეთ გენაცვალე, არ გასციოდე". გეუბნებოდი.

ამაზედ დამშვიდებულად მიპასუხე; "აგე, ის გაათბობს თეოსა"ო ხელი გაიშვირე მთვარისაკენ, რომელიც ამოსული იყო და ლაჟვარდ ცას ანათებდა.

ეს შენი დაკვირვება ძალიან მომეწონა, შენს აზრში ეს მთვარე იყო, დღისითაც რომ გათბობდა, შენ ხომ მთვარე ნანახი არა გქონდა, მზე და მთვარე შენთვის სინონიმი იყო. ჭკუით იყავი გატეხილი ჩემო საყვარელო თოლიავ!

შედარებით ის ზაფხული ჩემთვის დამშვიდებით ჩატარდა, მაგრამ მორალურად კი ბევრი რამ იყო, რაც ჩემ გულს ჰხვდებოდა და უსიამოვნო წუთებს მაგრძნობინებდა.

აშკარა იყო რომ მახლობლები და ნაცნობები ჩემს მიმართ ძალიან იყვნენ ფერშეცვლილნი, ჯერ სპირიდონის სამუდამო გადასახლება და ახლა კიდევ ჩემი დაჭერის ამბავი ხომ ამათ ყურამდეც იყო მისული.

ცოტა არ იყოს, მერიდებოდნენ კიდეც, ჯერ იმან გამაოცა, რომ სადგურზედ არავინ დამიხვდა, ეს შემთხვევითი არ იყო, დედას თურმე მეურმე ვერ ეშოვნა. ცხენები აღარა გვყანდა, მაგრამ ხარები კიდევ იყვნენ ჩვენს ეზოში, შავი მუშაობისათვის. მათი შებმა არავინ

იკისრა, რომ ჩემთვის სამსახური გაეწიათ, გესმის, ჩემო თეო, მაგრამ ეს არაფერი.

მარიამობის თვეში ძალიან ავად გავხდი, ისეთი საშინელი ტკივილები მქონდა ნაწლავებისა, ვიფიქრე, ველარ გადავრჩებოდი, სისხა მჭირდა.

დედა სწუხდა, რომ საჩქაროდ ექიმი ვერ მოპყავდა, საჭირო იყო თელავში ცხენიანი კაცის გაგზავნა, რომ იქიდან ექიმი ჩამოსულიყო, ეს ვერსად ვიშოვნეთ.

შაკრო თანახმა იყო ეს საკითხი მოეგვარებინა, მაგრამ უკანასკნელ წუთს ცოლმა კატომ ყვირილით, გადაჭრილი უარით გამოისტუმრა ჩვენი შიკრიკი. ეს ის კატო, რომელიც მე ყოველთვის მანებივრებდა; ახალგაზრდობაში, მახსოვს, ხშირად ჩემს გართობასა და სიამოვნებაზედ ფიქრობდა.

ჩვენმა სანდრუა ზუროშვილმა აიღო თავისთავზედ, სიცხე პაპანაქებაში ფეხით წავიდა წინანდალში და იქიდან მოიყვანა ექიმი, რომელიც თავისი ცხენით დადიოდა ავადმყოფებთან, იმან დამაყენა ფეხზედ.

მაშინ კი დავინახე ცხოვრების სინამდვილე, წინად კისისხევში თვალში რომ ჩავეარდნოდი ვისმეს, თვალში ხელს არავინ მოისვამდა და ეხლა ეს საშინელი სურათი უცნაურია, რომ თბილისში სულ სხვა იყო და ამ ჩემ საყვარელ კახეთში, სახელდობრიე კისისხევში ჩემ მიმართ ასეთი თავისდაჭერა გასაოცარი და უადამიანო.

შემოდგომაზედ რომ თბილისში ჩამოვედი, შენ ჩემო მშვენიერო, ბებოსთან დაგტოვე, რომ შენ უჩემოდ მარტოკა არა პყოფილიყავი დაკეტილ ოთახში, როდესაც მე სკოლაში წავიდოდი. მაგრამ დედას ისე გასძნელებია შენი მოცლა, რომ ვადაზედ უფრო ადრე ჩამომგვარა შენი მოუსვენარი ბუნების პატრონი; დედას აშინებდა, კუჭი უარესად არა გქონოდა, რადგან თურმე აგიღია ვაშლი, ტახტის ქვეშ შემძერალხარ და ჭამა დაგიწყია; ეს მკეახე ვაშლი, რომელიც არ გეჭმეოდა და ექიმებისაგან აკრძალული გქონდა, საერთოდ ცელაფერი უმი, მოუხარშავი. რომ ჩამოხვედი, ამას სჩიოდი; "ბებიმ პური არ მომცა, არც ვაშლი მაჭამა"ო.

ერთი სიტყვით ზაფხულში მადა დიდი გქონდა, მხოლოდ სწორედ მაშინ შენი ექიმები ჟუნჭობდნენ, რადგან ვერაფრით ვერ დაგიშვიდეს ეგ არეული კუჭისა თუ ნაწლავების გაუთავებელი აშლილობა.

თითქმის 5 წლამდე მშიერი იყავი. ზამთარში ნორმალურად მყავდი. ბებო რომ ჩამოვიდოდა, ისე კარგად გიულიდა, დროზედ პაერზედაც გასეირნებდა, თქვენი წასასვლელი იყო იქვე ჩვენს მახლობლად ერთი მევრელის ბაღში რომ მიხვიდოდით და მთელი ნაშუადღევი იქა რჩებოდით.

ბაღში გიხვდებოდა პატარა გოგო, მარგო, ცოტა შენზედ უფროსი, სასაცილო იყო ამ ცივ ზამთარში მთლად ტიტლიკანა, მისი დედა ჩიოდა, არ ეიცი, ამ საძაგელს რა ეუყო, დილით ჩაეცმევ, მო-

ვიხედამ და მთლად გაშიშვლებული ურბენს ამ ბაღსაო; იმასთან გიყვარდა თამაშობა.

გაზაფხულზედ ბებო თავს გვანებებდა და სოფელში მიდიოდა; ჩემო თეო, მაშასადამე შენ ისევ მარტო ბრძანდებოდი. ამიტომ გარდაწყვიტე დროებით მაინც საბავშვო ბაღში შემყვანე. ეს იყო მარტის დამლევს, ზაფხულის თვეებში კი ისევ სოფელში მეყოლებოდი, მაგრამ სამი წლისას არავინ ღებულობდა, ერთ გამგეს კი რომ ჩემი მდგომარეობა აეუწერე, დათანხმდა შენ მიღებას.

სანიმუშო საბავშვო ბაღი გრიბოედოვის ქუჩაზედ, აი იქ გატარებდი.

რა გამოვიდა, გამგე ძალიან უკმაყოფილი იყო შენით. ამ ოცდაათ ბავშვში ყველაზედ უდისციპლინო შენ აღმოჩნდი. კერპი, ჭუჭყიანი პიანინოს აბარტყუნებდი, როდესაც ეს აკრძალული იყო და სხვა.

წაგიყვანდი დილაადრიანად სუფთად ჩაცმულ დახურულს, იქიდან მომყავდი მთლად ამოტურტლული. სწავლა იწყებოდა მხოლოდ ათ საათზედ და შენ კი მიყვანილი მყავდი 8 საათზე, მარტოკა რჩებოდი დარაბებ დაკეტილ კლასში, მანამ სხვები მოვიდოდნენ.

ათ საათამდე ადრე არცერთი მასწავლებელი არ იყო მოსული; არ ვიცი მარტოკა ამ ორი საათის განმავლობაში რას აკეთებდი, რას აქოთებდი, რამდენს ამუშავებდი მაგ შენ მოუსვენარ ხელებს, ჩემო ძვირფასო შვილო; როდესაც სხვა ბავშვები მოვიდოდნენ, შენ უკვე კურსდამთავრებული უხვებოდი, კარგად გქონდა აწეწილ-დაწეწილი ეს კუბიკების ყუთები და სხვა ხელთასწყობი საგნები, თუ ამას პიანინოზედ შენ დილის რესიტალსაც მივუმატებთ, ადვილად წარმოიდგენ, გამგის ნერვიულობას, რომელიც იმ შენობაში ცხოვრობდა.

სწავლის შემდეგ, როდესაც სხვა ბავშვები მშობლებს სახლში მიჰყავდათ, შენ ჩემ მოლოდინში იქა რჩებოდი უპატრონოდ.

ერთ დღეს რომ მოვედი, კლასში ვერა გნახე, გამგემ ვერაფერი მითხრა, ის მაინცა და მაინც არ იყო დიდის ყურადღებით, თორემ კარგად უნდა სცოდნოდა, სად იყავი, როდესაც სხვები გაისტუმრა, შენი განსაკუთრებული მდგომარეობა იმან კარგად იცოდა.

მაშინათვე გავეშურე, ჩემს სკოლაში აველი, გამგეს გავაგებინე, რომ თეო ველარ ვიპოვნე, რომ ბავშვი დაიკარგა, არავინ იცის, სად არის. მაშინათვე ჯგუფ-ჯგუფად დაეშენენ ზოგიერთი მასწავლებელი, მოწაფეები, დარაჯებიც კი, ყველამ მიიღო მონაწილეობა შენს ძებნაში. მე ცოცხალ-მკვდარი სამასწავლებლო ოთახში ვიჯექი და არ ვიცოდი, ეს მეორედ ჩემი დრამა როგორ დამთავრდებოდა.

რამოდენიმე ხანში მოწაფეთა ერთმა ჯგუფმა შენი თავი მომვეარა. მიამბეს შემდეგი: გრიბოედოვის ქუჩიდან, სადაც საბავშო ბაღი იყო მოთავსებული, კარგა მოშორებით მიდიოდა ერთი წყვილი, ქალი და კაცი და შენ ხელმოკიდებული მიჰყავდი; სადა, ან რისთვის, ეს საიდუმლოდ დარჩა.

ჩემ მოწაფეებს ისე გახარებიათ შენი ნახვა, რომ იმათთვის არც კი უკითხავთ, ვინ იყენენ, ან შენ როგორ შეგხვდნენ, ჩემო გე-

ნაცვლები, შენ კი დამშვიდებული იყავი და ამ შემთხვევით არც შეწუხებული, ვინ იცის, რას არ დაგპირდნენ და შენც ტუსტულით გაჰყე, იქნება გითხრეს, დედა გელოდება, წამოდი, იმასთან ჩვენ მიგიყვანთო...

ყველამ იფიქრა, რომ ეს ძველი ცდის განმეორებაა, მე ჩეკაში წამიყვანდნენ, უშენოდ, თუ ამას მოახერხებდნენ, ამიტომ მირჩევდნენ მახლობლები, შენ სულ ჩემთან მყოლოდი.

რასაკვირველია, საბავშვო ბაღიდან მაშინათვე გამოგიყვანე და დავტოვე ეს "სანიმუშო" სასწავლებელი, რომელმაც ცუდი ნიმუში დამირჩინა მეხსიერებაში.

რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო და ამის საშუალება მეძლეოდა, სულ გვერდით მყავდი, თუ არადა მეზობელ ქალთან რჩებოდი.

ჩვეულებრივ სეირნობის დროს ჩემ სახლთან ახლო ხშირად გვხვდებოდა ერთი რუსის ქალი, ლამაზი, კარგად ჩაცმული, რომელიც კეთილ განწყობილიც კი სჩანდა ჩვენს მიმართ, ერთხელ კიდეც მომიახლოვდა, გამომელაპარაკა. "ვიცი ვინცა ხართ"ო და თავისი ვინაობა გამაგებინა.

ეს ქალი აღმოჩნდა ჩეკის თავმჯდომარე კვანტალიანის ცოლი, იქვე მახლობლად მცხოვრები; გული გამისქდა, რასაკვირველია არ ვენდე.

მითხრა, რომ მთავრობა ძალიან ნანობს, რომ "თქვენი ქმარი გაანთავისუფლეს, საერთოდ ყველაფერი იციან დღეს, რადგან არის ღალატი. მინდა იცოდეთ, რომ მე ისეთი მძიმე ცხოვრება მაქვს, რომ თუ შემიძლიან, პატარა სამსახური მაინც ვისმეს გავუწიო, არაფერს დავზოგამ"ო.

მიამბო თავისი უცნაური ამბავი; ეს ქალი სხვაზედ ყოფილა გათხოვილი, როდესაც ბაქო ბოლშევიკებს დაუჭერიათ, სხვებთან ერთად როგორც არა საიმედო ხალხი, ეს ცოლქმარნიც ჩეკაში წაუყვანიათ.

მაშინდელი ჩეკის თანამშრომელი ეს კვანტალიანი ჩასულა ჩეკის სარდაფებში ტუსაღების დასათვალაერებლად, ქალების გაყოფილებაში ეს ქალი უნახავს, მაშინათვე გაუნთავისუფლებია, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამას გამოჰყვებოდა საბოლოოდ და ქმარზედ ხელს აიღებდა.

მიამბობდა, ფიზიკურადაც დასჭირდა ამას თავისი დაცვა, რომ კვანტალიანმა იარაღიც იხმარა და ხელში დასჭრა, მაჩვენა კიდეც ჭრილობის ნაშთი, წამოიყვანა ამ ჭეკისტმა ძალისძალად და მონად გაიხადა.

"ქმარი მოვიდა ერთხელ, მაგრამ რას გააწყობს ამ მდგომარეობის მქონე კაცთან"ო, დალონებული მელაპარაკებოდა კვანტალიანის ცოლი; რამოდენიმეჯერ კიდევ შემხვდა ქუჩაში, მაგრამ მე ამას მაინც არ ვენდობოდი.

გავიდა დრო, მე მუშაობას განვაგრძობდი, მაგრამ მთლად დაკარგული მქონდა ჩემი მეობა, სულ სხვა სამყაროში ვგრძნობდი

თავსა, მეხსიერება მთლად იყო შესუსტებული, დაერდომილი ადამიანიით მუშაობას რომ გავათავებდი, ყოველგვარი სურვილი თუ ამქვეყნიური სიხარული ჩემთვის სამუდამოდ მოსპობილი და არარად ნაქცევი მეჩვენებოდა.

არსებას შინაგანი სევდა არღვევდა, მუშაობაში კი ამას ვერავინ ამჩნევდა, ხშირად ახალგაზრდა მასწავლებლები მეუბნებოდნენ; "გერცხვენიან, როდესაც თქვენა გხედავთ, რამდენი სიცოცხლე და ამტანობა გაქვთ, ჩვენ ბევრი რამ გვაკლია"ო.

იმ ზაფხულს 24 წ. ბაკურიანში წაგიყვანე, როგორც მასწავლებელს იქ ოთახი უფასოდ მეძლეოდა; ორი კვირით მეწვია ვერა მგალობლიშვილი, კარგი მეგობარი, კარგი ადამიანი და საერთოდ მოსაწონი ქალი. ძალიან ლამაზი ხელების მქონე.

იქვე ჩემს მახლობლად ოთახში, ისიც დროებით, მოსული იყო მხატვარი გიორგი ნათიძე, რომელიც შორიახლო ვერას დასდევდა.

ორივესთან კარგად ვგრძნობდი თავსა და გუნებაზედ მომეშვებოდა, შენ რომ კარგადა მყოლოდი.

შენი კუჭის ამბავი იყო რომ მოსვენებას არ მაძლევდა. ჩვენს ბედზედ შენი ექიმი მარიამ უგრელიძე საზაფხულოდ იქ იყო მოსული და შენ ყურადღებით გიელიდა.

ჩვენ ელენეს წაღვერში ჰქონდა თავისი ლაბორატორია, ისე რომ ანალიზები გაადვილებული მქონდა, მაგრამ რა გამოვიდა, ვერაფერმა გიშველა. ელენემ კიდეც გამაგებინა თავისი აზრი; "მიკვირს ეს ბავშვი, რომელსაც ასეთ მდგომარეობაში აქვს ნაწლავები, და ან როგორ იტანს, როგორ ცხოვრობს"ო. მთელი ზაფხული დამშვიდებულად გავატარეთ, მშვენიერი ამინდი იყო, მთა და ფიჭვი უხვად გვასმევდა თავის ნექტარს, შენ კი არაფერი გემჩნეოდა.

1924 წლის აჯანყება და მისი შედეგები

ზაფხული მიწურული იყო, რომ ბაკურიანში თბილისიდან ამოვიდა მასწავლებელი ტრიფონ ჯაფარიძე და მითხრა; "შინდა ერთი საიდუმლოება განდოთ და იმედია, თქვენგან არ გავა. ამ დღეებში აპირებენ აჯანყებას, ყველაფერი მზად არის, ევროპიდანაც შავი ზღვით სამხედრო ძალა იქნება გადმოსხმული ჩვენ დასახმარებლადა"ო

ამ ცნობამ ძალიან შემაწუხა, რადგან სპირიდონისაგან ვიცოდი, რომ ევროპა არ გეიშველის. არა-ერთხელ სპირიდონმა ეს თავის მოაზროვნენი გააფრთხილა და ისიც კი, რომ საერთოდ ერი მზად არ არის — როგორც ეს საწუხაროდ შემდეგში გამართლდა.

წინა ზაფხულს კახეთში ყოფნისას, ჩემ სოფელში მაინც, კისისხევში, მეც დარწმუნდი, რომ საერთოდ აჯანყებაზედ არავინ ფიქრობდა.

რამოდენიმე დღეში გავიგეთ, რომ ჯულელი დაუჭერიათ, ჩეკიდან თავის ამხანაგებს ატყობინებს; "ხელისუფლებამ ყველაფერი იცის და ნუ გამოხვალთ, აჯანყებაში მონაწილეობას ნუ მიიღებთ"ო.

ჯულელი იყო ჩვენი დამოუკიდებლობის დროს გვარდიის ხელმძღვანელი, მისი სულის ჩამდგმელი. ეს გვარდია შექმნილი მთავრობის მიერ — მაშასადამე ს. დემოკრატიის მთავარი ძალა— მთლიანად ემსახურებოდა ამ იგივე მთავრობას.

ბაკურიანში, სადაც ჩემს მახლობლად მეტი წილი მასწავლებელთა ს. დემოკრატები იყვნენ, ჯულელის დაჭერამ და მისმა მოწოდებამ ისინი ძალიან აალელვა, ზოგი მათგანი მას მოღალატედაც სთვლიდა. — ეხლა რომ ვუკვირდები მეტისმეტად მეჩვენება მაშინდელი მათი რეაქცია — ერთმა კიდეც დაიძახა ხმამაღლა, იქნება ჩემს გასაგონად; "საერთოდ ჩვენ თავიდანვე სპირიდონ კედიას რომ მიეყოლოდით და მის სიტყვას, დღეს სულ სხვა მდგომარეობა იქნებოდა საქართველოში"ო.

თბილისიდან მოდის საშინელი ხმები: "დიდძალი ხალხია დაჭერილი და დახვრეტილი"ო—არის შესულა—გასულა ჩვენ მოაგარაკეთა შორის; ჯერჯერობით ვერავინ ჰბედავს თბილისისაკენ გამგზავრებას.

ადგილობრივმა კომისარმა მინახულა და მითხრა: "ნუ გეშინიანთ თუ ვინმე მოვა თქვენი ვინაობის გასაგებად, ეტყვით თქვენი ქალიშვილობის გვარს, ხომ მართლაც ასე ხართ ჩაწერილი. მე კი ყველაფერს გავაკეთებ, რომ არავინ შეგაწუხოთ"ო — სამწუხაროდ მისი გვარი აღარ მახსოვს. ის კი წავიდა, მაგრამ რა გუნებაზედა ვარ მე ან სხვა ჩემი მეზობლები, ამას ადვილად წარმოიდგენ.

თბილისიდან მძიმე ამბები ხშირდება; თურმე ღამის ორი საათიდან მიერეკებიან ხალხს სასაკლაოზედ, "სისხლის გუბეებია დამდგარი"ო...

როგორც იყო, ორი კვირის შემდეგ ჩამოვედი თბილისში. ნეტა იმას, ვინც იმ ჟამად ვერა ნახა ჩვენი დედაქალაქი. თითქოს დაწყნარებული სჩანდა, როგორც ქვეყნის წალეკვისას დიდ ქარიშხალის შემდეგ.

მაგრამ თითქმის ოჯახი არ იყო დარჩენილი, რომ უბედურება თავს არ დასტეხოდა!

ქუჩაში ჩეკისტების ჩასახლება, ორი ადამიანი ვერ გაჩერებულა ერთად, "რაზაიდის"—გაშორდით ერთმანეთსა"ო — ტირილის ნებას არავის აძლევენ, მაშინათვე ხალხს კრიჭას უკრავდნენ, ერთი სიტყვით კომუნიზმია...

თუ ბოლო ხანებში ჩემს უკან აღარავინ შემიმჩნევია, ეხლა ისევ ჩეკაა ჩემი ცხოვრებით გართული და იმდენად, რომ სახლიდან კანკალით მივდივარ სკოლაში და დანარჩენ დროს კი სახლში ვატარებ, მეშინიან ვისთანმე მივიდე.

სკოლაში ჩემი მდგომარეობა თითქმის ყველამ იცოდა. მირჩევდნენ: "გამგეს უთხარით, რომ ამ პირობებში გიმნელდებათ გაკვეთილების მიცემა, თუმცა კომუნისტია, მაგრამ ლმობიერი სჩანს"ო.

აგრაფენა ჭავჭანიძე, გათხოვილი, ერთი შვილის პატრონი ახლად იყო დანიშნული ჩვენთან როგორც გამგე. იმან დაიჭირა ეს ადგილი თამარა ჯავახიშვილის შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი სხვაგან იყო გადაყვანილი.

ერთ დღეს მოისურვა ჩემთან საუბარი. — მე პირდაპირ ვუთხარი, რომ მეტის ატანა აღარ შემიძლიან, ჩეკამ დამანებოს თავი; ძალიან შეუგნებელი უნდა ვიყო, ჩემს მდგომარეობაში, როდესაც ქმარი გადასახლებული მყავს და ხელში პატარა ბავშვი, პოლიტიკურ ორგანიზაციაში ვიმუშაო, თუ სადე კიდევ იგი არსებობს.

დილით ჩეკის აგენტი კარებში მიცდის და სკოლამდე უკან მომდევს, დამერწმუნებით, რომ ეს აუტანელია.

აი აიმნაირი ცნობები მიეცი ამ კომუნისტ ქალს, რომელსაც ჩემი დაჭერის ამბავიც გაგებული ჰქონდა, შეწუხებული სახით მისმენდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ მითხრა: "აი თუ ამ ქალალდს ხელს მოაწერთ, დამშვიდებული იქნებით, აღარავინ შეგაწუხებთ"ო.

წავიკითხე, ვიცოდი, რომ ამას მომთხოვდნენ, ე. ი. "ვარ მთავრობისა და რეჟიმის მიმართ ლოიალურად განწყობილი"—

ეს ქალალდი უკან მივაწოდე და ნაწყენი კილოთი განეუცხადე, არასოდეს ამნაირ ქალალდს ხელს არ მოვაწერ, მეყოფა ის ტყუილიც, რაზედაც ხელი მოვაწერე ამ ერთი წლის წინად ჩეკაში, რომ დაჭერის ამბავს არავის ეტყოდი — საერთოდ თურმე დაჭერილიც არა ვყოფილვარ — ...მაშინ სხვა გზა არა მქონდა; ჩემი თეო მოსაძებნი მყავდა. გეცოდინებათ, ჩეკისტმა ეს ბავშვი ქუჩაში დამატოვებინა!

— "ის აზრია ჩეკაში, რომ თქვენი დაჭერის ამბავი მთლად მოგონილია"ო. ასე მითხრა ჩემმა გამგემ.

გამოვედი იმის კაბინეთიდან აღელვებული და იმ დღიდან გარდაეწყვიტე, ჩემ ქვეყანას გავშორებოდი და დამეჩქარებინა ჩვენი საფრანგეთში ჩამოსვლა.

ეხლა მინდა, ჩემო შვილო, გიამბო რა მოჰყვა ამ აჯანყებას. შედეგი იყო ის, რომ მთელი კახეთის თავად-აზნაურობა მოსპეს, ან სულ გაწყვიტეს და თუ ვინმე გადარჩა, ისინი შუა გზაზედ გაუშვეს, უსახლკარონი, უსახსრონი როგორც პირუტყვებს გაუშვებენ მინდვრად საძოვარზედ, იმ განსხვავებით, რომ ამ უბედურებს ეს საძოვარიც არ მისცეს...

ველი დედას, მეშინიან, რაიმე უბედურება არ დაემართოს, მეტადრე როდესაც გავიგე, ჩვენ სოფელში მომხდარი მკვლელობა.

კიკო ვახახიშვილი, ეს დაღესტნის მმართველი, დიდი მდგომარეობის მქონე—სხვათაშორის იუნე ჯავახიშვილის ბიძა — მოდიოდა ზაფხულობით კისისხევში თავის ცოლის ძმის სოსო ქობულაშვილთან, ყოველთვის შეიარაღებული მცველებით. უიმათოდ იგი მე არ მინახავს.

პო და, ერთ საღამოს, დაახლოებით ათ საათზედ, ვილაცამ დაუძახა: "ცოტა ხნით გამობრძანდით, საქმე გვაქვს თქვენთანა"ო, ისიც გაეიდა და ალარც დაბრუნებულა...

მეორე დღეს, ეზოს ბოლოს, კაკლის ხის ქვეშ ყელგამოჭრილი იპოვნეს!

წინა დღით თურმე უთქვამს სმა მაღლა: — "აი, რამოდენიმე დღეში რუსებს თავიანთი კომუნიზმით აქედან გავრეკაეთ"ო —

საცოდავს ალბად იმედი ჰქონდა აჯანყებისა. თავისი სიტყვების მსხვერპლი გახდა, რადგან ეს მოსამსახურეების გასაგონად იყო ნათქვამი. ერთმა მათგანმა გაიტანა, ან იქნება თვითონაც იყო ამ საშინელების ავტორი.

როგორც იყო, დედაჩემიც ჩამოეიდა, შეშინებული, უბარგოდ, ერთი კაბის ანაბარა. ძველებური ხურჯინი სანოვაგით სავსე ალარ ჩამოუტანია, რადგან მას მეტი საზრუნაეი ჰქონდა; ჩვენთან, შვილებთან ცოცხალი ჩამოსულიყო.

ჩვენი სოფლის იერი იმან გვიამბო, ე.ი. რაც მოხდა ამ ხნის განმავლობაში, მარიამობის მიწურულს და ენკენისთვის დასაწყისში.

ჩვენ სახლში იმ ჟამად ორი ქალი იყო, დედაჩემი და ძლუა საშა. ამ უბედურებაში ერთმანეთს მიჰკედლებოდნენ და ფიქრობდნენ ძველებურად რთველის შემდეგ დოლათით თბილისში შვილებთან ჩამოსელას, დარწმუნებულნი, რომ იმათ არაფერი დაუშავდებოდათ.

ერთ საღამოს ეს ორი რბალი, "ორი პატრუგა"—როგორც ჩვენ შვილები ამათ ვეძახდით—სამოვრის შიშინში მუსაიფობდნენ. კიბეზედ დაინახეს ორი უცხო კაცი; კარების დაკაკუნებაზედ გულგახეთქილებმა ისინი შემოუშვეს და თავაზიანად ჩაიც შესთავაზეს. ერთმა მათგანმა ჩაის ფინჯანი გვერდზედ მისწია: "ალბად გინდათ მოგეწამლოთ, თქვენი ჩაი არ გვინდა"ო—

მაშინ ამაზედ დედაჩემს უთქვამს: "რასა ბრძანებთ, ეს როგორ გეკადრებათ. თქვენ ხართ ხალხის მეთაურნი, თავკაცები და ჩვენ რა უნდა გვქონდეს თქვენ წინააღმდეგ"ო. დედას დიპლომატიამ გაჭრა.

მტრულად მოსულნი, ძალიან შეფიქრიანებულნი გამოეთხოვნენ ამ ორ უიარაღო — ვითომ სუსტ — არსებას და კიბეზედ ჩუმად და უსიტყვოდ დაეშვნენ.

ეს ჩვენი ქვრივები მეორე დილით კი უფრო შეშინდნენ. რადგან ყურძენი შემოსული იყო, ღამით კარის ენახს ჰყარაულობდა ჩვენი ერთგული სანდრო ზუროშვილი, რომ ყურძენს არაფერი დაკლებოდა და ქურდი არ მისტანებოდა მსხმოიარე ენახს.

გათენებისას ენახიდან რომ გამოეიდა, გაფითრებული, კანკალით დედასთვის უამბენია იმ ღამის თავგადასავალი.

"ენახში თაეს წამომადგა რამოდენიმე შეიარაღებული უცხო სახის მქონე კაცი, თოფები მომიშვირეს, გამაფრთხილეს, მათი ნახვა არავისთვის არ მეთქვა, თორემ გამაქრობენ. რალაც ცუდი განზრახვით იყვნენ მოსულნი, მითხრეს: "ვის ემსახურები, რა გინდა შუაღამისას

ამ ვენახში, რასა ჰყარაულობ? მალე მოვულებთ ბოლოს შენს ქალბატონს და შენც მიგაყოლებთ“ო.

წავიდნენ, თუ ისევ ვენახში არიან, არ ვიცი, მაგრამ გთხოვთ, ქალბატონო, ამაღამ სახლში ნუღარ დაიძინებთ. მე ჩემებს უნდა მივხედო და აღარც მინდა გამოეჩნდე“ო.

წავიდა თავის სახლში სადაც ცოლშვილი ელოდებოდა. დედა და ძალუა საშა კი მაშინათვე მეზობელ გლეხკაცის ოჯახში გადასულან და იქ გაუტარებიათ მთელი ღამე.

ერთერთი ახალგაზრდა შვილი ამ ორ მათთან შეხიზნულთ თურმე ასე ანუგეშებდა: “ნუ გეშინიანთ, ქალბატონო, თქვენ თავს არავის მოვაკლევინებო“, კარებში თოფით ხელში ეს ბიჭი ამ ორ ქალბატონს ჰყარაულობდა.

თურმე მეორე დღეს სოფლის კომისარი ამოსულა და დედასათვის უთქვამს: “უნდა წაბრძანდეთ, ძალიან ატეხილები არიან თელავიდან ჩამოსული სომხის ბიჭები. ბევრ ურიგობას ჩაიდენენ... ყველ უბედურების თავიდან ასაცდენად სჯობია, აქაურობას თავი გაარიდოთ“ო.

იმავე დღეს ურმებით დაიძრა ჩემი ბიძაშვილი შაქრო თავისი ცოლით. შაქრომ თურმე კიდევ გადააელო თვალი თავის სახლკარს და ტირილი ამოუშვა.

კოტე ბახუტაშვილი კი თელავის ერთერთ ეკლესიაში რომლის ეზოში პატარა ცალპირი შენობა იყო საბოლოოდ იქ დაბინავდა, როდესაც მისი მეულლე მაკო — ვაჩნაძის ასული — და ვარო მისი ქალი, ვაჩნაძისა, კარდენახში ცხოვრობდნენ და იმ ჟამად იქ იმყოფებოდნენ.

დედაჩემის თვალწინ კომისარმა სახლი დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. დედაც კი მწარედ ეთხოვებოდა თავის სახლს, მსხმოიარე ვენახს, და იმ მიდამოს, სადაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა.

წამოვიდნენ სამუდამოდ, თურმე მეზობლები დაპხვეიან ამ გამგზავრებულთ, თითქოს ენანებოდათ ამათი ადგილიდან აყრა.

დედას ვერ მოუთმენია და ამ სიტყვებით დაუტოვებია ეს შეგროვილი სალხი: “ეს თავად-აზნაურობა კი მოგშორდათ, მაგრამ არა მგონია, ამან თქვენ დიდი ბედნიერება მოგიტანოთ“ო—

დედას და ძალუა საშას ჰქონდათ ბინა, ესენი მოდიოდნენ შვილებთან თბილისში, მაგრამ დანარჩენებმა როგორ გაიკვლიეს გზა, ეს ღმერთმა იცის...

ვიცი, კოტე ბახუტაშვილი ეს მაზრის “თამადა“, ცნობილი თავის პურ-მარილით თელავის ვაჭრებმა შეინახეს; და ამ გაჭირების დროს მას საჭმელ სასმელს არ აკლებდნენ, სიკვდილამდე ამ ღვთაების ეკლესიის გალავანში იცხოვრა ამ ჩვენმა კოტემ.

შაქრო ქვემო მხარეს მჭედლიშვილებს მიულიათ, რასაკვირველია, დროებით. საბოლოოდ ისიც თბილისში ჩამოვიდა თავის შვილთან.

არჩილ ყარალაშვილი ართანიდან გამოდევნილი შეხიზნული იყო ჩვენს მახლობლად ამაღლების ქუჩაზედ ერთ მენახშირის სარდაფში.

შედარებით ჩვენ სოფელში სიწყნარე ყოფილა, მაგრამ ქვემო მხარეს თავად-აზნაურობას დიდი უბედურება დასტეხია თავსა.

ვაჩნაძეები რიყეზედ გამოუყვანიათ, ერთმანეთი თოკებით გადაუბამთ და ამ გამხეცებულ ბრბოს ეს საცოდაები ქუებით ჩაუქვავებიათ.

მალხაზ ანდრონიკაშვილის ცოლი მიამბობდა, რომ სოფელი მიაწყდა მათ სახლს და რომ ხალხი შეცვივდა, გაისმა სასადილო ოთახიდან ჭურჭლის მსხვრევა და წიოკობა.

ქალები ფანჯრიდან გადამხტარან და იქიდან ცოცვით გასულან მახლობელ ტყეში. — როგორც იყო, რკინის გზის ლიანდაგზედ მოუხერხებიათ მატარებელში ასვლა. ასე გაწყვილები და ტანისამოს შემოფლეთილები ჩამოსულან თბილისში!

მაგრამ ყველაზედ უფრო სოფელ ჩაილურის მხეცებმა ისახელეს თავი. ჩემი საყვარელი მოწაფე თებრიკო ჩერქეზიშვილი რომელმაც სწავლის დამთავრების შემდეგ მოინდომა თავის სოფელში ემუშავნა და ამ თოხლიაურის ბავშვებისათვის თავისი ახალგაზრდული ენერგია და ხალისი შეეწირნა.

იმ დროს სოფელში მარტო იყო დარჩენილი, მისი მშობლები ცოტა ხნით თბილისში იყვნენ ჩამოსულნი.

ერთ დღეს ამ ახალგაზრდა არსებას მისწყდომია გამხეცებული ბრბო და ისე ელურად მოჰქცეიან, რომ საცოდავი ბავშვი ცოცხალ-მკვდარი ჩამოვიდა თბილისში. მოვიდა ჩემთან, ველარ ეცანი, ძლივს იდგა ფეხზედ, გადამეხვია, გულმდუღარედ იტირა, არაფერი მითხრა, მხოლოდ "ვერავარ კარგადო"ო, ამით გამომეთხოვა. დაწვა საავადმყოფოში და მალე გამოესალმა წუთისოფელს. ვენერიულმა სენმა მოულო ბოლო ამ ნიჭიერ გოგონას...

ეს ჩემი თებრიკო მართლადა დიდი ნიჭის პატრონი, რაფაელ ერისთავის ოჯახიდან იყო, მისი დედაც სარა კარგი ქართველი ქალი. უკანასკნელ გამოცდაზედ კლასს თემა მიეცი: "მთიულეთი ყაზბეგის მიხედვით". ამის დასამუშავებლად მხოლოდ სამი საათი ჰქონდათ მოწაფეებს მიცემული.

თებრიკომ ეს თემა ლექსად წარმომიდგინა და ისე მშვენიერი სურათი მოგვცა მთიულეთისა, რომ პედაგოგიური საბჭო, რომელმაც ეს გასაოცარი შრომა მოისმინა, აღტაცებული დარჩა!

არ ვიცი, შვილო, რომელი ერთი უნდა გიამბო, რომ ნათლად წარმოიდგინო ის ღვთის წყრომა, რასაც ადგილი ჰქონდა ამ აჯანყების შემდეგ მთელ საქართველოში.

მე არ შემხვედრია არც ერთი ადამიანი, რომელიც მაშინ არ ყოფილიყო ამ აჯანყებით აღშფოთებული.

მას შემდეგ, რაც საუკეთესო მხედრობა მოსპეს, ცნობილნი თავიანთი ვაჟკაცობით, როგორც იყვნენ კოტე აბხაზი, ვარდენ წულუკიძე, საშა ყარალაშვილი, ანდრონიკაშვილი და მთელი რიგი ახალ-

გაზრდა მხედარნი, როგორღა შეიძლებოდა ავკანყებაზედ ფიქრი. ასე მსჯელობდნენ თითქმის ყველანი.

მართლაც ამათ შემდეგ 24 წლის ავკანყებას რიგიანი მეთაური მხედარი აღარავინა ჰყავდა, მაგრამ დაიმედებულნი, რომ ევროპიდან ე.ი. ჩვენი ყოფილი მთავრობიდან — დახმარება ექნებოდათ, რადგან ფული სწორედ ამათგან მოსდიოდათ, ორგანიზაციები ამაზედ წამოეგნენ და დაღუპეს საუკეთესო მამულიშვილნი და მშვენიერი ახალგაზრდობა!

მათ შორის მინდა აღვნიშნო კიტა აბაშიძის შვილი გია, დედით ორბელიანი, ჩემი საყვარელი ყოფილი მოწაფე, რომლის შესახებ ჯალათი ამბობდა: "ეს გველის წლოკი, ვერ გამოუტეხოთ"ო.

იმ ხანებში, მანამ ეს ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა, ბერსა ეხვდებოდი, მათ შორის შალვასაც რომელიც — როგორც ერთერთი მეთაური დამოუკიდებლობის კომიტეტისა — გადაურჩა შემოსულ მტერს და არალეგალურად ცხოვრობდა, როდესაც დანარჩენი ე.წ. წევრები, რეზო გაბაშვილი[1], დათა ვაჩნაძე, და გიორგი გვაზავა გამოჰყვნენ მთავრობას 1921 წ.

ერთ დროს ბათუმში იმალებოდა და იქიდან საზღვარგარეთ გაპარვასაც აპირებდა, როდესაც მისი ცოლი, ვერიკო ანჯაფარიძე ჰპიაურელს გაჰყვა ევროპაში. ეს ჩვენმა შალვამ თავისი უბედურება გაზეთებიდან გაიგო და მოისურვა კიდეც ამ მოგზაურებს თან აზდევნებოდა.

ბათუმში კი ამხანაგებმა ველარ შეინახეს და ამჯობინეს მისი თბილისში დაბრუნება. ეს მიამბო ვასო მგალობლიშვილმა. ამის მიზეზი კარგად არ ვიცი, ნუთუ მართლა ღვინო?... ეს კია, რომ მსმელის დარჩენა ბათუმში—ამ ჯაშუშების ბუდეში — შეუძლებელი ხდებოდა.

მახსოვს ავკანყების წინა ხანებში ერთხელ მივედი ტასოსთან, ე. ი. მის დასთან. იგი აღტაცებით მიამბობდა, როგორ შეახვედრეს ქაქუცას, სადღაც მიხვეულ-მოხვეულში სადაც დაჰხვედრია ერთი თავდახურული ქალი, რომელიც მდგარა ვიღაცის თაყვასთან და ქაქუცასკენ იმას გაუკელვია გზა.

სტუმარ მოყვარეს არა ერთხელ შალვას სუფრა ჰქონდა გაშლილი. ერთ დღეს მითხრა, რომ ვახშმად ელოდება ანიკო ქავთარაძეს და მის მეუღლეს პეტია ქავთარაძეს, სერიოჟას ძმას.

გაოცებულმა კიდეც ვკითხე: "ნუთუ შენ სტუმრებს გაართობ ქაქუცასთან შეხვედრის ამბით? — გაიცინა და მითხრა: "ნუ გეშინიან, ვენდობი მაგათ"ო.

მართლა და სანდობნი აღმოჩნდნენ, რადგან ანიკომ მოუწყო ავკანყების შემდეგ შალვას ევროპაში გამოსვლა.

დაეუწყე ლაპარაკი ამ ავკანყებაზედ, სწორედ იმ ხანებში საზღვარგარეთიდან ჩამოსული იყო ნიკო ნიკოლაძე — ეს ჩვენი ცნო-

---

1 რომელიც თავის გასამართლებლად, აქ ემიგრაციაში ამბობდა "წასვლა არ მინდოდა, მაგრამ გეშზე დამიძინა"ო!?

ბილი მოლვაწე — და ექიმი წულუკიძე. ამათგან ვიცოდი, რომ ევროპის იმედით არ უნდა ყოფილიყავით, რასაკვირველია სპირიდონის აზრიც გადმოგეცეს[1].

— იცოდე შალვა, ვინც იქიდან ლირებს გიგზავნით და ევროპის დახმარებას გპირდებათ გატყუებთ, სპირიდონის აზრი ხომ იცით — ამნაირად ელაპარაკებოდი —

— ყველაზედ ჭკვიანი ის ხომ არ არის, რომ იმას დაეუჯეროთ“ო.

— არა მაგრამ, ის ევროპაშია, სადაც ნათლად სჩანს დასავლეთის გულგრილობა საქართველოს მიმართ. ამიტომ საჭიროა იმის აზრსაც ანგარიში გაუწიოთ, ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ იმისი პოზიცია უნდა იცოდეს, ის სხვებზედ ნაკლებ არა ჰხედავს ნამდვილ მდგომარეობას, მართალია სპირიდონი ფულს არ გიგზავნით, მაგრამ ყველაფერი ხომ ფული არ არის, და სხვა...

კარგად შეეამკე, მწყრალის თვალით გადავალე ლირებით გაშლილ სუფრას თავისი ხიზილალით და წამოვედი.

შენ წარმოიდგინე, თეონი, რომ მამას შეხედულება ყველა პარტიის წევრს ასცდა თუ აცდინეს?.. აქ პარიზში ეს მითხრა ელისე პატარიძემ: “ჩვენ ეს არ ვიცოდით“ო.

შალვა პირველ დღიდან ებრძოდა სპირიდონის მეთაურობას, რადგან მეგრელი არ შეიძლებოდა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ყოფილიყო. მეგრელს ის ქართველად არა სთვლიდა! საერთოდ საქართველოს შალვა მხოლოდ ქართლსა და კახეთში ჰხედავდა.

— როდესაც დამოუკიდებლობის კომიტეტი დაარსდა, ჩვენ გარდაეწყვიტეთ არცერთი იმერელი და საერთოდ დასავლეთ საქართველოდან არავინ შეგვეყვანა“ო. — ამიტომ კარგად წაგვიდათ საქმე! ვუპასუხე —

საწყალი შალვა, ცხოვრებაში ცოლიც მეგრელი ჰყავდა და მეგობრებიც დასავლეთიდან...

ეს დამოუკიდებლობის კომიტეტი ავკანყების დამარცხების შემდეგ შიო მღვიმელის მონასტერში შეიხიზნა, აქედან ზოგმა თავი დააღწია და სამშვიდობოს გავიდა. მეტი წილი კი ხელისუფლებას ჩაჰბარდა, რომელმაც ისინი გაასამართლა და ციმბირში გადაასახლა.

შალვა შიო მღვიმელის მონასტრიდან პირდაპირ მიადგა თავის დეიდაშვილ ელენა ჩიჯავაძეს, რომელიც ცხოვრობდა ბელინსკის ქუჩაზედ გაბაშვილის სახლში. ელენე მაშინათვე გავიდა სახლიდან და

---

[1] ვიცოდი, რომ ნიკო ნიკოლაძე ძალიან აფასებდა სპირიდონს, როგორც საიმედო ახალგაზრდა ლიდერს. ფედერალისტებიდან სხვებთან ერთად ამანაც მთლიანად გაიზიარა ეძ.პ. შემქმნელის აზრები და თანამშრომლობდა გაზეთ საქართველოში“. თურმე დილა ღამიანად მოდიოდა რედაქციაში, სპირიდონის ნათქვამით. მაშ აქვე მოვათავსებ — რაკი ყველაფერს გიამბობ, მის ქალის წერილს, ფრანგის კოლონელ კოკეზედ გათხოვილს, წერილი მიღებული 1948 წ. სპირიდონის გარდაცვალების გამო. (იხ. დამატებარედ.)

თაეის ბინას გარედან დიდი კლიტე დაადო, რომელიც პყარაულობდა შიგნით მყოფს.

ცოტა ხანში ამ შენობას ალყა შემოარტყეს, მაგრამ ჩეკისტებმა კლიტეს გეერდზედ ჩაუარეს, ამნაირად შალეა გადარჩა და საბოლოოდ ევროპაში არალეგალურად ჩამოვიდა.

აქ პარიზში ყველას არწმუნებდა, რომ "პირველსავე დღიდან აეჯანყების წინაალმდეგი ვიყავი"ო!.. და სულ ასე იყო ყველაფერში. – ნამდეილი პოეტი, ხშირად ცვალებადი.

შესახეედრად ძალიან სასიამოვნო, კარგი მოსაუბრე, თასლეების გამწეევი, ბეევრი კარგი თვისება ჰქონდა განსვენებულს, მაგრამ პოლიტიკაში თავკერძა, თითქოს შურიანიც, ამიტომ მის აზრს ადამიანი ვერ დაემყარებოდა. ხან ისე და ხან ასე, რასაკვირველია პოლიტიკაში.

დღესაც კი მახსოეს მისი გასაოცარი ნათქვამი; "ჟორდანია უფრო დიდი კაცია ვიდრე დაეიდ ალმაშენებელი"ო – გაშტერებულმა მაშინეე მოეთხოვე: "–თუ ბიჭი ხარ, ეხლაეე მომიწერე ამაზედ ხელი. თამამად დამთანხმდა. ეჰ, როგორც ბეევრი რამ სხეა, ესეც არ შეეინახე–

მაგრამ დღეს ხომ უფრო განცვიფრებული ვრჩები, როდესაც ვკითხულობ მის მშეენიერ მწარედ ხუმარა წერილს მოთავსებულს სპირდონის გაზეთ "საქართველოს გუშაგში" – ნომერი 7–ამ სათაურით; "ისტორია საქართველოსი და უდარდელი კაცის ისტორია", სადაც პირდაპირ ჟორდანიას მიწასთან ასწორებს!

შალეას ბავშობიდანვე ვიცნობდი და ჩვენ შორის კარგი მეგობრობა დამყარდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან დედით მახლობელი ჩემი ბიძაშვილებისა, თითქმის სულ ერთად ვიყავით ძალუა საშასთან.

რუსეთიდან რომ ჩამოვედი, 1912 წ. ძალიან გაუხარდა ჩემი მოსკოეიდან დაბრუნება. მისი დიდი მესაიდუმლე ვიყავი, თითქმის ყოველ საღამოს ივლდა ჩემ პატარა ოთახში და სხეა და სხეა საგანზედ ელაპარაკობდით და დროს ვატარებდით. მიამბობდა თაეის გატაცებასა თუ სიყვარულის შესახებ, პატარა-პატარა გასართობებს და სხეა.

ერთ დღეს მან ჩემს ალბომში ორი ლექსი დამიწერა. ის რეეული კი აღარა მაქეს, – როგორც იცი, ჩემო თეო, მე ხომ არაფერს ვინახავ, შენ კი მეტისმეტად კონსერვატორი ხარ – მაგრამ ეს ორი ლექსი მახსოეს, დაახლოეებით მგონი ასე იყო:

"რა ნელ სიამით გიგონებ შენა,
რა ჩემ სიხარულს განვიცდი გულში,
მას ვერ გიამბობს ვერც ჩემი ენა,
და ვერც ეს ლექსი შენსა რეეულში.
შენ სიახლოეეს მშორდება დარდი,
ვიღწვი ამ ქვეყნად სამოთხის შექმნად,
და ღმერთსა ვმადლი, რომ შენ აქ გაჩნდი,
და მეც ვიშეეი სწორედ ამ ქვეყნად.
არ მაეიწყდები არც ერთის წუთით

შენთვის ვკრეფ სოსანს, ვკრეფავ გვირილას,
შენ იცი, შენთვის ჰყვაიან ღამით,
რომ არ მოსდიხარ, სჭკნებიან დილას.“
ან კიდევ:
“ნუთუ არა გწამს, აღმომხდარ სულთა გარდასახლება
ოხ, როგორ მინდა შენი სულისა ცაში თანხვედება,
ჩვენ წავიდოდით, ვით ორი მტრედი, ცაში ობლადა,
და გვექნებოდა გულში იმედი, რომ ისევა ვართ ჩვენ
ამ სოფლადა.
ნუთუ არა გწამს, აღმომხდარ სულთა გარდასახლება
ოხ, როგორ მინდა შენი სულისა ცაში თანხვედება,
ჩვენ წავიდოდით, ვით ორი გედი, ცაში ობლადა,
და გვექნებოდა გულში იმედი, რომ ჩვენ ვართ
კიდევ ამა ქვეყნადა.“

გათავდა ჩვენი უბედურება და ხალხმა დაიწყო ჩუმჩუმი ლაპარაკი და აზრთა გაცვლა გამოცვლა.

აღმოჩნდა, რომ ხალხს იარაღი არა ჰქონდა, რომ სამეგრელოში გამოსულან კეტებით, არცერთი მტრის წრიდან არც დაპატიმრებული არც მოკლული გარდა იმისა, რომ ქაქუცამ სამხედრო სკოლა აიღო და ძალიან დააზარალა, – როგორც გენერალ კვინიტაძე სწერდა, იმის სამხედრო სკოლაში შერეულან საეჭო ელემენტები – მაგრამ ამის გარეშე სხვაგან თითქმის არაფერი იყო ისეთი, რომ აჯანყების სახელი დარქმეოდა.[1]

სამაგიეროდ დიდძალი ხალხი ემსხვერპლა, მაშინდელის ანგარიშით ხუთი ათასი ადამიანი ენაცვალა ამ აჯანყებას. ყველაზედ მეტი, როგორც მახსოვს, სამეგრელომ გაიღო სისხლი. ოჯახები აწიოკეს, მისი წევრები ერთიმეორის მიმართ გაარღვეულეს და აჯაშუშეს.

თელავშიაც შემზარავ სურათებს ჰქონდათ ადგილი, გადმომცეს შემდეგი: ერთი მოწინავე აზრების მქონე, კომუნისტი ყმაწვილი თავის ხანშიშესულ მამას შეება ლაპარაკში ჩეკისტის თანადასწრებით.

ამათ ლაპარაკმა მწარე ხასიათი მიიღო, შვილმა არ დაინდო მამა, ესროლა და იქვე მოსპო ეს მოხუცებული, მაგრამ შვილს “დიდათ დამსახურებულს“ ტყვია ჰკრა გულში იქვე მყოფმა ჩეკისტმა, მასში ადამიანმა გაიღვიძა.

რუისპირიდან წამოიყვანეს ჩემი მამიდაშვილი არჩილ მაყაშვილი, “მამულების ნორმას ადიდებენ, წამოდი რომ ხელი მოაწერო“ო. სხვებთან ერთად გაიყვანეს თელავში ნადიკვარზედ და იქ დახვრიტეს.

---

1 მალე გაეიგეთ, რომ ქაქუცა თავისი შეფიცულებითაც გადმოსულიყო საზღვარ გარეთ. ამანაც ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა საქართველოში... მაგრამ რა უნდა ეწყა?

თურმე რამოდენიმეჯერ ესროლეს, მაგრამ არცერთი ტყვია არ მოპხვდა მის გადაშლილ გულმკერდს, მაშინ დაუყვირა ჩეკისტს "შე მ... მომეცი ეგ იარაღი, მე თვითონ მოვიკლამ თავსა"ო.

"დილით რომ ნადიკვარზედ მივედით, სისხლის გუბე იდგა დახოცილთა ხალხისა"ო–ასე გვიამბობდნენ მწახველები.

ხშირად სრულიად უდანაშაულო ხალხს, ზოგჯერ ეისიმე გვარი არ მოეწონებოდათ, ან ერთის მაგივრად მეორეს სტაცებდნენ ხელს და ყველასთან ერთად მიერეკებოდნენ საბურთალოზედ, სადაც ნამდვილი სასაკლაო იყო გამართული.

მძორის სუნი დიდხანს ეფინებოდა იქაურობას, ამიტომ იყო რომ ზამთარს, უკვე თბილისში ნახეს ნადირი, საბურთალოზედ მგელი და ტურა ადვილად პარპაშობდნენ...

დახოცილთა ჭირისუფლების დრამა კიდევ ამ ამბით იყო გაორკეცებული. მიკვირის, გონება როგორ შეინარჩუნეს!

ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ვიტყვი, ნეტა იმას ვინც არ შეესწრო ამ უბედურებას.

გაეიდა დრო, ცხოვრება მიმდინარეობდა, თითქოს იარა გამორწყული იყო და ეხლა იშუშებოდა.

ეფიქრობდი, რომ პირველ ხანებში მაინც ხალხი მოერიდებოდა გასართობებს, მაგალითად თეატრის კარები დაკეტილი იქნებოდა. მაგრამ შევცდი.

ერთი თვის შემდეგ ხალხის პირველი გამოსვლა მოხდა "აბესალომ და ეთერის" გარშემო. არამცთუ არ დაესწრო ქართველობა ამ თუნდაც ყველასათვის საყვარელ ოპერას, დარბაზი თურმე გატენილი ყოფილა!

ვწუხდი ამაზედ და შევჩიელე სანდრო დიასამიძეს ჩვენ ასეთ სულმოკლეობაზედ.

ყველანი კი ჩემს ბოიკოტს, დამოუკიდებლობის დაკარგვიდან, რომ არსად დაედიოდი, გადაჭარბებულად სთელიდნენ. სანდროც ჩემსავით გაკერპებული იყო და არაფერს ეკარებოდა; მხოლოდ თავის დარგში მუშაობდა ეს დამსახურებული ექიმი, კარგი ქართველი პატრიოტი.

ეს არაფერი, რომ ხალხმა მოინდომა სიამოვნება, მაგრამ როდესაც ენახე ზოგიერთი ახლად დაქერილებული კიდევ შავებში შემოსილი ჩეკისტის თანხლებით რომ სეირნობდა, მაშინ კი მოთმინება დაკარგულმა ჩემი სათქმელი ამ "მანდილოსანს" გავაგებინე.

ან კიდევ რამ გააგიჟა ი. ჯ.[1] – რომლის ქმარიც შულმანს ჩეკაში შემოაკედა, ამ ერთი წლის მანძილზედ – ამ ქალმა ლეკური დაუარა მოსკოვის დიდი ხალხის დასახვედრად გამართულ სალამოზედ, ზინოვიევის სასიამოვნოდ ფეხები აათამაშა!

რასაკვირველია შემომთაგაზეს მონაწილეობა მიმეღო ამ "უქმეში" კარგი პასუხი მივართვი მოციქულს და ერთ ცნობილ მელე-

---

1 იულიტა გორგაძე

კურეს – გ. ბ.[1] – რომელთანაც ამ სალამოზედ უნდა მეცეკვნა. იმას ხომ ისეთი წერილი მივწერე, რომ იმ ზეიმს არამცთუ არ დაესწრო, სალხიდანაც არ გახულა.

ვინ იცის, იქნება, დაღერილ ცრემლების შემდეგ, მწარე ღიმილმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა ისტორიულად ბევრჯერ მოყარდნილ ნიაღვარს...

ჩემო თეო, სიტყვა გავაგრძელე ამ 24 წლის აჯანყების შედეგებზედ. ყველაფერი, რასაკვირველია მეტის მეტად რთული ალმოჩნდა. მეტადრე რომ ერი ევროპის იმედით იყო – რადგან ჩვენი მთავრობის მიერ იგზავნებოდა ეს ფული – იმ სურვილით, რომ საქართველოში ისევ ძველ ადგილს დაიბრუნებდნენ.

"ვეფხისტყაოსნის სალამო

რა მოხდა ამის შემდეგ, როგორი იყო ჩვენი ცხოვრება – ამის შესახებ დიდი ხანია შენთვის არარფერი მიამბნია. გაიდა დრო, თითქოს ყველაფერი დალაგდა, მე განვაგრძობდი მუშაობას, რა ენერგიით ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და იმდენად, რომ გარედან ზოგიერთი პედადგოგი კიდეც მისაყვედურებდა : "რამოდენას მუშაობ, ქალო, ამ ბოლშევიკების სკოლაში"ო[2]. ეს იყო თქმული იმ სალამოს შემდეგ, რომელიც გავმართე და რომლის დამსწრე ალიოშა წერეთელმა მითხრა: "ამ სალამოს მე დამავიწყდა, რომ რუსეთი შემოსულია აგერ უკვე სამი წელიწადია"ო[3]... ის იყო ძველად ამ მერე სკოლის დირექტორი. ეს სალამო იყო « ვეფხისტყაოსნის » გარშემო, თუ ბავშვებმა როგორ შეითვისეს ეს ნაწარმოები და რა განიცადეს.

შეგნებული ადამიანი დაინახავდა, რომ ზედმეტი არ იყო იმ დროს საზოგადოებისათვის ასეთი შინაარსის სალამო მეჩვენებინა, პირიქით, მეტის მეტი პატრიოტული ელფერის მატარებელი და ბევრის მთქმელი, მაგრამ ყველას თავისი აზრი აქვს და ვერაფერს გავაწყობდი. უფროსი კლასის მოწაფენი დაახლოებით 16–17 წლისანი დიდის სალისით მიეცნენ ამ სალამოს მოწყობას და უნდა ითქვას, სკოლის ადმინისტრაციაც ხელისშემწყობი აღმოჩნდა.

იქვე სახელოსნოებში მზადდეოდა მოწაფეთა ხელით იარაღი – შეილდ ისარი, ტანისამოსი, შესაფერისი დეკორაცია

---

[1] გოგა ბაგრატიონი

[2] მარო ვახვახიშვილი. მ.წ. მეუღლე.

[3] ყოფილი ინსპექტორი ზეე შრომის სკოლისა.

და საჭირო ნივთები. დარბაზის კედელი გარღვეული იყო, რომ ესტრადა დაკავშირებოდა მეზობელ ოთახს.

გალობის მასწავლებელმა შესაფერისი მუსიკა დასწერა და თვითონ ხელმძღვანელობდა გუნდს. ეს იყო ლაბაძე (არ ვიცი ცოცხალია თუ არა). ამ დღისათვის ბავშვებმა გამოუშვეს ხელთაწერი, ნაწერი კი არა, თითქოს ნაბეჭდი, ისე მშვენივრად იყო დაწერილი, ჟურნალი, რომლის არშია ქართული ჩუქურთმებით იყო შელამაზებული. ამისათვის მოწაფე ივანიცკი ჩვენ მუზეუმში გავეზავნე.

შინაარსი ამ ჟურნალისა იყო "აზრები და განცდები ძღვნად შოთას": ტრფობა, მეგობრობა, აფორიზმები და თავისუფალი შინაარსის პატარა მოთხრობები და ეს ყველაფერი ერად შეკინძული, რომლის ყდაზედ ეწერა ჩემი სახელი : "ძღვნად ქალბატონ სოფიოს". ამ პირველ ყდას რომ გადაშლიდი წაიკითხავდი: "აზრები და განცდები ძღვნად შოთას". ამ საზრამოს დაესწრო სკოლების უფროსი ქაცარავა, ნამდვილად კი არ მახსომს მისი გვარი. ეს ჟურნალი რომ გამგემ მისცა წასაკითხად უთქვამს, " მშვენიერია, მაგრამ ეს "ქალბატონი" რა არის რადა სწერია »ო. გამგეს უპასუხნია: "კიდევ კარგი, ღმერთი არ დაწერეს მისმა მოწაფეებაო. ეს მასწავლებელი ისე უყვართ, რომ ამას ვერ დაეუშლიდი"ო. გენაცვალე, ჩემო თეო, ძალიან მაწუხებს, რომ შენ არ წაგიყვანე და შენ ამკრეფ გონებას ეს საღამო არ ვაჩვენე, იქაურობას აიკლებდი და ამიტომ ვარჩიე სახლში ბებიასთან გებუდარავნა.

აი მინდა მოვიგონო იმ საღამოს პროგრამა და გიამბო, ვითომ დაესწარი, ვეცდები დაწერილებით გადმოგცე.

იმ სალებში, როდესაც რომელიმე სასწავლებელში საღამო იმართებოდა, წარმოდგენა იყო თუ სალიტერატურიო შინაარსისა, იშვიათი იყო ეს ყველაფერი მშვიდობიანათ ჩატარებულიყო. მოდიოდა ბიჭების გროვა, ქვების სროლას ხშირად სროლაც მოსდევდა, ერთი სიტყვით აწიოკებდნენ დამსწრეთ და საჭირო იყო დიდი ღონის ძიება, სიმშვიდე ჩამოვარდნილიყო.

მე დავადგინე და სასტიკად მოვითხოვე, რომ ამ საღამოს არც ერთი მშობლების გარდა, ახალგაზრდა სხვა სკოლიდან არ დასწრებოდა: მართლაც ისეთი წესიერება იყო, რომ ვინც ცოტა დაგვიანებით შემოვიდა დარბაზში, დარაჯისათვის უკითხავთ, საღამო ხომ არ არის გადადებულიო, რადგან ამ სიჩუმეს და სიწყნარეს შეუჩეველები არ იყვნენ.

ფარდის ახდისას აი რას დაინახავდი: შუაში შოთას ძეგლი, მისი ჩამოქანდაკებული სახე დაყრდნობილი ვეფხის ტყავში გახვეულ სეტზე, მის გარშემო თეთრებში გამოწყობილი გოგონები და იქაურობა ყვავილებით მორთული და მოკაზმული. გაისმა რიიალზედ შესრულებული ქართული მელოდია, რომელიც მოწაფე პაატაშვილმა ამ საღამოსათვის დასწერა და თვითონვე შეასრულა, ამ ქართულ ჰანგს მოჰყვა თებრიკო ჩერქეზიშვილის მიმართვა თავის მეგობრებს: ძველის ენით გადმოცემული "ვეფხისტყაოსნის" შინაარსი დაწერილი ლექსად, მხოლოდ ნათქვამი ზეპირად.

ამის შემდეგ ირიკო ვაჩნაძემ გადმოგვცა თავისი ნაწარმოები "ტრფობა", ესეც ძველის ენით გალექსილი; ეს იყო მელოდეკლამაცია პაატაშვილთან ერთად შესრულებული.

ამას მოჰყვა "მეგობრობა" ესეც საკუთარი ნაწარმოები ძველის ენით გალექსილი სამწუხაროდ არ მახსოვს ამისი ავტორის გვარი, მგონი ივანიცკი იყო. ამის შემდეგ მოწაფე ეთერ შოშიაშვილმა "ვეფხის ტყაოსანში" მოყვანილი აფორიზმები გადმოგვცა. მათი ლოღიკური კავშირი, როგორც მთლიანი ჯაჭვი შოთას აზროვნებისა, კარგად ჰქონდა დალაგებული და ხაზ გასმული მათი მრავალფეროვნება და მნიშვნელობა, ამით გაათავა თავისი ნაწარმოები: "სჯობს სიცოცხლესა ნაძარახსა, სიკვდილი სახელოვანი"ო. ველა ამათ საზოგადოება დიდის ტაშით ეგებებოდა.

ჯერი მიდგა თინა მრეველიშვილზედ, რომელსაც თავის სიმბოლიურ მოთხრობა "უცნაური გირგოლა" უნდა წაეკითხა. წინასწარ მასალაში გაცნობილი იყო სკოლის გამგე და მთხოვდა, თინას ამ თავის მოთხრობიდან ერთი ადგილი ამოელო და საჯაროდ არ ეთქვა. მე მრეველიშვილი სუსტად გავაფრთხილე, იმანაც თავი დამიქნია.

მაგრამ ეს ბავშვი სცენაზედ რომ როლში შეეიდა, თამამად შესძახა პოეტს: "შოთა უკვდავო, შეგყურებს ეს ნაწამები, ცრემლიანი საქართველო, მხოლოდ შენში ჰპოვებს იმედს და მომავალსა"ო. დაახლოებით ამ სიტყვებით გაათავა თინამ თავისი ნაწარმოები, იმანაც მოისვენა და მეც.

ამას დიდი ტაში მოჰყვა, მაგრამ გამგე ალბად შეშინებული იყო, ამას არ გამოეწვია რაიმე უსიამოვნება და შენიშვნა თავისი უფროსებისა არ მიელო. სულ ბოლოს ქეთო გოგიჩაიშვილმა მასახელა, იმანაც თავისი შემოქმედება გვიამბო ზეპირად "მწყემსი მაიას სიზმარი". ესეც სიმბოლიურად დაკავშირებული ტარიელთან. მაწუხებს, რომ არ მახსომს მისი ლამაზი შინაარს, რომ ჩემო თეო, შენთვის მეამბნა, მხო-

ლოდ მახსომს მისი ბოლო, ქეთომ დიდის განცდით და შეწუხებულ სახით გადმოჰხედა დარბაზს ამ სიტყვებით : "მოედანი გამზადებული იყო, მხოლოდ მობურთალნი არსად სჩანდნენ"ო.

ამას ხომ ტაში არ დააკლეს და მერე როგორი.

მისი მამა ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელიც ამ საღამოს დაესწრო, ალბათ კარგს გუნებაზედ დაბრუნდა სახლში.

ეს პირველი სურათი, რომ გათავდა, პატარა ანტრაქტის შემდეგ მეორე სურათი თვით "ვეფხის ტყაოსნიდან" იყო აღებული. ეს იყო "ნადირობა". დეკორაცია ნამდვილი ბუნებისა, იქვე წყლის პირს შავი ცხენი და მასთან მყოფი ტარიელი, თურმე სრულ ილუზიას იძლეოდა. აი გამოჩნდნენ მეფის მხლებლები უკვე დაქვეითებულნი და სანადირო ვარჯიში მყოფნი, მომართულ შეილდისრებით, რასაკვირველია, ვარჯიშის მასწავლებლის ხელმძღვანელობით შესწავლილ მათ რიტმიულს მოძრაობას კულისებიდან თან სდევდა გუნდი ლაბაძის მუსიკით და მისივე ლოტბარობით: "ჰაიდა, ჰაიდა, მინდორი მოიარენით, დასცეცით ხეცი მრავალი"ო და სხვა.

აქვე გაიმართა ლხინი, შეკრეს წრე და შუაში ტაშს მიჰყვება ერთი ახალგაზრდა, რომელიც დაურბენს მშვებიერ ლეკურს და რომ მოხდენილად დატრიალდება და ფეხის წვერებზედ შესდგება, ეს ის მომენტია, როდესაც მეფის ამალა შეამჩნევს წყლის პირას მყოფ ტარიელს. ისმის გუნდი: "ნახეს უცხო მოყმე ვინმე" და სხვა. აქ ჩამოეშვება ფარდა.

დამსწრენი ამბობდნენ, რომ დაგვაიწყდა, რომ ეს წარმოდგენა იყო, ჩვენი თავის სინამდვილეში ვიგრძენითო.

მართლა და თოიძის ქალმა შაავი ცხენი გააკეთა ნორმალური მოცულობისა და მასთან ტარიელიც კარგად იყო ჩაცმული და შეიარაღებული შაავივე დიდი მათრახით, მათ უკან კი მშვენიერი დაცემული ველი და დიდი მდინარე.

ეს ყველაფერი შორიდან საღამოს სინათლეზედ კარგი სანახავი იყო.

კარგი იქნებოდა ამით გამეთავებინა ეს საღამო, რადგან ეს ორი სურათი თითქმის უნაკლოდ ჩატარდა, მაგრამ ჩემი მოწაფეები, რომლებმაც დიდი ენერგია დახარჯეს დანარჩენ პროგრამაზედაც, ამას არ მოისურვებდნენ.

შემდეგი სურათები, რასაკვირველია ძნელი აღმოჩნდა და ცოტა ეიგვიანებდით კიდეც, რადგან დეკორაციები უნდა გამოცელილიყო, რაც ასე ადვილად არ ხერხდებოდა. აი ტარიელის და ავთანდილის შეხვედრა და ტარიელის ნაამბობი:

"ისმინე, მიეც გონება" და სხვა, ყველაფერი ეს სიმღერით იყო გადმოცემული, ციციშვილის ქალს თუმცა მშვენიერი ხმა ჰქონდა, მაგრამ მაინც ძნელი იყო მისთვის ამ როლის შესრულება.

შემდეგი ავთანდილის მოთქმა: "აჰა მზეო გეაჯები" და სხვა.

ამისთვის მთელი სკოლის ბაღი გადაკაფული იყო, რომ ბუნების წიაღი შეგვექმნა, ვისაც კი სახლში ჰქონდა ან ირმის თავი, ან რომელიმე სხვა ნადირისა, ან ჩიტებისა, ყველაფერი თავმოყრილი იყო, რომ ბუნებას დამსგავსებოდა სადაც ავთანდილი შვიდ მნათობს შესტირის.

თვითეულ ვარსკვლავს შესაფერისი მუსიკალური ჰანგი ჰქონდა მიძღვნილი. ამას მისდევდა ქაჯეთის ციხე, რომელსაც მცველად ორი ეშმაკი ჰყავდა კარებში და ციხიდან ისმოდა ნესტანის: "ციხეს ვზი, ეგზომ მაღალსა". სულ უკანასკნელი სურათი ნესტანის ციხიდან განთავისუფლება და აქ ტრიო ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონისა. დაახლოებით ასე იყო გადმოცემული ამ ახალგაზრდების მიერ ეს ჩვენი ძვირფასი ნაწარმოები. იტყვიან, რომ შეუძლებელია სკოლის ფარგლებში ამის სცენაზედ დადგმაო, მაშინ საერთოდ სკოლას არ უნდა გააკარონ ასეთი ნაშრომი.

ეს კია, რომ მეტმა წილმა, დიდმა ნაწილმა, "ვეფხის ტყაოსანი" ზეპირად შეისწავლა, შეუსისხლხორცდნენ ამ შრომას და ვფიქრობ, ეს არის უმთავრესი. სტუმრები რომ დაიშალნენ პედაგოგიურმა საბჭომ სუფრა გაშალა და დაიწყო ჩვენებური სადღეგრძელოები. გამგეს თან ახლდნენ "უფროსებიც". ერთერთმა გამოაცხადა: "დღევანდელი საღამო იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში ქართული ენაო. მინდა გულახდილად გითხრათ, რომ მე ჩაბარებული მაქვს სარეზიოდ თბილისის რაიონის სკოლები და ვფიქრობ, ზედმეტი ვარ და ბევრს ვერაფერს გავაკეთებ იქ, სადაც მასწავლებლად არის ამხანაგი სოფიო"ო. ამას ბევრი კარგი სიტყვები და სურვილები მოჰყვა. გამგემ კი თურმე წასჩურჩულა ერთ-ერთს, ეს ქალი გაუშვით ქმართან და ამით დააჯილდოვებთო.

მე კი დავრდომილი ადამიანივით, მუშაობას რომ გავათავებდი, ყოველგვარი სურვილი თუ ამქვეყნიური სიხარული ჩემთვის სამუდამოდ მოსპობილი იყო და არარად ნაქცევი. შინაგანი სევდა მიღრღნიდა არსებას და მიორკეცებდა საშინელ დაღლას. მუშაობაში ამას ვერავინ ამჩნევდა და ხშირად ახალგაზრდა მასწავლებლები მეტყოდნენ: "გვრცხვენიან, რო-

დესაც თქვენა გხედავთ, რამდენი სიცოცხლე და ამტანობა გაქვთ“ო.

მინდა ეხლა შენ დაგიბრუნდე, მოვიგონო ისეთი რამ რაც ჩემთვის სასიამოვნოა. რა გითხრა, ის რომ შენ თანდათან გონებაში ვარდებოდი და ზოგჯერ შენი ხნისათვის შეუსაბამო კითხვებს გვაძლევდი მე და ბებოს.

ამ ეაივაგლახში, როდესაც ყველას პირიდან უფრო ლანძღვა-გინება გესმოდა ამ ჩეკისტების მიმართ და რადგან მეტიწილი მათ შორის რუსი იყო, ერთხელ მკითხე; “რად არიან რუსები აქ, ან ვინ მოიყვანა ესენი, ჩვენ ხომ ქართველები ვართ“ო!

რამდენადაც შემეძლო, აგიხსენი, რომ დიდიხანია აქ არიან: ერეკლე მეფემ მოიყვანა. თუ ვინმე მტერი,—სპარსელები, ოსმალები და სხვები მოელენ, რომ ჩვენი მიწა წაგვართონ, ან საჭმელი წაიღონ, მაშინ ეს რუსები დაგვეხმარებიან. ასე ფიქრობდა ერეკლე მეფე.

სევდიანად აღნიშნე: “მაშ ერეკლე მეფის ბრალია, რომ ესენია აქ მოტუნტულდნენ“ო.

ერთხელ ბებოს ამ კითხვით მიმართე: “ბებო, შენ სულ იმას ამბობ, რომ ღმერთი მოწყალეა, ის გვიშველის, იმის იმედით უნდა ვიყოთ“ო, მითხარი, ბებო, სად არის ეს შენი ღმერთი?

ბებოს პასუხი იყო მოკლე: “ის ყველგან არის, მაგრამ უჩინარია“ო ამაზედ დაჟინებით დაეკითხე: “თვალის მომკერელიც არავინ გინახავს, რომ იმისაგან მაინც გავიგოთ, სად არის ეს შენი ღმერთი“?

იმის არსებობაში შენ უკვე დაეჭვიანებული იყავი, რომ ერთ დღეს ბებოს ესეც კი უთხარი: “რას ჩაცივდი, ხომ ხედავ, მოთხლეშილი ზის და ჩვენთვის არა სცალიან“ო! სჯობია, ჯამაგირები დედასა სთხოვო“ — ე. ი. ფული, რომელიც მე უნდა მომეტანა.

ეს ის დროა, როდესაც გინდოდა “ბანენინა“ ჰყოფილიყავი. ნანახი გყავდა მანანა ბაგრატიონი, რომელიც ბალეტში იყო და ნინოობას ირაკლის ოჯახში იცქცევა, შენ იმისმა ცეკვამ და რაც უმთავრესია მისმა ბალერინას ტანისამოსმა გაგიტაცა. იმ საღამოს შემდეგ დაიწყე მუსიკის გაგონებაზედ რიტმიული მოძრაობა.

საერთოდ მუსიკალური ნიჭი გემჩნეოდა, სულ პატარა იყავი, რომ სოფელში კალოს ოროველას ამბობდი, ოთხი წლისამ კი ნამდეილი სიმღერა დაიწყე; თუ ვინმე მღეროდა შენ მეორეს მიაშველებდი. ერთისიტყვით ბეერნაირი ნიჭის პატრონი იყავი, სამწუხაროდ პირობები შესაფერისი არა გქონდა, თორემ ეხლა სხვა ცხოერება გექნებოდა. შენც კმაყოფილი, შენი მშობლებიც და შეიძლება ჩვენი ქეყნისათეისაც მთლად დაკარგული არა ჰყოფილიყავი!

ჩვენი იმ დროინდელი ნამდეილი მეგობარი და ჭირისუფალი ბეერ სხვებთან ერთად თედო სახოკია იყო. იმას ძალიან უყვარდი და შენს ფილოსოფიაზედ ბეერს იცინოდა.

ხშირად მოდიოდა თავის მუდამ ზაფხულის პლაშჩში ჩაჭედილი, თუნდაც დიდი ყინვები ყოფილიყო და ახალ ამბებს გვიამბობდა: "რომ ესენი მალე წაშავდებიან და მაშინ ჩვენი ცხოერება ნორმალური იქნება". დედაჩემი პირში შესცქეროდა, იქნება უფრო მეტი სასიამოვნო ამბავი გაეგო ამ ჩვენი წინასწარმეტყველისაგან.

მოუტანდა ცხელცხელ ჩაის და თუ ამასთან თეფშით ყველსაც მოუდგამდა, ეს მშიერი, გაყინული კაცი ცოტა სულს მოითქვამდა, ჩვენც კარგ გუნებაზედ დაგვაყენებდა და გაუდგებოდა თავის გზას.

ცოტა რომ შეუგვიანდებოდა ჩვენთან მოსვლა და დედა დაღონებულს მწახავდა, იტყოდა: "ნეტა ამ საღამოს თედო მაინც შემოვიდეს"ო.

დედას ქართული თედოს ძალიან მოსწონდა, "ეს კარგია"ო და მაშინათვე ჩაიწერდა თავის პატარა წიგნაკში. დედაც თავმოწონებული ეუბნებოდა: "მეგრელებმა ნამდვილი ქართული ენა ჩვენგან უნდა ისწავლოთ, თქვენ ღმის გაკეთებაც გეყოფათ"ო! ამას მოჰყვებოდა სიცილი, შენ კი ბრაზობდი, თუ მეგრელებს არ ვაქებდით, მაშინათვე ხმა მაღლა დაიძახებდი: "თქვენ ჩიდავაანები ხართ, მე კი კედია მქვიანო, ჰო და კედია სჯობია"—

არ ვიცი, ვინ ჩაგაგონა! ზუგდიდში წლისა და ნახევრისა იყავი, მაშინ ხომ არაფერი გესმოდა, გასაოცარი იყო შენი მეგრელობა, მერე ასეთი.

როგორც იცი, მაშინ მე თუ სადმე წავიდოდი, ეს იყო თამარასთან. ჩემ კარგ მეგობართან. მასთან თავს იყრიდა პატარა წრე მისი დების გარდა ანეტა დიასამიძესა, ელენე გოგიჩაიშვილისა, ეარო ყიფიანი, და ზოგჯერ ლიზა ორბელიანისა.

მყუდრო დახვედრა იცოდა თამარამ. რძიანი ყავა, გახუხული პურის ნაჭრებით, მაშინ ყველას ესიამოვნებოდა, მაგრამ ნელნელა — რადგან ყავა აღარ იშოვებოდა — ქერის ნახარშით გვიმასპინძლებოდა.

ჩვენი საუბარი საერთო კითხვებს არა სცილდებოდა, ზოგი პესიმისტურად იყო განწყობილი როგორც მაგალითად ფილიპე გოგიჩაიშვილის მეუღლე. დანარჩენი იმედიანი უკეთეს გუნებაზედ მყოფი, თავის ოჯახის წევრებზედ გადაიტანდა ლაპარაკს, ზოგჯერ სასაცილოთაც...

ლიზა ორბელიანი გვიამბობდა თავის შვილი ირაკლის ამბებს, რომელიც ევროპაში ჰყავდა გამოგზავნილი: "თურმე იქ ფიქრობენ, რომ ჩემი ირაკლი გენიოსია"ო, მაგრამ ეს აღარ მახსოვს, ირაკლის გენიოსობას ატყობინებდნენ როგორც პიანისტისას, თუ კომპოზიტორისას.

მინდა თეო, ამ ქალზედ შევაჩერო შენი ყურადღება, რადგან ის იყო გარეგნობით ნამდვილი პარიზელი და ამასთან ქართველი პატრიოტი ქალი. ჩამომავლობით ერეკლე მეფის შვილიშვილი. ზამთარ ზაფხულ ყვავილებიანი ქუდით ნახავდი ქუჩაში მეტისმეტად ფერმიხდილი პალტოთი, რომელსაც სიძველის გამო ფერი ჰქონდა დაკარგული და ამაზედ ეცვა მაუდის ფაჩუჩები, ხელში ბეწვის ხელთ-

სათბუნი, ისიც ყვავილისკონით შემკული. აი მისი სილუეტი ამ ჩვენი ქვეყნის უბედურებაში, ძალიან იყო გაჭირებული.

თან ახლდა პატარა ხურჯინი თამბაქოთი გამოკუჭნული, შემოსელისას ამ ხურჯინს წინ დაიდებდა, ლამაზი, ჯიშიანი ხელებით თხელ ქაღალდს და თამბაქოს მოიმარჯვებდა და პატარა ხანს უკან პირიდან ბოლს ამოუშვებდა, მშვენიერი ტუჩკბილი ხელს უწყობდა მის ლამაზ მუდმივ ღიმილს.

შენ მგონი კარგად დაგრჩა მეხსიერებაში მისი ჩვენთან მოსვლა, დედა ჩემს ხომ ამ ხურჯინის ნახვა ეუცნაურა, რადგან ამან კახეთი მოაგონა, მხოლოდ სხვა შინაარსით. თამბაქოს ვინ ჩაპყრიდა ამ დოლათის მატარებელ ჭურჭელში;

მე მინახავს ხურჯინში ორი თაეამოყოფილი ბატკანი. საალდგომოდ რომ ჩვენი მეცხვარე ცხენით შემოიყვანდა ჩვენს ეზოში.

ან როდესაც საახალწლოდ ხურჯინი სანოვაგით იყო დატვირთული. მაგრამ ლიზას, ამ ბატონიშვილს ხურჯინი მთლად დაპატარავებული ეჭირა ხელში, რადგან თამბაქოს მეტი ალარაფერი გააჩნდა...

აფსუს, მისი პაპა ალექსანდრე ბატონიშვილი სად იყო, იქნება ერთხელ კიდევ ეცადნა რამე დაუპატიჟებელ სტუმრების მიმართ...

ლიზას განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული, იზრდებოდა ის ძველის წესით მოლოზნების სკოლაში.

ჩამოვიდა საქართველოში განათლებული ქალი ენების მცოდნე, ხალხში გამოსული, კარგი თავისუფალი მიხერამოხერის პატრონი.

მიამბო, რომ ერთხელ ოჯახში სტუმრები ჰყავდათ, ლიზა თავისუფლად ელაპარაკებოდა დამსწრეთ, რასაკვირველია, სიცილსაც არ დააკლებდა, მის გვერდით მჯდარა ერთი ყმაწვილი, რომელსაც სადილის შემდეგ არშიყობა დაუწყია იმ იმედით, რომ პარიზელ ქალს ადვილად დაითანხმებდა. "მაშინ უჩვეულო იყო თამამად თავის დაჭერა და მამკაცთან საუბარი", ამბობდა ლიზა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ჩვენს უნივერსიტეტში დანიშნეს ინგლისური ენის მასწავლებლად. ეს იყო მისთვის უკანასკნელი საცხოვრებელი წყარო.

როდესაც უცხოეთიდან ჩამოსული დელეგაცია ეწვია ჩვენ უნივერსიტეტს და იკითხა ვინა ნიშნავს პროფესორებს, ლიზამ სიმართლე სთქვა: "რომ ყველა პროფესორი ზევიდან არის დანიშნული"ო.

ამ სტუმრების წასვლა და ლიზას დათხოვნა ერთი იყო. დაკარგა ამ ქალმა უკანასკნელი ლუკმა და საშინელ გაჭირებაში იყო ბოლომდე.

მისი ჭირისუფალიც თედო სახოკია იყო, დადიოდა მასთან და ალბათ სიტყვიერად ანუგეშებდა, თორემ სხვას ხომ ვერაფერს მიუტანდა, ხშირად ფრანგულად ლაპარაკობდნენ კიდეც, რადგან თედომ რამოდენიმე წელიწადი ბელგიაში გაატარა და იქ მიიღო განათლება.

თურმე ლიზას მაგიდას ძალლები ეხვიენენ, ამ გაჭირებაში კიდევ ეს ბროწეა ძალლებისა შემაწუხებელი იყო, მაგრამ პირუტყვების მოყვარული, ის როგორ მოიშორებდა თავის ნებიერებს ან ამათ ეის მიაბარებდა, როდესაც პურის შოვნაც ძნელდებოდა.

დედაჩემი ღამის ორი საათიდან მეპურესთან ჯერში იდგა, რომ ჩვენი ულუფა, ისიც ძალიან პატარა, როგორმე მიეღო.

ეს ზამთარი როგორც იყო გავიდა, შენი ექიმებთან სიარული გათავდა. იმათ, სამწუხაროდ, შენ ნაწლავების სისუსტეს წამალი ვერ აღმოუჩინეს.

საბაფხულოდ უსათუოდ პაერზედ უნდა გამეყვანე, ვინც მაშინ გხედავდა, უიმედო იყო. "მაგ ბავშვს ველარაფერი უშველის"ო.

ხწორედ ზაფხულის დასაწყისში გამაგებინეს, რომ მანგლისის ბავშვთა თავშესაფარში, სადაც იქნება ერთი ექიმი, პედაგოგიურ ხელმძღვანელად უნდათ დამნიშნონ, თუ მე ამას მოვისურვებ. ვინ იზრუნა ჩემთვის არ ვიცი! რადგან კარგი პირობები იყო, მეც დავთანხმდი.

სწავლა გათავდა თუ არა, დანიშნულ დღეს ღამის ორ საათზედ ერთმა რუსმა ჩვენ სახლის წინ თავისი ფურგონი გაარერა...

შიგ ჩაფენილ თივაზედ ჩვენი ლეიბები გავშალეთ, ამბარიად აქედან რიერაჟზედ გასულნი მთელი დღე ამ ჩასაკდომით უნდა გვეთახთახნა!

საღამოდან ჩვენ გასაცილებლად მოსული იყვნენ ჩვენი მეგობრები, შეწუხებულნი შენის უფერულობით და სისუსტით. რომ გზაში არ მოგეწყინა, მოეტანათ პატარა სათამაშოები და ცოტა რამ სასუსნავი — თუმცა არაფერი გეჭმოდა...

შუა ღამემდე იქ მესხდნენ, თამარა ფალავანდიშვილი, ლუცია ქუთათელაძე, და ვერა მგალობლიშვილი. გზა დაგვილოცეს და წავიდნენ.

ჩავსხედით სამიევნი ამ მშვენიერ "ეტლში". გზა და გზა ვეკითხებოდი ფურგონის პატრონს ნუთუ არ შეიძლებოდა ცოტა ნელა ევლო, რომ ეს საშინელი ნჯღრევა თავიდან აგვეცილებინა.

"А меня совсем не трясет" მიპასუხებდა ძალიან დინჯად:

საშინლად დავიღალეთ სამიევნი, მე სომ მთლად მოთეთქვილი, ალარაფრის თავი ალარა მქონდა, ამიტომ კიდევ ცოტა და ჩამოხტომა მინდოდა და ფეხით მიყოლა, მაგრამ ეს კაცი ბუზღუნობდა, "მე მალე უნდა ვიარო, თქვენ ფეხით როგორ გამომყვებით"ო

როგორც იყო გათავდა ჩვენი წამება და საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, რომ მანგლისში მისვლას ველირსეთ.

ჩემი ძმა ირაკლი თავის ცოლშვილით იქ უკვე დაბინავებული იყო. ჩემთვის შეთვალიერებული ჰქონდა ერთი ოთახი, რომელიც ორ სართულიან სახლის პირველ სართულში იყო მოთავსებული, იფიქრა, რომ ამ მიწურ ოთახში არ დაურჩებოდით და შემდეგ სხვაგან გადავიდოდით.

მაშ იძულებულნი ვიყავით იქ მიგვეტანა ჩვენი ბარგი. იმ ღამეს დიდი ავადმყოფი გავხდი და დილის შვიდ საათზედ ექიმი კოლა

ჯანდიერი თაეს დამტრიალებდა; ისიც ზაფხულს თაეის ცოლშვილით მანგლისში ატარებდა.

საშინელი ტკივილები მქონდა, ტუჩებზედ უცბად გამომყარა ციების მუწუკები და ისეთნაირად, რომ ერთი კვირის განმავლობაში ვერაფის ვეჩვენებოდი.

მერე კი დავიწყე ბავშვების თავშესაფარში მუშაობა. აღმოჩნდა, რომ ექიმი, რომელთანაც მე უნდა მეთანამშრომლნა იყო ჩემი ძველი კარგი ნაცნობი — მოსკოეის ყოფილი სტუდენტი ჭაჭულია არჯევანიძე — რომელიც იქ დამიხვდა თავისი ცოლით. ეს ასეთი მოულოდნელი შეხვედრა ორივესათვის ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა.

დილაადრიანად გადავჭრიდი ტყეს და შვიდ საათზედ უკვე იქ უნდა ვყოფილიყავი, რომ ბავშვებს ჩემი თანადასწრებით დილის საუზმე ეჭამნათ.

მთელი დღე იქა ვრჩებოდი და საღამოს 6—7 საათზედ სახლში ვბრუნდებოდი. ბებო და შენ მელოდებოდით მეც და იქიდან მოტანილ სადილსაც, რადგან იქ არა ვრჩებოდი, ჩემი წილი მეძლეოდა სახლში წამოსაღებლად.

ოხ, ჩემო თეო, რამდენი დამცირება მქონდა იმ ხანებში და როგორ ვიტანჯებოდი, მაგრამ ყველაფერი მიადვილდებოდა, რადგან შენ უკეთესობაში გხედავდი. ამაში მანგლისის ჰაერი გვეხმარებოდა, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ ოთხი წლის მშიერს ექიმმა უცბად ნება მოგცა გეჭამნა. შეუძლებელია ამოდენა ხნის დიეტა'ო და შენც გეშველა...

თვალწინ მიდგა, როდესაც ეზოში პატარა მაგიდა დაგიდგით, შემწვარი ქათამი მოგიტანეთ, შენი კმაყოფილი და ბედნიერი სახე. თუ სხვა დროს გეკავრებოდა ხელსახოცს რომ აგაფარებდით, ეხლა ყველაფერზედ თანახმა იყავი, ოღონდ გულდასმით, რიგიანად გეწიწკნა ეს შემწვარი ქათმის ბარკალი, ბედნიერების იერით იყავი გახვეული.

ჩემი ჯამაგირი, რომელიც იმ თავშესაფარში მეძლეოდა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა გიმნაზიის გაკვეთილების თანხასთან ერთად, რომ დამშეიდებულად სამი თვე მანგლისში გაგვეტარებინა.

მალე სადილის სახლში მოტანაც აღარა მჭირდებოდა და მოვისვენე, გავიხარე. შენც კარგად ერთობოდი, შენი ბიძაშვილები ნინა და სანდრიკო თითქმის ყოველ დღე შენთან ამოდიოდნენ. მოშორებით ჰქონდათ ნაქირაები სახლი, ოთხ ოთახიანი, ფიქრობდნენ რომ სანდრო და ქეთოც — მარის და და სიძეც მანგლისში ამოვიდოდნენ, მაგრამ იმათ ამჯობინეს თბილისში დარჩენა.

შენ ბიძაშვილებს უმასპინძლებოდი კომპოტით, რომელსაც ბებო ბლომად გიმზადებდა. ჯერ კიდევ უმ ხილს არ გაძლევდით, თუმცა "ყველაფერი აჭამეთ"ო, თუნდაც მკვახე ტყემლის წვენი მეცით, რადგან ამ ბაეშს ფილტვები აქეს დასუსტებულიო" ასე მარიგებდა კოლა ჯანდიერი.

მე და ბებო კმაყოფილნი შემოგცქეროდით, როდესაც ხელში პურს აიღებდი და გემრიელად შეექცეოდი.

ყველაფერი გიწყობდა ხელს, შენ კმაყოფილი პყოფილიყავი, საჭმელი, გასართობი და შენი საყვარელი ბებო, რომელიც მხოლოდ შენზედ ზრუნავდა, შენ არა გშორდებოდა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი გაგეიშხამდა. ყველანი კმაყოფილნი ვიქნებოდით იმ ზაფხულს, რომ ერთი საშინელი სურათი ჩვენ წინ არ გადაშლილიყო.

ჩვენი მეზობელი ქალი თავის ორი წლის გოგონათი ჩვენთან კარგად იყო განწყობილი, შენ გიყვარდა ეს ბაშვი, მასთან სთამაშობდი და ძალიანაც შეჩვივე.

ერთ დღეს, იმავე ჩვენს აივანზედ მისი დედა კარაქს ადნობდა, ეს გოგონა ფეხებში ეხლებოდა, რომ ველარ მოიშორა, უცბად დაჰყვირა და გაავარვარებული წვეტიანი რკინა, რომლითაც ნახშირს აღუებდა, ამ ბაშვს თავში ჩაარტყა. პატარამ ერთი კი დაიწივლა და უცბად გაჩერდა. თავიდან გამდნარი ტვინი ამოდიოდა და დამბლად დაეცა.

მაშინათვე ექიმი მოვეგვარეთ, მაგრამ მისი მდგომარება უომედო იყო. მისი მამა მეორე დღესვე მოვიდა. წინასწარ ქალმა ყველას გეთხოვა, რომ მისი ქმარისათვის სიმართლე არ გეეთქვა.

აღმოჩნდა, რომ უფროსი შვილიც მისი ხელის მსხვერპლი ყოფილა. ნერვიულ და ანჩხლი ბუნების პატრონს გასძულებია შვილების მოვლა-პატრონობა!

მისი მეუღლე ტიროდა, საშინლად იყო თავზარდაცემული, ვერ გაეგო ამ უბედურების მიზეზი. ცოლმა კი დაარწმუნა, რომ ბაშვი სათრუალოდან გადმოვარდა და თავი დაჰკრაო

ეს საცოდავი არსება, რომელიც ხმასაც ველარ იღებდა, თბილისში წაიყვანეს, მაგრამ გზაშივე გათავებულა.

მისი დედა მალე გამობრუნდა მანგლისში, გარეგნულად მაინც შვილის მოკვლა აღარ აწუხებდა, მორთულიც კი გეესტუმრა!

შენ ხომ ეს ყველაფერი ძალიან განიცადე, დიდხანს გახსომდა ის საშინელი სურათი, მაგრამ ვცდილობდი დაგეეწყნა. გეუბნებოდი, რომ ის ექიმთან წაიყვანეს და როდესაც მორჩება დედა ისევ მანგლისში ჩამოიყვანს და სხვა. შენ კი ყველას უამბობდი, რომ თავიდან ამოსდიოდა რაღაც თეთრი"ო...

მეზობლებს ჩვენი ცხოვრება ძალიან აინტერესებდათ, მამაშენი რომ არა სჩანდა, მაშინ როდესაც სხვები შაბათკვირას თბილისიდან ამოდიოდნენ, რომ ის ორი დღე ცოლშვილში გაეტარებინათ. უნდოდათ ჩვენი ვინაობა გაეგოთ, ვინ ვიყავით, დედაჩემის თავის დახურვა, დილიდანვე ლეჩაქის ფრიალი მათ აფიქრებდათ, რომ კახეთიდან უნდა ვყოფილიყავით და კარგი წრიდან.

ერთ დღეს ერთმა მეზობელმა ქალმა შენ ჩაგიგდო ხელში და გკითხა, შენი ბებო რა გვარიაო, შენი პასუხი იყო "ჩიჯავაძეო"ო —დედაშენის გვარი? "ესეც ჩიჯავაძე"ო — მაშინ პირდაპირ იკითხა მამაშენის გვარი, შენი პასუხი იყო; "ეს დედას ჰკითხეთ"ო.

დარიგებული მყავდი, მამას გვარი არაეისათვის არ გეთქვა, რადგან ოფიციალურად მე ჩემი მამის სახელითა და გვარით ვიყავი ჩაწერილი.

მაშინ ამ ცნობისმყვარემ პირდაპირ ჩემთან გამართა საუბარი. აღმოჩნდა ის სპირიდონის ყოფილი მოწაფე, როდესაც სპირიდონი სწავლის დროს ქუთაისში გაკეთილებსაც აძლევდა.

მისი ქმარი რომ თბილისიდან ამოვიდა და ჩვენი ვინაობა გაიგო, დიდის სიამოვნებით გვეინახულა და როდესაც თბილისისაკენ თავისი ცოლშვილით ბრუნდებოდა, დაგვითმო ზემო სართულში თავისი დიდი ოთახი, სადაც ჩვენ ორიოდე კვირა მაინც გავატარეთ. ამ მიწურ ოთახს ძალიან გვეან კი გამოვეთხოვეთ, რადგან სამწუხაროდ მანამდე ვერაფერი ვიშოვნეთ.

ზაფხული მიიწურა, ჩემი მუშაობაც ამ ბავშვების თავშესაფარში თავდებოდა და ამიტომ მოვისურვე გამოსათხოვარი საღამო მომეწყო. ჩემმა ახლად გაცნობილმა მოწაფეებმა კარგად ჩაატარეს მიცემული პროგრამა და ბოლოს, თავიანთ ექიმს სამადლობელი სიტყვითაც მიმართეს, რასაკვირველია, თავიდანვე მქონდა ეს განზრახული.

ჭაჭულია აღტაცებული დარჩა და თბილისში სოფიობას დიდი ყვავილების კალათით მესტუმრა.

ეს ყმაწვილი სტუდენტობის დროს მოსკოვში ფუქსავატ დროსმატარებლად მიჩნეული, ეხლა დარბაისელი, კარგი ექიმი და ამავე დროს იშვიათი ორგანიზატორი აღმოჩნდა.

აქ მინდა გითხრა ჩემი გაოცება, რომ არც იმ საღამოს და არც სხვა დროს ჭაჭულიას ცოლი მე თვალით არ მინახავს, არამც თუ მე არამედ არც სხვას.

ერთხელ მე და კოლა ჯანდიერის ცოლი, მარო, ტყეში მყოფნი, შეეხვედით ჭაჭულიას–რომელიც ყოველთვის მარტოკა სეირნობდა–რასაკვირველია, გაკვირვებით. მარო მოხიბლული დარჩა მისი გარეგნობით, მართლა ძალიან ლამაზი კაცი იყო. ჰო და სთხოვა მარომ ერთი საღამო მათ ოჯახში გაეტარებინა. ცოლზედ ხსენება არ იყო.

ერთ დღეს ჭაჭულიამ გამომიარა და ერთად მივედით მაროსთან. ჭაჭულია ნაწყენი დარჩა, რომ მისი ცოლი არ დაპატიჟა და კიდეც მითხრა: "ეს დიდი ოჯახის ქალი, ქობულაშვილის ასული და ჯანდიერის მეულლე კარგად ვერ მოიქცა, რომ მე უცოლოდ დამპატიჟა"ო.

მე კი გუნებაში ვიფიქრე, ამ პირობებში ჭაჭულიას ეს დაპატიჟება არ უნდა მიეღო და არც უნდა წამოსულიყო.

მოსკოვშიეე ეს მისი ცოლი ჭაჭულიას მეგობრობდა, თუ არა ვცდები, ბევრად უფროსი იყო, ეს ქალი ვილაც გრაფის ნაცოლარი გათხოვდა საბოლოოდ ჭაჭულიაზედ. მე ის არც მოსკოვში მინახავს.

როგორცა სჩანს, არ მოინდომა ჩემი გაცნობა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ისე როგორც მე, მთელი ჩემი მეგობრები ჩემს ევროპაში წამოსვლაზედ ფიქრობდნენ, მაგრამ რანაირად,

ვინ გამომიშვებდა? ფიქრით კი ვფიქრობდი, მაგრამ ამის სისრულეში მოყვანისათვის არც ხალისი მქონდა და აღარც ენერგია შემწევდა.

ჩემი დაჭერის შემდეგ, რადგან ვაპირებდი გადამალვას, მთელი ბარგი გაზიდული მქონდა და სხვადასხვა ადგილას დაბინავებული.

ამ ბარგში ყველაზედ საყურადღებო იყო სასადილო. კაკლის ხისა და საფუძვლიანი, რომელიც ტამიროვის ცოლისაგან იყო ნაყიდი, სულ დაბალ ფასში, იმან დამითმო სამას მანეთად, ეს იყო მუქთად მოცემა, ძალიან უჭირდა, მე კიდევ უამსასადილოთი ცარიელი ოთახი მექნებოდა, რადგან იქ ვერაფრით ვერ შევაკავებდი. ეს შემაძლებინა კახეთის ღვინოებმა, როდესაც კიდევ დედას კახეთში ეცხოვრებოდა.

ეს მთლიანი სასადილო თორმეტი სკამით ტასო ქიქოძესთან გადავიტანე, იმათთვისაც ეს არ იყო ურიგო. რადგან მაშინ ისინიც არ იყენენ მოწყობილნი და ტასომ თავის დღეობაში გაშალა ეს დიდი მაგიდა, რომელიც თუ საჭირო იქნებოდა, სამოც სულს დაიტევდა.

სხვათა შორის მეც ვიყავი იმ სალამოს მის სტუმართა შორის, მაგრამ ცოტა შეწუხებული, რადგან მაგიდის გაშლას ვაპირებდი შენ ნათლობაში. ეს მე არ მელირსა, იქ საქართველოში მამასთან ერთად ვფიქრობდი დიდ ზეიმს.

გავიდა დრო, ჩემი შიშიც დაჭერისა შესუსტდა, მახლობლები მირჩევდნენ ბარგის თავმოყრას, სასადილოს გაყიდვას, რომ პატარა თანხა მაინც მქონოდა მზად, თუ როდისმე მოვახერხებდი სპირიდონთან წასვლას, რომ გზის ფული საძებნელი არა მქონოდა.

მართლა ბარგი მოვაგროვე. წიგნები და ზოგიერთი რამ ირაკლისთან იყო, სპირიდონის ბიუროდან ბევრი რამ ჩემ სკოლაში იყო დაბინავებული და სხვა.

ტასო ცოტა არ იყოს, ნაწყენი დამრჩა, რადგან ამ სასადილოს წამოღებით კარგი იერი ეკარგებოდა მის სადათ მოწყობილ ბინას.

ჩვენი ბინა მანამდე საცოდავი ელფერის მატარებელი, უცბად რაღაცას დაემსგავსა. შენი სიხარული მახსოვს კარგად, შენ ეხლა კიდევ შეგეძლო თავისუფლად მისვლდომოდი რომელიმე სკამს და როიალი აგეკლერებინა, თან ნოტების ფურცლები გადაგეშალნა.

მაგრამ ისიც მახსოვს, რა მწარედ განიცადე, როდესაც ეს ავეჯი გაეყიდე, რა საცოდავი სანახაობა იყავი, როდესაც ბუჩიკა იაშვილი, სეითის შვილი ამისათვის მოვიდა და გაატაინა, ეს სასადილო იმათ იყიდეს.

ამაში აღებული მანეთები ვასო მგალობლიშვილმა მაშინათვე დოლარებში დამიხურდავა, რაც მაშინ ძალიან საშიში საქმე იყო.

ეს ასორმოცდაათი დოლარი უნდა უჩინმაჩინში დამებინავებინა. ასეთად მივიჩნიე შენი ლეიბი. პატარა პარკით ჩავაკერე ეს ძვირფასი ნივთი მის შუაგულში და ორი წლის განმავლობაში ის ზეიდან იწვენდა შენ პატარა სხეულს უმანკოსა და ანგელოზს.

ორი ზაფხული ამ ნაკრაულმა მანგლისში გაატარა, თუ შენ ლეიბს მზეზე გამოუფენდით, რომ პარს გაეცლო, ჩვენც ყარაულად იქა ერჩებოდით ამ ძვირფასი ნივთის სადარაჯოდ.

ერთხელ მაღლობზედ ფიჭვის ტყეში ვისხედით, იქიდან დავცქეროდით ალგეთის ნაპირებს, რომ უცბად დედაჩემი ფეხზედ წამოიჭრა და თაქვე დაეშვა: "თეოს ლეიბი აივანზედ დამრჩაო", მომაძახა და აჩქარებული ნაბიჯით წავიდა. ისე რომ შენი ლეიბი, ჩემო თეო, ერთის მხრივ საშიში იყო, მეორეს მხრივ დიდი ნუგეში. ჩვენი ეჯოხეთიდან წყარო თავდაღწევისა.

ბევრი გაჭირება მქონდა, მაგრამ შენ ლეიბს პირი არ მოუხსენი, ვიდრე არ დადგა დრო, თბილისიდან ევროპისაკენ გამომგზავრებისა.

მანგლისთან ბევრი მოგონება მაქვს დაკავშირებული. სამი ზაფხული იქ გავატარეთ.

მიველიოდით ყოველთვის ფურგონით და მის ჯაყჯაყს ჯერ ავცდით. მაგრამ ამ უსიამოვნო მგზავრობას სამოთხეში მივყავდით და ამისათვის ყველაფერს ავიტანდით.

მატერიალურად შეღავათიანად ვიყავით, თუ პირველ წელიწადს ბავშვების თავშესაფარში მომიხდა მუშაობა, მეორე ზათფხულს ბევრი კერძო გაკვეთილები დამიხედა ისე, რომ მთელი დღე ვმუშაობდი. მოწაფეთა შორის ალბად გახსომს, ჩვენი თბილისის მეზობელ ექიმ კალამკაროვის შვილიცა მყავდა, რომელიც მეტისმეტად სრული და ქონდაღებული იყო, ძლივს დადიოდა, შენ არაერთხელ კიდეც გაგაჯავრე სიარული და თან კასკასებდი, შე საძაგელო შენა.

მანგლისის პარზედ შენ გამოპკეთდი, თუმცა შენ მადას კიდევ დიდხანს დასჭირდა თვალყურის დევნება.

დედაჩემი ხომ ნეტარებაში გრძნობდა თავსა, კახეთის შემდეგ რომ ზაფხული სუფთა პარზედ არ გაეტარებინა ამ სამი წლის განმავლობაში, ის დაუძლურდებოდა. ამნაირად სამივენი ახლად დაბადებულნი ებრუნდებოდით თბილისში, სადაც ნამდვილი გახურებული თონე გვიხდებოდა, თუნდაც აგვისტოს ბოლოს.

აი სწორედ მეორე ზაფხულს ვანო ყარალაშვილს, მანანას გერს მანგლისში შეპძენილი ჰქონდა საკუთარი პატარა სახლი და თაეისთან მახლობლად ჩვენთვის ბინა ეშოვნა, მისი მეზობლობა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო.

მინდა გაგაცნო ეს ვანო., რომელსაც ახალგაზრდობიდან ვიცნობდი, როგორც მახლობელს, რადგან მანანას გერები ყველანი ჩვენ ოჯახში იყვნენ მიღებულნი, როგორც საკუთარი შვილები.

ის იყო ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფე, როდესაც იქ მხოლოდ ოთხი კლასი იყო. ამიტომ მეოთხე კლასს ხუმრობით სთვლიდნენ "სათავადო კლას"ად, მაშ იქიდან გამოსულთ დიდი განათლება არა ჰქონდათ.

ვანო მაშინათვე შედის სამსახურში, არის თარჯიმანი. სხვა არაფერი. დიდი ნიჭიერი და საქმის ადამიანი, გამჭრიახი, კარგი კალმისა და სიტყვის პატრონი. მალე იმას ეხედავთ ახალციხეში

დიდ ადმინისტრატორის როლში. გარეგნობით კარგი შესახედაი ლაზათიანი.

პირველი მისი ცოლი იყო ტასიკო აბაშიძე,[1] ცნობილი მსახიობი, ის მალე დასტოვა და მეორე ცოლი სომეხი გვარი არ მახსოვს, ეს არა მსახიობი, მაგრამ ცხოერებაში ნიჭით ნამდვილი ნატალია ცაგარელი ესეც ცნობილი მსახიობი.

ლამაზი ქალი იყო ეს ვანოს მეორე ცოლი, შენ ალბად გახსოვს. ამათ ჰყავდათ ერთი ვაჟი გოგია, რომელიც ვიოლონს სწავლობდა და იმედებსაც იძლეოდა. ეს ოჯახი ძალიან მხიარული იყო და არ მოგვაწყინეს, რამდენჯერაც ჩვენ მანგლისში მიველით.

ჩემი ძმა ირაკლიც თაყის ცოლშვილით ზაფხულს მანგლისში ატარებდა. საღამოობით შენ, ნინასა და სანდრიკას ზოგჯერ ეტლით გასეირნებდით. მხოლოდ საღამოთი ვიცლიდი შენთვის და შენი ბიძაშვილებისათვის, ჩემო შვილო. მაგრამ საღამოს შენ კიდევ მეტი გაგართობი გქონდა, როდესაც ჩვენ პატარა ოთახში გაიმართებოდა ხოლმე ნამდვილი თეატრი.

ეს მაშინ იყო, რომ შენ აღარც ძილი გინდოდა და სიცილით იკლებდი იქაურობას, როდესაც ვანო, მისი ცოლი და შვილი გოგია გვეწვეოდნენ; გოგია ვიოლონს მომართავდა, ვანო და მისი ცოლი კი იწყებდნენ ცეკვას, ყოველთვის კი რუსების ტრიპაკით ათავებდნენ, სასაცილონი იყვნენ; ვანოს კარგად ჰქონდა შესწავლილი რუსი ახალგაზრდა ყმაწვილის ჩვეულებები. სემიჩკის ჭამით იწყებდა პირველ გამოსვლასა, ნამდვილი სურათი იყო ხოლმე მოცემული და ყველას გვაცინებდა.

ერთი ზაფხული იქ გაატარა მცხეთის ეპისკოპოსმა ეკაფარიძემ, რომელიც გარეგნობით მშვენიერი სანახაო იყო. მართლა და სულიერი სილამაზის მატარებელი. სამკურნალოდ იყო მანგლისში მოსული, ფიქრობდა, რომ ფიჭვის ტყე მას მალამოდ გარდაექცეოდა. ცოტა მობრუნდა, მაგრამ დიდი ხნით არა როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ფილტვების სისუსტემ თან გადაიყოლა. თაყისი დით იყო, რომელიც დიდის ყურადღებით თაყს დასტრიალებდა თაყის ძვირფას ძმას.

ვანოს მახლობლად ჰქონდათ ალებული ბინა; იმ ზაფხულს იმათ ესტუმრა ერთი ბერი, ბერძენი, რომელიც მთებში იყო გახიზნული, დროგამოშვებით მანგლისში ჩამოდიოდა და იქიდან სანოვაგე მიჰქონდა, თუ რამეს იშოვნიდა.

თაყის თაზედ ბევრს არა ლაპარაკობდა, რასაკვირველია, მთელ დროს ეპისკოპოსთან ატარებდა, ჩვენ სანდო ხალხად მიგვიჩნია, რადგან სასულიერო პიროვნების საზოგადოებაში გვნახა. ერთხელ გაიშვირა ხელი და მიგვითითა "აი იმ მთის ძირას მაქვს გამოქაბული და იქა მაქვს ჩემი ბინაო".

---

[1] ცუგრუმელა, პატარა ტანისა, ერკეოდა პარიზელ ბიჭის" როლში. აღარ კი მახსოვს თუ რომელ ნაწარმოებში.

ერთ დღეს საშინელი ქარიშხალი და ისეთი შხაპუნა წვიმა წამოუშვა, რომ გარეთ ადამიანის შვილს ვერა ნახავდი.

გაიხედე ფანჯრიდან და დაინახე ეს ბერი, რომელსაც ზურგზედ ტომარა ეკიდა, ხელში დიდი კომბალი და მიდიოდა ჩქარის ნაბიჯით, მიდიოდა კი არა, მიარღვევდა სიერცეს. ეს სურათი დიდხანს მქონდა თვალწინ. ეს იყო ამ ბერის სიცოცხლე, მორწმუნე ადამიანისა, რომელიც შეეწირება იდეას, ამისათვის არაფერს დაზოგავს.

ჩვენა გვქონდა პატარა ბინა ღვთისმშობლის ეკლესიასთან ახლო, რომელიც ძველი შენობაა, მის ჭერში ადამიანი ნახავს "მაჰმადის სახეს, თითქოს ქრისტიანებმა ეს განგებ მოათავსეს, რომ შემოსულ მტერს, მაჰმადიანებს ეს ეკლესია არ დაენგრიათ, არ აეოხრებინათ". ასეთი ახსნა-განმარტება ადგილობრივმა მღვდელმა ჩიტაძემ მომცა, ეს ღვდელი დიდი პატრიოტი, ენერგიული ადამიანიც იყო, თურმე ბოლშევიკების შემოსელისას, იმას თავისი რაზმით უბრძოლნია.

ეკლესიის ზარები რომ დაირეკებოდა, დედაჩემი მაშინათვე წირვაზედ მიდიოდა, მეც წაგაელებდი ხელს და ბებოს დავეწეოდით.

ჩემი რწმენის შესახებ მინდა გითხრა შვილო, რომ ეკლესიაში მოსიარულე მე არასდროს არ ვიყავი, ჩვენი ოჯახი კი ამას მისდევდა და ყოველიეე წესი ღვთისმსახურებისა ზედმიწევნით იყო დაცული.

დედაჩემი ხომ არ დააკლდებოდა კვირა, უქმეებში, რომ ეკლესიაში ხელაპყრობილი და დაჩოქებული არა ყოფილიყო.

პატარობისას ვიდექი მის გვერდით, რასაკვირველია, ღვდლის ლაპარაკს ყურსაც არ ვუგდებდი, ან კიდეც რომ სმენად გარდაქცეულიყავი, რას გავიგებდი. მხოლოდ შენიშნული მქონდა, როდესაც ღვდელი ჯვარს გამოასვენებდა, ეს იყო მალე წირვის დასასრული და ამას მოუთმენლად ველოდებოდი.

გიმნაზიაში ყოფნის დროს ხომ მოწაფენი მოვალენი ვიყავით იქვე ჩვენს ეკლესიაში კვირაობით წირვა მოგვესმინა, გუნდში მონაწილე ვიყავი, საერთოდ საეკლესიო გალობა; განსაკუთრებით მიყვარდა, მეტადრე ჩვენი ქართული გალობა, რასაც მაშინ ზოგიერთ ეკლესიაში თუ მოვისმენდით.

უკანასკნელად ვეზიარე, სწავლა რომ გავათავე, ეს იყო და ეს, იმის შემდეგ ეკლესიაში აღარც მიველია.

რუსეთში ხომ ტოლსტოის ნაწერები, მისი ანტირელიგიური მოძღვრება ახალგაზრდობაზედ დიდ გავლენას ახდენდა, რასაკვირველია, ჩემზედაც მოქმედობდა, მაგრამ თავისთავად ეს საკითხი, რელიგიის შესახებ, დიდი ხნიდან მაწუხებდა.

უნდა გითხრა ჩემი უცნაურობა, იმის და მიუხედავად, რომ ეკლესიას მოვწყდი, არა მქონდა წარმოდგენილი, რომ ისე გავთხოვილიყავი, რომ ეკლესიაში ჯვარი არ დამწერნა. ან შენ არ მომენათლე.

ერთი სიტყვით ჩემთვის რელიგია არის ჩვენი ტრადიციების გამოსახულობა და ალბად ასეთი გრძნობა გამყვება სულ ბოლომდე, სიკვდილამდე.

მეტისმეტად ჩვენი ტრადიციების დამცველი ვარ, ამიტომ იყო ჩემი აღშფოთება, როდესაც კომუნისტებმა ჩვენი ეკლესიები აოხრეს, მილეწმოლეწეს მამაპაპათა სალოცავები, აგრძალეს ლოცვა და გაუპატიურეს წმიდა ადგილები, რომ მეტი დამცირება მიეყენებინათ მორწმუნეთათვის, ზოგან პირუტყვები შერეკეს.

ამას ვერ შევურიგდი, იქნება ეს იყო მიზეზი, თუ სხვაგან არა, სიონის კიბეებზედ ბერვჯერ დავეშვი, დიდმარხვაში დიდის სასოებით თორმეტი სახარება მოვისმინე, მიყვარდა სიონში შესვლა საღამოსჟამს როდესაც მარტოს შემეძლო მის საიდუმლოებაში გაეხვეულიყავი.

ღმერთს ჩემში ვატარებ, შეუძლებელია არა მწამდეს მისი არსებობა, ამ უსაზღვრო, ჰარმონიულ სამყაროს შემქმნელი, მისი მიზეზთა მიზეზი, ყოველ დღე მას მივმართავ, რადგან ის მასაზრდოებს, ის მიხსნის ცხოვრების გზას.

მე ასე ვგრძნობ, ამ ცხოვრების დასავალზედ ხომ უფრო და უფრო ვუახლოვდები; ვინანიებ მის წინაშე, თუ რამე შევცოდე, ვთხოვ, შენს ჯანს და ბედნიერ ყოფნას, ამ ქვეყნად მშვიდობიანობას და ყოველ გაჭირებულთა დახმარებას და ნუგეშს.

ამაე დროს ეჭვიც მიპყრობს, ჩვენ ცოდეილ ქვეყანას და მის მცხოვრებთ მიგვესლება კი ამ ყოვლად შემძლესთან, ეაი თუ ფუჭია ჩვენი ფუსფუსი და არაფერნი ვართ.

ამ ემიგრაციაში ჩვენ ვეღარც ქართველობასა ვხედავთ და ვერც ეკლესიაში დავდივართ. ამის მიზეზი თუ სხვამ არავინ იცის, ღმერთმა ხომ იცის, რომ ამაში ჩვენ ბრალი არ გვიდევს.

ბეელად არამც თუ დაედიოდით, მხურვალე მონაწილენიც ვიყავით საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ქართულ წირვაზედ, როდესაც შენ პირველად ეზიარე, მშვენიერი დიაქციით წარმოსთქვი "შრწამს ერთი ღმერთი", მანამდე არცერთ ქართველი ახალგაზრდა არავის მოუსმენია, ეკლესიაში ქართული ლოცვის მთქმელი. მერე კი სხვებიც იყვნენ. ღვდელი ფერაძე დიდი კმაყოფილი დარჩა. შენ იყავი მაშინ მისგან ახლად მონათლული. აგრეთვე შენი საზეიმო ტანისამოსი ძალიან მოეწონა; თეთრი კაბა ღვინისფერი სარტყლით შეხამებული. სახლისაკენ დაბრუნებისას უკანიდან მოგვესმა ტასო ბერიძის ნათქვამი; "ეს ჩვენი მატრაკეცა გოგო, რა მოპრანჭულია"ო.

მაშ მანგლისში დედას წყალობით მე და შენც დაედიოდით კეირაობით ღვთისმშობლის სახელობაზედ აშენებულ ეკლესიაში.

პირველად რომ წირვაზედ მიველდი, ამ ქართულ ეკლესიაში ღვთისმსახურება და გუნდი რუსულ ენაზედ მოვისმინე.

ეკლესიაში ჩემთან ერთად იყო ვახტანგ კოტეტიშვილი, კარგი ლიტერატორი და შესახედრად სასიამოვნო ადამიანი;

მღვდელმა ჩიტიძემ შეგვამჩნია, რომ ქართველები ვიყავით, ამიტომ ასამღლებელი ქართულად გაგვაგონა.

წირვა რომ გათავდა, ჩემ შეკითხვაზედ, თუ რადა სწირავს რუსულად ამ ისტორიულ ქართულ ეკლესიაში, იმან ამიხსნა, რომ ეკლესიის მრევლი რუსულია და იძულებულია რუსულად სწიროს.

ერთ საღამოს ყური მოვკარი ჩვენებურ ქართულ გალობის ზოგიერთ ჰანგს, შორიდან მოდიოდა ნაწყვეტ ნაწყვეტად. მერე მისწყდა, ვიფიქრე, რომ მომეჩვენა, დიდხანს ვიყავი საგონებელში ჩავარდნილი, ეს საღამო სიზმრად მივიჩნიე.

მაირამობას 15 აგვისტოს რომ წირვაზედ შეველით, მოულოდნელად დიდი სიამოვნება დამიხვდა, ღვდელს მიეყვა მშვენიერი გუნდი, რომელიც "უფალო შეგეწყალე"ს და სხვა საგალობელს ქართულად ასრულებდა, ამან ჩემზედ ისე იმოქმედა, რომ ტირილი ამიტყდა, თავი ვეღარ შევიკავე, ბეერმა შენიშნა ეს ჩემი სისუსტე, მაგრამ ეს არაფერი, შენც რომ ამიტირდი, ეს ოთხი წლის ბაღშვი, შენ რალა გატირებდა, ეს იყო გასაოცარი.

ეხლაც აქ ემიგრაციაში შენზედ ყოველთვის მოქმედობს ჩვენი ქართული გალობა, მაშინათვე ცრემლებით გეევსება თვალები.

აღმოჩნდა, რომ ერთ საღამოს ჩემ მიერ გაგონილი ქართული გალობა სინამდვილე ყოფილა. ღვდელი ჩიტაძე შესდგომია რუსული გუნდის რეპეტიციებს, რომ მარიამობის წირვაზედ ჩვენ ქართული გალობა მოგვესმინა. წირვის შემდეგ ჩვენ ყველანი მასთან ვიყავით მიწვეულნი.

ვანო ყარალაშვილი იყო არჩეული თამადათ, მას არ გაუჭირდა, შესაფერისი ოსტატობით თავისი მოვალეობა შეესრულებინა, ამას ხელს უწყობდა მისი მჭერმეტყველება და სუფრის სიმღერების ცოდნა.

მანგლისში ყოფნისას მიკვირდა, რომ ერთ ჩვენებურ კაცს ერ შევხვდი. —მოსახლეობა რუსულია, ქართველები ძალიან ცოტანი არიან"ო ყველა ამას მეუბნებოდა.

ერთ დღეს სასეირნოდ კარგა მოშორებით წაგიყვანე, მშვენიერი ამინდი იყო, მხურვალე მზე დასტრიალებდა ჩვენს გარშემო დაფენილ მინდვრებს. ერთ ალაგას ყანაში მკიდნენ, უკვე მომწიმა მათი ლაპარაკიც. ქართველები იყვნენ, მაგრამ მხიარულ "ჰოპუნას" მაგიერად ესენი მხოლოდ ლაპარაკსა სჭერდებოდნენ.

მაშინ ფეხი შევანელე, მივუახლოვდი და გადავძახე; "ბარაქა თქვენ ყანასა". ყურები ცქვიტეს, ერთმა მათგანმა დაბლუჯა ხელეური და ჩემ წინ გაჩნდა, მე რაცა მქონდა შენს პატარა პარკში, რამოდენიმე აბაზიანი ხელში ჩავუდე. მკითხეს "ვინა ხართ, რომ ჩვენი ადათი კიდევ გხსომებიათო" მე ეს ჩვეულება კახეთიდან მახსოვდა.

გამოველაპარაკე, აღმოჩნდა, რომ იქ ქართველების პატარა ნაწილია კიდევ დარჩენილი და მიწის დამუშავებას მისდევს.

ეს ხელეური ჯერად შემიკრეს და გზა დაგვეილოცეს.

დიდი კმაყოფილი დავბრუნდი ამ ჯვრით და დედაჩემს ხომ ძალიან ესიამოვნა ეს თავთავი ჯვრად შეკრული, რომელიც დიდხანს ამშვენებდა ჩვენ კედელს.

სეირნობის დროს მცხეთის ეპისკოპოსს და მის დას ხშირად ვხვდებოდით. მიამბო, ბოლშევიკების შემოსვლის წინ გელათის ისტორიული ნივთები როგორ დამალეს. თავისი ხელით ჩაუმარხნია ეს ძვირფასი საგნები მიწაში.

შემდეგ, როგორც ეიცი იძულებული გახადეს ამ საიდუმლოებისათვის ფარდა აეხადნა; ეს საცოდავი ციხეშიაც დიდხანსა ჰყავდათ.

მანამდე კი მცხეთის ტაძარში შეუცვივდნენ მათი აგენტები და ერთმა მას ჯვხიც კი წამოუსვა შუა წირვის დროს.

ჰო და ეს პატარა საზოგადოება, რომელიც ჩვენს გარშემო ტრიალებდა, მოვიწვიე ჩემს ოთახში ეახშმად.

ჩვენ ოთახის კედელს ამშვენებდა თავთავის დიდი ჯვარი, რომელიც ისეთი გულით მოგვიძღვნეს ყანის ქართველმა მუშებმა, რომელნიც ხალისიანად უსვამდნენ ცელს თუ ნამგალს ყვითლად დატვირთულ ყანას, მოსავალს კარგი პირიც უჩანდა.

საღამო იყო, რომ ეზოს კარებში გამოჩნდა ეს ღვთის მადლით ატყორცნილი ეპისკოპოზის მშვენიერი გარეგნობა, რასაც უფრო მისი შავი ძაძები ამშვენებდა, სიმბოლო მისი ამ ქვეყნიდან განდგომისა.

დედაჩემი მიეგება და მის ხელს დაემხო, მშვენიერი, მადლიანი ხელით აკურთხა, მას შემოჰყვნენ მისი და, ღვდელი ჩიტაძე თავისი ცოლით და ვანო თავისიანებით.

ტახტზედ საპატიო ადგილას თავთავის ჯვრის ქვემოდ ეპისკოპოზს დაუთმე ადგილი, დანარჩენები მოთავსდნენ ამ პატარა სადგომში როგორც მოხერხდა.

სუფრას ამკობდა იმ საღამოს ძველი ქართული სიმღერები, ამისი დიდი ოსტატები იყვნენ ღვდელი ჩიტაძე და ვანო ყარალაშვილი, ამათ უერთდებოდათ ეპისკოფოსის და, რომელიც კარგადა მღეროდა და მეც პირმოკუმული არა ვრჩებოდი. ბევრი ქათინაურები უთხრეს იმ საღამოს დედაშენს.

ღვდელი შეუბნებოდა, აღარ მეგონა, თუ ქართველ ქალს ვიხმეს კიდევ ახსომდა ჩვენი სიმღერები, თქვენ ამაში ასეთი ცოდნა გამოიჩინეთ, რომ ძალიან სასიამოვნოაო.

დიდის მადლობით დაგეტოვეს ჩვენმა სტუმრებმა.

დედაჩემი მეუბნებოდა: "შენ იმდენს იზამ, რომ ამ ეპისკოპოს ღვდლიანად გააკრეჭინებო, წასვლა აღარ უნდოდა ამ ხალხსა"ო.

მალე ვანომ დაგეპატიჟა თავისთან ეს მანგლისის ხალხი, რომელიც იქ მისული იყო დასასვენებლად და ზოგჯერ დროს გასატარებლადაც.

იმ ხანებში ირაკლი თავისი ცოლშვილით წასული იყო, თორემ ამ წვეულებებს არ დააკლდებოდა და ეალშიაც არაფის დაურჩებოდა.

ვანოსთან სიმღერების გარდა სიტყვები იყო წარმოთქმული, მეც შესაფერისი სიტყვით მივმართე ამ სასულიერო წოდების წარმომადგენელთ.

ვანომ გამომაცილა და გზაში მეუბნებოდა; "სონა რა მშვენიერი სიტყვა სთქვი, ან კი რატომ არ უნდა გეხერხებოდეს ლაპარაკი შენი ოჯახიდან გამოსულს, შენი ბიძა გაბო, შეგნებული და დარბაისელი კაცი, მშვენიერი მეტყველი იყო, თქვენ სახლში შეგნება და ადამიანის ღირსება ერთად იყო დაცულიო. ამიტომ იქიდან გამოსულთ ეს გემჩნევათ"ო. ერთი სიტყვით შეამკო ჩვენი მართლა და კარგი ქართული ოჯახი. შენ იმ დროს შენის კატით იყავი გართული, რომელიც ბებომ დაგიმალა და წისქვილში გაუჩინა ბინა.

თბილისიდან წამოსვლისას მე და ბებო ბეერსა ვცდილობდით ფურგონში კატა არა გყოლოდა, ამიტომ ყოველ ღონისძიებასა ვხმარობდით ბარგის ალაგწალაგებაში შენი ყურადღება სხვა საგანზედ გაგვეჩერებინა, მაგრამ უკანასკნელ წუთს იღლიაში ამოჩრილ შენ კატუნიას ველარაფერს დავაკლებდით და ჩვენთან ერთად ისიც მანგლისისაკენ მოგზაურობდა.

მეტის მეტად იცოდი მისი ალერსი და ეს ხელს გეიშლიდა, სადილის დროს დამშეიდებულად ყოფნას ან ჩვენ, ან შენი თეფში არ გაგეტეხნა მისი კალთაში აყვან ჩაყვანით; დედაჩემმა იფიქრა ამ კატის მოშორება და მეწისქვილეს გაატანა. ძლივს ამოვისუნთქეთ, შენ კი იქაურობას იკლებდი და მის ძებნაში იყავი.

ერთ დღეს დიდი ბედნიერი შენი კატით ხელში მორბოდი, თან პატარა მაყრიონი მოგდევდა დიდი გამარჯვებული, აღმოჩნდა, რომ კატა წისქვილში არ დარჩენილა, შენს სანახავად აუდგამს ფეხი და ერთ ხეზედ შემჯდარა შენი ნახვის მოლოდინში, თვალი მოგკრავს, შენ მეგობარ ბიჭებს ჩამოუყვანიათ და გაუხარებიხარ. ვერ იქნა და ვერა, ეს კატა ვერ მოგაშორეთ, მეშინოდა რაიმე უსუფთაობა არ გაპკარებოდა შენ უიმისოდაც ჭირვეულ სხეულს, ყოველგვარ ავადმყოფობას რომ ისე იოლად იზიდავდი.

ეს კატა, თუ გახსომს, აქ წამოსვლის წინა დღეებში ბებომ დაგიმალა, თორემ ისიც პარიზის ოტელში ჩვენთან ერთად ამოპყოფდა თავსა.

უკანასკნელად მანგლისში რომ ზაფხული გაეატარეთ, შენ კარგი გასართობი გიშოვნე, ყოველ დილით ვირზედ იჯექი და მანგლისის ტყეში სეირნობდი, მე შორიახლო მოგდევდი.

მანგლისის შემდეგ ზამთარი ჩვენთვის იოლი ასატანი იყო, მაგრამ გაზაფხულზედ ხელახლა გეწყებოდა ნაწლავების აშლა. ამას ემატებოდა მუდმივად დამზეერავის მსხვერპლად ყოფნა, ეს ყველაფერი სიცოცხლის გამამწარებელი საბოლოოდ მაფიქრებდა, ყოველი ღონისძიება უნდა მეხმარნა, რომ სპირიდონთან საფრანგეთში ჩამოვსულიყავი.

ერთ დროს მეგობრები მირჩევდნენ არალეგალურ მოგზაურობას, ამ მიზნით ვერა მგალობლიშვილის ასული. ახლად გათხოვილი მხატვარ გიორგი ნათიძეზედ, ბათუმშიაც კი წავიდა, რომ იქ მოლა-

პარაკუბოდა ერთ აჭარელს, რომელიც ამ საქმეების კარგი მცოდნე იყო.

თავისი ქმარი დაარწმუნა, რომ მისი დედა დიდი ავადმყოფი გამხდარა და გურიიდან გამოგზაენილი ვითომ დეპეშაც წაუკითხა, მეორე დილით ვერა გაემგზავრა დედის სანახავად.

ის დღე სამუშაო დღე იყო, ამიტომ თუ ნაცნობი ნახავდა სამოსაუროდ გამზადებულ მასწავლებელს, ეჭვის თვალით შეხედავდა და შეიძლება დაებიზღებინა კიდეც.

აი სწორედ რკინის გზის სადგურზედ შეხვდა ჩვენი სკოლის "პოლიტრუკს, რომელიც ჩვენ სასწავლებელში იყო დანიშნული სწორედ ჩვენისთანა ხალხის თვალყურის სადევნებლად, მაშინათვე უკითხავს; "ვერა, სად მიდიხარ, ხომ გაკეთილები გაქვს, არ დაიგვიანო"ეო.

ვერას მწუხარებით უამბნია დედას დიდი ავადმყოფობის ამბავი და ისიც კი უთხოვნია, გამგეს შეატყობინოს, თუმცა მისი ქმარი საამისოდ დროზედ მიიღებდა ზომებს. ვერამ აჭარელისაგან თანხმობა მიიღო, რომ საზღვარგარეთ გადამიყვანს ნაცით, შენ ჩემო თეო, ბიჭუარად მეცოლები გაკრეჭილი და ჩაცმული, ამნაირად ყოველგვარი ეჭვი აცდენილი იქნებაო, რადგან იცის რომ ეს სპირიდონის ცოლშვილია, ძალიან პატარა თანხას თხოულობს, ვერას ჰპირდება, რომ ისე ვამგზავრებ როგორც ჩემ საკუთარ დას, ბუზიც არ შეაწუხებსო.

ძალიან დამაფიქრა ამ მოგზაურობამ, ჩემი შიშიანი ბუნება ამ გამოსავალს უკან აგდებდა.

პირადათ კიდეც ვცადე რამოდენიმე დიდი მდგომარეობის ხალხთან მისვლა. ერთხელ მიველი შალვა ელიავასთან, რომელმაც კარგა ხანს დამაცდევინა, რადგან ის დილის საუზმეს მიირთმევდა.

ვიჯექი მის დიდ სალონში, სადაც დიდი კუდიანი როიალი იდგა, რომელსაც თურმე ხშირად ჰხდიდა მუსიკოსი ბალანჩივაძე და მის მუსიკას განცხრომით ისმენდა ელიავა, იმის შემდეგ, როდესაც მისი სხეული უკვე გაფუფუნებული და მოსვენებული იყო თბილი აბანოთი და კუნთების დაზელით.

თურმე ერთხელ კიდევ აღმოხდა ამ ძველ რევოლუციონერს: "ოჰ, რა კარგია კეთილი ცხოვრება"ო.

ოღონდაც რომ კარგია, მეც იმ მომენტში ნეტარებაში ვიგრძენი თავი, დამავიწყდა, რისთვის ვიყავი მისული და ამ ლამაზ სალონში სინამდვილეს ავცდი.

როგორც იყო გაიღო კარები, და მსახურმა შემიყვანა ამ მინისტრთან, მგონი იმ დროს ის თავმჯდომარე იყო.

დავიწყე ლაპარაკი, მაგრამ უმადურად, არ ვიცი, რა ვთხოვე, ალბად ვიზა. უარი მითხრა: "თქვენი ქმარი ევროპაში იმ სამეულშია, რომელიც ჩვენ გვებრძვის და დიდ მუშაობას აწარმოებს"ო.

ამაზედ მოკლედ ვუპასუხე "რა ვიცი კი ვერაფერი გაკეთდა, შემომხედა, არაფერი მითხრა, მაგრამ ცივად გამომისტუმრა, კარებში მივუბრუნდი და ვუთხარი, "თქვენ ჩემთვის არაფერს არ გააკეთებთ" და წამოვედი.

იმასაც კი შეეძლო ჩემი დასჯა, მაგრამ ქართველი ბოლშევიკები თავიანთ თავს საქართველოს წინაშე, ცოტა არ იყოს, დამნაშავედ გრძნობდნენ, ამიტომ იოლად ისმენდნენ უსიამოვნო სიტყვებს.

შენ იცი, თეო, როდესაც ცნობილ ქართველ მსახიობ ვასო აბაშიძეს იუბილე გაუმართეს, მთავრობა შეეკითხა, რა გინდა როგორც ჩვენი საჩუქარიო, მისი პასუხი იყო: "თქვენი აქედან წასვლა"ო.

იმ ხნის განმავლობაში ბევრი ქართველი ქალი წამოვიდა ევროპაში, მაგალითად ნინა გვაზავა, გიორგი გვაზავას მეულლე, მარო ვახვახიშვილის ასული მიხაკო წერეთლის ცოლი, მარი ზალდასტანიშვილისა, სოლიკოს მეულლე, გარდა ამისა ნ. ჟორდანიას ასულს ატიას, ნება მისცეს პარიზიდან ჩამოსულიყო, თავისი ბებო გურიაში ენახა და ისევ დაბრუნებულიყო პარიზში.

აი ეს მაგალითები მათამამებდა, მეც ამათში ვყოფილიყავი ჩარიცხული, მაგრამ ეს არა ხერხდებოდა.

მილებით კი ბევრმა მიმილო თავის კაბინეტში, მაგრამ უარით მისტუმრებდნენ, იმის და მიუხედავად, რომ იმ ხანებში პარიზიდან ლევან ღოღობერიძის და იყო ჩამოსული, რომელმაც ჩამოიტანა ის ახალი ამბავი, რომ 24 წლის აჯანყება არ იცოდა არც კაკი წერეთელმა და არც სპირიდონ კედიამ, რომ ამის გამო დიდი უსიამოვნება დატრიალდა. ყველანი საშინლად იყვნენ აღელვებულნი ჩვენი მთავრობის ასეთი უპასუხისმგებლო ნაბიჯით და მოქმედებითაო.

ერთ გაზაფხულზედ ენუქიძე ჩამოვიდა მოსკოვიდან, სადაც იმას დიდი მდგომარეობა ჰქონდა. თბილისში ის დაახლოებული იყო ელენე ქიქოძის ოჯახთან.

ერთერთი ელენეს და და ჩირგაძის ასული იმ ჟამად შალვა შარაშიძის მეულლე დაპატიჟა მოსკოვში, იქ გაატარეს ორი კვირა აბელ ენუქიძის მანსინიძლობით და კარგად ისიამოვნეს; შინაურულად ამ ქალებს უამბნიათ ჩემი მძიმე მდგომარეობა და მიუღიათ მისგან სიტყვა, რომ შემდეგ რომ ჩამოვა თბილისში ამ საქმეს მოაგვარებს.

ამ კარგი ამბით მოვიდნენ და თითქოს უნდოდათ გამხარებოდა, მაგრამ მე ეს არა მჯეროდა, რომ ასე ადვილად გამომიშვებდნენ.

გაიდა დრო, ერთ საღამოს თერთმეტ საათზედ მოვიდა ჩემთან ვასო მგალობლიშვილი. და მიამბო შემდეგი: აღმოჩნდა, რომ თბილისში ჩამოსულია ენუქიძე და ამ ჩემ მეგობარ ქალებისათვის უთქვამს: "მე მოვთხოვე ქართველიშვილს, იმ ჟამად მთავრობის თავმჯდომარეს, ელიავას და ღოღობერიძეს, ეს ქალი, კედიას მეულლე, თავის ქმართან გაუშვანო".

ვასომ ესეც დაუმატა, რომ ამის შემდეგ ჩემ წასვლას ალარაფერი დაბრკოლება არ ექნებოდა და ეხლავე თხოვნა უნდა შეეტანოო.

თხოვნა კი შეეტანე, მაგრამ ერთმა მოხელე სომეხმა სასაცილოდ ამიგდო, მართლა სთხოულობთ თუ ხუმრობთ, ვინ გაგიშვებთო.

იმას არაფერი ეუთხარი იფიქრა რომ დამაყვედრა. იმ ზაფხულს თბილისში დავრჩი, შენ მგალობლიშვილებმა ქვიშხეთში წა-

გიყვანეს. ამნაირად მე თავისუფლება მეძლეოდა უშენოდ ჩემ საქმეზედ მეზრუნა. საჭირო იყო ხშირად მომეგონებინა ჩემი თავი სხვა და სხვა ბიუროებში, ხან ანკეტის შევსებასა მთხოვდნენ, ხან ჰოს მეუბნებოდნენ და საბოლოოდ ცივი უარით მისტუმრებდნენ. როგორც შემდეგში გავიგე, ჩემი საქართველოდან გამოშვების წინააღმდეგი "ზაკრეკა" ყოფილა, ქართველი კომუნისტების ნებართვა იმათ ჭკუაში არ მოსდიოდათ, მაგრამ ბევრი მოლაპარაკების შემდეგ ნებართვა მომცეს.

თითქმის ერთი თვე მატარეს პატარა მოხელეებმა, მიჩვენებდნენ წითელ ყდიან ვიზას და უკან გამომაბრუნებდნენ.

ბევრჯერ კიდეც სხა ავიმალლე: "ან მომეცით ვიზა, ან უარი მითხარით, მეტი მოთმენა ალარ შემიძლიან მეთქი.

ერთხელ ეს გამომიცხადეს: "უნდა იცოდეთ, რომ ასორმოცდაათი დოლარის მეტს თქვენ ვერ წაიღებთო". ამაზედ ჩემი პასუხი იყო, რომ ამაზედ მეტი მე არცა მქონდა, ალბად უნდოდა იმას, ნამდვილად სცოდნოდა, მე ფულიანი ვიყავი თუ არა, იქნება ჯიბის ფულსაც ვარაუდობდა.

როგორც იყო მივიღე ეს ნატერის თვალი და მოვისვენე. რასაკვირველია, ეს საიდუმლოდ მქონდა შენახული და იმდენად, რომ ჩემმა ძმებმაც მხოლოდ წამოსვლის წინადღეებში გაიგეს, როდესაც ბარგი შეკრული მქონდა.

ეხლა საჭირო იყო, როგორმე სპირიდონისათვის მეცნობებინა, რომ საფრანგეთის ვიზა გამოვეზავნა. მასთან იშვიათი მიწერ-მოწერა მქონდა, ყველაფერი სხვისა სახელზედ მისდიოდა იმას პარიზში და თბილისშიაც მისი წერილები უცხოთა ხელში ბინავდებოდა, ამ წერილებში მე ხან ანეტა ვიყავი, ხან ლიზა და სხვა. ამნაირად იგავებით დაწერილი წერილები ჩეკის ყურადღებას არ მიიქცევდა.

იმ ზაფხულს მასწავლებელთა ექსკურსია წაიდა მოსკოვში, ქრისტაფორე ღვინიაშვილს ვთხოვე, იქიდან სპირიდონისათვის მიეწვდინა ხმა, რომ ყოველ შემთხვევისათვის ფრანგული ვიზა გამოეგზავნა.

ერთი თვის შემდეგ რომ დაბრუნდა ღვინიაშვილი, მომიტანა ცნობა, რომ სპრიდონს დროზედა აქვს გამოგზავნილი მოსკოვში ფრანგული ვიზა.

ჩემი სამზადისი დავიწყე იმით, რომ ავიღე გერმანიის ვიზა და ნებართვა იქ დავრჩენილიყავით ერთი წლით.

შენ რომ ექიმმა გაგშინჯა, მითხრა, "გული აქვს სუსტი და უნდა დამშვიდებულად ამყოფოთ, ზღვისპირას რომ ერთი წელიწადი გაატაროს ეს ჯერკვლებისათვისაც საჭირო იქნება"ო.

ამ შენი ავადმყოფობის გამო იყო ნათხოვნი გერმანიის ვიზა ერთი წლით, უმთავრესად კი მეშინოდა, გზიდან არ დავებრუნებინე თბილისში, ნინა გვაზავა ხომ ბათუმში ჩამოსვეს გემიდან და კინაღამ უკან დაბრუნეს. არც იმისი იმედი მქონდა რომ მოსკოვში პარიზის ვიზა დამიხვდებოდა.

წინა საღამოს "დამკომმა" მახარა, ნებას გაძლევენ ქმართან წასასვლელადაო. ვინ იცის, რას ილაპარაკებთ ჩვენზედაო; შენი საც-

ვლები ოთახში მქონდა გაკიდული, რადგან ბოლო დროს, შუშაბანდიც ჩამომართვეს და ამ გაბაწრულ საცვლებს შეხედა. მე დავარწმუნე, რომ ცუდს ვერაფერს ვიტყვი, როგორც მასწავლებელი სრულებით არ ვიყავი შეეიწროვებული, თავისუფლად მიდევდი იმ ახალ მეთოდებს რომელიც მიმაჩნია საჭიროდ და ეს არ არის ხელისუფლებისათვის სამარცხვინო, პირიქით ეფიქრობ მოსაწონია, ეს კაცი სრულიად დამშვიდებული დავტოვე. კმაყოფილი გავიდა ოთახიდან დაიმედებული, რომ ევროპაში მისვლისას დიდ ქებადიდებას შევასხამდი კომუნისტურ რეჟიმს.

ჩემს წინაშე თვითონ დამნაშავედ გრძნობდა თავს, რადგან წინა წელიწადს ჩვენს სახლში ბინებს ასუფთავებდნენ ზოგს ქალალდს უკრავდნენ. ზოგის ბინას ლესავდნენ.

ეს უნდა მოხერხებულიყო ზაფხულის თვეებში; მანგლისიდან ჩამოველი იმ იმედით, რომ ჩემი ოთახი მზად მექნებოდა და დამშვიდებულად დავიწყებდი მუშაობას; ჩემს მეტი ყველა იყო დაკმაყოფილებული; შევეკითხე ამ "დამკომს" რატომ ოთახი არ გამიკეთეს, დაიწყო ყვირილი, მეც ჩემი ეუთხარი, და უსიამოვნო ლაპარაკით გათავდა. ამის შემდეგ სალამს აღარ ვაძლევდი, არც ის ცდილობდა ჩემთან შეხვედრას.

ეხლა კი ძალიან იყო მოკატუნებული, ცდილობდა მომწონებოდა მისი თავის დაჭერა, თითქოს სწუხდა კიდეც, რომ მივდიოდი, დედაჩემისათვის კიდეც ეთქვა; მეცოდება თქვენი ქალი, რომ მიდის, ვინ იცის, ამ ექვსი წლის განმავლობაში იქნება მისმა ქმარმა სხვა ქალი იშოვნა და ის დაუხვედროს, მაშინ რა უნდა ქნას, უკან ხომ ვერ გამობრუნდებაო.

ერთი სიტყვით დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ამ ჩეკის მოხელემ. წამოსვლის წინა საღამოს ქუჩაში შემხვდა ჩემი მოწაფე კლარა სოჭოლავა, რომელიც ერთი წლის წინად ჩემთან ვაცხოვრე, რადგან ამ ობოლ ბავშვს პატრონობდა ხანშიშესული ბიძა, რომელსაც არ უნდოდა კლარას სწავლა განეგრძო და აპირებდა მის სოფელში წაყვანას; მაშინ მე ვიკისრე მისი ჩვენთან გადმოყვანა, ამნაირად იმან სწავლა განაგრძო.

ძალიან ვიწროდ ვიყავით ერთ ოთახში ეს ოთხი სული ძლივს ვეტევოდით, მაგრამ მეცოდებოდა და ხელი შევუწყე. დიდი ბედნიერი იყო, რომ ჩემთან გაატარებდა იმ წელიწადს, ერთად მივდიოდით ჩემ სკოლაში და ჩემ გაკვეთილებს ხომ განსაკუთრებული ყურადღებით ესწრებოდა.

შემდეგ წელიწადს გადავიდა თავის ნათესავთან, ჩვენ აღარ შეგვაწუხა, იმ წელიწადს გაათავა სწავლა და ზაფხული თავის ბებიასთან სოფელში გაატარა. მარიამობის დამლევს თბილისში ჩამოვიდა და დაპირა საქმით დარგზედ შესვლა. სწორედ იმ დღეებში, როდესაც მე ვემზადებოდი თბილისიდან სამუდამოდ გასვლას, ჩემკენ მომავალი კლარა შემხვდა, ძალიან გაუხარდა და მთხოვა, რომ მეორე დღეს გამოცდაზედ მიდის, უნდა ქართული ლიტერატურიდან რომელიმე თემა წერილობით წარადგინოს და კარგი იქნება, თუ პროლე-

ტარული მწერლების შესახებ მომცემთ პატარა გეგმას, რომ წერის დროს ვიხელმძღვანელოვო.

შეუყვანე იქვე მდებარე პატარა ბაღში, იქ ველაპარაკე და ეს თემა დავამუშავეთ, ერთი სიტყვით მივეცი ქართული ენის გაკვეთილი და ეს უკანასკნელად. იმას ჩემი ამბავი არ გაეგებინე, მეჩქარებოდა სახლში მისვლა, რადგან კიდევ ბევრი წერილი საქმე მრჩებოდა მოსაგვარებელი.

სახლში ლელო მელოდებოდა; ფანჯარას მოადგა ერთი კაცი დიდი ძაღლით, მითხრა, რომ ჩემ ოთახს არავინ არ უნდა შეეხოს, ის გადმოდის თავის ცოლით, თავისი თავიც გამაცნო "მე ვარ ევგენი გეგეჭკორის დისწული"ო, ისე რომ რა წამს მე გავალ ამ ოთახიდან, მაშინათვე ის უნდა ჩადგეს. მართლაც თურმე დედაჩემი, რომელიც ცოტახნით დარჩა იქ, საშინლად შეუვიწროებიათ.

დედა მწერდა, ეს ძაღლიანი კაცი თავისი ცოლით შენი წასვლის დღესვე მართლაც შენს ოთახში დაბინავდა, მე იძულებული ვიყავი გასასვლელ ოთახში გამეტარებინა რამოდენიმე დღე, რომ დარჩენილი ბარგი დამებინავებინა და მეც ლელოსთან გადაესულიყავიო.

მინდა, ჩემო შვილო, ის დღეები, რომელიც საქართველოში ჩემი წამოსვლის წინ გავატარე, არ დაგეკარგოს, რომ ნათლად წარმოიდგინო, ამიტომ ყოველ წერილმანზედ ვწერდები.

ლელოს გამოვეთხოვე, ამ ჩემ ძვირფას ძმას, გაფითრებული იდგა, ხმას არ იღებდა, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა...

ირაკლის წინა დღით მოვეხვიე, ვერც იმან მითხრა რაიმე, სიჩუმეში დავშორდით... მოვიდა თამარა ფალავანდიშვილი, ნამდვილი ოჯახის ჭირისუფალი და წამომყვა აგრაფენა ჭავჭანიძესთან, სკოლის გამგესთან, რომელსაც გავაგებინე, რომ მეორე დღეს ე. ი. 1 ენკენისთვეს გამოცდებზედ ველარ დავესწრები, რადგან მივდივარ ევროპაში. საშინლად აღელდა, იტირა კიდეც, გზა დამილოცა ამ კომუნისტმა ქალმა. ის საღამო არ ვიცი როგორ გავატარეთ, მახსოვს თეკა მოადგა ფანჯარას და ბევრი ეძახა დედას, ახლო ცხოვრობდა და ხშირად მოდიოდა ჩვენთან.

თეკა იყო ბახუტაშვილის ასული, მაშასადამე ჩვენი მახლობელი ნათესავი, გათხოვილი პაპალექსიზედ.

დედამ ჯერ ყური მოიყრუა, იმ საღამოს არავის ნახვა არ უნდოდა, მაგრამ ის დაჟინებით ეძახდა, რომ იძულებული გახდა ცოტა ხნით სუფთა ჰაერზედ გასულიყო, მაგრამ მეორე დილით რომ ჩვენ იქაურობას ვტოვებთ, დედამ თეკას ამის შესახებ სრულებით არაფერი არ უთხრა.

შენ რამოდენიმე დღის წინ ჩამოგიყვანა ვასო მგალობლიშვილმა ქვიშხეთიდან, სადგურზედ დაგიხვდი და ვასომ გამოგვაცილა, მაგრამ სახლის მოშორებით გააჩერებინა ეტლი, გამოგვეთხოვა და მთხოვა: "პარიზში რომ მიხვალთ, პირველ დღეს ამას ერა გთხოვთ, მაგრამ მეორე დღეს. სპირიდონს ჩემი გულითადი სალამი გადაეცით

და მაგრად აკოცეთ"ო. დაგვილოცა გზა, ხელი დაგვიქნია და გაბრუნდა.

ორი დღის წინად შენ დიდ ალიაქოთში იყავი, ბებომ შენი კატა ერთ მეზობელს შეუგდო, იმდენი ეძებე, რომ იპოვნე და უკანასკნელ საღამომდე ელლაბუცებოდი.

დილა ადრიანად ჩვენ გასაცილებლად თამარა მოსულიყო. უკანასკნელ წუთს უკვე უშიშრად დავიწყე პატარა პატარა დარბაზობა მეზობლებთან, რომელნიც გაოცებულნი იყვნენ ამ ახალი ამბით, ამას არავინ მოელოდდა.

ვერ, რასაკვირველია ჩემ მეზობელ ტამიროვის ცოლს გამოვეთხოვე, მის შვილიშვილ ნიუშას, ორივენი შეწუხდნენ, მოხუცებული თვალცრემლიანი მეუბნებოდა; "მაწუხებს თქვენი დაშორება, ვინ იცის, ვინ ჩადგება ამ ოთახში თქვენს მაგივრადა, თქვენისთანა მეზობლის შოვნა ადვილი საქმე არ არის"ო.

იმას ახსომდა ერთი შემთხვევა, როდესაც ნიუშა უცბად გახდა ავად და ღამის ორ საათზედ მე წავედი ექიმის მოსაყვანად, სამწუხაროდ ტელეფონი მაშინ იშვიათი მოვლენა იყო. ამას აღარ ათავებდა დიდი მადლობელი იყო.

დედა რომ კახეთიდან ჩამოდიოდა, ერთი კალათა ყურძენი, ჩურჩხელები ტამიროვის ცოლისათვის იყო გადადებული, ერთი სიტყვით ემეგობრობდით.

შემდეგ ავედი ნიკო თავდგერიძესთან, რომელმაც არ დაივიწყა ჩემი წამოსვლის ამბავი და მთხოვდა, დღეს საუზმეზედ ჩვენთან ამოდით, ცოლმაც ბევრი რამ ვერ გაიგო. ისიც მთხოვდა, იმ დღეს საუზმეზედ იმათი სტუმარი ვყოფილიყავი. ძლივს დავაყვერე ესენი, რომ ერთ საათში მატარებელს ვიღებდი.

იქიდან შევუარე ჟღენტის ცოლს, ვერ არ იყო ამდგარი და ისიც ქვეშაგებში გაოცებული დავტოვე, თავს კი მიჭნევდა, მაგრამ ჩემი ნათქვამი არა სჯეროდა. ამ ქუცუნას დედას.

სადგურზედ წასასვლელად რომ გავემგზავრეთ, შენ ბებოს არა სცილდებოდი, მისი ხელი გეჭირა, იმ დროს შენი კატაც აღარ გიკითხავს, თითქოს გრძნობდი რომ ბებოს სამუდამოდ ეთხოვებოდი.

მაშასთან წასვლაც აღარ გახარებდა. დიდხანს ელოდებოდი მის ნახვას, მაგრამ "მამა ფიდო" იგვიანებდა, შენც დაიგიწყე და გულიდან ამოღებული გყავდა დახლოებით ხუთი წლიდან.

ეტლში ჩასხედით, შენ გარინდებული იყავი, ხმას არ იღებდი; თამარამ გზაში ეტლი გაარერებინა თავის მამიდა მაიკო ორბელიანის სახლთან. მისი დები მარი და ტასოც იქა ცხოვრობდნენ, ესენი იყვნენ, რომ ასე განებიერებდნენ ჩვენი საქართველოში ყოფნისას; იმათთან შემიყვანა თამარამ, რომ გამოეთხოვებოდი, ისინიც ლოგინში ვნახე, მკოცნიდნენ, მაგრამ გაბრუებულნი მიყურებდნენ, რადგან ეს ჩემი ამბავი იმათთვისაც უცნობი და დაუჯერებელი იყო.

მშვენიერი სექტემბრის მზიანი დღე იყო. თბილისი, ახლად გალეიძებული. მზის სხივებს ეალერსებოდა; ჩაუარეთ თათრის მოედანს, რომელიც თავის სიუხვით ჩემ თვალწინ იშლებოდა, მთელი

გორაკი საზამთროებისა, სხვადასხვა მწვანილისა და რა ვიცი, რა გადარჩა ჩემს თვალებს რომ უკანასკნელად არ დაეხედნა და წერილ-მალიც კი თავის არეში არ მოეთავსებინა.

გამოთხოვების დროს მინდოდა მთლიანად თბილისი ჩემში დარჩენილიყო და სამუდამოდ ის ჩემთან მეტარებინა.

სადგურზედ არ მინდოდა ჩემი ძმების გამოჩენა, იქ მხოლოდ დედაჩემის გარდა მოსული იყო ძალუა საშა, თამარა და სხვა არავინ.

გამიკვირდა იქ დედაჩემთან მოსაუბრე ორი მაყაშვილის ქალი რომ დავინახე, იმათ მე არ ვიცნობდი, ვინ გააგებინა ჩემი გამგზავრება, ან რად მოვიდნენ, არ ვიცი.

გამოვეთხოვე დედაჩემს, რომელიც სამუდამოდ მკარგავდა: "მე შვილო შენი ნახვა აღარ მეღირსება, დამრჩები ხსოვნაში აი, ამ შენ თეთრ კაბაში"ო.

დაიძრა მატარებელი. მეც, შენც ვტიროდით ხმამაღლა, ფეხდაფეხ მოსდევდა მატარებელს ძალუა საშა, დედაჩემის შეწუხებული სახე დამრჩა, რომელსაც თამარა ამოსდგომოდა გვერდში და ამშვიდებდა...

ჩვენი მოგზაურობა მოსკოვისაკენ და იქ გატარებული დრო

ბებოს დაშორება მძიმედ განიცადე, მთელი გზა სტიროდი, პეტროვსკის გასწვრივ რომ დაგანახე ზღვის პატარა არშია, ამან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა შენზედ და ბებო დროებით დაგავიწყა.

ერთი ღამე მატარებელში გავატარეთ. დასაძინებლად ყოველივე კომფორტი იყო. სუფთა ზეწრები და ბალიშის პირი ჩვენ თვალწინ სუფთა პარკებიდან იყო ამოღებული. არ ვიცი სხვებისთვისაც ასე იყო. თუ მე ვიყავი დაქრთამული, რომ კარგი ამბავი ჩამეტანა ევროპაში, რომ რუსეთში ისეთი კეთილცხოვრებაა, რომ იქაური მატარებლის მესამე კლასი არ ჩამოუვარდება აქაურ ფრანგულ მატარებლის 1 ან მეორე კლასსაც კი.

მეორე დღეს მოსკოვში ვიყავით, ავიღე ოთახი ოტელში, რომელიც იყო დიდი თეატრის მახლობლად თუ არა ეცდები "მალაია დიმიტროვკა"...

მოსკოვი უკანასკნელად ნანახი მქონდა 1915 წელს, ეს იყო ომის დრო, მაშინ კიდევ იოლად იშოვნიდი საჭმელს, სანოვაგეს, ეხლა სავაჭრო სახლები ცარიელი იყო.

მინდოდა კარაქის ყიდვა, როდესაც ეაჭარს გამოველაპარაკე, გაოცებულმა შემომხედა, საიდან მოდიხარ, მთვარედან ხომ არახარ, რომ კარაქს სთხოულობ, მაშინ როდესაც თბილისში ადვილად უშოულობდით ამ კარაქსაც და საერთოდ სანოვაგეს.

ქუჩაში ხალხი მთლად ჩაუცმელი იყო. მახსოვს, ტრამვაის გაჩერების ადგილი ეკითხე ერთ ქალს, იმან მითხრა, მაგრამ ისიც დაუმატა, მიკვირს თქვენი კარგი რუსული, მე უცხოელი მეგონეთო.

მართლა უცხოელად უნდა მიეელე ამ ქალს, რადგან ჭუდ დახურული ქალი მე იქ არ შემხვედრია, ყველა ქალს თავზედ მოსახვევი ეხვია, იმას ხომ აღარ ვამბობ, რომ პარიზიდან მქონდა ტანისამოსი, რაც ყურადღებას იქცევდა. ამის შესახებ მერე გიამბობ, თუ როგორ შევიძინე ეს ჩასაცმელი.

პირველი უწყება სადაც იმ დილით მე კარები შევაღე, ეს იყო ფოსტა, იქიდან სპირიდონს დეპეშით ვაცნობე ჩემი ჩასვლა და ეთხოვდი, ბერლინში ვინმე ნაცნობი დაეხვედრებინა, როდესაც ჩავიდოდი.

თუმცა ფული გამომართვეს, მაგრამ სპირიდონს ჩემი დეპეშა არ მიჰსვლია, ეტყობა ეს საეჭვოდ მიიჩნიეს.

ახლა ვიზის ასაღებად მიველი საფრანგეთის საელჩოში, ერთმა მოხელემ აივანზედ მიმიღო, დარბაზში არც კი შემიყვანა და ცივად გამომისტუმრა: "არავითარი ვიზა თქვენ სახელზედ პარიზიდან არ არის მიღებული"ო. გამართლდა ჩემი ეჭვები, გერმანიისათვის ერთი წლის ვადიანი ვიზით რომ მოვემზადე იქვე თბილისში.

იქიდან წამოსულს ამეკვიატა ერთი ახალგაზრდა რუსი, ამოშყვა ტრამვაიშიაც, დამიწყო ლაპარაკი დიდის ღიმილით, მკითხავდა, საიდან მოვდივარ, ან სად ვაპირებ წასვლას, ცივად გავისტუმრე ეს მეტიჩარა, გზა აუბნიე და ისე შეველი ჩემს ოტელში.

ის ღამე კი იქ გავატარე, მაგრამ დილით გარდაწყვიტე მატარებლის ალება და მოსკოვიდან გასვლა ვარჩიე, იქ ვიზის ლოდინი შეუძლებლად დავინახე და სამშვიდობოს გასვლა დავაპირე, როგორც ეს მქონდა გარდაწყვეტილი თბილისში, პირდაპირ გერმანიისაკენ გავეშგზარე.

მეჩქარებოდა სადგურზედ მისვლაც, ისე ველელავდი, რომ მეტის მეტად ადრე მივედი, შენ კი გასადილე, რუსული ბორშჩი გაჭამე, მე კი ვერ ვისადილე, ამისი თავი არა მქონდა, მეშინოდა კიდეც, უკან არავის გავებრუნებინე. აქ მაგონდება ერთი ეპიზოდი, როდესაც მოსკოვიდან ეტლით სადგურზედ მივეშურებოდით.

საერთოდ ბარგი არ წამომიღია, რადგან ცალი ხელი შენთვის მქონდა. რომ ყოველთვის ჩემთან მყოლოდი, მხოლოდ მეორე ხელში ერთი სულ პატარა ჩამადანი მეჭირა. ეს იყო და ეს. მატარებელში კი საგზაოდ ბებომ ჩაგვილაგა საჭმელი თავის პატარა სოფლის კალათაში, რომელიც კარგად იყო დაფაცაცებული და ბევრის მთქმელი...

უკანასკნელ წუთს ეს ჩამოეშორე და მეეტლეს გავატანე. უნდა გენახა შენი თავი ამ დიდი თეატრის წინ რა მხურვალედ დაიწყე ტირილი, როგორ ეთხოვებოდი ამ შენი საყვარელი ბებოს კალათას, ხმა მაღლა ღრიალებდი, გინდოდა ფეხდაფეხ გაჰყოლოდი ეტლს, როდესაც გაშლილ მოედანზედ ის მითახთახებდა, შენი ყვირილი ცასა სწვდებოდა "ბებოს კალათა, ბებოს კალათა"ო.

მალე ჩავსხედით მატარებელში და გზას გაეუდექით, ვერ კიდევ არ ვიყავი დამშვიდებული, რომ არავინ შემაწუხებდა.

საზღვარზედ გაგვაჩერეს, გამიხრიკეს რამოდენიმე მანეთი, რომელიც ზედ მქონდა დამატოვებინეს. თითქოს ამ პატარა თანხას დედას გადაუზავნიდნენ, მისი მისამართიც კი გამომართვეს...

მოსკოვიდან მოდიოდა ერთი ქალი, ჩემთან იყდა ვაგონში, იმან მიჩვენა საზღვარი: "აი იქ რომ ჯარისკაცი სდგას, იქ რუსეთია, მალე ვიქნებით პოლონეთში, აი ამ ბოძის აქეთ პოლონეთია". ამის შემდეგ ის აღარ მინახავს, სად ჩამოხტა, არ ვიცი, გაქრა.

ჩვენი მოგზაურობა მოსკოვიდან ბერლინამდე

პოლონეთის საზღვარი რუსეთთან შედარებით მეტის მეტად მწატნე მეჩვენა, რუსეთის საზღვარს ერთი ჯარისკაცი ჰყარაულობდა, მას იქნება მეტიც არა სჭირდებოდა, მაგრამ ამ პოლონეთს, მიკვირდა, რომ მეტი მზრუნველობა არ გამოეჩინა, საზღვარზედ რაიმე სიმაგრე ან ჯარის კარგი ნაწილი ხომ მაინც უნდა ჰყოლოდა.

ამიტომ იყო, რომ იმ ქალის ნათქვამი ქარს მიეცი, და ჩემი თაეი თაეისუფალ დამოუკიდებელ პოლონეთში ვერ ეიგრძენი. ამ ფიქრებში ვიყავი როდესაც შემოეიდა ჩემს კუპეში ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, კარგად ჩაცმული, ნაცრის ფერში გამოწყობილი, და მის დაწმენდილ სახეს და ღია ფერ ლურჯ თვალებს ეს კარგად ეხამებოდა. ჟურნალისტი უნდა ყოფილიყო. რადგან მოისურვა ჩემთან ლაპარაკი; მეკითხება, როგორი ცხოვრებაა რუსეთში, მე ბუნწად ვაძლევ პასუხს: "ყველანი ასე არიან ჩაცმულნი როგორც თქვენ?"

მართლა კარგად ვიყავი ჩაცმული, მგონი გითხარი, რომ მე გავგზავნე თბილისიდან ამ ორი წლის წინად ხუთი თუმანი სპირიდონისათეის ეანდა ღამბაშიძის სახელზედ, მისდოდა სპირიდონს ჩემთეის პალტო ეყიდნა, ქუდი და შენთეის ფეხსაცმელები თაეის მხრიდანაც ცოტა დაუმატებია და ეს ყველაფერი ერთად საფრანგეთიდან ექიმ წულუკიძის ცოლმა ჩამომიტანა.[1]

ეს ტანისამოსი იმდენად ლამაზი იყო, რომ თბილისში ეურიდებოდი ხმარებას. მეშინოდა კიდეც,[2] რამოდენიმეჯერ გაებედ ჩემი უბადრუკი სათბუნებელი პარიზის მოდელით შემეცვალნა; ჩემი მეგობრები ცდილობდნენ ზოგიერთი ცნობისმოყვარე დაერწმუნებინათ, რომ ეს ჩასაცმელი ეყიდე ძველი ტანისამოსების ბაზარში, "ამერიკანკა"-ზედ. აი, მაშინდელი ატმოსფერა...

---

1 შაეი ხაეერდის პალტო თაეისი ღეინის ფერი ქუდით.

2 ზოგიერთ პოლიტრუკს არ ეკითხნა ამ ტანისამოსის ბიოგრაფია.

მატარებელში ამ უცხო ადამიანს, როგორც გითხარი, თითქმის არ ვაძლევდი პასუხს, ან ძალიან ბუნდოვანად.

იმან გაიცინა და მითხრა: "თქვენ ალბად კიდევ გეშინიანთ, გავიწყდებათ, რომ პოლონეთში ხართ, მაგრამ სრულებითაც რომ არაფერი სთქვათ, თქვენი დატანჯული სახე ყველაფერს მეუბნება"ო.

ძლივს მოვიშორე ეს კაცი, რასაკვირველია, არც ვუნდე.

ამ ჟურნალისტს ალბათ უნდოდა ცხელ-ცხელი ამბები ჰქონოდა.[1]

ცოტა ხნის შემდეგ მატარებელში გავიგონე შენი სახელი, ერთ კაცს "თეო"ს ეძახდნენ. ეს აღმოჩნდა გერმანელი, რომელიც თავისი ცოლით და ორი პატარა ბავშვით ციმბირიდან მოდიოდა, იქ წასულა სამუშაოდ, რამოდენიმე წელიწადი გაუტარებია, გასძვლებია სამშობლოში დაბრუნება, "ძლივს გამომიშვეს"ო, დიდი ბედნიერი იყო ამ თავისუფლებით.

შენმა სახელმა ამ გერმანელ ოჯახთან დამაახლოვა და ბერლინამდე ერთ კუპეში ვისხედით.

ვარშავაში გაეჩერდით, იქ შევნიშნე ორი ყმაწვილი, რუსები იყვნენ, რომელნიც დიდის გულდასმით თვალყურს ადევნებდნენ ყველას და ყველაფერს. რკინისგზის მოხელე გამოელაპარაკა, ჰკითხა, სად მიდიან, სწავლის გასაგრძელებლადაო, უპასუხეს, თქვენ ხომ ყველაფერი გაქვთ, ევროპაში რა უნდა ისწავლოთო. ირონიით ეკითხებოდა ეს პოლონელი ამ რუსის პატარა ჯაშუშ სტუდენტებს.

მათ თვალწინ რომ გერმანიაში წასასვლელი მატარებელი შიგნიდან და გარედან კარგად გარეცხეს და სუფთად მოგვათავსეს, ამ ყმაწვილებმა ეს გაიმეტეს; "да это хорошо", მოიწონეს სისუფთავე, შემდეგ ისინიც დავკარგე, არ ვიცი, უკან გაბრუნდნენ თუ ჩვენთან ერთად ბერლინში წამოვიდნენ.

ჩვენი ბერლინში მისვლა და იქ გატარებული დრო

დილა იყო, რომ ბერლინში მივედით, მოსკოვიდან ჩემი დეპეშა სპირიდონს არ მიუღია, ამიტომ სადგურზედ ბერლინში არავინ დამიხვდა; მაშინათვე ღია ბარათი გავუგზავნე სპირიდონს და ვაგებინებდი ჩემს ალელვებას, ამ უცხო ქალაქში ენის უცოდინარი რომ მარტოდ მარტო ვრჩებოდი.

---

[1] იმ დალოცვილმა როდი იცოდა, რომ მანამ ის შემოვიდოდა რა ნერვიულ მდგომარეობაში ვიყავი და იმდენად, რომ ჩემი აელაღიდება: ფული და მთელი ქალაღდები თურმე ტუალეტში დამიტოვებია. დაშვებული ეზიარ შენთან კუპეში, როდესაც უცხო კაცი კარებს მიკაკუნებს და მაწყდის ჩემ პატარა ჩანთას: „მადამ, ეს თქვენ დავრჩენიათ"ო. მაშინ კი მოლად აღიშალე...

ამ ახლად გაცნობილმა დამაბინაა იქვე სადგურის მახლობლად ოტელში, თეო თვითონ თავისიანებით ტანისამოსის სახყიდლად წაეიდა, ბევრი რამ ესაჭიროებოდათ კარგა ხნის შემდეგ მობრუნდა ნაჯჭრით ხელში და მთხოვა, ნება მიმეცა, ჩემს ოთახში გამოეცვალათ ძველი დიდი ხნის ნათრევი ჩასაცმელ–დასახურავი, რაც საკვირველია ოთახი დაეუთმე და ჩვენ გარეთ აივანზედ გაველით.

სუფთად გამოწყობილნი თავიანთ სოფელში გაეშურნენ ბედნიერნი. წასვლისას მითხრა; "ეხლა ჩემს ქვეყანაში ვარ და შემიძლიან თავისუფლად ვილაპარაკო, ნამდვილ ჯოჯოხეთში გავატარე ეს სამი წელიწადი, ჩაცმით ხომ პხედავთ, რა გვაცვია, ეს კიდევ ძველის ძველი ტანისამოსია, რომლითაც ჩვენ გერმანიიდან წაველით, რამდენი ვიშიშილეთ, ამას ხომ ვერ აგიწერთ"ო. ეს კი ვერ გავიგე, რამ წაიყვანა ამ გაპარტახებულ რუსეთში. ნუთუ არ იცოდა, რა გაჭირება იყო იქ რევოლუციის შემდეგ ამ ძველ დოლაბის ქვეყანაში.

გამომეთხოვა, დიდი მადლობა მითხრა და ბოდიშიც მოიხადა, რომ შემაწუხა. თავისი მისამართიც დამიტოვა და წაეიდა თავისი ცოლ–შვილით მხიარულ გუნებაზედ. მაგრამ მე იმ დროს აღარაფერი მესმოდა, ჩემს გულს აღარაფერი სასიამოვნო არ ეკარებოდა, თორემ მეც ხომ კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი, რომ თავისუფალი ვარ, სულ მთლად თავისუფალი.

იმ დღეს არა, მაგრამ მეორე დილით ტიტე მარგველაშვილი, სპირიდონის ერთგული ნაც. დემოკრატი, გამომეცხადა. ეს ის დღე იყო, როდესაც ქუჩიდან დიდი ხმაური მომესმა, გადაეხედე და დაეინახე დიდძალი ხალხი წითელი დროშებით და ლენინის დიდი სურათით.

ამ სანახაობას თბილისში კი შეჩვეული ვიყავი, მაგრამ აქ არ მოველოდდი, გული გამისქდა, ვიფიქრე, რომ აქ იწყება რევოლუცია და ამ უბედურებაში მომიხდება ყოფნა.

ტიტემ დამამშვიდა, რომ ჩემთვის ეს საშიში არ არის, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ გერმანიასაც წყალი ჰქონდა შემდგარი, რომელიც საბოლოოდ დიდ მდინარედ გარდაიქცა, რამაც მთელი ერი წაიყოლია; ეს იყო ბედნიერების თუ უბედურების დასაწყისი, რასაც მომავალში მოჰყვა გიტლერის რეჟიმი, დიქტატურა... მერე როგორი!!

ბერლინის ქართველობა ზედიზედ მოეჩქარებოდა, რომ საქართველოდან ჩამოსული მალე ვენახე.

მისაკო წერეთელი რომ მოვიდა, შემაშინა; "ქალო, აქ რა გინდა, ეს ხომ ყაჩაღების უბანია, აქედან მალე სხვაგან უნდა გადახვიდე"ო.

გიგო დაისამიძემ მალე მომათავსა ერთ ებრაელის ოჯახში, სადაც თითქმის ათიოდე დღე გავატარე და ძალიან კმაყოფილიც ვიყავი.

კარგ, რიგიანად მოწყობილ ბინაზედ ჩვენ დაგვითმეს ერთი დიდი, მზიანი ოთახი, კარგის ლოგინით და საჭირო აქეზკით.

ამ ოჯახის წევრები, მამა შუახნის კაცი თავისი ცოლით და გასათხოვარი ქალით ადგილობრივე ეაჭრობდნენ, ჰყიდნენ აბრეშუმის

საცვლებს, წინდებს და სხვა. მეც წამოსვლისას რამოდენიმე წყვილი წინდა ვიყიდე იმათგან.

ვრჩებოდი ბერლინში, რომ ფრანგული ვიზა იქ მაინც მიმეღო, მოსკოვი ამას აგვიანებდა, საფრანგეთის ვიზა არ არის მოსულიო.

სპირიდონს რომ ჩემი ბარათი მიუღია, სადაც ჩემს უმწეობას ვწერდი, რადგან ბერლინის სადგურზედ არაფინ დამხვედა, იმავე დილით ტიტესათვის ტელეფონი დაურეკნია, რომ ჩვენი ამბავი გაეგო. სამწუხაროდ ეს ტელეფონიც აგვცდა, მაგრამ ტიტეს დაუმშვიდებია, რომ კარგადა ვართ და აი სწორედ ეხლა ველი შენს ცოლ-შვილს ჩემთან საუზმეზედაო.

მივიღე სპირიდონის ღია ბარათი, სადაც ველარ მალავს თავის სიხარულს, სხვა დროს გულჩახვეული, ეხლა ააშკარავებს თავის გრძნობებს; მთელი ამ წვრილმანი ამბების საბუთები დაკეცილი მაქვს შენახული, რისთვის ვინახამ ამას? შენ გეცოდინება, ამისი სპეციალისტი შენა ხარ, რომ მთელი არხივი გაქვს დაგროვილი, ვინ ან როდის რა მოგწერაშენა თუ მთელ ოჯახს, შენ ჩემო თეონი.

საუზმის შემდეგ ტიტემ ბერლინის ცნობილ ზოოლოგიურ ბაღში წაგვიყვანა, იქ პირველად ნახე პირუტყვთა ნამდვილი სამეფო, ძალიან მოგეწონა და აღარ გინდოდა წამოსვლა. საწყალი ტიტე, თვითონ გაჭირებულ პირობებში მყოფი, აღარ იცოდა, რითი ესიამოვნებინა და გაეხარებინა თავისი მეგობრის ქალი, პატარა თეო, რომელსაც საქართველოში ბევრი ტანჯვა ჰქონდა გამოვლილი.

იმავე ტიტეს თანხლებით ერთი ნაშუადღევი გოგია კერესელიძესთან გავატარეთ. მშვენიერ, კარგად მოწყობილ ბინაზედ ცხოვრობდა გოგია თავისი ცოლ-შვილით.

დაწერილებით ვუამბობდი გოგიას მის ძმა იასონის ამბავს, თუ რა ვაკაცურად მიდიოდა იგი სასიკვდილოდ, როდესაც ციხიდან გაიყვანეს. დახვრეტის წინა წუთებში, თურმე დიდებას მღეროდა და "გაუმარჯოს საქართველოს" ყვიროდაო. გოგია ყურს მიგდებდა ხმაამოუღებლივ და მისი თვალები დანამული მოსჩანდა.

ბერლინში ჩემი მუდმივი სტუმარი იმ დროს უფრო მიხაკო წერეთელი იყო. იმან დაწერილებით მიამბო სპირიდონის ცხოერება, ისიც თურმე ერთ ხანს პარიზში ყოფილა და ამიტომ მამას ავკარგი კარგად იცოდა. მიამბო სპირიდონის გაჭირებული ცხოვრება, გამაფრთხილა კიდეც, თუ კერვა არ ვიცი, სიმშილით დავიხოცებით, რომ პარიზში ქართველი ქალები ყველანი თითქმის ოჯახის ლუკმას ნემსით შოულობენო.

სპირიდონის შესახებ კიდევ უფრო საინტერესო ცნობები მომცა მიხაკომ, "იმისდა მიუხედავად რომ მძიმე პირობებშია, სპირიდონი კარგი შესახედავი და, მოსაწონი მამაკაცია, იმისი ნაკლია მხოლოდ, რომ ძალიან სხვილი ფეხები აქვს"ო. აქ მიხაკომ წაიმიხაკოვა. ბალეტისათვის ხომ არ ემზადებოდა სპირიდონი!.. ეს დაწერილებითი ცნობები სპირიდონის ცხოვრებისა, სჯობდა ადგილობრივ მე თვითონ გამეგო, თორემ ამან საშინლად მომშხამა, და ის დღეები სულ ცუდს ფიქრებში გავატარე. წარმოვიდგინე მაშინ საშინელი სუ-

რათი, იმ უბელურებიდან გამოსულს მომყავდი შენ თითქოს სამშვიდობოს მაგრამ საშიშროდ.

ჩემი იმედი ნემსის ჭერაში, მით უმეტეს საფუფუნებო საცვლების მოქარგვაში, სრულებით არა მქონდა და ამ შუა გზაზედ დიდ საფიქრებელში ჩამაგდო ჩვენმა მიხაკომ, ამიტომ ყველაფერი ფუჭად ჩავთვალე და ველარაფერით ვისიამოვნე. ვიცოდი კი, რომ მამა დალხენილი არ იყო, მაგრამ იმდენად, რომ თუ მე საკერავს არ ავიღებდი, სხვანაირად ვერ ვიცხოვრებდი. სხვა სამუშაოზედ უარს როგორ ვიტყოდი, მაგრამ ამ ნემსის ჭერამ ძალიან შემაშინა და არ ვიცოდი, რა მეფიქრა, თითქოს ვნანობდი კიდეც რასა და ალბად ჩემ ევროპაში ჩამოსელას.

აი როგორ გუნებაზედ ვიყავი, როდესაც საფრანგეთის საელჩოში ვიზის მისაღებად მივედი. თუ ამაზე დაწესებულების მოსკოვის მოხელემ ძალიან ცივად მიმიღო და უარით გამომისტუმრა, აქ ფრანგმა მოხელემ თავისი ზრდილობიანი თავის დაჭერით მომხიბლა და იმედიც მომცა, მალე ვიზაც მივიღე და ეხლა პარიზისაკენ უნდა წამოვსულიყავი, ამას ველარაფერი დააბრკოლებდა, მაგრამ შენკენაც უნდა მომეხედნა, მაგონდებოდა შენი შეწუხება, როდესაც ჩემ ტანისამოსთან ერთად მამას მიერ შენთვის გამოგზავნილი ლამაზი ფეხსაცმელები, რომლებიც წულუკიძის ცოლმა პარიზიდან ჩამოგვიტანა, შენთვის პატარები აღმოჩნდა, გეჭირა ხელში, ბერკუერ სცადე კიდეც ჩაცმა, მაგრამ ამაოდ.

მე განუგეშებდი: "აი როდესაც მამასთან მივალთ, იქ გიყიდი სამაგიეროს" შენს გუნებაში კი, სწორედ მამასთან გინდოდა ახალი ფეხსაცმელებით მისვლა, ამიტომ ბერლინში მთხოვდი პირობის შესრულებას. მხოლოდ შენს მიერ არჩეული მოდელი ლაქის შავი ტუფლები ახდილი და სადა ვერ ვიშოვნეთ, ამის ძებნაში ვიყავით ტიტეს თანადასწრებით, რომელიც გაოცებული იყო, როგორ გაგინებიერებიათ ეს ბავშვი, ჩემს გოგონას რასაც მინდა იმას ჩავაცმევო.

ეს ის დრო იყო, როდესაც ექიმები მაფრთხილებდნენ, რომ ძალიან გინდა მოვლა და დამშვიდებული ცხოვრება, რადგან გული არა გაქვს კარგ მდგომარეობაშიო, გადიდებული გქონდა...

ამიტომ მეც არ გიხირდებოდი, ზოგჯერ თითქოს კიდეც ვერ ვამჩნევდი შენს აჩემებულ სურვილებს.

როგორც ჰხედავ, ბერლინში შენი მოსაწონი ფეხსაცმელები ვერ ვიშოვნეთ ამიტომ მოვედით შენი ძველი "ბაბუცებით", პარიზში მამაშენთან.

წამოსელის წინა საღამოს ჩვენს პანსიონში მყვანდნენ ვახშმად მოწვეულნი მიხაკო თავისი შვილი ოთარით, ტიტე, გიგო დიასამიძე თავისი ქალი ლოლათი, ნიკო ნაკაშიძე და აღარ მახსოვს, კიდევ ვინ იყო იმ საღამოს ჩემთან.

კარგ სადღეგრძელოებს მოჰყვა შენთვის სასიამოვნო მოვლენა, პირველად სჭამე წითელი ბადრიჯანი, რასაც თბილისში გარედან უალერსებდი. პანსიონის დიასახლისმა მირჩია, მეცადნა, მართლა არ გაწყინა, ამნაირად შენს კუჭს ახალი არსებობის ერა დაუდგა.

მეორე დღეს ათი საათის მატარებლით მივდიოდით პარიზში. ვიღრე სადგურზედ წავიდოდით, შენ თურმე დიდ სამზადისში ჰყოფილხარ, ეს მე ვერ შევამჩნიე, გინდოდა პარიზში ლამაზი ჩასულიყავი, საამისოდ შესაფერისად გაგიკეთებია სახე, წაგისვამს წარბებზედ შავი ფანქარი და ძალიან უშნოდ ბერეტი გვერდზე დაგიხურნია და დიდი კმაყოფილი ელოდებოდი გამგზავრებას, წითელი ტუჩებით...

უკანასკნელ წუთს მოგაქცივე ყურადღება, ბერეტი რომ აგიწიე, ელდა მეცა, შენი სახე ველარ ვიცანი, შეგეკითხე, სად გაიმურე ეს სახე, რასაკვირველია ვერ გამოგტეხე, თუმცა ამ გათხუპნული სახის გაწმენდაში დამორჩილებული გატრუნული მყავდი.

გასაოცარი იყო. ამ შვიდი წლის ბავშვისათვის ვერ ის შავი ლაქის ახდილი ტუფლები და ეხლა სახის გალამაზება. ყველაფერი ეს კი ერთი მიზნისათვის იყო ნაფიქრი, რომ უცნობ მამას მოსწონებოდი.

ვერც ერთი სურვილი ვერ აგისრულდა, ვერც წარბები დაიგრძელე და ვერც ნახმარი ფეხსაცმელი შეიცვალე და მამას ჩაბარდი ძველი თეო.

სადგურზედ გეცხვირნენ ჩვენი მეგობრები, იქ გამაგებინეს, რომ პირდაპირი მატარებელი არ მექნებოდა, არამედ ორჯერ მომიხდებოდა გამოცვლა. მეწყინა ეს, რადგან ენის უცოდინარს ბევრი სიძნელეები მელოდებოდა. ნიკო ნაკაშიძე მარწმუნებდა, იქვე ამიღო მეორე კლასის ბილეთი, მატარებლის გამოცვლა აგცდებათ და უკეთ იმოგზაურებთო.

მაგრამ ამაზედ ვერ დაეთანხმდი, რადგან ის სამიათასი ფრანკი, რომელიც გადამრჩა, მინდოდა უკლებლივ პარიზში ჩამეტანა, სადაც სპირიდონი ცუდს მდგომარეობაში მეგულებოდა.

ჩემი მოგზაურობა ბერლინიდან და პარიზში მისვლა.

კუპეში ჩემთან ერთად ერთი ბელგიელი იყო, სადგურზედ მყოფმა ქართველებმა სთხოვეს, ჩემს მიმართ გზაში პატარა ყურადღება გამოეჩინა, თუ ეს დამჭირდებოდა.

ხელობით ინჟინერი, ცოლშვილიანი კაცი. შენს მიმართ ძალიან ალერსიანად ეჭირა თავი; ალმოჩნდა, რომ შენოდენა ვოგონა ჰყოლია, დიდის სიყვარულით გაგიშალა პლედი და დაგაწვინა დასაძინებლად, მე აღარ დამაცალა.

სამწუხაროდ დილით გამოგეეთხოვა და თავის გზას გაუდგა, გამაგებინა, რომელ მატარებელში უნდა გადაეჯდე და რამდენი ხანი მომიხდება დაცდა.

მაგონდება ბევრი სასაცილო ამბავი, ვეძებ ჩემს მატარებელს, აქ დავიბენი, კიბე მაქვს ასაღები, მოხელე მეუბნება აქ ჩადითო, ჩასვლით კი ჩავდივარ, მაგრამ იქ ვერაფერს ვპოულობ და ისევ უკანა ებრუნდები, ავდივარ და ჩავდივარ შენ დამდევ და ხითხითებ, დავიდგა დრო, რომ ცოტა გაერთო.

როგორც იყო მივაგენი ჩემს მატარებელს და აევდით, ძლივს ამოვისუნთქე, შეგიყვანე ვაგონის რესტორანში, სადაც ხალხი დამშვიდებულად, არხეინად საუზმობდა, ჩვენ დიდი ნაომრები!

ჩვენთან ახლო, იქვე მაგიდასთან ახალგაზრდა ჩინელი იჯდა, დამიწყო ლაპარაკი, რუსულ-ფრანგულად, ზოგჯერ ჩინურსაც იშველიებდა, საიდან მოვდივარ, ან ვინა ვარ, მეტისმეტად ცნობისმოყვარედ მეჩვენა.

მალე ჩავიდა, სხვა მატარებელში გადავიდა, ფანჯრიდან მანიშნებდა, ეს პარიზის მატარებელია და რატომ მეც არ აევდივარ, ხელებს იქნევდა. მაჩქარებდა.

მე უნდა მეორედ გამომეცვალნა მატარებელი, რომელიც იგვიანებდა, ამის მოლოდინში ვიყავი, რომ ერთი ქალი თავისი ორი გოგონათი ჩვენს მახლობლად აღმოჩნდნენ, ისინიც პარიზში მიდიოდნენ. ბაქანზედ დავინახე ბანანების გამყიდველი, ვიყიდე მთელი ერთი ღერი, ვიფიქრე გაგახარებდი ამ შენთვის სრულიად უცნობ ხილით.

შენ, რასაკვირველია, მაშინათვე იმ ბავშვებთან მიირბინე და შესთავაზე, დიდის მადლობით გამოგისტუმრეს, მაგრამ ცოტა არ იყოს, ეს მათ გაუკვირდათ, რადგან თავიანთ მამას მიეგებნენ და სხვა-პასხუპით რაღაცას უამბობდნენ.

ალბათ ამ ბანანების ამბავს და იმ სიუხვეს, რომელიც შენ გამოიჩინე. ყველა მათგანს თითო ბანანი მიეცი. მაშასადამე შენს ბანანების ღერს სამი ბანანი მოაკელი, ყოჩაღ, ჩემო გოგონი, გამასპინძლება შენი დამახასიათებელი თვისება იყო ყოველთვის, მინდა ასეთი. დარჩე, ჩვენს ოჯახში სიძუნწეს თავის დღეში ადგილი არა ჰქონია. ესენიც ბელგიელები აღმოჩნდნენ, ერთად ჩავსხედით, გზაში ბევრჯერ შემომთავაზეს შავი ყავა, საგზაოდ წამოღებული, შესაფერის ჭურჭელში, მეც გავუმასპინძლდი ხიზილალით, რომელიც პეტროვსკში მქონდა ნაყიდი და ძალიან იაფად, თუ არა ვცდები, გირვანქაში სამი მანეთი მიეცი. წარმოდგენა არა მქონდა, რომ ევროპაში ეს ძვირფასი საჭმელი იყო, თორემ ბერლინიდან მოყოლებული ასე იოლად არ ვაგემებდი ყველას და ცოტას მაინც სპირიდონისათვის შეინახავდი.

იმას ვერაფერი ვარგუნე, გარდა შენი თავისა, რომელიც მალე გამოიჩენდა თავისი წლოვანობისათვის შეუფერებელ გონების განვითარებულ დიდ დონეს და კარგ ქართული ენის საშუალებით მის გამომჟღავნებას.

გზაში ყურადღება მივაქციე ერთ ხანშიშესულ კაცს, ფრანგი იყო. ის ჩამოხტა ერთერთ სადგურზედ და ამოსვლისას ხელში მშვენიერი ყურძნის მტევანი ეჭირა, დაჯდა და თავის მეზობელს უჭვენა, ნახეთ, რა იაფად ვიყიდეო, დიდის მონდომებით დაიწყო ყურძნის ჭამა, რასაკვირველია, ერთი კუფხალიც არ შესთავაზა ამ თავის მეზობელსს..

შემდეგ სადგურზედ კიდევ ჩავიდა სამსუნაგოდ და იქიდან ხელს მშვენიერი მსხალი ამოაყოლა. ესეც მოაწონა იმ კაცს, ხელშიაც მისცა დასაჭერად, რომ მისი სიმძიმე ენახა და ამაში მიცემული ფასი გაჰკვირვებოდა.

მსხალი დიდ ხანს არ გაუჩერა ხელში და მალე დაიწყო მისი დანით ფცქვნა, ვიფიქრე, ეხლა კი შესთავაზებს პატარა ნაჭერს ამ დაუზარებელ ასისტენს, რომელიც მონაწილე იყო ამ ხილის სყიდვის ოპერაციაში, მაგრამ, შენც არ მომიკელე, ფრანგმა მალე გაათავა თავისი მსხალი, ლამაზად მიიწმინდ-მოიწმინდა პირი და დინჯად განაგრძო გაზეთის კითხვა.

მაშინ დავინახე ევროპა, მისი წერილ-წერილი ანგარშიანობით და თუ გინდა უადამიანობით.

მართლა და აქ ყველა მხოლოდ თავისთვის ცხოვრობს და იმდენად, რომ გამოდის "სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი"ო. ეს ჩემთვის უცხო იყო და არ მომეწონა.

ჩვენი პარიზში მოსვლა და პირველი წელიწადი აქ გატარებული

საქართველოდან ენკენისთვის პირველში წამოსულნი მხოლოდ ამავ თვის 16-ს მოვედით პარიზში, საღამოს რვა საათი იყო; ვლელაედი, ჩემი გაოცება, რომ სპირიდონი სადგურზედ არ დაგვიხვდა, ბევრი ვათვალიერეთ, ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ. ჩვენთან ეს ბელგიელიც გაკვირვებული სჩანდა; ეს იყო პირველი მარცხი, რომელსაც ბევრი სხვაც დაემატა. ამ უცხო ქალაქში გზააბნეული უნდა მეელო, რომ ეს ბელგიელი ზრდილობიანი და თავაზიანი არ ყოფილიყო.

იმან გამომართვა სპირიდონის მისამართი, მომიყვანა ტაქსი დაგვაბინავა და დაგვტოვა; რა იფიქრა ამ უცხო ადამიანმა არ ვიცი, მე არაფერი შემამჩნევინა; შორიდან მოსულებს, რომ მამა სადგურზედ არ მოგვესალმა და დაჩქარებით შენ ხელში არ აგიტაცა, ეს არ იყო ბუნებრივი.

ცუდს გუნებაზედ დავდექით, მივდიოდით ამ ნაწვიმარ, ნესტით გაჟღენთილ ქუჩებზედ უსიტყვოდ, ნაღვლიანები და მწარე ფიქრებით დატვირთულნი.

ხალხი მიკრეფილი სჩანდა, ბურუსში გახვეული პარიზი არ პარიზობდა, ბნელოდა კიდეც, იმ სალამოს ამ მშვენიერი ქალაქის სიკეთე ვერაფერი ვნახე და სრულებით არ მომეწონა.

მივადექით უდინოს ქუჩაზედ მოთავსებულ პატარა ოტელს, სადაც სპირიდონი მეგულებოდა, მაგრამ იმ წუთს ესეც საეჭვოდ მიმაჩნდა.

მოსამსახურე ქალი მაშინათვე კიბეზედ ავარდა და პირველ სართულში კარებზედ დააკაკუნა: "თქვენი მეუღლე მოვიდა"ო. ამ მახარობელს ჩვენც ფეხდაფეხ მივყეთ და კარები შეუაღეთ, ოთახში მამას გვერდით ჩემთვის სრულიად უცნობი კოტე კობახიძე იდგა, ეს გარემოება ერთგვარ უხერხულობას და არაბუნებრიობასა ჰქმნიდა.

არც კი ვიცი, როგორ მივესალმე ამ ექვსი წლის უნახავ ქმარს, ან შენ როგორ უნდა გეცნო ამ ორ კაცში, რომელი იყო "მამა

ფიდო", შენ ის ნანახი გყავდა უკანასკნელად ცისფერში რომ მიგიყვანე გამოსათხოვნებლად, მაშინ შენ ორი წლისა იყავი. იდექი შუა ოთახში ამ ორი კაცის თანადასწრებით და ნერვიულად, თითქოს იცინოდი, მაგრამ ჩუმად, მთლად დაგეტოვებინა შენი მშვენიერი კასკასი.

კოტე კობახიძემ იგრძნო რომ ზედმეტი იყო და ცოტა ხნის შემდეგ გაეცალა. აღმოჩნდა, რომ სპირიდონი ათი საათის მატარებლით გეელოდებოდა, ასეთი ცნობა ჰქონდა მილებული ბერლინიდან, აი სწორედ ამ დროისათვის აპირებდა სადგურზედ ჩვენ დახვედრას.

ასე გაფუჭდა ჩვენი დიდი ხნის ნანატრი შეხვედრა.

"მთელი დღე სპირიდონი ძალიან ღელავდა, ხელში ეჭირა საათი და წუთებსა სთვლიდა, მისი სახე ბევრის მთქმელი იყო, ეჩქარებოდა სადგურზედ წასვლა"ო, ასე უამბნია კოტე კობახიძეს ეს ამბავი ზურაბ ავალიშვილისათვის.

სპირიდონს კი ერჩიენა იმ დღეს მოწმე არა ჰყოლოდა, მარტო ყოფილიყო, "ამას კოტე ვერ მიხვდა"ო, მეუბნებოდა განსვენებული. დიდ ხანს დავრჩით გაბრუებულნი, ლაპარაკს ვერ ვახერხებდით, იმავ საღამოს შენ ცუდს გუნებაზედ დასდექი, რადგან ოთახში სამის მაგივრად ორი საწოლი იდგა, ერთი დიდი და მის გვერდით პატარა, ბავშვისათვის. მაშინათვე კიდეც მითხარი, "მე ისე ვატყობ, რომ თქვენ აქ ერთად დასწვებით, და მე ამ პატარაში ცალკე მომათავსებთ"ო.

აქედან დაიწყო შენი ეჭვიანობა და ნამდვილი ბაშვის დრამა, ამაზედ შემდეგ ვილაპარაკებ.

დაინახე, ოთახს რომ თვალი მოვაელე, საწოლის გვერდით პატარა მაგიდაზედ მინდერის ყვავილების ლამაზი თაიგული აკუნწლული ჩემი წერილებით და სურათებით, რომელიც საქართველოდან სპირიდონს ეგზავნებოდა, ხშირად ქვიშიანიც. ამიტომ მამამ პირველი სიტყვით რომ მომმართა, ეს იყო პატარა საყვედური, "ამდენი სიმწარე და ამაეე დროს ბევრი სიტკბოც როგორ ათქმევინე შენ ენასა"ო. მხედველობაში ჰქონდა ჩემი საყვედურები, რომ მე და შენ იმ ჯოჯოხეთში დაგვტოვა, როდესაც აქეთ მოდიოდა, მაშინ ჯერ კიდეე კომუნიზმის ბრჭყალები არა სჩანდა, მე კი ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ცუდი დრო არ დაიგვიანებდა და მალე მისი შაეი ღრუბლები აიშლებოდა, ამიტომ მინდოდა ჩვენც წამოეყვანეთ.

საბოლოოდ სპირიდონი ერთ წერილში მწერდა: „"შენი ალღო უფრო სწორე აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი გონების ნაცოდვილარი პროგნოზი"ო. ეს მომწერა მაშინ, როდესაც ჩვენი მიწერ-მოწერა ძალიან გაძნელდა, რაც მე მხედველობაში მქონდა და ჯერ კიდეე ციხეში სიარულის დროს ის ბევრჯერ გავაფრთხილე.

შენ იმ საღამოს ნაღვლიანი დასწექი, ჩემთან დაშორება იგრძენი ამ შენთვის უცნობ კაცის გამო, ამის და მიუხედავად ბედს დაემორჩილე და პატარა ხანს უკან შუა ძილში იყავი.

იქვე მაგიდაზედ თვალი მოკკარი "სპირტოვკა"-ს, რომლისაგანაც საქართველოში ბებოს თავი ჰქონდა მობეზრებული, რადგან მხოლოდ ერთი ქვაბი იდგმებოდა; აქ პარიზში მისი ნახვა დიდი იმედების მომცემი არ იყო, ჯერ იმიტომ რომ აქაური უფრო მოპრუ-

წული და ფერმიხდილი იყო, ვიდრე ის აქეთ წამოსელისას ბებო თეოს ზუგდიდში რომ გაეცუგზაენე, გარდა ამისა, ეს მღალდებელი იყო იმისაც, რომ ამის შემძენი "შამა ფიდო" დიდ გაშლილ ცხოვრებას არა მპირდებოდა.

ჩვენს დასახვედრად კი მამას ეზრუნა აბანოს თეთრი ხალათები და ოდეკოლონი. როგორც საჭმელი ერთი შემწვარი ქათამი და ერთი ბოთლი ღვინო, ეს ყველაფერი ბეკრად სცილდებოდა მის ბიუჯეტს, მაგრამ ძვირფას სტუმრების მოლოდინში სპირიდონს ჯიბეზედ ხელი გაეკრა.

ამ შემთხვევაში ხოშტარია გაუმართავდა ხელს; ჩემ ჩამოსელას პარიზში ისიც ელოდდა, რადგან პატარა გოგონა ჰყავდა მოსაყელელი, იმას უნდოდა მთლად მე მეკისრა მისი აღზრდა განათლება, ეს მე საქართველოშიაც გადმომცეს; მაგრამ ამას როგორ შემაძლებინებდნენ მის გარშემო თაემოყრილი ემიგრანტები, სულ სხვანაირად დატრიალდა ეს ამბავი, მაგრამ ამაზედ არა ლირს ლაპარაკი.

მეორე დილით ჩვენს მუდმივმა თანამგზავრმა კოტე კობახიძემ სპირიდონს ფული სთხოვა, ალბათ იფიქრა რომ მზითეიანი ჩამოვიდოდი, ამწაირად ჩემ სამაათას ფრანკს სამასი ფრანკი მოსწყდა, არ მესიამოვნა, მაგრამ არ შეეიმჩნიე და საუზმეზედ სპირიდონთან ერთად იმ შემწვარ ქათამს მეც ეთავაზობდი ამ ახლად გაცნობილ კოტეს და მის სადღეგრძელოებსაც სიამოვნებით ვისმენდი.

როდესაც სპირიდონსა ეკითხე, რითი და როგორ ცხოვრობს, ძალიან მძიმედ და ნაღველიანად მიამბო თავისი მატერიალური უსახსრობა, ისე რომ მიხაკომ ბერლინში სიმართლე მითხრა; "მე რომ პარიზში ვიყავი, მე და სპირიდონი ეშიმშილობდით"ო.

სპირიდონი ვალებში ჩაფლული დამიხვდა, ოთახი ნისიად, პანსიონში სადილობს, ისიც ნისიად, ჩაცმით ხომ მაშინდელი მკერავი მერიგე მთელი ჩვენი ემიგრაციის ჩამცმელი იყო და უფრო ხშირად ნისიად.

მთელი ოტელი სპირიდონთან ერთად განიცდიდა ჩვენს ჩამოსვლას. მოემზადებინათ შენთვის ზოგს სათამაშო, ზოგს ტკბილეულობა, ერთი სიტყვით ამ უცნობმა ხალხმა გაგვათბო, განსაკუთრებით ოტელის პატრონმა აპოლინერის ცოლმა მშვენიერი თოჯინა ამოგიტანა და მთელი ის დრო დიდის ყურადღებით იყო ჩვენს მიმართ.

როდესაც გაეცანი და ხელი ჩამოვართვი, მითხრა: "იცით, როგორი მეულლე გყავთ, მე არ მეგულება არც ერთი მამაკაცი ცოლის ასეთი მოყვარული"ო.

შემოვიდა ერთი ხანშიშესული ინგლისელი ქალი, მოწიწებით ეჭირა თაეი, მოგვილოცა ჩვენი ოჯახის გამრთელება, შენ გადმოგცა ერთი ყუთი შოკოლადით, ისიც გამაგებინა, თუ რამე დაგჭირდეთ ამ ბაეშეისათეის, ნუ მომერიდებითო.

მე არ ვიეარგე, თორემ კარგი კავშირები შეიძლებოდა დამეჭირა და ცხოერებაში გამომეყენებინა და განა მარტო მაშინ, ბევრჯერ სხეა დროსაც, უშნო ვიყავი, უშნო.

ამ ოტელში მეტი წილი უცხოელი იყო, სალამოობით იკრიბებოდნენ ქვემო სართულის კეკლუცად და მყუდროდ მოწყობილ პატარა სალონში და თითქმის ოჯახურად იყვნენ ერთი-მეორესთან დაკავშირებულნი.

ოტელის პატრონი, ისპანელი ქალი ფრანგზედ იყო გათხოვილი გვარად აპოლინერი თავისი ქმრით და ერთი ვაჟიშვილით იქვე ცხოვრობდა, იმის სახელზედ იყო ამ უდინის ქუჩაზედ №9 სამსართულიანი სასტუმრო.

შედარებით ახალგაზრდა, ლაზათიანი, სასიამოვნო ქალი იყო; შეგნებული, განათლებული, კარგი კალმის პატრონიც და ამავე დროს კეთილი გულის მქონე აღმოჩნდა.

კარგად ჰქონდა გაგებული ემიგრანტების მდგომარეობა და უმწეობა, სპირიდონთან ერთად ამ ოტელში მისაკო წერეთელსაც უცხოვრია, ასათიანს სპირიდონის გვერდით ჰქონდა აღებული ოთახი, იმ ჟამად ის წასული იყო სტამბოლში, მაგრამ ოთახი ენახებოდა, ბოლოს კოტე კობახიძეც მიემატათ და მთელი ეს ჯგუფი იქ ნისიად ცხოვრობდა. მაგრამ გასაოცარია, რომ აპოლინერის მეულლე კიდევ შორს მიდის, როდესაც მისაკო დაბრუნდა ბერლინში და მისი გაჭირება ამ ქალმა გაიგო, კარგი თანხა გადაუგზავნია.

ერთი სიტყვით ეს ქალი დიდი მეგობარი იყო ქართველებისათვის, სამწუხაროდ ეხლა ის აღარ არის; სპირიდონის სიკვდილის გამო მშვენიერი წერილი მომწერა, თვითონ საბოლოოდ ცუდათ წაუვიდა საქმე, ქმარი მოუკვდა, ოტელი დასტოვა და ცხოვრობდა სოფლად, ლოგინად იყო ჩავარდნილი, ძვლების სისუსტის გამო.

იმისდა მიუხედავად, რომ სპირიდონი ასეთ უმწეო მდგომარეობაში დამიხვდა, ქართველები, რომელნიც ჩემს ნახვას ესწრაფებოდნენ, დაჟინებით მეკითხებოდნენ, როდის აიღებთ ბინასო, ეტყობა, ერთმანეთისა არაფერი იცოდნენ, თორემ ასეთ კითხვას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

შემდეგ მივხვდი, რომ ამ ხალხს უნდა ეფიქრა და წარმოედგინა კიდეც სპირიდონი დიდი ფულის მქონე კაცად!!

ამის შესახებ მერე გიამბობ "საზლაპრო" ამბებს.

ეხლა მინდა შენს პატარა ისტორიებზედ შევჩერდე, ჩემ ცხოვრებას შევეხო და სულ ბოლოს მამას ადგილზედ ამ ჩვენ ქართულ ემიგრაციაში კი დავწერილებით ვილაპარაკო.

ჩამოსვლის პირველ დღესვე შენ მამა გაახარე საქართველოდან ჩამოტანილი სიმღერებით დაიწყე შენი რეპერტუარი საბავშვო სიმღერით[1]; ამ სიმღერის მუსიკა კომპოზიტორ შარაბიძისაა, სიტყვები შიო მღვიმელის კალამს ეკუთვნის; "მერცხალი".

"ენა ჭიკჭიკებს მეძახოდით, თბილ ქვეყნიდან გადმოსულსა,
გაზაფხულის მახარობელს, განთიადის მოციქულსა,

---

1 როგორც ყოველთვის მე პირველს ვამბობდი და შენ მეორეს.

ვარდობის დროს თქვენთან ვიყავ, შემოდგომას გაგეცლებით,
ამისათვის არ გამიწყრეთ, მეგობრებო გენაცვლებით.
ვიცი წახვალთ თქვენს სკოლაში იცუნცულებთ, იცქრიალებთ
გაკვეთილებს გაიკვეთავთ, შირომებთ და იერთგულებთ,
გაზაფხული კიდევ მოვა, მოეფრინდები ისევ გნახავთ,
ოხ, რა ტკბილად გიგალობებთ, თუ მეც ბუდეს შემინახავთ.“

იგივე შარაბიძის მუსიკის მეორე ნიმუში; აკაკის “მთაწმინდა“ზედ დაწერილი; ამ მუსიკას მე ვისმენდი ხშირად ჩვენ მე-8 სკოლის სიმღერის გაკვეთილზედ, რომლის მასწავლებელიც იყო თვითონ შარაბიძე.

ამის შემდეგ მამას უმღერე პატარა-პატარა სიმღერები საიდუმლოდ შეთხზული და ნამღერალი, ქართველ მებრძოლთა გულიდან ამონახეთქი, როგორც მაგალითად;

“კომუნიზმიც ამას ჰქვიან ვაი, ვაი,
ქართველობა მეტეხშია ვაი, ვაი...“

ან კიდევ; “ვიტანჯეი მამულო, შენი სიყვარულით,
დაეკარგეთ გვირგვინი, დროშა, სიხარული,
მახსოვს ტაბახმელა, ბრძოლები გმირული,
და სისხლი მრავალი შენთვის დანთხეული.

ქაქუცას ხსოვნას. არსენას ლექსის მიხედვით, მიბაძვით:

“ჩემი ბინა მინდერად იყო, ჩემი სახლი ტყე და ველში,
მე მარტოკა არ ვყოფილვარ, მეგობრები მყვანდნენ გვერდში,
სამი წელი თოფით ხელში ვნავარდობდი ხევსურეთში,
ჩემთვის ძილი ალარ იყო, ვათენებდი ჯურღმულებში.
ამოვწყვიტე მტრისა რაზმი, გადამირჩა მხოლოდ ერთი,
მე მარტოკა არ ვყოფილვარ, კახელები მყვანდნენ გვერდში
საქართველოს გულისათვის ბევრჯერ კიდევ ვიომებდი,
მაგრამ სიკვდილმა მომისწრო და ჩაველშვი სამარეში.“

ამ სიმღერის ჰანგი მე გაეიგონე კახეთში, მხოლოდ სიტყვები იქ ძალიან ცოტა იყო, იმეორებდნენ ერთსა და იგივეს, ე.ი. პირველ ორ სტრიქონს.

ემიგრაციაში, მისი სიკვდილის შემდეგ რომ მას ვუძღვენი საღამო, მაშინ ამ სიმღერაში სიტყვები მე შევავსე. პოეტი არა ვარ, მაგრამ ეს გავბედე, იმედია, მაპატიებ ჩემო თეო, აქ მე კომპოზიტორის როლიც შევასრულე და ვუძღვენი ქაქუცას სიმღერა:

“ალარ მელირსა, მივენიერო ჩვენო კახეთო,
რომ გომბორის მთებს, შენ მშვენებას კვლაე გადმოვხედო“.

ვახტანგ ორბელიანი. შემდეგ სპირიდონი ხშირად იგონებდა იმ დილას, როდესაც საქართველოდან ახლად ჩამოტანილი ჰანგები მოვასმენინეთ, ამას ის ცრემლიანი თვალებით ისმენდა; ამიტომ შეუბნებოდნენ თბილისში ჩემი მეგობრები: “თქვენი ნახვით სპირიდონი საქართველოსაც ნახავს“ო.

მახსოვს ის პირველი დილა, როდესაც მამამ საპურეში შეგიყვანა, სადაც შენ თურმე გაოცებული იყავი, როდესაც აქაური სიუხვე შენ თვალწინ გადაიშალა, რომ შეგეძლო, რამდენიც გინდოდა ეს დაბრაწული კრუასანები, იმდენი შეგეძინა.

ეს იყო პირველი შთაბეჭდილება გამძლარ ევროპაზედ, კმაყოფილი დაბრუნდი, მაგრამ მალე მოგერია ეჭვიანობა და მამას წინააღმდეგ ამხედრდი.

"სულ ჩვენთან უნდა იცხოვროს ამ კაცმა"ო, ან კიდევ მეორედ, "შენ მამას არ უყვარხარ, ქუჩაში რომ ავტომობილი მოდის, შენ ახლო ჩაიელის, ხელს არ მოგჭიდებს, რომ მოგარიდოს, ხომ შეიძლება დაგეჯახოს და წაგაქციოს"ო.

მე და შენს შორის ეს ახლად გაცნობილი კაცი შენ ნერვებს გიშლიდა; ერთხელ ტრაღიკულ კილოზედ გამაგებინე შენი ტანჯვა: "დედა, რომ იცოდე, რა უბედური ვარ, მე უბებოდ სიცოცხლე არ შემიძლიან"ო. ფანჯარასთან იდექი, წეიმდა...

შეჩვეული იყავი, ქუჩაში ან ჩემი ხელი გეჭირა, ან ბებოს ხელზედ იყავი ჩამოკიდებული, აქ კი შენ წინ გაგიშვებდით და უკან მე და მამა მოგდევდით, მეტადრე თუ ეიწრო გასაელელი შეგეხვდებოდა, მაშინ ფეხებში გვედებოდი და რომ გეტყოდით, წინ წადიო, აი ეს მომენტები იყო, რომ ჩემთან გაშორებდა, ამას მწარედ განიცდიდი. ერთ დღეს პატარა შენიშენას გაძლევს. — ალბად შენებურად ბევრი იტაკტაკე: "თეო, როდესაც სტუმრები არის"—"არიან"— მშრალად გაუსწორე მამაშენს ეს მისთეის შემთხვევითი შეცდომა! მამას გაეცინა და შემომხედა...

მამაც ეურ გამოდგა კარგი ფსიხოლოგი, რომ ასეთი წერილმანები შენთეის აეცდინა. რთულია ბავშეის შინაგანი განცდები.

საბედნიეროდ ნელნელა შეეჩეე მამას უკვე მასთან ერთობოდი კიდეც იმ პატარა ოტელის ოთახში ერთად ჭანდრაკს სთამაშობდით. წარმოიდგინე თურმე იგებდი ან იჭნება მამაც ცოტას ხელს გიწყობდა... "არა"ო მარწმუნებდა სპირიდონი. და საბოლოოდ იმდენად დაუმეგობრდი, რომ მე უნდა დამეწყო ეჭვიანობა; აი იმ პირველ ხანებში კი მართლა ძალიან დაიტანჯე.

ჩამოსვლისას სპირიდონს გავაგებინე, რომ ძალიანა ვარ დაღლილი, სტუმრობის თავი არა მაქვს, ამიტომ ნურაეისთან ნუ წამიყეან.

მოგეაწყდა ხალხი, დაიწყო ტელეფონების რეკვა და სადილებზედ დაპატიჟება, ვინ ეის დასწრებდა.

ეერ შეეძელი, ჩემი გამეყვანა და სპირიდონს დაეუთმე. უნდა გითხრა, ჩემო შვილო, რომ ძალიანა ენანობ.

ემიგრაცია და მის მიერ აქ შეძენილი თვისებები, ჩემთვის უცნობი იყო, რაც უმთავრესია, მიკვირდა, რომ საქართველოს ამბებს არავინ მეკითხებოდა, და თუ მე დავიწყებდი ლაპარაკს, იქაურ ამბებს ეუმბობდი, მაწყეტინებდნენ ქალებიც, კაცებიც უკლებლივ "ამაზედ სხვა დროს ეილაპარაკოთ"ო ან "ეხლა სხვა რამეზედ ეილაპარაკოთ"ო.

ჩემთვის ეს გაუგებარი იყო, რომ საქართველოს ავი თუ კარგი გადმოხვეწილ ხალხისათვის არ იყო საყურადღებო. მაშ რათ უნდოდათ ნახვა?

უფრო შენ გეკითხებოდნენ, "პარიზი მოგწონს"? რომელი უფრო ლამაზია თბილისი თუ პარიზი?

მაშინ მე და შენ პარიზი დაწუნებული გვქონდა; შენი პასუხი იყო, რომ "ძალიან ბნელა, თბილისი კი ღამე ისეა გაშუქებული, რომ იმ სინათლეზედ შეიძლება ადამიანმა წიგნი წაიკითხოს"ო; ეს მართალია, თბილისი კარგად იყო განათებული, მე კი ოთახში დიდი ხნიდან ელექტრონი გადაჭრილი მქონდა და პატარა ლამპის ანაბარას ვიყავი.

დრო გადიოდა, შენა მყვანდი მოსაელელი; თბილისში შენი სკოლაში შეყვანა მინდოდა, დაგვიანებით მომხდარიყო, რადგან სუსტი იყავი და ვფიქრობდი, თორმეტ წლამდე მაინც სახლში მყოლოდი.

შენ კი ძალიან იწევდი სკოლისაკენ. ერთხელ ერთმა მასწავლებელმა თავისთან მეორე განყოფილებაში შეგიყვანა, 6 წლისა იყავი, უნდოდა შენი რეაქცია ენახა, თურმე აღარ აცდიდი მასწავლებელს, ყოველ მის მიერ მოცემულ კითხვაზედ ადგილიდან უპასუხებდი.

მითხრა: "შეგიძლიანთ ეხლაე ამ რვა-ცხრა წლის ბავშვებთან ერთად დასვათ, მხოლოდ დისციპლინას უნდა შეეჩვიოს და სხვისა მაგივრად სხაპასხუპით პასუხი არ მომცეს"ო.

ასე იყო საქართველოში, ჩემო მშვენიერო, შენი ამბავი. იმისი თქმა რად მინდოდა, შენი ლაპარაკი რომ მაგონდება, ეხლაც მიკვირს. ერთხელ ჩემმა რძალმა მარიმ მითხრა, თეო იმეორებს იმას რაც თქვენგან ესმისო. დედაჩემმა ამაზედ უპასუხა, სადა მაქვს მე ამოდენა ჭკვა, რომ ასე ეიმსჯელოო.

დაკვირვებული ბავშვი იყავი, შენს თვალებს არაფერი გამორჩებოდა, შენი წლოვანობისათვის მეტისმეტად შეგნებული და ყველაფრის ამკრეფი. აქ პარიზში პირველად რომ ნახე ფრანგული ჯარი და ეს იყო იმ წელიწადს, ცნობილ გენერალ ჟოფრის დასაფლავების დროს, ჩვენ ქუჩის მახლობლად გაჭიმულ სამგლოვიარო სელა დროშებით, სადაც ხშირი იყო თვალცრემლიანი პატრიოტების ნახვაც, იქიდან დაბრუნებული მამას უამბობდი შენს შტაბეჭდილებებს, რომ "აქაური ჯარისა მე არ მეშინიან, საქართველოში იმათი ძალიან მეშინოდა"ო.

ძალიან გინდოდა შენ ქაქუცას ნახვა, მის სიმღერას კი მღეროდი, მაგრამ ჯერჯერობით ნანახი არა გყვარდა, ის იმ ჟამად მთებში იყო წასული დასასვენებლად; ჩვენი საქართველოდან ჩამოსვლა რომ გაეგო, მაშინათვე სპირიდონს მისი მოლოცვა მოუვიდა და შენთვის ჰგზავნიდა ას ფრანკს, "შენ გვრიტს უყიდე რამე"ო, სწერდა სპირიდონს.[1]

---

[1] არხიეშია

ერთ დღეს ქაჭუცამ კარები შემოგვიღო, შენ იყავი და დიდის ყურადღებით ათვალიერებდი, არავითარი შთაბეჭდილება შენზედ არ მოახდინა მისმა ნახვამ, შენ ის დიდ ბუმბერაზად გყავდა წარმოდგენილი ან ვინ იცის იქნებ ცხრათაიან მდევადაც.

რომ წაიდა, შეწუხებული კილოთი სთქვი: "მე მაგას როგორც ვატყობ ვერაფერს ვერ გააკეთებს, არც კი ფიქრობს ამაზედა". აი შეაგროვოს ჯარი, მეც ვუშველი და ერთად გაერეკოთ თბილისიდან ეს რუსებიო. ალბათ გახსოვდა შენი გამარჯვება, რუსის პატარა ბაშვებზედ, ციხის ეზოდან რომ გაჰფანტე.

ეს იყო და ეს, ქაჭუცა ამის შემდეგ გეძახდა "ბელადის ბელადს" და შენ მგონი მისგან გამოგზავნილი ღია ბარათი გაქვს სწორედ ამ მისამართით: "ბელადის ბელადს". შენ ხომ ყველაფერს ინახამ.[1]

ეს მებრძოლი ქალი მალე უნდა დამორჩილებოდი ფრანგულ სკოლის დისციპლინას, აღმოჩნდა, რომ აქ შვიდი წლის ბავშვებისათვის საჭირო იყო სკოლაში ყოფნა. მახსოვს პირველი დღე, რომ გაგაღვიძე და მოგამზადე სკოლაში წასასვლელად, ძალიან ზანტად ასდექი, სხვა დროს ასე ადრე არ გაყენებდი და შემეცოდე.

ეს პირველი დაწყებითი სკოლა ჩვენთან ახლო იყო და იქ მიგიყვანეთ, მასწავლებელმა ალერსიანად წაგაელო ხელი, გკითხა, ტყუილები ხომ არ იციო. ეს იყო მისი ერთგვარი გამოცდა, რამაც ძალიან გამაკვირვა, და ეზოში თავმოყრილ ბავშვებში გაგრია.

ფანჯრიდან რომ სკოლის ბავშვებს გადავხედე, სევდა მომაწვა, თითქოს მწყინდა, რომ მათთვის უცხო ვიყავი და ვერც კი გამოველაპარაკებოდი.

პირველ თვეს სწავლა გაგიჭირდა, რადგან ენა არ იცოდი, მაგრამ მეორე თვეს პირველი მოწაფის ქების ფურცელით გაგეხარე.

სახლში რომ მოსდიოდი, იქ გიხვდებოდა პატარა პიერ აპოლინერი, შენზედ ცოტათი უფროსი, იმასთან ერთობოდი და თან ფრანგულად ტიკტიკებდი. მალე ამოიდგი ენა, ისე რომ აღარავითარი დაბრკოლება აღარ გიგრძენია, კლასში ყველა საგანი ფრანგულ ენაზედ შეგეთვისებინა.

კარგი პედაგოგი აღმოჩნდა ეს მადამ რედერი; ანგარიშის გაკვეთილზედ შენს საყურადღებოდ ჩემს სახელს ამბობდა; მადამ კედიამ ბაზარში იყიდა ერთი კილო ვაშლი, მისცა ამდენი და ამდენი, ქისაში ჰქონდა ამდენი ფრანკი, რამდენი დარჩა მადამ კედიას, რომ სხვა სანოვაგეც ეყიდნაო. შენ ყურებ გაცქვეტილი უგდებდი ყურს, ალბათ ისიც გინდოდა გაგეგო, მართლა შემხვედა თუ არა ეს შენი მასწავლებელი ბაზარში.

სკოლაში დასდიოდი ვერ ჩემის თანხლებით, მერე კი მარტოკა მისტუნტულებდი. აღარაფრის შიში შენ აღარ გაწუხებდა, მაშინ როდესაც მე დიდხანს გამყვა შიშიანობა. თუ ვინმე პოლიციელი

---

1 არხეიშია.

შემომხედავდა, ვფიქრობდი, მას ჩემი დაჭერა ჰქონდა სახეში და ასე კარგა ხანს ვიყავი ამნაირად განწყობილი.

ეს განათლებული ქალი, რომელსაც შავი წინსაფარი გუცვა, როგორც მაშინდელი სკოლის ფორმა, სახლში მოსდიოდი ამავე ფერის ხელებით ე.ი. შავად შეღებილი, ამოტურტლული შავი მელანით... სანახავი არ იყო, მაგრამ ამავე დროს კარგი ნიშნები მოგქონდა და ამით გვართობდი და გვახარებდი მშობლებს.

შენ სწავლას თვალყურს ვადევნებდი, მაგრამ მაწუხებდა ფრანგულ ენას მთლად არ ჩაეკლა ქართული ენა, რომელსაც შენ კარგად ჰფლობდი, ლამაზი დიქციით და ენაწყლიანობით.

სამწუხაროდ სხვა ქართველი ბავშვები, რომლებიც აქ ემიგრაციაში იზრდებოდნენ, ან სულ ვერა ლაპარაკობდნენ მშობლიურ ენაზედ ან ძალიან სუსტად.

ჩამოვედი თუ არა, მინდოდა ქართველი ბავშვების თამამყრა, ერთგვარი სკოლის ჩამოყალიბება, მაგრამ აქ ამას არავინ გამოეხმაურა. ტყუილად იფიქრეს საქართველოში, რომ მე აქ საჭირო ვიქნებოდი, როდესაც ერთმა ოფიციალურმა პირმა წამოსვლის წინ მითხრა: "რა კარგი საქმე მოსდით ემიგრანტების შვილებს თქვენის იქ ჩასვლითა"ო.

რომ იცოდეს, როგორ შესცდა ამაში, მე არაყის არ ვუნდოდი მაშინ და მინდა გითხრა, ჩემო თეო, არც შემდეგში, ამის მიზეზი არ ვიცი.

ვანდა ლამბაშიძემ გამაფრთხილა: "სონა, სოციალისტები შენთან შვილებს არ მოიყვანენ, მაგალითად, ვასო წულაძე, რადგან ყველანი სპირიდონის წინააღმდეგნი არიან, მე ვიკითხე ვინ არის ეს წულაძე, მას მე საქართველოში არ ვიცნობდი. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან საქართველოში სოციალისტები სპირიდონს არც პატივს აკლებდნენ და არც ნდობას, პირიქით მეტადრე პირველ ხანებში, როდესაც მთავრობა ევროპაში გადმოვიდა და თავისიანები მას ძალიან ჰკიცხავდნენ, მაშინ ხომ სპირიდონს პირში უყურებდნენ, მე ამის შესახებ მაქვს ნათქვამი ამ ჩემ დღიურში.

ამას კი ვიტყვი, რომ ემიგრაციაში მტერსა და მოყვარეს ვერ გაარჩევდი ვერც მაშინ და ვერც დღეს. აქ ყველა ყველას წინააღმდეგია. ორი ადამიანი ნამდვილი მეგობრულად დაკავშირებული იშვიათია. თითქოს ყველას დავიწყებული აქვს ის დიდი უბედურება, რამაც ამათ ამ უცხო ქვეყანაში თავი მოუყარა, ესენი უფრო პირადი ანგარიშებით იყვნენ გართულნი.

ჩემი ჩამოტანილი თანხა ნელნელა დნებოდა და საჭირო იყო ამას მივშველებოდი. სხვა ქართველ ქალებივით მეც ხელში ნემსი უნდა დამეჭირა, თუმცა პრეფექტურაში როდესაც ქალალდებს მიკეთებდნენ, ხელი მომაწერინეს, რომ აქ არ ვიმუშავებდი და სამუშაოს არ მოვითხოვდი. მაშინ როგორცა სჩანს, უცხოელებს ამის საშუალებას არ აძლევდნენ, თორემ წინა წლებში სპირიდონს უმუშავნია მონპარნასის სადგურზედ ბიუროში.

მაგრამ ეს საკერავი უნდა კერძოდ მქონოდა, მაშინ ვერავინ ვერ შემედავებოდა. რუსის ქალს გარბატოვსკის ჰქონდა საცვლების

საქმე, ბევრი ემიგრანტები ჰყავდა აყვანილი, მათ შორის ქართველი ქალებიც, იქ მუშაობდა მარუსია ღოღობერიძე, რომლის საშუალებით მეც იქ მოვეწყე.

პირველად რომ მივედი, ისე ველელაედი, როგორც მოსკოვში გამოცდების დროს. უფროსმა ქალმა პატარა გამოცდა გამიკეთა, მომცა ნიმუში და მთხოვა მისი შესრულება, ეი. არშიის ამოქარგვა, ნემსით კი ვცადე მისი უფრო ამოკერება და არა ამოქარგვა, ძალიან ულამაზოდ გამოვიდა, ეგზამინატორმა რომ დაჰხედა, ცოტა გაიღიმა, მაგრამ ამის და მიუხედავად, რომ ბრწყინვალედ არ ვეჩვენებოდი, მაინც ამიყვანა.

დავიწყე მუშაობა, პირველ ხანებში ძალიან ეცოდვილობდი, ბევრი დროც მეკარგებოდა, რასაც სხვები ერთ დღეში ასწრებდნენ, მე ორი სამი დღე ძლივსა მყოფნიდა, რომ სამუშაო ჩამებარებინა.

საბოლოოდ ფონს გავედი და იმდენად, რომ მიქებდნენ კიდეც ჩემს ნამუშავარს და მეც მოწაფესაით ვიყავი გახალისებული და სიამოვნებით დავდიოდი ამ ჩემი პატარა ჩამადანით, თვალებში შევცქეროდი ამ უფროს ქალს და მისგან კარგ ნიშნებს ველოდებოდი.

ერთხელ უცხოელ კლიენტის მოთხოვნილებით საჭირო იყო მისი კომბინეზონი დილის საათებში მიმეტანა, რადგან იმ დილით ის პარიზიდან მიდიოდა.

დილის შვიდი საათი იყო რომ მეტროში ჩავედი, რომელიც დატვირთული იყო მუშებით; ეს ხალხი თითქოს საზეიმოდ მიდიოდა, ყველანი კარგად ჩაცმულნი, ქალები ლამაზად დავარცხნილნი, თითქმის მორთულებიც კი, მამაკაცები ხელში გაზეთებით, ყველანი ხალისიანად მიდიოდნენ სამუშაოდ.

ჩემს ქვეყანაში არც მე მაკლდა ხალისი, დილიდანვე შევდგომოდი ჩემ ხელობას, მაგრამ ამ უცხოეთში ფრთებ შეკვეცილად ვიგრძენი თავი, აქაური ცხოვრებისათვის ჩამორჩენილად და უვარგისად. ვიფიქრე, რომ ამ აჩქარებულ ტემპს ვერ გავყვებოდი და ტირილი დავიწყე.

ერთმა ორმა თანამგზავრმა შემომხედა კიდეც, ამან არ შემაშინებროვა, რადგან ფრანგები ძალიან სიმპატიური სახის მქონედ მგვანდნენ მიჩნეულნი და ერთგვარ მსგავსებასაც კი ვხედავდი ქართველებთან, ისე მეგონა იმ ჟამად, ქართველები მიყურებდნენ.

რაც შეეხება შენ სკოლაში ყოფნას, ამასაც თვალიდან არა ვკარგავდი. ვეცნობოდი ფრანგულ სკოლას, თუმცა მას მე შორიდან თეორიულად ვიცნობდი, როგორც ევროპაში ყველაზედ უფრო ძველი მეთოდების დამცველი.

მართლა, აღმოჩნდა, რომ აქ ძველი ჩვეულებები მეფობდა, მაგალითად ბავშვი მთლიანად დამონებული და თავისუფლებას მოკლებულია, იგი კლასის დისციპლინაშია ჩაჭედილი, სადაც უბრალო მისი განძრევა აკრძალულია.

საქართველოდან ჩამოტანილი გამოცდილება მთლად ახალი მეთოდებისა მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ამას, ეს იყო ამერიკის ერთი პედაგოგის ელენე პარკჰერის მეთოდი, ლაბორატორიული, რო-

მელიც ეცადე მე-8 სკოლაში და კარგი ნაყოფიც მიეილე, კმაყოფილი დავრჩი, როგორც მე ისე მოწაფეები.

ამ მეთოდის მიხედვით, მოწაფე მთლიანად თავისუფალია თავის მუშაობაში, მასწავლებელი მისი ხელმძღვანელია.

მოწაფეს განსაზღვრული ვადით ეძლევა თემა, რაზედაც ის დამოუკიდებლად მუშაობს; მასწავლებლის თანადასწრებით მოწაფე თავის ნაშრომს მთელ კლასს უზიარებს, სადაც ადგილი აქვს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, კრიტიკას და დასკვნას. ეს მეთოდი უფროსი კლასებისათვის მთლად მისაღებია. პატარებისათვის კი ნაადრევია, გარდა ამისა მათემატიკურ საგნებში ძნელად მისაღწევია, ვიდრე ისტორიასა, გეოგრაფიასა და ლიტერატურაში.

მოწაფეები ხალისით მუშაობდნენ, ამიტომ წლის ბოლოს მათ თავი მოეყარეთ, რომ მოგვესმინა მე და სკოლის ხელმძღვანელთ, თუ როგორ აფასებდნენ ისინი ამ ახალ მეთოდს.

ჩემი კლასი მთლიანად კმაყოფილი იყო, მაგრამ ერთმა მოწაფემ, თუ არა ვცდები, შოშიაშვილმა ალელეებით განაცხადა: "მე წინააღმდეგი ვარ ამ ლაბორატორიულ მეთოდისა, თქვენ რომ იცოდეთ, რას გვაძლევდა ამ საგანში ქალაბატონი სოფიო, მაშინ დამერწმუნებით, რომ ეს ახალი მეთოდი უსულო, მკვდარი და უსარგებლოა"ო.

აქ ჩემი ქებაც იყო და ამავე დროს დაწუნებაც.

მინდა გითხრა, ჩემო თეო, ძალიან მიკვირდა, რომ აქ სკოლაში ყველაფერს ზეპირად გასწავლიდნენ, მაგალითად გეოგრაფიას, ისტორიას და სხვა.

პირველ ხანებში შენ წამოსაყვანად მოსული ეზოდან ყურს ვუგდებდი ანგარიშის გაკვეთილის მსვლელობას, მიკვირდა, კლასის. მთელი გუნდი რომ იზეპირებდა, "ერთი და ერთი ორია, ორი და ერთი სამია" და სხვა. როდესაც ჩემ აზრს ქართველებში ვიტყოდი, ირონიით მიპასუხებდნენ; "ვხედავთ ფრანგული სკოლა არ გაკმაყოფილებთ და სწუნობთ"ო.

რომ ფრანგული სკოლა არ იყო უნაკლულო ეკერ მაშინ და დღესაც არ არის მისი ბევრი რამ მისაღები და გაუგებარია, ეს უნდა ეხლანდელ მმართველებს ჰკითხონ, რომელნიც ძალიან მოწადინებულნი არიან თავიანთ სასწავლებელს ძველი ხავსი მოახადონ, რომ კარგი პირობები მისცენ ახალ თაობას მუშაობისათვის და მას შესაფერისი მომავალი მოუმზადოს.

ჩემი უმნიშვნელო აზრი მინდა მაინც გითხრა; ის რაც აკლია ფრანგულ სკოლას; მას კარგად ეხერხება დიდი ცოდნის მიცემა, ყველას თავი კარგად მუშაობს, ციფრები ხომ კარგადა აქეთ თავთავის ალაგას დალაგებული, ამ მხრივ უნაკლულოა.

მაგრამ ეს ხომ არ არის საკმარისი, საჭიროა ამასთან ერთად ჰორიზონტის გაფართოება, საკუთარი "მე"ს დავიწყება, საჭიროა ადამიანობა, სიყვარული, ერთი მეორის გაგება.

თუ ამას ფრანგული სკოლა შესძლებს, დიდ სამსახურს გაუწევს ეკერ თვით თავის ქვეყანას და ამის საშუალებით მთელ კაცობრიობას;

ფრანგი თავისი ცოდნით, რომელსაც ის მშვენიერი სტილით მოჰფენს ქვეყნიერებას და ჰუმანიური თვისებებითაც, ის იქნება უბადლო და ყველასათვის მისაბაძი.

ამისათვის კარგი პედაგოგები უნდა ჰყავდეს ქვეყანას, ეს არის უბარი წამალი, რომ ფრანგი ეიწრო წრიდან გამოვიდეს.

მე და შენ ორივენი სხვადასხვანაირად ვეცნობოდით პარიზს და მის ავკარგიანობას. შენ კმაყოფილდებოდი სკოლაში კარგი ნიშნებით, მეც ამ ნიშნების მონა ვიყავი, მაგრამ შენ წინაურდებოდი, მე კი ნელ-ნელა უკან ვიხევდი. ამის და მიუხედავად ოჯახი კმაყოფილი სჩანდა, ზოგჯერ უდარდელიც.

იმ წელიწადს გამდგარი, თბილი შემოდგომა დეკემბრის მკაცრმა სიცივეებმა შესცვალა და იმდენად, რომ ჩვენი ოთახის ფანჯარა შიგნიდან ყინულის ლოლუებით იყო შემკული, თუმცა მთელი ოტელი გამთბარი იყო, შენ სუმბუქად იყავი ჩაცმული, როგორც ეს სჩვეოდათ აქაურ ბავშვებს, სკოლაში კიდევ შესვენებაზედ მასწავლებელს სიფრიფანა წინსაფრების ამარა თბილი ოთახიდან პირდაპირ გარეთ ეზოში გაჰყავდით. ისე რომ, შენ ეზოში სირბილი ძვირად დაგიჯდა და ფილტვების ანთებით დაბოლოვდა, მთელი შობის უქმეები ლოგინში გაატარე.

ადვილად წაროიდგენ ჩვენს გუნებ-განწყობილებას, ესღა გვესაჭიროებოდა, რომ სასოწარკვეთილამდე მივსულიყავით. ცუდს პირობებში მყავდი ამ ავადმყოფობის დროს, თითქმის ყოველ საღამოს სტუმარია; მოდიოდნენ შენი ამბების გასაგებად, მაგრამ ერთ ოთახში თუთუნის სუნი და ხმაურობა ერთად შენ ძილს გიფრთხობდა, ამიტომ დაიწყე ჭირვეულობა, შენი მაშინდელი სულიერი განწყობილება იმ პატარა წერილში სჩანს, რომელიც საბოლოოდ ლოგინში დაწერე, ეხლაც შენახული გაქვს ეს ნაღველით სავსე შენი ნამდვილი აჯანყება.

აი მისი შინაარსი; "ამიმაღლეთ ბალიშები", (უძილობა გჭონდა და ამას ებრძოდი) "მომიალერსეთ, მაჭამეთ ცუკატები, რასაც ვითხოვ, მაშინათვე ამისრულეთ"ო.

გენაცვალე, თეო, ეს შენი მაშინდელი ეჭვიანობის შედეგია, რასაც ავადმყოფი ამყლავნებს, შენი აღშფოთება ნათლადა სჩანს.

ბებოს ალერსი გაკლდა, ჩემი გრძნობა შენ უკვე გაყოფილი გესახებოდა, დაპირისპირებული ერთის მხრივ შენ და მეორეს მხრივ მე და სპირიდონი ერთად, აი რა გაწვალებდა, თუმცა ძველებურად გიყვარდი, გიალერსებდი, მაგრამ ამაშიაც მარტოს ვერა მხედავდი, ის მესამე იყო ჩვენს შორის, შენთვის ჯერ კიდევ უცხოდ მიჩნეული.

სკოლიდან მასწავლებელი ხშირად ჰგზავნიდა მოწაფეებს შენი ამბის გასაგებად, თან ატანდა დაწერილ მასალას, რაც ვერ მოისმინე, იმისი აზრით ეს საცხიანი ბავშვი უსაქმოდ, პასიურად არ დარჩენილიყავი.

ერთხელ კარგი წერილიც კი მოგწერა, ხელს აწერდა "შენი მეორე დედა"ო. მე კიდევ მანუგეშებდა: "თქვენი ბავშვი ისეთი ნიჭიე-

რია, რომ არაის არასოდეს არ ჩამორჩება და არც წელიწადს დაკარგავს“.

მოდიოდნენ ეს პატარა გოგონები შავ წინსაფრებში და შენს ლოგინს გარს ეხვეოდნენ, ალბათ იმათთვის ეს დიდი გასართობი იყო, ამ ოტელში მოსულა და აქედან შენი ამბების წალება.

შენ სანახავად მოვიდა ჩვენი “ამერიკელი ძია“ აკაკი ხოშტარია და ბალიშის ქვეშ შემოგიცურა ათასფრანკიანი, დიდხანს არ დარჩა, რომ არ შეეწუხებინეთ და არც თუთუნი მოსწია...

ის წელიწადი, რასაკვირველია, დაგეკარგა, შეუძლებელი იყო შენი სკოლაში სიარული, რადგან პატარა სიცხე დიდ ხანს გქონდა აკვიატებული.

შენი სადმე სოფლად გაყვანა ძალიან მინდოდა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. სწორედ იმ სანებში ჩემ ბიძაშვილ ანეტას ქალაქ გარეთ პატარა სოფელში პაეილიონი ჰქონდა აღებული და დათა ეარნაძესთან ერთად მაწვნის საქმეს აწარმოებდა.

იმან კარგად იცოდა თეოს სისუსტე და უპატრობა, მაგრამ არაფერი შემომთავაზა, რადგან დათა ეარნაძე ეროვნულ დემოკრატი დიდი მოწინააღმდეგე იყო სპირიდონისა და დიდ მტრობას იჩენდა და ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ანეტამ შენ თუნდაც ორი კვირით თავის პაეილიონში ვერ მოგასვენა.

მე განეაგრძობდი კერვას, ზოგჯერ ზედ მითენდებოდა, მიმქონდა ჩასაბარებლად ეს აბრეშუმის, ფუფუნების საგნები, რომ იქიდან მიღებული ჩემი საფასურით სანოვაგე სახლში მომეტანა. იშვიათი არ იყო, რომ მამაშვილი ჩემს ლოდინში იყავით.

ერთ შაბათს რომ მიეადექი გარბატოვსკის სახელოსნოს, კარები დაკეტილი დამხვდა, არ ვიცოდი, რომ მუშები იმ დღეს თავისუფალნი იყვნენ. მიედი სახლში გულნატკენი და ხელცარიელი.

სპირიდონი იჯდა ჩემს გვერდით გულჩათხრობილი და მთლიანად განადგურებული, რა უნდა ექნა, რა სამუშაო უნდა ეშოვნა, სადა, ან ვისთან? ეს პირველი ზამთარი ჩვენთვის აქ გატარებული უმძიმესი იყო.

ჩემი საკერავით შენ ძალიან იყავი გართული, მოგწონდა კიდეც ეს მოქარგული აბრეშუმის საცვლები, მაგრამ დამიღონდებოდი, როდესაც ჩასაბარებლად წაიღებდი, დაიწყებდი ტირილს, გინდოდა ეს ყველაფერი ჩემთვის დამერჩინა, მე მომეხმარნა.

ზოგჯერ შენს აზრსაც მიზიარებდი, როდესაც ეკერავდი; “მე ამას სხვანაირად შევკერამდი“ო, შენის გემოვნებით დახატული მოდელი არაერთხელ მომაჩეჩე.

ერთერთს არა უჭირდა რა და საკერავთან ერთად ისიც წაიღე, ეაჩვენე უფროს ქალს, მუშების ზედამხედველს, იმან ძალიან მოიწონა შენი ნახატი: “აი სწორედ ასეთ მოდელს ვეძებდი, გთხოვეთ მომცეთ, მომყიდეთ“ო. ვერ ვიყოყმანე, შენი პირველი ნახელარი სახლიდან როგორ უნდა გამეტანა, მაგრამ დამითანხმა და ამაში თხუთმეტი ფრანკი გადმომცა. რაც მაშინ კიდევ ფულობდა და ერთი დღის საჭმელს გაუძღვებოდა.

სახლისაკენ ნასიამოვნები წამოველდი, ოთახში სიჩუმე იყო, არ ისმოდა იქიდან შენი ლაპარაკი და რაც უმთავრესია შენი გაუთავებელი ხითხითი თუ კახკახი, კიბეზედ ამომსვლელი რომ ყოველდღიურად ისმენდა.

თავს რომ წამოგადექით, შენ მთლად იყავი შეპყრობილი მამას მიერ ნაამბობით, შენთვის შეთხზული მოთხრობით, მეგობრულად იყავით იმ დროს ორიენი, რადგან მამას მიერ ნაამბობი შენ ძალიან მოგწონებოდა. თვითონ სპირიდონიც კი არ ელოდებოდა ამ მოთხრობის შედეგს: "არ ვიცი, რა მოვიგონე, რომ ეს გოგო ასე მახლობლად მყავდა"ო. მეუბნებოდა ამას ხშირად.

მაგრამ შენი მოდელის გაყიდვამ ორიენი სინამდვილეში დაგატრიალათ და თუ პირველად ხუმრობა გეგონათ და დაუჯერებლად მიგაჩნდათ, სიამოვნების წუთები განიცადეთ სამივემ, როდესაც შენ პატარა, ბოჭოკა ხელებში თხუთმეტი ფრანკი ჩაგიჩხრიალე, შენი ნაომაგარი, შენი ნაშოვნი.

ამ ახალ ხელობაში მეც დავწინაურდი და იმდენად, რომ ჩემი მიტანილი საქონელი ძალიან მოეწონა უფროს ქალს და მითხრა, თქვენ ამ მუშებში პირველი ადგილი გიჭერიათო.

მახსოვს, რომ მიეიდოდი მესმოდა კარებიდან უფროსი მუშის ხმა: "აგე, მოვიდა გამგე"ო. ალბათ გაგებული ჰქონდათ ჩემი წარსული ცხოვრება. მიქებდნენ უმთავრესად ბრეტელების გაკეთებას, მართლა და ასეთებს, წვრილს და ნაზს იქ ვერავინ ახერხებდა.

იმდენად გავთამამდი იმ დარგში, რომ ვიფიქრე პირადათ რამე მეცადნა, დამოუკიდებლად მემუშავნა, ეს იყო ეაჭრობა, მაგრამ ამის დაწყებას ფული უნდოდა, რის პატრონი შეეძლებდი ნიმუშების დამზადებას, გარდა ამისა, ამისათვის დროც იყო საჭირო.

სინამდვილეში ვეცერდებოდი იმ პატარა თანხას, რომელსაც საკრაეში ვიღებდი და რასაკვირველია, ჩვენს ოჯახს დიდად დალხენილს ვერავინ ნახავდა, მართლა და ძალიან გვიჭირდა.

გაზაფხულზედ გაეხდი ავად, მუხლების ქარები დამეწყო, ეს იყო შედეგი იმ ზამთრის სიცივეებისა, როდესაც ადამიანი ჩვენს ოთახში ვერ გათბებოდა.

ერთი დღე არ დამისვენია, სულ ვმუშაობდი და ხშირად ღამეებსაც ვათენებდი ნემსით ხელში.

ჩვენს ცხოვრებაში მოხდა პატარა ცვლილება, ჩვენი მოზრდილი ოთახი უნდა ოტელის პატრონისათვის დაგვეთმო და ამის ნაცვლად მესამე სართულში უფრო პატარა იაფასიანში გადავსულიყავით.

კოტე კობიხიძემ გაგვაგებინა, რომ იმ ჟამად ოტელის პატრონს უჭირს და უნდა ამ დიდი ოთახის გაქირავება, რასაკვირველია, არა ნისიად.

მესამე სართულში მოთავსებული, ეს თაგვის სოროს მსგავსი იმდენად პატარა იყო, რომ შენი საწოლი დღისით დაკეცილი კედელზედ გვქონდა მიყუდებული, სხვანაირად ამ ოთახიდან ვერ გამოვიდოდით, ვერ გავალებდით.

აპოლინერის მეულლემ ჩვენ არაფერი გვითხრა, თითქოს შეწუხებულიცა სჩანდა, რომ ასე შეეწროებულნი ვიყავით.

თუ ყველაფერს იმასაც დაუმატებთ, რომ სპირიდონის გვერდით თავმოყრილნი იყვნენ ვითომ მისი თანამოაზროვენე მეგობრები, მაგრამ სხვაგან მართლა სხვისა ერთგულნი, მძიმე პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება.

გაჩნდნენ ვითომ ნათესავები, რომელთა ნამდვილი სახე შემდეგში გამოაშკარავდა.

ერთი სიტყვით ალყა გვქონდა შემორტყმული. მისი გარღვევა ვერ შეეძელით და ამიტომ ბევრი უსიამოვნება და გაჭირება გამოვიარეთ.

ჩვენი ოჯახი ემსხვერპლა ამ მაგარი ძაფებით დაგებულ მახეს, ეს კია, რომ ჩამოვედი საფრანგეთში, აშკარად დაეინახე, ვის გაეყარე, მაგრამ ეუის შეეყარე. ეხლადაც, კარგის გულით არავის შემოულია ჩვენი ოჯახის კარები. მოდიოდნენ უფრო ცნობისმოყვარეობით, დასაზვერად, იმის გასაგებად, თუ რა გვაქს ჯიბეში, როდის გადავალთ ბინაზედ, თორემ სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას მათი სანგრძლივი დარბაზობა მთელი დღის გასწერივ.

თანაბმანი იყვნენ დღეში ორჯერ სამჯერ მხოლოდ ჩაიზედ გადასულიყვნენ, რადგან ამის მეტი ჩვენ არაფერი გაგვაჩნდა, მისუსტებულნი დაგვიანებით, შუა ღამისას თაეიანთი სახლის გზას გასდგომოდნენ.

ეს ის დრო იყო, როდესაც შენ ცხენის ხორცის პატარა ნაჭერს მოგიწვამდით ამ სპირტოვკაზედ და ჩვენ იოლად გადავდიოდით.

მაგონდება შენი თხოვნა, გინდოდა ქათმის ხორცი, აკი ბებოს მისწერე კიდეც, "რაც პარიზში ჩამოვედი, მე ჯუჯულა არ მიჭამია"ო.

თავს რომ მოგვაბეზრებდი, გეუბნებოდით, ხომ ჰხედავ, ჩვენ არაფერსა ვჭამთ, შენი ჩვენს მდგომარეობაში და სხვა. შენ ტირილით გეპასუხებოდი: "თქვენ შედით "გარემოებაში", მე არ მინდა იქ შესვლა"ო ამას ამბობდი საქართველოში სულ პატარაობისას.

სპირიდონს მიწერმოწერა ჰქონდა გიორგი მაჩაბელთან, რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა თაეისი ცოლით ნორინათი. იმას, როგორც მითხრა სპირიდონმა; "პოლიტიკა აღარ აინტერესებს, გახსნა ამერიკაში პარფიუმის საქმე და გამდიდრებაზედ ფიქრობს"ო. ცოტა არ იყოს, დაღონებული კილოთი გადმომცა ეს ამბაეი მამამ, როდესაც მე გიორგის ამბაეი ვეკითხე.

სპირიდონის რეაქცია, ამ 1928 წელს სექტემბრის დამლევს როდესაც ახალი ჩამოსულები ვართ, მე და შენ საქართველოდან, ცოტა გაუგებარია.

ნუთუ სპირიდონს დაეიწყდა მათი შეხვედრა 1923 წელს სადაც სწორედ ამ ფულის შოვნაზედ იყო ლაპარაკი— და ეს სამშობლოსათვის!

ალბათ შიშობდა სპირიდონი, რომ ეს ჩვენი გიორგი მეტის-მეტად არ გართულიყო "პოლიეუდის სტარებთან". უნდა ვსთქვა, რომ

მთლიანად უსაფუძვლო არ იყო მისი ეს ეჭვი, რადგან გიორგი, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ხშირად თურმე ლეკურსაც დაუვლიდა ამ "ქოქტეილებში" და მისი შარმი ხომ...

ცნობილი მომღერალი და სინემის მსახიობი, Grace Moore მოხიბლული, ისე როგორც Irène Dunne, Claudette Colbert და სხვები. სხეათაშორის ერთერთ თავის პარფიუმს დაარქვა "Grace Moore".

ცოტა ხნის შემდეგ, შუა ნოემბერში იგივე ამ 1928 წელს, ვლებულობთ მის წერილს და იქაც იმეორებს: "მე დღეს პოლიტიკა არ მაინტერესებს"ო ამბობს, რომ მისი პარფიუმი კარგად ურცელდება ამერიკაში და დიდ იმედებს ამყარებს ამ საქმეზედ.

მეც ვიფიქრე, რომ ურიგო არ იქნებოდა ჩემ მიერ შეკერილი აბრეშუმის საცვლებს ადგილი დაეთმოს მის პარფიუმთან, ამნაირად ფეხი შედგმული მეჭნებოდა კომერციაში.

ამის გამო გამოველაპარაკე გიორგის, იმან მაშინათვე გვიპასუხა. რასაკვირველია, ჯერ მხურვალედ მომილოცა ჩამოსვლა და შემდეგ საქმიანი კილოთი მთხოვა საცვლების ნიმუშების გაგზავნა.

ეს ადვილად მოხერხდა, ტასო ბერიძისას და მანია სიამაშვილს ჰქონდათ დამზადებული ნიმუშები და მყიდველს ელოდებოდნენ. მე ნისიად გამოვართვი ეს საცვლები და გიორგის ამერიკაში გაეგზავნე.

გადიოდა დრო და არავითარი პასუხი, ეი. ფული არა სჩანდა. ძალიან ვიყავი ამით შეწუხებული, თითქმის თვენახევარი, თუ მეტი, არ მახსოვს, გავიდა; ეს ქალები კი არაფერს მეუბნებიან, მაგრამ მათთან შეხვედრისას ერთგვარ უხერხულობას ყოველთვის ეგრძნობდი.

ვინ იცის, იქნება ეჭვიც დაებადათ, რომ საცვლების ფული კი დროზედ მივიღე მაგრამ როგორც გაჭირებულს ეს თანხა შემომეხარჯა; დედაშენს არ იცნობდნენ.

მთელი ეს დრო სპირიდონი სამუშაოს ეძებდა, თიბათვეში გაზეთიდან ერთი განცხადება ამოიკითხა და იმაზედ შეჩერდა.

თხოულობდნენ ღვინის საეჯროში ზედამხედველს, რომელსაც ეძლეოდა ჯამაგირთან ერთად შემოსავლის კარგი პროცენტი და ამასთან საოჯახო ბინა. როგორც წინასწარ დაზღვევისათვის ჩვენ უნდა პატარა თანხა დაგვედო. სპირიდონმა მაშინათვე აკაკი ხოშტარიას მისწერა და სთხოვა ეს თანხა სესხად მიეცა, რომ შეგეძლებოდა იქ მალე გადასვლა. დადებითი პასუხი მიიღო მამამ ხოშტარიასაგან და ღვედღეზედ ველოდებოდით ფულს და ოტელიდან გადახვლას.

აი სწორედ იმ დღეებში ჩამოვიდა გიორგი და მოვიდა ჩვენთან ოტელში. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა, მოვიგონეთ ჩვენი ახალგაზრდობა, ერთ წრეში მუშაობა და სხვა. აქ შემაჩერა გიორგიმ, სჯობია, მომავალზედ ვილაპარაკოთ, ამერიკის თვალსაზრისით. ის მომქმედი და ენერგიული მეჩვენა, თვალებში ცეცხლი ულვიოდა.

ჩვენ პატარა ოთახში მაგიდაზედ დამილაგა ქალალდის ფული, სწორედ ის თანხა, რომელიც საცლებისა მემართა, მაგრამ ამაში ის უდანაშაულო ყოფილა, რადგან მე ამ საცლებს ფაქტურა არ გაეყოლე, ამიტომ დიდხანს გაუჩერებიათ საზღვარზედ მოხელეებს.

მითხრა, რომ ეს საცლები გამოიტანა თავისთვის და არა გასასყიდად, ნორინას ისე მოსწონებია, რომ ერთი "ნიშუშიც არ დამითმო მაღაზიისათვის, სულ თავისთვის აიღო"ო. ჩემი ვალი იმავ დღეს მოვშიორე, ამ ქალებმა ერთმანეთს შეპხედეს, თითქოს უნდოდა ტასო ბერიძეს იმისი თქმა: "ხომ გეუბნებოდი, მანია, რომ ხალხის ლაპარაკს ყური არ უნდა ათხოვო, აი ხომ პხედავ, ჩვენი ეჭვები უადგილო იყოვ"ო, დიდის მადლობით გამომისტუმრეს.

გიორგიმ გააგებინა სპირიდონს, რომ ამერიკაში იმდენად კარგად მიდის მისი საქმე, რომ უნდა აქ პარიზში ამ პარფიუმის განყოფილება გახსნას. მამას აძლევს წინადადებას მონახოს ამისათვის შესაფერისი შენობა, ისე რომ იქ საცხოვრებელი ბინაც იყოს და მთელ აქაურ საქმეს სპირიდონს აბარებს, პპირდება წმინდა შემოსავლიდან ხუთ პროცენტს და ბინასთან ერთად თვიურ ჯამაგირს 1300 ფრანკს.

რასაკვირველია, არავითარი წერილობითი პირობა არ დადებულა ამ დიდი ხნის მეგობართა შორის, ამიტომ იყო რომ საბოლოოდ ჩვენ ცარიელზედ დავრჩით. მე კი ვურჩიე სპირიდონს, გიორგისათვის ხელთწერილი ეთხოვნა, მაგრამ იმ ჟამად ჩვენთან მყოფმა მიხაკო წერეთელმა შემაჩერა: "სონა, როგორ შეიძლება, გიორგი ძმასავით უყურებს სპირიდონს და რომ ესა სთხოვოს, იმას ძალიან ეწყინება"ო.

სპირიდონმა ეს გამოსაკალი არჩია, მეგობართან მუშაობა ამჯობინა უცნობ კაცთან ღვინის საჯაჭროს ხელმძღვანელობას და შეუდგა ბინის შოვნას; მალე გაზეთების საშუალებით იშოვნა კიდეც პარფიუმის საქმისათვის შესაფერისი ბინა.

სწორედ იმ დღეებში იყო, რომ ცოტა ხნით სახლიდან გასულები, მე და სპირიდონი რომ მოვბრუნდით, შენ გეკდა უცხო კაცი, რომლისთვისაც მოგემზადებინა კაკაო და დიდ მუსაიფში იყავი.

აღმოჩნდა, რომ მამას განცხადებას სახლის შოვნის შესახებ ეს კაცი გამოეხმაურა და თავისი წინადადებით მოვიდა.

დანიშნა სპირიდონთან იმან შეხვედრა და წასვლისას გვირჩია, ამ თქვენ მშვენიერ ბაშებს უნდა აუკრძალოთ, უცხოს კარები იოლად არ გაუღოს, ხომ იცით, ცუდს დროში ვცხოვრობთ, მე თუმცა მესიამოვნა მისი ნახვა და ბავშვური გულუბრყვილობაო.

მართლაც ამ კაცის მიერ ნაჩვენები შენობა სპირიდონს მოეწონა და ძალიან იაფადაც აყიდინა გიორგის, თუ არა ეცდები, ას სამოც ათასად.

ეს იყო კლამარში მოზრდილი, სამ სართულიანი პაეილიონი და იქვე ეზოში პატარა ქარხანა ყოფილა ფარმაცევტისა, ისე რომ იმას დიდი გადაკეთება არ დასჭირდა პარფიუმერიისათვის და შესაძლებელი ხდებოდა საქმე მაშინათვე დაწყებულიყო.

როდესაც გათავდა ამ სახლის სყიდვა, ძველმა პატრონმა ჰკითხა მამას, თუ რამდენი უნდა აელო მამას ამ საქმეში ან სახლის პატრონისაგან ან მყიდველისაგან ე.ი. გიორგისაგან.

სპირიდონმა უპასუხა: "თქვენგან არაფერი და რაც შეეხება ჩემ მეგობარს, იმას ხომ არაფერს გამოვართმევ".

ის კაცი მამას საუზმით გაუმასპინძლდა, მაგრამ გუნებაში კი ალბათ ეცინებოდა და იქნება, არცა სჯეროდა, რომ სპირიდონი ამ სახლის ოპერაციაში გიორგის ფულს არ გამოართმევდა.

გიორგიმ ტელეფონი დამირეკა, მკითხა, თანახმა ვარ თუ არა სოფელში ვიცხოვრო. ამის საპასუხოდ აბა რას ვეტყოდი, როდესაც ჩემი ოცნება იყო შენ სუფთა ჰაერზედ მყოლოდი.

მართლაც, როდესაც კლამარში მოვედი სახლის სანახავად და იქვე ორ ნაბიჯზედ დიდი ტყე დავინახე, აღტაცებული და კმაყოფილი დავბრუნდი უდინოს პატარა ოტელში.

ჩვენს გადასვლამდე ამ ახლად შეძენილ გიორგის ქონებას მოვლა ესაჭიროებოდა. პაეილიონში ახალი ქალალდის გაკვრა, ქარხნის შელებვა და სხვა.

ეს სამუშაო სპირიდონმა ორ ქართველ ემიგრანტს დაავალა, პაულე მოსულიშვილს და ვახტანგ ღამბაშიძის ახალგაზრდა შვილს გივის, ასე რომ ამ სამუშაოთი ორივენი დაკმაყოფილა.

მამასთან ერთად ყოველ დღე შენც მისდიოდი კლამარში და იქიდან დაბრუნებული, სუფთა ჰაერით გაჟღენთილი, ხალისიანად მეჭიკჭიკებოდი.

ოტელში ერჩებოდი, რადგან კიდევ მქონდა სამუშაო. გითხარი, რომ გაზაფხულიდან მე არ ვიყავი კარგად, ფეხები მქონდა დასიებული და პატარა სიცხე, რაც მე ძალიან მასუსტებდა.

სწორედ, როდესაც დავაპირეთ კლამარში გადასვლა, ძლივს შევკერე უკანასკნელად ერთი ლამაზი კომბინეზონი და რომ მივიტანე, ზედამხედველს ძალიან მოეწონა ეს ტიულზედ ნაქარგი პირისფერი აბრეიშმის ყვავილები, მთხოვა, სწორედ მისი ცალი კიდევ დამემზადებინა.

მე უარი ვუთხარი, რადგან ძლივს ვიდექი ფეხზედ, გამოვეთხოვე კიდეც და მოვედი თუ არა, ლოგინში ჩავწექი, ამას ყელის ავადმყოფობაც დაემატა; როდესაც მოგვიხდა გადასვლა, მე მთლად მორჩენილი არ ვიყავი, სიცხეცა მქონდა, და იმდენად დასუსტებული, რომ კედელ-კედელ დავდიოდი და ახალ ბინაზედ მისული ქვეშაგებში რამოდენიმე ხანი გავატარე.

მინდა მოვიგონო ზოგიერთი რამ, რაც ისე მკაფიოდ მაქვს მეხსიერებაში შერჩენილი.

სპირიდონმა გამაფრთხილა, რომ კლამარის სახლში, მარტონი არ ვიქნებოდით. იქ გიორგის ნათესავებიც იცხოვრებდნენ; ეს მე სწორე გითხარი, არ მესიამოვნა, რადგან ჩემთვის ისინი იყვნენ უცნობნი და ამიტომ უცხონიც იყვნენ, მაგრამ რას გავაწყობდი.

რაც შეეხება ჩვენი ოტელიდან საბოლოოდ გადასვლას, თვალწინ მიდგა ერთი ქართველი ემიგრანტი, დაღონებული სახით

რომ გვაცილებდა და იმდენად იყო გაჭირებული, რომ წინა დღით სპირიდონისათვის უთხოვნია: "ზეთი და საპონი დამიტოვეთ"ო. აი მაშინდელი ემიგრანტის უმწეო მდგომარეობა.

შემდეგ კი მთლად შეიცვალა მისი ცხოვრება და ალბად მთლად დაეწყებულიცა ჰქონდა ძველი ამბები.[1]

ჩვენი კლამარში დაბინავება და სპირიდონის მუშაობა

კლამარში გადავედით 14 ივლისს 1929 წელს. ჩვენ ახლომდებარე მოედანზედ დიდი უქმე იყო გამართული. მუსიკა და ხალხის ჭრიამული იქაურობას უხვად ეფინებოდა, ისე რომ ჩვენი ახალი ცხოვრება დიდი ზეიმით იყო აღნშინული; როგორც იცი, 14 ივლისი საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულია. ჰო და ამ ატმოსფეროში დავეიხედა კლამარი.

გადავედით ამ ახლად ნაშენ ბინაზედ სრულიად დამშვიდებულნი და კმაყოფილნი მაგრამ მე ავადმყოფი.

ძალიან იყვნენ შეწუხებულნი ყველანი, ვინც ჩემს გარშემო ტრიალებდა, გიორგი ხშირად შემოდიოდა, მანუგეშებდა: "აი კარგად წავა საქმე, თქვენც დაისვენებთ და სულ კარგად იქნებით"ო. მისი ცოლი ნორინაც იგივეს მეუბნებოდა, მაგრამ ორივეს ერჩიენათ, სპირიდონი ჩემის მხრივ არა ყოფილიყო დაბრკოლებული და თავისი მუშაობა კარგად შეესრულებინა.

ამ პავილიონში პირველი სართული ჩვენ დავიჭირეთ ე.ი. სამი ოთახი, და დიდი სამზარეულო, რომელიც იყო საერთო. ამ ჩვენი მესამე ოთახით, ამავე დროს ბიურო ქარხნის საჭიროებისათვის, დღის განმავლობაში ჩვენ თითქმის ვერა ვსარგებლობდით.

ჩვენ ზევით გადმოვიდა გიორგის დედინაცვალი ლიზა, ხანშიშესული და მისი ქალი ნინა ჯინჭარაძისა იმ დროს უკვე ქმართან გაყრილი თავის სამი წლის გოგონა ქეთევანათი.

იმათაც ჰქონდათ სამი ოთახი და აბანო, ესეც საერთო უნდა ყოფილიყო; სულ ზევით იყო სხვენი სამი განყოფილებით, ერთი ჩვენს განკარგულებაში იყო, დანარჩენი ორი განყოფილება გაჭირების დროს კარგად გამოსაყენებელი.

ეხლა გეტყვი, თუ როგორი იყო ეს სახლი, ან მისასვლელი მასთან გზა. პავილიონის ქვემო ნაწილი მრავალ განყოფილებიან სარდაფს ეჭირა. ტალანის ბოლოს ქვის კიბეს ჩაჰყვედი პატარა ბაღჩაში ქარხნის შენობასთან მიკედლებულს.

ამ ბაღის შუაგულს ამშენებდა პატარა ფანჩატური, მყუდროდ შემოფარგლული მწვანე სუროთი, შიგნით მოწყობილი გრძელი მაგიდით, რომლის ბოლო დიდ სარკეს ებჯინებოდა და რასაკვირვე-

---

1 კოტე კობახიძე

ლია, გარშემო სკამებით, ერთი სიტყვით, იქ სუფრის გაშლას ალარაფერი დააბრკოლებდა.

ზაფხულის თვეებში ეს იყო ჩვენი სასადილო და ელექტრონით გაშუქებული ხელს გვიწყობდა ვახშმის შემდეგაც ხანგრძლივად დაერჩენილიყაით სუფთა ჰაერზედ, თბილ სიოსა და ტყის სურნელებაში.

კარგი სანახავი იყო, ღამის ნიაით აფორიაქებული სუროს ფოთლების თაიგული, რომ სარკიდან ჩვენს სუფრას დასტრიალებდა.

ფანჩატურის გარშემო დარჩენილი მიწის არშია ყვავილების დასარგაეად, ან პატარა ბოსტნის გასაჩენად საკმარისი იყო.

ამ სახლ-კარს ქარხნიანად 400 კვ. მეტრი ეჭირა, ეს ჩვენი საზომით არაფერია. მაგრამ აქ საფრანგეთში, პარიზის მახლობლად თხუთმეტ კილომეტრზედ მდებარე, კარგი ქონებაა.

მთელი ეს შენობა შესაფერისი გამოდგა და მზად იყო მოცემული, რომ საქმე, მაშინათვე დაწყებულიყო. აკი არც დაიგვიანეს და მკათათვიდან გამოჩნდა თეთრხალათიანი სალხის შესვლა-გასვლა. ერთი ქიმიკოსი – Pierre Bongard, რომელსაც ეძლეოდა 3000 ფრ. თვეში და ერთი ქალი: Madame Lacombe; მას ჰქონდა ჩაბარებული ამ პარფიუმის შუშებში დაბინავება და სხვა. პარიზიდან მიმავალი ოტობუსის უკანასკნელ სადგურიდან იწყებოდა ტყის დასაწყისი თავისი წერილ წერილი ხეებით და ბუჩქებით, რომელიც მედონის ქუჩას, აკაციების ხეივანში დაგებულს, პარალელურად მისდევდა.

აი სწორედ ამ ქუჩაზედ მდებარეობდა გიორგი მაჩაბლის ახლადშეძენილი სახლ-კარი, რომელსაც აქედან ორი შესასვლელი ჰქონდა, ერთი თვით პავილიონისათვის, მეორე დიდი კარები გარაჟისათვის.

შესვლისას გა›ხვდებოდათ ეიწრო ეზო ორ შენობას შუა მომწყვდეული, მარჯვნივ კიბის ორი საფეხურით ჩასდიოდით ფართო გარაჟში, რომლის გაგრძელება შუშაბანდით ქარხნის შენობას უკავშირდებოდა. აი აქედან გადიოდა საქონელი პირდაპირ მედონის ქუჩაზედ.

ეზოს მარცხენა მხარეს იდგა პატარა ოროთახიანი შენობა, ძველი პატრონისათვის ეს ალბათ ნაგულისხმევი იყო როგორც მალაზია.

ამ ვიწრო ეზოდან, სადაც ფეხებში გედებოდათ გრძელ ცლორტებიანი და სურნელოვანი ზამბახი, ქვის კიბეს ორიეე მხარეს გალამაზებულს მწვანე ბუჩქებით აჰყავდით თვით სახლში, საიდანაც კლამარის ტყეს გაჰყურებდით.

სახლის გრძელ ტალანის მარჯვნივ იყო ორი ოთახი, მარცხენა მხარეს კი ერთი ოთახი და სამზარეულო, აქედან შიგნითა ხის კიბეს აჰყავდით მეორე სართულში, იქაც სამი ოთახი და აბანო.

ყველა ოთახში ბუხარი იყო, ასე რომ შეშა და ნახშირი დროზედ უნდა დაბინავებულიყო, სამწუხაროდ იქ ცენტრალური გათბობა არ იყო მოწყობილი.

მესამე სართულში გიხვდებოდათ სამგანყოფილებიანი სხვენი, გაჭირების დროს საცხოვრებლად კარგად გამოსადეგი.

მაჩაბლის საქმეში სპირიდონის ადგილი

ჩვენი ემიგრანტული ცხოვრების ახალი ფურცელი, მაჩაბლის საქმეში ღრმად ჩაქსოვილი, კლამარში დაბინავებით იწყება.

იქ გავატარეთ მთელი ეს დრო 1929 წლიდან სპირიდონის სიცოცხლეში 19 წელიწადი და მის გარდაცვალების 1948 წლის შემდეგ მე და შენ, ჩემო თეო, კიდევ 5 წელიწადი.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ პირად ცხოვრებას, სპირიდონის პოლიტიკურ ემიგრაციასთან კავშირს, შენ სწავლას, აგრეთვე ჩემ პედაგოგიურ ცდებს, ყველა ამ საკითხებს შევეხები და დაწვრილებით აეწერ იმ დღიდან, როდესაც ოტელი დავტოვეთ და კლამარში გადავედით.

ჯერ მინდა მაჩაბლის საქმეზედ შევჩერდე რომელიც ჩაისახა 1929 წელს და საბოლოოდ აქ პარიზში 1949 წელს მთლად ჩაიფერფლა.

მისი ისტორია ძალიან რთულია, ზოგჯერ ჯურღმულშიაც არის მოქცეული და იმდენად, რომ ადამიანს იქიდან გამოსვლა გაუძნელდება.

პირადათ ვეცდები ობიექტურად ამ საქმის გაშუქებას და ისე რომ სიმართლე არ დაიმალოს, რასაკვირველია, დოკუმენტებით ხელში, რომელიც ჩვენი ოჯახის არხიეში ინახება.

როგორ ჩაისახა მაჩაბლის საქმე

იმის შემდეგ როდესაც საქართველოში ბოლშევიკები შემოვიდნენ სპირიდონი ერთი წლის შემდეგ ჩასვეს ციხეში. წლის თავზე კი გადაასახლეს საფრანგეთში, როდესაც მეტი წილი ს. დ. გერმანიისაკენ გაისტუმრეს.

სპირიდონი რომ ჩამოვიდა კონსტანტინოპოლიდ ან პარიზში მკათათვეს 1923 წელს, გიორგი იმ დროს — იმისდამიუხედავად, რომ საქართველო დაპყრობილია და ჩვენი მთავრობა 1921 წლიდან ემიგრაციაშია — კიდევ რომშია როგორც ჩვენი ელჩი, იქ შეირთო ცოლიც და იქა ცხოვრობს.

ამ ორი ძველი მეგობრების მაშინდელი მიწერ-მოწერა ძალიან საინტერესოა. სამწუხაროდ მხოლოდ გიორგის წერილები მაქვს, სპირიდონისა კი გიორგის ქაღალდებთან ერთად დაკარგული სჩანს.

საბოლოოდ ესენი ერთმანეთს ჰხვდებიან პარიზში, ნოემბრის დამლევს 1923 წ. და აქ, ეხლა აღდგენილი ეროვნულ დემოკრატიული პარტია არის თავმოყრილი, მათ შორის სხვებთან ერთად ვასო

დუმბაძე — თუმცა არ ვიცი იგი პარტიაში იყო თუ არა ჩაწერილი — მაგრამ ამ პარტიის ძალიან აქტიური თანამშრომელი — სპირიდონი და თვით გიორგი და მსჯელობენ თუ პოლიტიკურ მუშაობისათვის როგორ იშოვნონ ფული. რა საკვირველია, ეს არის მხოლოდ კომერცია. შეჩერდნენ საბოლოოდ პარფიუმზედ.

ამ საქმიანობისათვის ყველაზედ შესაფერისად გიორგი მიიჩნიეს, როგორც ძალიან მომქმედი, დიდი შარმის პატრონი და მომხიბლავი. ამ აზრმა გიორგის თანხმობა მიიღო, მითუმეტეს, რომ მთელი ეს დრო თვითონ სულ ფულის ძებნაშია, სამწუხაროდ უნაყოფოდ.

მაშ სტოვებს ევროპას და ბრუნდება ამ ამერიკაში რომელსაც კარგად იცნობს: იგი მისდევდა ნიუორკში თავის მეულლეს, ნორინას, რომელიც იყო მიწვეული იქ სინემაში "მადონის" როლის შესასრულებლად. (უკვე 1912 ში ცნობილ გერმანელ რეჟისორმა, რეინარტ–მა იგი ათამაშა იგივე ამ როლში დიდი წარმატებით და ეს ლონდონში). ჰო და გიორგი ცდილობს სინემის წრეში კაეშირები გაიჩინოს.

ეს ჩვენი პოლიტიკური მრჩეველები კი პარიზში რჩებიან, მაგრამ გიორგი ამ ამერიკაში სულ მარტოკა მოქმედობს და ძალიან დიდ სიძნელეებში... რამოდენიმე უშედეგო ცდების შემდეგ, საბოლოოდ პარფიუმის საქმეს იწყებს. თურმე მთელი შვეიცარია მოიარა პატარა ჩამადანით თავისი "ნიმუშებით" კლიენტურის საშოვნელად.

ორ წელიწადში — და ეს დაუჯერებელია — უკვე სახელს იხვეჭავს თვით ნიუორკში ისე, რომ 1929-ში პარიზში ჩამოდის და ხსნის სპირიდონთან ერთად ფრანგულ განყოფილებას ამ თავის ახალ საქმისას, თუმცა 40000 დოლარის ვალით დამძიმებული! ე. ი. მაშინდელი 1 მილიონი ფრანკი.[1]

აი, ასე ჩაისახა: "Les Parfums du Prince Matchabelli"

მაშასადამე, გიორგი მაჩაბელმა მთელი პარიზის პარფიუმის საქმე მთლად სპირიდონს ჩააბარა.

ამ საზოგადოების დაარსებიდანვე სპირიდონი არის:

1. დამფუძნებელი წევრი
2. საადმინისტრაციო საბჭოს თავმჯდომარე,
3. ადმინისტრატორი,
4. წარმოების უფროსი,
5. ქარხნის გენერალური დირექტორი,
6 აქციონერი,
7. და 1931 წლის აგვისტოდან პასუხისმგებელი ქიმიკოსი;

ამის შემდეგ ბევრი სხვა და სხვა დავალებაც მიემატა. ამის გარდა, თავიდანვე სპირიდონს ეძლეოდა "პროკურაცია" გიორგისაგან, რომ იმის სახელით წარსდგენილიყო ყველგან ოფიციალურ ადმინისტრაციებში და ამ შემთხვევებში მთელ თავის აქციებს სპირიდონს ანდობდა. ისე ხომ წმინდა პირად ცხოვრებაშიაც სპირიდონი იყო მისი მესაიდუმლე.

---

[1] ამის შესახებ მისი წერილი №1; 10. 11. 1928 წ.

ცოტა უფრო გვიან, ნიკო აბხაზს ჩაბარეს ანგარიშების წიგნის მოვლა და ზურაბ ავალიშვილს იურიდიული საკითხები, საჭიროების მიხედვით.

კლამარის ქარხანასთან ერთად გიორგიმ პარიზში მაღაზიაც გაიჩინა (მარტი 1930 წ.) – იქირავა Rue Cambon 26 პატარა მაღაზია სწორედ მაშინდელ დიდ ცნობილ ჩანელ საეაჭრო სახლის პირდაპირ.

Chanel-ი იყო ცნობილი, ტანისამოსის დიდის ხელოვნებით შესრულებაში, რაც სრულებით აკმაყოფილებდა ფუფუნების მოტრფიალეთ.

თავის კლიენტურას მხოლოდ ამით არა ჰხიბლავდა, ის აწყობდა საღამოებს, ამისათვის ჰქმნიდა ზღაპრულ დეკორაციებს, თავს უყრიდა პარიზის საზოგადოების ნაღებს, როგორც იყვნენ ცნობილი მწერლები, მხატვრები და, რასაკვირველია, ამ ქვეყნის ნებიერნიც არ დააკლდებოდნენ ამ იშვიათ ლამაზ დახვედრას.

გიორგის მაღაზია თუმცა მთლიანად სარკეებში ჩასმული და მის თაროებზედ პარფიუმის ორგინალური, დაოქრული შუშის გვირგვინები კარგ სანახაობას იძლეოდა, მაგრამ ეს იყო დიდი გამბედაობა, რომ ასეთ ცნობილ საეაჭრო სახლს გიორგიმ თავისი მაღაზია დაუპირისპირა, მერე ვისა? Chanel-ს!

ამაზედ გიორგი გეიპასუხებდა: "ვინც ჩემს მაღაზიას Chanel-ის მეზობლად შეამჩნევს, იფიქრებს, ამის პატრონს კარგადა უნდა ჰქონდეს საქმე და ჯიბეც დამძიმებული, რომ ამ ქუჩაზედ Chanel-ს ცხვირ წინ გამოეჭიმა, ვინ იცის, იქნება ზოგიერთმა ცნობისმოყვარემ კიდეც შემოაღოს ამ ჩემი პატარა, მაგრამ ბრჭყვიალა მაღაზიის კარებიო".

გიორგი არ შესცდა, მალე ეს კარები ბევრმა შემოაღო და პარფიუმი კარგად მოეწონა ევროპის ცნობილ ქვეყნებს.

ამასთან ერთად გიორგი თავისი ცოლი ნორინათი პარიზის პირველ ხარისხოვან ცნობილ სასტუმრო Hôtel Georges V-ში იყვნენ ჩამომხტარნი.

სწორედ იმ დროს, როდესაც ამერიკაში დიდი ფინანსიური კრიზისი 1929-30 წ. საეაჭრო სახლებს კატასტროფას უქადის, ამ დროს გიორგი არამცთუ არ ანელებს ამერიკაში თავის პარფიუმის წარმოებას, არამედ პარალელურად პარიზში ჰხსნის პარფიუმის ქარხანას და მასთან ერთად შანელის პირდაპირ პარიზში მაღაზიას.

გიორგის საქმიანობა თაებრუდამხვევად სჩანდა ჩვენ ღარიბ ემიგრაციაში. ამიტომ კლამარს მოაწყდა ხალხი, ნაცნობი და ბევრი უცნობიც, ზოგი მოდიოდა სპირიდონთან და სამუშაოსა სთხოვდა, ზოგს უნდოდა გიორგის შინაურულად გამოლაპარაკებოდა, ან მისი ცოლი, ნორინა გაეცნო, რომელიც მართლა სანახაევი იყო.

გიორგის ცოლი, ეს იტალიელი მსახიობი ქალი, მშვენიერი გარეგნობით, მაღალი, წარმოსადეგი, თავზედ თეთრი აბრეშუმის ჩალ-

მით, მართლა და მოსაწონი იყო, მისი შავი, ხავერდოვანი თვა-ლები, ამ თეთრი ჩალმის ქვეშ რალაც საიდუმლოებით გამოიყურებოდა.

მედიდური გარეგნობა და თავის დაჭერა ჰქონდა, მისი მნახველი თავს უმცროსად გრძნობდა და ეერაფერს შეკადრებდა, თუმცა იყო fille de Pâtissier ე.ი. მებულკის შვილი და ამიტომაც ტკბილად დალაგდა მისი ცხოერება:

მისი შანელის პირდაპირ ყოფნა სრულებით არ იყო უადგილო, მით უმეტეს, რომ ნორინა იქ იცვამდა და თავის ქალის კოსტუმებს სპეციალურად შანელს უკეთამდა.

ერთი სიტყვით გიორგი და მისი ცოლი დიდ ფუფუნებაში სჩანდნენ და ცხოერების მალალ საფეხურზედ ასულნი.[1]

ამ ჰაი, ჰუიში ალბად ჩვენც უნდა მიეყოლოდით, მაგრამ პირადათ მე სრულებით არ მიზიდავდა ეს პარიზული ცხოერება და არც ეიყავი მზად როგორც ფსიქოლოგიურად ისე მატერიალურად, თორემ ეხლა რომ ცხოერებას ვაკეირდები აქ ეეროპაში, ჩემი შვილისათვის მომავალში არ იქნებოდა ურიგო მე ცოტა გამოცდილება მქონოდა, კაეშირები გამება და ამით მესარგებლა.

ქართველმა ემიგრანტებმა ჩემზედ უკეთ გაიკვლიეს გზა და ამიტომაც იყო, რომ შემთხვევა არ დაკარგეს და კლასარსაც კი მოეჭიდნენ.

მაშინ მე კიდევ ავადმყოფი ლოგინში ვიწექი და ჯერ არც კი ეიყავით დალაგებულნი, მაგრამ იძულებულნი ეხდებოდით, ამ მდგომარეობაში თასლები გაგეწია. ეზოს კარები ხომ ღია იყო და თავისუფლად მოდიოდნენ, სამწუხაროდ მაშინ კიდევ არავინ იყო შეჩეეული წინასწარ ტელეფონით ეცნობებინათ თავიანთი დარბაზობა თორემ პირველ დღიდანვე ბევრ უხერხულებას ავიცდენდით. მითუმეტეს, რომ გიორგის არავის ნახვა არ უნდოდა.

გიორგის ნათესაობა.

მალე გიორგის დედინაცვალი ლიზა თავისი ქალი ნინა ჯინჭარაძის ყოფილი მეულლე პატარა სამი წლის ქეთევანით ზემო სართულში გადმოვიდნენ. გიორგიმ ერთი ოთახი თავისთვის დაიტოვა და ორი ოთახი იმათ დაუთმო.

პირველი შეხვედრა და ხელის ჩამორთმეევა ამ ჩემთვის მანამდე უცნობ ხალხთან არ იყო მაინც და მაინც მხურვალე და სასიამოვნო, ჩვენი იქ ყოფნით ისინი ცოტა შეშინებულნი სჩანდნენ.

განსაკუთრებით ლიზა იყო უკმაყოფილო, რომ გიორგიმ თავისი საქმე სპირიდონს ანდო, იმას ეშინოდა, გიორგის მემკვიდრეობა ხელიდან არ გასცლოდა, რადგან კანონიერ მემკვიდრედ მას თავისი

---

[1] თუმცა შინაურობაში ეიცოდით თუ რამდენი გაჭირება გამოიარა. მისი წერილები ამას მოწმობს: წერილი 1 – 10 .11. 1928 წ.; 5 – 28. 9. 1930 წ.

ქალი ნინა და ქეთევანი ეგულებოდა. მითუმეტეს გიორგის ნათქვამი, რომ "სპირიდონს უფრო ენდობა, ვიდრე თავის ღვიძლ ძმებსა", მას ეს ჭკუაში არ უჯდებოდა.

ამ სულიერმა განწყობილებამ თავი იჩინა, როდესაც პავილიონის მოსაწყობად აეყვი მოიტანეს.

მისი ერთი ნაწილი ჩვენთან დადგეს, მეორე ნაწილი ზემო სართულში აიტანეს.

ჩვენ ბინას მანამდე სადათ მოწყობილს კარგი პეწი მიეცა, რასაკვირველია, ჩვენი ოთახის მუდმივი მოსართავი, დიდი მინდვრის ყვავილების თაიგული ლამაზ ლარნაკშიაც მიემატა და სასიამოვნო სანახაობა ხდებოდა.

მეორე დღეს ნინა შემოვიდა და თვალი რომ დაჰკრა იქაურობას, უჩუმრად გაეიდა და ზევითა სართულიდან მოისმა უკმაყოფილო ლაპარაკის კილო და მას მოჰყვა მოქმედებაც ლამაზი ნაწილი აეყვისა ჩვენი ოთახიდან გაიტანეს იმ მოსაზრებით, რომ იქ აკლიათ ბევრი რამ, ჩვენ კი დაგვიტოვეს, რაც უეარგისი იყო, ე. ი. მდარე იყო.

აი ამ წვრილმანებში იყვენ გართულნი, ეს ეჭვიანი ნათესავები. ამ სცენას გიორგიც დაესწრო, მაგრამ ეერაფერი გააწყო დაუდეგარ ხასიათის მქონე ნინასთან, გიორგი ძალიან უკმაყოფილო იყო. და კიდევ იმას სპირიდონი ამშვიდებდა.

ლიზამ დაიწყო მუშაობა, სადაც კი ეგულებოდა გიორგის მხრივ ნათესავი, ყველას გააგებინა, რომ პარიზში გიორგიმ გახსნა პარფიუმის საქმე და ჩამოდით, მიიღეთ მონაწილეობა, თორემ სულმთლად ჩვენთვის უცხო ადამიანს ჩაბარა ეს ქონება. თავის მეგობარ სპირიდონ კედიასაო.

ამაეე მოსაზრებით მიუწერია წერილი მარგალიტა მაჩაბელისათვის, რომელიც იყო გიორგის რძალი და იმჟამად უკვე ქვრივი ფინლანდიაში ცხოვრობდა. "ჩამოდი, მარგალიტაე, შენც შედგი ფეხი გიორგის პარფიუმერიაში"ო.

ეს პატარა ქალი, მარიამ დედოფლის მქონე სახით. ძალიან ენერგიული და მომქმედი აღმოჩნდა, სხვათა შორის ამ დედოფლის შორეული ნათესავი იყო.

როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ჩვენ ძალიან შეეიწროებულნი ვიყავით ამ მეზობლობით, საერთო სამზარეულო და აბანო ჩვენისთანა მორიდებული ხალხისათვის, არ იყო სასიამოვნო.

ხშირად ჩვენ ბინაზედ შესულა-გასულა. დათვალიერება, ჩვენი ცხოვრებით მეტის მეტად დაინტერესება, ხდებოდა აუტანელი.

მაშინ როდესაც ჩვენ ადრე ვსადილობდით, ეს იყო შეფარდებული სპირიდონის მუშაობასთან და შენ სკოლის საათებთან, კარებში ატუზული პატარა ქეთევანი, რომელიც ყურადღებით გვათვალიერებდა, ეს ძალიან გვაეიწროებდა.

საღამოობით ნინა ხშირად მიდიოდა პარიზში, რჩებოდა ეს ბავშეი ბებო ლიზასთან: ზოგჯერ ისიც სახლიდან გადიოდა ჩვენის იმედით, რომ ბაეშეს ჩვენ მიეხედამდით, მაშინ კი მართლა იძულებუ-

ლი ვხდებოდი ავსულიყავი, რომ დამემშვიდებინა ეს ბავშვი, რომლის ღრიალი და ოთახებში სირბილი ჩვენამდე ჩამოდიოდა.

ზოგჯერ დღისით შენთან უნდოდა თამაშობა, მაგრამ შენ არ გეცალა, გარდა ამისა ცოტა ნაწყენიც იყავი ზემო სართულზედ, იმის შემდეგ რაც ჩვენი ოთახი აფუტკნეს, ცხარე ცრემლები გააყოლე ამ ლუი მე-XVI ეპოქის საჯარძლებს.

პირველ ხანებში ქარხნისათვის აყვანილი იყო მხოლოდ ერთი ქიმიკოსი გვარად ბონგარი, რომელსაც თვიურად გიორგიმ 3000 ფრ. დაუნიშნა, მაგრამ მთლიანი ფორმულები მას ხელში არ მისცა.

როდესაც ბონგარი სითხეს დაამზადებდა, სპირიდონი, რომელსაც მთლიანი ფორმულები ჰქონდა, ჩაუშვებდა საიდუმლო ნაწილს, ამნაირად დამთავრებდა პარფიუმს. როგორც ჰხედავ, მამა იყო პასუხისმგებელი ქიმიკოსი.

ამ ახალგაზრდა ქიმიკოსის მიმართ ასეთი უნდობლობა მამაშენს საშინლად ეხამუშებოდა, თავისი აზრი გიორგისაც გაუზიარა, პასუხად მიიღო: "ჩემო სპირიდონ, ამას საქმე მოითხოვს"ო. სპირიდონი მომავალში დარწმუნდა, რომ გიორგის სიფრთხილე არ იყო უსაფუძვლო.

ქარხნისათვის აყვანილი იყო ერთი მუშა ქალიც გვარად ლაკომბი, რომელიც დამზადებულ პარფიუმს შუშებში ასხამდა და საბაზროდ გასატანად შესაფერისად კარტონში ახვევდა. როდესაც სპირიდონმა თეთრი ხალათი ჩაიცვა და ლაბორატორიიდან გამოსული პარფიუმის ნიმუშებით ხელში ამ გაყვენთილ ქალალდებს მეც ცხვირთან მომიტანდა: "სონა, შენ კარგი ყნოსვა გაქვს, რას იტყვი ამ ნიმუშებზედა"ო. მაშინ მართლა ჩემ წინ პარფიუმერი იდგა მომავონდა ჩემი ახალგაზრდობა, როდესაც ამ ნელსაცხებელს იმდენად გადაჭარბებულად ეხმარობდი, რომ მახლობლები მეუბნებოდნენ: "სონა, მეტი გზა არ არის, შენ უნდა პარფიუმერზედ გასთხოვდე"ო. სწორედ ეხლა აღარ მინდოდა ეს პარფიუმი, რადგან ჩვენი ბინა გაჟღენთილი იყო, და ზოგჯერ უსიამოვნოდაც მეჩვენებოდა, მეტადრე ნედლი მასალის აუტანელი სიმაგრე.

მაშასადამე გიორგის საქმემ ფეხი აიდგა და ნელ-ნელა მიმდინარეობდა.

მე მოვინდომე აღმენიშნა ამ საქმის ჩანასახი და ამაე დროს კლამარში ჩვენი ცხოვრების დასაწყისი, ამ მიზნით ფანჩატურში სუფრა გავშალეთ, ამნაირად პურმარილით და ლხინით დავიწყეთ ჩვენი იქ ყოფნა.

ფანჩატური

სუფრას შემოუსხდნენ გიორგი თავისი ცოლით, გიორგის დედინაცვალი ლიზა და მისი ქალი ნინა, გარედან ქაქუცა, ალიკ ამილახვარი, პავლე მოსულიშვილი, ეს გიორგის ძველი, კარგი ნაცნობი და ქალე-

ბიდან შემთხვევით მოსულნი მარგალიტა რები და სვიმონ ციციშვილის მეუღლე მარი.

იმ დღეს უკვე მორჩენილმა, ღონისა და ხალისის პატრონმა პირველად გაეკეთე სადილი, ეცადე ჩვენი ჩიხირთმა, რომლის გემოც საქართველოდან დიდხანს მქონდა შერჩენილი, დანარჩენი კი აღარ მახსოვს, რითი გაუმასპინძლდი ჩემ სტუმრებს.

პირველსავე სადღეგრძელოს მოჰყვა ჩვენი მრავალჟამიერი. ამან კი ამ ჩვენ ემიგრანტების დიდი ნერვებდაშლილობა და ტირილი გამოიწვია. ტონის მიმცემი იყო გიორგი. მაშინათვე წამოდგა და დიდხანს დასტრიალებდა სუფრას თვალცრემლიანი ცხვირსახოცით ხელში, იმას მიჰყვნენ სხვებიც, ტიროდა ყველა, ქაქუცასა და ჩემს მეტი.

ეს იტალიელი ქალი, მსახიობი ქალი ცრემლებს მორიდებულად იწმენდდმდა, ეშინოდა, "მასკარა" არ ჩამოსვლოდა და მისი ლამაზი თვალები არ გაეთხუპნა. ნინა, რომელიც თავისთავს რუსად უფრო გრძნობს დღესაც ვიდრე ვასო მაჩაბლის ასულად, სამწარეულოში ამომყვა ტირილით: "ოჰ, რა მშვენიერი იყო, როდესაც სუფრას ქართული მრავალჟამიერი მოჰფინეთ"ო. კარგი ბანის მთქმელები მყვანდნენ ეს პავლე მოსულიშვილი და რასაკვირველია ქაქუცა.

შემდეგ დედაშვილმა ქაქუცასათვის მიძღვნილი სიმღერა ესთქვით:

"ჩემი ბინა მინდორია, ჩემი სახლი ტყე და ველი,
მე მარტოკა ნუ გგონიავართ, მეგობრებში ვარ და ესტკბები".

"აი, ქაქუცა, ამას მღერიან საქართველოში დღესაც, მხოლოდ ჩუმად მორიდებულად",

"დღემდე მე ეს არ გამიგონია"ო სთქვა ქაქუცამ და ფიქრებს მიეცა. შენც დიდ ამბავში იყავი: ჩემო თეო, ჩვენთან ერთად მხიარულობდა, მაგრამ მალე უნდა დაგეძინა და აგაყენე, მაგრამ ქაქუცამ აღარ დამაცალა და იმან წაგიყვანა დასაძინებლად, საქართველოში ჰყავდა შვილები დატოვებული და იმათ მოგონებაში სიამოვნებით დაგტრიალებდა.

მხოლოდ კარებიდან მეკითხებოდა, რომელი საბანი უნდა დავხურო თეოსაო, როგორც ყოველთვის ალბათ შენ იყავი დიდ არჩევანში, ამიტომ ქაქუცას უნდოდა ჩემი აზრიც გაეგო.

თურმე ნანაც გითხრა, დაგაძინა, მერე კი ჩვენ სუფრას დაუბრუნდა, სადღეგრძელოები დიდხანს გაგრძელდა, დიდის აღფრთოვანებით გიორგი სპირიდონის სადღეგრძელოსა სვამდა: "ბედნიერი კაცი ხარ, რომ ამ ქართულ ცოლშვილში ხარობ, გისურვებ მუდმივ სიამოვნებას და დიდი ხნის სიცოცხლესა"ო. ეს ლხინი ცრემლებით დანამული ცუდათ დავცადეთ.

ორი წლის შემდეგ ხომ ქაქუცა გარდაიცვალა. გიორგიმაც შუა გზაზედ დასტოვა თავისი საქმე, რომელიც ამერიკაში კარგად იყო ფეხმოკიდებული, თუ არა ვცდები მესამე ადგილი ეჭირა პარფიუმერიაში, ისიც უდროოდ გამოესალმა ამ ქვეყანას, ადრე მოკვდა.

ჩვენც მთელი ის დრო, ცხრამეტი წელიწადი, რაც კლამარში ვიყავით, უსიამოვნების მეტი არაფერი გვინახავს.

გიორგი სანგრძლივად დარჩა პარიზში, ოქტომბერში შეადგინა "მაჩაბლის პარფიუმის საზოგადოება" თავისი აქციებით.

ქართველებიდან მონაწილენი იყვნენ სპირიდონი და ნიკო აფხაზი, რომელთაც მისცა პიროვნული აქციები, საზოგადოების თავმჯდომარედ სპირიდონი იყო არჩეული, მაშასადამე პასუხისმგებელი პარიზის საქმისა, დამფუძნებელი და ადმინისტრატორი. ამ როლში ის დარჩა 1937 წლამდე.

სრულიად დამშვიდებული, რომ საქმე სანდო პირს ჩააბარა, გიორგი წავიდა ამერიკაში, მაგრამ დროებით, გაზაფხულზედ ისევ უნდა დაეხედნა აქ ახლად დაარსებულ საქმისათვის.

ჯერ კიდევ აქ იყო, რომ ერთ საღამოს დაესწრო ზემო სართულის ჭრიამულს, ახალგაზრდა ნინა დროსგასატარებლად თავს უყრიდა მეგობრებს: გიორგი იქიდან ჩამოსული ლაპარაკობდა, რომ ჭკვაში არ დაუჯდა ნინას ახალი ნაცნობობა, მათი თავის დაჭერა და სხვა "ეს აქ არ ივარგებს"ო.[1]

საერთოდ უკმაყოფილო იყო ნინათი, აკი ამერიკიდან იწერებოდა, "სპირიდონ მინდა ნინა თავისი დედით მანდედან გადაიდნენ, სხვაგან იშოვნონ ბინა, მაგათი მანდ ყოფნა არ მინდა[2], ნინამ სხვაგან გამართოს თავისი "ვეჩერინკები", ჩემთვის მიუღებელია, საერთოდ მარცხვენს, არ მინდა ჩემ სახლში იცხოვროს"ო.

დიდხანს არ გაუვლია, რომ ლიზამ თავისთან თავისი დისწული მარუსია ბარათაშვილის ასული გადმოიყვანა.

ეს ქალი განათლებული, კარგად აღზრდილი შესახვედრად თითქოს სასიამოვნო, მაგრამ უცნაურიც. ვერაფერს გარკვეულად ვერ ვიტყვი.

იტალიაში იყო თითქმის თხუთმეტი წელიწადი, იქ სიმღერას სწავლობდა, მართლა კარგი ხმა ჰქონდა, მაგრამ ჩაწყვეტილი სჩანდა ეს ხმაც.

კლამარში მოვიდა თავის დეიდასთან ნინას სურვილის წინააღმდეგ, ამიტომ რომ ეს დედაშვილი არ შეეწუხებინა, სხვენში აიღო ერთი ოთახი და ამით დაკმაყოფილდა. ძალიან გაჭირებული იყო. ამაც დროს დიდი ამაყიც, ვერაფერს შესთავაზებდით, ყოველთვის უარით გისტუმრებდათ, საერთო სამზარეულოში იმზადებდა პატარა სადილს, სხვენში აჰქონდა და იქ მარტოკა სადილობდა.

საღამოს საათებში კი ისა და მისი დეიდა ერთად ხანგრძლივად რჩებოდნენ სამზარეულოში და ძველი ამბების მოგონებებში თითქმის შუაღამემდე ერთობოდნენ.

---

1 წერილი № 2 – 29. 9. 1929

2 წერილი № 4 12. 4. 1930 (გვ. 1 და 2)

ახალგაზრდობისას გიორგის პყვარებია, მაგრამ მაშინ ეს სიყვარული არ გაუზიარებია, შემდეგ, როგორცა სჩანს, უნანია და იმდენად, რომ დღესაც მისტირის და უნდა მისი დაბრუნება.

ამის გამო უცნაურად დაიწყო ეჭვიანობა, დარწმუნებული, რომ ყველანი ცდილობენ და ელობებიან გიორგის შეპხვდეს, ფიქრობს, რომ გიორგი ისევ პარიზშია, მაშინ როდესაც ის უკვე ამერიკაშია წასული იეჭვა და იეჭვა იმდენად, რომ ერთ ღამეს გიორგის ძებნაში ჩვენ ბინას კინალამ ცეცხლი გაუჩინა.

მარუსიამ წარმოიდგინა, რომ გიორგი აქ ჩვენთან არის და მას არ ვაჩვენებთ დაეჭირა ხელში ცეცხლში გახვეული დაეცეცილი გაზეთი და ამ კელეპტრით შედის და გადის ოთახიდან ოთახში, თეო შენ ეს კარგად გეხსომება, რადგან ღამის დარბაზობა ჩვენც გვერგო, ძალიანაც შევშინდით, როდესაც მარუსია ამ სანათურით ჩვენ თავს წამოგვადგა და გიორგი იკითხა.

მეორე დღესვე ლიზამ თავისი ნაცნობი ექიმი მოიყვანა, იმან აპხედ-დაპხედა, გამოელაპარაკა და ლიზას ურჩია, ეხლავე საავადმყოფოში წაეყვანა ეს ქალი, რომელიც სულით ავადმყოფი ეჩვენა და მისი სახლში დატოვება შეუძლებლად დაინახა.

ვის უნდა წაეყვანა, ლიზამ მაშინათვე სპირიდონსა სთხოვა, მეტი გზა არ იყო, სპირიდონმა მარუსია ჩაისვა ავტომობილში და საავადმყოფოში დააბინავა.

გავიდა დრო, მარუსია საავადმყოფოდან გამოქცეული კლამარის კარებს მოადგა, მაგრამ თავისი დეიდა იქ არ დაუხვდა. როგორც იცი გიორგიმ არ მოინდომა იმათი ამ სახლში დარჩენა და უკვე გადასულები იყვნენ სხვა ბინაზედ, რასაკვირველია, მათ ბინის ქირა გიორგის ჰქონდა მისაცემი. მაშინათვე გაბრუნდა, ვთხოვე შემოსულიყო, მაგრამ არ დარჩა, წავიდა თავის ანაბარას, როგორ გაიკვლია გზა, არ ვიცი.

პირველ ხანებში სპირიდონს რამდენჯერმე ტელეფონი დაურეკა, ეპატიჟებოდა სხვადასხვა ყავახანაში, მაგრამ ამას ყოველთვის უარი მოსდევდა.

ეტყობა, მთლიანად არ იყო მორჩენილი და თუ გიორგი არა, მისი მეგობარი სპირიდონი მაინც უნდა ენახა, რომ მისგან გაეგო, მართალია თუ არა, რომ გიორგი პარიზშია, ჩვენთან როდის მოვა და სხვა.

საბოლოოდ, როგორც გავიგეთ, ის მოთავსებული იყო საფრანგეთის სამხრეთით ერთერთ საავადმყოფოში, მხოლოდ ვისი თაოსნობით, არ ვიცი. აღმოჩნდა, რომ იქაც დიდხანს არ დარჩენილა და სადღაც დიდ გაჭირებაში მყოფი საცოდავი გარდაცვლილა.

გაზაფხულზედ გიორგი რომ ჩამოვიდა, მას მოადგა მისი რძალი, მარგალიტა ფინლანდიიდან ჩამოსული და გიორგის მოჰგვარა მისი დისწული თამარა გალაფკევი იმ იმედით, რომ გიორგი ამ თავის დისწულს კლამარის ქარხანაში რაიმე სამუშაოს აღმოუჩენს, თვითონ კი თხოულობს, პარიზის ახლად გახსნილ გიორგის მაღაზიაში ადგილს.

ამ რძლის ჩამოსვლა და მისი ნახვა გიორგის ძალიან არ ესიამოვნა, რადგან მისი აზრით მისმა ძმა არჩილმა ამ ქალის გულისათვის მოიკლა თავი "სულ მაგის ბრალია"ო.

ამისდა მიუხედავად, ამ უცხოეთში რომ ნახა გაჭირებული შეეცოდა და თავის სურვილის წინააღმდეგ მაღაზიაში წევნების მოვლა დაავალა.

ისე რომ ორი გამყიდველის გვერდით ეს მესამე, მარგალიტა იყო შეყვანილი.

ორივენი მარგალიტა და თამარი ზემო სართულში დაბინავდნენ. თამარამ სცადა კლამარის ქარხანაში მუშაობა, მაგრამ დიდხანს არ გაჩერდა და მალე გაბრუნდა ფინლანდიაში ისევ მარგალიტას დედობილ ემიგრანტ იუნკერსის მეუღლესთან.

ლიზას ნაამბობიდან მარგალიტას შესახებ, ვიცი, რომ იყო გერმანელი ებრაელის ოჯახიდან: ისა და მისი და ადრე დაობლდნენ, ცნობილ ბანკის იუნკერსის ოჯახს ეს ორი ობოლი ბაშვი უშვილნია, წაუყვანია თავისთან მოსკოვში და მათთვის კარგი განათლებაც მიუცია.

რევოლუციის დროს ამ ბანკირის ოჯახს თავი მეზობელ ქვეყანა ფინლანდში შეუფარებია: იმ ხანებში მარგალიტა გათხოვილა ქართველ თავადიშვილ არჩილ მაჩაბელზედ და საცხოვრებლად ესენი თბილისში დაბინავებულან.

საქართველოში ბოლშევიკების შემოსელისას არჩილი ისევე როგორც მაშინ ყველა თავადიშვილი ულუკმაპუროდ დარჩენილი უსუსური ქონების შესაძენად, სანოვაგესაც კი თურმე ვერა შოულობდა.

ამ პირობებში მარგალიტას გასჭირებია ყოფნა, გაუნებებია თავი ქმრისათვის და სხვას გაჰყოლია. როგორცა სჩანს, ვერც იმასთან უპოვნია სასურველი ბედნიერება და საბოლოოდ დაბინავებულა თავის დედობილთან ფინლანდიაში.

იქვე შეჰკედლებია ეს თამარა გალავნევი, გიორგის დისწული, დედმამით ობოლი, როგორც მარგალიტას მიერ შვილობილად აყვანილი.

რაც შეეხება არჩილს, დიდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს, მას თავი მოუკლამს, ასე მიამბო ლიზამ გიორგის დედინაცვალმა.

.ეს კი მართალია, რომ რუსეთში ჰქონდა მიღებული განათლება, დანარჩენი არ ვიცი. მარგალიტა მაჩაბელი რომ პირველად კლამარში მოვიდა, საწყალ ადამიანად მეჩვენა, ძალიან ცუდათ იყო ჩაცმული: გამხდარი, გაყვითლებული და მთლად ღონე დაცლილი,. ავადმყოფსა ჰგავდა.

ძალიან თავაზიანი და მორიდებული, გარეგნულად ნამდვილი რუსის ქალი სასიამოვნო და სანდომიანი. აი ასეთი შთაბეჭდილება მქონდა შეხვედრისას.

ჯერ მაღაზიაში თითქმის ახლად ჰქონდა ფეხი შედგმული, რომ მისი საავადმყოფოში შესვლა და დიდი ოპერაციის გაკეთება ერთი იყო.

ამის შემდეგ რომ სახლში მობრუნდა, ძალიან იყო დასუსტებული, სიარული უმძიმდა, საერთოდ არ იყო გამორჩენილი.

ამ დროს გიორგი აქ იყო და მის მაგივრად სხვა აიყვანა თავის მაღაზიაში. სპირიდონს ეუბნებოდა: "არ ვიცი, რა ვუყო ამ მარგალიტას, თორემ ამ ახლად აყვანილ ქალს ჩემს მაღაზიაში დავატოვებ, ძალიან ცოცხალი და საქმისათვის სრულიად შესაფერისია"ო.

სპირიდონმა ურჩია: "მარგალიტა შენი რძალია, შინაური ადამიანია, სჯობია, ეს დასტოვო და ერთი თვით აყვანილი უცხო გაისტუმროო".

მარგალიტა ალბად გრძნობდა, რომ გიორგისათვის იმ ჟამად ზედმეტი ბარგი იყო, ამიტომ ერთ დღეს, როდესაც ძლივს იდგა ფეხზედ, გვითხრა: "უნდა წავიდე მაღაზიაში, ეხლავე დავიწყო მუშაობა, თორემ ცარიელზედ დავრჩები, იქ მე სასურველი აღარა ვარ"ო.

ჩვენც შეეწყეთ ხელი, რომ შესძლებოდა მუშაობა, სადილს ჩვენთანა სჭამდა, კიბეზედ ჩამოსვლისას მე ეშველოდი, ხელმოჭიდებული მიმყავდა ოტობიუსამდე, ოთახს მე ეულაგებდი, რომ პარიზიდან დაბრუნებული არ შეწუხებულიყო.

საშინლად მეცოდებოდა ეს ქალი და როგორც მახლობელს ისე ეუელიდი. სპირიდონს როგორც ქარხნის დირექტორს თვალებში შესცქეროდა, ზედმეტ სიტყვას არ ეტყოდა.

თანდათან მოიკეთა, ამიტომ მაღაზიაში უფრო ადრე მიდიოდა, რომ თავისი მუყაითობა სპირიდონისათვის ეჩვენებინა, საერთოდ ამ გიორგის მეგობარს თავს აწონებდა.

ფინლანდიიდან საბოლოოდ ჩამოვიდა თამარა და ზემო სართულში ისეე მარგალიტასთან დაბინავდა.

ხშირად მათ სიყვარულს ჩხუბიც მოსდევდა, მათი წიოკობა ჩვენამდე აღწევდა, მაგრამ მალე რიგდებოდნენ და ერთად კიდეც სიამოვნობდნენ.

მალე დაიწყო ჩვენ სახლში სამოსლების სუნი და მეგობრებთან ერთად დროს გატარება და როდესაც ქეიფი უმაღლეს წერტილს აღწევდა, რუსული წესით, ჭიქების მსხვრევაც ისმოდა.

მალე მარგალიტა მოვარდა, ჩაცმის სურვილიც დაებადა და ახალი ცხოვრება დაიწყო, უნდა ვსთქვა, რომ მოსაწონი ქალი იყო, კარგი ტანის პატრონიც.

საშობაოდ გამართა შობის ხე და სხვებთან ერთად ჩვენც დაგეპატიჟა, ყველასათვის საჩუქრები ჰქონდა დამზადებული.[1]

---

[1] თეო ხომ ძალიან გაანებივრა, სპირიდონისათვის შესაფერისი გალსტუკი და ერთი ბოთლი პერფუმი ლიკიორი, მე კი სულ არაფერი...

ვახშმის შემდეგ ცეკვა გაიმართა, ლამაზი ტანის რხევით მარგალიტამ ტანგო იცეკვა ნინას მეგობარ ალექსისთან,[1] რომელიც სანგრძლივად ტრიალებდა გიორგის ნათესავებთან, თითქმის მათ ოჯახში მიღებული იყო როგორც მახლობელი... გავიდა დრო ერთი წლის შემდეგ გიორგი რომ ჩამოვიდა, მაღაზიიდან სპირიდონს ტელეფონი დაურეკა: "სპირიდონ, ჩამოდი ერთი დავხედოთ ინვენტარს, მე ძალიან არ მომწონს რაღაც რაღაცეები"ო. ერთი სიტყვით ყველაფერი რიგზედ არა სჩანდა, მაგრამ გიორგიმ და სპირიდონმა ვერაფერი გამოამჟღავნეს. გიორგი უიმისოდაც არ იყო გუნებაზედ, რადგან იმ ხანებში ამერიკის ფინანსების კრიზისი საბოლოოდ გიორგის იქაურ საქმეზედაც გაელენას ახდენდა.

ამიტომ იფიქრა, პარიზის მრეწველობაში ხარჯები ცოტა შეემცირებინა. ივჯდა ჩვენთან და შეწუხებული გვეუბნებოდა: "აი, ეხლა უნდა შევიდე ქარხანაში და არ ვიცი, როგორ უნდა უთხრა ჩვენ ქიმიკოსს, რომ იძულებული ვარ დავითხოვო"ო.

ბონგარი დაითხოვა, მაგრამ მისი საქმე სპირიდონმა იკისრა, ამნაირად გადარჩა პარიზის საქმე, რომელიც გიორგის ძალიან ესაჭიროებოდა.

რასაკვირველია, მომავალში ეს ზედმეტი შრომა სპირიდონს ანაზღაურებული ექნებოდა. ეს ვალი გიორგიმ დაიდო, მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვიერად იყო ნათქვამი. მხოლოდ გიორგის დიდი მადლობა: "სპირიდონ, შენ ხარ ჩემი ქრისტეო"ო, და მისი ძმური ამბორი დარჩა სპირიდონს სასოვრად, სხვა არაფერი!

საერთოდ, ბევრი დაპირებები იყო. ვკერესერთი, რომ "საქმე იხეირებს თუ არა, შენ ყოველთვის ეს მოწყობილი სახლი გექნება"ო. რჩები მთლიანი კლამარის საქმის დირექტორი - ე. ი. მრეწველობის უფროსი, ქიმიკოსი, და პასუხისმგებელი ქიმიკოსი, ექსპედიციის შემსრულებელი და ყველაფერი რაც ამას ეხება...

"საქმე გამოსწორდება თუ არა, ეს მთელი შენი ჯაფა ანაზღაურებული გექნება"ო.

ამის გარდა მალალი ჯამაგირი და "5 % პარიზის საქმის წმინდა მოგებიდან"ო.

მე მინდოდა ყველა ეს დაპირებები გიორგის წერილობით აღენიშნა, მაგრამ იმ ჟამად ჩვენთან მყოფმა ერთხელ კიდევ მიხაკო წერეთელმა შემაჩერა: "სონა, ეს როგორ შეიძლება, გიორგი სპირიდონს ძმასავით უყურებს და რომ ეგა სთხოვო, მას ძალიან ეწყინება"ო!

ხო და, ასე დავიღუპეთ...

ბონგარი, რომელიც სპირიდონთან მეგობრულად იყო განწყობილი, წასვლისას შემოვიდა და მითხრა: "უთხარით თქვენ ქმარს, ეხლა მაინც მოუმატოს მაჩაბელმა ჯამაგირი, თუ მთლიანად 3.000 ფრანკი არა "რაც მე მეძლეოდა–500 ფრანკი მაინც მისცეს ზედმეტი

---

[1] ნინასაგან ვიცოდი, რომ ეს ალექსი თურმე ხშირად იმუქრებოდა, გიორგის მოკვლასაც კი აპირებდა. ალბად გამწარებული იმით, რომ ხელი ვერ მოითბო მატერიალურად.

ამ ქიმიკოს. თუ სხვა არაფერი, თქვენმა ქმარმა თაყის ამ პატარა ბაშეზედ იფიქროს"ო!

ამნაირად სპირიდონს როგორც დირექტორს მიემატა ეს ქიმიკოსის მუშაობაც და ისე, რომ ერთი სანტიმი მის თვიურ ჯამაგირს, ე. ი. 1300 ფრ. არ მიჰმატებია. რაც შეეხება ამ მოწყობილ ბინას — როგორცა ვსთქვი უკვე ზემოდ "გიორგი შეჰპირდა სპირიდონს, რომ თუნდაც ამ პარფიუმის საქმემ ვერ იხეიროს, ეს მოწყობილი ბინა ყოველთვის გექნება შენა და შენ ცოლშვილსა"ო.

როგორც ჰხედავ, ჩემო თეო, მამამ თავიდანვე ბევრი საქმე იკისრა, ხშირად სხვისა გასაკეთებელს, თვითონ მიუძღოდა.

მაშასადამე ქარხნის დირექტორობას ქიმიკოსობაც მიემატა და ამასთან ერთად თვით "მაჩაბლის საზოგადოების" თავმჯდომარეობა. ამ ფუნქციას ასრულებდა 1937 წლამდე, მაშასადამე სპირიდონი იყო მთელი საქმის პასუხისმგებელი.

ეს ყველაფერი გასაგებია, რადგან მამაშენი და გიორგი ერთი იდეალის მატარებელნი იყვნენ, გიორგი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. ორივენი ერთად მებრძოლნი ფიქრობდნენ, რომ მომავალში ამ საქმის ნაყოფი საქართველოს ჯრილობებს მცირე მალამოს მაინც მოსცხებსო, ამიტომ იყო, რომ სპირიდონი ასე გულმხურვალედ ჩაება ამ საქმის მუშაობაში და დიდი ჯანღონე შეალია.

გიორგი რომ გაბრუნდა ამერიკაში, ალბად მაინც მეხსიერებაში შერჩენილი ჰქონდა ის "რაღაც-რაღაცეები", რაც არ მოეწონა აქ თაყის მაღაზიაში, ამიტომ მარგალიტას მოსწერა, რომ პგზავნის თაყის ნაცნობ ქალს, სთხოვს, მთელი ანგარიშის წიგნები მას აჩვენოს, ეს ქალი კარგი სპეციალისტია ამგვარ საქმეებშიო.

აი ამით დაიწყო მაჩაბლის საქმეში ამღერეულობა და ბევრი უსიამოვნება. ამ ქალის ჩამოსვლის ამბავი საშინლად ეწყინა მარგალიტას, ალელეებული მიდიოდა და მოდიოდა ამ წიგნებით ხელში დაბარგული: "მე ამ წიგნებს უცხო ადამიანს არ ვაჩვენებ, ბოლოს და ბოლოს შემიძლიან სხვა წიგნები შეეადგინოვ"ო.

საბოლოოდ მარგალიტამ გარდასწყვიტა სპირიდონისათვის სიმართლე ეთქვა, რომ მაღაზიიდან გატანილია ორმოცი ათასი ფრანკის საქონელი, მხოლოდ წიგნებში მისი კვალი არა სჩანს. ამას თაყის თაყზედ იღებს გამყიდველი ქალი, სირობერი და მისი ქმარი კისრულობს ამ საქონლის ღირებულების თანხის გადახდას, მხოლოდ ერთის პირობით, ეუბნება მარგალიტა სპირიდონს, რომ ეს ამბავი გიორგიმ არ უნდა გაიგოსო.

ასეთი ულტიმატუმი, რომ გიორგიმ არ უნდა იცოდეს, რა ხდება მის მაღაზიაში, რასაკვირველია, მამაშენს არ მოეწონა.

ეს გამყიდველი ქალი სპირიდონმა დაითხოვა და მისი ქმრისაგან მილებული თანხა კასაში დააბინავა, მარგალიტას ურჩია, თვითონ მიეწერა გიორგისათვის ეს მარცხი როგორც წიგნების მეთვალყურეს და პასუხისმგებელს.

აი აქ ჩატყდა ის ხიდი, რომელიც მარგალიტას და სპირიდონს მუშაობაში აერთებდა, ამ დღიდან დაიწყო მუშაობა მამას წი-

ნაღმდეგ და ისეთი, რომ ადამიანისათვის მეტისმეტად გაუგებარი და ჯადოსნურია.

ამ გამყიდველი ქალის დათხოვნას სპირიდონი ხომ ვერ დაუმალავდა გიორგის, მიზეზიც ხომ უნდა ეთქვა, ამიტომ სჯობდა თავის მაზლისათვის თვითონ გაეზიარებინა ეს ქურდობა: მაგრამ მარგალიტამ არჩია, ყველაფერი დამალულიყო.

ერთ საღამოს სპირიდონთან დიდი ლაპარაკი მოუვიდა, მარგალიტა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამგვარ საქმეებში სპირიდონი თანამოაზრედ არ გამოადგებოდა, ამიტომ გაწყვიტა მასთან ყოველგვარი კავშირი და შეუდგა მუშაობას.

ჩვენთანაც ერთ ჭერქვეშ აღარ მოინდომა ყოფნა და სხვაგან გადავიდა.

მისი გადასვლა ჩვენთვის ურიგო არ იყო, ცოტა ამოვისუნთქეთ, მისი იქ ყოფნა ბოლო ხანებში ძალიან გვაეიწროებდა.

მაღაზიიდან ბრუნდებოდა ქალი საბაასოდ გამზადებული, შედიოდა სპირიდონის ბიუროში, იწყებდა ლაპარაკს გაუთავებლად. ზოგჯერ ღამის 1-2 საათამდე, თამარაც აღარ ეგულებოდა ზემო სართულში, რადგან ის უკვე გათხოვილი იყო ვახტანგ მაჩაბელზედ.

როგორც იყო, სპირიდონმა თავი დააღწია მის საზოგადოებას, ბოლო დროს ოთახიდან აღარ გამოდიოდა, რომ მას არ შეხვედროდა.

ჯერ კიდევ ვიდრე თამარა მასთან ერთად ზემო სართულში ცხოვრობდა, ჩამოგზავნიდა ხოლმე: "მარგალიტა დაღლილია, წევს და გთხოვთ, ამოხვიდეთ, რომ საქმეებზედ ილაპარაკოთ"ო!

სპირიდონი არ ადიოდა და თამარას პირით უთვლიდა: "არა მცალიან, მეც დაღლილი ვარ და მინდა ადრე დავწვე"ო.

საერთო გექონდა ტალანში ღვიმელი, რომელიც ორივე სართულს ათბობდა, ღამის თერთმეტ საათზედ ჩამოვიდოდა მარგალიტა და ამ ღვიმელს დაუწყებდა ჩხიკინს, უნდოდა მშველელი, რომ ცეცხლი გაელუებინა.

მამა მეტისმეტი დამთმობი და თავაზიანი, მაგრამ ამასთან კერპიც, ისე რომ მარგალიტას ჩივილს, რომ ცეცხლს ვერ ალუებს "ოხ ეტა პეჩკა, პეჩკა" ამას მამა სიჩუმით უპასუხებდა და ადგილიდან არ იძეროდა.

მტრულად განწყობილმა მან დასტოვა კლამარი და სპირიდონს ტელეფონით დაუწყო დავა სულ უბრალო რამეზედ, მაგალითად, რატომ ამა და ამ პარფიუმის ნიმუშები არ გამოგზავნეთ, ან თუ სპირიდონი გასული იყო, "დაგირეკეთ და თქვენ ქარხანაში არ იყავით, მაშასადამე არ მუშაობდით"ო.

იმისი ტელეფონი ყოველთვის უსიამოვნო იყო მამასათვის, გახსოვს, თეო, როგორ უწითლდებოდა სახე, ხშირად ეშიშობდი, მამა იქვე არ გათავებულიყო.

ეს ქალი ამ საქმეში ასე დამწაშავე, აქეთ გვედავებოდა... ზოგჯერ სპირიდონმა მაგრად უპასუხა, მაგრამ ამაზედ მეტი ეელარაფერი მოახერხა. ამ ქალთან ძნელი გახდა ყოველგვარი ტაქტი, მოთმინება და საერთოდ კავშირი.

ეს არაფერი მაგრამ გიორგი რომ ჩამოვიდა გაზაფხულზედ მარგალიტას შეუჩიველია, რომ სპირიდონი მას ცუდათ ექცეუა დამასთან მუშაობა უმძიმს. აქ უკვე ამზადებდა, როგორცა სჩანს თავდაცვის სტრატეგიას.

გიორგი შეეკითხა სპირიდონს ამ უცნაური თაყვის დაჭერის შესახებ მარგალიტას მიმართ. კიდეც შეეცადა მათი ურთიერთობის გამოსწორებას და ერთ დღეს ყველანი დაგეპატიჟა იქვე კლამარის პატარა რესტორანში — მყუდრო ფანჩატური, სუროში გახვეული, მედონის ტყის განაპირას.

იქ გიორგი, ხალისიანად მოგვეცინა კიდეც კარგ მზარეულად. შედის სამზარეულოში შინაურულად და თვითონ ამზადებს ერბოკვერცხს! კარგა ხანი დაერჩით, თითქოს ყველანი უდარდელნი...

გადის ცოტა დრო, ჯერ კიდევ გიორგი ნიუორკში არ დაბრუნებულა და როდესაც მაინც ვერ გაეგო ამ მტრული განწყობილების სათაყვე, მაშინ სპირიდონმა ყველაფერი უამბო მაღაზიაში მომხდარი ამბები.

გიორგი ისე აღელდა, რომ მაშინათვე უნდოდა ულაპარაკოდ მარგალიტას დათხოვნა, მაგრამ სპირიდონმა, ეს უკვე მეორედ, გადააფიქრა: "უმუშევრად ნუ დასტოვებ, მაინც შენი მახლობელი ადამიანია"ო.

ერთ შაბათ დღეს გიორგიმ მარგალიტა დაიბარა კლამარში, ქარხანაში, სპირიდონის თანადასწრებით. უნდა გამოეტეხნა, სიმართლე ეთქვა. ამიტომ განგებ ჯერ მამას შეეკითხა: "სპირიდონ, ქარხანაში როგორ მიმდინარეობს მუშაობა, ხომ არაფერი დაგკლებიათ"ო მამას ხომ უკვე ნათქვამი ჰქონდა და განიმეორა, რომ ლაკომბის ხელში 12 საპუდრე დაიკარგა და აპირებს მის დათხოვნას და სხვა მუშაქალის აყვანას.

ჯერი მიდგა ეხლა მარგალიტაზედ, რომელიც სდუმდა. ეერაფერი ათქმევინა გიორგიმ როდესაც ჰკითხა: "შენ ხომ არაფერი გაკლია წიგნებში ალბად ყველაფერი შეტანილი გაქვს"ო.

ეს დაკითხვა უშედეგოდ თავდება, ეერ გამოტეხა.

გიორგი აღშფოთებული დარჩა. მარგალიტა ბრუნდება პარიზში, გიორგი კი რჩება კლამარში იმ დღეს.

შემდეგ ხდება სასწაული... მარგალიტა ხმარობს ისეთ ქალის იარაღს რომლის წინაშე ყველა მამაკაცი მეტისმეტად სუსტია, და ამერიკაში წასვლის წინა დღით ეოდკამ და... ყველაფერმა ჩვენი გიორგი დაალბო და იმდენად, რომ მეორე დღეს სთხოვს სპირიდონს, ტელეფონში, მარგალიტას ლმობიერად მოექცეს: "ნუ დაუყვირებ, ხომ იცი ქალია, სულ ტირის"ო. "სადგურზედ, ჩემო სპირიდონ, ნუ გამოხვალ, ნუ შესწუხდები"ო. ცოტა დარცხვენილი კი სჩანდა.

დასაწყისში გიორგი ასე გაშმაგებული მის წინააღმდეგ ამ ქალმა ეს თავისი მაზლი ისე მოატრიალა, რომ დათხოვნა კი არა, ის დანიშნა გიორგიმ მაღაზიის ხელმძღვანელად! ეს კი დაუთმო მაგრამ ზურაბ ავალიშვილს ჩააბარა მაღაზიის ზედამხედველობა, ე. ი. კონტროლი.

ასე შეარბილა გიორგიმ თავისი წუთიერი სისუსტე.

ამ გარემოებამ — უნდა ვსთქვა — სრულებით არ შესცვალა სპირიდონ და გიორგის შორის მეგობრული განწყობილება და სიყვარული. ამას მოწმობს უკანასკნელი მისი წერილები.

რა გამოვიდა! სპირიდონი რჩება პარიზის მოშხამულ ატმოსფერაში... ბევრ ურიგობას და ტყუილებს აქვს ადგილი, რომ სპირიდონმა გული აიყაროს, ამ საქმეს თავი დაანებოს: ამ ნაირად მოიშორებდა მარგალიტა ამ სასტიკ ცენზორს.

დაიწყო მუშაობა მუშებში, რასაკვირველია იქ გაიჩინა ერთგულად ეს ლაკომბი რომელსაც გააგებინა, რომ სპირიდონი დათხოვნას უპირებს, მაგრამ ამას ის ვერ შესძლებს და რომ მფარველობას ეს გაუწევს და სხვა...

ლაკომბმა ზურგი გაიმაგრა მარგალიტას ჩვენ მიმართ მტრობით და ეს ქალი გახდა სპირიდონის მოსისხლე მტერი. წაქეზებული ალარაფერს ზოგავდა თავის დირექტორის მიმართ.

როგორც იცი, ლაკომბი დათხოვნილი არ იყო, ეს რასაკვირველია მარგალიტამ მოაწყო გიორგისთან. ამნაირად არც მარგარიტა იყო დათხოვნილი და არც ლაკომბი, ორივენი გიორგიმ დასტოვა.

სპირიდონი ამ დღიდან შერჩა ამ ქალების შურისძიებას.

ეს ყველაფერი ასაწერია, მაგრამ ჯერჯერობით ამაზედ შევჩერდები.

უკანასკნელად გიორგი რომ ჩამოდის პარიზში, სპირიდონს თავის ანდერძის შესახებ დაწერილებით ელაპარაკება, თითქოს გრძნობდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, და საჭიროდ მიიჩნია, სპირიდონს ანდერძის შინაარსი სცოდნოდა.

უთხრა სპირიდონს, რომ თავის ანდერძში ჩვენი ოჯახი არ არის დავიწყებული, პირიქით ისიც კი უთხრა, რომ ნინას არაფერს უტოვებს, რადგან თავის ყოფაქცევით ნინამ ის შეარცხვინა“ და სხვა.

1935 წელს ყველასათვის სრულიად მოულოდნელად გიორგი გარდაიცვალა. წინა საღამოს კოკტეილზედ იყო დაპატიჟებული, იქიდან რომ დაბრუნდა, საშინელი სიცხე მისცა და ორი სამი დღის შემდეგ გონება დაკარგა და გარდაიცვალა.

ერთერთ მის წერილში სპირიდონსა სწერს, რომ დიდი უსიამოვნობა ჰქონდა ერთ სომეხთან, რომელიც ალმოჩნდა კომუნისტების ძველი აგენტი კავკაზიდან ჩამოსული, კინაღამ დამღუპაო, მაგრამ ამას პირადათ გიამბობ, წერილში ამის მოწერას მოერიდა...[1]

მიცვალებულის მახლობლად მისი ცოლი ნორინა აღმოჩნდა, რომელიც უკვე გაყრილი იყო გიორგისთან და კალიფორნიაში ცხოვრობდა, სასწრაფოდ ჩამოფრენილა და რომ მომაკვდავმა გიორგიმ იმისი ოთახში შესვლა იგრძნო, უთქვამს: “ალბად საქმეზედა სარ ჩამოსული“ო, იმდენად იქ მისი ყოფნა გაუგებარი იყო.

---

1 მაგრამ ნახვისას გვანდო, რომ აშკარად გრძნობდა საშიშროებას... რასაკვირველია ბოლშევიკები პყავდა მხედველობაში.

გიორგის თვალების დახუჭვას ღა ელოდებოდა ნორინა, რომ მაშინათვე თურმე გიორგის აეეკს დაეპატრონა და რაც უმთავრესია, გაქრა გიორგის ანდერძი. იმას ეელარ მიაკვლიეს, და დღესაც არ ვიცი ეის ჩაუვარდა ხელში.

გიორგის სიკვდილით ჩვენ დავკარგეთ კარგი მეგობარი, ქართველობამ ნამდვილი პარტრიოტი, რომელიც ფიქრობდა სპირიდონთან ერთად მთელი თავისი ქონება საქართველოს საკითხისათვის მოეხმარებინა.

ეს ქონება კანონის მიხედვით გაიყვეს ცოლმა, გიორგის ძმის, ილოს მოადგილედ ბოლშევიკურმა მთავრობამ, ეს ილო საქართველოში იყო დახვრეტილი და მას აღარა ჰქონდა ადგილი თავის ძმის მემკვიდრეობაში, შემდეგ გიორგის დისწულმა თამარა გალაკტიონის ასულმა მომავალში ვახტანგ მაჩაბელის ცოლმა, სულ მცირედი ნაწილი მიაკუთნეს ნინას გიორგის ნახევარ დას ყოფილ ჯინჭარაძის მეულლეს.

დღეს ეს არის ერთადერთი მემკვიდრე კლამარის სახლკარისა, სადაც ჩვენ ვიცხოვრეთ მთელი 24 წელიწადი, ის არის მისი საკუთრება.

რამდენადაც ვიცი, თამარა გალაკტიონის წილი ამან მცირედი თანხით შეიძინა, რაც შეეხება ილოს წილს ეი. ბოლშევიკებისას, მას იოლად ჩაიგდებდა ხელში, იმისათვის ეს არ იქნება ძნელი ოპერაცია, როგორც მითხრა: "ერთი პურის ლუკმად ჩავიგდე"ო.

ალბად გახსომს, თეო ომის შემდეგ ნინა მოვიდა ჩვენთან ერთი რუსის ჯარის კაცის თანხლებით, რომ იმისათვის მიეცა თავის დედის ლიზას სიკვდილის შემდეგ თავშესაფარში, მისი ბარგი ჩვენ სახლში დარჩენილი.

ამ ჯარისკაცმა დატვირთა ლიზას ლოგინით თავისი საბარგულე და კიდეე ემუქრებოდა გერმანიას. ჩუმად ბურტყუნებდა.

ნინამ წარმომიდგინა ეს ყმაწვილი და გამაგებინა, რომ "ეს არის ჩეკის საიდუმლო აგენტი, რომ ეხლა ბრუნდება რუსეთში და ჩემთან ექნება მიწერ-მოწერაო".

ეზოდან რომ გაეიდნენ ამ თავის ნაცნობს ჩვენი ეინაობაც გააგებინა: "ესენი ქართველები არიანო", მაშასადამე თვითონ იყო რუსად წარდგენილი ამ ახლად გაცნობილ ჩეკისტთან ეს ყველაფერი იყო რუსულად ნათქვამი.

გიორგის სიკვდილის შემდეგ მაჩაბლის პარფიუმის საზოგადოება განაგრძობდა მუშაობას, მისი ერთერთი წევრი საშა ტარსაიძე აწარმოებდა საქმეს მალე მოვიდა მისი დეპეშა, სთხოვდა სპირიდონს საჩქაროდ წასვლას ამერიკაში და იქაური პარფიუმების მოწესრიგებას.

აღმოჩნდა, რომ იქაურმა ქიმიკოსმა საზოგადოებას შანტაჟი გაუკეთა "ფორმულებს მოგცემთ, თუ ამა და ამ თანხას დასდებთ"ო. აი სად გამართლდა საწყალ გიორგის ნათქვამი: "ამას საქმე მოითხოვს"ო, რომ ყველას არ უნდა ანდოს ფორმულები.

იმ ქიმიკოსმა ალბად არ იცოდა, რომ პარიზში მთლიანი ფორმულები სპირიდონსა ჰქონდა თავის ბიუროში დაბინავებული.

ტარსაიძემ საგზაო ფულიც მაღაზიაში გადმოგზავნა, მაგრამ მარგალიტამ ამ თანხის მხოლოდ ნახევარი გადასცა სპირიდონს, რომელმაც ტარსაიძესთან შეხვედრისას გაიგო ეს უმსგავსობა.

სპირიდონმა ზაფხული ამერიკაში გაატარა, საქმე აწეწილი დაუხვდა, უმთავრესად ნაკლულად დატოვებულ ფორმულებს მოუარა და ერთერთ მოსამსახურე კირილე გურგენიძე, ერთგული გიორგისა, გაწვრთნა ამ პარფიუმების მომზადებაში. ამაში სპირიდონმა 3 თვის ნორმალური ჯამაგირი მიიღო, ეს იყო და ეს.

ამერიკაში წასვლისას ქართველები ურჩევდნენ მამას: "სპირიდონ, ეხლა დროა, მაჩაბლის საზოგადოებას ფული დაადებინოო".

როგორც იცი, შვილო, ამ საზოგადოებას დიდი ფული ემართა მამასი, მე გითხარი, რომ ქარხნის დირექტორობას ქიმიკოსობაც მიემატა ისე, რომ ამაში ზედმეტი არაფერი აულია იმ იმედით, რომ საბოლოოდ გიორგი ამას ეალადა სთელიდა და მის სიკვდილის შემდეგ მაინც ეს თანხა საზოგადოებას უნდა აენაზღაურებინა.

მაგრამ ტარსაიძემ თავი შეაცოდა, დიდძალი ვალები აქვს საზოგადოებას და ეხლა ამ თქვენ ვალს ვერ მოეშორებათო.

სპირიდონი მწერდა ამის შესახებ ამერიკიდან "ხომ იცი, ჩემს ინტერესების დაცვაში სუსტი ვარ და ვერაფერი გავაწყვეო. (წერილი არხიშვია)[1].

ეს თანხა იყო, მაშინდელი ანგარიშით 400 ათასი ფრანკი, იმას ხომ აღარ ვამბობ, რომ ამ საქმეში მამას გარდა მთელი ოჯახი ეიყავით ჩაბმული. მე ხომ საღამოს ექვს საათამდე ბიუროში ვიჯექი, გარეთ ფეხს ვერ გავდგამდი, ხან საქონელი უნდა მიმეღო, ან თუ ვინმე მამას იკითხავდა, ისევ მე ვუპასუხებდი. მამა თავის ლაბორატორიას ვერა სტოვებდა, რადგან ტელეფონი მხოლოდ ბიუროში იყო, ამ უხერხულობას დიდხანს ჰქონდა ადგილი.

შენ ხომ რომ წამოიზარდე, ხშირად ამდგარხარ, პიანინო მიგიტოვებია, რომ მამას მაგივრად ტელეფონი შენ მიგეღო.

ერთი სიტყვით სულელები ვიყავით.

მალე გვესტუმრა ახლად დაქვრივებული ნორინა, სწორედ მაშინ, როდესაც სპირიდონი ჯერ კიდევ ნიუორკში იყო და ლაბორატორიაში მუშაობდა.

სპირიდონის ამერიკაში ყოფნით ისარგებლა მარგალიტა მაჩაბელმა და მოინდომა პარფიუმერიაში სხვა ქიმიკოსის დანიშვნა.

იმან დაარწმუნა გიორგის ახლად დაქვრივებული ნორინა "რომ სპირიდონი კარგად ვერ აკეთებს პარფიუმებს, ყოველთვის ძმრის სუნი უდის, ამიტომ ვიდრე ის დაბრუნდება, სხვა ქიმიკოსი უნდა დავასვედროთო".

შეიყვანა ნორინა მაღაზიაში და ძმრიან ბოთლში ჩასხმული "Ave Maria" გიორგის საუკეთესო პარფიუმი, მას ასუნებინა.

---

[1] აქვე მაგონდება ერთ-ერთ წერილში ამერიკელების დახასიათება: "ყორაღები და ყაჩაღები".

ეს ამბავი გიორგის დედინაცვალმა ლიზამ გამაგებინა: "იცოდეთ, ქალბატონო სონა, თქვენი ქმრის ადგილას სხვა ქიმიკოსს იწვევენ, ეს ბატონ სპირიდონს შეატყობინეთ"ო.

მე ეს ამბავი სპირიდონს დეპეშით გავაგებინე, ეს დეპეშა სხვა წერილებთან ერთად არხიეში მაქვს შენახული.

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ლიზა ეხლა უკვე ნანობდა ამ თავის რძლის ფინლანდიიდან ჩამოსვლას, ხომ გახსომს, ამან მისწერა და გააგებინა მარგალიტას, რომ გიორგიმ საქმე გახსნა პარიზში, "ჩამოდი, მარგალიტა, შენც შედგი ფეხი ამ საქმეში"ო. ეხლა გიორგის სიკვდილის შემდეგ ხომ იმის ფეხი შედგმული კი არა იქ მაგრად იყო დამკვიდრებული.

ამერიკიდან რომ დაბრუნდა, სპირიდონმა ამ "ძმრიანი პარფიუმის" ამბავი ჯერ კლამარის ქარხანაში გამოარკვია, შემდეგ კი თვით მაღაზიაში. ამას მოჰყვა დიდი ბოდიში, შეცდი, თვით შუშა ძმრიანი იყოო. ასე იბოდიშებდა მთაყარი გამყიდველი ქალი—Mme de Velna.

აი რა ხალხთან მოუხდა მუშაობა მამაშენს, ჩემო თეო.

მარგალიტა მარტო არ მოქმედობდა, მას მრჩეველი ზურგს უმაგრებდა, აკი უკანასკნელად უფროსმა გამყიდველმა ქალმა გითხრა: "Faites attention, elle est très forte".

1937 წელს მაჩაბლის საქმე იყიდება, ვინმე ამერიკელი ებრაელი გვარად განცი იძენს ამ ფირმას: ეს კაცი ჩამოდის პარიზში და რასაკვირველია, მისი პირველი დარბაზობაა, გიორგის მაღაზიაში მისვლა.

იქ უხვდება მარგალიტა როგორც მაჩაბლის მეუღლე მაშასადამე Princess Matchabelli რაც ასე აგიჟებთ ამერიკელებს, რასაკვირველია, არ ეუბნება, რომ იმ ჟამად კიდეე სპირიდონია ამ მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარე და თვითონ ევლინება საქმის მთავარ პატრონად, რომელსაც მაშინ არცერთი აქცია ხელში არა ჰქონდა.

განცი ერთ დღეს მარგალიტას თანხლებით ამოდის კლამარში ქარხნის დასათვალიერებლად, სპირიდონს არაფრად აგდებს, წასვლისას სპირიდონი სთხოვს შეხვედრას, მაგრამ მარგალიტას საჭაროდ უკვე შეუდგენია ახალი საზოგადოება თავის ადმინისტრაციით: საზოგადოების თავმჯდომარედ არის იმ დღიდან სოლომონი, განცის კაცი, მას აბარებს განცი თავის აქციებსაც.

სოლომონი სთხოვს სპირიდონს, თავი დაანებოს თავმჯდომარეობას, შემოიტანოს ქალალდი, რომ "ადმინისტრაციიდანაც გასდიხართ"ო.

"საერთოდ ამ საქმეში ვიქნებით მე, მარგალიტა მაჩაბელი, რადგან ეს სახელი საქმისათვის არის საჭირო, ჩემი ქალიშვილიც შემოდის როგორც ადმინისტრატორიო, თქვენ ჯამაგირს მოგიმატებთ და რასაკვირველია, უთქვენოდ არაფერი გაკეთდება"ო.

რა თქმა უნდა, სპირიდონი ამაზედ არ დათანხმდა და არავითარი ქალალდი თავის თავის უარყოფაზედ არ შეიტანა, აქციების პა-

ტრონი იყო, მაშინ როდესაც მარგალიტას არამცთუ აქცია, ოფიციალურად ის მხოლოდ წიგნების მეთვალყურედ იყო იქ დანიშნული. ის იმას ცდილობდა, ახალ პატრონს სპირიდონი, როგორც ამ მაჩაბლის საქმეში მთავარი პასუხისმგებელი ქიმიკოსი, კარგ თვალზედ არ ენახა.

განცს მოეწონა სპირიდონის ერთი ნიმუში და უნდოდა, მისი ალება, მაშინ მარგალიტამ და მისმა მაშინდელმა მეგობარმა გამყიდველმა ქალმა Mme de Velna–მ მთელი პარიზი შესძრეს და ბევრი ნიმუში წარუდგინეს განცს, მაგრამ ვერ მოხიბლეს, ის გაჩერდა სპირიდონის ნიმუშზედ, რომ ვერ დაიყოლია ეს ქალები "ჩვენ მაგას ვერ გავყიდითო", მაშინ განცმა ერთგვარი ხასიათი გამოიჩინა, არც სპირიდონის ნიმუში აიღო და არც ამ ქალების მიერ მოყრილი ნიმუშებიდან, იმან სულ სხვა ნიმუში იშოვნა.

ამგვარი ხასიათის წვრილმანებს ბევრჯერ ჰქონდა ადგილი ამ პარფიუმერიაში, მაგრამ ომი რომ გამოცხადდა, მარგალიტასა და სპირიდონის შორის განწყობილება უფრო და უფრო დიდის სიმკაცრით განეითარდა.

მთავარი ადმინისტრატორი სოლომონი ამ ურთიერთობას ცოტა არ იყოს, ანელებდა მაგრამ როდესაც ის იძულებული გახდა, როგორც ებრაელი, პარიზიდან გასულიყო, მაშინ მაჩაბლის ცოლმა არც სოლომონი დაინდო, და რასკვირველია არც სხვა. სოლომონმა მას დაუტოვა ის აქციები, რომელიც განცისაგან ჰქონდა ჩაბარებული დაახლოვებით 100, იმ იმედით, რომ ომის გათავებისას მარგალიტა მას უკან დაუბრუნებდა.

"ანაბარი მგელმაც იცისო" ნათქვამია, მაგრამ მარგალიტა მგელზედ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, სოლომონს უარი უთხრა და ეს აქციები თეთონ დაირჩინა.

სოლომონი შესჩიოდა სპირიდონს, მაგრამ აბა რას უშველიდა ეს ჩივილი. ვერაფერი გააწყო და დარჩა ეს კაცი მთლად გულაყრილი.

უმთავრესი ის არის, რომ მარგალიტამ ტახტი სწორედ გერმანელების შემოსვლისას დაიდგა. როგორც გერმანიაში დაბადებულმა, რასაკვირველია, თავის ებრაელობის ჩამომავლობაზედ ის არაფერს იტყოდა. გახდა მთელი საქმის დირექტორი.

ეხლა კი იმედი ეძლეოდა მარგალიტას, რომ მარტოდმარტო დაეპატრონებოდა ამ საქმეს, რადგან სპირიდონი გაწვეული იყო გერმანიაში სწორედ მაშინ, როდესაც მათი ჯარი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს უახლოვდებოდა.

რამოდენიმეჯერ სპირიდონი იძულებული იყო გერმანიაში ემოგზაურნა მაგრამ მაჩაბლის საქმე ამით არ დაზარალებულა.[1]

ის პარფიუმის საჭირო რაოდენობას ამზადებდა და ისე მიდიოდა.

---

1 წერილი არხივშია.

სპირიდონის გერმანიაში ყოფნას მე შემდეგ დაუბრუნდები, როდესაც ვილაპარაკებ სპირიდონზედ და მის ადგილზედ ემიგრაციაში.

მაჩაბლის ცოლი ქარხნის მუშებს არწმუნებს, რომ სპირიდონი კოლაბორატორია, ამიტომ მუშები ისე გადაემტერდნენ მამას და იმდენად, რომ გერმანიიდან დაბრუნებული, ქარხანაში მამა მათგან სალამსაც კი ვერ ღებულობდა.

ერთ დღეს, სწორედ მაშინ როდესაც სპირიდონი გერმანიაშია გათენებისას მოგვაყენა პოლიცია, მე და შენ მარტონი ვართ, ეს არის კვირა დღე, შენ ხელის კანკალით ურეკამ ტელეფონს ფრანგულ პოლიციას, ჰკითხულობ, მართლა ესენი იქიდან არიან გამოგზავნილნი თუ არა. პასუხი დადებითია.

ამ პოლიციელებს ეს ცოტა არ იყოს უკვირთ, რადგან ჩვენ მათ თვალში კოლაბორატორებად ვართ წარდგენილი, და ამ შემთხვევაში გერმანელებს მივმართავდით და არა ფრანგებს. ვერც შამპანიურის ცარიელი ბოთლები იპოვნეს ჩვენთან, რაც იმათი აზრით ბუნებრივი იქნებოდა, შაბათ საღამოს ჩვენთან რომ გერმანელები ყოფილიყვნენ, ბინა ალკოლის სუნში უნდა დაეხვედროდათ.

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ისე გათავდა ომი, რომ ჩვენს სახლში არცერთი გერმანელი არ ყოფილა, მხოლოდ ერთი გამონაკლისით, როდესაც ისინი პარიზში შემოვიდნენ, მიშა კედიამ მოგვაყენა ერთი გერმანელი, ისიც დაუკითხავად და ისეთი დახვედრა მიიღო იმ გერმანელმა, რომ ძალიან უკმაყოფილო წავიდა: "კედიამ ისე მიგვიღო როგორც ძაღლები"ო.

მართლა და ასეთი სულიერი განწყობილება იყო მაშინ ჩვენს ოჯახში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ გერმანიას ხელშეკრულება ჰქონოდა რუსებთან, მთელი ქართველობა იყო გერმანელების მომხრე. "თამარ პირველი"ს ლეგიონი ხომ ამის გამოძახილია.

მარგალიტას გვერდში ჰყავდა ახალგაზრდა გიორგი დადიანი, რომელიც სპირიდონის წყალობით შემოსული იყო ამ საქმეში როგორც "garçon de course" ე.ი. შიკრიკი ან კურიერი და პირველ ხანებში დიდის პატივით და ყურადღებით ექცეოდა სპირიდონს. მისი ავადმყოფობის დროს უძვირფასესი ხილის მოტანა და სხვა... სულ ბოლო დროს კი მაჩაბლის ცოლის გაელენით სალამის მოცემასაც კი ერიდებოდა!

კარგად იცი, შენ ჩემო თეო, თუ რა მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა მამას, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად. რომელი ერთი ვსთქვა.

ჯამაგირები ემატებოდა ყველას, სპირიდონს ამ თავის "დირექტორისაგან" უნდა მოეთხოვნა ის რაც ერგებოდა, აქაც იმისი სურვილი იყო ეწუალებინა ეს ადამინაი, რომელიც გიორგის სიცოცხლეში ამ საქმის მთავარი სულის ჩამდგელი იყო, და ორჯერ გადაარჩინა თვით საქმე და ამ მარგალიტას დათხოვნაც ხომ სპირიდონმა ორჯერ გადააფიქრა გიორგი, მაგრამ ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცა.

მკაცრი ზომები იწყება. ლაბორატორიასა და ქარხნის შუა კეთდება კარები, რომელსაც ლაკომბი ჰკეტავს როდესაც მუშაობა თავდება, ამნაირად მამა ქარხანაში ველარ შევიდოდა. ერთი სიტყვით ჩაკეტილი იყო ეს კაცი რომელსაც წინად ამას ვერ გაუბედავდნენ: სულ თვალებში შესცქეროდნენ ყველა იქ მომუშავე და თვითონ მარგალიტაც.

ქარხნის უფროსად ლაკომბი არის დანიშნული და ის ურიგებს მუშებს ჯამაგირებსაც. სპირიდონმა არჩია ამ თანხის მილება ბანკის საშუალებით.

ამის გარდა მაჩაბლის ცოლი — უფრო რომ შეევიწროვებინა სპირიდონი — უნიშნავდა თანაშემწეებს, ხან ერთს და ხან მეორეს.

პირველი ქიმიკოსი ძლიან დაუმეგობრდა სპირიდონს და იმდენად, რომ ერთხელ კიდეც ჰკითხა: "რა არის მიზეზი, რომ მაჩაბლის ცოლს ასე არ უყვარხართ"ო? ის დიდ ხანს არ გაჩერდა და წაიდა.

მეორე, ეს უკვე ახალგაზრდა ქიმიკოსი მხოლოდ რამოდენიმე დღე იყო მამასთან და ამ სიტყვებით გამოეთხოვა სპირიდონს: "აქ მე რაღაც სხვანაირად ვხედავ ყველაფერს, ამეებში ვერ გაეერევი და ამიტომ მივდივარ"ო.

ამ ცვლილებებში საყურადღებოა, რომ უცბად დადიანი მარგალიტას მიერ დანიშნულია კომერციის დირექტორად. მაშასადამე, მარგალიტასთან ეს კომერციის დირექტორი და ქარხნის უფროსი ლაკომბი ბევრ საზიზღრობას მიმართავდნენ მამას წინააღმდეგ. ეს დადიანი უკვე არა სუმრობს... ერთ დღეს, ქუდ მოუხდელი შედის სპირიდონთან ლაბორატორიაში და აცხადებს: "ალკოლი გვაკლია"ო. "c'est très grave, monsieur Kedia"...

ხან და ხან ამოდიოდა მაღაზიიდან ამ ორ ქალ შუა, ხელ გაყრილი, მარცხნივ მარგალიტა და აქეთ ეს ალის (ლაკომბი). სიცილით და ხმაურით შედიოდნენ ქარხანაში — ალბად უკვე ნასადილევები — და უერთდებოდნენ დანარჩენ მუშებს. ეს სამიევნი, მაგრად დაკავშირებულნი ხშირად ერთად დროსაც ატარებდნენ და იმდენად ეს ფრანგის მუშა ქალი მოშინაურებული იყო ამ ჩვენ თავადთან, რომ როდესაც საქმეებზედ ტელეფონში გამოელაპარაკებოდა ხოლმე, მას მიმართავდა მოურიდებლად მეტის მეტად უშნო და ეულეგარული ალერსიანი სიტყვებით, რომელსაც მე აქ ვერ გავიმეორებ. ამ დროს სპირიდონს მართლა კი უმძიმდა თავის ლაბორატორიაში ყოფნა. ეს ქარხანა ემსგავსებოდა სულმთლად დაბალ ხარისხოვან დუქანს!

მაგონდება ისიც, რომ გერმანელებს დადიანმა მიპყიდა ის ძვირფასი ავეჯი რომელიც მისი ცოლის დეიდამ ომის დროს მიაბარა. აღელვებულმა ამ ამერიკელემა ქალმა უჩივლა და ამ პროცესის სასტიკი განაჩენი ძვირად დაუჯდა დადიანს. ეს სამარცხვინო ამბაჟი გაზეთ "ფიგაროშიაც" იყო გამოქვეყნებული. რასაკვირველია, ეს ყვე-ლაფერი ამერიკელებმა გაიგეს.

ეხლა აქ, დადიანი ყველას არწმუნებდა ჩვენ კოლონიაში — რომელიც მთლიანად იყო მოხიბლული მისი გაშლილი სუფრებით და

"მონდენური" კოკტელებით–რომ ეს მისი მარცხი ამერიკელებს სპირიდონმა აცნობა. მაშინ როდესაც სინამდვილეში მისი ავტორი არჩილ გურიელი ალმოჩნდა. გვაქვს ამის შესახებ კირილე გურგენიძის წერილი.[1]

როგორც ვამბობდი ზემოდ, ჯამაგირები კანონით ყველას ემატება სპირიდონის გარდა, რომელიც იძულებული ხდებოდა მოეთხოვნა რაც ერგებოდა. რამოდენიმე წლის ჯამაგირი–1941 წლიდან 1946 წლამდე ამ მაჩაბლის საზოგადოების მიერ განზრახ იყო შეჩერებული. სპირიდონი კი ჩივილს ერიდებოდა. 'ჩემ თავს ხომ არ უჩივლებ"ო. გასაგებია, რადგან ოფიციალურად სპირიდონი არც ერთ ფუნქციიდან არ იყო გადაყენებული, არც სიტყვიერად და არც წერილობით. აი, სწორედ ამაში მდგომარეობს ასეთი "მაკიაველური" მაჩაბლის ცოლის მოქმედება! იმდენად მწარედ განიცდიდი შენ მამას მუშაობის საშინელ პირობებს, რომ ალარ იცოდი რა მოგეგონა, ცოტა მაინც შეგენელებინა მისი ტანჯვა.

ჰო და, როგორც იყო ეს მოახერხე. მშვენიერი ვარდის ბუჩქი დარგე მის ლაბორატორიის ფანჯრის ქვემოთ და რომ მალე გაზრდილიყო ყოველ დღე მონდომებით რწყამდი. "აი მამლი, უყურე ამ ვარდებს და შენი გიჟი გოგო მოგაგონდება და მაშინ ამ ბოროტი ხალხის საქციელი დავიწყებას მიეცემა! რასაკვირველია, სპირიდონი რომ გამოდიოდა ქარხნიდან, ჩვენთან ძლივს ამოისუნთქავდა, და შენს ოხუნჯობაზედ კიდეც გულით გაიცინებდა ხოლმე, მაგრამ რა გამოვიდა, ამ სამოთხიდან ისევ ჯოჯოხეთს უბრუნდებოდა...

ერთ დღეს, გარდაგიწყვეტნია. Anne Osmont-თან წასვლა, რომელსაც პირადათ ჯერ კიდევ არ იცნობდი, მაგრამ მისი ნაშრომები წაკითხული გქონდა. იგი იყო მკითხავი და ამავე დროს ცნობილი თავის დარგში. გინდოდა თუ როგორ გათავდებოდა ამ ჯამაგირის შეჩერებული თანხის ამბავი.

იმისაგან დაიმედებული მოხვედი, ჩვენ სიცილადაც არ გვეყო ეს შენი ინიციატივა. შემდეგ კი გაოცებულები დაერჩით ამ ქალის ნათქვამით: "მამა თქვენი ამ თანხას ჩაიბარებს დაახლოებით 12–15 ოქტომბრის დღეებში და ის საქმეც ისე დაიფუშება როგორც სათამაშო ქალალდის ხუხულა"ო.

ეს ყველაფერი საბოლოოდ ასრულდა, შენ წასული იყავი ინგლისში თამარასთან. აქედან გწერ,[2] რომ 12 ოქტომბერს მამამ მიიღო ის თანხა რაც კანონიერად მას ეკუთვნოდა!

მართლა და ეს ქალი არაჩვეულებრივია. მეორედ რომ მიხვედი მასთან, უკვე წაულე მაჩაბლის ცოლის ხელმოწერილი ქაღალდი. დაჰხედა და გაოცებულმა გითხრა: "ჩემ სიცოცხლეში" იგი იყო მაშინ 80 წლისა–ამის მზგავსი არაფერი მინახავს"ო, "განსახირებაა სიბოროტისა და სატანურად არის დახლართული"ო!

---

[1] ეს წერილიც არხიეშია.

[2] წერილი არხიეშია.

შენ ჩემო შვილო, ბევრ ცნობილს და საინტერესო ხალხსა ხვდებოდი. მინდა დაწერო შენი ცხოვრება მრავალფეროვანი და ამაღე დროს ძალიან მძიმე და ასე უცნაური.

არ დაგაიწყდეს მთელ ამ ხალხის დახასიათებაში ამ Annc Osmont-თან შენი მეგობრობა. მაწუხებს, რომ ის 3 წიგნი ძალიან კარგი წარწერით აღარა გაქვს, შენი სისულელით! ერთი ექიმ ლანეგრას ათხოვე და ის ორი მაშინდელ შენ ნაცნობს, ეალოდიას. არც ერთმა არ დაგიბრუნა. დღესაც მახსოვს სათაური ამ ერთი წიგნისა:[1] და შენდამი მისი წარწერა.[2]

როგორც გეხსომება, მარგალიტა მაჩაბელმა სპირიდონს ქიმიკოსის სახელიც კი არ დაუტოვა, რომ მამა კადრში შეტანილი არ ყოფილიყო. მას პირდაპირ ჯამაგირის ფურცელზედ დაუწერა "პრეპარატორი"ო, ე. ი. ყველაზედ დაბალი დონე.

ამის გარდა სულ ჩამოართვა ნედლი მასალის ყიდვის საშუალება. ყოველთვის, თვეში ერთხელ სხვა და სხვა წარმომადგენლები მოდიოდნენ კლამარში სპირიდონთან, რომ ამ უკანასკნელს იმის მიხედვით თუ რა ესაჭიროება, შეეკეთონა ეს ნედლი მასალა. სხვათაშორის გაოცებულნი რჩებოდნენ ესენი, როდესაც სპირიდონი თავისდღეში არ იღებდა მათგან შეკეთილ მასალის პროცენტებს, როგორც მიღებულია.

ჰო და მაჩაბლის ცოლმა თავისთავზედ აიღო ეს ყველაფერი და თვითონ უგზავნიდა სპირიდონს ისეთ უვარგის მასალას, რომ იძულებული იყო მამა შენი უარი ეთქვა მის გამოყენებაზედ. საერთოდ, ყველაფერზედ აწყალებდა სპირიდონს: არ უგზავნის პირველ საჭიროების ჭურჭელს პარფიუმის გასაკეთებლად თუ შესანახად, თვეების განმავლობაში სპირიდონი სასწორს თხოულობს და სხვა, ამაოდ!

მამას დიდი ხნიდან გული ჰქონდა აყრილი და აცრუებული იმ საქმეზედ რომელიც მის ხელში ჩაისახა და განვითარდა. ფიქრობდა კიდეც, აქედან წასვლას, ამიტომ არაფერი აოცებდა, რასაც მის წინააღმდეგ ეს სამეული მოაწყობდა, თითქოს აღარცა სწყინდა, ყველაფერს ხელის ჩაწევით უპასუხებდა.

წასვლა უნდოდა, მაგრამ სად უნდა წასულიყო? უკვე ხანში იყო შესული და ნაადრევად დასნეულებული.

ბევრმა კი იცოდა სპირიდონის ყმაწვილებში მამას ასეთი მძიმე მდგომარეობა, მაგრამ... თუმცა ერთერთმა მითხრა: "ეს გიორგი დადიანი საცემია"ო—ეს იყო საშიკო კარგარეთელი — პატარაძემ შეარჩირა: "გიორგის ხელს ვერავინ ვერ ახლებს"ო. იგივე საშიკომ, თვალ ცრემლიანმა მანამ სპირიდონს გაასვენებდნენ, წამოიძახა: "ოხ, ეს დადიანი მოსაკლავია"ო.

ომის დროს გიორგის პარფიუმის ფირმა განცმა გაყიდა. ეხლა ამას დიდი ამერიკელების საზოგადოება დაეპატრონა....

---

[1] წიგნი: „Le Rythme"

[2] à Thèa Kedia. à celle qui n 'a pas besoin d'étudier ce livre étant elle-même le Rythme.

მაგრამ ჯერჯერობით ამ საზოგადოებას არა ჰქონდა კაეშირი პარიზის განყოფილებასთან.

რა წამს ომი გათავდა და მიწერმოწერა შესაძლებელი გახდა, ამ ახალი საზოგადოების დირექტორმა — დალმა — მაშინათვე სპირიდონს მოსწერა ძალიან კარგი წერილი (24.9.1945 არხივშია).

ამ დალს გაგონილი ჰქონდა ამერიკული საზოგადოებიდან თუ როგორ გადაარჩინა სპირიდონმა იქ ყოფნისას ეს მათი საქმე.

დიდის დაპირებებით ჯერ უგზავნის 500 დოლარს, აპირებს კიდეც პარიზში ჩამოსვლას და სპირიდონის ნახვას. ძნელი ასაწერია თუ რა სიხარულს გამოიწვევდა და როგორ მოგვეშვებოდა ამ წერილის მილება! რომელსაც ცოტა ხანში მოსდევდა ძვირფასი ამანათები: კარგი თეთრეული — ზეწრები, სუფრები — და ნაირნაირ საჭმელის კონსერვები, ჩაი, ყავა და სხვა. ეს ხომ ნამდვილი ხსნა იყო! ჩვენ პირდაპირ ეშიმშილობდით ომის დროს, მაშინ როდესაც მეტი წილი ქართველებისა შავ მარშეში ჩაბმული, მეტისმეტად სუქდებოდა.

მაჩაბლის ცოლმა ყველაფერი ეს გაიგო: კლამარის ფოსტის ყუთიდან ლაკომბმა ეს წერილი გამოიღო და მაშინათვე ბიჭს წააღებინა მაღაზიაში.

ზემო ფანჯრიდან შენ დაესწარი ამ მოქმედებას და ფეხ და ფეხ გაჰყე ამ ჯაშუშს. მანამ შენ მიუსწრობდი ეს წერილი უკვე გახსნილიც იყო და წაკითხულიც მარგალიტაგან.

აღშფოთებულმა თურმე მკაცრად მოგითხოვნია ეს წერილი და დაგვიანებით გაეიგეთ მისი სასიამოვნო შინაარსი მხოლოდ მაშინ როდესაც კლამარში დაბრუნდი.

დროს არა ჰკარგაეს მაჩაბლის ცოლი, მალე იღებს აეიონს და მიდის ნიუ-ორკში ამ დირექტორის სანახავად.

ბრუნდება იქიდან ძლეეამოსილი, მთელი უფლებებით და დიდის ნდობით აღჭურეილი. ალბად სპირიდონი წარადგინა იქ როგორც გერმანელების კოლაბორატორი, და მაშასადამე ამერიკელებისათეის მიუღებელი.

საერთოდ ეინც კი იქიდან ჩამოვიდოდა, ყველანი მოჯადოებული ჰყავდა და ცდილობდა სპირიდონი ამერიკელებს არ ენახათ.

ასე ხდება, ამ მოკლე ხანში, როდესაც სპირიდონი უნდა შეხეედროდა ამერიკის ერთერთ წარმომადგენელს. ამ შემთხვეევაში თეითონ მაჩაბლის ცოლი უნიშნავს დღეს და საათსაც პაემანისათეის და როდესაც სპირიდონი მაღაზიაში მიეიდა იმ კაცის სანახავად, იქ არაეინ უხვდება!

აი, სპირიდონის პირველი ნიშანი სისხლის მაღალი წნევისა. სახლამდე ეერ მოაღწია და იქიდან პირდაპირ ექიმთან მისული, სახლში დაბრუნებისას მითხრა: "ძალიან ცუდათა ვარ, მალე დაუძახე ექიმს, თორემ მერე გეიან იქნება"ო.

ექიმი გაოცებული იყო, რადგან უკვე მისი აპარატი ეელარ ზომაედა, რიცხეი საზღეარს სცილდებოდა! მაშინათვე ლოგინში ყოფნა დაუნიშნა, მე თანაგრძნობით შემომხედა, ეერაფერი სანუგეშო ეერ მითხრა და წაეიდა.

რამოდენიმე ხანში, როდესაც წწევა დაეშვა და 23ზედ ჩამოვიდა, მაშინ მისცა ექიმმა ნება ამდგარიყო და ნელნელა მუშაობა დაეწყო.

ადგომით კი ადგა, მაგრამ ძალიან იყო დასუსტებული, ძლივს დადიოდა, ფეხებში ღონე აღარა ჰქონდა, ლაპარაკი ეძნელებოდა, სიტყვებს ველარ პოულობდა და ეს მდგომარეობა კარგა ხანს გაგრძელდა.

ერთი სიტყვით ეს კაცი წააქცია ამ მაჩაბლის ცოლის ოინებმა, მაგრამ ეხლა რომ წარსულს გავცქერი, ეს ქალი მარტო არ მოქმედობდა,. მას ზურგს უკან კარგი მრჩეველი ჰყავდა... ყველაფერი ისე იყო დალაგებული, რომ სპირიდონს გული აჰყროდა ამ საქმეზედ და თვითონ წასულიყო.

ომის გათავებისას, ე. ი. 1945 წლიდან ჩვენი თაეიდან მოშორება ესაჭიროებოდა როგორც მაჩაბლის ცოლს ისე ზოგიერთ ქართველს, რომელნიც ყველაფერს აკეთებდნენ, ჩვენ ქუჩაში ამოგვესვლოდა სული, სპირიდონი უმუშევრად დარჩენილიყო, უსახლკაროდ და ერთადერთი გამოსავალი ღა ჰქონდა, საქართველოს გზა მოენახა. შენც იყავი თვალში ამოღებული, რადგან მოსკოვის ხალხი ფიქრობდა, რომ უმთავრესად ჩვენ დაბრუნებას აბრკოლებდა შენი მუსიკის მომავალი. აკი ამიტომაც იმოქმედეს კიდეც... შემდეგში ვნახავთ.

უცბად, იმ მშვენიერი წერილის შემდეგ, იგივე დალი — მაჩაბლის ცოლის დარბაზობის შემდეგ — მთლიანად იცვლება და კატეგორიულად თხოულობს სახლი დაეცალოთ, რადგან საქმეს აფართოვებენ და ესაჭიროებათ ადგილი მასალის დასაწყობად.

სამაგიეროდ გვთავაზობენ პატარა თაუშესაფარს და ისიც მხოლოდ ერთი წლით! ერთი სიტყვით გვაგდებენ. მე რომ ვნახე ეს სადგომი, სპირიდონს ჩემი აზრი გავუზიარე: "ჩვენ რომ დაეხოცებით, ჩვენი კუბოები ალბად ფანჯრიდან უნდა გაიტანონ, რადგან სახლის ორ ოთახ შორის მომწყვდეული ეიწრო კიბე ამისათვის გამოუსადეგარი იქნება..." შენი როიალის შეტანაზედ ხომ ფიქრიც არ შეიძლებოდა. სწორედ ამას ეხებოდა სპირიდონი თავის წერილში დალთან.

ის მეორე წინადადება, რომ თუ არ მოგვეწონებოდა მათი არჩეული ეითომდა ბინა, ამ შემთხვევაში "თქვენ თვითონ მონახეთ რამე და ჩვენ ვიკისრებთ გადაგიხადოთ ბინის ქირის ერთი ნაწილი, წლიურად 15000 ფრ.

ეს იყო ნამდვილი მახე. ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ომის შემდეგ არაფრის შოვნა არ შეიძლებოდა, და მეტადრე ამ სამალლო თანხით.

დალის წარმომადგენელი, — დიუბუა — არაფრად გვაგდებს და სასტიკად მოითხოვს ბინის განთავისუფლებას. გიორგი დადიანი, მასთან უკვე დამეგობრებული, ძალიან აქტიურად აქეზებს ამ დიუბუას და ეუბნება: "ეხლა გააგდეთ ესენი მაგრამ აქა ხართ, თორემ მერე გაძნელდება"ო. ეს გადმოგვცა მადამ დე ულნამ, რომელიც თურმე დასწრებია ამ ლაპარაკს.

ნუთუ ამერიკელებმა, ამ საქმის ხალხმა არ იცოდა — სპირიდონი კი მათ აფრთხილებდა —, რომ ფრანგული კანონის ძალით

აგრძალულია საცხოვრებელი ბინა, ე. ი. ამ შემთხვევაში ჩვენი "პავილიონი" კომერციისთვის იყოს გამოყენებული.

ჩვენი ერთი ოთახი უკვე დაიჭირეს და მეორე ოთახი ზემოთ ძლივს დავირჩინეთ. დანარჩენი მთელი სახლი მათ განკარგულებაშია.

დიდი მოძრაობაა, დიდძალ შეკეთილ მასალას აწყობენ მთელ ზემოთა სართულში, ქარხანაში მუშების რიცხვი მატულობს. ბუქტრიალებს...

დეპეშას დეპეშაზედ ელებულობთ: "ან დათანხმდით ან წადით"ო.

ოხ, მართლა და რა ბედის ირონიაა! ამ გამოცხადებულ ომში თავს იჩენს ეხლა ეს მეორე ქართველი — ნიკო აბხაზი — რომლითაც სხვათაშორის ძალიან უკმაყოფილო იყო გიორგი მაჩაბელი და მის დათხოვნასაც აპირებდა "წერილი "21. 10. 1929 წ" და "წერილი 23. 11. 1930"

ნიკო აფხაზიც, მკეიდროდ დაკავშირებული მაჩაბლის ცოლთან, რომელმაც ბოლო დროს იგი ადმინისტრატორად დანიშნა, თავის კენჭებს არ გვაკლებს. მოდის კლამარში და გვარწმუნებს, რომ სჯობია "წახვიდეთ"ო. დამამცირებელი კილოთი ამთაერებს თავის რჩევას და ისიც ფრანგულად: "vous êtes pauvre, monsieur Kedia, alors, il faut céder!"

გადის დრო და ცოტა ხანში ჩვენთან შემოდის ეს ახალგაზრდა დიუბუა, უკვე მეორედ დაბრუნებული ნიუორკიდან, ხელში უჭირავს რაღაც ქაღალდები და სპირიდონს ამ სიტყვებით მიმართავს, დიდის ბოდიშით იწყებს: "ის რაც თქვენ იცოდით ამ საქმის შესახებ, არაფერია იმასთან შედარებით რაც მე ვიცი. აი, მიედიავარ ეხლა ამ საბუთებით, ამერიკაში. თქვენ აქ დარჩებით ამ საქმის გამგედ ისევე როგორც იყაითი ძველად, და რასაკვირველია ჯამაგირსაც მოგიმატებთ"ო.

ამის შემდეგ კი ამერიკის საზოგადოებამ მთელი დელეგაცია გამოგზავნა პარიზში საქმეების მოსაწესრიგებლად. პირდაპირ ბინაზედ მოგვადგნენ. სპირიდონს ეხლა რჩევას ჰკითხავდნენ "დიდი თანხებია ჩვენგან გაცემული[1] და არსადა სჩანს მისი მოხმარება. როგორ ფიქრობთ, რას გვირჩევთ, საქმე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, თითქმის ფაიტია"ო!

სპირიდონმა ჯერ ვერაფერი უთხრა გარდა იმისა, რომ ეს 15 მუშა უსაქმოდ არის, და იმის მაგიერად, რომ ერთმანეთს ეს ქალები ქაღალდს ეთამაშებიან, სჯობია მათი რიცხვი შეამციროთ, რადგან საქმე ამას მოითხოვს"ო.

საბოლოოდ, სთხოვენ სპირიდონს მიაწოდოს მთლიანი რაპორტი ამ პარიზის საზოგადოებაზედ და თუ როგორ ხედავს მის გადარჩენას (ეს რაპორტი სპირიდონის ხელით დაწერილი ჩვენს არხივშია).

---

1 7 მილიონი.

სპირიდონის სიტყვები ალბად აგონდებოდათ ამ ამერიკელებს როდესაც ეუბნებოდა, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ გიორგის სიცოცხლეში მთელი საქმე ამას ებარა და ამ ბოლო წლებში კი ყველაფერი ხელიდან გაცალა ამ მაჩაბლის ცოლმა, და გიორგი დადიანი, მონა მირჩილი, რასაკვირველია მხარს უჭერს მის სურვილს, რომ სპირიდონი არარად აქციონ.

უკანასკნელად სპირიდონი ამბობდა: "მაჩაბლის ცოლი ძალიან ტრიალებს ჩემს ლაბორატორიაში, ცდილობს ძველებურად მესაუბროს კიდეც, რალაცა უნდა ჩემგან, მაგრამ რა, არ ვიცი"ო.

ეს სწორედ იმ დროს იყო, როდესაც მარგალიტას ამ საქმეში ბატონობას წყალი ჰქონდა შემდგარი, ის ამას გრძნობდა და უნდოდა ქომაგი ეშოვნა.

მაგრამ სპირიდონის დღეები დათვლილი იყო, მისი სისხლის მაღალი წნევა საგრძნობი ხდებოდა, ჯერ ეს ლაბორატორიაში მუშაობა, და იქაურობა ნედლი მასალის სუნით გაჟღენთილი, მისეის საწამლავი იყო, ამას კიდევ ის მორალური შხამი, ომის შემდეგ რომ ქარხნის მუშებში დაინთხა, ეს ემატებოდა.

საბოლოოდ ყველაფერი ეს ერთად სპირიდონისათვის აუტანელი ხდებოდა და სწორედ ამან დაასნეულა და მოულო ბოლო.

სრულიად ჩვენთვის მოულოდნელად, რადგან უკანასკნელ დღემდე ის ლაბორატორიაში მუშაობდა, ამ კაცმა 64 წლის ასაკში უცბად დაკარგა გონება და რამოდენიმე საათში კიდეც გათავდა, ეს იყო 1948 წ. მაისის 17-ს.

ამ უბედურ დღეს უფრო დაწვრილებით შემდეგ დავუბრუნდები, ეხლა კი განვაგრძობ მაჩაბლის საქმის მდგომარეობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საქმის ლიკვიდაცია ჩატარდა 1949 წ. სპირიდონის სიკვდილის 7 თვის შემდეგ.

დათხოვნილი იყო მარგალიტა, რომლის ქონებასაც ბანკში ხელი დაადეს ამერიკელებმა, აგრეთვე მთელი მუშები; ქარხანაში ტრიალებდა ამერიკელების კაცი, ისიც იშვიათად.

მაშინ ვნახეთ მართლა და ამ საქმის ჩაფუშვა "როგორც სათამაშო ქაღალდისა" ხოხულა ზემო სართულიდან დაუზოგავად ჰყრიდნენ დიდ მარაგს, რაც ამ ერთი წლის წინად იყო დაბინა-ვებული ვითომდა საქმის გადიდების საჭიროებისათვის, დადგა დრო, "აიღე რის ალებაც შეგიძლიან", სწორედ იმ დღეებში ვნახეთ ამ დეეზის განხორციელება. ქარხნიდან ხომ მეტის გატანა იყო შესაძ-ლებელი, როგორც მაგალითად ალკოლისა, ნედლი მასალისა, ან საერთოდ უკვე დამზადებული პარფიუმისა სპირიდონის მიერ! დამშ-ლელი არავინ იყო: გათავდა ეს საქმე ასე უშნოდ დიდი სიყვარულით დაწყებული 1929 წ. და დიდი იმედებით, რომ საქმე კარგ ნაყოფს გამოიღებდა.

დასრულდა მარგალიტა მაჩაბლის "მოღვაწეობაც" მაგრამ ამავე დროს ჩვენი ოჯახის დიდი მსხვერპლის გაღებით.

დღესაც ცოცხალი იქნებოდა სპირიდონი, რომ გიორგი მაჩაბელთან ერთად ერთ საქმეში არ ემუშავნა, ეითომ და ქართული საკითხის სასარგებლოდ!!

ეს პარფიუმის საქმე ისე განვითარდა, რომ მალე თავის დანიშნულებას კარგად შეასრულებდა. შესძლებდა აქაურ ქართველე-ბის თავმოყრას, მათი შვილებისათვის ზრუნვას, მაშინ ალბად ემიგრა-ციის კარებს ასე ადვილად ვერ გადმოლახავდა ჩრდილოეთიდან გამოგზავნილი დაქირავებული ძალები და დღეს, ვფიქრობ, ემიგრაციას სულ სხვა სახე ექნებოდა.

ეს საქმე ალბად არ ეჭაშნიკებოდა სტალინს და მის ხალხს; ამერიკაში ქართველი, დიდი ფირმის პატრონი, ძველი პატრიოტი და ამასთან მხნე და გამჭრიახე გიორგი მაჩაბელი კინალამ ერთხელ მოიშორეს თავიდან და ერთ ყოფილ ჩეკისტს დაავალეს მისი მოსპობა. ამის შესახებ გიორგი სწერს წერილს სპირიდონს,[1] დაახლოებით ეს იყო 1932 წელს. ამნაირად აცდენილი იყო ეს პირველი ტყვია.

მაგრამ 1935 წ. უცნაურად და ყველასათვის მოულოდნელად კვდება გიორგი, რომელიც დაპატიჟებული ყოფილა ორ საღამოს ზედიზედ, სახლში დაბრუნებული მარტოა, რადგან ცოლთან ის დაშორებული იყო, ორი დღის დიდი სიცხე, მალე გონებასა ჰკარგავს და კვდება.

არ იქნება უადგილო, ადამიანს ეჭვი დაებადოს, რომ გიორგი სტუმრაობიდან მთლად უზადო არ დაბრუნებულა, თორემ როგორ გააქრო ეს კაცი რამოდენიმე დღის სიცხემ, განშორდა ის ამნაირად თავის საქმეს და თავის მეგობრებს.[2]

ორი წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში წითელი ტერორი აენთო, სხვათაშორის გიორგის ძმა ილოც მაშინ დახვრიტეს, მისი მემკვიდრეობა ამერიკაში ბოლშევიკებს რჩებოდათ, მაგრამ ამერიკაში გიორგის ქონებიდან იმათ ვერაფერი წაილეს.

იქ კანონიერ მემკვიდრეების გარდა გიორგის ჰყავდა კიდევ ძველი მეგობარი ქართველი პატრიოტი ვასო დუმბაძე, რომელმაც მაჩაბლის საზოგადოებას კარგი თანხა ასესხა, ის შეძლებული იყო.

აქ მინდა ცოტა გაგაცნო ვასო დუმბაძე, თუმცა პატარაობას ის ნანახი გყავდა ჩვენ რომ პარიზში ჩამოვედით, ის მოვიდა ჩვენთან და მახსოვს, სათამაშო ქალალდი მოგიტანა და გაგართო, დროებით იყო აქ ჩამოსული.

პირველ ომის დროს ის ცხოვრობდა პეტერბუგში, საქმის კაცი იყო, იმას არ გაუძნელდა იქ კავშირები გაეჩინა და დაახლოებული ყოფილიყო ოფიციალურ წრეებთან. ამის წყალობით დავალებული ჰქონდა მთავრობის მიერ რუსულ ჯარისათვის იარალის ერთი ნაწილის შეკვეთა.

ომის მიმდინარეობაში ეს იარაღი უვარგისი აღმოჩნდა, მგონი ეს იყო ზარბაზნები, ნამდვილად არ ვიცი.

---

[1] წერილი №9 20.5.1932

[2] ძალიან ენანობდით მე და სპირიდონი, რომ ოტოპსია არ მოვითხოვეთ. მაგრამ იქ, ამერიკაში, რატომ თავში არავის მოუვიდა გამოერკვიათ ეს უცნაური სიკვდილი?

რასაკვირველია, ეჭვი აიღეს მის ერთგულებაში და ნიკოლოზის მთავრობამ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. დღედღეზედ მას სახრჩობელა ელოდდა. სწორედ სასიკვდილოდ განწირული ის იმ მომენტში, როდესაც ჩამოხრჩობა უნდა შეესრულებინათ, მოვიდა დეპეშა, რომ ნიკოლოზი გადაყენებულია ტახტიდან და შემდგარია დროებითი მთავრობა, მაშასადამე გადარჩა ეს კაცი. ჰოდა არ ვიცი, როდის წამოვიდა ამერიკაში საბოლოოდ. ამ ვასომ გიორგის სიკვდილის შემდეგ თავისი ვალი გაინაღდა.

სპირიდონმა კი ყველაფერი ხელიდან გაუშვა, ვერაფერი აინაზღაურა. სპირიდონი თავიდანვე უნდა წასულიყო გიორგის სიკვდილის შემდეგ. ან უნდა იგივე იარაღით ებრძოლნა, რომელიც მის მიმართ იყო გამოყენებული.

მაჩაბლის ცოლი, გიორგის რძალი, ქართველობდა თავის მაზლის სიცოცხლეში: იმის შემდეგ განცი, ებრაელი, რომელმაც ომამდე შეიძინა მაჩაბლის ფირმა, მთელ პარიზის საჭეს აბარებს თავის ერთგულ ებრაელ სოლომონს.

მაჩაბლის ცოლი ჩამომაელობით ებრაელი ადვილად გამონახავდა საერთო ენას ებრაელებთან, რომ დაწინაურებულიყო.

ომის დროს გერმანელებთანაც ყოფნა არ გაუძნელდა, როგორც გერმანიაში დაბადებულს, და ხომ სწორედ იმათ დროს დაიდგა ტახტი და გახდა საქმის მთავარი დირექტორი, რასაკვირველია, თავის ებრაელობას არ გამოამჟღავნებდა.

რუსეთში აღზრდილი და შვილობილი დიდი ბანკირის იუნკერსისა, ეს ქალი რუსი, სულით და გულით ერთგული რუსეთისა. რუსეთის შემოსვლისას კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, მას ფრთები შეესხა, ჩვენთან არ დამალა და პირდაპირ აღიარა: "მე კომუნისტებისა სრულებით არ მეშინიანო". ეს იმას ნიშნავდა, რომ მათთან იმუშაებდა და ისევ მაჩაბლის საქმეში ძლიერი იქნებოდა.

მართლაც მათი გავლენით იყო, რომ ყველაფერი სცადა, ჩვენ უგზოუკვლოდ დაერჩენილიყავით, სპირიდონს დაეკარგნა სამუშაო, საცხოვრებელი ბინა და ამნაირად ერთადერთი გზალა იყო დარჩენილი, სპირიდონი საქართველოში დაბრუნებულიყო.

ამ გზით მუშაობდა სამწუხაროდ მოსკოვის აგენტებთან ერთად ზოგიერთი ემიგრანტი, რომ თაყაძის მიერ თავმოყრილ ქართველებში ჩვენც ამოგვეყო თაყი და ამნაირად სტალინისათვის ცოცხლები ჩაეყბარებინეთ.

ჩვენი ცხოვრება კლამარში სპირიდონის სიკვდილის შემდეგ

ჩვენ ამ უბედურების შემდეგ შევრჩით პირისპირ გიორგის მემკვიდრეებს. ე.ი. მისი ძმის ილოს ნაცვლად ბოლშევიკებს, რადგან ილო

დახვრეტილი იყო 1937 წ. და მის ნახეარ და ნინას იმჟამად გათხოვილს რუს შერბაკოვზედ. ნინამ დაიჭირა მთელი ეს სახლი, რადგან შეისყიდა იოლად ბოლშევიკების წილი, როგორც თვითონ ამბობდა, "თითქმის მუქთად ჩავიგდე ხელში"ო.

ეს ნინა, და ჯერ კიდევ გიორგის დისწული თამარა გალაკტიონი ამერიკელებს ამ გიორგის სახლის მდგმურებს ძალას ატანდნენ, ჩვენ სახლი დაგვეცალნა, მათი აზრით ჩვენ იქ ცხოვრების უფლება აღარა გვქონდა სპირიდონის სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ჩვენ, არა ეთმობდით და დავრჩით იქ კიდევ ხუთი წელიწადი, რომ ვერაფერს გახდნენ, ამერიკელებმა საჩივარი დაიწყეს: ჩვენმა ვექილმა გულმოდგინედ მოკიდა ხელი, მაგრამ წააგო. მისმა დებულებამ, რომ ჩვენ ამ სახლში ეცხოვრობდით უფრო ადრე, ვიდრე ოფიციალურად დაარსდებოდა "მაჩაბლის პარფიუმის საზოგადოება", ამან არ გასჭრა.

ამის შემდეგ ჩვენ მაინც არ ვიძროდით, სად უნდა წავსულიყავით, ან რა საშუალებით. დაიწყეს ამერიკელებმა მემკვიდრეების შთაგონებით ჩვენი ყოველსაირი შეეწროება, ჯერ ტელეფონი გადაგვიჭრეს, შემდეგ კი წყალი მოგვისპეს. ისე რომ წლების განმავლობაში იძულებული ვიყავით მახლობელ მოედნიდან გვეზიდნა ჩვენთვის ყოველდროებით საკმარისი წყალი, აი სად დაგვიზიანდა ზურგი და შემდეგ კი ხელიც. შეეძარით ყველანი, ოფიციალურ დაწესებულებებთან მიწერ-მოწერა, რომ ჰიგიენის მხრივ დაუშვებელი ამბავი გამოსწორებულიყო, ამაზედ პასუხი იყო უარყოფითი, რადგან აქაც შესაკუთრების წინააღმდეგობა ელობებოდა, ჩვენ წყალი გვქონოდა. ბევრი შიში და უსიამოვნება გამოვიარეთ ამ ხუთი წლის განმავლობაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ორი ქალი ამ სახლში სწორედ ტყის მახლობლად, საშიშ მდგომარეობაში ვიყავით, თითქმის ყოველ ღამე ვიღაც აწვებოდა ჩვენ ეზოს კარებს, შემოსვლას ლამობ-და, ეს რასაკვირველია, განზრახ იყო მოწყობილი, რომ იძულებული ვყოფილიყავით, იქაურობა მიგვეტოვებინა.

ერთ ღამეს, ორ საათზედ, ხომ გახსომს, რა შიში ვჭამეთ.

შენ დიდი სიცხიანი ლოგინში იყავი და მე ჯერ ისევ ფეხზედ მდგომი შენს გარშემო ეტრიალებდი.

აი მესმის ვილაც ამოცოცდა ფანჯარასთან, მე მაშინათვე მივაშურე, ელექტრონის ლამფა მივაშუქე და დავუყვირე, ის მაშინათვე ჩახტა ქვემოდ, მაგრამ მთელი ღამე კი ჩვენ ძილი არც გვინახავს, არც მოსვენება, შიშში გავატარეთ.

მეორე დილით პოლიცია მოვიყვანე და იმათ აღმოაჩინეს, რომ ამ დაუპატიჟებელ სტუმარს დარჩენია ფოთლებში, რომელიც ეხვია ფანჯარას, თავისი ცხვირსახოცი და ძირს ჩამოჰყარდნია დიდი დანა, ეს ორივე საგანი პოლიციელებმა თან წაიღეს, მაგრამ ავაზაკს ვერ მიაკვლიეს, ვინ იყო, ვინ იცის.

ამის შემდეგ ხომ საშინლად შევშინდით. ერთმა რუსის ოჯახმა გვათხოვა ძაღლი, უზარმაზარი სახელად "ხანი" მისი დიდი ხმა თავზარს დასცემდა მთელ ჯარს, არამც თუ ერთ ავაზაკს, ჰო და ბოლო დრომდე ის იყო ჩვენი ყარაული.

ამის შემდეგ ხომ საშინლად შეეშინდით. ერთმა რუსის ოჯახმა გვათხოვა ძაღლი, უზარმაზარი სახელად "ხანი" მისი დიდი ხმა თავზარს დასცემდა მთელ ჯარს, არამც თუ ერთ ავაზაკს, ჰო და ბოლო დრომდე ის იყო ჩვენი ყარაული.

ეს რუსის ოჯახი აღმოჩნდა ჩვენი მფარველი ანგელოზი, ესენი იყვნენ გვარად გორბაჩევსკი, ცოლქმარნი ერთი ვაჟიშვილით, ისიც ახლად დაქორწილებული და მათთან შეხიზნული ერთი ობოლი ქალი.

თვითონ გორბაჩევსკი, ხელობით ინჟინერი, მისი მეუღლე ყოფილი მასწავლებელი სამხედრო ოჯახიდან გამოსული. ცხოვრობდნენ ჩვენთან მახლობლად პატარა პავილიონში ძალიან მყუდროდ, სპირიდონის სიცოცხლეშივე გვქონდა ნაცნობობა და მეზობლობა, მაგრამ შემდეგ ჩვენს უბედურებაში დაგვიახლოვდნენ და გახდნენ ჩვენი ერთგული მეგობრები. მთელი ოჯახი გადაგვეგო, მათი პატივი, თანაგრძნობა საფლავამდე გამყვება. რამდენი ყურადღება მახსოვს იმათი მხრიდან: ჯერჯერობით შემოდიოდა ხან ქმარი, ხან ცოლი, ან კიდევ შვილი რომ გაეგოთ რა გვაკლია, ზამთარში ხომ ნახშირი უზრუნველი გვქონდა იმათგან. მამა და შვილი ჩვენ ბუხრებს მოუელდნენ, თუ რამე გასაკეთებელი იყო, გაგვიკეთებდნენ, ერთი სიტყვით გვპატრონობდნენ.

ხომ გახსომს, შემოგვთავაზეს თავიანთი შვილიშვილისათვის მუსიკა გესწავლებინა, ეს ბავშვი იყო მაშინ სამი წლისა, ეს მოიგონეს, რომ გაკვეთილი აენაზღაურებინათ. შენ უარზედ იყავი, მაგრამ დაგარწმუნეს, რომ "პატარა მიშკასთვის კარგი იქნება, თქვენ დაუკრათ და ნახოთ მისი რეაქციაო, პატარაობიდანვე გვინდა მას კარგი მუსიკა ესმოდეს"ო.

ეს ბავშვი, შენ ძალიან გიყვარდა, ისიც ისე შეგეჩვია, რომ ბოლო დროს შეგიკეთამდა ხოლმე კიდეც, თეო, მინდა, "ლუნაულის სანატა"ო, ესე იგი ბეთხოვენის, "ლუნაია სონატა"ო.

გახდი ავად, ორმოცი გრადუსიანი სიცხე გაქვს, ექიმის მოსაყვანი ფული არა მაქვს, მაშინ კიდევ მქონდა ქართველების იმედი, დაეურეკე ტელეფონი ერთერთს, ვთხოვე: "თქვენ რომ მიცვალებულს ხელიდან გამოაცალეთ ჯვარისწერის ბეჭედი და გადმომეცით, მინდა ჩემს ბეჭედთან ერთად ორივე გამიყიდოთ, თეო მძიმე ავადმყოფი მყავს და ექიმის მოყვანას სხვანაირად ვერ ვახერხებ".

იმან სხვასთან მიმითითა: "აბა მე დღეს დახლში ფული არა მაქვს"ო.

მაშინ გავაგებინე შენი ავადმყოფობა გარბაჩევსკის ოჯახს, იმათ არ გაუბწელდათ რომ შენთვის ექიმი მოეყვანათ, ყოველ დღე მოდიოდნენ, ხან ყვაელები მოჰქონდათ, "აი ჩვენი ბაღის ვარდებია"ო ხან სახლში გამომცხვარ რომელიმე "პიროგ"-ს და სხვა. შენ კი, ჩემო შვილო, ვერაფერს სჭამდი, რადგან მადა მთლად დაკარგული გქონდა. ის ქართველი კი ერთი თვის შემდეგ ამოვიდა "მე არ დავიჯერე თეოს ავადმყოფობა"ო. შენი მაშინდელი ჯანის მდგომარეობა ნეკერის საავადმყოფოში უნდა იკითხონ, თუ ვისმე ამაში ეჭვი შეუვა.

დასდიოდი იქ წლების განმავლობაში. ვერ გაიგეს, ვერ მიაკ-ლიეს შენი ორგანიზმის საიდუმლოებას, რა იყო მიზეზი შენი აწეუ-ლი სიცხის, რაც შენ ძალიან გასუსტებდა. მაშ ჩვენ ისევ უწყლო ბი-ნაზედ ვცხოვრობთ. გიორგის მემკვიდრეებს საბოლოოდ გარდაუწყ-ვეტინათ ჩვენი ძალით გაყვანა კლამარის სახლიდან.

დანიშნულ დღეს მე წამიყვანდნენ ქართველების თავშესა-ფარში, ამას კისრულობდა ერთი ჩვენი ქართველი ქალი, დიდი ოჯახიდან გამოსული თამარა ერისთავი, ამ საათებში შენ კომისართან იქნებოდი დაბარებული და იქიდან მობრუნებული სახლის კარები დაკეტილი დაგიხვდებოდა.

ნინუკა წულაძემ დაგეირეკა ტელეფონი და გვაცნობა, რომ სრულიად შემთხვევით მოწმე იყო თავის ბიუროში ასეთი ლაპარაკი-სა: ნახსენები იყო ორი ქალი, რომელნიც კლამარში არიან და საჭი-როა, იმათი ძალით გამოყვანა, რადგან კანონით აღარა აქვთ უფლება იქ დარჩენისა, სახლი უნდა პატრონს ჩაბარდესო.

შენ, რასაკვირველია კომისართან არ წახვედი, რადგან წინა დღით იყავი მასთან და ეს მეორედ მასთან მისვლა ზედმეტად და საეჭვოდაც მიიჩნიე.

მაშინ კომისარმა მე დამიბარა და მკაცრად მომთხოვა სახლის გასაღები, მე დიდი უარი ვუთხარი, ცოტა წაწყენიც კი დავტოვე. ეს გეგმა ჩვენი ცალცალკე დაბარებისა იმას ვერ გამოუვიდა.

ამის შემდეგ თეითონ ნინამ სცადა იუსიეს თანხლებით მოსვლა, შენ სახლში არ იყავი, მე ველოდებოდი ამგვარ დარბაზობას, ამიტომ ზემო სართულში დაბინავდი მოკეტილ დარბაების უკან.

მოვიდნენ ციხის ასაღებად ნინა და ეს ოფიციალური პირი, რომელიც ძალიან გაბედულად იქცევა, ის ამოდის კიბეზედ, მიბრახუ-ნებს კარებს და ხმამაღლა მელაპარაკება: "ვიცი, რომ სახლში ხართ, გაალეთ კარები"ო. მე გატრუნული ვარ დარაბების უკან, ველაპა-ვკანკალებ, ეშიშობ,. ძალით არ შემოვიდნენ, მით უმეტეს მესმის ნინას რჩევა, "შეანგრიეთ, გატეხეთ კარები"ო, ეს კაცი კიდევ ამოდის კიბე-ზედ, ძალიან მიბრახუნებს კარებს, აწევება კიდეც, თან მიყვირის: "გააღეთ კარები თორემ..", მაგრამ ნინას რჩევას არ იღებს, "ამისი ნე-ბა არა მაქვს"ო.

ოციოდე წუთი იტრიალეს, მაგრამ ციხე ვერ აიღეს, ისე მა-გრად დაკეტილი დაუხვდათ. იუსიე წავიდა დამარცხებული, მხოლოდ ნინამ ადგილი იცვალა და უკანა ეზოში გაიხედა, თვალი გადაავლო თავის ახლადშეძენილ სახლს, იქ ჯაერი იყარა ჩვენს მიერ დარგულ ვარდებზედ და ძალიან მონდომებით ეს მშვენიერი წითელი ვარდები პირდაპირ დაგლიჯა.

მე ზევიდან დავცქეროდი ამ ქალს, რომელიც სპირიდონის სიკეთილში დიდი მოტირალი და მახლობელი ჰპირისუფალი მოსჩან-და, მეტისმეტად აბეზარი ხასიათის ადამიანი იყო, შეიძლებოდა იმას უკანა კარები თვითონ შემოენგრია, ამიტომ მეც ვიცვალე ადგილი და ფეხდაფეხ ავედი ზემო სართულში.

როგორც იყო, ხუთი წელიწადი ამ აფორიაქებულ პირობებში გავატარეთ, აქედან სამი წელიწადი უწყლო ბინაზედ ვიცხოვრეთ.

მეექვსე წელიწადს კი იძულებულნი ვიყავით, იქაურობა დაგვეტოვებინა, რადგან იმ წელიწადს მკაცრი ზამთრის გამო წყალი, რომელიც მოდინდან მოგვქონდა, მთლად გაიყინა: პირველ ხანებში მეზობლებიდან დავიწყეთ წყლის მოტანა, ბოლოს ამასაც მოვერიდეთ, გორბაჩევსკები დიდი ხანია საცხოვრებლად პარიზში იყვნენ გადასულები.

ამ პირობებში იქ დარჩენა ჩვენთვის შეუძლებელი ხდებოდა, მაგრამ ადგილიდან დაძერაც ვერა ხერხდებოდა და ცარიელი ჯიბის პატრონებს რაიმე გამოსავალი უნდა გვეპოვნა.

ვიცოდით, რომ ამერიკელები შეფიქრიანებულნი იყვნენ, რომ სახლის გასაღებს არ ვაძლევდით, პრეფექტურა სახლში დარჩენის უფლას იოლად გვაძლევდა.

ჩვენ ვიფიქრეთ, ამ სახლის გასაღების საფასურში იქნება ჩვენთვის ფული გაელოთ. აი ამ საკითხის გამოსარკვევად შენ დაავალე ერთ ახალგაზრდა ექილს, ჩვენი დათოს კარგ ნაცნობს, ამერიკელების აზრი გაეგო.

იმან დაიჭირა კავშირი "მაჩაბლის პარფიუმის საზოგადოები"ს ლიკვიდატორთან, რომელიც იყო ფრანგი, ესეც ექილი André Pazcry.

ესენი შეთანხმებულან, რომ საზოგადოება ამისათვის თანახმაა გაიღოს 50 ათასი ფრანკი, ეს ყველაფერი ჩვენ დაუკითხავად.

შენ ეს თანხა გეცოტავა, დასტოვე ეს ექილი ცოტა ნაწყენიც და გარდასწყვიტე შენ თვითონ დაგეწყო მოლაპარაკება.

ერთ დღეს შეხვედრა გქონდა Pazcry-სთან საღამოს ექვს საათზედ. შენ ეს კაცი ნანახი გყავდა, როდესაც მაჩაბლის საქმე მთლიანად განიხილა აქ პარიზში. შენ მიხვედი მასთან როგორც აქციების მქონე, გინდოდა ზოგიერთი საკითხის გამორკვევა, ის ამ საქმეზედ აღელვებული ლაპარაკობდა, რომ ვერაფერობით არა სჩანს შვიდი მილიონი საზოგადოების მიერ გაცემული ნედლი მასალის შესაძენად და რომ საშინელ მდგომარეობაშია... დატოვებული საერთოდ ეს საქმეო.

ეხლა კი მისდიოდი მასთან სულ სხვა მიზნით, შენი უფლებების დასაცავად. უფრო კი საბრძოლველად.

დანიშნულ დღესა და საათზედ რომ მიხვედი Pazcry ბიუროში მარტო დაგხვედრია, მაგრამ ლაპარაკი რომ აღელვებულს დაგიწყია, იმას საჭიროდ დაუნახავს ამ საქმიან შეხვედრას მისი თანამშრომლებიც დასწრებოდნენ.

გამოუყვანია სამნი, ესენიც ექილები, ასე რომ აქეთ შენ და მეორე მხარეს ეს ოთხი კაცი, რომელთაც იმ საღამოს ბევრი რამ მოასმენინე, რაც მათთვის უცნობი იყო, ამიტომ სულგანაბულები თურმე სმენად იყვნენ გარდაქცეულები.

დაგიწყია იმით, რომ "ეს 50 ათასი ფრანკი, რასაც მთავაზობთ, არაფერია, შედარებით იმ მორალურ და მატერიალურ ზა-

რალთან, რომელიც ამერიკელებმა ჩვენს ოჯახს მოაყენეს თავიანთი მეამიტობით“ო.

შემდეგ დაწვრილებით გილაპარაკნია გიორგი მაჩაბლისა და მამას ურთიერთობაზედ, ამ “პარფიუმი“ს საბოლოო მიზანზედ და ამ საქმეში მამას როლზედ: შემდეგ კი შეხებიხარ მამას სიკვდილის შემდეგ იმ უადამიანო და გაუგებარ ზომებს, რომელსაც ამერიკელები ილებდნენ ჩვენ წინააღმდეგ, რომ სახლიდან წაესულიყვაით.

“ამასთან დაკავშირებით ბევრი შიში და უსიამოვნება გამოვიარეთ, მე გამიფუჭდა ჯანი, დაკარგე ხელობა და ეხლა ამას ისიც ემატება, რომ ქუჩაში გვაგდებენ, რადგან უბინაოდ დარჩენილებს მე და დედას სხვა გამოსავალი არა გვაქვს, ქუჩაში უნდა ვიცხოვროთ.

ჩვენმა ოჯახმა არ იცის, რა არის ეკონომია, რადგან მამას მცირედი ჯამაგირი ამის საშუალებას ვერ მოგვცემდა“ო.

შენ პირდაპირ გითქვამს, “თქვენ იცავთ ბოლშევიკების ინტერესებს“ო,

Pazcry ამაზედ, ცოტა არ იყოს, შეტოკებულა, მაგრამ როდესაც შენ გააგებინე, რომ გიორგი მაჩაბლის ძმის მხრივ ისინი არიან მთავარი მემკვიდრეები, ეს ამ ექილებისათვის ახალი ამბავი იყო.

საბოლოოდ, შენ მოითხოვე 500.000 ფრანკი, ეს იმათ ებევრათ, დაიწყო ვაჭრობა, როგორც იყო დავიყოლიეთ 200.000 ფრანკზედ. რომელსაც იუსიე ჩაგაბარებდა, როდესაც მას სახლის გასაღებს გადასცემდი.

უფრო კი მაინც იმიტომ დათანხმდნენ, რომ დღემდე ყველა ოფიციალური პირი ცნობილი პრეფექტიდან დაწყებული მინისტრამდე სახლში დარჩენის გრძელ ვადას გვაძლევდნენ — 5 წელიწადი —, ისიც კი გითქვამს: “თუ საჭირო იქნება პრეზიდენტამდე მივალთ“ო. გაახეთქიათ გულები!

იდექი თურმე ფანჯარასთან დიდ განცდებში გახეული ვიდრე ამ პირობას ხელს მოაწერდი. სალამოს 9 საათია, პარიზი მთლად სიჩუმეში იყო ჩაფლული, გარეთ თოვლდა. მიბრუნებულხარ Pazcry-საკენ და ისიც კი გითქვამს: “შეილი გყავთ?-ხო და ახა წარმოიდგინეთ იგივე მდგომარეობაში იყოს ჩემს ხანში: უცბად უმამოდ, უსახლოდ, ქუჩაში გაგდებული და მთელი მისი მომავალი განაიებული.. დიდი მძიმე სიჩუმე ყოფილა....

ცოტა ხნის შემდეგ ხელს აწერ. აშკარად გრძნობამორეულებმა და შერცხვენილებმა გზა დაგილოცეს და ამ სიტყვებით დაგშორდნენ: “დღეს თქვენ იომეთ როგორც ლომმა, გისურვებთ ცხოვრებაში ყოველთვის ასე იყოთ გამარჯვებული, როგორც დღეს, დიდი კმაყოფილი ვართ, რომ გაგიცანით“ო.

შენ გიპასუხნია: “თქვენ ამას გამარჯვებას ეძახით? მე კი ამ ქალალდს რომ მოვაწერე ხელი ეფიქრობ ეს უფრო ჩემი სიკვდილის დადასტურება არის“ო.

ათი საათი გადასული იყო, რომ სახლში მოხვედი, ნაომარი სჩანდი, ღონე დაცლილი.

ოხ, ჩემო შვილო, როგორ მაწუხებს რომ ვერაფერში ვერ დაგეხმარე და მთლად მარტოკას მოგიხდა გასძლოლოდი მთელ ამ აწეწილ საქმეებს: სახლის ჯოჯოხეთური საკითხი, წყლისა, მერე მამას პენსიის ქალალდების აღდგენა, – ფრანგმა კომუნისტებმა ხომ ომის შემდეგ გააქრეს ყოველივე საბუთი, რომ სულ მთლიანად ცარიელი დარჩენილიყო მამაშენი და მერე მე..

გარდასწყვიტე ჩივილი, მოუმზადე ექილს მთელი მასალა და ბოლოს ის გირჩევს: "ბარემ თქვენ წადით, თქვენ უფრო დაიჯერებთ"ო! რასაკვირველია, ვერ მოიგე, ჩემო თეო, მოპირდაპირე ძლიერი იყო...

ამიტომაც ხომ მე სულ მინიმალური პენსია მერგო. კიდევ შენის წყალობით "კადრის" ნამცეცებიც მივიღე და ესეც მხოლოდ 8 წლის შემდეგ. აქაც სულ მცირედი თანხა. ამას ხომ ალარ ვამბობ თუ რამდენი უსიამოვნო სხვა და სხვა ნაბიჯები აწარმოე და ამაგე დროს, შენი დაშლილი ჯანის გამო, თითქმის ყოველ დღე გიხდებოდა საავადმყოფოში სიარული, და ეს როდესაც არ იწყება... ერთი სიტყვით, კარგად გაატარე დრო!

ჩვენი კლამარიდან წამოსვლა

დავიწყეთ სახლის დაცლა. ბევრი სიძნელეები იყო მოსალოდნელი. ბარგი უნდა დაგვებინავებინა, ეს ნაწილობრივ მოხერხდა იქვე კლამარში ჩვენ ნაცნობ ექილთან და სავაჭრო ხალხის "დამუას" ჟურანთან, რომლის კლიენტებიც ჩვენ ვიყავით. ზოგი რამ მარგარიტა რებისთან მისმა ძმისწულმა, შოთა კალატოზიშვილმა წაიღო. ბარგის მეტი წილი კი პირდაპირ დავარიგეთ, ვისაც რა უნდოდა, ყველას ვაკმაყოვილებდით.

იმ დროს თანახმანი ვიყავით ყველაფერზედ უარი გვეთქვა, რადგან ერთ ოთახში ვაპირებდით გადასვლას და ბარგის შენახვა შეუძლებლად მიგვაჩნდა.

ამის შემდეგ დავიწყე სახლის გასუფთავება. საშინელი სიცივეები იყო, იმ გაუთბარ სახლში. ჩემი ტრიალი იმით გათავდა, რომ საშინლად გავცივდი, მომცა დიდი სიცხე და ვახველებდი ისე, რომ თითქმის ვიხრჩობოდი. ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ როდესაც მეორე დღეს ვტოვებდით იქაურობას.

ექიმი მომგვარე, აღმოჩნდა ფილტვების ანთება. ქვეშაგები, რადგანაც უკვე მიცემულია, ვწევარ ცარიელ ლიბზედ. იატაკზედ.

Docteur Laroch-მა რომ დაინახა ჩვენი ცარიელი ბინა, ჩემი გაყვარებული სიცხე, შეწუხებული გვეკითხებოდა, სად გადავდივართ, "ამ ყინვაში თქვენი გარეთ გასვლა შეუძლებელია"ო. მაგრამ ჩვენ იქ ველარ დავრჩებოდით და მეორე დღეს 14 იანვარს ჩვენის ნებით წამოვედით. სიცხიანმა და დასუსტებულმა როგორ ავიტანე ეს ყველაფერი, მიკვირს, სჩანს ჯანსაღი ეყოფილვარ.

ჩვენი ბინა კარგ მდგომარეობაში რჩებოდა, რადგან იმ 5 წლის განმავლობაში ჩვენ ბინა შეეკეთეთ, ქაღალდიც დროზედ იყო გაკრული, სამზარეულოც შელებილი. მთელი სახლი იყო გალამაზებული, ამერიკელები შეშინებულები ახლდავდნენ, რომ ჩვენ არსად არ ვაპირებდით წასულას ერთხელ იმათი წარმომადგენელი გაკერვებული უყურებდა ჩვენ მუშას, რომელიც შემოსასელელ კარებს ჰლებავდა და თან მღეროდა, ის მოსული იყო გაეგო ჩვენგან, როდის გადადიეართ, ამის საპასუხოთ ჩვენ ბინას ვალამაზებდით და ვრჩებოდით.

ჰო და ეხლა კი მართლა ვტოვებდით ჩვენის ნებით.

იანვრის 14-ს იუსიემ ჩაგვაბარა 200.000 ათასი ფრანკი იმ ოთახში, სადაც სპირიდონი გარდაიცვალა.

სახლის კარები რომ დავკეტე და გასაღები მას ჩავაბარე, თან ესეც დავუმატე, რომ ჩემს სიცოცხლეში ეს მეორედ მიხდება იძულებით სახლის დაკეტვა და გასაღების გადაცემა უცხო ადამიანის განკარგულებაში, მხოლოდ ეს პირველად წითელმა კომისარმა ჩაიბარა, მეორედ კი საფრანგეთის მოხელე თქვენ იბარებთ, ორიე შემთხვევაში ბოლშევიკები მაძევებენ, მაგდებენ ჩემი სადგომიდან.[1]

ეს კაცი შეწუხებული მიყურებდა, რადგან თავის და უნებურად ის მათ ლაგერში აღმოჩნდა: "მე არაფერი ვიცოდი ამ საქმისა, ძალიანა ეწუხვარ, რომ ასე მოხდა"ო.

ეზოს კარები რომ დავკეტე, უკანასკნელად შევხედე სახლს და ერთი პატარა ქვა გადავისროლე, ამის მნიშვნელობა რომ გაიგო, ისიც შემოშველა, დასწვდა, აიღო ქვა და მაჩაბლის სახლს იმანაც შესთაყაზა, იმ სახლს, სადაც ჩვენ ბევრი უსიამოვნება გამოვიარეთ.

იქვე ედგა აუტომობილი, გეკითხა სად მიედიოდით, შემოგვთავაზა პარიზში ჩაგიყვანთო, რომ ვუთხარით ჩვენც არ ვიცით, სად წავიდოდით, შეწუხებულმა დაბძრა აუტომობილი და დაგვშორდა, თუ სხვა არაფერი კმაყოფილი იქნებოდა, რომ ჩვენთან ერთად იმანაც მაჩაბლის სახლს ქვა ესროლა.

მე და შენ კი უსიტყვოდ ხელიხელჩაკიდებულნი მივდიოდით კლამარის მედონის ქუჩაზედ გახვეულს ზამთრის ჩამოწოლილ ბურუსში და მართლა არ ვიცოდით იმ ღამეს სად ვიჭებოდით, რადგან პარიზში ჯერ ოთახი არა გექონდა ნაშოვნი.

იმ ჟამად რას ფიქრობდი შენ, არ ვიცი, რაც შემეხება მე, ძლივს ვიდექი ფეხზედ სიცხიანი და დასუსტებული, მე მერჩივნა იქვე ყოფილიყო რამე თაეშესაფარი, რადგან შორს ველარ წავიდოდი.[2]

---

[1] ამ ჩვენ სახლში, ჩვენს შემდეგ რუსეთის საელჩოს მოხელეები დაბინავდნენ წლების განმავლობაში. მერე ეს სახლი ერთმა პორტუგალელმა მოსამსახურე ქალმა შეიძინა, რომლის ქმარი კალატოზი იყო...

[2] ღამე გავატარეთ კლამარის საშინელ ჭუჭყიან და დაბალ სარისხიან ოტელში. მთელი ღამე ჩემი გაუთავებელი ხველება ისმოდა, თვალი არ მოგეხუჭნია დედა—შეილს.

ამერიკელებისაგან მხოლოდ წინა საღამოს მიიღე პირობა რომ იუსიე გადმოგვცემდა ფულს, როდესაც მას ჩვენ სახლის გასაღებს ჩავაბარებდით.

ამიტომ იყო, რომ დროზედ ოთახი არ ვიზრუნეთ, რადგან ხელში არაფერი გვქონდა, ფულის მოლოდინში ვიყავით, რომ ტელეფონი დარეკა იუსიემ.

აი ამ პირობებში წამოველით კლამარიდან და ასე გათავდა ჩვენი ოჯახის კავშირი "მაჩაბლის პარფიუმის საზოგადოება"-სთან გიორგის მემკვიდრეებთან.

ეხლა მინდა, ძველ ამბებს დავუბრუნდე, რომელიც მიმდინარეობდა სწორედ ამ კლამარის სახლში იმ დღიდან, რაც ჩვენ იქ დავბინავდით, ე.ი. 1929 წ. ასე რომ, მწარე ფიქრებით გამოკეტილი კარები ეხლა ისევ უნდა შევაღო.

მაშ მე ვუბრუნდები იმ დროს, როდესაც ჩვენ კლამარში მოვეწყეთ და შენ სკოლაში მიგაბარეთ, ამავე დროს მუსიკაც უნდა დაგეწყო. მანამდე კი ჩვენ ოთახს ამშვენებდა პიანინო, ამას მე და შენ ძალიან ვესწრაფებოდით, მაგრამ ვერ მუსიკის მასწავლებელი არა სჩანდა, არ ვიცოდი, ვისთვის უნდა ჩამებარებინა შენი მუსიკალური ბუნების მქონე ბავშვის მომავალი. ამის მოლოდინში დიდის ყურადრებით ისმენდი ჩემს მიერ დაკრულ შოპენის ვალსს, რომელიც მოგონება იყო ძველი დროისა, როდესაც ახალგაზრდობაში მეც ვცოდვილობდი, ვსწავლობდი პიანინოზედ დაკვრას.

რაც შეეხება სკოლის საკითხს, რადგან კლამარში ლიცეი არ იყო, შეგიყვანე კომუნალურ სკოლაში, ეს ვარჩიე კოლეჟს და საერთოდ კერძო კურსებს, სადაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კათოლიკურ რელიგიას.

ამ კლამარის კომუნალურ სკოლაში ერთი წლით უფრო დაგაწინაურეს, ასე რომ მართალი მითხრა პარიზის ამავე კომუნალური სკოლის შენმა პირველმა მასწავლებელმა, "რომ თქვენი შვილი, რომელიც აქ მხოლოდ სამი თვე იყო და შემდეგ აეადმყოფობის გამო სკოლაში აღარ მოსულა, წელიწადს არ დაკარგავს"ო.

თუმცა ეს ნახტომი ჩემთვის გაუგებარი იყო, მაგრამ რას გაეწყობდი.

რამდენად პარიზის კომუნალურ სკოლაში პირველსავე წელიწადს ასეთი კარგი პედაგოგი შეგხვედა, ამის შესახებ მე ცნობებს ვიძლევდი თავის დროზედ, იმდენად კლამარში ეს სანატრელი გახდა და ეს სულ ბოლო დრომდე ვიდრე შენ საშუალო განათლებას მიიღებდი, ამან შენ ძალიან დაგჩაგრა და სკოლა შეგაძაგა. ნოემბრიდან კი დაგაწყებინე როიალი, მარუსია ბარათაშვილის მეგობარი იყო ეს პიანისტი ქალი, ვერა ბრუნელი, იმისი რჩევით მასთან მიგიყვანე.

ვერა ბრუნელი პეტროგრადის კონსერვატორიიდან იყო გამოსული, მისი მშობლები თბილისში ცხოვრობდნენ, ბებო ქართველი ჰყავდა.

ისე რომ ამ ჩვენებურ ქალთან მეც შინაურულად ვიქნებოდი, პოდა იმასთან დაიწყე მუსიკის გაკვეთილები.

კვირაში ორჯერ დასდიოდი, ძალიან შორსა ცხოვრობდა, მთელი საათი მეტროში, შემდეგ კიდევც ფეხით სასიარულოც არ იყო იოლი, მაგრამ მისი გაკვეთილებით კმაყოფილი ვიყავი და ამ ორ საათის მოგზაურობას ვურიგდებოდი.

მთელი პატარაობა იმის მოლოდინში იყავი, პიანინოზედ დაკერა გცოდნოდა, ეხლა რომ ნახე, ამისათვის რამდენი მუშაობა გჭირდებოდა, ამიჯანყდი, "ეის გაუგია ყოველ დრე ამაზედ მუშაობა". შენ გერჩივნა, სკოლიდან მოსული გეთამაშნა, უფრო კი გებურთაფა, მაგრამ არ დაგითმე, დაგსვი და მეც მოგიყევი. ყველაფერი გააწყვე, თითებმაც არ გიმტყუნა და კარგი შედეგები გქონდა, მასწავლებელიც კმაყოფილი იყო შენი წარმატებით.

ექვსი თვის შემდეგ საკარო გამოცდაზედ შენ შეასრულე ორი ნაჭერი, ერთი იყო შუბერტის "კალმახი", მეორე შენთან უკაცრავად, აღარ მახსოვს კარგად იყო დაძლეული. მასწავლებელი დიდი კმაყოფილი იყო და ამის აღსანიშნავად ვერამ გაჩუქა ნოტები. ეს იყო Burgmüller-ის ეტიუდები, წარწერით. მეუბნებოდი რომ "ძალიან ვღელავდი, თავბრუ დამესხა, როდესაც გამოვედი". მაშ შენ დაბინაებული მყავდი სკოლაში და მუსიკის მასწავლებელიც ნაშოვნი. მაშინ ვიფიქრე, ჩემი სურვილი ემიგრაციაში მყოფ ბაშვებისათვის ქართული მესწავლებინა, სისრულეში მომეყვანა: რადგან სოციალისტები არ გამომეხმაურნენ, ვანდა ღამბაშიძის ცოლმა გამაგებინა, რომ ისინი ჩემთან შვილებს არ მოიყვანდნენ, ყველანი სპირიდონის წინააღმდეგნი არიანო, ეს მართლა ასე იყო, წინააღმდეგნი კი არა, პირდაპირ მტრულად იყვნენ განწყობილნი. მე მაშინ მივმართე ეგრეთწოდებულ მარჯვენა ნაწილს, ჩემ ნაცნობ ოჯახებს და ჩემი სურვილი გაეუზიარე. დიდი სიხარულით შეხვდნენ ჩემს წინადადებას, ესენი იყვნენ: გიორგი გვაზავას ოჯახი, გენერალ კვინიტაძისა, ვეიძენ ციციშვილის, სოლიკო ზალდასტანიშვილის, ტასო ბერიძისა და სხვანი.

ამათი შვილები დაახლოებით თხუთმეტიოდე შეგროვდა, დავიწყე მუშაობა, კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ და ხალისიანადაც იყვნენ განწყობილნი. მასალა მქონდა არჩეული ხალხური პოეზიიდან, რადგან ეს უფრო ადვილად იყო შესათვისებელი და ამ ბავშვებს, რომელნიც მთელი დღე ფრანგულ სკოლაში ატარებდნენ, ეს მასალა ენას უფრო მალე გაუტეხამდა. ჩემთან ლექსებს, ზღაპრებს ზეპირად ვახსომებდი და ამას კარგი შედეგი მოჰყვა, ამნაირად მიმდინარეობდა მუშაობა, რასაკვირველია, ნელის ნაბიჯით, მაგრამ ნაყოფიერად.

ამავე დროს ჩემი სურვილი შენ მონათლული მყოლოდი, ცოტა იგვიანებდა. ემიგრაციაში, ჩვენ სათვისტომოს ქართველი მღვდელი არა ჰყავდა: საქართველოში კი არ მოვიდომე, მომაყალში სპირიდონის თანადასწრებით მინდოდა შენი ნათლობა დიდის ზეი-

მით გადამეხადნა. ეს ხომ ოცნება იყო. აქ შენი ნათლია უნდა ქაქუცა ყოფილიყო, მაგრამ მის სიცოცხლეში ეს ვერ მოხერხდა, განსვენებულმა ერთხელ კიდევ მითხრა: "მოენათლოთ თეო, თორემ თუ დავიგვიანებთ, იქნება მაშინ ჩემი ძალებიც აღარ იყოს"ო. მართლა და ამის შემდეგ იმას დიდხანს აღარ უცოცხლია.

ქაქუცას სიკვდილი

ქაქუცა მთებში იყო წასული და სანატორიუმში გაატარა უკანასკნელი წლები.

რამდენად მთის ჰაერი მისთვის მშობლიური იყო, იმდენად სანატორიუმის მკაცრი რეჟიმი მისთვის ძნელად ასატანი ხდებოდა. ეს მისი წერილებიდან სჩანს.[1]

ეტყობა გრძნობდა თავის აღსასრულს, რადგან სიკვდილის ათი დღის წინ მოწერილ წერილში სპირიდონს უზიარებს თავის სურვილს: "ჩემი სხეული უნდა დაიწვას, ჩვენ გვარში სიჭლექე ჩემს მეტს არავის ჰქონდა"ო.

იმავე წერილში აგებინებდა სპირიდონს, რომ საქართველოდან წერილი აქვს, სადაც ატყობინებდნენ, რომ საკმარისი ძალა კიდევ არის მტრის საწინააღმდეგოდ და "მე ვუპასუხე, რომ მე თქვენთან ვიქნები, როდესაც ამისი დრო დადგება"ო.

მის დასაფლავებას, რასაკვირველია, მთელი ქართველობა დაესწრო. კუბო ასწიეს შეფიცულებმა, გრიშა ცხაკაიამ ჟორდანიასაც მიაღებინა მონაწილეობა: "მობრძანდით, ბატონო ნოე, თქვენც ასწიეთ ქაქუცას კუბო"ო.[2]

წინა საღამოს შეფიცული ნებიერიძე[3] კლამარში ამოვიდა და სპირიდონსა სთხოვა მისთვის სიტყვა დაეწერა, რომელსაც დასაფლავებაზედ იტყოდა.

შეფიცულების სახელით იქვე გაგვაგებინა, რომ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ მხოლოდ ჩხენკელი, შალვა ამირეჯიბი და გრიშა ბერიძე.

აშკარა იყო, არ უნდოდათ, რომ სპირიდონს ელაპარაკნა — ვის? არ ვიცი. პირველი გაოცებული ალბათ თვით ქაქუცა იქნებოდა.

უზომო იყო ყველას განცდა. ტიროდა თითქმის ყველა. ეს საყვარელი ადამიანი უცხო მიწას დროებით მიაბარეს, რადგან მაშინ ყველა ასე ფიქრობდა, რომ ის უსათუოდ საქართველოში უნდა გადასვენებულიყო. მაგრამ როდის?

---

1 არხივში მაქვს მთელი მისი წერილები.

2 ვიცი რომ მისი დასაფლავება ფილმში იყო გადაღებული.

3 ნებიერიძეს კი დაეწუწებული ჰქონდა თავისი შავი ზრახვები ქაქუცას მიმართ!..

ეხლა მინდა დავუბრუნდე ჩვენს ოჯახს, განსაკუთრებით შენი სწავლის მიმდინარეობას.

კომუნალურ სკოლაში დარჩი ოთხი წელიწადი, ყოველთვის იქიდან აღრენილი პბრუნდებოდი, ამის მიზეზი იყო ის, რომ შენ უკანა სკამზედ გიხდებოდა ჯდომა, რადგან სხვებთან შედარებით მაღალი იყავი, ძალიან აიყარე ტანი.

შენ გინდოდა პირველ რიგებში ყოფნა, თითქმის მასწავლებელთან დახლოებულიც. გარდა ამისა, პხედავდი, რომ პირველ სკამზედ მჯდომ მოწაფეს ეკალებოდა ზოგიერთი რამ პატარა გასართობი, როგორც მაგალითად კლასის რიგში ჩაყენება, რეულების და წიგნების დარიგება და სხვა, რაც ეს ყველაფერი გქონდა პარიზში.

ზამთრის თვეებში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სკოლა ერიდებოდა ელექტრონის ზედმეტ ხარჯს და ამიტომ ძალიან გვიან აშუქებდნენ კლასს, უკანასკნელი სკამიდან ოთხი საათის შემდეგ შენ თვალებს ძალიან უძნელდებოდა კლასის დაფაზედ დაწერილის გარჩევა და ძალას ატანდი თვალებს. გაგინვითარდა სიბეცე და იმდენად, რომ ექიმმა მოითხოვა მუდამ სათვალეები გეტარებინა.

მახსოვს შენი რეაქცია, წარმოიდგინე, რომ ვეღარ შესძლებდი სათვალეების მოხსნას და თვალცრემლიანი მთხოვდი: "სურათი გადამაღებინე, რომ ბებოს კიდევ ძველი თეო მოეგონო"ეო. ერთი სიტყვით შეგაწუხა ამ ექიმის რჩევამ.

ერთხელ მოხვედი, ცუდი ნიშანი მოიტანე ყოფაქცევაში. მე და მამა მაშინათვე გამგეს სანახავად დაეშვით მედონის ქუჩაზედ. გამგემ გაიოცა ჩვენი დარბაზობა. აღმოჩნდა, რომ გაკვეთილის დროს შენ განძრეულხარ ჩაარდნილი ცხვირსახოცის ასალებად, ამიტომ ცუდი ნიშანი დაუწერიათ ყოფაქცევაში.

აი, ერთი შენი სკოლის სასაცილო ანეკდოტი: მასწავლებელი ისტორიის გაკვეთილს აძლევს. შენ ამ დროს თურმე სარგებლობ და ბებოს სურათს ხატავ, დიდი ჩიხტიკოპით და გრძელი ლეჩაქით. მოხვედი დიდი კმაყოფილი ამ შენი ნახატით, თან ამასთან ამოტურტნული მელანში შავი ხელებით.

მეორე დღეს სკოლიდან დაბრუნებულმა დალონებულმა შემომჩივლე: "თურმე უნდა მცოდნოდა ის ვიღაც "გოლუებზედ" მასწავლებელი, რომ ლაპარაკობდა"ო.

ესეც შენი პირველი ისტორიის გაკვეთილი.

ძალიან სასტიკი იყო შენი მასწავლებელი, გარდა ამისა უცხოელი იყავი და მაშინ ამას ზოგიერთები სკოლაში ვერ იტანდნენ.

ერთხელ უცხოელები ამ მასწავლებელმა ცუდად მოიხსენია: "უცხოელები მოდიან და ჩვენს პურსა სჭამენ"ო. იმ მომენტში მთელი კლასი შენკენ მოტრიალებულა და ცუდის თვალით გაუზომიხარ.

სკოლიდან დაღონებული და გულნატკენი მოხვედი, ვერ გაგეგო ამ შენი მასწავლებელის ნათქვამი, რადგან შენ აშკარად ახედაედი, რომ პურს არაფის ვართმევდით, მკითხე კიდეც, ამის შესახებ განმარტება მომეცა.

ერთხელ კი შეწუხებული და ჩვენით უკმაყოფილო სჩანდი: "იქ ყველანი მზითევს იმზადებენ და თქვენ ამაზედ არც კი ჰფიქრობთ, მინდა მეც მზითევი მქონდეს"ო.

ფრანგის ბავშვს თითქმის ყველას თავისი თანხა აქვს და ამას ინახავს. ერთხელ მასწავლებელმა ჰკითხა ამ უცხოელ ბავშვს, აქვს თუ არა თავისი კასა, შენ თურმე გაოცებულმა თავი გააქნიე. "ჰო და კედია, თქვენ უნდა იყოთ ისეთი, როგორც ყველანი არიან"ო და ამის შემდეგ გვეჩეჩქვამდნენ ამ მიმართულებით.

სახლში შენ სულ სხვა სიო გიბერავდა, გახსომდა შენი საყვარელი ბებო ვერიჩქა, მისი ალერსი, შენთან სეირნობა და გართობა.

გარდა ამისა ჩვენი ქვეყნის უბედურება შენს მეხსიერებაში ღრმად იყო ჩაჭრილი, ეს ჩეკისტები და მათი სიმკაცრე და სხვა.

ამაზედ შენ ალბად ბევრს ლაპარაკობდი, სკოლის ბავშვებს ეს ყველაფერი სახლში გაჰქონდათ, და რასაკვირველია მათი მშობლები ამრეზილები იქნებოდნენ შენს მიმართ, რადგან ეს შენი ენა მათთვის სულმთლად გაუგებარი იყო. შენ კი ყველას მიმართ ყოველთვის კეთილად იყავი განწყობილი.

ერთხანს შენ სკოლიდან იგვიანებდი და შეფიქრიანებულნი ვიყავით. აღმოჩნდა შენ აგიკვიატნია ერთი შენზედ უმცროსი და ეხედავ, ხელმოკიდებული მოგყავს. შენ გამიცინე და მიამბე, რომ ამ ბავშვს ეშინია ტყეზედ გადასვლა, რადგან იქით ცხოვრობს და შენ მას ყოველ დღე სახლამდის აცილებ.

შენი პატარაობა გავსცა ასეთი მაგალითებით, მაგრამ არ ვიცი, რად ვეცადე, რომ შენ ეგოისტი არა ჰყოფილიყავი, როგორც ეს სჩვევიათ დედისერთებს. იქნება, ცხოვრება ასე არ გაგჭირებოდა, რომ შენც მხოლოდ შენს თავზედ გეზრუნა.

ბევრი დრო დაგჭირდა, შესჩვეოდი ამ უცხოეთს, მის ყოველდღიურ ყოფნას, და რაც უმთავრესია მის სკოლას, რომელმაც არ გაგფურჩქნა, პირიქით დაგიხშო ის, რაც შენი სიმდიდრე იყო.

შენი დროის სკოლა საბედნიეროდ ეხლანდელ სკოლას აღარ ემსგავსება, ეფიქრობ, თუ კარგი პედაგოგები ჩაუდგნენ სათავეში, თანამედროვე სასწავლებელი გამოსული ეიწრო ფარგლებიდან, რომელმაც პაერი მისცა მის დახაშებულ კედლებს, კარგ შედეგებს იქონიებს ფრანგულ განათლების ეითარებაში.

სამწუხაროდ შენ ეს აგცდა.

პირველ ხანებში ამ პარიზის ბავშვებთან იდექი და ლაპარაკობდი, რაც კი გახსომდა საქართველოდან ჩამოტანილი ამბები, იმათთვის შენ უფრო დაიმსახურებდი გიჟის სახელს ვიდრე ჩვეულებრივ მოწაფისას.

ერთხელ შენ წამოსაყვანად ნორინაც გამომყვა, იმ ჟამად კლამარში იყო. იმისი ნახვა, ხომ იქაურობისათვის ბომბის აფეთქება უდრიდა, ეს მშვენიერი გარეგნობის ქალი, არაჩვეულებრივად ჩაცმული თავზედ თეთრის ჩალმით ამ კომუნალურ სკოლის კარებში, რომ ჩემთან ერთად შენ ოთხ საათზედ იქიდან წამოგიყვანეთ, ამ მუშების შვილებზედ და უფრო მასწავლებლებზედ დიდ შთაბეჭდილებას დასტოვებდა.

აქედან პირდაპირ ტყეში ამყავდი, რასაკვირველია, თუ ამისათვის შესაფერისი ამინდი იყო, იქ გაჭმეული სამხარს და შემდეგ სახლში დაბრუნებული პიანინოსთან იჯექი, ყოველ დღე 1/2 საათი. თითქმის დრო აღარ გრჩებოდა, თავისუფლად გეთამაშნა, თუმცა გაკვეთილებს იოლად იშორებდი, მაგრამ მეტისმეტად ბევრი მასალა იყო მოცემული.

ამ პირველ დაწყებით სკოლაში ოთხი წელიწადი გაატარე, რომლის დამთავრების შემდეგ კარგი მოწმობით გამოხვედი; წლიურ ანგარიშის დღეს სკოლის გამგემ ადგილობრივ ქალაქის მერს შენი თავი წარუდგინა, როგორც უცხოელი, რომელმაც დიდი წარმატება გამოიჩინა. Certificat d'Etudes.

ეტყობა, შენ გეერდით მყოფ ბავშვებსაც საბოლოობოდ კარგი გრძნობები ჰქონდათ შენს მიმართ, რადგან ცხოვრებაში შეხვედრისას ამას ამყლაუნებდნენ. აი სულ ბოლოს, შემთხვევით მოგაგნო ერთმა მათგანმა და დიდ მეგობრობას გიჩენს, დიდი სიყვარულით არის შენს მიმართ განწყობილი.

კომუნალური სკოლის შემდეგ იძულებულნი ვიყავით, კერძო კოლეჯში შეგეყვანე, სამწუხაროდ კლამარში ლიცეი მაშინ არ იყო.

რაც შეეხება ამ პერიოდს, უსიამოვნოს, შემდეგ მოვიგონებ შენთან ერთად, ეხლა კი ისევ ვუბრუნდები ჩვენი ოჯახის კერძო ცხოვრების ზოგიერთ მოვლენას, როგორც მაგალითად შენ ნათლობას, ჩემ მუშაობას ქართველ ბაშვებთან და სხვა.

თეოს გაძრისტიანება და კლამარში მისი ნათლობა

როგორც იცი, ჩემო თეო, რელიგიის დიდი მიმდევარი არა ვარ, მაგრამ ცხოვრებაში, რამდენადაც შესაძლებელია, ამ რელიგიასთან დაკავშირებულ ტრადიციებს არა ელალატობ, მას ვიცავ, როგორც ჰხედავ, ეს არის ჩემი სისუსტე.

საქართველოში ბევრს ვფიქრობდი, მინდოდა დროზედ მონათლული მყოლოდი, მაგრამ ამავე დროს ვოცნებობდი, ეს სპირიდონის თანადასწრებით და დიდი ზეიმით ჩატარებ-ულიყო: სინამდვილემ კი ფრთები შემიკეცა და იმედები მთლად გამიცრუა.

ერთ აღდგომის დღეს, ციხიდან ახლად განთავისუფლებულმა, აწ განსვენებულმა კალისტრატე ცინცაძემ ჩემი სახლის კა-

რები შემოაღო, რომ მოელოცნა და ჩემთვის "ქრისტე აღსდგა" ეთქვა. ძალიან გამახარა მისმა ნახვამ და მანუგეშა: თუმცა ფერმიხდილი იყო, მაგრამ ამაყე დროს მხნედ მოსჩანდა.

წასვლის დროს მითხრა: "ეს ბაშვი უნდა მოვნათლოთ"ო, მე სიჩუმით ვუპასუხე, მაშინ შემომხედა, მიმიხედა, ასწია ხელები: "ნეტა მართლა გისმინოთ უფალმა"ო.

ემიგრაციაშიაც დაგვიანდა შენი გაქრისტიანება, მხოლოდ თორმეტი წლისა მოგნათლეთ, მანამდე ჩვენ სათვისტომოს ქართველი მღვდელი არა ჰყავდა.

ნათლიად მინდოდა ყოფილიყო ზურაბ ავალიშვილი, მაგრამ როდესაც ვსთხოვე: "მე უბედური კაცი ვარ, თეოს ნათლიაობას ვერ ვიკისრებ"ო. წაიბუტბუტა. მერე კი თურმე ნანობდა, რომ უარი მითხრა, როგორც ეს მისმა ცოლმა გადმომცა, "უნდა ჩემთვის გეთქვათ, ხომ იცით, ზურაბი რა უცნაური ადამიანია"ო.

შენ კი ჩემო თეო, ძალიან გინდოდა კვინიტაძის ოჯახი, რადგან იქ "ბაბალეც არის და ბოსტანიცა"ო, მეუბნებოდი, "ბაბალემაც მომწათლოს"ო.

ბაბალეს აქ განსვენებულ გენერალ კვინიტაძის ოჯახში ყოფნა, ცოტა არ იყოს, ჩემის რჩევით მოხდა: როდესაც თბილისში ქალთა გიმნაზიის გამგე ვიყავი, ჩემთან ბიუროში მოვიდა მარუსია კვინიტაძისა და მთხოვა მისი ბაშვებისათვის კარგი ქართული ენის მასწავლებელი დამესახელებინა, საერთოდ მკითხა, თუ როგორ მოუაროს, რა ზომები იხმაროს, რომ მისმა ბაშვებმა ქართული ენა კარგად იცოდნენ.

ჩემი აზრი იყო, რომ მასწავლებელი არა კმარა, საჭიროა ბაშვებს მუდამ გვერდზედ ჰყავდეთ ვინმე, რომელთანაც იძულებულნი იქნებიან ქართულად ილაპარაკონ, ესეთი პიროვნება უნდა სოფელში მონახონ, იქიდან წამოიყვანონ ქალი, რომელმაც რუსული არ იცის, აი რა იქნება საჭირო, რომ ბაშვები დასჯერდნენ ქართულს.

ბაბალე თავდახურული იყო, ის გაგონებდა შენ საყვარელ ბებოს და ხომ ეს იყო შენთვის უმთავრესი, დიდხანს მისტიროდი მაშინ ბებოს კალათას ვაშლებით სავსეს და სხვა. ის კი არა, მაგრამ კვინიტაძის ოჯახიდან ორი იყო შენი ნათლია, თვითონ გიორგი კვინიტაძე და მისი ქალიშვილი თამი. ამათ გარდა თამარა ფალავანდიშვილის ნაცვლად ხელი მოაწერა მარგალიტა რებიმ, რადგან თამარა თბილისში იყო.

იმ დილით მოვიდა დიდი თაიგულით მაია ზ. ავალიშვილის ცოლი, მითხრა, რომ "საღამოს ვახშამზედ ვერ მოვალ, ყოველთვის ვერიდები იმ შემთხვევებს, როდესაც ქართველები ერთად სუფრის გარშემო იკრიბებიან, ზედმეტადა ვგრძნობ თავსა, ენა არ ვიცი, ისინიც შეწუხდებიან და მომერიდებიან"ო.

საღამოზედ მოვიდნენ გიორგი კვინიტაძე თავისი ცოლშვილით, მარგალიტა რები, მარგალიტა მაჩაბლისა, ვერ კიდევ ჩვენ ზემო სართულში ცხოვრობდა, იმანაც მოგვიტანა თაიგული, ბოლოს

მოვიდა ზურაბ აჟალიშვილი, შემოვიდა ოთახში, დაჰხედა სადღესასწაულო სუფრას, "მშვენიერია ყველაფერი ესა"ო, ცოტა იტრიალა და შევიდა ბიუროში, სადაც ყველანი იყვნენ თავმოყრილნი და მღვდელს ელოდებოდნენ: აი ამ მამას ბიუროში მღვდელმა ფურაძემ მირონით გაკურთხა, შენ ზეპირად სთქვი: "მრწამს ერთი ღმერთი". ეს ნათლობა დიდხანს არ გაგრძელდა, არ მახსოვს, წყალში შენ ფეხები მაინც ჩაგაყოფინა ამ ღვდელმა, თუ დასველერდა შუბლი დაესველებინა.

იმ დღეს ეცადე ჩვენებური საცივი, მართლა კარგი გამოვიდა, რადგან ის დამშვენა და გემო მისცა ზუგდიდან ბებო თეოს მიერ გამოგზავნილმა სუნელმა.

სუფრაზედ განსაკუთრებით გიორგი კვინიტაძე მხიარულობდა, იმას არც მარგალიტა მაჩაბლისა ჩამორჩა, ცოტა ნასვამი იყო ეს ქალი და ლეკურიცა სცადა და რუსული ტრიპაკის მიხერა მოხერით, მე ცოტა გამეცინა, "რას იცინით"ო შემომიბღვირა"

გათავდა ვახშამი თავისი სადღეგრძელოებით, სტუმრები დაიშალნენ, სპირიდონიც ზურაბს გაჰყვა, ცოტა არ იყოს შეიგვიანა, მარგალიტა შეწუხებული მეკითხებოდა, "რად იგვიანებს თქვენი ქმარი"ო. ალბათ უნდოდა მეორე სუფრა: წაიდა მოსაძებნად ამ შუაღამისას ქუჩიდან ქუჩაზედ, მაგრამ ასცდა, სპირიდონი დაბრუნებული იყო. როგორც ჰხედავ, მაშინ სპირიდონის მიმართ ძალიან კარგად იყო განწყობილი. შენი ნათლობის შემდეგ ბევრი სამდურავი მოვისმინეთ, რომ ყველანი არ დავპატიჟეთ. ჩემო თეო, ძალიან ეიწროდ ვიყავით, დიდ წვეულებას ვერ გაუძღვებოდა ჩვენი ჯიბე და ვერც ჩვენი ოთახის მოცულობა იქნებოდა შესაფერისი.

სამწუხაროდ შენი ნათლობა მოხდა ქაქუცას სიკვდილის შემდეგ, ის უნდა ყოთილიყო მთავარი ნათლია, ეტყობა გრძნობდა, რომ დიდ ხანს ვერ იცოცხლებდა, ამიტომ მითხრა: "მოუნათლოთ თეო, თორემ თუ დაეიგვიანეთ, იქნება, ჩემი ძვლებიც აღარ იყოს"ო.

P.S. სხვათაშორის უკანასკნელ წერილში გეთხოვდა: "როცა მოვკვდები უეჭველად დამწვითო" (წერილი არხივშია).

ქაქუცას სალამო

მოვინდომე ერთი ლიტერატურული საღამო მისთვის მიმეძღვნა ჩემი პატარა ბავშვების ჯგუფის საშუალებით, რომელსაც ქართულს ვასწავლიდი. როგორც იცი, ბავშვებთან მუშაობა სალხური პოეზიით დაეიწყე და ეს მასალა სრულიად შესაფერისად მეიჩინე ქაქუცას მოსაგონებლად გამომეყენებინა.

ეიფიქრე საღამო ს. ეიროფლეში, მის სადგომში მომეწყო, ეს კარგი იქნებოდა იმითაც, რომ თეით სოფლის ბუნება საუკეთესო დეკორაციად გამოდგებოდა, ამ გაშლილ ადგილას ბავშვებიც თავი-

სუფლად იმოძრაებდნენ, გარდა ამისა იქვე პატარა მოჩუხჩუხე რუც სიცოცხლეს მისცემდა.

ეს ყველაფერი წინასწარ გათვალისწინებული მქონდა, ამისათვის კლამარიდან რამოდენიმეკერ ფეხით ჩავსულვარ და მოკლე ბილიკებით ხომ პირდაპირ ვიროფლეში ვიყავი. საჭირო იყო ამ სოფლის დეკორაციაში ერთი ქოხი ჩამედგა, ამისათვის გულმოდგინედ შეფიცული სერგო მისურაძე დამეხმარა და მშვენიერი ქოხი ამიშენა, ამ ქაქუცას ერთგულმა. სერგო გაუნათლებელი, მაგრამ ბუნებით ჭკვიანი და დაკვირვებული იყო. ამ ქოხის აშენების დროს მითხრა: "ეს საქმე თქვენია, ამაში ნურაფის გარევეთ, თორემ არ ივარგებს"ო. მომაყალში ხშირად ვიგონებდი მის სიტყვებს და გაფრთხილებას...

ეხლა მინდა მოვიგონო, რით გაართვეს ჩემმა ბავშვებმა იმ საღამოზედ დამსწრენი, რომელნიც ბლომად იყვნენ. სოციალისტებიდან ვიქტორ ნოზაძეს ვთხოვეთ, მაგრამ არც ის მოვიდა, აბა სხვებს იმ დროს როგორ შევაწუხებდი, ისინი ხმალამოღებულნი იყვნენ. დასაწყისში საჭიროდ დავინახე პატარა განმარტება მიმეცა პროგრამაზედ და ამით გაეათავე, რომ "დღევანდელი დანიშნულებისათვის ყველაფერი ეს მეტისმეტად უმნიშვნელოა, მაგრამ წრფელისა გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების". ჩემზედ მეტად მარი ზალდასტანიშვილისა ღელავდა, მაგონდება მისი სისარულით გაწითლებული სახე: "მშვენიერია, სონა, მშვენიერი"ო.

ეხლა რაც შეეხება თვით პროგრამას, დავიწყეთ, მგონი, ამნაირად: პირველი ნაწილი ჰქონდა მიძღვნილი მითოლოგიურ ხანას, ესტრადიდან, რომელსაც ამშვენებდა დიდი ეროვნული დროშა, ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები: "მზე და მთვარე", "მზე, მთვარე და ვარსკვლავები".

ამის შემდეგ გუნდმა შეასრულა "მზის" საგალობელი: "მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდი"ო.

ეს მელოდია, საქართველოდან გამომყვა, მგონი მე 8 სკოლის გალობის მასწავლებელ შარაბიძისა, მეტის მეტად ნელი, ძველი მელოდიაა, ამავე დროს მოსასმენად სასიამოვნოა, მართლა საგალობელია.

ამ მელოდიას მისდევდნენ რიტმული მოძრაობებით ბავშვები, რომელნიც ისე იყვნენ ჩაცმულნი, რომ ისინი ფეიებს ჰგავდნენ, უფრო კი გოგოები.

ბიჭები ძველ გამოქვაბულებში მცხოვრებთ ემსგავსებოდნენ; სურათი მაქვს. შემდეგ ასევე მითოლოგიიდან "ბატონების საგალობელი: "იავნანა, ვარდო ნანა". "აქ ბატონებიც მობრძანდნენ, მობრძანდნენ და მოეფინნენ": იადონის მარანში ოქროს აკვანი არისო, შიგა წევს ბატონიშვილი, იმას ეტყვიან ნანასა"ო.

ან კიდევ, ეს ბატონები ისე დადიან სოფელში "კაცი არ ჩაუწვენიათ, ჩიტიც არ აუფრენიათ"ო და სხვა. ამას გუნდი ასრუ-

ლებდა, შეფიცულები ამის ოსტატნი იყვნენ, ბალერის მშვენიერი ხმა ლამაზად ეფინებოდა იქაურობას.

კულისებში მე ვიწყებდი იავნანას და გუნდი თავისას ასრულებდა.

ბატონების საგალობელს სცენაზედ შესაფერისი ცოცხალი სურათი ჰქონდა.

ლოგინში იწვა სახადით ავადმყოფი, მის გარშემო გოგოები ეროვნულ ტანისამოსში, რომელნიც "ბატონების" დასამშვიდებლად საგალობელს მღეროდნენ.

აქ მაგონდება ერთი სასაცილო ამბავი, ავადმყოფი იყო ნანო კვინიტაძე, რომელიც სიამოვნებით დათანახმდა ამ როლზედ, მაგრამ არ იცოდა, რომ იმის ქართულ კაბას შენ ჩაგაცმევდი, რადგან გუნდში მღეროდი, თვალები რომ გაახილა მაშინ დაგინახა მორთული იმის ლამაზ კაბაში, ელდა ეცა, იფიქრა რომ წაართვეს. მალე დამშვიდდა, როდესაც ჩაიბარა.

ამ ყვავილით ავადმყოფთან ეკეუფის სურათი ხომ შენა გაქვს, იავნანას რომ მღეროდი, ყველანი კარგადა ხართ გამოსულნი.

ამის შემდეგ საგმირო ხანიდან მოცემული იყო "ამირანი" და მისი თქმულება. ქოხში შუა ცეცხლის გარშემო ბავშვები ყურადღებით უსმენდნენ თავიანთ ბებოს, მზია გვაზავას, რომელიც ამ ბოლით გახვეულ ქოხში პატარებს უამბობს ამირანის გმირობას. ამასთან დაკავშირებით ამირანის თქმულებიდან დრო გამოშვებით კულისებიდან ისმის დეკლამაცია, ეს სურათი თავდება გუნდის მიერ შესრულებული სიმღერით: "კავკასიის მაღალ ქედზედ ამირანი მიჯაჭული". ეს სიმღერა პატარაობისას გაგონილი მაქვს ჩვენს ოჯახში.

ამის შემდეგ ბავშვებმა წაიკითხეს საოჯახო ლექსები, ჩონგურზედ ნათქვამი იყო ზოგიერთი სატრფიალო ლექსი და მათი ინსცენირება გადმოცემული.

სულ ბოლოს საეკკაცო ლექსით გავათავეთ, ეს ლექსი დავყავი ნაწილებად, რომ ყველა მონაწილეს თავისი სათქმელი ჰქონოდა: ეს მასალა მთლიანად შესაფერისი იყო ქაქუცას დიდი სურათის წინ სახლის აივნიდან, გახვეულს ეროვნულ დროშაში, რომ დასცქეროდა იქ მისულ ბავშვებს ეროვნული დროშით, რომელნიც მის ვაჟკაცობას შესძახოდნენ, გუნდმა ჩვენი ეროვნული ჰიმნი "დიდება" შეასრულა, შემდეგ იმღერა "ალარ მელირსა, მშვენიერო ჩვენო კახეთო" და დამატებით სიტყვებით დაბოლოვა: "საქართველოს გულისათვის ბევრჯერ კიდეე ვიომებდი, მაგრამ სიკვდილმა მომისწრო და ჩავეშვი სამარეში".

ეს უკანასკნელი სიმღერა, რომელიც ეუბღვენი ქაქუცას, ანარეკლია იმ მელოდიებისა, რომელიც პატარაობისას ხშირად მომისმენია ჩვენს ოჯახში.

სალამო კარგად ჩატარდა, კმაყოფილი ვიყავი იმ შედეგებით, რაც მოხერხდა ამ ბავშვებთან, რომელნიც ფრანგულ სკოლაში

მთელ დღეს ატარებენ, შემდეგ სახლში კიდევ გაკვეთილების მომზადება, ისე რომ დრო აღარა რჩებათ თავისუფალი, ამიტომ საკლუბო მუშაობა ვარჩიე და ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. იმ საღამოს ჩვენმა სტუმრებმა ბევრი ქება შემასხეს და კმაყოფილნი დაიშალნენ: რვა საათის მატარებლისაკენ გავეშურეთ: სადგურზედ, ისიც მატარებლის ლოდინში, ივლდა ზურაბ ავალიშვილი და ღიღინებდა: "მზის საგალობელს", "ასეა არაა, ბატონო". იმანაც მიქო საღამო და ესეც დაუმატა: "თქვენ ორატორული ნიჭი გაქვთ"ო. ნეტა მართლა ასე იყოს, მაგრამ შესცდა და ეს იყო გადაჭარბება.

ერთი სიტყვით იმ საღამოს ბევრი რამ მითხრეს სასიამოვნო, უნდა ვსთქვა, რომ პირადათ მე ვიყავი კმაყოფილი, იმის შემდეგ ბევრი სხვა სღამოც მოეწყვე, მაგრამ იმის მსგავსი აღარაფერი გამიკეთებია.

რადგან ამ საღამოს ქართული პრესა დადებითად გამოეხმაურა, ამიტომ ყველამ მოინდომა, ჩემთან თავიანთი შვილები მოეყვანათ.

მაშინ გავაფართოვე ეს ჩემი წრე და ამ მიზნით დავაარსე "ქართული კერა", რომელმაც იარსება 1938 წლამდე, ე.ი. შვიდი წელიწადი, შენ იცი, რა ხალისით დაწყებული საქმე, ნაღელიანმა და მოშხამულმა დაუტოვე "ქართული კერა", იმაში დარწმუნებული, რომ ქართველებს სხვისა გაკეთებული საქმე არ უყვართ, და არც ნაღამური, ამის შემდეგ ქართულ საქმიანობას მთლად ჩამოვშორდი. ეხლა მინდა შენ დაგიბრუნდე "ქართულ კერა"ზედ შემდეგ ვილაპარაკებ.

შენი მუსიკის შედეგები

ვერა ბრუნელი, შენი მუსიკის მასწავლებელი ძალიან კმაყოფილი იყო და მესამე წელიწადს მითხრა: "აი ოცდაათი წელიწადია, რაც მუსიკის მასწავლებელი ვარ და ამ ხნის განმავლობაში არც ერთ ჩემ მოწაფეს ასეთი პროგრესი ორ წელიწადში არა ჰქონია, თქვენ პედაგოგი ხართ და გამიგებთ, მინდა დიდი ნახტომი გავაკეთო, თეოს ერთერთი დიდი ნაჭერი მოვამზადებინო და წაეყვანო კონსერვატორიის ცნობილ პედაგოგ ლაზარ ლევისთან და მისი აზრი გავიგო"ო ამაზედ აბა რა უნდა მეთქვა, დაეთანხმდი. დაგაწყებინა მუშაობა ბეთხოვენის სონატაზედ და ამავე დროს მოცარტის ფანტაზიაზედ[1] ექვსი თვის შემდეგ მზადა გექონდა შენთვის ტექნიკურად ძნელად დასაძლევი ნაწარმოებები. მთელი დღე სკოლაში: 6 საათი 1/2, სახლში გაკვეთილების მომზადება, ამ პირობებში მუსიკას რჩებოდა 1/2 საათი.

---

[1] მექსე სონატა ოპ. 10 №2 და მოცარტის ფანტაზია en Ré mineur.

დანიშნულ დღეს წაველით ამ პროფესორთან, მე ყავახანაში დავრჩი, შენ და ვერა შეხვედით ამ დიდ პედაგოგთან.

რამოდენიმე ხანში ვერას დიდი კმაყოფილებით და სიხარულით მოჰყავდი, აღმოჩნდა, რომ ლეევმ იმდენად მოგიწონა დაკერა, რომ განუცხადებია, მე ამ ბავშვს ავიყვან და ერთ ან ორ წელიწადში კონსერვატორიაში ჩემ კლასში შევიყვანო,[1] შენ იყავი მაშინ 11 წლისა.

არ ვიცი, რა გითხრა, ეს დაპირება თითქოს მესიამოვნა, მაგრამ ამავე დროს შემაფიქრიანა ასეთმა რეცენზიამ, უფრო საბოლოოდ თითქოს დამაღონა კიდეც, შენი მომავალი უნდა გადაწყვეტილიყო, ან მუსიკა, ან სწავლის გაგრძელება.

უცებ გაბლევს შოპენის კონცერტს: Concert op11[2] და ეს ერთ თვეში უნდა ჩაბარო — რასაკვირველია ჯერ ამ კონცერტოს პირველი ნაწილი — თუმცა თითების ბუნებრივი სიმარდე გქონდა, ასეთი ნაჭერის მოცემა გაუგებარია. თუნდაც ტეხნიკური თვალსაზრისით; მეტადრე, რომ ლეევი ახალ მეთოდს მისდევდა; არც გამეები, არც სავარჯიშოები. უმთავრესად უნდოდა თვითონ ნაჭრეების რთული ადგილები ყოფილიყო გამოყენებული როგორც სავარჯიშო. რასაკვირველია, ასეთი მუშაობა მთლად შესაფერისია უკვე დამთავრებული პიანისტისათვის, და არა შენთვის, რომელიც იწყებდი.

იმ დალოცვილმა არ იკითხა, რამდენ ხანში დასძლიე ის ორი ნაჭერი, რომლითაც ვერამ მასთან მიგიყვანა, და რამდენს მუშაობდი დღეში.

ეს იყო დიდი შეცდომა ამ ცნობილ პროფესორისა და დიდი დანაშაული შენს მიმართ. ჩემო შვილო, ჩემო მშვენიერო არსებავ. ეს ნახტომები ამ ფრანგულ სკოლებში საერთოდ შენ არ მოგიხდა.

პირველ ხანებში ამ კონცერტოს დასაწყისი ძალიან მოგწონდა და ხალისიანადაც მუშაობდი, მაგრამ თანდათან გაგრილდი, რადგან ტეხნიკური ნაწილი გიძნელდებოდა. ერთი თვის შემდეგ ვერა საავადმყოფოში დაწვა ოპერაციის გასაკეთებლად და ამან ბევრი დრო წაიღო, იქიდან გამოსულს ჯერ კიდევ სახლში მოუხდა ლოგინში ყოფნა. დარჩი შენ უმასწავლებლოდ. ლეევმ მოითხოვა, მის თანაშემწესთან დაგეწყო მუშაობა. ეს იყო პიანისტი ჟუნიონი, რომელთანაც კარგა ხანს დარჩი, მაგრამ იმასთან ბევრი ვერაფერი შეიძინე, ეს ქალი საშინელი ყბედი აღმოჩნდა, ნახევარი საათი ეს დედაშვილი იმის ლაპარაკს ვისმენდით, თუმცა მე გიჩურჩულებდი; "დაიწყე, დაიწყე", მაგრამ ვიდრე ლაპარაკით ჟინს არ მოიკლავდა, გაკვეთილს არ დაიწყებდა, მხოლოდ ამას გეტყოდა, სოლფეჯიოში სუსტი ხართო. ეს იყო და ეს.

---

[1] en classe Supérieure — უმაღლესი დონე.

[2] Concerto de Chopin en mineur op. 11.

კვირაში ორჯერ ამ ქალთან დასდიოდი, თვეში ერთხელ ლეჟი გისმენდა, რასაკვირველია ჟუნიონის თანადასწრებით. ზოგჯერ მეც ვესწრებოდი ამ პროფესორის გაკვეთილს.

ყოველწლიურად პარიზში იმართებოდა, და ეხლაც განაგრძობს, პიანინოს კონკურსი Léopold Bellan-ის სახელობაზედ.

იმ წელიწადს მიცემული იყო შოპენის მე-2 სკერცო.

ჟუნიონს უნდოდა ამ კონკურსზედ წასულიყავი, ის ფიქრობდა, რომ ეს ნაწარმოები შენთვის შესაფერისი იყო, მაგრამ შენ უარზედ იყავი. საერთოდ თავის გამოჩენა არ გიყვარდა, საჯაროდ დაკერას ხომ ერიდებოდი, განსაკუთრებით ქართველებთან.[1]

სულ პატარაობას კი მაყურებელი გიყვარდა, შენ მიერ შექმნილ პატარა სცენებით რომ ართობდი, რის შემდეგაც კრიტიკას კი არ მოისმენდი, არამედ წაგაქეზებდნენ და სიყვარულსაც არ დაგაკლებდნენ. ერთი სიტყვით მაშინ ყველას ნებიერი, საყვარელი და მოსაწონი იყავი, საქართველოში.

საქართველოდან ჩამოსულებს, ემიგრაციაში სულ სხვა სიო დაგეხვდა. პოლიტიკური ანგარიშები, სიმშურე, ერთმანეთის გაუტანლობა და სხვა. მალე ფრთებშეკვეცილი იგრძენი თავი, მეტადრე პირველ შობის ხის შემდეგ, სადაც ერთერთმა დიასახლისმა, შენ შვიდი წლის ბავშვს, თავისი მკაცრი შენიშვნით, პატარა პარკუჭუნა ტკბილეულობით ხელიდან გამოგვლიცა "ამას ნუ მისცემთ"ო. ეს მოულოდნელი იერიში შენს მეხსიერებაში ღრმად ჩაისახა, ამას ბევრი სხვაც დაემატა და იმდენად, რომ თავს ყველგან ზედმეტად სთვლიდი, ფიქრობდი, არავისათვის სასიამოვნო არ იყავი; მეტის მეტად მგრძნობიარე ბუნების პატრონს ვერაფერი გიშველეთ, ასე დარჩი სულ ბოლომდის. ჟუნიონი კი ძალიან ცდილობდა დაერწმუნებინე და იმდენი გიჩიჩინა, გაკვეთილზედ ამ ნაჭერს გიკრავდა, გაწონებდა, რომ საბოლოოდ დაგითანხმა. ეადა იყო მოცეშული ექვსი თვე, რჩებოდა ორი კვირა, გაბედე დაიწყე მუშაობა, მალე დასძლიე და სიამოვნებით უკრავდი, მოგწონდა კიდეც.

მაგონდება ის დღე, როდესაც ამ კონკურსზედ მიმყავდი. დიდ საგონებელში იყავი, იმ ჟამად შენი ახალი ფეხსაცმელი, შენ გემოზედ არჩეული და ნაყიდი პატარები აღმოჩნდა, ძალიან გიჭერდა; ეს არ იყო პირველი შემთხვევა, ეს ხშირად გემართებოდა, მაღაზიაში მოგეწონებოდა, ეს იყო უმთავრესი, მერე კი ნანობდი, "მიჭერსო", მეუბნებოდი.

ისე რომ ვერც იმ დღეს გამოდგა შენის ჭკუით შეძენილი ფეხსაცმელი. "სჯობია, ძველები ჩაიცვა, რადგან ამ ახლებში პედალის ალება გამიძნელდება"ო. ჩაგსვი ტაქსიში და მეტისმეტად გახუნებული და ხანგადასული "ტუფლე"ბით მიგიყვანე დანიშნულ ადგილას დილის ათ საათზედ, ასე ვიყავით დაბარებულნი.

---

[1] მეტისმეტად ბევრი იერიში გახსოვდა...

შენობას დიდძალი ხალხი ეხვია, ბევრი კონკურენტი იყო მოსული. შენ აგიყვანეს ზემო სართულში, მე ქვემო დარბაზიდან ვისმენდი პიანინოს ხმას, რასაკვირველია, მთლიანად ვერ მოვისმენდი ვისიმეს დაკერას.

მთელი დღე იქ გავატარე, ჩემს გუნებაში კიდეც ვფიქრობდი, ამოდენა ხალხში რას უნდა გახდეს ჩემი თეო, მითუმეტეს მოსულნი იყვნენ უფროსები,[1] რომელნიც ბედსა სცდიდნენ, რომ პრიზი მიეღოთ, სჯობდა სულაც არ მოვსულიყავით, ვფიქრობდი.

საღამოს მომესმა შენი დაკერის მანერით რამოდენიმე აკორდი, ვიფიქრე, რომ ეს შენ იყავი იმ დროს დიდ ღელვასა და გასაჭირში.

პატარა ხანს უკან ზევიდან გადმომხედე, მე განიშნე ჩამოდი, დავილაპარაკოთ, წავიდეთ, შეილო, სახლში, ამაზედ შენ ჩამომძახე; "რა დროს წასვლაა, მეორე პრიზი მიეღე, ეს არის ეხლა გამოაცხადეს"ო. "ცოტა დაიცადეო", ჰოდა მეც გამიხარდა ეს ამბავი და სულ ჩინდრიკით წამოვიყვანე კლამარში.

ლევიმ იმავ საღამოს ტელეფონი დაგვირეკა: "ბრავო, ბრავო"ო, დიდი კმაყოფილი იყო შენი ასეთი წარმატებით.

ამ დიპლომების დარიგება მოწყობილი იყო დიდი ზეიმით სორბონის დიდ ამფიტეატრში რესპუბლიკის პრეზიდენტის თანადასწრებით და სამხედრო ორკესტრის მონაწილეობით, ერთი სიტყვით დიდის ამბით.

მინდა აქ ჩემი განცდები გაგინაწილო, რამდენად ჩემთვის ეს დღე იყო სასიამოვნო ერთის მხრივ, იმდენად გამწარებული ვიყავი, კარებში შესვლისას, შენს თავზედ რომ დიდი ჩალის ქუდი დავინახე; სადა და როდის შეიძინე ეს ზღაპრულ ცხელ დღეებში შესაფერისი, მაგრამ იმ დღისათვის სრულიად უადგილო, ეპირებდი სახლში გაბრუნებას, მაგრამ დამარწმუნე, რომ სცენაზედ ამ ქუდს არ დაიხურამო.

დაიძახეს შენი გვარი, ორკესტრმა მისასალმებელი დაუკრა და რასა ვხედავ, ეს უზარმაზარი ჩალის ქუდი მიცოცამს ნელის ნაბიჯით, უახლოვდები პრეზიდენტს, აქ კი ღმერთმა გიწყინა, რადგან იმ დღეს ეს დიპლომი ხელში არ მოგცეს, "თეო ეს სახელი ეგონათ მამრობითი და Madcmoiscllc-ის მაგივრად ეწერა Monsicur, მერე შესწორებული გამოგიგზავნეს.

სწორედ იმ ზაფხულს სპირიდონი ამერიკაში იყო წასული, რომ იქ პარფიუმების ფორმულები, რაც ეკლდა მაჩაბლის საქმეს ქიმიკოსის შანტაჟის შემდეგ, შეეცხო. შენი პრიზის მიღებას მამა ვერ დაესწრო, თორემ ამ სორბონის კედლებში გაშლილ დღესასწაულს სიამოვნებით ნახავდა, ის ალბად ვერც კი შეამჩნევდა შენი თაეის მოკაზმულობას დიდი ჩალის ქუდით, ამგვარ შემთხვევებში შენს მამართ მამა ჩემზედ უფრო ლმობიერი იყო, ის დიდი კმაყოფილი იქ-

[1] თითქმის ერთადერთი ბაეშვი შენ იყავი. მეტი წილი უკვე დამთაერებული პიანისტები პროეინციიდან ჩამოსულნი, რომ ეს პარიზის დიპლომი მიეღოთ.

ნებოდა, რომ ასეთ ადგილას მისი ერთადერთი შვილი, დედმამით ქართველი, საფრანგეთის უმაღლესმა მუსიკალურმა ცენზურამ დაგაჯილდოვა.

ეს მაშინ იშვიათი იყო, განსაკუთრებით ხელოვნებაში.

მე ზვეით ვიჯექი და იქიდან რომ დავხედე ამოდენა ხალხს, მაშინ ცოტა არ იყოს, ვინანე, რომ ქართველებიდან არავინ გავაფრთხილე. ეს კია, რომ შენი წარმატებით ვინც მართლა გაიხარებდა, ესენი იყვნენ ზურაბ ავალიშვილი და მისი მეუღლე მაია, იმჟამად ნორვეგიაში იყვნენ წასულნი.

შენი პრიზის ამბავი საქართველოში თამარა ფალავანდიშვილს მივწერე; გასაოცარია, რომ ეს უკვე იცოდნენ მაშინათვე, როგორცა სჩანს, ემიგრანტების შვილებს იქიდან მეთვალყურენი უნდა ჰყოლოდათ, ეს ხომ შემდეგში ჩვენთვის ნათელი გახდა, თუ იქიდან არა აქაც ბევრი შეიწუხებდა თავს, რომ აქედან ახალი ამბავი მიეწოდებინა, მაგრამ რომ არავის არაფერი არ ეუთხარი?

აქაურმა ქართველებმა ამ პრიზის შესახებ არაფერი იცოდნენ, სულ ბოლო დროს ელენე მამულაიშვილი შემხვდა და როდესაც შენი ამბავი მკითხა, იმას მაშინ ეუთხარი, რომ პრიზი მიიღე. აი ეს იყო მიზეზი, რომ მეორე დღისვე ჩვენს კარებს მოადგა ელენეს ძმა იასონი, რომელსაც ხელში პატარა ძაღლი ეჭირა, ელენეს მიერ შენთვის გამოგზავნილი საჩუქარი. ეს იყო პატარა "ქუჩია", შენი საყვარელი ძაღლი, იშვიათი ჭკუისა და ალღოს პატრონი. მისი ამბები შენ მოიგონე, გასაოცარი და დაუჯერებელი. ესლა რაც შეეხება შენს მუსიკას, უნდა ვსთქვა, რომ ლევი თავიდანვე ებრძოდა შენს ბუნებას: "დაუკარით, რაც სწერია"ო ან კიდევ "შოპენს აღარ მოგცემთ, რადგან თვითონ თვენ "ხართ შოპენი"ო. მამას შუბვედრის დროს ეუბნება: "თქვენი ქალი დუღს და გადმოდუღს თავის მრავალფეროვანი ნიჭითა"ო.[1] .....

ამასთან ერთად ისიც დაინახა, რომ ტეხნიკა სუსტი გქონდა და ბევრი არაფერი გემატებოდა. დაგსვა, და დაგსვა ბახზედ, მენდელსონზედ.

ლევი დაჟინებითა გეთხოვს სკოლიდან გამოგიყვანოთ, რომ მთელი შენი დრო მუსიკას დაეთმოს. ჩვენ უარზედა ვართ, ახალი შესული ხარ კოლეჟში ბაშოს პროგრამის მომზადებაში და გაუნათლებელი როგორ დაგტოვოთ.

ის რაც შეეძელით, ეს იყო, რომ კოლეჟის გამგეს ვთხოვეთ ვარჯიშის კერვის და ხატვის საათებიდან განთავისუფლებული ყოფილიყავი. ამნაირად ახერხებდი ორი საათი მაინც მუსიკაზედ გემუშაენა.

მისი თანაშემწე ქალი, ეს "მადამ ჟუნიონი", ტეხნიკაზედ არ გამუშაებდა, თუ წინად თავის ამბებს გეიამბობდა, სულ ბოლო დროს თავისი ლაპარაკის თემა შესცვალა, ახლა გეიამბობდა სხვე-

[1] Elle est submergée par ses qualités! (Sic)

ბის კერძო ცხოვრებას, როდის უნდა მოესწრო, სულ თხუთმეტ წუთში უსმენდა შენ, მიტანილ მასალას, არ გეუბნებოდა როგორ გემუშავნა, არც თითებს გაძლევდა. უფრო შენთვითონ უძლებოდი შენს თავს, ერთი სიტყვით მასთან სიარული კეირაში ორჯერ დაკარგული დრო იყო. თვეში ერთხელ ლევი გისმენდა. ამ პირობებში, შენი გაკვეთილების შეწყვეტას ეფიქრობდით. გაქეზებული შენი Leopold Bellan-ის პრიზით, ლევიმ წაგიყვანა კონსერვატორიის კონკურსზედ. რასაკვირველია, პირველ წელიწადს არ მიგიღეს, იმის და მიუხედავად, რომ ბევრი ხმა მიგიღია, მეორედ კი შენი წარსდგენა ველარ მოსერხდა, რადგან მის კლასში ერთი უცხოელი ქალი, ბერძენი — გვარად კორაფა — თხოულობდა კონსერვატორიაში დარჩენას მეექვსე წელიწადს, რომ კიდევ ეცადნა ბედი როგორმე პირველი პრიზი მიეღო. მაშინ უცხოელებისათვის განსაზღვრული რიცხვი იყო დანიშნული. მაშასადამე ამ ლევის კლასში, იმ წელიწადს, უცხოელისათვის ადგილი აღარ იყო. ეს რომ გავიგეთ, ჩვენთვის უფრო გაადვილდა ლევიდან შენი წამოყვანა.

როდესაც ჩვენი გარდაწყვეტილება სპირიდონმა ლევის გააგებინა, ის საშინლად შეწუხდა; "იქნება გიძნელდებათ ფულის გადახდა, მე გთავაზობთ, თქვენ შვილს უფასოდ მივცე გაკვეთილები"ო. ამაზედ უარი მიიღო, მაშინ შემოგვთავაზა თავისი კანდიდატი, ისიც კონსერვატორიის პროფესორი Victor Staub-ი ამაზედაც უარი ვუთხარით.

წამოხვედი, მაგრამ მისმა თანაშემწე ქალმა, ჟუნიონმა ჩვენთან მჭიდრო კავშირი დაიჭირა, ბევრი ყურადღებაც გამოიჩინა, იმის და მიუხედავად, რომ ისიც დასტოვე როგორც მასწავლებელი. ბოლო დრომდე ჩვენი მეგობარი იყო, გაჩუქა რადიო, რომ კონცერტები მოგესმინა და ბევრ რამეს შენთვის სასიამოვნოს არ გაკლებდა.

დარჩი მაშასადამე უპროფესოროდ, მაშინ შენ გესმოდა იე ნატის სახელი და გინდოდა მასთან მუშაობა, მით უმეტეს უფრო, რომ გაგონდებოდა, მეორედ რომ მიხვედი L.B.-ის სახელობის კონკურსზედ პირველი პრიზის მისაღებად, ამ კომისიის თავმჯდომარე იყო. Léon Moreau, ცნობილი მუსიკოსი, რომის პირველი პრიზით დაჯილდოებული. ჟიურის წევრთა შორის იყო Yves Nat-იც, ეს ცნობილი პიანისტი.

წესი იყო, ვინც ამ კონკურსზედ პირველ პრიზს მიიღებდა პირველთა შორის, პირველსავე საღამოს საჯაროდ გამოვიდოდა. შენ გქონდა, ბეთხოვენის სონატა №3 ოპ. 2 და იმდენად იყო Léon Moreau დარწმუნებული, რომ სწორედ შენ იყავი ამისი ღირსი, როდესაც დაკვრა გაათავე გითხრა; "ამ საღამოს ამ ადგილას პედალს ნაკლები ადგილი დაუთმეთ"ო. (საერთოდ ხშირად აჭარბებდი პედალის ხმარებას)

ეს საკმარისი იყო, რომ კომისია აღშფოთებულიყო, რადგან იმათ დაუკითხავად თავმჯდომარემ მარტოკამ გარდასწყვიტა ეს საკითხი, ამიტომ დანარჩენებმა პირველი პრიზი არ მოგცეს.

მახსოვს Léon Morcau, აღელვებული ჩამოდიოდა კიბეზედ და ხმამაღლა ასძახოდა ჟიურის გასაგონად რომ "იდიოტები არიან, არაფერი არ ესმით"ო იქ ამოიღო წიგნაკი და გვიჩვენებდა, რა ნიშანი დაგიწერა ივ ნატმა "ეს არის უმთავრესი, ჩემი და იმისი ნიშანი არის 18/20. ეს ნიშნები არის უმაღლესი შეფასება"ო.

საშინლად სწუხდა, თავისი შეცდომაც ალბად იგრძნო, რომ ჟიურის გარეშე იმოქმედა, გამოგვაცილა და თავმაღლუნული გაუდგა თავის გზას.

ლევი რომ დასტოვე, მაშინ მოგაგონდა Léon Morcau, მისწერე წერილი მოაგონე შენი თავი და შენი სურვილიც გააგებინე, რომ გინდა ივ ნატთან იმუშაო, იმან დაგიბარა. კიდევ მოგისმინა, შენ დაუკარი ვებერის სონატა. იქვე მისწერა ივ ნატს წერილი: "აი გიგზავნი მშვენიერ პიანისტს, რომელიც შენ მოსმენილი გყავს და რომელსაც უნდა შენთან გაკვეთილების ალება"ო.

ამ წერილის ასლი, რასაკვირველია, შენახული გაქვს, აბა რას გაუშვებდი. ეს ამბები შენ შეავსე, რადგან შენ უკეთ გახსომს, რაც მე გამომრჩა.

ივ ნატმა მოითხოვა ლევის თანხმობა, რომ შენ აეყვანე. ლევიმ თანხმობა მისწერა თან სთხოვა ივ ნატს, შენთვის დაეტოვებინა ჟუნიორი როგორც მასწავლებელი.[1]

ივ ნატმა ეს არ მოინდომა და არც თავისი თანაშემწეები დაგინიშნა, რადგან ეს უკანასკნელნი თავიანთ გემოზედ ამუშავებენ მოწაფეს და ამას ცუდი შედეგები მოსდევსო, ე. ი. ეშინოდა, რომ შენი "ბუნება" არ ჩაეკლათ.

დაიწყე სიარული ამ პროფესორთან და ყოველთვის აღტაცებული ბრუნდებოდი მისი გაკვეთილების შემდეგ. ეს იყო ნამდვილი მსახიობი, ამაღე დროს განათლებული ადამიანი და კარგი პედაგოგი.

მოწაფის პიროვნებას არა ზღუდავდა, მაგალითად შენ მუსიკის გაგებაში სრულ თავისუფლებას გაძლევდა. იმისაგან ქება და გამახალისებელი თქმები, მგონი შენ ზეპირად იცი.

იმაღე წელიწადს ივ ნატმა წარგადგინა კონსერვატორიის შესასვლელ კონკურსზედ, სამი ნაჭერით: ბეთხოვენის "აპასიონატა", შოპენის ფანტაზია, ლისტის ეტიუდი ნომერი 10. ხარ შენ მაშინ admissible à l'unanimité. ე.ი. ერთ ხმად დაშვებული, რომ მეორე გამოცდაზედ გახვიდე. ამის შემდეგ ყველა აღმისიბლებს გაძლევდნენ, ერთ და იგივე ნაწარმოებს: მაშინ იყო პირველი ნაწილი შოპენის სონატისა, ნომერი №3 ოპუს 58 — რომელიც უნდა მზად ყოფილიყო 3 კვირაში და რასაკვირველია ზეპირად.

სამწუხაროდ არ მიგიღეს. თურმე დაგეკლებია ლევის ხმა — შენი ყოფილი პროფესორისა — როგორც ეს ივ ნატმა გაგაგებინა. თურმე ცოტა მეტი მოგვსვლია პედალი, მაგრამ მაინც უნდა გასულიყავი.

---

[1] répétitrice; რეპეტიტრისა

სასოწარკვეთილი დაბრუნდი სახლში. მეორე დღეს მოგდის იენატის ღია ბარათი რომელმაც ძალიან დაგაიმედიანა.[1]

მეორე წელიწადს, სამაგიეროდ თვითონ ლეიმ გაგახარა; "Vous y êtes! მილებული ხარ"ო, ის ჟიურიდან იყო გამოსული ივ ნატზედ ადრე. მისული იყავი მაშინ ბეთხოვენის სონატით ოპუს 111. — შოპენის პირველი ბალადით, შუმანის სონატით ოპუს 22. ჟიურისაგან კი მოცემული იყო ადაჟიო და ფინალი ბეთხოვენის სონატიდან ოპუს 101. — მოსამზადებელი 3 კვირაში და ზეპირად. (თუ არა ვცდები იმ წელს 300 კანდიდატი წარსდგა ამ კონკურსზედ).

ასე შეხვედი კონსერვატორიაში უმაღლეს კლასში — — — და ამავე დროს შენ ბაშოზედ მისდიოდი.

ერთი წლის შემდეგ ეს ყველაფერი ჩაგეშხამდა. ვანზედ ისე ცუდათ იყავი, რომ იძულებული გახდი კონსერვატორის დირექტორისათვის 1 წლის და 1/2 შვებულება გეთხოვნა.

რა უნდა ვსთქვა ამ შენ ვანზედ? მეტად რთული და დღესაც გაუგებარი ამბაია.

მთელი შენი ახალგაზრდობიდან წელიწადში თითქმის ერთი თვე არ გასულა, რომ ცოტა ამოგესუნთქა და მოსვენებული ჰყოფილიყავი.

იწყებოდა დიდი დაღლით, რაღაცა მზადდებოდა, ამას მოსდევდა დიდი სიცხე და ყოველ თვე სხვა და სხვანაირი ორგანიზმის ნამდვილი ქარიშხალი; ერთხელ მკაცრი ბრონხიტი სჩანს, ყელი ისეა დახიებული რომ იხრჩობი, დიეტრიტის ნიშნებიც არის, რასაკვირველია სწვეხარ ლოგინში ძალა მილეული... გადის დაახლოებით ორი კვირა, მერე ნელ ნელა სიცხე ჩამოდის და იწყება ამის შემდეგ დაქაქუსული ძალების შეგროვება და, ამით გათამამებული უკვე მოურიდებლად ფლანგამ ენერგიას. შენი თავი მორჩენილი გგონია...

ეხ, მეორე თვეს კიდევ სიცხე და ახალი პროგრამა; ეხლა თირკმელების ანთებაა, შემდეგ სხვა თვეს სიჭლექეც ეგონათ და აპირებდნენ ამის წამლობას, აქ შენ უარზედ იყავი: კიდევ კარგი. ხან ველარ სდავ და გგონია დაბრმავდები და წარმოიდგინე, ურიგდები კიდეც ამ მდგომარეობას. ერთხელ სთქვი; "დაკერას ეს არ დაუშლის"ო. რა არა სცადეს. ექიმ ლამბაშიძემ გაგბერა ოქსიჟენითი; "ხან და ხან კარგ შედეგებს იძლევაო, ეცადოთ"ო: ყველაფერი ამაოდ და ასე გრძელდებოდა და ეხლაც გრძელდება ეს შემწუხებელი მდგომარეობა: ჩვენი ოთახის კარადა ხომ გაჭედილია პროფესორების და ექიმების რეცეპტებით და მოწმობებით. ვერავინ ვერაფერი გაიგო და ვერც გიშველეს საბოლოოდ. მკურნალობის დასკვნა იყო და არის დღესაც; ნერვიული სისტემის მუდმივი ანთება და ასე გაძნელდა შენი ცხოვრება, ჩემო შვილო, ძნელი ასაწერია.

---

[1] ეს ბარათიც ხომ შენახული გაქვს

მაშ ამ გრძელი შეებულების შემდეგ დაუბრუნდი კონსერვატორიას და ემზადები პირველ პრიზისათვის. ივ ნატი განსაკუთრებით იყო შენი და ჟოზეტის იმედით: რომლებმაც პირველსავე წელიწადს მიიღეთ მეორე აქსესიტი.

საჯარო კონკურსამდე წმინდა ფორმალური გამოცდა უნდა ჩაგებარებინათ ყველას და ამისათვის იყო მოცემული ჩერთის პატარა ეტიუდი.

ხდება დაუჯერებელი ამბავი. სუყველანი გაუშვეს ამ საჯარო კონკუსზედ შენს მეტი.

ივ ნატი, განცვიფრებული გამოდის ჟურიდან, აღელვებული გეუბნება; "არაფერი არ მესმის. არ ვიცი რა ხდება"ო... მოგხვია თურმე ხელი მხარზედ და გითხრა; "ხვალვე დამირეკე ტელეფონი და მოდი სახლში"ო.

როდესაც მისველი მოგცა ნამდვილი რესიტალის პროგრამა და გითხრა; "მოამზადე ეს ყველაფერი, საცა გინდა დაუკარი და ყველგანა სთქვი, რომ ჩემი მოწაფე ხარ"ო.

იმ ხანებშიაც მისი პატარა ბარათი მოგვივიდა რომელიც ყველა დიპლომზედ უფრო ძვირფასია შენთვის და თვალის ჩინდ ინახავ.

ვუბრუნდები იმ გამოცდის დღეს: და ეს არის საყურადღებო, რომ როდესაც ჯერ შედეგი უცნობია ყველასათვის და გვიანამდე სია არ არის გამოცხადებული, ჩვენ მაშინ ტელეფონს გვირეკამს კოტე კობახიძე: "თეო არ გაუშვეს. C'est moche! არა? ვინ უთხრა ან საიდან გაიგო?

მოკლეთ, შენ იყავი, როგორც ეს ძალიან გვიან გავიგეთ: "ეპურაციის" მსხვერპლი.

ძალიან მიმძიმს ყველაფრის თქმა, ხომ იცი, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ იმ ლიბერაციის არეულ ხანებში გაზეთ "ფიგაროში" იყო მოთავსებული წერილი სადაც გამოცხადებულნი არიან როგორც გესტაპოს აგენტები, ოდიშარიასთან ერთად: ერთი სხვაც და ისიც დასახელებული. დაუძახოთ უ.

მაშინათვე სპირიდონი მიდის "ფიგაროს" ერთერთ თანამშრომელთან, რომელიც თურმე ჩამომავლობით სომეხი ყოფილა — და უცხადებს; "მე არა ვარ ეს უ"ო.

პასუხი იყო: "მაშ დასწერეთ ამ გაზეთში თქვენი დემანტი"ო. რასაკვირველია უარით წამოვიდა სპირიდონი, მხოლოდ დასჯერდა სიტყვიერად განეცხადებინა ეს თავისი დემანტი. სახლში რომ მოვიდა, მითხრა: "აბა, რომ დამეწერა მე არა ვარ ეს"ო აშკარად ვამოწმებ ის არის გესტაპოს აგენტიო, ამას როგორ ვიზამდი"ო.

როგორც ვიცი იმისმა ნათესავებმა არაფერი წააგეს, ჩვენ კი ამის გამო — კონსერვატორიას რომ თავი დავანებოთ — კლამარში ხომ ბევრმა ფრანგის ოჯახმა ბოიკოტი გამოგვიცხადა და საერთოდ

ამ ამბავმა ბევრი გვაენო როგორც ეს ნელნელა გამოჩნდა, სხვა და სხვა მიმართულებით.

შენ ჩემო შვილო, როცა ძალა შეგწევდა დიდი ხალისით შეუდექი ივ ნატის მოცემულ პროგრამას, კონცერტის მოსამზადებლად, ამან დაგაინტერესა კონსერვატორიის ინციდენტი!

მაგრამ ცოტა ხანში ჰკარგამ შენ ძვირფას მამას და კლამარის სახლიდან მალე როიალიც გადის... და მასთან ერთად მთელი ჩვენი იმედები.

მაგონდება ეხლა, გიორგიმ მოგისმინა შოპენის ვალსში: ხარ შენ მაშინ 11 წლისა და სთქვა: "ცოტა ახალგაზრდა არის ამ შოპენისათვისა". ამის შემდეგ მიაყოლე ბეთხოვენის სონატა და აქ უკვე აღტაცებით გითხრა: "ჩემო თეო, მე გაგიძლევები, ნიუ-ორკში წაგიყვან და გავხდები შენი ემპრესარიო". მართლა და ამას გიორგი უსათუოდ შეასრულებდა.

გავიდა დრო. მხოლოდ 20 წლის შემდეგ ქირაობ როიალს და შეუდექი გაკვეთილების მიცემას, რადგან სამწუხაროდ, მარკვენა ხელი დაგიზიანდა. შენ ველარ უკრავ და სკერდები პედაგოგიურ მოღვაწეობას.

დასწყისში ძალიან გაგვიძნელდა, მხოლოდ ერთი მოწაფე გყავდა — ივ ნატი ალარ იყო... იგი გარდაიცვალა 1956 წელს — ვინაიდან, აქ პარიზში არავინ გიცნობდა. კლამარში ხომ სულ სხვა იყო, ფანჯრები ღია, შენი დაკვრა ეფინებოდა მედონის ტყეს. ხშირად საღამოობით, მეტადრე როდესაც კარგი ამინდი იყო, ბევრჯერ მინახამს: უფრო კი იქაური რუსის არისტოკრატია — მძიმე მძიმედ რომ ამოდიოდა მედონის ქუჩაზედ და ყურს გიგდებდა.

ჩემთან შეხვედრისას თავიანთ აღტაცებას ამჟღავნებდნენ. აქ, პარიზში, ნელ ნელა ძალიან ბევრი მოწაფე მოგიგროვდა. პატარებს დიდებიც მოყვნენ, მეტი წილი კი ექიმები აღმოჩნდნენ ნამდვილი "მელომანები". ხშირადაც მშობელი სწავლაში თავის შვილს ეკიბრება... არიქა, არ მაჯობოს". მაგრამ, ბედის ირონია, ჯანის გამო ეხლა ბევრსაც უარს ეუბნები და მკვ ამ დროს გყვარ აიდებული.. რომელსაც მარჯვედ აქვს შეთვისებული ფაქტების სხვა და სხვა მეთოდები, ისე რომ შუა გაკვეთილის მიცემაში თუ რამე ხმაური მოისმა, თურმე ხმაური მოისმა, თვითონ მოწაფე შეკრთება "წადით, ნახეთ დედა თქვენი ხომ არ წაიქცა".

რაც ოპერაცია გამიკეთეს 102 წლისას, უკვე მოვასწარი და 11 ჯერა ვარ წაქცეული... აი ამ ატმოსფეროში ისმის ხოლმე ბახის კონცერტოები და ბევრი რამ სხვაც.

კოლეჟში შენი ყოფნა

მოგაგონებ, რომ იმავე დროს, ე. ი. როდესაც კონსერვატორიისათვის ემზადებოდი, შენ კლამარის კოლეჟში სადაც შეგიყვანეთ, კომუნალურ სკოლის გათავების შემდეგ, ძალიან ცუდათა გრძნობდი თავსა.

ამ კერძო სკოლის გამგე იყო ერთი ქალი, რომელიც თუმცა განათლებული, მაგრამ ვიწრო აზროვნების მქონე და დიდი კათოლიკი.

იმასთან სამი თვე მეექვსე კლასში დარჩი, რაც ბუნებრივი იყო კომუნალური სკოლის შემდეგ, მხოლოდ იანვრიდან მეოთხე კლასში გადაგიყვანა. წინ გადაგახტუნა ორი წლით.

ეს ნახტომები ამ ფრანგულ სკოლაში ძალიან არ მომწონდა, მაგრამ რას გაეწყობდი. ბევრი რამ ამ კოლეჟში არ იყო მოსაწონი, სრულიად მოუწყობელი იყო, მაგალითად გეოგრაფიას ისე გასწავლიდნენ, რომ ერთხელ არ უჩვენებიათ გლობუსი, რასაკვირველია, არც ერთი ექსკურსია არ მოუწყვიათ.

სამწუხაროდ, შენ ასცდი ლიცეის.

ლიტერატურას თვითონ გამგე გასწავლიდა, აქაც ბევრი შეცდომა ჰქონდა როგორც მასწავლებელს და უფრო კი როგორც პედაგოგს. მახსოვს მოგცათ თემა: "რას განიცდით, როდესაც ეკლესიის ზარი გესმით". ალბად ამ კათოლიკს უნდოდა, თქვენი რელიგიური ეგზტაზი აგეწერათ.

სხვებმა როგორ განიცადეს ეს ზარების რეკვა არ ვიცი, მაგრამ შენ ასწერე შენი ბებო, რომელიც დიდის ხალისით მიდიოდა კვირაობით წირვაზედ, ამ ზარის რეკვას რომ გაიგონებდა; კარგად გქონდა ეს აღწერილი, იქვე იგონებდი, რომ შენც ეწეოდი ამ კითხვით: "ბებო სანთლის ფული ხომ არ დაგაეიწყდა"ო და ხშირად შენ მიაშველებდი ხოლმე წერილ ფულს.

ეს შენი ნაწერი გამგემ გადაგიხია, აქ ადგილი არა აქვს ბებოებსაო. შენთვის ეს იყო დიდი ჭრილობა, რომელიც ამ ქალმა გაგიჩინა, შეიძაგე მისი სკოლაც და ლიტერატურის გაკვეთილებიც.

დიდხანს ფიქრობდა, რომ წერაში ვინმე გეხმარებოდა, ამიტომ გიწერდა; "გულწრფელი არ არის"ო და სუსტ ნიშანსაც მიაყოლებდა. ან კიდევ ებრძოდა ზოგიერთ ნათქვამს, როგორც ერთხელ გაგისწორა "ბუნების მაჯის ცემა" ეს რა არის, რას ნიშნავს"ო.

დიდხანს გებრძოდა, მაგრამ როდესაც კლასში მიცემული თემა კარგად დამუშავე, მაშინ დაინახა, რომ შესცდა შენს შეფასებაში და ახლა ამას ჩიოდა, რომ მუსიკას არა სთმობდი, მას უნდოდა მთლად ლიტერატურას გაჰყოლოდი, აკი უთხრა მამას, როდესაც ეს კოლეჟი გაათავე: "თქვენი ქალი არის ბრწყინვალე ლიტერატურაში, სჯობია, მუსიკას თავი დაანებოს და ლიტერატურას გაჰყვეს"ო.

ჩვენ ბევრი გვქონდა სათქმელი, მაგრამ აღარაფერი ეუთხარით, შენ კი ისე წამოხვედი ამ კოლეჟიდან, რომ უკან აღარ მიგიხედნია.

უნდა ვსთქვა, რომ კომუნალური სკოლით შენ უფრო კმაყოფილი დარჩი, საბოლოოდ შენთან იქაური მოწაფეები უფრო ახლო იყვნენ ვიდრე ამ კოლეჯში თავმოყრილი შეძლებული კლასის შვილები. აქედან შენ მეგობრობდი მხოლოდ ერთ ლიცეის პროფესორის ქალს გაბრიელს და ერთ რუსის ემიგრანტის ქალს კატრინ კირილოვს.

ზოგჯერ კი ამ უკანასკნელთან ჩხუბობდი კიდეც. ერთხელ უთქვამს კლასის თანადასწრებით, რომ ქართველები ველურები არიან, შენ წამომხტარხარ, დიდი აღშფოთებული ეუბნებოდი თურმე: "შენ იცი, კატრინ, რომ მაშინ როდესაც თქვენი წინაპრები უნიფხონი დარბოდნენ, ჩვენ ქრისტიანები ვიყავით და სახარებას ვკითხულობდით".

ამაზედ მისი დინჯი პასუხი ყოფილა: "ეს შეუძლებელია, რადგან იქ ძალიან ცივა".

ზაფხულობით როიალი დაკეტილი რჩებოდა, მინდოდა დაგეხვენა, მაგრამ შენ აჭარბებდი და მართლა ამ ინსტრუმენტს არ ეკარებოდი, მარწმუნებდი, რომ ზაფხულში არაინ მუშაობსო: "კონსერვატორიაც დაკეტილია".

მაგრამ შემოდგომაზედ რომ მუსიკის გაკვეთილებს უბრუნდებოდი, ჰხედავდი შენს ამხანაგებს, თუ რამოდენა მუშაობა გაუწევიათ სწორედ ზაფხულის თვეებში..

ამის და მიუხედავად შენ ასე დასვენებული ქალი თურმე დიდის პროგრესით იყავი მისული. პროფესორი ყოველთვის შენით კმაყოფილი რჩებოდა, ალბად შენი ხელები ამ ხანგრძლივ დასვენებას მოითხოვდა.

სამწუხაროდ კლამარის პაერი შენთვის საკმარისი არ იყო, შენა გჭირდებოდა ზღვის პაერი და ამას ვერ ვახერხებდით.

მთელი იმ ცხრამეტი წლის განმავლობაში, რომელიც სპირიდონის სიცოცხლეში ჩვენ კლამარში გავატარეთ, სამნი ერთად ზაფხულში არსად წავსულვართ, ამ მაჩაბლის ქარხანას ვყარაულობდით, მაშინაც კი, როდესაც მუშები დასასვენებლად იყვნენ წასულნი.

შენ კი გესაჭიროებოდა ზღვა. რაც ისე დაგაკლდა მთელ პატარაობისას, როგორც იყო მოეახერხე, ორი ზაფხული გამეგზავნე ჩვენი ანეტას პანსიონში, იმას ჰქონდა ზღვის ნაპირას ალებული სახლი და პანსიონერებს იყვანდა.

მაშინდელი შენი წერილებიდანა სჩანს, რომ ბევრი რამ გაკლდა. უმთავრესად მშობლიური სითბო, სჩიოდი განსაკუთრებით დათოს ბურტყუნზედ, რომელიც არ გასვენებდა, სულ გეჩხუბებოდა. ეს მე მკეროდა, რადგან ვიცნობდი დათოს.

ამიტომ ხშირად თავს აღწევდი ამ პანსიონერებს და შენთვის ზღვის ნაპირას მარტო ბინავდებოდი.

მაშინდელი შენი სურათი მაქვს შენახული. დიდი ადამიანივით რომ ზღვის პირას ზიხარ და გასცქერი შორეულ პორიზონტს. ხარ 12 წლისა. იქ სიმარტოვეში შენ თურმე დიდ შემოქმედებაში ჰყოფილხარ, კლამარში დაგიწყია სცენარიო და იქ განაგრძობდი მის

დამუშავებას.

ორი დღით ჩამოველი შენ სანახავად, გენაცვალოს დედა, რა ბედნიერი იყავი, რა ამბით დამიხვედი, პანსიონის შესავალი კარები მორთული იყო მინდვრის ყვავილების დიდი თაიგულით, გინდოდა დედაშენი დიდი ზეიმით მიგეღო.

მაგრამ მესამე დღეს ჩემი იქიდან წამოსვლა რა მწარედ განიცადე, ეს პირდაპირ ასაწერია. აეტომობილში რომ ჩავჯექი, შენი მწარე ქვითინი მომესმა. "დედა ნუ მიდიხარ, ჩემთან დარჩი"ო შემდეგ ხმამაღლა მომძახოდი. აბა რა გუნებაზედ წავიდოდი, შენ ეს ეხლა კარგად გესმის, მძიმედ მაგონდება ბევრი რამ, საშინლად უფერულად იყო ჩვენი ცხოვრება მოწყობილი. ასე ეგონებოდა ადამიანს, შეელოცვილები ვიყავით, რომ ოჯახურად არ გაგვეხარნა.

შენი სცენარიო დამთავრებული ჩამოიტანე და მხოლოდ მაშინ გაგეცანი. ეხლა ფიქრობდი, რომ საჭირო იყო ის აქ ევროპაში გამოსულიყო .

შენის აზრით მისი შინაარსი აქაურებისათვის დიდად საინტერესო იქნებოდა, რადგან აწერილი გაქვს საქართველოს შეურიგებლობა ბოლშეიკების შემოსვლის გამო. არალეგარული მუშაობა მტრის წინააღმდეგ და სხვა. ხომ ჰხედავ, როგორ შესცდი. ხალხი შეურიგდა...

მთავარი გმირი თავადი ტარიელი მეთაური მტრის წინააღმდეგ ბრძოლისა შემკული გყავს რაინდული თვისებებით მოსაწონი როგორც გარეგნულად ისე მისი ბუნებით და ხასიათით. ქალის როლიც კარგია. ისიც მებრძოლია. შუალამისას სდარაჯობს, მიაჭენებს ცხენს, რომ ქვეყნის ერთგულებს მტრის მიახლოება აუწყოს. გინდოდა ზოგიერთი აზრიც მოგეცემინა, ამიტომ წააკითხე ზურაბს და მის ცოლს, რომელმაც მითხრა: "ჩვენ ცრემლები მოგვგვარა თეოს სცენარირმ, რადგან მთელი ბავშვური არსებით მან განიცადა ქვეყნის ტრაღედია"ო.

აჩვენე ჩვენ მეზობელ ლიცეის პროფესორს, რომლის ქალი კოლეჯში შენთან ერთად სწავლობდა.

იმან არ დაიჯერა, რომ ეს შენს მიერ იყო დაწერილი, ერთ ადგილას ფანქრით კიდეც გახაზა, რაც მას საეჭვოდ მიაჩნდა, მაგრამ გაბრიელმა დაარწმუნა თაყისი მამა, რომ "თეო კლასშიაც ძალიან კარგად სწერს და ეს მართლა ამისი ნაშრომია"ო.

მე და სპირიდონი რომ გაეცანით შენს ნაწერს, გაოცებულნი ვიყავით, ზოგი ადგილი ხომ დიდ ადამიანის ნაფიქრ ნააზრევის შედეგად ჩავთვალეთ, ეს ბუნებრივად არ მიეიჩნიეთ და შეეფიქრიანდით კიდეც. შენ იყავი 12 წლისა.

გავიდა დრო, შენ უკვეწოდ მისი დაბინავებაც გიფიქრია. ნაბიჯები გადაგიდგამს და ერთ დღეს მისდგომიხარ Jacques Feyder-ის კარებს, ეს ცნობილი რეჟისორი ახლად იყო ამერიკიდან ჩამოსული. მისულხარ მასთან როგორც ჟურნალისტი: ტანი აყრილი გქონდა, მაგრამ შენი მოკლე წინდები და სხეულის ბავშვური სილუეტი მას ჯერ არ ენახა, ამიტომ მიგიღო როგორც ჟურნალისტი. შენი ნახვა კი

გააკვირვებდა, რადგან გითქვამს, რომ გაქვს სცენარიო. გინდა, მისი დადგმა იკისროს, რადგან შენის აზრით მხოლოდ ის არის ეხლა ყველაზედ უკეთესი და მხოლოდ მას ანდობ შენს შემოქმედებას! მაგრამ უპირველეს ყოლისა გინდა გაიგო მისი პოლიტიკური მიმართულება და პირდაპირ ეუბნები "რასაკვირველია თუ თქვენ კომუნისტი ხართ მაშინ ეს ჩემი სცენარი არ დაგაინტერესებთ" თურმე თავი გაიქნია, "არაო", დაგამშვიდა, რომ მთლიანად სანდო იყო. მაშინ მოგინდომებია იქვე მისთვის წაგეკითხა, მაგრამ იმას დრო ბევრი არ ექნებოდა, ამიტომ გთხოვა "დამიტოვეთ"ო. შენ უნდობლობა გამოგიჩენია და მიგიხლია. "ვაი თუ რამე მოგეწონოთ აქედან, აიღოთ და მე ცარიელი დავრჩე"ო. (Sic)

ეს კაცი ალბად გაოცებული გიყურებდა, მიკვირს, რომ არ გამოგაგდო, პირიქით გთხოვა მის სტუდიოში მისულიყავი მეორე დღეს "უსათუოდ მოდით"ო, ამაზედ კიდევ შენი უცნაური პასუხი: "ვნახოთ, თუ დრო მექნება"ო. ალბად ნაწყენი იყავი, რომ იქვე არ გაეცნო შენს სცენარიოს...

შენი გამბედაობა და უზრდელობა კი გააოცებდა ამ ცნობილ ადამიანს. რასაკვირველია, არ მიხვედი მის სტუდიოში, ვინ იცის, შენი სცენარიო კი არა, მაგრამ პირადად შენ გამოგიყენებდა, პატარა როლს სადმე მოგცემდა.

მუსიკის გაკვეთილიდან გვიან დაბრუნდი, თურმე საქმიანი დარბაზობა გქონია, მე კი ეს არ ვიცოდი.

შენი ძველი ამბები შენ უკეთ გახსომს, კარგი იქნება, თუ ამ ამბავს სხვას ბევრს მიუმატებ, გამოაშკარავებ შენ რთულ ცხოვრებას, ავსაც და კარგსაც; ცხოვრებაში ბევრ ხშირად ახალ ცხოვრებას გპირდებოდა. ზოგჯერ კი მან მახე დაგიგო, შენი ამბავი მართლა და ნამდვილი ფილმია. რაც შეეხება შენ სცენარიოს, რომელიც აქ უცხოეთში დღის სინათლეს ვერც მაშინ და ვერც ეხლა ვერა ნახავს, იქნება თავისი გმირი ტარიელის სამშობლოში ეს შესაძლებლად გახდეს, არა როგორც დიდი რამ, არამედ როგორც თორმეტი წლის ბავშვის საოცნებო სამყარო, რასაკვირველია, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ძველი ამბები მართლა ისტორიას ჩაბარდება, ამნაირი ამბავი აღარავისათვის არ იქნება საშიში.

ეხლა დაკეცილი, ფერმიხდილი შენს არხივში გიდევს მოსაგონებლად. გასაოცარია ერთი რამ, რომ ფონტენბლოშია შენი გმირი მისული და ჰხვდება თავის ბიძაშვილს, რომელიც დასტოვა 7 წლისას, მოიგონე შენი და გივის შეხვედრა! როგორც ხედავ, შენ პატარაობას ვერა უშორდები და ასე დაწერილებით ვეხები. არ ვიცი ჩემში რომელი გრძნობა სჭარბობს, დედისა თუ პედაგოგისა?

ყველამ ვიცით, რომ "სიმართლე ბავშვის პირიდან ამოდის"ო! ეს ფრანგული თქმითა; და მართლაც ასეა. უკვე ბევრი მაგალითები მაქვს მოყვანილი რაც შენ შეგეხება. ძალიან ტაკტაკა იყავი და ხშირად ისეთ კითხვებს გვაძლევდი მე და ბებოს, არ ვიცოდით როგორ გვეპასუხნა.

მეტისმეტად გრძნობიარე სულ პატარა იყავი, რომ სიკვდილის

საკითხი არ გასვენებდა; ხშირად მკითხავი; "ექიმებმა არ მოიგონეს წამალი რომ არ მოჰკედე"ო! როდესაც ნანას გეტყოდი, ვერ იტანდი, სტიროდი: "არ მინდა... ვინ იმღერებს შენ როდესაც არ იქნები?"ო

პატარაობიდანვე ლაპარაკობდი როგორც დიდი ადამიანი. აი, ერთხელ მე რომ კლასში ვიყავი, მოსულა კომისია ანკეტისათვის. დედაჩემი კარებს ულებს ამ ხალხს, მაგრამ შენ იძლევი დაკითხვაზედ მთელ პასუხებს. საინტერესო ის არის, რომ შენ არა სჩანხარ; ავადა ხარ, ლოგინში სწევხარ... შირმის უკან, და იქიდან იძლევი პრტყელ-პრტყელ ცნობებს. "ქალბატონი სოფიო მუშაობს მერვე შრომის სკოლაში": და სხვა – რომ გათავდა ეს ყველაფერი, ერთმა მადგანმა იკითხა: "ეს ვინ არიო, რაღაც ბავშვის ხმაა, მაგამ როგორც დიდი ადამიანი ისე ლაპარაკობს"ო

მეორედ კი მე ვარ ავად და არავინა მყავს გავაფრთხილო პედაგოგიური საბჭო, რომ გაკვეთილს ვერ მივცემ. შენ თავს ვატან დედაჩემს, რომ სკოლას გააგებინოს მდგომარეობა. თურმე ბებომ კი კარები ოდნავ გამოგიღო, მაგრამ თვითონ არ გამოჩენილა და შენ მარტოკამ შეალე ეს ძალიან მაღალი კარები და გამოუცხადე იქ მყდომთ; "ქალბატონი სოფიო ავად არის და ვერ მისცემს ქართული ენის გაკვეთილსა"ო. გაისმა თურმე "შენ გენაცვალე, თეო" და დაგეხვიენ ყველანი. იყავი დაახლოებით ოთხი წლისა და ნახევრისა![1]

მეტისმეტად ცელქი, ბებოს ხშირად გაექცეოდი და სულ ქუჩაში ამოგდიოდა სული. იქამდე მისდიოდი, რომ კურტნიან მუშებთან ჩამჯდარი საზამთროსა სჭამდი. დემოკრატი იყავი!

ერთხელ კი ქაფ გამოდენილი და ოფლში გაწუწული მორბოდი, თბოულობ "აბაზი მომეცით, კინტაური ვითამაშე და ფული უნდა მივცე დამკვრელებს "აო!

ძალიან დამეგობრებული გყავდა ერთი სომხის ბიჭი, ღარიბი და ძალიან უბრალო. ხშირად ეპატიჟებოდი სადილად. ერთხელ, შენ სტუმრებშიაც გარიე.

შუა სამხარში, დგება მაგიდიდან და აცხადებს; "წავალ მოვეფსამ და მოვალ"ო. ამან ცოტა არ იყოს ერთგვარი უხერხულობა გამოიწვია ამ კეთილშობილ საზოგადოებაში და რომ ბოდიში მოჰხადო; "ამას ორიე უბედურება სჭირსო, სომეხიც არის და კომუნისტი"ცო. ეს შენი ახალი ნათქვამი ხომ მთელ ჩემ სკოლას მოედო, სადაც როდესაც მივიდოდი ხოლმე ყოველთვის მკითხაულნენ: "თეომ რა სთქვა"ო? ეხლა ეს ამბავი მასწავლებელმა ეასო ეგნატაშვილმა: რომელიც იყო სტალინის ნახევარი ძმა, სტალინს უამბო. ამ უკანასკნელს უთქვამს: "არ მიკვირს, მამასაით ენა უჭრისო"ო. და ასე გახდი კრემლში ცნობილი!

---

[1] მაგონდება, ნამდვილი ოტოდიდაქტი იყავი. შენთვის ხომ არაფის უსწავლებია ქართული ანბანი და საერთოდ წერა-კითხვა! ამაზედ დედაჩემს ეუსაყვედურე შენ ხომ არ დაუჯექი, აბა მაშ საიდან იცის ეს ყველაფერი. იყო ჩემი კთხვა. ბებო იფიცებოდა ხატს და სახარებას. "არა, შვილო, არა. თვითონ იქექება. მე სადა მაქვს ამისი თაკი"ო.

ქართული კერა

ქალაქისათვის მიძღვნილ საღამოს შემდეგ ბევრი იყო ნაწყენი, რომ იმათი შვილები ამას ასცდნენ და მონაწილენი არ იყვნენ.

ამის გამო ვიფიქრე პატარა წრის გაფართოვება და ამ მიზნით უკვე ოფიციალურად დავაარსე "ქართული კერა" და ეს იყო განცხადებული როგორც პრეფექტურაში ისე ადგილობრივ ქართულ გაზეთში.

მაშინ ყველა მიმართულების ქართველმა თავისი შვილი ჩემთან მოიყვანა, რადგან ამ საქმეში ტეხნიკური დახმარება დამჭირდებოდა, ამიტომ პატარა კომიტეტი შევადგინე, რომელშიაც უმთავრესად მშობლები იყვნენ შეყვანილნი.

საჭირო იყო შენობის შოვნა; რუმინელების ეკლესიასთან მოთავსებული სტუდენტებისათვის ერთი ოთახი კვირაში ერთხელ ჩვენ დაგვითმეს.

მოზრდილი ოთახი პატარ-პატარა მაგიდებით და პიანინოთი მოწყობილი საკლუბო მუშაობისათვის სრულიად შესაფერისი აღმოჩნდა.

კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით ორი საათიდან ოთხ საათამდის სულ პატარები მყვანდნენ, ოთხი საათიდან კი მათ უფროსები სცვლიდნენ.

ამ ბინის გათბობა ჩვენ უნდა გვეკისრა, ამიტომ არაერთხელ კლამარიდან ცოტა ადრე უნდა წავსულიყავი, რომ ბავშვებისათვის გამთბარი დარბაზი დამეხვედრებინა, ეს ღუმელი ძნელი გასაღუებელი იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა, ეუბერავდი რაც შემეძლო ამ შეჩვენე-ბულს.[1] სულ პატარებს მშობლებიც თან ახლდნენ. ეს არ იყო ურიგო; ცნობილია, რომ ბავშვი ძალიან იტანჯება, როდესაც თავის დედას სტოვებს და უცხო გარემოში თავსდება.

აქ კი დედასთან ერთად რაღაცას სწავლობდა და თან ერთობოდა კიდეც თავის ტოლებთან ერთად.

მახსოვს ერთი წლის შემდეგ "ქართულ კერას"-ს მოსცილდა პატარა ოთარი, რადგან მისი მამა, ბაზურკა ამილახვარი სამხედრო სამსახურში იყო და მაროკოში მოუხდა ცოლშვილით გადასვლა; ეს პატარა ბავშვი ვერ შეეგუა იქ ადგილობრივ ფრანგულ სკოლას და თურმე ცხარე ცრემლებით ტიროდა: "მე მინდა ისევ იმ სკოლაში წავიდე, სადაც ჩემთან დედაც იყოო".[2]

ოლონდაც, მართლა და დედასთან იყო იმდენად, რომ ფეხი არ მოუცელია და საკლუბო მუშაობაში მონაწილე არ გამხდარა, სულ დედის კალთას იყო ჩაბღაუჭებული, თურმე კი თავის პატარა თავში

---

[1] რა თქმა უნდა მთელ ხარჯს მე ვიხდიდი და სწავლა ხომ მთლად უფასო იყო.

[2] აი ეს ოთარის სურათი, რომელიც გადმომცა Comtesse de Cossé Brissac-მა.

აუკრეფნია, რაც მოეწონებოდა. ჰო და წლის ბოლოს დიდი აქტივობა გამოიჩინა, გამართულ საღამოზედ მოისურვა ლექსით გამოსულიყო, თუმცა კულისებში ღელავდა, მაგრამ დიდის რიხით სთქვა ლექსი "მე ვარდი ვარ" და სხვა.

პატარებისათვის პროგრამა ძალიან სადა და მარტივი იყო. პირუტყვების და მცენარეების ცხოვრებიდან მოცემული იყო ზღაპრები, ლექსები, მათი ინსცენირობა, რაც ისე ართობდა ამ პატარა ბაშვებს.

ყველაფერი ეს იქვე ზეპირად ჰქონდათ შეთვისებული, ამნაირად ხალხური ენის საშუალებით ისინი ქართულსა სწავლობდნენ.

უფროსები ქართული ლიტერატურის ნიმუშებს ეცნობოდნენ.

პირველ წელიწადს აკაკი წერეთლის შემოქმედებით დავიწყე, წლის ბოლოს ორი საღამო იყო მოწყობილი, პატარებისა და უფროსებისა.

უფროსები გაუმასპინძლდნენ სტუმრებს აკაკის შემოქმედებით, როგორიც არის "თორნიკე ერისთავი" აქედან თვალსაჩინო ადგილები იყო ზეპირად ნათქვამი: იგავი "ლამურა", "ქართველი ქალი". სულ ბოლოს "ნათელა. ნათელას ქორწილი იყო რომ საზოგადოებას ძალიან მოეწონა.

მაშინდელი სათვისტომოს თავჯდომარე განსვენებული გიორგი ჟურული მეუბნებოდა, "რაც ემიგრაციაში ვარ, ასეთი სიამოვნება არა მქონია"ო...

ისე მაქვს გაფუჭებული მეხსიერება, რომ ამ საღამოს მთლიანი პროგრამა ველარ აღმიდგენია.

დიდი ტაშით შეეგება საზოგადოება ამ "ქართული კერის" პირველ საღამოს, მთხოვდნენ სცენაზედ გასვლას, აბა მე რა გამიყვანდა, მაგრამ ჩემმა ახალგაზრდა მოწაფეებმა წრე შემომარტყეს და ძალის ძალად გამომაჩინეს. დავინახე მამაშენი დიდის განცდებით რომ უჩუმრად იდგა და ტაშსაც არ უკრავდა.

ყოველ წელიწადს შობის ხის მოწყობაც ჩვენ ვიკისრეთ, განსაკუთრებული პროგრამა იყო დამუშავებული ამ დღის ჩასატარებლად.

მაგალითად "შობის წინა ღამე და ალილო!" სამწუხაროდ ამის ამსრულებელნი სუსტნი აღმოჩნდნენ. ეს ვერ ჩატარდა ისე როგორც ეს გათვალისწინებული მქონდა. დანარჩენი კი ადვილად მოხერხდა, როგორც მაგალითად ახალი წლის დახვედრა, მეკვლე და სხვა.

"ქართული კერა" დროგამოშვებით მართავდა ქართველ ქალთა შეხვედრებს, აქ იკითხებოდა პატარა მოხსენებები. მაგალითად პირველ მაისს თამარ დედოფლის ეპოქის შესახებ პატარა მოხსენება იყო წაკითხული.

სხვა დროს მის ხსოვნას სალიტერატურო საღამო მიეძღვნა. ნაჩვენები იყო ცოცხალი სურათები და მას მისდევდა უკვე უფროსების გუნდი.

ამ ქალთა შეხვედრისას ნინოობას წმ. ნინოს ცხოვრება იყო აღნიშნული. ამის გარეშე ერთი საღამო გაიმართა, სადაც ეკრანზედ

გაშუქებული სჩანდა საქართველოს ბუნების საუკეთესო ნიმუშები, ისტორიული ძეგლები, ბავშვები ამ ნაწერებს სურათებს ადგილიდან ლექსებით ამკობდნენ. მაგალითად ალაზნის ველი რომ გამოჩნდა, ამას "კაკო ყარალიდან" შესაფერისი დეკლამაცია ამთავრებდა; "გელათი" ხომ გამოიწვევდა "არის ადგილი" და სხვა.

ამნაირად მიმდინარეობდა "ქართული კერა" და მისი მუშაობით ჩვენი საზოგადოება დიდი კმაყოფილი სჩანდა.

მაგრამ ჭია შესული იყო, საცაა ის დააზიანებდა ამ პატარა, მაგრამ საჭირო საქმეს.

დაიწყო ჩვენი ავადმყოფობით, ე.ი. სიმშურით, თუ ვინმე თავისი ნიჭით უკეთესი იყო მეორეზედ, ამას ვერ ითმენდნენ ვერც მშობლები, და რასაკვირველია, ვერც მათი შვილები.

ეს სჩანდა საღამოების გამართვის დროს, ზოგიერთი მშობელი ამრეზილი სჩანდა,თუ მთავარი როლი იმის შვილს არა ჰხვდა წილად.

შემდეგ კი მე დამიწყეს კრიტიკა, რომ ის მასალა, რომელიც ეძლეოდათ ბავშვებს, ზოგისათვის ნაადრევია, ზოგისათვის საჭირო არ არის და სხვა.

"ქართულ კერა"-ს ესაჭიროებოდა პატარა თანხა მაგალითად შობის ხის გასამართად, აგრეთვე საღამოებისათვის შესაფერისი ბინის ასაღებად, ამის შესაძლებლობას იძლეოდა პატარა ბუფეტი, რომელიც ამ საღამოებს ყოველთვის თან ახლდა.

ხარჯების გასტუმრების შემდეგ დარჩენილიდან ნაწილს ვინახავდით მომავალ შობის ხისათვის, დანარჩენს გაჭირებულ, ავადმყოფ ქართველებს პატარა შეწევათს ვაძლევდით.

მაქვს ზოგიერთი მათგანის სამადლობელო წერილი, მაგალითად განსვენებულ ექვთიმე თაყაიშვილისა, მადლობასთან ერთად მწერს; "რომ ამჟამად მე დახმარება არა მჭირდება და თქვენ მიერ გამოგზავნილი თანხა აქ ლოვილში ორ ავადმყოფ ქართველს გადავეცი"ო.

სეიმონ წერეთელი კი გაოცებულია იმით "თუ როგორ ახერხებს "ქართული კერა" რომ თავის ხარჯებსაც გაუძლვეს და გაჭირებულ ქართველებსაც დაეხმაროს"ო.[1]

საჭირო იყო დახარჯული თანხების სწორე ანგარიში, ამიტომ ყველაფერზედ რასაც ვიყიდდით, ან ვიქირავებდით, ვთხოულობდი ფაქტურა მქონოდა, ეს არ მომიწონეს კომიტეტში, "ისე გამოდის რომ ჩვენ არ გვენდობით"ო მეუბნებოდნენ ჩემი დამხმარე ქალები.[2]

ზოგი იმის წინააღმდეგი აღმოჩნდა რომ ეს საქმე ჩემ სახელთან იყო დაკავშირებული, ამისათვის საგანგებოდ ოფიციალურ ადგილას გამართულ ჩაიზედ მეც მიმიწვიეს.

იქ პოლონეთიდან ჩამოსულ ერთ ქართველ ქალს შემახვედრეს და იმის პირით მომცეს წინადადება "ქართული კერა"-ს განყოფილე-

---

[1] წერილი არხივშია.

[2] არაკის არ დაეპასუხებ, მაგრამ ერთხელ დამეკარგა კარგი თანხა!..

ბა პოლონეთშიაც გახსნილიყო. აშკარად სჩანდა რომ ეს უფრო თანხების საშოვნელად იქნებოდა გამოყენებული. ამიტომ ამ აზრზედ არ გაეჩერდი და სიჩუმეში ჩავატარე.

ამ კრებულს დაესწრო ჩვენი ერთი მინისტრი,[1] რომელმაც სხვათაშორის მისაყვედურა, რომ განზედ ვარ, იმათ არ ვეკარები და თავისი ცოლიც კი დაიმოწმა, როგორ იყო ჩემს მიმართ განწყობილი, როდესაც შემხვდა ის წაღვერში, როდესაც გათხოვილი არ ვიყავი.

"ამბობენ, რომ თქვენ მეგრელები არ გიყვართო". ამაზედ აბა რას ვეტყოდი, გარდა იმისა, რომ "ხომ იცით, რომ სპირიდონი არ არის აღმოსავლეთ საქართველოდან, ის ნამდვილი მეგრელია და იმაზედ ვარ გათხოვილი".

წამოსვლისას მასპინძელმა[2] ამაე სიტყვებით გამომაცილა: "კარგია რომ მოხვედით, ისეთი აზრია თქვენს შესახებ, რომ არავის ჰკადრულობთ, ამაყი ხართ, ამიტომ არ გვეკარებით"ო.

ალბად ამ ბატონს, რომელსაც თბილისიდან ვიცნობდი და ძალიან მახლობლადაც, დაავიწყდა, რომ საქართველოდან ჩამოსულს იმან მე სალამი არ მომცა, ასე იყო ეს ხალხი მოშხამული.

"ქართული კერა", რომელიც ისე იყო გაღუებული, რომ მისი ნაპერწკლები ზოგიერთებს ძილს უფრთხობდა, იმდენი იმოქმედეს, რომ საბოლოოდ ჩააქრეს.

ერთ დღეს მშობლების წარმომადგენელმა[3] და ორი კომიტეტის წევრის თანადასწრებით გამომიცხადა, რომ "რასაც თქვენ აკეთებთ, ეს საკმარისი არ არის, ჰატარა ბავშვები ჩვენ დაგვიმთებთ, ამასთან დაკავშირებით შობის ხესაც ჩვენ მოვაწყობთ, ის თანხა, რომელიც ამისათვის არის გადადებული, უნდა გადმოგვცეთ, უფროსებს კი თქვენ ასწავლეთ, თქვენ მოუარეთ"ო.

იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს თავდასხმა, რომ ხმა ვერ ამოვიღე, გავშეშდი, ეს ორი მოწმე კი უფრო სეირის მაყურებლად იყვნენ მოსულნი, რადგან ჩუმად ისხდნენ, ხმა არ ამოუღიათ, აშკარად გამოირკვა, რომ დანარჩენი მშობლები, რასაკვირველია ამაში არ იყვნენ ჩარეულნი.

იქიდან რომ გამოვედი, დამეწია ჩემი ბიძაშვილი ანეტა დავრიშაშვილი: "სონა, ისე გაფითრდი, მეგონა გული შეგიწუხდებოდა"ო.

მერე რატომ ერთი სიტყვა არა სთქვა ჩემს სასარგებლოდ, საქმე ის არის, რომ ესეც უკმაყოფილო მყავდა: "სონა შენ რომ ეს საქმე არ დაგეწყო, მე ვაპირებდი ამის გაკეთებასა"ო. საცოდავი, ჩემს ჩამოსვლამდე ის ხომ აქ შვიდი წელიწადი იყო, ვინ დაუშლიდა საქმიანობას, მაგრამ როგორც არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ ქართველებს სხვისა გაკეთებული საქმე არ გვიყვარს.

წამოვედი გულდაწყვეტილი და სახლში რომ სპირიდონს ვუამბე ამ დელეგაციის ამბავი, საშინლად ეწყინა, აღელვებულმა კიდეც

---

[1] ე. გეგეჭკორი
[2] ს. გოგოლაშვილი
[3] შ. ნიკოლაძე

მითხრა; "დაანებე თავი, მთლად ჩამოშორდი ამ საქმესა"ო.

მართლა და ეინმე ყოფილიყო ამ საქმის გამოსადეგი, რა ძალა მედგა, რომ ყველაფერი მე ვიკისრე და ხშირად მორალურად მძიმე პირობებში მომიხდა მუშაობა, მაგალითად ერთ წელიწადს, სწორედ შობის წინა დღეებში გავიგე ჩემი ძვირფასი ძმის ირაკლის გარდაცვალება, ხომ გახსომს, თეო, როგორ იმოქმედა ამან ჩემზედ, თვალცრემლიანი დავდიოდი პარიზში, რომ ქართველ ბავშვებს შობის დღე ჰქონოდათ, შესაფერისი შინაარსიც არ დაკლებოდათ.

მერე მემდუროდნენ, თავი დანება ბავშვებსაო, რატომ ჩემს შვილს არ გააცნო "ბაში აჩუკი"ო, ან კიდევ "ჩემ შვილიშვილისათვის წლევანდელი მასალა შესაფერისი იქნებოდა, დათოს ნათქვამი, სამწუხაროა რომ ამ საქმეს თავი დაანებე"ო.

ერთი სიტყვით ყველას ვუნდოდი უჩემოდ.

"ქართულმა კერა"მ იარსება 1938 წლამდე, უკანასკნელად მის მიერ გამართულ შობის ხეზედ დიდი უსიამოვნება მოხდა, აირ-დაირია ხალხი, პოლიტიკური ანგარიშების გასწორება ზოგიერთმა იქ მოინდომა.

ესეც არ იკმარეს და ამ უსიამოვნო ამბავში "ქართული კერა"ც ჩაითრიეს, თითქოს მისი განზრახვით წინასწარ იყო მოწყობილი ეს დაპირისპირება ორ პოლიტიკურ ჯგუფთა შორის.

შობის ხის წლიურ ანგარიშს ვათავსებდი ქართულ რომელიმე გაზეთში, სადაც კი მოხერხდებოდა. ვ. ნოზაძემ არ დამიბეჭდა. მაშინ "საქართველოს დამოუკიდებლობაში" მოთავსდა ეს ჩემი თუ ჩვენი, ე.ი. "ქართული კერის", სახელით ეს წერილი. წინასწარ მისი შინაარსი გავაცანი კომიტეტს და ყველანი თანახმანი იყვნენ ეს წერილი დაბეჭდილიყო, მერე კი სხვანაირად ლაპარაკობდნენ.

"ნება გვიბოძეთ შობის ხეზედ მომხდარ უსიამოვნებას აქვე შევეხოთ. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ზრდილობა და თავდაჭერა, რაც ყოველთვის ასე ამშვენებდა ქართველ ადამიანს, დღეს ძალიან არის დაქვეითებული, განსაკუთრებით ემიგრაციაში. არაფრისა არც შიში, არც მორიდება და ეს იმ ზომამდის, რომ შოის ხის ტრადიციულ დღესასწაულსაც აღარ ინდობენ. მთელი ჩვენი ჭაპანწყვეტა რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავახაროთ და ვამხიარულოთ ერთად თავმოყრილი ბავშვები, ამაოდ რჩება და მიზანს ვერ აღწევს. იშვიათია ისეთი წელიწადი, რომ საზოგადოებას სიამოვნება არ ჩამწარდეს და მძიმე შთაბეჭდილებით არ დაიშალოს.

ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე შობის ხის გამართვას "ქ.კ."-ს ხელს მოჰკიდებდა, არა ერთხელ ვყოფილვართ მოწამენი სხვა და სხვა უმსგავსო სანახაობისა და რომ ჩვენი საზოგადოება თავ-თავის დროზედ ენერგიულად გამოხმაურებოდა

ყოველ შემთხვევას და დაეგმო მისი ავტორები, ალბად მაშინ მეტი თავშეკავება ექნებოდათ და ქართველის სახელიც უფრო დაცული იქნებოდა როგორც შინ ისე გარეთ.

მაგრამ უკანასკნელ შობის ხეზედ მომხდარმა ამბავმა, თავისი უმსგავსობით ყოველგვარ საზღვრას გადააცილა. მუშტი-კრივი, უფროსი ხალხის მიმართ უდიერი მოპყრობა, მთელ დარბაზში აუტანელი ღრიანცელი, საგნების დაუზოგარი მსხვრევა, დაშინებული ბავშვების და მათი დედების უმწეო ტირილი და მთელი ეს სამარცხვინო სანახაობა კი ქართველების საკუთრებად იქმნა გასაღებული დამსწრე უცხოელ სტუმართა წინაშე !..

ჩვენ "ქ.კ."-ის ხელმძღვანელნი დიდად აღშფოთებულნი ვართ და უკიდურესი სიმკაცრით ვგმობთ ამ ქართულ ღირსების შემარცხვენელ საქციელს. არა ნაკლებ გულისწყრომას ვაცხადებთ ჟურნალ "კავკასია"-ს იანვრის ნომერში მოთავსებულ წერილის გამო, რომელშიც ვინმე "ყველგან დამსწრე" შობის ხეზედ მომხდარ უსიამოვნებას მოგვითხრობს და ერთ ალაგას "ქ.კ."-ის ხელმძღვანელებსაც ეხება: "თვითონ "თავდასხმა" განზრახულს, მაგრამ ცუდათ შესრულებულ "საქმესა" ჰგვანდა": "ქართული კერის" ხელმძღვანელებმა მიიღეს ანონიმური წერილი გაფრთხილებით და "კავკასიელები" კი არ გააფრთხილეს, არამედ ყველას სათითაოდ გაუგზავნეს მოწვევის ბარათი და პირადათაცა სთხოვეს მობრძანება "შობის ხეზედ".

ამის საპასუხოდ ვაცხადებთ არავითარი წინასწარი გაფრთხილება არავისაგან ჩვენ არ მიგვიღია და რომ ეს ასე ყოფილიყო შიობის ხეს ან სულაც არ მოვაწყობდით ან და გავაფრთხილებდით მაშინ მთელ საზოგადოებას და არა მარტო კავკასიელებს.

როგორც მის მიერ ნახმარებ ტერმინოლოგიიდან სჩანს იგი უფრო მაღალი რიგისა და ძველი თაობის მოღვაწე უნდა იყოს და რად დასჭირდა მას ამ ყოველად უგვანო საქციელის მონაწილედ ქართველი მანდილოსნები გამოეყვანა, განა ჩვენდა სამწუხაროდ ის არა კმარა, რომ მამაკაცებმა წლების განმავლობაში ერთმანეთის დამცირებას ამდენი მელანი შეალიეს, რომ ეხლა მათ ქირდეს ობიექტად ქართველი ქალის ღირსება არ გაიხადონ და მას ასეთი შეურაცხყოფა არ მიაყენონ ?

ამის შემდეგ რაღა მოეთხოვება იმ საცოდავ ახალგაზრდობას, რომლის უსაქციელობა ზემოთ ვამხილეთ, და რომელიც გაზრდილი და დავაჟკაცებულია მოწამლულ ატ-

მოსფეროში, ოჯახის გარეშე, არალეგალურ ცხოვრებასა და ემიგრაციის შორის გადებულ შარა გზაზედ.

"ქართული კერის" სახელით გამგეობა.

ეს ჩემი მაგალითი შენ დიდხანს ჩაგრჩა მეხსიერებაში, რადგან შენც აიყარე გული ქართულ საქმეების მიმართ, მაშინ როდესაც შენ ჩემს გეერდით იმუშავე ბევრი რამ ნახე, რაც მოსაგონრადაც არა ღირს.

წამოვედი და ისე რომ იმის შემდეგ ჩემი ხსენება აღარსად იყო, სხვებმა განაგრძეს მუშაობა, რა მისცეს ამ ბავშვებს ან უფროსებს, მე ეს არ ვიცი.

როგორ შესცდნენ საქართველოში წამოსვლისას რომ მეუბნებოდნენ: "რა კარგი საქმე მოსდით ემიგრანტების შვილებს თქვენი იქ ჩასვლითა"ო.

რაკი საქართველო მოვიხსენიე, მინდა მოგაგონო შენთვის დაუვიწყარი ამბავი. ერთხელ ბებოსთან სეირნობდი თბილისის ქუჩებში, შენ გიყვარდა მარტოკას გეელო, გაუშვებდი ხელს, ბებოს გაექცეოდი, ხან ერთ ვიტრინას მიადგებოდი, ხან მეორეს. ერთი ვიტრინა ძალიან მოგწონებია და ცხვირ მიჭყლეტილი გასჩერებულხარ, საფუძვლიანად დაგიწყვია ყურება.

მაღაზიის პატრონმა იფიქრა მარტო იყავი და ამ ქუჩაში თავისუფლად გაშვებული, გამოიხედა, ამ დროს ბებოც დაგეწია, მაშინ იკითხა, ვისია ეს ბავშვიო, ბებომ გაგებინა, ვისიც იყავი და ხელი ჩაგჭიდა, რომ აღარ გაპქცეოდი. პატარა ხანს უკან მაღაზიის მსახური დაგეწიათ და იის დიდი კონა მოგცა ხელში, დიდი კმაყოფილი დაბრუნდი და მიამბე, როგორ ალერსიანად გიყურებდა ეს "ძია", რომელმაც ეს ია მოგაწოდა, მერე ამოლენა კონა.

ყვაილების მაღაზია იყო მამულაშვილისა, მართლა და მშვენიერი ეეროპიული ვიტრინით, რამაც შენი ყურადღება მიიპყრო.[1]

პირველი სიტყვა, რომელიც ენის ამოდგმისას შენ იხმარე, რომ სილამაზე აღვნიშნა; "კაქია"ო ეჰ. ლამაზიაო, ეს იყო შენი დამახასიათებელი.

მეხსიერებაში კარგად გქონდა აღბეჭდილი, რომ საქართველოში მამას სახელი ყოველთვის კარგ სიურპრიზებს გიმზადებდა და ხდებოდა მაშინ, როდესაც მამას სახელს არა მალაედი და სანდო ადგილას იყავი.

გახსოომს, მანგლისში რომ ვერ გათქვევინეს შენი ნამდვილი გვარი კედია. მაშინ იყავი ოთხი წლისა, კარგი კონსპირატორი იზრდებოდი.

აქ ემიგრაციაში სულ სხვა სიო ტრიალებდა, ჩამოსვლისას ვერ გაგეგო, რატომ ისე აღარ გექცეოდნენ, არავინ განებიერებდა, ბევრჯერ კიდეც გატრიზავებული დარჩი.

რომ წამოიზარდე, გაეცანი ემიგრანტების შენჩემიანობას, მაშინ

[1] ამ მაღაზიის სახელია:"Solcil d'Or".

კი დარწმუნდი, რომ აქ ვერც სპირიდონი გაიხარებდა და ვერც მისი ცოლშვილი.

ეხლა მინდა მე და შენი პირადი ცხოვრების მოვლენები განზედ გადავდო, შევეხო სპირიდონს როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს და მის ურთიერთობას პოლიტიკურ ემიგრაციასთან: თან ოჯახის მიმდინარე ეპიზოდებიც მოვიგონო.

სპირიდონი ემიგრაციაში

თავიდანვე სპირიდონმა ახალი გეზი აიღო, იმისი აზრით ეროვნული პოლიტიკა უნდა სწარმოებდეს სულ სხვა საფუძველზედ, ვიდრე ეს იყო დღემდე. რომ არა პარტია და მისი პროგრამა, არამედ მთლიანი ერი და მისი ეროვნული დოგმა, აი რით უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მეთაურმაო.

საამისოდ კიდეც გამოსცა გაზეთი "სამშობლოსათვის", სადაც ეს აზრია გატარებული.

სხვათაშორის ამ გაზეთის პირველი ნომერი ფარულად საქართველოშიაც შემოვიდა და ძალიან კარგი შეფასება ჰქონდა, განსაკუთრებით ჩვენ ეროვნულ წრეებში: "ძლიევს გაეიგონეთ ნამდვილი ქართული სიტყვა"ო.

ემიგრაციაში ეს დარჩა "ცათა ღაღადებანი უდაბნოსა შინა". მხოლოდ ერთი, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრი, ამას გამოეხმაურა: "თანახმა ვარ შენთან ვიმუშაო, თუ საქართველოში შენს გვერდით მე ვიქნები მეორე"ო. ეს იყო ვეშაპელი, რომელიც ბოლშევიკების ლაგერში გადაიდა, მაგრამ იქ ვერც ერთი ადგილი ვერ დაიჭირა, რადგან ის აქ ემიგრაციაში მოჰკლეს. ასე დაიღუპა ეს მომქმედი, ნიჭიერი ადამიანი.

ეხლა რომ წარსულს გადავხედავ, აშკარად სჩანს, რომ ემიგრაცია მოსკოვის კლანჭებში იყო, რაც არ აადვილებდა ქართველების გაერთიანებას, პირიქით ყველაფერი იყო ხელის შემწყობი, რაც შეიძლება დაქსაქსულები ყოფილიყვნენ. ამისათვის ყოველ პარტიაში მას თავისი კაცი ჰყავდა, რომელიც შიგნით შხამს ატრიალებდა.

ეხლა მინდა მოვიგონო ის ხალხი, რომელიც სპირიდონს გარს ეხვია, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, არც ერთი მათგანი გულწრფელად არ იყო განწყობილი მამას მიმართ.

ზოგი მეგობრის სახით იყო, მაგრამ სინამდვილეში ჩუმი ანგარიშების მატარებელი აღმოჩნდა, იმან სპირიდონის გვერდით კი არ მოინდომა ყოფნა, არამედ სპირიდონის ადგილზედ პარტიის ხელმძღვანელობა.

ზოგიერთი კი პირდაპირ მტრის სამოსელში მუშაობდნენ მოსკოვის კარნახით.

სპირიდონის გარშემო თავს იყრიდა ახალგაზრდობა, რომელიც გვერდში ჰყავდა, რომ თავისი აზრები, ჩვენი ქვეყნის ჭირვარამი გაზეთის ფურცლებზედ გაეშალნა, ძალიან იყვნენ მოწადინებულნი და

დიდ დახმარებასაც უწევდნენ გაზეთ "საქართველოს გუშაგი"ს აწყობაში და მის გავრცელებაში. უმთავრესად დახელოვნებულნი იყვნენ: საშა ცომაია, მიტო სინჯიკაშვილი და სხვები.

თუ ეს ყმაწვილები ოტელში ჩვენს შეწუხებას ერიდებოდნენ, კლამარში ხშირად ამოდიოდნენ.

გეგელია კი არ გვერიდებოდა, თითქმის ყოველდღე ოტელის სალონში იჯდა, ისე რომ კიბეზედ ჩასულებს, ის გვიხვდებოდა.

პირველ წლებში კიდევ ახლომახლო ტრიალებდა, მაგრამ ყმაწვილებმა ეჭვის თვალით შეხედეს და ნელნელა დაშორდნენ.

გეგელია არწმუნებდა თავის ამხანაგებს, რომ შოკოლადის ქარხანაში მუშაობს და იქიდან მოტანილი შოკოლადით ის ხშირად კიდეც უმასპინძლდებოდა ამ უმუშავარ ემიგრანტებს.

მაგრამ ეს შოკოლადის ქარხანა რაღაც საეჭვოდ ჰქონდათ მიჩნეული. ერთხელ ერთერთმა მოინდომა ფეხდაფეხ გაჰყოლოდა ამ შოკოლადის ქარხნისაკენ მიმავალ გზაზედ. ეს ცნობის მოყვარე მიადგა რუსეთის საკონსულოს კარებს გეგელიასთან ერთად; როდესაც ჰკითხა იქ რად დადის, გეგელიას პასუხი იყო, რომ საქართველოში მას ჰყავს ბიძა, რომელიც "დიდი კაცია" და ის ამ საელჩოს საშუალებით პატარა თანხას აწვდის.

ეს საკმარისი იყო, რომ მას თავის წრეში ნდობა დაეკარგნა.

სპირიდონს არა სჯეროდა, რომ გეგელია კომუნისტების აგენტია, და ეს სულ ბოლო დრომდე. მამას ბევრი საბუთი სჭირდებოდა, რომ ადამიანი გაეშაებინა. მაშინ მამაშენის მუშაობა იქით იყო მიმართული, რომ ეს დაქსაქსული ემიგრაცია როგორმე გაერთიანებულიყო, თუ დადგებოდა დრო, რომ ემიგრაციას შესძლებოდა საქართველოს სასარგებლოდ ერთის პირით ელაპარაკნა.

ისიც იცოდა, რომ ევროპას ჯერჯერობით ჩვენთვის არ ეცალა, გიტლერის გამარჯვება მას არა სწამდა.

1938 წ. სპირიდონი, კონტრექსვილიდან, სადაც წასული იყო სამკურნალოდ, მწერს; "აქ ყველანი ამაზედ ლაპარაკობენ, ეშიქრობ, თუ გიტლერი არ გაგიჟდა, ომს არ დაიწყებს და თუ დაიწყო, უსათუოდ დამარცხდება"ო.[1]

რამდენად მამა თავის პირად საქმეებში სუსტი იყო და ზოგჯერ პირდაპირ გაუგებარი მეამიტი, იმდენად შორსმხედველი საზოგადო ხასიათის საკითხებში.

1947 წ. როდესაც დე გოლი მმართველობას ჩამოშორდა, სპირიდონმა სთქვა: "დეგოლი არის საფრანგეთის დროშა, ეს ის კაცია, რომელიც ძალიან დასჭირდებათ ფრანგებს და მხოლოდ ის შესძლებს ქვეყნის გადარჩენასა"ო.[2]

მამას მაგარი თქმები ჰქონდა, როგორც პოლიტიკოსი მოწი-

---

[1] ეს წერილი არხივში მაქვს

[2] თუმცა სულ ბოლოს უკვე ძალიან ეჭვის თვალით უყურებდა მის მოქმედებას და ძალიანაც აიყარა გული. საშინლად აღელვებული იყო ეპურაციით, სადაც აშკარად სჩანდა მოსკოვის კლანჭი: „მთლიანად იმათ ხელშია, საითკენ მიაყოს საფრანგეთი"ო.

ნაალმდეგეს სიტყვიერად არ დაინდობდა, ულოლიკობაშიაც მოიმწყვედა, მაგრამ ამის გარეშე მისთვის გაუგებარი იყო პიროვნული ბრძოლა, პოლიტიკური ინტრიგები, ვისიმე დამცირება. ან მის ცულ მდგომარეობაში ჩაყენება, რასაკვირველია, ტერორი ხომ ამაღელვებელი და მთლად მიუღებელი იყო მამაშენისათვის.

შენ იცი, რომ მოსკოვის აგენტები ამ მხრივ დახელოვნებულნი იყვნენ, სადაც კი შეეძლოთ, ყველგან სპობდნენ თავიანთ "მტერს" ე.ი. ყველას, ვინც არ იზიარებდა სტალინის აზრს.

ომის წინა წლებში მათი თვალის ეკალი, უმთავრესი მტერი იყო იმათივე ბანაკიდან გამოსული ტროცკი, რომელიც სტალინთან უთანხმოების შემდეგ აქ საფრაგნეთში მთავრობის მფარველობის ქვეშ, როგორც დევნილი, რამოდენიმე წელიწადი დამშვიდებულად ცხოვრობდა.

პარიზის მახლობლად სოფელში ერთი სახლი იყო მის განკარგულებაში დიდის, გაშლილ გარემოთი. ბარბიზონის მახლობლად ფონტენებლოს რაიონში. მის მეზობლად არაფერი იყო საეჭვო და საშიში, მხოლოდ მოშორებით მოსჩანდა პატარა სახლი, სადაც მოხუცებული ქალი თავის დღეებს ათავებდა.

მასთან მოისურვა ერთმა ახალგაზრდა ყმაწვილმა ოთახი ექირავნა იმ განზრახვით, რომ იქიდან ადვილად დაეზვერნა ტროცკი, შეესწავლა მისი ჩვეულებები, ამ გაშლილ ეზოში მისი სეირნობის საათები და არჩეულ მომენტში თოფს დაუმიზნებდა, ნიშანში ამოიღებდა, კარგი მსროლელი მიზანს ადვილად მიაღწევდა.

პაემანი დანიშნული იყო, როდესაც უნდა მომხდარიყო საჭირო თანხის გადაცემა, რომ ამ მხრივ არაფერი დაბრკოლებულიყო.

ეს გამბედავი, კარგი თოფის ოსტატი, ქართველი ახალგაზრდა ემიგრანტი, ეროვნულ დემოკრატიის ერთერთი წევრი იყო.

მაშასადამე ამ ტერორის პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა ერ. დემ. პარტიის ორგანიზაციას ე.ი. მის ლიდერს, სპირიდონს. ესეც უნდა მოსაზრებული და კარგად ჩალაგებული ყოფილიყო, რომ მამა ცუდს მდგომარეობაში ჩაეყენებინათ.

რაც შეეხება იმ ყმაწვილს, ის დარწმუნებული იყო, რომ ამით ის დიდ პატრიოტულ ნაბიჯს სდგამდა, სპობდა საქართველოს მტერს, რომელსაც სთელიდა უმთავრეს ავტორად 1921 წლ. წითელი ჯარის მიერ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსპობისა.

პარიზიდან გასვლის წინ ეს "ჩვენი გმირი" ეთხოვება თავის მეგობარ ქალს, სწერს წერილს, რომ ველარა ნახავს, მიდის პატრიოტული საქმის გამო და სხვა.

ეს ქალი შეწუხებული ამ წერილს აჩვენებს ერთერთ ერ. დემ. ყმაწვილს,[1] რომელიც გამოარკვევს ამ ამბავს და აცნობებს სპირიდონს, რომ მოსალოდნელია ეს მკვლელობა; მამაშენი მაშინათვე იბარებს "ამ საგმირო"საქმისათვის გამზადებულ პიროვნებას.

სწორედ იმ დილით ის უნდა წასულიყო დანიშნულ პაემან-

[1] მიტო სინჯიკაშვილს.

ზედ, იმის მაგივრად დილის ექვს საათზედ ჩვენ ეზოს კარებს მოადგა ორი ახალგაზრდა, სპირიდონმა ესენი თავის ლაბორატორიაში გაიყვანა, გამიკვირდა ეს სისხამდილის დარბაზობა. მერე გავიგე, რომ ეს ყმაწვილი, რომელიც ტროცკის მოკვლას აპირებდა, თავწალუნული, გამშრალი ისმენდა სპირიდონის აღელვებულ ლაპარაკს.

აქ ის დარწმუნდებოდა, რომ ეს ტერორი ემსახურებოდა სტალინს, რომელმაც იმ ხნის განმავლობაში ძალიან დააზიანა საქართველო და რომ ეს მკვლელობა შეუძლებელია.

"არჩიე ან ეს აქტი და ამასთან ჩემი მდგომარეობა, ხომ იცი, შენ იქნება თავი დააღწიო, მაგრამ მე მომეთხოვება პასუხისმგებლობაო, თუ ჩემი მტრობა გინდა ან თუ სტალინის აგენტობა, დაფიქრდიო. შენ იმ პაემანზედ უარი უნდა სთქვა და არ წახვიდეო.

თურმე დაჰპირდნენ ამ მკვლელობის შემდეგ "შენ განკარგულებაში ავიონი იქნება და საცხოვრებელ თანხასაც მოგცემთ"ო.

რასაკვირველია, სპირიდონის ჩარევამ ჩაშალა ეს საქმე, ეს ი. ზ.[1] არ წაუვიდა დანიშნულ შეხვედრაზედ, რამაც გააცეცხლა მისი სულისჩამდგმელი შ. ქ[2], რომელიც მეორე დღესვე ამოვიდა სპირიდონთან საყვედურით, ეს შენი საქმეა, შენ ჩაგვიშალეო.

გაიდა დრო, ეს ყმაწვილი დიდი კმაყოფილი იყო, რომ ასცდა ამ საქმეს და ამბობდა: "ბატონმა სპირიდონმა გადამარჩინა, თორემ დიდი უბედურება მელოდდა, დაეილუპებოდი"ო.

რაც შეეხება ტროცკის, ის მალე წავიდა საფრანგეთიდან, ეტყობა პოლიციამ ყური მოჰკრა ამ ამბავს, და აქ აღარ შეინახეს, მექსიკაში გადაიყიდა, გასაოცარია, რომ შ. ქარუმიძის საყვედურს სპირიდონის მიმართ, რომ შენ ჩაგვიშალე ტროცკის მოკვლაო, შეფიცულებიც იზიარებდნენ და სპირიდონით ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ. ირაკლი ზალდასტანიშვილზედ ხომ ხსენებაც არ უნდოდათ.

ერთხელ დაეესწარი ამ სცენას; კვინიტაძის ოჯახში, მათ გაშლილ სუფრას ქართველი ახალგაზრდობა ძალიან ესწრაფებოდა, მათ შორის ირაკლი ზალდასტანიშვილიც თავის მრავალჟამიერით და ლამაზი ხმით სასიამოვნოდ ამკობდა იქაურობას.

იქ დამსწრე შეფიცული ა. ს.[3] ამრეზილი სახით ირაკლის გამოელაპარაკა და ფანჯრიდან გადახტა, ირაკლიც მიჰყვა, ეს ეს არის უნდა გამართულიყო მათი შებმა, მაგრამ კვინიტაძის ჩარევამ ეს ორი სტუმარი ერთმანეთს გააშორა.

საქართველოში ვნახე კიდევ ჩემ იქ ყოფნისას ერთი უცნაური მოვლენა; ჩეკაში ელიზბარ ვაჩნაძის თავისუფალ შესვლა გამოსვლაში მოწმე ვიყავი.

აქ ემიგრაციაში ამის შესახებ გამოველაპარაკე ა. ს. შეფიცულს, მითხრა, რომ საქართველოში დაგვერჩა ხალხი და გვინდოდა მათი გამოყვანაო.

---

[1] ირაკლი ზალდასტანიშვილი.
[2] შალვა ქარუმიძე.
[3] საშა – შუშუ სულხანიშვილი.

ჩვენ ჩამოსვლამდე სპირიდონს დიდი უსიამოვნება ჰქონია. ემიგრანტების ერთ ქართულ პოლიტიკურ ჯგუფს ე.ი. ე.დ.პ. ერთ შტოს დაუწყვია ყალბი ჩერეონცების მოჭრა, რომ რუსეთის წინააღმდეგ მუშაობა ეწარმოებინათ. საბოლოოდ მის დახურდავებას ფრანკებზედაც შესდგომიან, მაგრამ იქვე ბანკში ისინი პოლიციას დაუჭერია.[1] ამ საქმის გამოსაძიებლად, სხვებთან ერთად პოლიცია სპირიდონსაც მისდგომია, კომისარიატში დაუბარებიათ, თუ იცის რამე ამ ჩერეონცების შესახებ;[2] ამ დროს ალექსანდრე ასათიანს, რომელიც სპირიდონის ოტელში მის გვერდით ცხოვრობდა, დაურეკნია ტელეფონი აკაკი ჩხენკელისათვის; "სპირიდონი დაიჭირეს"ო. გავარდა ეს ხმა, სოც. დემოკრატებს მეტიც არ უნდოდათ, საჩქაროდ მოუთავსებიათ ეს ახალი ამბავი ფრანგულ გაზეთში, რომ სპირიდონ კედია ამ საქმეში ურევია"ო.

რასაკვირველია, სპირიდონს მაშინათვე იმავე გაზეთში დემანტი მოუთავსებია, მაგრამ არ იქნა და არა, ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ მამა იყო ამ ყალბი ფულის გამკეთებელი, იმისდამიუხედავად, რომ მთავარი ავტორი ამ საქმისა შალვა ქარუმიძე ამბობდა: "ეს საქმე რომ დავიწყეთ, ერთმანეთს ფიცი მივეცით, სპირიდონისათვის არ გვეთქვა, ამაში ის ვერ დაგვეხმარებოდა, დაშლით კი დაგვიშლიდა"ო. ამას იმეორებდნენ დანარჩენი მონაწილენიც: "რას ჩააცივდნენ სპირიდონს, ამ საქმეში არ იყო ჩახედული"ო.

ერთი ყოფილი ქართველი პოლიციელი პ. ფაჩულია ხომ იქამდე მივიდა, რომ ფანტაზია აათამაშა და თავისი სიძე დაუჯერა კიდეც, რომ ჩემი ზურგით გაეიტანე სპირიდონის ოტელიდან ჩერეონცების დიდი შეკვრა და კოტისთან დავაბინავე"ო. ამისი ნათქვამი რომ ამ ცნობილ მრეწველამდე მისულიყო, ის კარგ პასუხს არ დააკლებდა და ამ პოლიციელს სასამართლოს გადასცემდა.

სხვათა შორის ჩერეონცების ამბავმა თბილისში კომუნისტებიც აალაპარაკა. ადგილობრივ გაზეთში იყო ცნობა, რომ ევროპაში დაარსდა კავკასიის კომიტეტი სპირიდონ კედიას ხელმძღვანელობითა"ო.

ამან დიდი სიხარული გამოიწვია მემარჯვენე წრეებში, ერთმა ყოფილმა ძველმა ერ. დემოკრატმა კიდეც მითხრა:[3] "ასეთი დიდი საქმე ემიგრაციაში არ გაკეთებულაო, ეს თუ გვიშველის, რომ ამ ჯოჯოხეთიდან გამოვიდეთ"ო.

აქ ალ. ასათიანმა იფიქრა, რომ სპირიდონს სახელი გაუტყდა, მისი ლიდერად ყოფნა ეხლა აღარ შეიძლება და მოდი ყველაფერს მე მოვუელი და პარტიას მე ჩავიბარებო.

ამ მიზნით პარტიის ერთერთ ჯგუფთან მოლაპარაკება აწარმოვა. ესენი იყვნენ დათა ვაჩნაძე, რეზო გაბაშვილი და ამ ჯგუფის მიმდევარნი. "ჩვენ გაერთიანდეთ, სპირიდონი ჯერჯერობით პარტიის

[1] მეტისმეტად მძიმედ მაგონდება: თურმე ქაქუცა რომ გამოეტეხნათ, ისე ხცემეს, რომ სისხლი ამოსულია პირიდან.

[2] თურმე იქ სპირიდონი, გაშმაგებული უყეიროდ კომისარს, რომელმაც შემდეგ გეგელიას ანდო: „ეს კედია ეეუბვიეით იყო".

[3] ვასო შგალობლიშვილი.

გარეშე დარჩეს“ო. შექმნეს პოლიტიკური ბიურო, რომლის მთავარი მდივანი გახდა თვითონ ალ. ასათიანი, ბიუროს სახელით ელ. პატარიძეს დაავალეს სპირიდონისათვის ასეთი შინაარსის წერილი მოეწერა; “თქვენ პარტიის გარეშე იყავით, თუ რამეს დასწერთ, ჩვენ დაგიბეჭდავთ“ო. ეს წერილი ხელთა მაქვს.[1]

ელოდებოდნენ სასამართლოს, სადაც ყალბი ფულის ამბავი გამოირკვეოდა, ეს უნდა მომხდარიყო გერმანიაში, სადაც ეს ჩერვონცები მზადდებოდა. ერთი ჩვენი მინისტრი პარიზიდან საგანგებოდ ამ საქმის გამომძიებელთან ბერლინში მისულა, რომ სპირიდონის მონაწილეობა ამ საქმეში დაედასტურებინა.[2] ვინ იცის, რა იფიქრა გერმანელმა, ამ უცხო ადამიანმა, იმ როლზედ, რომელსაც თამაშობდა ქართველი ოფიციალური პირი, რომ თავის თანამემამულეს გერმანელებთან აბიზღებდა, მისი პასუხი ყოფილა, რომ “კედია, სრულიად უცხოა ამ საქმეში“ო.

ასეთი მტრული განწყობილება მენშევიკებისა სპირიდონის მიმართ იყო გამოწვეული იმით, რომ სპირიდონი საჯაროდ პკიცხაედა მათ უპასუხისმგებლო პოლიტიკურ ნაბიჯებს, გარდა ამისა არ შედიოდა ფრონტში, რომელიც შექმნა ჟორდანიამ, სადაც თავი მოუყარა ყველა პარტიების წარმომადგენლებს და სადაც ფული რიგდებოდა. ერთმაც — გ. — ცინიკურად უთხრა სპირიდონს: “სპირიდონ, ფული გაქვს? ხომ იცი ცოლ-შვილის პატრონი ვარ და ამიტომ შევდიეარ“ო. მაგრამ ჟორდანია პარტიის შინაურ საქმეებში ამათ არ ახედებდა, გაანაგრძობდა თავის პარტიის სასარგებლო მოქმედებას.

სპირიდონი ბოლო დრომდე ჟორდანიას უსაყვედურებდა: “თქვენ ვერ ამალლდით, ვერ გასცილდით პარტიის ინტერესებს“ო.

პარტიების დაშლა და ეროვნული ძალის შექმნა სპირიდონს არ მოუწონეს თვით ეროვნულმა პარტიამ და მისმა მიმდევრებმა და ბოლომდე ეს დაქუცმაცებული ჯგუფები ერთმანეთის კილავსა და ურიგობას უფრო ემსახურებოდნენ, ვიდრე ეროვნულ ინტერესებს, ვერც ერთმანეთში რიგდებოდნენ.

ჯერჯერობით შედიოდნენ ჟორდანიას ფრონტში, დანარჩენები თავის წარმომადგენელს უკან ეძახდნენ. თავიანთ ნდობას მის მიმართ უარჰყოფდნენ.

მაგალითად ალ. ასათიანს აუკანყდნენ ბიუროს დანარჩენი წევრები, დაგზავნეს თავიანთი გადაწყვეტილება, რომ “დღეიდან ალ. ასათიანი აღარ არის ჩვენი წარმომადგენელი ჟორდანიას ფრონტში“ო. ბერლინის სასამართლოც ჩატარდა; ეს აღმოჩნდა დიდი პოლიტიკური საქმე, დატუსაღებულები გაანთავისუფლეს, პროცესში დასახელებული იყვნენ ცნობილნი პირნი. როგორც ამ საქმეში აქტიური მონაწილენი.

ეს სასამართლო ჩატარდა ისე, რომ სპირიდონის ხსენება იქ არ ყოფილა. ისე რომ კოზი ნაცარში ჩაუვარდათ როგორც მის

---

[1] ეს წერილი ბევრი ეძებე და როგორც ზოგიერთი საბუთი ისე გაქრა ჩვენი არხივიდან, რომ არ ვიცი როდის ან ვინ აგვაცალა...

[2] ე. გეგეჭკორი.

მტრებს ისე მის "მეგობრებსაც".

ამის შემდეგ კლამარში ბოდიშებით ამოდიოდა განსვენებული ე. პატარიძე "აბა, რა მოსაწერი იყო ეს ჩემი წერელი"ო.

მიცვალებულსაც ცხარე ცრემლით დასტიროდა ამის მოგონებაზედ, მე დავამშვიდე, ... "სპირიდონმა იცოდა, რომ ეს წერელი ასათიანმა მოგაწერინათ".

კლამარში თითქმის ახალი გადასულები ვიყავით, რომ გავიგეთ რამიშვილის მოკვლა. წინა დღით კრებაზედ დიდი უსიამოვნება ჰქონია თავის პარტიულ ამხანაგებთან, თითქოს ერთ მათგანს სილაც გაურტყამს, ასე გადმოგვცეს.

ამ ამბავმა საშინლად შეგვაწუხა, სპირიდონი მას ყოველთვის პოლიტიკურად ებრძოდა, საერთოდ პიროვნულად არავის, მით უმეტეს რამიშვილს, რომელიც სპირიდონმა ორჯერ გადარჩინა სიკვდილს: ერთხელ ბათუმში ჩვენი დამარცხების შემდეგ, როდესაც ქართველი მხედრები აპირებდნენ მთავრობის დაჭერას და მთავარი წევრების მოსპობას, სპირიდონმა უკუ აგდო მათი გარდაწყვეტილება; "ჩვენ ყოველთვის ტერორის წინააღმდეგი ვართ, დეე, წაიდნენ ცოცხლები"ო.

მეორედ კი აქ ემიგრაციაში 1924 წლის აჯანყების შემდეგ, რომლის მთავარ ავტორად სწორედ ეს რამიშვილი ითვლებოდა; ერთ ემიგრანტ ქართველს[1] გარდაწყვეტილი ჰქონდა მისი მოკვლა, აქაც სპირიდონი გადაეღობა მის განზრახვას, ის დღესაც ცოცხალია და ალბად დღესაც ახსომს სპირიდონის აზრი და მისი სიტყვები.

ჩვენ საკონსულოში ხომ ალ. ასათიანმა სკამი მოუქნია რამიშვილს. ერთი სიტყვით უნდოდა შეპხებოდა. მაგრამ იქ დამსწრეთ ეს უსიამოვნება ამ მინისტრს ააშორეს. რამიშვილი საქართველოს ჰპირდებოდა აჯანყებაში ევროპიდან სამხედრო დახმარებას და, რასაკვირველია, ამასთან ერთად ჰგზავნიდა დიდ თანხებსაც.

როგორც იცი, ამ ოცდაოთხი წლის აჯანყებამ დიდძალი ხალხი იმსხვერპლა.

დიდი აღელვება გამოიწვია როგორც ადგილობრივ, ისე აქ ემიგრაციაში. აქ ზოგიერთი მინისტრიც სხვანაირად მსჯელობდა; "ეს აჯანყება რომ არა ყოფილიყო, ხალხი დაგვივიწყებდა"ო.

თავის გამართლებას შეუდგნენ; "უამისოდ ჩვენ შიმშილით დაეხოცებოდით"ო. ოღონდაც პოლონეთიდან ნაშოვნ თანხას დიდხანს ინაწილებდნენ.

...ამ დროს ჟორდანიას მთავრობას ჩამოშორდა ირაკლი წერეთელი ეს ცნობილი ს. დემოკრატი, თვალსაჩინო წევრი ამ პარტიისა და კარგი პიროვნება. სხვათა შორის აღელვებული იყო ამ აჯანყებით და სპირიდონს შეეკითხა, "იცოდით რამე ამ აჯანყების შესახებ, მე არაფერი გამიგია, მე ამის გარეშე ვიყავი"ო. აბა რას ეტყოდა სპირიდონი, იმას ხომ არავინ გააგებინებდა ამ მოსალოდნელ უბედურებას.

[1] ლ. რუხაძე.

ჟორდანიას ხალხი არაფერსა ზოგავდა, რომ სპირიდონს სახელი გასტეხოდა, როგორც საქართველოში, ისე აქ ევროპაში, მაშინდელი წერილი ჟორდანია-რამიშვილისა საქართველოში მიწერილი ამისი უტყუარი საბუთია.[1]

მე რომ საქართველოდან მოვდიოდი ერთმა ცნობილმა ს. დემოკრატმა გ. გიორგაძემ მინახულა და დამავალა; "გადაეცით იქ, რომ ემიგრაციამ თავი დაგვანებოს, რამდენჯერაც მთავრობა იმედიან წერილს გვიგზავნის: "არასოდეს ჩვენი საქმე ისე კარგად არ ყოფილა, როგორც ეხლა"ო. ამას მოსდევს ხალხის დაჭერა და ციხე; გარდა ამისა იცოდნენ, რომ რასაც იქ სამი კაცი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი და გეგეჭკორი გარდასწყვეტენ, მეორე დღეს აქ ჩეკამ იცის, არ ვიცი რა ვიფიქრო"ვო!!!

ეს მართლა ასე იყო, ყოველ ჟორდანიას მიერ მოწერილ წერილს საქართველოში დიდი რეპრესიები მოსდევდა, ამიტომ ემიგრაციას აღარ ენდობოდნენ ქართველები, "ემიგრაციამ დაგვანებოს თავი"ო, ბევრჯერ გამიგონია.

სპირიდონი ებრძოდა მთავრობის მუშაობას, ერჩიენა პირში ეთქვა, რომ ქართველ ერსაც გაეგო, რომ ასცდენოდა მომავალში ყოველგვარი უბედურება.

მაგალითად, როდესაც მათმა წარმომადგენელმა, მესამე ინტერნაციონალის რეზოლუციას ხელი მოაწერა, სადაც ნათქვამი იყო, რომ "უნდა ხელი შეეწყოთ ბოლშევიკურ რეჟიმსა"ო.

მამამ ამ საბუთით ხელში სათვისტომოს კრებაზედ იქ დამსწრე ს. დემოკრატები ცუდს გუნებაზედ დააყენა.[2]

ამ კრებაზედ ჯერ საბუთი არა სჩანდა, მხოლოდ სიტყვიერად განაცხადა, რომ ეს შეუძლებელი და ამაღლებელიაო.

ადგილებიდან ისმოდა ყვირილი, "აბა საბუთი თქვენი ნათქვამისა"ო, სპირიდონმა დიდხანს აწვალა, "მაინც და მაინც საბუთი გინდათ, აი ეს საბუთიცა", ენა პირში ჩაუვარდათ, როდესაც ჯიბიდან, დიდ სიჩუმეში, დინჯად იღებს ქაღალდს და ამ რეზოლუციის იმ ადგილს მკაფიოდ წაუკითხავს დამსწრეთ.

შემდეგში უფრო მნიშნელოვანი ფაქტები არის აღსანიშავი, როდესაც მთავარობამ თავისი არსებობაც უარჰყო და ხელწერილი მისცა 1945 წელს სტალინის წარმომადგენელს,[3] რომ პოლიტიკურ მუშაობაზედ ხელს იღებს და მოუწოდა ემიგრაციას საქართველოში დაბრუნება, ამის საბუთი, ვფიქრობ სადმე იქნება გადარჩენილი.

ომის წინა წლებში ეტყობა სტალინი და ბერია თავიანთ არეს

---

[1] „კვინიტაძე, ქაქუცა და სპირიდონ კედია ბოლშევიკების აგენტები არიან"ო და „მანდ გაამაგრეთ შალვა ამირეჯიბის ჯგუფი"ო

[2] ცოცხლად მახსოვს ეს სცენა: სპირიდონი ხელის ნაბიჯით ადის ესტრადაზედ. დამშვიდებით, კარგა ხანს თავის სათვალეებს სწმენდავს. დამსწრე სოციალდემოკრატებს გადახედავს: „დიდი ხანია არ მინახეხართ! ძალიან კარგ გუნებაზედ სჩანხართ"ო. წინა რიგში გრიშა ურატაძე ტუჩებს ნერვიულად იხელებს...

[3] თავაძეს

ასუფთავებდნენ და სადაც კი მოწინააღმდეგი ეგულებოდათ შიგნით თუ გარეთ, უნდოდათ მათი თავიდან მოშორება.

ვერ 1937 წლის ხალხის მასიური ჟლეტა, ჩემი აზრით, ლელოც ხომ თურმე იმ შავ დღეებში მოსპეს.

აქ ევროპაში თუ ვინმე ეგულებოდათ იმის მოსპობაც გარდაწყვეტილი ჰქონდათ. მექსიკაში შეხიზნული ტროცკი მოიშორეს, მოჰკლეს.

რამდენჯერმე სცადეს სპირიდონის თავიდან მოცილება, საშინლად ნანობდნენ, რომ ის ციხიდან გამოუშვეს და სხვებთან ერთად გადმოასახლეს.

ერთხელ საღამოს ცხრა საათზედ მოგვეელინა ვილაც უცნობი კაცი, თითქოს სიცოცხლის დამზღვევი, ეზოს კარები ამ დროს დაკეტილი იყო, მაგრამ იმდენი დარეკა ზარი, რომ იძულებული ვიყავი მეუსულიყავი და რომ მითხრა, მინდა თქვენი ქმარი ვნახოვო, ეიცანი ეს კაცი, რომელიც ჩვენ კარებთან ტრიალებდა შუადღის ორი საათიდან; არ მინდოდა მისი შემოშვება, დამიწყო ვაჭრობა, "საჭირო საქმე მაქვს, გამოვიდეს"ო.

თუ სპირიდონი გამოვიდოდა, კარებიდან იმას ადვილად შეეძლო ეენო, საკმარისი იყო კარების ზემო მხრიდან ხელი გაედმოეყო, საბედნიეროდ ამ დროს სპირიდონი თავის ოთახში წამოწოლილი იყო და ისვენებდა.

იმ ხანებში ჩვენი სახლის ზემო სართულში ვახტანგ მაჩაბელი ცხოვრობდა თავისი ცოლით. იმან ფანჯრიდან გამდოიხედა, მირჩია, გაუღეთ კარები, შემოვიდესო.

შემოვიდა ეს უცხო ადამიანი და ჩვენც შევყეთ სპირიდონის კაბინეთში. ვახტანგ მაჩაბელი, იმისი ცოლი, რომელიც ორსულად იყო და ამ სცენას ისიც არ ასცდა თავისი დარგვალებული სილუეტით, რასაკვირველია, ჩვენც სამივენი.

ეს კაცი დაიბნა, ხელში რალაც პორტფელი ეჭირა, მაშინათვე მაგიდაზედ დადო და შეშინებული გაგვიჩერდა, თითქოს ელოდებოდა გეთქვა, "ხელები ასწიე"ო და განიარალება მოგვეთხოვნა.

სპირიდონმა მწყრალად უთხრა; "თქვენი საქმეებისათვის ასე გვიან დადიხართ და ოჯახებს აწუხებთ თქვენის დარბაზობითა"ო, ცივად გაისტუმრა ეს ვითომდა "სიცოცხლის დამზღვევი", მაგრამ ვილაცის მიერ ცუდის განზრახვით მოგზავნილი, სწორედ სიცოცხლის მოსასპობად.

საჭირო იყო მაშინათვე პოლიციაში ტელეფონის დარეკვა, ეს კაცი იძულებული გახდებოდა ბევრი რამ ეთქვა, ფრანგულს თითქმის ვერა ლაპარაკობდა, რასაკვირველია, უცხოელი იყო.

წავიდა ეს პირველი შიკრიკი ხელცარიელი.

მეორედ კიდევ სულ უკანასკნელ ხანებში, სწორედ ომის დაწყების წინა თვეში, როდესაც აშკარა იყო რომ სპირიდონის მოკვლის სურვილი ეჭვს აღარაფის დაუბადებდა.

ერთგული ძაღლი გვყავდა. ეს იყო შენი პატარა ტანის მჭონე, ძლიერი ხასიათით, ჭკვიანი და ალღოს ამღები, ჩვენი "ქუჩია".

გზაზედ თუ ვინმე გაიელიდა და ჩვენს სახლის მახლობლად გაჩერდებოდა, მაშინათვე ის ყეფით აგებინებდა; "აქა ვართ და ნუ შეგვაწუხებთ"ო.

ერთ საღამოს ზაფხულის თვეში, ეს იყო აგვისტოში, რამდენადაც მახსოვს, ღამის ათ საათზედ ქუჩიამ ასტეხა საშინელი ყეფა, ეზოს კარები, რასაკვირველია, დაკეტილი იყო, მაგრამ თუ გაუჭირდებოდა ქუჩიამ ადვილად იცოდა გადახტომა, ჰო და უცებ გადახტა და ერთ კაცს, რომელიც თითქოს სეირნობს და ნელის ნაბიჯით ადის ჩვენს ქუჩაზედ, ისეთი ამბავი აუტეხა, რომ ამ კაცმა აღარ იცის, როგორ მოიშოროს თავიდან, ამათ ბრძოლას მე და შენ კარებიდან თვალყურს ვადევნებთ და გვიკვირს ამ კაცის ასე დაგვიანებით აქ ყოფნა, ვის ელოდებოდა.[1]

ამ ძაღლის აფორიაქებამ შეგვაწუხა იმდენად, რომ სპირიდონიც მოგვემატა, გაალო ეზოს კარები და ქუჩიას ეძახის, ის არ ემორჩილება და ყეფით მისდევს, საცაა სწვდება კიდეც, დიდ ბრძოლაშია ეს ჩვენი ერთგული ამ დაუპატიჟებელ სტუმართან. სპირიდონი მათ გაშველებას იწყებს მაგრამ ძაღლი არა წყნარდება, ეს უცხო კაცი მაინც იქაურობას არა ჰშორდება, მისი სახე ამღერეულადაც კი მოსჩანს იმ გაზის ლამფაზედ, რომელიც ჩვენს ეზოს კარებს კარგად აშუქებდა, თითქოს ის კიდეც ბრაზობს, თითქოს რალაც მოქმედებაც გარდასწყვიტა, ერთ დროს წამოიწია. "სპირიდონ, მაგისი სახე არ მომწონს, მოვრიდე", ვეძახი, როგორც იყო ქუჩია შე მოვაგდეთ და ჩვენც შემოვყეთ.

მაგრამ შენ ქუჩიაზედ უფრო ფხიზელი აღმოჩნდი, ვერ ისვენებდი და სულ ეზოს კარებს უყურებდი.

ერთი საათის შემდეგ შეშინებულმა გვითხარი, ის კაცი არ არის წასული, ჩვენ კარებზედ გარედან არის ამოცოცებული და იყურება"ო.

მაშინათვე სამივენი გაველით გარეთ, აღელვებული ქუჩია კი გარაჟში ჩავკეტეთ.

ამ უცნობმა იფიქრა, რომ სჯობია ხერხი ვიხმაროთო, თითქოს ჩვენ სახლს ჩაუარა და ტყეს მისცა თავი.

შენ მაშინათვე დაეშვი კომისარიატისაკენ, მამა გიყვირის "სად მიდიხარ, რას მიშვრებით, მარცხვენთ, ტყუილუბრალოდ ამ შუა ღამისას აწუხებთ სალხსა"ო. სპირიდონს კიდეც არა სჯერა.

პატარა ხანს უკან მოსდიხარ ორი პოლიციელის თანხლებით, მოვიდნენ, შემოუარეს ტყეს, ვერავინა ვნახეთო, ალბად ვინმე მთვრალი იქნებოდა და გზააბნეული დადიოდაო, ნუ გეშინიანთო, ასე გვანუგეშებდნენ მე და შენ. მამა კი ცოტა გამწყრალი გვიყურებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმა მათგანმა რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა, ავიდა მაღლობზედ ჩვენ სახლის წინ რომ იყო და ბუჩქებს ელექტრონის ლამფა მიაშუქა, უცბად მოგვესმა მისი მრისხანე ხმა:

---

[1] უნდა ესთქვა, რომ ჩვენი სახლის მდებარეობა იდეალურია ცუდი განზრახვებისათვის... ტყე და სხვა არაფერი!

"აქ რა გინდა, რას აკეთებ", თრევით ჩამოიყვანა, ჩვენ სალამოს სტუმარს გაუშალა სილა და აატირა. "ცოლშვილიანი ვარ" იყო მისი პასუხი. "მერე ამ დროს რა გინდა აქ ოჯახის პატრონს ამ ქუჩაზედ ღამის 11 საათზედა"ო.

გაჩხრიკა, ჯიბიდან ამოაცალა იარაღი, და კომისარიატში წაიყვანა. მეორე დღეს სპირიდონი დაიბარა კომისარმა და წაუყენა: "ეს ის კაცია, რომელიც თქვენთან დაიჭირეს და იარაღი აღმოუჩინესო?"

სპირიდონმა დაადასტურა, მაგრამ ისეთი სანახაო ყოფილა, ისეთი საწყალი და დაბეჩავებული, რომ სპირიდონს უთხოვნია კომისარისათვის "ჩემი გულისათვის ამ საცოდაზე ნუ დასჯით, გაანთავისუფლეთ"ო. ოხ, ჩემო სპირიდონ — "ეგ ჩვენ ვიცით, ვისი ჩაგონებით აპირებდა ტერორს, ამას მივაკვლევთ"ო.

ალბად გაოცებული კი შეხედავდა კომისარი მამაშენს, ჩემო თეო, რომელსაც ადამიანი ცურ დაუცერებდა, რომ მაშინ ის კაცი ცული განზრახვით იყო მოსული.

დაკითხვის დროს უთქვამს, "რომ უნდოდა იმ ღამეს ქალების სილუეტები ენახა, ამიტომ მიეყვდი" მერე ამისათვის რევოლვერი რა საჭირო იყოო, უყვიროდა ალბად კომისარი. ეს სილუეტები როგორ უნდა ენახა, საიდან აპირებდა ამ ოპერაციას!

მალე ომიც გამოცხადდა და ამ კაცის კვალიც დაეკარგეთ, ალბად ჯარში გაიწვიეს და ციხეში ხანგრძლივი ყოფნა ამით აცდინეს.

ჩვენი ოჯახის ყოველდღიური ცხოვრება იმ დროს უცვლელი იყო, ე.ი. სპირიდონი პარფიუმს ამზადებდა და ითმენდა იმ წვრილწვრილ უსიამოვნებებს, რომელიც არ აკლდა ამ პარფიუმის საქმეში გიორგის შემდეგ; შენ ივანტთან განაგრძობდი მუშაობას და ემზადებოდი კონსერვატორიაში შესასვლელად.

რაც შეეხება პოლიტიკას, რომელსაც ჩვენი ოჯახი მხედველობიდან არა პკარგავდა, ვიდრე გერმანია და რუსეთი ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ, ძნელი იყო ადამიანს იმაზედ ეფიქრა, რომ ამ დიდ ნიაღვარს მოჰყებოდა ჩვენი ქვეყნის ბედის გადახრა. ამ მომენტმაც არ დაიგვიანა, ერთ დღეს დილის ექვს საათზედ ტელეფონი დაირეკა, გაგვაგებინეს, რომ პიტლერი რუსეთისაკენ ილაშქრებს, "ეხლა კი იმედი უნდა ვიქონიოთ, საქართველოს ბედიც საბედნიეროდ გარდაწყდება"ო. საშა ცომაია იყო.

ომის გამოცხადება

პირველსავე დღეს ენახე შეშინებული ფრანგების მოქმედება, კლამარში ბევრმა დასტოვა თავისი სახლკარი და თითქმის ცარიელი ხელით გაუდგა გზას, რომ აეცდინათ ომის ცეცხლი, სხვაგან ფიქრობდნენ დამშვიდებულ ცხოვრებას, მაგრამ სად?

მაგონდება ჩვენი მოსამსახურე ქალი, რომელიც მოეიდა ჩვენთან გამოსათხოვნელად, ბავშვით ხელში ტირილით მოსთქვამდა; "თუ დაერჩი, გერმანელები ამ ბავშს მომიკლავენო".

ბევრი ეურჩიეთ ადგილზედ დარჩენილიყო, მაგრამ არ დაგეიჯერა, სხვებთან ერთად ჩაჯდა კამიონში და წავიდა.

კლამარს თითქმის გაცილებული, მაგრამ იქვე მახლობლად ეს კამიონი გერმანელების ცეცხლში იყო გახვეული და ნაცრად ქცეული. ეს უბედური ქალი თავის პატარა ბიჭით იქ დაილუპა...

ჩვენი ემიგრაცია ამ ომის გამოცხადებისას ფეხზედ დადგა. ზოგი შეშინებული პარიზის დატოვებას შეუდგა, ვაი თუ ჰიტლერის გერმანიამ ცუდის თვალით შემოგვხედოს, რადგან ჩვენ ჰიტლერის დიქტატურობას არ ვიზიარებთო, ესენი იყვნენ ჩვენი სოციალისტები; პარიზის დატოვებისას ჩხენკელმა სპირიდონს ტელეფონი დაურეკა და შესთავაზა კიდეც ერთად ემგზავრათ.

ახალგაზრდობა კი ალფრთოვანებული ამ ომზედ დიდ იმედებს ამყარებდა. სპირიდონი პესიმისტურად იყო განწყობილი, იმას გერმანიის გამარჯვება საეჭვოდ მიაჩნდა, ამის შესახებ კიდეც მწერდა 1938 წელს კონტრექსეილიდან.[1]

სპირიდონს უგზავნიან კაცებს, რატომ ჰიტლერს მისალოცი დეპეშით არ მიმართავს. "აჩქარდით, არ დააგვიანოთ"ო.

"აი სალიამ გაუგზავნა დეპეშა"ო. იქნება, განგებ ეუბნებოდნენ.

ახალგაზრდობას გამოუჩნდა ახალი კაცი, მომქმედი და ახალგაზრდა პატრიოტი მიშა კედია, რომელიც ამავე დროს გერმანელების დიდის ნდობით იყო აღჭურვილი. ის ადგენს ქართულ ლეგიონს, "თამარ პირველს", ვისაც უნდა ჩაეწერება და ყოველგვარი ხელის შემწყობი პირობებია, რომ ამაზედ თითქმის მთელი ახალგაზრდობა წამოვიდეს. ფულს არიგებენ, და ეს ყველაფერი მაშინ როდესაც ჯერ კიდევ რუსო-გერმანული პაქტი ძალაშია. მაისი 1941 წელი.

დილა ადრიანად მოდის ს. ზ.[2] ბორდოდან ცოლშვილით არის ჩამოსული, თვითონ მიდის ლეგიონში; "ღმერთმა არგუნა მიშა კედიას ეს როლი, დეე ითამაშოს"ო. — წელი არ შესწევს, ეშინოდა, გაკეთების მაგივრად არაფერი გააფუჭოს"ო, იყო სპირიდონის პასუხი..

ლეგიონი მიდის დიდის იმედებით, აცილებენ სადგურზედ, ეროვნული დროშები ფრიალებს, ჩვენ არა ვართ სადგურზედ, არავინ იცის, ვინ არის ამის პასუხისმგებელი, თუ ამ ხალხს სადა ჰგზავნიან, რასა ჰპირდებიან.

როდესაც 39 წ. ომი გამოცხადდა, ბევრი ახალგაზრდა ფრანგებთან ერთად ფრონტზედ იბრძოდა, ესენი იყვნენ მოხალისე ქართველები, რომელნიც ფრონტიდან დაბრუნებულნი გეიამბობდნენ, რომ ფრანგები არ ომობდნენ, ისინი ჩუმჩუმად იკრიფებოდნენ და ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებს აერცელებდნენო. ესენი იყვნენ კო-მუნი-

---

1 ეს წერილი არხივშია.

2 სოლიკო ზალდასტანიშვილი

სტები, რომელთაც შემდეგ დიდი ადგილი დაიჭირეს ფრანგების რეზისტანტების მოქმედებაში, როდესაც გერმანელები აქ შემოვიდნენ.[1]

დაიწყო ომი და თავისი მუდმივი ალერტებით მე მთლად წონასწორობას მიკარგავდა. თუ ქუჩაში მომასწრობდა მისი შემზარავი გუგუნი, სახლიაკენ როგორც დამთხალი ხარი ისე მივრბოდი.

სახლში კი უფრო ამას იოლად ვიტანდი, რადგან ჩვენი ძალლი ქუჩია, ამ ალერტს წინასწარ გრძნობდა, დაიწყებდა ოთახში სირბილს და ტახტის ქვეშ ენა გამოგდებული იმალებოდა, ისე რომ მე მომზადებული ვიყავი, ადვილად ამეტანა ალერტის საშინელი გაფრთხილება.

მაგონდება ერთი სასაცილო ამბავი: ქალაქის თვითმართველობამ მოსახლეობას გაზის საწინააღმდეგო აპარატები დაურიგა. ჩვენც მიეღეთ ამის ახალებად; გაგვიკვირდა მაშინ, რომ როგორც უცხოელებს ფული გადაგვახდინეს, როდესაც ფრანგებისათვის სრულიად უფასო იყო. ეს არ მოგვეწონა, მით უმეტეს, რომ ყოველთვის ნებაყოფლობით ვიხდიდით სკოლის სასარგებლოდ დაწინწულ თანხას და ხანდახან მეტსაც... ეს წვრილმალი ამბავი ძალიან ხშირია.

პირველსავე სალამოს ალერტი რომ დაიწყო, აბა, რასაკვირველია, ჩემი აფორიაქებაც ცხადია, არ დაიგვიანებდა. პო და ჯერ მე ჩამოვიცვი თავზედ ეს აპარატი, შენც გაიკეთე, მაგრამ მამას არ უნდა და არა. ვეხვეწები, ვეევედრები, როგორც იყო, გავაკეთებინე, შენ ხელში გიჭირავს ქუჩია, იმისი გადარჩენა გინდა, სველ პირსახოცში გაქვს გახვეული მისი დინგი და ამბაირად მთელი ოჯახი მძიმე-მძიმედ შეიარაღებულნი გავედით ტყეში, სადაც დაგეხვდა ხალხი, პოლიციელმა შეგვნიშნა, გვითხრა, არ არის საჭირო, თქვენი მასკები, ალერტი უკვე გათავდაო. ძალიან სასაცილონი ვიყავით დინგებ გამოშვერილები.

ჩვენი ოჯახის მიმდინარე ცხოვრებიდან ბევრი რამ დავიწყებული მაქვს. მაგრამ ეს სასაცილო სურათი და 40 წ. კი შენი კონსერვატორიაში შესვლა კარგად მახსოვს, მაგრამ რა გამოიდა. ცუდს პირობებში მოგიხდა ყოფნა პირველ წელიწადს. ამაზედ შემდეგ ვილაპარაკებ მინდა დავუბრუნდე ომის ამბებს.

ფრონტიდან ცუდი ამბები მოდიოდა. ინგლისის გვერდით საფრანგეთი ხელჩაკიდებული სჩანდა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა მათი ერთ უღელში ყოფნა, საფრანგეთმა ისუსტა. ერთ დღეს პარიზი ღია ქალაქად გამოცხადდა, ე. ი. მტერი თავისუფლად დაეპატრონებოდა საფრანგეთის დედა-ქალაქს.

მართლაც მალე პარიზის ქუჩებში გაისმა მათი მწყობრი სიარულის და სამხედრო სიმღერების ხმა, ამას შეწუხებულები შევ-

---

[1] გერმანელების წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში თავი ისახელა ბაზურკა ამილახვარმა, რომელიც De Gaulle-მა დააჯილდოვა Croix de la Liberation-ით. მან დასტოვა ლეგიონში დაუშრეტელი კვალი. ამილახვარიანთ გვარი უცხო არ არის ჩემთვის, ვინაიდან მცხეთის დედათ მონასტრის იგუმენია ამილახვარის ქალი იყო, დედა ჩემის მახლობელი ნათესავი.

ცქეროდით. ეს იყო 13 თიბათვეს 40 წ. მაგრამ როდესაც ერთ საღამოს რადიოში მოისმინეთ მარეშალ პეტენის დამწუხრებული ხმა, რომ იძულებულნი არიან ომი შეწყვიტონ, ამან თავზარი დაგვცა, იმის სიტყვიდან დამირჩა. "ჩვენ არა გვყავს ბავშვები და მეგობრები, მარტონი ვართო".

არ ვაჭარბებ, რომ ყველანი ასე ყოფილიყვნენ განწყობილნი, როგორც ჩვენ, ალბად საფრანგეთი ამ სიმწარეს ასცდებოდა.

მთლად საფრანგეთის ინტერესების მატარებელნი ვიყავით, სპირიდონმა მთელი თავისი ახალგაზრდობა აქ გაატარა, შენ აქ იზრდებოდი და ფრანგულ სკოლაში იყავი, აქა ვცხოვრობდით, ამ ქვეყანას შეკედლებულნი. საფრანგეთი მეორე სამშობლოდ მიგვაჩნდა. ასე რომ ჩვენი ცრემლები არ იყო ნაძალადევი; შენ დაწერილებით გაქვს აღწერილი მთელი მაშინდელი ამბები შენს დღიურში, თუ გამოაქვეყნებ, ბევრ ფრანგს უნდა შერცხვეს, მეტადრე ქალებს, რომელთა თავის დაჭერა საშინელება იყო.

გახსოვომს მიშა კედიამ რომ გაუფრთხილებლად კარს მოგვაყენა ერთი გერმანელი, ჩვენი დახვედრა იყო ისეთი, რომ ეს გამარჯვებული კაცი ამბობდა თურმე "რომ კედიამ ისე მიგვიღო როგორც ძაღლებიო". ეს იყო ერთად ერთი გერმანელი ჩვენთან.

გერმანელების შემოსვლას მოჰყვა გაჭირებული ცხოვრება. შავ ბირჟაზეა გატანილი საქონელი და მაშასადამე დიდი ფასებიც არის დადებული.

ზოგი ახერხებს სანოვაგის შოვნას, საკმარისია გერმანელს იცნობდეს, იმისაგან მიიღებს რაც უნდა, ამას გაჰყიდის კარგ ფასში და ოჯახს გაახარებს.

დაარიგეს პიროვნული ფურცლები, ვის რამდენი გრამი პური ერგება, აგრეთვე შაქარი და გარდა სანოვაგისა, ყველაფერი როგორც ფარჩეული, ისე დანარჩენი ადამიანისათვის საჭირო საგნები შეიძლებოდა მოხერხებით შავ ბაზარზედ გეშოვნა.

მაგრამ როდესაც პარიზის ქუჩაში დავინახე ერთი კაცი, რომელიც რაღაც გულზედ მიკრული ნიშნით თაეჩაღუნული, დამცირებული მეტროში ჩადიოდა, მაშინ დამავიწყდა, პურის ტიკეტებიც და ყოველგვარი გაჭირება.

ებრაელობა იყო დევნილი, ჯერ მხოლოდ ნიშნები ჰქონდათ მიკრული, რომ კარგად ყოფილიყვნენ აღრიცხულნი, მერე კი როგორც პირუტყვები ისე გარეკეს სასიკვდილოდ. კლამარიდან ერთი მარტოხელა ქალი, რომელიც თავს ირჩენდა პატარა საეჭროთი, მალე გააქრეს გერმანელებმა, საშინელება იყო ამ ებრაელების მდგომარეობა. ამავე დროს დიდი ჩირქი გერმანიისათვის, სამუდამოდ შეუშრობელი...

უნდა ვსთქვა, რომ თუ რამე მაშინ ქართველების მოქმედებიდან არის აღსანიშნავი, ეს ქართველი ებრაელობის გადარჩენა, რომლებიც წარდგენილნი იყვნენ გერმანელებთან როგორც ნამდვილი ქართველები.

მახსოვს კლამარში მოვიდნენ ელიგულაშვილი და სანანაშვილი, რომლებმაც სთხოვეს სპირიდონს დაემოწმებინა, რომ ქართველი

ებრაელობა ყოველთვის იყო საქართველოში მიჩნეული როგორც თანაბარი, ნამდვილი მოძმე ჭირშიაც და ლხინშიაც, აგრეთვე ამნაირივე მოწმობა მიიღეს ზურაბ ავალიშვილისაგან, პრაქტიკულად ეს განახორციელა მიშა კედიამ.

კარგი იქნებოდა და უფრო მოსაწონი ეს საქმე, რომ ებრაელობა ქონებრივად არ დაზარალებულიყო, მაგრამ რადგან "კაცნი ვართ ამ სოფლისა", იქნება ეს გასაგებიც იყოს. ერთი ებრაელი ჩიოდა, ქ. დიდი თანხა დაგვადებინაო, ის არ იყო ქართველი, არამედ სპარსეთიდან იყო ჩამოსული, არაფერი ქართველისა მას არა ჰქონდა, მაგრამ ქ. ის მონათლა ქართველად და გადაარჩინა.

გერმანია სულ ახალი გამარჯვებებით წინ მიიწევდა, დაიბარეს კავკასიის ყველა ერის წარმომადგენელნი, სპირიდონმაც მიიღო ასეთი წინადადება საგარეო მინისტრის შულენბურგისაგან, სთხოვდა ბერლინში ჩამოსვლას.

მაშინ კი შეკრა თავისი ჩამოდანი და სპირიდონი გაემგზავრა გერმანიისაკენ. ბერლინიდან მოწერილ მაშინდელ წერილებიდან[1] სჩანს, რომ საქართველოზედ ჯერ ლაპარაკიც კი არავის დაუწყია.

იქაური ქართველებიც სხვა გუნებაზედ ეჭვენენ სპირიდონს, "ჯერ ჩავაცვათ ჩვენ ხალხს და მერე ვილაპარაკოდ საქართველოს დამოუკიდებლობაზედაო".

როდის იქნებოდა შესაძლებელი გერმანელებთან ამ საგანზედ ლაპარაკი პირისპირ გაბედულად, ეს არავინ იცოდა.

სპირიდონი დიდხანს არ დარჩა და მალე გამობრუნდა კლარში. შემდეგ კი უფრო ხანგრძლივად დარჩა ბერლინში მეორე ჩასვლაზედ, როდესაც გერმანელები კავკასიის კარებს მიადგნენ.

შესდგა ეროვნული კომიტეტი მიხაკო წერეთლის თაოსნობით, როგორც წევრები შევიდნენ; ზურაბ ავალიშვილი, სპირიდონი და გ. მაღალაშვილი. ეს კომიტეტი რუსეთიდან ფრონტზედ გერმანელების მიერ ხელში ჩაგდებულ ტყვეებს ჰპატრონობდა. ვისაც აქ მახლობელი ჰყავდა, იმათ განთავისუფლებას გერმანელებს გამოსთხოვდა.

გავიგეთ, რომ ჩემი ძმისწული გიგი პოლონეთის საავადმყოფოში ჰყავთ. გერმანელებს, ტყვედ ჩაპვარდნია უკვე დაჭრილი და გულშეწუხებული, ამიტომ მისი ჩამოყვანა ბერლინში ცოტა დაგვიანდა.

როდესაც ბერლინის მახლობელ ლაგერში მოათავსეს, უკვე მორჩენილი, უკითხავთ, ვინა ჰყავს ნათესავი აქ პარიზში, რასაკვირველია, დაუსახელებიავ მე და ჩვენი ოჯახი.

სპირიდონი ბერლინიდან ფეხით წასულა მის სანახავად და უნდოდა, მაშინათვე მისი წამოყვანა; ლაგერი კარგა შორს ყოფილა მოთავსებული, გაოცებული მიამბობდა, რომ მასთან ერთად მოინდომა წასვლა ამ ლაგერში ვალიამ, მიშას ცოლმა, არ დაერიდა იმ ცხელ დღეში ასე შორეულ გზის აღებასო! სხვათაშორის ერთმა ცნობილმა

[1] მთელი წერილები არხივშია.

გერმანელმა უთხრა სპირიდონს: "ვალია ქმარზედ უფრო ჭკვიანია და კარგადაც მუშაობს"ო.

გიეის ნახვამ გააოცა სპირიდონი, იმისაგან გაუგია, რომ ლეღო 1937 წლიდან დაკარგულია, რომ გიეი ამ მამის უბედურებას "გულგრილად იგონებდაო"; "რა ვიცი, იქნება, რამე მაუნებლობა ჩაიდინა"ო. ასე უთქვამს გიეის.

სპირიდონი ბერლინიდან მალე დაბრუნდა კლამარში, გვიამბო გიეის ამბავი, სთქვა რომ მალე ჩამოვა, ქალალდები არის კიდევ შესავსებიო.

რა მოუთმენლად ველოდით გიეის ჩამოსვლას, შენ გახსომს.

ერთ თვეში გიეი მიშამ ჩამოიყვანა, მითხრა: თქვენი ძმისწული, კომუნისტია, არ ვიცი, რაზედ შეატყო. "აი ცოტა დაისვენოს და ისევ უნდა გერმანიის ჯარში დაბრუნდესო".

ჩვენ კი გაუკეთეთ ფრანგული ქალალდები და გერმანიის ფორმა ავაცდინეთ. გამოცა მისმა ნახვამ, დავტოვე საქართველოში შვიდი წლისა შესანიშნავი კეთილი გულის პატრონი ბაშვი,[1] ეხლა მევლინებოდა ყველას მიმართ საშინელი ცივი, ეგოისტი, ყველაზედ ამბობდა; "თაში ქვა იხეთქოსო"ო იმისაგან გაეიგეთ ლელოს უცვალოდ გაქრობის ამბავი: წალკაში მუშაობდა, სამუშაოდან წამოუყვანიათ, ვილაცას თვალი მოუკრავს ჩეკაში რომ შეპყვადათ, მერე კი აღარაფერი; საცოდავი დედაჩემი თურმე რამოდენიმეკერ იქიდან ამ პასუხით გამოუსტუმრებიათ: "სამუშაოდ არის გაგზავნილიო". ეკითხე, ისა და მისი ძმა ოთარი რას ფიქრობდნენ, "იქნება, რამე მაუნებლობა ჩაიდინაო", ერთი სიტყვით ის ამ ამბით არ იყო აღელვებული!..

მიამბო, თუ რა პირობებში დასტოვა თაეისიანები, საშუალო სკოლის მოწაფე ყოფილა, როდესაც წამოუყვანიათ, მაგრამ არ უთქვამთ, რომ ომია და იქ უნდა თოფი აიღოს ხელში.

"დილით მივედით საზღვარზედ და რომ დაეინახე მინდორი მკვდრებით საესე, მაშინ კი მიეხვდი, სად ვიყავიო".

პირველი მისი ჩემთან გამოლაპარაკება იყო: "მამიდა, პატიოსნად ცხოვრება არ შეიძლებაო".

მართლა და სხვა რა უნდა სცოდნოდა, რა უნდა ჩამოეტანა იმ რეჟიმიდან სადაც ცარცვა გლეჯა იყო ერთადერთი საშუალება, ადამიანს ლუკმაპური ეშოვნა. თუმცა ბევრმა სიმშილი აირჩია სხვა და სხვა ხერხით ცხოვრებას. გიეის შეილად ვთელიდი, ამიტომ არ ვურიდებოდი მის დატუქსვას, თუ რამე არ მომეწონებოდა.

მინდოდა ესწავლა, ენები მაინც შეესწავლა, არ მოინდომა: "გინდათ, მამიდავ, დამარწმუნოთ, რომ სწავლა საჭიროაო", ზოგჯერ მელერიეებოდა კიდეც, როდესაც ვარიგებდი. კეირაში ერთხელ მოდიოდა ფრანგული ენის მასწავლებელი Alice Morel, თეოს მეგობრის

---

[1] მახსომს ლელოს ნაამბობი: „ერთ ზამთრის გაყინულ თოელიან დღეს გიეი ფანუარასთან სდგას და დაღონებული მიმართაეს მამას: „საწყალი მამიდა სონა, ახა ამ სიცივეში ეინ მიეტანს შეშას ან ცეცხლს ეინ დაუნთებს"ო. ეს მაშინ, როდესაც მარტონი ეიყვეთ და სპირიდონი ეეროპაში.

და — გერმანულისათვის რუსის გრაფინა ბარანოვა.

კარებში რომ შევუხერხებლი, მე მიმაყენებდა და თვითონ პირველი გაიელიდა: "შე თქვენზედ ადრე მოვადექი ამ კარებსაო".

ამ ბიჭმა მადლობის თქმაც არ იცოდა;

ის იყო პირველი ტყვე პარიზში ჩამოსული, მაშასადამე ქართველებისათვის ყველაზედ საყურადღებო და გრძნობების გამომწვევი.

ყველა ყურადღებით იყო მის მიმართ, ერთ სადილზედ ასე იყო ნათქვამი. "შენი ჭრილობა, ჩვენი ჭრილობა არისო". გივის ყურიდან შუბლზედ გადმოსულ ჭრილობას კვალი ჰქონდა დარჩენილი.

ქართველ ქალთა სახელით დიდო ამილახვარმა გადასცა ეერცხლის სანთებელა წარწერით. გამორთმევით კი გამოართვა, ხელში შეატრიალა, მაგრამ მადლობა არ უთხრა. ქალები, რომელნიც იყვნენ მაშინ ჩვენთან პირში შესცქეროდნენ, მაგრამ იმისაგან ეერაფერი გაიგეს, მოიწონა თუ არა მათი სიყვარულით მოტანილი საჩუქარი.

ახალი ჩამოსული იყო გივი და ერთი სალამო პარიზში გაატარა ერთ ქართველ ტყვესთან,[1] ისიც განთავისუფლებული, კარგი ნაცნობი გივისა.

გათენებისას მოგვადგა პოლიცია, რას ეძებდნენ, ან ვისა. ვითომ მოვიდნენ გივის სანახავად, მაგრამ უცნაურად მოიქცნენ. გივის საწოლს უსუნეს, ალბად ჩვენი ქარხნის მუშებმა პარფიუმი გაიტანეს და უნდოდათ ეს მარცხი მუშებს გივიზედ გადაეტანათ. აქ ერთი ეპიზოდი მაგონდება.[2]

პოლიციელებმა მოინდომეს ზემო სართულის დათვალიერება და როდესაც მე თამამად გაეუძეხი, იმათ თავი აღარ შეიწუხეს. კეირა დღე იყო, ალბად იფიქრეს, რომ წინა საღამოს, ე. ი. შაბათს შამპანიურის ცარიელი ბოთლები მაინც დაუხვდებოდათ, ეს იმისი ნიშანი იქნებოდა, რომ გერმანელები იყვნენ ჩვენთან დროს გასატარებლად, მით უმეტეს, რომ იმჟამად სპირიდონი ბერლინში ეგულებოდათ და ჩვენ მარტონი ვიყავით.

ისიც გაიოცეს, როდესაც შენ ხელის კანკალით აიღე ტელეფონის მილი და ფრანგულ პოლიციას დაურეკე, იკითხე, მართლა ესენი იქიდან იყვნენ გამოგზავნილნი თუ არა; ესენი ფიქრობდნენ, თუ გერმანელების მეგობრები ვიყავით, ამ შემთხვევაში იმათ მიემართავდით და არა ფრანგებს, ისიც ნახეს, რომ ცეცხლი არ გვქონთ და საშინლად ციოდა ბინაზედ, მაშასადამე გერმანელებიდან ნახშირი არ გვეძლეოდა.

ეს ყველაფერი მ. მაჩაბლის მიერ იყო მოწყობილი, მისი თავ-

---

[1] ლეო გეგეჭკორი.

[2] გივი შემთხვევით დაესწრო იმ მომენტს როდესაც ჩვენი ქარხნის უმთავრესი მუშა Lacombe ჯდება გ. დადიანის მანქანაში, მოსული იმის წასაყვანად, და პკოცნიან ერთმანეთს. უცბად იმათ შეამჩნიეს გივი, რომელიც სწორედ იმ დროს ტყიდან ბისიკლეტით მოდიოდა! — ამას მოჰყვა ქრთამი. მოკლე ხანში გ. დადიანმა გივი ფეხბურთის შეკიბრებაზედ წაიყვანა...

დასხმა ომის ალერტებზედ ნაკლები არ იყო...[1]

მაშინ გიგი ჩვენთან არის და ეფიქრობთ, მაინც სასწავლებელში სადმე შევიყვანოთ. რადგან ძალიან ნიჭიერი იყო მექანიკაში, მოვათავსეთ ტეხნიკურ სასწავლებელში, ისიც ორი წლის შემდეგ. ეს ორი წელიწადი მთლად უსაქმოდ იყო, მაშინ როდესაც სხვა ტყეები პირველ დღიდანვე ლუკმა პურისათვის მუშაობდნენ, თუმცა ნათესავებთან ცხოვრობდნენ. ზოგი მათგანი კი თავის ნათესავს მხარში ამოუდგა და მისი ოჯახის საქმიანობაში დატრიალდა. როგორც მაგალითად კალატოზიშვილები, დათიკო ურატაძე და სხვები.

გიგი ამ ტეხნიკურ სასწავლებელში უგულოდ დადიოდა. ჯაერობდა, რომ ცხოვრება გვეჭირდა: "სადაც მივალ, ყველგან კარა-ქის დიდი ნაჭერი დევს, თქვენ რა დაგემართათ, რომ ვერაფერსა შოულობთ"ო.

მარტო კარაქის საქმე არ იყო... ეს იყო ნამდვილი ქელეხი საფრანგეთის ხარჯზედ. დიდი დოლეათი ყოველ დარგში: ზოგი ამ ომიანობაში ხსნის მრეწველობას, ზოგი იძენს დიდ ქონებას, ერთმა გაზიდა საფრანგეთის ოქრო, ერთი ახალგაზრდა ფრანგული ჯარიდან დაბრუნებული ისე მდიდრდება შავ ბაზარზედ, რომ იხრჩობა ფულებში. თურმე Boite de Nuit-ში ქალალდის ფულს ჰაერში ფანტამს...

ზოგი ებრაელების უბედურებით ხომ სარგებლობს. ომის შემდეგაც იოსებ ელიგულაშვილი სპირიდონთან ჩიოდა: "დღესაც აღარ მასუნთქებენ"ო და ბევრი სხვა...

იგივე განსვენებულმა ელიგულაშვილმა უთხრა მამას: სპირიდონ, ეხლა არის დრო ფულის შოვნისა, "საკმარისია ერთი ძვირფასი თვალი წაიღო" — სპირიდონი ხომ მიდიმოდიოდა ბერლინში დიპლომატიური პასპორტით, რასაკვირველია, მისთვის ყველაფერი იოლი იქნებოდა. "აბა, ეხლა ბუდილნიკებს ხომ არ დავიკიდებ"ო იყო სპირიდონის პასუხი.

ბევრმა ომის შემდეგ ქრთამით გადაარჩინა თავისი ქონება.

მე ამ დროს სიმშილის გამო გაფოთებული ლექსებსა ვწერდი ყველა ამ "გმირებზედ" ერთ მათგანს ვათქმევინე: "გესტაპოზედ შეძენილი, გეპეუზედ მეხარჯება".[2]

შენკი ჩემო თეო ამას ყველაფერს ღრმად განიცდიდი. ზურაბ ავალიშვილთან მიწერ მოწერაში ამყლავნებდი შენს პესიმიზმს. ზურაბის პასუხი ამაზედ ძალიან საყურადღებო, არხივში მაქვს შენახული.

რასაკვირველია, ომის დროს ვინც შავ ბაზარზედ ვერაფერს იყიდდა, ისინი შიმშილობდნენ, ეს იყო ჩვენი მდგომარეობა, აბა გიგის, ახალგაზრდას როგორ დავაკმაყოფილებდით, ჩვენც ბევრი გვაკლდა და იმასაც.

---

[1] ეხლავე, ყველაფერ ამას კიდევ ეიმეორებ. აქედანა სჩანს, რომ წლების განმავლობაში ეტოვებდი ამ ჩემ რვეულს, და შინაურულად, კანტი-კუნტად თეოს უზებირებდი იმას, რასაც დაჟინებით მთხოვდა ყველაფერი დაეწერა და რაც უმთავრესია, არასოდეს არ მიფიქრია ამისი დაბეჭდვა.

[2] ღვეს ლექსები ხომ სულყველაფერი შენა გაქვს ჩემო თეო, შენახული!

გამწყრალი გეეჯდა, მუშაობა არ უნდოდა, თუნდაც ამისი საშუალება მისცემოდა, თუნდაც იოლი, "ფიზიკური მუშაობა ადამიანს სცვეთამსო".

ბერუჯერ ის იყდა და სპირიდონს ან შენ ამოგქონდათ სარდაფიდან ნახშირი, და ის არ ინძრეოდა! უცნაურად ეჭირა თავი, ლამაზი ხმა ჰქონდა, ჰო და როდესაც დაიწყებდი სიმღერას, გვინდოდა, ისიც მოგვყოლოდა, გაჯიუტდებოდა, ხმას არ ამოიღებდა, ერთხელ მითხრა; "ფული მომეცით და მაშინ ვიმღერებო"!

თუთუნსა სწევდა, ამისათვის არ ეკლებდი ჯიბის ფულს, მაგრამ ეს რა იყო იმასთან შედარებით, რაც მას უნდოდა, ე. ი. ნებიერი, უდარდელი ცხოვრება, რაც მისმა მამიდამ ვერ მისცა.

ეხლა მინდა თვალი გადავაყოლო შენ მაშინდელ ცხოვრებას, შენს ჯანის მთლად დასუსტებულ მდგომარეობას. ისე რომ გივი რომ ჩამოვიდა, შენ მაშინ ძალიან ცუდათ იყავი და დროებით არპაჟონში ატარებდი დროს, ჰაერზედ იყო საჭირო შენი ყოფნა და ამავე დროს ცოტა უკეთესი კვება. იქ უფრო ადვილი იყო რძისა და კვერცხის შოვნა, რადგან მეზობლად იყო გოგოლაშვილის ოჯახი და იმათ პატარა ფერმასაით რაღაცა ჰქონდათ.

გივი ახალი ჩამოსული იყო, რომ შენ სანახავად წამოვიყვანე არპაჟონში. მოუთმენლად ელოდებოდი შენ ბიძაშვილს, სადგურზედ გამოსული. მატარებელში ვიყავით ჯერ კიდევ, რომ ვუთხარი გივის, აბა გადაიხედე, იცანი რომელია თეო, ერთი თვალის დაკერით გიცნო; "აი ის უნდა იყოსო". არ გენახათ ერთმანეთი 1928 წლიდან. გადაეხვიეთ უსიტყვოდ ერთიმეორეს და წაველით შენს ოთახში.

ეს იყო 1942 წელს. შენ იყავი კონსერვატორიაში შესული ივ ნატის კლასში, მაგრამ ერთი წლით შეებურება გქონდა ნათხოვნი, იმდენად ცუდათ იყავი. დიდი სისხლნაკლებობა გქონდა და გიძნელდებოდა სიარული, თავბრუ გეხვეოდა. გამოცდაზედაც არ გინდოდა წასვლა, მაგრამ ივ ნატმა დარეკა ტელეფონი; "უსათუოდ მოვიდესო". მართლაც გაამართლე მისი მოლოდინი და შოპენის პირველი ბალადით შენც გაიხარე და ჩვენც კმაყოფილნი დავრჩით, ჟიურიმ ერთხმიანად მოგიწონა. სამი კვირის შემდეგ მეორე გამოცდა, რომლის მიზანი იყო, ტეხნიკურად მომზადებული ხარ თუ არა, ესეც კარგად ჩატარდა.

დაიწყე სიარული, საშინელი ზამთარი დაიჭირა, შენი ფეხსაცმელები ხისძირიანი და ზევიდან ტილო გადაკრული სიარულს არ გიადვილებდა და ფეხებიც დამძრალი გქონდა, კონსერვატორიის დიდ კიბეზედ ამ პირობებში ასვლა არ იყო იოლი ასატანი. შენი ტოლი ქალები მაშინ თუ ტყავისა არა ლიეჟის მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზედ იყვნენ შემდგარნი. საერთოდ ყველანი, მაშინ, ამაღლებულნი, იყვნენ!_

ერთმა ქართველმა ქალმა კიდეც მისაყვედურა: "რა დაგემართათ, თეოს უყიდეთ ლიეჟის ფეხსაცმელებიო... აი ამ პირობებში

[1] ერთი სიტყვით, პედაგოგს გამაცნო ახალი ფილოზოფია!

შეპხედი შენ ბიძაშვილს. თქვენ ორიენი გახდით ჩემი საზრუნავი, ზომ გახსომს, არაფერში გარჩეულით. სპირიდონი ბოლო ხანებში უფრო დროს ბერლინში ატარებდა.

როდესაც პიტლერი კავკასიას მიუახლოვდა, მაშინ საჭირო იყო ფხიზლად ყოფნა, ქართველები ამაზედ დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ჩვენ საკითხს გერმანელები ათრევდნენ, როგორც შემდეგში გამოირკვა, ისინი არაფერს გაგვიკეთებდნენ ჩვენთვის სასურველს, პირიქით საუკეთესო ქართველებს მოსპობდნენ და საქართველოს პატარა კოლონიად აქცევდნენ.

სპირიდონი პირადად იცნობდა პიტლერს. 1925 თუ უფრო გვიან, ეს მე არ ვიცი, იგი გაიცნო მხატვარ პროფესორ კურსელის ოჯახში, მაშინ როდესაც მას ცოტა ჰყავდა მიმდევარი, ამიტომ როდესაც სპირიდონმა საქართველოს საკითხი გააცნო, თურმე დიდის ყურადღებით უგდებდა ყურს და დაჰპირდა კიდეც, თუ მოსკოლში გერმანიის მეთაური იქნებოდა, საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას მისცემდა.

რა ენაღვლებოდა, დაპირებით კი დაჰპირდა, მაგრამ ეს ატაცებული ადამიანი რას იზამდა, როგორ იმოქმედებდა, ვინ იცის.

უკრაინაში ყვავილებით დაუხვდნენ, მაგრამ სტატა ხელი საუკეთესო პატრიოტებს და დახვრიტა, როგორც მაშინ ამბობდნენ. შემდეგში აღმოჩნდა ეს ყოფილა თურმე რუსების პროვოკაცია.

სპირიდონისათვის ხშირად მიკითხავს, იმ საღამოს კურსელის ოჯახში რომ ნახა, მაშინ ჯერ კიდევ თავში თავისი დიდკაცობა არა ჰქონდა აყარდნილი, როგორი შთაბეჭდილება დასტოვა პიტლერმა.

"რაღაც გულჩახვეული, მისტიკი, აჩქარებულიც ამავე დროს, მთელი მისი მოძრაობა იმას მოწმობდა, რომ ის სადღაც, რაღაცას მისჩერებოდა, უცბად წამოხტა და გამოგვეთხოვაო".[1]

ეროვნული კომიტეტი ბერლინში[2]

ამ კომიტეტში თავიდანვე ერთსულოვნება არ იყო იმის გამო, რომ მისი თავმჯდომარის, მიხაკო წერეთლის აზრით ყველა უნდა ნაცი-

---

[1] მაშ ამ კავკასიასთან მისმა გამარჯვებამ გამოიწვია სპირიდონის წერილი პიტლერთან. აგონებს მის დაპირებას საქართველოს საკითხზედ და ამასთან ერთად აფრთხილებს, თუ კავკასიის ერებს არ გადასძახებთ თავისუფლებას, დიდი კატასტროფა გელით"ო სიტყვა სიტყვით. ეს წერილი სპირიდონმა De Courcel-ს მიუტანა რომლისაგან გაიგო, რომ „ეხლა ეველარა ეხედებიო. მაგრამ გპირდებით სანდო კაცს გადაეცემ. ამას იგი პირდაპირ ხელში ჩააბარებს"ო. არ ვიცი ამ წერილმა იმამდე მიაღწია თუ არა? საწუხაროდ მისი ასლი ერთ ხანს შენახული, ლიბერაციის დროს მოესპეთ.

[2] ეროვნული კომიტეტის წევრები: მ. წერეთელი, ზ. ავალიშვილი, გ. მალალაშვილი და სპირიდონი.

ონალ-სოციალისტად მონათლულიყო, მაშინ ქართველები შეიძლებნენ საქართველოში "თეთრი გიორგი"ს ნიშნით.

სწორედ ამ მიმართულებით დიდი პროპაგანდა სწარმოებდა ახლად ჩამოსულ ქართველ ტყვეებში.

გიეი, რომელიც იყო მაშინ ტყვეებთან ერთად ბერლინში, მიამბობდა, რომ ერთმა ეროვნული კომიტეტის წევრმა[1] თაეისთან დაპატიჟა რამოდენიმე ტყვე, რომელნიც უკვე "თეთრიგიორგელად ჰყავდა მიწნეულნი, მე არ წამიყვანა, რადგან არ ვიყავი ამ პარტია "თეთრი გიორგი"ში ჩარიცხული"ო.

ამას ყველა არ იზიარებდა და არც იყო მოსაწონი და სასურველი. სპირიდონი ხომ ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ "დროებით მაინც დავთმოთ პარტიების ნიშნები და თუ გველირსა სამშობლოში ჩასვლა იქ დაეწეროთ სოციალურ-პოლიტიკური პროგრამები"ო.

გარდა ამისა განსვენებული მიხაკო დიდი მოხუცი იყო ებრაელობისა, და ამას არცა მალავდა, კომიტეტის გაზეთში ამ ხალხის წინააღმდეგ იწერებოდა ვრცელი წერილები. სპირიდონმა თაეისი წერილი ამ გაზეთში არ მოათავსა. რაღა ეს უნდოდა პიტლერს და მის ამალას, რომელიც ხოხბდა ამ ერს და ისეთი მხეცური მეთოდებით, რომ ეს ჩირქი სამუდამოდ შერჩება გერმანიას, რადგან მისი იმედიც აღარ იყო, რომ გერმანელები ჩვენ საკითხს როდისმე შეეხებოდნენ, სპირიდონმა სამინისტროში განაცხადა: "თქვენ არ გველაპარაკებით იმ საგანზედ, რისთვისაც თაეი მოგეციყარეთ, მორჩილ მოსამსახურეებს იმდენს იშოვნით, რამდენიც გინდათ, მე მოხელის როლში არ გამოგადგებით და მშვიდობით ბრძანდებოდეთო".

მართლა ამის შემდეგ დაიხურა ქუდი და წამოვიდა ბერლინიდან, ეროვნული კომიტეტიც დასტოვა 1943 წელს, ამის შემდეგ ის იქ აღარ დაბრუნებულა.

უნდა ვსთქვა, რომ ამ კომიტეტში ყოფნამ სპირიდონს, ოფიციალურად მიწეულს, ბევრი აუმხედრა; მემარჯვენე პარტიების ყველა ლიდერი თუ თვალსაჩინო წევრი ყველანი ბერლინში იყვნენ თავმოყრილნი, თავიანთი ინიციატივით: ყველას უნდოდა, უფრო სახელისათვის, იქ შესვლა, ფიქრობდნენ ეს უნდა მომხდარიყო სპირიდონის საშუალებით, რამდენადაც ვიცი, სპირიდონის მიერ ერთერთის დასახელება არ გამოდგა,[2] მისი იქ ყოფნა კომიტეტის წევრებმა არ მოინდომეს, სპირიდონი ხომ მარტო არ იყო ამ კომიტეტში. ეროვნულ დემოკრატები ვერ ურიგდებოდნენ იმ აზრს, რომ მათი წრიდან მხოლოდ სპირიდონი იყოდა ამ ეროვნულ კომიტეტში; ზოგი ჩუმად, ზოგიერთი კი ახდილად ამ უკმაყოფილებას ამჟღავნებდა, სადაც კი შეეძლოთ. უმთავრესად ისინი, ვინც სპირიდონს ებრძოდა როგორც მეცრელს. ერთ დღეს, ერთის ამოძახილით "გაალამაზეს" მამაცნი,[3] ეს იყო ქართლ-კახელების კრება, რომელიც მოაწყეს ბერლინში და

[1] გ. მალალაშვილი.

[2] წერილი არხივშია.

[3] წერილი არხივშია.

ბინა სთხოვეს კრებისათვის ირაკლი ბაგრატიონს, რომელიც ამბობდა შემდეგ, რომ არ ეიცოდი, რა კრება იყოო, რადგან თვითონ არ დახწრებია ამ "ისტორიულ მოლენას". ერთერთი თხოულობდა ამ კომიტეტმა თავადობა დამიმტკიცოსო.

მაგალითად ი. ჯ.[1] რომელიც სპირიდონს ამ თხოვნით კლამარში მოადგა. სპირიდონმა ღიმილით უთხრა: "ჩემო ილო, ჩვენ ხომ მეფეები არა ვართ, თავადობა მოგცეთ"ო!

"თუ ამ თხოვნას არ შემისრულებთ, მაშინ მე სპარსეთში წავალ და მის ქვეშევრდომობას მივიღებ"ო. იყო მისი მუქარა.

სპირიდონი მოთმინებიდან იყო გამოსული: "შენ გესმის რას ამბობ"ო? დაუყვირა და ასე გაისტუმრა.

უეჭველია, რომ ეს ნამდვილი პროვოკაცია გაგრძელებაა ძველი და მომავალი ცდებისა სპირიდონის წინააღმდეგ.

ეს იყო მიზეზი, რომ ის აღარ გვწყალობდა, თუმცა სპირიდონის დასაფლავებას დაესწრო, მაგრამ გული აღარ გულობდა.

ბოლოს შენი მუსიკა გახდა იმის ჯავრის ამოსაყრელი იარაღი. სადაც კი შეეძლო, ცდილობდა სიტყვიერად მაინც ეჭნო, რომ ამ დარგში გზები გქონოდა დახშული "საბოლოოდ გუსოესკის, თაკაძისა და სხვების გეგმას ასრულებდა..."

შესცდით, ბატონო ილო, დღეს თეოს, როგორც პედაგოგს კარგი სახელი აქვს და იმდენი მოწაფე ჰყავს, რამდენსაც ამისი ჯანი აიტანს.

იგივე ამ ომის დროს, ეს ილო, ემპრესარიოს როლში ამზადებდა ქართულ ბალეტს. ერთ დღეს ჩვენთან მოდის და გთხოვს ლეკური ასწავლო ტატა ეაჩნაძეს: რადგან კოლონიაში, რა ვქნა რომ ასე იყო, ამ ლეკურს მაშინ ყველაზედ კარგად შენა სცეკვამდი. ამით თავდებოდა შენი როლი. აშკარად არ უნდოდა მონაწილეობა მიგეღო შენ თვითონ ამ ბალეტში, ამიტომ მოიმიზეზიანა წლოვანობა: "მხოლოდ ოცი წლისანი იქნებიან"ო. ხარ შენ მაშინ 22 წლისა! გაგვეცინა, მაშ "დარჩი გარეთ"ო.

საზოგადოთ ბევრი რამ იყო იმ დროს გაუგებარი და მიუღებელი, რადგან თუ ერთის მხრივ ემიგრაციას ებრძოდნენ გარედან სტალინის და ბერიას ჯაშუშები, მეორეს მხრივ აქ ემიგრაციაში მათი თანამოაზრენი, სინიდის გარეცხილი ემიგრანტები, თავიანთ მოქმედებით უფრო საშიშნი ხდებოდნენ.

ჩვენი ოჯახი გახდა ყველა ამათთვის სათამაშო ბურთი. სპირიდონის წინააღმდეგ რამდენი იერიში იყო მოტანილი, ჯერ როგორმე მისი სახელი გაეტეხათ, პიროვნების დისკრედიტაცია... ეიგონებ:

1. ყალბი ჩერვონცების საქმეს
2. ტროცკის მოკვლას
3. თავადობის დამტკიცებას
4. დროგის გატანას

---

[1] ილო ჯაბადარი.

აქ ერთმა ქართველმა ა. ჯ. — შეილი დარჩა და ეურიდები გვარის მოცემას — ომის წინ შესთაყაზა სპირიდონს: "პარფიუმთან ერთად დროგა გავიტანოთ იაპონიაში"ო!

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მეტეხში ჩვენებმა გამაფრთხილეს: "ამას არ ენდოთ"ო.

ომის დაწყისში გიორგის მალაზიიდან ტელეფონი დაურეკეს სპირიდონს და გააგებინეს, რომ "ერთ ქართველს უნდა თქვენი ნახვა"ო, მხოლოდ არა სთქვეს ვინ იყო ეს ქართველი, "აი მიეცით თქვენი მისამართი და წამოვიდა"ო.

დანიშნულ საათზედ მოვიდა ეს ჩვენთვის უცნობი ადამიანი, კარები მე გაეუღე, შევიყვანე სპირიდონის ბიუროში. მისი იერი არ მომეწონა, თითქოს შეშინებულიც იყო, აქეთ იქით იყურებოდა.

სპირიდონი თავის ქარხნიდან გამოვიდა თეთრ ხალათში, ამ კაცს ელდა ეცა, რადგან სპირიდონს პირველად ხედავდა. თუ იფიქრა, ეს თეთრებში ჩაცმული ექიმია, რომ რალაც მზადდება მის წინააღმდეგ და ექიმი ალბად მზად არის მას ჭრილობა შეუხვიოს ან თვალები დაუხუჭოს!..

ამ მდგომარეობაში დაეტოვე და ბიუროდან გამოვედი. სიჩუმე იყო კარგა ხანს.

თავისი თავი წარუდგინა სპირიდონს: გვარად ჟენტი, ხელობით აგრონომი". აღმოჩნდა, რომ საქართველოდან ჩამოსული იყვნენ მელვინეები, რომ საფრანგეთში კონიაკის წარმოებას გასცნობოდნენ.

ილაპარაკა, თურმე, იმ საშინელ სისხლის ღვრაზედ, რომელსაც ადგილი ჰქონია საქართველოში 1937 წ. "დიდძალი ხალხია მოსპობილი, 24 წლის აჯანყებაში დაღუპულთა რიცხვი, იმასთან არაფერია, ხალხს ამის მოთმენა აღარ შეუძლიან, დაარსებულია ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს შეებრძოლოს რუსეთის ხელისუფლებას, რომ მის საქართველოში ბატონობას და ხალხის მოსპობას ბოლო მოელოს; ამისათვის საჭიროა ფული და აქედან ხელმძღვანელი, რომ თავის დროზედ აჯანყება მოეახდინოთო.

ჰოდა ამას თქვენა გთხოვთ, რომ გვიხელმძღვანელოთ.

რაც შეეხება ამისათვის ფულის შოვნას, ვიცით, რომ გიორგი მაჩაბლის სიკვდილის შემდეგ დიდი თანხა ვასო დუმბაძემ დაირჩინა, აი ეს ამ საქმეს უნდა მოხმარდესო, ე. ი. "აჯანყებას"ო.

მამას უპასუხნია; "მე ამის შესახებ ბევრი მითქვამს და ბევ-რიც დამიწერია, რომ ყოველგვარი აჯანყების წინააღმდეგი ვარ, ქართველი ერი ამ წლების განმავლობაში ძალიან არის დაზარალებული, ცოტანი ვართ, უნდა ჩვენ სისხლს გავუფრთხილდეთ, რომ მთლად მიწის პირად არ ვიყოთ აღგვილი და მოსპობილი.

ჩემი რჩევაა, უნდა გაეუძლოთ დღევანდელ უბედურებას, ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელია, მაგრამ სხვა არჩევანი არა გვაქვს"ო.

"თქვენ მე არ მენდობით, ამიტომ ამნაირად მელეპარაკებითო", ადგა და წავიდა. შემდეგ ბევრი ცდები იყო, რომ სპირიდონისათვის სიცოცხლე მოესპოთ, მათ შორის ერთი სასაცილო ამბავია:

ერთერთი შეფიცული, გოლა, მოვიდა კლამარში სანჯალ შემოკიდებული და ეუბნება სპირიდონს, რომ "ჩუბინიძემ დამაკლა თქვენი მოკვლა და ამაში კიდეც ფული მომცა, მე კი აგიღი და ამით მაწვნის საქმე დაიწყე"ო!

"კაცო, რა დაგიშავე"ო, იყო სპირიდონის გაოცებული კითხვა. ასე შეეძინა ემიგრაციას ახალი მემაწვნე.

ომის დასასრული და ჩვენი ემიგრაცია

ჩვენ დაეცხარით მოკავშირე ძალების პარიზში შემოსვლას, ფრანგების აღფრთოვანებას და დიდი ტაშის ცემას და ბედნიერებას.

მართლა და სასიამოვნოდ მაგონდება მაშინდელი დღე. ერთი ფრანგი რომ მოგვადგა თვალცრემლიანი და სპირიდონს მიმართა; "მერსი რიუს". ამ კაცმა რუსებად მიგვიღო, რომელიც მანამდე იქვე ჩვენს მახლობლად კლამარში მცხოვრები, სალამსაც არ გვაძლევდა.

კარგი იქნებოდა, ხალხს ყოველგვარი ბოროტება გულიდან ამოელო და ძმური განწყობილებით დაკავშირებულიყვნენ, მაგრამ არა, დაიწყო მალე შურისძიება, ერთის მხრივ ომის დროს აღგილობრივ ხალხი, რომელიც გერმანელების აქ ყოფნას თითქმის შეურიგდნენ და მეორეს მხრივ მათი აქ ყოფნის დიდი მტერნი.

ამ ორი ბანაკის ბრძოლა იყო საშინელი და წარმოუდგენელი.

კლამარში დიდ დემონსტრაციას დაეწყარი, ნამდვილი სურათი ვნახე ძველი ფრანგული რევოლუციისა. დიდ კეტებზედ ჩამოცმული ქალების გადახარსული თმები რომ შაეი დროშებიეით ფრიალებდა, მაგრამ ეს არაფერი, კლამარში შეცივდნენ ერთ ოჯახში და მთლად ამოწყვიტეს ისინი, ვინც გერმანელებთან მეგობრობდნენ.

პარიზში კი უფრო მეტისმეტად დამცირებული სურათები ყოფილა. ქალებისათვის მკერდი დაუჭრიათ. ერთი სიტყვით გამხეცებული იყო ხალხი. ჩვენთან არავინ მოსულა, არც პოლიციას უკითხავს "რად დასდიოდით გერმანიაში"ო, რადგან სპირიდონის ბერ-ლინში წასვლა იმათ კარგად იცოდნენ და ამის მიზეზიც არ იყო გაუგებარი. მანამ გერმანიაში წაიედოდა, ეანვის კომისარიათში მივიდა და კომისარს თავისი ვინაობა გააცნო და გააფრთხილა, რომ იძულებულია დათანხმდეს ამგვარ დამატებებზედ.[1]

საერთოდ, სპირიდონი იმ აზრისა იყო, რომ თუ ნამდვილი თანამშრომლობა ექნებოდა გერმანიასთან, მაშინ რასაკვირველია უნდა საფრანგეთი დაგეტოვებინა და იქ გადავსულიყავით. ამას ხომ სულ მინიმალური ტაქტი მოითხოვდა საფრანგეთის წინაშე, გრძნობას ხომ

---

[1] ისიც კი დაუმატებია, რომ ჩემი და ჩემიანების ერთგულობა და სიყვარული საფრანგეთის მიმართ დასამტკიცებელი არ არის და "როგორა ჯერ-ჯერობით როგორი განწყობილება უნდა იყოს ჩვენს ოჯახში როდესაც ჩემი ქალი თავის დღიურში სწერს: "ოღონდ საფრანგეთი გადარჩეს და მშვიდად ვარ თავი შევწირეო"!

ალარ ვამბობ!

ამის წინ მოვიდა გერმანიიდან ჩამოსული მიშა კედია, შავგულიძის თანხლებით. მიშა აპირებდა საბოლოოდ შეეცარიაში გადასვლას, ოჯახი კი რჩებოდა პარიზში, დიკას გარდა.

საშინლად შეწუხებული, გაფითრებული იყდა, უფულობასაც ჩიოდა. აქ სპირიდონმა უპასუხა; "ნუ თუ ფული გჭირდება, მიშა? ამას მე მოგცემ" და ჯიბიდან ილებს ერთ დოლარს, გადარჩენილი "ტალისმანათ" ამერიკაში რომ იყო 1935 წელს, და ზღებს მაგიდაზედ. მიშა, მანამ ამ დოლარს ნახავდა, გაოცებული უყურებდა სპირიდონს, იმდენად მოულოდნელი იყო მამაშენის ფულიანობა! საბოლოოდ, შავგულიძემ დაუხურდავა ეს ერთი დოლარი.

ცოტა ხანი დარჩა ჩვენთან. წასვლისას მოუბრუნდა სპირიდონს და სთხოვს: "თუ რუსეთთან ომი იქნება, მოახდინეთ გავლენა, რომ ქართველები რუსეთის წინააღმდეგ არ წავიდნენ"ო!

სპირიდონი შეჭრთა! "როგორ ლაპარაკობ? მთელი შენი მოღვაწეობა ხომ ეს იყო, რომ ქართველობა რუსეთის ფრონტზედ გაგეგზავნა_ ქართველების წინააღმდეგ! მე ეხლა მთხოე გავლენა მოვახდინო, ვინ დამიჯერებს. ქუდმოგლეჯილები გარბოდით! შენ ხომ არ დამიჯერე, ამოდენა ხალხი დალუპე! შენ, მიშა, ყურები გაქვს ასაწევი"ო.

თაჭრალუნული, ცუდ გუნებაზედ წავიდა. მწარე ფიქრებით დატვირთული დასტოვა სპირიდონი.

საწყალმა მიშამ ცუდათ კი გაათავა თავისი სიცოცხლე. არ მახსოვს 1953 წელს თუ უფრო გვიან, შეეიცარიაში ოტელის ფანჯრიდან გადმოვარდა და თავი მოიკლა... თუ!...

უცნაური სურათი კი გადმომცა მაშინ ვალიამ. თურმე იმ ტრაღიკულ დილას დიკა მისულა მამასთან. კარები რომ დაუკაკუნებია მიშას გაულია – რაღაც ენიგმატური ღიმილით – მაგრამ ძლიან მალე შეუკეტნია და დიკა არ შეუყვანია. თითქოს ოთახში მარტო არა ყოფილა. მაშინ დიკა ჩამომჯდარა კიბეზედ და უფიქრნია, მისი მამა ალბად გაათავებს მისულ ხალხთან ლაპარაკს და მერე დამიძახებს"ო.

ამ დროს, სახლის ყარაული დიკას უყვირის: "მამა თქვენი ქუჩაში გდია მკვდარი"ო!...რაღაც უცნაურია ეს ამბავი! საიდუმლოდ დარჩება_[1] აქ მიშას ჰქონდა სიკვდილით დასჯა გარდაწყვეტილი. თურმე მზად იყო ჩამოსულიყო თავის პროცეზედ და იმუქრებოდა კიდეც: "სუყველაფერს ვიტყვი"ო! იქნება სწორედ ამან მოულო ბოლო.[2]

---

1 სხვათაშორის ერთმა ქართველმა ერთ დღეს მითხრა: „მე იქ ვიყავი შეეიცარიაში იმ დროსა"ო. მერე რამოდენიმე ხნის შემდეგ იგივემ გაიარეს სურათი სადაც გადაღებულია ღვდლის ტანისამოსში შეეიცარიის საზღვარზედ. დღესაც არ მესმის ეს რად გვითხრა?

2 საერთოდ ამღერეული დრო სჩანდა მაშინ. სტალინის სიკვდილის შემდეგ, სწორედ იმ ხანებში საქართველოში ბერიაც მოიშორეს. – აქ მიშას ტრაღედიის შემდეგ, რამოდენიმე ხანში მოულოდნელად გარდაიცვალა ე. გეგეჭკორი, აგრეთვე მიუნხენში, კარგი ქართველი ს.დ. მანწყაკა, კიდევ ცოტა

ასე დაიღუპა ეს ახალგაზრდა ენერგიით სავსე, დიდი აჩქარებული ხასიათის მქონე ადამიანი და ძალიან ცვალებადიც. ყველა პარტიაში შევიდა და საბოლოოდ არსადა რჩებოდა.

ერთ დროს, დიდი თაყვანისმცემელი იყო სტალინისა, აპირებდა კიდეც ცოლ-შვილის გაგზავნას საქართველოში საცხოვრებლად, თვითონ აქა რჩებოდა?

ყოველთვის უსაყვედურებდა სპირიდონს, რომ ეს უკანასკნელი არჩევდა უმოქმედობას, ისე რომ როდესაც ლეგიონი დაარსა, სპირიდონს არ უთხრა, იცოდა იმის თანხმობას ვერ მიიღებდა. როდესაც პრეფექტურაში ერთერთ სპირიდონის მიმდევარს, იროდიონ ბეგიაშვილს, ჰკითხეს იცოდა თუ არა ამ ლეგიონის ამბავი თქვენმა უფროსმაო, უპასუხნია: "არა, რომ სცოდნოდა, პირდაპირ დაგვიშლიდა"ო.!

ეს იყო თამარ პირველის ლეგიონი, შემდეგ მიემატა "თამარ მეორე" და ესეც გაემგზავრა ეროვნული დროშებით გერმანიისაკენ. ბევრი დაიღუპა, ზოგი კი ტყვეებთან ერთად რუსებს ხელში ჩაუვარდა. ეს იყო ალბად ქართული საქმე?

ომის გათავების შემდეგ კრემლის ნამდვილი მუშაობა დაიწყო. თუ მანამდე მისი აგენტები წრუწუნა თაგვებივით ფუსფუსებდნენ აქ ჩვენ ემიგრაციის წინააღმდეგ, ომის შემდეგ ნამდვილ ვირთაგვებად

უფრო გვიან ამერიკაში, ნიჭიერი და პატრიოტი საშა ცომაია. – მართალია და ძალიან უცნაური წყვდაა!.. ეხლა მაგონდება, სპირიდონი გერმანიაში რომ იყო, საშა მოვიდა კლამარში და ლაპარაკის დროს დიდი ქება შეახსა ბერიას! „ქალბატონო სოფიო, იცით, ბერია ძალიან კარგი ქართველია"ო "იმაზედ საქართველოში ლოცულობენ"ო – გამიკვირდა ასეთი დახასიათება, ვიფიქრე, კუთხური სისუსტე გამოიჩინა...

1 საერთოდ მიშა და ყმაწვილები სპირიდონს უმოქმედობას აბრალებდნენ. მამაშენს ფაფუური არ უყვარდა და იმის თქმა თუ სად რას აკეთებს. ყველ ერთი სპირიდონმა იცოდა, რომ საქართველოს საკითხი არაერს ანტერესებდა, არაერს ჩვენთვის არ ეცალა. მეტსაც ვიტყვი: ამ რუსეთს ყველა უწყობდა ხელს მაშინ, როგორც დღესაც!

ვიცი, რომ დიდ გაელენიან ხალხს ხვდებოდა, მაგალითად Detering, რომელსაც გაუზიარა თავისი აზრი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა. ჰკონდათ ლაპარაკი იმაზედ თუ როგორ შეეგზავნათ ბატარა რაზმი – 70.000 კაცი – რუმინიიდან საქართველოში. „ამ საქმისათის რა თანხა დაგჭირდებათ"ო? სპირიდონის პასუხი ყოფილა „ყველ ამას ვერ გეტყვით"ო. თუმცა Detering თანახმა იყო ეს თანხა მაშინათვე დაედო. – რასაკვირველია, მიშა და ეს ყმაწვილები ამ თანხას ხელიდან არ გაუშვებდნენ და მაშინათვე წამოიღებდნენ!

არც ეს უთქვამს თავისი ხალხისათის, სპირიდონს, რომ ცდილობდა ქართველი მხედრები ინგლისში მოეწყო საზღვაო ნაწილ-ში. მაქვს ამის შესახებ Times-ის ჟურნალისტის წერილი.

როდესაც სპირიდონი საქართველოდან ჩამოვიდა პარიზში 1923 წელს, ევგენი გეგეჭკორმა – ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა – მაცნობო: სპირიდონი Quai d'ORSAY-ზედ წაიეყვანე, რომ იქ გასცნობოდნენ საქართველოს ნამდვილ მდგომარეობას. ისე იყო მოხიბლული სპირიდონის ლაპარაკით, ფრანგულად რასაკვირველია, რომ ყველა დანარჩენ ვიზიტორებს Huissier-ს საშუალებით Raymond Poincaré უარს ეუბნებოდა და მთელი ეს დრო მეც იქ ვიყავი"ო!

გადაიქცნენ და შემოანგრიეს ემიგრაციის კარები ახლილად.

თავიანთ ვინაობასაც არა მალავდნენ. ჯერ გაჩნდა პროფესორი შარია. შემდეგ თავაძე, რომელიც კარ და კარ დადიოდა და ყველას ეპატიჟებოდა სტალინის სამოთხეში, რომ "ეხლა რეჟიმი შეცვლილია, ყველას შეუძლიან თავისუფლად იცხოროს"ო.

ჟორდანიამ ამ კარზედ მომდგარ ჩეკისტს პირობაზედ ხელი მოუწერა, რომ პოლიტიკურ მუშაობას აღარ განაგრძობს და ძალიან გაბედულად ემიგრაციას მოუწოდებს დაბრუნდეს სამშობლოში.

ამან გამოიწვია თვით მის წრეში საშინელი აღელვება და თითქმის ხმასაც აღარა სცემდნენ ამ მოხუცებულ კაცს.

ერთმა შეხვედრის დროს კიდეც გამანდო თავისი მწუხარება "შეგვარცხვინა მოხუცებულმა"ო. შალვა აბდუშელის ნათქვამია.

ერთ დღეს ჩვენც მოგვადგა ეს თავაძე, სპირიდონმა უთხრა: "დაბრუნეთ ციმბირიდან გადასახლებული ქართველობა, გაიყვანეთ რუსული ჯარი, გააბატონეთ სიტყვისა და პრესის თავისუფლება,[1] მაშინ მთელი ემიგრაცია დაბრუნდებაო. დაეხმარაე ქუდს და წამოვალ"ო მახსოვს შენი; "Papa, tu ne feras pas ça!?"... ერთი სიტყვით მოსპეთ თქვენი რეჟიმი და თქვენი თავიო!

ამის შემდეგ თავაძე ხან ერთ აგენტს პგზავნიდა ჩვენთან, ხან მეორეს. რუსები რომ შემოვიდნენ თხოულობდნენ ყოფილ ტყვეების თავმოყრას და მათ რუსეთში გასტუმრებას.

იმ დროს გიეი უკვე გადაყვანილი გვყავდა საოჯახო პანსიონში, იოლი სამუშაო ეუშოვნეთ კარგი ჯამაგირით ისე, რომ შეეძლო კარგად ეცხოვრა, გარდა ამისა თავის სასწავლებელთან ახლო იყო და საღამოს კურსებზედაც შესძლებდა სიარულს.

ამ დროს ფრანგული პოლიცია ძალიან სასტიკად იქცეოდა და რუსების გაელენით იჭერდა ტყვეებს და მათ მოსელეებს აბარებდა. სპირიდონმა მაშინ უთხრა გიეის: "შენ თვითონ გარდასწყვიტე, მე ეერაფერს გირჩევ, ოცდასამი წლისა ხარ, როგორც გინდა, ისე მოიქეცი, თუ გინდა, დარჩი აქ ემიგრანტად, თუ არა და დაბრუნდი სამშობლოში, ვფიქრობ, თუ მთლიანად ხელისუფლება არ შეიშალა, შენ, რომელიც ომის დროს გერმანელებმა აგიყვანეს დაჭრილი და გულწასული, შემდეგ იმათ სამსახურში არა ჰყოფილხარ, შენ არაფერი არ უნდა დაგიშავდეს"ო.

უკანასკნელ ხანებში თითქოს გიეი ყოყმანობდა, ეატყობდი, რომ იმისათვის აქ ყოფნა არ იყო უსიამოვნო.

თან ხშირად ამასაც იტყოდა: "თუ რუსები მკითხავენ, გერმანელების ფორმა მეცვა თუ არა, ამაზედ ამაყად ეუპასუხებ, რომ მე მეცვა მხოლოდ ერთი ფორმა, ეს იყო წითელი ჯარის ფორმა"ო.

ეს ის დრო იყო, როდესაც მოსკოვის დიდი ძალა მოწოლილია, რომ ემიგრაცია დაეშალათ, უფრო კი მოესპოთ.

ამისათვის შემოგზავნილი აგენტები ყოველგვარ საშუალებას

---

[1] იქ დამსწრე გოგი გეგელიამ თითი გაიქნია: „არა, პრესის თავისუფლება არა".

ხმარობდნენ, თუ ნებით არა ძალდატანებით მაინც თუ მთლიანად ემიგრაცია არა, ზოგიერთი ცნობილი პიროვნება ცოცხალი ჩაებარებინათ სტალინის სამსჯავროში.

აი ამ მომენტში წავიდა გიგი, კლამარიდან და პარიზში მოვაწყეთ ამ პანსიონში, რომლის ჩვენთან დარჩენა არ იქნებოდა მისთვის სასურველი და კარგი შედეგების მქონე.

როგორც გითხარი, შარიას შემდეგ დიდი ენერგიით მუშაობდა თავაძე.

ერთ დღეს მის მიერ გამოგზავნილი ვიღაც მარგო მაყაშვილი ჩვენთან მოვიდა და მოისურვა პირადათ სპირიდონის ნახვა.

გამიკვირდა, რომ ამ კახელმა ქალმა კავშირი ამყობინა სპირიდონთან, ამან, რასაკვირველია, ეჭვი დამიბადა მის ასეთ დარბაზობაზედ. ამის შემდეგ მეც გამომელაპარაკა, დაიწყო ჩვენთან სიარული. გვეპატიჟებოდა თეატრში, ხან თავის საკუთარ ბინაზედ,[1] განსაკუთრებით სპირიდონს ეხლაუჭებოდა მაგრამ ყოველთვის უარს ღებულობდა.

ერთხელ სხვაც მოიშველია, ამ შემთხვევაში ერთი ემიგრანტი ქალი, რომელიც დაჟინებით ეპატიჟებოდა ერთერთ თავის გამოფენაზედ მხოლოდ და მხოლოდ სპირიდონს, ჩვენზედ სხენება არ იყო. ამან ძალიან გააოცა მამაშენი, რასაკვირველია არ წავიდა.[2]

საბოლოოდ მარგო გამოტყდა, რომ ტროცკის დიდი მიმდევარი იყო და რადგან საქართველოში ამიტომ აღარ ეცხოვრებოდა, როგორც ყველა ტროცკის მომხრეს, ეს საცხოვრებლად სპარსეთში გადასულა სადაც დარჩენილა თექვსმეტი წელიწადი როგორც ფილმების გამყიდველი. შემდეგ ჩამოსულა აქ პარიზში და უცხოერია სამი წელიწადი. გასაოცარია, რომ მისი არსებობა აქ თითქმის არავინ იცოდა, კვინტაძეების გარდა, ალბად ნათესაობის გამო.

მიამბო ერთი ამბავი, რამაც გამაოცა და ამ ქალის მიმართ ყოველგვარი ნდობა დამაკარგვინა.

"როდესაც 1921 წელს ბოლშევიკები საქართველოში შემოვიდნენ და მიველი ახლად დანიშნულ კომისართან ჩვენ სოფელ იყალთოში, ის აღმოჩნდა ჩვენი ყოფილი მოსამსახურე, რომელმაც მითხრა, რომ "მთელი მაყაშვილები უნდა ამოვხოცოო"; "მე გამიხარდა"ო: მითხრა ამ მაყაშვილის ქალმა, და მერე ძალიან სერიოზულად ეს სიტყვა "გამიხარდა"ო!

---

[1] სხვათაშორის ჩვენს მახლობლად – Petit Clamart-ში და სხვა გვარით ცხოვრობდა: იყო როგორც „ზაპლატინსკაია".

[2] ვერა ფალავა, ძალიან შემარცხენე, სტალინის დიდი მოტრფიალე იმ დროს თავს ძალიან იჩენდა. სპირიდონის სიკვდილის შემდეგ ხომ ის და ეანო ენუქიძე, მისი მეგობარი, განსაკუთრებით გვეელიდნენ. ხშირად მათ პატარა Montrouge-ის პაეილიონში სადილებზედ გვპატიჟებოდნენ, საჩუქრებსაც არ გაკლებდნენ და გაცნობდნენ ზოგიერთ მსატვრებს. ყველანი გადახრილნი მარცხნივ და შენი მონათესა უნდოდათ. იმედი რომ დაკარგეს თავი დაგანებეს და ხმასაც აღარ გცემდნენ!.. ვერას მაშა, ძველი ემიგრანტი, ვერ შეურიგდა ასეთ კომუნისტურ მიმართულებას და თავი დაიხსრჩო! დაუტოვებია რამოდენიმე სიტყვა რუსულად: „ასე სჯობია"ო.

აბა რას ვეტყოდი ამ სულით მახინჯ, ტროცკის გაჭენებულ მიმდევარს. ეს ქალი ჩვენთან ვერაფერს გახდა, დაინახა ისიც, რომ არ ვენდობოდით.

იმ ხანებში სხვა დიდი ტრაგედიაც დატრიალდა ჩვენს ემიგრაციაში. მშვენიერი მარი ციციშვილი, ლამაზი და გადაყოლილი თავის ოჯახზედ – წმინდა პირადი საკითხის გარდა – საქართველოში დაბრუნება არ უნდოდა, როდესაც მისი ქმარი და შვილი ელიკო ამას მოითხოვდნენ, საშინლად იტანჯებოდა და არჩია თავის მოწამლა!

რამოდენიმე დღის წინ, ამოვიდა ჩვენთან კლამარში და მთხოვა: "სონა, რასაც გეტყვით, დაწერეთ"ო. რატომღაც არ მოვინდომე ამ ანდერძის ჩაწერა. ხელი დავაძე, ეცდილობდი დამემშვიდებინა "აბა, ჩემო მარი, რუებს ლაპარაკობ... კარგა ხანს დარჩა ჩვენთან. მე და სპირიდონმა გავაცილეთ ოტობუსამდე. გზაში სპირიდონმა ურჩია "ქალბატონო მარი, იქ უნდა იყოთ სადაც თქვენი ქმარი იქნება"ო. სხვათაშორის თავაძის მოკვლას აპირებდა, ჩვენ გადავაფიქრეთ.

იმ დროს თავაძე და ზოგიერთი ემიგრანტი, დროებით მის სუფრაზედ მიპატიჟებული დიდ მუშაობას აწარმოებდა, რომ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკური პიროვნება მაინც კრემლისათვის ცოცხალი ჩაებარებინათ.

მოვიდა ჩვენთან ერთი კარგი ნაცნობი, სოსო გოგოლაშვილი, სპირიდონი სახლში არ იყო, აღელვებული ლაპარაკობდა; "ვინც არ დაბრუნდება დღეს საქართველოში ის იქნება მოღალატე"ო! და ხელი მაგრად დაჰკრა მაგიდაზედ. თვითონ, რასაკვირველია, არსად წაიდა და მთელი ოჯახით აქ დარჩა, იმან ამჯობინა "აქაური ჯოჯოხეთი იქაურ სამოთხეს"

თუ არა და სხვანაირად მოინდომეს სპირიდონის მოვლა. იფიქრეს, თუ სპირიდონს მთლად გამოეცლება ცხოვრების მატერიალური საშუალება და თავის ოჯახით ქუჩაში დარჩება მაშინ კი სხვა გზა აღარ ექნება და საქართველოს გზას გაუდგება, მითუმეტეს, რომ იქიდან ჩამოსულები ხატსა და ჯვარზედ იფიცამენ იქ დამყარებულ ახლადშობილ სამოთხეზედ.

მოვიდა კლამარში იგივე სოსო მოჰგვარა სპირიდონს თავისი მეგობარი ებრაელი ფულის მქონე, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა პარფიუმის საქმის დაწყება, თუ სპირიდონი მაჩაბლის საქმეს – ეხლა გადასული ამერიკელების ხელში – დასტოვებდა.

უცნაური წინადადება მისცა ამ ებრაელმა მამაშენს; "ამერიკელებს მოსთხოვეთ დიდი ჯამაგირი, თუ არ დათანხმდნენ, მაშინ დაანებეთ თავი იმათთან მუშაობას და ამნაირად თავი გაინთავისუფლეთ"ო.

ეს იმ დროს, როდესაც ამერიკელები ცდილობდნენ ჩვენ თავიდან მოშორებას – მთელმა ქართველობამ იცოდა – სახლიდან გეგდებენ და ამ დროს ჯამაგირებზედ ლაპარაკი მათთან გაუგებარი, განგებ მოგონილი ამბავი იყო, რომ კლამარიდან წამოსულები პირდაპირ თავაძესთან მიეყვანეთ, იქ კარგი დახვედრა გეჭნებოდა...

შეიძლება, ულერწერობით აქ დაგეტოვებდა და მხოლოდ დაგ-

ეიანებით ჩაგეყვანდა მოსკოვში, არ ვიცი როგორ მოგველიდა ეს სტალინის ერთგული თაობე.

დაიწყეს სპირიდონზედ ნამდვილი ნადირობა, მოინდომეს მისი მახეში გაბმა. ჯერ ეს სცადა გოგი გეგელიამ.

სწორედ იმ დღეს როდესაც შენ საჯაროდ გამართულ ივ ნატის მოწაფეების კონცერტზედ უნდა დაგეკრა, და მე შენთან ვიყავი წამოსული, მაშინ მოუნდომებია თავაძეს კლამარში ამოსვლა მამას სანახავად. შემოალო ეზოს კარები თუ არა, — გეგელიას თანხლებით — ამ უკანასკნელმა ჰკითხა სპირიდონს: "თქვენებმა იციან დღევანდელი ჩვენი შეხვედრა"ო; "რასაკვირველია, ჩემებმა ყოველთვის იციან ვისა ეხვდები ან ვისთან მივდივარ"ო. დარჩნენ თურმე თავაზარდაცემულნი და ვერ დამალეს თავიანთი მარცხი!

იმ დღეს, ხომ გახსოვს, კოტე კობახიძემ თვითონ მოინდომა ამ კონცერტს დასწრებოდა. გაგიმახინძლდა მშვენიერი დიდი თაიგულით და მერე კარგ ცნობილ რესტორანში წაგეყვანა! ასე მგონია, არ გაუკვირდა, რომ სპირიდონი არ იყო ჩვენთან.

ძლივს, ბოლო ხანებში მამა უკვე აღარაფის ენდობოდა. თუ პარიზში მოუხდებოდა წასვლა, ყოველთვის ტელეფონით მაგებინებდა სად ან ვისთან რჩებოდა.

პხედავდა, რომ შინაური ხალხი, მასთან დიდი ხნიდან მეგობრულად დაკავშირებული ყველაზედ უფრო საეჭვო აღმოჩნდა.

ერთ დღეს კი პირდაპირ ტყვია ნაკრავი მელაპარაკებოდა: "იცი სონა ადამიანს რომ მუშაობა უნდოდეს, ეკლარაფის ენდობი. არ ვიცი ვინ ვისთან არის"ო.

ეს მაშინ როდესაც ერთმა მათგანმა — ალექსანდრე ასათიანმა — უთხრა: "კაცო, თუ დეპუტატობას მოგვკეშენ ბოლშეეკები, დაებრუნდეთ საქართველოში"ო.

ამ წინადადების მიმცემი არა მგონია თვითონ დაბრუნებულიყო, იმას უნდოდა ალბად სპირიდონის გასტუმრება, რომ ბურთი და მოედანი მას დარჩენოდა.

თურმე თაუისებურად შეუტევნია მამაშენს: "გესმის რას ამბობ"ო! სპირიდონს ეერაფერი დააკლეს, მაგრამ სამწუხაროდ ვინც მაშინ მოსკოვის დაგებულ მახეში გაება და სანატრელ საქართველოში დაბრუნდა, მან ხეირი ეერა ნახა.

იუნე ჯავახიშვილი კარგად იცნობდა ასათიანს, როგორც პეტერბურგის სტუდენტს რომელსაც სათვისტომოს ფული თითქოს შემოეხარჯა და ამას იუნე ჯავახიშვილი აღარ ათაუებდა. ალბად ამის გავლენით იყო როდესაც თამარა ფალავანდიშვილისთვის — რომელიც ყოველთვის აცნობდა ევროპიდან მოსულ სპირიდონის წერილებს — იუნე ჯავახიშვილს ერთხელ უთქვამს; "ძალინ სამწუხაროა, რომ სპირიდონ კედიას გეერდით არის ასეთი პიროვნება როგორც ასათიანი"ო.

სპირიდონი ალბად მაშინ ასე სასტიკად არა სჯიდა მას რად-

გან მეჯერედ ჰყავდა არჩეული![1]

სამსონ ფირცხალავა, სოც. ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი, კარგი პუბლიცისტი და დამსახურებული პატრიოტი, თბილისში ჩასულისთანავე კომუნისტების ხელისუფლებამ გაასამართლა და ციმბირში გადასახლება მიუსაჯა, საიდანაც ის ცოცხალი აღარ დაბრუნებულა და ძვლები იქ ჩაყარა.

წასვლისას მოვიდა ჩვენთან, გამოგვეთხოვა, საცოდავი იმედიანად ბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ სპირიდონი მის გარდაწყვეტილებას ვერ ურიგდებოდა, ამის შესახებ სპირიდონი კიდეც გამოელაპარაკა წერილობით თავიდანვე, როდესაც გაიგო: "სამსონი ბრუნდება საქართველოში"ო.

მარტო ის არ იყო თაყაძის დაპირებებით მახეში გაბმული, სპირიდონ ჭავჭავაძე, რომელიც ჩვენთან კმაყოფილი ლაპარაკობდა, რომ სოფელ წინანდალში მას თაყის სახლს დაუბრუნებდნენ და "ამაზედ მეტი ბედნიერება მე აღარაფერი მინდა", საცოდავი ჩიოდა, "რომ აქ დიდი უბედური კაცი ვარ, ვერაყინ შემითვისა"ო, და სადაც ვიყავი სიმშილით მკლავდნენ"ო.[2]

როგორც გავიგეთ, საცოდავს, სახლს ვინ იტყვის, წინანდალის ჰაერიც კი არ ასუნთქებინეს, პირდაპირ ციმბირში გაუჩინეს მას ბინა.[3]

სამწუხაროდ ჩვენი გვიც ვერ ასცდა თურმე ხელისუფლების "სიგიჟეს", მისი დანაშაული სხვა ვერაფერი იპოვნეს, გარდა იმისა, რომ ომის გათავებისას ის ცხოვრობდა ემიგრანტის ოჯახში.

მინდა მოკლედ კიდევ მოვიგონო გიეის ჩვენთან ყოფნის ზოგიერთი რამ და მისი დაბრუნების პირობები საქართველოში.

გერმანიიდან წამოსვლისას გივისათვის განკუთვნებულ გიორგი ჟურულის შვილს, კოტიკოს უთქვამს: "იცი რა ოჯახში მისდიხარ, ბედი გქონია"ო.

მაგრამ ამ ნაქებ ოჯახში გივიმ მალე დაინახა, რომ აქ დიდი

---

1 მერე კი ბოლშევიკების დროს ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა სპირიდონი. ერთ დღეს მასთან მოდის ალექსანდრეს ძმა: „ალექსანდრე დაიჭირეს"ო და სთხოეს ჩაერიოს მის განთავისუფლებაში. სპირიდონი ვერ მიდის ციხეში და რასა ხედავს: მაშინ როდესაც სხვა პოლიტიკური ტუსაღები სხედან პოლიტიკურ განყოფილებაში, ასათიანი სისხლის სამართლის განყოფილებაში იმყოფება... და შესცინა: აღმოჩნდა ხალიჩების სპეკულაცია. სპირიდონი ძალიან შეწუხდა და რასაც თავისთვის არ გააკეთებდა, მივიდა ოფიციალურ პირთან — ფილიპე მახარაძესთან — და ასათიანი გამოაშვებინა. ამ ჩვენ ალექსანდეს დიდი მამული ჰქონდა შეძენილი სწორედ მეტეხის გზაზედ. ფულიანი კაცი იყო... ეხლა მეცინება, თაყის ნეკროლოგში სწერს „ხერხი ეიხმარე და ციხიდან ისე გამოვიქეციო".

2 ამ ოჯახს არ დავასახელებ, მხოლოდ შენ იცი მათი ვინაობა.

3 სამწუხაროდ არ ვიცი თუ რა პირობებში მოუხდა ცხოვრება ჩვენ ცნობილ ექვთიმე თაყაიშვილს როდესაც ისიც დაბრუნდა საქართველოში. გამიგია, რომ ჩასვლისას თურმე მშობლიურ მიწას ემთხვია, მანამ საბოლოოდ ჩააბარებდა თავის ქვეყანას ამ ჩვენ ისტორიულ საუნჯეს, ჩამოტანილი ემიგრაციაში 1921 წელს.

მატერიალური დოვლათი არ უხვდებოდა, პირიქით ამის გამო ყველაფერი გამოზომილი და შეზღუდული ექნებოდა, დანარჩენს მის თვალში ფასი არა ჰქონდა.

მახსოვს ის დღე, როდესაც ტეხნიკურ სასწავლებელში შეიყვანეთ, სპირიდონი რა სიყვარულით დასტრიალებდა ამ განათლების საფეხურზედ შემდგარ ახალგაზრდას, სახელმძღვანელოებით დატვირთული პარიზიდან სახლში რომ მოიყვანა, იმ იმედით, რომ გიეის კარგ მომავალს უმზადებდა.

გამოუტანა თაეისი სტუდენტობის დროს ნაქონი საათი მარკისა Longines და უთხრა: "აი გივი დღეიდან ეს ჩემი ახალგაზრდობის ნაქონი საათი, შენ ატარე"ო.

"შე ეს არ მინდა, სამაჯური საათი მერჩივნა"ო. გამოგეიცხადა ამ ბიჭმა. გიეის ძალიან დააკლდა უმამობა, რომელიც 1937 დახვრიტეს: სიცოცხლეშიც ის იშეიათად მიდიოდა ოჯახში, რადგან წალკაში მუშაობდა და თითქმის იქ ატარებდა მთელ დროს.

რაც შეეხება მის დედას ანიკოს, არც ის იყო მოცლილი ოჯახისათეის, როგორც ყერ მომღერალი და ბოლოს სიმღერის მასწავლებელი ხშირად იყო მიელინებული სხვა და სხვა ადგილას.

ბავშვები რჩებოდნენ თაეიანთ ხანშიშესულ ბებოსთან, რომლის ავტორიტეტი მაინც და მაინც არ იქნებოდა გაელენიანი.

გივიმ მიამბო, რომ "შე და ოთარი, მისი ძმა კინალამ დავიღუპეთ, ცუდს წრეში ჩაეცეიდით"ო.

ამ ჩემს ძმისწულს სრულებით არ ემჩნეოდა ოჯახის გაელენა, იმ ოჯახისა სადაც ტრადიცია, ზრდილობა და კარგი ადამიანობა უცხო არ იყო, პირიქით ყველასათეის მოსაწონი და მისაბაძიც კი სჩანდა.

აქ დავხედი მე ჩემის მოთხოვნილებებით, შენიშენებით და დარიგებებით, რასაც ის თითქმის შეჩეეული არ იყო, ამიტომ მალე ღიზიანდებოდა.

მოინდომა აქ მთლად უდარდელი, ნებიერი ყოფნა, მუშაობა მისთეის მიულებელი და დამმცირებელი იყო, მაშინ როდესაც სხვები, ყოფილი ტყეები ფიზიკურ მუშაობით ცხოერობდნენ პირველივე დღიდანვე და განაგრძობენ მუშაობას ეხლაც. არაეინა ფიქრობს, რომ ეს მათ ამცირებდეს.

იმას ხომ აღარ ვეხები, რომ ძველი ემიგრანტიც შერჩა მაწვნის კეთებას ან და ტაქსისტობას.

საბოლოოდ, გიეი იმდენად შეიცვალა, რომ ჩვენ ემიგრაციაში დიდი მოწონება ჰქონდა და ხშირად ეხატიჟებოდნენ. ზოგიც კი ნატრობდა მის სიძეობას! იმას კი გულში ეილაც მარინე ჰყვადა ჩარჩენილი და დატოეებული საქართველოში. ბეერჯერ იგონებდა.

სამშობლოში დაბრუნებაზედ კიდეე ყოყმანობდა, მაგრამ უცბად გარდაწყეიტა, რადგან მითხრა: "სხეებიც ბრუნდებიან და მეც იმათთან ერთად ეიქნები"ო, დამისახელა კიდეე მისი ნაცნობ მეგობრები: კალატოზიშეილები, მაგრამ უკანასკნელ დღეს იმათ დაიხიეს და გივისთან ერთად აღარ წაეიდნენ, მაშინ როდესაც გივი უკეე გამოცხადებული

იყო ოფიციალურ ალაგას. მისი მეგობრები დარჩნენ ემიგრაციაში თითქმის ოციოდე წელი და შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში.

ნეტა ვიცოდე, გივი ხუდება იმათ თუ არა. აქ პირდაპირ მიკრული იყო და იმათი გაელენით უნდა ყოფილიყო, რომ ერთხელ მითხრა: "მეგრელი რომ მელაპარაკება, არ ვიცი დავიჯერო თუ არა"ო! ვინა ჰყავდა მხედველობაში?

წასვლის დღეს მიამბო, რომ სადაც ჩაწერილი იყო, ერთ ზედამხედველთან უწისუბნია, "სიტყვა შეიბრუნა, ძალიან უზრდელად მომექცა, მეც თავი ვეღარ შევიკავე და ხელითაც კი შევეხე"ო

ის არ დაიგვიანებდა, გივის უფროსთან დააბიზღებდა და მას წარადგენდა როგორც კაპიტალისტურ ქვეყანაში ნაცხოვრებს, მედიდურს და ამიტომ კომუნისტური რეჟიმისათვის არა სასურველ, უვარგის ელემენტს.

წასვლისას დამიბრუნა, რაც ჩემგან იყო მიცემული, ან სხვისაგან. აქაური თითქმის აღარაფერი უნდოდა. მაგალითად მისი დედის ნათლიის: მარი ზალდასტანიშვილის სიყვარულით მოტანილი ეერცხლის ფული 100 ფრანკი, არ წაილო, ჩემ მიერ პერანგის მაჯის ღილები ჩემის ხელით გაკეთებული არც ეს, ყველაფერი ერთად მაგიდაზედ დამიყარა.

გავაცილეთ, მეტროში სპირიდონი კიდეე ელაპარაკებოდა. ის ჩუმად იყო, ღელავდა, მაგრამ ამას გარეგნულად მაინც არ ამჟღავნებდა.

გამოვეთხოვეთ, გზა დავულოცეთ და ამნაირად დავშორდით გივის, რომლის მიმართ მე დიდი იარა მაქვს დარჩენილი, ღრმა და თითქმის შეუშრობელი!...

ჩვენ კი აქ შევრჩით თავაძის საქმიანობას, რომელიც დიდ ხანს გაგრძელდა, თითქმის 1949 წლამდე პარიზში ტრიალებდა სტალინის ეს ერთგული და ძალიან მოწადინებული მსახური, რომ ემიგრაცია მთლად დაეშალა და მისი არსებობა მოესპო. ამიტომ თავის აგენტებს ხან ვის მიაყენებდა სრულიად მოულოდნელად და ხან ვის. ზოგიერთ ემიგრანტთან კი თვითონ საათების განმავლობაში რჩებოდა, რომ თუ ის არა, სხვაზედ მაინც გავლენა მოეხდინა რომ საქართველოში დაბრუნებულიყო.

მახსოვს, რომ ანეტა ბაბე, სადაც ყოველ კვირა ვერა ფალავას და ვანო ენუქიძის გარშემო იკრიფებოდნენ ზოგიერთი ახალგაზრდა როგორც სერგო წულაძე, კალატოზიშვილები, სანდახან მათში გაერეოდა მარუსა ღოღობერიძე და სხვებიც: ძალიან მოხიბლული დარჩა ამ თავაძით და ახტაცებული მელაპარაკებოდა! თაყაე ჩვენთან ბევრჯელ მოვიდა, დარწმუნდა, რომ ვერაფერს გახდებოდა. ეხლა შენ დაგიტრიალდა რადგან ვითომ შენ აფერხებდი შენს მშობლებს საქართველოში დაბრუნებას.

რასაკვირველია, სუყველაფერი გვაბადა აქ: შენი მუსიკა, შენი მომავალი, საერთოდ მთელი ჩვენი ცხოერება.

მოსკოვის აგენტები ყველანი თითქმის გარწმუნებდნენ, რომ შენ აქ თავისდღეში არაფერი გამოგივა "უჩვენოთ"ო; არ ვიცი სხვებს რო-

გორ მოუარეს: ნატა ეაჩნაძემაც სცადა ამგვარი პროპაგანდა.

ერთ დღეს გეგელიამ პირდაპირ მოგვაყენა ა. გუზოვსკი:! "თქვენი ნახვა უნდა"ო. სხვათაშორის, ლაპარაკის დროს თურმე შენც შეგეხო. "აფსუსია ეს ნიჭიერი და ლამაზი ქალი აქ დარჩეს, ვერაფერს გახდება ...გადაეკიდება ერთ ფრანგის ბიჭს და ამით გაათავებს"ო. "მაშინ როდესაც საუკეთესო პირობებში იმუშავებს ჩვენთან და საბოლოოდ როგორც პიანისტს მსოფლიოს მასშტაბით გამოეყვანთ"ო!

აგრეთვე სერიოჟა ქავთარაძემ — რომელიც კლამარში მოვიდა თავაძესთან ერთად — იმანაც, ვითომ სხვათაშორის, შენზედ ჩამოაგდო ლაპარაკი, "მართლა აბსუსია თქვენი ასეთი ლამაზი ქალი: თურმე შენ სურათს უყურებდა: აქ დარჩეს და თავის ქვეყანაში არ გაიფურჩქნოს, აქ ეს ვერ იხეირებს"ო.

სასაცილოდ ვიგონებ მათ დარბაზობას, თუმცა პირადად არ დაესწრებილვარ. ჩემი სპირიდონი დიასახლისობდა; შედიოდა და გადიოდა, ყავა არ ამიდულდეს"ო!

ეს ყავა კი დალიეს მისმა სტუმრებმა, მაგრამ ჯერი რომ მივიდა ლიკორზედ "GRAND MARNIER"-ზედ — რადგან საერთოდ სპირიდონი ერიდებოდა ალკოლს, და თვითონ არ დალია — ამათ კატეგორიული უარი უთქვამთ. ალბად შეეშინდათ, "არ მოგვწამლოს"ო! ესეც მამაშენის მოულოდნელი აბალი პოლიტიკური "კარიერა"!

ნატა ეაჩნაძის დარბაზობა 1946 წ.

ერთ დღეს შენ მიხვედი ტელეფონთან, დაგელაპარაკა ჩემი ყოფილი მოწაფე, ეხლა უკვე ცნობილი სინემის მსახიობი. ლამაზი ქალი, ნატა ეაჩნაძე.

დიდი ხნის უნახავი მყავდა ეს ნატა, ჩვენი დამოუკიდებლობის დროს ჩემ გიმნაზიაში ის იყო რუსულ განყოფილებაში, ამიტომ ქართული ენა მას ძალიან დააკლდა, მაგრამ როდესაც იქ მე ვმართავდი ქართულ განყოფილების სალიტერატურო დილებს, ის ყოველთვის ცდილობდა მონაწილეობა მიეღო, კარგი სასიამოვნო გოგონა იყო, ამავე დროს ლამაზი და მოსაწონი.

როდესაც გახდა სინემის მსახიობი, მოინდომა ჩემთან ქართული ენის გაკვეთილების ალება.

---

1 ა. გუზოესკი, თვალსაჩინო პირი რუსეთის საელჩოსი ალჟერში, იმ ჟამად პარიზში ტრიალებდა. ელდა გვეცა, როდესაც შეეპნიეთ ჩვენ კარების წინ გაჩერებული ოფიციალური მანქანა წითელი დროშით!..

როგორც გაეიგეთ მე და შენ, ამ ბოლო ხანებში, ეს გუზოესკი ძალიან მომქმედი კ.გ.ბ.-ეს აგენტი ყოფილა და დიდი შედეგიც მოუღია ფრანგულ პოლიტიკურ წრეების დაშლაში. ბევრს ახსოვს Georges Pâques-ის ამბავი!

მახსოვს ზოგიერთი რამ, რაც მას კარგად ახასიათებს, ის არ იყო მკვეხარა, თავისთავზედ დიდი წარმოდგენა არა ჰქონდა;

მითხრა ერთხელ, რომ "ჩემზედ ლამაზი ბევრნი არიან, მაგრამ სინემაში ჩემი სახე უკეთ გამოდის ეკრანზედ და ამით აიხსნება ჩემი წარმატება"ო. ან კიდევ, მთხოვა, რომ ერთ ფილმში უნდა ვითამაშო ქალის როლი, ძველ ტრადიციებში აღზრდილი და საზოგადოებაში კარგად გამოსულისა, არ ვიცი ზოგიერთი რამ, როგორ დავიჭირო თავიო, მთხოვა, ამაში მე დავხმარებოდი, მაგრამ მე მიეუთითე მარიამ ორბელიანისა, რომელიც მისთვის უფრო უკეთესი მრჩეველი იქნებოდა ვიდრე მე.

აი ამ ნატამ დამირეკა ტელეფონი და მითხრა: ქართული სინემის წარმომადგენელია, ჩამოტანილი აქვს ერთი ფილმი, რომ აქ საზოგადოებას უჩვენოს, "უსათუოდ მინდა გნახოთ", ჩემს კითხვაზედ მარტო მოვა თუ არა, დამამშვიდა, რომ მოჰყვება ქართველი ემიგრანტი კ. კობახიძე.

გავიდა ერთი კვირა, შენ ძალიან გეჩქარებოდა მისი ნახვა, რომელიც პატარაობისას გყავდა ნანახი თბილისში, როდესაც ის მოდიოდა ჩემთან ამაღლების ქუჩაზედ, კარგად გქონდა მეხსიერებაში ჩარჩენილი მისი ჩამოქანდაკებული, ნამდვილი ქართული სახე, რომელსაც პატარა ხალიც ამშვენებდა.

ოქტომბრის 16-ს საღამოს ხუთ საათზედ მაცნობა, აი ეხლა მოვდივარ თქვენ სანახავადაო.

მართლაც ნახევარ საათში ჩვენს ეზოს კარებს მოადგა დიდი ავტომობილი საესე თანამხლებლებით, რასაკვირველია, იმას მარტოკას არ გამოუშვებდნენ, თუმცა ეზოში ნატა მარტოკა შემოვიდა, მაგრამ მისი მცველები მანქანაში დარჩნენ. ეს ქალი ძალიან ღელავდა, მე ზევიდან დავცქეროდი, ბევრჯერ გაისწორა თავისი შავი ჩალის ქუდი, ტალანში რომ შემოვიდა და მივეგებე, მკითხა; "ქალბატონო სონა, კიბეზედ რომ ჩამოირბინეთ ეს თქვენ იყავით"ო? გაოცებული მიყურებდა, თბილისში მას უფრო დაბერებული და მოტეხილი ვეჩვენებოდი. ვიყავი მაშინ 61 წლისა, 1946 წელს.

დავჯდა და დაიწყო ლაპარაკი, შეეხო კულტურას, რომელიც იმისი აზრით ძალიან დაბალ დონეზედ არის, "აი ეხლა ჩამოვედი იტალიიდან, რომში ვიყავი და სრულებთ არ მომეწონა, სულ ნანგრევებია, სხვა არაფერი"ო. ალბად იფიქრა ეს დღევანდელი ომის შედეგია...

შემდეგ დაიწყო ლაპარაკი საქართველოზედ და მის მიღწევებზედ, რომ თბილისი ისეა გალამაზებული, ადამიანი მისი ნახვით სიამოვნობს, საერთოდ დიდი ცვლილებებია იმის შემდეგ, რაც თქვენ იქაურობა დასტოვეთ. ე.ი. ამ ოცი წლის წინად. ილაპარაკა სოფლის ხალხზედ, მათ გონებრივ განვითარებაზედ, "მე ხშირად მიხდება სოფლად მისვლა, მე იქ ვაცნობ ქართულ ლიტერატურას, დიდის ყურადღებით მიგდებენ ყურს, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის ლიტერატურის ნიმუშებს დიდის სიამოვნებით ითვისებენ. კმაყოფილი იყო თავის მუშაობის შედეგებით.

ვკითხე დედის ამბავი, მითხრა დალონებულმა, რომ მისი დედა ძალიან ცუდათ არის, გონება აქვს თითქმის დაკარგული და იმდენად რომ სახლიდან გასვლა და მის ანაბარა ბაეშვების დატოვება შეუძლებელია“ო.

რატომ შესაფერის საავადმყოფოში ვერ ათავსებთ, იყო ჩემი შენიშვნა. აქ კი გულახდილად მიპასუხა: “სადა, ან როგორ უნდა ვიშოვნო მისთვის თავისუფალი ადგილი, ყველგან საცხა გიჟებითა“ო.

ლაპარაკი გრძელდებოდა, სპირიდონი ზევით თავის ოთახში იყო და არც აპირებდა ჩემი ყოფილი მოწაფის ნახვას, მაგრამ ნატამ პირდაპირ მთხოვა “მინდა თქვენი ქმარი გაეცნო“ვო, უფრო ამისათვის იყო მოსული; სპირიდონი შემოვიდა, მიესალმა, უთხრა რამოდენიმე სიტყვა, რომ ბევრი აქვს გაგონილი მის შესახებ როგორც სხვებისაგან ისე სონასაგან და სხვა; ამ დროს კარებს მოადგა ერთი აყლაყუდა მეტისმეტად მაღალი, იქნებოდა ორი მეტრი ძაინც, ახალგაზრდა კაცი, რომელიც ნატამ გაგვაცნო როგორც სლეიცკი, პოლონელი მისი ნათესაი დედის მხრივ, “ესეც ემიგრანტია, აქა ცხოვრობს, აი უკვე ოცი წელიწადია“ო.

ამ კაცმა ყური მოჰკრა შემოსვლისას შენ ლაპარაკს, როდესაც ნატა გვირჩევდა საქართველოში წასვლას, სადაც მსახიობი არის პირველ რიგებში და ყველა პირობები ხელის შემწყობი, რომ ის გაიფურჩქნოსო. ბევრი სხვაც ცდილობდა, შენ ეს დაგეკერა, და ბარგის შეკვრას შესდგომოდი. ამაზედ შენი პასუხი რომ მოისმინა, ამ პოლონელმა გაოცებულმა გკითხა: “...“?[1] შენი გაოცებაც აჩვენე და უთხარი. “განა ნორმალური არ არის, რომ მე ჩემი სამშობლოს ენა ვიცოდე, სხვა ენები ჩემთვის ყველა უცხოა“ო.

შუა ლაპარაკში ვიყავით, რომ ნატამ დაინახა ამ თავის “ნათესავი“ს სახეზედ რაღაც უკმაყოფილება, ცოტა კიდეც ერთმანეთს რაღაც ნიშნებით გააგებინეს, საბოლოოდ ნატამ ღიმილით მაგრამ მწარე კილოთი რუსულად მიმართა ამ “პოლონელს“ “თქვენ ყოველთვის ეძებთ რაღაც მიზეზებს ჩემს წინააღმდეგ, თითქოს ცდილობთ უსიამოვნება არ დამაკლოთ“ო.

აშკარა იყო ჩემთვის, რომ ნატა იყო ჩეკის კლანჭებში მომწყვდეული, ნატა ადგა და მკითხა; “ხომ წამოხვალთ ამ საღამოს, რომელსაც ქართული კოლონია მიმართავს, ეხლა იქ მივდივართ“ო.

მე ცოტა გაოცება ვაჩვენე, რადგან მაშინ ქართული კოლონიაც და მისი თავეჯდომარე ოფიციალურად მაინც არ მეგულებოდა, ის ჩრდილში იყო მიყენებული. წასვლისას კიდევ მიმეორებდა და მეპატიჟებოდა იქაური “სამოთხეში“.

ჩემი პასუხი იყო, რომ საქართველოდან გამომყვა ერთი დიდი ავადმყოფობა, რომელიც აი უკვე ოცი წელიწადია, ვერ მოვიშორე; “ეს არის შიში, შიში და კიდევ შიში“.

---

1 რუსულად იყო ნათქვამი: „საიდან ლაპარაკობთ ასეთ შეუვიერ ქართულსაო....“?

ეს მისი "პოლონელი ნათესავი", რომელსაც კარგად ესმოდა ქართული, ამრეზილი სახით მიყურებდა, რადგან მათი დარბაზობა ფუჭი აღმოჩნდა, მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, თავჩალუნული მისდევდა ნატას ჩვენს ეზოში.

საქართველოში დაბრუნების წინ კიდევ დამირეკა ნატამ და მპირდებოდა დედაჩემის ნახვას, მისი სურათის გამოგზავნას, წერილების მოწერას და მთხოვა კიდევ წამოდით თქვენთვისაც ხომ კარგი იქნება და ჩემთვისაცაო. გაიგე, რომ რამოდენიმე ემიგრანტს დიდის თაიგულებით გაუცილებიათ.

გავიდა, სწორედ კი არ მახსოვს ერთი თვე, რომ თბილისიდან ძალიან სამწუხარო ამბავი მოვიდა, რომ ავიონი, რომელიც აიღო ერთ დღეს ნატამ აფეთქდა და იმსხვერპლა ეს გულუბრყვილო და საცოდავი ქალი.

ამ რამოდენიმე წლის წინად აქ ჩამოვიდა მსახიობი ცაცა ამირეჯიბი, მოვიდა ჩემთან, სიტყვა ჩამოუარდა ნატას ტრაღიკულ დაღუპვაზედ, ცაცა შეწუხებული მკითხავდა: "მართალია, სონა, რომ ის მოვიდა შენ სანახავადა"ო, თითქოს ამასთან დაკავშირებით მოხდა მისი უბედურება, რომ სხვა მიზეზი მის მახლობლებს ვერ გამოუნახიათ. ისე ხელოვნურად ყოფილა ამ ავიონის დაღუპვა; თითქოს იქვე თბილისში აფეთქებულა, სთქვეს ისიც, რომ მასთან ბევრი სხვა მგზავრი არა ყოფილა, აშკარად დაასკვნეს, რომ ნატას აქ ევროპაში ყოფნამ კარგი შედეგი არ იქონია, ცაცას ნათქვამი მე ისე გავიგე რომ დანაშაულად მას. ეს ჩაუთვალეს.

ეხლა მაგონდება ზოგი-ერთი რამ; ნატა რომ ჩემთან კლამარში მოვიდა, მეჩვენა ძალიან დასრულებული, ქონდადებული, თითქოს გაბერილიც.

ლაპარაკის დროს შემთხვევით ხელი დავადე, უცბად მარცხენა მხარეს წელის ზევით რაღაც გაისწორა და მიიწია იქით, თითქოს შეეშინდა კიდეც.

ვფიქრობ, იქნება საცოდავს მიკრო ჰქონდა, რომ მისი ლაპარაკი და ჩვენიც ალებული ყოფილიყო; ჰოდა ამ "პატარა ჯაშუშმა"[1] კრემლს ანგარიში ჩაბარა და ნატას ჩემთან ნათქვამი, რომ თბილისში საესე საავადმყოფოები გიჟებით და ამ ცნობილ მსახიობს ვერ უშოენია თავის ავადმყოფ დედისათვის თავისუფალი ადგილი, ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა, ნატა ჯვარზედ გაეკრათ. ჩემთან ყოფნისას ეკითხე, თუ სხვა ქართული ოჯახებიც ინახულა, ამაზედ მიპასუხა;

"არც ერთ ემიგრანტის ოჯახში ფეხი არ შემიდგამს"ო.

კერძოდ უფრო ხშირად ვისა ჰხვდებოდა, დანამდვილებით არ ვიცი.

ვინ იცის, იქნება, ნატას ვისთანმე კიდევ რამე წამოსცდა და თბილისის საგიჟეთეებს ბევრი სხვა "სიკეთეც" მიემატა.

---

[1] "მისი პოლონელი ნათესავი"

იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს პოლონელი სლივიცკი, ჩვენთან წარდგენილი როგორც ნატას მახლობელი ნათესავი და დიდხნის ემიგრანტი, იყო ამ ქალის მეთვალყურედ დანიშნული.

ის არ გაახარებდა ნატას, რადგან მის თვალში ამ დარბაზობას კარგი შედეგი არა ჰქონდა. თავისი უკმაყოფილება რაღაც ნიშნებითაც კი გააგებინა ამ გულუბრყვილო არსებას, რომელმაც დაიიწყა მისი ნათესაობა, თქვენობით ლაპარაკი და მწარე კილოთი უპასუხა.

ნატას გარდა იმ ხანებში, კრემლიდან ბევრი იგზავნებოდა ემიგრაციის ასაშლელად.

ჩვენთანაც ხომ ბევრმა სტალინის ერთგულმა შემოალო კარები, მაგრამ იმათში ყველაზედ გაბედულად ერთი რუსი[1] მოგვადგა და, რასაკვირველია, მოულოდნლად, მას მოუძღოდა ქართველი ემიგრანტი,[2] სპირიდონს არ ესიამოვნა და ძალიან ცივადაც მიიღო.

"აი ეს გუსოვსკი, რომელსაც უნდა თქვენი ნახვა"ო. მიმართა სპირიდონს.

აბა ახალს რას იტყოდა ეს გუსოვსკი, გარდა იმისა, რომ ჩვენ აქ უცხოეთში ცხოერება თანდათან უფრო გაგვიძნელდებოდა და სამშობლოში კი ცა გახსნილი დაგვიხედებოდა. რომ უფრო მეტად აეჟღერებინა ჩვენი ეროვნული სიმები, შეახედა თურმე შენს სურათს და ალელვებულმა წამოიძახა;

"აბა ამას რა ეშველება, ალბად გადაეკიდება აქ ვინმე ფრანგის ბიჭს"აო.

უკმაყოფილო წავიდა ისიც, რადგან მის ზოგიერთ აზრს სპირიდონის რეპლიკა უხვდებოდა მისთვის უსიამოვნო და ამაღელვებელიც, სულ ხელების შლით მისდევდა ამ თავის თანმხლებელს.

შემდეგ გაიგეთ გაზეთებიდან, რომ ეს გუსოვსკი იყო აქაურ რუსულ საკონსულოს პირველი მდივანი, პირველი მრჩეველი.

რაც შეეხება მის მუქარას, რომ შენ აქ გადაეკიდები ვინმე ფრანგის ბიჭს, ეს სრულებით შენ არ გიდგება, შენ კი არავის გადაეკიდე, მაგრამ ვინც შენ გადაგეკიდა და ეს არაერთი, არ იყვნენ "ბიჭები", არამედ ცნობილნი როგორც პოლიტიკაში, ისე ხელოვნებაში და არ ვიცი, ზოგიც დიდი მრეწველი. ბევრი იყო თვალსაჩინო, მაგრამ შენ ყველანი ზრდილობიანდ ჩამოიშორე, შე საძაგელო, არ მოინდომე, თორემ ეხლა სულ სხვა ცხოერება გექნებოდა.

ამ გუსკოვის დარბაზობით გათავდა ჩვენთან სტალინის აგენტების სიარულიც. ყველანი ხელცარიელები გაეისტუმრეთ. ჩვენგან ვერაფერი ვერ წაილეს, მაგრამ მამას შემდეგ შენზედ იყარეს ჯავრი, როგორ და რანაირად, ამას მე შემდეგ შევეხები.

---

1 მგონი უკვე შევეხე მის ჩვენთან „სტუმრაობას" წინა ფურცლებში.

2 გოგი გეგელია.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება კლამარში

სპირიდონი ქარხნიდან გამოსული ოჯახს უბრუნდებოდა, სადაც ბევრი საოხუნჯო მასალა არ აკლდა.

ჯერ როდესაც მოუსმენდით დილის საუზმეს, პირველი პრესის კონფერენცია იხსნებოდა ჩემ მიერ სიზმრების ნაამბობებზედ; "იცი სპირიდონ, წუხელ კისისხვეში ვიყავი, დედაჩემი მეუბნებოდა, რომ ძია გაბო.... ინგლისში კი თამარასთან ვნახე ის ქალი..." სპირიდონი გულდასმით მიგდებდა ყურს და ძალიან სერიოზულად მეტყოდა ხოლმე; "უმთავრესია, სონა, რომ შენ მუქთად მოგზაურობ და არაფერი გიჯდება"ო! ამას მოსდევდა ჩვენი სიცილი. — თუმცა ბოლო ხანებში ისეთი სეპტიკოსი ალარ იყო ჩემ სიზმრების მიმართ, ან შენ ქალალდის გაშლაზედ.

ერთხელ ვუამბე, — სწორედ იმ დღეს მწვანე ლობიო მქონდა საუზმეზედ —, რომ მანგლისში ყოფნისას მე კოლა ჯანდიერს ისეთი მშვენიერი მწვანე ლობიო ვაჭამე, რომ პირდაპირ გაგიჟდა! სპირიდონმა დალონებული კილოთი გაიქნია თავი; "საწყალი, მერე რა კარგი კაცი იყოო"...

სპირიდონის იუმორი ასუბუქებდა იმ მძიმე ატმოსფერას რომელშიაც გახვეული იყო მთელი ოჯახი მაჩაბლის საქმის გამო.

მოუთმენელი, საშინელი ცნობის მოყვარე ვიყავი. როდესაც ვისიმე წერილი მოვიდოდა, მაშინათვე მინდოდა გამეგო ვინ არის და რას იწერება. აქ, ძნელდებოდა ჩემი საქმე; "აბა, წაიკითხე სპირიდონ, ვეხვეწებოდი და კუდის კუდ დავდევდი. ის კი დინჯად მიპასუხებდა; "დრო მაქვს, მერე წავიკითხამო"ო. ასე მაწვალებდა.

ყველგან ბოლშევიკების აგენტი მელანდებოდა, — და ეს ხომ არ იყო მთლად უსაფუძვლო —, ერთხელ შეშინებული დილიდან ვაფრთხილებდი: "ნახამ სპირიდონ, თუ ის კაცი არ მოვიდეს". გადის მთელი დღე. საღამოს, მანამ ვახშმად დავჯდებოდა, თითქოს შეწუხებულიც კი ამას მეტყოდა; "სონა, ის კაცი არ მოვიდა..."

ის კაცი კი არ მოსულა, მაგრამ ბევრი გეესტუმრებოდა ხოლმე კლამარში კვირაობით. კარგი პაერი ტყის პირას, ეს ჩვენი პატარა ბახჩა, ალერსიანი დახვედრა, ყველა პარიზელი ამას ესწრაფებოდა.

აქ არ შემიძლიან ქუჩიას "მასპინძლობას" არ შევეხო. დახლოებით ოთხი საათისათვის დაბარებულიყით გაუდგებოდა გზას ოტობუსისაკენ, იქიდან კუდის ჭნევით მოუძღოდა სტუმარს — უფრო ხშირად ჩვენთვის მოულოდნელი — თათით ეზოს კარებსაც გაალებდა და თავმოწონებული პირველი შემოდიოდა, "აი, ნახეთ ვინ მომყავს"ო! მართლა გასაოცარი იყო ეს ჩვენი პატარა ძაღლი. სტუმართა შორის იკრიფებოდა ჩვენთან — გარდა სპირიდონის ყმაწვილებისა — ემიგრაციის მემარჯვენე ნაწილი; ციციშვილების ოჯახი, გეგაზავებისა, ზალდასტანიშვილები, კვინიტაძეები და სხვა. ყველანი ერთმანეთს ხშირად ეხვდებოდით.

აქ მაგონდება პატარა წკიპურტი. ერთმა მადგანმა, სტუმრად მოსულმა, დაჟინებითა გთხოვა დაგეკრა. ხარ შენ მაშინ 14 წლისა, ახალ პრიზ მიღებული, და უკვე ლევის მოწაფე. უარზედ იყავი, თითქოს გრძნობდი, რომ უფრო ერთგვარი ცნობის მოყვარეობა ამოქმედებდა მას, ვიდრე ნამდვილი სურვილი მუსიკით ესიამოვნა. საშინლად ბრაზობდა, რომ არა სთმობდი, და იქამდის მივიდა, თავი ველარ შეიკავა და გიყვიროდა; "რა არის ეს მეგრული პრანჭიანობა"ო! პირდაპირ გწეწამდა... მე ვერაფერი ვუთხარი, განაბულები ვიყავით.

მერე როგორ არა ვსთქვა, რომ ჩემის წყალობით მისი ქალი გადმოყვანილი იყო შენ ყოფილ მასწავლებელთან, ვერა ბრუნელთან. იმ ჟამად ინგლისიდან იყო ჩამოსული და ჩვენთან ჩამომხტარი თამარა ჩოლოყაშვილი — ინგლისელ ტეატრზედ გათხოვილი — ჩემი პატარაობის კარგი მეგობარი. ამ იერიშს დაესწრო, გაოცებულმა, მარტონი რომ დაეჩით, მითხრა; "სონა, როგორ მოითმინე. რომ მაშინათვე არ გააგდე"ო!

ეს, ჩემო შვილო, ხშირად მოგდგებოდნენ ხოლმე — რომელი ერთი ვსთქვა და შენი მშობლები კი ვერ გიცავდნენ... ასე იყო.

ზურაბი და მაია კი — იმათგან ხომ განებივრების მეტი არაფერი გქონდა — ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ და ძალიან დაახლოებულნიც.

ერთხელ ზურაბმა გამაგებინა, რომ გამოსულია "საქართველოს ისტორია"[1] მანველიშვილისა და თავისი აზრიც გადმომცა; "იცით, ბატონო, ახალი არაფერია, ივანე ჯავახიშვილიდან აქვს ამოღებული ბლომად, ბატონო, ბლომად"ო! და თან ხელებიც მიაშველა. სხვათაშორის, გაოცებული იყო, რომ ჯერესერთი "ავტორმა ეს წიგნი არ გამოგიგზავნათ"ო, და რომ ასე დაერიდა "სპირიდონის სხენებას როდესაც ეხება მთელ მის მოძრაობას"ო.

ერთ დღეს გვეწვიენენ, გერმანიიდან ჩამოსულები, რობაქიძე და გიგო დიასამიძე. სადილის დროს, დამებადა სურვილი რობაქიძისათვის სადღეგრძელო დამელია და ალბად ღვინით შეხურებულმა, ამ სიტყვებით მივმართე; "მზის შვილო"... ამის მეტი აღარ მახსოვს. თურმე ურიგო არ გამოსულა ეს ჩემი ექსპრომტი, რადგან დიდი სიამოვნებით მიგდებდა ყურს. გიგო კი მაშინ წამოდგა, ხელზედ კოცნით; "სალამი ქართველო მანდილოსანო! არ მეგონა თუ ამ პატარა მივარდნილ საფრანგეთის სოფელში ნამდვილი საქართველო დამეხვდებოდა"ო.

შევამჩნიე გიგოს, რომ ძალიან ყურადღებით შეშერებოდა ჩემ სუფრის ერთ კუთხეს, სადაც ორი ასო—ლ. გ.–იყო მოქარგული.

---

1 ამ რამოდენიმე წლის წინად, შენმა ერთერთმა მოწაფემ — ჟურნალისტმა ქალმა — მოგვიტანა ეს წიგნი უკვე ფრანგულად გადათარგმნილი ჯაბადარის ცოლის მიერ.

ეულარ მოითმინა და სთქვა; "ეს თქვენი ინიციალები არ არის"ო. ეს თეთრი სუფრა – რომელიც დღესაცა მაქვს – ნაყიდი მქონდა ბაზარზედ ერთ ...antiquaire-თან, როდესაც წავიდნენ, დაგვიანებით სპირიდონმა მირჩია "უნდა გეპასუხნა ეს ჩემი ფსევდონიმია"ო!

მახსოვს ისიც როდესაც პოლონეთიდან ჩამოსული პაელუშა თუმანიშვილი გვეწვია – ეს ყოფილი თავად–აზნაურობის წინამძღოლი. თურმე აკაკის იუბილეზედ იწყებს სიტყვას; "სასიკვდილო აკაკი" – სასიქადულოს მაგიერად – დედით რუსმა ეულარ განაგრძო, ქართული ეძნელებოდა, მიუბრუნდა მაშინ ილიკო ზურაბიშვილს "დანარჩენს ეს იტყვის"ო... და გაისმა ილიკოს ბოხი და ძლიერი ხმა. ეხლა მომაგონდა, თამარა ფალავანდიშვილმა გამომიგზავნა მოსკოვში მთელი კრებული ილია ჭავჭავაძის დასაფლაების გამო. იქ არის წარმოთქმული სიტყვებიც და მათ შორის ყველაზედ საყურადღებო და საგრძნობი ჩემთვის ილიკო ზურაბიშვილის ნათქვამია; "საქართველოს ჭირისუფალო ილიავ!" და სხვა...

ეს პაელუშა, ძალიან სასიამოვნო ადამიანი, დიდი პატრიოტი, თავისდაჭერით ნამდვილი ბატონი, ამაუ დროს ხუმრაც იყო. ბევრი გვაცინა საუზმის დროს, არ დაზარდა, ადგა კიდეც და გააჯავრა ახალგაზრდების ცეკვას–მაშინ "ფოქსტროტი"–და მათ გამოშტერებულ სახეებს ამ ბუნბულის დროს!

გახსომს, იმ დღეს ფეხდაფეხ გამომყვა სამზარეულოში ამ სიტყვებით; "ეს რა ინიციატივა აიღე, რომ აღარ მთავაზობ მეორედ კალბასსა"ო. შენ შენი არ დაიშალე. მაშინ 9 წლისა ხარ; ისე კი ჭკვიანად გვიგდებდი ყურს როდესაც ჩვენ მტკივნეულ საკითხს ეუხებოდით, სულ საქართველო გეტკერა პირზედ. საერთოდ, მთელ ამ ხალხთან ყოფნისას წარსულში ეტრიალებდით.

ჩემმა ყოფილმა მოწაფემ, მერაბ ჯორჯაძემ მოიგონა: როდესაც საქართველოდან ჩამოვიდნენ ისა და ქაქუცა, თურმე სათვისტომო კრებაზედ სპირიდონს მიუმართავს ამ სიტყვებით: "შენ ქაქუცაე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბილიკებზედ ახული, აქ ევროპამ ბარში არ ჩამოგიყვანოს"ო.

ერთხელ აკაკი ჩხენკელი სიამოვნებით უამბობდა სპირიდონს; "კაცო, ჩვენი საქმე კარგად არის, ელიზეში უფრო და უფრო წინ მიეჩოჩავო, ე. ი. თვალ საჩინო ადგილს ეიჭერო როგორც საქართველოს ელჩიო. "ჩემო აკაკი, შენ კი მიჩოჩაე, მაგრამ ეს ჩვენი საქმე რომ უკან მოჩოჩავს"ო... უპასუხნია მამაშენს.

სხვა დროს, სოსო გოგოლაშვილმა ტელეფონით გაგვაგებინა, რომ ა. პონეგერს – ცნობილ კომპოზიტორს" სურს ქართული სიმღერების მოსმენა.

დანიშნულ დღეს ეულერ მარტოკა პონეგერი მოადგა ჩვენ სახლს ბისიკლეტით, რადგან ოტობუსები იშვიათი იყო ომის ხანებში. სიცხე ჰპანაქებაა და ეს კაცი გაწუწული პერანგით მოგვეულინა. ცოტა ხნის შემდეგ გოგოლაშვილებიც მოვიდნენ.

საბედნიეროდ გიგი მაშინ კიდევე ჩვენთან იყო და მშვენიერი ხმის და სმენის პატრონმა არ დაიზარა ბანი ეთქვა. რა არ ვიმღერეთ,

რა ვიცი? დიდი კახური, პატარა კახური, ნეტავი გოგო მე და შენ, გლესამ და გლესამ ნამგალო, ომში წასულა მას უხარის; და სხვა...

ამ ხალხს თათარა ვაჭამეთ, შენი ახლად შეძენილი "კოდაკით" იმ დღეს სურათი გადაიღე. კმაყოფილი სჩანდა ეს ჩვენი სტუმარი და მადლობით დაგეტოვა.

ომის გათავებისას, ნიუ-ორკიდან ჩამოსულმა ირაკლი ორბელიანმაც მოინდომა ჩვენი ნახვა. კარგი პიანისტი იყო თურმე, მხოლოდ გიორგი მაჩაბელი ჩიოდა: "რა გამოვიდა, არა მუშაობს, გაეუმართეთ კონცერტი და სრულიად მოემზადებელი გამოვიდა"ო!

რასაკვირველია, ვთხოვეთ დაკვრა, მაგრამ უარი მიგვიღეთ; "ამ ჟამად ხელში არაფერი მაქვს, ერთი თვეა არ მიმუშავნია"ო. სამაგიეროდ მოგიბრუნდა შენ და გთხოვს დაკვრას. ალბად თაემოწონებული, რომ შენ ერთი თვე კი არა, სამი თვე არ გიმუშავნია იმ ზაფხულის თვეებში, გაბედულად დაიწყე ვერ ბახის პრელუდით და როდესაც ამ ნაჭრის ბოლოს დიდი ხნით დაიჭირე პედალი, ირაკლის, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა და გკითხა კიდეც მისი მნიშვნელობა. "ასე გამისწორა ...იე ნატ–მარ, და აუხსენი თუ რატომ. მგონია, თითქოს იმასაც, საბოლოოდ მოეწონა ეს აზრი. – მეფისტო ვალსი რომ მიაყოლე, წამოიწია და ძალიან გიგდებდა ყურს. რომ გაათავე, აღტაცებით მითხრა; "დიდი ნიჭია"ო, "იმუშაოს"ო, და შენც გაგიმეორა; ".il faut travailler, ma chère..." ალბად მხედველობაში ჰქონდა ერთ ორ ადგილას რომ აუთაქე, რადგან ის ნამუშევარი არ იყო!

სტუმრები კი სასიამოვნონი იყვნენ, მაგრამ ყველაზედ ძალიან გვიყვარდა საღამოობით ვახშმის შემდეგ სამნი რომ მოუსხდებოდით ბუხარს, რასაკვირველია ქუჩია ფეხთ გვეყდა. ზოგჯერ სიმღერას ვიწყებდით, პირველს მე ვამბობდი, შენ მოძახილს და მაშინ სპირიდონი ნეტარებაში გადადიოდა. როგორ უნდოდა ბანი ეთქვა, მაგრამ, მშვენიერი ხმის პატრონს, სმენა ღალატობდა!

სიცილიც ბევრი იყო მაშინ, მეტადრე როდესაც მოვიგიჟიანებდი თაეს და სხვა და სხვა ნომრებით გართობდით. ჩემი სპეციალობა ტრიალებდა უფრო სოფლის დედაკაცების გარშემო. მოვიხვევდი მოსასვევს ბრუდეთ – როგორც მინახავს – კუზს ამოვიჩრიდი, და მანამ ლეკურს დაუელიდი მოღრეცილი ტანით, ერთ ხელს ამობურთულ მუცელზედ დავიდებდი და რიხით ამოვიძახდი; "ე თქვენი თავადობა, თქვენთვინა ქონდეთ"ო! გასულელებული თეალებით ქუჩია ამედევნებოდა ხოლმე და შენ და სპირიდონი ჩაბერებულები იცინოდით, თან სპირიდონი მესვეწებოდა; "გეყოფა, სონა, გეყოფა, აღარ შემიძლიან"ო!...

სხვა დროს კი შენ იყავი ამ როლში, მხოლოდ შენი საკუთარი რეპერტუარით. ძალიან ბევრ ხალხს აჯავრებდი და ხან და ხან ისე, რომ ერთ დღესაც მამაშენს მართლა ეგონე ის მოხუცებული პიანინოს პატრონი მოსული ქირის ასაღებად. ხშირად ხომ გაკვრინებდა კიდეც, მამაშენს განსაკუთრებით უყვარდა ბეთხოვენის "პასიონატას" პირველი ნაწილი, და ჩვენი დაკარგული ქვეყნის მწარ-ტკბილი მოგონებით თავდებოდა ხშირად ეს ოჯახური საღამო.

იმ წელს–1948-ში როდესაც სპირიდონი გარდაიცვალა – უცნაურად ატეხილები ვიყავით. იმოდენა თავისდღეში არ გვიცინია და სწორედ ამ დროს ქუჩია წამოდგებოდა ხოლმე, სამჯერ დატრიალდებოდა მანამ ცეცხლაპირას დაეგდებოდა და ისე ღრმად ამოიოხრავდა თითქოს გვეუბნებოდა; "რა გაცინებთ"ო...

დაახლოებით სიკვდილის ერთი კვირის წინ, შემოდის სპირიდონი შენს ოთახში სადაც უკრავდი და – ეს იყო უჩვეულო – გააჩერა, ხელი დაგადო მხარზედ და გთხოვს; "მოდი შეილო ერთი ქაღალდი გამიშალე"ო! გაოცებულმა დასტოვე როიალი და გახვედით სასადილოში. იქ დიდ მაგიდაზედ ქაღალდი გადაეჭრიენე და... მთელი სურათები გამოვიდა ჩასმული შავ ქაღალდებში. შენ თურმე ვერაფერი უთხარი. თვითონ გააკეთა დასკვნა; "ეს რაღაც ცუდია"ო, არა? და მანამ შენ მოახერხებდი ამის გაბათილებას; "არა, მამლი, პატარა რაღაც უსიამოვნობაა", ყური არ დაგიგდო და ჩუმად გაეიდა ოთახიდან.

ერთი უცნაური შეხვედრა

ომის დასაწყისში, ერთ დღეს სამწი მივდიოდით კლამარის მთავარ ქუჩაზედ. ერთმა წყვილმა გვერდზე ჩამოგვეარა და რომ გაგეშორდა უცბად შეექრთი, მიბრუნდი. სწორედ იმ წამს ისინიც მოტრიალდნენ; "Соня, это Вы?" მეც დაეუძახე; "ჟორჟიკ!" – ეს ჟორჟიკ ევანგულოვი იყო, საქართველოში იმის დედის პანსიონში დიდ ხანს ვცხოვრობდი. ეს ჟორჟიკა მაშინ იყო სულ ახალგაზრდა ყმაწვილი ასე 16–17 წლისა!

უკანასკნელად მყავს ნანახი მოსკოვში 1912 წელს. მე მაშინ დიდი "ვედეტი" ვიყავი ამ ქართული საღამოს შემდეგ და თავი ახურებული ქებით, ვიფიქრე ერთ დროს, მოდი მართლა გაეყვე ცეკვას, დუნკანის მეთოდით.

ერთ. დღეს ვიღებ მატარებელს და მივდივარ პეტერბუგში სადაც მეგულებოდა ეს დუნკანის სკოლა და ეპირებდი ჩემ ბიძაშვილ ელენასთან ჩამოხტომას.

ჟორჟიკა მხვდება სადგურზედ, აღტაცებით მომიწონა ჩემი გეგმა, თვითონ მაშინ ტრიალებს მწერლების და მსახიობების წრეში, და როდესაც დაიძრა მატარებელი, ხელის ქნევით დამილოცა გზა!

და ეხლა ეს შეხვედრა კლამარში, ამ 28 წლის მანძილზედ, გასაოცარია! დაეიწყეთ ერთმანეთთან სიარული. ძალიან სასიამოვნო და საინტერესო მოსაუბრე იყო, კარგი პოეტი გამხდარა, მშვენიერი ლექსები ჰქონდა. გახსომს, ერთი შენ გიძღვნა, ამბობდა "ეს ჩემი შედევრია"ო. მასთან გავიცანით რუსის მწერლები, ერთერთი ევრაინოეიც, ძალიან ცნობილი აქ პარიზში, – მისი La comédie du Bonheur ფილმათაც აქციეს. მახსოვს, ერთ დღეს შენი "კოდაკით" გადაგვიღე ყველანი.

ერთერთ ლაპარაკის დროს, ჟორჟიკამ ძალიან გულახდილად მითხრა: "რომ მე ბოლშევიკი ვიყავი"ო. შენ, გაოცებულმა კითხე; "და მერე, აქ არ გეშინიან"ო? "სპარსეთში დავიმალები... თუ გაჭირდა"ო!—ამან ცოტა შეგვაფიქრიანა. სპირიდონმა მაშინათვე მითხრა: "აბა, რალა ეს გინდოდა, შენა"ო!

გაგეიკვირდა, სპირიდონი რომ გარდაიცვალა, არ დაესწრო დასაფლავებას, მხოლოდ წერილით გამომელაპარაკა და თანაც განაგრძობდა ჩვენთან სიარულს.

ომის შემდეგ მისი ცხოვრება არეული სჩანდა. უცბად პყიდის თავის ბინას.[1] და მოგვადგა ჩვენ; "ქუჩაში ვარ" — ცოლი, ზოლა — დიდი ხანია მოუკედა — და თანაც გეგმებს აწყობს და გვირჩევს კიდეც: "მოდით წავიდეთ მარსელში, აქ სიმშილით დაიხოცებით"ო.

ყველაფერზედ უარი რომ მიიღო, ეს კაცი გაჭრა და ამის შემდეგ მისი კვალი დაკარგეთ. — შეხვედრისას, მარო ყანჩელმა გაგვაგებინა, რომ თურმე შვეიცარიაში ყოფილა.

შერლოკ ჰოლმსი არა ვარ, მაგრამ მას ვუახლოვდები... ამ ომის დროს, უცნაურია, რომ ეს ზაპლტინსკაია — ე. ი. მარგო მაყაშვილი — და ეს ჩვენი ჟორჟიკ ევანგულოვი ჩვენს მახლობლად აღმოჩნდნენ!

სამწუხაროდ მაგონდება, რომ სპირიდონი ვერ დაესწრო ვერც ერთ შენ საჯარო გამოსვლას!

პირველად ლეოპოლდ ბელანის პრიზის მისაღებად საზეიმო სხდომას, მაშინ ამერიკაში იყო.

მეორედ, ივ ნატის მოწაფეების კონცერტს სადაც დაუკარი შოპენის მეორე ბალადა. ჩემთვის ხომ ძალიან ძვირფასია ამ დღის მოგონება. ივ ნატ-ის სიტყვები; "შენი ამ ბალადის დასწყისი ნამდვილი ლოცვა იყო"ო... და ბევრი სხვა ქათინაურებიც! პუბლიკამ ბევრჯელ გამოგიძახა და როდესაც აღარ გინდოდა გამოჩენა, ივ ნატმა ხელი გკრა, "გადი"ო.

შენმა ყოფილმა მასწავლებელმა, Madame Junillon-მა მამას ტელეფონით თავისი აღტაცება გაუზიარა და უმთავრესად ხაზი გაუსვა შენ "არაჩვეულებრივი "პიანისიმო"-ები აქვს თქოს"აო, მაგრამ ეს მაინც და მაინც, მაშინ, არ ახასიათებდა შენ დაკვრას. უფრო ხშირად მიაფიშფიშებდი ნელ მელოდიურ ფრაზას და ეტანებოდი ისეთ ადგილებს საცა პედალის ქარიშხალში ბუქი დაგეყენებინა!

მესამედ, როდესაც ქართულ საღამოზედ გუნდში იმღერე. ეს იყო ....Cercle Militaire-ში, 24 მარტს 1948 წელს.

ცოტა ამაზედ ადრე, გერმანიიდან ჩამოსული იყო ერთი ტყვე, ელიზბარაშვილი, რომელიც თეატრისათვის მსახიობებს ეძებდა. არ გვიცნობდა, არც გიცნობდა და მოინდომა გამოეყენებინე პირველ როლში!... რასაკვირველია, ამაზედ როგორ დასთანხმდებოდი. — საბოლოოდ, არ ვიცი როგორ დაბოლოვდა მისი ეს თეატრალური გეგმა.

---

[1] მოკლე ხანში სამკერა პქონდა ბინა გამოცვლილი.

ამის შემდეგ ლებულობ ვალიკო წილოსანის ბარათს, გთხოვს მონაწილეობა მიიღო მის მიერ შექმნილ გუნდში; "ერთი, ორი სიმღერა მაინც იმღერეთ"ო.

აქაც უარის თქმას აპირებდი, ჩემო თეო. ძალიან გქონდა გული აყრილი ემიგრაციის ატმოსფეროზედ, იმის და მიუხედავად, რომ ბევრჯერ ვცადეთ მე და სპირიდონი შენს თვალში ხალხის უხეშობა ჩრდილში მიგვეყენებინა.

ხშირად მამაშენი თავის დებულებას ამთავრებდა ხოლმე ლათინურად; "ჰომო ჰომინი ლუპუს", მაგრამ არ იცნა და არა, მეტადრე როდესაც მთლად დაუმსახურებლად შენ დედ–მამას უმიზნებდნენ. ამას ვერ იტანდი!

ვიგონებ ერთ შემთხვევას როდესაც "ქართულმა კერამ" პირველად გამართა შობის ხე, სადაც მთელი ჩემი მუშაობის პროგრამა იყო გადმოცემული; ლექსები, ცეკვა, სიმღერა, ცოცხალი სურათები და სხვა.

როდესაც გზაში ერთად ვბრუნდებოდით, შევეკითხე ერთერთ მშობელს, რომლის გოგონაც მონაწილე იყო, — "როგორ მოგეწონათ დღევანდელი შობის ხე?" მიპასუხა; "შარშანდელი სჯობდა"ო. მერე მიუბრუნდა თავის რძალს "ქე მოუკალი გული"ო! — ეს, სამწუხაროდ, შენ გაიგე, უკან მოსდიოდი მისი ქალით ამ გრძელ მეტროს ტალანში და გათავდა... ველარ დაიოწყე. შენც ხომ ძალიან ბევრი გერგო ამწარი პატივი და სულ მთლად გაშორდი ყველაფერს!

აი, უცნაურია, დასთანხმდი ამ წილოსანის გუნდში მონაწილეობა მიგეღო. იმღერებდი "იავ-ნანას" და "გადმოშვი მთაოს".

მაღლობს პირველი რეპეტიცია დანიშნული სტუდიო ვაკერ"ში. — იქ აშკარად დავინახეთ, რომ უკვე ერთერთი მადგანი ჭირვეულობს და წილოსანს იმოწმებს, რომ "ბანის მიცემა, ძნელი იქნება"ო... ამოდენა თხოვნის შემდეგ... და საბოტაჟი!

პირველად გნახე მებრძოლი. გზაში მეუბნებოდი; "აბა თუ ასეა, სწორედ ამიტომ ვიმღერებ"ო.

მეორე ეპიზოდი ეხებოდა ეხლა ქართულ კაბას, რომელიც შენ არა გქონდა. ეკა დადიანი დაგპირდა თავის დის კაბას. სალამოს წინა დღით მიზდიხარ ამ კაბის წამოსაღებათ. ეკა სახლში არ არის, მოსამსახურე ქალი გეუბნება; "კაბა ვილაცას ვათხოვეთ, იმას გაასწმენდათ მიუცია და ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი"ო. მეორე დღეს უკმე, ყველაფერი დაკეტილია.

უკვე სალამოს 9 საათია და კლამარში როგორ უნდა ამოხვიდე ხელ ცარიელი? საბოლოოდ მედეა ნიკოლაძემ — ტელეფონით რომ გააგებინე ეს მდგომარეობა — სიამოვნებით ნათელას კაბა შემოგთავაზა. სახლში დაბრუნდი ღამის 11 საათზედ.

გათენდა მეორე დღე. იმ წინა დღის სირბილეში გასციებულხარ და ხმა მთლად წართმეული გქონდა. ბევრი კეერცხის გული ჰყლაპე ვიდრე სახლიდან გაგიდოდით.

ოხ, როგორ უნდოდა სპირიდონს ჩვენთან ერთად წამოსვლა, მაგრამ ისე იყო დასუსტებული, რომ ოტობუსამდე ძლივს გამოგვა-

ცილა. მოჰქონდა კი შენი ჩამდანი ქართული კაბით, მაგრამ შუა გზაზედ დაგვტოვა – ჩვენ გეიგვიანდებოდა, ავჩქარდით, ვერც კი მოასწარი გეკოცნა – და თავ დაღუნული ნელის ნაბიჯით გაბრუნდა სახლისაკენ! ეს სურათი დღესაც გულში მწარედ მენახება.

როდესაც მიველით Cercle Militaire-ში, დაგვიხედა ლევან ფალავა ყოველთვის ძალიან თავაზიანი, გამოგვართვა ეს შენი ჩამდანი და კულისებისაკენ მიგვაცილა. ის იყო ინიციატორი ამ საღამოსი რომელიც, თურმე, ლეილის სასაფლაოს სასარგებლოდ იყო გამართული, და შენ ეს არ იცოდი! – რა უცნაურია, სწორედ თვე ნახევარში შენ ძვირფას მამას პკარგაუდი!...

საღამოც დაიწყო, ტყუილად ეშინოდათ არც ბანის თქმა გაძნელდა, შენი ხმაც მთლიანად ჩაწმენდილი ეხმატკბილებოდა გუნდს და მართლა მშვენიერად ჩატარდა საღამო.

მხოლოდ მეორე დღეს გაიხარა მამაშენმა! ყველანი ტელეფონით ულოცავდნენ შენ გამოსვლას. რეზო გაბაშვილმაც კი დიდი ქება შეგასხა; "რა მშვენიერი იყო შენი ქალი, ჩემი თაეი სულ ძველ საქართველოში გადაიყვანა"ო!

ზოგი კი იხე ყოფილა მოხიბლული რომ "ჟრუანტელმა დამიარა მთელ ზურგზედა"ო... ზოგი ტიროდა, და სხვა და სხვა. ეს ჩვენი ქართული მეტის მეტი გადაჭარბებული თქმები! ჟორჟიკაც გვერდძედ მეჯდა დიდი თავ მოწონებული და ისიც თავისას ამბობდა.

იმ დღეებში ბევრი ამოდიოდა კლამარში, რომ სიტყვიერად ეამბნოთ თაეიანთი განცდები.

სპირიდონისათეის ეს ასეთი ქათინაურები ძალიან სასიამოვნო იყო, მითუმეტეს, რომ განსაკუთრებით ხმა და სიმღერა ჰხიბლავდა მას. ხშირად მეუბნებოდა; "ხომ იცი, სონა, როიალი მიყვარს, მაგრამ თეო რომ გაპყვეს სიმღერას, ჩემთეის ეს ძალიან დიდი ბედნიერება იქნება"ო!

ტულუზაში, სტუდენტობის დროს, მშიერი კუჭით, სულ ოპერაში დადიოდა. ეს ქართული საღამოც გათავდა, მაგრამ ამ დიდი აღტაცების შემდეგ, ქართულმა პრესამ სიჩუმე არჩია და არაფერი აღნიშნა. როგორც ყოველთვის, რაც შენ გეხებოდა.

სპირიდონის გარდაცვალება და მისი ეროვნული დასაფლავება 1948 წელს

აქ მინდა, კიდევ ერთხელ აეღნიშნო, რომ მაჩაბლის ფირმა იმ ჟამად შეძენილი ამერიკის დიდი საზოგადოების მიერ, აქ პარიზში თითქმის გაკოტრების პერიოდში იმყოფებოდა.

თუ ორი წლის წინად ამ ფირმის წარმომადგენელი Monsieur Dubois ყველა ზომებს მიმართავდა, რომ ჩვენ გაეძევებინეთ, არამც თუ საქმიდან, არამედ კლამარის სახლიდანაც, ამ ერთი წლის წინად

სპირიდონთან ბოდიშებით მოვიდა; "ის რაც თქვენ იცით ამ საქმის შესახებ, არაფერია, შედარებით იმასთან, რაც მე მაქვს დღეს ხელში, აი მივდივარ ამერიკაში, მთელ მოხსენებას ვამზადებ, თქვენ აქ დარჩებით, როგორც წინად, იქნებით ამ საქმის ბატონ პატრონად, ჯამაგირიც მოგემატებათ და ჩვენი მთლიანი ნდობაც გექნებათ".

ამერიკელებმა გვიან დაინახეს სიმართლე, სულ ბოლოს მთელი დელეგაცია პირდაპირ ბინაზედ მოგვადგა, სპირიდონს რჩევას ჰკითხავდნენ; "დიდი თანხებია გაცემული ნედლი მასალისათვის და მისი მოხმარება არსად არა სჩანსო, როგორ მოვიქცეთ, საქმე ძალიან ცუდს მდგომარეობაშია".

სპირიდონმა ურჩია, რომ მუშების რიცხვი შეემცირებინათ, რადგან საქმე ამას მოითხოვდა, "დანარჩენი ამბავი კი მე აღარ მეხება".

სპირიდონის ჯანი ძალიან მისუსტებული იყო, გატეხილი და დავარდნილი სჩანდა, მაგრამ ხალხი ამას ვერ ამჩნევდა, ყველას მხნედ ეჩვენებოდა. იმას წუწუნი და თავის თავზედ ლაპარაკი არ ეხერხებოდა, არ უყვარდა. მახსოვს მისი უკანასკნელი უბედური დღეები, ყოველიეე წვრილმანი ჩემში სამუდამოდ არის ჩამარხული.

ეს იყო 1948 წ. მაისში.

შაბათს 15 მაისს, სპირიდონი ჩვეულებრივ მთელი დღე ლაბორატორიაში მუშაობდა და იქიდან საღამოს შვიდ საათზედ გამოვიდა.

იმ საღამოს არაფერი ნიშანი მის არსებაში არა სჩანდა, რომ ხვალინდელი საღამო მის ოჯახს დიდ უბედურებას უმზადებდა.

ეტყობოდა, წინადგრძნობა ჰქონია და სიკვდილის მოახლოვება უგრძვნია, რადგან სადილის შემდეგ დიდის გრძნობით გვიკითხამდა ბოდლერის ამ ნაწარმოებს "La Charogne", უკანასკნელად ოჯახს ამ ლექსით გამოგვეთხოვა.

კვირა დილით. ეტყობა, ჩვეულებრივზედ უფრო ადრე იყო ამდგარი, რადგან ეზო დაგვილი დამიხვდა, ქარხნის მთელი ნაგავი გატანილი, სამზარეულოში მთელი ჭურჭელი დარეცხილი.

უნდოდა ამით ყველასათვის რაიმე სიკეთე გაეკეთებინა, ვინც მის გარშემო ტრიალებდა იმ მოშხამულ ქარხანაში, ჩემთვის კი ზედმეტი მუშაობა აეცილებინა.

რომ ავდექი, ჩემი გაოცება ვეღარ ვენ, ამ დროს ის სახლის კარებიდან გასაქცეროდა კლამარის ტყეს მზის ტალღებში გახვეულს, მითხრა; "იცი, სონა, რალაც მიხარიან, თითქოს მომეშვა კიდეც, მაგრამ რა მახარებს. არ ვიცი".

შემდეგ გავიდა გაზეთის მოსატანად, მშვენიერი მაისის დილა იყო და იქვე მოედანზედ სკამზედ დამჯდარა და გაზეთის კითხვაში რომ ყოფილა, მიამბობდა იქიდან დაბრუნებული, "ერთი ლამაზი კვიცი მომიახლოვდა, მარჯვენა მხარზედ დამადო თავი, თითქოს მომიალერსა". იმ დროს ჩვენ მოედანზედ ცირკი იყო მოსული. ეს კვიცი მგონია, თავის მწვრთნელს უცბად დაუსხლტა და თავისუფლად დანავარდობდა, მაგრამ გასაოცარია, რომ იმან სპირიდონის მარჯვენა მხარ-

ზედ არჩია თავისი ლამაზი თავის დადება, სწორედ მარჯვენა მხარზედ დაეწყო მამას სიდამბლავე.

სიამოვნებით ლაპარაკობდა ამ კეიცზედ და ეტყობა, მოინდომა კიდეც მისი ნახვა რომ მითხრა: "ამ სალამოს სამივენი წავიდეთ ცირკში"ო, გამიკეირდა კიდეც, რადგან სხვა დროს ამას არ მოისურვებდა.

საუზმეზედ კარგადმყოფი სჩანდა, მაგრამ არ მომეწონა, როდესაც საუზმის გათავებისას მის ხელში მიწიშვილის ლექსების კრებული "შავი ვარსკვლავი" დავინახე. კიდეც ვეუთხარი, თუ რა დროს "შავი ვარსკვლავის" კითხვაა, ამაზედ ძალიან სერიოზული კილოთი მიპასუხა; "სწორედ ეხლაა დროე"ო.

შემდეგ ავიდა საწოლ ოთახში და წამოწოლილმა დიდხანს ატრიალა თავის დედის უკანასკნელი წერილი, მერე პატარა კარტონის ნაჭერზედ კიდეც სწერდა, რასა? მაგრამ ადამიანი ვერ გაარჩევს, ალბად აწუხებდა შენი მომავალი, ჩვენი უსახსროდ დატოვება. ეს იყო მისი მუდმივი დარდი და სატანჯველი.

უკანასკნელ ხანებში კიდეც ალმოხდა: "რა სულელი ვიყავი, ცხოვრება რომ ასე უცნაურად მაქვს მოწყობილი, ადვილად შესაძლებელი იქნებოდა ეს საქმე და ეს სახლიც ჩვენ დაგვრჩენოდა"ო, და მართლა ეს ასე იყო, მაგრამ მეც რომ სულელი შევხვდი და სრულებით ამ ცხოვრებისათვის მოუმზადებელი!

იმ ნაშუადღევს ელისე პატარიძე ამოვიდა და უკითხავად ოცდაექვსი მაისის სადღესასწაულო საღამოზედ წასაკითხ სიტყვის შინაარსს, უნდოდა სპირიდონის აზრი, რომელიც მორიდებულად ეუბნებოდა, რომ საჭირო იყო, ეს "ცოტა სხვანაირად დაწერილიყო"ვო. თავის შენიშვნებს ამბობდა.

ამ დროს ლაურენტი კვარაცხელიაც შემოვიდა, კვირა დღეს ყოველთვის ჩვენთან ხალხი იყო, სუფთა პერი ყველას ჰხიბლავდა და ჩვენი ოჯახის თავაზიანობა არაყის აკლდებოდა.

ლაურენტი იმ დღეს ფრანგებზედ მეტის მეტად გაღიზიანებული ლაპარაკობდა, რომ ფრანგებს არფერი აბადიათ, მათი კულტურა უმნიშვნელოა და თავისებურად კიდეც ილანძღებოდა.

სპირიდონმა მას კილო მალე დააშვებინა და უთხრა: "შენ რომ კულტურა გაქვს შეძენილი, აქ რომ სულ ფრანგის მეცნიერებს და მწერლებს ასახელებ, სად შეიძინე ეს ყველაფერი, ეხლა რომ ფონს გასული ამაყობ კიდეც შენის ცოდნით, გაქვს უფლება, ეს ხალხი არაფრის მქონედ გაასალო"ვო!

უკანასკნელად გავიგე მამას დამშვიდებული ლაპარაკი.

შემდეგ კვარაცხელია პარიზისაკენ წავიდა, მეორე დღეს შეწუხებული მეკითხებოდა, "გუშინ მე ხომ არ დაველაე"ო?

სპირიდონი და ელისე პატარიძე ორივენი ტყისკენ გაემართნენ. კარებიდან გაეძახე: "გრილი სალამოა, არ შეგცივდეს, პლაშჩი წაიღე". ამაზედ ცოტა აღელვებულმა, უფრო კი გაღიზიანებულმა მიპასუხა; "ეხლა ეს საჭირო არ არის"ო.

ამ კილოთი სპირიდონი თავის დღეში არ დამლაპარაკებია,

იმაღე დღეს, ჩაიზედ რომ ვისხედით, ყურადღება მივაქციე მის უცნაურ კილოს, რომ მოგმართა:"მომიტანე კიდევ მეორე ფინჯანი!"-ო

სალამოს რვა საათი იქნებოდა, რომ ტყიდან მობრუნდნენ, ჩვენ კარებში ელისე რომ ეთხოვებოდა, სპირიდონს არ გაუშვია, თურმე წაულია მისთვის ხელი და მანამ ორივენი შემოვიდოდნენ ბიუროში, მთვარეს შეეხედა და დიდის აღტაცებით უთქვამს: "ოხ, ამ სალამოს რა მშვენიერია"ო. იმ დროს ჩვენ ზვითია სართულში ვიყავით. მე წამოწოლილი ვისვენებდი, შენც შენს ოთახში, ჯერ არ აგვენთო ელექტრონი, ფანჯრები ღია, ტყის სიოში გახვეულნი, დიდ სიჩუმეში ჩაფლულნი. მაგონდება, და დღესაც მაოცებს, ორი ცხვირსახოცი მოგიმზადებია და დაგიწყებია ბუხრის თავზედ!.. გაისმა ელისეს ხმა, გეძახდა: "თეო, თეო..." და უკვე კიბეზედ ნახევრად იყო ამოსული "მამა ცოტა ვერ არის კარგად, მოდი"ო და მეც დაგეწიე!

ჯერ კიდევ ფეხზედ მდგომმა შემომჩივლა და ხელით მაჩვენა, ენა დადუმებული მაქვსო; მართლა მოასწრო ეთქვა: "ვკედებიო" თავისი გაცებაც დაუმატა "ça, par exemple"! ეს უკანასკნელი სიტყვა სთქვა ფრანგულად.

შენ ამშვიდებდი, შვილო; "არა, მამა, არა"ო, მაგრამ თავით დაგიდასტურა, "მართლა ვკვდები"ო.

გონება დაკარგული მაშინათვე დავაწვინეთ და ექიმი მოვგვარეთ. ოჯახის ექიმი დამლამიანი რომ მოვიდა, ბევრი ეცადა, უყვიროდა, ეძახდა, მაგრამ გონებაში ვერ ჩაადგო.

სისხლის გამოშვებაც სცადა, მაგრამ სიცოცხლის ნიშნები აღარ ემჩნეოდა.

ღამის ორი საათიდან დაიწყო ჩვენთან ყმაწვილების მოსვლა, რომელთაც ელისემ მოსალოდნელი უბედურება გააგებინა.

დილის შვიდი საათიდან კი ექიმ დამლამიანთან ერთად ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე თავს დასტრიალებდა.

ამათ თუმცა იფიქრეს, საავადმყოფოში საოპერაციოდ მისი გადაყვანა, მაგრამ ამავე დროს სპირიდონის ამ მძიმე მდგომარეობაში შეუძლებლად დაინახეს ადგილიდან დაძერა.

დილის ათი საათიდან სპირიდონი სულთმობრძავი შეიქმნა, სუნთქვა უძნელდებოდა, ვახტანგმა სცადა მისი კლავები აემოძრაებინა, მაგრამ მარჯვენა მხარე უსიცოცხლო აღმოჩნდა; უცებ სუნთქვა შეწყვიტა და გათავდა... ვახტანგმა დაუხუჭა თვალები.

ეს იყო დილის 11 საათი; ვიდექი მთლად გონება დაბნელებული, თითქოს უფრსკულში ვიძირებოდი, გარშემო მესმოდა ქვითინი, მაგრამ ჩემ თვალებს ცრემლი არ ეკარებოდა.

მიცვალებულის მოვლა ყმაწვილებმა იკისრეს. "ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ"ო. უელიდნენ, აცმევდნენ და თან ტიროდნენ.

გასაოცარი ღიმილი დარჩენოდა მიცვალებულს, თითქოს ნეტარებაში იყო გარდასული.

დაიძრა ჩვენსკენ მომავალი ხალხი, მთელი დღის განმავლობაში მოდიოდნენ მოსამძიმრეები, როგორც ნაცნობნი ისე ბევრი ჩემთვის უცნობნიც, ამათში ბევრი იყო ფრანგიც.

იმოდენა მამაკაცების ხმამაღლა ტირილი და მოთქმა მე სხვაგან არ გამიგია; იოსებ ხანანაშვილი თავში იცემდა, ტიროდა, ველარ დაამშვიდეს, მძიმე სანახაობა იყო, ემუხვარი ხმამაღლა მოსთქვამდა, დიდი გოდება იყო.

ვანო ჯავახიშვილი ცუდათ გახდა და წაიქცა, ბაღში გაიყვანეს და იქ მოასულიერეს. შემდეგ ამბობდა; "საკუთარი ვაჟიშვილი დავკარგე, მაშინ უფრო მხნედ ვიყავი, მაგრამ დღეს რომ სპირიდონს დავხედე და მისი ჩვეულებრივი მოღიმარე სახე ვნახე, ეს ველარ ავიტანე და ჩავიკეცე"ო.

არ დაიგვიანეს მარგალიტა მაჩაბელმა და გიორგი დადიანმა, ორივემ დაიჩოქეს, მიცვალებულს შუბლზედაც ეამბორეს, შეწუხებულნი სჩანდნენ.

მოვიდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, მას თან ახლდა ვალიკო ჩუბინიძე, ცალკე მოვიდნენ ეგენი გეგეჭკორი, ნოე ცინცაძე და სხვები.

ორი დღე და ღამე მიცვალებული სახლში ესვენა. მთელი ეს დრო ყმაწვილები დასტრიალებდნენ და ჯერით ყარაულობდნენ.

ჩვენი სახლი სავსე იყო ხალხით, ოჯახის საქმიანობა სხვებმა იკისრეს, სამზარეულოში ტრიალებდნენ წინსაფარ აფარებულნი ქალი თუ კაცი, უმთავრესად ვალია და დიკა.[1]

ზემო სართულში დასაფლავების კომისია თათბირობდა, ამაში შედიოდნენ ყველა პოლიტიკურ მიმართულების პიროვნებები: ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე ერ. დ., ეგენი გეგეჭკორი ს. დემოკრატი, იოსებ გობეჩია ს. რ., საშიკო კარგარეთელი შეფიცული, ელისე პატარიძე და რამოდენიმე ახალგაზრდა ერ. დემ.

გარდასწყვიტეს სპირიდონის ნაციონალური დასაფლავება; მისი დაკრძალვა კი ლოვილის ქართულ სასაფლაოზედ ჰქონდა გარდაწყვეტილი ერ. დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციას.

მე ეს არ მინდოდა, რადგან ვიცოდი სპირიდონის სურვილი, იმას უნდოდა მუდმივი ბინა კლამარში ჰქონოდა.

მაგრამ საშინელი სურათი დამიხატა მიშა ქაუთარაძემ: "სოფლის მამასახლისი ხომ არ მოკვდა, სპირიდონ კედია, შეუძლებელია, სხვათაშორის რომელიმე პარიზის სასაფლაოზედ იყოს დასაფლავებული, რადგან დრო რომ გადის, თუ არ გადაიხდით ფულს, მაშინ მიცვალებული უპატრონოდ იქნება ცნობილი, ამოაგდებენ სამარიდან და მისი თაყის ქალა შეიძლება ადამიანს ფეხებში მოედოს, ვიდრე მთელ ძვლებს ცეცხლში არ ჩაჰყრიან"ო.

მაშინ ველარაფერი გაეწყო და დაემორჩილე ერ. დემოკრატებს, რომელნიც გახდნენ მთავარი ჭირისუფალნი, მითხრეს კიდეც; "მიცვალებული მარტო თქვენ არა, ჩვენც გვეკუთვნის"ო. მე კი ვნანობ, რომ მეტი ხასიათი არ მეყო. სპირიდონი ლოვილის სასაფლაოზედ

---

[1] დიკა, სპირიდონის მონათლული, იმ ღამეს მიცვალებულთან ტრიალებდა უელიდა და ისე – ეს მთლად ახალგაზრდა გოგო, რომ ვერც მე და მითუმეტეს შენ ამას ვერ შეეძლებდით.

უადგილოა, რადგან ლოვილი იყო ის ადგილი, საიდანაც ს. დემოკრატები სპირიდონს ქუებს უშენდნენ, მათი შტაბი არაფერს ზოგავდა, მისთვის სახელი გაეტეხნათ და საერთოდ მოესპოთ ეს კაცი, თუმცა ბოლო ხანებში მასთან მოლაპარაკებასაც არ დაერიდნენ, მის დასაფლაებაში დიდი მონაწილენი გახდნენ, მათი მოტანილი გვირგვინები და ზედ წარწერები ამას მოწმობს. მაგრამ მთელი წლების განმავლობაში შხამი, რომელსაც სპირიდონის სახელს ასხამდნენ, შეუძლებელია, მთლად იყოს არეცხილი; თუ ძველი თოხა ამას შესძლებს, მათი შვილები ხომ რჩებიან ამ სიძულვილეში აღზრდილნი. დაეაქცებულნი. ვფიქრობ, ისინი კარგის გრძნობით არ ჩაუვლიან სპირიდონის საფლავს.

მაშ სპირიდონი გარდაცვლილი მაისის 17-ს მხოლოდ 20 მაისს მივაბარეთ მიწას. სახლში რამდენიმეჯერ გარდახდილი იყო პანაშვიდი, რომელსაც მთელი კოლონია ესწრობოდა.

იმ დროს ღვდელი ფერაძე შეცვლილი იყო, მის ადგილას დანიშნული იყო ღვდელი ზამბახიძე; პირველად რომ სწირა, მე ეკითხე, იცნობდა სპირიდონს თუ არა, ტირილით მიპასუხა; "როგორ არა, მე მასთან ერთად ვიყავი თბილისში საკათოლიკო საბჭოში"ო. შეწუხებული იყო სპირიდონის სიკვდილით.

მიცვალებული წინა დღით გადავასვენეთ ქართულ ეკლესიაში, სპირიდონმა კლამარი დასტოვა მშვენიერ მზიან ამინდში, გასაოცარია, რომ იმ დღეს კლამარის არც ერთმა მეზობელმა მისი გასვენება, სასლის დატოვება ვერა ნახა; იმათ მეხსიერებაში ყოველთვის რჩებოდა ის როგორც კარგი გულშემატკივარი მეზობელი რომელიც დიდსა თუ პატარას ქუდმოხდილი ზრდილობიანად ესალმებოდა.

ეკლესიაში მთელი ღამე საპატიო ყარაული ედგა.

მეორე დილით ეკლესიაში რომ მიეყვდი და დავინახე სპირიდონის კუბო ეროვნულ დროშაში გახვეული და ყვავილების სიმძიმეში მყოფი, რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა, თითქოს სპირიდონთან ერთად რაღაც ზეიმს ვიხდიდით.

ბევრი გვირგვინი იყო მოტანილი, ყველა პოლიტიკური პარტიის თუ ჯგუფის სახელით, ამის გარეშე იყო გვირგვინი ქართველ ქალთა სახელით, ერთი ქართველ ბავშვებიდანაც; "ძვირფას ძია სპირიდონს"აო.

იყო ერთი კონა ყვავილებისა ამ წარწერით "ძვირფას სპირიდონს, საქართველოსს სინიდისსა"აო. რასაკვირველია, გვირგვინი მაჩაბლის პარფიუმერიიდანაც.

იმ დღეს 20 მაისს საპატიო ყარაულში კუბოსთან იდგნენ: აჩიკო დადიანი, ვიქტორ შუბლაძე, დიმიტრი ბეგიაშვილი და შეფიცული საშიკო კარგარეთელი.

თემო თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით გუნდი, შესაფერისი იმ დღისათვის, კარგად გალობდა, მას ჰფარავდა საშა ჯინჭარაძის ლამაზი ტენორი, რომელიც კარგად მეტყველებდა, ჩემთვის მაინც, დიდ უბედურებას.

ვიდექი ცრემლგამშრალი, გადასული სპირიდონთან ერთად სულ სხვა სამყაროში.

ყვავილებსა და ეკლესიის საიდუმლოებაში გახვეული, მასთან დიდ ღვთაებრივ ზეიმსა ვგრძნობდი.

წირვის შემდეგ ვინ მართმეცდა ხელს. ვინ რას მეუბნებოდა, ამას ველარ გეტყვი, მახსოვს ჩემთვის მტკივნეული წუთები, როდესაც ჩემს წინ გაჩერდა მაჩაბლის მაღაზიის გამყიდველი... და ქარხნის უფროსი, რომელიც ბოდიშს იხდიდა, რომ პროცესს ვერ დაესწრება..., რადგან ის კლამარში უნდა დაბრუნდეს.

დასაფლავებას დაესწრო ბევრი უცხოელი, რუსებიც იყვნენ. პროცესია გაემართა დროებით სასაფლაოსკენ, რომელიც იყო აქ პარიზში, ქაქუცას საფლავთან გაჩერდა და იქ წარმოსთქვეს, სიტყვები, პირველი სიტყვა სთქვა ექიმმა ვახტანგ ღამბაშიძემ, შემდეგ საქართველოს ყოფილმა ელჩმა ს. დ. აკაკი ჩხენკელმა, ს. დემ. პარტიის სახელით ილაპარაკა გრიშა ურატაძემ. თ. გიორგის სახელით კალე სალიამ, რომლის სიტყვა იყო ნათქვამი დიდის გრძნობით და შინაარსიანიც.

ეროვნ. დემოკრატებიდან სიტყვა სთქვა ელისე პატარიძემ.

კუბო რომ ჩაასვენეს, აქ კი ველარ შეეკავე თავი და ავტირდი, ტიროდა ჩემთან ერთად იქ თითქმის ყველა სპირიდონის მახლობლები და მისი პოლიტიკური მტრებიც. საგრძნობი იყო, რომ ამ ადამიანის დაკარგვამ ყველანი ჩაახედა თავის სინდისში და ყველაფრის გარეშე მათ ეროვნულ სიმებს ჩამოჰკრა და გააღვიძა. ხელმეორედ კიდევ ჩადგნენ ჯერში და სამძიმარს მეუბნებოდნენ, მამაკაცები თავიანთ გრძნობებს ველარ მალავდნენ და თვალცრემლიანნი იდგნენ ჩემ წინ. გვარჯალაძე ს. დემ. ინგლისის ყოფილი დიპლომატი საქართველოდან მივლინებული, მეუბნებოდა; "ის რაც აქ ნახეთ, ეს ეროვნული მანიფესტაცია გულწრფელი იყო"ო. ერთი ფრანგი მწერალი ქალი სწერს თეოს წერილს და ამბობს, რომ ამ დღეს იმან ნახა ქართველების გაერთიანებული ეროვნული გლოვა და ძალიან კმაყოფილია, რომ ამის მონაწილე თვითონაც გახდა.

ერთი რუსი მეუბნებოდა, "არ ვიცი, ვინ უნდა მოკედეს რუსებში, რომ ასეთი დამარხვა ელირისოს"ო.

სახლში რომ მოვედით იქ დამხვდა უკვე ბაღში გაშლილი მაგიდები და სტუმრები, მათი ნახვა ჩემთვის უცნაური იყო, რადგან არაფერი ვიცოდი, რომ ქელეხის გადახდა ჰქონდიათ გარდაწყვეტილი უჩემოდ.

ნინა ჯინჭარაძე, გ. მაჩაბლის ნახევარი და, ის დიასახლის-სობდა, ის იყო იმ დღეს ჩვენი ჭირისუფალი, მიცვალებულის კუბოში ჩასვენებასაც ის დაესწრო, ბევრი იტირა, ამბობდა: "სპირიდონი იმდენად კეთილი ადამიანი იყო, რომ მისი ბუნებისა მეშინოდა კიდეც, არა მჯეროდა, რომ ის გულწრფელი იყო"ო. ეჰ ჩემო ძვირფასო სპირიდონ, ბევრი იყო ასეთი აზრისა, რადგან არ იყვნენ შეჩვეულნი შენისთანა ადამიანი მათ ცხოვრებაში შეხვედროდათ.

ამ ქალებში სიტყვები და სიტყვები, ექიმი კობა ხოჭოლავა ამბობდა: "სპირიდონი იყო ის პიროვნება, რომელიც არ იქნებოდა უადგილო არცერთ ევროპის ქვეყანაში რომ პრეზიდენტი ყოფილიყოო ყველგან ამ როლში მისაღები იქნებოდაო"

ამათ ლაპარაკს კი ვისმენდი, მაგრამ ადგილს ვერა ვპოულობდი, რომ მაგონდებოდა სპირიდონის დროებითი სასაფლაო, მინდოდა საბოლოოდ მისი დაბინავება.

მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოხერხდა ლოვილში მისი გადასვენება. მახსოვს ამ ქალების შემდეგ მეორე დღეს პირველად რომ დავსხედით მე და შენ მარტოდ დარჩენილნი, რა შხამად შეგვერგო ის სადილი, ვისხედით უჩუმრად. მეორე დღეს ამოვიდა ჩემი ბიძაშვილი ანეტა დავრიშაშვილი და ერთი კვირა დარჩა. მე კი ძალიან ვიყავი დაღლილი, ძილი მაკლდა, მომსულელებთან ის დამშვიდებულად მუსაიფობდა, ვიცოდი ისიც, რომ სპირიდონის სიკვდილი მისთვის უმნიშვნელო იყო, ეს ძველი ამბავია და ამას არ შეევხები, იმ დროს მისი საზოგადოება ჩემთვის ადვილი ასატანი არ იყო, გარდა ამისა მინდა ცოტა ამოგვესუნთქა, დაგვესვენა, ხალხი ნელნელა მიაკრიფა, მინდა მოვიგონო მარგო მაყაშვილი, რომელმაც სპირიდონის სიკვდილი ძალიან განიცადა და ვერც დამალა.

სწორედ შენგან გაიგო ჩვენი უბედურება, დილით რომ მისდიოდი მერიაში, რომ ეს გაგეცხადებინა.

მარგო შეგხვედრია ჩვენ ქუჩაზედ და მიამბე, რომ ეს ქალი ცუდათ გამხდარა, კინაღამ წაიქცა და იქვე ფერმიხდილი კედელს მიეყუდაო.

გასაოცარია, რომ მაშინათვე ჩემთან არ შემოვიდა და საბოლოოდ არც დასაფლავებას დაესწრო, ალბად უფროსებისა შეეშინდა.

მერე კი, როდესაც მისი ნათესავი ელიზბარ მაყაშვილი მოდიოდა ჩემ სანახავად პროვინციიდიან ჩამოსული, მარგო მოჰყვა.

შემდეგ მოვიდა ჩვენთან და ეს იყო უკანასკნელად, განზრახული გეგმით. "ვიცი, რომ ეხლა თქვენ გაგიჭირდებათ ცხოერება, აი გთავაზობთ დახმარებას, რამდენიც გინდათ, ყველაფერი გექნებათ და დამშვიდებულად იცხოერებთ"ო.

ჩვენ აბა რას ვეტყოდით, ცივი უარით გავისტუმრეთ ეს თავაძის შიკრიკი.

მალე დაგეირეკა ტელეფონი, "საქართველოში მივდივარ და იქიდან გაგაგებინებთ თქვენების ამბავს"აო, გამოგვეთხოვა მარგო მაყაშვილი, მაგრამ არ ვიცი, ნამდვილად წავიდა, თუ აქვე დატრიალდა.

ყველა მხრიდან სადაც კი იყვნენ ქართველები მოგვდიოდა დეპეშები ან წერილები, ევროპის დიდ ქალაქებში გარდახდილი იყო პანაშვიდები.

მთელი ეს მასალა შენახული მაქვს, ვინ როგორ შეაფასა სპირიდონი. ამ წერილებში საყურადღებოა, ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის წერილი. რომელშიაც ის გადმოგვცემს თავის მამის აზრს სპი-

რიდონის შესახებ.[1] არის ზოგიერთი ფრანგის წერილი, რომლის ავტორი სპირიდონთან იყო პირადათ დაკავშირებული იმ ექვსი წლის განმავლობაში, როდესაც მამა აქა ცხოვრობდა ცოლშვილს დაშორებული.

უნდა ვსთქვა, რომ კერძო ცხოვრებაში მას ფრანგები უკეთ იცნობდნენ ვიდრე ქართველები.

"ბატონი სპირიდონი ცივი ადამიანია"ო, მითხრა ერთმა ახალგაზრდამ სპირიდონის მიმდევარმა, მე ჩემი გაოცება ვარჩენე.

სპირიდონი არ იყო სუფრის კაცი, რაც ისე აახლოებს და აკავშირებს ხალხს, მაგრამ ხომ საჭირო იყო პატარა დაკვირვება, სხვა აზრი ჰქონოდათ, ქართველ კაცს ანალიზი არ უყვარს, ის მარტივად სწყვეტს ყოველგვარ საკითხს.

ასეა თუ ისე სპირიდონი წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ არავითარი სიმშურე, ან მძულვარება მტრების მიმართაც კი მას არ ჩაჰყოლია.

პირიქით, დასტოვა ეს ქვეყანა ნამდვილმა ქრისტიანმა, ამიტომაც ის იყო ჯვარცმული, თუმცა მისგან ეკლესიის კარები არ იყო ატალახებული.

გიორგი შანშიაშვილმა მთელი ის დღე გადაიღო; კლამარიდან გასვენება, სასაფლაოზედ დაგრძელება და საბოლოოდ ქელეხი იგივე კლამარში, ჩვენ ბაღში.

ამ სურათებს ველარა ეპოულობთ. ვინ აგვაცალა და რისთვის, სად დაიკარგა?... დამიღონებია თავი.

ჩვენი პარიზის ოტელში ცხოვრება 1953 წლიდან 1956 წლამდე

როგორც იცი, სპირიდონის სიკვდილის შემდეგ კლამარში დავრჩით ზუთი წელიწადი, დავტოვეთ სახლი 1953 წ. იანვრის 14-ს და მისი გასაღები ოუსიეს ჩავაბარეთ.

---

[1] აი ეს წერილი: "Paris le 28 Mai 1948 / 77 rue N.D. des Champs VI.
Chère Madame, Permettez-moi de vous dire la part que je prends à la perte cruelle que vous avez faite en la personne de monsieur Spiridon Kédia pour qui mon mari et moi avons toujours eu une grande estime et une sincère sympathie.

Je n'ai jamais oublié les visites qu'il faisait à mon père, ni combien ces visites étaient réconfortantes et impatiemment attendues.

Mon pauvre père aimait sincèrement Monsieur Kédia et le tenait pour le seul homme d'Etat Géorgien digne de respect. - Lui qui était souvent amer en me parlant des autres politiciens n'avait que des éloges à la bouche dès qu'il s'agissait de Monsieur votre mari.

Je suis heureuse de pouvoir vous le dire en toute vérité.
Croyez Chère Madame, à toutes nos sincères condoléances auxquelles mon mari joint ses hommages de profond respect.
Nina Nicoladzé-Coquet"

რადგან ჯერ კიდევ ოთახი ნაშოვნი არა გვქონდა, იმ ღამეს იქვე კლამარის ოტელში დავიძინეთ! დავიძინეთ კი არა, თეთრად გავათენეთ.

მე სიცხიანი ვიყავი და მთელი ღამე ჩემი ხველება არ გასვენებდა. მეორე დილითვე შენ წასული იყავი პარიზში ოთახის საშოვნელად. ხანგრძლივად ჩვენი დაბინავება ოტელში ძნელდებოდა, ერთიორი ღამით იძლეოდნენ, მაგრამ ამის იქით კი უარით გისტუმრებდნენ. ბოლოს გეშოვნა ოთახი, ჩვენთვის შესაფერისი, სუფთა, კარგად მოწყობილი პარიზის ერთ ოტელში, რომელიც მდებარეობდა №126, Ruc de Cherche-Midi..

კარგად მახსოვს ის საღამო, პირველად რომ მიეველით, რა საგრძნობი იყო ჩვენთვის თბილი ბინა და რაც უმთავრესია, ხელები რომ შევუშვირეთ იქვე ოთახში თბილ წყალს, არ დაგეჭირდა არც მეზობლების შეწუხება და არც ცივ გაყინულ ოთახში ყოფნა.

როგორც დიდ ომგადახდილები ძილად მივეშვით, ეს იყო ნამდვილი სამოთხე იმ ხუთი წლის ჯოჯოხეთის შემდეგ, რომელიც ჩვენ კლამარში გავატარეთ.

რა ცოტაა საჭირო ზოგჯერ ცხოვრებაში, ადამიანმა შვება იგრძნოს!

ამ ოტელში იყო ერთი უხერხულობა, რომ საჭმლის გაკეთების უფლებას არ გვაძლევდნენ.

მაშინ ჩვენთვის ოთახის ფასი 15 ფრანკი დღეში, ესეც მძიმე იყო და რესტორანებში სიარული ხომ ყოველად შეუძლებელი.

შენ დარჩი უინსტრუმენტოდ, უნდა სხვა სამუშაოზედ გეფიქრა, რა არა სცადე, რა არ იკისრე, ჯერ კიდევ კლამარში, როდესაც სიცხიანი დასდიოდი, რომ ელექტრონის საბნები გაგეყიდნა...

პარიზში ხომ უფრო ენერგიულად შეუდექი ცხოვრების გაძღოლას. ბინისათვის ფული იყო საჭირო; შენი თავგადასავალი შენ თვითონ დაწერე, მომავალში თუ ვინმე წაიკითხავს, იმას კი იტყვის, სად იყო ის ხალხი, რომელიც კლამარში თავისუფლად შემოალებდა ჩვენ ეზოს კარებს, იქ დაუხვდებოდა კარგი, მეგობრული ღიმილით სპირიდონი, მე და შენ კი იმათ გართობას და მასპინძლობას დავიწყებდით და ხშირად წასვლა აღარ უნდოდათ ამ ჩვენ მეგობრებს; სიამოვნების ღიმილით გვტოვებდნენ ყოველთვის და კმაყოფილნი დაგვიანებულ საათებში შეუდგებოდნენ პარიზის გზას.

პირველ ხანებში მოდიოდნენ ოტელში უფრო ცნობის მოყვარეობით, ყველას უნდოდა ახალი ამბების გატანა, თუ როგორა ვცხოვრობთ, თან რჩევასაც არ გვაკლებდნენ.

მე მისტუმრებდნენ "აბანდონში", მოხუცებულთა თავშესაფარში, შენ კი თავიანთ მიზნებისათვის გამოგიყენებდნენ, ზოგიერთ მათგანს თავიანთ ბინაზედ ეგულებოდა სხვენში პატარა ოთახი, იქ მოგათავსებდნენ და ამაში ოჯახურ საქმეებში მიშველებას მოგთხოვდნენ. ერთი სიტყვით ყველას უნდოდა ჩვენი ხელში ჩაგდება, როგორც "სოლდი".

ზოგს უნდოდა, მისი ბავშვების მომვლელი ყოფილიყავი, მხოლოდ ისეთ ბინას მთავაზობდნენ, სადაც ყველაფერი არ იყო იმისათვის, რომ ადამიანს ბუნებრივად ეცხოვრა, მაგალითად ფეხისადგილი იქ არ იყო, მე ამაზედ უარი ვსთქვი; საამისო წყრომასაც არ გვარიდებდნენ.

ზაფხულობით ძალიან გვეძნელებოდა ამ ოტელის ოთახში უპაეროდ ყოფნა, ხომ გახსომს, რა ცუდათ იყავი ერთ ზაფხულს, პირდაპირ ჩამოდნი, წონაში დაჰკარგე ცხრა კილო;

ჩემ ბიძაშვილ ანეტას იმ ჟამად დიდი პაეილიონი ეჭირა ეეზინეში, იმასთან წაველით თხოვნით, ერთი თვით ოთახი მოექირავებინა, გეხსომება ისიც, რა გულდაწყვეტილები წამოველით იქიდან.

ოთახი არ მომაქირავა, რადგან თამრიკო მეგობრობდა დათოსა და არ უნდოდა, ჩვენ ეს გვცოლნოდა, ყველამ კი იცოდა მათი რომანი.

ერთი სიტყვით ყველგან გზები გვქონდა გადაჭრილი.

დამავიწყდა მეთქვა, სულ ბოლო ხანებში კი უცნაური წინადადება მივიღეთ; გვთავაზობდნენ რუსულ სახლში მუშაობას. მე ბავშვების მეთვალყურე უნდა ეყოფილიყავი ღამის განმავლობაში, რადგან იქ იყვნენ სულ პატარელები, რომ ქვეშაგები არ დაესველებინათ, შენ კიდევ მოზრდილებთან ერთად რუსული, პატრიოტული სიმღერები გემღერნა...

ამის ავტორი ძალიან ნერვიულად მელაპარაკებოდა; "თქვენ ხომ მუშაობდით სულ მთელი სიცოცხლე, თეომაც უნდა იმუშაოსო".

ამით გათავდა ეს რჩევები და დარიგებები.

ამ ჩვენ ოტელში უცნაური ამბავი დატრიალდა.

ერთ დღეს შენ წახვედი კლამარში მირეისთან, რომელთანაც აპირებდი კიდეც იმ ღამეს იქ დარჩენას, მაგრამ გადაიფიქრე და მობრუნდი სახლში. დღესაც მიკვირს რატომ?

იმ დღეს მარგალიტა რები იყო ჩვენთან და ორიეემ სადგურამდე გაგაცილეთ.

მეორე დილით კვირა დღეს ქართულ ეკლესიაში გავარდა ხმა, რომ თეომ თავი მოიწამლაო, დაიძრა იქიდან ხალხი ჩემ სანახავად, სწორედ იმ დღეს შენ თავი დაიბანე და სველი თმებით ამ მოსამძიმრე ხალხს თავშეხვეული დაუხვდი.

ოთახში რომ შემოვიდნენ, თვალებს არ უჯერებდნენ, ერთმა მათგანმა იტირა კიდეც, მას აშშოიდებდნენ, ხომ ჰხედავ, თეო აქ არისო, მერე ჩემ შეკითხვაზედ, რას ნიშნავდა ამათი ასე მძიმე განცდებით ჩვენთან მოსვლა, როგორც იყო, გამაგებინეს, რომ ქართულ ეკლესიაში მისულებს ეს ამბავი გაუგიათ, მხოლოდ ვინ იყო მისი ავტორი, დღესაც არ ვიცით?

სცენარიო იყო შედგენილი იმ მიზნით, რომ მე გული გამხეთქოდა,[1] მაშინ ხომ თეო იქნებოდა უფრო ადვილად ხელში

[1] რადგან თეო კლამარში რომ დარჩენილიყო იმ ღამეს, მე ხომ ამ კვირა დილით ამ მოგონილ უბედურებას დავიჯერებდი.

ჩასაგდები და რასაც უნდოდათ, იმას ათქმევინებდნენ, მაგალითად რომ სპირიდონი საქართველოში წაეიდოდა, თეოს რომ ამისათვის ხელი არ შეეშალნა. სხვათაშორის, ეს აზრი ჰქონდა ბევრს აჩემებული.

სულ ბოლო დროს მივხვდით თუ ვინ იყო ამისი ავტორი, რადგან ეს ადამიანი რომელიც თავის დღეში ამ 60 წლის განმავლობაში არამც თუ არც ერთხელ არ ამოსულა ჩვენთან კლამარში, ქართულ საღამოებზედაც იშვიათად თუ სალამს გვაძლევდა და სწორედ მეორე დღესვე, ამ შენი მოწამლის ამბავის შემდეგ, კარებს გვიკაკუნებს და ლეიცილში წასვლას გვთავაზობს. ის დღე პირველი ნოემბერია, მიცვალებულების პანაშვიდია. ძალიან გაგვიკვირდა ვერ მისი მოსვლა და ეს მისი მოულოდნელი თავაზიანობა. რასაკვირველია არ წაეყეთ. აი, ამ დღიდან აღარ მოგვეშო. შენ ხომ აქეთ იქით გეპატიჟებოდა. ერთი სიტყვით ძალიან მოწადინებული იყო ჩვენ ოჯახთან დაახლოებულიყო. სხვათა შორის თურმე მანქანით იმას წამოუყვანია ეკლესიიდან ის ზოგიერთი მანდილოსანი სამძიმრის სათქმელად, მხოლოდ ის იმათ არ ამოჰყვა.

ამ მოგონილმა ჭორმა, რომ შენ თაეი მოიწამლე, საშინლად იმოქმედა შენზედ და მეორე დღესვე, შენ ითხოვე ნატურალიზაცია, "მარტო ვარ, დამცველი მესაჭიროება, თავს ვერა ვგრძნობ მაგრად, რომ ცხოვრების მოულოდნელ უსიამოვნებებს გაეუმკლავდე, ამიტომ მინდა ოფიციალურად მაინც ვიმე მიცავდეს"ო.

ამ ოტელში ვიცხოვრეთ სამ წელიწად ნახევარი, აქედანაც უნდა წავსულიყავით, რადგან პატრონი ღიღურად გვახდევინებდა და თეორ ფასზედ არ გადაგვიყვანა.

კანონით რადგან დიდი ხანი დავრჩით, ბუნებრივად თეურად უნდა მიგვეცა ფული, რომელსაც ჩვენ ეს გავაგებინეთ, პატრონმა დაგვიწყო შეეიწროვება და მოინდომა ჩვენი თავიდან მოშორება.

ვერვერობით ექვსი თეის განმავლობაში ელექტრონი ჩაგვიქრო, იმე რომ სანთლების ანაბარას დავრჩით.

ამ ხნის განმავლობაში შენ მაინც სცდიდი რაიმე სამუშაო მუდმივად გქონოდა, რამდენი დაპირება, რამდენი გამხნევება და უკანასკნელ წუთს ყველაფერი წყალში ჩაეარდნილი რჩებოდა, ყველგან უარი და უარი.

ეს ამბავი, შენ უკეთ იცი, მინდა შენ ასწერო, მერე რამოდენა წერილები, საბუთები გაქვს შენახული.

ამავე დროს ემიგრაცია ნაწყენია ჩვენზედ, რომ ქართულ საქმიანობაში მონაწილეობას არ ვიღებთ, არავინ იცის, რა გვაწუხებს, როგორ ვცხოვრობთ. "სხვისა ჭირი ღობეს ჩხირი"ო, სწორედ ასე იყო თუნდაც გაეგოთ ჩვენი ყოფნა, ვითომ რა იქნებოდა.[1]

ზოგჯერ როდესაც წელს გაეიმაგრებდით დაედიოდით ქართველობაში, უკანასკნელ წლებში კი აღარაფერს გავეკარეთ, არც შობის ხეს და არც 26 მაისის დღესასწაულს. სხვა სიო ვიგრძენი,

[1] ლექსიც კი დავწერე.

სრულიად უჩვეული, რაც უმთავრესია, ზედმეტად მივიჩნიე იქ ჩვენი თავი.

ბევრმა სალამი არ მოგვცა, ზოგმა ზურგიც კი შეგვაქცია, აღმოჩნდა, რომ ზოგს უმოგზაურნია საქართველოში, ზოგი აპირებს წასვლას, ამიტომ ჩვენ ბოიკოტს გვიცხადებენ.

ჩვენ საქართველოში დავრჩით, მაშინ როდესაც ესენი იქიდან მორბოდნენ თავგადაგლეჯილები, რომ სამშვიდობოს გამოსულიყვნენ; სპირიდონი ციხეში ჩასვეს ბოლშევიკებმა და ერთი წლის განმავლობაში მის სანახავად დავდიოდით და შენ ჩემო თეო ციხის გზაზედ აიდგი ფეხი, ჯერ მეტეხში, შემდეგ ორთაჭალის ციხეში.

როგორც იცი, სხვებთან ერთად სპირიდონიც გადაასახლეს და მე დავრჩი საქართველოში და კიდევ ექვსი წელიწადი ქართველ ბავშვების მასწავლებელი ვიყავი, მხოლოდ მეშვიდე წელს ვითხოვე ნებართვა, შენიანად ჩვენც სპირიდონთან ჩამოვსულიყავით.

მინდა დავუბრუნდე ჩვენს ოტელს, სადაც აი 6 თვეა, ელექტრონი არა გვაქვს და საღამოზედ სანთლებით ვაშუქებთ ჩვენ ოთახს.

პატრონი აშკარად ჰხედავდა ჩვენ გაუტეხელობას და ახლა ცდილობს, ძალით დაიჭიროს ოთახი, რამოდენიმეჯერ სცადა, მაგრამ დროზედ მივასწარით, ოთახს მუდმივად ვყარაულობთ, ერთად აღარ გავდივართ.

დაიწყო საჩივარი, მიზეზი ამისა, ვითომ თეოსაგან ისეა მისი შვილი შევიწროვებული, ისე ცუდათ ექცევა, რომ დასნეულდა და დიდხანს ვერ იცოცხლებს, თუ ესენი აქედან არ წავალენო.

უნდა ვსთქვა, რომ ძალიან კარგ განწყობილებაში ვიყავით ამ ოჯახთან, ამ შვილის ქორწილში ხომ ჩვენ ვიყავით დიდი მონაწილენი, ოჯახურ საქმეებშიაც კი ხშირად გვახედებდნენ, ერთი სიტყვით, ვიდრე არ მოვითხოვეთ ოთახის ფასი თვიურად გადაგვეხადნა, მზე და მთვარე ჩვენზედ ამოსდიოდათ.

რასაკვირველია, საჩივარი იმათ მოიგეს, ეს ყოველთვის ასეა, ის იყო ოტელის პატრონი და ჩვენ კი არაფერი. მესაკუთრე აქ მნიშვნელოვანია.

ექვსი თვის განმავლობაში ვაძლევდით ოთახის ფასს, რაც ერგებოდა კანონით, მაგრამ ის ამას არ იღებდა, მახსოვს 72 ათასი ფრ. გვემართა.

აუტანელი ხდება ჩვენი იქ დარჩენა, გარდავწყვიტეთ გადასვლა, მაშასადამე ბარგის ნელნელა გატანა, ამაში შენი მეგობრები გვეხმარებოდნენ, მაგრამ გაპარვაც არ გვინდა, გვსურდა, ისე მოხერხდეს, რომ სწორედ იმ დილით მიიღოს ეს თანხა, როდესაც ჩვენ უკვე ხელცარიელები გავალთ.

იმ დროს ჩვენთან დადიოდა "სიმადის" ერთი თანამშრომელი ქალი Camille Hoebler, აი იმან იკისრა ეს თანხა ჩვენთვის მოეცა მის ქმარს; ყველაფერი ისე ჩატარდა, როგორც ჩვენ გვინდოდა, მე გავედი ოთახიდან პირველი და ყავახანაში გიცდიდი, საშინლად ვღელავდი, რისა მეშინოდა, არ ვიცი, პატარა ხანს უკან შენც

დამწყიე, ალბად ერთ საათში ჩვენი მანდატი მიუვიდოდათ, მაშინათვე ეცემოდნენ ოთახს, ნახავდნენ კიდეც ჩვენი ბარგისაგან დაცარიელებულს, დიდხანს იქნებოდნენ საგონებელში, თუ როგორ მოეახერხებეთ ეს ყველაფერი, რომ ვერ გაიგეს.

ჩვენ მაშინ უკვე ოთახი ნაშოვნი გვქონდა, ეს პრეფექტურის განკარგულებით მივიღეთ ერთი ოთახი თაეის სამზარეულოთი.[1]

პრეფექტურა, რომელმაც ჩვენ კლამარის სახლი დაგვატოვებინა, აშკარად ჰხედავდა დიდ უსამართლობას ჩვენს მიმართ, ამიტომ საბოლოოდ უბინოდ არ დაგვტოვა.

ეს პატარა ბინა ერთ ოთახიანი თუმცა აეიღეთ, მაგრამ ისეთ უბანში იყო, სადაც თავს კარგად ეერა ეგრძნობდით, მაგრამ არჩევანი არ იყო, გადაეედით.

იმავ საღამოთი მე დასავენებელ სახლში გამგზავნა ამ "სიმადის" თანამშრომელმა ქალმა, პროტესტანტების ორგანიზაციაში და შენ კიდეე ზღაზედ წაგიყვანეს ორი კვირით.

ამ თაეშესაფარში რომ მიმიყვანე, თურმე საშინლად დაიტანჯე და დაბრუნებისას მატარებელში ბეერი გიტირნია, ნახე ჩემი პატარა ოთახი და პატარა საწოლი.

უნდა ესთქვა, მართლა სატირალი იყო ჩემი იმ სახლში დარჩენა. ლოგინი პატარა და ვიწრო, ოთახში ღეიმელი, რომელიც ცუდს სუნს იძლეოდა. გაციებული და ნაწლავების საშინელის ტკიეილებით ძლივს ეათენებდი ღამეებს, მთელი ღამე ამ საშინელ სუნში ვიყავი და თაეის ტკიეილები მქონდა.

დილით შემოდიოდა ერთი ყოფილი ტყეე გერმანელი, შემოჰქონდა რალაც ნახშირის მსგავსი და ის მინთებდა ამ მშვენიერ ღუმელს, თან თავს აწეევდა, თეითონ იმასაც არ მოსწონდა ეს ჩემი ოთახის გათბობა... მაგრამ რას გააწყობდა.

ზარი რომ დაირეკებოდა, თუ დროზედ არ ჩავიდოდით საერთო სასადილოში, კუთხეში უნდა გაეწერებულიყავით, ეს იყო დირექტრისას ბრძანება.

ეს პროტესტანტი ქალი უადამიანო უჭკუოც იყო, და ეს საშე ცუდად დაყენებული: საჭმელი უვარგისი და ძალიან ცოტა. თითქმის ყველანი ამას ჩიოდნენ. დირექტრისა, სუფრის თაეში იყდა და ის გვინაწილებდა თეფშებზედ საჭმელს. სხეათა შორის ამ პანსიონში იყო ერთი ხანშიშესული პოლონელი, რომელიც ჩიოდა; "ძალიან ცოტას მაძლეეს ეს ჩვენი დიასახლისი ამ უვარგის საჭმელსაც, რომ გავათაეებ, მკითხაეს, კიდეც ხომ არ გინდათო, რასაკვირველია, მე უარს ეეუბნები, თუმცა სუფრიდან მე ყოველთეის მშიერი ვდგებიო. ამ ამბაეში მოსამსახურე ქალი დირექტრისას ყოველთეის

---

[1] ნაშოვნი კი იყო ეს ოთახი მაგრამ მხოლოდ 3 თეის შემდეგ შეგეეძლო გადასელა. ძველი მდგმურები ეკანეკლობდნენ და არ აპირებდნენ წასელას. მაშ ჩვენ უკვე იტელიდან წამოსულები მთლად ქუჩაში ვრჩებოდით... როგორც გახსოეს ცალცალკე ხან ერთ შენ მეგობართან მიმიყვანე და შენ კი კლამარში მირეიმ მიგიღო! და ასე მძიმე პირობებში მოგეიხდა წანწალი...

სხვა და სხვა საჭმელებს უდგამდა წინ, რადგან ამას მოითხოვდა მისი სუსტი ჯანი, ვითომ აკრძალულიცა ჰქონდა ზოგი რამ, რასაც ისე დამშვიდებული ჩვენ გვაჭმევდა.

ძლივს დაერჩი ათიოდე დღე, რასაკვირველია, არ ესიამოვნა, რომ იმისი სამოთხე მალე დაეტოვე.

რომ ჩამოველი, გახსომს ალბად, როგორ ვიყავი გამხდარი და დასუსტებული. ჩვენი ოჯახის თავგადასავალი არ შემიძლიან მიუდგომლად განვიხილო. კარგია წარსულის მოგონება ისე შევძლო, რომ გული არ ავიშფოთო, მაგრამ რანაირად, რამდენი უსიამოვნება და სრულიად დაუმსახურებელი, რაც სპირიდონმა და მასთან ჩვენც მე და შენ ერთად ავიტანეთ, გაუგებარია და უცნაური.

სპირიდონი ეხლაც ცოცხალი იქნებოდა, რომ გიორგი მაჩაბელთან არ ემუშავნა, ვითომ და ქართული საქმის სასარგებლოდ!

სამწუხაროდ ეს სურვილი შეწყვიტა გიორგის მოულოდნელმა სიკვდილმა, თორემ ეს პარფიუმის საქმე ისე გაიზარდა, რომ თავის მიზანს ადვილად მიაღწევდა.

თუ გიორგი ფიზიკურად არავისათვის საშიში არ იყო, რჩებოდა მისი საქმე და აქ პარიზში მისი ერთგული მუშაკი სპირიდონი.

მალე მთელი გიორგის საქმე შეისყიდა ამერიკულმა საზოგადოებამ, რომელმაც პარიზის განყოფილება მთლიანად გიორგის რძალ მარგალიტა მაჩაბელს ჩააბარა, მერე კი ეს სანანებელი გაუხდა.

სპირიდონი მაშინათვე უნდა წასულიყო, ან თუ დარჩა ისეთივე იარაღით უნდა ებრძოლნა, როგორიც მის მიმართ იქნებოდა ნახმარი, საერთოდ ამ ქალთან ყოველგვარი საქმიანი კავშირი უნდა შეეწყვიტნა, გამოცდილება ამას უკარნახებდა.

ეს ქალი რუსეთში აღზრდილი, სულით და გულით რუსი, ფრთებ შესხმული ლაპარაკობდა რუსეთი რომ შემოვიდა პარიზში; "მე კომუნისტებისა არ მეშინიან"ო.

რასაკვირველია, მათი აგენტები რომ დატრიალდნენ აქ ემიგრაციაში, მაშინ უადვილებოდა სპირიდონის თავიდან მოცილება, რადგან როგორც ისინი, მარგალიტაც ცდილობდა ჩვენ უსახლკაროდ, უმუშევრად დაერჩენილიყავით; ამ მდგომარეობაში ერთადერთი გზა დაგვრჩებოდა, რუსულ საკონსულოში თავჩაღუნულები მივსულიყავით ვიზების სათხოვნელად.

ამაზედ მუშაობდა მარგალიტა მაჩაბელი და ზოგიერთი ადგილობრივი ემიგრანტი, რომელთა სახელებს არ ვასახელებ, ამ სულით მახინჯებს ჩემი მეხსიერებიდანაც სამუდამოდ განვდევნი.

მინდა გთხოვო, ჩემო შვილო, შენ განაგრძო დაწერილებით შენი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი, უკეთესი მეხსიერება გაქვს ვიდრე დედაშენსა, რომელიც ამ სტრიქონების დაწერისას 96 წლისაა. ამ ხანში ბევრი აღარ მომეთხოვება, ბევრი გამომრჩა ალბად, ჩემო კეკლუცო გოგონი, ბევრს გაკოცებ, ჩემო ბეირფასო.

შენი ძალიან დაღლილი დედა.

ჩვენი გადასვლა ვიტრიში და ახალი ცხოვრება 1956 1959 წლამდე

პროტესტანტების სახლიდან დაბრუნებული უკვე დაბინავებული ვიყავით პატარა ბინაზედ. ე.ი. ერთი ოთახი თავის სამზარეულოთი იყო ჩვენს განკარგულებაში.

ეხლა შეგეძლო უფრო ოჯახურად გვეცხოვრა, საჭმელს მაინც თავისუფლად გაეკეთებდით, მაშინ როდესაც ოტელში ჩუმად, ქურდულად ვანთებდით "სპირტოვკას" სწორედ იმ დროს როდესაც პატრონი თავისიანებით სუფრაზედ გვეგულებოდა, თუმცა რამოდენიმეჯერ ის თავს წამოგვადგა და ჩვენი მოხარშული კარტოფილის ოხშივარი თვალში ეცა, ჩვენ სიჩუმე ვარჩიეთ, იმასაც ვერაფერი გვითხრა, ვერ გაბედა, მაშინ კარგად იყო განწყობილი, დღეში 15 ფრანკი ჰქონდა ჩვენი ოთახიდან.

ახალი გადასულები ვიყავით ამ მეცამეტე არონდისმანში, რომ გავხდი ფილტვების ანთებით ავად, რამაც ხანგრძლივად ჩამაწ-ვინა ქვეშაგებში. ეს ის დროა, როდესაც შენ უმუშევრად ხარ, ეხებ სამუშაოს, მაგრამ ამაოდ, მე კი მესაჭიროება ექიმისა და წამლების ხარჯები.

ჩვენს მახლობლად ცხოვრობდა განსვენებული გრიშა ურატაძე თავისი ქალი მედუნიათი, რომელსაც შენ მეგობრობდი ომის შემდეგ, რაც დედა დაკარგა, შენ ხშირად ნახულობდი, ანუგეშებდი, ამნაირად ერთმანეთს დაუახლოვდით. ჰო და ამ ურატაძემ მოგცა რჩევა, მიგემართნა ვისმე ქართველისათვის, ვინც მეგობრობას გეფიცება, გეთხოვნა შენთან მოსვლა და დედას ავადმყოფობაც გეთქვა. მგონი დაგისახელა კიდეც ეს შეძლებული ახალგაზრდა მრეწველი.

შენც აიღე ტელეფონი და სთხოვე მოსვლა, მაშინათვე დათანხმდა და სრულ რვა საათზედ ჩვენთან იყო.

იმას წარმოუდგენია, რომ სადილად დაპპატიჟე, ამიტომ მე რომ მინახულა და შენ ეთხოვებოდი, მაშინ ველარ მოითმინა და გკითხა: "საჭმელი, საჭმელი"ო, შენ გაგებინე, რომ საჭმელად არ დაგიძახნია, მაშინ უფიქრია, რომ საჭირო იყო, ცოტა რამ დაეტოვებინა და გადმოგცა ათას ხუთასი ფრანკი, შენ ეს თანხა მადლობით საშობაოდ მანდატით გაუგზავნე...

ვთხოვეთ, ჩვენი მდგომარეობა არ გაეტანა, არავისათვის არ ეთქვა, მაგრამ იმან ჩვენი თავი ჩაბარა ერ. დემოკრატებს, ამათ მინახულეს, მაგრამ სჯობდა, არ მოსულიყვნენ, ცუდათ დამრჩა სიცხიანს მათი დარბაზობა.

შეხვედრიას ეს დალოცვილები საყვედურებით გვაესებდნენ, რომ ქართულ საქმიანობას არ ვეკარებით, არსად დავდივართ, შეკეტილები ვართ.

გამოსწორდებოდა თუ არა ჩვენი მდგომარეობა, სახლშიაც ეპატიჟებოდით ნაცნობებს და ქართულ სალამოებზედაც დაგვიოდით, მაგრამ ეს ხდებოდა იშვიათად.

იმ ხანებში საქართველოს ბალეტი იყო ჩამოსული, თუ მანამდე არაერის უფიქრია ჩვენს სიამოვნებაზედ და გართობაზედ მაშინ კი მოგეადგნენ შიკრიკები, უსათუოდ უნდა წამოხვიდეთო, თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ორიოდე ადამიანი ჯერჯერობით მოდიოდა, როგორმე ამაში დავერწმუნებინეთ; ეს ხალხი ამას უმიზეზოდ არა გვთხოვდა, იმათ უნდოდათ იქიდან ჩამოსულების თვალში ჩვენთან დაახლოებულები გამოჩენილიყვნენ. ეს რთული ამბავია. ამაზედ არ ვილაპარაკებ. არ გვინდოდა ტაში დაგვეკრა ამ ბალეტისათვის, რადგან ეს იყო პოლიტიკური პროპაგანდის მიზნით აქ ჩამოსული. ყოველთვის მთელი ემიგრაცია ესწრებოდა, ჩვენს გარდა, ყოველგვარ იქაურ მანიფესტაციას.

რასაკვირველია ცუდი ქართველების სახელით ვიყავით მოწათლულები. კარგი ქართული სიმღერების ფირფიტები გვქონდა, ხომ გახსომს, როგორ ისიამოვნეს განსვენებულმა გიორგი კვინიტაძემ და მისმა მეულლემ[1] ჩვენთან სადილის შემდეგ რომ მოვასმენინეთ "მოდით ნახეთ ყაზბეგი რა ტურფა სანახაია" ან და ჩვენი დიდი კახური მრავალჟამიერი მშვენიერი მოძახილით. მეორე დღესვე ტელეფონით მარუსიამ მკითხა: "რა მშვენიერი ფირფიტები გქონიათ, საიდანა"ო, დიდი ნასიამოვნები ვართ მუცა და გიგაცა"ო. დიდი მადლობა მითხრა; სწორედ იმ ხანებში, როდესაც ქართული ბალეტი პარიზში იყო.

შენ განაგრძობდი ამ დროს მუდმივ სამუშაოს ძებნას, მაგრამ ამაოდ, ყველგან გზები იყო შეკრული, ჩვენი ერთადერთი ნუგეში იყო მაშინ ეს კლამარელი ქალი, რომელიც ბინის ქირას გვიხდიდა, მაგრამ საცხოვრებელი ხომ უნდა გვეშოვნა და ეს იყო ყველაზედ ძნელი.

აქ მინდა მოვიგონო შენი ცდები, შენი ხალხთან კავშირი, საერთოდ ცხოვრებასთან პირისპირ შებმა.

ჯერ კიდევ პარიზის ოტელში რომ ვიყავით, შენ დაიწყე სიმღერა, ფირფიტებიც გააკეთე, სპეციალისტებმა რომ მოისმინეს, ძალიან მოგიწონეს და იმდენი დაპირება იყო, რომ თავბრუ დაგვახვიეს, მაგრამ უკანასკნელ წუთს ვიღაცის ჩარევის შემდეგ ეს ყველაფერი წყალში ჩავარდა, ხომ გახსომს ეს ამბავი, მართლაც და დაუჯერებელია, მერე ყველაზედ ცნობილი ფირფიტების ფირმა იყო. Pathé Marconi. იმდენად გაგიხარდა, რომ ეს ვერც კი აიტანე და ავად გახდი.

---

[1] 23 წლის შემდეგ კვინიტაძეებმა მოინდომეს გაწყვეტილი კავშირის აღდგენა. 1935 წლიდან 1958 წლამდე არ გვეკარებოდნენ მხოლოდ მათი ხურვილით. სპირიდონს ემდუროდა გენერალი, ბამატის პერიოდს ეხება ეს ოსტრაციზმი... არა ღირს ამ საკითხს შევეხო. შენ ეს ყველაფერი კარგად გაღსომს...

საერთოდ შენი ჯანის უცნაური მდგომარეობა იყო, რომ საფიქრებელში მაგდებდა.

ექიმების აზრი იყო და დღესაც ეს არის, რომ ნერვები გაქვს ძალიან დაზარალებული, ამის წამალი კია, არაფერი გეწყინოს, დამშვიდებული ცხოვრება იქონიო და სხვა, რაც შენისთანა მგრძნობიარე ადამიანისათვის ძნელად იყო მისაღწევი; დანიშნული გქონდა თბილი ვანები, ამ ბინაზედ კი თბილი წყალი არ იყო, მაგრამ ვახერხებდი შენ მოგელას, საღამოთი თითქმის ყოველ დღე გაგიმართე აბანო, მაგრამ ისეთი გუბე დგებოდა ჩვენ სამზარეულოში, რომ თუ დროზედ არ მოეწმენდედი, მალე ქვემოთა მდგმური თავ გაწუწული მუქარით თავს წამომადგებოდა.

ამ ხნის განმავლობაში შენ დროებით სამუშაო ბევრი იშოვნე, მაგრამ ან შენა სტოვებდი ან მაძლობით გისტუმრებდნენ...

ყველაზედ მძიმე იყო შენთვის სინემის კასირობა, სადაც მუშები, ყველა სინდიკატის აქტიური წევრი, შენ ამრეზილად გიყურებდნენ, დაგცინოდნენ კიდეც, იმათთვის შენ იყავი ზედმეტი ხორცი, მათ კანზედ დასმული და ამის მოშორება უნდოდათ; მუშაობა შენთვის მძიმე პირობებში ხდებოდა, ფულის დიდი პარკები ფესტის ყუთებში დაბინავებული შენ უნდა ამოგეტანა სარდაფიდან დღეში ორჯერ, როცა ხსნიდი კასას, და ღამე, ხშირად დილის პირველ საათზედ, როდესაც აბინავებდი შენ შემოსავალს. — რა არ იყო ნაცადი, რომ შენ თვითონ აგყროდა გული და იქაურობა მიგეტოვებინა. ამიტომ უფრო შეგაიწროვეს და დაგსვეს გარეთა კასაში, პირდაპირ ქუჩაში, ნამდვილ უკარებო გამოქვაბულში საცა უნდა შემძვრალიყავი! ქალების საშინელ მოქცევაზედ შენს მიმართ ხომ ალარ ვილაპარაკებ. ეს არაფერი, თითქმის ყოველ დღე გპარავდნენ ფულს, ისე რომ მთელი ეს სამი თვე, ამ ჯოჯოხეთში კიდეე გიხდებოდა შენ აგეცვლო ეს დანაკლისი და შენი მცირედი ჯამაგირის მხოლოდ მესამედი გრჩებოდა! საღამოთი ხომ ღამის პირველ საათზედ და უფრო ხშირად ამაზედ გვიან გიხდებოდა მეტროს ალება, რომელიც ჩვენთან კარგა მოშორებით იყო—700 მეტრი და ფეხით მოარღვევედი ამ მანძილს, სადაც თითქოს სიწყნარე იყო, მაგრამ მოსალოდნელი სიფათიც. ბევრჯერ გულ გახეთქილი მოსულხარ...

ბოლოს წამოხვედი, რადგან დამცირების და ტანჯვის მეტი იქიდან ხეირი არ გინახავს. თვეში 16 ათასი ფრანკის ამარა იყავი, უფრო ხშირად კი ამის მესამედი! იქიდან წამოსული სამი თვე ლოგინში გაატარე, ნერვიულ ნიადაგზედ დასიებული...

ბევრნაირი, სრულიად შენთვის შეუფერებელი სამუშაო აიღე, ამას ჩვენი არსებობა მოითხოვდა.

რადგან ინსტრუმენტი ალარა გქონდა სცადე გაკვეთილები კერძოდ მიგეცა, მალე არც ეს გამოდგა; ზოგიერთ ოჯახში ქალი ეჭვიანობდა, შეამჩნია, რომ მისი ქმარი სახლში უფრო ადრე ბრუნდებოდა და სიამოვნებით იმსენდა, თუმცა მეზობელ ოთახიდან, თავის გოგანას გაკვეთილს...

ამგვარი შემთხვევები ბევრჯერ იყო შენ საქმიანობაში. სინემის უბრალო ფიგურაციაშიაც კი ბევრი ეკლიანი გზა დაგიხვდა.

ერთ ხანობას პრესაში მუშაობდი; რადგან ეს იყო პოლიტიკური ხასიათის მუშაობა, შენ იქ ფსევდონიმით იყავი შესული. შენი ნამდვილი ვინაობა არავინ იცოდა, გარდა შენი უფროსისა. კარგი პირი უჩანდა, შენი თანამშრომლობით დიდი კმაყოფილი იყო ჟურნალის დირექტორი.

შენც კმაყოფილი იყავი, რადგან შენი მუშაობის შედეგს ჰხედავდი, სწორედ შენი წერილებიდან მთავარი ადგილები პარიზის კედლებს ამშვენებდა. იქ კარგა ხანი დარჩი, მაგრამ ცისე შიგნიდან გატყდა. შენი ვინაობაც გამომჟღავნდა. გაიგო ზოგიერთმა ქართველმაც, ერთი მათგანი — ვ. — პირდაპირ მოვიდა და გაბედულათ გეითხრა: "მართალია თუ არა, რომ შენ თანამშრომელი ხარ ამ ჟურნალისა!"ო.

პირველივე დღიდან შენ იყავი შენი მუშაობის მთლიანი პასუხის მგებელი. ეხლა ამის შემდეგ ასპარეზზედ გამოდის ბორის სუვარინ და უკვე მისი ჩარევა მთლად ეწინააღმდეგებოდა შენს მიერ აღებულ გეზს, რამაც ძალიან გაგვაცა!–ცოტა ხნის შემდეგ შენ წამოხვედი. ბოლოს შენს ალაგას ბორის სუვარინმა ერთერთი მენშევიკის ქალი იქ დაბინავა. ეს უკანასკნელი, ჩემო თეო, შენზედ უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, მოითხოვა, იმ მოკლე ხანში, ჟურნალისტის კარტა და მიიღო კიდეც, როგორც შემდეგ თვითონ გითხრა.

დიდი დრო არ გასულა და მალეც ამ Bulletin de Presse-მა გაათავა თავისი არსებობა კომუნიზმის წინააღმდეგ!

იმ დროის შენს მიერ გაკვლილ აბდაუბდა ცხოვრების გზას შენ დაუბრუნდი, ძალიანა გთხოვ, დაწერილებით ასწერო ყველაფერი რაც ღღიურში გაქვს და მთელი საბუთები გამოიყენო, მიწერ მოწერა ცნობილ ხალხთან, რომ ადამიანმა ნამდვილი სურათი დაინახოს შენი ცხოვრებისა, ვისაც ღღეს არა სჯერა, ყურსაც არ გიგდებს, ან თუ გაიგო, რას გეტყვის; "სულელი პყოფილხარ რომ არ დათანხმდი და ასე გაიფუჭე შენი ცხოვრება"ო.

ანგარიშით შენ გათხოვებაც არ მოინდომე, ეს იყო არა ერთხელ. შენი ცხოვრება შენ უნდა ასწერო, მე ჩვენი ყოველღიური ცხოვრებას დავუბრუნდები.

ნამდვილი მეგობრობა კი ჩვენს ოჯახს Madam Gallet-მა გაუწია, ის იყო ნამდვილი ჩვენი ჭირისუფალი; მისი ქალი გათხოვილი იყო, ხიძესთან და თავის ქალთანაც ვერ რიგდებოდა, ამიტომ მთელი თავისი მშობლიური გრძნობა შენზედ ჰქონდა გადმოტანილი, მისი ყოველდღიური მზრუნველობა ასწერია.[1]

თანდათან გვეჩვეოდა, შენ დაკვრას ის რამოდენიმეკერ კლამარში დაესწრო, აწუხებდა, რომ რიალი აღარ გედგა და ეხლა იძულებული იყავი სხვა სამუშაო გქონოდა, სწუხდა იმაზედაც,

[1] მთელი მისი წერილები არხივშია

რომ ნამდვილი რიგიანი ბინა არა გექონდა, ერთი სიტყვით ჩვენი ცხოვრებით იყო გართული;

ჩვენ ნაცნობებს კარგად ესმოდათ ჩვენი ამბავი, ფრანგები ძალიან იყვნენ ჩაქსოვილნი ჩვენს ცხოვრებაში და ბევრი სიკეთეც მაქვს მეხსიერებაში ჩარჩენილი, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უცხო ხალხის მიერ ჩვენს არსებობაში გაწეული.

ჩვენთან კავშირს არა სწყვეტამდა ჟუნიონი, შენი ძველი მუსიკის მასწავლებელი, რომელიც დასტოვე, იე ნატთან რომ გადახველი.

სპირიდონის სიცოცხლეშივე ეს ქალი ჩვენთან შინაურულად მოდიოდა, თავისი ახალგაზრდა ქალით და მოხუცებული დედით, ჩვენის მხრივ პატივი არ აკლდა და ამას ძალიან აფასებდა. ჰხედავდა იმასაც, თუ რა პირობებში გაძლევდით მუსიკალურ განათლებას, ყველაფერი ეს მისთვის საკმარისი იყო, რომ ჩვენთან კარგ განწყობილებაში ყოფილიყო.

ერთხელ დაგპატიჟა საუზმეზედ, იქ დაგახვედრა თავისი ნათესავი იმ ჟამად სენატორი და იმას უამბო ჩვენი ცხოვრება, რა საკვირველია, ბინის შესახებაც იყო ბევრი ნათქვამი.

ამ საუზმის შემდეგ ორიოდე კვირა გავიდა, რომ ამ სენატორმა სასიამოვნო ამბავი ტელეფონით გაგაგებინა.

"აი არის ქალაქის ახლად აშენებულ შენობაში ორი ბინა, ერთი ოთხოთახიანია ვერსალის კარებთან, მეორე კი ოროთახიანი ბინა ცენტრში "rue Dupin"ზედ, რომელიც გინდათ აირჩიეთ"ო.

რასაკვირველია, ჩვენ ეს ცენტრში ჯამჯობინეთ, გარდა ამისა ოთხოთახიანი ბინა ჩვენი ჯიბისათვის არ იყარგებდა, ვერ შევძლებდით მისი ქირა გვეკისრა.

ეს ახალი ამბავი კი სასიამოვნოდ დაგვირჩა, მაგრამ ამ ბინის ასაღებ კონტრაქტში ქალაქი თხოულობდა ხელი ჰქონოდა მოწერილი ვინმე მესაკუთრეს, რომ პასუხისმგებელი იქნებოდა, დროზედ გვეხადნა ქირა.

ეს აბა ვისთვის უნდა გეთქვა, ჩვენ თხოვნა არ გვიყვარდა, მაგრამ Mme Callet-მა გარდაწყვეტით გვითხრა, "ნუ სწუხართ, ამას მე ვიკისრებ"ო. იმას საკუთარი სახლი ჰქონდა კლამარში, იკისრა პასუხისმგებლობა, თანხაც დადო და რამოდენიმე თვის ქირა გადაიხადა, ამნაირად შემოველით ამ ბინაზედ სადაც დღესაც ვცხოვრობთ.

უნდა ვსთქვა კიდეც ამ ქალის სასარგებლოდ, რომ ჩვენი ბინის შოვნით ისე იყო გახარებული, რომ ცრემლებს ვეღარ იკავებდა; პირველად რომ გვეწვია ამ ახალ ბინაზედ თავისი სახლიდან მოიტანა ორი ძველებური ლამპა "მინდა ცარიელ თქვენს სახლში სინათლე ამით დაიწყოს"ო. მოიტანა მშვენიერი ლარნაკიც თაიგულით, რომელიც ამშვენებდა ვერცხლერობით მოუწყობელ თავისუფალ ოთახს.

ეს პატარა ტანის მქონე ქალი ჩვენ ოჯახს დასტრიალებდა, როგორც მფარველი ანგელოზი. სახლიდან რომ გავიდოდა, კიდევ

დიდხანს ხელის ქნევით პშორდებოდა ჩვენ არემარეს და სიყვარულით შემოსცქეროდა ჩვენ ფანჯრებს.

კარგი ადამიანი, კარგი მეგობარი ამ რამოდენიმე წლის წინად სამუდამოდ დავკარგეთ, იგი გარდაიცვალა საავადმყოფოში. უკანასკნელ დრომდე ჩვენთან კაეშირი არ გაუწყვეტნია.

ეს ბინა ახლად დამთავრებულ შენობაში იყო, შიგნიდან კედლებს ქაღალდი არა ჰქონდა გაკრული, იატაკიც შესალები აღმოჩნდა; ამაში ჟუნიონი დაგვეხმარა, თავის მოსამსახურეს შეალებინა ჩვენი იატაკი, თვითონ თავს ედგა და ხელმძღვანელობდა.

ამავე ბინაზედ შენმა ძველმა მეგობარმა გამოგიგზავნა კარგი სეკრეტერი, Camille Hocbler-მა

ერთი სიტყვით შუქი მოეფინა ჩვენს ბინას, მაგრამ მთლიანად არ იყო მაინც გაშუქებული, რადგან თბილი წყალი არ იყო გამოყვანილი, რაც ისე იყო ჩვენთვის საჭირო, ამას მაინც გვიან ვეღირსეთ, საერთოდ აბანოს მოწყობა ძალიან დაგვიანდა, 1972 წლამდე თბილი წყალი არა გექონდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც ქართულ ემიგრაციას დიდი თანხები აღმოუჩნდა L'année Mondiale des Réfugiés-ის წყალობით.

პროტესტანტური საზოგადოება "სიმადი" ამას ანაწილებდა და ძალიან უხვად; რადგან ჩვენ ბინას ესაჭიროებოდა კედლების მოკლა და აბანოს მოწყობა, ვიფიქრე, ჩვენი კოლონიის თავმჯდომარისათვის მიმემართნა, რომ მეც იმ საერთო თანხიდან ცოტა შეღავათი მომცემოდა.

მაქვს მიწერმოწერა ამ საგანზედ.[1] მაშინ როდესაც ეს "სიმადი" კარდა კარ ეცნობოდა ყოველი ემიგრანტის საჭიროებას, ვთხოვდი თავმჯდომარეს, ეს პროტესტანტები ჩემთანაც მოსულიყვნენ, ეტყობა სიაში არა ყოვდი შეტანილი, თორემ ყველანი დააკმაყოფილეს, ზოგმა სახლში აბანო მოაწყო, ზოგმა თავისი წარმოებისათვის იარაღი შეიძინა და ვინც რა ითხოვა, მე შევრჩი ამ წერილებს, სადაც საბოლოოდ მომცეს "სიმადის" მისამართი, ოტობუსის ნომერი და რჩევით მივიდე იქ, "კარგ შთაბეჭდილებას დავტოვებ", ალბად ამაზედ უნდა მეზრუნა, ამელო ოტობუსი, რომ "სიმადის" წარმომადგენელზედ კარგი შთაბეჭდილება დამეტოვებინა.

შემდეგ წლებში, როდესაც შესძელი ინსტრუმენტის დადგმა და გაკვეთილების მიცემა, ჩვენ საქმეს ჩვენ მოვუარეთ და აღარავინ შეგვიწუხებია. უნდა კი ვიფიქრო, რომ ჩვენ ცხოვრებაში ბევრჯერ ჰქონდა ადგილი ნამდვილ სასწაულს. გაჭირებაში გვერდში ყოველთვის სრულიად უცხო ხალხი ამოგვიდგა, რომელთაც არ ვიცნობდით და არც არაფერი გვითხოვნია იმათთვის, მაგრამ აკვირდებოდნენ ჩვენ ყოფნას და ხელს გვიმართავდნენ, მერე როგორ!

მაგალითად ბოლო წლებში სრულიად მოულოდნელი იყო ჩვენთვის ბინის შოვნა, ან კიდევ პიანინოს დადგმა და გაკვეთილების მიცემა, აბანოს მოწყობა, ეს დეგრაციეს ოჯახმა იკისრა. ამ ქალს

[1] წერილები არხივშია.

ვიცნობდით როგორც ვიოლონის დამკვრელის დედას, ჩვენთან უცვარდა მოსვლა, ისიც კარგად ხედავდა შენი ჯანის მოულოდნელ კრიზისებს, რომლის მიზეზებს გვიან მიპხვდნენ ექიმები და დიდხანს გვჭირპეს წამლებით.

ერთ დღეს ამ ქალმა ტელეფონი დაგვირეკა და გვითხრა, რომ იმის ქმარი ინჟინერია და სრულიად ადვილად შეუძლიან რიგიანი შუშები გამოგიზავნოთ, რომ თბილ წყალთან ერთად იმათ აბანოც დაგიდგანო.

მართლაც ერთ კვირაში შეგეძლო თბილი ვანები მიგეღო და მეც გამეთავებინა ჩაიდნებით სიარული.

მართალია, შენი მთლიანი ფეხზედ დაყენება ჯანის მხრივ ძნელდება, მაგრამ ამას უკვე შენი მეტისმეტი მგრძნობიერობის მიზეზით აეხსნი, უნდა ძალიან იფიქრო ამაზედ თვითონ შენ, რომ როგორმე დასძლიო თავი, ცხოვრების წკიპურტებს შეეჩვიო.

ეხლა შენს გარშემო უფრო ბავშვები ტრიალებენ, რომელნიც გაფასებენ და სიყვარულსაც არ გაკლებენ. ბევრი წერილები გაქვს იმათ მშობლებისაგან, რომელნიც დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მათი შვილები შენთან არიან, კარგი პედაგოგის სახელი გაქვს, მაგრამ ძალიან ნუ გადაჰყვები ამ ხელობას, უნდა იცოდე, ესენი რომ ცხოვრებაში გაიფანტებიან, მაშინ შენც დაგივიწყებენ და შენს გაკეთილებსაც, დღეს რომ მათ აღტაცებას იწვევს და იმდენად, რომ სახლში წასვლასაც აგვიანებენ, უფრო ხანგრძლივად უნდათ შენთან ყოფნა.

ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამათთვის შენ მხოლოდ მასწავლებელი კი არა ხარ, არამედ მეგობარი, მესაიდუმლე, მრჩეველი, ე.ი. რაც უნდა იყოს ნამდვილი პედაგოგი.

შეეჩვიე ამ აზრს, რომ ჩვენ გვიხდება ცხოვრება ისეთ დროს, როდესაც ადამიანთა ურთიერთობა მთლიანად ანგარიშზედ არის დამყარებული, გაცვლა გამოცვლაზედ; როდესაც ეს თავდება, ძველი განწყობილება, როგორიც არ უნდა იყოს, დავიწყებას ეძლევა.

რამდენი მაგალითი გვაქვს თუნდაც ჩვენი ოჯახის წარსულიდან, დღემდე ამას ვერ ვეგუებით და ამიტომ მარცხი გვდევს ყველგან და ყველასთან.

ამიტომ შეანელე თავდავიწყებით გატაცებული მუშაობა, იანგარიშე დრო, მას იოლად ნულარ გაჰფლანგავ, თუ გინდა ცხოვრებამ მთლად არ წაგლეკოს.

მინდა ამით გავათავო, ჩემო თეონი, შენთან დიდი ხნის საუბარი, ხალისი აღარ შემწევს, რომ ძველი ამბები კიდევ და კიდევ მოვიგონო, ამიტომ გთხოვ, ეხლა შენ განაგრძე, რაც მე გამომრჩა, რომ სრული სურათი დაგრჩეს ჩვენ ოჯახის მიერ არჩეული უხეირო ცხოვრებისა, კალამს შენ გითმობ.

რადგან ხვალ ჩვენი აღდგომის დღეა, მინდა დაგლოცო, ჩემო ძვირფასო შვილო, ჩემო ერთადერთაო, ქრისტეს აღდგომა იყოს შენთვის მასაზრდოებელი ძალა, იმან გაგიკეთილიოს ცხოვრების გზები

და შენი ჰუმანიური ბუნება კიდევ უფრო გააღრმაოს, ქრისტე აღსდგა! ყოველთვის ჭეშმარიტად! უნდა გრწამდეს, ეს ეჭვს გარეშეა.

შენით ცოცხალი და შენი მათაყვანებელი დედა, სონა, რომელსაც თეონი, შინაურულად "ეოსოს" უწოდებდი.

თუმცა შევწყვიტე ძველი ამბების მოგონება, როგორც ხანში შესულმა და კალამი შენ გადმოგეცი, რომ გაგეგრძელებინა ჩვენი ოჯახის მიერ განცდილი ზოგიერთი მოვლენა, ამნაირად დაგებოლოვებინა, რაც დრომ წაიღო და საბოლოოდ დავიწყებას მიეცა, მაგრამ ერთმა გარემოებამ მაიძულა ჩემი მეთქვა, ხმა ამომეღო, რადგან ეს ეხება ჩვენ ეროვნულ ტრაღედიას, რომლის მოგონება ამ 60 წლის თავზედ არის აღნიშნული ახლად გამოცემულ კრებულში; "დაპყრობის 60 წლისთავი".

კრებულის შესავალში ვკითხულობთ; "საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობის 60 წლის თავისათვის ამ კრებულის ერთად გამოცემა გარდასწყვიტეს; "თავისუფლების ტრიბუნამ", "ჩვენმა დროშამ" და "იერიამ", ყოველგვარი პარტიების გარეშე შეეცადეთ მასში გადმოგვეცა ის ეროვნული ტრაღედია, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა, რუსეთის ჯარების შემოსვლისას და დაპყრობისას და ამავე დროს მოგვეცა სურათი ჩვენი უცხოეთში გარდახვეწილ საქართველოს შვილების სულიერი განწყობილებისა, მისწრაფებისა და გარდაწყვეტილებისა ჩვენი სამშობლოს გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი ბედის შესახებ".

კრებულში უმთავრესად საყურადღებოა ძველი თაობის წერილები, რომელთა ავტორნი არიან ს. დემოკრატიული პარტიის წევრნი. მოწმენი თებერვალში რუსეთის თავდასხმისა.

მათი აზრით ჩვენ მთავრობას წინასწარ ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ომის დროს მტრისათვის ყოველგვარი წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ რუსეთის დიდ იერიშებს ვერ გაუძლო, დაიხია და მტერს დანებდაო.

მათი ცნობით აი როგორია თებერვლის თავდასხმის ისტორია. "1921 წ. თებერვლის 11-ს მოულოდნელად რუსეთის ჯარი თავს დაგვესხა და ბორჩალოს ერთ ნაწილში საზღვარი გადმოლახა. იქ მდგომი ჯარი იმ დროს გაფანტული იყო, იმან ვერ შეამჩნია მტრის მოახლოება, ორიენ მხრიდან ცეცხლში მომწყდეული, ზოგი ჩაბარდა, და ზოგმა მძიმედ დაიხია"ო.

ოფიციალური საბუთებიდანა სჩანს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა იცოდა ერთი წლის წინად ე.ი. 1920 წლიდან, რომ წითელი რუსეთი აპირებდა ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობას და ამ მიზნით ჯარის შემოყვანას.(ნოე ჟორდანიას მემუარები)

მაშასადამე 1921 წლის თავდასხმა არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი. ამათი თქმით იმ დროს ჯარი გაფანტული იყო, ამიტომ მოხდა ასეთი მარცხიო.

ორი კვირის წინ ბორჩალოს მცველ ჯარს დემობილიზაცია ჰქონდა გამოცხადებული, ამიტომ იყო ის გაფანტული, და რასაკვირველია, უპატრონო ქვეყანას მცელი დაეპატრონებოდა.

რომ დიდის მზრუნველობით არ იყო დაცული და გამაგრებული ჩვენი ქვეყნის საზღვრები, ეს აშკარად სჩანს, თორემ ჩვენ კარებს კლიტე ექნებოდა და მტერი ასე თამამად ჩვენ მიწა წყალზედ ვერ გაბედავდა შემოჭრას და მის ნასროლ თოფს ქართული ტყვია უკუაგდებდა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა ჩვენ საზოგადოებაში დიდი აღელვება და აღშფოთება გამოიწვია.

დიდი ეროვნული დამცირების და სირცხვილის შემდეგ საქართველო წამოიჭრა, დიდი და პატარა იარაღსა თხოულობდა. მახსომს, გაზეთ "საქართველოს" რედაქციის წინ ჩვენი ქართული გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფენიც კი იარაღის მისაღებად რიგში ჩამდგარიყვნენ.

ერი მთლიანად შეკრული იყო ერთის აზრით, ერთის სურვილით, რომ მტერს ჩვენი მეობა აბუჩად არ აეგდო და ამისათვის სასიკვდილოდაც კი სიხარულით წაეიდოდნენ.

მართლა მეორე მესამე დღეს ბრძოლები გაჩაღდა, ახლადშეკოწიწებული ჯარი თავგამოდებით მტერს იერიებდა.

მაგრამ 15 თებერვალს მოხდა ის, რაც დიდი ხნიდან მოსალოდნელი იყო, წითელმა ჯარმა ადერბეიჯანიდან გადმოლახა ჩვენი საზღვარი და ცხენოსანთა ორი დივიზიით შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზედ, ამავე დროს სხვა მხრივაც ერტყმოდა მისი დივიზიები ჩვენ ქვეყანას.

ამისდა მიუხედავად რომ მას სულ ახალ-ახალი ძალები ემატებოდა, წინსვლას ვერ ახერხებდა, მას დიდ წინააღმდეგობას უწევდა ჩვენი ნორჩი ჯარი და ზოგჯერ უკანაც ახევინებდა.

ასეთი ცნობები გვქონდა მთავარი შტაბიდან და ქვეყანა იმედიანად იყო. მაქეს შენახული რამოდენიმე დეპეშა, სადაც ისიც კია ნათქვამი, "მტერი იხევს და ჩვენ ფეხდაფეხ მივდევთ"ო;

სრულიად მოულოდნელად ჯარს დახევა უბრძანა თბილისისაკენ ძველმა მთავარსარდალმა, მგონი, თუ არა ვცდები, ეს იყო ოდიშელიძე.

16 თებერვალს ღამის სხდომაზედ, როდესაც დამფუძნებელ კრებას ეს ჩვენი ჯარის დახევის ამბავი მოჰხსენდა, ამას ოპოზიციაში დიდი გაოცება და აღელვება გამოიწვია, ამიტომ ნამდვილი ცნობების მისაღებად, ამათ სამხედრო შტაბში დელეგაცია გაგზავნეს.

იქ დაუხვდათ განსვენებული გენერალი კვინიტაძე, რომელმაც გააგებინა, რომ "ჯერჯერობით ჯარი არა სჩანს, მაგრამ გათენებისას ელის საქართველოს ყველა კუთხიდან საკმაო სამხედრო ნაწილებს და გარდა ამისა დილით განკარგულებას აძლევს, თავის სამხედრო სკოლა მთლიანად გამოვიდეს, ამ პირობებში ომის გაგრძელება შესაძლებელი იქნება"ო.

დელეგაცია ამ ცნობებით დაბრუნდა დამფუძნებელ კრების სხდომაზედ. რამოდენიმე დღეში მართლა მთლიანად შეიცვალა მდგომარეობა, დიდი გამარჯვება ნახა ჩვენმა ჯარმა.

მან ხელთ იგდო დიდძალი ტყვე და სამხედრო მასალა.

ტაბახმელაზედ და კოჯორში ხომ თავი ისახელეს სამხედრო სკოლის იუნკრებმა, პირდაპირ ხელჩართულ ბრძოლაში იყვნენ და მტერს გზები შეუკრეს თბილისისაკენ მომავალი. მათი გმირობა და მათი ამბავი კარგად გაავსებს მომავალში ისტორიის ფურცლებს, ეხლა კი ხალხი ამ სიტყვებს უძღვნის ამ მამულისათვის დაღუპულ ახალგაზრდობას.

"ვიტანჯები, მამულო, შენი სიყვარულით,
დაკარგეთ გვირგვინი, დროშა, სიხარული,
მახსოვს ტაბახმელა, ბრძოლები გმირული,
და სისხლი მრავალი შენთვის დანთხეული".

გათენდა 19 თებერვალი, მშვენიერი მზიანი დღე იყო, ქუჩებში ხალხი ბლომად იყო ჩამოსული, სხვა დროს სეფდიანებს რაღაც ემჩნეოდათ, მაგრამ ყურყურობით სინამდვილე არა სჩანდა.

სპირიდონი სახლიდან ადრე იყო გასული, დახლოებით ათ საათზედ ტელეფონს მირეკავს, დიდის აღტაცებით მაუწყებს, "გავიმარჯვეთ, სონა, გავიმარჯვეთ! და ეს ისეთი ხმით, რომ ველარ ვიცანი მისი ხმა იმ დღეებში მიყრუებული და ჩაწყვეტილი.

"აი დავყურებ ამ მშვენიერ ახალგაზრდობას, მიმავალ მტრის წინააღმდეგ. გამოდი სონა, შენც ისიამოვნებ ამ ჩვენი ახალგაზრდა ჯარის ნახვითა". თურმე სპირიდონი სასახლის აივნიდან მიჰმართავს ჯარს და ისეთნაირად, რომ ვინც მაშინ გაიგონა სპირიდონის გულიდან აღმონახეთქი სიტყვები, მეუბნებოდნენ, რომ ეს იყო რაღაც ღეთაებრივი, სპირიდონი იმ წამს თვითონაც ბედნიერი მთელ ერსაც გაიყოლებდაო.

ერთი სიტყვით მეც გავედი და ხალხს შევუერთდი, წყნეთის ქუჩის კუთხეში დავინახე ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი, დავით კარიჭაშვილი, იდგა და თვალცრემლიანი ელოდებოდა ისიც რაღაც კარგ ამბავს.

მე რომ დამინახა, წამობარბაცდა და მკითხა; "სონა, ნუთუ ეს ამბავი მართალია"? და როდესაც მე დაუდასტურე და სპირიდონის ნათქვამი გადავეცი, მაშინ ხომ აქვითინდა და მის დამჭკნარ და მიმკრთალებულ სახეზედ ცრემლის ნაკადი წამოვიდა.

პატარა ხანს უკან კი გამოჩნდა ცხენზედ მჯდომი ახალგაზრდა, შავგრემანი შიკრიკი, რომელიც დაქროლებდა ცხენს ქალაქის ყველა კუთხეში და აუწყებდა მშვენიერი, ეაჟკაცური ხმით; "გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ"ო. ამას მოსდევდა ცრემლებთან ერთად ეაშას ძახილი და ტაშის გრიალი.

ეს იყო მართლა და ეროვნული ბედნიერება, ყველანი ერთის გრძნობით და სიყვარულით რომ იყვნენ იმ დღეს გამსჭვალულნი.

სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში ეს 19 თებერვალი, ვფიქრობ მარტო მე არა... პატარა ხანს უკან ჩამოატარეს ტყვეებიც, რა საცოდავი სანახავები იყვნენ უფრო შებრალებას იწვევდნენ, ვიდრე სიძულვილეს.

ჩაუცმელები, დამშეულნი, ძლივს მიათრევდნენ ფეხებს; ამ სურათს ჩვენი ხალხი სიჩუმით შეჰხედა, მხოლოდ ერთი ხმა გაისმა: "ამათ როგორ შეაშინეს ჩვენი მთავრობა"ო!

ბრძოლებით გათამამებული ჩვენი ჯარი იერიშზედაც კი ფიქრობდა გადასვლას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა.

ახლად დანიშნულმა მთავარსარდალმა განსვენებულმა გიორგი კვინიტაძემ 24 თებერვალს ჯარს უბრძანა მცხეთისაკენ დაეხია, სადაც ფიქრობდა ბრძოლების გაგრძელებას.

როდესაც დამფუძნებელ კრებას განსვენებულმა ნოე ჟორდანიამ ეს გარდაწყვეტილება გააგებინა და ამ სიტყვებით მიმართა: "ანდერძი კაცს არა ჰკლავს, დღეს ჩვენ ვტოვებთ თბილისს, მაგრამ ბრძოლები გრძელდება"ო. ეს ყველასათვის სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან ამისი ნიშნები იმ დღეებში არა სჩანდა.

თბილისის დატოვების შემდეგ ჯარი ალარ უარგოდა, გზა და გზა დაიწყეს მიტინგების გამართვა, გაჩნდნენ კიდეც ორატორები, რომელნიც ჯარისკაცებს აქეზებდნენ, იარაღი დაეყარნათ და სახლში დაბრუნება მოეთხოვნათ. ამ გუნებგანწყობილებით მიდიოდა ეს ჯარი ბათუმის მიმართულებით.

ჩემს მოგონებებში დაწერილებითა მაქვს აღწერილი ჩვენი დამოუკიდებლობის უკანასკნელი დღეები ბათუმში. აქ ამაზედ ალარ შეეჩერდები.

ჩვენ დავმარცხდით, რასაკვირველია, ამ დიდ ეშაპს ვერ მოვერეოდით, მაგრამ ჩვენს პირობებში შესაძლებელი იყო ომის გაგრძელება; თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელი რუსეთის სისუსტეს თეთრ რუსეთთან ბრძოლების გამო; ჩვენი ქვეყანა დაჭიმული ეროვნული სიმებით, კიდევ შესძლებდა ეაჟკაცობას, მართლა და "ეს საქართველო ჯარასავით დატრიალდა".

სხვა არა იყო რა, თავდაღუნული, დამცირებული ის ისტორიის წინაშე მაინც არ წარსდგებოდა.

ბევრი მოგონება მაქვს იმ თებერვლის შავ დღეებზედ, უმთავრესად ჩვენ თავს დატეხილ უბედურებისა და მის შედეგებისა, რადგან შვიდი წლის განმავლობაში ჩვენ ხალხთან ერთად მწარედ ვიგემე რკინის უღელის სიმძიმე, რომლის ქვეშ კიდევ გმინავს ჩვენი საქართველო აი სამოცი წლის მანძილზედ.

აქ ევროპაში სამშვიდობოს გამოსული, ჩემდა უნებურად, ჩრდილოეთის მიერ საგანგებოდ ემიგრაციისათვის დაგებულ მახესაც ვერ ავცდი, ვერც მე და ვერც სხვა...

ამიტომ ამ ჩვენ საკითხებს თამამად ვეხები, საჭიროდ მიმაჩნია, უცხოეთში გარდმოხვეწილ საქართველოს შვილებმა ეს მეორე მხარეც მოისმინონ. აი, სიმართლე, თუმცა ამის მთქმელს შეკაზმული ცხენი უნდა ჰყავდეს, რომ თქმა და ცხენის გაჭენება ერთი იყოს, მე არაფრის შიში არა მაქვს. ამიტომ აი ყური დამიგდეთ.

1918 წელს სრულიად მოულოდნელად ციდან ძვირფასი მარგალიტი ჩამოვარდა. ჩვენმა სოციალისტებმა აღებით კი აიღეს, მაგრამ მის შესანახად დიდი მზრუნველობა და სიფხიზლე ვერ გა-

მოიჩინეს, ამიტომ ეს ძვირფასი საუნჯე, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩრდილოეთის დათვმა თავისი თათებით ისე გამოსტაცა ხელიდან რომ ვერც კი შეამჩნიეს.

ჩვენი მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა იმ სამშვიდობო ხელშეკრულებაზედ, რომელზედაც ხელი მოაწერა ლენინმა 1920 წ. 7 მარტს, ფიქრობდა, რომ ეს დიდი კაცი, ლენინი თავის სიტყვას არ გასტეხდა და ჩვენ დამოუკიდებლობას არ შეეხებოდა, საერთოდ ის რუსეთიდან ღალატს არ მოელოდდა; ეს ხომ ვიცით, რომ საქართველოს ს. დემოკრატული პარტია იყო რუსეთის ამავე პარტიის ფილიალი, ბოლო დრომდე ამათ ყოველდღიურ პარტიის გაზეთს ეწერა; "რუსეთის ს. დემ. პარტიის ორგანო" და ქვემოდ წარწერა; "პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით"ო.

მაშინ როდესაც ლენინმა ახლადშობილი რესპუბლიკა ადერბეიჯანი დაიჭირა და იქ წითელი დროშა პყრიალა, აშკარა იყო, არც ჩვენ დაგვინდობდა და ამას ფხიზელი თვალი უნდა დაპხვედროდა.

ოპოზიცია თავისას არ იშლიდა, ამის შესახებ სწერდა და სიტყვიერადაც აფრთხილებდა ჩვენ მთავრობას, მაგრამ ეს უკანასკნელი ყურს იყრუებდა.

სრულიად დამშვიდებული სოციალისტების დელეგაციებს ევროპიდან ჩამოსულებს უხვად უმასპინძლდებოდა და ქართული პურმარილით აცილებდა.

სწორედ იმ დღეებში გიმნაზიიდან გამოსულმა სახლის წინ შეგროვილი ხალხი დავინახე, ესენი იყვნენ პროფესიონალური კავშირები მოსულნი თავიანთი დროშებით. მათი ორატორები ეხებოდნენ საქართველოდან ინგლისელების გასვლას და მთავრობას ულოცავდნენ მის დიპლომატიის მიზანშეწონილებას.

უცბად თვალი მოკარი ტრიბუნაზედ ნაცნობ სილუეტს, ძალიან გამიკვირდა მისი ამ ადგილას ყოფნა.

იქ მომეგება მიხეილ ზანდუკელი, ისიც ერთერთი ქართული გიმნაზიის გამგე და მითხრა; "აი, თქვენი ქმარია ტრიბუნაზედ, ლაპარაკობს"ო.

მივუახლოვდი და სპირიდონის სიტყვები მოვისმინე, აღელვებული იყო, "აქედან სახლში დამშვიდებულნი ნურავინ წახვალთ, იცოდეთ, რომ ჩვენ მეზობლად კარებში წითელი რუსეთია ჩასაფრებული, რომელიც დროს ელის, თავს დაგვესხას და მთლიანად წაგვლეკოს, გაგვანადგუროს"ო.

ტაში არ მახსოვს, მაგრამ ორატორს დიდ სიჩუმეში უსმენდნენ.

ამასთან დაკავშირებით, მახსოვს პარლამენტში მამაშვილის გამოსვლა როგორც დეპუტატი, და ნაციონალური ოპოზიციის ლიდერი — ისე იბრძოდა მთავრობის წინააღმდეგ, რომ ამ უკანასკნელს უძნელდებოდა თავის გამართლება. აკი ჩემ მახლობლად მჯდომმა კიდეც აღნიშნა: "კედიამ ისე დალურსმა მთავრობა, რომ სათქმელიც აღარაფერი აქვს"ო!

გეგეჭკორმა შენიშნა: "მე რა შუაში ვარ"ო? აქ სპირიდონმა მაგრად მუშტი დაჰკრა; "თქვენ, ბატონო მინისტრო, სწორედ ინგლისელების შუაში ხართ"ო!

საერთოდ, როდესაც სპირიდონი პარლამენტში გამოდიოდა, როგორც ეს ვასო მგალობლიშვილმა შენიშნა, უცბად მთელი სკამების გროვა ერთის მოძრაობით მიიწევდა, რომ უფრო კარგად მოესმინათ მამაშენის სიტყვა. აი, სწორედ ამ მომენტში გერონტი ქიქოძე დგება და დარბაზიდან გადის.

სამაგიეროდ ივანე ჯავახიშვილი დიდის ყურადღებით ისმენდა და თვალს არ აშორებდა სპირიდონს. რომ გათავდა, და ტაში გაისმა, ჰკითხეს: "როგორ მოგეწონათ ორატორი"ო;

—"ეს იყო ნამდვილი კლასიკური სიტყვა და რაც პარლამენტი გაიხსნა ასეთი პოლიტიკური სიტყვა არაფის უთქვამს"ო!

სამწუხაროდ, მაშინ ვინ რა სთქვა ამას ვერ დავამტკიცებ, რადგან ხელში მიკრო არა მჭერია...

თავიდანვე ჩვენმა მთავრობამ ჯარის შექმნაზედ არ იზრუნა, საკმარისად დაინახა, პარტიის მცველად გვარდია გაეჩინა, ეს იყო და ეს.

ჯარი მხოლოდ უკანასკნელ დღეს გამოჩნდა, ისიც ძალიან ცუდს მდგომარეობაში, რადგან მას იარაღი აკლდა.

აღმოჩნდა რომ წითელმა ჯარმა ჩვენი ტერიტორია ადერბეიჯანის მხრიდან ცხენოსანი დივიზიებით დაიჭირა.

ამ ცხენოსანი ჯარის შექმნა ჩვენმა მთავრობამ დახვეის დროს ქუთაისში დააპირა. ეს საქმე დაავალეს დავით ჭავჭავაძეს, რომელიც იყო ცნობილი როგორც საუკეთესო ცხენოსანი და 1914 წლის ომში რუსეთის მიერ დაჯილდოვებული ოქროს იარაღით. თურმე ისეთი მცირედი გასამრჯელო შესთავაზეს რომ უარით გაისტუმრა; "მე ქურდობა არ შემიძლიან და ამ მცირედი თანხით ამ საქმეს ვერ გავაკეთებ"ო. არ ვიცი, საბოლოოდ ეს საკითხი, უსაგირების და ცხენების მოგროვება როგორ გარდასწყდა. დაწერილებით დღიურში მაქვს აღწერილი "ჩვენი დამოუკიდებლობის უკანასკნელი დღეები ბათუმში".

ჩვენი მთავრობის უმწეობა მათი გემზედ დაბინავება; დასტოვეს საქართველო, რომელმაც პირი მოაბრიდა, ზურგი შეუქცია, თვით მათი პარტიული ამხანაგებიც კი მათ სთვლიდნენ ქვეყნის დაღუპვის ავტორებად.

ამ დიდი მარცხის შემდეგ აქ ემიგრაციაში გადმოხვეწილნი იმ ძვირფას მარგალიტის მაძიებელნი შეიქმნენ, მას მისტირიან, გვიან დაინახეს და შეაფასეს ეს საუნჯე, რომელიც მათ ბედმა არგუნა, მისი პატრონობა ვერ შესძლეს, რადგან პარტიას შესწირეს მისი მოვალე.

რა კარგი იქნებოდა, ეხლა მაინც ჩვენი სოციალისტების პირიდან ნამდვილი ქართული გულიდან ამონახეთქი სიტყვები მაინც მოგვესმინა: "დიახ შევცდით, არა პარტია და მისი დამფუძნებული იდეოლოგია, არამედ მთელი ერი ერთის აზრით და გრძნობით შე-

დუღებული, მომავალში ის უნდა იყოს ნამდვილი მზრუნველი და პატრონი იმისა, რასაც ეწოდება ქვეყნის თავისუფალი დამოუკიდებელი არსებობა".

მაგრამ არა, ეს ძველი თაობა, მომავალს თავის პარტიაზედ ამყარებს, მათი მხრიდან ისევ ისმის; "ჩვენ და ისინი".

უკანასკნელად ჩვენთან რომ მოვიდა განსვენებული ნოე ცინცაძე, რომ შენგან მიეღო თანხმობა "Voix d'Amérique"ში გემუშავნა და მიუხსენში წაჰყოლოდი, რომ იქაური პირობები მუშაობისა გენახა და ეს არ იყო პირველი ცდა, ეს თხოვნა ბევრჯერ იყო განმეორებული.[1]

აი როგორც გახსომს, იმ საღამოს ბევრი ამბები მოვიგონე ჩვენი ახალგაზრდობიდან, ბევრი იცინა, როდესაც დაწერილებით აუწერე მე და იმის მოსკოვში პირველი შეხვედრა სტუდენტების სადილოში.

მაგრამ ამ მხიარულ გუნებაგაწყობილებას მწარე წუთებიც მოჰყვა, როდესაც შევეხე მის ძველ ცოდვებს ე.ი. მის ანტიეროვნულ მუშაობას.

ის იყო ჩემი დროის სტუდენტი და მოსკოვში ის ხელმძღვანელობდა იქაურ ს. დემოკრატიულ ახალგაზრდობას.

შენ იცი, ჩემო თეო, რომ მათი პროპაგანდის მსხვერპლი შეიქმნა 1907 წ. ილია ჭავჭავაძე როგორც თავადიშვილი.

საქართველოს, იმ დროს, მგლოვიარეს და ძაძებში გახვეულს, აი რა სიტყვებით მიმართა ს. დემოკრატების ერთერთმა თვალსაჩინო მეთაურმა: "რა მოხდა, ტყეს რომ ჰკაფავენ, ხეს ნაფოტები სცვივა"ო ეს ნოე ჟორდანიას ნათქვამი; ილია ჭავჭავაძე, "ეს საქართველოს ჭირისუფალი" ამ მარქსისტმა რევოლუციის პროცესში უბრალო ტყეში ნაფოტად მიიჩნია!!!

ეს აზრი იმდენად იყო მათ წრეებში გავრცელებული და ახალგაზრდობა იმდენად იყო მოწამლული, რომ მოსკოვში ილიას სულის მოსახსენებლად რომ ჩვენი სტუდენტების თაოსნობით პანაშვიდი იყო გადახდილი, სოციალ დემოკრატები ამ ნოე ცინცაძის მეთაურობით ბოიკოტით შეჰხვდნენ, და არც ერთი მათგანი ეკლესიაში არ შევიდა, მოვაგონე აგრეთვე მისი ნათქვამი "რაც თავადაზნაურულია, ყველაფერი ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოიფხვრას"ო. ეს იყო ნათქვამი ჩემს საპასუხოდ, როდესაც ის იყო საქართველოს განათლების მინისტრის თანაშემწე და სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის მზრუნველობა არ გამოიჩინა, როდესაც ამ სასწავლებლის შენობა ბუნებრივად ქართულ უნივერსიტეტს დაეთმო, ეს საშუალო სასწავლებელი უშენობოდ დასტოვეს და დაუსაქსეს.

მართლა და აღმოფხვრეს, რაც თავად-აზნაურული იყო.

ე.ი. ქართული!

მოვაგონე სულ ბოლო ხანებში მათი ხალხის ნამუშავარი, ქართლში რომ ვეზირიშვილის ოჯახი ამოხოცეს, მიშა მაღლაშვი-

[1] სხვადასხვა პირებისაგან. წერილი არხივშია ამის შესახებ.

ლი ეს ახალგაზრდა განათლებული რომ მოკლეს მისი გვამი სახლის კარებში დაგდეს და ძაღლებს ჩაბარეს. მაშინ არც ერთი სიტყვით ს. დემოკრატების პრესაში არ დაგმეს ეს საშინელება.

ყველა ამაზედ განსვენებული მაჩერებდა: "მაგაში არაა საქმე"ო. სულ ბოლოს კი დაუმატა; "შეცდომები კლემანსოსაც ჰქონდა"ო.[1] მათ წრეში თუ ვინმე აღიარებდა ამ შეცდომებს ეს იყო კარლო ჩხეიძე, ცნობილი ს. დემოკრატი, კერენსკის მთავრობის წევრი. "ჩვენ დავლუპეთ საქართველოც"ო. ამას იმეორებდა სხვადასხვა პიროვნებებთან შეხვედრისას.[2]

მთავრობაში აქ ჩამოშორდა ირაკლი წერეთელიც, ს. დემოკრატიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ისიც წევრი კერენსკის მთავრობისა; ის არ იზიარებდა აქ ემიგრაციაში მათ მუშაობას, დანება თავი და თავისი პოლიტიკური წრე გაიჩინა.

ერთხელ კერძოდ შევხვდი მის დის ელიკო დემელონის სახლში, სხვათა შორის მითხრა: "სპირიდონმა თავი დაანებოს მაგათთან ბრძოლას არა ღირსო და ცუდათ მოიხსენია მთავრობის წევრები: "ეგენი არიან ნამდვილი... ყაჩაღები"ო. არკი მინდოდა ამისი განმეორება, რადგან სამწუხაროდ მიკვირთი ამას ვერ გადავიტანებდი, ისე კი ამას აზრი არა აქვს. ომის შემდეგ ხომ მთავრობამ და მისმა პრეზიდენტმა თავიანთი თავი უარჰყვეს იმით, რომ ბოლშევიკების წარმომადგენელ თავაძეს ხელწერილი მისცა განსვენებულმა ნოე ჟორდანიამ, რომ პოლიტიკურ მუშაობაზედ ხელს აიღებს და ამაზე დროს მოუწოდებს ემიგრაციას საქართველოში დაბრუნებას.

ამ ამბავმა მთელი ს. დემოკრატიული პარტიის წევრნი საშინლად აღელვა და იმდენად, რომ ბოიკოტი გამოუცხადეს მოხუცებულ პრეზიდენტს.

ერთმა მათგანმა შეხვედრისას კიდეც მითხრა; "შეგვარცხვინა მოხუცებულმა"ო. ეს მდგომარეობა თვალსაჩინო იყო სპირიდონის გარდაცვალების დროს, როდესაც კლამარში მოვიდა თვითონ ნოე ჟორდანია ერთის ერთგული ჩუბინიძეთი, სულ ცალკე კიდევ სხვები, ერთი მათგანი ნოე ცინცაძე თურმე კიბეზედ შეეჩეხა, სალამი არ მისცა და ისე შეპხედა, "როგორც მგელსაო" ასე ლაპარაკობდნენ. აშკარა იყო, რომ თავისიანებისაგან მარტოდ მარტო იყო დატოვებული, ეხლა, რასაკვირველია, ამაზედ ყველანი საჩუმეს არჩევენ. ეს გასაგებია, თუ უნდათ თავიანთი პარტიის უკვდავება.

ამით ვათავებ ჩემ დღიურსაც, ძნელია განმეორებით ჩვენ ცხოვრებაზედ ლაპარაკი, რომელიც ჩაქსოვილია ჩვენი ერის უბედურებასა და მის შედეგებთანაც. ამიტომ ჩვენი ოჯახის ემიგრაციაში წოწიალი გაუგებარი რჩება არამც თუ უცხოთათვის არამედ თვით ქართველებისათვის, ამიტომ მინდა გავათავო ეს ჩემი დაუბოლოვებული ლაპარაკი და მოთქმა.

---

[1] თურმე მაგნეტოფონში გადაგილია ეს ჩვენი ლაპარაკი და ისე, რომ მე ეს არ ვიცოდი. დღესაცა გაქვს შენახული ეს კასეტი.

[2] საბოლოოდ ჩხეიძემ თავი მოიკლა, ყველი გამოიჭრა...

შენ კი ჩემო ძვირფასო შვილო, თეო, თუ მოინდომებ და ეს არის ჩემი დიდი სურვილი, შენ გაშალო ძველი ამბები, რადგან არ შემოგაკლდება საამისო მასალა.

შენი ძალიან დაღლილი და ბებერი დედა.

იყავი ჯანით საუსე, მხიარული და ბენიერი, ღმერთი იყოს შენი მუდმივი მფარველი.

მადლობა

სპირიდონის სიკვდილის შემდეგ პირდაპირ უფსკრულში ჩაეყარდით; რამდენი შიმშილი, შიში, უსახლკარონი და ამასთან ერთად შენი ავადმყოფობა გაორკეცებული გაუთავებელი დარდით!

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ყველაფერი ეს აგვატანინეს ჯერ კლამარში Gorbatchevsky-ს ოჯახმა და შემდეგ ფრანგებმა, რომელნიც მანამდე არც კი გვიცნობდნენ.

შეუძლებლად მიმაჩნია ისე დავაბოლოო ეს ჩემი "ნასმენ ნახული", რომ არ მოვიხსენიო დიდის და უსაზღვრო მადლობით მთელი ის ხალხი რომელთა წყალობით სიცოცხლე შევინარჩუნეთ მე და თეომ, და მთლად რომ არ წავილეკნით...

უკვე როგორც აღვნიშნე, ჯერ კლამარიდან ის რუსის ოჯახი – გარბაჩევსკები – რომლებმაც, და მთლად უანგაროდ, გაგვიწიეს დიდი მეგობრობა, მორალური და მატერიალური.

იქვე კლამარიდან, ეს ჩვენი ძვირფასი Madame GALLET რომელიც 17 წლის განმავლობაში დაგვტრიალებდა სიკვდილამდე. მისი 117 წერილი, სულ შენახული, ნამდვილ სურათს იძლევა თუ როგორ იყო ჩახედული ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი და აცხონოს!

Monsiur et Madame HOEBLER –ორივენი ნამდვილ მხურვალე მეგობრობას გვიწევდნენ და დღესაც აგრძელებენ, იმისდამიუხედავად, რომ მძიმედ არიან ავად და ქმარიც ახალგაზრდა აღარ არის.

Monsieur et Mme Des GRAVIERS მათ თბილ დახმარებას, როგორ დავივიწყებ, განსორციელებული დიდის ტაქტით და მზრუნველობით. მათი ერთერთი ქალი ძალიან კარგი ვიოლონისტია და ნიჭიერი პედაგოგიც. თვითონ Madame Des GRAVIERS – ძალიან მორწმუნეა. ქმარი, ინჟინერი, Polytechnicien, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს DENISE STERNBERC ცნობილი პიანისტი, რომელმაც დიდ ლოტბარებთან დაუკრა, როგორც იყო Charles MUNCH და სხვები. პატარაობიდანვე გიცნობდა და უყვარდი. როდესაც გამოველაპარაკე 1968 წელს, იმ დღიდან ხომ მთლად გადაგეგო, თავის შესაძლებლობის ფარგლებში. აქაც ბევრი წერილი გვაქვს მისგან – 99 და რასაკვირველია სულ

შენახული – ამ წერილებს გწერდა ზაფხულობით, როდესაც ფონტენბლოში ვიყავით. აქაც ყველაფერი სჩანს. ანდერძი დაუტოვა თავის მეგობარს "Mademoiselle MOUCHON" თხოვნით: "ამ ხალხს ყოველთვის მიხედე"ო! რასაც ეს უკანასკნელი ასრულებდა ბოლომდე და თვითონაც, სიკვდილის წინ შენი თაყვანს სცემდა! – დაუჯერებელია, ვიცი! მთელ თავის ცხოვრებაში, Denise ხელ გაშლილი, სიბერეში ფული აღარა ჰქონდა და ბოდიშით Madémoiselle MOUCHON-მა – გადმოგცა იმის სახელით 2000 ახალი ფრანკი.

საბოლოოდ ვილაპარაკებ ჩვენ ჟიზელზედ, კარგი ფრანვის ოჯახიდან გამოსულს. Giséle FREDET -ზედ.

განსვენებული მისი მამა, ცნობილი ძვლების დოსტაქარი, რომლის მეთოდებს დღესაც მისდევენ, აეტორია ბევრი შრომებისა. მისი გვარი ალნიშნულია პარიზის რამოდენიმე საავადმყოფოში, ორი ზალაც ატარებს მის სახელს.

ჟიზელის ძმა არის ყოფილი Inspecteur général des Finances. თვითონ პატარა ქალი, მოძრავი, ფუტკარივით მომქმედი, ხშირად მის ხელში ჩაქუჩიც გეინახავს. ყველაფერი ეხერხება! რაც უმთავრესია კარგი პიანისტია, ხშირი მონაწილე Musique de Chambre და მამიდაა შენი მოწაფისა.

ეს Isabelle-ი ხომ გახსომს, შენთან უგულოდ დადიოდა, მუსიკა ეჯავრებოდა – თუმცა შენ ძალიან უყვარდი – იმოდენა უჩიჩინე, რომ ორი წლის შემდეგ წარადგინე კონკურსზედ – შესაფერის დონეზედ – და მოხდა სასწაული!

ამ ბავშმა მიიღო პირველი პრიზი, პირველი დასახელებული. დღესაც უკიდია ოთახში ეს დიპლომი, ამ ეხლა ექიმ ქალს. მისმა მამიდამ ეს აღარ გაათავა. – იმ დღიდან მოგვცა გასაღები თავისი ახლად შეძენილი სახლისა და 1970 წლიდან – 1987 წლამდე ფონტენბლოში ვატარებდით ზაფხულს.

თვითონაც აქ ცხოვრობდა ზამთრის განმავლობაში თავის ერთ მეგობარ ქალთან, ქვრივი – Suzanne MICHEL – ძალიან სასიამოვნო, ცოცხალი და ენერგიით სავსე ქალი. დიდი მკითხველი, კარგი თავის მქონე, არაჩვეულებრივად ფლობდა les Mots Croises-ს. მშვენიერი მუსიკოსი, დამსახურებული ვიოლონისტი – ალტო.

ზაფხულობით კი ორივენი მამულის პატრონები, ცალ-ცალკე მიდიოდნენ. მაშინ გვრჩებოდა ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ეს ფონტენბლოს მამული.

ყოველ წელს მანდ მისვლა ხომ ნამდვილი ექსპედიცია იყო! მთელი სახლი თან მიგვქონდა... 6 დიდი ჩამადანი, 3 პატარა, 26 პტარა პატარა პაკეტები, და ზედ ჩვენ! და... ვინ ეზიდებოდა ყველაფერ ამას? ეს ორი ქალი! ოთხნი ვიყავით ხოლმე ჩაჭყლეტილები მათ მანქანაში როდესაც დავიძვრებოდით.

ამოდენა ბარგი მიგვაქვს იმიტომ, რომ ერთი ყოფილი ჩვენი კონიერჟი, გაქანებული კომუნისტი ძალიან იყო გართული ჩვენი ცხოვრებით; ბევრჯერ ჰქქადა ჩვენ ნაგავს, რომ რამე ეპოვნა, ერთხელ გვითხრა: "მე ყველაფერი უნდა ვიცოდე"ო! ზაფხულში კი

როდესაც ჩვენ ბინაზედ არ ვიყავით, შიგ შევიდა და ბევრი ქალალდებიც აგვაცალა...

ფონტენბლოში მოსულებს, მთელი სალხი ჩვენს განკარგულებაში გვეიხვდებოდა დიდი სიყვარულით მომზადებული; ლოგინები მზრუნველობით და სილამაზით შემკული გველოდებოდა, პატარა ღამის მაგიდაზედ ჩვენს ოთახებში სათითაოდ საცუცნაო ტკბილეულობაც, კოლოების წინააღმდეგ აპარატი მზად იყო. ვანაში ჩამწკრივებული პირსახოცები და ყოველსაირი თეთრეული, 2 ბუიოტიც იქვე.

ერთი სიტყვით, დიდ ლუქსის სასტუმროში ვართ ჩამომხტრები! საჭმლის საკითხიც მოგვარებულია; ფრიჟიდერი სავსე, სარდაფში ყოველგვარი კონსერვები, სასმელები და ხილი უდარდელად უნდა გვეცხოვრა, უფრო კი იმიტომ, რომ აეცდინათ შენ დაზიანებულ მარჯვენა ხელისათვის ზედმეტი დაღლა.

მაგრამ ამით არა თავდებოდა, ხშირად მოდიოდნენ პარიზში, დაგვხედავდნენ და უსაზღვროდ გვემსახურებოდნენ ყოველსაირად, ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია!. როლიალი გიყიდეს, "აბა, როგორ უნდა იხადოთ ქირა"ო. ერთ დღეს, როდესაც სწუხდი, რომ ვერ იძინებ ფონტენბლოში, იმისდამიუხედავად, რომ ასეთი იდიალური პირობები გაქვს, იმათ ეს მიაწერეს იმ პატარა ლოგინს საცა შენ იწექი. იმავე ზამთარს წაგიყვანეს Bon Marché-ში და აგარჩევინეს დიდი ქვეშაგები, და სხვა, და სხვა!..

ჩემ ოპერაციის დროს ხომ მათი ყურადღება აუწერელია. სასოწარკვეთილი ხარ Cochin-ის საავადმყოფოში, სადაც მიმიყვანე, გატეხილი მაქვს Col de Fémur და ვარ მაშინ 102 წლისა! ველარ გარდაგიწყვეტნია მოაწერო ხელი თუ არა ნებართვას, რომ ოპერაცია გაკეთდეს, თან ამასაც გეუბნებიან, რომ მხოლოდ 20 პროცენტია გადარჩენისა და ისიც!. თუ არ სთანხმდებით, სულერთია 2-3 თვეზე მეტს ვერ გასძლებს"ო.

არის ღამის ათის ნახევარი. ტელეფონით უერთდები ფონტენბლოს. ეს ორი ქალი, ერთი 82 სა და მეორე 83 წლის, საერთოდ ძალიან ადრე წვებოდნენ, მაგრამ მაინც შეაწუხე. უხსნი გარემოებას: "არ ვიცი რა გარდაწყვიტო"ო; პასუხია: "ეხლავე ვიცვამთ და მოვდივართ!"ო.

Cochin-ში მოვიდნენ თერთმეტის ჩარეკზედ. დაგაიმედიანეს: "ნუ გეშინიათ, დედათქვენი კარგად აიტანს ყველაფერს"აო, და თქვენ სამივემ მიმაცილეთ ალერსიანი სიტყვებით ოპერაციის ზალამდე. – ღამის ორ საათამდე ელოდებოდით შედეგს.

ყოველ დღე ეს ჩვენი ჟიზელი ფონტენბლოდან მოდიოდა თავის ავტომობილით, გვერძე ეჯდა Suzanne Michel, რომ წამოეყვანე საავადმყოფოში ჩემს სანახავად, იქიდან რასაკვირველია გამოგაცილებდნენ სახლამდე და მანამ რიგიანად არ დაგაბინავებდნენ არ წაეიდოდნენ. – ერთ დროს, კერძო დაბრკოლების გამო რომ ეს ვეღარ შესძლეს, ტაქსი იქირავეს შენთვის ამ ქალებმა!

ეხ, სამწუხაროდ Madame Michel-მა დაგვტოვა, გარდაიცვალა ამ 3 წლის წინად, კიბომ იმსხვერპლა. ღმერთმა აცხონოს!

ჩვენი ჟიზელის ცხოვრებაც ავადმყოფობის გამო ძალიან შეიცვალა; მუხლის ოპერაცია გაუკეთეს და იძულებულია ეხლა ზამთარ ზაფხულ ფონტენბლოში იცხოვროს თავისიანებით, მაგრამ ერთი ყური სულ ჩვენსკენ აქვს და ამ პირობებში თავისას არ იშლის; ხან და ხან მოგვადგება ხოლმე და კითხულობს; "როგორა ხართ"ო? და ...აბა!

მართლა და ასეთ მეგობარს როგორი მადლობა ეყოფა, არ ვიცი... ოფიციალურ პირებში არ ვიცნწყვებ Jean Baylot – Préfet de Police, რომელიც ძალიან კარგად მოგვექცა.

Robert Gilles – ექსპულციის დირექტორი – იგივე ამ პრეფექტურაში – რომელიც გრძელ ვადას გვაძლევდა. ერთხელაც კი გვითხრა: "დავიცდი მანამ სულ არ დასცლით ამ თქვენ საგნებს ოტელიდან, მხოლოდ მაშინ ხელს მოვაწერ თქვენ გაგდებას"აო. და თვითონ გვიშოვნა ის პატარა ბინა Porte de Vitry–ზედ მანამ აქ გადმოვიდოდით.

ამ გაგდებებში ჩვენი მეგობარი გახდა და ერთხელ თავის ცოლითაც მოვიდა ჩვენთან სადილად.

Armand Ziwés – Prefet de Seine et Oise იმასაც დიდი მონაწილეობა მიიღო ჩვენ ამბებში. სხვათაშორის, 17 მაისს 1948 წ. – სწორედ სპირიდონის გარდაცვალების დღეს – მან მიიღო ვერსალში დღევანდელი ინგლისის დედოფალი და მისი მეულლე, მათი სურათი "ფიგაროს" პირველ გვერდზედ არის მოთავსებული. ამ ძივესმა ერთ დღეს თავის შოფერს გამოატანა შენთვის თავისი წიგნი, ამ წარწერით; A mademoiselle KHEDIA, Sympathies à celle qui trop tard comprendra le temps, les gens, les sentiments.

დიდი კმაყოფილი სჩანდი, ეხლა კი დაუფიქრდი და "მთლად სულელი ხართ"ო... ასე გამოდიოდა!

Bernard Lafay – Ministre de la Population.

6 თვეში მოგცა ფრანგული ნატურალიზაცია, რაც იშვიათია ასე მოკლე ხანში Lucien Junillon – Sénateur – მან გვიშოვნა დღევანდელი ბინა.

ყველა ამათ ჩვენი დიდი მადლობა!!

ჩვენი გულთბილი მადლობა ჩვენ ერთგულ ექიმს Stephane Avakian-ს, რომელიც ყოველთვის დაუზარებლად და სიყვარულით გვიყლიდა 30 წლის განმავლობაში. მისი მოსულა ნამდვილი დღეობა იყო. ძალიან განათლებული, მდიდარი ბუნების პატრონი, უდიდესად პატიოსანი, ნიჭიერი – 25 წლამდე მოცეკვაე ყოფილა პარიზის ოპერის ბალეტში, პრეობრეჟანსკაიას მოწაფე – მძიმე პირობებში მოუხდა საქიმო დარგის შესწავლა, და ამავე დროს ძალიან ხუმარა! იმოდენას გვაცინებდა, – ხან ვის ავკავრებდა და ხან ვის – რომ კარგ გუნებაზედ გეტოვებდა და ასე მიდიოდა... უკვე თითქოს მორჩე-

[1] ამათში Jean Ferniot; Louis-Gabriel Robinet - Directeur du Figaro, და კიდევ Jean Paul David "Paix et Liberté"-ს დირექტორი;

ნილებიც ვიყავით და ისიც კმაყოფილი დაეშვებოდა კიბეზედ ხელის ქნევით!

დიდძალი კლიენტურის მქონემ – ქართველები, რუსები, სომხები, ფრანგები, რუსეთის სალჩოდანაც პყოლია ავადმყოფები – სამწუხაროდ შეწყვიტა თავისი საქმიანობა და შუა საფრანგეთის მიყრუებულ სოფელში დაბინავდა თავისიანებით.

Jean Ferniot, journaliste parlementaire შენი ნატურალიზაციის ერთერთი მოწმე, რომელმაც დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩვენი ოჯახის მიმართ.

Robert Schumann ძალიან გამოეხმაურა ჩვენ მაშინდელ სიძნელეებს. ყველას ჩვენი მადლობა. ამათში კი ყველაზედ ადრე Reine Giner Appolinaire უდინოს სასტუმროს პატრონი, რომელზედაც სულ წინა ფურცლებში უკვე ერცლად ვილაპარაკე.

ქართველებიც დაგვეხმარნენ

ერთ დროს, ე.ი. სპირიდონის გარდაცვალების წლის თავზედ, გარდავწყვიტე კერძოდ მიმეცა ქართული ენის გაკვეთილები, მხოლოდ ეხლა მუქთად არა, როგორც ეს იყო წინად.

რადგან არ მოხერხდა ჩემთან მოსულიყვნენ კლამარში, იძულებული ვიყავი მე მევლო. ამ საქმისათვის ერთმა ოჯახმა, ბავშვების პატრონმა, ბინა დამითმო.

დავიწყე სიარული, საათში არ მახსოვს რა მოვითხოვე, ბევრი არ იყო, თუმცა ეძვირად.

გზის ფულს კი ფულად არ მაძლევდნენ, არამედ წამოსვლისას 2 მეტროს ბილეთს ხელშივე მიდებდნენ. საუზმეზედაც მარჩენდნენ, მაგრამ უნდა მიმხვდარიყავი დიდი მადა არ გამომეჩინა: "ზოგი ერთი რამე სალამოსათვისაც უნდა გადარჩეს"ო.

ერთ დღეს საჩუქარიც მივიღე: ერთმა ლედამ გადმომცა მოზრდილი ქილა არაჟანით, შემკული კომბოსტოს ნაგლეჯებით, ასე მგონია წინა დღის "გალუბცის" ნაშთი... ეს ჩემი პატარა შემოსავალი მალე შესწყდა.

ერთხელ კი ეკლესიის გალავანში მოგროვილი ფული მაშინდელმა კოლონიის თავმჯდომარემ ტელეფონით გთხოვა ამის ასაღებად შენ თვითონ იმის სახლში მისულიყავი.

იქ მყოფ სტუმრების თანდასწრებით, მეორე ოთახში გაგიყვანა და ეს თანხა – 550 ახალი ფრანკი – გადმოგცა. დიასახლისმა – ალბათ შემთხვევით კარები ისე მაგრად მოგიკეტა, როდესაც წამოხველი, იფიქრე დაეიწყებული პქონდა, რომ იმ შენი პატარაობის მეგობარი იყო და ყოველ კვირა მთელი დღით კლამარში ამოდიოდა და ამნაირად შეებლო თავი დაელწია პატარა ოტელის

ოთახისათვის სადაც მთელ ოჯახს მეტის მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება!

სხვათაშორის ეს თანხა, დიდი დაგვიანებით – 30. 10. 1983 დაუბრუნე[1] კოლონიის ახალ თაემჯდომარეს, ბატონ თ. ნასყიდაშვილს, ერთი ორად, ე.ი. 1.000 ახალი ფრანკი, ერთგვარი ზედნადები. მივიღე მისი მადლობა,[2] მხოლოდ ჯერ კიდევ არა მაქვს ქვითარი.

CHATEL-GUYON

ჩვენ, ამ მუდამ ღრუბლიან ცას, ხან და ხან ცისარტყელა გადაეფინებოდა. ერთ ზაფხულს, 1964 წელს – მანამ გავიცნობდით ჩვენ Gisèlle FREDET-ეს ერთერთმა ჩვენმა ნაცნობმა – მადამ პირომ, როგორც საქველმოქმედების თავმჯდომარემ, მოგვიწყო დედა-შვილის ერთი თვით საუკეთესო სასტუმროში დასვენება, ცნობილ კურორტზედ "შატელ გვიონ".

თუმცა კარგ პირობებში ვიყავით, გაგვიძნელდა კი ნამდვილი დასვენება... ხალხი მეტის მეტად ცნობის მოყვარე ცოტას გვაეიწროვებდა; ვინა ხართ? საიდან მოდიხართ? და სხვა. ხშირად ვემალებოდით კიდეც ამ ხალხს, როდესაც სუფრიდან ვდგებოდით და მიეშურებოდით ჩვენ ოთახებისაკენ და ასე გვაკლდებოდა ხშირად ლამაზ პარკში ყავის დალევა!

ერთ დღეს პარიზიდან მოდის წერილი და ზედ აწერია Princesse Tchidjavadzé. რაღა ეს გვინდოდა! ამან მთლად გადარია ეს უსაქმო საზოგადოება.

ერთ საღამოს სალონში ტელევიზიონს ვუყურებდით, და როდესაც ინფორმაცია გათავდა და გამოაცხადეს მუსიკალური ნაწილი; "ეხლა ილაპარაკებს ცნობილი მუზიკოლოგი, Bernard Gavoty"იო; ეს პუბლიკა მუსიკის მოყვარული არ გამოდგა და ყველა გავიდა.

დავრჩით ჩვენ და წინა რიგში მარტოდ მარტო ერთი ქალი. როდესაც ყველაფერი გათავდა, ჩვენი აღტაცება ვერ დაემალეთ, მართლა ამ Bernard Gavoty-ის ბადალი არა ჰყავდა! ამ ქალს ძალიან ესიამოვნა ჩვენი ასეთი რეაქცია და მაშინათვე გაგვაცნო თავისი თავი; "მე ვარ სწორედ ამ Bernard Gavoty–ის ბიძაშვილი"ო. და ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა.

მოკლე ხანში უთავდებოდა იქ ყოფნის ვადა და ამიტომ ჩვენზედ ადრე დასტოვა სასტუმრო. მიდიოდა თავის მამულში, იქვე მახლობლად. წასვლისას, გვთხოვს ვესტუმროთ მის პატარა შატოს, "არა, უფრო კი Gentilhommière-რია"ო დაუმატა.

---

[1] წერილი არსებობს.

[2] წერილი არსებობს.

სამწუხაროდ ვერ მიეღეთ ეს დასტიჟება, – ისე მაგრად არა გვქონდა საქმე...

მზურვალედ გამოგვეთხოვა და გვაძლევს თავის კარტას, უკვე პარიზის მისამართით: Comtesse Madeleine de SEILHAC - Bd Haussmann 113.

ჩვენ მალე დავტოვეთ იქაურობა და სასტუმროს დიასახლისმა ლამაზი ვარდით გამოგვაცალა: "აი, უკანასკნელი შემოდგომის ვარდი"ო!

სასიამოვნო შობის საუზმე

იმავე წელიწადს, ე.ი. 1964-ში, დეკემბრის დასწყისში ტელეფონს გვირეკავს Comtesse de Scilhac-ი. გვთხოვს შობის დღეს საუზმეზედ ვეწვიოთ.

ამ დღეს ვიგონებ დიდი სიამოვნებით!

შობაც გათენდა, თოვლი ბარდნის... დილიდანვე. სახლიდან გამოვდივართ და ეს გაჟარვარებული წითელი ციკლამენის ქილა, რომელიც ხელში გიჭირავს – კონტესისათვის დამზადებული – ლამაზი სანახავია ამ თეთრი ზამთრის ჰარმონიაში!

სრულ პირველ საათზედ მივედით კიდეც. ტაქსიდან რომ ჩამოვსტით, პარიზი მთლიანად ცარიელი, სიჩუმეში იყო ჩაფლული, და იმოდენა თოვლი იდო, რომ მათ კარებთან მისვლა უჭუმად ჩატარდა!

რომ შეველით უკვე პატარა საზოგადოება დაგვიხვდა. "აი, და მართლა ქართული სილამაზეო", ასე მოგვეგება Comte de Scilhac თავისი მეუღლეთი.

უცბად ვიმყოფებით ნამდვილ საფრანგეთის კეთილშობილ ოჯახში; კედლებზედ ძველი დამსახურებული მამაპაპათა სურათები, შესაფერის ჩარჩოებით, ავეჯი ლუი მეთექვსმეტეს დროისა და ყველაფერი ჩვენს გარშემო მოწმობდა ძვირფას წარსულს და გადასულნი ვიყავით სულ სხვა სამყაროში!

პატარა ხანს უკან სასადილოს კარები გაიღო, გამოჩნდა მოსამსახურე ქალი და გამოაცხადა; "Madame la Comtesse est servie" მაშინ კონტმა გამიყარა ხელი, სხვებმაც მიბაძეს და წყვილ წყვილად შევედით სასადილოში.

პატარა პატარა მაგიდები შანდლებით გაშუქებული, ზედ ძვირფასი ჭურჭელი მონოგრამებით და სხვა და სხვა ღვინოები ბროლის სურებში. ყველასათვის დამზადებული იყო საჩუქარი, ლამაზ პარკში ჩადებული, მიმალული ბარათის უკან, რომელიც მხატვრულად იყო ფერადებში ჩაქურთმული. ზედ ეწერა სათითაოდ ჩვენი გვარი და შესაფერისი ლექსიც. დღესაც ვინახამ ამ კარტას.

თვითონ საჭმელზედ არ ვილაპარაკებ. საფრანგეთში ვართ და მერე ასეთ ოჯახში! ყველაფერი გემრიელი, გაზომილი და გემოვნებით წარდგენილი!

საუზმის შემდეგ, მხიარულად ჩატარებული, იგივე ცერემონიით გამოვედით წყვილ წყვილად სალონში სადაც ყავა და ლიკერი გველოდებოდა. თავს, ჩემო თეო, კარგად გრძნობდი, ყველასაგან სასიამოვნო სხივები მოგდიოდა. იდიასახლისე კიდეც, როდესაც კონტესამ გადმოგცა ვერცხლის სინი ტკბილეულობით და ამ სიტყვებით მოგმართა: "ma chère Thea! faites la jeune fille de la maison"

ყველაფერს დასასრული აქვს, და ჩვენ გამოვეთხოვეთ დიასახლისს და მანამ წამოვიდოდით, დიდის მადლობით, მოსამსახურე ქალს ცოტა ფული დავუტოვე.

სახლში დაბრუნებისას, ცოტა შეფიქრიანებული ვიყავით. იმ სამთხის შემდეგ ეს ხალხი როგორ უნდა დაგვეპატიჟნა ამ rue Dupin-ზედ, სადაც თავგი კუდსაც ვერ მოიქნევდა!.. ამ ფიქრებით შემოვალეთ ჩვენი კარები. საერთოდ ყოველთვის ასეთი დიდი ზეიმის შემდეგ, კარგად კი არა, უარესადა ვართ, მაშინ ეხედავთ ჩვენ გაჭირებას...

მეორე დღეა საინტერესო. რასაკვირველია, შენ უკვე მადლობის წერილსა სწერ, მაგრამ კონტესამ დაგასწრო. ტელეფონს გირეკამს და ბოდიშს იხდის, იმის გამო, რომ "როგორ მომიეიდა", მოსამსახურე არ გავაფრთხილე, რომ ეთქვა "La Princesse est servie" და არა "La Comtesse est servic" რადგან დედათქვენის წოდება ხომ ყველაზედ მაღალია"ო!

გამეცინა, მე როგორ ვიყავი ყველაფერს ამას დაშორებული!... ჩვენც სკამები მივწიმოვწიეთ და გავბედეთ მათი დასტიჟება. ორს ველოდებოდით, სამნი მოვიდნენ; ცოლ ქმარი და ამ კონტესას ძმა, შენთვის საქმროდ გამზადებული! შენებურად სიტყვა ბანზედ აუგდე, მაგრამ მაინც ძალიან ნასიამოვნები წავიდნენ, და ამის შემდეგ მათთან კავშირი არ გაწყვეტილა.

სამწუხაროდ, სამი წლის შემდეგ – 1967-ში – Comtesse de Seilhac დაიღუპა. ავტომობილი ხრამში გადაუვარდა. მის მეულლეს, სასოწარკვეთილს, დიდ ხანს ალარ უცხოვრია და ასე დავკარგეთ ეს ძვირფასი ნაცნობობა!

სპირიდონის ყმაწვილები საფრანგეთში

1–შაშა ცომაია
2–მიტო სინჯიკაშვილი
3–ვიქტორ შუბლაძე
4–სევერიან ჭირაქაძე
5–მიშა ქათარაძე
6–ირიდიონ ბეგიაშვილი
7–აშიკო დადიანი

8–შოთა გედევანიშვილი
9–გოგა ჩხეიძე
10–ირაკლი ზალდასტანიშვილი
11–გოგი გეგელია
12–გიორგი შანშიაშვილი
13–ჩიჩუა

დანარჩენების სახელი, პროვინციაში მყოფნი, სამწუხაროდ არ მახსოვს.

მთელ ამ ყმაწვილებიდან ძალიან აქტიურები იყვნენ საშა ცომაია, მიტო სინჯიკაშვილი, ვიკტორ შუბლაძე, გრიშა ცხაკაია. რომ "საქართველოს გუშაგი" გამოსულიყო. ასოთა ამწყობი იყო უმთავრესი საშა, მიტოს დახმარებით.

დასწყისში არც სტამბა იყო, არც ფული მაგრამ დიდ სიძნელეებში მაინც გამოდიოდა "საქართველოს გუშაგი".

Louis MARIN მაშინდელი შემარჯვენე პოლიტიკური მოღვაწე ეხმარება ამ გაზეთის დაბეჭდვაზ. ერთ დროს, François COTY – ამ ცნობილმა მრეწველმა პარფიუმერმა – მიიღო მონაწილეობა.

მერე კი თეითონ პარტიის წევრებმა იკისრეს ამ გაზეთის შენახვა.

საირიდონის მიმდევრები უფროსებში

გიორგი მაჩაბელი – დიდი ხნის ერთგული მეგობარი
ტიტე მარგველაშვილი – ნამდვილი მეგობარი
იოსებ დადიანი

გრიშა ცხაკაია – მოსკოვში მემარჯვენე ახალგაზრდობის მეთაური იყო. თურმე, ადერბეიჯანის პარლამენტში დეპუტატი ყოფილა.

საშა ერისთავი
ელიზე პატარიძე
მამულაიშვილი – ყოფილი ბაქოს მრეწველი
ხოშტარია – იგივე ერთერთი ბაქოს მრეწველი
ალექსანდრე ასათიანი
რეზო გაბაშვილი
დათა ვაჩნაძე
შალვა ამერეჯიბი
გიორგი გვაზავა

საქართველოში

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ნიკო ნიკოლაძე – დიდი ქართველი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი

ივანე ჯავახიშვილი — ჩვენი დიდი ისტორიკოსი, ნამდვილი "საქართველოს გუშაგი"
კოტე აბხაზი — თავად-აზნაურობის წინამძღოლი
გენერალი წულუკიძე
გენერალ ანდრონიკაშვილი
გენერალი საშა ყარალაშვილი
იასონ კერესელიძე
გოგა ხიმშიაშვილი
მუსხელიშვილი
ივანე ზურაბიშვილი — სენატორი
პავლუშა თუმანიშვილი — მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი
სანდრო დიასამიძე — ექიმი
გიგო დიასამიძე — ჟურნალისტი
ვასო მგალობლიშვილი
თედო სახოკია — ჟურნალისტი
ლავრენტი კვარაცხელია — სპირიდონის პირადი მდივანი საქართველოში
ჩრდილელი, და სხვები, ყველას დასახელება შეუძლებელია.

ახალგაზრდებში

კონსტანტინე დევდარიანი
შალვა აბაშიძე
გრიგოლ ჩიქოვანი
მიტო გოგნიაშვილი
კალე მისაბიშვილი
მიხეილ ხოფერია
ნიკო დღებუაძე
კაკო დღებუაძე
ლეო დღებუაძე
ვანო სინჯიკაშვილი
სიმონ ხოფერია
ბატონიკა ბარათაშვილი
სევერიან ჭირაქაძე
შუქურ შურღაია
ელისე პატარიძე
გრიგოლ მაკარიძე და ბევრი სხვა...

ეს სია ჭირაქაძის წერილიდან მაქვს ამოღებული — წერილი 10. 2.1929 წ. იქ ახსენებს კალე მისაბიშვილს, რომელიც საუკეთესო ელემენტი იყო ამ ჯგუფში და სპირიდონის მარჯვენა ხელი.

პატარიძე თურმე უფრო გვიან შეუერთდა ამ ჯგუფს. ამათ, და ეს არის უბედურება, აუღიათ ეჭვი ამ მისაბაშვილზედ და დასწამეს ღალატი... და მოკლეს!

ერთ დღეს აქ პარიზში პატარიძემ მიამბო: "26 მაისს სიტყვა ავიღე და სწორედ მაშინ გავარდა თოფი"ო! – მაშინ ვუამბე ამ "ღალატის" ნამდვილი ვითარება.

როდესაც ჯავახიშვილი–ადამაშვილი, "ჯაყოს ხიზნების" ავტორი დაიჭირეს, თურმე კოტე აბხაზმა წამოიძახა: "დავილუპეთ, ეს ისეთი მშიშარაა, რომ ყველას გაგვცემს და სუყველაფერს იტყვის"ო...

ცოტა ხნის შემდეგ, ეს ადამაშვილი გაანთავისუფლეს და იოლად შედის ჩეკაში სადაც ვასო მგალობლიშვილთან ერთად იყვნენ დაჭერილები ე.დ. პარტიის წევრები.

ვასომ მიამბო: "მე მომმართა და მითხრა"–"ვიცი, რომ უშენოდ არაფერი გადაწყდება და თუ რამე საშიშროება მელის, იცოდეთ, მე ისე მაწამეს, ყინულზედ დამაწვინეს, რომ იძულებული ვიყავი ყველაფერი მეთქვა"ო!..

ეს რომ ვუამბე ელისე პატარიძეს, აქ ემიგრაციაში, მიპასუხა: "ეს, მე ეს არ ვიცოდი"ო.

მინაწერი

ეშიშობ, ჩემი ნაამბობი ეწყინება ბევრს, აღშფოთებასაც გამოიწვევს, რა ვქნა, ვიცი რომ სიმართლეს მეტი წილი გაურბის. მე როგორც ისტორიის მასწავლებელი პატარაობიდანვე ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ღრმად ჩაქსოვილი, მოვალედა ვთელი ჩემ თავს, სიმართლე არ დავმალო და მომავალი თაობა გავაფრთხილო, რომ მამაპაპური შეცდომები აიცდინოს, რომ საქართველოს კარგი მომავალი მოუმზადოს!!!

სულ ბოლოს სინდისის ქვეშ ვაცხადებ, რომ არავითარი რაიმე გრძნობები ან პირადი ანგარიშები არავის მიმართ არა მქონია არც ძველად და არც დღეს.

სოფიო ჩიჯავაძის ასული კედიასი
10.7. 1989.

გამომცემელისაგან.

ქალბატონ სოფიო კედია-ჩიჯავაძეს უმდიდრესი, და XX საუკუნის საქართველოს ისტორიისა და ქართული ემიგრაციის ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი პირადი მიმოწერისარქივი დარჩა. ამ არქივში თავმოყრილია ისეთი პიროვნებების წერილები, როგორებიც არიან გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი პიროვნება. ჩხადია აქვეა სპირიდონ კედიას წერილებიც. ყოველივე ეს მოითხოვს ქალბატონ სოფიო კედია-ჩიჯავაძის "ნასმენ-ნახულის" საარქივო მასალების გამოქვეყნებას ცალკე წიგნად, რაც კიდეც არის განზრახული ქართულ–ევროპული ინსტიტუტის მიერ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ იმ სამ ლექსს, რომელთა შესახებაც ავტორი ლაპარაკობს 527 გვერდზე, რაც, ეფიქრობ, დამატებით ათინათს ჰფენს ქალბატონ სოფიოს ხასიათს.

ვანრი კაშია

ჩვენი ქვეყნის რაინდს.

ამ ქალების ნებიერი მე არა ვარ ბედნიერი.
ფლიდობა და ლაქიობა მოსაბეზრებელი არი,
მოხუცებულებს მივთხოვდი, ზანტად უმშვენებ მათ მხარსა,
მაგრამ რა მიშავს გვარიანს გამოწყობილს და მაძლარსა.

იდიოტსაც მეძახოდნენ, ჭკუით ყველას გაეასწარი,
წინდებით და გალსტუკებით ჩემი შკაფი სავსე არი.
მანქანითაც დავგრიალებ, შიგ ვინ მიზის არვინ იცის
გვერდითა მყავს ალისეტი, მარგალიტი სახლში მიცდის.

ერთმანეთი ემწარებათ, როდესაც ჩემთან არიან,
საქმეში კი მეგობრობენ და სულ ერთად დადიან.
ჩემ მეუღლეს ვეცოდები, ბევრსა მუშაობს ესაო,
ჭკუით არის და იქნება, გამოადგება ერსაო.

№2

აღარ ვიცი, ვის მივენდო, ვის გაუხსნა ჩემი გული,
აღარ ვიცი, სად წავიღო, სად დაემალო ჩემო ფული.
გესტაპოსთან შეძენილი გეპეუზედ მეხარჯება,
ღარიბ კაცის ხმელი პური დღე და ღამე მენატრება.

ცოლის შერთეაც არ მეღირსა, რა შეეცოდე ნეტა ღმერთსა,
დადიანის ასეულებს ხელი ეთხოვე განა ერთსა,
სხვას კი მე ვერ შევეყრები, ვერ შევიცელი ამ ჩემ გულსა
ტახტის აზნაური მქვიან, ვერ წაეხდები, ასე მსურსა.

№ 3

მინისტრობა რომ მეღირსა, მაშინ აშენდა ქვეყანა,
ჩავიცვი და დავიხურე, მტერმაც კი ნაკლი ვერ ნახა,
ის დღეა და მას შემდეგა არაფერი დამკლებია,
ცბიერება, ეშაკობა მე ყოველთვის დამრჩენია.

საქართველოს საქმეებში არავინა მყავს ბადალი,
ყველას შეილოს ვეუბნები, კარგი არის ეს წამალი.
კეპჭი, ბაჯგუ და კობაკი სულ ჩემ სადღეგრძელოს სვამენ,
ჩვენი ნამოც ამათშია, ქართულ საქმეს ერთად ხრაენ.

მე კი მინდა შევისწავლო ბალეტისა ეს გრაცია,
კრემლში მეპატიჟებიან, დასტოვე ემიგრაცია.
მოვამზადე საახალწლოდ დიდი ზღვენი ბელადისთვის,
ქართველობას ჩავაბარებ, არ ვინაღვლი მე ხვალისთვის.

იმ ხანებში მზადდებოდა პარიზში "ვეფხისტყაოსნის" შინაარსზედ ბალეტი, მუსიკა დასწერა ონეგერმა და ლიფარი იყო მისი ქორეოგრაფი. ეს არარ მახსომს დადგეს თუ მხოლოდ იფაფხურეს. ამის ხარჯებს უნდა გაძღომოდა გრ. ბერიძე.

ფოტოები კნელი ალბომიდან

წიგნის დასაწყისში:

სოფიო ჩიჯავაძე-კედია წიგნზე მუშაობისას ფონტენბლოში.

ჩიჯავაძეების საგვარეულო სახლი კისისხევში კომუნისტური ექსპლოატაციის შემდეგ.

ჩიჯავაძეების საგვარეულო ეკლესია თბილისში.

სოფიო ჩიჯავაძე-კედია ქართულ ვაზთან. ეს ვაზი მას ჩამოუტანა ქუცუნა (ირინე) ჟღენტმა, თეოს პატარაობის მეგობარმა. ფონტენბლო 1983.

წიგნის ბოლოს:

1. შაქრო ჩიჯავაძე.
2. ვერა ჩიჯავაძე შვილებით: სონა (15 წლის), ირაკლი და ლელო.
3. სპირიდონ კედია სვანეთში მალვის დროს – 1905 წ.
4. ბალტიის ზღვაზედ 1912 წ. ამ ჯგუფში იმყოფება კოშკეს ოჯახი და ცნობილი ფაბერჟე. ეს კოშკე მეფის პოლიციის უფროსი იყო.
5. განთავისუფლებული ქართველი ტყვეები 1918 წ. მათთან ერთად: სპირიდონ კედია, გიორგი მაჩაბელი, ნორინა მაჩაბელი, ჩხენკელი, მისი მეუღლე და სხვ.
6. ისტორიული სურათი არმავირში. მარცხნიდან დგანან: დ. ჭიაბრიშვილი, ს. ქორქია, ბეთანელი, იოსებ ბკიალიშვილი, ალ. არაბიძე, ჟრენტი; სხედან ?, Madam Beka, ხოშტარია თავისი მეუღლით, სპირიდონ კედია, ზურაბ ავალიშვილი.
7. სოფიო კედია 1919 წ.
8. სოფიო ჩიჯავაძე-კედია და სპირიდონ კედია. თბილისი 1919 წ.
9. თეო წლისა და ნახევრის. თბილისი 17.7.1922 წ.
10. თეო და დედა.
11. ლელო ჩიჯავაძე.
12. 1923 წ. კონსტანტინეპოლი: ქ-ნი ნინო ნიკოლაძე-ზურაბიშვილი, ლევან ზურაბიშვილი, ვანდა ღამბაშიძე, ვახტანგ ღამბაშიძე და სპირიდონ კედია.
13. კონსტანტინეპოლი 1923 წ.: მედეა ღამბაშიძე, ლევან ზურაბიშვილი, მისი დედა ქ-ნი ნინო ნიკოლაძე-ზურაბიშვილი და სპირიდონ კედია.
14. ზუგდიდში ბებო თეოსთან. 1926 წ.
15. დედა და შვილი. თბილისი 1926 წ. საპასპორტო ფოტო: "პარიზისაკენ"
16. 1928 წელი: პირველი ოჯახური ფოტო.
17. კლამარში, სოფიო კედია თავისი მოწაფეებით: "ქართული კერა".
18. Viroflay-ში ქაქუცას სახლში. "ქართული კერა"-ს ჯგუფი. მათ შორის შეფიცულები: საშიკო კარგარეთელი, ალექსანდრე(შუშუ) სულხანიშვილი; ბაადური და ირაკლი ზალდასტანიშვილი.

19. Reine Appolinaire 1928 წ., Hotel Oudinot-ს პატრონი.
20. "ქაქუცას საღამო". "ქართული კერა" 1931 წ. მარცხნიდან: თამი კვინიტაძე, ციცა ბერიძე, მზია გვაზავა, ელიკო ციციშვილი, იდა კვინიტაძე და თეო კედია. წევს ნინო კვინიტაძე.
21. თეო. scénario-ს დამთავრების ეპოქა 1933 წ.
22. ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ნებიერიძე (ზის).
23. კლამარი 1934 წ.: სპირიდონ კედია, ზურაბ ავალიშვილი, შალვა ამირეჯიბი; წინ — ვასო დუმბაძე.
24. სპირდონ კედია აშშ. 1935 წ. მარცხნიდან: კირილე გურგენიძე, ნიკა ამილახვარი, სპირიდონ კედია, ვასო დუმბაძე და ...?.
25. სპირიდონ კედია "Bremen"-ზედ, ნიუ-იორკისაკენ.
26. სპირიდონ კედიას ყმაწვილები. 1936 წ. უკანა რიგში: მიტო სინჯიკაშვილი, ბარკალაია, ვიქტორ ნოზაძე, ვ. შუბლაძე, მიშა ქავთარაძე, შ. მაღლაკელიძე, საშა ცომაია. წინ: შოთა გედევანიშვილი, აჩიკო დადიანი, ბერეჟიანი, ირონიონ ბეგიაშვილი.
27. თეო მამასთან და"ქუჩიათი", ომის წინ 1939 წ.
28. სოფიო ჩიჯავაძე კედია და სპირიდონ კედია.
29. გიორგი მაჩაბელი.
30. 1942 წ. სპირიდონ კედია ლაბორატორიაში.
31. გიორგი მაჩაბლის წერილი სპირიდონ კედიასადმი. ფაქსიმილე.
32. 1943 წ. სოფიო ჩიჯავაძე-კედია და სპირიდონ კედია.
33. არტურ ჰონეგერი სტუმრად კლამარში 1942 წ. უკანა რიგში: სპირიდონ კედია, გივი ჩიჯავაძე, სოფიო კედია; წინ: ჰონეგერი, თეო კედია, ზიზი გოგოლაშვილი და ჩერეპნინ.
34. ზიზი გოგოლაშვილი, ა. ჰონეგერი, თეო კედია, და სოფიო კედია.
35. საყვარელი სურათი. თეო და სოფიო ჩიჯავაძე-კედია. 1944 წ.
36. მარცხნიდან: ჟორჟიკ ევანგულოვ, მისი მეუღლე, მწერალი ევრაინოვ, სოფიო კედია.
37. ბები ამილახვარი და ოთარი. მაროკოში.
38. Mme Suzanne Michel და სოფიო ჩიჯავაძე-კედია.
39. Mlle Gisèle Frédet, Mme Suzanne Michel და სოფიო ჩიჯავაძე-კედია.
40. სოფიო ჩიჯავაძე-კედია, თეო ჩიჯავაძე-კედია და Mlle Gisèle Frédet.
41. პარიზის უხუცესი მოქალაქე 106 წლის სოფიო ჩიჯავაძე-კედია და თეო ჩიჯავაძე-კედია. 1991 წ. უკანასკნელი ფოტო.








































მოწაფეების მიერ სოფიო კედიასადმი მიძღვნილი
სამახსოვრო ჟურნალი.



ვეფხის—ტყაოსანი

(შინაარსი)

ესე, მესაბაძნი, მსურს თხრობა ცრემლის ღვრა-თველი
ითქმა ვითა ბაყმან, დღენი სოფლი ხრწნათა,
ცმაცუ კაშკულათნი, ითქუა მაჩი კლიო კრთომა ღონი
ოცნა სანმენ გადარჩა მარგლოცი გვეცხო სმენათა.

ყო ამბავს ჩუენ. შემქელი კოცი მშეენებითა,
თფილი ასული თინათინ ამება მეტია მეცნიერითა,
მას სანაძრაზეს ყურ ფლანგრიმპალი ბრძენელი ტრფობით
სპაია სპასპეტი ავთანდილ ვეფხს ტყაოსს მზის გახეიტრით.

ძალიერ ღმერთო, შემძლებელო ვეცა ნამარდი საქმენი,
ვარდი ძოწეული მზისაცა პირსა ბრძოლი ბაგეხისანი
ფი ცეცხლი, ლაშაში ოქროს ნაბ გეიცისანი.
რომელისა შეკერან ან ვერძის თუთ ფი სპილოსანი.



